იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ ВЕРСИИ ПРОРОЧЕСТВА ИЕРЕМИИ

Текст подготовил к изданию, словарем и исследованием снабдил К. Д. Данелия

ТБИЛИСИ 1992

იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა,
ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთო
კორნელი დანელიამ

თბილისი 1992

86.3(2Г)
О 763

„იერემიას წინასწარმეტყველება“ ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნია, რომლის ყველა ქართული ვერსიის ტექსტია აქ წარმოდგენილი. ტექსტს ახლავს ლექსიკონი და ვრცელი ისტორიულ-ფილოლოგიური და ლინგვისტური ხასიათის გამოკვლევა. წიგნი განკუთვნილია ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული კულტურის ისტორიით, განსაკუთრებით ბიბლიოლოგიური პრობლემებით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

«Пророчество Иеремии» — одна из книг Ветхого завета, древнегрузинские версии которого представлены в настоящем издании. Текст снабжен словарем и обширным исследованием историко-филологического и лингвистического характера. Книга предназначена для специалистов, заинтересованных историей грузинского литературного языка и грузинской культуры, особенно, библиологическими проблемами.

რედაქტორი ბ. ჯორბენაძე

რეცენზენტები: ზ. ჭუმბურიძე, ზ. სარჯველაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992

Д $\frac{4702170101}{608(06)-92}$

ISBN 5—511—00348—2

წინასიტყვაობა

იერემიას წინასწარმეტყველება ბიბლიაში შემავალი ერთ-ერთი წიგნია, რომელიც მნიშვნელოვან ლიტერატურულ ღირსებასთან ერთად ბევრ უტყუარ ისტორიულ ცნობასაც შეიცავს. მასში ვრცლად არის გადმოცემული ბაბილონის ერთ-ერთი ძლიერი მეფის — ნაბუქოდონოსორის (604-562) მიერ ურიასტანის დედაქალაქის — იერუსალიმის — დაპყრობისა და აოხრების ამბავი, რომელიც მოხდა 586[1] წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს თხზულება ქართულ ენაზე, თუ ადრე არა, VII საუკუნეში მაინც უნდა თარგმნილიყო, რასაც ამტკიცებს ქართულ-ებრაულ პალიმფსესტში შემონახული „ხანმეტი“ ნაწყვეტები. სრული სახით კი ქართული თარგმანის სამი ვერსიაა დღემდე მოღწეული: ერთი დაუცავს ოშკურ (ათონურ) ხელნაწერს (X ს.), მეორე — იერუსალიმურს (XI ს.) და მესამე — გელათურს (XII-XIII ს. ს.).

გამოსაცემ ტექსტს საფუძვლად დაედო იერუსალიმური ნუსხა, რომელიც რედაქციულად უფრო ძველია და სრული, ვიდრე ოშკური (ათონური). ამიტომ ამ უკანასკნელის პირველისგან განსხვავებული წაკითხვები სქოლიოში ვარიანტებად არის მოყვანილი.

ჩვენი ძეგლის იერუსალიმური ვერსიის ტექსტი გამოქვეყნდა 1961 წელს პარიზში (Patrologia Orientalis, t. XXIX, fasc. 4.). წინასწარმეტყველთა დანარჩენი წიგნები სხვა ნაკვეთებშია დაბეჭდილი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს პროფესორებმა რ ო ბ ე რ ტ ბ ლ ე ი კ მ ა და მ ო რ ი ს ბ რ ი ე რ მ ა. მათი გარდაცვალების შემდეგ ტექსტის გამოქვეყნება მოუხდა პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის სომხური და ქართული ენების სპეციალისტს — პროფესორ მ ე რ ს ი ე ს. ქართულ ტექსტს გვერდით ლათინური თარგმანი ახლავს. ოშკური (ათონური) ვერსიის იერუსალიმურისაგან განსხვავებული წაკითხვები ვარიანტებში არის ნაჩვენები (წინასწარმეტყველთა წიგნების ვარიანტები ცალკე ნაკვეთად არის დაბეჭდილი (Patr. Orientalis, t. XXX, fasc. 3, 1963, Paris). ზოგჯერ ძირითად ტექსტში ოშკური ვერსიის წაკითხვებია დაბეჭდილი, ხოლო იერუსალიმურისა ვარიანტებშია აღნიშნული. ასე რომ გამოცემული ტექსტი იერუსალიმური ნუსხისა რამდენადმე შეჯერებულია ოშკური ვერსიის ტექსტთან. ამ გამოცემის ღირსებასა და ნაკლზე ქვემოთ სპეციალურად ვჩერდებით (§ 5).

გელათური ვერსია რედაქციულად ძალზე განსხვავებული აღმოჩნდა იერუსალიმურისაგან, ამიტომ საჭიროდ ვცანით მისი სრულად მოყვანა, დაბეჭდვა. აღსანიშნავია, რომ გელათური ნუსხა მეტად დაზიანებული და ნაკლულია. ჩვენი ძეგლის იმ ადგილების შესავსებად, რომლებიც გელათურ ნუსხას აკლია, გამოვიყენეთ თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში, დაბეჭდილი ბიბლია, რომლის სამად-სამი ცალია დღემდე ცნობილი. ამის საფუძველს ის გვაძლევდა, რომ

---

[1] История древнего мира, под редакцией В. В. Д ь я к о в а и С. И. К о в а л е в а, Москва, 1962, стр. 174.

ვახტანგისეული ნაბეჭდი ბიბლიის წინასწარმეტყველთა ტექსტი დამყარებულია ჩანს გელათურ ვერსიაზე.

ჩვენი ძეგლის ქართული ვერსიების ურთიერთმიმართების შესწავლისას საჭირო შეიქნა, რომ გაგვეთვალისწინებინა ლექციონარებში დაცული საკითხავების ტექსტიც.

ტექსტებს ახლავს გამოკვლევა და იშვიათად ხმარებულ სიტყვათა ლექსიკონი. გამოკვლევა შედგება ორი ნაწილისაგან: ფილოლოგიურისა და ენათმეცნიერულისაგან. პირველ ნაწილში განხილულია: გამოყენებულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტექსტის გამართვისათვის, ქართული ვერსიები, მათი ურთიერთმიმართება და სხვ.

გელათური ვერსიის შესწავლისას საჭირო შეიქნა, ვახტანგისეულ ნაბეჭდ ბიბლიასაც საგანგებოდ შევხებოდით, რათა ნათელი ყოფილიყო W-ს მიმართების საკითხი G-სთან. ამ უკანასკნელი საკითხის შესწავლისას გამოვლინდა, რომ W ყოველთვის ზუსტად როდი მიჰყვება G-ს. ამ გარემოებამ წარმოშვა კითხვა: სულხან-საბა ორბელიანს, როგორც ვახტანგისეული ნაბეჭდი ბიბლიის რედაქტორს, ხომ არ გამოუყენებია ქართული ბიბლიის დღეისთვის უცნობი ვერსია თუ ნუსხა? ამ კითხვაზე პასუხი მოკლედ, მაგრამ სათანადოდ არის გაცემული გამოკვლევაში.

საკითხი, თუ რა მიმართებაშია ქართულ ლექციონარებში ჩვენი ძეგლიდან მოყვანილი ადგილები ძველი ვერსიების ტექსტთან, ცალკე კვლევის ობიექტია. ტექსტების შედარების შედეგად გაკეთებული განცხადება, რომ ლექციონარებში მოყვანილი „საკითხავები ამოღებული არ უნდა იყოს პირდაპირ ძველი თარგმანებიდან“, უეჭველი დებულება როდია. ამ საკითხის ფართო ასპექტში განხილვა მომავლის საქმეა.

ცალკე თავში საგანგებოდ მივაქციეთ ყურადღება ქართული ვერსიების მომდინარეობას. ცნობილია, რომ ქართული ფილოლოგიის „კარდინალური საკითხია“[2], თუ რომელი ენიდან ითარგმნა ქართული ბიბლია. შეიძლება, დავუშვათ, რომ როგორი წარმომავლობისაც ჩვენი ძეგლის ქართული თარგმანია, ისეთივე წარმომავლობისა უნდა იყოს, თუ მთელი ძველი აღთქმა არა, წინასწარმეტყველთა წიგნები მაინც.

ჩვენი მიზანი არაა, გადაჭრით ვამტკიცოთ, რომ იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები ნათარგმნია უთუოდ ამა და ამ ენიდან, რადგან ყოვლად შეუძლებელია ამა თუ იმ ტექსტთან შედარების დროს ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ნაბეჭდი ტექსტით, იქნება ის ქართული თუ უცხო. საქმე ისაა, რომ „ნაბეჭდი ტექსტი ქართული თუ უცხო ბიბლიისა უცვლელად არ შეიცავს იმ ტექსტს, რომელიც ან რომლიდანაც გადმოთარგმნეს თავდაპირველად ბიბლია ჩვენმა წინაპრებმა“.[3]

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო არა ამ საკითხზე არსებული რომელიმე თეორიის გამოკიდება, არამედ ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ და უცხო ტექსტებზე დაკვირვების შედეგად ისეთი ფაქტების მოპოვება, რომლებიც გვაკარაუდებინებდა, თუ რომელ უცხო წყაროზეა დამოკიდებული ქართული თარგმანი. ამ მიზნით ქართული თარგმანი შევუდარეთ ძირითადად ბერძნულსა და სომხურ წყაროებს (შეძლებისამებრ ებრაულსაც).

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951 გვ. 393.

[3] იქვე, გვ. 394.

გამოკვლევის მეორე ნაწილში ჩვენი ძეგლის ენობრივი ანალიზია წარმოდგენილი, სადაც აღნუსხული და სათანადოდ კვალიფიცირებულია ძირითადი ორთოგრაფიული, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი.

დასასრულ, განხილულია ძეგლის ლექსიკა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ სიტყვებს, რომლებიც არასწორი ფორმით ან არასწორი განმარტებით მოხვედრილან სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში.

* * *

P. S. ეს შრომა 1962-1966 წლებში დაიწერა აკად. ა. შანიძის წინადადებითა და ხელმძღვანელობით. მას შემდეგ 25 წელზე მეტი გავიდა. მართალია, ძველი ქართული ენის სტრუქტურის შესწავლის საქმე საგრძნობლად დაწინაურდა, მაგრამ ამ უბანში შექმნილი უახლესი შრომების სქოლიო-დამოწმებებში შეტანა-ჩამატება აუცილებელი არ გამხდარა. პირიქით, ერთადერთი ცვლილება, რაც შევიტანეთ, ეს იყო ტექსტის ენობრივი დახასიათების სქოლიოებისაგან ალაგ-ალაგ განტვირთვა (ზოგი ფაქტის ინტერპრეტაციის ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად გახდომის გამო). გამოკვლევის გარკვეული ნაწილი სხვადასხვა დროს დაიბეჭდა თბილისის უნივერსიტეტისა და საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ორგანოებში, მთლიანად კი შრომა პირველად ახლა გამოდის.

პირობითი ნიშნები

გამოყენებულ ნუსხათა აღსანიშნავად შემდეგი ლიტერებია ნახმარი:

J — იერუსალიმური ნუსხა (XI ს.-ისა).
O — ოშკური (ათონური) ნუსხა (978 წლისა).
G — გელათური ნუსხა (XII—XIII ს-ებისა).
W — გელათური ვერსიის ვახტანგისეული ნაბეჭდი ტექსტი (1710-1721).
X — ხანმეტი ნაწყვეტები ქართულ-ებრაული პალიმფსესტიდან (VII ს.-ისა).
L — ლაგურკული ლექციონარის ნუსხა (XI-X ს.-ებისა).
S — სინური ლექციონარის ნუსხა (X ს.-ისა).
Lt — ლატალის ლექციონარის ნუსხა (X ს.-ისა).
P — პარიზული ლექციონარის ნუსხა (XI ს.-ისა).

* * *

ტექსტის დადგენისას გამოყენებულია სათანადო უცხოენოვანი წყაროები: 1. **ბერძნული:** სეპტუაგინტას 1882 წლის პარიზული და აგრეთვე ა. რალფსის 1952 წლის შტუდგარტული გამოცემები; 2. **სომხური:** ძველი და ახალი აღთქმის ზოჰრაბისეული 1805 წლის ვენეციური გამოცემა; 3. **ებრაული:** ძველი აღთქმის ბრიტანეთისა და საზღვარგარეთის ბიბლიური საზოგადოების 1903 წლის ვენური გამოცემა.

ტექსტი

წინაწარმეტყუელებაჲ იერემიაჲსი

1

J

1. [Jer. 7, ფ. 193; O : 220v] სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელი იყო იერემიაჲსა მიმართ, ქელკიანისა მღდელთაგანისა, რომელი დამკჳდრებულ იყო ანათოთს, ქუეყანასა ბენიამენისსა.

2. რომელ იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ მისა მიმართ დღეთა მათ იოსიაჲსთა, ძისა ამოსისთა, მეფისა იუდაჲსთა, წელსა მეათსა[ფ. 194]მეტესა მეფობასა მისსა.

3. და იყო, დღეთა მათ იოაკიმისთა, ძისა იოსიაჲსთა, მეფისა იუდაჲსთა, ვიდრე მეათერთმეტედ წლადმდე სედეკიაჲსა, [ძისა იოსიაჲსსა], მეფისა იუდაჲსსა, ვიდრე წარტყუენვად იერუსალჱმისა თთუესა მეხუთესა.

4. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ მისა მიმართ, [და თქუა]:

5. ვიდრე შთავრდომადმდე მუცელსა დედისასა, გიცან შენ, [O : 221r] და ვიდრე გამოსლვადმდე შენდა საშოჲთ, წმიდა-გყავ შენ, წინაწარმეტყუელად წარმართთა და ნათესავთა ზედა დაგადგინე შენ.

6. და ვთქუ: რომელი-ეგე ხარ, უფალო, აჰა ესერა არა ვიცი სიტყუაჲ, რამეთუ ყრმა ვარი მე.

G

1. [W] სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რომელი იქმნა იერემიაჲს ზედა, ქელკიანისა მღდელთაგანისა, რომელი მკჳდრ იყო ანათოთს შინა, შორის ქუეყანასა ბენიამენისსა.

2. რომელი იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ მისდა მიმართ დღეთა შინა იოსიაჲსთა, ძისა ამონისთა, მეფისა იუდაჲსთა: წელსა მეათცამეტესა მეფობისა მისისასა.

3. და დღეთა შინა იოაკიმისთა, ძისა იოსიაჲსთა, მეფისა იუდაჲსთა, და მიაღსასრულამდე მეათერთმეტისა წლისა სედეკიაჲსსა, ძისა იოსიაჲსსა, მეფისა იუდაჲსსა, ვიდრე ტყუეობამდე იერუსალიმისა მეხუთესა შინა თთუესა.

4. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, მეტყუელი:

5. პირველ ჩემგან აღზელა[დმ]დე მუცელსა შინა, გიცი შენ, და პირველ გამოსლვისა შენისა საშოჲთ, განგწმიდე შენ, წინაჲსწარმეტყუელად ნათესავისა მიმართ დაგდევ შენ.

6. და ვარქუ: მყოფო, მეუფეო უფალო, აჰა ვერ ზედ-მიმწდომ ვარ ზრახვად, რამეთუ უჭაბუკეს ვარ მე.

1.1. უფლისაჲ] ღმრთისაჲ O, იერემიაჲსა მიმართ] იერემიაჲს ზედა O, მღდელთაგანისა] O, ანათონს O. 2. რომელ]და O, დღჱთა O, იოსიაჲთა O, ძისა ამოსისთა] — O, მეაცამეტესა O. 3. იოვაკიმისთა O, ვიდრე] და მიაღსასრულადმდე O, მეათერთმეტჱსა წელსა სედეკია, ძისა იოსიაჲსსა O, წარტყუენვადმდე O, იერუსალჱმისა]+ და O, ~ მეხუთესა თუესა O. 4. და] — O, მიმართ]+ და თქუა O. 5. ვიდრე შთავრდომადმდე] წინაჲსწარვე ვიდრე შესაქმედმდე შენდა O, მუცელსა დედისასა] მუცელსა შინა O, გამოსლვადმდე] გამოჩინებადმდე O, შენდა]—O, საშოჲთ]+ განვე O, წარმართა]—O, და] — O, ზედა] — O. 6. ეგე]—, უფალო] თავადი უფალი O, არა ვიცი სიტყუაჲ] მე არა მეცნიერ ვარ სიტყუად O.

1.1. ექელკისასა W. 2. სიტყვა W. 3. იოსიასთა W, იუდაჲსთა W, მიაღსასრუთამდე W იოსიასსა W, ტყუჱობამდე W, იჱრუსალიმისა W, თთუჱსა W 4. სიტყვა W. მეტყუჱლი W. 5. აღზელადე W, საშოთ W, წინაწარმეტყუჱლად W. 6. მფჱო W.

J

7. და მრქუა მე უფალმან, ნუ იტყჳ ვითარმედ: ყრმა ვარი მე, რამეთუ ყოველთა მიმართ, რომელთა მიგავლინო შენ, მიხჳდე, და ყოველი რაოდენი გამცნო შენ, იტყოდი.

8. ნუ გეშინინ პირისაგან მათისა და ნუცა ზარ-გაც შენ წინაშე მათსა, რამეთუ მე შენ თანა ვარ განრინებად შენდა, იტყჳს უფალი.

9. და მოყო უფალმან ჴელი მისი ჩემდა და შემახო პირსა ჩემსა და მრქუა მე უფალმან: აჰა ესერა მიგცენ სიტყუანი ჩემნი პირსა შინა შენსა.

10. აჰა ესერა დაგადგინე შენ დღეს ნათესავთა ზედა და მეუფებათა აღფხურად და დათხრად, წარწყმედად და დარღუევად, აღშენებად და დანერგვად.

11. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდა მომართ, და მრქუა მე: რასა ჰხედავ შენ, იერემია? და ვთქუ: არგანსა ნიგოზისასა ვხედავ მე.

12. და მრქუა მე უფალმან: კეთილად იხილე, რამეთუ განმღჳძებიეს მე სიტყუათა ჩემთა ზედა ყოფად მათა.

13. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო მეორედ, და მრქუა: რასა ჰხედავ შენ? და ვთქუ: სიავსა ერთსა, ქუეშე მგზებარესა, ვხედავ მე, და პირი მისი პირით ჩრდილოჲთ.

14. და მრქუა მე უფალმან: პირისაგან ჩრდილოჲსა აღატყდეს ძჳრი. ყოველთა ზედა მკჳ [O : 221v] დრთა ქუეყანისათა [ფ. 195].

G

7. და თქუა უფალმან ჩემდამო: ნუ იტყჳ, ვითარმედ უჭაბუკეს ვარ მე, რამეთუ ყოველთა მიმართ, რომელთაცა განგავლინო შენ, მიხჳდე, და ყოველთაებრ, რაოდენნიცა გამცნნე შენ, იტყოდი.

8. ნუ შეშინდები პირისაგან მათისა, რამეთუ შენ თანა ვარ მე განრინებად შენდა, იტყჳს უფალი.

9. და განყო უფალმან ჴელი მისი და შეახო პირსა ჩემსა და თქუა უფალმან ჩემდამო: აჰა მე გცენ სიტყუანი ჩემნი პირსა შენსა.

10. აჰა დაგადგინე შენ დღესა ნათესავსა ზედა და მეფობასა აღმოფხურად და აღთხრად და წარწყმედად და აღშენებად და დანერგვად.

11. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, მეტყუელი: რასა ხედავ შენ, იერემია? და ვარქუ: არგანსა ნიგუზისასა ვხედავ მე.

12. და თქუა უფალმან ჩემდამო: კეთილად იხილე, მით რამეთუ მღჳძარე ვარ მე სიტყუათა ზედა ჩემთა ქმნად მათდა.

13. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ მეორედ ჩემდამო, მეტყუელი: რასა ხედავ შენ? და ვარქუ: სიავსა, ქუეშეთ მგზებარესა, და პირი მისი პირისაგან ჩრდილოჲსა.

14. და თქუა უფალმან ჩემდამო: პირისგან ჩრდილოჲსა აღეგზნნენ ბოროტნი ყოველთა ზედა დამკჳდრებულთა ქუეყანისათა.

---

7. ყრმა] ჭაბუკ O, მიმართ] — O, რავდენი O, შენ] — O, 8. ზარ-გაცნ O, მა´თსა J. 9. ჩემდა] — O, მიქცენ J, მიგცნე O, შინა] — O. 10. მეფეთა O, აღფხურად] დათრგუნვად O, და დათხრად] — O, და წარწყმედად O, და] — O და აღშჱნებად O. 11. ხედავ J ვთქუ]ვარქუ O, ნიგუზისასა O. 12. ჩემთა] — O, მათდა O, 13. და] + და J. მრქუა] + მე O, შენ] + იერემია O, ვთქუ]ვარქუ O, ქუეშჱ JO, მგზებარჱსა O, პირით ჩრდილოჲთ] პირისპირ ჩრდილოსა O. 14. [ფურცლის ბოლოს მინაწერია: ქ´ჱ შე´ნ მქლ:და გ´ი J — ქრისტჱ, შეიწყალენ მიქაელ და გიორგი].

9. თქვა W, სიტყვანი W. 10. დანერგუად W. 11. სი´ტყა W, მეტყუჱლი W. 12. სიტყთა W. 13. სი´ტყა W, მეტყლი W, ქუჱშეთ W. 14. ჩრდილოსა W.

J

15. რამეთუ აჰა ესერა მე მოუწოდი ყოველთა მეფეთა მეფ[ობა]თასა ჩრდილოჲთ ქუეყანით, იტყჳს უფალი, და მოვიდენ და დაიდგნენ თითოეულად საყდარნი მათნი ზღურბლთა ზედა ბჭეთა იერუსალჱმისათა და ყოველთა ზედა ზღუდეთა გარემო მისა და ყოველთა ზედა ქალაქთა იუდაჲსთა.

16. და ვიტყოდი მე საშჯელით მათა მიმართ ყოვლისა უკეთურებისა მათისათჳს, რამეთუ დამიტევეს მე და უზორვიდეს ღმერთთა უცხოთა და თაყუანის-სცემდეს ქმნულსა ჴელთა მათთასა.

17. და შენ შეიმტკიცენ წელნი შენნი და აღდეგ და არქუ მათ ყოველი, რაჲცა გამცნო შენ. ნუ გეშინინ შენ პირისაგან მათისა, ნუცა შესძრწუნდები წინაშე მათსა, რამეთუ მე შენ თანა ვარ განძლიერებად შენდა, იტყჳს უფალი.

18. და მე ესერა დაგდევ შენ დღესდღე, ვითარცა ქალაქი ძლიერი და ვითარცა სუეტი რკინისაჲ და ვითარცა ზღუდე რვალისაჲ ყოველთა მიმართ მეფეთა იუდაჲსთა და მთავართა მისთა და მღდელთა მათთა და ერსა ქუეყანისასა.

19. გბრძოდიან და შენ ვერ გძლონ, რამეთუ მე შენ თანა ვარ განრინებად შენდა, იტყჳს უფალი.

G

15. რამეთუ აჰა მე მოუწოდო ყოველთა მეფობათა ჩრდილოჲსაგან ქუეყანისა, იტყჳს უფალი, და მოვიდენ და დადგნენ თითოეულმან საყდარნი თჳსნი წინა-კართა ზედა ბჭეთა იერუსალემისთასა და ყოველთა ზედა ზღუდეთა გარემოჲს მისსა და ყოველთა ზედა ქალაქთა იუდაჲსთა.

16. და ვიზრახო მათდა მიმართ მსჯავრისა თანა ყოვლისათჳს უკეთურებისა მათისა, ვითარ დამიტევეს მე და უგეს ღმერთთა უცხოთა და თაყუანის-სცეს ნაქმრებსა ჴელთა მათთასა.

17. და შენ მოირტყენ წელნი შენნი და აღდეგ და თქუენ მათდამი ყოველთაჲ რაოდენთა გამცნებ მე შენ. ნუ შეიშინებ პირისაგან მათისა, ნუცა სწ[ი]წნეულობ წინაშე მათსა, რამეთუ შენ თანა ვარ მე განრიდებად შენდა, იტყჳს უფალი.

18. აჰა დაგდევ შენ დღეინდელსა შინა დღესა, ვითარცა ქალაქი ძნელი და ვითარცა სუეტი რკინისაჲ და ვითარცა ზღუდე რვალისაჲ ძლიერი ყოველთა მეფეთა იუდაჲსთად და მთავართა მისთა და მღდელთა მისთა და ერისა ქუეყანისად.

19. და გბრძოდიან შენ და ვერ უძლებდენ შენდამი, მით რამეთუ მე შენ თანა ვარ განრინებად შენდა, იტყჳს უფალი.

---

15. მოუწოდო O, მეფეთასა J, მეფობასა O. ზედა]—O 16. „თჳს“ ზემოდან აწერია წვრილი ხელით O-ში, თაყუანის-სცეს O, მათთაჲსა J. 17. შეგეშინებინ O, შენ]—O, განძლიერებად] ჴსნად O. „უფალი“ ზემოდანაა ჩამატებული J-ში. 18. დღეს დღჱ J, დღჱს დღჱ O, ზღუდჱ O, მეფჱთა O. 19. ~ შენ და o.

15. ქუჱყანისა W. საყდარი თჳსი W, იჱრუსალემისთასა W, გარემჲოს W. 17. თქუჱნ W, სწწნეულობ W. 18. სუჱტი W, რკინისა W, რვალისა W, და მღუდელთა] დამღდელთა W. და ერისა] დაერისა W.

J

2

1. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, და თქუა:

2. მივედ და აღმოუკითხე [ყურთა] ძეთა ისრაჱლისათა, მიუგე და არქუ: ესრე იტყჳს უფალი: მოვიჴსენე წყალობით სიჭაბუკე შენი და სიყუარული სრულებისა შენისაჲ შედგომასა შენსა წმიდასა ისრაჱლისასა [O : 222r], თქუა უფალმან, უდაბნოსა ქუეყანასა და უთესველსა.

3. წმიდა უფლისა ისრაჱლი, დასაბამ ნაყოფთა მისთა, ყოველნი მჭამელნი მისნი ინანდენ.

4. ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ სახლმან იაკობისმან და ყოველთა ტომთა სახლისა ისრაჱლისათა.

5. ესრე იტყჳს უფალი: რაჲ ჰპოვეს მამათა თქუენთა ჩემ თანა შეცოდებაჲ, რამეთუ განდგეს იგინი ჩემგან შორად და შეუდგეს იგინი კუალსა ცუდთასა და ამაო იქმნნეს.

6. და არა თქუეს, სადა არს უფალი, გამომყვანებელი ჩუენი ქუეყანით ეგჳპტით, რომელი გვძღოდა ჩუენ უდაბნოსა, ქუეყანასა უცხოსა და უგზოსა, ქუეყანასა ურწყულსა და უნაყოფოსა და აჩრდილსა სიკუდილისასა. [ფ. 196] ქუეყანასა, რომელსა არა ასრულ იყო მუნ კაცი, არცა დაიმკვიდრა მუნ ძემან კაცისამან.

7. და შეგიყვანენ თქუენ კარმელსა ჭამად თქუენდა ნაყოფთა მისთა [და] კეთილთა; და შეხუედით და შეაგინეთ ქუეყანაჲ იგი ჩემი და სამკვდრებელი ჩემი დასდევით საბილწებელად.

G

2

1. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, მეტყუელი;

2. ვიდოდე და აღმოიკითხე ყურთა მიმართ ძეთა იერუსალიმისათასა, მეტყუელმან: ამათ იტყჳს უფალი: მოვიჴსენენ წყალობანი სიჭაბუკისა შენისანი და სიყუარული სრულებისა შენისაჲ, შეუდეგ რაჲ შენ წმიდასა ისრაილისასა, იტყჳს უფალი, უდაბნოსა ქუეყანასა უთესველსა.

3. წმიდა უფლისა ისრაილი, დასაბამი ნაშრომთა მისთა, ყოველნი მჭამელნი მისნი ცოდვენ; ბოროტი მოიწინენ მათ ზედა, იტყჳს უფალი.

4. ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, სახლო იაკობისო და ყოველნო ტომნო სახლისა ისრაელისანო.

5. ამათ იტყჳს უფალი: რაჲ ჰპოვეს მამათა თქუენთა ჩემ თანა შეცოდებაჲ. რამეთუ განდგეს ჩემგან და ვიდოდეს შემდგომად ამაოჲსათა და ამაო იქმნეს.

6. და არა თქუეს, სადა არს უფალი. აღმომყვანებელი ჩუენი ქუეყანისაგან ეგჳპტისა, და გვძღოდა ჩუენ უდაბნოსა ზედა, ქუეყანასა მას უქმსა და უვალსა, ქუეყანასა შინა ურწყულსა და უნაყოფოსა და აჩრდილსა სიკუდილისასა, ქუეყანასა, რომელსა შინა არა განვლო მის შორის მამაკაცმან, არცა დაემკვდრა მუნ ძჱ კაცისაჲ.

7. და შემყვანებელი ჩუენი კარმელისა მიმართ ჭამად ნაყოფთა მისთა და კეთილთა მისთა; და შეხუედით და შეაგინეთ ქუეყანაჲ ჩემი და სამკვდრებელი ჩემი დასდევით საძაგელებად.

2.1. ჩემდამო] ჩემდა მომართ O. 2. აღმოუკითხჱ J, ყურთა O, ~ და მეუგე O, წყალობაჲ სიჭაბუკისა შენისაჲ O, შემდგომად O, წმიდისა ისრაჱლისათჳს O, თქუა უფალმან] — O და] — O. 3. წმიდისა ისრაჱლისა O. 5. ეხრჱ O, შეცოდება O. 6. თქუეს] ცნეს O, რომელი] რამეთუ J, უნაყოფოსა] ურწყულსა O, ქუეყანასა] — O, არა სრულ] O (მცდ.) 7. შეგიყვან´ნ J, მისთა] თქუენთა O, და] — JO, ჩემი] — O, და] — JO, ჩემი] + და O.

2.1. სიტ´ყა W, მეტყუჱლი W. 2. იჱრუსლიმისათასა W, მეტყუჱლმან W, შენისა W. 4. სიტ´ყა W, ისრაელისნო W. 5. ჰპოეს W, ამო´სათა W, იქმნენ W, 6. თქუჱს W, აღმომყუანებელი W ჩ´ნ W და უვალსა] დაუვალსა W, ძე კაცისა W. 7. შემყუანებელი W, შეხუჱდით W, ქვეყანა W.

J

8. მღდელთა არა თქუეს: სადა არს უფალი? მეცნიერთა მათ შჯულისათა არა მიცოდეს მე, და მწყემსნი უღმრთოებდეს ჩემდამო, და წინაწარმეტყუელნი წინაწარმეტყუელებდეს ბაალისგან და კუალსა ურგებთასა შეუდგეს.

9. ამისთჳს კუალად გეშჯოდი თქუენ, იტყჳს უფალი, და შვილთა მიმართ ძეთა თქუენთასა ვეშჯოდივე თქუა უფალმან.

10. და აწ წიაღვედით ჭალაკთა ქეტიმისთა და იხილეთ და კედარდ წა[O 222v]რავლინეთ და ცანთ ფრიად, უკუეთუ იქმნა ესემლევანი.

11. ცვალნენ თუ წარმართთა ღმერთნი მათნი, და იგინი არა არიან ღმერთ. ხოლო ერმან ჩემმან ცვალა დიდებაჲ ჩემი, რომლისაგან არარაჲ ერგოს.

12. დაუკჳრდა ცათა ამას ზედა, და შეძრწუნდა უმეტესად ქუეყანაჲ, თქუა უფალმან.

13. რამეთუ ორი ბოროტი ქმნა ერმან ჩემმან: მე დამიტევეს, წყაროჲ წყლისა ცხოველისაჲ და აღმოთხარეს თავისა მათისა ჯურღმული ჭურელოანი, რომლითა ვერ უძლონ დაპყრობად წყლისა.

14. მონაჲ ნუ არს ისრაჱლი, ანუ სტრუკი არს იაკობი, რამეთუ სატყუენველ იქმნა?

15. მის ზედა იბრდღუენდენ ლომნი და გამოსცენ ჴმაჲ მათი, რომელთა დადვეს ქუეყანაჲ მისი განსარყუნელად; და

G

8. მღდელთა არა თქუეს: სადა არს უფალი? და მეცნავთა სჯულისა ჩემისათა არა მიცნეს მე, და მწყემსნი უთნოობდენ ჩემდამო, და წინაჲსწარმეტყუელნი უწინაჲსწარმეტყუელებდეს ბაალსა და უკუანა ურგებთასა ვიდოდეს.

9. ამისთჳს მერმეცა განვისჯებოდი თქუენდამი, იტყჳს უფალი, და ძეთა მიმართ ძეთა თქუენთასა განვისაჯოვე.

10. რამეთუ განვლეთ ჭალაკთა მიმართ ქეტიმისთა და იხილეთ და კიდარადმი მიავლინეთ და გულისხმაყავთ ფრიად და იხილეთ, უკუეთუ იქმნნეს ესევითარნი.

11. უკუეთუ სცვალებენ წარმართნი ღმერთთა მათთა, და იგინი არა არიან ღმერთნი. ხოლო ერმან ჩემმან შეიცვალა დიდებაჲ თჳსი, რომლისაგან არა რგებულ იქმნეს.

12. განკრთა ამას ზედა ცაჲ, და განცჳბრდა უფროჲს ფრიად, იტყჳს უფალი.

13. რამეთუ ორნი ძჳრნიცა ქმნნა ერმან ჩემმან: მე დამიტევეს, წყაროჲ წყლისა ცხოველისაჲ, და უთხარნეს თავთა მათთა ჯურღმულნი გაჭურეტილნი, რომელნი ვერ შემძლებელ არიან დაპყრობად წყლისა.

14. ნუ მონაჲ არსა ისრაილი, ანუ სახლის-ნაშობი არს იაკობი, რაჲსათჳს წარსატყუენველ იქმნა?

15. მის ზედა იზახდეს ლომნი და მოსცეს ჴმაჲ მათი, რომელთა დააწესეს ქუეყანაჲ მისი უჩინო-საქმნელად; და

8. და მეცნიერთა O. შჯულისათა] შჯულისა ჩემისათა O, მიცნეს O, ორგულთასა J, ურგებსა O. 18. სხვა ხელით მინაწერია: „საკითხავი სჯული" O. 9. იტყჳს უფალი] თქუა უფალმან O, თქუენთაჲსა O. 10. „წიაღ"-ის ინი ზემოდანაა ჩამატებული J-ში, ქეტემისათა O, წარავლინენით O, ფრიად] + და იხილეთ O. 12. არარაჲ] არაჲ O, და უკჳრდაცა O. 13. ჩემმან] ამან O, ჭურელოვანი O. წყალი O. 14. არსა O, არს] ნუ არსა O, სატყუენველი ქმნა J. 15. იბრდღუენდეს O. მოსცეს O. 11, უმკჳდროებისაგან] + მერმჷ O. მერმეცა ძეთა O.

8. და მწყემსნი] დამწყემსნი W, და´წწყლნი W, უწწყუჷლებდეს W, ვიდო´დს W. 12. განაჰკრთა W, ზა´ცა W, უფროს W. 14. წარსატყუჷნველ W.

J

ქალაქები მისი დაიქცა უმკვდროებისა-
გან.
16. რამეთუ მერმე ძეთაცა მემფი-
სათა და ტაფნაჲსათა გიცნეს შენ [ფ.
197] და გეკიცხევდეს შენ.
17. არა ესე გიყო შენ დატევება-
მან ჩემმან? — იტყჳს უფალი.
18. და აწ რაჲ ძეს შენი და გზისა
ეგჳპტისაჲ სუმად შენდა წყალი გეო-
ნისაჲ? და რაჲ ძეს შენი და გზისა ასუ-
რეთისაჲ სუმად შენდა წყალი მდინა-
რეთაჲ.
19. განგსწავლენ შენ განდგომი-
ლობამან შენმან, და უკეთურებამან
შენმან გამხილენ შენ; და გულისჴმა-
ყავ და იხილე, რამეთუ მწარე და ბო-
როტ არს შენდა დატევებაჲ, თქუა
უფალმან ღმერთმან შენმან, და არა
მთნდი შენ, იტყჳს უფალი ღმერთი
შენი,
20. რამეთუ დასაბამითგან შეჰმუს-
რე უღელი შენი და განჰხეთქენ აპა-
[O:223r]ურნი შენნი და სთქუ: არა
გმონო შენ, არამედ მივიდე ყოველსა
ზედა ბორცუსა მაღალსა და ქუეშე ყო-
ველსა ხესა საგრილსა, მუნ გავცუთე
სიძვითა ჩემითა.
21. ხოლო მე დაგნერგე შენ ვენა-
ჴად ნაყოფიერად ყოვლად ჭეშმარი-
ტად, ვითარ გარდაიქეც სიმწარედ ვენა-
ჴი ეგე უცხოჲ?
22. და გან-თუ-იბანო ბავრუკითა და
განამრავლნე შენდად განსაწმედელნი,
შეგინებულვე იყო უშჯულოებათა შინა
შენთა წინაშე ჩემსა, თქუა უფალმან.

G

ქალაქნი მისნი დაიქცეს არადამკვდრე-
ბისა მიერ.
16. და ძეთა მემფისათა და ტაფ-
ნაჲსათა გიცნეს შენ და გემღერდეს
შენ.
17. არა ესენი გიყვნაა შენ დატევე-
ბამან შენგან ჩემმან, იტყჳს უფალი
ღმერთი შენი, ჟამსა მოყვანებისა შენი-
სასა გზასა ზედა?
18. და აწ რაჲ არს შენი და გზისა
ეგჳპტისაჲ სუმად წყალი გიონისაჲ, და
რაჲ შენი და გზისა ასურასტანელთაჲსა
სუმად წყალი მდინარეთაჲ?
19. გასწავლენ შენ განდგომილება-
მან შენმან, და უკეთურებამან შენმან
გამხილენ შენ; და ცან და იხილე, ვი-
თარმედ მწარე არს შენდა დატევებაჲ
ჩემი, იტყჳს უფალი ღმერთი შენი, და
არა სათნო ვიყო შენ ზედა, იტყჳს
უფალი ღმერთი შენი,
20. რამეთუ საუკუნითგან შეჰმუს-
რე უღელი შენი და განჰხეთქენ აპაურ-
ნი შენნი და სთქუ: არა გმონო შენ,
არამედ წარვიდე ყოველთა ზედა ბორ-
ცუსა მაღალსა და ქუეშე ყოველსა ხე-
სა ჩრდილოვანსა, მუნ დავითხიო სიძ-
ვისა მიერ ჩემისა.
21. ხოლო მე დაგნერგე შენ, ვენა-
ჴი ნაყოფის გამომღებელი ყოვლად
ჭეშმარიტი, ვითარ გარდაიქეც სიმწარედ
ვენაჴი უცხოჲ.
22. უკუეთუ განიბანო ბავრუკითა
და განიმრავლნე თავისა შენისა მდე-
ლონი, შეგინებულვე ხარ უსამართლო-
ბათა მიერ შენთა წინაშე ჩემსა, იტყჳს
უფალი.

---

16. მეფისათა O. არა] რაჲ J. 17. გიყოა O. 18. შენდა]—O წყლისა მდინარეთაჲსა O. 19. გა-
ნგსწავლა O, განდგომილებამან O, განმხილენ J, გულისხმა-ყავ O, მწარჱ O შენდა დატევებაჲ] დატე-
ვებაჲ ჩემი შენდა O. 20. შეჰრიე O, სთქუა J, ქუეშჱ J, ქუეშე]—O, ხჱსა O, საგრილსა] მაღალსა O,
გავცუთე-ში უ ჩამატებულია ზემოდან J-ში, განვსცთჱ O. 21. ვითარ] და შენ O. 22. შენდად]
შენ O, [„უშჯულოებათა“-ში თა ჩამატებულია ზემოდან J-ში], წინაშე ჩემსა]—O.

17. მოყუანებისა W. 18. ეგჳპტისა W, გიონისა W, ასურასტანელთასა W, მდინარეთა W.
19. გსწავლენ W. 20. ქუჱშე W.

J

23. ვითარ იტყჳ, ვითარმედ: არა შევიგინე და კუალსა ბაალისსა არა მივედ? იხილენ გზანი შენნი სამარობანსა და ცან, რაჲ გიქმნიეს შენ. მწუხრი ჴმითა თჳსითა გოდებდა.

24. გზანი მისნი განფართნა წყალთა ზედა უდაბნოჲსათა, გულის-თქუმითა სულისა თჳსისაჲთა იკრვოდა და მიეცა, ვინ მოაქციოს იგი? ყოველნი, რომელნი ეძიებდენ მას, არა დაშურენ, სიმდაბლესა შინა მისსა პოვონ იგი.

25. მოაქციენ ფერჴნი შენნი გზისაგან ფიცხლისა და ჴორჳი შენი წყურილისაგან. და მან თქუა: განვძლიერდე და არა გერჩდე შენ, რამეთუ შეიყუარნა უცხონი და კუალსა მათსა მისდევდა.

26. ვითარცა ჰრცხუენინ მპარავსა, რაჟამს დაეპყრის, ეგრე ჰრცხუენოდის ძეთა ისრაჱლისათა, მათ და მეფეთა მათთა და მთავართა [ფ.198] მათთა და მღდელთა მათთა და წინაწარმეტყუელთა მათთა.

27. ჰრქუეს ძელსა: მამაჲ ჩემი ხარი შენ, და ქვასა: შენ გიშობიე მე. და მოიქცინნეს ჩემდა ზურგნი და არა პირნი მათნი. და ჟამსა ძჳრისა მა[O : 223v]თისასა თქჳან: აღდეგ და განგუარინენ ჩუენ.

28. და სადა არიან ღმერთნი შენნი, რომელ-იგი ჰქმნენ შენ? აღ-სამე-დგენ და განგარინონ შენ ჟამსა ჭირისა შენისასა, რამეთუ სწორად რიცხუთა ქალაქთა შენთასა იყვნეს ღმერთნი შენნი, იუდა, და სწორად რიცხუთა გამოსა-

G

23. ვითარ იტყჳ: არა შევიგინე და უკუანა ბაალისსა არა ვიდოდე? იხილენ გზანი შენნი სამრავალკაცოს შინა და ცან, რაჲ ჰყავ. [24] მწუხრი ჴმითა მისითა ვალალაებდა.

24. გზანი მისნი განავრცნა წყალთა ზედა უდაბნოჲსათა, გულის-თქუმათა შინა სულისა მისისათა სულ-შემოსილობდა, მიეცა, ვინ მოაქციოს იგი? ყოველნი მეძიებელნი მისნი არა დაშურენ, სიმდაბლესა შინა მისსა პოონ იგი.

25. მოაქციენ ფერჴნი შენნი გზისაგან ფიცხელისა და ჴორჳი შენი წყურილისაგან. ხოლო მან თქუა: ვმჴნდები, ვმჴნდები, რამეთუ შეიყუარნა უცხონი და შემდგომად მათსა ვიდოდა.

26. ვითარცა სირცხჳლი მპარვისაჲ, ოდეს შეიპყრას, ეგრეთ სირცხჳლეულ იქმნენ ძენი ისრაილისანი, რამეთუ მათ და მეფეთა მათთა და მთავართა მათთა და მღდელთა მათთა და წინაჲსწარმეტყუელთა მათთა.

27. ძელსა ჰრქუეს, ვითარმედ: მამაჲ ჩემი ხარ შენ, და ქვასა: შენ მშევ. და მომაქცინეს მე ზურგნი და არა პირნი მათნი; და მას ჟამსა ძჳრთა მათსა თქუან: აღდეგ და განგუარინენ ჩუენ.

28. და სადა არიან ღმერთნი შენნი, რომელნი უქმნენ თავსა შენსა? უკუეთუ აღდგნენ და განგარინონ შენ ჟამსა შინა განბოროტებისა შენისასა, რამეთუ რიცხჳსაებრ ქალაქთა შენთასა იყვნეს ღმერთნი შენნი, იუდა, აჰა, და

23. ვითარ J, სამაროვანსა O. 24. სულისა] გულისა O, და] — O, ყოველი (?) O, ეძიებდენ მას] ეძიებენ O, დაშურენ] + და O, ჴორცნი შენნი წყურიელისაგან J, 25. შენ] — O. 20. მივიდა O, 26. და ვითარცა O, სირცხჳლი O, მპარავთა J, მპარვისაჲ O, დაეპყრეს J; რაჟამს დაეპყრის] — O და მთავართა მათთა] — O. 27. ჩუენი O, ხარ O ზურგნი] + მათნი O თქუან (?) O. შენ] — O მოიქცინეს O. 28. ღმერთნი] + იგი O, რომელნი O, აწ აღდგენ O, ჭირისა] ბოროტებისა O, შენთა O, იყუნენ O, „ბაალსა"-ში ლ ჩამატებულია ზემოდან J-ში.

23. იტყჳს W, უკანა W 24. უდაბნოსათა W, სულ-შემოსილობდა [შდრ. ἐπνευματοφορεῖτο] 25. ფეჴი W. 27. ჰრქუჱ W, ჩ́ი W. 28. უკეთუW, იყუნეს W.

J

ვალთა იერუსალჱმისათა უზორვიდეს ბაალსა.

29. რაჲსაღა იტყჳთ ჩემდამო? ყოველნი, თქუენ, ულმრთო იქმნენით და თქუენ, ყოველნი, უშჯულოებდით ჩემდამო, იტყჳს უფალი.

30. ცუდად მოვსრენ შვილნი თქუენნი, მოძღურებაჲ თქუენ არა შეიწყნარეთ. მახჳლმან შეჭამნა წინაწარმეტყუელნი თქუენნი, ვითარცა ლომმან მომსრველმან, და არა შეიშინეთ.

31. ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, ესრე იტყჳს უფალი: უდაბნო ნუ ვექმენ სახლსა ისრაჱლისასა ანუ ქუეყანა დაყამირებულ? რაჲსათჳს თქუა ერმან ჩემმან: უუფლო ვიყვნეთ და შენდა არღარა მოვიდეთ მერმე?

32. და-ნუ-ივიწყოსა სძალმან სამკაული თჳსი და ქალწულმან — მკრდის სამკაული ზოსტერი თჳსი? ხოლო ერმან ჩემმან დამივიწყა მე დღითგან, რომელთა არა არს რიცხჳ.

33. აწ რაჲ კეთილ მოიზაკო გზათა შენთა თხოვად სიყუარულისა? არა ესრე, არამედ შენცა უკეთურებდევე შებილწებად გზათა შენთა,

34. და ჴელთა შინა შენთა იპოვა სისხლი სულთა უბრალოთაჲ. არა თუ გუერდის თხრასა ვპოვენ იგინი, არამედ ყოველთა თანა მუხათა,

35. და სთქუ, ვითარმედ: უბრალო ვარი მე, და გარე-მიიქეცინ [O : 324r] გულისწყრომაჲ მისი ჩემგან. აჰა ესერა მე გეშჯი შენ, რამეთუ სთქუ, ვითარმედ: არა ვცოდე.

G

რიცხჳსაებრ საგზაურთა იერუსალიმისათა უზორვიდეს ბაალსა.

29. რაჲსათჳს იტყჳთ ჩემდამო? თქუენ, ყოველნი, უთნო იქმნენით ჩემდამო, იტყჳს უფალი, და თქუენ, ყოველნი, უსჯულოებდით.

30. ამაოდ მოვსრენ შვილნი თქუენნი, წურთაჲ არ შეიწყნარეთ. მახჳლმან შეჭამნა წინაჲსწარმეტყუელნი თქუენნი, ვითარცა ლომმან მომსრველმან, და არ შეიშინეთ.

31. ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, ამათ იტყჳს უფალი: ნუ უდაბნო ვექმენ ისრაილსა ანუ ქუეყანა განკორდებულ? მით რამეთუ თქუა ერმან ჩემმან: უუფლო ვიყვნეთ და შენდა არღა მოვიდეთ მერმე?

32. ნუ დაივიწყის სძალმან სამკაული თჳსი და ქალწულმან—მკერდის შესაკრავი თჳსი? ხოლო ერმან ჩემმან დამივიწყა მე დღეთა, რომელთა არა არს რიცხჳ.

33. რაჲღა კეთილი მოიჴელოვნო გზათა შინა შენთა ძიებად შეყუარებისა? არა ესრე, არამედ შენცა უკეთურებდე შეგინებად გზათა შენთა,

34. და ჴელთა შინა შენთა იპოვა სისხლები სულთა უბრალოთაჲ. არა შეთხრასა შინა ჰპოვენ იგინი, არამედ ნუ ყოველთა თანა მუხათა,

35. და სთქუ: უბრალო ვარ, არამედ მიიქეცინ გულის-წყრომაჲ მისი ჩემგან. აჰა მე განვისაჯები შენდამი თქუმისათჳს შენგან: არა ვცოდე.

---

29. [რაჲსაღა“-ში ჲ ჩამატებულია ზემოდან J-ში] ~ ყოველნი თქუენ. O. 31. ნუ] — O, ქუეყანაჲ O, ვიყვენით O, არღა O, მოვედით O, მერმჱ O. 32. მკერდისა O, დღეთაგან O. 33. მოიზაკო] მოიზაკუე O არა ესრე] — O. 34. ~ შენთა შინა O იპოვა] + უბრალოჲ O, სულთა უბრალოთაჲ] — O [„სულთა“ ჩამატებულია ზემოდან J-ში]. 35. თქუა O ვარ O, გარე-მიიქცენ O, ვთქუა O.

29. თქუჱნ W. 30. მამად W 31. სიტყვა W. და უუფლლო (!) 34. უბრალოთა W. 35. გულის-წყრომა W.

J

36. რამეთუ შეურ[ფ. 199]აცხ-ვიყავ ფრიად დარჩოდებად გზათა შენთა; და ეგჳპტითცა სირცხვლეულ იქმნე, ვითარცა სირცხვლეულ იქმენ ასურასტანით.

37. რამეთუ ამიერ სადაცა გან-ვე-ხვდე და ჴელნი შენნი თავსა ზედა შენსა დაისხნე, რამეთუ განიშოვრა უფალმან სასოებაჲ შენი, და არა წარემართო მათ შინა.

G

36. რამეთუ უგულებელს-ჰყავ ფრიად და მრჩობლები გზათა შენთა; და ეგჳპტითცა სირცხვლეულ იქმენ, [ვითარცა] სირცხვლეულ იქმენ ასურეთით.

37. რამეთუ ამიერცა გან-ვე-ხვდე და ჴელნი შენნი თავსა ზედა შენსა, რამეთუ განაგდო უფალმან სასოებაჲ შენი, და არ წარგემართოს მას შინა.

3

J

1. უკუეთუ განუტეოს კაცმან ცოლი თჳსი, და წარვიდეს მისგან და იყოს იგი ქმრისა სხჳსა, მო-ნუ-იქცეს მოქცევით მერმე მისავე? არა-მედ შეგინებით შეიგინოს დედაკაცი იგი? და შენ ისიძვე მწყემსთა თანა მრავალთა და მოიქეც ჩემდავე, იტყჳს უფალი.

2. აღიხილენ თუალნი შენნი და იხილე, სადა არა შეიგინე. გზათა ზედა დაშჯედ და ელოდე, ვითარცა ყუავი უდაბნოსა შინა მარტოჲ, შეაგინე ქუეყანაჲ იგი სიძვითა შენითა და უკეთურებითა შენითა,

3. და გესხნეს შენ მწყემს მრავალ საცთურად შენდა. პირი, ვითარცა როსკიპისაჲ, გექმნა შენ, ურცხჳნო იქმენ ყოველთა მიმართ.

4. არა ვითარ სახლ მიწოდე მე და მამა და მფლობელ—სიქალწულებისა შენისა?

5. და-ნუ-აღგრესა უკუნისამდე ანუ და-ნუ-იმარხოსა ძლევად? აჰა ესერა

G

1. უკუეთუ განავლინოს ქმარმან ცოლი თჳსი, და წარვიდეს მისგან და იქმნეს ქმრისა სხჳსა, ნუ მოქცევით მოიქცესა მისდამი მერმე? არა შეგინებით შეიგინოსა დედაკაცი იგი? და შენცა განჰმეძვენ მწყემსთა შორის მრავალთა, მოაქციე ჩემდამო, იტყჳს უფალი.

2. აღიხუენ თუალნი შენნი მართლიად და იხილე, სადა არ შეიმწიკულე. გზათა ზედა დასჯედ მათ თანა, ვითარცა ყუავი, მოოჴრებული მარტოჲ; და შეაგინე ქუეყანაჲ: სიძვათა მიერ შენთა და უკეთურებათა მიერ შენთა.

3. და გაქუნდეს მწყემსნი მრავალნი საბრჯედ თავისა თჳსისა, შესახედავი მეძვისა იქმნა შენდა, უსირცხვლოებდ ყოველთა მიმართ.

4. არა ვითარცა სახელი მიწოდე მე და მამა, წინამძღუარ—ქალწულებისა შენისა?

5. ნუ დაადგრეს უკუნისამდე ანუ დაცვულ იქმნეს საძლეველად? აჰა

36. დარჩოდებად] და მორჩილებად O (მცდ.), იქმნე ვითარცა სირცხვლეულ] — O, ასურასტანით O. 37. დაცა J, განვეხვდეთ J [პირველი ე ჩამატებულია ზემოდან J-ში]. ~ ზედა თავსა O, განიშორა O, წარიმართო O.

3,1. განოტეოს J სხჳსა ქმრისა O, მო-ნუ-იქცისა O, არამედ] და O, შეიგინის J 2. შჯედ O, ელოდე] მოელოდე+მათ O, ყუავილი O (მცდ.), სიძვითა] სისხლითა O (მცდ.) შენითა]—O 3. როსპიკისაჲ O. 4. და არა O, სახელ O, მამად და მფლობელად O, სიქალწულე შენი J. 5. და-ნუ-აღგრის O, და-შე-იმარხოსა O, ესე J, ვთქუ O, და ვყავ O, განვძლიერდი O

36. ვითარცა]—W. 37. გ῾ნვეხვიდე W. სსოება W.

3,1. ოკეთუ W. მოიქცევით მოქცესა W 2. აღიხუჱნ W, დასჯდე W, მარტო W, შეაგინეს W, ქ῾ყნა W. 3. მეძჳსა W, უსირცხვილოებ῾დ W.

J

სთქუ და ჰყავ ძჳრი ესე და განსძლიერდი.

6. და მრქუა მე უფალმან დღეთა იოსია მეფისათა: იხილე, რაჲ მიყვეს მკჳდრთა [O : 224v] ისრაჱლისათა? მივიდეს ყოველთა მთათა მაღალთა და ქუეშე ყოველთა ხეთა სერტყთა და ისიძვიდეს მუნ.

7. და ვთქუ შემდგომად სიძვისა მისისა: მოიქეც ჩემდავე. და არა მოიქცა და იხილა სიცრუვჱ მისი უწესომან იუდა, დამან მისმან. და ვიხილე.

8. რამეთუ ყოველთათჳს, რომელთაგან გარდავარდა იგი, რომელთაგან იმრუშებდა მკჳდრი ისრაჱლი, და განვავლინე იგი და მივეც მას წიგნი განტევებისაჲ ჴელთა მისთა. და არა შეიშინა უწესომან იუდა, დამან მისმან და წარვიდა და ისიძვა მანცა.

9. და იქმნა სიძ[ფ. 201]ვაჲ იგი მისი არად და შეაგინა ქუეყანაჲ და იმრუშა ძელსა და ქვასა.

10. და ამათ ყოველთაგან არა მოიქცა უწესოჲ იუდა, დაჲ მისი ყოვლითა გულითა მისითა, [არამედ სიცრუვით].

11. და მრქუა მე უფალმან: განიმართლა სული თჳსი განდგომამან ისრაჱლისამან უწესოჲსაგან იუდაჲსა.

12. მივედ და აღმოიკითხენ სიტყუანი [ესე] ჩრდილოჲთ კერძო და არქუ: მოიქეც ჩემდა მკჳდრი ისრაჱლისაჲ, ეტყჳს უფალი, და არა დავიმტკიცო პირი ჩემი თქუენ ზედა, რამეთუ მოწ-

G

სთქუენ და ჰქმნენ ძჳრნი ესე და შეუძლე.

6. და თქუა უფალმან ჩემდამო დღეთა შინა იოსია მეფისათა; იხილენ, რომელნი მიყვნა მე სახლიერობამან ისრაილისამან? წარვიდა ყოველსა ზედა მთასა მაღალსა და ქუეშე ყოველსა ხესა ვარჯოანსა და ისიძვა მუნ.

7. და ვარქუ შემდგომად სიძვისა მისისა ამათ ყოველთასა. ჩემდა მოაქციე, და არ მოაქცია და იხილა უზაობაჲ მისი უზავმან იუდა; [8] და ვიხილე.

8. რამეთუ ყოველთათჳს, რომელთა დატევებულ იქმნა, რომელთა შინა იმრუშებდა სახლობაჲ ისრაილისაჲ, და განვავლინე იგი და მივეც მას წიგნი განტევებისაჲ ჴელთა ზედა მისთა. და არა შეშინდა უზავი იუდა, დაჲ მისი, და წარვიდა და ისიძვა მანცა.

9. და იქმნა არარად სიძვაჲ მისი და შესუარა ქუეყანაჲ და იმრუშა ძელი და ქვაჲ.

10. და ამათ ყოველთა ზედა არა მოიქცა ჩემდამო უზავი იუდაჲ და დაჲ მისი ყოვლით გამო გულისა მისისაჲთ, არამედ ტყუილის გამო, თქუა უფალმან.

11. და თქუა უფალმან ჩემდამო: განიმართლა სული თჳსი ისრაილმან უზავობისა მიერ იუდაჲსა.

12. ვიდოდე და წარიკითხენ სიტყუანი ესე ჩრდილოდ მიმართ და თქუ: მოიქეცით ჩემდამო სახლობაჲ ისრაილისაჲ, იტყჳს უფალი, და არ განვიმტკიცო პირი ჩემი თქუენ ზედა, რამე-

---

6. ოზია O, იხილჱ J, მიყვეს] + მე O, ი´ცმისათა O, ყოველნი O, მთ J, ქუეშჱ JO. ხეთა J—O, ისიძვიდა J, 7. მოიქცეს O, მისი]თჳსი O, და დამან O. 8. რომელთა O განვარდა O, რომელთაგანი J, იმრუშებდა J, იჱმისაჲ. O, მას] — O, თ. და დამან O. 9. არარად O, მათ O, და დაჲ O, მისითა] + არამედ სიცრუვით, თქუა უფალმან O. 11. განდგომილმან O, იჱლ´მნ O 12. ესე]—J ჩემდაJ — O, ვიმტკიცო O, თქუენ ზედა] თქუა უფალმან O, მე] — O.

7. სიძჳსა W, უზავობამან W. 8. ისრაილისა W, განტევებისა W. 9. ქუჱყ´ნა W. 10. მისისათ W. თქვა W, ისრაილისა W, აგრეძჳრის W.

J

ყალე ვარ მე, იტყჳს უფალი, და არა გრისხვიდე თქუენ უკუნისამდე.

13. გარნა გულისჴმა-ყავ უშჯულოებაჲ შენი, რამეთუ უფლისა ღმრთისა შენისა მიმართ ულმრთო იქმენ და განამრავლენ გზანი შენნი უცხოთა მიმართ ქუეშე ყოველსა ხესა სერტყოანსა, ხოლო ჴმისა ჩემისაჲ არა ისმინე, იტყჳს უფალი.

14. [O : 225r] მოიქეცით შვილნი განდგომილნი, იტყჳს უფალი, რამეთუ მე გეუფლო თქუენ და მოვიღო თქუენგან ერთი ქალაქისაგან და ორი ნათესავისაგან და მოგიყვანნე თქუენ სიონდ,

15. და გცნე თქუენ მწყემსნი ნებად გულისა ჩემისა, და მწყსით გმწყსიდენ თქუენ მეცნიერებით.

16. და იყოს, გან-თუ-ჰმრავლდეთ და აღორძნდეთ ქუეყანასა ზედა, თქუა უფალმან მათ დღეთა შინა, იტყჳს უფალი, არღარა თქუან, ვითარმედ კიდობანი აღთქუმისაჲ წმიდისა ისრაჱლისაჲ არა მოუჴდეს გულსა, არცა სახელ-ედვას მას შინა და არა მოიძიოს მერმე, და არცა იქმნეს მერმე.

17. მათ დღეთა შინა და მას ჟამსა უწოდიან იერუსალჱმსა საყდრად უფლისად, და შეკრბენ მუნ ყოველნი წარმართნი სახელითა უფლისაჲთა იერუსალჱმდ და არღარა ვიდოდიან იგინი მერმე შემდგომად ნებათა გულისა მათისა უკეთურებისათა.

G

თუ მოწყალე ვარ მე, იტყჳს უფალი, და აგრე ძჳრის მჴსენებელი თქუენ უკუნისამდე.

13. ოდენ ცან უსამართლობაჲ შენი, ვითარმედ უფლისა მიმართ ღმრთისა შენისა უთნო იქმენ და გარდასთხიენ გზანი შენნი უცხოთა მიმართ ქუეშე ყოვლისა ხისა ვარჯოვნისა, ხოლო ჴმისა ჩემისაჲ არა ისმინე, იტყჳს უფალი.

14. მოიქეცით ძენი განდგომილისანი, იტყჳს უფალი, მით რამეთუ მე დაგეუფლო თქუენ და მიგიხუნე თქუენ ერთი ქალაქისაგან და ორნი ტომისაგან და შეგიყვანნე თქუენ სიონდ.

15. და მიგცნე თქუენ მწყემსნი გულისაებრ ჩემისა, და გმწყსიდენ თქუენ მმწყსელნი ჴელოვნებით.

16. და იყოს, უკუეთუ განჰმრავლდეთ და აღორძნდეთ ქუეყანასა ზედა, იტყჳს უფალი, და მათ დღეთა შინა არა თქუან მერმე: კიდობანი აღთქუმისაჲ წმიდისა ისრაილისაჲ არა აღვიდეს გულსა ზედა, არცა სახელ-იდვას მის შორის, არცა ზედ-განიხილვოს და არა იქმნას მერმე.

17. მათ დღეთა შინა [17] და იყოს, მას ჟამსა შინა უწოდდენ იერუსალიმსა საყდარ უფლისა, და შეკრბენ მისდამი ყოველნი წარმართნი სახელითა უფლისაჲთა იერუსალიმდ და არა ვიდოდინ მერმეცა შემდგომად მოგონებათა მათთა გულისა უკეთურისათა.

---

13. გულისხმა-ყავ O, ღმრთისა] — O, ქუეშჱ Jo, ყოველთა ხჱთა სერტყოვანთა O, ისმინეთ [ი]ტყჳს O, უფალი] + სხ´ნი O (გამოსაყოფია ტექსტიდან). 14. შვილნი] + ევე O, რამეთუ] და O, „მოგიყვანნე"-ში ერთი ნ ჩამატებულია ზემოდან J-ში. 15. გცე O, მწყემსი O, მწყემს J ჩემისა] თქუენისა O მწყსით გმწყსიდეს O, ხაზგასმული სანები ჩამატებულია წვრილი ხელით ზემოდან. 16. ე´ნთო ჰმრავლდეთ O, „თქუენ"-ში ა ჩამატებულია J-ში, კიდობანი] + უფლისაჲ O, აღთქუმისა O, გულსა]-O, და არა] არცა O, მერმჱ O. 17. მას ჟამსა] მათ ჟამთა შინა O უფლისა O, არღარა"-ში ღ ჩამატებულია ზემოდან J-ში, მერმჱ O შედგომად J, ნებითა O, უკკეთურებისათა] უკეთურისაჲთა O.

13. უსამართლოებაჲ W. ო´ჲ W. ღ´ჲ W. ჩ´სა W. 16. თქვან W. აღთქუმისა W. ისრაილისა W. 17. ო´ჲ W ოჲსათა W, იერუსალიმად W.

J

18. მათ დღეთა შინა შეკრბეს სახ-
ლი იუდაჲსი სახლსა თანა ისრაჱლისა-
სა და მოვიდეს ერთბამად ჩრდილ
[ფ. 202]ოჲთ ყოველთაგან სოფელთა
ქუეყანად, რომელ დაუმკჳდრე მამათა
მათთა.

19. და მე ვთქუ: იყავნ, უფალო, რა-
მეთუ დაგადგინენ თქუენ შვილად და
მიგეც თქუენ ქუეყანაჲ რჩეული, სამ-
კჳდრებელი სახელოვანი ღმრთისა ყოვ-
ლისა-მპყრობელისაჲ და გარქუ: მა-
მად მიწოდეთ მე და ჩემგან ნუ გარე-
მიიქცევით.

20. ხოლო ვითარცა ეცრუვის ცო-
ლი თანა-მყოფსა თჳსსა, ეგრე მეცრუ-
ვა მე სახლი ისრაჱლისაჲ და სა [O :
: 225v]ხლი იუდაჲსი, იტყჳს უფალი.

21. ჴმაჲ ბაგეთაგან ისმა ტირილი-
სა და ვედრებისაჲ ძეთა ისრაჱლისთაჲ.
რამეთუ უშჯულოებდეს გზათა თჳსთა
და დაივიწყეს ღმერთი წმიდაჲ მათი.

22. მოიქეცით, შვილნო, მოქცევით,
და მე გილხინო წყლულებათა თქუენ-
თა. აჰა ესერა ჩუენ ვიყვნეთ შენდა,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი.

23. ნანდჳლ ნაცილ იყვნეს ბორცუ-
ნი და ძალი მთათაჲ. ხოლო უფლისაგან
არს ღმრთისა ჩუენისა ცხორებაჲ სახ-
ლსა ისრაჱლისასა.

24. და სირცხჳლმან განკაფნა შრო-
მანი მამათა ჩუენთანი სიჭაბუკით მათით-
გან, და იყო ცხოვარი მათი და ზუარა-
კები მათი, ძენი მათნი და ასულნი მათ-
ნი.

G

18. მათ დღეთა შინა თანადმოვიდ-
ენ სახლი იუდაჲსი სახლსა თანა ის-
რაილისსა და მოვიდენ ერთბამად
ჩრდილოჲთ გამო და ყოველთაგან სოფ-
ლებთა ქუეყანისა მომართ, რომელი
დაუმკჳდრეს მამათა მათთა.

19. და მე ვთქუ: იყავნ, უფალო,
ოდეს დაგაწესო შენ შვილად და მიგ-
ცე შენ ქუეყანაჲ რჩეულად სამკჳდრე-
ბელად სახელოვანი ღმრთისა ყოვლისა-
მპყრობელისად წარმართთასა და ვთქუ:
მამად მხადო მე და ჩემგან არა განსდ-
გე.

20. გარნა ვითარ იცრუის დედაკაც-
მან თანა-მყოფისა-მე თჳსისა, ეგრეთ
იცრუა ჩემდამო სახლმან ისრაილისა-
ჲმან, იტყჳ' უფალი.

21. ჴმაჲ ბაგეთაგან ისმა ტირილი-
სა და ვედრებისაჲ ძეთა ისრაილისა-
თაჲ, მით რამეთუ იმძლავრნეს გზათა
მათთა შინა, დაივიწყეს ღმრთისა წმი-
დისა მათისა.

22. მოიქეცით, ძენო მომქ[ც]ეველ-
ნო, და განვკურნნე შემუსრვილებანი
თქუენნი. აჰა მიხილენ, ჩუენ შენნი
ვართ, რამეთუ შენ უფალი ღმერთი
ჩუენი ხარ.

23. ნანდჳლ ტყუილ სადმე იყვნეს
ბორცუნი და ძალი მთათაჲ, გარნა უფ-
ლისა მიერ ღმრთისა ჩუენისა მაცხოვა-
რებაჲ ისრაილისაჲ.

24. ხოლო სირცხჳლმან განლინა
რუდუნებანი მამათა ჩუენთანი სიჭაბუ-
კითგან მათით, ცხოვარნი მათნი და
ზუარაკნი მათნი, ძენი მათნი და ასულ-
ნი მათნი.

---

18. დღჱთა O, შეკრბეს] დამაბეს O, მოვიდენ O, ჩრდილოჲთ] + და O, რომელი O, დაუმ-
კჳდრა O. 19. მერთისა-მპყრობელისა O, მიწოდი O, ნუ]—O. 21. თჳსთა] მისთა O. 22. მოიქე-
ცით O ვიყვენით O, ღმერთი] მამაჲ O. 23. სახლისა ისრაჱლისაჲ O. 24. განკაფნა] დაფარნა O, ჩუ-
ენთანი] მათთანი O, სიჭაბუკითგან მათით O, იყოს O, ცხ´რბჲ J. მათნი] — O.

18. თანად მოვიდენ W, ჩრდილოთ W. დაუმკჳდრეს W. 19. ქყ´ნა W, ღ´ჲ W. 21. ჴმა W,
ვედრებისა W, ისრაილისათა W, ღ´ჲ W. 22. მომქეველნო W, განვჰკურნე W. თქვენნი W,
23. ო´ჲ W, ღჲ W, მაცხოვარება ისრაილისა W.

J

25. დავწევით სირცხვლითა ჩუენითა, და დაგუფარნა ჩუენ გინებამან ჩუენმან, რამეთუ წინაშე ღმრთისა ჩუენისა ვცოდეთ ჩუენ და მამათა ჩუენთა სიჭაბუკით ჩუენითგან მო-აქა დღედმდე, არა ვისმინეთ ჴმაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ.

G

25. დავიძინეთ სირცხვლისა შინა ჩუენსა, და ზედ-დამფარნა ჩუენ უპატივოებამან ჩუენმან, მით რამეთუ წინაშე ღმრთისა ჩუენისა ვცოდით ჩუენ, და მამათა ჩუენთა სიჭაბუკით ჩუენითგან ვიდრე ამის დღისამდე, და არა ვისმინეთ ჴმისა უფლისა ღმრთისა ჩუენისა.

4

J

1. უკუეთუ მოიქცეს ისრაჱლი, თქუა უფალმან, ჩემდა მოიქცეს, და გან-თუ-იშოვრნეს საძაგელნი პირისაგან მისისა და შეიშინოს პირისაგან ჩემისა.

2. და ფუცოს: ცხოველ არს უფალი ჭეშმარიტებით და განკითხვით და სიმართლით, და აკურთხევდენ მას ნათესავნი და მისგან აქებდენ ღმერთსა იერუსალჱმს.

3. რამეთუ ესრე ეტყჳს უფალი კაცთა იუდაჲსთა და მკჳდრთა იერუსალჱმისათა: ითერძეთ თერძულები და ნუ სთესავთ ეკალთა ზედა.

4. წინადა [O : 226 r] იცჳთეთ ღმრთისა თქუენისა მიმართ და წინადაიცჳთეთ წინადაცუეთილებაჲ გულთა თქუენთაჲ, კაცთა იუდაჲსთა და მკჳდრთა იერუსალჱმისათა; ნუუკუე გამოჴდეს ვითარცა ცეცხლი გულის — [ფ. 203] წყრომაჲ ჩემი, აღატყდეს, და არავინ იყოს დამშრეტელ პირისაგან უკეთურებისა სლვათა თქუენთაჲსა

5. მიუთხართ ჰურიასტანსა და მიისმინ შორის იერუსალჱმსა, აუწყეთ ნესტჳთა ქუეყანასა ზედა, ღაღად-ყავთ

G

1. უკუეთუ მოიქცევის ისრაილ, იტყჳს უფალი, ჩემდა მომართ მოიქცეს, და უკუეთუ მოისპნეს საძაგელნი მათნი პირისაგან მისისა და პირისაგან ჩემისა შეიშინოს.

2. და ფუცოს: ცხოველ არს უფალი ჭეშმარიტებისა თანა და მსჯავრისა მიერ და სიმართლისა, და აკურთხევდენ მის შორის ნათესავნი და მის თანა აქებდენ ღმერთსა იერუსალიმს შინა.

3. რამეთუ ამათ ეტყჳს კაცთა იუდაჲსთა და დამ[კ]ჳდრებულთა იერუსალიმს: იანეულენით თავთა თჳსთად ანეულნი და ნუ სთესავთ ეკალთა ზედა.

4. წინადაიცჳთეთ ღმრთისა თქუენისად და წინადაგეცჳთოს დაუცუეთილობაჲ გულისა თქუენისაჲ, კაცნო იუდაჲსნო და დამკჳდრებულნო იერუსალიმს. ნუ გამოვიდეს ვითარცა ცეცხლი გულის-წყრომაჲ ჩემდა, აღეტყინნეთ, და არა იყოს დამშრეტელ პირისაგან უკეთურებისა სიმარჯუეთა თქუენთაჲსა.

5. იქადაგენ იუდაჲს შორის და სასმენელ იქმნენინ იერუსალიმს შინა, არქუთ და ეცით საყჳრსა ქუეყანასა ზედა

---

25. და] — O, სიჭაბუკით] + გან O, ჩუენითგან] — O მოაქა] + მდე O, დღედმდე] — O.

25. ღჲ W, ოჲ ღჲ W.

4,1. გან-თუ-იშორნეს O, საძაგელებანი O. 2. და სიმართლით] — O. 3. ითერძენ O, სთესავნ O. 4. და წინა დაიცუთეთ O. 5. მისმინ J, ისმედ O, ღაღადებდით O, არქუთ] + და J, შეზღუდვილთა O.

4,1. ოკეთუ W უკეთუ W მოისპნევს W. 3. დამკჳდრებულთა W 4. წინადაიცვითეთ W, ღ˝ჲ W, წინ დაგეცჳთოს W, თქუენისა W, თქუენთასა W. 5. ქალაქთამ იმოზღუდვილთა W.

J

ფრიად და არქუთ: შეკრებით და შეხ-
ვდეთ ქალაქთა მოზღუდვილთა;

6. აღდეგით და ივლტოდეთ სიონდ,
ისწრაფეთ და ნუ დასდგებით, რამეთუ
მე ძჳრსა მოვავლინებ ჩრდილოჲთ და
მუსრვასა დიდსა.

7. გამოჴდა ლომი საყოფლით
თჳსით [მოსპოლვად ნათესავთა], წარი-
ლო და განვიდა ადგილით მისით დადე-
ბად ქუეყანისა შენისაჲ ალსაოჴრებელად,
და ქალაქნი შენნი დაეცნენ, რამეთუ
არა იყო მაშენებელ მათა.

8. ამას ზედა მოირტყით ძაძაჲ და
იტყებდით და გოდებდით, რამეთუ არა
გარე-მიიქცია რისხვაჲ გულის-წყრომი-
სა უფლისაჲ თქუენგან.

9. და იყოს, მას დღესა შინა, იტყჳს
უფალი, წარწყმდეს გული მეუფისაჲ
და გული მთავართაჲ, და მღდელნი შე-
სულბენ, და წინაწარმეტყუელთა დაუკ-
ჳრდეს.

10. და ვთქუ: ჵ უფალო უფალო,
ანუ ტყუილით-მე შეიტყუვე ერი ესე
და იერუსალჱმი [O:226v], რამეთუ
იტყოდე: მშჳდობა იყოს თქუენდა; და
აჰა ესერა მიიწია მახჳლი სულად მა-
თამდე.

11. მას ჟამსა შინა ჰრქუან ერსა მას
და იერუსალჱმსა: ვითარცა სული მაც-
თუნებელი უდაბნოსა ზედა, გზაჲ ასუ-
ლისა ერისა ჩემისაჲ არა განწმედილ,
არცა სიწმიდე.

12. სული სავსებისაჲ ამათგან მოვი-
დეს ჩემდა, აწ მეცა ვიტყოდი საშჯელ-
სა ჩემსა მათა მიმართ.

G

და ღაღადყავთ დიდად, არქუთ; შეკრ-
ბით და შევიდეთ ქალაქთამი მოზღუდ-
ვილთა;

6. აღმღებელნი შეივლტოდეთ სი-
ონდ, ისწრაფეთ, ნუ სდგათ, რამეთუ
ძჳრთა მოვაწევ მე ჩრდილოჲთ გამო
და შემუსრვასა დიდსა.

7. აღმოვიდა ლომი საყუდლისაგან
თჳსისა და მომსრველმან ნათესავი აღი-
ლო და გამოვიდა ადგილისაგან თჳსისა
დადებად ქუეყანაჲ შენი მოსაოჴრებე-
ლად, და ქალაქნი შენნი დაირღუენ
უმკჳდროობისა მიერ მათისა.

8. ამათ ზედა გარე-მოირტყთ ძაძე-
ბი და იტყებდით და ვალალაებდით, მით
რამეთუ არა მოიქცა გულის-წყრომაჲ
რისხვისა უფლისაჲ თქუენგან.

9. და იყოს, მას დღესა შინა, იტყჳს
უფალი, წარწყმდეს გული მეფისაჲ და
გული მთავართაჲ, და მღდელნი განჰ-
კრთენ, და წინაჲსწარმეტყუელნი განჰ-
კჳრდენ.

10. და ვარქუ: ჵ მეუფეო უფალო,
ნუსადა ცთუნებით აცთუნე ერი ესე და
იერუსალიმი, მეტყუელმან: მშჳდობაჲ
იყოს თქუენდა, და შეახო მახჳლმან
ვიდრე სულად მათდამდე.

11. მას ჟამსა შინა ჰრქუან ერსა ამას
და იერუსალიმსა: სული შეცთომილო-
ბისაჲ უდაბნოს შინა, გზაჲ ასულისა
ერისა ჩემისაჲ არა უბიწოებად მიმართ,
არცა სიღირსედ.

12. სული წმიდისა მიმართ სავსები-
საჲ მოვიდა ჩემდა ამათგან, ხოლო აწ
მე ვთქუნე საშჯელნი ჩემნი მათდა მი-
მართ.

---

6. ვილტოდით J, იწრაფეთ O, და მუსრვასა] შემუსრვასა O 7. მოსპოლვად ნათესავთა] — J, მისით] თჳსით + და O ქუეყანაჲ შენი O, დაეცნეს J, მაშჱნებელ O 8. ამათ O, მოირტყთ O, ეტყებდით O, გარემიაქცია O, უფლისაჲ] მისისაჲ O. 9. დღჱსა O, და წარწყმდეს J, მეფისაჲ O, დაკკრდეს O, 10. ტყუვილით შე-მე-იტყუევე O, იტყოდეს O, მშჳდობაჲ o. 11. ვითარმედ O. არცა] და არცა O. 12. სული] — O,

9. მეფისა W, მთავართა W. 11. შეცდომილობისა W. ჩემისა W. 12. სავსებისა W.

J

13. აჰა ესერა ვითარცა ღრუბელი აღმოვიდეს და ვითარცა ნიავ-ქარი—ეტლები მისი, უმალეს ორბთა — ცხენნი მისნი. ვაჲ ჩუენდა, რამეთუ დავგლახაკენით.

14 განიბანე უკეთურებისაგან გული შენი, იერუსალჱმ, რაჲთა განერე. ვიდრემდის იპოვნენ შენ თანა ზრახვანი სალმობათა შენთანი?

15. რამეთუ ჴმაჲ ღაღადებისაჲ დანით მოიწიოს, და ისმეს სალმობაჲ მთათაგან ეფრემისთა.

16. მოიჴსენენით ნათესავნი, ესერა მოვლენ იერუსალჱმდ, მიუთხართ: აჰა ესერა [ფ. 204] გუნდი მოვალს ქუეყანით შორით და მისცეს ქალაქთა იუდაჲსთა ჴმაჲ მათი.

17. ვითარცა მცველნი აგარაკისანი იყვნენ გარემო მისა, რამეთუ მე შეურაცხ-მყავ, იტყჳს უფალი.

18. გზათა შენთა და სლვათა შენთა გიყვეს შენ [ესე]; ესე არს უკეთურებაჲ შენი, რამეთუ მწარე არს შენდა, და მიიწია გულად შენდა.

19. მუცელი ჩემი, მუცელი ჩემი მელმის და გულისჴმის-საყოფელნი გულისა ჩემისანი, კუნესის სული [O::227r] ჩემი, და გული ჩემი ძეძების. ვერ დავდუმნე, რამეთუ ჴმაჲ ნესტჳსაჲ ესმა სულსა ჩემსა, ღაღადებაჲ ბრძოლისაჲ.

20. და უბადრუკებისაჲ, შემუსრვასა ჰხადის, რამეთუ უბადო იქმნა ყოველი ქუეყანაჲ, მეყსეულად დამდაბლდა კარავი ჩემი, განსთქდეს ეზონი ჩემნი.

G

13. აჰა ესერა ღრუბელი აღმოჴდეს და ვითარცა ნიავ-ქარი საჭურველნი მათნი, უსუბუქესნი არწივთასა ცხენნი მათნი. ვაებანი ჩუენ, რამეთუ ვსაარებლებთ.

14. განბანე უკეთურებისაგან გული შენი, იერუსალიმ, რაჲთა სცხოვნდე. ვიდრემდის არიან შენ შორის გულისსიტყუანი ტკივილად შენდა?

15. მით რამეთუ ჴმაჲ მიმთხრობელისაჲ დანით მოიწია, და სასმენელ იქმნეს ტკივილი მთით ეფრემისით.

16. აღიჴსენეთ, ნათესავნო, აჰა მოვიდეს, მიუთხართ იერუსალიმს შორის: განსაცდელნი მოვლენ ქუეყანისაგან შორიელისა და მოსცეს ქალაქთა ზედა იუდაჲსთა ჴმაჲ მათი.

17. ვითარცა მცველნი აგარაკისანი იქმნეს მათ ზედა გარემოჲს, რამეთუ მე უგულებელს-მყავ, იტყჳს უფალი.

18. გზათა შენთა და სიმარჯუეთა შენთა გიყვნეს ესენი შენ, და ესე უკეთურებაჲ შენი, რამეთუ მწარე არს, რამეთუ შეახო ვიდრე გულად შენდამდე.

19. მუცელი ჩემი, მუცელი ჩემი მელმის, და საგრძნობელნი ჩემისა შეირყევიან გულისანი, სული ჩემი განიჭრების და გული ჩემი არა დავსდუმნე, რამეთუ ჴმისა საყვირისა ისმინა სულმან ჩემმან, ღაღადებაჲ ბრძოლათაჲ.

20. და საარებაჲ, შემუსრვათა შემუ[ს]რვასა ზედა ხადეთ, რამეთუ საარებულ იქმნა ყოველი ქუეყანაჲ, მყის საარებულ იქმნა კარავი, დაიჴსნნეს ზღუდენი კარვისა ჩემნი.

---

13. აღმოვიდეს] აღმოჴდეს O, უმალჱს O, ჩუენ O. 14. უკეთურებაჲ გულისა შენისაჲ O, განვერე + მე O. ვიდრემდე O. 15. დაანით O, ესმეს (?) O, მთავართაგან JO (მცდ.). 16. ესე რად O, გუნდები O, მისცეს] მიაწიოს O. 17. მისა] მის + ზედა O. 18. გზათა] და გზათა O, ესე] — J, და] რამეთუ O. 19. მუცელი ჩემი — O, გულისხმის-საყოფელნი O, ვერ] და ვერ O. უბადრუკ O განსთქდეს] განირყუნნეს O.

13. ღრუბლეი W. 14. გ́ლის სიტყვნი W. 15. მიმთხრობელისა W. 17. მცუჱლნი W, გარემოს W. 18. უკეთურება W. 19. ღაღადება ბრძოლათა W. შემურვსა W, ქვეყანა W, საარებულ W, და იჴსნნეს W.

J

21. ვიდრემდის ვხედვიდე მეოტთა
და მესმოდის ჴმაჲ ნესტუთაჲ?
22. რამეთუ მთავართა მათ ერისა
ჩემისათა მე არა მიცნეს. შვილნი უგუ-
ნურნი არიან და არა გონიერნი, ბრძენ
არიან ძჳრის საქმედ, ხოლო კეთილისა
საქმჱ ვერ გულისჴმა-ყვეს.

23. მივხედე ქუეყანასა, და არარაჲ
ჩნდა, და ცასა, და არა იყო ნათელი მი-
სი.

24. ვიხილენ მთანი, და ესერა იყვ-
ნეს შეძრწუნებულ, და ყოველნი ბორ-
ცუნი ირყეოდეს.
25. მივხედე, და აჰა ესერა არა იყო
კაცი, და ყოველნი მფრინველნი ცისანი
დანაბულ იყვნეს.
26. მივხედე, და [აჰა] ესერა კარ-
მელი ოჴერ იყო, და ყოველნი ქალაქნი
მომწუარ იყვნეს ცეცხლითა პირისაგან
უფლისა, და პირისაგან რისხვისა გუ-
ლის-წყრომისა მისისაჲთა განიპნეს.
27. ესრე იტყჳს უფალი: უდაბნო
იყოს ყოველი ქუეყანაჲ, ხოლო ოხჴნე-
ბა ხოლო არა ვყო.
28. ამას ზედა იგლოვდინ ქუეყანაჲ
და დაბნელდინ ცაჲ ზესკნელ, რამეთუ
ვთქუ: განმზადებულ ვარ და არა შე-
ვინანო, მივჰმართე და არა უკმოვიქეც
მისგან.
29. ჴმისაგან მჴედართაჲსა და გარ-
[O : 227v] დაცუმულთაგან მშჳლდთა
ივლტოდა ყოველი ქუეყანაჲ; შეძურეს
ქუაბებსა და სერტყთა შინა დაემალნეს
და კლდეებსა [ფ.205] ზედა აღვიდეს;
და ყოველი ქალაქი დაეტევა, [და]
არა დაშენებულ არს მათ შინა კაცი.

G

21. ვიდრემდის ვხედვიდე მ[ლ]-
ტოლვარეთა, მესმის ჴმაჲ საყჳრთაჲ?
22. მით რამეთუ წინამძღუართა
ერისა ჩემისათა მე არა მიცოდეს. ძენი
უცნობონი არიან და არა გულისხმის-
მყოფელნი, ბრძენ არიან ბოროტისა
ყოფად, ხოლო კეთილისა ქმნასა ვერ
შეემცნნეს.
23. მივიხილე ქუეყანასა ხედვა, და
აჰა არარაჲ, და ცად მიმართ, და არა
იყვნეს ნათელნი მისნი.
24. ვიხილენ მთანი, და იყვნეს
მძრწოლარე და ყოველნი ბორცუნი
შერყეულ.

25. მივხედენ, და არა იყო კაცი, და
ყოველთა მფრინველთა ცისათა ეშინო-
და.
26. ვიხილე, და აჰა კარმელი მოოჴ-
რებულ, და ყოველნი ქალაქნი მომწუარ
ცეცხლითა პირისაგან უფლისა, და პი-
რისაგან რისხვისა გულის-წყრომისა
უჩინო იქმნნეს.
27. ამათ იტყჳს უფალი: ოჴერ იყოს
ყოველი ქუეყანაჲ, ხოლო აღსასრული
არა ვყო.
28. ამას ზედა იგლოვდინ ქუეყანაჲ
და დაბნელდინ ცაჲ ზეგარდამო, რამე-
თუ ვიტყოდე და არა შევინანო, მივი-
მართე და არა გარე-მივიქცე მისგან.

29. ჴმისაგან ცხენობისა და მორთ-
ხმულისა მშჳლდისა განეშორა ყოველი
სოფლები; შეიმალნეს ქუაბებთამი და
სამალავთა შინა დაიმალნეს და კლდეთა
მიმართ აღვიდეს, ყოველი ქალაქი დაშ-
თა, არა მკჳდრ არს მათ შინა კაცი.

---

21. ვიდრემდის] ვითარ J, მეოტთა] მე O. 22. მათ] — O გულისხმა-ყვეს O. 23. მივჰხედე O, არარაჲ] არა O, და ცასა] — O. 25. მივხჰედე O. 26. მივჰხედენ O, აჰა] — J, მოწუვულ O, მისისა O. 27. უხჭნება J ოხჭნებდა O. იგლოვდა O. განმზადებულ] გან-მე-გდებულ O. შევინანო] + და O. 29. მშჳლთაჲსა O. შეძურჱს O. დაიტევა O. და] — J. დაშჱნებულ O. მას O.

21. მტოლვარეთა W, საყჳრთა W. 23. მე ვიხილე W. 26. ო҃ჲ W, რისხჳსა W. 27. ქჳ҃ნა W.

J

30. და შენ, უბადრუკმან, რაჲ-მე
ჰყო? შე-თუ-იმოსო მეწამულითა და
შეიმკო სამკაული ოქროჲსაჲ, და იცხო
თუალთა შენთა საგრემნელი, ცუდადვე
იყოს შუენიერებაჲ შენი. განგიშორეს
შენ ტრფიალთა შენთა, სულსა შენსა
ეძიებდენ.

31. რამეთუ ჴმაჲ, ვითარცა სალმო-
ბისაჲ, მესმა კუნესისა შენისაჲ, ვითარ-
ცა პირველად მშობელისაჲ, ჴმაჲ ასუ-
ლისა სიონისაჲ განერეს, და დაჰჴსნდეს
ჴელნი მისნი; ვაჲ მე, რამეთუ მოაკლდა
სულსა ჩემსა მოსრვულთა ზედა.

G

30. და შენ რაჲ ჰყო? უკუეთუ შეი-
მოსო ძოწეული და შეიმკო სამკაული
ოქროჲსაჲ და უკუეთუ იცხო თუალთა
საგრემილველი, ამაოჲსა მიმართ არს
მომკაულები შენი. განგიშორეს შენ
ტრფიალთა შენთა, სულსა შენსა ეძიე-
ბენ.

31. რამეთუ ჴმაჲ, ვითარცა მლმო-
ბელსაჲ, მესმა სულ-თქუმათა შენთაჲ,
ვითარცა პირველ მშობიარისაჲ, ჴმაჲ
ასულისა სიონისაჲ განიჴსნას, და წა-
რადგინნეს ჴელნი მისნი; ვაჲ მე, რამე-
თუ მოაკლდა სული ჩემი მოკლულთა
ზედა.

5

J

1. რბიოდეთ გზათა იერუსალჱმისა-
თა და იხილეთ და გულისჴმა-ყავთ და
ეძიებდით უბნებსა მისსა, ჰპოოთ თუ
კაცი მუნ. უკუეთუ იპოვოს ხოლო ვინ-
მე მყოფელ სამართლისა და მეძიებელ
სარწმუნოებისა, და ულხინო მას
იტყჳს უფალი.

2. ცხოველ არს უფალი, თქუან,
ამისთჳს არა ნუ ცილი ფუციან.

3. უფალო, თუალნი შენნი სარწმუ-
ნოებად, ჰგუემენ იგინი, და არა ელმო-
და მათ, აღასრულენ იგინი, და არა
ინებეს თავს-დებად სწავლისა, განიმ-
ტკიცნეს პირნი მათნი უფროჲს ლოდი-
სა და არა ინებეს მოქცევად.

4. და მე ვთქუ [O : 228r], ვითარ-
მედ: გლახაკ არიან და ვერ შეუძლეს,
და რამეთუ ვერ გულისჴმა-ყვეს გზაჲ
უფლისაჲ და სამართალი ღმრთისა მა-
თისაჲ:

G

1. რბიოდეთ გზათა შორის იერუ-
სალიმისათა და იხილეთ და ცანთ და
იძიეთ უბანთა ზედა მისთა. უკუეთუ
ჰპოოთ კაცი. ანუ არს მოქმედი მსჯავ-
რისა და მეძიებელი სარწმუნოებისა და
მლხინებელ ვიყო მათდა, იტყჳს უფა-
ლი.

2. ცხოველ არს უფალი, იტყჳან,
ამისთჳს არა ტყუილსა ზედა ფუცვენ.

3. უფალო, [3] თუალნი შენნი სარ-
წმუნოებად მიმართ. ჰგუემენ იგინი.
და არა სტკიოდა, მოასრულენ იგინი,
და არა ინებეს მითუალვად წურთაჲ, გა-
ნიმყარნეს პირნი მათნი უფროჲს კლდი-
სა და არა ინებეს მოქცევაჲ.

4. და მე ვთქუ: ნუუკუე გლახაკნი
არიან, მით რამეთუ ვერ შეუძლეს, რა-
მეთუ არა იცნეს გზაჲ უფლისაჲ და
სასჯელი ღმრთისაჲ.

---

30. მეწამული O. ოქროჲსა J. იცხო] + თუ O. საგლემველი J. 31. სალმობისაჲ] სალმობიე-
რისა + ერისაჲ O. შენისაჲ] + და O. ასულსა სიონისასა J. მოსრვოლთა J, მოსრულთა O.

5.1. რბიდეთ O. გულისხმა-ყავთ O. ჰპოვოთ O. მუნ] — O. ხოლო] + თუ O. სამართლის O
სარწმუნოების O. და] — O, 2. თქუან JO [ა ჩამატებულია J-ში] ცლი J. 3. სარწმუნოება JO.
ვგუმენ O. იგი J. 4. გულისხმა-ყვნეს გზანი უფლისანი O. სამართალნი O. მათისაჲ] ჩუენისანი O.

30. უკეთუ (1,2) W. შეიმკოს W. ოქრო·აჲ W. თ῀ვლთა W. ამოსა W 31. მლმობელისა
W. სლთქმათა W. შენთა W. პლ მშობიარისა W. სიონისა W.

5,1. ცნათ W. 3. თვალნი W, უფროს W. 4. ნუ უკ῀ W.

J

5. მივიდე მდიდართა და ვეტყოდი მათ, რამეთუ მათ გულისჴმა-ყვეს გზაჲ უფლისაჲ და სამართალი ღმრთისაჲ და ესერა ერთბამად შემუსრეს უღელი და განხეთქნეს საკრველნი.

6. ამისთჳს ეწია მათ ლომი მაღნარით, და მგელი ვიდრე სახლებად მათდამდე მოჰსრვიდა მათ, და ვეფხმან განილჳძა ქალაქთა მათთა ზედა. ყოველნი, რომელ გამოვიდენ მათგან, მოინადირეს, რამეთუ განამრავლეს უღმრთოებაჲ მათი, იძლინნეს გარდაქცევითა მათითა.

7. რომლითა ამათ ზედა მლხინებელ გეყო შენ? შვილთა შენთა დამიტევეს [ფ. 206] მე და ფუცვიდეს არა არსთა მათ ღმერთთა და აფუცებდეს მათა; განვაძღენ იგინი, და იმრუშებდეს და სახლსა შინა როსკიპთასა დაადგრებოდეს.

8. ცხენ ჴდალთ მდრანჯობელ იქმნნეს, კაცად-კაცადი ცოლისა მიმართ მოყუსისა თჳსისა იქჳრნობდა.

9. ანუ ამათ ზედა მოვიხილოა, იტყჳს უფალი, ანუ ნათესავსა შორის ესემლევანსა არა ნუ იძიოს შური სულმან ჩემმან?

10. აღჴედით ზედა არდაბაგებსა მისსა და გარდაარღვეთ და აღ-ხოლო ნუ-ასრულებთ, დაუტევენით საფუძველნი მისნი, რამეთუ უფლისაჲ არს.

11. რამეთუ შეურაცხებით შეურაცხმყო მე სახლმან ისრაჱლისამან [O : : 228v] და სახლმან იუდაჲსმან.

12. ჰტყუვეს უფალსა მათსა, თქუა უფალმან, და თქუეს: არა არს ესე, არა

G

5. მივიდე მდიდართა მიმართ და ვეზრახო მათ, რამეთუ მათ იცნეს გზაჲ უფლისაჲ და სასჯელი ღმრთისაჲ, და აჰა ერთბამად შემუსრეს უღელი, განხეთქნეს საკრველნი.

6. ამისთჳს დაესხა მათ ლომი მაღნარით, და მგელმან ვიდრე სახლთამდე მოსწყჳდნა იგინი, და ვეფხმან ილჳძა ქალაქთა მათთა ზედა. ყოველნი გამომავალნი მათგან მონადირებულ იქმნენ, რამეთუ განმრავლდეს უთნოობანი მათნი ძლიერად გარე-მოქცევასა მათსა შინა.

7. რომელთა ამათთჳს მლხინებელ გეყო შენ? ძეთა შენთა დამიტევეს მე და ფუცვიდეს არა მყოფთა მიმართ ღმერთთა; და განვაძღენ იგინი, და იმრუშებდეს და სახლებსა შინა მეძავთასა ისადგურეს.

8. ცხენებ დედალთ მბორგელ იქმნეს, თითოეული ცოლსა მოყუსისა თჳსისასა შეჰჴჳოდა.

9. ანუ მათ ზედა მოვიხილოა, იტყჳს უფალი, ანუ ნათესავსა ზედა ესევითარსა შურ-იგოს სულმან ჩემმან?

10. აღვედით კაცისთავოანსა მისსა ზედა და დაარღჳენით, ხოლო აღსასრულსა ნუ ჰყოფთ, დაუტევენით საფუძველნი მისნი, რამეთუ უფლისანი არიან.

11. რამეთუ შეურაცხ-ყოფით შეურაცხება-ყო ჩემდამო სახლმან ისრაილისამან, სახლმან იუდაისამან, თქუა უფალმან.

12. უტყუეს უფალსა თჳსსა, თქუა უფალმან, და თქუეს: არა არიან ესე,

---

5. გულისხმა-ყვეს O. 6. ზახებად O (მცდ.). 6. ზედა] + და O. რომელნი O. მოინადირნენ O. განამრავლნეს უღმრთოებანი მათნი O. სძლეს O. 7. მათ O. სახლთა O. როსპიკთასა O. 8. ჴდალ O. მნდრანჯობელ J ქურნობდა O. 9. არა] — O. ზედაა] ზედა + არა ნუ O. ძიებავყოა O. იძიოსა O. 10. უფალი O. 11. რამეთუ] და O. 12. უტყუვეს O. და] — O.

5. გზა W. 7. ფუცჳდეს W. 8. იქმნენ W. 10. და და არღჳენით W. 12. ოტყუა W.

J

მოვიდეს ჩუენ ზედა ძჳრი, და მახჳლი და სიყმილი ჩუენ არა ვიხილოთ.

13. წინაწარმეტყუელნი თქუენნი ქარ იყვნეს, და სიტყუაჲ უფლისაჲ არა იყო მათ თანა; ესე ეყოს მათ.

14. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, რამეთუ თქუეს სიტყუაჲ ესე: აჰა ესერა მიგცემ შენ სიტყუათა ჩემთა პირსა შინა შენსა ცეცხლად და ერსა ამას შეშად, და შეჭამნეს იგინი.

15. აჰა ესერა მე მოვავლინებ თქუენ ზედა ნათესავსა შორით, სახლო ისრაჱლისაო, იტყჳს უფალი, ნათესავი წინანდელი არს, ნათესავი საუკუნითგანი არს, ნათესავი, რომლისაჲ არა გესმეს ენისა მისისაჲ, არცა ღათუ გესმეს, რასა იტყოდის.

16. კაპარჭნი მათნი, ვითარცა სამარე აღებული, ყოველნი ძლიერ არიან.

17. და მოჭამონ სამკაული თქუენი და პური თქუენი, შეჭამნენ ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი, შეჭამონ ცხოვარი თქუენი და ზროხაჲ თქუენი, მოჭამნენ ვენაჴნი თქუენნი და ლეღოვანი თქუენი და ზეთისხილოვანი თქუენი და დალეწნენ ქალაქნი. თქუენნი მტკიცენი, რომელთა თქუენ ესავთ მახჳლითა.

18. და იყოს მათ დღეთა შინა, იტყჳს ღმერთი შენი, არა ვყო თქუენთჳს აღცდა [ფ.207].

19. და იყოს, რაჟამს სთქუათ: რაჲსთჳს გვყო ჩუენ უფალმან ღმერთმან ჩუენმან ესე ყოველი? და ჰრქუა მათ: მის წილ, რამეთუ დამიტევეთ მე

G

არა მოვიდენ ჩემზედა ბოროტნი, და მახჳლი და სიყმილი არა ვიხილოთ.

13. წინაჲსწარმეტყუელნი ჩუენნი იყვნეს ქარად, და სიტყუაჲ უფლისაჲ არა იყო მათ შორის; ესრეთ იყოს მათდა.

14. ამისთჳს ამას იტყჳს უფალი ღმერთი ყოვლისა-მპყრობელი, ამის წილ რომელ სთქუთ სიტყუაჲ ესე: აჰა მე მივსცენ ს[ი]ტყუანი ჩემნი პირსა შენსა ცეცხლად, და ერი ესე შეშებ, და შეჭამენით იგინი.

15. აჰა მე მოვაწიო თქუენ ზედა ნათესავი შორით, სახლო ისრაილისაო, იტყჳს უფალი. ნათესავი დასაბამისაჲ არს პირველ ნათესავი საუკუნითგანი, ნათესავი, რომლისაჲ არა გესმოდის ენაჲ მისი და არცა გესმეს, რომელსა გეტყოდის.

16. კაპარჭნი მისნი, ვითარცა სამარე აღებული, ყოველნი ძლიერ.

17. და შეჭამდენ სამკალსა თქუენსა და პურთა თქუენთა და შეჭამდენ ძეთა თქუენთა და ასულთა თქუენთა და შეჭამდენ ზუარაკთა თქუენთა და ცხოვართა თქუენთა და შეჭამდენ ვენაჴთა თქუენთა და ლეღოანსა და ზეთის-ხეოანსა თქუენსა და განლეწნენ ქალაქნი მტკიცენი ჩუენნი, რომელთა ესევდით მათდა მიმართ და მახჳლისა.

18. და იყოს მათ დღეთა შინა, იტყჳს უფალი ღმერთი შენი, არა გყვნე აღსასრულ.

19. და იყოს, ოდეს სთქუათ: რაჲსთჳს მიყვნა უფალმან ღმერთმან ჩუენ ყოველნი ესე? და ჰრქუა მათ: მის წილ, რომელ დამიტევეთ მე და ჰმონეთ ღმერ-

---

13. ეყოს] ეტყჳს O. 14. მერთისა მპყრობელი O, რამეთუ თქუეს სიტყუაჲ ესე] — O, შინა] — O, მას O. 15. გესმის (1,2) O. 16. სამარჱ O. 17. და (1)] — O. შეჭამონ O. შეჭამნენ O. თქუენი (1)] + ყოველი O. მოჭამნენ] მოჭამონ + და O. ზეთის ხილი O. 18. აღცდა] არცაღა O. 19. და] სადა O. თქჳან J ჩუჱნ უფალმან] — O. ჰმონეთ] ჰმსახურებდით O. ჰმონებდით O.

13. წინასწარმეტყუჱლნი W. სიტყვა W. იყუნეს W. 14. სიტყვა W. სტყვანი W. 15. დასაბამისა W. რისა W. გესმნეს W. გეტყოდეს W. 17. შეშჭამდენ (1, 2, 3, 4) W. 18. გყუნე W. 19. მისძლით W.

J	G
[O:229 r] და ჰმონეთ ღმერთთა უცხოთა ქუეყანასა თქუენსა, ეგრე ჰმონებდეთ უცხოთა ქუეყანასა მას არა თქუენსა.	თთა უცხოთა ქუეყანასა შინა თქუენსა, ეგრეთ ჰმსახუროთ უცხოთა ქუეყანასა შინა არა თქუენსა.
20. მიუთხართ ესე სახლსა იაკობისსა და [ესმოდენ სახლსა იუდაჲსსა].	20. მიუთხრენით ესე სახლისა მიმართ იაკობისსა და სასმენელ იქმნენინ სახლისა მიმართ იუდაჲსსა და არქუ:
21. ესმოდენ ესე ერსა ცოფსა და უგულოსა: თუალ არიან მათა, და არა ხედვენ, ყურ არიან მათა, და არა ესმის.	21. ისმინენ ესენი ერმან სულელმან და უგულომან: თუალნი მათდა, და არა ხედვენ, ყურნი მათდა, და არა ესმისყე.
22. ჩემდა ვიდრემდის არა გეშინოდის, იტყჳს უფალი, ანუ პირისაგან ჩემისა არა შეიკდიმოთ? რომელმან დავდევ მქჳშაჲ საზღვრად ზღჳსაჲ საუკუნედ, და არა გარდაჴდეს იგი და აღიძრას და ვერ შეუძლოს, და ოხრიდენ ღელვანი მისნი და ვერ გარდაჰჴდენ მას.	22. ნუ ჩემგან არა შეიშინოთ, იტყჳს უფალი, ანუ პირისა ჩემისაგან არა იწიწვოდით? რომელმან დავაწესე ქჳშაჲ საზღვრად ზღჳსა ბრძანებად საუკუნოდ, და არა ზეშთაჰჴდეს მას და აღიძრას და ვერ შეუძლოს, და აღიტყუელონ ღელვათა მისთა და არა ზეშთაჰჴდენ მას.
23. ხოლო ერსა მას ექმნა გული უსმ და ურჩ, განდგეს და წარვიდეს,	23. ხოლო ერისა ამის იქმნა გული ურჩი და ურწმუნოჲ, მიაქცეს და წარვიდეს.
24. და არა თქუეს გულსა შინა მათსა: შევინანოთ უფლისა მიმართ ღმრთისა ჩუენისა, რომელმან მოგუცა ჩუენ წჳმაჲ მსთუაჲ და მცხუედი ჟამსა თჳსსა, ჟამად-ჟამად ბრძანებანი არეთანი დაგჳმარხნა ჩუენ.	24. და არა თქუეს გულთა შინა მათთა: შევიშინოთ უფლისაგან ღმრთისა ჩუენისა, მომცემელისა ჩუენდა წჳმასა მსთუასა და მცხუედსა ჟამსა შინა დასრულებისასა ბრძანებასა მკისასა, და დამიცვნა ჩუენ.
25. უშჯულოებათა თქუენთა გარდააქციეს ესე, და ცოდვათა თქუენთათჳს განგეყენა კეთილი თქუენგან.	25. უსჯულოებათა თქუენდა განდრიკნეს ესენი, და ცოდვათა თქუენთა მოავლნეს კეთილნი თქუენგან.
26. რამეთუ იპოვნეს შორის ერსა ჩემსა ულმრთონი, და მახჱ დაარწყუეს განსაკრწნელად კაცთა და შეიპყრობდეს.	26. რამეთუ იპოვნეს ერსა შორის ჩემსა უმთნონი, და მახენი, ვითარცა საბრჯენი, და საბრჯენი, ვითარცა სახე მონადირისაჲ, დაარწყუნეს განსახრწნელად კაცთა [27] და შეიპყრობდეს.

20. ესმოდენ სახლსა იუდაჲსსა]—J. 21. ესმოოდენ J. უგულისხმოსა O. ვერ ჰხედვენ O. 20. ანუ ჩემდა O. ვიდრემდის] — O. ანუ]+რაჲსა O, პირისა ჩემისაგან O. შეიკდიმეთ O. ქვაჲ O, საზღვრად ზღუასა საუკუნოდ O. გარდაჰჴდეს O. ოჴრიდენ O. 23. მას] ამას O. განდრკეს O. 24. შევიშინოთ O. უფლისა მიმართ] — O. ერთანი O (მცდ.). 25. უშჯულოებითა თქუენითა გარდააქციეთ O. 26. ვპოვენ O. განსაკრწნელად] განსარყუნელად O.

21. თვალნი W. 22. საზღურად W. ზეშთ აჰჴდეს W. ღ~ჲ W. 25. ოსჯულოებათა W. 26. მონადირისა W.

J

27. ვითარცა მახჱ დადგომილი, სავსე მფრინველითა, ეგრეცა სახლები მათი სავსე არს ზაკუვითა. ამისთჳს რამეთუ განდიდნეს და განმდიდრდეს.

28. და განსუქნეს და განპოხნეს და გარდა [O:229 v] ჰჴდეს სიტყუათა ჩემთა უკეთურებად და სამართალსა არა შჯიდეს და საშჯელსა ობლისასა და ქურივისასა არა განიკითხვიდეს.

29. ანუ მას ზედა არა-მე ძიება ვყო? იტყჳს უფალი, ანუ შორის ნათესავსა ესემლევანსა არა-მე იძიოს შური სულმან ჩემმან?

30. საკვირველი და საზარელი იქმნა ქუეყანასა ზედა.

31. წინაწარმეტყუელნი წინაწარმეტყუელებდეს ცრუსა, და მღდელნი უქებდეს ჴელითა მათითა, და ერმან ჩემმან შეიყუარა ესრე, და რაჲ უყოთ შემდგომთა ამისთა? [ფ.208].

G

27. ვითარცა მახე აღფოლხუებული, სავსე მფრინველებითა, ეგრეთ სახლნი მათნი სავსე ზაკუვითა. ამისთჳს განდიდნეს და გამდიდრდეს,

28. განსუქნეს და განპოხნეს და გარდაჰჴდეს, სიტყუათა ჩემთა და მსჯავრსა და არა შჯიდეს მსჯავრსა ობლისასა და მსჯავრსა ქურივისასა არ სჯიდეს.

29. ნუ ამათ ზედა არ მოვიხილო, იტყჳს უფალი, ანუ ნათესავისაგან ესევითარისა არა შურ-იგოს სულმან ჩემმან?

30. განკრთომაჲ და შეძრწუნებაჲ იქმნეს ქუეყანასა ზედა.

31. წინაჲსწარმეტყუელნი წინაჲსწარმეტყუელებენ უმართლოთა, და მღდელთა აღიტყუელნეს ჴელნი მათნი, და ერმან ჩემმან შეიყუარა ესრეთ, და რაჲ ჰყოთ ამის შემდგომადთა შინა?

6

J

1. განძლიერდით, ძენი ბენიამენისნი, შორის იერუსალჱმსა და თეკუას აუწყეთ ნესტჳთა და მიერ კერძო ბეთაკარიმსა აღიღეთ ნიში, რამეთუ ძჳრი გამოჩნდა ჩრდილოჲთ, და შემუსრვაჲ დიდი იყოს, და შუენიერსა ზედა და ფუფუნეულსა,

2. და მიგეღოს სიმაღლე ეგე შენი, ასულო სიონისაო.

3. მუნ მოვიდენ მწყემსნი და სამწყსონი მათნი და აღიდგან მას ზედა კარვები გარემოჲს და მწყსიდეს თითოეული ჴელითა თჳსითა სამწყსოსა თჳსსა.

G

1. განძლიერდით, ძენი ბენიამ[ენ]ისნი, საშუაალისაგან იერუსალიმისა და თეკუაჲთ გამო ანიშნეთ საყჳრითა და ზეშთა ბეთაქარისა აღიღეთ ნიშანი, რამეთუ ძჳრთა წარმოიჰკრეს ჩრდილოჲთ, და შემუსრვაჲ დიდი [2] იყოს შუენიერისა მის და ფუფუნეულისა,

2. და მიგეღოს სიმაღლე შენი, ასულო სიონისაო.

3. მისსა მიმართ მივიდენ მწყემსნი და სამწყსონი მათნი, და აღდგნენ მას ზედა კარავნი გარემო მისა, და მწყსიდეს თჳთოეული ჴელითა თჳსითა.

---

27. საბრ̃ც O. დადგმული O. სავ̃ც O. მფრინველითა O. ამისთჳს] + ცა O. რამეთუ] — O. განმდიდრნეს O. 28. და (1)] — O. და განპოხნეს] განსხუეს O. და] — O, ო̃ისსა J, ობლისა O. 29. მათ O, იძიოსა O. 31. ესე O. უყო J.

6,1. თეკუასა O. ბეთაკრემსა O. შუენიერსა ზედა და ფუფუნეულსა] შური ესე ფრიადი O. 2. სიმართლე J, სიმართლჱ O. ეგე] — O. 3. მას ზედა] — O, კარვები] + მათი O.

28. სიტყვათა W. 30. შეძრწუნებანი W. 31. წინასწარმიმეტყველებენ W, შეიყ̃ვრა W. ჰყავთ W.

6.1. ბენიამისნი W. იერუსალიმისა W. გამოანიშნეთ W. ჩრდილოთ W. შემუსრვა W. 3. კარავი W.

J

4. განემზადენით მას ზედა ბრძოლად, აღდეგით და აღხჳდეთ მუნ სამხრის; ვაჲ ჩუენდა, რამეთუ მიდრკა დღჱ, რამეთუ მოაკლდებიან აჩრდილნი დღისანი.

5. აღდეგით და აღხჳდეთ ღამე და განვჰკრწნნეთ საფუძველნი მისნი.

6. რამეთუ ესრეთ იტყჳს უფალი ძალთაჲ: მოკაფენით ხენი მისნი, მოადგინეთ იერუსალჱმსა ძალი, ქალაქსა მაგას ცრუსა ყოვლად, რამეთუ მძლავრობაჲ არს მას შინა.

7. ვითარცა განაცივის ჯურღმულმან წყალი მისი, [O : 230 r] ეგრე განაცივის უკეთურებამან მისმან. უღმრთოებაჲ და უბადრუკებაჲ ისმეს შორის მისსა წინაშე პირსა მისსა მარადის.

8. სალმობითა და გუემითა განისწავლე, იერუსალჱმ, ნუუკუე განგეშოვროს შენ სული ჩემგან, და გყო შენ ქუეყანად უგზოდ, რომელ ვერვინ დაეშენოს.

9. რამეთუ ესრეთ იტყჳს უფალი ძალთაჲ: მოჰკუფხლევდით, [მოჰკუფხლევდით], ვითარცა ვენაჴსა, ნეშტსა ისრაჱლისასა, მიყავთ ჴელი, ვითარცა მესდულემან, საგოდრებელსა ზედა თჳსსა.

10. ვისა მიმართ ვიტყოდი და ვწამებდე, და ისმინოს? აჰა ესერა წინადაუცუეთელ არიან სასმენელნი მათნი და ვერ უძლავს სმენად. აჰა ესერა სიტყუაჲ უფლისაჲ ექმნა მათ საყუედრელ, არასადა ინებონ სმენად.

G

4. განემზადენით მას ზედა ბრძოლად, აღდეგით და აღვიდეთ მის ზედა შუადღე; ვაჲ ჩუენდა, რამეთუ მიდრკა დღე, რამეთუ მოაკლდებიან აჩრდილნი მწუხრისანი.

5. აღდეგით და აღვიდეთ ღამე და განვხრწნნეთ საფუძველნი მისნი.

6. რამეთუ ამათ იტყჳს უფალი, ღმერთი ძალთაჲ: აღმოკაფენით ხენი მისნი და განმფენელი იერუსალიმსა ზედა ძალისა, ჵ ქალაქი მტყუარი, სრული მძლავრებაჲ მის შორის.

7. ვითარ განაცივის ჯურღმულმან წყალი მისი, ეგრე განაციოს უკეთურებამან მისმან. უმთნოობაჲ და საარებაჲ ისმეს მას შინა წინაშე პირსა მისსა მარადის.

8. ტკივილითა და გუემითა [8] იწუართოს იერუსალიმი, ნუ განგეშოროს სული ჩემი შენგან, ნუ გყო შენ ქუეყანად უვალად, რომელი არ დამკჳდრებულ იქმნეს.

9. რამეთუ ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ: მოჰკუფხლევდით, [მოჰკუფხლევდით] ვითარცა ვენაჴსა, ნეშტსა ისრაილისსა, ზედ-მიიქეცით, ვითარცა მსთულებელი კუფხალთა ზედა მისთა.

10. ვიეთ მიმართ ვთქუა და უწამებდე და სასმენელ იქმნეს? აჰა უმეტკუეთილებ ყურნი მათნი და ვერ ძალ-უცყე სმენაჲ. აჰა სიტყუაჲ უფლისაჲ იქმნა მათდა ყუედრებად მიმართ, არა ინებონ სმენაჲ მისი.

---

4. დღისანი] ზღჳსანი J. აღდეგით და აღხჳდეთ მუნ სამხრის; ვაჲ ჩუენდა, რამეთუ მიდრკა დღჱ, რამეთუ მოაკლდებიან აჩრდილნი დღისანი] — O. 5. აღჰხჳდეთ J. აღვევდეთ O. ღაჱ O, იჱ~მდ J. 6. ესრე O. მოადგინე O. რამეთუ] — O. 7. განაცივის] განაცივა + იგი O. ისჱს O. მისსა] მათსა O 8. ნუუკუე] ნუ O განგეშოროს O. ჩემი O. „გან" ჩამატებულია J-ში. ვერვინ] ვერ O. დაეშჱჰო O. 9. მოჰკუფხლევდით] — J. ისჱლისსა J. მესთულეთა O, თჳსსა] მისსა O. 10. სასმენელნი] საქმენი JO (მცდ.).

4. ჩვენდა W. მიბრკა W. 5. საფუძჱლნი W. 6. იჱრუსალიმსა W. 8. ქუჱყნად W. 9. მოჰკუფხლევდით] — W. 10. სიტყვა W.

J

11. და გულის-წყრომაჲ ჩემი აღვავსე და დავაყენე და არა მოვასრულენ იგინი. მივჰფინო ჩჩჳლთა ზედა გარეშე და კრებულთა ზედა ჭაბუკთასა ერთბამად, რამეთუ ქმარი და ცოლი ერთბამად შეიპყრნენ, მოხუცებული [ფ.209] აღსრულებული დღითა გარდაიცვალნენ.

12. და შეიპყრნენ უცხოთაგან სახლნი მათნი, აგარაკები მათი და დედები მათი ერთბამად, და მივყო ჴელი ჩემი მკჳდრთა ზედა ამის ქუეყანისათა, იტყჳს უფალი.

13. რამეთუ კნინით მათითგან ვიდრე დიდად მათდამდე ყოველთა აღასრულეს უშჯულოებაჲ, [O,230 v] მღდელითგან მიცრუ-წინაწარმეტყუელადმდე ყოველთა ქმნეს სიცრუვჱ.

14. და ჰკურნებდეს შემუსრვილებათა ერისა ჩემისათა უკეთურებასა ზედა, შეურაცხმყოფდეს მე და იტყოდეს: მშჳდობა იყოს. მშჳდობა! და სადა არს მშჳდობაჲ?

15. ჰრცხუენა, რამეთუ მოაკლდა და არა ვითარ სირცხჳლეულთა შეიკდიმეს და გინებაჲ მათი ვერ გულისჴმა-ყვეს. ამისთჳს დაეცნენ იგინი შემუსრვასა შინა მათსა და ჟამსა ხილვისა მათისასა მოუძლურდენ, თქუა უფალმან.

16. ესრე იტყჳს უფალი: დადეგით გზასა ზედა და იხილეთ და იკითხენით გზანი უფლისანი საუკუნენი და გულისჴმა-ყავთ, რომელი არს გზაჲ კეთილი და ვიდოდეთ მას შინა და ჰპოვოთ სიწმიდე სულთა თქუენთაჲ და თქუეს: არა მივიდეთ!

G

11. და გულის-წყრომაჲ ჩემი აღვავსე და დავაყენე და არა მოვასრულენ იგინი. მივჰფინო ჩჩჳლთა ზედა გარეშე და შესაკრებელსა ზედა ჭაბუკთასა ერთბამად, რამეთუ ქმარი და ცოლი შეპყრობილ იქმნენ, მოხუცებული, სავსისა თანა დღითა [12] და გარდაიცვალნენ.

12. სახლნი მათნი სხუათა ველთამე, და ცოლები მათი ეგრეთვე, რამეთუ განვირთხამ ჴელსა ჩემსა დამკჳდრებულთა ზედა მის ქუეყანისათა, იტყჳს უფალი.

13. რამეთუ მცირითგან მათით და ვიდრე დიდადმდე ყოველთა აღასრულნეს უსჯულონი, მღდელითგან და ვიდრე ცრუწინაჲსწარმეტყუელადმდე ყოველთა ქმნეს ტყუილი.

14. და ჰკურნებდეს შემუსრვილებასა ასულისა ერისა ჩემისასა, შეურაცხმყოფნი და მეტყუელნი: მშჳდობაჲ, მშჳდობაჲ! და სადა არს მშჳდობაჲ?

15. სირცხჳლეულ იქმნეს, რამეთუ მოაკლდეს, და არცა ვითარ სირცხჳლეულთა შეიკდიმეს და უპატივოებაჲ მათი ვერ აგრძნეს. ამისთჳს დაეცნენ დაცემულებასა შინა მათსა და ჟამსა შინა მოხედვისა მათისასა მოუძლურდენ, თქუა უფალმან.

16. ამათ იტყჳს უფალი: დადეგით გზათა ზედა და იხილეთ და იკითხენით ალაგნი უფლისანი საუკუნენი და იხილეთ, რომელი არს გზაჲ კეთილი და ვიდოდეთ მას ზედა და ჰპოოთ უბიწოყოფაჲ სულთა თქუენთაჲ და თქუეს: არა ვიდოდით!

---

11. აღვავსჱ O, განვაყენე O, გარეშჱ O. აღსრულებული დღითა] აღსრულებულითურთ დღითა O. 12. უცხოთაგან სახლნი მათნი] სახლები მათი უცხოთაგან O, და (2)] რამეთუ O. ჩემი]— O. 13. მთ~დმდე J. აღასრულოებაჲ J. [ზემოთ ჩანამატია „ლეს უშჯუ," რომლის ჩასმითაც ფრაზა იმართება]. მღდელთაგან O. 14. და (1) + არა O. შეურაცხმყოფდეს J. მშჳდობაჲ იყოს, მშჳდობაჲ O. სადა] არასადა O. 15. სირცხჳლეულთა] + მცა O. შეიკდიმეს] შეირცხჳნეს O. გულის ხმა-ყვეს O. მოსრვასა O. 16. გვერდზე აწერია: სკხი (საკითხავი). გზასა ზედა] გზათა O. გულის ხმა-ყავთ O. მივიდეთ O.

12. სხვათა W. 13. ასეა W-ში. წინასწარმეტყველამდე W. 16. გზა W. თქუენთა W.

J

17. დავადგინეთ თქუენ ზედა ებგურნი, ისმინეთ ჴმაჲ ნესტჳსაჲ, და თქუეს: არა ვისმინოთ!

18. ამისთჳს ესმა წარმართთა და რომელნი მწყსიდეს სამწყსოთა მათ შორის.

19. გესმოდენ, ქუეყანაო! აჰა ესერა მე მოვავლინო ერსა ამას ზედა მსგავსად ნაყოფისა მის განდგომისა მათისაჲსა, რამეთუ სიტყუათა ჩემთა არა მერჩდეს და შჯული ჩემი განიშორეს.

20. რად მოგაქუს ჩემდა გუნდრუკი საბაჲთ და კინამომაჲ ქუეყანით შორით? იმრგულივ-დასაწუველნი თქუენნი არა შეწირულ არიან, და საკუერთხნი არა მთნდეს მე.

21. [O:231 r] ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი: აჰა ესერა მივსცე ერსა ამას უძლურებაჲ, და მოუძლურდენ მას შინა მამანი და შვილნი ერთად, მოძმჱ და მოყუასი მისი წარწყმდენ.

22. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ: აჰა ესერა ერი მოვალს ჩრდილოჲთ და ნათესავი დიდი, და მეფენი მრავალნი აღდგენ დასასრულით ქუეყანისაჲთ [ფ. 210].

23. მშჳლდოსანნი და ლახუროსანნი ურიდ არიან და არა ეწყალოდის, ჴმაჲ მათი, ვითარცა ზღუაჲ, ოხრიდეს, ჰუნებითა და ეტლებითა განეწყვნენ, ვითარცა ცეცხლნი, ბრძოლად შენ ზედა, ასულო სიონისაო.

24. გუესმა სმენაჲ მათი და დაგუჴსნდეს ჴელნი ჩუენნი, ჰირმან შეგჳპყრნა ჩუენ სალმობათა, ვითარცა შობადისათა.

25. ნუ გამოხუალთ აგარაკებად და გზათა ნუ ხუალთ, რამეთუ მახჳლი მტერთაჲ დაშენებულ არს გარემოჲს.

G

17. დავადგინენ თქუენ ზედა ებგურნი, ისმინეთ ჴმაჲ ნესტჳსაჲ, და თქუეს: არა ვისმინოთ.

18. ამისთჳს ესმა წარმართთა და რომელნი მწყსიდეს სამწყსოთა მათ შორის, და რაოდენი ვყავ მათ შორის.

19. ისმინე, ქუეყანაო, აჰა მოვაწევ მე ერსა ამას ზედა ძჳრთა, ნაყოფსა მიქცევისა მათისასა, რამეთუ სიტყუასა ჩემსა არა ერჩდეს და შჯული ჩემი განიშორეს.

20. რაჲსათჳს გუნდრუკსა საბაჲთ მომართუამთ მე და კინამომოსა ქუეყანით შორით? ყოვლად-დასაწუელნი თქუენნი არა არიან მითუალულ და მსხუერპლნი თქუენნი არ მეტკბნეს მე.

21. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი: აჰა მე მივსცემ ერსა ამას ზედა უძლურებასა, და მოუძლურდენ მის შორის მამანი და ძენი ერთბამად, მეზობელი და მოძმე მისი წარწყმდენ.

22. ამათ იტყჳს უფალი: აჰა ერი მოვალს ჩრდილოჲთ და ნათესავი დიდი, და მეფენი მრავალნი აღდგენ დასასრულისაგან ქუეყანისა.

23. მშჳლდი და მაზრაკი ეპყრასყე, მძჳნვარე არს და არ შეიწყალოს, ჴმაჲ მისი ვითარცა ზღუაჲ მღელვარე, ცხენებისა მიერ და საჭურველისა წყობა — ჰყოფს, ვითარცა ცეცხლი, ბრძოლად შენდამი, ასულო სიონისაო.

24. გუესმა სასმენელი ეგე და იჴსნნეს ჴელნი ჩუენნი, ჰირმან მომიცვნა ჩუენ სალმობათა, ვითარ მშობიარისათა.

25. ნუ განხუალთ აგარაკებად და გზათა ზედა ნუ ხუალთ, რამეთუ მახჳლი მტერთაჲ მკჳდრ არს გარემოჲს.

---

17. დავადგინენ] და დავადგინენ O. 19. ყოფისა O. 20. რადად J, რად] + მეტად O. კინამომაჲ] გუნდრუკი O. მრგულიად-დასაწუველნი O 21. ერთად] თანად O. მოძმე J. 23. არს JO. გწყალობდეს O. განგეწყვნენ O. 24. დაუჴსნდეს J [„შეგჳპყრნა"-ს ნაცვლად ჩამატებულია J-ში. 25. მტერთაჲ] — O. დაშჱნებულ O.

17. ნესტჳსა W. 19. სიტყუასა W. 20. თქეენნი W. 23 წყალობა ჰყოფს W. 25. მტერთა W.

J

26. ასულო ერისა ჩემისაო: მოირტყ ძაძაჲ და გარდაისხ ნაცარ, ვითარცა გლოვასა საყუარელისასა, ყავ თავისა შენისათჳს ტყებაჲ სატკივარი, რამეთუ მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა უბადოებაჲ.

27. გამოსაცდელად მიგეც შენ შორის ერსა ჩემსა შეყენებულსა, და გულისჴმა-ჰყო და გამოსცადო შენ გზაჲ მათი.

28. ყოველნივე ურჩ არიან და ვლენან დრკუდ. ვითარცა რვალი და რკინაჲ, ყოველნივე განჴრწნილ არიან.

29. მოაკლდა საბერველი ცეცხლისაგან, მოაკლდა [O:231 v] ბრპენი. ცუდად ჰჭედს ვეცხლის-მჭედელი ვეცხლსა, უკეთურებანი მათნი ვერ დადნეს.

30. ვეცხლ გამოუცდელ უწოდეთ მათ, რამეთუ შეურაცხ-ყვნა იგინი უფალმან.

G

26. ასულო ერისა ჩემისაო, გარემოირტყ ძაძაჲ, გარდაისხ ნაცარი გლოვისაებრ სიყუარულისა, ყავ თავისა შენისა ტყებაჲ საწყალობელი, რამეთუ მეყსა შინა მოიწიოს საარებაჲ თქუენ ზედა.

27. გამოსაცდელად მიგეც შენ ერთა შორის შეყენებულთა და ცნობად გამოცდასა შინა ჩემდა გზისა მათისა.

28. ყოველნივე უსმნი: მავალნი დრკუდ. ვითარცა რვალი და რკინაჲ, ყოველნი განხრწნილ არიან.

29. მოაკლდა და საბერველი ცეცხლისაგან, მოაკლდა ბრპენი. ცუდი სამე ვეცხლის-მჭედლობს, უკეთურებანი მათნი არა დადნეს.

30. ვეცხლ გამოუცდელ უწოდეთ მათ, რამეთუ აგამოუცდელნა იგინი უფალმან, (ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ ყოველმან იუდეამან).

7

J

1. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემიაჲს მიმართ უფლისა მიერ, და თქუა:

2. დადეგ ბჭეთა სახლისა უფლისათა და აღმოიკითხე სიტყუაჲ ესე და არქუ: ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ ყოველმან ჰურიასტამან, რომელნი შეხუალთ ბჭეთა ამათ თაყუანისცემად უფლისა.

3. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: განჰმართენთ გზანი თქუენნი და სლვანი თქუენნი, და დავამკჳდრნე თქუენ ამას ადგილსა.

G

1. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემიაჲს მიმართ უფლისა მიერ, და ჰრქუა:

2. დადეგ ბჭეთა სახლისა უფლისათა და აღმოიკითხე სიტყუაჲ ესე და არქუ: ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ ყოველმან იუდეამან, რომელნი შეხუალთ ბჭეთა ამათ თაყუანისცემად უფლისა.

3. ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ: განჰმართენით გზანი თქუენნი და სიმარჯუენი თქუენნი, და დავამკჳდრნე თქუენ შორის ადგილსა ამას.

---

26. მოირატყ J, ~ნაცარი გარდაისხ O. თქუენ] შენ O. უბადოებაჲ] უბადრუკებაჲ O. 27. გულისხმა-ჰყო O.

7.1. ერემიაჲსა O. თქუა] ჰრქუა O. 2. აღმოიკითხჱ J, სიტყუაჲ] + ესე O. უფლისაჲ] — O. 3. ესრე] + ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ ყოველმან ჰურიასტანმან O. მათ O. გაჰმართენთ J, განჰმარტენით O. თქუენნი] — O. დავამკჳდრნე] დავაშენნე O.

26. ძაძა W. 28. რკინა W. 29. სადმე W, გამოუცდელსა W (...) ასეა W-ში.

7.1. სი῾ტყა W. იერემიას W. რ῾ჲ W. 2. რ῾ჲთა W. 3. ძალთა W. ისჱ῾ლისა W.

J

4. ნუ ესავთ თავთა თქუენთა, გინა თუ სიტყუათა სიცრუვისათა, რამეთუ მებრვე არაჲვე სარგებელ გეყვნენ თქუენ. იტყჳან: ტაძარი უფლისაჲ არს.

5. უკუეთუ განმართებით განჰმართნეთ გზანი თქუენნი და სლვანი თქუენნი და ყოფით თუ ჰყოთ სამართალი შორის კაცისა და შორის მოყუსისა მისისა,

6. და მსხემსა და ობოლსა და ქურივსა არა ჰმძლავრობდეთ და სისხლი უბრალოჲ არა დასთხიოთ [ფ.211] ამას ადგილსა და კუალსა ღმერთთა უცხოთასა არა მიხვდეთ ძჳრად თქუენდა,

7. და დაგამკჳდრნე თქუენ ამას ადგილსა, ქუეყანასა მას, რომელიც მივეც მამათა თქუენთა საუკუნითგან მიუკუნისამდე.

8. უკუეთუ ესვიდეთ თა[O : 232r]ვთა თქუენთა სიტყუათა ზედა სიცრუვისათა, რომელთაგან არარაჲ ირგოთ.

9. და იპარვიდეთ და კაცს-ჰკლვიდეთ და იმრუშებდეთ და ჰფუცვიდეთ ცილსა და უკუმევდეთ ბაალსა და შეუდგეთ კუალსა ღმერთთა უცხოთასა, რომელ არა იცნით, რაჲთა ბოროტი გეყოს თქუენ.

10. და მოხუედით და წარმოსდეგით წინაშე ჩემსა სახლსა მას შინა, სადა-იგი წოდებულ იყო სახელი ჩემი მას ზედა, და სთქუთ: განვეშორენით ყოფად ყოველთა საძაგელებათა მათ.

11. ქუაბ ნუ ავაზაკთა იქმნა სახლი იგი ჩემი, რომელსა ზედა-იგი წოდებულ იყო სახელი ჩემი მუნ წინაშე თქუენსა? და აწ [მე ესერა ვიხილე, იტყჳს უფალი].

G

4. ნუ ესავთ თავთა თჳსთა სიტყუათა ზედა მტყუართა, ვითარმედ რაჲთურთით არას მარგებენ ჩუენ მეტყუელნი: ტაძარი უფლისაჲ, ტაძარი უფლისაჲ არს.

5. რამეთუ უკუეთუ განმმართებელთა განჰმართნეთ გზანი თქუენნი და სიმარჯუენი თქუენნი, და მყოფელთა ჰყოთ მსჯავრი შორის კაცისა და შორის მოყუსისა მისისა.

6. და მწირსა და ობოლსა და ქურივსა არა ჰმძლავრობდეთ და სისხლსა უბრალოსა არა დასთხევდეთ ადგილსა ამას შინა და შემდგომად ღმერთთა უცხოთასა არა ხვდოდით განბოროტებად თქუენდა.

7. და დაგამკჳდრნე თქუენ ადგილსა შინა თქუენსა, ქუეყანასა ზედა, რომელი მივეც მამათა თქუენთა საუკუნითგან და ვიდრე საუკუნომდე.

8. ხოლო უკუეთუ თქუენ ესვიდეთ სიტყუათა მიმართ ცუდთა, ვინაჲ არას ირგებთ,

9. და ჰმკლველობდეთ და იმრუშებდეთ და იპარვიდეთ და ჰფუცვიდეთ უსამართლოსა ზედა და უკუმევდეთ ბაალსა და ხვდოდით შემდგომად ღმერთთა უცხოთა, რომელთა არა უწყით (ბოროტ-ყოფაჲ თქუენდად).

10. და მოხუედით და დასდეგით წინაშე ჩემსა სახლსა შინა, სადა წოდებულ არს სახელი ჩემი მას ზედა, და სთქუთ: განვეშორენით ქმნად ყოველთა ამათ საძაგელებათა.

11. ნუ ქუაბ ავაზაკთა სახლი ჩემი. რომელსა ზედა წოდებულ არს სახელი ჩემი მას ზედა მუნ წინაშე თქუენსა? და აჰა ვიხილე, იტყჳს უფალი.

---

4. არაჲვე] არა O. 5. განმარტებით განჰმარტნეთ O. 7. და] — O. 8. ესვიდეთ] ესავთ O 9. კაც-ჰკლვიდეთ O, ჰვოცვიდეთ O. 10. მოხუედით] მივედით O. წარმოდეგით O. ყოფად] — O. მათთა O 11. ზედა-იგი ზედა O. აწ] — O. მე ესერა ვიხილე, იტყჳს უფალი] — J.

4. ნუეს~ ვთ W. რაჲ თურთით W. მეტყველნი W. [„ტაძარი უფლისაჲ“ 2-ჯერ არის გამეორებული W-ში]. 6. ობლსა W. 8. თქვენ W ესვდეთ W. სიტყვათა W. 9. ჰფუცვდეთ W, „ბოროტ-ყოფაჲ თქუენდა“ ფრჩხილებშია W-ში. 10. წოდებლ~ არს W. 11. წოდებულარს W. იტყვის W.

J

12. მივედით ადგილსა მას ჩემსა, რომელი იყო სელომს, სადა-იგი დავამკჳდრე სახელი ჩემი მუნ პირველად, და იხილეთ, რაჲ-იგი უყავ მას პირისაგან უკეთურებისა ერისა ჩემისა ისრაჱლისა.

13. აწ რამეთუ ჰყავთ ყოველი ესე საქმჱ, თქუა უფალმან, და გეტყოდე თქუენ, აღვიმსთობდი და გეტყოდე თქუენ, და არა ისმინეთ ჩემი, გხადოდე თქუენ, და არა ჴმა-მიყავთ მე.

14. და ვყო ამას სახლსა, რომელსა ზედა წოდებულ არს სახელი ჩემი მუნ, რომელსა-იგი თქუენ ესავთ, და ადგილსა ამას, რომელი მოგეც თქუენ და მამათა თქუენთა, ვითარცა-იგი უყავ სელომსა.

15. და განგთხინე თქუენ პირისაგან ჩემისა, ვითარცა განვსთხიენ ძმანი თქუენნი; ყოველი [O:232 v] ნათესავი ეფრემისი.

16. და აწ შენ ნუ ილოცავ ერისა ამისთჳს და ნუ მევედრები შეწყალებად მათა და ნუ თაყუანის-მცემ, და ნუ მოხუალ ჩემდა მათთჳს, რამეთუ არა ვისმინო შენი.

17. ანუ არა ჰხედავ, რასა-იგი იქმან შორის ქალაქთა იუდაჲსთა და გამოსავალთა იერუსალჱმისათა?

18. ძენი მათნი კრებენ შეშასა, და მამანი მათნი აღაგზნებენ ცეცხლსა, [და] დედანი მათნი ზელენ ცმელსა, რაჲთა უქმნენ მსუნევანი ძალთა ცისათა და უგებდეს საგებელსა ღმერთთა უცხოთა, რაჲთამცა განმარის[ფ.212]ხეს მე.

19. მე ნუ განმარისხონ, იტყჳს უფალი, არამედ თავნი თჳსნი, რაჲთა დაჰრცხუენეს პირსა მათსა.

G

12. რამეთუ ხვდოდეთ ადგილსამე ჩემისა სილომს შინაჲსა, რომელსა დაიკარვა სახელმან ჩემმან მის ზედა მუნ უწინარეს, და იხილეთ, რანი უყვენ მას პირისაგან უკეთურებისა ერისა ჩემისა ისრაილისა.

13. და აწ, ამის წილ რომელ ჰქმენნით ყოველნი ესე საქმენი, და ვიტყოდე თქუენდამი, განთიად ვიტყოდე, და არა ისმინეთ ჩემი, თქუა უფალმან (14) და გიწოდეთ თქუენ, და არა მომიგეთ.

14. მეცა უქუე უყო სახლსა ამას, რომელსა წოდებულ არს სახელი ჩემი მას ზედა, რომლისამი თქუენ ესავთ მის ზედა, და ადგილსა, რომელი მიგეც თქუენ და მამათა თქუენთა, ვითარ-იგი უყავ სილომსა.

15. და განგყარნე თქუენ პირისაგან ჩემისა, ვითარცა განვყარენ ძმანი თქუენნი, ყოველი თესლი ეფრემისი.

16. და შენ ნუ ილოცავ მწედ ერისა ამის[თჳს] და ნუ იოხ შეწყალებად მათდა და ნუ ილოცავ და ნუ მოხუალ ჩემდა ამათთჳს, რამეთუ არა ვისმინო.

17. ანუ არა ჰხედავ, რასა ეგენი ჰყოფენ ქალაქთა შორის იუდაჲსთა და გზათა შორის იერუსალიმისათა.

18. ძენი მათნი შეჰკრებენ შეშათა, და მამანი მათნი აღატყინებენ ცეცხლსა და ცოლნი მათნი ნაყენ ცმელსა ქმნად ხავონანი ძალთა ცისათასა და უგნეს საგებნი ღმერთთა უცხოთთა, რაჲთა განმარისხონ მე.

19. მე ნუ განმარისხებენა იგინი? თქუა უფალმან; არა თავთა თჳსთა, რაჲთა ჰრცხუენნეს პირთა მათთა?

---

12. მიხუედით O. რომელი O. რაჲ-იგი უყავ] რაჲ უყავთ O. 13. ..ოველი] + ვე O. აღვიმსთობდე O. გეტყოდი (1) JO. ჴმამიყაჰთ O. 14. მუნ] — O. იგი] — O. და] მას O. მამათა] + მათ O. 15. განგთხიენ O. თქუენნი] + და O. ყოველნი J. 16. მისთჳს O თაყუანის-სცემ J. შენი] + ოდესვე O. [„ჰხედავ"-ში ჰ ჩამატებულია J-ში. 18. აგზებენ O. და] — J. მსულევანი O. საგებელსა] — O თჳსნი] მათნი O. პირთა მათთა O.

12. ხვდოდით W. 14. უქ? W. წოდებულრს W. ადგილისა W. 16. ამის W.

J

20. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი: აჰა ესერა რისხვაჲ ჩემი და გულისწყრომაჲ ჩემი განეფინოს ამას ადგილსა ზედა და კაცთა ზედა და საცხოვართა ზედა და ყოველსა ზედა ხესა ველისასა და ყოველსა ზედა ნაყოფსა ქუეყანისასა და აღატყდეს და არა დაშრტეს.

21. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ, რამეთუ: მრგულიად-დასაწუველნი თქუენნი შეკრიბენთ მსხუერპლთა თანა თქუენდა,

22. რამეთუ ვარქუვე არა მამათა თქუენთა, არცა ვამცნე მათ დღესა მას, რომელსა აღმოვიყვანენ [იგინი] ქუეყანით ეგჳპტით სიტყჳსათჳს მრგულიად-დასაწუველთაჲსა [და შესაწირავთაჲსა],

23. არამედ ესე სიტყუაჲ ვამცენ მათ და ვარქუ: ისმინეთ ჴმისა ჩემისაჲ, [O:233 r] და ვიყო მე თქუენდა ღმრთად, და თქუენ იყვნეთ ჩემდა ერად და ვიდოდეთ ყოველთა გზათა ჩემთა, რომელთაცა გამცენ თქუენ, რაჲთა კეთილი გეყოს თქუენ,

24. და არა ისმინეს ჩემი, არცა მერჩდა ყური მათი, არამედ ვიდოდეს იგინი ზრახვითა გულისა მათისა უკეთურისათა და იქმნნეს იგინი უკუანა და არა წინა.

25. რომლით დღითგან გამოვიდეს მამანი მათნი ქუეყანით ეგჳპტით და ვიდრე აქა დღედმდე, და მიგივლინენ თქუენ ყოველნი მონანი ჩემნი წინაწარმეტყუელნი, დღისი [და] განთიად მივავლინენ.

C

20. ამისთჳს ამას იტყჳს უფალი: აჰა რისხვაჲ და გულისწყრომაჲ ჩემი განეფინოს ადგილსა ამას ზედა და კაცთა ზედა და საცხოვართა და ყოველსა ზედა ხესა ველისასა და ყოველთა ზედა ნაშრომთა ქუეყანისათა და აღეგზნას და არა დაშრტეს.

21. ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ: ყოვლად-დასაწუელნი თქუენნი შეკრიბენით მსხუერპლთა თქუენთა თანა და ჭამეთ ჴორცი.

22. რამეთუ არა ვთქუ მამათა მიმართ თქუენთა და არა ვამცენ მათ დღესა, რომელსა შინა აღმოვიყვანენ იგინი ქუეყანისაგან ეგჳპტისა ყოვლად-დასაწუელთათჳს მსხუერპლთა.

23. არამედ ესე სიტყუაჲ ვამცენ მათ, მეტყუელმან დღესა, რომელსა შინა აღმოვიყვანენ: ისმინეთ ჴმისა ჩემისაჲ, და ვიყო მე თქუენდა ღმრთად, და თქუენ იყვნეთ ჩემდა ერად და ვიდოდეთ ყოველთა ზედა გზათა ჩემთა, რომელნიცა გამცნენ თქუენ, რაჲთა კეთილ იყოს თქუენდა.

24. და არა ისმინეს ჩემი, არცა მოყვეს ყური მათი, არამედ ვიდოდეს მოგონებათა შინა გულისა მათისათა ბოროტისათა და იქმნნეს უკუმართთამე და არა წარმართისამე.

25. რომლით დღითგან გამოვიდეს მამანი მათნი ქუეყანით ეგჳპტით და ვიდრე დღისამდე ამის, და გამოვავლინენ თქუენდამო ყოველნი მონანი ჩემნი წინაჲსწარმეტყუელნი, დღისი და ცისკარსა და მივავლინე.

---

20. და (6) — O. არა] ვერღარა O. 21. უფალი] + ღმერთი O. რამეთუ] — O. შეკრიბენით O. ~ თქუენთა თანა O. 22. მამათა] + მათ O. იგინი] — J. და შესაწირავთაჲსა] — J, O-ში გამეორებულია. 23. მათ] — O. იყვნეთ J. რომელთაც] რომელთა O 24. მათისაჲთა O. უკეთურად O. და] — O. 25. [„დღიჲთგან"-ში „გან" ჩამატებულია J-ში. მიგივლინენ თქუენ] მივავლინენ მათდა O. და (3)] — J განთიად] + და O.

20. რისხვა W. დაშრტესა W. 21. ისრაილისა W. თქვენთა W. 22. აღმოვიყუნენ W 23. ჩემისა W. თქვენდა W. 24. მოყუეს W. წამარსითამე W. 25. რომლით დღითგან] დღითგან რომლით W.

J

26. და არა ისმინეს ჩემი, არცა მერჩდეს მე ყურითა მათითა, განფიცხნეს ქედნი მათნი [და ძჳრსა იქმოდეს] უფროჲს მამათა მათთა.

27. და შენ ჰრქუა მათ სიტყუაჲ ესე, და არავე ისმინონ შენი, უჴმობდე მათ, და არა ჴმა-გიყონ შენ,

28. და ჰრქუა მათ: ამან ნათესავმან რომელმან არა ისმინა ჴმაჲ უფლისა ღმრთისაჲ, არცა მიიღეს სწავლაჲ, მოაკლდა სარწმუნოებაჲ და მოელო პირისაგან მათისა.

29. აღიპარსე თავი შენი და განაგდე და აღიღე ბაგითა შენითა გოდებაჲ. რამეთუ შეურაცხ-გყო უფალმან და განიშორვა ნათესავი მოქმედი ამათი.

30. რამეთუ ქმნეს ძეთა იუდაჲსთა ბოროტი წინაშე ჩემსა, იტყჳს უფალი, და დასხნეს ბილწნი [ფ. 213] იგი მათნი სახლსა შინა ჩემსა, რომელსა-იგი წოდებულ იყო სახელი ჩემი მას ზედა, რაჲთამცა შეაგინეს იგი.

31. და აღაშენეს ბაგინი იგი ტაფეთისაჲ, რომელ არს ჴევსა შინა ძისა ენომისსა, დასაწუველად ძეთა [O:233 v] და ასულთა მათთა ცეცხლთა, რომელ არა ვამცენ მათ, არცა ვიზრახე გულითა ჩემითა.

32. ამისთჳს აჰა ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და არღარა თქუან მერმე: ბაგინი ტაფეთისი და ჴევი ძისა ენომისი, არამედ ჴევი მოსრვულთაჲ, და დაეფლნენ ტაფ[ეთ]ს შინა, რამეთუ არა იყოს მათა ადგილი.

G

26. და არა ისმინეს ჩემი და არა მოყვეს ყური მათი და განიფხეს ქედი მათი უფროჲს მამათა მათთასა.

27. და ჰრქუა მათ სიტყუაჲ ესე, და არა ისმინონ შენი, ხადოდი მათ, და არარაჲ მიგაგონ შენ.

28. და ჰრქუა მათ: ესე ნათესავი, რომელმან არა ისმინა ჴმისა უფლისა ღმრთისა მისისაჲ, არცა შეიწყნარა წურთილებაჲ, მოაკლდა სარწმუნოებაჲ, და მოღებულ არს ჭეშმარიტებაჲ პირისაგან მათისა.

29. აღპარსე თავი შენი და განაგდე და აღიღე ბაგეთა ზედა გლოაჲ, რამეთუ აგამოუცდელა უფალმან და განიშორა ნათესავი მოქმედი ამათი.

30. რამეთუ ქმნეს ძეთა იუდაჲსთა ბოროტი წინაშე ჩემსა, იტყჳს უფალი, და აწ ესხნეს საძაგელნი მათნი შორის სახლისა, რომლისა წოდებულ არს სახელი ჩემი მის ზედა შეგინებად მისსა.

31. და აღაშენეს ბომონი ტაფეთისი, რომელ არს ჴევსა შინა ძისა ენნომისსა დაწუად ძეთა მათთა და ასულთა მათთა ცეცხლისა მიერ, რომელი არა ვამცენ მათ, არცა მოვიდა გულსა შინა ჩემსა.

32. ამისთჳს აჰა დღენი მოვლენ, იტყჳს უფალი, და არღა თქუან მერმე. ბომონი ტაფეთისი და ჴევი ძისა ენნომისი, არამედ ჴევი მოწყუედილთაჲ, და დაჰფლნენ ტაფეთს შინა არყოფისათჳს ადგილისა.

---

26. ისმინეთ J. და ძჳრსა იქმოდეს] — J. 27. არქუ J, მათ] — O 28. ღმრთისაჲ] ღმრთისა + მათისაჲ O. მიიღეს] + მათ O. სწავლაჲ] + და O. მეელო O. 29. ბაგითა შენითა] თავისა შენისა O. შეურაცხგყო] + შენ O. განიშორე O. 30. შინა] — O. 31. ალაშჱნეს O. ბაგინები O, ენუმისსა J, რომელი O. 32. დღჱნი O ჴევი] — O. მოსრულთაჲ O. და] — O. დაჰფლნენ O. ტაფს J. ადგილი O. 33. მძუღარნი] მძვდრნი J.

26. მოყუჱს W. უფროს W. 28. ღ́მ́ჲ W. მისისა W სარწმუნოება W, მოღებულ არს W. 30. ესხნეს] ესმნეს W. 32. ენნომესი W. მოწყუჱდილთა W. 33. იყნენ W.

J

33. და იყვნენ მკუდარნი ამის ერისანი საჭმელად მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა, და არავინ იყოს განმაყენებელ.

34. და დავარღჳო ქალაქთაგან იუდაჲსთა და გზათაგან იერუსალჱმისთა ჴმაჲ მშუებელთაჲ, ჴმაჲ მოხარულთაჲ, ჴმაჲ სიძისაჲ და ჴმაჲ სძლისაჲ, რამეთუ უდაბურ იყოს ქუეყანაჲ.

G

33. და იყვნენ მკუდარნი ამის ერისანი საჭმელ მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა, და არა იყოს წარმდევნელი.

34. და მოვაკლო ქალაქთაგან იუდაჲსთა და საგზაურთაგან იერუსალიმისათა ჴმაჲ კეთილ მშუებიარისაჲ და ჴმაჲ მოხარულისაჲ, ჴმაჲ სიძისაჲ და ჴმაჲ სძლისაჲ, რამეთუ მოსაოჴრებელად იყოს ყოველი ქუეყანაჲ.

8

J

1. მას ჟამსა შინა, იტყჳს უფალი, გამოიხუნენ ძუალნი მეფეთა იუდაჲსთანი და ძუალნი მთავართა მათთანი და ძუალნი მღდელთანი და ძუალნი წინაწარმეტყუელთანი და ძუალნი მკუდართა იერუსალჱმისათანი სამარეთაგან მათთა,

2. და განჴმენ იგინი წინაშე მზისა და წინაშე მთოვარისა და წინაშე ყოველთა ვარსკულავთა და წინაშე ყოველთა ძალთა ცისათა, რომელ შეიყუარნეს და რომელთა ჰმონებდეს და რომელთასა კუალსა შეუდგეს და რომელთა ერჩდეს და რომელთა თაყუანის-სცეს მათ. არა შეიკრიბნენ იგინი, არცა დაეფლნენ, საკიცხელად იყვნენ პირსა ზედა ქუეყანისასა,

3. რამეთუ აღირჩიეს მათ სიკუდილი ვიდრე ცხორებასა, და საწადელ იყო სიკუდილი უფროჲს ცხორებისა ყოველთა ნეშტთა, რომელნი დაშთომილ იყვნენ ნათესავისა მისგან

G

1. მას ჟამსა შინა, იტყჳს უფალი, გამოიხუნენ ძუალნი მეფეთა იუდაჲსთანი და ძუალნი მთავართა მათთანი და ძუალნი წინაჲსწარმეტყუელთა მათთანი და დამკჳდრებულთანი იერუსალიმს საფლავთაგან მათთა,

2. და განაჴმნენ იგინი წინაშე მზისა და წინაშე მთოვარისა და წინაშე ყოველთა ვარსკულავთა და წინაშე ყოვლისა მჴედრობისა ცისასა, რომელნი შეიყუარნეს და რომელთა ჰმსახურეს და რომელთასა ვიდოდეს შემდგომად მათსა და რომელთა ერჩდეს და რომელთა თაყუანის-სცეს მათ. არავინ ეტყებდენ და არცა ტიროდენ, არა შეიკრიბნენ; არცა დაეფლნენ და იყვნენ სამაგალითოდ პირისაგან ქუეყანისა.

3. რამეთუ აღირჩიეს სიკუდილი ვიდრე ცხორებაჲ, და ყოველთა ნეშტთა, დაშთომილთა ნათესავისა მისგან უკეთურისა, ყოველსა შინა ადგილსა დაშთომილი, რომელსაცა განვჴადნე იგი-

---

34. ქალაქთაგან] — O. იუდაჲსთა და] იუდაჲ O. მშუებელთაჲ] მშობელთაჲ JO. მახარებელთაჲ O. უდაბნოჲ J.

8.1. მეფეთა იუდაჲსთანი და ძუალნი] მფრინველთა O (მცდ.) და ძუალნი მღდელთანი] — O, იერუსალჱმისათანი] + და J. 2. განაჴმნეს O, რომელნი O, დაეფლნენ] + არამედ O. 3. მათ] — O. ცხორებასა O, იყოს O, იყვნეს O, ამისგან O, უკეთურებისა ყოველსა ადგილსა O, განვიშორნე O.

34. მშუჱბიარისა W. მოხა́რლისა W. სიძისა W. ქვეყანა W.

8.2. ვარსკვლავთა W, თაყვანის სცეს W, არა ვინ W, ეტყებდეს W, იყუნენ W. 3. ცხოვრება W, ძალთა W.

J

[O:234 r] უკეთურისა [ყოველსა ადგილსა], სადაცა განვიშორნე იგინი მუნ, იტყჳს უფალი ძალთაჲ.

4. და სთქუა მათა მიმართ: ესრე იტყჳს უფალი: ანუ რომელ-იგი დაეცის, არღარა ნუ აღდგისა? ანუ რომელმან მოაქციის, არღარა ნუ მოაქციისა?

5. რაჲსთჳს მიაქცია ერმან ჩემმან ესრე [ფ.214] და იერუსალჱმმან მიქცევითა ლირბებისაჲთა, და დაემტკიცნეს იგინი გონებათა შინა მათთა და არა ინებეს მოქცევად?

6. ყური მოყავთ და ისმინეს: [არა ესრე იტყოდიან]: არა არს კაცი მონანული უკეთურებისაგან თჳსისა, რომელმანცა თქუა: რაჲ მიყოფიეს? არა მოაკლო მორბედმან სრბისაგან თჳსისა, ვითარცა ცხენმან ოფ]ლ[იერმან ჭჳვილსა შინა მისსა.

7. და მთიებმან ცასა შინა იცნა ჟამი თჳსი, გურიტმან და მერცხალმან და მჭურინავმან [და] ველისა სირთა დაიმარხნეს ჟამნი მოსლვისა მათისანი, ხოლო ერმან ჩემმან არა გულისჴმაყვნა სამართალნი უფლისანი.

8. ვითარ იტყჳთ, ვითარმედ: ბრძენ ვართ ჩუენ, და შჯული უფლისაჲ არს ჩუენ თანა? ცუდად იყო ნაწილი იგი სიცრუვისაჲ მწიგნობართა.

9. ჰრცხუენა ბრძენთა და შესულბეს და დამედგრნეს, რამეთუ სიტყუაჲ უფლისაჲ შეურაცხ-ყვეს: რაჲ-მე სიბრძნე არს მათ თანა?

10. ამისთჳს მივსცნე ცოლნი მათნი სხუათა და აგარაკნი მათნი უცხოთა მკჳდრთა, რამეთუ კნინით მათით-

G

ნი მუნ, რამეთუ ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ.

4. და ჰრქუა მათ, ვითარმედ, ამას იტყჳს უფალი: ნუ დაცემული არ აღდგების, ანუ მიქცეული არ მოიქცევის?

5. რაჲსთჳს მიაქცია ერმან ამან და ისრაილმან მიქცევითა ლირბითა და დაპყრობილ იქმნეს აღრჩევასა მათსა შინა და არა ინებეს მოქცევად?

6. ყურად-იღეთ და ისმინეთ: არა ესრეთ იტყოდიან: არა არს კაცი შემნანებელი უკეთურებისაგან მისისა, მეტყუელი: რაჲ ვყავ? არა მოაკლდა მსრბოლი სასრბოჲსაგან თჳსისა, ვითარცა ცხენი ოფლიერი ჭჳვილსა შინა მისსა.

7. და ასიდამან ცათა შინა ცნა ჟამი თჳსი, გურიტმან და მჭურინავმან და მერცხალმან, ველისა სირთა დაიცვნეს ჟამნი შემოსლვისა მათისანი, ხოლო ერმან ჩემმან არა ცნა სასჯელნი უფლისანი.

8. ვითარ იტყჳთ, ვითარმედ: ბრძენნი ვართ ჩუენ, და სჯული უფლისაჲ ჩუენ თანა არს? ამაოჲსა მიმართ იყო წილი მტყუარი მწიგნობართაჲ.

9. ჰრცხუენა ბრძენთა და დაინაბნეს და მომედგრდეს, რამეთუ სიტყუაჲ უფლისაჲ აგამოუცდელეს: სიბრძნე რაჲ არ[ს] მათ შორის?

10. ამისთჳს მივსცე ცოლნი მათნი სხუათა და აგარაკნი მათნი მემკჳდრეთა უცხოთა, რამეთუ მცირითგან მა-

4 რომელ-იგი დაეცის] რომელი დაეცეს O, აღდგესა O, მიაქციეს J, მიაქციის O, არღარა ნუ მოაქციისა] — O. 5. რაჲსათჳს O და (2)] — O [გვერდზე სწერია: „საკითხავი“ O]. 6. არა ესრე იტყოდიან] — J, მეყოფის J, ოფიერმან J. 7. და (2)] — J, მათისანი] მისისანი O, გულისხმა-ყვნა O. 8. იტყჳს J, უფლისა J. 9. ბრძენნი O. და] — O მომედგრდეს O. შეორაცხ-ყვეს J. რაჲმე O სიბრძნე O. ∾ რაჲმე სიბრძნე არს მათ თანა, რამეთუ სიტყუაჲ უფლისაჲ შეურაცხყვეს J. 10. კნინით მათითგან] კნინითგან მათით O. მიტრიონებდეს] O. მიჰრეონებდეს O. და (2)] — O. მღდელადმდე O.

5. ლიბრითა W. 6. რა W. ჭვივილსა W. 8. მწიგნობართა W. 9. სიტყვა W არ W. ჰანგრობენ W. 10. ანგრებსა W. ყიავე W. იქმენ W.

J

გან მიდიდადმდე ყოველნი მიტრიონე-[O:234 v]ბდეს, ანგაჰრებასა, წინაწარმეტყუელით მათითგან და ვიდრე მღდელამდე ყოველი იქმს უშჯულოებასა.

11. და განჰკურნებდეს შემუსრვილებასა ასულისა ერისა ჩემისასა შეურაცხებად ჩემდა და თქუეს: მშჳდობა, მშჳდობა! და არა არს მშჳდობა.

12. ჰრცხუენა, რამეთუ ყვეს საძაგელი, და ესრეცა სირცხჳლითა არავე ჰრცხუენა, და კდემულებაჲ არა გულისჴმა-ყვეს; ამისთჳს დაეცნენ დაცემულთა თანა და ჟამსა ძიებისა მათისა[სა] მოუძლურდენ, თქუა უფალმან.

13. და შეჰკრებდენ ნაყოფთა მათთა, თქუა უფალმან. არა არს ყურძენი ვენაჴებსა, და არა არს ლეღჳ ლეღუებსა, და ფურცელნი დასცჳვა, რომელ-იგი მივეც მათ, გარე-წარჰჴდა [მათ].

14. აწ ჩუენ რაჲსა ვსხე[დ]თ? შეკერბით და შევიდეთ ქალაქებსა მას ძნელსა და შევცჳვეთ მუნ, რამეთუ უფალმან ღმერთმან შეგუთხინნა ჩუენ და გვასუა ჩუენ წყალი სიმწარისაჲ, რამეთუ ვცოდეთ წინაშე მისა.

15. შევკერბით მშჳდობად, და არა იყო კეთილი ჟამად ლხინებისად, და აჰა ესერა ურვაჲ.

16. [ფ. 215] დანით გუესმეს ჴმაჲ სიმრავლისაჲ ჰუნეთა მისთაჲ, ჴმისაგან ჴჳვილისა ალმჴედრებულთა ჰუნეთა მისთასა შეიძრას ყოველი ქუეყანაჲ, და მოვიდეს და მოჭამოს ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი, ქალაქი და მკჳდრნი მისნი.

G

თით ვიდრე დიდადმდე მათა ყოვლივე ანგაჰრობენ ანგ[აჰ]რებ[ა]სა წინაჲსწარმეტყუელთაგან ვიდრე მღდელამდე მათა ყოვლივე იქმს სიცრუესა.

11. და ულხენდეს შემუსრვილებასა ასულისა ერისა ჩემისასა უპატიოდ და იტყოდეს: მშჳდობაჲ, მშჳდობაჲ! და არასადა არს მშჳდობა.

12. ჰცხუენა, რამეთუ საძაგელ იქმნნეს და სირცხჳლი არავე შეირცხჳნეს და კდემულებაჲ არა ცნეს; ამისთჳს დაეცნენ დაცემულთა თანა, ჟამსა მოხედვისა მათისასა მოუძლურდენ, თქუა უფალმან.

13. და შეჰკრებდენ ნაშრომთა მათთა, იტყჳს უფალი. არა არს ყურძენი ვენაჴთა და არა არს ლეღჳ ლეღოანთა შორის, და ფურცელნი დამოსცჳვეს, რომელ მივეცით მათ, გარე-წარჴდა.

14. რაჲსათჳს ვსხედთ ჩუენ? შეკერბით და შევიდეთ ქალაქებსა მაგართა და შევცჳვეთ მუნ, რამეთუ ღმერთმან განმყარნა ჩუენ და მასუა ჩუენ წყალი ნავღლისაჲ, რამეთუ ვცოდეთ წინაშე მისსა.

15. შევკერბით მშჳდობისათჳს, და არა არიან კეთილნი ჟამსა კურნებისასა, და აჰა სწრაფაჲ.

16. დანით გუესმა ჴმაჲ სიმახჳლისაჲ ცხენთა მისთასა, ჴმისაგან ჴჳვილისა ცხენოსნობისა ცხენთა მისთასა შეიძრა ყოველი ქუეყანაჲ და მოვიდეს და შეჭამოს ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი: ქალაქი და შინა დამკჳდრებულნი მის შორის.

---

11. და (2)] — O, მშჳდობაჲ O (ერთჯერაა ნახმარი O-ში;. მშჳდობაჲ O. 12. არა] + ვე O. გულისხმა-ყვეს O. დაეცნეს O. მათისა J. 13. ნაყოფსა მათსა J. „და შეჰკრებდენ ნაყოფსა მათსა, თქუა უფალმან“ — ეს ჩამატებულია სხვა ხელით J-ში. ვენაჴებსა] ვენაჴთა + მათთა O, არა] არცა O, რომელი — იგი O. მათ] — J. 14. რასა O, ვხხეთ J, შევიდეთ] შეხჳდეთ O, შესცჳვეთ O, შეგუთხინა O. წყალი] + იგი მხილებისაჲ და O, შევსცოდეთ O, მისსა O. 15. იყოს O. 16. დაანით O, გუესმა O, სიმრავლისაჲ] სიმაღლისაჲ O, ალმჴედრებასა J შეიძრა O. და] — O.

11. არასადა] სადა არა W. 12. კდემულება W. მოხედჳსა W. 14. ვსხეთთ W, შეკერბით და] შეკრებლად W, ნაღვლისა W, 16. გუჱსმაჲ W, სიმახჳლისა W, ქ῾ყნა W, სავსება W.

J

17. რამეთუ აჰა ესერა მე მივავლინ-
ნე თქუენ ზედა გუელნი მომსრველნი,
რომელთა მიმართ არა არს სახრვა
[O:336r] და გიკბენდენ, იტყჳს უფა-
ლი,
18. უკურნებელსა სალმობითურთ
გულთა თქუენთა განცოფებულთა.

19. აჰა ესერა ჴმაჲ ღაღადებისაჲ
ასულისა ერისა ჩემისა ქუეყანით შო-
რით. არა ნუ არსა უფალი სიონს, ანუ
მეუფჱ მისი არა ნუ არსა მუნ? რაჲს-
თჳს განმარისხეს მე კერპებითა მათითა
და ცუდთა მათგან უცხოთა?

20. წარჴდა მკაჲ, და დაესრულა
ლეწვაჲ, და ჩუენ ვერ განვერნეთ.
21. შემუსრვასა ზედა ასულისა ერი-
სა ჩემისასა შევიმუსრე, დავბნელდი
შესულებითა, მძლეს მე სალმობათა,
ვითარცა შობადისათა.
22. ნუმცა მკურის-კევი არა არსა
გალაადს, ანუ მკურნალი არა არსა მუნ?
რაჲსა-მე არა იყო კურნება ასული-
სათჳს ერისა ჩემისა?

G

17. მით რამეთუ აჰა გამოვავლენ
თქუენდამი გუელთა მაკუდინებელთა,
რომელთა არა არს სახრვაჲ, და გკბენ-
დენ თქუენ იტყჳს უფალი,

18. უკურნებელად სალმობიერები-
თა გულისა თქუენისა უღონო ქმნული-
სათა.
19. აჰა ჴმაჲ ღაღადებისაჲ ასული-
სა ერისა ჩემისა ქუეყანისაგან შორიე-
ლისა. ნუ უფალი არა არს სიონსა ში-
ნა, ანუ მეფე არა არს მუნ? მით რამე-
თუ განმარისხეს მე ქანდაკებულთა
მათთჳს მიერ და ამაოთა მიერ უცხო-
თა.
20. წარჴდა მკაჲ, და წარვიდა ლეწ-
ვაჲ, და ჩუენ ვერ განვერენით.
21. შემუსრვათა ზედა ასულისა ერი-
სა ჩემისათა დაბნელდა შეცბუნებუ-
ლობაჲ, მძლე მექმნეს მე, ვითარცა
სალმობანი მშობიარისანი.
22. ნუ რიტინი არა არს გალაადს,
ანუ მკურნალი არა არს მუნ? რაჲ-
სათჳს არა აღვიდა კურნებად ასული-
[სა] ერისა ჩემისა?

9

J

1. ვინ სცეს თავსა ჩემსა წყალი და
თუალთა ჩემთა წყაროჲ ცრემლისაჲ?
და ვსტიროდი ერსა ამას დღე და ღა-
მე, წყლულთა ასულისა ერისა ჩემისა-
თა.
2. ვინ მცეს უდაბნოსა ზედა საყო-
ფელი მცირედ და დაუტეო ერი ესე
ჩემი და წარვიდე მათგან, რამეთუ ყო-
ველნი იმრუშებენ, კრებული უწესო-
თაჲ.

G

1. ვინ მოსცეს თავსა ჩემსა წყალი
და თუალთა ჩემთა წყაროჲ ცრემლთაჲ?
და ვსტიროდი ერსა ამას ჩემსა დღე და
ღამე, მოწყლულთა ასულისა ერისა ჩე-
მისათა.
2. ვინ მომცეს მე უდაბნოსა შინა
სადგური უკუანაჲსკნელი, და დაუტე-
ვო ერი ჩემი და წარვიდე მისგან, რა-
მეთუ ყოველნი იმრუშებენ, კრებული
შეურაცხ-მყოფელთაჲ.

---

17. მე] — O. სახვრ O. 18. ჩემისაჲ O. შორიელით O. არა ნუ] ანუ O. რაჲთჳს O. 20. შემუ-სრვასა] შემოსლვასა O (მცდ.) შევიმუსრე]+ და O. 22. ნუმცა] ნუუკუე O. არს O. გალაად J.

9, 1. სცეს] მოსცეს O ცრემლთაჲ O. ვსტიროდემცა O. დღჱ და ღამჱ (ღამეჱ J) JO 2. მცეს]+ მე O. მცირედ] მცირჱ O. და] — O. იმრუშებდეს O.

18. ოკურნებელ ად W, 22. გაალადს W. ასული W. 9, 2. უკანასკნელი W.

J

3. და განიმზადნეს ენანი მათნი, ვითარცა მშჳლდნი, ტყუვილი და არასარწმუნოებაჲ განძლიერდა ქუეყანასა ზედა, რამეთუ უკეთურთაგან უკეთურებაჲ გამოჴდა, და მე არა მიცნეს, იტყჳს უფალი.

4. კაცად-კაცადი მოყუსისა თჳსისა თჳსისაგან ეკრძალეთ და ძმ[O:235v]ათა თჳსთა ნუ ესავთ, რამეთუ ყოველი ძმაჲ ტყუვილით ტყუვოდის, და ყოველი მეგობარი ზაკუვით ვიდოდის.

5. კაცად-კაცადი მიყუარსა თჳსსა ეკიცხევდეს [და] ჭეშმარიტსა [არა] ეტყოდიან, უსწავიეს ენასა მათსა და სიტყუაჲ სიცრუვისაჲ, მოჰხუეჭდეს და არა მოაკლდეს [ფ.216] დართვად.

6. აღნადგინები აღნადგინებსა ზედა და ზაკუვაჲ ზაკუვასა ზედა; არა ინებეს ცნობად ჩემდა, თქუა უფალმან.

7. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, აჰა ესერა მე განვაჭურვნე იგინი და განვცადნე იგინი, რამეთუ რაჲ ვყო პირისაგან უკეთურებისა ასულისა [ერისა] ჩემისაჲსა.

8. ისარ მწყლველ არს ენაჲ მათი. მზაკუვარ არიან სიტყუანი პირისა მათისანი, მოყუასსა თჳსსა ეტყჳნ მშჳდობასა და გულსა შინა თჳსსა დაიდვის მტერობაჲ.

9. არა-მე ძიება-ვყოა ამას ზედა, იტყჳს უფალი, ანუ შორის ერსა ესემლევანსა არა ნუ იძიოსა შური სულმან ჩემმან?

10. მთათა ზედა აღიღეთ ჴმაჲ ტირილისაჲ და გზათა ზედა უდაბნოჲსათა — გოდებაჲ, რამეთუ მოაკლდეს არა ყოფისაგან კაცთა მავალთაჲსა. არა ისმა მუნ ჴმაჲ პირუტყუთაჲ, მფრინ-

G

3. მორთხმულ ყვეს ენაჲ მათი, ვითარცა მშჳლდი, ტყუილი და არსარწმუნოებაჲ განძლიერდა ქუეყანასა, რამეთუ ბოროტთაგან ბოროტთა მომართ გამოვიდეს, და მე არა მიცნეს, იტყჳს უფალი.

4. კაცადი მოყუსისაგან თჳსისა ერიდენით და ძმათა თქუენთა ნუ ესავთ, რამეთუ ყოველი ძმაჲ წიხლითა წიხლვიდეს, და ყოველი მეგობარი ზაკულად ვიდოდის.

5. კაცადი ძჳნად მოყუსისა თჳსისა მოკიცხარობს, ჭეშმარიტებაჲ არა თქუას, ისწავა ენამან მათმან თქუმაჲ ტყუილისაჲ, მიჰხუეჭდეს და არა მოაკლდეს მიქცევად.

6. ვახში ვახშსა ზედა, ზაკუაჲ ზაკუასა ზედა; არა ინებეს ცნობაჲ ჩემი, იტყჳს უფალი.

7. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ: აჰა [ესერა] გავაჭურვნე იგინი და გამოვცადნე იგინი, რამეთუ ვყო პირისაგან უკეთურებისა ასულისა ერისა ჩემისა.

8. (ისარ მწყლველ)[8]ენაჲ მათი, მზაკუარებ სიტყუანი პირისა მათისანი, მოყუასსა თჳსსა ჰზრახავს მშჳდობითა და გულსა თჳსსა შორის აქუს მტერობაჲ.

9. ნუა მათ ზედა არ მივიხილოა, იტყჳს უფალი, ანუ ერსა ზედა ესევითარსა არ შურ-იგოსა სულმან ჩემმან?

10. მთათა ზედა აღიღეთ ტყეებაჲ და ალაგთა ზედა უდაბნოჲსათა — გოდებაჲ, რამეთუ მოაკლდეს არყოფისაგან კაცთა მრავალთაჲსა. არა ისმინეს ჴმაჲ მყოფობისაჲ მფრინველთაგან ცი-

---

3. უკეთურებად O. 4. მოყუსისა]+გან O. თჳსისაგან] — O. 5. და (1)] — J. იტყოდიან O. უსწავლიეს O. მათესა J. 6. აღნადგინებასა] და ზაკუვაჲ ზაკუვასა ზედა] — O. 7. ესრე] — O. უკეთურებისა]+ერისა (?) თ. ერისა]—J 8. ეტყჳან O. დაიდვეს O. 9. არა-მე] არა ნუ O. ძიება-ვყო O, მათ. ნუ] — O შური] ესე შური O 10. მავალთაჲსა J ესმა O.

3. ყუნს W. 5. ჭ˝ტბა W. თქმაჲ W. 7. ესერა] — W. 8. (...) ასეა W-ში 10. ტყება W. გოდება W.

J

ველთაგან ცისათა მისა ცხოვრადმდე შესულბეს და წარწყმდეს.

11. და მივსცე იერუსალჱმი წარსატყუენველად და საყოფელად ვეშაპთა და ქალაქნი იუდაჲსნი დავსხნე განსარყუნელად უმკჳდ[O:236 r]როებად.

12. ვინ არს კაც ბრძენ და გულისჴმა-ყავნ ესე? და რომლისა თანა იყოს სიტყუაჲ პირისა უფლისაჲ, გითხარნ თქუენ რომლისათჳს-იგი წარწყმდა ქუეყანაჲ, დაიტევა, ვითარცა უდაბნოჲ, არა მიმავალთაგან მისთა?

13. და მრქუა მე უფალმან: დატევებისათჳს შჯულისა ჩემისა, რომელ მივეც წინაშე პირსა მათსა, და არა ესმა ჴმაჲ ჩემი და არა ვიდოდეს მას შინა.

14. არამედ ვიდოდეს იგინი კუალთა ნებისა [გულისა] მათისა უკეთურისათა და კუალსა კერპთასა, რომელ ასწავლნეს მამათა მათთა.

15. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: აჰა ესერა მე ვაჭამო მათ ურვაჲ და ვასუა მათ წყალი სიმწარისაჲ.

16. და განვაბნინე იგინი შორის წარმართთა, რომელ არა იცნოდეს [მათ და]მამათა მათთა, და მოვავლინო მათ ზედა მახჳლი, ვიდრემდის არა აღვცადნე იგინი მას შინა.

17. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ. გულისჴმა-ყავთ და მოჰხადეთ მტირალთა, და მოვიდედ, და მეცნიერთა დედათა მიავლინეთ, და შეგასხმიდენ [და] ადრე ყვედ [ფ.217].

G

სათა და ვიდრე საცხოვართამდე, განჭკრთეს თქრომით.

11. და მივსცე იერუსალიმი გარდასახლებად და სამკჳდრებელად ვეშაპთა და ქალაქნი იუდაისნი უჩინო საქმნელად დავსხნე არდამკჳდრებისაგან.

12. ვინ არს კაცი გულისხმისმყოფელი, და გულისხმა-უყო ესე? და რომელმან სიტყუაჲ პირისა უფლისაჲ ამას თანა მიგითხრას თქუენ, რომლისათჳს წარწყმდა ქუეყანაჲ, დაიტევა, ვითარცა უდაბნოჲ არსაგზაურობისაგან მისისა.

13. და თქუა უფალმან ჩემდამო: დატევებისათჳს მათგან სჯულისა ჩემისა, რომელი მივეც წინაშე პირსა მათსა, და არა ისმინეს ჴმისა ჩემისა.

14. არამედ ვიდოდეს შემდგომად სათნოთა გულისა მათისა უკეთურისათა და შემდგომად კერპთა, რომელნი ასწავლნეს მათ მამათა მათთა.

15. ამისთჳს ამას იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ: აჰა მე ვაჭამნე მათ ჭირნი და ვასუა მათ წყალი ნავღლისაჲ.

16. და განვაბნინე იგინი წარმართთა შორის, რომელთამი არა უწყოდეს მათ და მამათა მათთა, და მოვავლინო მათ ზედა მახჳლი ვიდრემდის აღვჴოცნე იგინი მის მიერ.

17. ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ: მოუწოდეთ შემსხმელთა გოდებისათა, და მოვიდედ, და ბრძენთა დედათა მიავლინენით, და იტყოდიან [18] და ისწრაფეთ.

---

11. წარსატყუენველად] წარსაწყმედელად O. ვეშაპთად O 12. და] — O. გულისხმა-ყავნ O. პირსა J. ~ სიტყუაჲ პირისა უფლისაჲ იყოს O. მითხრან J დაიტევა] და დაეტევა O. გვერდზე: „საკითხავი“ O. 13. დატევებისათჳს] დატევებისაგან + მათგან O. რომელი O. და არა ესმა ჴმაჲ ჩემი] ორჯერაა გამეორებული O,-ში. 14. ნებათა O. გულისა] — J. ასწავეს O. 16. რომელნი O. მათ და] — J. ვიდრემდე O. არა] — O 17. გულისხმა-ყავთ O. და] — O. მოჰჴადეთ J, მოხადეთ O. მეტირალთა J. მოვიდეს O. შეასხმიდენ O. და] — O.

12. გ́ლის ხ́ჲ უყო W. სიტყვა W. 17. ძალთა W.

J

18. და აღიღედ თქუენ ზედა გოდებაჲ, გარდამოსთხევდედ თუალნი თქუენნი ცრემლთა, და წამნი თქუენნი გამოადინებედ წყალსა.

19. რამეთუ ჴმაჲ საწყალობელი ისმა სიონს: ვითარ დავგლახაკენით! გურცხუენა ფრიად, რამეთუ დაუტევეთ ქუეყანაჲ ჩუენი და განვსთხიენით საყ [O:236 v] ოფელნი ჩუენნი.

20. ისმინეთ, აწ, დედანო, სიტყუაჲ ღმრთისაჲ, და შეიწყნარნედ ყურთა თქუენთა სიტყუანი პირისა ჩემისანი და ასწავეთ ასულთა თქუენთა ჴმაჲ ტკივილისაჲ და დედაკაცმან მოყუასსა თჳსსა გოდებაჲ.

21. რამეთუ შთაგიჴდა სიკუდილი სარკუმლებით თქუენით, შეჴდა ქუეყანად თქუენდა მოსპოლვად ჩჩჳლთა გარემოჲს და ჭაბუკთა უბნებთაგან სიკუდილითა.

22. ესრე იტყჳს უფალი: და იყვნენ მკუდარნი კაცთანი საყრტიობელ პირსა ზედა ველთა ქუეყანისა თქუენისათა. [და ვითარცა თივაჲ უკუანა მთიბელისა], და არავინ იყოს შემკრებელ.

23. ესრე იტყჳს უფალი: ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნითა თჳსითა, ნუცა იქადინ ძლიერი ძალითა თჳსითა, და ნუ იქადინ მდიდარი სიმდიდრესა ზედა თჳსსა,

24. არამედ ამას ზედა იქადოდენ, რომელ-იგი იქადოდის გულისჴმის-ყოფასა და ცნობასა ჩემსა, რამეთუ მე ვარ უფალი, რომელმან ვყვი წყალობაჲ და განკითხვაჲ და სიმართლე ქუეყანასა ზედა, რამეთუ ამათ შინა არს ნებაჲ ჩემი, იტყჳს უფალი.

G

18. და მოიღეთ თქუენ ზედა გოდებაჲ, და დამოადინნედ თუალთა თქუენთა ცრემლნი, და წამთა თქუენთა სდიოდედ წყალი,

19. რამეთუ ჴმაჲ საწყალობლობისაჲ ისმა სიონს შინა: ვითარ დავგლახაკენით! გურცხუენა ფრიად, რამეთუ დაუტევეთ ქუეყანაჲ, განვთხიენით კარავნი ჩუენნი.

20. ისმინეთ, დედანო, სიტყუაჲ ღმრთისაჲ, და შეიწყნარნენ ყურთა თქუენთა სიტყუანი პირისა მისისანი და ასწავეთ ასულთა თქუენთა გურინვაჲ და დედაკაცმან მოყუასსა თჳსსა გოდებაჲ.

21. რამეთუ აღმოვიდა სიკუდილი სარკუმელთა თქუენთაჲთ და შევიდა ქუეყანად მიმართ თქუენად მოსპოლვად ჩჩჳლთა გარეგნით და ჭაბუკთა უბანთაგან.

22. ესრეთ იტყჳს უფალი: და იყვნენ მკუდარნი კაცთანი მაგალითებად პირსა ზედა ველისა ქუეყანისა თქუენისასა და ვითარცა თივაჲ უკუანა მთიბელისა, და არა იყოს შემკრებელ.

23. ამათ იტყჳს უფალი: ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნისა მიერ თჳსისა, და ნუ იქადინ ძლიერი ძლიერებისა მიერ თჳსისა, და ნუ იქადინ მდიდარი სიმდიდრესა ზედა თჳსსა.

24. არამედ ამას ზედა იქადოდენ მოქადული გულისხმის-ყოფასა და ცნობასა ჩემსა, რამეთუ მე ვარ უფალი, მოქმედი წყალობისა და მსჯავრისა და სიმართლისაჲ ქუეყანასა ზედა, რამეთუ ამას შინა არს ნებაჲ ჩემი, იტყჳს უფალი.

18. გოდებაჲ] + და O. გარდამოსთხევდინ O. გამოადინებდენ J გარდამოადინებედ O. 19. ვითარმედ O. დავგლახაკენით] დაგლახაკენით + და O. გრცხუენა O, საყოფელნი] საყუარელნი O. 20. შეიწყნარენით O. სლთ῾ა O. 21. სიკუდილი] გოდებაჲ O. სარკუმლით O. თქუენით] + და O უბნებთაგან] ჳუნებთაგან J. სიკუდილისათა O. 22. და იყვნენ] დაიცვნეს O (მცდ.) საყრტოობელ O. ველუა (?) J, ჩამატებულია. და ვითარცა თივაჲ უკუანა მთიებელსა] — J. შემკრებელ] შემძლებელ O. 23. და ნუ] ნუცა O. სიმდიდრესა ზედა თჳსსა] სიმდიდრითა თჳსითა, O. 24. მას O. გულისხმის-ყოფასა O. ჩემსა] უფლისასა O სიმართლჵ O. გვერდზე: „საკითხავი“ O.

19. საწყლობლობისა W გუაჵრცხუჵნა W. კარვებნი ჩუენნი W. 20. სიტ῾ყვა W. სიტყ῾ვანი W. 21. სიკვდილი W.ს῾რკმელთა W.

J

25. აჰა ესერა დღენი მოვლენან. იტყჳს უფალი, და აღხილვა-ვყო ყოველთა ზედა წინადაცუეთილთა წინადაცუეთილებაჲ მათი,

26. ეგჳპტელთა ზედა და ჰურისტანსა ზედა და ედომსა ზედა და ძეთა ზედა ამონისთა და ძეთა ზედა მოაბისათა და [ყოველთა] ზედა წინამიკუეცილთა პირით კერძო მათით, რომელნი დამკჳდრებულ არიან უდაბნოსა, [O:237r], რამეთუ ყოველნი წარმართნი წინადაუცუეთელ არიან და ყოველი სახლი ისრაჱლისაჲ წინადაუცუეთელ არიან გულითა მათითა.

G

25. აჰა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და მიხედვა-ვყო ყოველთა ზედა მეტკუეთილთა დაუცუეთელობისა მათისათა,

26. ეგჳპტესა ზედა და იდუმეასა ზედა, ედომსა ზედა და ძეთა ზედა ამმონისთა და ძეთა ზედა მოაბისთა და ყოველთა ზედა გარემოკუეცილსა პირით კერძო მისით, დამკჳდრებულთა უდაბნოს შინა, რამეთუ ყოველნი წარმართნი უმეტკუეთილო არიან ჴორცითა და ყოველი სახლი ისრაილისაჲ უმეტკუეთილებ გულებითა მათითა.

10

1. ისმინეთ სიტყუაჲ, რომელ თქუა უფალმან თქუენ ზედა, სახლო ისრაჱლისაო.

2. ესრე იტყჳს უფალი: მსგავსად გზათა წარმართთაებრ ნუ ისწავებთ და სასწაულთაგან ცისათა ნუ გეშინინ, რამეთუ ეშინის მათ პირისაგან მათისა.

3. რამეთუ შჯული წარმართთაჲ ცუდ არს [ფ.218], ძელი მაღნარისაგან მოკუეთილი, ქმნული ხუროჲსაჲ.

4. და შებერილი, ოქროჲთა და ვეცხლითა შემკულ არიან, კუერითა და სამშჭულებითა დაამტკიცნეს იგინი,[1] რაჲთა არა შეიძრნენ.

(9′). ვეცხლი გამოტორანტოსებული არს, და არა ვიდოდის, ვეცხლი, დასხმული თარშით, მოღებული ოქროჲ მოფათი[თ], ჴელთა ოქროჲს-მჭედელთა ქმნული ჴელოვანთაჲ ყოველი, იაკინთი და ძოწეული შეჰმოსიან მათ.

1. ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელი თქუა უფალმან თქუენ ზედა. სახლო ისრაილისაო.

2. ამათ იტყჳს უფალი: გზათაებრ წარმართასა ნუ ისწავებთ და სასწაულთაგან ცისათა ნუ გეშინისყე, რამეთუ ეშიშვიან იგინი პირისაგან მათისა .

3. რამეთუ სასჯელნი წარმართთანი ამაოება ძელთა არს, მოკუეთილი მაღნარით, ქმნილი ხუროჲსაჲ.

4. და გამონადნობი ვეცხლითა და ოქროჲთა შემკულნი არიან, კუერთხებითა და სამსჭულებითა განამაგრნეს იგინი, და არა შეიძრნენ.

(9[1]). ვეცხლი წახნაგებული არს, არა ვიდოდინ, ვეცხლი დასხმული არს თარშით, მოვიდა ოქროჲ ოფაზისაჲ [9], (და ოქროჲს-მჭედელთა ჴელი, საქმე ჴელოანთა ყოველნი) ჳაკინთსა და პორფირსა შეჰმოსენ მათ.

---

25. აღილვა-ვყო O. და წინადაუცუეთილებაჲ O. 26. ეგჳპტჱსა O.

10. 1. სიტყუაჲ] + უფლისაჲ O, რომელი O. 2. ეშინინ O. 4. შებერული O, ~ ვეცხლითა და ოქროჲთა O, სამშსჭულებითა J, სამშჭულითა O. დამტკიცნენ O. (9) გამოხურანტოსებული O (მცდ). მოფათი J, მუფათი O. ოქროჲს-მჭედლისათა O.

10. 1. თქვა W. 3. სს҃ჯელნნი W. ხუროსა W. 4. ოქროთა W. (9[1]) ოქრო მჭედელთა W. (...) ასეა W-ში.

J

5. აღებით აღიხუნიან იგინი, რამე-
თუ ვერ ვლენედ: ნუ გეშინინ მათა,
რამეთუ ბოროტი ვერ გიყონ, და კე-
თილი არს-ვე არა მათ თანა.

6. ვინმე არს მსგავს შენდა, უფალო?
დიდ ხარ შენ, და დიდ არს სახელი შე-
ნი ძალისა შენისაგან.

7. ვის-მე არა ეშინოდის, მეუფეო
წარმართთაო? რამეთუ შენდა შუენის
თაყუანის-ცემაჲ, რამეთუ ყოველთა
შორის ბრძენთა წარმართთასა და შო-
რის მეუფეთა მათთა ვინ იყოს მსგავს
შენდა, უფალო.

8. და ერთბამად უგულისჴმო იქმ-
ნნენ და უგუნურ იქმნნენ, რამეთუ
მოძღურებაჲ ამაოთაჲ მათ შორის
[O:237 v] ძელი არს.

9. ვეცხლი ჭედილი, თარშით მო-
ღებული, და ოქროჲ სოფერით, ქმნუ-
ლი ხუროჲსაჲ და კელთა ოქროჲს-
მჭედელთაჲ, იაკინთი და ძოწეული
სამოსელი მათი, საქმჱ მეცნიერებისაჲ
ყოველივე.

10. ხოლო უფალი ჭეშმარიტ არს
ღმერთი, ღმერთი ცხოველი და მეუფჱ
საუკუნე; გულის-წყრომისა მისისაგან
შეიძრა[ს] ქუეყანაჲ, და ვერ დაუთმონ
ნათესავთა მკსინვარებასა მისსა.

11. ესრე ჰრქუათ მათ: ღმერთთა
რომელთა ცაჲ და ქუეყანაჲ არა
შექ[მ]ნეს, წარწყმდედ იგინი ქუეყა-
ნისაგან და ქუეშე ცასა ამას.

12. უფალმან, რომელმან შექმნა
ქუეყანაჲ ძალითა თჳსითა, მან აღმარ-
თა სოფელი სიბრძნითა თჳსითა და
გულისხმითა თჳსითა გარდაართხა ცაჲ.

G

5. აღხუმით აღიხუნან იგინი, რა-
მეთუ ვერ ვლენედ: ნუ გეშინინყე მათ-
გან, რამეთუ ბოროტი ვერ ქმნან, და
კეთილი არა არს მათ შორის.

6. ვინ არს, ვითარ შენ, უფალო?
დიდ ხარ შენ, და დიდ [ა]რს სახელი
შენი ძალითა.

7. ვის არა ეშინოდის შენდა, მეფეო
წარმართთაო, რამეთუ შენნი არიან.
რამეთუ ყოველთა შორის ბრძენთა
წარმართთასა და ყოველთა შორის მე-
ფეთა მათთა, ვინ არს, ვითარ შენ,
უფალო.

8. რამეთუ ერთ-გზის აღეგზნენ და
მოუძლურდენ, გულნი ამაოთანი ძელი
არს.

9. ვეცხლი გამოჭედილი, თარშით
მოღებული, და ოქროჲ ოფაზით, ქმნუ-
ლი ხუროჲსაჲ და კელსა ოქროჲს-
მჭედლისათა, იაკინთე და ძოწეული
სამოსლად მათა, ქმნული ბრძენთაჲ.

10. ხოლო უფალი ღმერთი ჩუენა
ჭეშმარიტ არს, ღმერთი ცხოველი და
მეუფჱ საუკუნოჲ, გულის-წყრომითა
მისითა შეიძრას ქუეყანაჲ, და არა
ყონ წარმართთა რისხვაჲ მისი.

11. ესრეთ არქუთ მათ: ღმერთთა
რომელთა ცაჲ და ქუეყანაჲ არა შექმნეს,
წარწყმდედ ქუეყანისაგან და ქუეშე
კერძოჲსაგან ცისა ამის.

12. უფალმან შექმნა ცაჲ და ქუეყა-
ნაჲ ძალისა მიერ თჳსისა და აღჰმართა
მკჳდროანი სიბრძნისა მიერ მისისა და
ცნობისა მიერ თჳსისა გარდაართხა ცაჲ.

---

5. და აღებით O, მათდა O, კეთილი] — O, არს-ვე არა] არაჲვე არს O. 6. შენი] + და O. 7. წარმართა J, მეუფეთა] მეფეთა O. 8. უგულისხმო O. იქმნენ J, და უგუნურ იქმნენ] — O. ამაოთაჲ] + არს JO 9. ვეცხლი] და ვეცხლი O. ჭედელი J. ოქროჲ-მჭედლისათაჲ O. 10. უფა-ლი]. — O. ღმერთი] — O. საუკუნოჲ O. გულისწყრომასა მისსა O შეიძრა J. 11. ესრე ჰრქუათ მათ] და ესრეთ ჰრქუა O. ღმერთთა] + მათ O შექმნეს J. ქუეშსჱ O. 12. რომელმან] ძალთამან O (მცდ.) მან] და O აღჰმართა O.

6. დიდ˜რს W. 9. ოქრო W. ხუროსაჲ W. ოქრო მჭედლისათა W. 11. ქუჱშე W.

J

13. ჴმა-სცის მან სიმრავლესა წყალთასა ზეცად და აღმოიყვანნა ღრუბელნი დასასრულით ქუეყანისაჲთ; ელვანი წჳმად შექმნნა და გამოიყვანნა ქარნი საუნჯეთაგან მისთა.

14. განცოფნა ყოველი კაცი მეცნიერებისაგან, და ჰრცხუენა ყოველსა ოქროჲს-[ფ.219] მჭედელსა ქანდაკებულთა ზედა მისთა, რამეთუ ნაცილად შებერა, არა არს სულ მათ თანა.

15. ცუდ არიან ნაქმნევნი იგი საკიცხელნი; ჟამსა აღხილვისა მათისასა წარწყმდენ.

16. არა არს ესევითარი ნაწილი იაკობისი, არამედ რომელმან დაჰბადა ყოველი იგი, თავადი ნაწილ არს მისა, და ისრაჱლი—კუერთხ მკჳდრობისა მისისა; უფალ ძალთა [O:238 r] არს სახელი მისი.

17. შეკრიბა გარემოჲს ძალი შენი, დამკჳდრებულო რჩეულთა შორის.

18. რამეთუ ესრეთ იტყჳს უფალი: მე დავაბრკოლნე დამკჳდრებულნი ამის ქუეყანისანი ჭირითა, და ვაჭირო მათ, რაჲთა ემხილოს, იპოვა.

19. ვაჲ შემუსრვასა ზედა თქუენსა, სალმობიერ არს წყლულებაჲ ეგე შენი, და მე ვთქუ: ნანდვლვე წყლულებაჲ იგი ჩემი არს და მეწია მე.

20. კარავი ჩემი დაგლახაკნა და წარწყმდა, და ყოველნი ეზონი ჩემნი განიპნეს. შვილნი ჩემნი და საცხოვარი ჩემი განჴდეს ჩემგან, არღარა არს ადგილ მერმე კარვისა მის ჩემისა და ადგილი ეზოთა ჩემთაჲ

G

13. და ჴმისა მის მოცემისა მისისათა სიმრავლე წყლისა ცისა შორის, და აღმოიყვანნა ღრუბელნი დასასრულით ქუეყანისაჲთ, ელვანი წჳმად ქმნნა და გამოიყვანნა ქარნი და ნათელი საუნჯეთაგან მათთა.

14. განსულელნა ყოველნი კაცნი მეცნიერებისაგან, სირცხჳლეულ იქნა ყოველი ოქროჲს-მჭედელი წახნაგებულთა თჳსთა ზედა, რამეთუ ცილი გამოადნეს, არა არს სული მათ თანა.

15. ამაონი არიან საქმენი ნამღერნი; ჟამსა შინა მოხილვისა მათისასა წარწყმდენ.

16. არა არს ესე ნაწილი იაკობისი, რამეთუ შემოქმედი ყოველთაჲ თჳთ არს ნაწილი მისსა და ისრაილი კუერთხ მკჳდრობისა მისისა; უფალ ძალთა არს სახელი მისი.

17. შეკრიბა გარეშით გუამები, დამკჳდრებულო რჩეულთა შორის.

18. რამეთუ ამათ იტყჳს უფალი: აჰა მე უსაფრჩეებ დამკჳდრებულთა ქუეყანისა ამისთა ჭირისა მიერ და ვაჭირვო მათ, რაჲთა იპოოს.

19. ვაებაჲ შემუსრვასა შენსა ზედა, სალმობიერ არს წყლული შენი, მეცა ვთქუ: ნანდვლვე ესე არს წყლულებაჲ ჩემი [20], მეწია მე.

20. კარავი ჩემი საარებულ იქმნა, წარწყმდა, და ყოველნი ეზონი ჩემნი განირღუეს. ძენი ჩემნი და ცხოვარნი ჩემნი არა არიან, არა არს მერმე ადგილი კარვისა ჩემისაჲ, ადგილი ეზოთა ჩემთაჲ.

---

13. ჴმა-სცეს O. ზეცას O. ქუეყანისაჲთ] ქუეყანით + და O. [„შექმნნა"-ში ქ ჩამატებულია ზემოდან J-ში. მისთა] თჳსთა O 14. განცოფნა] განფიცხნა O. ქანდაკებულსა O. ზედა მისთა] მათთა ზედა O. შებერეს O. არა] და არა O. 15. ცუდად O, ჟამსა[და ჟამსა O. ახილვისა O. 16. უფალი ძალთაჲ J. 17. გარემოჲს] გარემო + შენსა O. 18. ესრე O. დავაჰკუენე J. ქუეყანისნი J. 19. ვაჲ] — O. თქუენსა] შენსა O. ნანდვლვე] + ესე O იგი] — O 20. განჴდა O. ადგილ მერმე კარვისა მის ჩემისა და ადგილი] მერმჱ კარვისა ჩემისა ადგილი O.
13. ქუეყანისაჲ W. 16. ყ̃თა W. ოფალ W. 19. ვ:ება W. წყლულება W.

J

21. რამეთუ მწყემსნი უგუნურებდეს და უფალი არა მოიძიეს, ამისგან არა გულისჴმა-ყო ყოველმან სამწყსომან მათმან, არამედ განიბნინეს.

22. ჴმაჲ სმენისაჲ აჰა ესერა მოიწევის და ძრვაჲ დიდი ქუეყანით ჩრდილოჲთ დასხმად ქალაქთა იუდაჲსთა განსარყუენელად და საბუდებელად სირთა.

23. უწყი, უფალო, რამეთუ არა კაცისაგან არს გზაჲ მისი, არცა კაცი ვიდოდის და განჰმართოს გზაჲ მისი, და წარემართნენ სლვანი მისნი.

24. გუასწავლენ ჩუენ, უფალო, [გარნა] განკითხვით და ნუ გულისწყრომით, რაჲთა არა შეგუამცირნე ჩუენ.

25. გარდაასხ რისხვაჲ შენი წარმართთა ზედა, რომელთა არა გიციან შენ, და მეუფეთა ზედა, რომელთა სახელსა შენსა არა ჰხადეს, რამეთუ შეჭამეს იაკობი და აღასრულეს [O:238 v] და საძოარი მისი მოაოჴრეს.

G

21. რამეთუ მწყემსთა იუცნობოეს და უფალი არა გამოიძიეს, ამისთჳს არა გულისხმა-ყო ყოველმან სამწყსომან და განიბნინეს.

22. ჴმაჲ სასმენელისაჲ აჰა მოვალს და ძრვაჲ დიდი ქუეყანისაგან ჩრდილოჲსა დასხმად ქალაქთა იუდაჲსთა უჩინო საქმნელად და საბუდარად სირთა.

23. უწყი, უფალო, ვითარმედ არა კაცისა არს გზაჲ მისი, არცა მამაკაცი ვიდოდის და წარჰმართოს სლვაჲ თჳსი.

24. გუასწავლენ ჩუენ, უფალო, გარნა განკითხვისა და ნუ გულისწყრომისა მიერ, რაჲთა არა შემცირებულ მყვნე ჩუენ.

25. გარდაასხ გულის-წყრომაჲ შენი წარმართთა ზედა, არმეცნიერთა შენთა, და მეფობათა ზედა, რომელთა სახ[ე]ლსა შენსა არა ხადეს, რამეთუ შეჭამეს იაკობი და მოასრულეს ისრაილი და საძოარი მისი მოაოჴრეს.

11

J

1. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემიაჲსა მიმართ უფლისა მიერ, და თქუა:

2. ისმინენთ სიტყუანი ამის შჯულისანი და ეტყოდი ყოველთა მიმართ კაცთა იუდაჲსთა და მკჳდრთა მიმართ იერუსალჱმისათა.

3. და ჰრქუა მათ: ესრეთ იტყჳს უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ: წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელმან არა ისმინნეს სიტყუანი ამის შჯულისანი,

G

1. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემიაჲს მიმართ უფლისა მიერ, და თქუა:

2. ისმინე სიტყუაჲ ანდერძისაჲ ამის და სთქუა კაცთა მიმართ იუდაჲსთა და დამკჳდრებულთა იერუსალიმს,

3. და იტყოდი მათდამი: ამათ იტ[ყ]ჳს უფალი ღმერთი ისრაილისაჲ: წყეულ იყავნ კაცი, რომელმან არა ისმინნეს სიტყუანი ამის **ანდერძისანი,**

---

21. გულისხმა-ყო O, 22. დასაბუდებულად O. 24. გუსწავლენ J, გუასწავენ O, გარნა]—J, განკითხთით O. 25. მეუფეთა] მეფეთა O. საძოვარი O, საძუარი J.

11. 1. მიერ]მარ O. 2. ისმინენთ] ისმინენით + ესე O. ეტყოდე O. მიმართ] — O. 3. არქუ O. ესრე O.

22. ძრვა W, ჩრდილოსა W. 23. ოწყით ოფალო W. 25. სახლსა W.

11. 1. სიტყვა W. ო˜ჲ W. სიტყ˜ა W. 3. იტჳს W. წყეულ] და წყეულ W. ისმინეს W.

J

4. რომელ ვამცენ მამათა თქუენთა დღესა მას, რომელსა აღმოვიყვანენ იგინი ქუეყანით ეგჳპტით საჴუმილისაგან რკინისაჲსა, და ვარქუ: ისმინეთ ჴმისა ჩემისაჲ და ყავთ ყოველი, რაჲცა მე გამცნო თქუენ, და მე ვიყო თქუენდა ღმრთად, და იყვნეთ თქუენ ჩემდა ერად,

5. რაჲთა დავამტკიცო ფიცი იგი ჩემი, რომელ ვეფუცე მამათა თქუენთა მიცემად მათა ქუეყანაჲ, რომელსა გამოსდის სძე და თაფლი, ვითარცა დღჱ ესე. და მე მიუგე და ვთქუ: იყავნ, უფალო!

6. და მრქუა მე უფალმან: ქადაგებად სიტყუათა ამათ ქალაქთა შინა იუდაჲსთა და გარემო იერუსალჱმსა და იტყოდე: ისმინენთ სიტყუანი ამის შჯულისა[ნი] და ყვენთ იგინი.

7. რამეთუ წამებით ვწამე მამათა თქუენთა დღესა მას, რომელსა აღმოვიყვანენ იგინი ქუეყანით ეგჳპტით, და მოაქადღედმდე; აღვიმსთობდი და უწამებდ და ვეტყოდე: ისმინეთ ჴმისა ჩემისაჲ!

8. და არა ისმინეს და არა მოყუნეს ყურნი მათნი, და ვიდოდა კაცად-კაცადი განმარჯუებასა გულისა მათისა უკეთურისასა, [O:239 r] და მოვავლინეთ მათ ზედა ყოველნი სიტყუანი ამის შჯულისანი, რომელ ვამცენ მათ ყოფად, და არა ყვნეს.

9. და მრქუა მე უფალმან: იპოვა ნახჭი კაცთა შორის იუდაჲსთა და მკვდრთა შორის იერუსალჱმისათა.

G

4. რომელი ვამცენ მამათა თქუენთა დღესა შინა, რომელსა აღმოვიყვანენ იგინი ქუეყანისაგან ეგჳპტისა საჴუმილისაგან რკინისა, მეტყუელმან: ისმინეთ ჴმისა ჩემისაჲ და ყვენით ყოველნი, რომელნიცა გამცნნე თქუენ და იყვნეთ ჩემდა ერად და მე ვიყო თქუენდა ღმრთად,

5. რაჲთა დავამტკიცო ფიცი, რომელსა ვეფუცე მამათა თქუენთა მიცემად მათდა ქუეყანაჲ, მადინებელი სძესა და თაფლსა, ვითარცა დღესა ამას. და მოგება-ყვეს და თქუეს: იყავნ, უფალო!

6. და თქუა უფალმან ჩემდამო: წარიკითხენ სიტყუანი ესე ქალაქთა შორის იუდაჲსთა და გარეშე იერუსალიმისა, მეტყუელმან: ისმინეთ სიტყუანი ამის ანდერძისანი და ყვენით იგინი.

7. რამეთუ წამებით უწამე მამათა თქუენთა დღესა მას, რომელსა გამოვიყვანენ იგინი ქუეყანით ეგჳპტით, და ვიდრე აქა დღედმდე, აღიმსთობდ, უწამებდ და ეტყოდე: ისმინეთ ჴმისა ჩემისაჲ!

8. და არა ისმინეს [8] და გარეწარ-ყვნეს სასმენელნი მათნი, და ვიდოდა კაცადი ნებასა გულისა თვსისა ბოროტისა, და მოვიხუენ მათ ზედა სიტყუანი ესე ამის ანდერძისანი, რომელ ვამცენ მათ ყოფად, და არა ისმინეს.

9. და თქუა უფალმან ჩემდამო: იპოვა საკრველი კაცთა შორის იუდაჲსთა და დამკვდრებულთა შორის იერუსალემს.

---

4. ვამცენ+მე O. და ვარქუ: ისმინეთ ჴმისა ჩემისაჲ] — O. ~ და იყვნეთ თქუენ ჩემდა ერად, და მე ვიყო თქუენდა ღმერთ O. 5. რაჲთა]ვითარცა O. მამათა]+მათ O. მათდა O. რომელსა] რომლისაგან O. გამოდის O. სძჱ O. ვთქუ]ვარქუ O. ყავნ O. უფალმან O. 6. ~ მაგათ სიტყუათა O. ეტყოდე O. ისმინინენით J. ისმინენით O. შჯულისა J. ყვენით O. იგი O. 7. უწამე O. თქუენთა] + მიმართ O შევწამებდი O. „და ვეტყოდე“ ჩამატებულია ზემოდან J-ში. 8. მოყვნეს O. კაცად-კაცადი] კაცი“ J. მათისა] თჳსისა O. უკეთურისა O, ყვეს J. 9. ნახჭი] ნაოჭი O. შორის] — O.

4. ჩ῀ისა W. ყუ῀ჱნით W. 5. მოგება ყუჱს W. 6. ყუჱნით W. 7. გამოვიყუანენ W 8. სიტყ῀ვნი, W. 9. თქჲ W ასეა!

J

10. მიაქციეს უშჯულოებასა მამათა მათთა პირველთასა, რომელთა არა ინებეს სმენად სიტყუათა ჩემთა, და აჰა ესერა იგენი ვლენან კუალთა ღმერთთა უცხოთასა მონებად მათა; განაქარვა სახლმან ისრაჱლისამან და სახლმან იუდაჲსმან [ფ.221] აღთქუმაჲ ჩემი, რომელ აღუთქუ მამათა მათთა.

11. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი: აჰა ესერა მე მოვავლინო მათ ზედა ძჳრი, რომელთაგან ვერ შეუ[ძ]ლონ განრინებად მათგან; ღაღადებდენ ჩემდამო და მე არა ვისმინო მათი,

12. და წარვიდენ ქალაქნი იუდაჲსნი და მკჳდრნი იერუსალჱმისანი და ღაღადებდენ ღმერთთა მათ მიმართ, რომელთა-იგი უკუმევდეს და ჴსნით ვერ იჴსნ[ნ]ენ იგინი ჟამთა მათ ჭირისა მათისათა.

13. რამეთუ სწორად რიცხუთა ქალაქთა შენთასა იყვნეს ღმერთნი შენნი, იუდა, და სწორად რიცხუთა გზათა იერუსალჱმისათა დაჰმზადენთ ბაგინნი სირცხჳლის საგებელნი კუმევად ბაალისა.

14. და შენ ნუ ილოცავ ერისა ამისთჳს და ნუ მევედრები მათთჳს ლოცვით და თაყუანის-ცემით, რამეთუ არა ვისმინო მე მათი ჟამსა მას, რომელსა მხადოდიან მე ჟამსა ჭირისა მათისასა.

15. [O:239 v] რად საყუარელმან შენმან შორის სახლსა ჩემსა ქმნა საძაგელი? აღნათქუემთა ნუ და ჴორცთა წმიდათა განგყარნენ უკეთურებანი შენნი, ანუ ამით ნუ განერე შენ?

16. ზეთის-ხილად შუენიერად, საგრილად ხილვით გიწოდა შენ უფალმან

G

10. მიიქციეს უსამართლოებათა მიმართ მამათა მათთა პირველთასა, რომელთა არა ინებეს სმენად სიტყუათა ჩემთა და აჰა ესენიცა ვლენან უკუანა ღმერთთა უცხოთასა მსახურებად მათდა, და განაქარვეს სახლმან ისრაილისამან და სახლმან იუდაჲსმან ანდერძი ჩემი, რომელი მამათა მათთა მიმართ.

11. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი: აჰა მე მოვაწინე მათ ზედა ძჳრნი. რომელთაგან ვერ შემძლებელ იყვნენ გამოსლვად მათგან, და ღაღადებდენ ჩემდამო, და არა ვისმინო მათი.

12. და ვიდოდინ ქალაქნი იუდაჲსნი და მკჳდრნი იერუსალიმისანი და ღაღადებდენ ღმერთთა მიმართ მათთა, რომელთა იგინი უკუმევენ მათ, ხოლო მათ ვერ იჴსნენ იგინი ჟამსა შინა განბოროტებისა მათისასა.

13. რამეთუ რიცხჳსაებრ ქალაქთა შენთასა იყვნენ ღმერთნი შენნი, იუდა, და რიცხჳსაებრ გამოსავალთა იერუსალიმისათა დააწესნეს ბომონნი სირცხჳლისა საკუმეველი კუმევად ბაალისა.

14. და შენ ნუ ილოცავ ერისა ამისთჳს და ნუ მევედრები მათთჳს ვედრებისა მიერ და ლოცვისა, რამეთუ არა შესმენილ იქმნენ ჟამსა შინა, რომელსა მხადოდიან მე ჟამსა შინა განბოროტებისა მათისასა.

15. რად შეყუარებულმან სახლსა შინა ჩემსა ქმნა საძაგელი? ნუ ლოცვანი და ჴორცი წმიდაჲ მოგისპობენ შენგან ბოროტთა შენთა, ანუ ამათ განარინონ?

16. ზეთის-ხილი შუენიერი, ჩრდილკეთილი ხილვით გიწოდა უფალმან სახე-

---

10. ჩემთაჲ O. კუასა O. 11. მისთჳს O. შეულონ J. 12. მათ] — O. უკუმევდეს] + მათ O. იჴსნენ J, იჴსნნეს O. 13. შენთაჲსა O. იყვნენ O. იერუსალჱმისათა] ისრაჱლისათა O. დაჰმზადნეთ O. 14. ნუ] + ცა O. 15. შენმან] მან O. შორის] ორჯერაა J-ში აღნათქუმი O. ~ და ნუ O განგყარნენ] + შენ O. 16. წინადაცუეთისა] + მისისა O. დიდი ჭირი] და ჭირი დიდი O. შენნი] მისნი O.

10. სიტყ̃ჲთა W. ალბათ, აკლია „აღუთქუ“ (*διαθέμην*) 11. ჩემ̃დმოდა W. 13. და აწესნეს W. სირცხჳილისა W. საკმეველი W. 14. ლოცჳსა W. 15. რჲ̃დ W.

J

სახელი შენი, ჴმად წინადაცუეთისა, აღა-
ტყდა ცეცხლი მას ზედა, დიდი ჭირი —
შენ ზედა, უნდო იქმნნეს რტონი შენნი.

17. უფალმან ძალთამან, რომელმან
დაგნერგა შენ, თქუა შენთჳს ძჳრი უკე-
თურებისა წილ სახლისა ისრაჱლისა და
სახლისა იუდაჲსა, რამეთუ ყვეს თავით
მათით განრისხებაჲ ჩემი, რაჲამს უკუ-
მევდეს იგინი ბაალს.
18. უფალო, გულისჴმა-მიყავ მე და
ვცნა, რამეთუ მაშინვე ვიხილენ ზაკუ-
ლებანი მათნი.
19. ხოლო მე, ვითარცა კრავმან უმან-
კომან მიგურასა ჩემსა დაკლვად, არა
ვაგრძენ. ჩემ ზედა იზრახეს ზრახვაჲ
[ბოროტი] და თქუეს: მოვედით და შეუ-
რიოთ ძელი პურსა მისსა და შევმუსროთ
იგი ქუეყანით ცხოველთაჲთ, და სახელი
მისი არღარა მოვიჴსენოთ მერმე.
20. ხოლო შენ, უფალო ძალთაო,
მსაჯულო სამართლისაო, გამომცდელო
გულთა და თირკუმელთაო, მიხილავსმცა
შენ მიერი შურის-გებაჲ მათ შორის,
რამეთუ შენდამი განვაცხადენ სამართალ-
ნი ჩემნი.
21. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი.
კაცთა ზედა ანათოთელთა, მეძიებელთა
სულისა [ფ.222] ჩემისათა, რომელნი
იტყჳან: [O : 240r] არა ჰწინაწარმე-
ტყუელებდე სახელითა უფლისაჲთა, არა
თუ მოჰკუდე ჴელთა შინა ჩუენთა.
22. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ძალ-
თაჲ: აჰა ესერა მე ძიება-ვყო მათ ზედა:
ჭაბუკნი მათნი მახჳლითა მოისრნენ, და
ძენი მათნი და ასულნი მათნი სიყმილი-
თა აღესრულნენ,

G

ლი შენი ჴმასა ზედა მეტყუეთილობისა
მისისა, აღატყდა ცეცხლი მის ზედა,
დიდი ჭირი — შენ ზედა, გინებულ იქმ-
ნეს რტონი მისნი.
17. და უფალმან ძალთამან, დამნერ-
გველმან შენმან, თქუნა შენ ზედა
ძჳრნი უკეთურებისა წილ სახლისა ის-
რაილისა და სახლისა იუდაჲსსა, რამეთუ
ქმნეს თავთა მათთად განრისხებაჲ ჩემი,
უკუმევდეს რაჲ იგინი ბაალსა.
18. უფალო, გულისხმა-მიყავ მე, და
ვცნა; მაშინ ვიხილენ სიმარჯუენი მათნი.

19. მე, ვითარცა კრავმან უმანკომან,
მიყვანებულმან დაკლვად, არა ვცან. ჩემ
ზედა ისიტყუეს გულის-სიტყუაჲ ბორო-
ტი, მეტყუელთა: მოვედით და შეურიოთ
ძელი პურსა თანა მისთა და აღვჴოცოთ
იგი ქუეყანით ცოცხალთაჲთ, და სახელი
მისი არა მოჴსენებულ იქმნეს მერმე.
20. უფალო საბაოთ, მსჯელო მართა-
ლო, გამომცდელო თირკუმელთა და გუ-
ლისაო, მიხილავსმცა შენ მიერი შურის-
გებაჲ მათ ზედა, რამეთუ შენდა მიმართ
განვაცხადე სამართალი ჩემი.

21. ამისთჳს ამას იტყჳს უფალი კაც-
თა ზედა ანათო[თ]ელთა, მეძიებელთა
სულისა ჩემისათა, მეტყუელთა: არა წი-
ნაჲსწარმეტყუელებდე სახელითა უფ-
ლისაჲთა, თუ არა მოჰკუდე ჴელთა მიერ
ჩუენთა.
22. ამისთჳს ამას იტყჳს უფალი სა-
ბაოთ: აჰა მე ზედ-მოვიხილო მათ ზედა:
ჭაბუკნი მათნი მახჳლისა მიერ მოკუდენ,
და ძენი მათნი აღესრულნენ სიყმილისა
მიერ.

---

17. წილ] თჳს O. ყვეთ J. თავით მათით] თავისა მათისა O 18. გულისხმა-მიყავ O. 19. ზრახეს O. ბოროტი] — J. "და თქუეს" ჩამატებულია J-ში. შევმუსროთ] მოვსპოთ O. მერმჱ O. 20. გამოცდელო O. ~ თირკუმელთაო და გულისაო O. განვაცხადე სამართალი ჩემი O. 21. წინაწარმეტყუელებდეს O. ჩუენთა] ჩემთა O. 22. და] — O. მათნი] — O. ~ აღესრულნენ სიყმილითა O.

17. იუდასსა W. განრისხება W. 18. სიმარჯვენი W. 19. გულის სიტყ˜ა W. მღ˜ით W. 20. თირკმელთა W. შურის გება W. 21. ანათოელთა W. ო˜ისათა W 22. მახვილისა W.

J

23. და არვინ იყოს მათგანი დაშთომილ, რამეთუ მოვავლინო ძჳრი მკჳდრთა-ზედა ანათოთისათა წელსა მას ძიებისა მათისასა.

G

23. და დანაშთომი არა იყოს მათი, რამეთუ მოვაწინე ძჳრნი მკჳდრთა ზედა ანათოთის თანა წელიწადსა მოხედვისა მათისასა.

12

1. მართალ ხარ შენ, უფალო, და მე მიგიგო შენ, ხოლო სამართალივე ვთქუა შენდამი: რაჲსათჳს გზაჲ უღმრთოთაჲ წარემართის? განიშუეს ყოველთა, რომელნი გეცრუვნეს შენ სიცრუვით?

2. დაჰნერგენ იგინი, და დაიმტკიცნეს ძირნი, შვილიერ იქმნნეს და ყვეს ნაყოფი. მახლობელ ხარ შენ პირსა მათსა და ჰშორავ თირკუმელთა მათთა.

3. და შენ, უფალო, მიცი მე, მიხილე მე, გამოჰცადე გული ჩემი წინაშე შენსა; შეკრიბენ იგინი, ვითარცა ცხოვარნი, კლვად და განწმიდენ იგინი დღესა მას დაწყუედისა მათისასა.

4. ვიდრემდის იგლოვდეს ქუეყანაჲ, და ყოველი თივაჲ ველისაჲ განჴმეს უკეთურებისაგან მკჳდრთა ქუეყანისათა? განირყუნ[ნ]ეს პირუტყუნი და მფრინველნი... უკუეთუ არა იხილნეს ღმერთმან გზანი ჩუენნი.

5. ფერჴნი შენნი რბიან და დაგაშრობენ შენ; ვითარ განემზადები შენ ჰუნეთა ზედა და ქუეყანასა მშჳდობისასა არა ესავ? ვითარ-მე ჰყო აღძ[რ]ვასა იორდანისასა?

6. რამეთუ ძმანიცა შენნი და სახლი მამისა შენისაჲ, [და] ესენიცა გეცრუვნეს შენ და იგინიცა ღაღადებდეს უკუა-

1. მართალ ხარ შენ, უფალო, რამეთუ მიგიგო შენდამი, გარნა სასჯელნი ვთქუნე შენდამი: რად რამეთუ გზაჲ უთნოთაჲ წარემართების? იეფის ყოველთა უგულებელს-მყოფელთა უგულებელს-ყოფათასა?

2. დაჰნერგენ იგინი, და განიძირეს, შვილიერ იქმნეს და ყვეს ნაყოფი. მახლობელ ხან შენ პირისა მათისა და შორს — თირკუმელთაგან მათთა.

3. და შენ, უფალო, მიცი მე, გამოსცადე გული ჩემი წინაშე შენსა, და შეკრიბენ იგინი, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი, უბიწო ჰყვენ იგინი დღისათჳს დაკლვისა მათისა.

4. ვიდრემდის იგლოვდეს ქუეყანაჲ, და ყოველნი თივაჲ ველისაჲ განჴმეს უკეთურებისაგან დამკჳდრებულთა მას ზედა? უჩინო-იქმნეს საცხოვარნი და მფრინველნი, რამეთუ თქუას: არა იხილნეს უფალმან გზანი ჩუენნი.

5. შენნი ფერჴნი რბიან და დაგჴსნიან შენ; ვითარ განემზადები ჰუნეთა ზედა და ქუეყანასა ზედა მშჳდობისასა შენ ესავ? ვითარ ჰყოფ ოხრასა ზედა იორდანისასა?

6. რამეთუ ძმანიცა შენნი და სახლი მამისა შენისაჲ, და იგინიცა გეცრუვნეს შენ და მათცა ჴმა-ყვეს უკუანისაგან შე-

---

23. არავინ] არღარა O. მათგანი] მათა O. დაშთომილ] ნეშტ O. წელსა მას ძიებისა მათისასა] — O.

12,1. სამართალი O. 2. დაემტკიცნეს O. 3. და (1)] — O. მე] + და გამოცადე O. ვითარცა ცხოვარნი, კლვად და განწმიდენ იგინი] — O. 4. განირყუნეს J. 5. ~ შენნი ფერჴნი O. აღძვასა J, აღრვასა O. და] — J. რამეთუ] რაჲამს O. შენ] — O.

23. დადანაშთომი W.

12 2. შჳლიერ W. თირკმელთ˝გნ W. 3. ჰყუჱნ W, 4. და მკჳდრებულთა W. ჩვენნი W. 6. ძმ˝ნიცაჲ W. ჴმა ყუჱს W. უკანისაგან W.

J

ნა შენსა [O:240 v] და შეკრბეს შენ ზედა; ნუ გრწამნ მათი, რამეთუ გეტყოდიან შენ კეთილსა.

7. დაუტევე სახლი ჩემი და დავაცადე სამკჳდრებელი ჩემი, მივეც საყუარელი სული ჩემი ჴელთა მტერთა მისთასა.

8. იქმნა სამკჳდრებელი ჩემი ჩემდა, ვითარცა ლომი მაღნარსა შინა, გამოსცა ჴმაჲ მისი ჩემ ზედა, ამისთჳს მოვიძულე იგი.

9. ჴურელი ნუ აფთრისაჲ არს სამკჳდრებელი ჩემი ჩემდა, ანუ ქუაბი ნუ არს გარემო მისსა? წარვედით, შეკრიბენთ... ყოველნი მჴეცნი ველისანი, და მოვიდედ ჭამად მისა.

10. მწყემსთა მრავალთა განრყუნეს საყურძენი ჩემი, მისცეს ნაწილი იგი ჩემი გულის-სათქუმელი უდაბნოდ უგზოდ,

11. იქმნა იგი განსარყუნელად წარსაწყმედელისად. ჩემთჳს განრყუნით განირყუნა ყოველი ქუეყანაჲ, რამეთუ [ფ. 223] არა არს კაცი, რომელმანმცა დაიდვა ესე გულსა თჳსსა.

12. ყოველთა ზედა ალაგთა უდაბნოჲსათა მოვიდეს დაგლახაკებულნი უდაბნოსა ზედა, რამეთუ მახჳლმან უფლისამან შეჭამოს კიდითგან ქუეყანისაჲთ მიკიდედმდე ქუეყანისა, არა არს მშჳდობაჲ ყოველსა ჴორციელსა.

13. ითესეთ იფქლი და ეკალსა მოიმკით; ნაწილნი თქუენნი არასარგებელ გეყვნენ თქუენ, გრცხუენოდენ სიქადულისაგან თქუენისა, ყუედრებისაგან წინაშე ღმრთისა,

G

ნისა, ზედა შეკრბეს; ნუ ირწმუნებ მათდამი, რამეთუ იტყოდინ შენდამი მშჳდობითა.

7. დაუტევე სახლი ჩემი და დავაგდე სამკჳდრებელი ჩემი, მივეც შეყუარებული სული ჩემი ჴელთა მტერთა მისთასა.

8. იქმნა სამკჳდრებელი ჩემი ჩემდა, ვითარცა ლომი მაღნარსა შინა, მოსცა ჩემ ზედა ჴმაჲ მისი, ამისთჳს მოვიძულე იგი.

9. ნუ ქუაბი აფთრისაჲ სამკჳდრებელი ჩემი ჩემდა, ანუ ქუაბი გარემოჲს მისსა? მას ზედა ვიდოდეთ, შეკრიბენით ყოველნი მჴეცნი ველისანი, და მოვიდენ ჭამად მისსა.

10. მწყემსთა მრავალთა განრყუნეს ვენაჴი ჩემი, შეაბილწებდეს ნაწილსა ჩემსა, მისცეს ნაწილი გულის-სათქუმელი ჩემი უდაბნოდ მიუალად.

11. დაიდვა უჩინო საქმნელად წარწყმედისა. ჩემ მიერ უჩინო ყოფითა უჩინო იქმნა ყოველი ქუეყანაჲ, რამეთუ არა არს მამაკაცი, დამდებელი გულსა შინა.

12. ყოველთა ზედა ალაგთა უდაბნოსა შორის მოვიდეს საარებულნი, რამეთუ მახჳლმან უფლისამან შეჭამოს კიდითგან ქუეყანისაჲთ და ვიდრე კიდემდე ქუეყანისა, არა არს მშჳდობაჲ ყოვლისა ჴორცისა.

13. სთესენით იფქლი და ეკალნი მოიმკენით; ნაწილნი მათნი არსარგებელ ეყვნენ მათ, სირცხჳლეულ იქმნენით სიქადულისაგან თქუენისა, ყუედრებისაგან წინაშე უფლისა.

---

7. ჩემი] შენი O. ვაცადე O. 8. მაღნარსა] მდინარესა O. ჩემ ზედა] — O 9. არსა O. წარვედით] + და O. შეკრიბენით O. მოვედით O. 10. მისცეს] შეაგინეს O. იგი] — O. 11. განირყონა J. 12. მშჳდობა O. 13. მოიმკიდით O. ნაწილი თქუენი O. არაჲ O. თქუენისა] + და O. ყუედრებისაგან] ყუდროებისაგან J.

7. მე ვეც W 8. მოვიძულენ W. 9. გარემოს W. 10. გულის სათქმელი W. 11. საქნელად W. უჩინოყოფითა W.

J

14. რამეთუ ესრეთ იტყჳს უფალი: ყოველთათჳს მოძმეთა თქუენთა უკეთურთა მწყემსთა, რომელნი ავნებენ სამკჳდრებელსა ჩემსა, რომელ განუყ[O:241r]ავ ერსა ჩემსა ისრაჱლსა: აჰა ესერა მე ალვიხუნე იგინი ქუეყანით მათით და სახლი იუდაჲსი გამოვიყვანო შორის მათსა.

15. და იყოს, რაჟამს გამოვიყვანნე მე იგინი, მოვაქციო და შევიწყალნე იგინი და დავაშენნე იგინი თითოეულად სამკჳდრებელსა მათსა და კაცად-კაცადი ქუეყანასა თჳსსა.

16. და იყოს, და ასწაონ თუ სწავლით ერსა ჩემსა გზაჲ ჩემი ფიცად სახელითა ჩემითა, ვითარმედ: „ცხოველ არს უფალი“, ვითარცა-იგი ასწავეს ერსა ჩემსა ფიცად ბაალისა, აღეშენნენ იგინი შორის ერსა ჩემსა.

17. უკუეთუ არა მოიქცენ, მოვსპო ნათესავი იგი მოსპოლვით და წარწყმედით, თქუა უფალმან.

G

14. რამეთუ ამათ იტყჳს უფალი: ყოველთათჳს მეზობელთა ბოროტთა, შემხებელთა სამკჳდრებელისა ჩემისათა, რომელი განვიკერძე ერი ჩემი ისრაელი: აჰა მე აღვიხუნე იგინი ქუეყანისაგან მათისა და სახლი იუდაჲსი გამოვიყვანო შორის მათსა.

15. და იყოს, შემდგომად გამოყვანებისა მათისა ჩემგან, მოვაქციო და შევიწყალნე იგინი და დავამკჳდრნე იგინი კაცადი სამკჳდრებელსა ზედა თჳსსა და კაცადი ქუეყანასა ზედა თჳსსა.

16. და იყოს, უკუეთუ მსწავლელთა ისწავონ გზაჲ ერისა ჩემისაჲ ფუცვად სახლისა მიმართ ჩემისა: „ცხოველ არს უფალი“, ვითარცა ასწავეს ერსა ჩემსა ფუცვად ბაალისა მიმართ და აღეშენნენ საშუალ ერისა ჩემისა.

17. ხოლო არა თუ მოიქცენ, და მოვსპო ნათესავი იგი მოსპობით და წარწყმედით, თქუა უფალმან.

13

J

1. ესრე მრქუა მე უფალმან; წარვედ, მოიგე შენდად სახუეველი მჩურისაჲ და იხვე წელთა შენთა, წყლითა არა განრცხეს იგი.

2. და მოვიგე სახუეველი, ვითარცა მრქუა მე უფალმან, და შევიხვე წელთა ჩემთა.

3. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო მეორედ, და მრქუა მე:

4. აღიღე სახუეველი ეგე შენი, რომელ მოიგე, რომელ არს წელთა შენთა

G

1 ესრეთ იტყოდა უფალი ჩემდამო: ვიდოდე და მოიგე თავისა შენისა გარემოსარტყმელი სელისაჲ და გარემოიდევ გარემო წელთა შენთა, და წყალსა შინა არა განვიდეს.

2. და მოვიგე მოსარტყმელი სიტყჳსაებრ უფლისა და მოვიდე წელთა გარემო ჩემთა.

3. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, მეტყუელი:

4. მოიღე მოსარტყმელი გარემოჲსი წელთა შენთაჲ და აღდეგ და ვიდოდე

---

14. ესრე O. მოძმეთა] მეძულეთა O. 15. გამოყვიყვანნე O. მოვაქცინე O. დავაშჱნნე O. მათსა]თჳსსა O. 16. და] — O. ასწაოს O. ერსა ჩემსა გზაჲ] გზაჲ ჩემი ერსა ამას ჩემსა O ასწავენ O. აღეშჱნნეს O. 17. მოიქცეს O. წარწყმედით] + წარსწყმდეთ O.

13.1. იხვე] შეიხვე O. განირცხეს O. 4. ეგე] — O. რომელი O. ევფრატისასა O.

14. ასეა. მთისაჲ W. გ῀მოვიყუანო W. 15. გ῀მოყუანებისა W. 16. ჩ῀ისა W. 17. დამოვსპო W. თქვა W ოფალმ῀ნ W.

13.1. სელისა W.

J

ზედა, და აღდეგ და მივედ შენ კიდესა ევფრატისასა და დამალე იგი მუნ ჴურელსა შინა კლდისასა.

5. და მივედ [და] დავმალე იგი კიდესა ევფრატისასა, ვითარცა მამცნო მე უფალმან.

6. და იყო შემდგომად მრავლისა დღისა და მრქუა მე უფალმან: აღდეგ და მიგუალე ევფრატად და მოიღე მიერ სახუეველი იგი, რომელ გიბრძანე შენ დამარხ[O:241 v]ვად მუნ.

7. და წარვედ ევფრატად, აღმოვთხარე და მოვიღე სახუეველი იგი მიერ ადგი[ფ. 224]ლით, სადა-იგი მუნ დამეფლა; და აჰა იყო იგი მუნ განრყუნილ, რომელ რადვე არღარა საჴმარ იყო.

8. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო და მრქუა მე:

9. ესრე იტყჳს უფალი: ესრე განვრყუნე გინებაჲ იუდაჲსი და გინებაჲ იერუსალჱმისაჲ,

10. მრავალი ესე გინებაჲ, ერი ესე უკეთური, რომელთა არა ინებეს სმენად სიტყუათა ჩემთა და ვლენან განმარჯუებასა გულისა მათისა უკეთურისასა, და რომელნი ვლენან კუალსა ღმერთთა უცხოთასა მონებად მათა და თაყუანის-ცემად მათა, და იყვნენ, ვითარცა სახუეველი ესე, რომელ არღარა საჴმარ იყოს მერმე რადვე.

11. რამეთუ შეეხვის სახუეველი წელთა კაცისათა, ეგრე შემოვიახლე მე სახლი ისრაჱლისაჲ და ყოველი სახლი იუ-

G

ევფრატად მიმართ და დამალე ეგე მუნ სიჴურელსა შინა კლდისასა.

5. და წარვედ და დავმალე იგი ევფრატსა ზედა, ვითარცა მამცნო მე უფალმან.

6. და იყო შემდგომად დღეთა მრავალთა, და თქუა უფალმან ჩემდამო: აღდეგ, ვიდოდე ევფრატად მიმართ და აღიღე მუნით მოსარტყმელი, რომელი გამცენ შენ დამალვად მუნ.

7. და წარვედ ევფრატად მიმართ მდინარედ და ვთხარე და მოვიღე მოსარტყმელი ადგილისაგან, რომელსა დავჰფალ იგი მუნ; და აჰა განხრწნილ იყო, რომელი არა იჴმაროს არარად.

8. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო მეტყუელი.

9. ამათ იტყჳს უფალი: ესრეთ განვხრწნა გინებაჲ იუდაჲსი და გინებაჲ იერუსალიმისაჲ,

10. ქალაქისაჲ ამის და ერისა ჩემისა გინებაჲ, არმნებებელთა სმენად სიტყუათა ჩემთა და მრავალთა ნებასა გულისა მათისათა უკუანა ღმერთთა უცხოთასა მსახურებად მათდა და თაყუანის-ცემად მათდა, და იყვნენ, ვითარცა მოსარტყმელი ესე, რომელი არა იჴმაროს არარად.

11. რამეთუ ვითარ-იგი მოსარტყმელი წელთა ზედა კაცისათა, ეგრეთ შემოვიახლე თავისა მომართ ჩემისა სახ-

---

5. და (2)]—JO. კიდესა ევფრატისასა და დამალე იგი მუნ ჴურელსა შინა კლდისასა და მივედ [და] დავმალე იგი] — O, ევფრათისასა O. 6. ~ მრავლისა. დღისა შემდგომად O. და (2)] — O. „და იყო მრავლისა დღისა შემდგომად მრქუა მე უფალმან“ გამეორებულია ორჯერ O-შია. ევფრათად O. რომელი O. დამარხვად] და დამალვად O. 7. ევფრათად + და O. „აღმოვთხარე“-ს მეორე ანი ზემოთ აწერია O-ში. მუნ დამეფლა] დამეფარა მუნ O. ფ ჩამატებულია J-ში. ~ იგი იყო O. მუნ] — O. რაადვე J. არღარა] არად O.

8. იერუსალჱმისაჲ] ისრაჱლისაჲ O. 10. ესე]—O. გინებად O, ანი ზემოთ აწერია. მათისასა O. უკეთურისასა] — O. რადადვე J, ~ რადვე მერმე O. 11. შეიხვის O. სახუეველითა O. კაცისთა J. ისრაჱლისაჲ და ყოველი სახლი იუდაჲსი] იუდაჲსი და ისრაჱლისაჲ O. სიქადულად O. სდ͠ბლად J, და სადიდებელად] — O.

6. ყოვლად (ყ͠დ) W. თქ͠ა W. 7. არა რად W. 8. სიტყვა W. 9. განვხრწნაჲ W. იჱრლიმისა W. 10. მავალთაჲ W. უკანა W. 11. არა რად W. იჱლისა W. ღბჲდ W.

J

დაჲსი, თქუა უფალმან, ყოფად ერთად სახელოვნად და საქადულად და სადიდებელად, და არა ისმინეს ჩემი.

12. და აწ ჰრქუა ერსა ამას სიტყუაჲ ესე: ესრე იტყჳს უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ: ყოველი თხიერი აღივსოს ღჳნითა. და იყოს, უკეთუ გრქუან შენ: ვერ ვცანთ ცნობით, რამეთუ ყოველი თხიერი აღივსოს ღჳნითა?

13. და ჰრქუა მათ: ესრე იტყჳს უფალი: აჰა ესერა მე აღვავსნე ყოველნი მკჳდრნი ამის ქუეყანისანი და მეფენი, რომელნი სხენან ძენი დავითისნი საყდართა ზედა მისთა და მღდელნი და წინაწარმეტყუელნი [O:242 r], და იუდაჲ და ყოველნი მკჳდრნი იერუსალჱმისანი აღვავსნე მთრვალობითა.

14. და განვაბნინე იგინი კაცი ძმისაგან და მამანი მათნი ერთბამად, იტყჳს უფალი: არღარა მეწყალოდიან და არცა ვჰრიდო [და არცა შევიწყალნე] განჴრწნისაგან მათისა.

15. ისმინეთ და ყურად-იღეთ და ნუ აღჰმაღლდებით, რამეთუ უფალი იტყოდა.

16. მიეცით დიდებაჲ უფალსა ღმერთსა ჩუენსა ვიდრე შერიჟუებადმდე და ვიდრე წარკუეთად ფერჴთა თქუენთა მთათა ზედა დაბნელებულთა, მოელოდეთ ნათელსა და მუნ იყოს აჩრდილი სიკუდილისაჲ და დაისხნეთ ბნელად.

17. და თუ არა ისმინოთ მისი, დაფარულად ტიროდის სული თქუენი პირისაგან გინებისაჲსა და ცრემლოით ცრემლოოდის და გარდამოსთხინენ თუალთა

G

ლი ისრაილისაჲ და ყოველი სახლი იუდაჲსი, თქუა უფალმან, ყოფად ჩემდა ერად სახელოვნად, სიქადულად და დიდებად, და არ შეისმინეს ჩემი.

12. და სთქუა ერისა მიმართ სიტყუაჲ ესე: ამას იტყჳს უფალი ღმერთი ისრაილისაჲ; ყოველი თხიერი აღივსოს ღჳნითა. და იყოს, უკუეთუ თქუან შენდამი: არმცნობთა ვერ ვცანით, ვითარმედ ყოველი თხიერი აღივსოს ღჳნითა.

13. და სთქუა მათდამი: ამათ იტყჳს უფალი: აჰა მე აღვავსებ ყოველთა დამკჳდრებულთა ამის ქუეყანისათა და მეფეთა მათთა, მსხდომარეთა ძეთა დავითისთა საყდართა ზედა მისთა და მღდელთა და წინაჲსწარმეტყუელთა და იუდას და ყოველთა დამკჳდრებულთა იერუსალიმს მთრვალობითა,

14. და განვაბნევ მათ და მამაკაცსა და ძმასა მისსა და მამათა მათთა და ძეთა მათთა მის შორის. არა ვისურვო, იტყჳს უფალი, და არა ვერიდო და არა შევიწყალნე განხრწნისაგან მათისა.

15. ისმინეთ და ყურად-იღეთ და ნუ აღჰმაღლდებით, რამეთუ უფალი იტყოდა.

16. მიეცით უფალსა ღმერთსა ჩუენსა დიდებაჲ პირველ შერიჟუებისა და პირველ წარკუეთებისა ფერჴთა თქუენთა მთათა ზედა ბნელთა, და მოელოდით ნათელსა, და მუნ აჩრდილი სიკუდილისაჲ და დაისხნეთ სიბნელედ.

17. არა თუ ისმინოთ და ფარულად ტიროდეს სული თქუენი პირისა გინებისათა, და ცრემლოოდეთ ცრემლით, და გარდამოადინნეთ თუალთაგან თქუენ-

12. ჰრქუა] არქუ O. ვერ] + ნუ O. 13. და ჰრქუა მათ] — O. რომელ O. იერუსალჱმისანი ისრაჱლისანი O. 14. არღარა მეწყალოდიან] არა მწადიან O. არცა ვჰრიდო] არა ვერიდო O, და. არცა შევიწყალნე] — J. 15. აჰმაღლდებით O. 16. ~ უფალსა ღმერთსა ჩუენსა დიდებაჲ O] წარკუეთად] + მდე O. მთასა O. მოველოდით J, ისხნეთ O. 17. თუ] უკუეთუ O. მისი] ჩემი O. ცრემლოით] — O. გარდამოსთხინნეთ J, გარდამოსთხინეს O.

12. სიტყვა W. იტყვიი W. იჱლისა W. ღვსითა W. უკეთუ W. თქვან W. 13. დამკვდ რაბულთა W. 15. და ნუ]დანუ W. 16. გამოელოდნით W. მუნაჩრდილი W. დი´სხნნ W. 17. თუთსმინო W. გარდამოადინეთ W სამწყსო W.

J

თქუენთა ცრემლი, რამეთუ შეიმუსრა სამწყსოჲ უფლისაჲ.

18. არქუთ მეფესა და რომელნი მჳძლავრ[ფ. 225]ობდენ თქუენ: დამდაბლდით და [და]სხედით, რამეთუ აღგძარცუა თავისაგან თქუენისა გჳრგჳნი დიდებისა თქუენისაჲ.

19. ქალაქნი ბღუარით კერძონი დაიჴშნეს, და არავინ იყო განმღებელ წარიტყუენა იუდაჲ, აღასრულეს აღფხურაჲ, სრულიადი მისაგებელისაჲ.

20. აღიხილენ თუალნი შენნი, იერუსალჱმ, და იხილენ მომავალნი ჩრდილოჲთ. სადა არს სამწყ[ს]ოჲ შენი, რომელ მოცემულ იყო შენდა, ცხოვარნი დიდებისა შენისანი?

21. რაჲ სთქუა, ოდეს აღგი[O:242v]ხილვიდენ შენ? და შენ ასწავე მათ შენ ზედა მოძღურებაჲ დასაბამად შენდა. სალმობათა შეგიპყრან შენ, ვითარცა დედაკაცი მშობელი.

22. და [თუ] სთქუა გულსა შინა შენსა: რაჲსათჳს შემემთხჳნეს მე ესე? — სიმრავლისათჳს უშჯულოებისა შენისა აღგეკეცა ქუე-ქუემოჲ შენი განსაქიქებელად ტერფთა შენთა.

23. უკუეთუ ცვალოს ჰინდომან ტყავი თჳსი და ვეფხმან სიჭრელე თჳსი, თქუენცა უძლოთ კეთილისა საქმედ, რომელთა გისწავიეს ძჳრი.

24. და განგაბნინე თქუენ, ვითარცა ქარქუეტნი, წარმოტაცებულნი ქარისაგან უდაბნოდ.

25. ესე არს ნახუედრები შენი და ნაწილი ურჩებისა შენისაჲ ჩემდამო, იტ-

G

თა ცრემლნი, რამეთუ შეიმუსრა სამწყსოჲ უფლისაჲ.

18. არქუთ მეფესა და მმძლავრებელთა: დამდაბლდით და დასხედით, რამეთუ დაიჴსნა თავისაგან თქუენისა გჳრგჳნი დიდებისა თქუენისაჲ.

19. ქალაქნი ბღუარით კერძონი შეიჴშნეს, და არა იყო განმღები, გარდაისახლა იუდაჲ, აღასრულა გარდასახლებაჲ სრული.

20. აღიხუენ თუალნი შენნი, იერუსალიმ, და იხილენ მომავალნი ჩრდილოჲთ. სადა არს სამწყსოჲ, რომელი მიგეცა შენ. ცხოვარნი დიდებისა შენისანი?

21. რაჲ სთქუა, ოდეს აღგ[იხი]ლვიდენ შენ? და შენ ასწავენ მათ შენ ზედა სასწავლელნი დასაბამად. სალმობათა მოგიცვან შენ, ვითარცა დედაკაცი მშობი.

22. და უკუეთუ სთქუა გულსა შინა შენსა: რაჲსათჳს დამემთხჳნეს მე ესენი?—სიმრავლისათჳს უსამართლობისა შენისა აღგესაბურველნეს უკუანა კერძონი შენნი. განსაქიქებელად ქუსლთა შენთა.

23. უკუეთუ ცვალოს ეთიოპე[ლ]მან ტყავი თჳსი და ვეფხმან სიჭრელენი მისნი, თქუენცა შეუძლოთ კეთილისა ქმნაჲ, მოსწავლეთა ბოროტთასა.

24. და განვხრწნენ იგინი, ვითარცა ქა[რ]ქუეტი, მოღებული ქარისაგან უდაბნოდ.

25. ესე არს ნაწილი შენი და ხუედრი ურჩებისა თქუენისაჲ ჩემდა, იტყჳს

---

18. არქუ J. მგძლავრობენ O. სხედით J. აღგძარცუა] მიგჴდა O. დიდებისაჲ O. 19. დაიჴშნენ O. იდოს O. აფხურაჲ O. სრულიად O. 20. სამწყოჲ J. რომელი O. დიდებისა] სამწყსოჲსა O. 21. აღგიხილვიდეს O. შენ ასწავე] შეასწავე J. 22. თუ] — J. შიდა O. მრავლისათჳს O. აღგიკეცნა O. ქუე-ქუემონი O. შენი] — O. ტერფთა] ტრფიალთა J. 23. თჳსი] + და O. საქმჱ O. 24. განიბნინეთ O. წარტაცებულნი O. უდაბნოჲთ O. 25. ნახუედრებელი O. შენისაჲ] თქუენისაჲ O. დამივიწყეთ O. ესევდით O. სიცრუვეთა O.

18. და მდაბლდით W. და იჴსნა W. თქ˜ნისა W. 19. ბ˜ლორით W იუდა W. 20. ჩრდილოთ W. 21. აღგლვიდენ W. და საბამად W. 22. დამემთხუნეს W. აღგესაფურველნეს W. 23. ეთიოპ˜ემნ W 24. ქაქუეტი W.

J

ყჳს უფალი, რამეთუ დამივიწყე მე და
ესევდი სიცრუვესა,

26. და მე წარგკეცნე ქუე-ქუემონი
შენნი პირად შენდა, და გამოჩნდეს გი-
ნებულებაჲ შენი,

27. მრუშებაჲ შენი და ბოლბოლებაჲ
შენი და უცხოებაჲ სიძვისა შენისაჲ.
ბორცუთა ზედა და ველთა შინა ვიხილე
საძაგელებაჲ იგი შენი. ვაჲ შენდა, იერუ-
სალჱმ, რამეთუ არა განჰწმიდნი შემდ-
გომად ჩემსა, ვიდრემდის იყოს შენდა
მერმე?

G

უფალი, ვითარცა დამივიწყე მე და ესევ-
დი ცრუთა მიმართ,

26. და მეცა აღვსაბურველნე უკუა-
ნა კერძონი შენნი წინაშე პირსა შენსა,
და იხილოს გინებულებაჲ შენი,

27. და მრუშებაჲ შენი და ჭკვილი
შენი და უცხო-ქმნულებაჲ სიძვისა შე-
ნისაჲ. ბორცუთა ზედა და ველთა შორის
ვიხილენ საძაგელნი შენნი. ვაჲ შენდა,
იერუსალემ რამეთუ არა განსწმდი უკუ-
ანა ჩემსა, ვიდრემდის იყო შენ?

14

1. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იერე-
მიაჲსა მიმართ გუალვისათჳს.

2. მგლოვარე იქმნა ჰურიასტანი, და
ბჭენი მისნი დაცუდნეს, დაბნელდა ქუე-
ყანასა ზედა, და ღაღადებაჲ იერუსალჱ-
მისაჲ აღმაღლდა.

3. და მდიდართა მათთა წარავლინნეს
ჭაბუკნი მათნი წყლის. რამეთუ მივიდეს
ჯურღმულებსა [O:243 r] და არა პოვეს
წყალი [და] მიაქცინნეს სარწყულნი
მათნი ცუდნი და ჰრცხუენა და კდემულ
იქმნნეს, აღმოიბურნეს თავთა მათთა.

4. და საქმეთა ქუეყანისათა მოაკლ-
და, რამეთუ არა იყო წჳმაჲ ქუეყანასა
ზედა, [ჰრცხუენა მოქმედთა ქუეყანი-
სათა] და აღმოიბურნეს [ფ. 226] თავსა
მათსა,

5. და ირემნიცა იზუნეს ველსა გარე
და დაუტევნეს ნუკრნი, რამეთუ არა იყო
მწუანე.

1. სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელი იყო
იერემიაჲს მიმართ უწჳმოებისათჳს:

2. იგლოვა იუდეამან, და ბჭენი მის-
ნი დაცალიერდეს, და დაბნელდეს ქუე-
ყანასა ზედა, და ღაღადებაჲ იერუსა-
ლიმისაჲ აღვიდა,

3. და დიდ-დიდთა მისთა წარავლინ-
ნეს ჭაბუკნი მათნი მერწყულად. მივი-
დეს ჯურღმულთა ზედა და ვერ პოვეს
წყალი და მიაქცინეს ჭურჭელნი მათნი
ცალიერად, ჰრცხუენა და კდემულ იქმ-
ნნეს და დაიფარნეს თავნი მათნი,

4. და საქმენი ქუეყანისანი მოაკლდეს
რამეთუ არა იყო წჳმაჲ, სირცხვლეულ
იქმნნეს მუშაკნი, დაიფარნეს თავნი
მათნი,

5. [და] ირემნი ველთა ზედა იზუებ-
ვოდეს და დაუტევებდეს, რამეთუ არა
იყო მწუანე.

---

26. წარგკეცნე] წარგაქცინე O. (მცდ.) 27. მრუშებაჲ შენი და ბოლბოლებაჲ შენი] — O. უცხოებაჲ] ურცხჳნოებაჲ O (მცდ.). შინა] + და O. განჰწმიდნი] განგწმიდე + შენ O. ჩემთა O. მერმე] — O.

26. უკანა W. 27. დაჭუკვილი W. სიძჳსა W. იჱრუსალემ W. უჯანა W.

14.2. მგლოარე O. დაცუდნეს]. დაცჳვნეს O. დაჰბნელდა J, და—]O, ამაღლდა O. 3. მდიდარ-თა] მღინარეთა O. (მცდ.) რამეთუ] — O. და (3)] — J მიაქცინეს O. აღმოიბურეს O. 4. და(1) — O. ქუეყანისათა J. ჰრცხუენა მოქმედთა ქუეყანისათა] — J. აღმოიბურეს თავეთა მათთა O. 5. გარე] შინა O.

14,4. იქმნეს W. და იფარნეს W. 5. და (1)] — W.

J

6. კანჯარნი დადგეს ველთა ზედა და წოვდეს ქარსა, ვითარცა ვეშაპნი, მოაკლდა თუალთა მათთა, რამეთუ არა იყო თივაჲ.

7. უკუეთუ ცოდვანი ჩუენნი წინააღმიდგებიან ჩუენ, უფალო, ყავ წყალობა სახელისა შენისათჳს, რამეთუ მრავალ არიან ცოდვანი ჩუენნი წინაშე შენსა, [რამეთუ შენ შეგცოდეთ.].

8. თმენაო ისრაჱლისაო], უფალო, გჳჴსნენ ჩუენ ჟამსა ჭირისასა. რაჲსათჳს იქმენ, ვითარცა მსხემი ქუეყანასა ზედა და ვითარცა მკჳდრიღა მიაქცევნ საყოფლად თჳსა?

9. ნუ იყოფი, ვითარცა კაცი მძინარჱ და ვითარცა მამაკაცი, ვერ შემძლებელი განრინებად. და შენ ჩუენ შორის ხარ, უფალო, და სახელი შენი წოდებულ არს ჩუენ ზედა; ნუ დაგჳვიწყებ ჩუენ.

10. ესრე იტყჳს უფალი ერისა ამისთჳს: შეიყუარეს ძრვაჲ ფერჴთა მათთაჲ და არა ჰრიდეს, და ღმერთმან არა ინება მათ შორის, აწ მოიჴსენოს უშჯულოებათა მათთაჲ და აღხილვა-ყოს ცოდვათა მათთაჲ.

11. და მრქუა მე უფალმან: ნუ ილოცავ ამის ერისათჳს კეთილობად,

12. ხოლო იმარხვიდენ ღათუ, არავე ვისმინო ლოცვისა მათისაჲ, და შე-ღათუ-წირნენ მრგულიად-დასაწ[O : 243v]-უველნი საკუერთხთანი, არა მთნდენ იგინი, არამედ მახჳლითა და სიყმილითა და სიკუდილითა მე მოვასრულნე იგინი.

G

6. ვირნი ველურნი დადგეს ბორცუთა ზედა, მოიზიდნეს ქარნი, ვითარცა ვეშაპმან; მოაკლდა თუალთა მათთა, რამეთუ არა იყო თივაჲ.

7. უკუეთუ ცოდვანი შენნი წინადამიდგეს ჩუენ, უფალო, მყვენ ჩუენ სახელისა შენისათჳს, რამეთუ მრავალ არიან ცოდვანი ჩუენნი წინაშე შენსა, შენ შეგცოდეთ.

8. თმენაო ისრაილისაო, უფალო, დაგჳჴსნი ჟამსა შინა ბოროტსა. რაჲსათჳს იქმენ, ვითარცა რაჲ მსხემი ქუეყანასა ზედა და ვითარცა მის ქუეყანისა მიმქცევი სავანედ?

9. ნუ იყოფი, ვითარცა კაცი მძინარი ანუ ვითარცა მამაკაცი, [ვერ]შემძლებელი განრინებად. და შენ ჩუენ შორის ხარ, უფალო, და სახელი შენი ზედ-წოდებულ არს ჩუენ ზედა, ნუ დამივიწყებ ჩუენ.

10. ესრეთ ეტყჳს უფალი ერსა ამას: შეიყუარეს ძრვაჲ ფერჴთა მათთაჲ და არა ჰრიდეს და ღმერთმან არსათნო ყო მათ შორის, აწ მოიჴსენოს უშჯულოებათა მათთაჲ და ზედ-მიიხილოს ცოდვათა მათთაჲ.

11. და თქუა უფალმან ჩემდამო: ნუ ილოცავ ერისა ამისთჳს საკეთილოდ,

12. რამეთუ, უკუეთუ იმარხვიდენ, არა ვისმინო ვედრებისა მათისაჲ, და უკუეთუ შემოსწირვიდენ ყოვლად-დასაწუელთა და მსხუერპლთა, არა სათნო ვიყო მათ შორის, რამეთუ მახჳლისა მიერ და სიყმილისა და სიკუდილისა მე მოვასრულნე იგინი.

---

6. და დაუტევნეს ნუკრნი, რამეთუ არა იყო მწუანე, კანჯარნი დადგეს ველთა ზედა] — O. („თივაჲ“-ს გვერდზე: სკთხ ლც (?) 7. წყალობაჲ O. 8. რამეთუ შენ შეგცოდეთ. თმენაო ისრაჱლისაო] — J. იქმნა O. მკჳდრი O. მიაქცევნ] — აქცევნ + ღამჱსა O. თჳსად O. 9. იყოფინ O. მძინარე O. 10. შეიყუარჱს O. ჰრიდეს] ესვიდეს O. ახილვა-ყოს O. 11. ამის ერისათჳს] ერისა ამისათჳს O. 12. შე-ღათუ-წირონ O. არა] + ვე O.

6. ბორცვთა W. თივა W. 7. წინა და მიდგეს W. მყუჱნ W. 10. მათთა W. 12. იმარხვდენ W.

J

13. რამეთუ ვთქუ: რომელი-ეგე ხარ თავადი უფალ, აჰა ესერა წინაწარმეტყუელნი მათნი უთხრობენ მათ, ვითარმედ: არა იხილოთ მახჳლი, და სიყმილი არა იყოს თქუენ შორის, არამედ ჭეშმარიტებაჲ და მშჳდობაჲ მოვსცე ქუეყანასა და ადგილსა ამას.

14. და მრქუა მე უფალმან: ცილსა [წინაწარმეტყუელნი] წინაწარმეტყუელებენ სახელითა ჩემითა, არა მივავლინენ იგინი და არა ვამცენ მათ და არცა ვიტყოდე მათ მიმართ, რამეთუ ხილვათა ტყუილისათა და ცუდისათა და ნებათა გულისა მათისათა გიწინაწარმეტყუელებენ თქუენ.

15. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი: წინაწარმეტყუელნი, რომელნი წინაწარმეტყუელებენ სახელითა ჩემითა, და მე არა მივავლინენ იგინი, რომელნი-იგი იტყჳან: მახჳლი და სიყმილი არა იყოს ქუეყანასა ამას ზედა, — სიკუდილითა და სენითა წრდიალითა და მახჳლითა და სიყმილითა აღესრულნენ წინაწარმეტყუელნი იგი.

16. და ერი ეგე, რომელთა იგინი უწინაწარმეტყუელებდენ მათ, და იყჳნენ დაგდებულ გზათა ზედა იერუსალჱმისთა პირისაგან მახჳლისა და სიყმილისა, და არავინ იყოს [ფ.227] მფლველ მათა, [O:244 r] იგინი და ცოლნი მათნი და ძენი მათნი და ასულნი მათნი, და გარდავასხა მათ ზედა ძჳრი მათი.

17. და ვჰრქუა მათ სიტყუაჲ ესე: გარდამოადინნედ თუალთა თქუენთა

G

13. და ვთქუ: მყოფო უფალო მეუფეო, აჰა წინაჲსწარმეტყუელნი მათნი წინაჲსწარმეტყუელებენ და იტყჳან: არა იხილოთ მახჳლი, და სიყმილი არა იყოს თქუენ შორის, რამეთუ ჭეშმარიტებაჲ და მშჳდობაჲ მივსცე ქვეყანას ზედა და ადგილსა ამას შინა.

14. და თქუა უფალმან ჩემდამო: ცილსა წინაჲსწარმეტყუელებენ წინაჲსწარმეტყუელნი სახელსა ზედა ჩემსა, არა მივავლინენ იგინი და არა ვამცენ მათ და არა ვიტყოდე მათდა მიმართ, რამეთუ ხილვათა ცრუთა და მისნობათა და სახრვათა და აღრჩევათა ჷულისა მათისათა გაწინაჲსწარმეტყუელებენ თქუენ იგინი.

15. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი წინაჲსწარმეტყუელთათჳს, მწინაჲსწარმეტყუელებთა სახელითა ჩემითა, და მე არა მივავლინენ იგინი, რომელნი იტყჳან: მახჳლი და სიყმილი არა იყოს ქუეყანასა ამას ზედა, სიკუდილისა მიერ, ვითარცა ვიტყჳ, მოკუდენ და სიყმილისა მიერ მოესრულნენ წინაჲსწარმეტყუელნი.

16. და ერი, რომელთა ეგენი უწინაჲსწარმეტყუელებენ მათ, და იყვნენ დაცჳვნებულ საგზაურთა ზედა იერუსალიმისათა პირისაგან მ[ა]ხჳლისა და სიყმილისა, და არა იყოს დამფლველი მათი, და ცოლნი მათნი და ძენი მათნი და ასულნი მათნი, და გარდავასხნე მათ ზედა ძჳრნი მათნი.

17. და სთქუა მათდა მიმართ სიტყუაჲ ესე: დამოადინენით თუალთაგან თქუენ-

---

13. რამეთუ] და O. რომელი O. თავადი უფალ]უფალო უფალო O. იხილონ O. მივსცე და მშჳდობაჲ O. ~ ამას ადგილს O 14. ცილსა] ცივსა O. წინაწარმეტყუელნი] = J. და არა]არცა O ვეტყოდე O. მათ O. მიმართ — O. გიწინაჴარმეტყუელებენ] + იგინი O. 15. წინაწარმეტყუელნი,] წინაწარმეტყუელთა მათთჳს O. ჩემითა] + არა მივავლინენ იგინი, არცა ვამცენ მათ და არცა ვეტყოდე მათ, რამეთუ ხილვათა ტყუვილისათა ცუდისათა და ნებათა გულითა მათისათა გიწინაწარმეტყუელებენ თქუენ იგინი] O. ეს ადგილი შეცდომით წინა (მე-14) მუხლიდანაა გამეორებული. მოვავლინენ O. რომელ-ეგე O. ~ ზედა ამას O. წრტიალითა O. იგინი J 16. ეგე]იგი O. უწინაწარმეტყუელებდეს O. დადებულ O. მათდა O. და ძენი მათნი] — O. 17. ჰრქუა O. გარდამოადინედ O. ცრემლი O. დღჱ და ღამჱ JO. ასული — O.

13. თქვენ W. 14. თქვენ W. 16. იყუნენ W. მხჳლისა W. 17. დაღამე, W ჩინა W.

J

ცრემლნი დღე და ღამე და ნუ მოაკლე-ბედ, რამეთუ შემუსრვითა დიდითა შე-მუსრა ქალწული, ასული ერისა ჩემისაჲ, და წყლულებითა სალმობიერითა ფრიად.

18. გან-თუ-ვიდე ველად, და აჰა მუნ მოწყლულნი მახჳლისანი, და შე-თუ-ვიდე ქალაქად, აჰა ესერა სალმობაჲ სიყ-მილისაჲ, რამეთუ წინაწარმეტყუელი და მღდელი წარვიდეს ქუეყანად, რომელ არა იცოდეს.

19. ნუმცა შეურაცხებით შეურაცხ--ჰყავ იუდაჲ, ანუ სიონით განეშორა სუ-ლი შენი? რად გუწყლენ ჩუენ, და არა არს ჩუენდა კურნებაჲ? ვითმენდით მშჳდობად, და არა არს კეთილი ჟამად ლხინებისა, და აჰა ესერა აღტეხაჲ.

20. უწყნით, უფალო, ცოდვანი ჩუენნი და უშჯულოებანი მამათა ჩუენ-თანი, რამეთუ ვცოდეთ წინაშე შენსა.

21. დააცხრვე სახელითა შენითა, ნუ წარს[წ]ყმედ საყდარსა დიდებისა შენი-სასა; მოიჴსენე, ნუ განაქარვებ აღთქუ-მასა შენსა, რომელ არს ჩუენ თანა.

22. არს ნუ ვინ კერპთა შორის წარ-მართთასა მაწჳმებელ? და ცამან მოსცეს სიმაძღრე თჳსი? არა-მედ შენ ხარ თავა-დი უფალ? და დაგითმოთ შენ, რამეთუ შენ შეჰქმენ ესე ყოველი.

G

თა ცრემლნი დღე და ღამე და ნუ მოაკ-ლდებიან, რამეთუ შემუსრვითა დიდი-თა შეიმუსრა ქალწული, ასული ერისა ჩემისაჲ, და წყლულებითა სალმობიერი-თა ფრიად.

18. გან-თუ-ვიდე ველად, და აჰა წყლულებანი მახჳლისანი, და შე-თუ-ვი-დე ქალაქად და აჰა ტკივილი სიყმილი-საჲ, რამეთუ მღდელი და წინაჲსწარმეტ-ყუელი წარვიდეს ქუეყანად, რომელი არა იცოდეს.

19. ნუ შეურაცხ-მყოფელმან შეუ-რაცხ-ჰყავ იუდაჲ, და სიონით განეშორა სული შენი? რაჲსათჳს დამცენ ჩუენ, და არა არს ჩუენდა კურნებაჲ? დავითმინეთ მშჳდო[ბ]ისათჳს, და არა არიან კეთილ-ნი ჟამად კურნებისად, და აჰა შფოთი.

20. ვაგრძნენით, უფალო, ცოდვანი ჩუენი, უსამართ[ლ]ოებანი მამათა ჩუენ-თანნი, ვითარმედ ვცოდეთ წინაშე შენსა.

21. დააცხრვე სახელისა შენისათჳს, ნუ წარსწყმედ საყდარსა დიდებისა შე-ნისასა; მოიჴსენე, ნუ განაქარვებ აღთ-ქუმასა შენსა ჩუენ თანა.

22. ნუ არსა კერპთა შორის წარმარ-თთასა მაწჳმებელი? და უკუეთუ ცამან მოსცეს სიმაძღრე თჳსი? არა შენ ხარა თავადი უფალი ღმერთი ჩუენი? და და-გითმობთ შენ, ჰქმნენ ყოველნი ესე.

15

J

1. და მრქუა მე უფალმან: და-თუ-დგენ მოსე და სამოელ წინაშე პირსა ჩემსა, არავე არს სული ჩემი მათა მი-მართ; [O:244 v] განავლინე ერი ესე, და განვიდედ.

G

1. და თქუა უფალმან ჩემდამო: უკუ-ეთუ დადგეს მოსე და სამუილ წინაშე ჩემსა, არა არს სული ჩემი მათდა მი-მართ; განავლინე ერი ესე პირისა ჩემი-საგან. განვიდენ.

---

18. გან-თუ-ვიდენ O. და] — O. მახჳლითა O. შე-თუ-ვიდეს]თუ შევიდენ O. ქუეყანასა O. 19. შეურაცხებით] — O. ანუ] და ნუ O. განიშორა O. ჩუენდა] — O. ვითმენდედ O. აღტეხად O. 20. შენსა]+და. 21. შენითა] + და˜ O. წარსყმედ J, წარწყმედ O. მოიჴსენე] + და O თანა]+ დასსრლი O. 22. მოსცის O. სიმაძღრჱ O. თჳსი] მისი O.

15.1. სამოელ]ელია O. პირსა]—O. არავე არს]არავეა O. განევიდენ O.

19. იუდა W. მშჳდობისათჳს W. 20. უსამრთოებანი W. 21. აღთქმასა W.

15.1. და დგეს W.

J

2. და იყოს, უკუეთუ გრქუან შენ: ვიდრე განვიდეთ? და ჰრქუა მათ: ესრე იტყჳს უფალი: რომელნიმე სიკუდილით მოჰკუდეთ და რომელნიმე მახჳლითა მოისრნეთ, და რომელნიმე სიყმილითა აღესრულნეთ, და რომელნიმე ტყუედ წარიტყუენნეთ.

3. და ვიძიო შური მათ ზედა ოთხითა ფერითა, იტყჳს უფალი: მახჳლითა მოწყუედად და ძაღლთა განსაბძარჳელად და მფრინველთა ცისათა და მჴეცთა, ქუეყანისათა საჭმელად და განსარყუნელად.

4. და მივსცნე იგინი ურვასა ყოველთა შორის მეუფეთა ქუეყანისათა [ფ.228] მანასესთჳს, ძისა ეზეკიაჲსა, მეუფისა იუდაჲსა, ყოველთათჳს, რომელ ქმნა იერუსალჱმს შინა.

5. ვინ ყოს რიდობა შენ ზედა, იერუსალჱმ? და ვინ დაწუ[ხ]ნეს შენ ზედა? ანუ ვინ მოაქციოს კითხვად მშჳდობისა შენისათჳს?

6. შენ უკუნ-იქეც ჩემგან, იტყჳს უფალი, უკუმართცა ხჳდოდი; და მივყო ჴელი ჩემი შენ ზედა და განგწრტნე შენ და არღარა ულხინო [მათ.].

7. განვსთესნე იგინი განბნევით ბჭეთა ზედა ერისა ჩემისათა, უშვილო იქმნ[ნ]ეს, წარწყმიდე ერი ჩემი უკეთურებისა მათისათჳს, და არა მოიქცენ იგინი.

8. გამრავლდეს ქურივნი მათნი უფროჲს ქჳშისა ზღჳს კიდისაჲსა. მოუვლინე დედასა ზედა ჭაბუკთასა უბადოობაჲ შუვა-დღესა, დავსდევ მას ზედა მეყსეულად ძრწოლაჲ და წრფაჲ.

G

2. და იყოს, უკუეთუ თქ[უ]ან შენდამი: სადა განვიდეთ? და სთქუა მათდამი: ამათ იტყჳს უფალი: რაოდენნი სიკ[უ]დილადმი,—სიკუდილადმი, და რაოდენ[ნი] მახჳლადმი, — [მახჳლადმი], და რაოდენნი სიყმილადმი — სიყმილადმი, და რაოდენნი ტყუეობადმი, — ტყუეობადმი.

3. და შურ-ვიგო მათ ზედა ოთხ გუარად, იტყჳს უფალი: მახჳლი სიკუდიდ მიმართ და ძაღლნი განბძარვად მიმართ და მჴეცნი ქუეყანისანი და მფრინველნი ცისანი ჭამისა მიმართ და განხრწნისა.

4. და განვსცნე ეგენი ჭირთა მიმართ ყოველთა მეფობათა ქუეყანისათა მანასესისთჳს, ძისა ეზეკიაჲსა, მეფისა იუდაჲსთა, ყოველთათჳს, რომელნი ქმნნეს იერუსალიმს შინა.

5. ვინ ჰრიდოს შენ ზედა, იერუსალიმ? და ვინ შეიშინოს შენ ზედა? ანუ ვინ მოაქციოს მშჳდობისა მომართ შენისა?

6. შენ გარე-მიმექეც მე, იტყჳს უფალი, ყოვლად სლვისაგან; და განვყოფ ჴელსა ჩემსა და განგრყუნე შენ და არღარა უ[Q-1103, 225 r]ლხინო მათ.

7. და განვსთესნე იგინი განთესვისა მიერ ბჭეთა შორის ერისა ჩემისათა, უშვილო იქმნეს და წარწყმდეს ერი ჩემი მკჳდრობისათჳს მათისა და არა მოიქცეს.

8. გამრავლდეს ქურივნი მათნი უფროჲს ქჳშისა ზღჳსა. მოვაწიე დედასა ზედა ჭაბუკთასა საარებაჲ შუა-დღე, მივაგდე იგი მყის მის ზედა ძრწოლაჲ და სწრაფაჲ.

---

2. რომელნიმე სიკუდილით მოჰკუდეთ... და რომელნიმე ტყუედ წარიტყუენნეთ] რომელნი სიკუდილსა, — სიკუდიდ, და, რომელნი მახჳლსა, მახჳლად, და რომელნი სიყმილსა, — სიყმილად, და რომელნი ტყუეობასა — ტყუეობად O. 3. მათ ზედა] — O. 4. მეფეთა O. განასჱსთჳს O. მეფისა O. ყოველთათჳს რომელ ქმნა იერუსალჱმს შინა] — O. 5. რიდებაჲ O. დაწუნეს J. 6. უკანიქეც O. უკუმართცა] უკუეთუ მართლცა O. და] + მე O. განგწრტნე] განგკრწნე O. მათ J — J. 7. იქმნეს J. ვწყმიდე O. 8. განმრავლდენ O. დედათა O. ზედა] — O. ჭაბუკთა O. უბადოობაჲ] სალმობაჲ. O. დაუდევ O.

2. თქან W. სიკდილადმი W. რაოდენ W 4. მანასისსთჳს W. ეზეკიასა W. 6. გნყოფ W. 8. განმრავლდეს W. უფრს G, უფროს W. ზედა (2)] + მყის G.

J

9. და მშობელი შვდთაჲ დაცუდნა, მოეწყინა სულსა მისსა, დაჰჳდა მის ზედა მზჱ განშოვრებასა ოდენ დღის[ა] ჰრცხუენა [O:245 r] და ყუედრებულ იქმნა. ნეშტნი მათნი მახჳლსა მივსცნე წინაშე მტერთა მათთა, თქუა უფალმან.

10. ვაჲ ჩემდა, დედაო ჩემო, ვითარცა ვინ მშევ მე, კაცი დაშჯილი და განკითხული ყოველსა ქუეყანასა? არარაჲ თანა-მედვა ვისი, არცა თანა-ვის რაჲ-ედვა ჩემი. ძალსა ჩემსა მოაკლდა მწყევართაგან ჩემთა.

11. იყავნ, უფალო, წარმართება მათა, არა თუმცა წარვდეგ წინაშე შენსა ჟამსა ბოროტებისა მათისასა და ჟამსა ჭირისა მათისასა კეთილობად მტერისა მიმართ.

12. საცნაურ ღათუ იყოს რკინად, და ზღუდე შენი რვალისად ძალი შენი?

13. და საფასენი შენნი ალსაჭრელად მივსცნე ნაცვალად ყოველთათჳს ცოდვათ შენთა, ყოველთა ზედა საქმეთა შენთა.

14. და ემონო შენ მტერთა შენთა ქუეყანასა, რომელ არა იცოდე; რამეთუ ცეცხლი აღტყინებულ არს გულისწყრომისაგან ჩემისა თქუენ ზედა და აღეგზნეს.

15. შენ უწყი, უფალო; მომიჴსენე მე, უფალო, და მომხედე მე და უბრალო-მყავ მე მდევართა ჩემთაგან, ნუ სულგრძელებად შენდა დამმარხავ მე; გულისჴმა-ყავ, რაოდენი მოვიღე შენთჳს ყუედრებაჲ.

16. მათგან, რომელთა შეურაცხ-ყვნეს სიტყუანი შენნი, აღასრულენ იგინი; და იყოს სიტყუაჲ შენი ჩემდა სიხარულ და

G

9. უშვილო იქმნა მშობელი შვდთაჲ, შებოროტნა სული მისი, დაჰჳდა მზე მის ზედა ჯერეთ განშოვლებასა დღისასა, სირცხვლეულ იქმნა და ეყუედრა. ნეშტნი მათნი მახჳლსა მივსცნე წინაშე მტერთა მათთა, თქუა უფალმან.

10. ვაჲ ჩემდა, დედაო, ვითარცა ვინ მშევ მე, მამაკაცი დასჯილი და განკითხული ყოველსა ქუეყანასა? არა თანამედვა, არცა მეთანა-მდებებოდა არვინ. ძალი ჩემი მოაკლდა მწყევართა ჩემთა შორის.

11. იყავნ, უფალო, წარმართება მათ-და, არა თუმცა წარმოვდგე შენდა ჟამსა შინა ძჳრთა მათთასა და ჟამსა შინა ჭირისა მათისასა საკეთილოდ მტერთა მიმართ.

12. უკუეთუ იცნობოს რკინად და ზღუდედ რვალისად ძალი შენი?

13. და საუნჯენი შენნი ივრად მივსცნე ნაცვლად ყოველთათჳს ცოდვათა შენთა, ყოველთა შორის საზღვართა შენთა.

14. და დაგამონო შენ გარემოჲ მტერთა შენთა ქუეყანას ზედა, რომელ არა იცი; რამეთუ ცეცხლი აღატყდა გულისწყრომისა ჩემისაგან თქუენ ზედა, დაეგზნას.

15. უფალო, მომიჴსენე მე და მომხედე მე და უბრალო-მყავ მე მდევართა ჩემთაგან; ნუ სულგრძელებისა შენისადმი დამმარხავ მე; ცან, ვითარ მოვიღე შენ ძლით ყუედრებაჲ.

16. უგულებელს-მყოფელთაგან სიტყუათა შენთაჲსა, მოასრულენ იგინი, და იყავნ სიტყუაჲ შენი ჩემდა ნუგეშინისსაცემელ და სიხარულ გულისა ჩემისა,

9. შვდთაჲ] მშვდთაჲ J. ~ დაცუდნა მშობელი შვდთაჲ O. დაჰჳდა მის ზედა მზჱ] — O. განშოვრებასა] განზოგებასა O. დღისასა J. იქმნნეს O. [10]. ვითარცა] — O. მშვა O. არარაჲ] არაჲ O. ვისი]მისი O. თანა ვის რაჲ ელვა]თანა-ედვა. O. [11]. იყავ J. წარმომართება J. ჟამსა ბოროტებისა მათისასა და] — O. მტერისა] + მის O. [12]. საცნაურ] და საცნაურ O. ზღუდჱ O. [15]. მომხედენ O. გულისხმა-ყავ O. რავდენი O. შენთჳს]—O. [16]. რომელ J. სიტყუაჲ] + იგი O. შენი] — O.

9. ოშვილო GW. და ჰჳდა W. განმშოვლებასა GW. ეყუჱდრა G. ნეშტი W. [10]. განმკითხუჱლი W. ართანა მედვა W. არა ვინ W. [11]. საკეთილოოდ W. [13]. საზღვრთა G. გაცხოველებულია დამმუხლველის მიერ. [14]. და აეგზნას W. ყუჱდრება G, ყუჱდრებაჲ W. 1[6]. ოგულებელს მყოფ῾ლთაგ῾ნ GW. სიტყვათა W. მოას῾რდეს W.

J

მხიარულება გულისა ჩემისა, რამეთუ წოდებულ [ფ.229] არს სახელი შენი ჩემ ზედა, უფალო მერთისა-მპყრობელო.

17. არა დავჯედ შორის კრებულსა მათსა, რაჟამს ლაღობედ, არამედ მეშინოდა პირისაგან ჴელისა შენისაჲსა; [O:245 v]; მარტოდ დავჯდი, რამეთუ სიმწარითა აღვივსი.

18. რაჲსათჳს მაგნებელნი ჩემნი მძლევენ მე? წყლულებაჲ ჩემი დამტკიცებულ არს, ვინაჲ განვიკურნო? ყოფით მეყო მე, ვითარცა წყალი ცრუჲ, რომელსა არა აქუ[ნ] სარწმუნოებაჲ.

19. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი: მოთუ-აქციო, კუალად-გაგო, და წინაშე პირსა ჩემსა დასდგე, და გამო-თუ-იყვანო პატიოსნად არაღირსთაგანი, ვითარცა პირი ჩემი იყო, და მოიქცენ იგინი შენდა, და შენ არა მიიქცე მათა.

20. და მიგცე შენ ერსა ამას, ვითარცა ზღუდე რვალისაჲ მტკიცე, და გბრძოდიან და ვერ გძლონ შენ, რამეთუ მე შენ თანა ვარ ჴსნად შენდა და განრინებად შენდა, თქუა უფალმან.

21. და განგარინო შენ ჴელთაგან უკეთურთაჲსა და გიჴსნე შენ ჴელთაგან მომსრველთაჲსა, ესრე იტყჳს უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ.

G

რამეთუ ზედწოდებულ არს სახელი შენი ჩემ ზედა, უფალო ყოვლისა-მპყრობელო.

17. არ დავჯედ შესაკრებელსა შორის მათ თანა, იმღერიედ რაჲ, არამედ ვიშიშვოდე პირისაგან ჴელისა შენისა; მარტოებით ვჯდი, რამეთუ სიმწარითა აღვივსე.

18. რაჲსათჳს შემაწუხებელნი ჩემნი მძლევენ? წყლულებაჲ ჩემი მტკიცე არს, ვინაჲ განვიკურნო? [225 v]ქმნილი იქმნა ჩემდა, ვითარცა წყალი ცრუჲ, არმქონებელი რწმენისაჲ.

19. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი: უკუეთუ მოაქციო, და კუალად-გაგო შენ, წინაშე პირსა ჩემსა დასდგე, და გამო-თუ იყვანო პატიოსანი უღირსისაგან, ვითარცა პირი ჩემი იყო, და მოაქციონ მათ შენდა, და შენ არა მიაქციო მათდამი.

20. და მიგცე შენ ერსა ამას, ვითარცა ზღუდე რვალისაჲ მაგარი, და გბრძოდიან შენ და ვერ უძლებდენ შენდამი, მით რამეთუ მე შენ თანა ვარ ცხოვნებად შენდა, თქუა უფალმან.

21. და განრინებად შენდა ჴელისაგან ბოროტისა და გიჴსნა მე შენ ჴელისაგან სიყმილთაჲსა, იტყჳს უფალი ღმერთი ისრაილისაჲ.

16

J

1. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო და თქუა: და შენ ნუ ისუამ ცოლსა, თქუა უფალმან ღმერთმან ისრაჱლისამან,

2. და არა გესუას შენ ძჱ, არცა ასულ ამას ადგილსა.

G

1. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, მეტყუელი [2]: და შენ ნუ ისუამ ცოლსა,

2. და არა იშვეს შენდა ძე, არცა ასული ადგილსა ამას შინა.

---

17. რაჟამ O. დავჯდი] ვჯედი O. აღვივსეO. 18. ჩემი] — O. ვინაჲთ O. აქუ J. 19. კუალად-მოგაგო O. თ ჩამატებულია J-ში. არაღირსთაგან O. მათდა O. 20. მას O. გბრძოდიან] + შენ O.

16.1. თქუა] მრქუა O. 2. ასული O.

17. არა W. მარტოვებით W. ვჯდე GW. 18. წყლულება GW. გაცხოველებულია G-ში. განავიკურნო W. ქმნილ W. რწმენისა W 20. „თქუა უფალმან“ ჩამატებულია G-ში. 21. სიყმილთასა W

16.1. იშუჱს W.

J

3. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი ძეთათჳს და ასულთათჳს, რომელნი იშვნენ ამას ადგილსა, და დედათა მათთათჳს, რომელთა შვნენ იგინი, და მამათა მათთათჳს, რომელთა ყვნენ იგინი ამას ქუეყანასა.

4. სიკუდილითა და სენითა წრდიალითა მოსწყდენ და არა ეტყებდენ, არცა დაეფლნენ, საქიქელად იყვნენ პირსა ზედა ქუეყანისასა და მახჳლითა [O:246 r] დაეცნენ და სიყმილითა აღესრულნენ, და იყოს მძორები მათი საჭმლად მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა.

5. ესრე იტყჳს უფალი: ნუ შეხუალ გლოვასა ამათსა და ნუ მიხუალ ტყებად მათა და ნუცა ეგლოვ მათ, რამეთუ განმიშორებიეს მშჳდობაჲ ჩემი ამის ერისაგან, თქუა უფალმან, და წყალობაჲ ჩემი და შეწყნარებანი ჩემნი.

6. და მოისრნენ დიდ-დიდნი და მცირედნი ამას ქუეყანასა, არა დაეფლნენ, არცა ეტყებდნენ მათ, არცა დაეჭაჭნენ, არცა დაიყჳნნენ თავნი მათნი, არცა დასტიროდიან მათ.

7. და არა განტყდეს პური ჭუეზაჲ გლოვასა შინა მათსა ნუგეშინის-საცემელად [ფ. 230] მკუდართა ზედა, არცა ასუა მას სასუმელი განსამხიარულებელად მამისა ზედა გინა თუ დედისა მისისა.

8. სახლსა ტოზიკებისა მათისასა არა შეხჳდე დაჯდომად მათ თანა ჭამად და სუმად.

9. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: აჰა ესერა მე

G

3. რამეთუ ამათ იტყჳს უფალი ძეთათჳს და ასულთა, ქმნილთა ადგილსა ამას შინა, და დედათა მათთათჳს, მშობელთა მათთა, და მამათა მათთათჳს, მშობელთა მათთა ქუეყანას ამას შინა.

4. სიკუდილისა მიერ, ვითარცა ვიტყჳ, მოკუდენ, არა იტყებდნენ და არა დაიფლნენ, სამაგალითოდ პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა იყვნენ და მახჳლისა მიერ დაეცნენ და სიყმილისა მიერ მოესრულნენ, და იყვნენ მძორნი მათნი საჭმელ მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა.

5. ამათ იტყჳს უფალი: ნუ შეხუალ მწყობრობასა მათსა და ნუ მიხუალ ტყებად და ნუ ეგლოვ მათ, რამეთუ განვაკიდევე მშჳდობაჲ ჩემი ერისა ამისაგან, იტყჳს უფალი, და წყალობაჲ ჩემი და შეწყნარებანი ჩემნი.

6. და მოკუდენ დიდნი და მცირენი ქუეყანასა ამას შინა, არა დაეფლნენ, არცა ეტყებდენ მათ, არცა რაჲთურთით ქმნან არარაჲ და არა აღიპარსნენ და არცა იტირნენ.

7. და არცა განტყდეს პური გლოვასა შინა მათსა ნუგეშინის-საცემელად მკუდარსა ზედა, არა ასუან მას სასუმელი ნუგეშინის-საცემელად მამისა მისსა ზედა და დედისა მისსა ზედა.

8. სახიდ ანკანაკობისა მათისა არა შეხჳდე ოდესცა თან-დაჯდომად მათ თანა ჭამად და სუმად.

9. მით რამეთუ ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ: აჰა მე

---

[3]. ძეთა O. [4]. ყვნენ]მოიყვანნეს O წრტიალითა O. მოწყდენ O. არცა] და არა O. დაეფლნენ]+არამედ O. [5]. უფალი] + ღმერთი O. მათსა O. მიხუალთ O. ტყებად მათა] ტყებასა მათსა O. ეგლოვთ O. განმიშორებიეს O. შეწყნარებაჲ ჩემი O მოისნენ O [6]. დიდ-დიდნი] დიდნი O. მცირენი O. არა]და არა O. იჭაჭდენ O. და იყვანენ O. სტიროდიან O. მათ]+და არცა დაეფლნენ იგინი O. [7]. შინა] — O. არცა] არა O. მათ O. [8]. თუ] — O. ტოზიკობისა O. მათსსა J. „და“ ჩამატებულია ზემოდან J-ში. [9]. და დღეთა თქუენთა] — J. და (2)] — J.

[3]. იტყჳს]—G. მხოლოდ ინის კვალი მოჩანს. მშობელთა] მლმობელთა GW. [4]. ქყ῀ნისსაჲ W. ქყ῀ნისათაჲ W. [5]. შეხუალთ W. მიხვალ ტყებაჲდ W. წყალობა GW. .[6] აღიპარს W. „არა აღიპარს“ გაცხოველებულია G-ში, თავდაპირველი სიტყვისაგან მხოლოდ „ნენ“ არის დარჩენილი. [7]. მთ῀თ῀სა W. [8]. სახი G. [9]. ძალთა W. ის῀ლისა W. დავარღუჱვ GW. ჳ῀ა W ჳა W.

J

დავარღჳო ამის ადგილისაგან წინაშე თუალთა თქუენთა [და დღეთა თქუენთა] ჴმაჲ შუებისაჲ [და] ჴმაჲ სიხარულისაჲ, ჴმაჲ სიძისაჲ და ჴმაჲ სძლისაჲ.

10. და იყოს, რაჟამს მიუთხრნე ყოველნი ესე სიტყუანი ერსა ამას, და გრქუან შენ: რაჲსათჳს თქუა უფალმან ჩუენ ზედა ყოველი ესე ძჳრი დიდ-დიდი? რაჲ არს ბრალი ჩუენი და [O:246 v] რაჲ არს ცოდვაჲ ჩუენი, რომელი ვცოდეთ წინაშე უფლისა ღმრთისა ჩუენისა?

11. და ჰრქუა მათ: რამეთუ დამიტევეს მე მამათა თქუენთა, თქუა უფალმან, და მივიდეს კუალსა ღმერთთა უცხოთასა და ჰმონეს მათ და თაყუანის-სცეს მათ და მე დამიტევეს და შჯული ჩემი არა იმარხეს,

12. და თქუენ ბოროტი ჰქმენით უფროჲს მამათა თქუენთა და აჰა ესერა თქუენ ხუალთ კაცად-კაცადი კუალსა სათნოებისა გულისა თქუენისა უკეთურისასა, რაჲთა არა ისმინოთ ჩემი.

13. და განგთხინე თქუენ ამის ქუეყანისაგან ქუეყანად, რომელ არა იცოდეთ თქუენ და მამათა თქუენთა, და ჰმონებდეთ მუნ ღმერთთა უცხოთა დღე და ღამე, რომელთა არა გცენ თქუენ წყალობაჲ.

14. ამისთჳს აჰა ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, [და] არღარა თქუან მერმე: ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოიყვანნა ძენი ისრაჱლისანი ქუეყანით ეგჳპტით.

15. არამედ ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოიყვანნა ძენი ისრაჱლი-

G

დავარღუევ ადგილისა ამისგან წინა[…] თუალთა თქუენთა დღეთა შინა თქუ[…] თა ჴმასა სიხარულისასა და ჴმასა შუ[…] ბისასა და ჴმა-[სა] სიძისასა და ჴმა[ს…] სძლისასა.

10. და იყოს, ოდეს მიუთხრნე ერ[…] [226 r] ამას ყოველნი ესე სიტყუა[…] და თქუან შენდამო: რაჲსათჳს თქ[…] უფალმან ჩუენ ზედა ყოველნი […] ძჳრნი, რაჲ არს სიცრუვე ჩუენი […] რაჲ ცოდვაჲ ჩუენი, რომელი ვცოდ[…] წინაშე უფლისა ღმრთისა ჩუენისა?

11. და ჰრქუა მათ: მის წილ რომე[…] დამიტევეს მამათა თქუენთა, იტყ[…] უფალი, და ვიდოდეს უკუანა ღმერთ[…] უცხოთასა და ჰმსახურეს მათ და თაყუ[…] ნის-სცეს მათ და მე დამიტევეს […] შჯული ჩემი არ დაიმარხეს,

12. და თქუენცა იუკეთურეთ[…] უფროჲს მამათა თქუენთასა და […] თქუენ ხუალთ კაცადი უკუანა სათნო[…] გულისა თქუენისათა არსმენად ჩემდა[…]

13. და განგთხინე თქუენ ქუეყანი[…] ამისგან ქუეყანად მიმართ, რომელი არ[…] იცით თქუენ და მამათა თქუენთა […] ჰმსახუროთ მუნ ღმერთთა უცხოთ[…] დღე და ღამე, რომელთა არა მოგცე[…] თქუენ წყალობაჲ.

14. ამისთჳს აჰა დღენი მოვლე[…] იტყჳს უფალი, და არა თქუან მერმე[…] ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოი[…] ყვანნა ძენი ისრაილისნი ქუეყანი[…] ეგჳპტით,

15. არამედ ცხოველ არს უფალ[…] რომელმან აღმოიყვანნა ძენი ისრაილ[…]

---

10. ~ ერსა ამას სიტყუანი ესე ყოველნი O. ჩუენ] შენ O. ყოველი ესე ძჳრი დიდ-დიდი] ძჳ[…] ესე დიდი O. რომელი] რამეთუა J წინაშე] + შენსა O. უფალო O ღმრთისა ჩუენისა]—O. 11. მ[…] ვიდეს] ვიდოდეს O. და] — O. დაიმარხეს O. 13. ჰმონებდით O. დღჱ და ღამჱ JO. გცეს J[…] 14. დღჱნი O. და] — J. 15. იჱლისნი I, იჱლისანი O. ეგჳპტით, არამედ ცხოველ არს უფალი, რო[…] მელმან აღმოიყვანნა ძენი ისრაჱლისანი ქუეყანით] — O. სოფლებთა J. სადაცა] + იგი O. განიბნ[…] ინნეს O. იგინი] + მუნ O მათდა O. რომელი O.

10. სიცრუჱნი W· ო´ჲღ´ჲ W. 11. უკანა W სჯული W. არა W. 12. უფ´რს G, უფროს W[…] კაცადნი GW. 13. „დღე და ღამე“ ჩამატებულია G-ში. თქვენ W. 14. აღმოიყვანა G. მაგრა[…] G-ში „აღმოი[ყუანნა“-დან მე-15 მუხლისა „აღმოი] ყვანნა“-მდე ჩამატებულია. ეგვიპტით G[…] 15. ცხოელ G. ასეა W-ში. ჩრდილოსა W. სოფლებთა GW.

J

სანი ქუეყანით ჩრდილოჲთ და ყოველთაგან სოფელთა, სადაცა განიბნინეს იგინი მუნ, და კუალად-ვაგნე იგინი ქუეყანად მათა, რომელ მივეც მამათა მათთა.

16. აჰა ესერა მე მივავლინებ მესათხევლეთა მრავალთა, თქუა უფალმან, და შეიპყრნენ იგინი, და ამისა შემდგომად მივავლინნე მრავალნი მონადირენი, და მოინადირნენ იგინი ზედა ყოველსა მთასა და ყოველსა ზედა ბორცუსა და ჴურელთაგან კლდისათა.

17. რამეთუ თუალნი ჩემნი ყოველთა მიმართ გზათა მათთა, არა დაემალნენ პირისაგან ჩემისა [O:247] და ვერ დაემალნენ უშჯულოებანი მათნი წინაშე თუალთა ჩემთა [ფ. 231].

18. და მივაგო მათ პირველად მრჩობლ უშჯულოებანი მათნი და ცოდვანი მათნი, რომელთაგან შეაგინეს ქუეყანაჲ ჩემი მძორებითა მათითა და საძაგელებითა და უშჯულოებითა მათითა, რომლითა აღავსეს სამკჳდრებელი ჩემი.

19. უფალო, ძალო ჩემო და შემწეო ჩემო და შესავედ[რ]ებელო ჩემო დღესა შინა ბოროტისასა, შენდა წარმართნი მოვიდენ კიდითგან ქუეყანისაჲთ და თქუან, ვითარმედ: ნაცილად მოიგნეს მამათა ჩუენთა კერპნი, და არა არს მათგან სარგებელ.

20. იქმნნეს თუ კაცმან ღმერთნი თავისად, და იგინი არა არიან ღმერთ?

G

სანი ქუეყანისაგან ჩრდილოჲსა და ყოველთაგან სოფელთა, სადა განიჴადნეს მუნ, და კუალად-ვაგნე იგინი ქუეყანასა მათსა, რომელი მივეც მამათა მათთა.

16. აჰა მივავლენ მრავალთა მთხევლართა, იტყჳს უფალი, და მოითხევლნენ იგინი, და ამათსა შემდგომად მივავლენ მრავალთა მონადირეთა, და მოინადირნენ იგინი ზედა კერძო ყოვლისა მთისა და ზედა კერძო ყოვლისა ბორცჳსა და ჴურელებისაგან კლდეთაჲსა.

17. რამეთუ თუალნი ჩემნი ყოველთა ზედა გზათა მათთა, და არ დაიფარნენ უსამართლოებანი მათნი წინაშე თუალთა ჩემთა.

18. და ნაცვალ-ვაგო მრჩობლეულად სიცრუეთა მათთა და ცოდვათა მათთა, მათ წილ, რომელ შეაგინეს ქუეყანაჲ ჩემი მძორებისა მიერ საძაგელებათა მათთაჲსა და უსჯულოებათა მათთა მიერ, რომლითა შესცოდეს სამკჳდრებელსა ჩემსა.

19. უფალო, ძალო ჩემო და შემწეო ჩემო და მისალტოლველო ჩემო და მისალტოლველო ჩემო დღეთა შინა ძჳრთა ჩემთასა, შენდამი წარმართნი მოვიდენ დასასრულით ქუეყანისაჲთ და თქუან, ვითარმედ: ნაცილად მოიგნეს მამათა ჩუენთა კერპნი, და არა არს სარგებელი მათ თანა.

20. უკუეთუ ყვნეს კაცმან თავისა თჳსისად ღმერთნი, და იგინი არა არიან ღმერთ?

---

16. მე] — O. მესათხევლეთა]მთხევლართა O. მივავლინებ O. მონადირენი] მენადირენი + და მოვიდენ O. ყოველთა მთათა O. ყოველსა ზედა ბორცუსა] ყოველთა ბორცუთა O. კლდისათა] ქუეყანისათა O. 17. მათთა]+ და O და] — O. 18. და ცოდვანი მათნი] — O. მძორებითა] მრუშებითა O. საძაგელებითა] + წარმართთა სასოებისაგან განცხადებაჲ და ჰურიათა უღმრთოებისათჳს წინაჲსწარ სიტყუაჲ შემდგომად ქრისტჱს მოსლვისა, რომელ შეუჴდეს მათ ძჳრი O. ეს სიტყვები ჩვენი ძეგლიდან არ არის. რომლითა]—O. „... ლი ჩემი“ წვრილი ხელით ზემოდან არის მიწერილი J-ში. 19. შესავედებელო J. ბოროტსა O. კიდით O. 20. იქმნნა O. თუ კაცმან ღმერთნი თავისად თავისად კაცად ღმერთნი O.

16. აჰა მივავლენ მრავალთა მონადირეთა და მოინადირნენ იგინი და ამათსა შემდგომად მივავლენ მრავალთა მთხევლართა იტყჳს უფალი და მოითხევლნენ იგინი W. კლდეთასაჲ W. 18. ქ˜ყნა W. მ˝თასა W. 20. ყუნეს W.

J

21. ამისთჳს აჰა ესერა მე განუცხადო მათ ჟამსა ამას ჴელი ჩემი და ძალი ჩემი ვაუწყო მათ, და ცნან, რამეთუ: სახელი ჩემი უფალ არს.

G

21. აჰა მე განუცხადო მათ ჟამსა ამა შინა ჴელი ჩემი და ვაცნობო მათ ძალი ჩემი, და ცნან, ვითარმედ: სახელი ჩემი უფალ.

17

J

1. ცოდვაჲ იუდაჲსი დაწერილ არს წიგნთა შინა რკინისათა ფრცხილითა ადამანტიანისაჲთა, [და] გამოდგმულ არს მკერდსა ზედა გულთა მათთასა და კიდესა ზედა ტაბლათა მათთასა ესრეთ.

2. რაჟამს მოიჴსენონ შვილთა მათთა შესაწირავთა მათთა და სერტყუთა მათ[თ]აჲ ხეთა ზედა მაღნარისათა და ბორცუთა ზედა მაღალთა.

3. და მთათა ველისათა, ძალი შენი და საფასენი შენნი აღსაჳრელად მივსცნე და მაღალნი [O : 247 v] იგი შენნი ცოდვათა შენთათჳს, რომელ იყვნეს ყოველთა საზღვართა შენთა.

4. და დაშთე მარტოჲ [და] დაჰგლახაკნე მკჳდრობისაგან შენისა, რომელ მიგეც შენ, და დაგამონო შენ მტერთა შენთა ქუეყანასა ჩემსა; და გულისჴმაჰყო, რამეთუ ცეცხლი აგზებულ არს გულისწყრომასა შინა ჩემსა, მიუკუნისამდე ეგზებოდის.

5. ესრე იტყჳს უფალი: წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელსა სასოებაჲ თჳსი აქუნდეს კაცისა მიმართ და ესვიდეს ჴორცთა მკლავთა თჳსთასა, და უფლისაგან განდგეს გული მისი.

6. და იყოს იგი ვითარცა გრიკი ველისაჲ უდაბნოსა შინა, და არა იხი-

G

1. ამათ იტყჳს უფალი: ცოდვაჲ იუდაჲსი შთაწერილ არს ნაწერსა შინა [226 v] რკინასა შინა ფრჩხილითა ადამანტინისაჲთა, შთაწებული მკერდსა ზედა ფიცრისა გულისა მათისასა და რქათა შორის საკურთხეველთა მათთასა.

2. ესრეთ ოდესცა მოიჴსენნენ ძეთა მათთა საკურთხეველთა მათთაჲ და სერტყუთა მათთაჲ ხეთა შორის ვარჯოანსა და ბორცუთა ზედა განსაცხრომელთა

3. და მთათა ველსა შორის ძალი შენი და ფასნი შენნი იავრად მივსცნე და მაღალნი შენნი—ცოდვათა შენთათჳს ყოველთა შორის საზღვართა შენთა.

4. და დაშთე მარტოჲ და დაჰმდაბლდე სამკჳდრებელისაგან შენისა, რომელი მიგეც შენ, და დაგამონო შენ მტერთა შენთა ქუეყანასა შინა, რომელ არა უწყოდი, რამეთუ ცეცხლი აღგზებულ არს გულისწყრომისაგან ჩემისა, ვიდრე საუკუნომდე ეგზებოდის.

5. ესრეთ იტყჳს უფალი: წყეულ იყავნ კაცი, რომელსა სასოებაჲ აქუს კაცისა მიმართ და განიმტკიცოს ჴორცი მკლავისა თჳსისაჲ, და უფლისაგან განდგეს გული მისი.

6. და იყოს ვითარ ველური გრიკი უდაბნოს შინა, რომელი არა იხილავს,

---

21. გამოუცხადო O. მას O. უფალ]უფროჲს O (მცდ.):

17.1. ცოდვაჲ]და ცოდვაჲ O. წიგნსა O. რკინისა O. ადამანტიისაჲთა O. პირველი ანი ჩამატებულია J-ში. და (1)]—J. მათთჲსა J. კიდეთა O. 2. მათთაჲ O. მათთა და სერტყუთა]—O. მთაჲ J, მათთაჲ O. მაღნართა ზედა J, მაღნართასა O. 3. ძალნი შენნი O. იგი]—O. რომელნი O. ყოველთა საზღვართა შენთა] მაღალთა შენთა ყოველთა O. 4. დაშთე]მჴიდე O. და (2)] — O. რომელი O. ქუეყანასა]+ ზედა O. გულისხმა-ჰყო O. შინა ჩემსა]ზედა ჩემსა+ და O 5. ჴორციელთა O. თჳსთა O. 6. დაეშჩნოს O. ქუეყანასა უდაბნოსა] — O დაეშჩნის O.

17.1. იტ˝ყჳს G. იუდაჲსა G. 3. საზღუართა W. 4. რომელი W. 6. იხი˝ლვს W.

J

ლოს მან, რაჟამს მოიწიოს კეთილი, დაეშენოს იგი ბიცოანსა, ქუეყანასა უდაბნოსა, ქუეყანასა მარილოვანსა, რომელსა ვერვინ დაეშენის.

7. და კურთხეულ იყავნ კაცი იგი, რომელი ესავს [ფ. 232] უფალსა,

8. და იყოს იგი ვითარცა ხჱ ნოყიერი წყალსა ზედა, [და] ნოტიასა ზედა დაიმტკიცნის ძირნი მისნი· და არა შეიშინოს, რაჟამს მოიწიოს სიცხე, და იყოს მას ზედა მორჩები სერტყოვნები, წელსა მას გუალვისასა არა ეშინოდის და არა მოაკლოს გამოღებად ნაყოფისა.

9. ღრმა არს გული უფროჲს ყოველთა, და კაც არს, და ვინ ცნას იგი?

10. მე, უფალმან, რომელმან განვიკითხნი გულნი [და] გამოვცადნი თირკუმელნი მიცემად კაცად-კაცადსა გზათა თჳსთაებრ და მსგავსად ნაყოფთა საქმეთა მისთაებრ.

11. ჴმა-ყო კაკაბმან და შეიკრიბნა მართუენი, რომელ [O:248 r] არა სცნა ყოფად სიმდიდრისა მისისა არა განკითხვით, განზოგებასა ოდენ დღეთა მისთასა დაუტეონ იგი; [და] აღსასრულთა მისთა იყოს იგი უგუნურ.

12. საყდარ დიდების, აღმაღლებულ, სიწმიდეო ჩუენო, დასაბამითგან ადგილ სიწმიდის ჩუენდა,

13. თმენაო ისრაჱლისაო; უფალო, ყოველთა, რომელთა დაგიტევეს შენ, ჰრცხუენოდენ, რომელნი განგიდგეს შენ, ქუეყანასა ზედა დაიწერნენ, რამეთუ დაგიტევეს წყაროჲ ცხორებისაჲ, უფალი.

G

ოდეს მოვიდეს კეთილნი, და დაეშენოს ალდატსა, ქუეყანასა უდაბნოსა, ქუეყანასა შინა მარილიანსა, რომელი არ დაიმკვდრების.

7. და კურთხეულ არს კაცი, რომელი ესვიდა უფლისა მიმართ, და იყოს უფალი სასო მისსა,

8. და იყოს ვითარცა ხჱ ნოყიერი წყალსა ზედა, და ნოტიასა ზედა განიხუნეს ძირნი მისნი. და არა შეშინდეს, ოდეს მოვიდეს სიცხე, და იყოს მის შორის მორჩები სერტყოვნები, წელიწადსა უწჳმოებისასა არა შეშინდეს და არა მოაკლოს ყოფად ნაყოფი.

9. ღრმა არს გული უფროჲს ყოველთასა, და კაც არს, და ვინ ცნას იგი?

10. მე, უფალი, გამწულილველი გულთაჲ, გამომცდელი თირკუმელთაჲ მიცემად კაცადისა გზათაებრ მისთა და ნაყოფთაებრ სიმარჯუეთა მისთაჲსა.

11. ჴმა-ყო კაკაბმან, შეიკრიბნა, რომელნი არა ყვნა მყოფელმან სიმდიდრესა მისსა არა განკითხვით; განზოგებასა დღეთა მისთასა დაუტევონ იგი და უკუანაჲსკნელთა * მისთა შინა იყოს უცნობელ.

12. საყდარ დიდების, ამაღლებულ, სიწმიდე ჩუენი, [13] დასაბამითგან ადგილ სიწმიდისა ჩუენისა,

13. თმენაჲ ისრაილისაჲ; [227 r] უფალო, ყოველნი დამტევებელნი შენნი სირცხჳლეულ იქმნედ, განმდგომნი ქუეყანასა ზედა დაიწერნედ, რამეთუ დაუტევეს წყაროჲ ცხორებისაჲ, უფალი.

---

7. იყავნ]არს O. 8. ნუყიერი JO. წყალთა O. და] — J. დაემტკიცნენ O სიცხჱ O. მას (1) მის O. სერტყოვანი O. წელსა]წყალსა J. არა]არცა O ნაყოფისა] + აქმდე O. გვერდით მარცხნივ ნიშანი უზის. 9. გული] + მისი O. იცნას O. 10. და (1) — J. კაცად-კაცადისა J. ნაყოფისა O. 11. რომელნი O. მისისა] თჳსისა O. მისთა O. და] — J. აღსასრულსა მისსა O. იქმნეს O. 12. ამაღლებულ J. 13. ჰრცხუენოდენ] + და O. დაგიტევეს] + შენ O. უფალი] — O.

7. ოჲ W. 8. ხე W. 9. უფ˝რს G, უფროს W. 10. გულთა W თირკმელთა W. თირკუმელთაჲ G. 11. ჴმაჲ ყო W. განკითხვთ W. დაუტეონ W. *უქარაგმოდაა G-ში. მისთა შინა] შინა მისთა W. 12. ჩნისა G: ჩვენისა W. 13. ისრაილისა W. ცხ˝რბისა G. ცხვ˝რებს W.

J

14. განმკურნე მე, უფალო, და განვიკურნო; და მაცხოვნე, და ვცხოვნდე, რამეთუ სიქადული ჩემი შენ ხარ.

15. აჰა ესერა იგინი მეტყჳედ მე, ვითარმედ: სადა არს სიტყუაჲ უფლისაჲ? მოვედინ ჩუენდა.

16. ხოლო მე არ დავშუერ შედგომად კუალსა შენსა და დღჱ კაცისაჲ არა მწადოდა, შენ უწყი· რაჲ-იგი გამოვალს ბაგეთა[გან] ჩემთა, წინაშე შენსა არს.

17. ნუ მექმნები შენ უცხო, მილხინე მე დღესა ბოროტსა.

18. ჰრცხუენოდენ მდევართა ჩემთა, და ნუ მრცხუენებინ მე, შეძრწუნდედ იგინი, და ნუმცა მე შევძრწუნდები; მოავლინე მათ ზედა დღჱ ბოროტი, მრჩობლითა შემუსრვითა შემუსრნენ იგინი.

19. ესრე მრქუა მე უფალმან: მივედ და დადეგ ბჭეთა ძეთა ერისა შენისათა, რომელსა შევლენ მეფენი იუდაჲსნი და გამოვლენ მათგან, და ყოველთა ბჭეთა იერუსალჱმისათა.

20. და ჰრქუა მათ: ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ მეფეთა იუდაჲსთა და ყოველმან ჰურიასტანმან და ყოველთა მკჳდრთა [ფ. 233] იერუსალჱმისათა და რომელნი [O:247v] შეხუალთ ბჭეთა ამათ.

21. ესრე იტყჳს უფალი: ეკრძალენით თავთა თქუენთა და ნუ აღიკიდებთ ტჳრთსა დღესა შაბათსა და ნუ გამოხუალთ ბჭეთა იერუსალჱმისთა.

22. და ნუ გამოგაქუნ ტჳრთი სახლით თქუენით დღესა შაბათსა და ყოველთა საქმეთა ნუ იქმთ და წმიდა-ყავთ დღჱ

G

14. განმკურნე მე, უფალო, და განვიკურნო, და მაცხოვნე მე, და ვცხონდე, რამეთუ სიქადული ჩემი შენ ხარ.

15. აჰა ესენი იტყჳან ჩემდამო: სადა არს სიტყუაჲ უფლისაჲ? მოვედინ.

16. ხოლო მე არ დავშუერ, შედგომილი უკუანა შენსა და დღესა კაცისასა, გულმან არ მითქუა, შენ უწყი, გამომავალნი ბაგეთა ჩემთაგან წინაშე პირსა შენსა არიან.

17. ნუ მექმნები მე უცხო, მრიდებელი ჩემი დღესა შინა ბოროტსა.

18. სირცხჳლეულ იქმნენინ მდევარნი ჩემნი, და ნუ მერცხჳნებინ მე; შეძრწუნდედ იგინი, და ნუცა შევძრწუნდები მე. მიაწიე მათ ზედა დღე ბოროტი, მრჩობლითა შემუსრვითა შემუსრენ იგინი.

19. ესრეთ თქუა უფალმან ჩემდამო: ვიდოდე და დადეგ ბჭეთა ზედა ძეთა ერისა შენისათაჲსა, რომლისა მიერ შევლენ მათ მიერ მეფენი იუდაჲსნი და რომელთა მიერ გამოვლენ მათ ზედა და ყოველთა ზედა ბჭეთა იერუსალიმისათა.

20. და სთქუა მათა მიმართ: ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ მეფეთა იუდაჲსთა და ყოველმან იუდეამან და ყოველმან ისრაილმან, შემავალთა ბჭეთა ამათ შორის·

21. ამათ იტყჳს უფალი: დაიცვენით სულნი თქუენნი და ნუ აღიღებთ ტჳრთსა დღესა შინა შაბათთასა და ნუ გამოხუალთ ბჭეთა იერუსალიმისათა.

22. და ნუ გამოგქონან ტჳრთნი სახლთაგან თქუენთა დღესა შინა შაბათთასა და ყოველი საქმე არა ჰქმნათ

---

14. გამკურნე O. და (2) — O. მაცხოვნე] + მე O. ვცხონდე O. 15. მეტყჳან O. ჩემდა O. 16. მწადოდა] + უფალო O. უწყი] + და O ბაგეთა J. 17. ნუ]და ნუ O. 18. ~ შევძრწუნდები მე O. ბოროტი] + და O. შემუსრვითა] — O. შემუსრენ] შემოსენ O. 19. მეფენი იუდა ჲსნი] ძენი ერისა შენისანი O. 20. და (4)—O. 21. აღიკიდებთ]აღიღებ O. 22. ტჳრთთა O. დღეთა შაბათთასა O. ტჳრთები O. სახლებით O. შაბათთასა O. ყოველსა საქმჱსა O. დღჱ] + იგი O. შაბათი O:

15. სიტ˝ყვა W. 16. დავშუჱრ GW. უკანა W. 18. „შეძრწუნდედ იგინი და ნუცა შევძრწუნდები მე" ჩამატებულია G-ში. 20. სიტყვა W· 21. უქარაგმოდაა G-ში, იჱრუს˝ლიმისათა W. 22. წჲ ყ˝ვთ W.

J

შაბათთაჲ, ვითარცა-იგი ვამცენ მამათა თქუენთა.

23. და არა ისმინეს და არცა მოყვეს ყური მათი და განიფიცხნეს ქედნი მათნი უფროჲს მამათა მათთა არა მორჩილებად ჩემდა და არა შეწყნარებად სწავლისა ჩემისა.

24. და [იყოს], უკუეთუ სმენით ისმინოთ ჩემი, იტყჳს უფალი, არა შემოღებად ტჳრთისა ბჭეთა ამის ქალაქისათა დღეთა შაბათთასა და განწმედად დღენი შაბათთანი, არა საქმედ მათ შინა ყოვლისა საქმისა.

25. და შემოვლენ ამიერ ბჭით ქალაქსა ამას მეფენი [და მთავარნი], მსხდომარენი საყდარსა ზედა დავითისსა და აღმჴედრებულ ეტლთა ზედა და ჰუნეთა მათთა, იგინი და მთავარნი მათნი, მთავარნი იუდაჲსნი და მკჳდრნი იერუსალჱმისნი, დაეშენოს ქალაქი ესე უკუნისამდე.

26. და მოვიდენ ქალაქთაგან იუდაჲსთა და რომელნი არიან გარემო იერუსალჱმსა და ბენიამ[ენ]ისით და ველით და მთით და ბღუარით კერძო მოაქუნდეს შესაწირავი და საკუმეველი, მანანაჲ და გუნდრუკი მოიღონ შესაწირავად სახლსა უფლისასა.

27. [O:249r] და თუ არა ისმინოთ ჩემი წმიდა-ყოფად დღეთა შაბათთა აღკიდებად ტჳრთისა და შესვლად ბჭეთა იერუსალჱმისთა, და აღვაგზნე ცეცხლი ბჭეთა მისთა და შეჭამნეს ზღუდენი იერუსალჱმისანი და არა დაშრტეს.

G

და წმიდა-ყავთ დღეთა შაბათთაჲ, ვითარცა ვამცენ მამათა თქუენთა.

23. და არა ისმინეს და არა მოყვეს ყური მათი და განიფიცხეს ქედი მათი უფროჲს მამათა მათთაჲსა არსმენად ჩემსა და არშეწყნარებად სწავლაჲ.

24. და იყოს, უკეთუ სმენით ისმინოთ ჩემი, იტყჳს უფალი, არა შეღებად ტჳრთი ბჭეთა მიერ ამის ქალაქისათა დღესა შინა შაბათთასა და წმიდა-ყოფად დღე შაბათთაჲ არა ქმნითა მას შინა ყოველსა საქმესა.

25. და შემოვიდოდინ ბჭეთა მიერ ამის ქალაქისათა და მთავარნი, მსხდომნი საყდარსა ზედა დავითისსა, ზედ აღმავალნი ეტლებსა ზედა და ცხენებსა მისსა, იგინი და მთავარნი მათნი, მამაკაცნი იუდაჲსნი [227 v] და დამკჳდრებულნი იერუსალმისანი, და დაეშენოს ქალაქი ესე საუკუნოდ.

26. და მოვიდენ ქალაქთაგან იუდაჲსთა და გარემოჲს იერუსალიმისა და, ქუეყანისაგან ბენიამენისსა და ველობისაგან და მთისაგან და ჩრდილოდ მიმართისაგან, მომღებელნი ყოვლად-დასაწუველთა და მსხუერპლთა და საკუმეველთა და მანნასა და გუნდრუკსა და მომღებელნი საქებელად სახლისა მიმართ უფლისა.

27. და იყოს, არა თუ ისმინოთ ჩემი წმიდა-ყოფად დღე შაბათთაჲ არა აღებად ტჳრთნი და შესლვად ბჭეთა იერუსალიმისათა დღესა შინა შაბათთასა, და აღვაგზნა ცეცხლი ბჭეთა მისთა შორის და შეჭამნეს მრჩობლ ზღუდენი იერუსალიმისანი და არა დაშრტეს.

---

[23]. და]—O. არა]არცა O. [24]. იყოს]—J. ისმინოა J. შაბათაჲსა O. შაბათისანი O. [25]. შემოვლენ]შემოვიდენ O. ბჭეთა O. ქალაქსა ამას] ქალაქისა ამათთაჲსა O და მთავარნი]—J. საყდართა, O. დავითისთა O. და]—O. აღმჴედრებულნი O. მათნი] + და O. დაეშჱნნენ O. ქალაქნი O. ესე]—O. [26]. ბენიამისთჳსJ. [27]. აღკიდებად ტჳრთისა და შესლვად ბჭეთა იერუსალჱმისათა]—O. ზღუდენი]ზურგნი O (მცდ.) დაშრტჱს O.

[23]. მოყუჱს W. უ͞ფრს G, უფ͞როს W. მათთასა W. [24]. უკუეთუ W. წ͞ჲ ყოფად W. [26]. გ͞რემოს W. ყ͞ლ დას͞წუჱლთა W საკმეველთა W. მანანასა W. ო͞ჲ W. [27]. წ͞ჲ ყოფად W. ზღუდენი] გზებნი GW.

J

18

1. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემია-
ისა მიმართ უფლისა მიერ, და ჰრქუა:
2. აღდეგ და შთავედ სახიდ მეკეცი-
სა და მუნ გესმნენ სიტყუანი ჩემნი.
3. და შთავედ სახედ მეკეცისა, და
აჰა იქმოდა იგი საქმეთა ქვათა ზედა,
4. და განერა ჭურჭელი იგი ჴელთა
შინა მისთა, რომელსა იქმოდა თიჴისა-
გან, და კუალად შექმნა იგი ჭურჭლად
სხუად, ვითარცა [ფ. 234] სთნდა წინა-
შე მისსა საქმედ იგი.
5. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემ-
დამო, და მრქუა: არქუ მათ:
6. ვითარცა მეკეცემან ამან ვერ უძ-
ლო შესაქმედ თქუენდა, სახლო ისრაჱ-
ლისაო? თქუა უფალმან. აჰა ესერა
ვითარცა თიჴაჲ ჴელსა შინა მეკეცისასა,
ეგრეცა თქუენ ხართ ჴელთა შინა ჩემთა,
სახლო ისრაჱლისაო.
7. აღსასრული ვთქუა ნათესავთა
ზედა და მეუფებათა მოსპოლვად მათა
და დარღუევად მათა და წარწყმედად
მათა,
8. და მოიქცეს ნათესავი იგი უკეთუ-
რებათაგან მათთა. და მე შევინანო ბო-
როტებათა მათთათჳს, რომელ ვზრახენ
ყოფად მათა:
9. და სრულიად ვთქუა ნათესავთა
ზედა და მეუფებათა ზედა აღშენებად
მათა და დანერგვად მათა.
10. და თუ ყონ ბოროტი წინაშე ჩემ-
სა არა სმენად ჴმისა ჩემისა, და მეცა შე-
ვინანო კეთილისა მისთჳს, რომელ
ვთქუ [O:249 v] ყოფად მათა.

G

1. სიტყუაჲ, ქმნილი უფლისა მიერ
იერემიაჲს მიმართ, მეტყუელი:
2. აღდეგ და შთავედ სახიდ მეკეცისა
და მუნ გესმნენ სიტყუანი ჩემნი.
3. და შთავედ სახიდ მეკეცისა, და
აჰა იგი იქმოდა საქმესა ქვათა ზედა.
4. დავარდა ჭურჭელი, რომელსა-იგი
იქმოდა თიჴისაგან ჴელთა შინა მისთა,
და კუალად შექმნა იგი ჭურჭლად სხუად,
ვითარცა სთნდა წინაშე მისსა ქმნად.
5. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემ-
დამო, მეტყუელი: არქუ მათ:
6. უკეთუ ვითარცა მეკეცესა ამას,
ვერ ძალ-მიც ქმნად თქუენდა, სახლო
ისრაილისაო? აჰა ვითარცა თიჴაჲ ჴელ-
სა შინა მეკეცისასა, ეგრეთ თქუენ ხართ
ჴელთა შინა ჩემთა, სახლო ისრაილისაო,
იტყჳს უფალი.
7. აღსასრული ვთქუა ნათესავსა ზე-
და ანუ მეფობასა მოსპოლვაჲ მათდა და
წარწყმედად.
8. და მოაქციოს ნათესავმან მან უკე-
თურებათაგან მათთა, და შევინანო ბო-
როტთათჳს, რომელთა ვსიტყუევდ ყო-
ფად მათდა.
9. და დასასრული ვთქუა ნათესავსა
ზედა და მეფობასა ზედა აღშენებად
[10] და დანერგვად.
10. და ბოროტნი ქმნენ წინაშე ჩემსა
არსმენად ჴმისა ჩემისა და შევინანო
კეთილსათჳს, რომელნი ვთქუენ ქმნად
მათდა.

18.1. უფლისა მიერ] — O. ჰრქუა]თქუა + უფალმან O. 2. გესმენ O. 3. სახიდ O. ~ იგი იქ-
მოდა O. „იგი“ ჩამატებულია J-ში. საქმეთა]—O. 4. და (1)]—O. ჭურჭერი O. ~ რომელსა იქმოდა
თიჴისაგან ჴელთა შინა მისთა O, საქმჱდ O. იგი (2)] იგინი J. 5. მრქუა] + მე O. 6. ვითარცა]
უკუეთუ O. საქმედ O. იქუენდა სახლო ისრაჱლისაო]—J. ჴელთა] ჴეელთა O. მეკეცისათა O. ეგრეთცა
O. 7. და მეუფებათა] გინა თუ მეფეთა ზედა O. მათა (1, 2 3) მათ და O. 8. რომელნი O. 9. ნა-
თესავსა O. მეუფებათა] მეფობასა O. აღშჱნებად O 10. თუ] — O. იყოს J. შევინანე O. მისთჳს] მა-
თისათჳს O.

18.1. სიტყვა W. 3. ზ˜აჲ W. ჭურჭლად] + და W. 5. სიტყვა W 6. იტყჳს უფალი] — W.
G-ში ეს სიტყვები გადაუშლია დამმუხლველს. 8. მან] — W. ვსიტყუჱვდ GW. 9. სს˜რული
W. დანერგუად W 10. ბოროტი W.

J

11. და აწ არქუ კაცთა იუდაჲსთა და მკჳდრთა იერუსალჱმისათა: ესრე იტყჳს უფალი: აჰა ესერა მე შევქმნე თქუენ ზედა [ძჳრი და ვზრახო თქუენ ზედა] ზრახვაჲ; მოიქეცით კაცად-კაცადი გზისაგან უკეთურისა და უკეთეს ყვენით გზანი თქუენნი და სლვანი თქუენნი.

12. და თქუეს: განვეძლიერდეთ და კუალსა განდრეკილებისა ჩუენისასა ვიდოდით, და კაცად-კაცადმან ნებაჲ გულისა ჩუენისა უკეთურისაჲ ვყოთ.

13. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი: იკითხეთღა წარმართთა შორის, ესმინოს-მე ვის ესემლევანი საზარელი დიდი, რომელ ყო ქალწულმან იერუსალჱმისმან?

14. მო-ნუ-აკლდენ კლდისაგან ძუძუნი ანუ თოვლი ლიბანით? უკუნ-ნუ-აქციის წყალი სასტიკებით ქარისა მოსლვამან?

15. რამეთუ დამივიწყა მე ერმან ჩემმან და ცუდად უკუმევდეს და მოძლურდენ იგინი გზათა მათთაგან ნაწილთა საუკუნეთა სლვად მათა ალაგთა, რომელთა არა არს გზაჲ.

16. ყოფად ქუეყანაჲ მათი განსარყუნელად და სასტჳნელად საუკუნოდ; ყოველთა თანა-წარმავალთა დაუკჳრდეს და შეხარონ თავი მათი.

17. ვითარცა ქარმან შემწუველმან, განვაბნინე იგინი წინაშე პირსა მტერთა მათთასა, უჩუენო მათ ზურგი და არა პირი დღესა მას წარწყმედისა მათისასა.

G

11. და აწ თქუ მამაკაცთა მიმართ იუდაჲსთა [228 r] და დამკჳდრებულთა მიმართ იერუსალიმს: ესრეთ იტყჳს უფალი: აჰა მე აღვზელ თქუენ ზედა ბოროტთა და ვსიტყუავ თქუენ ზედა გულის-სიტყუასა, მოიქეცინ კაცადი გზისაგან თჳსისა ბოროტისა და უკეთეს ყვენით სიმარჯუენი თქუენნი და გზანი თქუენნი

12. და თქუეს: ვმჴნდეთ, რამეთუ უკუანა განდრეკილებათა ჩუენთასა ვიდოდით, და კაცადმან სათნონი გულისა ჩუენისა ბოროტისანი ვქმნნეთ.

13. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი: იკითხეთ წარმართთა შორის, ვის ესმნეს ესევითარნი განსაკრთომელნი ფრიად, რომელნი ქმნნა ასულმან ქალწულმან იერუსალიმისამან?

14. ნუ მოაკლდეს კლდისაგან ძუძუნი ანუ თოვლი ლიბანისაგან? ანუ მიაქციის წყალი მაიძულებელისაჲ ქარისა მობერვამან?

15. რამეთუ დამივიწყა მე ერმან ჩემმან, ცუდისადმი აკუმევდეს და მოუძლურდნენ გზათა მათთა ზედა საბელთა საუკუნეთა ზედ-სლვისათჳს ალაგთა, არმქონებელთა გზისათა სავალად.

16. დაწესებად ქუეყანაჲ მათი უჩინო საქმნელად და სასტჳნველად საუკუნოდ; ყოველნი წარმვლელნი მის მიერ განცჳბრდენ და შეხარნენ თავნი მათნი.

17. ვითარცა ქარმან შემწუველმან, განვაბნინე იგინი წინაშე პირსა მტერთა მათთასა, ქედი და არა პირი უჩუენო მათ დღესა შინა წარწყმედისა მათისასა.

---

11. შევქმენ O. ძჳრი და ვზრახო თქუენ ზედა] — J. კ̃ცდ კ̃ცი J, კაცადი O. გზისაგან] + თჳსისა O. უკეთჱს ყვენით O. 13. ესმინოს-მე] ესმინოს თუ O. იერუსალჱმმან O. 14. თოვლი] თუ O. უკუნ -ნუ — აქციის] უკუნ-აქციის O. 15. „ც" დამატებულია J-ში. ალაგთა] + მათთაგან O. რომელთაჲ J. გზა O 16. თანა-წარმავალთა] განმავალთა + მუნ O. „ფ"-ს ჰგავს „ვ"-ს. 17. მათთასა] + და O.

11. დამკჳდრებულთაჲ W. გ̃ლის სიტ̃ყუსა W. უკეთეს ჰყვენით W. თქუენი (1) G, თქუჱნი (2) W. 12. თქუჱს GW; უკანა W. 13. გ̃ნსაკრთომელნი W. 14. მაიძულებელისა GW. 15. აკმევდეს W. 16. წ̃რმავლელნი W. 17. შემწუჱლმან W. უჩუჱნო GW.

J

18. და თქუეს: მოვედით და ვზრახოთ [ფ. 235] ზრახვაჲ იერემიაჲს ზედა, რამეთუ არა წარ[O:250 r] წყმდის შჯული მღდელისაგან და ზრახვაჲ ბრძენისაგან და სიტყუაჲ წინაწარმეტყუელისაგან; მოვედით და ვგუემოთ იგი ენითა და ვისმინნეთ ყოველნი სიტყუანი მისნი.

19. ისმინე ჩემი, უფალო, და ისმინე ჴმაჲ სამართალისა ჩემისაჲ.

20. უკუეთუ მი-სადა-ეგის ბოროტი კეთილისა წილ? რამეთუ შეიზრახნეს სიტყუანი სულისა ჩემისათჳს და ტანჯვაჲ ჩემი ეგულების. მოიჴსენე დგომაჲ ჩემი წინაშე შენსა სიტყუად მათთჳს კეთილისა, რაჲთამცა გარე-მიიქცა გულის-წყრომაჲ შენი მათგან.

21. ამისთჳს მისცენ შვილნი მათნი სიყმილსა და შეაყენენ იგინი ჴელთა მახჳლისათა. იქმნნედ ცოლნი მათნი უშვილო და ქურივ და ქმარნი მათნი იყვნედ მოსრვულ სიკუდილითა და ჭაბუკნი მათნი—დაცემულ მახჳლითა ბრძოლასა შინა.

22. იყავნ ღაღადებაჲ სახლებსა შინა მათსა. მოავლინენ მათ ზედა ავაზაკნი მეყსეულად, რამეთუ იწყეს სიტყუაჲ შეპყრობად ჩემდა [და] მახე დამირწყუეს მე.

23. და შენ, უფალო, უწ[ყ]ი ყოველი ზრახვაჲ მათი ჩემ ზედა სიკუდილად; ნუ უბრალოს-ჰყოფ უშჯულო[ება]თა მათთა და ცოდვათა მათთა ნუ აჴოც. იყავნ უძლურებაჲ მათი წინაშე შენსა, ჟამსა გულისწყრომისა შენისასა ყავ მათთჳს.

G

18. და თქუეს: მოვედით, ვსიტყუოთ იერემიაჲს ზედა გულის-სიტყუაჲ, რამეთუ არა წარწყმდეს შჯული მღდელისაგან და განზრახვაჲ გულისხუმიერისაგან და სიტყუაჲ წინაჲსწარმეტყუელისაგან: მოვედით და დავაბრძოლოთ იგი ენისა მიერ და არა ვისმინეთ ყოველნი სიტყუანი მისნი.

19. ისმინე ჩემი, უფალო, და ისმინე ჴმაჲ სამართლისა ჩემისაჲ.

20. უკეთუ მიეგებიან ბოროტნი კეთილთა წილ? რამეთუ შეთქუნეს სიტყუანი ძჳნად სულისა ჩემისა და ტანჯვაჲ მათი დამირწყუეს მე. მოიჴსენე დგომაჲ ჩემი წინაშე პირსა შენსა თქუმად. მათ ძლით კეთილთა გარე-მიქცევად გულის-წყრომაჲ შენი მათგან.

21. ამისთჳს მისცენ ძენი მათნი სიყმილსა და შეაწყუდიენ იგინი ჴელთა მახჳლისათა. იქმენინ ცოლნი მათნი უშვილო და ქუ[228 v] რივებ და ქმარნი მათნი იქმენინ მოწყუედილ სიკუდილითა და ჭაბუკნი მათნი—დაცემულ მახჳლითა ბრძოლასა შინა.

22. იქმენინ ღაღადებაჲ სახლებსა შინა მათსა, მოავლინენ მათ ზედა ავაზაკნი მყის, რამეთუ ჴელ-ყვეს სიტყუაჲ შეპყრობად ჩემდა და მახენი დაარწყუნეს ჩემ ზედა.

23. და შენ, უფალო, სცან ყოველი განზრახვაჲ ჩემ ზედა სასიკუდინედ; ნუ აუბრალოებ უმართლოებათა მათთა და ცოდვათა მათთა პირისა შენისაგან ნუ აჴოც. იყვან უძლულებაჲ მათი წინაშე შენსა, ჟამსა შინა გულის-წყრომისა შენისასა ყავ მათ შორის.

---

[18]. იერემიაჲ O. წარწყმდეს O. ბრძნისაგან O. ისმინენით O. ~ სიტყუანი მისნი ყოველნი O. [19]. სამართლისაჲ O. ჩემისაჲ]—O. [20]. და]—O ჩემი ეგულების]მათი დამირწყუეს მე O. კეთილის O. [21]. მისცენე O მახჳლისმთათა]+და O. იქმნენ O. იყვნედ] — O. მოსვრულ] მომწყდარ O. სიკუდილითა] მახჳლითა O. მახჳლითა] სიკუდილითა O. [22]. და]-—O. მახჱ O. დამირწყუეს მე] დაარწყუეს ჩემ ზედა+დაარწყუეს ჩემ ზედა (1) O. [23]. უწი J. უბრალოს ჰყოფთ J, უბრალო ჰყოფ O უშჯულოთა J. აჰაჴოცა] + და O. ყავ მათთჳს] — O. „მათთჳს“ ძალზე წვრილი ხელითაა ზემოთ მიწერილი J-ში.

[18]. გ῀ლის სიტყუა W. გულის ჴმიერისაგან W. სიტყვა W. „არა“ ჩამატებულია G-ში. [20]. უკეთუ W. თქმად W. [21]. სიკვდილითა W. [22]. ღ῀ღება W. ჴელ ყუჱს W. სიტყვა W. დაარწყუნს W. [23]. ზედაჲ G. სასიკდინედ W.

J

19

1. მაშინ მრქუა მე უფალმან: მივედ და მოიგე შენდად ყჳბარი ერთი, ქმნული მეკეცისაჲ და მოიყვა[O:250 v]ნნე. მოხუცებულთაგანნი ერისა[თა]ნი და უხუცესთაგანნი მღდელთანი,

2. და განხჳდე შენ სამარობანსა შვილთა მათთასა, რომელ მომკუდარ არიან, რომელ არს ბჭეთა გარეშე ქარსისათა, და წარიკითხნე ყოველნი ესე სიტყუანი მუნ, რომელთა გეტყოდი შენ·

3. და ჰრქუა მათ: ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ მეფეთა იუდაჲსთა და მკჳდრთა იერუსალჱმისათა, ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: აჰა ესერა მე მოვავლინო ამას ადგილსა ზედა ძჳრი, რაჲთა ყოველსა, რომელსა ესმეს იგი, აღუქავნენ ყურნი მისნი.

4. მის წილ, რამეთუ დამიტიევეს და უცხო-ქმნეს ადგილი ესე და უკუმევდეს იგინი მას შინა ღმერთთა უცხოთა, რომელ არა იცოდეს მათ [და მამათა მათთა]; და მეფეთა [ფ. 236] იუდაჲსთა აღავსეს ადგილი ესე სისხლითა უბრალოჲთა,

5. და აღაშენნეს მაღალნი ბაალისნი, რაჲთამცა დაწუნეს შვილნი მათნი ცეცხლითა მსხუერპლად ბაალისა, რომელ არა ვამცენ მათ, არცა ვთქუ, არცა მომიჴდა გულსა ჩემსა.

6. ამისთჳს [აჰა] ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და არღარა ერქუას ადგილსა მას მერმე, თქუა უფალმან, დასაცემელ და სამარობან დასრვის.

G

1. მაშინ თქუა უფალმან ჩემდამო: ვიდოდე და მოიგე კარაბაჲ, გამოზელილი კაცისაჲ და მოიყვანენ მოხუცებულთაგან მღდელთაჲსა,

2. და განხჳდე სამრავალკაცოდ ძეებისა შვილთა მათთაჲსა, რომელი არს წინა კართა ზედა ბჭისა ხარსიდისისა, და წარიკითხენ მუნ ყოველნი სიტყუანი, რომელნიც ვთქუნე შენდამი.

3. და ჰრქუა მათ: ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ მეფეთა იუდაჲსთა და კაცთა იუდაჲსთა და დამკჳდრებულთა იერუსალიმს და შემავალთა ამათ ბჭეთა შინა, ამათ იტყჳს უფალი ღმერთი ისრაილისაჲ: აჰა მე მოვაწევ ერსა ამას ზედა ძჳრთა, ვიდრეღა ყოველსა მსმენელსა მათსა აღუყივდენ ყურნი მისნი.

4. მათ წილ, რომელ დამიტევეს მე და განაუცხოეს ადგილი ესე და უკუმევდეს ამას შორის ღმერთთა უცხოთა, რომელნი არა იცოდნეს მათ და მამათა მათთა; და მეფეთა იუდაჲსთა აღავსეს ადგილი ესე სისხლებითა უბრალოებითა.

5. და უშენნეს მაღალნი ბაალსა დაწუვად ძენი მათნი ცეცხლითა ყოვლად-დასაწუველად ბაალისა, რომელნი არა ვამცნენ მათ, არცა მომეგონა გულსა შინა ჩემსა.

6. ამისთჳს აჰა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და არა ეწოდოს მერმე ადგილსა ამას დაცემულება და სამრავალკაცო ძისა ენნომისსა, არამედ სამრავალკაცო სრვისა.

19.1. მოიყვანენ O. ერისანი. J 2. განჰხჳდე O. ~ გარეშჱ ბჭეთა O. ქარისისთა O. წარიკითხნე] + მუნ O. ესე]—O. მუნ]—O. 3. მეფჱთა O. იერუსალჱმისთა] რომელსა—O. ესმოდის O. იგი] + და O აღუქავნეს O. 4. დამიტევეს] + მე O. და მამათა მათთა] — J მეფეჱთა O იუდაჲსთა]+ და O. 5. აღაშჱნნეს O. 6. აჰა] — J. დღჱნი O. მერმჱ O. სამაროვან O.

19.1. თქვა W. გამოზელილი კაცისაჲ] გამოზელილიკე ცისაჲ GW. მღდელთასა W. 2. შკლთა W. მათთასა W. 3. სიტყ῀ვა W ის῀რილისა W. 4. უკმევდეს W. ამის GW. 5. დაწუად W. ყ῀დ დას῀წუჱ῀ლდ W. ბაალისაა GW.

J

7. და მოვსპო ზრახვაჲ იუდაჲსი და ზრახვაჲ იერუსალჱმისაჲ ამას ადგილსა და დავსცნე იგინი მახჳლითა წინაშე მტერთა მათთა და ჴელითა, რომელნი ეძიებენ სულსა მათსა, და მივსცნე მკუდარნი მათნი საჭმელად მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა,

8. და დავდვა [O:251 r] ქალაქი ესე განსარყუნელად და სასტჳნველად. ყოველი, რომელნი თანა-წარჰვიდოდის, დაწუხნეს მის ზედა და დაისტჳნოს ყოვლისა მისთჳს წყლულებისა მისისა.

9. და შეჭამნენ ჴორცნი ძეთა მათთანი და ჴორცნი ასულთა მათთანი და კაცად-კაცადმან ჴორცნი მოყუსისა თჳსისანი შეჭამნეს იწროებისაგან და ჭირისა, რომელ აჭირონ მათ მტერთა მათთა და რომელნი ეძიებდენ სულთა მათთა.

10. და შეჰმუსრო ყჳბარი იგი წინაშე თუალთა მათ კაცთასა, რომელნი გამოვიდენ შენ თანა,

11. და ჰრქუა მათ: ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ: ესრე შევმუსრო ერი ესე და ქალაქი ესე, ვითარცა შეიმუსრის ჭურჭელი კეცისაჲ, რომელ ვერღარა შესაძლებელ არნ განკურნებად მერმე.

12. ესრე ვყო მე ამის ადგილისათჳს, იტყჳს უფალი, და რომელნი დამკჳდრებულ არიან, მიცემად ქალაქი ესე, ვითარცა ქუეყანაჲ დაცემული.

13. და იყოს სახლები იერუსალჱმისაჲ და სახლნი მეფისა იუდაჲსნი, ვითარცა ადგილი დაცემული არაწმიდებისა მათისათჳს, რომელ ყვეს სახლებსა

G

7. და მოვსრა განზრახვაჲ იუდაჲსი და განზრახვაჲ იერუსალიმისაჲ* ადგილსა ამას შინა და დავსცნე იგინი მახჳლისა მიერ წინაშე მტერთა მათთა [229 r] და ჴელებსა შინა მეძიებელთა სულებისა მათისათასა და მივსცნე მკუდარნი მათნი საჭმლად მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა.

8. და დავდვა ქალაქი ესე უჩინო საქმნელად და სასტჳნველად; ყოველი თანა-წარმვლელი მის ზედა დაწუხნეს და დაისტჳნოს ყოვლისა ამის წლულებისათჳს.

9. და ჭამდენ ჴორცებსა ძეთა მათთასა და ჴორცებსა ასულთა მათთასა და თითოეული ჴორცთა მოყუსისა თჳსისათა გარემოდგომილებასა შინა, რომლითა გარემოადგენ მათ მტერნი მათნი და მეძიებელნი სულთა მათთანი.

10. და შეჰმუსრო კარაბაჲ წინაშე თუალებსა კაცთა, გამოსრულთასა შენ თანა,

11. და სთქუა მათდა მიმართ: ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ: ესრეთ შევმუსრო ერი ესე და ქალაქი ესე, ვითარცა შეიმუსრვის ჭურჭელი კაცისაჲ, რომელი არშესაძლებელ იყოს განკურნებად მერმე და ტაფეთს თანა დაჰფლვიდენ, რამეთუ არა იყოს ადგილი დაფლვად.

12. ესრეთ უყო, იტყჳს უფალი, ადგილსა ამას და დამკჳდრებულთა მას შინა მიცემად ქალაქი ესე ქუეყანად დაკუეთებულად.

13. და იყვნენ სახლნი იერუსალიმისანი და სახლნი მეფეთა იუდაისთანი. ვითარცა ადგილი დაკუთებული არაწმიდებათათჳს, რომელნი ქმნნეს სახლთა

---

[7]. მოვსპო J, მოვსრა O. და (4)—O. [8]. ყოველი რომელი] ყოველნი რომელნი O. თანა-წარჰვიდოდინ O. დაწუხნენ O. დაისტჳნონ O. „მისისა“ ზემოდანაა მიწერილი J-ში. [9]. შეჭამნეს O და ჴორცნი ასულთა მათთანი]—O. ეძიებენ O. [11]. მათ]—O. ჭურჭერი O. რომელი O. მერმჱ O. [12]. მე]—O. არიან]+მუნ O. [13]. სახნი O. ზედა] + მათსა O. იყო O.

[7]. *უქარაგმოა W-ში. მთ῀თსა WG. [8]. დასასტჳვნლად W. [9]. ძეთაჲ W. თვისისათა W. [10]. თვ῀ლებსა W. შ῀ნოანა W. [11]. ძალთა GW [G-ში ჩამატებულია]. [13]. სახლებნი იერუსალიმისანი GW. დაკუჱთებული GW. უცხოთა] + და თაფეთს შინა დაჰფლნენ არყოფისათჳს ადგილსა დასაკლავად G [ეს სიტყვები დამმუხლველს გადაუშლია].

J

შინა მათსა, რომელთა შინა უკუმევდეს ერდოებსა ზედა ყოველთა ძალთა ცისათა და უზორვიდეს საზორველსა ღმერთთა უცხოთა და თაფეთს დაჰფლნენ, რამეთუ არა იყოს მათა ადგილი დასაფლველად.

14. და მოვიდა იერემია დასასრ[ვ]ელით თაფეთისაჲთ, ვიდრე იგი [ფ. 237] მიავლინა უფალმან წინაწარმეტყუელებად, და დადგა ეზოსა სახლისა უფლისასა და ჰრქუა ყოველსა ერსა:

15. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: აჰა ესერა [O: 251 v] მე მოვავლინო ქუეყანასა ამას ზედა და ყოველსა ზედა ქალაქებსა მისსა და დაბნებსა მისსა ყოველი ძჳრი, რომელ ვთქუ მას ზედა, რამეთუ განიფიცხნეს ქედნი მათნი არა სმენად სიტყუათა ჩემთა.

G

შინა, რომელთა შინა უკუმევდეს ერდოებსა ზედა მათსა ყოველსა მჴედრობასა ცისასა და უგებდეს საგებელთა ღმერთთა უცხოთა.

14. და მოვიდა იერემია დაცემულებისაგან თაფეთისა, ვინაჲ მიავლინა იგი უფალმან წყლულებად მუნ, და დადგა ეზოსა შინა სახლისა უფლისასა და თქუა ყოვლისა მიმართ ერისა:

15. ამას იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ*: აჰა მე მოვჰხადნე ქალაქსა ამას ზედა და ყოველთა ზედა ქალაქთა მისთა და დაბათა მისთა ყოველნი ძჳრნი, რომელთა ვიტყოდე მის ზედა, რამეთუ განიფიცხეს ქედი მათი არსმენად სიტყუათა ჩემთა.

20

J

1. და ესმა პასქორს, ძესა იემერისსა, მღდელსა, რომელი იყო მთავარ სახლსა შინა უფლისასა, იერემიაჲს წინაწარმეტყუელებაჲ ამათ სიტყუათაჲ.

2. და სცა პასქორ იერემიას წინაწარმეტყუელსა და შთააგდო იგი მლჳმესა, რომელ იყო ბჭესა ბენიამ[ენ]ისსა, სახლსა მას ქორედსა, რომელ იყო სახლსა შინა უფლისასა.

3. და იყო, ხვალისაგან გამოიყვანა პასქორ იერემია მლჳმისა მისგან, და ჰრქუა მას იერემია: არა პასქორ გიწოდა

G

1. და ესმა პასხორს, ძესა ემმირისსა მღდელსა, და იგი იყო დადგინებულ სახლსა უფლისასა, იერემიაჲს სიტყუათა ამათ.

2. და უხეთქნა პასხორმან იერემიას წინაჲსწარმეტყუელსა და შთააგდო იგი მლჳმესა, რომელი იყო ბჭესა თანა ბენიამენისსა, სახლისა [229 v] განკიდებულისა ქორედისა, რომელი იყო სახლსა შინა უფლისასა.

3. და იყო, ხვალისაგან გამოიყვანა პასხორმან იერემია მლჳმით და ჰრქუა მას იერემია: არა პასხორ გიწოდა უფალ-

---

14. დასასრელით. [შუა ნაწილი ცუდად იკითხება J-ში], დასასრუით O (მცდ;, თაფჱსისაჲთ J. წინაწარმეტყუელებად]+მუნ O. 15. ქუეყანასა ამას ზედა და]—O. ყოველსა ზედა ქალაქებსა მისსა და დაბნებსა მისსა] ქალაქსა ამას ზედა და ყოველსა ზედა დაბნებსა მისსა O. რომელი O. ვთქუა O. განფიცხნეს O.

20,1. იემერისსა] ნერისსა O. მღელსა O. რომელი] და იგი O. იერემიაჲსი O. 2. შთააგდო] შთაადგინა O. იგი]—O. მლჳმჱსა O. რომელი O. ბენიამისსა J. სახლსა მას ქორედსა, რომელ იყო]—O. 3. გიწოდა] + შენ O. ტყუვე O.

14. ტაფეთისა W. თქვა W. 15. ძალთა W*. „ისრაილისაჲ“ უქარაგმოა W-ში. მოვჰჴადნე GW. ქალ῀ქთა W. დაჰბათა W. სიტყვათა W.

20,1. პასქორს W. იერემიას W. წწ῀ყლბა GW. სიტყჲთაჲ 2. პასქორმან W. 3. პასქორმან W. მლჳმით W. პასქორ W.

J

უფალმან სახელი შენი, არამედ ტყუე გარემო.

4. რამეთუ ესრეთ იტყჳს უფალი: აჰა ესერა მე მიგცე შენ წარსატყუენველად და ყოველნი მეგობარნი შენნი, და დაეცნენ იგინი მახჳლითა მტერთა მათთაჲთა, და თუალთა შენთა იხილონ, და შენ და ყოველი იუდაჲ მივსცე ჴელთა მეფისა ბაბილოვნისათა, და წარიტყუენნენ იგინი ბაბილონდ და მოწყჳდნენ იგინი მახჳლითა.

5. და მივსცე ყოველი სიმდიდრე ამის ქალაქისაჲ და ყოველნი ნაშრომნი მისნი და ყოველი პატივი მისი და ყოველნი საფასენი მეფისა იუდაჲსნი მივსცნე ჴელთა მტერთა მათთასა და იავარ-ყვნენ იგინი და წარიხუნენ იგინი და მიიხუნენ იგინი ბაბილონდ.

6. და შენ, პასქორ, და ყოველნი მკჳდრნი სახლისა შენისანი წარხჳდეთ ტყუედ და ბაბილონდ მიხჳდეთ და მუნ მოჰკუდეთ და მუნ დაეფლნეთ შენ და ყოველნი მეგობარნი შენნი, [O:252 r] რომელთა-იგი უწინაწარმეტყუელებდით ცრუსა.

7. შემიტყუვე მე, უფალო, და შევსცეთ; შემიპყარ მე, და მძლე ვიქმენ მე საცინელ, ყოველნი დღენი აღვასრულენ კიცხევით.

8. რამეთუ გამწარებულითა სიტყჳთა ვიცინოდი, სიცრუვესა და უბადოებასა ვხადოდი, რამეთუ მექმნა [ფ. 238] მე სიტყუაჲ უფლისაჲ საყუედრელ და საგიობელ ყოველთა დღეთა.

9. და ვთქუ: არღარა სახელ-ვსდვი სახელსა უფლისასა და არღარა ვიტყოდი სახელითა მისითა. და იქმნა გულსა

G

მან სახელი შენი, არამედ გარდასახლებულ.

4. მით რამეთუ ამათ იტყჳს უფალი: აჰა მე მიგცემ შენ გარდასახლებად ყოველთა თანა მოყუარეთა შენთა და დაეცნენ მახჳლითა მტერთა მათთაჲთა, და თუალთა შენთა იხილონ, და შენ და ყოველი იუდაჲ მივსცე ჴელთა მეფისა ბაბილოვნისათა, და გარდაასახლენ იგინი ბაბილოვნდ და დაჰრნენ იგინი მახჳლითა.

5. და მივსცე ყოველ ძალი ქალაქისა ამის და ყოველნი ნაშრომნი მისნი და ყოველი პატივი მისი და ყოველნი საუნჯენი მეფისა იუდაჲსნი მივსცნე ჴელთა მტერთა მათთასა და წარიხუნენ იგინი ბაბილონდ.

6. და შენ, პასხორო, და ყოველნი დამკჳდრებულნი სახლსა შინა შენსა წარხჳდეთ ტყუებად და ბაბილონდ მიხჳდეთ და მუნ მოჰკუდე და მუნ დაეფლა შენ და ყოველნი მეგობარნი შენნი, რომელთა უწინაჲსწარმეტყუელებდ მათ ცრუსა.

7. შემაცთუნე მე, უფალო, და შევსცეთ; შემიპყარ და მძლე ვიქმენ საცინელად; ყოველი დღე წარვლე განკიცხულმან,

8. რამეთუ განმწარებულითა სიტყჳთა ჩემითა ვიცინოდი, უდებელობასა და საარებულობასა მოვხადო, რამეთუ იგი სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდა საყუედრელად და საგიობელ ყოველსა დღესა.

9. და ვთქუ: არა სახელ-ვსდვა სახელსა უფლისასა და არა ვიტყოდი მერმე სახელსა ზედა მისსა. და იქმნა გულ-

---

[4]. ესრე O. და (2;] — O. იგინი (1;] იგი O. ბაბილონნისათა O. მოწყჳდენ O. [5]. და წარიხუნენ იგინი] — O. [6]. და (1;] — O. მიხჳდე O. მოჰკუდე O. დაეფალა O. უწინაწარმეტყუელებდ O, [7]. შევცეთ O. შემიპყრა O. მძლე ვექმენ O. მე (3;] — O. ყოველნი] და ყოველნი O. [8]. სიტყჳთა] სიცილითა O. უბადოებასა] უბადრუკებასა O. [9]. სახე-ვსდვა] სახელ-ვიდვა O. შეყენებული O. შეუცავ] შევიცვი O. უძლებ O. უმზირდეთ O. ს ცთეს O.

[4]. მოყვარეთა W. იუდა W. [5]. მივსცენე W. ბაბილონად W. [6]. პასქორო W. ბაბილონად W. დამუნ W. [9]. ვსთქუ GW. უფლისასა] ღმრთისასა W. თავს-დებაჲ] თავსებაჲ G.

J

შინა ჩემსა, ვითარცა ცეცხლი აღგზე-
ბული, შემწუველი და შემყენებელი
ძუალთა შინა ჩემთა, შეუცავ გარემო და
ვერ შეუძლებ თავს-დებად,

10. რამეთუ მესმა გმობაჲ მრავალ-
თაჲ, რომელნი შეკრბებოდეს გარემო
ჩემსა. აღდეგით, და აღვდგეთ მას ზედა
ყოველნი კაცნი მიყუარნი მისნი და უმ-
ზიროთ ზრახვასა მისსა, ცთეს ხოლო
თუ, და ვსძლოთ მას და მოვიგოთ
შური ჩუენი მისგან.

11. და უფალი ჩემ თანა, ვითარცა
მბრძოლი ძლიერი; ამისთჳს მდევნეს და
ცნობად ვერ შეუძლეს, და ჰრცხუენა
ფრიად, რამეთუ არა გულისჴმა-ყვნეს
შეურაცხებანი მათნი, რომელნი მიმდე-
მი ვერ დაივიწყნეს.

12. უფალო ძალთაო, გამომცდელო
სიმართლისაო და მცნობელო გულთა და
თირკუმელთაო, მიხილავსმცა შენ მიერი
შურის-გებაჲ მათ შორის, რამეთუ შენ-
დამი განვაცხადენ ვედრებანი ჩემნი.

13. უგალობდით უფალსა, აქებდით
მას, რამეთუ განარინა სული გლახაკი-
საჲ ჴელთაგან უკეთურთაჲსა.

14. [O:252 v] წყეულ იყავნ დღჱ
იგი, რომელსა ვიშევ მას შინა, დღჱ
იგი, რომელსა შინა მშვა მე დედამან
ჩემმან, ნუ იყოფინ სალოცველ.

15. წყეულ იყავნ კაცი იგი, რო-
მელმან ახარა მამასა ჩემსა და ჰრქუა:
გესუა შენ წულ.

16. მხიარულმცა არს კაცი იგი,
ვითარცა ქალაქნი, რომელ დააქცინა
უფალმან გულის-წყრომით და არა შეი-

G

სა შინა ჩემსა, ვითარცა ცეცხლი მგზნე-
ბარე და მოტყინარე და შემყენებელი
შორის ძუალთა ჩემთა და შეუცავ ყო-
ველგნით და ვერ ძალ-მიც თავს-დებაჲ.

10. რამეთუ მესმა გიობაჲ მრავალ-
თაჲ შეკრებულთა ჩემ ზედა მრგულივ,
მეტყუელთაჲ: ზედა აღდეგით და ზედა
აღუდგეთ მას ყოველნი კაცნი მიყუარ-
ნი მისნი, განიხილეთ წულილ მოგონე-
ბაჲ მისი, ანუ შეაცთუნეთ და ვსძლოთ
მას და მოვიღოთ შურის-ძიებაჲ ჩუენი
მისგან.

11. და უფალი ჩემ თანა, ვითარცა
მბრძოლი ძლიერი, ამისთვს მდევნეს და
გაგონებ[ა]დ ვერ უძლოყე, ერცხჳნა
ფრიად [230 r], რამეთუ აგრძნნეს უპა-
ტივოებანი მათნი, რომელნი საუკუნომ-
დე არდავიწყებულ იქმნენ.

12. უფალო ძალთაო, გამომცდელო
სამართალთაო, გულისხუმა-მყოფელო
თირკუმელთა და გულთაო, მიხილავს-
მცა შენ მიერი შურის-ძიებაჲ მათგან,
რამეთუ შენდა მიმართ განვაცხადენ სი-
ტყვს-გებანი, პასუხის მიცემანი.

13. უგალობლით უფალსა, აქებდით
მას, რამეთუ განარინა სული გლახაკისაჲ
ჴელისაგან მბოროტებელთაჲსა.

14. და წყეულ დღე, რომელსა ვი-
შევ მას შინა, დღე, რომელსა შინა მშვა
მე დედამან ჩემმან, ნუ იყოფინ ზედ
ლოცვით.

15. და წყეულ კაცი, მახარებელი მა-
მისა ჩემისაჲ, მეტყუელი: გეშვა შენ ძე
წული.

16. ნუ მხიარულ იყავნ, და იყავნ
კაცი იგი, ვითარცა ქალაქნი, რომელნი
დააქცინა უფალმან გულის-წყრომით და

---

11. თანა] + და O. ჩუენი მისგან] მისი ჩუენგან O. გულისხმა-ყვეს O. შეურაცხებაჲ O. მათი O. დაივიწყნენ O. „ს"-ბოლოში ზემოდან არის მიწერილი J-ში. 12. და (1) — O. მიხი-ლავმცაO. 13. უფალსა] + და O. 15. ჰრქუა] თქუა O. გესუა] გიშვა O. წული O.

10. შეკრებულთაჲ G. მეტყუჱლთა W. მიყუარენი W. 11. გაგონებდ GW. G-ში გაცხო-ველებულია. აგრძნეს W. უპატიობანი W. 12. გულისხმა-მყოფელო W. თირკმელთა W. სიტყვს-გებანი] = W. 13. მბოროტებელთასა W. 15. ჩემისა W.

J

ნანა; ესმოდენ ვალალებაჲ დილითი და ღაღადებაჲ სამხრის,

17. რამეთუ არა მომკლა მე საშოსა შინა, და მექმნამცა დედაჲ ჩემი სამარე ჩემდა და საშო მიდგომის საუკუნო.

18. რაჲსა-მე გამოვედ საშოჲთ ხილვად შრომისა და ლმობისა, და აღესრულნენ სირცხჳლით დღენი ჩემნი?

G

არ შეინანა; ესმედ ღაღადებისაჲ განთიად და ვალალაებისაჲ ჟამსა შუა-დღისასა,

17. რამეთუ არ მომკლა მე საშოსა შინა მსაშოებელისა ჩემისასა, და იქმნა დედაჲ ჩემი საფლავ ჩემდა და საშო მიდგომილებისა საუკუნოჲსაჲ.

18. რაჲსა ამისთჳს გამოვედ საშოჲთ ხილვად შრომათა და ტკივილთა, და გარდაჴდეს სირცხჳლსა შინა დღენი ჩემნი:

21

J

1. სიტყუაჲ, რომელი იყო უფლისა მიერ იერემიაჲსა მიმართ, რაჟამს მიავლინა მისა მეფემან სედეკია პასქორ, ძჱ მელქისი, და სოფონია, ძჱ მაასესი მღდელისაჲ, და ჰრქუა:

2. იკითხე ჩუენთჳს უფლისა მიერ, რამეთუ მეფჱ ბაბილოვნელთაჲ მოდგომილ არს [ფ. 239] გარე, ყოს ხოლო თუ უფალმან ყოვლითა საკჳრველებითა (მისითა), და წარვიდეს ჩუენგან?

3. და ჰრქუა მათ იერემია: ესრე არქუთ სედეკიას:

4. ესრე იტყჳს უფალი: აჰა ესერა მე გარდავაქცინნე საჭურველნი საბრძოლნი, რომლითა ჰბრძავთ თქუენ ქალდეველთა, რომელთა შეუცავთ გარემო ზღუდესა შორის ქალაქსა ამას,

G

1. სიტყუაჲ, ქმნილი იერემიაჲს მიმართ უფლისა მიერ, ოდეს მიავლინა მისდამი სედეკია მეფემან პასხორ, ძე მელქისი, და სოფონია, ძე მაასესი მღდელი[საჲ], მეტყუელმან:

2. ჰკითხე ჩუენთჳს უფალსა, რამეთუ ნაბუქოდონოსორ, მეფე ბაბილონისაჲ ზედ დადგომილ არს ჩუენ ზედა, უკუეთუ ყოს ვითარ უფალმან ჩუენ თანა ყოველთაებრ საკჳრველებათა მისთა, და წარვიდეს ჩუენგან?

3. და თქუა მათდა მიმართ იერემია: ესრეთ თქუთ სედეკიაჲს მიმართ.

4. ამათ იტყჳს უფალი, ღმერთი ისრაილისაჲ: აჰა მე გარდავაქცინე საჭურველნი საბრძოლელნი თქუენნი, რომელი არს ჴელთა თქუენთა, რომელთა მიერ ებრძჳთ თქუენ მათ მიერ მეფესა ბაბილონისასა და ხალდეველთა, შემჴშველთა თქუენთა გარეთ ზღუდისა, და შემოვიყვანნე იგინი საშუალ ქალაქისა ამის.

---

17. ქალაქნი] + იგი O. ვალალაებაჲ O. მექმნამცა] მექმნა მე O. სამარჱ O. საუკუნოჲ J. 18. რაჲსა-მე] + ესრჱთ O. ლმობისა] სალმობისა O. აღესრულნეს O. სირცხჳლით [სიცრუვით O.

21.1. იერემიაჲ O. ძე O. მანასჱსიO. 2. იკითხჱ J. ჰკითხეთ O. უფლისა მიერ] უფალსა O ბაბილონელთაჲ O. გარჱ J. გარე J ჩუენ ზედა O. ხოლო UJ = O. მისითა] — J. 3. ესრჱთ O. 4. გარდავაქცინე O. თქუენ] +მით O. „მით“ ჩამატებულია ზემოდან. ქალდეველთა] + მიმართ O. რომლითა JO. შეუცავთ] შეუჴშავთ + თქუენ] O.

17. საუკუნოჲსა W.

21.1. მღდელი GW. 4. „ღმერთი ისრაილისაჲ“ ჩამატებულია G-ში. თქუენი GW. „თქუენნი რომელი არს ჴელთა თქუენთა“ ჩამატებულია G-ში. ქალდეველთა W. შემოვიყუანნე GW.

J

5. და გბრძოდი მე თქუენ ჴელითა განმზადებულითა და მკ[ლ]ავითა მაგრითა, [O:253 r] გულის-წყრომითა და რისხვითა და მრისხანებითა დიდითა·

6. და მოვსწყჳდნე ყოველნი დამკჳდრებულნი ამას ქალაქსა შინა, კაცნი და საცხოვარი, სიკუდილითა დიდითა [მოისრნეთ].

7. და მისა შემდგომად ესრე იტყჳს უფალი. მივსცე სედეკია მეფჱ იუდაჲსაჲ [და] მონანი მი[ს]ნი და ერი მისი, რომელ დავრდომილ არს ქალაქსა ამას შინა სიკუდილსა და სიყმილსა და მახჳლსა და ჴელთა მტერთა მათთასა და მეძიებელთა სულთა მათთასა; დაჭრნენ იგინი პირითა მახჳლისაჲთა, და არა ვერიდო მათ და არცა შევიწყალნე იგინი.

8. და ერსა მას ჰრქუა: ესრე იტყჳს უფალი: აჰა ესერა მიგცე წინაშე პირსა თქუენსა გზაჲ ცხორებისაჲ და გზაჲ სიკუდილისაჲ.

9. რომელი ჯდეს ქალაქსა ამას შინა, მოკუდეს მახჳლითა და სიყმილითა; და რომელი გამოვიდოდის და მიადგებოდის ქალდეველთა, რომელთა შეუყენებიეთ თქუენ, ცხოვნდეს, და იყოს თავი მისი ტყუჱ.

10. რამეთუ დამიმტკიცებიეს პირი ჩემი ამას ქალაქსა ზედა ბოროტისად და არა კეთილისად, ჴელთა მეფისა ბაბილო-

G

5. და გებრძოლო თქუენ მე ჴელითა განმარტებულითა და მკლავითა ძლიერითა გულის-წყრომისა თანა და რისხვისა დიდისა·

6. და მოვსრნე ყოველნი დამკჳდრებულნი ქალაქსა ამას შინა და საცხოვარნი სიკუდილისა მიერ დიდითა, და მოკუდენ.

7. და [230 v] შემდგომად ამათსა ესრეთ იტყჳს უფალი: მივსცე სედეკია მეფე იუდაჲსი და ყრმანი მისნი და ერი, დაშთომილი ქალაქსა ამას შინა სიკუდილისაგან და მახჳლისა და სიყმილისა ჴელსა ნაბუხოდონოსორ მეფისა ბაბილონისასა და ჴელთა შინა მტერთა მათთა და ჴელთა შინა მეძიებელთა სულთა მათთასა, და დაჭრნენ იგინი პირითა მახჳლისაჲთა, არა ვერიდო მათ ზედა და არ შევიწყალნე იგინი და არცა ულხინო მათ:

8. და ერისა ამის მიმართ სთქუა: ამათ იტყჳს უფალი: აჰა მე მიგეც წინაშე პირსა თქუენსა გზაჲ ცხორებისაჲ და გზაჲ სიკუდილისაჲ·

9. მჯდომარე ქალაქსა ამას შინა მოკუდეს მახჳლისა მიერ და სიყმილისა მიერ; და გამომავალი განშორებისათჳს ხალდეველთა მიმართ, შემაწყუდეველთა თქუენთა, ცხონდეს, და იყოს სული მისი საიავროდ, და ცხოვნდეს.

10. მით რამეთუ განვიმტკიცე პირი ჩემი ქალაქსა ამას ზედა საბოროტოდ და არსაკეთილოდ, თქუა უფალმან;

---

5. მკავითა J, მკლავითა + განმზადებულითა O. 6. მოვწყჳდნე O. ყოველნი] + იგი O. საცხოვარნი O. მოისრნეთ] — J. 7. მისა] ამის O. იუდაჲსი O. და (2)] — J. მინი J. დავრდომილ] დაშთომილ O. ~ შინა ქალაქსა მას O. სიკუდილისაგან O. სიყმილისა O. მახჳლისაგან O. ჴელთა] + გან O. მათთაჲსა O. მათისათა O. ვერიდო] ჰრიდოს O. და (8)] — O. შეიწყალნეს O. 8. ესერა] + მე O. მიქცე J. მიგეც O. ~ გზაჲ ცხორებისაჲ წინაშე პირსა თქუენსა O. 9. ამას] — O. მიადგებოდის] მიეგებვოდის O ცხონდეს O. და იყოს თავი მისი ტყუჱ] — O. 10. ამას ქალაქსა ზედა] მის ზედა ამას ქალაქსა O. ბაბილონისათა O.

5. რისხჳსა W. 6. საცხოვანი W. სიკდილისა W. „ცხოვარნი სიკდილისა მიერ დიდითა" გაცხოველებულია G-ში 7. ნაბუქოდონოსორ W. ბაბილოვანის˝სა W. „და არცა ულხინო მათ" ჩამატებულია G-ში. 8. გზა ცხორებისა W. 9. ქალდეველთა W. ცხონდეს W. 10. ბაბილოვანისათა W.

J

ვნისათა მიეცეს, და დაწუას იგი ცეცხლითა.

11. სახლმან მეფისა იუდაჲსმან ისმინენ სიტყუაჲ უფლისაჲ.

12. სახლო დავითისო: ესრე იტყჳს უფალი: შჯიდით დილითი საშჯელსა და განაგებდით, განარინით მიტაცებული ჴელისაგან მავნებელისა მისისა, რაჲთა არა აღატყდეს ცეცხლებრ გულის-წყრომაჲ ჩემი, აღეგზნეს და [O:253 v] არავინ იყოს დამშრეტელ.

13. აჰა ესერა მე შენდამი, რომელი დამკჳდრებულ ხარ ღელესა ასურისასა, ველსა, რომელნი იტყჳან: ვინ შეგუაძრწუნნეს ჩუენ, ანუ [ფ. 240] ვინ შემოვიდეს საყოფლად ჩუენდა?

14. აღვაგზნე ცეცხლი მაღნართა მისთა [ზედა] და შეჭამნენ ყოველნი გარემოჲს მისსა.

G

ჴელთა მეფისა ბაბილოვნისათა მიეცეს, და მოწუას ეგე ცეცხლითა.

11. სახლმან მეფისა იუდაჲსმან ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ.

12. სახლო დავითისო: ამათ იტყჳს უფალი: შჯიდით განთიად სასჯელსა და წარჰმართებდით და განარინებდით მიხუეჭილსა ჴელისაგან მიმხუეჭელთა მისთაჲსა, რაჲთა არა აღეგზნას, ვითარცა ცეცხლი რისხვაჲ ჩემი და დასწუვიდეს, და არა იყოს დამშრეტელ პირისაგან სიცრუისა სიმარჯუეთა თქუენთაჲსა.

13. აჰა მე შენდამი, დამკჳდრებულისა ღელესა სორისსა, ველობსა, ეტყჳს უფალი მეტყუელთა: ვინ შემაშინნეს ჩუენ, ანუ ვინ შევიდეს სამკჳდრებელსა ჩუენსა?

14. და ზედ-მოვიხილო თქუენ ზედა ბოროტთაებრ სიმარჯუეთა თქუენთა, თქუა უფალმან, და აღვაგზნე ცეცხლი მაღნარსა მისსა შორის და შეჭამნეს ყოველნი გარემოჲსნი მისნი.

22

J

1. ესრე იტყჳს უფალი: წარგუალე და შთავედ სახლსა მეფისა იუდაჲსსა და იტყოდე მუნ სიტყუასა ამას.

2. და არქუ: ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ მეფემან იუდაჲსმან, რომელი ჰზი საყდარსა დავითისსა, შენ და სახლმან შენმან და მონათა შენთა და ერმან შენმან და რომელნი შეხუალთ ბჭეთა ამათ.

3. ესრე იტყჳს უფალი: ჰყოფდით საშჯელსა და სიმართლესა და განარი-

G

1. ამათ იტყჳს უფალი, ვიდოდე და შთახჳდე სახიდ მეფისა იუდაჲსა და სთქუნე მუნ სიტყუანი ესე.

2. და ჰრქუა: ისმინე სიტყუაჲ უფლისაჲ მეფე[331 r]მან იუდაჲსმან, მჯდომარემან საყდარსა ზედა დავითისა, შენ და ყრმათა შენთა და ერმან შენმან და რომელნი შემოვლენ ბჭეთა ამათ.

3. ამათ იტყჳს უფალი: ჰყოფდით საშჯელსა და სიმართლესა და განარი-

---

11. სახლმან] და სახლმან. O. ისმინეთ O. 12. სახლმან დავითისმან O. შჯიდეთ O. დილითგან O. განაგებდეთ O. განარინეთ O. 13. ასურისასა] ასურეთისა O. 14. ზედა] — J. შეჭამნეს O· ყოველნი] — O. გარემო მისა O.

22.1. სახლად O. იუდაჲსა O. ეტყოდე O. 2. არქუ]სთქუა O. და მონათა შენთა და ერმან შენმან]—O. 3. და სიმართლესა]—O. განარინით G. და [3]—O. ~. ადგილისა ამას O.

12. იტყჳჲ W. წარმართებდით W. მიხუწჭილსა GW. მიმხუწჭელთა GW. დასწვიდეს W. 14. „თქუა უფალმან“ ჩამატებულია G-ში.

22,1. ხელნაწერშია „შთაველ“. მაგრამ „ველ“ გადაუშლია გადამწერს და ზემოთ მის ნაცვლად „ხვდე“ დაუწერია, W-ში კი: შთახედე. იუდაჲსსაჲ G. 2. დთ́ისასა W. შენდა W. ამათ] — W. 3. სასჯელსა W. მიმძლავრებელისა G.

J

ნეთ მიტაცებული ჴელისაგან მავნებელისა მისისა და ვედრსა და ობოლსა და ქურივსა ნუ ჰმძლავრობთ და ნუ ულმრთო იქნებით და სისხლსა უბრალოსა ნუ დასთხევთ ამას ადგილსა.

4. უკუეთუ ყოფით ჰყოთ სიტყუაჲ ესე და შევიდენ ბჭეთა ამის სახლისათა მეფენი, მსხდომარენი საყდართა ზედა დავითისთა და ზემსხდომარენი ეტლებსა, ჰუნებსა, იგინი და მონანი მისნი და ერი მათი,

5. უკუეთუ არა ჰყვნეთ სიტყუანი ესე, თავსა ჩემსა ვფუცავ, იტყჳს უფალი, რამეთუ აღსაოჴრებელად იყოს სახლი ესე.

6. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი სახლისათჳს მეფისა იუდაჲსასა: გალაად, შენ ხარ ჩემდა დასაბამ ლიბანისა; უკეთუ არა დაგდვა შენ ოჴრად, ქალაქებად ოჴრად და უშენებელად.

7. და მოვავლინო შენ ზედა კაცი მომსრველი, და [O:254 r] ცული ჴელთა შინა მისთა, და მოკაფონ ყოველი [რჩეული ნაძჳ შენი] და დაასხან ცეცხლსა.

8. და განვლონ წარმართთა ქალაქი ესე, და თქუას კაცად-კაცადმან მოყუსისა მიმართ თჳსისა: რაჲსათჳს უყო უფალმან ქალაქსა ამას [ესრეთ] დიდსა?

9. და თქუან: მისთჳს, რამეთუ დაუტევეს ესრე შჯული უფლისა ღმრთისა მათისაჲ და თაყუანის-სცეს ღმერთთა უცხოთა და ჰმონეს მათ.

G

ნებდით მიმძლავრებულსა ჴელისაგან მი[მ]მძლავრებელისა მისისა და მწირსა და ობოლსა და ქურივსა ნუ ჰმძლავრობთ და ნუ უმთნოებთ და სისხლსა უბრალოსა ნუ დასთხევთ ადგილსა ამას შინა.

4. მით რამეთუ, უკუთუ მყოფელთა ჰყოთ სიტყუაჲ ესე და შევიდოდინ ბჭეთა ამის სახლისათა მეფენი და მთავარნი, მსხდომნი საყდარსა ზედა დავითისასა და ზედ-აღმავალნი ეტლებსა ზედა და ცხენებსა, იგი და ყრმანი მისნი და ერი მისი,

5. ხოლო არა თუ ჰყვნეთ სიტყუანი ესე, თავისა ჩემისადმი ვფუცე, იტყჳს უფალი, ვითარმედ მოსაოჴრებელად იყოს სახლი ესე.

6. რამეთუ ამათ იტყჳს უფალი ძჳნად სახლისა მეფისა იუდაჲსისა: გალაად, შენ ხარ ჩემდა დასაბამ ლიბანისა; უკეთუ არა დაგდვა შენ უდაბნოდ ქალაქებად არდამკვდრებულებად.

7. და მოვაწინე და წმიდა-ვყვნე შენ ზედა მომსრველნი, მამაკაცი და ცული მისი, და მოჰკუეთნენ რჩეულნი ნაძუნი შენნი და შეყარნენ ცეცხლსა.

8. და განვიდენ წარმართნი მრავალნი ქალაქისა ამის მიერ, და თქუას კაცადმან მოყუსისა მიმართ თჳსისა: რაჲსათჳს უყო უფალმან ესრეთ ქალაქსა ამას დიდსა?

9. და ჰრქუან: მათ წილ, რომელ დაუტევეს ანდერძი უფლისა ღმრთისა მათისაჲ და თაყვანის-სცეს ღმერთთა უცხოთა და ჰმსახურეს მათ.

---

4. მის O. ზჱ-მსხდომარენი O. ეტლთა O. ჰუნებსა] და ჰუნეებსა O. მისნი] მათნი O. 5. ესე] + ჩემდა O. თავსა ჩემსა ვფუცავ] — O. 6. იუდაჲსა O. ჩემდა] — O. უშჱნებელად O. 7. ჴელთა შინა მისთა] მისი O. მოკაფონ O. რჩეული ნაძჳ შენი] — J. 8. თჳსისა] — O. ესრეთ] — J. 9. და (1) — O. ესრე] — O ღ῀თი O.

5. ჰყუნეთ GW. 7. მოვაწივნე W. წ῀ჲ ვყვნე W. დაცული W. 8. თქვას W. მოყსისა W. 9. მათისა W.

J

10. ნუ სტირთ მომკუდარსა, [ნუცა] ტიროდეთ ტირილით განმავალსა, რამეთუ არღარა მოიქცეს მერმე, არცა იხილოს ქუეყანაჲ ესე სოფლისა თჳსისაჲ.

11. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი სელუმისთჳს, ძისა იოსიაჲსა, მეფისა იუდაჲსა, რომელი მეფობდა იოსიაჲს წილ, მამისა თჳსისა, რომელ განჴდა ამის ადგილისაგან, არა მოიქცეს [მუნვე] მერმე.

12. რამეთუ [ფ. 241] ადგილად, რომლად წარტყუენეს, მუნ მოკუდეს და ქუეყანაჲ ესე ვერღარა იხილოს მერმე.

13. ჵ, რომელი აშენებდეს სახლსა თჳსსა არა სიმართლით და ქორებსა თჳსსა არა განკითხვით, მოყუასთაგანი მოიქმნიე უსასყიდლოდ და სასყიდელი მისი არა მისცი მას.

14. იშენეთ თავისა თჳსისა სახლ შემგუვედ, ქორები ფართოები, განწესებული სარკუმლებითა, მოფიცრული ნაძჳთა, განგლორწნილი წარნაქითა.

15. ხოლო ჰმეფობდე ნუ, რამეთუ განჰრისხნი ნაძჳსა მიმართ? მამამან შენმან არა ნუ ჭამა და სუა და ყო განკითხვაჲ და სიმართლჱ. მაშინ უკეთეს იყო მისა.

16. საჯა საშჯელი მდაბლისა და დავრდომილსაჲ, [O:254 v] და კეთილ იყო მისა. ანუ არა-მე ესე არს ცნობაჲ იგი? — თქუა უფალმან.

G

10. ნუ სტირთ მომკუდარსა, ნუცა ეგლოვთ მას და იტირეთ ტირილით განმავალი, რამეთუ არღა მოიქცეს მერმე, არცა იხილოს ქუეყანაჲ მამულისა მისისაჲ.

11. მით რამეთუ ამათ იტყჳს უფალი სელიმის ზედა, ძისა იოსიაჲსსა, მეფისა იუდაჲსსა, რომელი მეფობდა იოსიაჲს წილ, მამისა მისისა, რომელი გავიდა ადგილისა ამისგან; არა უკუმოიქცეს მუნ მერმე.

12. რამეთუ ადგილსა მას, რომელსა გარდაასახლეს იგი, მუნ მოკუდეს და ქუეყანაჲ ესე არა იხილოს მერმე.

13. ჵ, მაშენებელსა [231 v] სახლისა თჳსისასა არა სიმართლისა მიერ და ქორებსა თჳსსა არგანკითხვისა მიერ, მის მიერ მოყუასი მისი მოქმედებს მედად, და სასყიდელსა მისსა არ მისცემს მას[14], მეტყუელი.

14. უშენე თავსა შენსა სახლი ზომითი, ქორები სანიავოები განგებულებისა სტუენად და მონივთულები ნაძჳთა, განგლესილები წარნაქითა.

15. ნუ ჰმეფობ, რამეთუ შენ განსძჳნდი ახაზისებრ, მამისა შენისა; არა ჭამონ და სუან, და ქმნაჲ მსჯავრისა და სიმართლისა კეთილისაჲ არა ცნეს.

16. არა საჯეს საშჯელი მდაბალთაჲ, არცა საშჯელი დავრდომილისაჲ. არა ესე არსა შენგან ვერ ცნობაჲ ჩუენი შენი? — იტყჳს უფალი.

---

10. მკუდარსა O. ნუცა] — JO. სტიროდეთ O. ~ განმავალსა ტირილით O. ესე] — O. 11. ესრე] მას O. სელუმისთჳს] ს´ლისა მისთჳს O [მცდ.] ძისა იოსიაჲსა მეფისა იუდაჲსა, რომელი მეფობდა] — O. განჴდა] გარდაჴდა O. მუნვე] — J მერმჱ O. 12. წარიტყუენნენ O. მოკუდენ O. ვერღარა] ვერ O. იხილონ O მერმჱ O. 13. აშჱნებდეს O. სიმართლითა O. მოყუასთაგანი] მოყუასთა თჳსთაგანი O. მოიქმნიის O. მისი]—O. მისცის O. 14. იშჱნე O. შემგუვედ] შეუდგინე O. ფართოები O. 15. ხოლო]—O. ნუ] ნუა O. „რამეთუ“ ჩამატებულია J-ში. განჰრისხნე O. ჭამაა O. სიმართლე J, სამართალი O. უკეთჱს O. 16. საშჯელი] სამართალი O. მდაბლისაჲ O. მისა] მაშინ O. არა-მე ესე არს ცნობაჲ იგი] არა ესე ნუ არსა ცნობაჲ O.

10. მისისა W. 11. იოსიას GW. უკუმოიქცეს GW. მუნ] + არა GW. 12. ქუეყანა W. 14. სახლი ზომითი W. დამონივთულები W. განგლესილები W. 15. აქაზისებრ W. 16. სასჯელი [1,2] W. ცნობა W.

J

17. აჰა ესერა არა არიან თუალნი
შენნი და არცა გული შენი კეთილ. არა-
მედ ანგაჰრებასა შინა [შენსა] და სის-
ხლსა ზედა უბრალოსა დათხევად და
ცილის-დებასა ზედა და საქმედ კაცის-
კლვასა და ვნებასა.

18. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი
იოაკიმისთჳს, ძისა იოსიაჲსა, მეფისა
იუდაჲსა: ვაჲ კაცსა მას ზედა, არა დაი-
ტყებონ იგი; ვაჲ ძმაო; არცა სტიროდიან
მას: ვაჲ მე, უფალო, და ვაჲ მე, ძმაო.

19. ფლვით ვირებრ დაიფლას: შემ-
პალი გარდადვან გარე ბჭეთა იერუსა-
ლჱმისათა.

20. აღვედ ლიბანდ და ჴმა-ყავ [და]
ბასანდ მიაწიე ჴმაჲ შენი და ღაღად-ყავ
წიაღ ზღუასა, რამეთუ შეიმუსრნეს ყო-
ველნი ტრფიალნი შენნი.

21. გეტყოდე შენ ცთომასა შენსა,
და სთქუ: არა ვისმინო. ესე არს გზაჲ
შენი სიჭაბუკითგან შენით, არა ისმინე
ჴმისა ჩემისაჲ.

22. ყოველთავე მწყემსთა შენთა
მწყსიდეს ქარი, და ტრფიალნი შენნი
წარვიდენ ტყუედ, რამეთუ მაშინ გრ-
ცხუენოდის და შეურაცხ-იქმნე ყოველ-
თაგან მიყუართა შენთა.

23. დამკჳდრებულთა ლიბანს, დაბუ-
დებულ ნაძუთა შინა ჰკუნესოდი, რაჟამს
მოგიჴდენ შენ სალმობანი, ვითარცა
შობადისანი.

G

17. რამეთუ შენდა აჰა არა არიან
თუალნი, არცა გული შენი კეთილ, არა-
მედ ანგაჰრებასა ზედა შენსა და სისხლსა
ზედა უბრალოსა დათხევად მისსა და
ცილისწამებასა ზედა და უსამართლოე-
ბასა და მკვლელობასა ქმნად მათდა.

18. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი იოა-
კიმის ზედა, ძისა იოსიაჲსსა, მეფისა
იუდაჲსსა: ვაჲ კაცსა ამას ზედა, არა
ეტყებდენ მას, ვაჲ მე, უფალო, და ვაჲ
მე, ძმაო, და ვაჲ მე, დაო, არცა სტირო-
დინ მას, საყუარელო.

19. დაფლვითა ვირისაჲთა დაეფლას;
და-რაჲ-ლპეს, ვითარცა სკორე განი-
თჳიოს მიერ კერძო ბჭესა იერუსალიმი-
სასა.

20. აღვედ ლიბანსა ზედა და ღაღად-
ყავ და ვასანადმი მიეც ჴმაჲ შენი და ჴმა-
ყავ წიაღ კერძოდ მიმართ ზღჳსა, რამე-
თუ შეიმუსრნეს ყოველნი ტრფიალნი
შენნი.

21. ვიტყოდე შენდამი დაცემულე-
ბასა შინა შენსა და სთქუ: არა ვისმინო
შენი. ესე არს გზაჲ შენი სიჭაბუკით შე-
ნითგან, რამეთუ არა ისმინე ჴმისა ჩემი-
საჲ.

22. ყოველთა მწყემსთა შენთა ჰმწ-
ყსის ქარი, და ტრფიალნი შენნი ტყუეო-
ბად მიმართ წარვიდენ, რამეთუ მაშინ
შეირცხჳნო და უპატივო-იქმნე ყოველ-
თაგან მიყუართა შენთა.

23. დამკჳდრებულმან შორის ლი-
ბანსა, დაბუდებულმან ნაძუთა ზედა
სულთ-ითქუნე მოსლვასა შენდა სალ-
მობათა, ვითარცა შობადისათა.

---

17. შენსა] — J. დათხევასა O ცილ-დებასა O. ზედა] + მისსა O. კაცის კვლვისა O. ვნე-
ბასა] + წწყბჲ O. 18. იოაკიმისთჳს] იოვაკიმის ზედა O. იოდაჲსა O. 19. ვირებ დაიფლას] ვერ
დაჰფლას J. გარჱ J, გარეშჱ O. 20. და [2] — J. მიიწია O. 21. ცთომასა] + შინა O. სთქუა O.
არს] — O. სიჭაბუკითგან შენით] სიჭაბუკისა შენისაჲ + და O. ისმინე] + შენ O. 22. ~ ტყუედ
წარვიდენ O. 23. დაბმულ J, დაბუდებული O. შენ] — O.

18. „ვაჲ მე, დაო“ ჩამატებულია G-ში. „საყუარელო“ ჩამატებულია G-ში. 19. ვირისათა
W. 20. ბასანადმი W. ჴ ჲ ყ´ვ W. 21. შ´ნთიგ´ნ W. ჩემისა W. 22. ჰმყსის W. 23. შობადი-
სათასა GW.

J

24. ცხოველ ვარ მე, თქუა უფალმან, და ღათუ ყოფით მეყოს მე იექონია, ძჱ იოაკიმისი, მეუფჱ იუდაჲსი [ფ. 242]. ნაბეჭდავ ჴელსა ზედა მარჯუენასა [O: 255 г] ჩემსა, მიერ გამოგკუეთო შენ.

25. და მიგცე შენ ჴელთა მეძიებელთა სულისა შენისათა, რომელთაგან გეშინის პირისაგან მათისა, ჴელთა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისათა და ჴელთა ქალდეველთასა.

26. და განგაგდო შენ და დედაჲ შენი, რომელმან გშვა შენ, ქუეყანად სხუად, ქუეყანად, სადა არა იშვენით მუნ, და [მუნ] მოჰსწყდეთ.

27. ხოლო ქუეყანასა, რომელსა ილოცვიდენ იგინი სულითა მათითა მოქცევად, მუნ ვერღარა მოიქცენ.

28. პირი ეგე შეურაცხი და განგდებული კაცი ესე: შეურაცხ-იქმნა იექონია, ვითარცა ჭურჭელი არა საჴმარი, რამეთუ განიგდო იგი და ნათესავი მისი და განვარდა ქუეყანასა, რომელ არა იცოდა.

29. ქუეყანაო, ქუეყანაო, ქუეყანაო, ისმინე სიტყუაჲ უფლისაჲ.

30. ესრე იტყჳს უფალი: დაწერე კაცი ესე განვრდომილად კაცად, წარმოუმართებელად კაცად. დღეთა მისთა, რამეთუ არღარა აღორძინდეს ნათესავისაგან მისისა კაცი მჯდომარე საყდარსა ზედა დავითისსა მთავრად იუდაჲსა.

G

24. ცხოველ ვარ მე, იტყჳს უფალი, უკუეთუ ქმნით იქმნეს იექონია, ძე იოაკიმისი, მეფე იუდაჲსი, აღმონაბეჭდავ ჴელისა ჩემისა მარჯუენისა, ვითარმედ მუნითგან [232 г] გამოგფხურა შენ.

25. და მიგცე შენ ჴელებსა მეძიებელთა სულისა შენისათასა და ჴელებსა, რომელთა შენ იშიში პირისაგან მათისა, ჴელსა შინა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისა და ჴელსა შინა ხალდეველთასა.

26. და განგაგდო შენ და დედაჲ შენი, მშობელი შენი, ქუეყანად სხუად, ქუეყანადმი, რომელსა არა იშვენით მუნ, და მუნ მოჰკუდეთ.

27. ხოლო ქუეყანად, რომელსა იგინი ილოცვენ სულითა მათითა, არა მოიქცენ.

28. შეურაცხ-იქმნა იექონია, ვითარ ჭურჭელი, რომლისა არა არნ საჴმარებაჲ მისი, რამეთუ განიგდო იგი და თესლი მისი და განიჴადა ქუეყანად, რომელი არა უწყოდა.

29. ქუეყანაო, ქუეყანაო, ქუეყანაო, ისმინე სიტყუაჲ უფლისაჲ.

30. ამათ იტყჳს უფალი: დაწერე მამაკაცი ესე, განაქიქე კაცი, რამეთუ არა აღორძინდეს თესლისა მისისაგან კაცი მჯდომარე საყდარსა ზედა დავითისსა, მთავარი მერმეცა იუდასა შორის.

---

24. ღათუ] თქუა უკუეთუ O მეყოს მე] იყოს O. ძეჱ J. იოვაკიმისი O. მეუფეჱ J, მეფისა O. დავჰბეჭდავ O. მარჯუენესა O. 25. რომელთაგან] + შენ O. პირისაგან მათისა] პირისა მათისაგან O. ჴელთა] + გან O. ბაბილონისათა O ქალდეველთაჲსა JO. 26. განგაგდონ J. შენ და დედაჲ შენი, რომელმან გშვა] — O. მუნ] — J. მოსწყდეთ O. 27. ~ იგინი ილოცვენ O. 28. ჭურჭელი O. ქუეყანად O. რომელი O. 29. „ქუეყანაო" 2-ჯერაა ნახმარი O-ში. 30. კაცი O. კაცად] — O. ამისთა O. მისისა] + გან O. მჯდომარჱ O.

25. ქალდეველთასა W 26. ს῾ხჲდ W. იშუჱნით W. მოჰკლეთ W. 28. საჴმარება W. 29. ქეე῾ყნო W. უფლისა W 30. იუდას W.

J

23

1. ჵ მწყემსნო, რომელნი განაბნევთ და წარსწყმედთ ცხოვართა საძოვრისაგან ჩემისა, თქუა უფალმან;

2. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ მწყემსთა ზედა [ერისა ჩემისათა]: თქუენ განაბნიენთ ცხოვარნი ჩემნი და განაშორენით იგინი და უგულებელსჰყვენით იგინი. აჰა ესერა მე შური ვიძიო თქუენგან მსგავსად უკეთურებისა სლვისა თქუენისა, თქუა უფალმან,

3. და მე შევიწ[O:255 v]ყნარნე ნეშტნი ერისა ჩემისანი ყოვლისაგან ქუეყანისა, სადაცა განვიშოვრენ მე იგინი მუნ და დავადგინნე იგინი საძოვარსა ზედა მათსა, და აღორძნდენ და განმრავლდენ.

4. და აღუდგინნე მათ მწყემსნი, რომელნი მწყსიდენ მათ, და არღარა ეშინოდის მერმე, არცა შეძრწუნდენ, იტყჳს უფალი.

5. ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და აღუდგინო დავითს აღმოსავალი მართალი, და მეუფებდეს მეუფჱ მართალი, ცნას და ეყოს განკითხვაჲ და სიმართლე ქუეყანასა ზედა.

6. დღეთა მისთა ცხოვნდეს იუდაჲ, და ისრაჱლმან დაიმკჳდროს სასოებით, და ესე სახელები მათი, რომელ დასდვ[ფ. 243]ას მათ უფალმან: იოსედეკიმ იგი წინაწარმეტყუელთა შორის.

G

1. ჵ მწყემსნო, წარმწყმედელნო და განმაბნეველნო ცხოვართა საძოვრისა ჩემისათა, იტყჳს უფალი.

2. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი ღმერთი ისრაელისაჲ მწყემსთა ზედა, მწყსელთა ერისა ჩემისათა: თქუენ განბნიენით ცხოვარნი ჩემნი და განაგარეენით იგინი და არა მოიხილენით იგინი. აჰა მე შურ ვიგო თქუენ ზედა ბოროტთაებრ სიმარჯუეთა თქუენთა, თქუა უფალმან,

3. და მე შევიწყნარნე ნეშტნი ერისა ჩემისანი ყოვლისაგან ქუეყანისა, სადა განვაგარეენ იგინი მუნ და დავადგინნე იგინი საძოვარსა მათსა ზედა და აღორძინდენ და განმრავლდენ.

4. და აღუდგინნე მათ მწყემსნი, რომელნი ჰმწყსიდენ მათ, და არღარა ეშინოდის მერმე, არცა იწიწვოდინ, არცა ორჯმაობდენღა, იტყჳს უფალი.

5. ესერა დღენი მოვლენ, იტყჳს უფალი, და აღუდგინო დავითს აღმოსავალი მართალი, და მეფობდეს მეფე მართალი და გულისხუმა-ყოს და ქმნას განკითხვაჲ და სიმართლე ქუეყანასა ზედა.

6. დღეთა შინა მისთა ცხოვნდეს იუდაჲ, და ისრაელი დაემკჳდროს სასოებით, და ესე სახელ მისსა, რომელი უწოდოს მას უფალმან: იოსედეკ თჳთ წინაჲსწარმეტყუელთა შორის.

---

1. გვერდზე: ქჱ´ს შჲ´საჲ O. 2. ერისა ჩემისათა] — J. განაბნიენით O. ჩემნი] ერისა ჩემისანი O. განიშორენით O. უგულებელს ჰყვენით O. 3. განვიშორენ O. მათსა] მთათასა O. 4. აღუდგინო O. მწყემსი O, რომელი O. მწყსიდეს O. „რ“ ჩამატებულია J-ში. მერმჱ O. ოო´ ოი J. 5. დღჱნი O. მართალი] + და O. ცნათ [?]. სიმართლჱ O. 6. დღჱთა O. ცხონდეს O. იუდა O. ისრაჱლმან] იერუსალჱმმან J. ესე] + არს O. სახელი O. დასდვა O. შორის] + უწოდიან მას, უფალი სიმართლედ ჩუენდა წინასწარმეტყუელთათჳს O.

2. არ, ასეა W-ში. თ´ქე W. „თქუა უფალმან“ ჩამატებულია G-ში. 4. ჰმყსიდენ W. 5. გლ´ის ქმაჲ ყოს W. განკითხვა GW. 6. ცხ´ნდეს W. იუდა G. ისრაელი, ასეა W-ში. „იოსედეკ თჳთ წინაჲსწარმეტყუელთა შორის“ ფრჩხილებშია ჩასმული W-ში.

J

7. ამისთჳს [აჰა] ესერა დღენი მოვლენან. იტყჳს უფალი, და არღარა თქუან: ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოიყვანნა ძენი ისრაჱლისანი ქუეყანით ეგჳპტით.

8. არამედ: ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოიყვანა და მოიყვანა ნათესავი სახლისა ისრაჱლისაჲ ქუეყანით ჩრდილოჲთ და ყოველთაგან სოფელთა, სადაცა განვაბნიენ იგინი და კუალად-ვაგნე იგინი, და დაეშენნენ ქუეყანასა მათსა.

9. წინაწარმეტყუელთათჳს: განტყდა გული ჩემი ჩემ თანა, და შეიძრნეს ყოველნი ძუალნი ჩემნი, ვიქმენ მე ვითარცა მამაკაცი განკაფული და ვითარცა კაცი შეპყრობილი ღჳნითა პირისაგან უფლისა და პირისაგან შუენიერებისა დიდებისა მისისა.

10. [O:256 r] რამეთუ მრუშებითა აღივსო ქუეყანაჲ და პირისაგან მათისა იგლოვდა ქუეყანაჲ. განჴმეს საძოვარნი უდაბნოჲსანი, და იყოს სრბაჲ მათი უკეთურ და ძლიერებაჲ მათი არარაჲ.

11. რამეთუ მღდელნი და წინაწარმეტყუელნი შეიბილწნეს, და სახლსა შინა ჩემსა ვიხილე უკეთურებაჲ მათი, თქუა უფალმან.

12. ამისთჳს ექმენინ გზაჲ მათი საძრომელ ნისლსა შინა, და შეუბრკუმენ, და დაეცნედ მას შინა, რამეთუ მოვავლინო მათ ზედა ძჳრი წელსა მას მოძიებისა მათისასა.

G

7. ამისთჳს აჰა დღენი მოვლენ, იტყჳს უფალი, და არა თქუან მერმე: [232 v] ცხოველ არს უფალი, აღმომყვანებელი ძეთა ისრაელისათა [ქუეყანით] ეგჳპტით.

8. არამედ: ცხოველ არს უფალი, ამომყვანებელი და მომყვანებელი თესლსა სახლისა ისრაილისსა ქუეყანისაგან ჩრდილოჲსა და ყოველთაგან სოფლებთა, სადაცა განვაგარეენ იგინი მუნ და დაემკჳდრნენ ქუეყანასა ზედა მათსა.

9. წინაჲსწარმეტყუელთათჳს: შემუსრა გული ჩემი ჩემ შორის, შეირყინეს ყოველნი ძუალნი ჩემნი: ვიქმენ ვითარცა მამაკაცი შემუსრვილი და ვითარცა კაცი შეპყრობილი ღჳნისა მიერ პირისაგან უფლისა და პირისაგან დიდებისა მისისა.

10. რამეთუ მრუშებათა მიერ აღივსო ქუეყანაჲ. რამეთუ პირისაგან ამათისა იგლოვა ქუეყანამან, განჴმეს საძოვარნი უდაბნოჲსანი, და იქმნა სრბაჲ მათი ბოროტ და ძალი მათი არა ესრე.

11. რამეთუ მღდელი და წინაჲსწარმეტყუელნი შეიმწიკულნეს, და სახლსა შინა ჩემსა ვიხილენ უკეთურებანი მათნი, თქუა უფალმან.

12. ამისთჳს იქმენინ გზაჲ მათი მათ-და საბრჯე ალმურსა შინა, და შებრკოლდენ და დაეცნენ მას შინა, მით რამეთუ მოვჰკადნე მათ ზედა ძჳრნი წელიწადსა შინა ზედ-მიხედვისა მათისასა, თქუა უფალმან.

---

7. ამისთჳს] — O. აჰა] — J. 8. აღმოიყვანნა O. მოიყვანა ნათესავი] მოიყვანნა ნათესავნი O ისრაჱლისანი O. სოფლითა O. სადა O. იგინი] მუნ O. კუალად-აგნა O. დაეშჱნნეს O. 9. წინაწარმეტყუელთათჳს] — O. და [1] — O. განკაფული და ვითარცა კაცი] — O. J-ში „კაცი"-ის ზევით ჩამატებულია „კაცი", მოსალოდნელი იყო „მამა" [ე. ი. მამაკაცი]. 10. ამათისა O. უდაბნოჲსნი J. „არარაჲ" ჩამატებულია J-ში. 11. მღდელი O წინაწარმეტყუელი O. ~ ჩემსა შინა O. მათი] — O. 12. ექმენნინ] + მათ O. საძურომელ O. ნისლსა] სლვასა O. და (1)] — O. შეუბრკუმჱს O დაეცნენ O. მათისასა] + თქუა უფალმან O.

7. აღმომყნებელი W ისრაელისა G. ქუეყანით] — GW. G-ში ეგჳპტით"-ისგან მხოლოდ „ჳპტით" იკითხება. 8. არამედ] და W ცხველრს W. 9. უფლისაჲ GW. 11. თ́ქჲ W. 12. გზა W დაეცნეს W. თქჲ W.

J

13. და შორის წინაწარმეტყუელთა სამარიაჲსათა ვიხილენ უშჯულოებანი: წინაწარმეტყუელებდეს სახელად ჩემდა ბაალის გამო და აცთუნეს ერი ჩემი ისრაჱლი.

14. და შორის წინაწარმეტყუელთა იერუსალჱმისათა ვიხილე საზარელი: მრუშებდეს და ვიდოდეს სიცრუვით და შეეწეოდეს ჴელთა ბოროტთა, რაჲთამცა არა მოაქცია კაცად-კაცადმან გზისაგან თჳსისა უკეთურისა, და მექმნეს მე ყოველნი, ვითარცა სოდომეთი, და მკჳდრნი მისნი, — ვითარცა გომორთაჲ.

15. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ წინაწარმეტყუელთა ზედა: ესე[რა] ვაჭამო მათ სალმობაჲ და ვასუა მათ წყალი მწარჱ, რამეთუ წინაწარმეტყუელთაგან იერუსალჱმისათა გამოჴდა სიბილწე ყოველსა ქუეყანასა.

16. ესრე იტყჳს უფალი ყოვლისა — მპყრობელი: ნუ ისმენთ სიტყუათა წინაწარმეტყუელთასა, რომელნი-იგი წინაწარმეტყუელებენ ცუდსა, ხილვასა გულისა მათისა უკეთუ [ფ. 244]რისასა იტყჳან და არა [O:256 v] პირისაგან უფლისა.

17. ეტყჳან განმშორებელთა სიტყუათა უფლისაგან: „მშჳობა იყოს [თქუენდა“ და ყოველთა მავალთა ნებათა შინა მათთა, და ყოველთა მავალთა] საცთურითა გულისა თჳსისაჲთა ჰრქუეს: არა მოვიდეს თქუენ ზედა ბოროტი.

G

13. და წინაჲსწარმეტყუელთა შორის სამარიაჲსათა ვიხილენ უშჯულოებანი; წინაჲსწარმეტყუელებდეს სახელსა ზედა ჩემსა ბაალისთჳს და შეაცთუნეს ერი ჩემი ისრაელი.

14. და წინაჲსწარმეტყუელთაცა შორის იერუსალემისათა ვიხილენ განსაკრთომელნი მემრუშე. ქმნილთა და მრავალთა სიცრუეთა შინა და შემწეთა ჴელთა ბოროტთასა არმოქცევისათჳს კაცადისა გზისაგან მისისა ბოროტისა, იქმნეს ჩემდა ყოველნი, ვითარცა სოდომაჲ, და მკჳდრნი მისნი, — ვითარცა გომორრაჲ.

15. ამისთჳს ამას იტყჳს უფალი ძალთაჲ წინაჲსწარმეტყუელთა ზედა: აჰა მე ვაჭამებ მათ სალმობასა და ვასუამ მათ წყალსა მწარესა, რამეთუ წინაჲსწარმეტყუელთაგან იერუსალიმისათა გამოჴდა შემწიკულებაჲ ყოვლისა ქუეყანისად.

16. ესრეთ იტყჳს უფალი ყოვლისა მპყრობელი: ნუ ისმენთ სიტყუათა წინაჲსწარმეტყუელთასა, რომელნი გიწინაჲსწარმეტყუელებენ თქუენ, რამეთუ გაამაოებენ თქუენ იგინი, ხილვას გულისა მათისასა იტყჳან და არა პირისაგან უფლისა:

17. ეტყჳან ურჩთა სიტყუათა უფლისათა: „მშჳდობაჲ იყოს თქუენდაო“ და ყოველთა მავალთა ნებათაებრ მათთა, ყოველსა მავალსა საცთურითა გულისა მისისაჲთა ჰრქუას: არა მოვიდენ შენ ზედა ძჳრნი.

---

13. უშჯულოებანი] + რამეთუ O 14. „ვიხილე“ ჩამატებულია J-ში. იმრუშებდეს O. მოიქცა O. კაცად კაცადი O. „და“ ჩამატებულია J-ში. მექმნნეს O. გომორრაჲ O. 15. ესე J. 16. სიტყუასა O. რომელნი-იგი] რომელნი O. წინაწარმეტყუელებენ O. ცუდსა] თქუენ და O. მათისასა O. უკეთურისასა] — o. 17. იტყჳან O განშორებულთა O. უფლისათა O. მავალთა] მავნებელთა O [მცდ] ყოჳლითა O. |—|-ში ჩასმული სიტყვები აკლია J-ს. საცთურითა] და საცთურითა J. ჰქეს O. თქუენ] შენ O.

13. უსჯულოებანი W. 15. ამას] — W. [illegible] W. შემწიკულება W. 16. სიტყვათა W. იწინასწარმეტყუელებენ W [უქარავმოა]. [illegible] W. 17. სიტყჳსა GW. [illegible] W „ო“ გაცხოველებულია G-ში. ყოვლისა მავალისა W. G-ში ამ სიტყვებში ონი ამოშლილია.

J

18. რამეთუ ვინ დადგა სამყაროსა უფლისასა და იხილვიდა სიტყუასა მისსა? ანუ ვინ მიეახლა და ესმა ყურთა მისთა?

19. აჰა ესერა ძრვაჲ უფლისა მიერ, და რისხვაჲ გამოვალს შესაძრველად, ერთბამად მოვიდეს ულმრთოთა ზედა,

20. და არა მიიქცეს რისხვაჲ უფლისაჲ, ვიდრემდის ყოს და ვიდრემდის დაამტკიცნეს მან ყოველნი მოსრულნი გულისა თჳსისანი, აღსასრულსა დღეთასა გულისჴმა-ყვნენ იგინი·

21. არა მივავლინებდ წინაწარმეტყუელთა, და იგინი რბიოდეს, არა ვეტყოდე მათ, და იგინი წინაწარმეტყუელებდეს.

22. და თუმცა დადგეს ქუეშე სამყაროსა ჩემსა და ესმეს სიტყუანი ჩემნი, ასწავებდესმცა ერსა ჩემსა და მოაქცევდეს მათ გზისაგან მათისა ბოროტისა და უკეთურისაგან სლვისა [მათისა].

23. ღმერთი მახლობელი მე ვარ, იტყჳს უფალი, და არა ღმერთი შორიელი.

24. ანუ და-მე-იმალოს კაცი სამარხველსა, და მე არა ვიხილო? — თქუა უფალმან; ანუ არა ცაჲ და ქუეყანაჲ მე აღმივსიეს? — თქუა უფალმან.

25. მესმა, რასა იტყჳან წინაწარმეტყუელნი, რომელსა წინაწარმეტყუელებენ სახელად ჩემდა ცრუდ და იტყჳან: მეჩუენა მე [O;257 r] ჩუენებაჲ·

G

18. რამეთუ ვინ დადგა სახილავსა შორის უფლისასა და იხი[233 r]ლა და ესმნეს სიტყუანი მისნი? ვინ ყურად-იღო სიტყუაჲ მისი და ისმინა?

19. აჰა ძრვაჲ უფლისა მიერ, და რისხვაჲ გამოვალს თანად შესარყეველად, კუალად ქცეული უთნოთა ზედა მოიწია.

20. არღა მერმე მიიქცეს გულისწყრომაჲ უფლისაჲ, ვიდრემდის ყოს იგი და ვიდრემდის დაადგინოს იგი ჴელ-ყოფანი გულისა მისისანი, უკუანაჲსკნელთა დღეთასა გულისჴმა-ყვნენ იგინი.

21. არ მივავლინებდ წინაჲსწარმეტყუელთა, და იგინი რბიოდეს, არ ვიტყოდე მათდა მიმართ, და იგინი წინაჲსწარმეტყუელებდეს.

22. და თუმცა დგეს გუამოვნებასა ჩემსა შორის და ისმინნეს სიტყუანნი ჩემნი, ასწავებდესმცა ერსა ჩემსა და მოაქცევდეს მათ გზისაგან მათისა ბოროტისა და ბოროტთაგან სიმარჯუეთა მათთა.

23. ღმერთი მახლობელი მე ვარ, იტყჳს უფალი, და არა ღმერთი შორიელი.

24. ნუ დაიმალოს კაცი სამალავსა შინა, და მე არა ვიხილო იგი? — იტყჳს უფალი; ნუ არა ცასა და ქუეყანასა მე აღვავსებ? — იტყჳს უფალი.

25. მესმნეს, რათა იტყჳან წინაჲსწარმეტყუელნი, რათა წინაჲსწარმეტყუელებენ სახელითა ჩემითა ცრუთა, მეტყუელნი: ვიძილის-შინეთ ძილისშინაჲ.

---

18. იხილვიდა] იხილა + იგი O. ანუ ვინ მიეახლა და ესმა ყურთა მისთა] ვინ მიუყო ყური და ისმინა O. 19. მოვალს O. 20. ვიდრემდე (1, 2) O. ყოს] მან O. ყოველნი] — O. თჳსისანი] მათისანი + და O. აღსასრულთა დღეთა J. გულისხმა-ყვნეს O. 21. მივავლინენ O. 22. დგეს O. ქუეშჱ JO. ასწავებდეს-სამე-მცა O. სლლვისა J მათისა] — J. 23. მე] — O. 24. და-მე-ემალოსა O. სამარხველსა] სამალველსა O. 25. სახელად ჩემდა] სახელითა ჩემითა O. მეჩუენა მე ჩუენებაჲ] მესუნა მე სულნელებაჲ O.

18. სიტყვანი W. სიტყვა W. 19. ო́ჲ W. 20. უკანასკნელთა W (უქარაგმოა;. გულისხმა ყუნენ W 21. წინასწარმეტყველებდეს W (უქარაგმოა). და (1) + და WG. სიტყვანი. W. 24. ცაჲსა W. 25. რათა] რომელთა W. წინასწარმეტყველნი W (უქარაგმოა). რ́ა W. წინასწარმეტყველებენ W (უქარაგმოა).

J

26. ვიდრემდის იყოს გულსა წინაწარმეტყუელთასა, რომელნი წინაწარმეტყუელებენ სიცრუვესა და წინაწარმეტყუელებასა მათსა ნებასა გულისა მათისასა,

27. რომელნი ზრახვენ დავიწყებად ერისა ჩემისა შჯულსა ჩემსა ჩუენებითა მათითა, რომელსა მოუთხრობს კაცად — კაცადი მოყუასსა თჳსსა, ვითარცა დაივიწყეს მამათა მათთა სახელი ჩემი ბაალისგან?

28. წინაწარმეტყუელი, რომლისა თანა არს ჩუენებაჲ, წართქუნ ჩუენებაჲ თჳსი, და რომლისა თანა სიტყუაჲ ჩემი არს, წართქუნ სიტყუაჲ ჩემი ჭეშმარიტად. რაჲ არს ბზჱ იფქლისა თანა? ეგრეცა სიტყუანი ჩემნი, თქუა უფალმან.

29. არა ესერა სიტყუანი ჩემნი, ვითარცა ცეცხლი მოტყინარჱ, იტყჳს უფალი, და ვითარცა წერაქჳ, რომელმან განკუეთის კლდჱ?

30. აჰა ესერა მე წინაწარმეტყუელთა მიმართ, იტყჳს უფალი, რომელნი იპარვენ სიტყუათა [ფ. 245] ჩემთა თითოეულად მოყუსისა თჳსისაგან.

31. აჰა ესერა მე წინაწარმეტყუელთა მიმართ, თქუა უფალმან, რომელნი გამოიღებენ წინაწარმეტყუელებასა ენათასა და შეიქმან ტყუვილით საუცრებასა და ჰრულის რული მათი.

32. აჰა ესერა მე: წინაწარმეტყუელთა მიმართ, რომელნი წინაწარმეტყუელებდეს ჩუენებათა ცრუთა, თქუა

G

26. ვიდრემდის იყოს გულსა შინა წინაჲსწარმეტყველთასა, რომელნი წინაჲსწარმეტყუელებენ ნებათა გულისა მათისათა,

27. რომელნი იგონებენ დავიწყებასა ერისა ჩემისაგან სახელისა ჩემისასა ძილის-შინათა მათთა მიერ, რომელთა მოუთხრობდა კაცადი მოყუასისა მიმართ თჳსისა, ვითარ-იგი დაივიწყეს მამათა მათთა სახელისა ჩემისაჲ ბაალის ძლით?

28. წინაჲსწარმეტყუელმან, რომლისა შორის არს ძილის-შინაჲ, შთამოთქჳნ ძილის-შინაჲ თჳსი, რომლისა შორის სიტყუაჲ ჩემი მისდა მიმართ, შთამოთქჳნ სიტყუაჲ ჩემი ჭეშმარიტებით, იტყჳს უფალი. რაჲ არს ბზე იფქლისა მიმართ? [29] ეგრეთ სიტყუანი ჩემნი.

29. არა სიტყუანი ჩემნი, ვითარცა ცეცხლი მოტყინარე, იტყჳს უფალი, და ვითარცა წერაქჳ, განმკვეთი კლდისაჲ?

30. ამისთჳს აჰა მე წინაჲსწარმეტყუელთა მიმართ, იტყჳს უფალი ღმერთი, რომელნი იპარვენ სიტყუათა ჩემთა თითოეული მოყუსისაგან თჳსისა.

31. აჰა მე წინაჲსწარმეტყუელთა მიმართ, იტყჳს უფალი, რომელნი გამოიღებენ ენასა წინაჲსწარმეტყუელებათასა და წმასნიან სიცრუით უწყებასა და მიირულებენ ჰრულსა მათსა.

32. აჰა მე: წინაჲსწარმეტყუელთა მიმართ, რომელნი წინაჲსწარმეტყუელებენ ძილის-შინათა ცრუთა, თქუა უფალ-

---

26. ვიდრემდის] ვისთჳს J. სიცრუესა O. 27. ზრახვენ] მიუთხრობდა O. 28. რომელსა (1,2) O. წართქუან J, წართქვან O. თჳსი]მისი O. წართქვან O. 29. არა] აჰა J. ესერა] — O. 30. აჰა ესერა] ამისთჳს აჰა ესერა O. იპარვეს O. 31. საუცრებასა] საცთურებასა O. რული ლი J. 32. წინაწარმეტყუელებენ O. და სიცრუვითა მათითა] — O. იგინი] + და O. არაჲ] რაჲ J, ~ არაჲ სარგებელი O.

26. წინასწარმეტყველებენ (1,2) W. (უქარაგმოა). 27. ჩემისა W. 28. ძილის შინა W. სიტყვა (1,2) W. სიტყვანი W. 29. სიტყვანი W. წერაქვი W. 30. სიტყვათა W. 31. წინასწარმეტყველებათასა W (უქარაგმოა) მიიძულებენ W. 32. წინასწარმეტყველებენ W (უქარაგმოა). მივალინენ G. სარგებიით W.

J

უფალმან, და უთხრობდეს მათ და აცთუნეს ერი ჩემი ტყუვილითა მათითა და სიცრუვითა მათითა, და მე არა მივავლინენ იგინი, არცა ვამცენ მათ, და სარგებელი არაჲ არგონ ერსა ამას, თქუა უფალმან.

33. და თუ გკითხოს შენ ერმან ანუ მღდელმან [O:257v] ანუ წინაწარმეტყუელმან: რაჲ არს იგავი უფლისაჲ? — და ჰრქუა მათ: თქუენ ხართ იგავნი უფლისანი, და დაგამჴუნე თქუენ, თქუა უფალმან.

34. წინაწარმეტყუელმან და მღდელმან და ერმან, რომელთაცა თქუან: „იგავი ესე უფლისაჲ“, ვიძიო შური მის კაცისაგან და სახლისაგან მისისა.

35. რამეთუ ჰრქჳს კაცად-კაცადმან მოყუასსა თჳსსა და კაცად-კაცადმან ძმასა თჳსსა: რაჲ მოგიგო უფალმან და რაჲ თქუა უფალმან?

36. და იგავსა უფლისად ნუ სახელსდებთ, რამეთუ იგავად უფლისად ექმნეს მას კაცსა სიტყუაჲ თჳსი, და გარდააქციენთ სიტყუანი ღმრთისა ცხოველისანი, უფლისა ძალთაჲსა, ღმრთისა ჩუენისანი.

37. ესრეთ ჰრქუათ წინაწარმეტყუელთა: რაჲ მოგიგო უფალმან და რაი გრქუა უფალმან?

38. და იგავად უფლისა ნუ იტყჳთ, ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი, რამეთუ: სთქჳთ სიტყუაჲ ესე: იგავი უფლისაჲ,

G

მან, და მიუთხრობენ მათ და აცთუნებენ [233 v] ერსა ჩემსა ტყუილთა მათთა მიერ და საცთურთა მათთა მიერ, და მე არა მივავლინენ იგინი და არა ვამცენ მათ, და სარგებით არა არგონ ერსა ამას, თქუა უფალმან.

33. და უკუეთუ გკითხოს შენ ერმან ამან ანუ მღდელმან ანუ წინაჲსწარმეტყუელმან, მეტყუელმან: რაჲ არს მიმართებაჲ უფლისაჲ? ჰრქუა მათ: თქუენ ხართ მიმართებაჲ უფლისაჲ და დაგამჴუნე თქუენ, იტყჳს უფალი.

34. და წინაჲსწარმეტყუელმან და მღდელმან და ერმან ამათ უკუეთუ თქუან: „მიმართებაჲ უფლისაჲ“, და შური ვიძიო კაცსა მას ზედა და სახლსა მისსა ზედა.

35. რამეთუ ესრეთ იტყჳთ კაცადი მოყუასისა მიმართ თჳსისა და კაცადი ძმისა მიმართ თჳსისა: რაჲ მოგიგო უფალმან და რაჲ თქუა უფალმან?

36. და მიმართებაჲ უფლისაჲ ნუ სახელ-იდებინ მერმე, რამეთუ მიმართებაჲ უფლისაჲ იყოს კაცისა სიტყუაჲ მისი, გარდაქციენით სიტყუანი ღმრთისა: ცხოველისა[ნი], უფლისა ძალთაჲსა, ჩუენისანი.

37. ესრეთ სთქუა წინაჲსწარმეტყუელისა მიმართ: რაჲ მოგიგო შენ უფალმან და რაჲ თქუა უფალმან?

38. და მიმართებასა უფლისასა ნუ იტყჳთ, ამისთჳს ამას იტყჳს უფალი, ამის წილ რომელ სთქუთ სიტყუაჲ ესე:

---

33. შენ] — O. ერმან] + ამან O. და ჰრქუა მათ] — O. 34. ესე] — O. სახლისაგან] სისხლისაგან JO. 35. რამეთუ ჰრქჳს] ესრე თქუა O. მოყუასს თჳსსა] მოყუსისა მიმართ თჳსისა O. ძმასა თჳსსა] ძმისა მიმართ თჳსისა O. 36. უფლისა O. სახელა სდებთ] + მე O. უფლისა O. გარდავაქციენეთ O. ღმრთისანი O. ძალთაჲსაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ J. ძალთა ღმრთისა ჩუენისანი O. ესრე O. „თ“ ჩამატებულია J-ში. წინაწარმეტყუელსა O. მოგიგო] + შენ O. გრქუა] თქუა O. 38. სთქუთ O.

33. უკეთუ W. მიმართება (1). W. 34. უკეთუ W. თქვან W. მიმართება W. 35. თქვა W. 36. მიმართება W. მიმართება GW. უფლისა G. სიტყვა W ო´ჲ W. ცხოველისა GW. ო´ჲ W. სიტყვა W. 38. მიმართება W.

J

მივავლინე თქუენდა და ვთქუ: არა სთქუათ იგავად უფლისად.

39. ამისთჳს ესერა მე მოგიხუნე თქუენ იგავითა და დაგამჴუნე თქუენ და ქალაქი, რომელ მოგეც თქუენ და მამათა თქუენთა პირისაგან ჩემისა.

40. და მოვავლინო თქუენ ზედა ყუედრებაჲ საუკუნოჲ და გონებაჲ საუკუნე, რომელ არა დაივიწყოს.

(7 ა). ამისთვს [აჰა] ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი. და არღარა თქუან მერმე, ვითარმედ: ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოიყვანნა ძენი ისრაჱლისანი ქუეყანით ეგჳპტით.

(8 ა). არამედ ცხოველ [ა]რს უფალი, რომელმან აღმოიყვანა და შეკრიბა ყოველი ნათესავი ისრაჱლისაჲ ქუეყანით ჩრდილოჲთ [O:258 r] და ყოველთაგან სოფელთა, სადაცა განიშოვრნა იგინი მუნ [ფ. 246] და კუალად-აგნა იგინი ქუეყანასა მათსა.

G

„მიმართებაჲ უფლისაჲ“ და მივავლინე თქუენდამი, მეტყუელმან: არა იტყჳთ მიმართებასა უფლისასა.

39. ამისთჳს აჰა მე მიგიხუნე თქუენ მიმართებითა და დაგამჴუნე თქუენ და ქალაქი, რომელი მიგეც თქუენ და მამათა თქუენთა პირისაგან ჩემისა.

40. და მივსცე თქუენ ზედა ყუედრებაჲ საუკუნოჲ და უპატივოებაჲ საუკუნოჲ, რომელი არდავიწყებულ იქმნეს.

(7 ა). აჰა დღენი მოვლენ, იტყჳს უფალი, და არა იტყოდინ მერმე: ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოიყვანა სახლი ისრაილისაჲ ქუეყანისაგან ეგჳპტისა.

(8 ა). არამედ ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოიყვანა და შეიყვანა ყოველი თესლი ისრაილისაჲ ქუეყანისაგან ჩრდილოჲსა და ყოველთაგან სოფელთა, განაგარეენა იგინი მუნ და კუალად-აღგინნა იგინი ქუეყანასა მათსა.

24

J

1 მიჩუენა მე უფალმან ორი კიშტჱ ლეღჳ, მდგომარენი წინაშე ტაძარსა უფლისასა, შემდგომად წარტყუენვისა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისაჲსა იექონია, ძჱ იოაკიმისი, მეფისა იუდაჲსი, და მთავარნი იუდაჲსნი და ჴელოვანნი და შემწირველნი და მდიდარნი, რომელ წარტყუენნა იერუსალჱმით და მოიყვანნა იგინი ბაბილონდ.

G

1. და მიჩუენნა უფალმან ორნი კიშტენი ლეღჳსანი, მდებარენი წინაშე პირსა ტაძრისა უფლისასა, შემდგომად გარდასახლებისა ნაბუხოდონოსორისაგან მეფისა ბაბილონისა იექონიაჲსსა, ძისა იოაკიმ მეფისა იუდაჲსსა და მთავართა იუდაჲსთა და ჴელოვანთა, შემწირავთა და მდიდართა იერუსალიმით* და შთაყვანებისა მათისა ბაბილონდ.

---

39. მე] — O. 40. საუკუნე O. (7ა) აჰა] — O. არღა O. მერმჱ O. (8ა) რს J. აღმოიყვანნა O. შეკრიბნა O. ყოველნი ნათესავნი ისრაჱლისანი O. ყოველთაგან სოფელთა] ყოველთა სოფელთაგან O განიშორნა O.

24. 1. მიჩუენა] და მიჩუენა O. წარტყუენვისა] + მის O. ბაბილონისა O. იოვაკიმისა O. მეფჱ O. ჴელოვანნი O. რომელ წარტყუენნა — O და] — O.

40. ყუჱდრება W. უპატიოებაჲ W. (7ა) და (8ა) მუხლების ტექსტი W-ში არ არის, G-ში ამ მუხლების გვერდით მინაწერია: „ეს მეტია“. 8ა სოფლითა G.

24. 1. ნაბუქოდონოსორისაგან W. იექონიასსა W. *უქარაგმო W-ში. ბაბილონად W.

J

2. კიშტჱ ერთი ლეღჳთა ტკბილითა ვითარცა ლეღჳ მსთუაჲ, და კიშტე ერთი ლეღჳთა ჯერკუალითა ფრიად, რომელი ვერ საჭმელ იყო სიმწარითა თჳსითა.

3. და მრქუა მე უფალმან: რასა ჰხედავ შენ, იერემია? — და ვთქუ: ლეღუსა და ლეღუსა ტკბილსა, [ტკბილსა] ფრიად, და ლეღუსა ჯერკუალსა, ჯერკუალსა ფრიად, რომელი არა იჭამოს სიჯერკულისაგან თჳსისა.

4. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, მრქუა:

5. ამას იტყჳს უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ: ვითარცა ლეღჳ ესე ტკბილი, ეგრე ვიცნნე წარტყუენულნი იგი იუდაჲსნი, რომელ განვავლინენ ამის ადგილისაგან ქუეყანად ქალდეველთად.

6. და დავამტკიცნე მათ ზედა თუალნი ჩემნი კეთილობით და უკუმოვაგნე იგინი ამას ქუეყანასა, აღვაშენნე იგინი და არა დავარღჳნე, დავჰნერგნე იგინი და არა [O : 258 v] აღვფხურნე.

7. და ვსცე მათ გული, რომლითა მიცნან მე, რამეთუ მე ვარ უფალი, და იყვნენ იგინი ჩემდა ერად, და მე ვიყო მათდა ღმრთად, რამეთუ მოიქცენ ჩემდამო ყოვლითა გულითა მათითა.

8. და ვითარცა ლეღჳ ჯერკუალი, რომელი ვერ იჭამოს სიჯერკულისაგან თჳსისა, ესრე იტყჳს უფალი, ეგრე მივსცე სედეკია მეფჱ იუდაჲსაჲ და მდიდარნი მისნი და ნეშტნი იერუსალჱმისანი, რომელ დაშთომილ არიან ქუეყანასა მას, და დამკჳდრებულნი ეგჳპტისანი.

G

2. კიშტე ერთი ლეღჳ ტკბილი ფრიად, ვითარცა ლეღუნი მსთუანი, და კიშტე სხუაჲ ლეღჳ ჯერკუალი ფრიად უჭამი ჯერკულებისაგან მისისა.

3. [234 r] და თქუა უფალმან ჩემდამო: რასა ჰხედავ შენ, იერემია? — და ვთქუ: ლეღუთა და ტკბილთა ლეღუთა ფრიად და ჯერკუალთა, ლეღ[უ]თა ჯერკუალთა ფრიად, რომელნი არა იჭამნენ ჯერკულობისაგან მათისა.

4. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, მეტყუელი:

5. ამათ იტყჳს უფალი ღმერთი ისრაილისაჲ: ვითარცა ლეღუნი ესე ტკბილნი, ეგრეთ დავემონო გარდასახლებულთა იუდაჲსთა რომელნი განვავლინე ადგილისა ამისაგან ქუეყანად ხალდეველთად კეთილთათჳს.

6 და კუალად-ვაგნე იგინი ქუეყანადვე ამად და განვიმტკიცნე მათ ზედა თუალნი ჩემნი კეთილთათჳს და ავაშენნე იგინი და არ დავარღჳნე და დავჰნერგნე იგინი და არ მოვფხურნე.

7. და მივსცე მათ გული, მცნობელი მათგან ჩემი, ვითარმედ მე ვარ უფალი, და იყვნენ ჩემდა ერად და მე ვიყო მათდა ღმრთად, რამეთუ მოიქცენ ჩემდა ფლობითა გულისა მათისაჲთა.

8. და ვითარცა ლეღუნი ჯერკუალნი, რომელნი არ იჭმებიან ჯერკულობისაგან მათისა, ამათ იტყჳს უფალი: ეგრეთ განვსცე სედეკია მეფე იუდაჲსა და დიდ-დიდნი მისნი და ნეშტი იერუსალიმისაჲ, დაშთომილი ქუეყანასა ამას შინა, და დამკჳდრებულნი ეგჳპტეს შინა.

---

2. კიშტე O. ერთი] + სხუაჲ O. 3. ჯერკულითა O. J-ში „ალ" კარგად არ იკითხება. 4. სიმწარითა] სიჯერკულითა O. 5. ტკბილსა] — JO. 6. ~ თუალნი ჩემნი მათ ზედა O. უკუმოვაგნე O. უკუმოვაგენ J, აღვაშჱნნე O. დავარღჳნე] + და O. აღვ ჰფხურნე O. 7. მივსცე O. რომელთა O. მიციან O. მათა O. მოიქცეს]. 8. ~ ჯერკუალი ლეღჳ O. თჳსისა] მათისა O. ეგრე] ესრე O. მეფჱ O. J-ში „ფეჲ" ჩამატებულია. იუდაჲსი O. რომელნი O.

2. სხოაჲ W. 3. ლეღვთა W. ლეღთა G, ლეღვთა W. 4. სიტყუა W. 5. ქალდეველთად W.

J

9. და მივსცნე იგინი განსაბნეველად ყოველთა მეუფებათა ქუეყანისათა და საყუედრელად და იგავად და საძულელად და საწყეველად ყოველსა ადგილსა, სადაცა განვიშოვრნე იგინი.

10. და მივავლინო მათ ზედა სიყმილი და სიკუდილი და მახჳლი, ვიდრემდის მოაკლდენ ქუეყანისაგან, რომელ მივეც მათ და მამათა მათთა.

G

9. და განვსცნე იგინი განსაბნეველად ყოველთა მეფობათა ქუეყანისათა და საიგავოდ და საძულელად და საწყევარად ყოველსა შინა ადგილსა, რომელსა განვაგარევნე ეგენი მუნ.

10. და მივავლინო მათდა მახჳლი და სიყმილი და სიკუდილი, ვიდრე მოაკლდენ ქუეყანისაგან, რომელი მივეც მათ და მამათა მათთა.

25

J

1. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემიაჲსა მიმართ ყოვლისათჳს ერისა იუდაჲსა წელსა მეოთხესა [ფ.247] იოაკიმისა, ძისა იოსიაჲსა, მეფისა იუდაჲსა წელსა მას პირველსა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისსა.

2. სიტყუაჲ, რომელ თქუა იერემია წინაწარმეტყუელმან ყოვლისა მიმართ ერისა იუდაჲსა და მკჳდრთა იერუსალჱმისათა, და თქუა:

3. მეათცამეტით წლითგან იოსია, ძისა ამონისა მეფისა იუდაჲსა, მოაქადღედმდე ოც და მესამედ წლად იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, [O:259
r] და გეტყოდე თქუენ: აღვიმსთობდი და გეტყოდე თქუენ და არა ისმინეთ.

4. და მივავლინენ თქუენდა მონანი ჩემნი წინაწარმეტყუელნი, განთიად მივავლინებდ, და არა ისმინეთ, და არა ერჩდა ყური თქუენი სმენად სიტყუათა ჩემთა და ვთქუ:

5. მოიქეცით კაცად-კაცადი გზისაგან თქუენისა ბოროტისა და უკეთურე-

G

1. სიტყუაჲ, ქმნილი იერემიაჲს მიმართ ყოველსა ზედა ერსა წელსა მეოთხესა იოაკიმისსა, ძისა იოსიაჲსსა, მეფისა იუდაჲ[სასა], ესე წელიწადი პირველი ნაბუქო[დო]ნოსორ მეფისა ბაბილონისაჲ.

2. სიტყუაჲ, რომელ თქუა იერემია წინაჲსწარმეტყუელმან ყოვლისა მიმართ ერისა იუდეაჲსსა და დამკჳდრებულთა მიმართ იერუსალიმისათა, მეტყუელმან:

3. მეათცამეტით წლითგან იოსია, ძისა ამონისსა, მეფისა იუდაჲსსა, და ვიდრე დღისამდე ამის ოცსა და სამსა წელსა იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, და ვიტყოდე თქუენდამი, აღმსთობი და მეტყუელი, და არა ისმინეთ.

4. და მივავლინენ თქუენდამი მონანი ჩემნი წინაჲსწარმეტყუელნი, ცისკარს მივავლენდ, და არა ისმინეთ და არა მოჰყვენთ ყურნი [234 v] თქუენნი სმენად და ვთქუ.

5. მოიქეცით კაცადი გზისაგან თჳსისა ბოროტისა და ბოროტთაგან სიმარ-

---

9. განსაბსეველად O. მეუფებათა] მეფჱთა O. და (4)] — O. განვიშორნე O. იგინი (2)] + მუნ O. 10. მოუვლინო O. ზედა] — O. რომელი O.

25.1. წელსა] ნაწელსა+მას O. იოვაკიმისა O. ბაბილონისასა O. 2. რომელი O. 3. მეცამეტით O. „ძისა ამონისა“ J-ში მეორეჯერაა გამეორებული და წრეშია მოქცეული. მოაქადღედმდე ოც და მესამედ წლად] და მოაქამდე ოც და სამ წელ O. და გეტყოდე თქუენ] + მე O. 4. თქუენდა] — O. არა ერჩდა ყური თქუენი სმენად სიტყუათა ჩემთა] არცა ერჩდით სმენად ყურითა თქუენითა O. ვსთქუ J. 5. თქუენისა] თჳსისა O. სლვისა] სლვათა+თქუენთაჲსა O. დაეშჱნენით O. რომელი O.

25.1. სიტყ῾ა W. იუდაჲ GW. ნაბუქონოსორ G. ბაბილონისა W. 2. სიტყვა W. „ესე წელიწადი“-დან „სიტყუაჲა“-ნად ფრჩხილებშია ჩასმული W-ში. 3. სიტყვა W. ვეტყოდე W. 4. მოჰყუჱნთ W. ყურსა G. 5. დაეკჳდრენით W.

J

ბისაგან სლვისა და დაეშენენით ქუეყანასა ზედა, რომელ მიგეც თქუენ და მამათა თქუენთა საუკუნითგან და მიუკუნისამდე.

6. და ნუ შეუდგთ კუალთა ღმერთთა უცხოთა[სა] მონებად მათა [და] თაყუანისცემად მათა, რაჲთა არა განმარისხოთ მე საქმითა ჴელითა თქუენთაჲთა ბოროტის-ყოფად თქუენდა.

7. და არა ისმინეთ ჩემი, თქუა უფალმან, რომელ განმარისხოთ საქმითა ჴელითა თქუენთაჲთა მედგრის-ყოფად თქუენდა.

8. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი. ღმერთი ისრაჱლისაჲ, რამეთუ არა გრწმ.ენა სიტყუათა ჩემთაჲ.

9. აჰა ესერა მე მივავლინო და მოვიყვანნე ყოველნი ტომნი ჩრდილოჲსანი, თქუა უფალმან, და ნაბუქოდონოსორ, მეფჱ ბაბილოვნის[აჲ], მონაჲ ჩემი, და მოვიყვანნე იგინი ქუეყანასა ამას ზედა და მკჳდრთა ზედა ამისთა და ყოველთა ზედა ნათესავთა გარემო მისა და მოვაოჴრნე იგინი და მივსცნე იგინი განსარყუნელად და სასტჳნველად და საყუედრელად საუკუნოდ,

10. და წარვწყმიდო მათგან ჴმაჲ შუებისაჲ და ჴმაჲ სიხარულისაჲ და ჴმაჲ სიძისაჲ და ჴმაჲ სძლისაჲ და ჴმაჲ ფქვილთაჲ და ნათელი [O : 259v] სანთლისაჲ.

11. და იყოს ყოველი ქუეყანაჲ განსარყუნელად და ღსაოჴრებელად, და

G

ჯუეთა თქუენთა და დაემკჳდრენით ქუეყანასა ზედა, რომელი მიგეც თქუენ და მამათა თქუენთა საუკუნითგან და ვიდრე საუკუნომდე.

6. და ნუ ხუალთ უკუანა ღმერთთა უცხოთა მსახურებად მათდა და თაყუანისცემად, რაჲთა არა განმარისხოთ მე საქმეთა მიერ ჴელთა თქუენთაჲსა განბოროტებად თქუენდა.

7. და არა ისმინეთ ჩემი, იტყჳს უფალი, რამეთუ განმარისხეთ მე საქმეთა მიერ ჴელთა თქუენთა განსაბოროტებელად თქუენდა.

8. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ, ვინაჲთგან არა ირწმუნეთ სიტყუათა ჩემთაჲ.

9. აჰა მე მივავლენ და მოუწოდო ყოველთა ტომთა ბღუარისათა, იტყჳს უფალი, და ნაბუქოდონოსორ, მეფე ბაბილონისაჲ, მონაჲ ჩემი, და მოვაწინე იგინი ქუეყანასა ამას ზედა და დამკჳდრებულთა ზედა მისთა და ყოველთა ზედა ნათესავთა გარემოჲსთა მისთა და მოვაოჴრნე იგინი და მივსცნე იგინი უჩინო საქმნელად და სასტჳნველად და საყუედრელად საუკუნოდ.

10. და წარვწყმიდო მათგან ჴმაჲ სიხარულისაჲ და ჴმაჲ შუებისაჲ, ჴმაჲ სიძისაჲ და ჴმაჲ სძლისაჲ და ჴმაჲ საფქველისაჲ და ნათელი ბაზმაკისაჲ.

11. და იყოს ყოველი ესე ქუეყანაჲ განსაქარვებლად. და ჰმონებდენ წარ-

---

6. კუალსა O უცხოთა J. და (2) — J. ბოროტის-ყოფად] + ჯერკულის ყოფად O. 7. მე-7 მუხლი აკლია O-ს, რადგან ამ მუხლის ნაცვლად მე-8 მუხლია ორჯერ გამეორებული. 8. უფალი] + ძალთაჲ O. 9. ბაბილოჳნის J, ბაბილონისაჲ O. იგინი (1)] იგი O. ზედა (2) — O. მისთა O. გასარყუნელად O. და სასტჳნველად და საყუედრელად] — O. 10. და (3) — O. 11. ღსაოჴრებელად] საოჴრებელად O. მეფჱსა O. ბაბილონისასა O.

6. უკანა W „და თაყუანისცემად“ ჩამატებულია G-ში. 7. „იტყჳს უფალი, რამეთუ განმარისხეთ მე საქმეთა მიერ ჴელთა თქუენთა განსაბოროტებელად თქუენდა“ ჩამატებულია G-ში. 8. „ძალთა“ ჩამატებულია G-ში. ირწრწმუნეთ W. სიტყვათა W. ჩემთა. 9. მოუწოდ W. გარემოისთა W. 10. საფქუჱლისაჲ W. „და ჴმაჲ საფქველისაჲ“ გაცხოველებულია G-ში. 11. ბაბილონისასა W.

J

ჰმონებდენ ნათესავნი ესე წარმართთა შორის [ფ.248] მეფესა ბაბილოვნისასა სამეოც და ათ წელ,

12. და რაჟამს აღესრულნენ სამეოც და ათნი წელნი, შური ვიძიო მეფესა ზედა ბაბილოვნისასა და ძიება-ვყო ნათესავსა ამას ზედა, თქუა უფალმან, ძიებით უშჯულოებათა მათთა ქუეყანასა მას ქალდაველთასა და დავსხნე იგინი განსარყუნელად საუკუნოდ.

13. და მოვავლინნე ქუეყანასა ამას ზედა ყოველნი სიტყუანი ჩემნი, რომელ ვთქუ მისთჳს, ყოველი წერილი წიგნსა ამას შინა. რომელსა წინაწარმეტყუელებდა იერემია ყოველთათჳს წარმართთა.

14. რამეთუ დაიმონნენ იგინი ნათესავთა მრავალთა და მეფეთა დიდ-დიდთა, და მე მივაგო [მათ] საქმეთა მათთაებრ და მსგავსად უკეთურებისა სლვისა მათისაებრ.

15. რამეთუ ესრე მრქუა მე უფალმან ღმერთმან ისრაჱლისმან: მიიღე სასუმელი ესე ღჳნისა ურწყოჲსაჲ ჴელისაგან ჩემისა და ასუა ეგე ყოველთა წარმართთა, რომელთა მიმართ მე მიგავლინო შენ მათა,

16. და სუან და წარმოსთხიონ და განბორგნენ პირისაგან მახჳლისა, რომელ მივავლინო შორის მათსა.

17. და მოვიღე სასუმელი იგი ჴელისაგან უფლისაჲსა და ვასუ ყოველთა წარმართთა, რომელთა მიმართ მიმავლინა მე უფალმან მათა.

G

მართთა შორის მეფისა ბაბილოვნისასა სამეოც და ათ წელ,

12. და-რაჲ-ესრულნენ სამეოც და ათნი წელნი, შური ვიძიო მეფესა ზედა ბაბილოვნელთასა და ნათესავისა მის, იტყჳს უფალი, და დავსხნე იგინი განსაქარვებელად საუკუნოდ.

13. და მოვაწინე ქუეყანასა მას ზედა ყოველნი სიტყუანი ჩემნი, რომელთა ვიტყოდე ძჳნად მისსა, და ყოველნი დაწერილნი წიგნსა [234 v დასასრ.] ამას და რაოდენი წინაჲსწარმეტყუელნა ძჳნად ყოველთა ნათესავთა.

14. [236] რამეთუ ჰმონეს მათ შორის, რამეთუ დაიმონნენ იგინიცა ნათესავთა მრავალთა და მეფეთა დიდთა. და მივაგო მათ საქმეთა მათთაებრ და სიმარჯუეთა.

15. [236 v] ესრეთ თქუა უფალმან ღმერთმან ისრაილისამან ჩემდამო: მიიღე სასუმელი ღვინისა ურწყოჲსა ამის ჴელისაგან ჩემისა და ასუა ყოველთა ნათესავთა, რომელთა მიმართ მიგავლენ შენ მათდამი,

16. და სუან, დასთხიონ და განბორგნენ პირისაგან მახჳლისა, რომელსა მე მივავლენ შორის მათსა.

17. და მოვიღე სასუმელი ჴელისაგან უფლისა და ვასუ ყოველთა ნათესავთა, რომელთა მიმართ მიმავლინა მე უფალმან მათ ზედა.

---

12. ~ სამეოც და ათნი წელნი აღესრულნენ O. მეფჱსა O, ბაბილონისასა O. მას O. ძიებით] — O. და (3)] — O. 13. ამას (1)] მას O. რომელ ვთქუ] რომელნი ვთქუენ O. ~ შინა ამას O. წარმართთა] + რომელ ჰმონებდეს მათ შორის O. 14. მე] — O. მათ] — J. საქმეთა მათთაებრ] საქმითა მათითა O. სლ´ვისა J. 15. ესე] — O. J-ში ჩამატებულია ურწყოჲსა J. ასუ O „ასუა"-ს მეორე ანი ჩამატებულია J-ში. ეგე] იგი O. მიმართ] — O. 16. რომელ] რომელი + მე O. 17. იგი] — O. უფლისა O. J-შიაːო´ჲ. სხვა ხელით ჩამატებულია „სა".

12. დარაესრულნენ W. ბაბილოვანელთასა W; „მეფეს ზედა ბაბილოვნელთასა" ჩამატებულია G-ში. 13. ქვეყანასა W. სიტყვანი W. 14. დაიმონენ W. 15. თქვა W. 16. საუან W. 17. ო´ჲ W.

J

18. და იერუსალჱმსა და ქალაქთა იუდ[O : 260 r]ჲსთა და მეფეთა მისთა და მთავართა მისთა დასხმად იგინი მოსაოჴრებელად და უგზოდ და სასტჳნველად და საწყეველად.

19. და ფარაოს, მეფესა ეგჳპტისასა და მონათა მისთა და მდიდართა მისთა და ყოველსა ერსა მისსა.

20. და ყოველთა შემყოფთა მისთა და ყოველთა მეფეთა ჭალაკისათა და ყოველსა არაბიასა და ყოველთა მეფეთა ქუეყანისა ოზისთა და ყოველთა მეფეთა ქუეყანისა უცხო-თესლთასა და ასკალონსა და გაზასა და აკორონსა და ნეშტსა აზოტისასა.

21. და იდუმიასა და მოაბსა და ძეთა ამონისთა.

22. და ყოველთა მეფეთა ტჳროსისათა და ყოველთა მეფეთა სიდონისათა და ყოველთა მეფეთა ჭალაკთასა, რომელნი არიან წიაღ ზღუასა.

23. და დედანსა და თემანსა და ბუზსა და ყოველთა წინაგარდამარჯულ[თა] პირით.

24. და ყოველთა მეფეთა არაბიაჲსათა და ყოველთა მეფეთა შეყოფილთა, რომელნი დგებიან უდაბნოსა ზედა,

25. და ყოველთა [ფ. 149] მეფეთა ზამბრისთა და ყოველთა მეფეთა ელამისთა და ყოველთა მეფეთა არშაკთასა და სპარსთასა.

26. და ყოველთა მეფეთა აღმოსავლითგან, შორიელთა და მახლობელთა, კაცად-კაცადი ძმისა მიმართ თჳსისა და ყოველთავე მეუფებათა ქუეყანისათა

G

18. იერუსალიმსა* და ქალაქთა იუდა[ჲსთა] და მეფეთა მისთა და მთავართა მისთა დასხმად იგინი მოსაოჴრებელად და უვალად და სასტჳნველად და საწყევარად დღისა ამისებრ.

19. და ფარაოს, მეფესა ეგჳპტისასა და ყრმათა მისთა და დიდ-დიდთა და ყოველსა ერსა მისსა.

20. და ყოველთა თან-მრევლთა მისთა და ყოველთა მეფეთა ქუეყანისა უცხო ტომთაჲსათა და ასკალონსა და ღაზასა და აკკარონსა და ნეშტსა აზოტისასა.

21. და იდუმეასა და მოაბიტელსა და ძეთა ამმონისთა.

22. და ყოველთა მეფეთა ტჳროსისა და სიდონისათა და ყოველთა მეფეთა ჭალაკთასა, წიაღ კერძოთა ზღჳსათა.

23. და დედანსა და თემანსა და როსსა და ყოველსა გლისპსა პირისპირ მისსა

24. და ყოველთა მეფეთა არაბიაჲსათა და ყოველთა თან-მრევ[ლ]თა, რომელნი მევანეობენ უდაბნოსა შინა,

25. და ყოველთა მეფეთა ზამვრისთა და ყოველთა მეფეთა ელამისთა და ყოველთა მეფეთა მიდთა და სპარსთასა

26. და ყოველთა მეფეთა აპლთიოტაჲსათა, მახლობელთა და შორიელთა, კაცადსა ძმისა მიმართ მისისა და ყოველთა მეფობათა პირის ზედათა ქუე-

---

18. და (1) — O. იერუსალჱმს O. საწყეველად] + მსგავსად მის დღისა O. 19. ეგჳპტელთასა O. და (2)] + ყოველთა O. და (3)] — O. მისთა] — O. 20. და ყოველთა შემყოფთა მისთა] — O. ჭალაკთაჲსა O. ქუეყანისა (1,2) — O. 21. იდუმიასა] ედომისასა O. 22. და ყოველთა მეფეთა სიდონისათა] — O. 23. დედანს O. ბუზსა] ბოკონსა O. წინაგარდამარჯულ J. 24. მეფჱთა O. 25. ზამბრისთა და ყოველთა მეფეთა] — O. ლამისათა O. 26. ~ მახლობელთა და შორიელთა. O. ყოველთავე მეუფებათა] ყოველთა მეფობათა O. რომელნი O. სუას] სობას J.

18. *უქარაგმოჲ W-ში. იუდა GW. 24. თან მრევთა WG. უდაბნოს GW.

J

რომელ არიან პირსა ზედა ქუეყანისასა, და მეფემან სისაქ სუას უკანაჲსკნელ მათსა.

27. და ჰრქუა მათ: ესრე იტყჳს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, ღმერთი ისრაჱლისაჲ: სუთ, დაითრვენით და წარ-მოსთხიეთ [O : 260 v] და დაეცნეთ და ვერღარა ასდგეთ პირისაგან მახჳლისა, რომელი მე მოვავლინო შორის თქუენსა.

28. და იყოს, რაჟამს არა უნდეს მი-ღებად სასუმელი ეგე ჴელისაგან შე-ნისა სუმად იგი და ჰრქუა მათ, ესრე თქუა უფალმან ძალთამან: სუმით ჰსუათ,

29. რამეთუ ესერა ქალაქისაგან, რო-მელსა ზედა სახელ-დებულ არს სახე-ლი ჩემი მათ ზედა, მისგან მე ვიწყებ ბოროტებად, და თქუენ განწმედით გან-წმიდნებით, ვერსადა განსწმდნეთ, რა-მეთუ მე მახჳლსა მოუწოდებ ყოველთა ზედა მსხდომარეთა ქუეყანისათა, თქუა უფალმან ძალთამან.

30. და შენ წინაწარმეტყუელებდე ყოველთა ამათ სიტყუათა მათა მიმართ და არქუ მათ: უფალი მაღლით ბრძა-ნებს და ადგილით წმიდით გამოსცეს ჴმაჲ თჳსი [და] სიტყუას ბრძანებს ად-გილით თჳსით; ხოლო იგინი, ვითარცა მსთულებელნი, მოუგებდენ: ყოველთა ზედა. დამკჳდრებულთა ქუეყანისათა, მოვალს მოსრვაჲ.

31. ქუეყანად კერძო, რამეთუ საშ-ჯელი არს უფლისაჲ წარმართთა მი-მართ, ეშჯის იგი ყოველსა ჴორციელსა, ხოლო უღმრთონი მიეცნენ მახჳლსა, თქუა უფალმან.

G

ყანისათა, და მეფემან სისახ სუას შემ-დგომად მათსა.

27. და სთქუა მათდა მიმართ: ამათ იტყჳს უფალი ღმერთი ისრაილისაჲ* ყო-ვლისა მპყრობელი: სუთ და დაითრვე-ნით, დასთხიეთ და დაეცენით და არა აღსდგეთ პირისაგან მახჳლისა, რომელი მე მივავლინო საშუალ თქუენსა.

28. და იყოს, ოდეს არ ენებოსყე მი-ღებაჲ სასუმელისაჲ ჴელისაგან შენისა, რაჲთა სუან, და ჰრქუა მათ: ესრეთ თქუა უფალმან: მსმელთა სუთ,

29. რამეთუ აჰა ქა[237 r]ლაქისა-გან, რომელსა ზედა იწოდა სახელი ჩე-მი მის ზედა, მისგან ვიწყო მე ბოროტე-ბად, და თქუენ განწმენდითა განწმდით; არავე განსწმდეთ, რამეთუ მახჳლსა მოუწეს მე ყოველთა ზედა მსხდომარე-თა ქუეყანასა ზედა, თქუა უფალმან ძალ-თამან.

30. და შენ წინაჲსწარმეტყუელებ-დი მათ ზედა სიტყუათა ამათ ჩემთა, და სთქუა მათდა მიმართ: უფალი მაღლით გამოცხადება-ჰყოფს და წმიდისაგან სამკჳდრებელისა მისისა მოსცეს ჴმაჲ თჳსი, სიტყუასა გამოცხადება-ჰყოფს ადგილისაგან თჳსისა და იგინიცა, ვი-თარცა საწნეხლის მწნეხელნი მიუგებ-დენ: ყოველთა მიმართ მსხდომარეთა ქუეყანასა ზედა [31], მუნ მოსრვაჲ

31. კერძოსა ზედა ქუეყანისასა, რა-მეთუ სასჯელი უფლისაჲ წარმართთა შორის, საჯოს მან ყოვლისა მიმართ ჴორცისა, ხოლო უთნონი მიეცნეს მახჳ-ლსა, იტყჳს უფალი.

---

27. სუთ] + და O. და (3) — O. აღსდგეთ O. მახჳლისა] მაღლისა O (მცდ.) რომელი] რამეთუ J. მოვავლინე O. 29. განწმდით O. განწმიდნეთ J. მოუწოდებ] მოუწეს O. 30. წინაწარმეტყუე-ლებდ O. მათა მიმართ] მათ ზედა O. არქუ] ჰრქუა O. და (4)] — J. სიტყუასა O. მსთულებელნი] მსუდრებელნი O. მოუგებდეს O. მოსრვად O. 31. მიმართ] + და O. შჯის O.

27. *უქარაგმოა. W-ში. საშუალ W. 28. მიღება W. ჰრქვა W. 29. თქუენ] თქვან W. 30. სიტყვათა W. გამოცხადებულ ჰყოფს W. სიტყვასა W.

J

32. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ: ესერა ძჳრი მოვალს ნათესავისაგან ნათესავად, და ნიავ-ქარი დიდი გამოვალს დასასრულით ქუეყანისაჲთ,

33 და იყვნენ წყლულებანი უფლისაგან დღესა მას უფლისასა კიდითგან ქუეყანისაჲთ ვიდრე კიდედმდე ქუეყანისა, არა იტყებდენ, არცალა შეკრბენ არცა და[O : 261r]ეფლნენ, სკორედ იყვნენ პირსა ზედა ქუეყანისასა.

34. ღაღადებდით, მწყემსნი, და ჴმაყავთ, იტყებდით, ვერძნი ცხოვართანი, რამეთუ აღესრულნეს დღენი მოწყუედისანი და განბნევანი თქუენნი, და დაეცნეთ, ვითარცა ვერძნი რჩეულნი [ფ.250]

35 და წარწყმდეს სივლტოლაჲ მწყემსთაგან და განრინებაჲ ვერძთაგან ცხოვართაჲსა.

36. ჴმაჲ ღაღადებისაჲ მწყემსთაჲ და ვალალებაჲ ვერძთა ცხოვართაჲსაჲ. რამეთუ მოსპო უფალმან საძოარი მათი,

37 და დაეცა კეთილი მშჳდობისაჲ პირისაგან რისხვისა გულის-წყრომისა უფლისაჲსა.

38. დაუტევა კაცად-კაცადმან, ვითარცა ლომმან, საყოფელი თჳსი, რამეთუ იქმნა ქუეყანაჲ იგი მათი უგზო პირისაგან რისხვისა მახჳლისაგან დიდისა და პირისაგან რისხვისა გულის-წყრომისა მისისა.

G

32 .ესრეთ თქუა უფალმან ძალთამან: აჰა ძჳრნი მოვლენ ნათესავისაგან ნათესავისა მიმართ, და გრიგალი დიდი გამოვალს დასასრულით ქუეყანისაჲთ,

33 და იყვნენ წყლულებანი უფლისა მიერ დღესა შინა უფლისასა კერძოჲსაგან ქუეყანისა მიკერძოდმდე ქუეყანისა; არა დაშურენ ,არცა შეკრბენ და არა დაეფლნენ, ვითარცა სკორენი ქუეყანისანი იყვნენ.

34. ღაღად-ყავთ მწყემსთა და ჴმაყავთ, და იტყებდით, ვერძნი ცხოვართანი, რამეთუ სრულ იქმნნეს დღენი თქუენნი დაკლვადნი და განბნევანი თქუენნი, და დაეცნეთ, ვითარცა ვერძნი რჩეულნი.

35. და წარწყმდეს სილტოლაჲ მწყემსთაგან და მაცხოვარებაჲ ვერძთაგან ცხოვართაჲსა.

36. ჴმაჲ ღაღადებისა მწყემსთაჲსაჲ და ღაღადებაჲ ვერძებისა ცხოვართაჲსაჲ, რამეთუ მოსპნა უფალმან საძოარნი მათნი.

37. და დაარცხვნა კეთილნი მშჳდობისანი პირისაგან რისხვისა გულის-წყრომისა უფლისა.

38. დაუტევა კაცადმან, ვითარცა ლომმან, საყუდელი თჳსი, რამეთუ იქმნა ქუეყანაჲ მათი უვალ პირისაგან რისხვისა მახჳლისა დიდისა და პირისაგან რისხვისა გულის-წყრომისა მისისა.

---

33. კიდითგან ქუეყანისაჲთ ვიდრე კიდედმდე ქუეყანისა] მიერ ქუეყანითგან მი-მუნ კერძო ქუეყანადმდე O. იტყებონ O. არცადა] არცა O. დაეფლნენ] + არამედ O. 34. ეტყებდით O. „ტ“-ს ქვედა წელი არა აქვს J-ში. დღენი] + თქუენნი O 35. ცხოვართაჲსა] + ძლიერებათაგან მწყემსთა O. 36. ვალალებისაჲ O. ცხოვართაჲსაჲ] + სულიერთაჲ O. საძოვარი O. 37. მშჳდობისაჲ] მშჳდობისა მათისაჲ O. უფლისა O. 38. იგი] — O. რისხვისა (1)] + წინამძღუარნი მწყემსთანი, ვითარცა ჭურჭელი გულის-სათქუმელი O. რისვისა O.

32. ქყნის՛ათ W. 33. ო՛ჲ W. 34. ღაღა՛დყვ՛თ W. ჴმაჲ ყავთ W დაკლვადმი GW. 35. სილტოლა W. მაცხოვარება W. 36. მწყემსთასაჲ W, მწყემსთაჲსა G. ღაღადება W. ცხოვართასაჲ W, ცხოვართაჲსა G. 37. რისხვსა GW. უფლისაჲ W. 38. ქუეაყანა W. რისხვსა W.

J

26

1. დასაბამსა მეფისა იოაკიმისა, ძისა იოსიაჲსა, მეფისა იუდაჲსა, იყო სიტყუაჲ უფლისა მიერ, და თქუა:

2 ესრე მრქუა უფალმან: დადეგ ეზოსა შინა ტაძრისა უფლისასა და უბრძანე ყოველსა იუდასა, მომავალთა თაყუანისცემად ტაძარსა შინა უფლისასა. ყოველნი სიტყუანი, რომელ გიბრძანენ შენ თხრობად მათა; ნუ მოაკლებ სიტყუასა.

3. [O : 261v] ვინ უწყის, ისმინონ ხოლო თუ, და მოიქცეს კაცად-კაცადი გზისაგან თჳსისა ბოროტისა, დავსცხრე ძჳრისაგან, რომელი მე განმიზრახავს ყოფად მათა უკეთურთათჳს სლვათა მათთა;

4. და ჰრქუა მათ: ესრე თქუა უფალმან: არა თუ ისმინოთ ჩემი სლვად შჯულსა ჩემსა, რომელ მიგეც წინაშე პირსა თქუენსა.

5. სმენად სიტყუათა წინაწარმეტყუელთა, მონათა ჩემთა, რომელ მე მოვავლინენ განთიად, და არა ისმინეთ,

6. და მივსცე სახლი ესე, ვითარცა სელომი ·და ქალაქი ესე მივსცე საწყევლად ყოველთა ნათესავთა ქუეყანისათა.

7. და ესმა მღდელთა და ცრუ-წინაწარმეტყუელთა და ყოველსა ერსა იერემიაჲს სიტყუაჲ, იტყოდა რაჲ იგი სახლსა შინა უფლისასა.

8. და იყო, ვითარცა დადუმნა იერემია სიტყჳსაგან ყოველი, რომელი

G

1. დასაბამსა მეფისა იოაკიმისსა ძისა იოსიაჲსსა, მეფისა იუდაჲსსა, იქმნა სიტყუაჲ ესე უფლისა მიერ, მეტყუელი:

2. [237v] ესრეთ თქუა უფალმან: დადეგ ეზოსა შინა სახლისა უფლისასა და აუწყო ყოველსა იუდასა მომავალთა თაყუანისცემად შორის სახლისა უფლისა, ყოველნი სიტყუანი, რომელნი გიბრძანენ შენ უწყებად მათდა; ნუ დააკლებ სიტყუასა.

3. ნუუკუე ისმინონ და მოიქცენ კაცადი გზისაგან თჳსისა ბოროტისა, და დავსცხრე მე ბოროტთაგან, რომელთა ვსიტყუავ მე ყოფად მათდა ბოროტთათჳს სიმარჯუეთა მათთა;

4. და სთქუა მათდა მიმართ: ესრეთ იტყჳს უფალი: არა თუ ისმინოთ ჩემი სლვად შჯულთა შინა ჩემთა, რომელნი მივსცენ წინაშე პირთა თქუენთა.

5. სმენად სიტყუებსა ყრმათა ჩემთა წინაჲსწარმეტყუელთასა, რომელთა მე მივავლენ თქუენდა განთიად. და მივავლინენ, და არა ისმინეთ,

6 .და მივსცე სახლი ესე, ვითარცა სილომი ,და ქალაქი ესე მივსცე საწყევარად ყოველთა წარმართთა ყოვლისა ქუეყანისათა.

7. და ისმინეს მღდელთა და ცრუ-წინაჲსწარმეტყუელთა და ყოველმან ერმან იერემიაჲსგან თქუმასა ამათ სიტყუათასა სახლსა შინა უფლისასა.

8. და იყო, და-რაჲ-სცხრა იერემია მეტყუელი ყოველთაჲ, რომელნი უბრ-

---

26.1. იოვაკიმისსა O. იოსიაჲსსა O იუდაჲსსა O. სიტყუაჲ] + ესე. უფლისა მიერ] — O. 2. მრქუა] + მე O ყოველსა] + ერსა O. მომავალსა O. რომელ] რომელნი — იგი O. უბრძანენ O 3. მოიქცენ O. დავსცხრე] და დასცხრეს O. რომელ O. განმიზახავს O. მათთა] + თჳს J. 4. რომელი O. 5. სიტყუასა წინაწარმეტყუელთასა O. მონათა ჩემთა] — O. რომელნი O. განთიად] — O. 7. იტყოდა რაჲ იგი] ამათ სიტყუათაჲ O 8. სიტყუათაგან O.

26.1. სიტყვა W ო´ჲ W. მეტყველი W. 2. თქვა W. თაყვანისცემად W. ო´ჲ W. სიტყვასა W 3. სიმარჯვეთა W. 4. სთქვა W. 7. იერემიაჲსაგან W. თქმასა W. დარაჲსცხრა W.

J

უბრძანა მას უფალმან თხრობად ყოვლისა ერისა, და შეიპყრეს იგი მღდელთა და ცრუ-წინაწარმეტყუელთა და ყოველმან ერმან და ჰრქუეს: სიკუდილით მოჰკუდე.

9. რამეთუ სწინაწარმეტყუელებ სახელითა უფლისაჲთა და იტყჳ: ვითარცა სელომი, იყოს სახლი ესე, და ქალაქი ესე აღოჴრდეს მკჳდრთაგან. და განკრბა ყოველი ერი იერემიაჲს ზედა სახლად უფლისა.

10. და ვითარცა ესმეს სიტყუანი ესე მთავართა იუდაჲსთა, და აღმოვიდეს ტაძრით მეფისაჲთ სახლად უფლისა და დასხდეს წინაშე კართა [ფ.251] ბჭეთა უფლისა ახალთა.

11. და ჰრქუეს მღდელთა და ცრუ-წინაწარმეტყუელთა მთავართა: [O:
:262r] მათდა ყოველსა ერსა: საშჯელი სიკუდილისაჲ არს ამის კაცისა, რამეთუ წინაწარმეტყუელებდა ქალაქისა ამისთჳს; ვითარცა გესმა ყურთა თქუენთა.

12. და თქუა იერემია მთავართა მიმართ და ყოვლისა ერისა: უფალმან მომავლინა მე წინაწარმეტყუელებად სახლსა ამას ზედა და ქალაქსა ამას ყოველთა ამათ სიტყუათა, რომელ გესმეს.

13. და აწ უმჯობეს ყვენით გზანი თქუენნი და საქმენი თქუენნი და ისმინეთ ჴმაჲ უფლისა ღმრთისა თქუენისაჲ და დასცხრეს უფალი ბოროტებათაგან, რომელ თქუა.

14. და ესერა მე ჴელთა შინა თქუენთა ვარ, მყავთ მე, ვითარცა ჯერ-არს და ვითარ უმჯობეს გიჩს თქუენ.

G

ძანნა მას უფალმან თხრობად ყოვლისა ერისა, და შეიპყრეს იგი მღდელთა და ცრუ-წინაჲსწარმეტყუელთა და ყოველმან ერმან, მეტყუელმან: სიკუდილითა მოკუდეს.

9. რამეთუ წინაჲსწარჰმეტყუელებდი სახელითა უფლისაჲთა, მეტყუელი: ვითარცა სილომი, იყოს სახლი ესე, და ქალაქი ესე მოოჴრდეს მკჳდრთაგან. და განკრბა ყოველი ერი იერემიაჲს ზედა სახლსა შინა უფლისასა.

10. და ესმა მთავართა იუდაჲსთა სიტყუათა ამათ, და აღვიდეს სახლისაგან მეფისა სახლად უფლისა და დასხდეს წინაკართა ბჭეთა კარვისა უფლისათაჲსა.

11. და თქუეს მღდელთა და ცრუ-წინაჲსწარმეტყუელთა მთავართა მიმართ და ყოვლისა ერისა, მეტყუელთა: საშჯელი სიკუდილისაჲ კაცსა ამას, რამეთუ იწინაჲსწარმეტყუელა ძჳნად ქალაქისა ამის, ვითარცა გესმა ყურითა თქუენითა.

12. და თქუა იერემია მთავართა მიმართ და ყოვლისა ერისა, მეტყუელმან: უფალმან მომავლინა მე წინაჲსწარმეტყუელებად სახლსა ამას ზედა და ქალაქსა ამას ზედა ყოველთა ამათ სიტყუათა, რომელნი გესმნესყე.

13. და აწ უმჯობეს ყვენით გზანი თქუენნი და საქმენი თქუენნი და ისმინეთ ჴმისა უფლისა ღმრთისა თქუენისაჲ, და დასცხრეს უფალი ძჳრთაგან: რომელნი თქუნა.

14 და აჰა მე ჴელთა შინა თქუენთა მიყავთ მე, ვითარ შეჰგავს, და ვითარ უმჯობეს გიჩნსყე თქუენ.

---

9. განკრბა] შეაკრბა O ზედა] + და J. 10. ვითარცა] — O. ესმა O. სიტყუანი ესე მთავართა იუდაჲსთა] მთავართა იუდაჲსთა სიტყუათაჲ ამათ O. უფლისათა O. 11. მთავართა] და მთავართა O. მათ] მიმართ O. ერსა] + და ჰრქუეს O. კაცისაჲ J, კაცისა] + თანა O. გუესმა O. თქუენთა] ჩუენთა O: 12. რომელნი O. 13. ბოროტისაგან O. 14. და (1)] აჰა O. მიყავთ O. ჯერ-არს] ჯერ-გიჩს თქუენ O. და ვითარ უმჯობეს გიჩს] — O.

9. წინაჲსწარმეტყუელებდი G (უქარაგმოდ), წწ̃ყუელებდი W. ო̃ისათა W განკრბა] განკჳრვება W. 10. სიტყ̃თაჲ G, სიტყჲთა W. 11. სასჯელი W. იწწ̃ტყლა G, იწინასწარმეტ̃ყლა W. 12. თქჲ W. სიტყ̃უაჲთა W. 13. ყუენით W. ო̃ჲ W. ღ̃ჲ W. თქუნა] თქუ თქუნა G.

J

15 ხოლო უწყებით უწყოდეთ: უკუეთუ მომკლათ მე, რამეთუ სისხლსა უბრალოსა დასთხევთ თქუენ ზედა და ქალაქსა ამას ზედა და დამკჳდრებულთა ზედა მას შინა, რამეთუ ჭეშმარიტად მომავლინა მე უფალმან თქუენდა სიტყუად ყურთა თქუენდა ყოველთა ამათ სიტყუათა.

16. და თქუეს მთავართა და ყოველმან ერმან მღდელთა მიმართ და ცრუწინაწარმეტყუელთა: არა არს ამის კაცისათჳს საშჯელი სიკუდილისაჲ, რამეთუ სახელითა უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲთა იტყჳს ჩუენდამო.

17. და აღდგეს კაცნი მოხუცებულთაგანნი ერისანი და ეტყოდეს ყოველსა კრებულსა ერისასა და ჰრქუეს:

18. მიქეა მორათიტელი წინაწარმეტყუელებდა დღეთა ეზეკია მეფისა იუდაჲსთა და ყოველსა ერსა იუდაჲსსა ჰრქუა: ე[ს]რე თქუა უფალმან, სიონი, ვითარცა [O : 262v] აგარაკი, მოიჴნას, და იერუსალჱმი, ვითარცა ხილისსაცავი, იყოს, და მთაჲ იგი სახლისა უფლისაჲ იყოს სერტყ მაღნარის.

19 მოკლვით ნუ მოკლა ეზეკია მეფემან იუდაჲსმან და ყოველმან იუდამან? არამედ შეეშინა მათ უფლისა და ევედრნეს პირსა უფლისასა და დასცხრა უფალი ბოროტებათაგან, რომელ თქუა მათ ზედა, და ჩუენ ვქმენთ ძჳრი დიდი სულთა ზედა ჩუენთა.

G

15. არამედ მცნობელთა ცანთ: მოთუ-მკლათ მე, ვითარმედ სისხლსა უბრალოსა თქუენ მისცემთ თქუენ ზედა და ქალაქსა ამას და დამკჳდრებულთა ზედა მას შინა, რამეთუ ჭეშმარიტებით მომავლინა მე უფალმან თქუენდა მიმართ თქუმად ყურთა შორის თქუენთა ყოველთა ამათ სიტყუათა.

16. და თქუეს მთავრთა და ყოველმან ერმან მღდელთა მიმართ და ცრუწინაჲსწარმეტყუელთა მიმართ: არა არს კაცისა ამის საშჯელი სიკუდილისა, რამეთუ სახელითა უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲთა იტყოდა ჩუენდამო.

17. და აღდგეს კაცნი მოხუცებულთა ქუეყანისათანი და თქუეს ყოველსა შესაკრებელსა ერისასა, მეტყუელთა:

18 მიქეა მორათელი იყო წინაჲსწარმეტყუელ დღეთა შინა ეზეკია მეფისა იუდაჲსთა და ჰრქუა ყოველსა ერსა იუდაჲსსა, მეტყუელმან; ესრეთ თქუა უფალმან ძალთამან: სიონი, ვითარცა ყანაჲ, მოიერქუნოს, და იერუსალიმი, ვითარცა ხილის-საცავი, იყოს, და მთაჲ სახლისაჲ იყოს სერტყ მაღნარისა.

19. ნუ მომკლველმან მოკლა იგი ეზეკია მეფემან იუდაჲსმან და ყოველმან იუდამან? არა, რამეთუ შეიშინეს უფლისა, და რამეთუ ევედრნეს პირსა უფლისასა. და დასცხრა უფალი ბოროტთაგან, რომელნი თქუნა მათ ზედა, და ჩუენ ვქმნენით ძჳრნი დიდნი სულთა ჩუენდა ზედა.

---

15. უკუეთუ მომკლათ მე] მომკლათ თუ მე O. დასთხევთ თქუენ ზედა] თქუენ მისცემთ ქუეყანასა O. ზედა (3)] — O. მას] ამას O ~ მომავლინა მე ჭეშმარიტად O. თქუენდა (2)] თქუენთა O ყოველთა ამათ სიტყუათა] ყოველთავე სიტყუათა ამათ O. 16. მღდელთა მიმართ] მღდელმან O. 17. მოხუცებულთაგანნი ერისანი] მოხუცებულნი ქალაქისანი O. კრებულსა] ერსა O. ერისასა] — O. 18. მიქია O. მორათიელი O. დღჱთა O. ყოველსა ერსა იუდაჲსსა ჰრქუა] ეტყოდა ყოველსა ერსა იუდაჲსსა და თქუა O. ერე J 19. მოკლაა O. იუდაჲსმან] — O. ვქმნეთ O. ~ ჩუენთა ზედა O.

15. დამკჳდრებულთაჲ W. 16. სასჯელი W. ი´ჲ W. ღ´ჲ W. 18. თქ´ჲ W. 19. დასცხრაჲ W.

J

20. და კაცი ერთი ვინმე წინაწარმეტყუელებდა სახელითა უფლისაჲთა ურია, ძჱ სამეაჲსი, კარიათიარიმელი, ქალაქსა ამას ზედა და ქუეყანისა ამისთჳს მსგავსად ყოველთა სიტყუათა იერემიაჲსთა.

21. და ესმა მეფესა იოაკიმს და ყოველთავე მდიდართა მისთა და ყოველთა მთავართა [ფ.252] ყოველნი სიტყუანი მისნი, და ეძიებდეს მას მოკლვად; და ესმა ურიას და შეეშინა და ივლტოდა და შევიდა ეგჳპტედ.

22. და წარავლინნა იოაკიმ მეფემან კაცნი ეგჳპტედ ელდათან, ძჱ აქაბორისი, და კაცნი მის თანა.

23. და გამოიყვანეს იგი მიერ და მოიყვანეს იგი მეფისა იოაკიმისა, და მოკლა იგი მახჳლითა და შთააგდო მძორი მისი სამარესა ძეთა ერისა მისისათა.

24. ხოლო ჴელი აქიკამისი, საფანის ძისაჲ, იყო იერემიაჲს თანა, რაჲთამცა არა მიეცა იგი მოკლვად ჴელთა ერისათა.

G

20. და კაცი ვინმე იყო მწინაჲსწარმეტყუელები სახელითა უფლისაჲთა ურია, ძე სამეაჲსი, კარიათიარიმით, და წინაჲსწარმეტყეულებდა ქალაქსა ამას ზედა და ქუეყანისა ამისთჳს ყოველთაებრ სიტყუათა იერემიაჲსთა.

21. და ესმა მეფესა იოაკიმს და ყოველთა ძლიერთა მისთა და ყოველთა მთავართა სიტყუანი მისნი, და ეძიებდეს მოკლვად მას, და ესმა ურიას და შეეშინა და ივლტოდა და შევიდა ეგჳპტედ.

22. და განავლინნა მეფემან იოაკიმ კაცნი ეგჳპტედ: ელდათარ, ძე ვოხორისი.

23. და გამოიყვანეს იგი მიერ და მოიყვანეს იგი მეფისა მიმართ იოაკიმისსა, და მოკლა იგი მახჳლითა და შთააგდო იგი სამარესა ძეთა ერისა მისისათასა.

24. გარნა ჴელი აქიკამისი, ძისა საფანისი, იყო იერემიაჲს თანა არა მიცემად იგი ჴელთა ერისათა არმოკლვად იგი.

27

J

1. დასაბამსა მეფისა იოაკიმისა, ძისა იოსიაჲსა, მეფისა იუდაჲსა, იყო სიტყუაჲ ესე იერემიაჲს მიმართ [O 262 v ბოლო] უფლისა მიერ, და თქუა:

G

1. დასაბამსა მეფისა იოაკიმისსა, ძისა იოსიაჲსსა, მეფისა იუდაჲსსა, იქმნა სიტყუაჲ ესე იერემიაჲს მიმართ უფლისა მიერ, მეტყუელი.

---

20. კარიათიარიმელი] არიმათიელი + და წინაწარმეტყუელებდა O (მცდ.). ყოველთა] წმიდათა O. 21. მეფესა O. იოაკიმს O. მთავართა] + მისთა O. მისმნი] J მეორე „მ" ხაზგასმულია და მის ზევით რ უნდა იყოს მიწერილი. ესმა (2)] ემა O. და (6)]-O. შეეშინა]-+მას O. შევიდა] შთაჴვდა O. 22. იოვაკიმ O. ელდათა O. და კაცნი მის] დაცემის O (მცდ.). 23. იგი (1)] + მუნ O. იგი (2)] — O. იოვაკიმისა O. 24. საფანის ძისაჲ] ძისა საფანისი O. მოკლვად ჴელთა ერისათა] ჴელთა ერისათა, რაჲთა არა მოკუდეს იგი O.

27.1. იოვაკიმისსა O. იოსიაჲსსა O. იერემიაჲსა O. მიმართ O. „მიმართა"-იდან მე-16 მუხლის „და ყოველსა ერსა"-მდე აკლია O-ს.

20. მწინაჲსწარმეტყუელები G (უქარაგმოა), მწინასწარმეტყუელებელი W. ო´ისათა W. ორია W. სამეასი GW. კარიათი არიმით W. სიტყ´ჲთა W. იერემიასთა GW. 21. ყ´თაძლიერთა W. სიტყ´ჲნი W. ორიას W. 22. მეფემან იოაკიმ კაცნი ეგჳპტედ ელდათარ, ძე ვოხორისი] მეფემან იელდათარ, ძე ოხრისი და კაცნი მის თანა ეგჳპტედ იოაკიმ W. 23. გამოიყუანეს W.

27.1. ო´ჲ W.

J

2. ესრე მრქუა მე უფალმან: იქმნენ შენდად შესაკრველნი და საჴივნი და დაისხენ ქედსა შენსა,

3. და მიუძღუანენ იგინი მეფესა იუდაჲსასა და მეფესა ძეთა ამონისთაჲსა და მეფესა ტჳროსისა და მეფესა სიდონისასა ჴელითა მოციქულთაჲთა, რომელნი მოვიდოდიან შემთხუევად მათა იერუსალჱმდ სედეკიაჲსა, მეფისა იუდაჲსა.

4. და ამცენ უფალთა მათ მიმართ და არქუ: ესრე თქუა უფალმან ძალთამან ღმერთმან ისრაჱლისამან: ესრე არქუთ უფალთა თქუენთა:

5. მე შევქმენ ქუეყანაჲ და კაცი და საცხოვარი, რაოდენნი არიან პირსა ზედა ქუეყანისასა, ძალითა ჩემითა დიდითა და მკლავითა ჩემითა მაღლითა და მივეც იგი მას, რომელიცა მთნდა წინაშე თუალთა ჩემთა.

6 და აწცა მე ვარ; მივსცე ყოველი ესე ქუეყანაჲ ჴელსა ნაბუქო[დო]ნოსორ მეფისა ბაბილოვნისა, მონისა ჩემისასა, და მჴეცნიცა ველისანი საქმედ მიმიცემიან მას.

7. და მონებად მისა ყოველნი ნათესავნი და ძესა მისსა და ძესა ძისა მისისასა ვიდრე მოსლვადმდე ჟამისა რისხვისა მისისაჲსა, და ჰმონოს მას ნათესავმან მრავალმან და მეფეთა დიდთა.

8. და იყოს, ნათესავი და მეუფებაჲ, რომელთა არა ჰმონონ ნაბუქოდონოსორ მეფესა ბაბილოვნისასა, რომელთა არა შეყონ ქედი მათი უღელსა

G

2. [238 v] ესრეთ თქუა უფალმან ჩემდამო: უქმნენ თავსა შენსა შესაკრავნი და საჴივნი და მოისხენ გარემოს ქედსა შენსა.

3. და წარჰგზავნნე იგინი მეფისა მიმართ იდუმიაჲსა და მეფისა მიმართ მოაბისა და მეფისა მიმართ ძეთა ამმონისთაჲსა და მეფისა მიმართ ტჳროსისა და მეფისა მიმართ სიდონისა ჴელითა მიმთხრობელთა მათთა, მომავალთაჲთა შემთხუევად მათდა იერუსალემს* სედეკიაჲს მიმართ, მეფისა იუდაჲსსა.

4. და მიუმცნო მათ უფალთა მათთა მიმართ თქუმად: ესრეთ თქუა უფალმან ღმერთმან ისრაელისამან: ესრეთ თქუთ უფალთა მიმართ თქუენთა ვითარმედ:

5. მე შევქმენ ქუეყანაჲ და კაცი და საცხოვარნი, რაოდენნი არიან პირსა ზედა ქუეყანისა, ძალითა ჩემითა დიდითა და მკლავისა მიერ ჩემისა მაღლისა და მივსცე იგი, რომლისაჲცა სთნდეს თუალთა ჩემთა.

6. და აწ მე ვარ, რომელი მივეც ქუეყანაჲ ნაბუხოდონოსორს — მონებად მისსა, და მჴეცნი ველისანი საქმრად მივსცენ მას.

7. და მონებად მისსა ყოველნი ნათესავნი და ძესა მისსა და ძესა ძისა მისისასა, ვიდრემდისცა მოიწიოს ჟამი რისხვისა მისისაჲ, და ჰმონონ მას ნათესავთა მრავალთა და მეფეთა დიდთა

8. და იყოს, ნათესავი და მეფობაჲ, რომელმან არა ჰმონოს ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისა, და რომელთა არა თუ განყონ ქედი მათი უღელ-

---

6. ნაბუქონოსორ J. 8. ქვე̃მჱ J. ვ̃დ J.

3. წაჰგზავნე G. მომავალთაჲთ W. *უქარაგმოა W-ში. 4. •ქმად W. ისრაელისამ̃ნ W, იჱლისამან G. 6. „და აწ მე ვარ, რომელი" ჩამატებულია G-ში. ნაბუქოდონოსორს W. მივცენ GW. 7. რისხვსა W. 8. ჰმნოს W. „ჰ" ნაწილები შეერთებული არაა, მონოს G. ბაბილოვნისასა (1,2) W. „რომელმან არა მონოს ნაბუქოდონოსორ მეფესა ბაბილონისასა და" ჩამატებულია G-ში.

J

ქუეშე მეფისა ბაბილონისასა, მახვლითა და სიყმილითა და [ფ.253] სიკუდილითა მე მოვიძინე იგინი, თქუ[ა] უფალმან, ვიდრემდე მოაკლდეს მათ ჴელსა შინა მისსა.

9. და თქუენ ნუ ისმენთ ცრუწინაწარმეტყუელთა თქუენთასა და მისანთა თქუენთასა და მჩუენებელთა თქუენთა[სა] და მლალობელთა თქუენთასა და მზმნელთა თქუენთასა და მეწამლეთა თქუენთასა, რომელნი გეტყვან: ნუ იქმთ საქმესა მეფისა ბაბილოვნისასა.

10. რამეთუ ცილსა გიწინაწარმეტყუელებენ თქუენ, რაჲთამცა განგაშორნა თქუენ ქუეყანისაგან თქუენისა, და განგაბნინე თქუენ და წარსწყმდეთ.

11. და ნათესავმან რომელმან შეყოს ქედი თჳსი უღელსა ქუეშე მეფისა ბაბილონისასა და უქმნეს მას, დაუტევო იგი ქუეყანასა ზედა, თქუა უფალმან, იქმოდის მუნ და დაეშენოს მუნ

12. და სედეკიაჲს მიმართ მეფისა იუდაჲსა, ვიტყოდე მსგავსად ყოველთა ამათ სიტყუათა და ვთქუ: მიუპყართ ქედი თქუენი უღელსა ქუეშე მეფისა ბაბილონისასა და ჰმონეთ მას და ერსა მისსა და სცხონდეთ.

13. და რაჲსათჳს მოჰკუდები შენ და ერი შენი მახვლითა და სიყმილითა და სიკუდილითა, ვითარცა თქუა უფალმან ნათესავისა მიმართ, რომელმან არა ჰმონოს მეფესა ბაბილოვნისასა.

14. და ნუ ისმენთ სიტყუასა ცრუწინაწარმეტყუელთსა, რომელნი გეტყვან თქუენ: არა უქმოდით მეფესა ბა-

G

სა ქუეშე მეფისა ბაბილონისა, მახვლისა მიერ და სიყმილისა ზედ-მოვიხილო მათდა, თქუა უფალმან, ვიდრემდის მოაკლდენ ჴელსა შინა მისსა.

9. და თქუენ ნუ ისმენთ ცრუ-წინაჲსწარმეტყუელთა თქუენთასა და მემისნეთა თქუენთასა და მეძილის-შინაეთა თქუენთასა და მზმნელთა თქუენთასა და მეწამლეთა თქუენთა, მეტყუელისა თქუენდამი; ნუ უქმთ მეფისა ბაბილონისასა.

10. რამეთუ ტყუილით გიწინაჲსწარმეტყუელებენ თქუენ იგინი განშორებისათჳს თქუენისა ქუეყანისაგან თქუენისა და მიმოგთესნენ თქუენ და წარგწყმიდნენ თქუენ.

11. და ნათესავმან რომელმანცა განუყოს ქედი მისი უღელსა ქუეშე მეფისა ბაბილონისასა და უქმოდის მას და დაუტეო იგი ქუეყანასა ზედა მისსა, თქუა უფალმან, და იქმოდის მას ზედა და დაეშენოს მას ზედა.

12. და სედეკიაჲს მიმართ, მეფისა იუდაჲსსა, ვიტყოდე ყოველთა ამათ სიტყუათაებრ, მეტყუელი: შეყავთ ქედი თქუენი უღელსა ქუეშე მეფისა ბაბილონისსა და ჰმონეთ მას და ერსა მისსა და ცოცხლებდეთ.

13. [239 r] და რაჲსათჳს მოჰკუდებით შენ და ერი შენი მახვლითა და სიყმილითა და სიკუდილითა, ვითარცა თქუა უფალმან ნათესავისა მიმართ რომელმან არა ჰმონოს მეფესა ბაბილონისასა.

14. და ნუ ისმენთ ცრუ-წინაჲსწარმეტყუელთა, მეტყუელთასა თქუენდამი: არა უქმოდით მეფესა ბაბილონი-

---

9. „და მისანთა თქუენთასა“ წვრილი ხელით ზემოდან ჩამატებულია J-ში. მჩუენებელთა] ჩუენებათა J. თქუენთა (3)] J 11. ქუეშ҃ J.

9. ბაბილოვნისასა W. 10. „და მიმოგთესნენ თქუენ და წარგწყმიდნენ თქუენ“ ჩამატებულია G-ში 11. ქუშ҃ე G, ქშ҃ W. 12. სედეკია G, ქუ҃ G, ქუ҃ W. 13. არა] ალა GW. მეფისა W. 14. ბაბილონისსა W (უქარაგმოდ).

J

ბილოვნისასა, რამეთუ იგინი ცრუსა წინაწარმეტყუელებენ თქუენდა მომართ.

15. რამეთუ არა მივავლინენ იგინი, იტყჳს უფალი, და იგინი გიწინაწარმეტყუელებენ თქუენ სახელითა ჩემითა სიცრუვით, რაჲთა წარგწყმიდენ თქუენ და წარწყმდენ თქუენ თანა წინაწარმეტყუელნიცა იგი.

16. და მღდელთა [O : 263r] და ყოველსა ერსა ვეტყოდე და ვარქუ: ესრე თქუა უფალმან: ნუ ისმენთ სიტყუათა წინაწარმეტყუელთასა, რომელნი გიწინაწარმეტყუელებენ თქუენ, და იტყჳან: აჰა ესერა ჭურჭერი სახლისა უფლისაჲ მოიქცევის ბაბილონით აწ ადრე, რამეთუ ცრუსა გიწინაწარმეტყუელებენ თქუენ, არა მივავლინენ იგინი, და არა არს სიტყუაჲ უფლისაჲ მათ შორის.

17. ნუ ისმენთ მათსა, ჰმონებდით მეფესა ბაბილოვნისასა და სცხომდეთ: და რაჲსათჳს იქმნების ქალაქი ესე ოჴერ?

18. წინაწარმეტყუელნი თუ არიან და არს სიტყუაჲ უფლისაჲ მათ შორის სიტყუას-უგებედ უფალსა ძალთასა, რაჲთა არა წარიღოს ნეშტი იგი ჭურ-[ფ.254]ჭერი სახლისა უფლისაჲ და სახლისა მეფისა იუდაჲსისაჲ და იერუსალჱმისაჲ ბაბილონდ.

G

სასა, რამეთუ ცრუთა გიწინაჲსწარმეტყუელებენ თქუენ იგინი.

15. რამეთუ არ მივავლინენ იგინი იტყჳს უფალი, და გიწინაჲსწარმეტყუელებენ თქუენ სახელითა ჩემითა სიცრუით წარწყმედისათჳს თქუენისა, და წარსწყმდეთ თქუენ და წინაჲსწარმეტყუელნი, მწინაჲსწარმეტყუელებნი თქუენნი უსამართლოდ სიცრუესა.

16. თქუენ და მღდელთა და ყოველსა ამას ერსა გარქუ, მეტყუელმან: ესრეთ თქუა უფალმან: ნუ ისმენთ სიტყუათა წინაჲსწარმეტყუელთა, მწინაჲსწარმეტყუელებთა თქუენთა და მეტყუელთასა: აჰა ჭურჭელი სახლისა უფლისაჲ მოიქცეს ბაბილონით მალიად აწ, რამეთუ ცრუთა გიწინაჲსწარმეტყუელებენ იგინი თქუენ, და არა მივავლინენ იგინი და არა არს სიტყუაჲ უფლისაჲ მათ შორის.

17. ნუ უსმენთ მათ, ჰმსახურეთ მეფესა ბაბილოვნისასა და ცოცხლებდით; და რაჲსათჳს იქმნების ქალაქი ესე ოჴერ?

18. ხოლო წინაჲსწარმეტყუელნი თუ არიან, და არს სიტყუაჲ უფლისაჲ მათ შორის, შემემთხჳნედ მე, რამეთუ ესრეთ თქუა უფალმან: და ნეშტნი ჭურჭელნი, რომელნი არა მოუღო მეფემან ბაბილონელთამან, რაჟამს წარტყუენა იექონია იერუსალიმით ბაბილონდ, მივიდეს, იტყჳს უფალი ძალთაჲ, არამედ არა მისრულთათჳს ნეშტთა ჭურჭელთა სახლისა უფლისა და სახლისა მეფისა იუდაჲსნი და იერუსალიმისაჲ ბაბილოვნდ.

---

15. „წარწმდენ"-ის ნარს ზედა განივი ხაზი არა აქუს J-ში. 16. ვარქუ] ვთქუ O. ადრე] ესრე O. ცრუსა] + იგინი O. შორის] თანა O 17. ჰმონეთ O. ბაბილონისასა O. სცხონდეთ O. და (2)] — O. 18. სიტყუა უგენ J. ჭურჭერა O. იუდაჲსი O. და იერუსალჱმისაჲ ბაბილონდ] — O.

15. მწინაჲსწარმეტყუელებნი G (უქარაგმოა), მწინაჲსწარმეტყუელებანი W. 16. თქუენ და] თქნ´და W. თქვა W. სიტყვათა W. სიტყვა W. 18. სიტყვა W. თქვა W. ბაბილონად W. ძალთა GW. ნეშტთა] — G, სიტყვები: რომელნი არა მიუღო... ჭუ´ლთა" ჩამატებულია G-ში. თ´ჲ G. იერუსალიმისა W (უქარაგმოა). ბაბილოვნად GW. G-ში ჩამატებულია.

J

19. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ სუეტთათჳს და ზღჳსათჳს და მექონოთთათჳს და ნეშტთა ზედა ჭურჭელთა, რომელ დაშთომილ არიან ქალაქსა ამას შინა.

20. რომელ არა წარიღო ნაბუქოდონორ მეფემან ბაბილოვნისამან, რაჟამს წარტ[ყ]უენა იექონია და იოაკიმ, მეფენი იუდაჲსნი იერუსალჱმით ბაბილონდ და ყოველნი აზნაურნი იუდაჲსნი და იერუსალჱმი.

21. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ, ჭურჭელსა ზედა, რომელ დაშთომილ არს სახლსა შინა უფლისასა და სახლსა შინა მეფისა იუდაჲსსა და იერუსალჱმს შინა.

22 ბაბილონდ წარიღონ, და მუნ იყოს ვიდრე დღედმდე მოძიებისა მათისა. ესრე იტყჳს უფალი, და აღმოვიღო იგი და მო[ვ]აქციო იგი ამასვე ადგილსა.

G

19. რამეთუ ესრეთ იტყჳს უფალი ძალთაჲ სუეტთათჳს და ზღჳსათჳს და მექონოთათჳს და ნეშტთა ზედა ჭურჭელთა, რომელნი დაშთომილ არიან ქალაქსა ამას შინა.

20. რომელნი არა წარიხუნა ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილონისამან, ოდეს წარტყუენნა იეხონია და იოაკიმ, მეფენი იუდაჲსნი იერუსალიმით* ბაბილონდ და ყოველნი მთავარნი იუდაჲსნი და იერუსალიმი*.

21. რამეთუ ესრეთ იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ,* ჭურჭელთა ზედა, დაშთომილთა სახლსა შინა უფლისასა და სახლსა შინა მეფისა იუდაჲსსა და იერუსალიმს შინა.

22. ბაბილონდ წარიხუნენ, და მუნ იყვნენ ვიდრე დღედმდე მოძიებისა მათისა, ესრეთ იტყჳს უფალი, და [239v] აღმოვიხუნე იგი[ნი] და მოვაქცინე ამას ადგილსა.

28

J

1. და იყო წელსა მას, დასაბა[O:263 v]მსა მეფობასა სედეკიაჲსსა, მეფისა იუდაჲსა, წელსა მეოთხესა, თთუესა მეხუთესა, თქუა ანანია, ძემან აზორისმან, ცრუ-წინასწარმეტყუელმან გაბაონელმან, სახლსა შინა უფლისასა წინაშე თუალთა მღდელთასა და ყოვლისა ერისა და თქუა:

2. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: შევმუსრო უღელი მეფისა ბაბილოვნისაჲ.

G

1. და იქმნა წელსა, დასაბამით მეფე-ყოფასა სედეკია მეფისა იუდაჲსსა, წელსა მეოთხესა, თთუესა შინა მეხუთესა, თქუა ანანია, ძემან აზორისმან, ცრუ-წინაჲსწარმეტყუელმან გაბაონე[ლ]მან, სახლსა შინა უფლისასა წინაშე თუალებსა მღდელთასა და ყოვლისა ერისასა, მეტყუელმან.

2. ესრეთ თქუა უფალმან ღმერთმან ისრაილისმან: შევმუსრე უღელი მეფისა ბაბილონისაჲ.

---

19. ზღჳსათჳს] ზღუდისათჳს J. რომელნი O. 20. რომელი O. ბაბილონისამან O. წარტყუენა J იოვაკიმ O. მეფენი იუდაჲსნი J მეფჱ იუდაჲსი O. 21. ჭურჭელსსა J, ჭურჭერსა O. რომელი O. შინა (1)] — O. 22. მოაქციო J.

28.1. თთუესა მეხუთესა] მეხუთესა თთუესა O. აზორისმან] აზარიაჲსმან O გაბაჰონელმან O. 2. „ისრაჱლისაჲ"-ს J-ში. მოსდევს მე-3 მუხლის სიტყვები: „შემდგომად ორისა წლისა". ჩვენ ეს სიტყვები თავის ადგილას ჩავსვით. ბაბილონისაჲ O.

20. ბაბილოვანისამან W. იექონია W. *უქარაგმოა (1,2) W-ში. ბაბილონად W. 21. ძალთა W. უქარაგმოა W-ში. 22. ბაბილონად W იესრეთ W. იგი GW.

28.1. დამმუხლველს „დასაბამით" დაუწერია „მეოთხე"-ს ნაცვლად. „მეოთხესა", როგორც პირველ აწერი, მაინც იკითხება. „წელსა მეოთხესა" ჩამატებულია G-ში. გაბაონემან GW. 2. თქვა W. „ღმერთმან ისრაილისმან" ჩამატებულია G-ში.

J

3. შემდგომად ორისა წლისა მოვაქციო ამას ადგილსა ყოველი ჭურჭელი სახლისა უფლისაჲ, რომელ წარიღო ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილოვნისამან ამის ადგილისაგან და შეიღო იგი ბაბილონდ.

4. და იექონია, ძჱ იოაკიმისი, მეფჱ იუდაჲსაჲ და ყოველი ტყუჱ იუდაჲსაჲ, რომელნი მივიდეს ბაბილონდ, მე მოვაქციო ამასვე ადგილსა, [თქუა] უფალმან ეგრე, და ნატყუენავი იუდაჲსი, რამეთუ შევმუსრო უღელი მეფისა ბაბილოვნისაჲ.

5. და ჰრქუა იერემია წინაწარმეტყუელმან ანანიას ცრუ-წინაწარმეტყუელსა წინაშე თუალთა მღდელთასა და წინაშე თუალთა ყოვლისა ერისათა, რომელ დგეს სახლსა შინა უფლისასა.

6. და თქუა იერემია წინაწარმეტყუელმან: ჭეშმარიტად ეგრე ყავნ უფალმან და დაამტკიცენ უფალმან სიტყუაჲ ეგე შენი, რომელსა შენ ჰწინაწარმეტყუელებ მიქცევად ჭურჭერი მისი სახლისა უფლისა [ფ. 255] და ყოვლისა ნატყუენავისაჲ ბაბილონით ამასვე ადგილსა.

7. ხოლო ისმინეთ სიტყუაჲ ესე, რომელსა მე ვიტყჳ ყურთა შენთა და ყურთა ყოვლისა ერისათა:

8. წინაწარმეტყუელნი, რომელნი იყვნეს პირველად ჩემსა და პირველად თქუენსა საუკუნითგან, და წინაწარმეტყუელებდეს ქუეყანა[O: 264r]თა ზედა მრავალთა და მეუფებათა ზედა დიდთა ბრძოლად და ბოროტის-ყოფად და სიკუდილად.

G

3. შემდგომად ორისა წლისა დღეთა და მოვაქციო მე ადგილსა ამას ყოველი ჭურჭლები სახლისა უფლისაჲ, რომელ წარიღო ნაბუხოდონოსორ მეფემან ბაბილონისამან ამის ადგილისაგან და შეიღო იგი ბაბილონდ.

4. და იექონია, ძე იოაკიმისი, მეფისა იუდაჲსი, და ყოველი გასახლებაჲ იუდაჲსი, რომელნი მივიდეს ბაბილონდ, მე მოვაქციო ამასვე ადგილსა, [თქუა] უფალმან ეგრე, და იექონია და ნატყუენავი იუდაჲსი, რამეთუ შევმუსრო უღელი მეფისა ბაბილონისაჲ.

5. და თქუა იერემია ანანაჲს მიმართ ცრუ-წინაჲსწარმეტყუელისა წინაშე თუალებსა მღდელთასა და ყოვლისა ერისა, მდგომარეთასა სახლსა შინა უფლისასა.

6. და თქუა იერემია წინაჲსწარმეტყუელმან: ჭეშმარიტად ეგრეთ ყავნ უფალმან, დაამტკიცენ უფალმან სიტყუაჲ შენი, რომელსა შენ წინაჲსწარმეტყუელებ მოქცევად ჭურჭელთა სახლისა უფლისათა და ყოვლისა განსახლებისათა ბაბილონით ადგილისა ამის მომართ.

7. თჳნიერ ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელსა ვიტყჳ მე ყურთა მომართ თქუენთა და ყურთა მომართ ყოვლისა ერისათა.

8. წინაჲსწარმეტყუელნი, ქმნილნი უწინარეს ჩემსა, და უწინარესნი თქუენსა საუკუნითგან, და წინაჲსწარმეტყუელებდეს ქუეყანასა ზედა მრავალსა და მეფობათა ზედა დიდთა ბრძოლისათჳს და ძჳრთა და სიკუდილისა.

---

3. წლისა J + დღეთა და O, წლისა] + და J. მოვაქციო] + მე O. რომელი წარიღოს O. ბაბილონისამან O. ამის ადგილისაგან] — O 4. იოვაკიმისი O. მეფისა იუდაჲსი O. ტყუე იუდაჲსი O. თქუა] — JO ეგრე] + და იექონია O. ბაბილონისაჲ O. 5. მღდელთა O. ერისსა (?)J. რომელნი O. 6. სწინაწარმეტყუელებ O ჭურჭრისა მის სახლისა უფლებისაჲ O. ნატყუენავისა O. ბაბილონით] — O 7. მე] — O. 8. იყვნეს] იტყოდეს O. საუკუნით O. და (2)]—O ქუეყანასა O. და (3)] — O. მეუფებათა] მეფეთა O. დიდთა] დიდ-დიდთა O

3. „ჭურჭლები" ჩამატებულია G-ში. ნაბუქოდონოსორ W. ბაბილონად W. 4. გასახლება W ბაბილონად W. თქუა] — GW. 5. თუალებისაჲ W. 6. სიტყვა W. 7. სიტყვა W. 8. სიკვდილისა W.

J

9. და წინაწარმეტყუელი იგი, რომელ წინაწარმეტყუელებდა მშჳდობად, მოსლვასა სიტყჳსა მის წინაწარმეტყუელისასა საცნაურ იყოს წინაწარმეტყუელი იგი, რომელი მოუვლინა მათ უფალმან სარწმუნოდ.

10. და მოიხუნა ანანია ცრუ-წინაწარმეტყუელმან წინაშე თუალთა ყოვლისა ერისათა საჴივნი იგი ქედისაგან იერემიაჲს წინაწარმეტყუელისა და შემუსრნა იგინი.

11. და მიუგო ანანია წინაშე თუალთა ყოვლისა ერისათა და ჰრქუა: ესრე თქუა უფალმან: ესრე შევმუსრო უღელი ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისა შემდგომად ორისა წლისა დღეთა ქედისაგან ყოველთა ნათესავთა.

12. და წარვიდა იერემია წინაწარმეტყუელი გზად თჳსა. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲსა მიმართ შემუსრვისა შემდგომად საჴივთა ანანია ცრუ-წინაწარმეტყუელისა მიერ ქედისაგან მისისა და თქუა:

13. მივედ [და] ეტყოდე ანანიას და არქუ: ესრეთ თქუა უფალმან. საჴივნი ძელისანი დაჰმუსრენ, და ვქმნნე მათ წილ რკინისა საჴივნი.

14. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: უღელი რკინისაჲ დამიც ქედსა ზედა ყოველთა ნათესავთასა, რაჲთა უქმოდიან ნაბუქოდონოსორ მეფესა ბაბილონისასა და ჰმონონ მას, და მჴეცნიცა ველისანი მიმიცემიან მას.

G

9. წინაჲსწარმეტყუელნი, რომელი წინაჲსწარმეტყუელებდა მშჳდობად, მოსლვასა სიტყჳსასა იცნობებოდა წინაჲსწარმეტყუელი, რომელი მოავლინა მათდა უფალმან სარწმუნოდ.

10. და მოიხუნა ანანია წინაშე თუალებსა ყოვლისა ერისასა საჴივნი ქედისაგან იერემია წინაჲსწარმეტყუელისა და შემუსრნა იგინი.

11. და თქუა ანანია წინაშე თუალთა ყოვლისა ერისათა, მეტყუელმან: ესრეთ თქუა უფალმან ესრეთ შევმუსრო უღელი ნაბუქოდონორ მეფისა ბაბილონელისანი დღეთა შინა ორთა წელიწადთასა [239 v-ს ბოლო] ქედისაგან ყოველთა ნათესავთაჲსა.

12. და წარვიდა იერემია წინაჲსწარმეტყუელი გზასა თჳსსა. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲსა მიმართ შემდგომად შემუსრვისა ანანია ცრუ-წინაჲსწარმეტყუელისა საჴივთაჲსა ქედისაგან მისისა, მეტყუელი.

13. ვიდოდე და თქუ ანანაჲს მიმართ, მეტყუელმან: ესრეთ თქუა უფალმან, საჴივნი შეშისანი დაჰმუსრენ, და ვქმნნე მათ წილ საჴივნი რკინისანი.

14. რამეთუ ესრეთ თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაილისამან: უღელი რკინისაჲ დავსდევ ქედსა ზედა ყოველთა ნათესავთასა, რაჲთა უქმოდინ ნაბუქოდონოსორს მეფესა ბაბილოვნისასა და მონებდენ მას, და მჴეცნიცა ველისანი მი-ვე-ვსცენ მას.

---

9. და] — O. რომელ] რომელი O. სიტყჳსასა O. 10. იერემია O. 11. ჰრქუა] თქუა O. ბაბილონისაჲ O. ყოველთა ნათესავთა] ყოვლისა ერისა O. 12. წინაწარმეტყუელი] — O. გზასა თჳსსა O შემუსრვისა შემდგომად საჴივთა ანანია ცრუ-წინაწარმეტყუელისა მიერ ქედისაგან მისისა] შემდგომად შემუსრვისა ანანია ცრუ-წინაწარმეტყუელისა საჴივთა მათ ქედისაგან მისისა O. 13. და (1)] — O. ესრე O. ვქმნნე] + მე O. რკინისანი O. 14. „დამიც"-ის წინა ასო წაშლილია, არ იკითხება J-ში; დამიც]მივეც O. ზედა] — O. რაჲთა|რამეთუ J. „ნაბუქოდონოსორ"-ის მეორე ნარი ჩამატებულია J-ში. ნაბუქოდონოსორს O. მეფჱსა O.

10. თვალებსა W. 11. თვალთა W. „ნაბუქოდონოსორ" ჩამატებულია G-ში. ბაბილონელისნი G, „ლისნი" ჩამატებულია. 12. ანანია, W.

J

15. და ჰრქუა იერემია წინაწარმე-ტყუელმან ანანიას ცრუ-წინაწარმეტყუ-ელსა: ისმინე, ანანია, არა მოგავლინა შენ უფალმან, და შენ მოსავ ჰყავ ერი ესე სიცრუვესა ზედა.

16. ამისთჳს ესრე თქუა უფალმან: აჰა ესერა [O:264 v] მე გავლინებ შენ პირისაგან ქუეყანისაჲსა; ამას წელსა მოჰკუდე, რამეთუ განდრეკასა იტყოდე უფლისა მიმართ.

17. და მოკუდა ანანია ცრუ-წინა-წარმეტყუელი მას წელსა, თთუესა მეშჳდესა.

G

15 და ჰრქუა იერემია წინაჲსწარ-მეტყუელმან ანანიას ცრუ-წინაჲსწარ-მეტყუელსა: ისმინე, ანანია, არა მო-გავლინა შენ უფალმან და შენ მოსავ-ჰყავ ერი ესე ცრუთა ზედა.

16. ამისთჳს ესრეთ თქუა უფალმან: აჰა მე განგავლენ შენ პირისაგან ქუე-ყანისა თჳთ ამას საუკუნესა მოსიკუ-დიდ, რამეთუ განდრეკაჲ სთქუ უფლი-სა მიმართ.

17. და მოკუდა ანანია ცრუ-წინაჲს-წარმეტყუელი მას წელიწადსა შინა, თთუესა მეშჳდესა.

29

J

1. და ესე სიტყუანი მის წიგნისანი, რომელ მიუძლუანა [Ier. 11. I. ფ.25] იერემია წინაწარმეტყუელმან იერუსა-ლჱმით მოხუცებულთა წარტყუენულ-თა და მღდელთა [და] ცრუ-წინაწარმე-ტყუელთა და ყოვლისა მიმართ ერისა, წიგნი ბაბილოვნდ წარტყუენულთა მი-მართ და ყოვლისა მიმართ ერისა, რო-მელ წარტყუენა ნაბუქოდონოსორ იე-რუსალჱმით ბაბილოვნდ

2. შემდგომად გამოსლვისა იექონია მეფისა და დედოფლისა და საჭურის-თასა და მთავართა იუდაჲსთა იერუ-სალჱმით და ყოვლისა აზნაურისა და ჴელოვნისა და პყრობილთასა იერუ-სალჱმით.

3. ჴელითა ელიაჲსითა, საფანის ძი-საჲთა და გამარიაჲსითა, ძისა ქელკიაჲ-სა, რომელ წარავლინნა სედეკია მეფე-მან იუდაჲსმან ნაბუქოდონოსორისა, მე-ფისა ბაბილონისა, ბაბილონდ და ჰრქუა:

4. ესრე თქუა უფალმან ძალთამან,

G

1 და ესე სიტყუანი, რომელნი წარ-გზავნნა იერემია წინაჲსწარმეტყუელმან იერუსალიმით მოხუცებულთა მიმართ განსახლებისათა და მღდელთა მიმართ და ცრუ-წინაჲსწარმეტყუელთა და ყოვ-ლისა მიმართ ერისა, ეპისტოლე ბაბი-ლონდ მიმართ განსახლებისა და ყოვ-ლისა მიმართ ერისა, რომელნი განსახ-ლნა ნაბუქოდონოსორ იერუსალიმით ბა-ბილონდ.

2. შემდგომად გამოსლვისა იექონია მეფისა და მეფიაჲსა და საჭურისთა და მთავართა იუდაჲსთა იერუსალიმით და ყოვლისა აზნაურისა და ჴელოვნისა და პყრობილისა იერუსალიმით.

3. ჴელითა ელეასან, ძისა საფანისი-თა, და გამპრია, ძისა ქელკიაჲსითა, რო-მელნი წარავლინნა სედეკია მეფემან იუდაჲსმან მეფისა მიმართ ბაბილონისა ბაბილონდ მეტყუელმან.

4. ესრეთ თქუა უფალმან ძალთამან,

---

15. ანანია O. სიცრუესა O. 16. განგავლინებ O. ქუეყანისაჲსა] + და O. 17. ცრუ-წინაწარ-მეტყუელი] წინაწარმეტყუელი O.

29. 1. რომელნი მიუძლუანნა O. იჱლჱმთ J. წარტყუენულთასა O, და (2)] — O. და (3) — J ბაბილონდ O. რომელ (2)] რომელნი O. წარტყუენნა O. ნაბუქოდონოსორ] + მეფემან O. ბა-ბილონდ O. 2. მეფისასა O. დედოფლისასა O. ჴელოვანთა O. 3. ელასაჲსითა O. საფანის] და საფანის O. ქელკიაჲსა] ქერიაჲსითა O. ნაბუქოდონოსორ O 4. რომელ წარტყუენა] — O.

15. ცრუ წინასწარმეტყუ˜ლსა W. 16. მოსიკუდიდ W. უფლისა]˜ოჲ W 17. მოკუდა W. ბაბილონად (1,2) W.

29. 2. მეფიაჲს W. 3. ქელკაჲსითა W. ბაბილონად W. 4. თქვა W. ბაბილონდ W.

J

ღმერთმან ისრაჱლისმან, წარტყუენულ-
თა ზედა, რომელ წარტყუენა იერუსა-
ლჱმით ბაბილონდ.

5. იშენეთ სახლები და დაეშენენით,
დაასხთ სამოთხეები და ჭამეთ ნაყოფი
მათი.

6. ისუთ ცოლებ და ისხთ შვილებ,
ძეებ და ასულებ, უსხენით ძეთა თქუ-
ენთა ცოლ და ასულნი თქუენნი მის-
ცენით ქმართა და შვედ ძეებ და ასუ-
ლებ და განმრავლდით და [O : 265 r]
ნუ შეჰმცირდებით,

7. და ცხომდებოდეთ მშჳდობად მის
ქუეყანისა, რომელსა მიგავლინენ თქუენ
მუნ, და ილოცევდით მათთჳს უფლისა
მიმართ, რამეთუ მშჳდობასა შინა მათ-
სა თქუენთჳსცა იყოს მშჳდობა.

8. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი ძა-
ლთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: ნუ აღგაც-
თუნებედ თქუენ ცრუ-წინაწარმეტყუ-
ელნი თქუენნი, რომელ არიან თქუენ
შორის, და ნუ აღგაცთუნებედ თქუენ
მისანნი თქუენნი, და ნუ ისმენთ სიზ-
მართა თქუენთა, რომელ გეზმანებიან
თქუენ,

9 რამეთუ ცრუსა გიწინაწარმეტ-
ყუელებენ თქუენ იგინი სახელითა ჩე-
მითა, არა მივავლინენ [იგინი], თქუა
უფალმან.

10. რამეთუ ესრე თქუა უფალმან:
რაჟამს აღასრულებდეთ ბაბილონს სა-
მეოც და ათსა წელსა, მოგიძინე თქუენ
და დავამტკიცნე თქუენ ზედა სიტყუა-
ნი ჩემნი კეთილნი მოქცევად თქუენდა
ამას ადგილსა

11. რამეთუ მე უწყი ზრახვაჲ, რა-
მეთუ მე ვარ და ვზრახო თქუენ ზედა

G

ღმერთმან ისრაილისამან, განსახლებასა
ზედა, რომელი განისახლა იერუსალი-
მით ბაბილონდ.

5. იშენეთ სახლები და დაემკჳდრე-
ნით და დაჰნერგეთ სამოთხები და ჭა-
მენით ნაყოფნი მათნი.

6. და მიიყვანენით ცოლნი და შვილ
ისხენით, ძენი და ასულნი, და მიიყვა-
ნენით ძეთა თქუენთად ცოლნი. და ასუ-
ლნი თქუენნი მისცენით ქმართა, და
შვნენ ძენი და ასულნი, და განმრავლ-
დით მუნ და ნუ შეჰმცირდებით.

7 და იძიეთ მშჳდობად ქუეყანისა.
რომლისა მიმართ განგასახლენ თქუენ
მუნ, და ილოცევდით მის ძლით უფ-
ლისა მიმართ, რამეთუ მშჳდობასა მის-
სა შინა იყოს მშჳდობა თქუენი.

8. რამეთუ ესრეთ თქუა უფალმან
ღმერთმან ისრაილისმან: ნუ აღგარწმუ-
ნებენ თქუენ ცრუ-წინაჲსწარმეტყუელ-
ნი თქუენი, შორისნი თქუენსა, და ნუ
აღგარწმუნებედ თქუენ მისანნი თქუენ-
ნი, და ნუ ისმე[ნ]თ ძილის-შორისთა
თქუენთასა, რომელთა იძილის-შორი-
სებთ თქუენ.

9. რამეთუ ცრუთა გიწინაჲსწარმეტ-
ყუელებენ თქუენ იგინი სახელითა ჩე-
მითა, არ მივავლინენ იგინი, თქუა უფა-
ლმან.

10. რამეთუ ესრეთ თქუა უფალმან:
ოდეს ეგულების სრულ ყოფაჲ ბაბი-
ლონს სამეოც და ათსა წელსა, ზედმო-
ვიხილო თქუენდა და დავადგინნე
თქუენ ზედა სიტყუანი ჩემნი კეთილნი
მოქცევად თქუენდა ადგილისა ამის მი-
მართ.

11. რამეთუ მე უწყი გულის-სიტ-
ყუაჲ, რამეთუ მე ვარ და ვსიტყუავ

---

5. იშჱნეთ O. იშჱნენით] + და O. 6. ისუთ] და ისუთ O. უსხნეთ O ცოლ]ცოლებ O. შვენ O. განმრავლდით] + მუნ O. 7. ცხონდებოდეთ O. ~ მათსა მშჳდობასა შინა O. ~ მშჳდობა იყოს O 8. აღგაცთუნებენ (1). O. გაცთუნებედ (2) O. ~ თქუენ გეზმანებიან O. 9. ~ იგინი გიწინაწარ-მეტყუელებენ თქუენ O. ჩემითა] + და O. იგინი] იგი J. 10. ამას] + ვე O. 11. ~ თქუა უფალმან ზრახვაჲ მშჳდობისაჲ O. და (2)] — O.

6. შვლ W. ცოლნი (2)] ცოლებნი W. შუნენ W. 7. ო˝ჲ W. მშჳდობა W. 8. ისმენთ W. 9. გიწინასწარმეტყუელებენ W (უქარაგმოა). 10. ზედ მოვიხილოთ W. სიტყვანი W 11. გულის სიტყვა W. სასოება W.

J

ზრახვაჲ მშჳდობისაჲ, თქუა უფალმან,
და არა ძჳრი მოცემად თქუენდა დიდ-
დიდი ესე და სასოებაჲ.

12. და მხადოდით მე და მპოოთ, და
ილოცევდით ჩემდამო, და მე ვისმინო
თქუენი.
13. მეძიებდით მე და მპოოთ, რაჟამს
მეძიებდეთ მე ყოვლითა გულითა თქუ-
ენითა,
14. და გამოგეცხადო თქუენ, თქუა
უფლმან, და მოვაქციო ტყუჱ თქუენი
და შეგკრიბნე თქუენ ყოველთაგან წარ-
მართთა და ყოველთაგან ადგილთა, სა-
დაცა განგაბნიენ თქუენ, თქუა უფალ-
მან, და მოგაქცინნე თქუენ ადგილსა
ამას, [O : 265 v] წარგტყუენენ თქუენ
მიერ.
15. და სთქუთ: დაადგინა უფალმან
ჩუენ ზედა წინაწარმეტყუელი ბაბი-
ლონს შინა.
16. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი მე-
ფისა მიმართ, რომელი ზის საყდართა
ზედა დავითისთა, და ყოველსა ერსა
მკჳდრთა ამის ქუეყანისათა ძმათა თქუ-
ენთა, არა განსრულთა თქუენ თანა
ტყუედ.
17. ესრეთ იტყჳს უფალი ძალთაჲ:
ესერა მივავლინებ მე მათა მახჳლსა და
სიყმილსა და სიკუდილსა, და იყვნენ
იგინი ვითარცა ლეღუნი სუარიმისანი,
რომელი ვერ იჭამოს სიჯერკულისაგან.

18. და გამოვდევნნე იგინი მახჳლითა
და სიყმილითა და საკუდილითა და მივ-
სცნე იგინი სარყეველად ყოველთა მე-
ფეთა ქუეყანისათა და საფიცებელად

G

თქუენ ზედა, თქუა უფალმან გულის-
სიტყუასა მშჳდობისასა და არა ძჳრთა
მიცემად თქუენდა ამათ სასოებაჲ კეთი-
ლი.
12. მხადოდით მე და ხჳდოდით, და
ილოცეთ ჩემდამო, და ვისმინო თქუენი.
13. და გამომიძიეთ მე და გეპოვო
თქუენ, რაჟამს მიძიოთ მე ყოვლითა
გულითა თქუენითა.
14. გამოგეცხადო თქუენ, თქუა უფა-
ლმან, და მოვაქციო ტყუეობაჲ თქუენი
და შეგკრიბნე თქუენ ყოველთაგან წარ-
მართთა და ყოველთაგან ადგილთა, სა-
და განგთესენ თქუენ მუნ, თქუა უფალ-
მან, და მოგაქცინე თქუენ ადგიდ, ვი-
ნაჲ განგასახლენ თქუენ მიერ, თქუა
უფალმან, და მოგაქცინე თქუენ ად-
გილსა ამას, ვინაჲ-იგი წარგტყუენენ
თქუენ.
15. რამეთუ სთქუთ: დამიდგინნა
ჩუენ წინაჲსწარმეტყუელნი ბაბილონს.
16. რამეთუ ამათ იტყჳს უფალი მე-
ფისა მიმართ, მჯდომარისა საყდარსა ზე-
და დავითისსა, და ყოველსა ზედა ერ-
სა, დამკჳდრებულსა ქალაქსა ამას შინა
ძმათა თქუენთა, არა განსრულთა თქუენ
თანა განსახლებასა შინა.
17. ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ,
ღმერთი ისრაილისაჲ: აჰა მე განვავლენ
მათდამი მახჳლსა და სიყმილსა და სი-
კუდილსა და მივსცე მათ, ვითარცა ლე-
ღუნი სუარი მისნი, რომელნი არა იჭამ-
ნენ სიჯერკულისაგან.
18. და დევნა-ვყო უკუანა მათსა
მახჳლითა და სიყმილითა და სიკუდი-
ლითა და მივსცნე იგინი სარყეველად
ყოველთა მეფობათა ქუეყანისათა და

---

12. მპოოთ] + მე და ჰპოოთ და ხჳდოდით O. 13. მეძიებდეთ O. მპოოთ] მე გეპოო თქუენ O. 14. ტყუე O. შეგრიბნე O. მოგაქცინე O. წარგტყუენენ თქუენ] წარიტყუენენით O. 16. უფალი მეფისა] უფლისა O. ყოვლისა ერისა] + და O. ამის ქუეყანისათა] ზედა მისთა ქუეყანისასა O. 17. ესრე O. ~ მე მივავლინებ, იყვნენ] ვყვნი O. სოარემისანი O სიჯერკულისაგან O. 18. იგინი] შემდგომად მათსა O. სარყეველად] საყუდრელად J. მეფეთა] მეუფჱბათა O. საფიცებელად] + ყოველთა O. განვაბნინენ O. მუნ] + J.

14. ტყუჱობა W. ვინა იგი W. წარგტყუჱნე W. 16. და ვითისა W 17. სიჯორკულისაგან. W. 18. უკანა W.

J

და განსარყუნელად და სასტკნველად და საყუედრელად ყოველთა შორის წარმართთა, სადა-იგი განვაბნინე [მუნ].

19. ამისთჳს, რამეთუ არა ისმინეს სიტყუათა ჩემთაჲ, თქუა უფალმან, რამეთუ მივავლინენ მათა მონანი ჩემნი, წინაწარმეტყუელნი, ალვიმსთობდი და მივავლინებდ, და არა ე[ს]მა, თქუა უფალმან.

20. და თქუენ, ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, ყოველთა წარტყუენულთა, რომელ განვავლინენ იერუსალჱმით ბაბილონდ.

21. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ აქიაბის ზედა, ძისა კოლაჲსისა, და სედეკიაჲს ზედა, ძისა მანასესა, რომელ-იგი წინაწარმეტყუელებენ სახელად ჩემდა ცრუსა: აჰა ესერა მე მივსცნე ჴელთა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისათა [ფ. 27], და მოწყჳდნეს იგინი წინაშე თუალთა თქუენთა.

22. და აღიღონ მათ ზედა წყევაჲ ყოველთა შორის [O : 266 r] წარტყუენულთა ბაბილონს შინა და თქუან: გყავნ შენ უფალმან, ვითარცა სედეკიას უყო და ვითარცა აქიაბს, რომელნი-იგი შეწუნა მეფემან ბაბილონისამან ცეცხლითა.

23. რამეთუ ქმნეს უშჯულოებაჲ შორის ისრაჱლისა და იმრუშებდეს იგინი ცოლთა თანა მოქალაქეთასა და სიტყუას უთხრობდეს სახელითა ჩემითა ცრუსა, რომელ არა უბრძანე მათ; და

G

საფიცრად და განსაქარვებელად და სასტკნველად და საყუედრელად ყოველთა წარმართთა, სადა განვთესენ იგინი მუნ.

19. მის წილად, რამეთუ არა ისმინეს სიტყუაჲ ჩემი, იტყჳს უფალი, მე განვავლინნე მათდა მონანი ჩემნი, წინაჲსწარმეტყუელნი, ალმმსთობმან და მიმავლენელმან, და არა ისმინეს, თქუა უფალმან.

20. და თქუენ, ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, ყოველმან განსახლვამან, რომელი განვავლინე იერუსლიმით ბაბილონდ, (15) რამეთუ სთქუთ: დაადგინნა უფალმან ჩუენ ზედა წინაჲსწარმეტყუელნი ბაბილონს შინა.

21. ესრეთ თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაილისამან აქიაბის ზედა, ძის კოლაჲსისა, და სედეკიაჲს ზედა, ძისა მაასიასა, რომელნი გაწინაჲსწარმეტყუელებენ თქუენ სახელითა ჩემითა უსამართლოდ: აჰა მე მივსცემ მათ ჴელთა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისათა, და მოწყჳდნეს იგინი წინაშე თუალთა თქუენთა.

22. და აღიღონ მათ ზედა წყევაჲ ყოველსა შორის განსახლებულობასა იუდაჲსსა ბაბილონს შინა, მეტყუელთა: გიყავნ შენ უფალმან, ვითარცა უყო სედეკიას და ვითარცა აქიაბს, რომელნი განტაფნა მეფემან ბაბილოვნისამან ცეცხლისა მიერ.

23. ძლით უსჯულოებისა, რომელ ქმნეს იერუსალიმს შინა და იმრუშებდეს ცოლებსა მოქლაქეთა მათთასა და სიტყუაჲ გამოიცხადეს სახელითა ჩემითა ცრუჲ, რომელი არა უბრძანე მათ;

---

19. ალვიმსთობდ O. ესმა] ემა J. 20. რომელ განვავლინენ] რომელნი განვავლინნა O. 21. ესრჱ O. ისრაჱლისაჲ O. აქაბის O. კოლაჲსისა] ოზიაჲსსა] O (მცდ.) კოლაჲსისა „ში“ ჲ ჩამატებულია. სედეკიაის] ეზეკიაჲ. მანასჱსა O. რომელნი — იგი O. სახელად ჩემდა] სახელითა ჩემითა O. მივსცემ O. ნაბუქოდონოსორისთა] O. ბაბილონისათა O. 22. ალვილო O. წარტყუენულთა] წარმტყუენველთა + იუდაჲსთა O, თქან J, ანი ჩამატებულია. გყავნ შენ უფალმან] გიყავნ უფალმან შენ O. რომელნი — იგი] რომელნი O. 23. ჱ῀ლსა O. იგინი]. — O. მოქალაქეთასა] მოქალაქეთა + თჳსთასა O. მოწამჱ O.

19. მისწილად W. სიტყვა W. 20. სიტყ῀ვა W. ბაბილონად W. ჩვენ W. 21. აქიაიმის W. კოლაჲსისა W. გიწინაწარმეტყუელებენ W (უქარაგმოა) მოსწყჳდნეს W. 22. აქიამს W.

J

მე იგი ვარ მეცნიერი და მოწამე, იტყჳს
უფალი.
24. და სამეას ელამიტელსა არქუ.

25. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ:
ღმერთი ისრაჱლისაჲ, რამეთუ შენ მიუ-
ძღუანე სახელითა ჩემითა წიგნი ყო-
ველსა ერსა იერუსალჱმდ, არა მიგავ-
ლინე შენ სახელითა ჩემითა, და სო-
ფონიას, ძესა მანასჱსა, და ყოველთა
მღდელთა ჰრქუა:

26. უფალმან დაგადგინა შენ მღდე-
ლად იუდაჲს წილ მღდელისა და გყო
შენ ზედა-მდგომელ სახლსა შინა უფ-
ლისას ყოვლისა კაცისა წინაწარმეტ-
ყუელისათჳს და ყოვლისა კაცისა მცბი-
ერისათჳს, რაჲთა მისცნეთ იგინი საპყ-
რობილესა სინოქისსა და მღვმესა.
27. და აწ რად არა შეჰრისხნეთ იე-
რემიას ანათოთელსა, რომელი გიწინა-
წარმეტყუელებდა თქუენ?
28. რამეთუ მოავლინა თქუენდა ბა-
ბილონდ და გრქუა: შორსღა არს, იშე-
ნეთ სახლი და დაეშენენით, დაჰნერგეთ
სამოთხეები და ჭამეთ ნაყოფი მათი.

29. და აღმოუკითხა სოფონია მღდე-
ლმან წიგნი ესე ყურთა იერემიაჲს წი-
ნაწარმეტყუელისათა.
30. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იე-
რემიაჲსა მიმართ და ჰრქუა.
31. მიავლინე ყოველთა მიმართ წარ-
ტყუ [O : 266 v]ენულთა და არქუ:
ესრე თქუა უფალმან სამეაჲსთჳს ელა-

G

და მე ვარ მცნობელი და მოწამე, იტყჳს
უფალი.
24. და სამეაჲს მიმართ ელამიტე-
ლისა სთქუა.
25. ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ:
ღმერთი ისრაილისაჲ: მის წილ რამეთუ
შენ წარსცენ სახელითა ჩემითა წიგნნი
ყოვლისა მიმართ ერისა იერუსალიმს
შინასა, არ მიგავლინებენ სახელითა ჩე-
მითა და სოფონიაჲს მიმართ, ძისა მასე-
სსა მღდელსა, და ყოველთა მღდელთა,
მეტყუელმან:
26. უფალმან მიგცა შენ მღდლად
იოდაეს წილ მღდელისა ყოფად შენ
ზედა-მდგომელად სახლსა შორის უფ-
ლისასა ყოვლისა კაცისა მწინაჲსწარ-
მეტყუელებისა და ყოვლისა კაცისა
მცბიერისა, რაჲთა მისცე იგი შესაწყუ-
დეველად სინოხს და კატარრაკტსა მას.
27. და აწ რად არა შეჰრისხენით იე-
რემიას ანათოთელსა, მწინაჲსწარმეტყუ-
ელებსა თქუენსა?
28. რამეთუ მოავლინა ჩუენდა ბა-
ბილონდ მიმართ, მეტყუელმან: შორსღა
არს ჟამი, იშენეთ სახლები და დაემკ-
ჳდრენით, დაჰნერგეთ სამოთხები და ჭა-
მეთ ნაყოფი მათი.
29 და აღმოიკითხა სოფონია მღდე-
ლმან წიგნი ესე ყურთა მიმართ იერე-
მია წინაჲსწარმეტყუელისათა.
30. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იე-
რემიაჲს მიმართ, მეტყუელი.
31. მიავლინე ყოვლისა მიმართ გან-
სახლვისა, მეტყუელი: ესრეთ იტყჳს უფა-
ლი სამეაჲს ზედა ელამიტელისა, მეტ-

---

24. არქუ] მიუგო და ჰრქუა O. 25. ისრაჱლისაჲ] + და თქუა მისთჳს O. წიგნი] — O ყოველსა ერსა] — O არა] და არა O. სოფონია J. მანასჱსა] მანასესსა მღდელსა O 26. უფალმან] + და O. მისცნე O. სიონქისსა J, სინუქისსა O. 27. შეჰრისხენ O. რომელი + იგი O. გიწინაწარმეტყუელებდა O. უქარაგმოა O-ში. 28. იშჱნეთ O. სახლებ O. დაჱშჱნენით + და O. სამოთხეებ O. 29. იერემია წინაწარმეტყუელისა O. 30. იერემიაჲს O. ჰრქუა] თქუა O. 31. სემიაჲსათჳს O. რამეთუ] რომელი O, სამია O. მოსავ გყუნა] მოსავ გქმნნა O. სიცრუესა O.

25. ძალთა W. ისრაილისა W. 26. შდრ. Ἰωδαέ. მწინასწარმეტყუელებისა W (უქარაგმოა). კატარრა კატსა W. 27. რად არა] რა დარა W. 28. ბაბილონად W. 30. სიტყვა W. 31. მეტყუჱლნი W. სამეას W. მეტყველსა W მოსავ გყუნა W.

J

მიტელისა, რამეთუ გიწინაწარმეტყუელებდა თქუენ სამეა, და მე არა მივავლინე იგი, და მოსავ გყვნა თქუენ სიცრუვესა ზედა,

32. ამისთჳს ესრე თქუა უფალმან: აჰა ესერა მე ძიება-ვყო სამეაჲს ზედა ელმიტელისა და ნათესავისა მისისა ზედა და არა იყოს მისი კაცი მჴდომარჱ შორის თქუენსა ხილვად კეთილისა მის რომელ მე ვყო თქუენთჳს, იტყჳს უფალი, რამეთუ განდრეკასა იტყოდა უფლისათჳს.

G

ყუელსა: ვინაჲთგან გიწინაჲსწარმეტყუელა თქუენ სამეა, და მე არ მოვავლინე იგი, და მოსავ-გყვნა თქუენ ცრუსა ზედა.

32. ამისთჳს ესრეთ თქუა უფალმან: აჰა მე ზედ-მოვიხილო სამეას ზედა ელამიტელსა და ნათესავსა ზედა მისსა, და არა იყოს მისი კაცი მჴდომარე შორის თქუენსა ხილვად კეთილთა, რომელნი მე გიყვნე თქუენ, თქუა უფალმან, რამეთუ განდრეკაჲ თქუა ძჳნად უფლისა.

30

J

1. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემიაჲსა მიმართ უფლისა მიერ, და ჰრქუა:

2. ესრე თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან [ფ. 28] ისრაჱლისამან: დაწერენ შენდად ყოველნივე ესე სიტყუანი წიგნსა ზედა, რომელ გიბრძანენ შენ.

3. რამეთუ ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და მოვაქციო ტყუეჲ ერისა ჩემისა ისრაჱლისაჲ და იუდაჲსი, თქუა უფალმან, და მოვაქცინე იგინი ადგილსა ამას, რომელი მივეც მამათა მათთა, და ეუფლნენ მას.

4. და ესე სიტყუანი, რომელთა იტყოდა უფალი ისრაჱლსა ზედა და იუდასა ზედა.

5. ესრე თქუა უფალმან ძალთამან:

G

1. სიტყუაჲ, ქმნილი უფლისა მიერ იერემიაჲს მიმართ წინაჲსწარმეტყუელისა, მეტყუელი.

2. ესრეთ თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაილისამან, მეტყუელმან: დაწერენ შენდად სიტყუანი ყოველნი, რომელნი გამოვცხადენ შენდამი წიგნსა ზედა.

3. რამეთუ აჰა დღენი მოვლენ, იტყჳს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, და მოვაქციო განსახლვაჲ ერისა ჩემისა ისრაილისა და იუდაჲსი, თქუა უფალმან, და კუალად ვაქცინე იგინი ქუეყანად, რომელი მივეც მამათა მათთა, და ეუფლნენ მას.

4. ესე სიტყუანი, რომელნი თქუნა უფალმან ისრაილსა ზედა და იუდასა.

5. ესრეთ იტყჳს უფალი: ჴმაჲ ში-

---

32. თქუა უფალმან] იტყჳს უფალი O. მისი] მისა O. მჴდომარეჱ J. თქუენსა] ქუეყანასა O. უფლისათჳს] — ლცსჲა O.

30.1. ჰრქუა] თქუა O. 2. ისრაჱლისამან] + და თქუა O. ~ ყოველნი სიტყუანი ესე O. ~ რომელნი გიბრძანენ შენ წიგნსა ზედა O. 3. დღჱნი O. „ტყუეჲ"-ს „ჲ" ქვემოდან არის მიწერილი J-ში. ტყუჱ O ეუფლნეს J. „ლ" ჩამატებულია J-ში. 4. რომელსა J. ზედა (2)] — O. 5. ძალთამან] — O. მშჳდობაჲ O.

32. უფლისა] ო´ჲ W.

30.1. სიტყვა W. უფლისაჲ W მეტყველი W. მეტყველმან W. სიტყვანი W. 4. სიტყვანი W. 5. ცხოვრება W. მშჳდობა W.

J

ჴმაჲ შიშისაჲ გესმეს, საზარელი შიში, და არა არს მშჳდობა.

6. იკითხეთ და იხილეთ, თუ შვა წულ? და შიში, რომლისანი შეპყრობილ იყვნენ ფერცხლნი, განრინებაჲ? რამეთუ ვიხილე ყოველი კაცი და ჴელნი მისნი ფირცხალთა ზედა თჳსთა, ვითარცა შობადისანი, გარდაიქცა ყოველი პირი და დალუკნ იქმნეს.

7. რამეთუ დიდ არს დღე იგი, და არა არს ეგემლევანი, და ჟამი იწროებისაჲ არს და ჭირისაჲ იაკობისი [O : : 267 r], და ამისგანცა გან-ვე-ერეს.

8. მას დღეს შინა, თქუა უფალმან ძალთამან, შევმუსრო უღელი ქედისაგან მათისა, საკრველნი მათნი განვხეთქნე. [და] არღა უქმოდიან იგინი უცხოთა,

9. და უქმოდიან იგინი უფალსა ღმერთსა მათსა, და დავით მეფჱ აღუდგინო მათ.

10. და შენ ნუ გეშინინ მონასა ჩემსა იაკობს, თქუა უფალმან, ნუცა შესძრწუნდები, ისრაჱლ, რამეთუ ესერა განგარინო შენ შორით და ნათესავი შენი ტყუეობისაგან მათისა, მოიქცეს იაკობ და დაეშენოს და განიშუას, და არავინ იყოს მტყუენველ მათა.

11. რამეთუ მე შენ თანა ვარ, იტყჳს უფალი, განრინებად შენდა, რამეთუ ვყო მოკლებაჲ ყოველთა ნათესავთ[აჲ], რომელთა მიმართ განვბნიე შენ, ხოლო შენი არა ვყო მოკლებაჲ და გან-

G

შისაჲ ისმინეთ, ჴმაჲ შიშისა და ვალალებისაჲ, რომელსა ძრწოდენ წელნი თქუენნი, და არა არს ცხოვრებაჲ და მშჳდობაჲ.

6. იკითხეთ და იხილეთ, უკუეთუ შვა წული? და შიშისათჳს, რომლითა შეპყრობილ იყვნენ წელნი და განრინებაჲ. მით რამეთუ ვიხილე ყოველი კაცი და ჴელნი მისნი წელთა ზედა მისთა, ვითარცა შობადისანი, გარდაიქცა პირები და დალუკიან იქმნა.

7. ვაი, რამეთუ დიდ დღე იგი, და არა არს ეგემლევანი, და ჟამი იწროებისაჲ არს და ჭირისა იაკობიასაჲ, და ამისგანცა განერეს.

8. მას დღესა შინა, თქუა უფალმან ძალთამან, შევმუსრო უღელი მისი ქედისაგან შენის და საკრველნი მისნი განვხეთქნე და არა უქმოდინ მერმე იგინი უცხოთა.

9. და უქმოდინ უფალსა ღმერთსა მათსა და დავით მეფე მათი აღუდგინო მათ.

10. ხოლო შენ ნუ გეშინის, ყრმაო ჩემო იაკობ, თქუა უფალმან, ნუ იწიწვი, ისრაილ, აჰა მე გაცხოვნებ შენ შორით და თესლსა შენსა ტყუეობისაგან მათისა; და მოიქცეს იაკობი და დაყუდნეს და იკეთილვნებოს, და არა იყოს შემაშინებელ.

11. რამეთუ შენ თანა მე ვარ, თქუა უფალმან, განრინებად შენდა, რამეთუ ვყო მოკლებაჲ ყოველთა შორის წარმართთა, რომელთა მიმართ განგაბნიე შენ მუნ, გარნა შენ არა გყო მოკლებუ-

6. თუ] უკუეთუ O. რომლისანი] რომელ O. შეპყრობილ იყვნეს O. ფერცხალნი O. განრინებაჲ] განძჳნებად O. ფერცხალთა O. გარდაიქცეს ყოველნი პირნი O. და დალუკნ] დანდალუკ J, და დანდალუკია O. იქმნნეს O. 7. დღჱ O. იგი მილევანი O. 8. დღჱსა O. „უფალმან" ჩამატებულია J. -ში. უღელი] + მათი O. განგავხეთქნე J. და — J. არღარა O. 9. მეფჱ] + მათი O. 10. იაკობსა O. განგანგარინო J. დაეშენოს] დაეყუდოს O. მტყუენველ] მაფრთხობელ O. 11. რამეთუ (2)] და O. ნათესავთ J. მიმართ] მიერ O. განგაბნიე შენ] განვაბნიენ მუნ O. განმართლებით არა განგამართლო] განმრავლებით განგამრავლო O, (მცდ.).

6. უკეთუ W იყუნენ W. განრინება W. 11. მოკლება W.

J

გსწავლო შენ განკითხვით და განმართლებით არა განგამართლო შენ.

12. ესრე იტყჳს უფალი: ძლით არს შემუსრვაჲ ეგე შენი, სალმობიერ არს წყლულებაჲ ეგე შენი.

13. არა არს განმკითხველ საშჯელისა შენისა, სალმობიერად იკურნე, და სარგებელ [არა] არს შენდა.

14. ყოველთა მეგობართა შენთა დაგივიწყეს შენ და არა იკითხო [ნ] შენთჳს, რამეთუ წყლულე[ფ.29]ბითა მტერისაჲთა გწყალ შენ, სწვლაჲ მტკიცეჲ ყოველსა ზედა უშჯულოებასა შენსა, რამეთუ განმრავლდეს ცოდვანი შენნი; გძლეს უშჯულოებათა შენთა.

15. რაჲსა ჰღაღადებ შემუსრვილებასა შენსა ზედა? ძლით არს სალმობაჲ ეგე შენი სიმრავლითა უშჯულოე-[O : 267 v] ბათა შენთაჲთა, რამეთუ გძლეს შენ ცოდვათა შენთა და გიყვეს შენ ესე.

16. ამისთჳს ყოველნი შემჭამელნი შენნი შეიჭამნენ, და ყოველთა მტერთა შენთა ჴორცნი მათნი ყოველნი მოიჭამნენ; სიმრავლითა უშჯულოებათა შენთაჲთა განმრავლდეს [და ცოდვათა შენთა გიყვეს შენ ესე], და ყოველნი მაჭირებელნი შენნი ტყუედ წარვიდენ, და იყვნენ მდევარნი თქუენნი სადევნელ, და ყოველნი წარმტყუენველნი თქუენნი მივსცნე ტყუედ.

17. რამეთუ მოვავლინო კურნებაჲ შენი წყლულებისაგან სალმობიერისა და განგკურნო, იტყჳს უფალი, რამეთუ განბნეულად იწოდე, სიონი, ესე მონადირებული თქუენი არს, რამეთუ არა არს მეძიებელ მისა.

G

ლად და გწუართო შენ მსჯავრითა და განმართლებით არ განგამართლო შენ.

12. რამეთუ ამათ იტყჳს უფალი: იძულებითი არს შემუსრვაჲ შენი, სალმობიერ—წყლულები.

13. არა არს მსჯელი სასჯელისა შენისა, სალმობიერად იკურნე, სარგებელ არა არს შენდა.

14. ყოველთა მიყუართა შენთა დაგივიწყეს შენ, არა გამოიკითხონ შენთჳს, რამეთუ წყლულებითა მტერისაჲთა დაგეც შენ, წურთაჲ მტკიცე ყოველსა ზედა ცრუობასა შენსა, განმრავლდეს ცოდვანი შენნი, განძლიერდეს უშჯულოებანი შენნი.

15. რასა ჰჴმობ შემუსრვასა შენსა ზედა? იძულებით არს ლმობაჲ შენი სიმრავლისათჳს უსჯულოებათა შენთაჲსა, რამეთუ განძლიერდეს რაჲ ცოდვანი შენნი, გიყვნეს შენ ესენი.

16. ამისთჳს ყოველნი შემჭამელნი შენნი შეიჭამნენ, და ყოველთა მტერთა შენთა ყოველი ჴორცი მათი მოიჭამონ. სიმრავლესა ზედა უსამართლოებათა შენთასა განმრავლდეს ცოდვანი შენნი, გიყვნეს შენ ესენი, და ყოველნი მაჭირვებელნი შენნი ტყუეობად მიმართ წარვიდენ, და იყვნენ განმყოფელნი შენნი განსაყოფელ, და ყოველნი წარმტყუენველნი თქუენნი მივსცნე წარსატყუენველად.

17. რამეთუ მოვაწინე კურნებანი შენნი, წყლულისაგან სალმობიერისა განგკურნო შენ, თქუა უფალმან, რამეთუ განთესულად იწოდე, სიონ, ნადირი თქუენი არს, რამეთუ მეძიებელი არა არს მისი.

---

12. ძლით] ძლიერ O. შენი] + და O. 13. არა (2)] — J. 14. დაგივიწყონ O. და] — O. იკითხო J, იკითხეს O მტკიცჱ O. შენნი] + და O. 15. შენ] — O. ცოდვათა] უშჯულოებათა 16. ყოველთა] + მათ O. და ცოდვათა შენთა გიყვეს შენ ესე] — J. და (3)] მაჭირვებელნი და J. მივსცნე ტყუედ] ტყუედ მიეცნენ O. 17. „წყლულებისაგან“ ჩამატებულია J-ში. განგკურნო] + შენ O. იწოდე] + შენ O.

15. ლმობა W. გიყუნეს W.

J

18. ესრე იტყჳს უფალი: აჰა ესერა მე მოვაქციბე ალფხურილნი საყოფელთა იაკობისთანი და ტყუენი მისნი შევიწყალნე, და აღიშენოს ქალაქი სიმაღლესა ზედა მისსა და ტაძარი სიმართლითა მისითა აღემართოს.

19. და გამოვიდენ მათგან მძნობარნი და ჴმაჲ მემღერთაჲ, და განვამრავლნე იგინი [და არა მოაკლდენ, და განვაორინნე იგინი], და არა შემცირდენ.

20. და შევიდენ ძენი მათნი, ვითარცა პირველად, და წამებანი მათნი წინაშე პირსა ჩემსა განემართნენ, და ძიება-ვყო ყოველთა ზედა მაჭირვებელთა მათთა.

21. და იყვნენ უმძლავრესნი მათნი მათ ზედა და მთავარი მათი მათგან გამოვიდეს, და შევკრიბნე იგინი, და მოიქცენ ჩემდა, რამეთუ ვინ არს ესე, რომელმანმცა გული თჳსი მოიქცია ჩემდა იტყჳს უფალი.

22. და იყვნენ [O : 268 r] ჩემდა ერ. და მე ვიყო მათა ღმერთ.

23. რამეთუ რისხვაჲ უფლისაჲ გამოჴდა გულის-წყრომით, გამოჴდა რისხვაჲ მიქცეულად, უღმრთოთა ზედა მივიდეს.

24. არა უკუნ-იქცეს რისხვაჲ გულისწყრომისა უფლისაჲ, ვიდრემდის ყოს [და] ვიდრემდის დაამტკიცოს ნებ[ა]ჲ გულისა თჳსისაჲ. აღსასრულთა დღეთა სცნათ ესე.

G

18. ამათ იტყჳს უფალი: აჰა მე მოვაქციო განსახლვაჲ საყოფელთა იაკობისთაჲ და ტყუეობაჲ მისი შევიწყალო, და აღეშენოს ქალაქი სიმაღლესა ზედა მისსა, და ტაძარი მსჯავრისაებრ მისისა აღემართოს.

19. და გამოვიდენ მათგან მძნობარნი და ჴმაჲ მემღერეთაჲ, და განვამრავლენ იგინი, და არა შემცირდენ, და განვფინნე იგინი, და არა შეკნინდენ.

20. და შევიდენ ძენი მათნი, ვითარცა პირველად, და წამებანი მათნი წინაშე პირსა ჩემსა განმართლდენ, და ზედმოვიხილო ყოველთა ზედა მაჭირვებელთა მათთა.

21. და იყვნენ უძლურნი მათნი მათ ზედა და მთავარი მათი მათგან გამოვიდეს: და შევკრიბნე იგინი, და მოიქცენ ჩემდა, რამეთუ ვინ არს ესე, რომელმან მისცა გული თჳსი მოქცევად ჩემდამო თქუა უფალმან.

22 და იყვნეთ ჩემდა ერად და მე ვიყო თქუენდა ღმრთად.

23. რამეთუ რისხვაჲ უფლისაჲ გამოვიდა გულის-წყრომით, გამოვიდა რისხვაჲ მიქცეული, უთნოთა ზედა [24] მივიდა.

24. და არა უკუნ-იქცეს რისხვაჲ გულისწყრომისა უფლისაჲ, ვიდრემდის ყოს და ვიდრემდის დაადგინოს ჴელყოფაჲ გულისა მისისაჲ. უკუანაჲსკნელთა დღეთასა ცნენით იგინი.

31

J

1. [ფ.30] მას ჟამსა შინა თქუა უფალმან: ვეყო ღმერთ ნათესავთა ისრაჱლისასა, და იგინი იყვნენ ჩემდა ერ.

G

1. მას ჟამსა შინა თქუა უფალმან: ვეყო მე ღმრთად ნათესავსა ისრაილისასა, და იგინი იყვნენ ჩემდა ერად.

---

18. საყოფელითაგან O. მისნი] + და O. აღეშჱნოს O სიმაღლესა] სიმართლესა J. აღემართოს] აღეშჱნოს O 19. გამოვიდეს O მძნობარი O. და არა მოაკლდენ და განვაორინნე იგინი] — J. 20. პირსა]—O. მაჭირვებელთა O. 21. იყვნენ J—O. უმძლავრესნი], უმრავლესნი JO. მთავარნი მათნი O. გამოვიდენ O. მოიქცენ] მოვიდენ O. ესე] — O. რომელმანმცა] + მისცა O. მოიქცია] მოქცევად O. 22. ერ]ერად O. ღმრთად O. 23. გამოჴდა] და გამოჴდა O. 24. არა] და არა O. და] — J ნებაჲ J. აღსასრულთა დღეთა] აღსასრულსა დღეთასა O. ესე] ეგე O.

31.1. ვიყო O. ნათესავის· O. ისრაჱლისა O ერ]ერად O.

21. თქჲ W. 24. და ადგინოს W. უკანასკნელთა W.

J

2. ესრე თქუ უფალმან: ვპოე სიწრფოებაჲ უდაბნოსა, მომსრველთა თანა მახჳლითა, რომელნი მივიდეს მაწანებელად ისრაჱლისა; ვიდოდეთ და ნუ მოჰსრავთ ისრაჱლსა.

3. შორით უფალი გამოუჩნდეს მათ. სიყუარულითა საუკუნოჲთა შეგიყუარე შენ, ამისთჳს მოგიზიდე შენ შეწყალებად.

4. რამეთუ აღგაშენო შენ, და აღეშენოს ქალწული ისრაჱლი, მერმე მოიღო ბობღანი შენი და გამოიღო კრებულთა თანა მომღერთა.

5. მერმე აშენოთ ვენაჴები მთასა სამარიაჲსასა, დაჰნერგეთ ნერგი და აქებდით.

6. რამეთუ დღეჲ ნუგეშინის-ცემისაჲ არს მჴედრებელთაჲ მთათა ზედა ეფრემისთა: აღდეგით და აღჴდეთ სიონდ უფლისა ღმრთისა ჩუენისა.

7. რამეთუ ესრეთ ეტყჳს უფალი იაკობსა: იხარებდით და იშუებდით და იმღერდით თავთა ზედა წარმართთასა. სასმენელ-ყავთ და აქებდით და თქუთ: იჴსნა [უფალმან] ერი თჳსი, ნეშტი ისრაჱლისაჲ.

8. აჰა ესერა მე მოვიყვანნე იგინი ქუეყანით ჩრდილოჲთ და შევკრიბნე იგინი კიდით ქუეყანისაჲთ დღესასწაულსა [O:268v] ფასეკისასა, და გესხნენ შენ ერნი მრავალნი მათ შორის და მკელობელი და ბრმაჲ, მუცელ-ქუმული და მშობელი, ერთბამად კრებული დიდი, და მოიქცენ აქა.

G

2. ესრეთ თქუა უფალმან: ვპოე სიტფოჲ უდაბნოსა შინა, მომსრველთა თანა მახჳლითა, მიმავალნი მაწანებელთამი ისრაჱლისათა; ვიდოდეთ და ნუ მოჰსრავთ ისრაილსა.

3. რამეთუ შორით უფალი გამოუჩნდეს მას. სიყუარულითა საუკუნოჲთა შეგიყუარებენ, ამისთჳს მოგიზიდე შეწყალებად.

4. მერმე აღგაშენო შენ, და აღეშენოს ქალწული ისრაილისაჲ, მერმე მოიღო ბობღანი შენი და გამოხჳდე მწყობრსა შორის მემღერეთასა.

5. მერმე დაჰნერგენით ვენაჴნი მთათა შინა სამარიაჲსათა, დამნერგუელთა დაჰნერგენით და აქებდით.

6. რამეთუ არს დღე ჩინებისა სიტყჳს-მგებელთაჲსა მთათა შორის ეფრემისთა: აღდეგით და აღვიდეთ სიონდ უფლისა მიმართ ღმრთისა ჩუენისა.

7. რამეთუ ამათ ეტყჳს უფალი იაკობსა: განიშჳთ და დაიჴჳვლეთ თავსა ზედა წარმართთასა, სასმენელებ-ყავთ და აქებდით და თქუთ: იჴსნა უფალმან ერი თჳსი, ნეშტი ისრაილისაჲ.

8. აჰა მე მოვიყვანებ მათ ქუეყანისაგან ჩრდილოჲსა და შევკრიბნე იგინი დასასრულით ქუეყანისაჲთ დღესასწაულსა ფასეკისასა, და შვილ-ისხას ერი მრავალი, მათ შორის კოჭლი და ბრმაჲ, მუცელ-ქუმული და მშობელი ერთბამად ეკკლესიაჲ დიდი და მოიქცენ აქა.

---

2. ვპოვე O. სიწრფოებაჲ] სიტყუაჲ O. მივიდეს] ვიდოდეს O. 4. აღგაშჱნო O. აღეშენოს] აღვაშჱნო O. მერმჱ O. შენი] — O. მემღერთა O. 5. მერმე] და მერმჱ O. აღაშჱნოთ O. სარიაჲსასა O. აქებდით] + უფალსა O. 6. დღჱ O. ეფრემისათა O. 7. ესრე O თავსა O „სასმენელ-ყავთ“-ის მეორე სანი ჩამატებულია J-ში. უფალმან] — J. 8. იგინი (t)]—O. „და“ (.1) ჩამატებულია J-ში. დღჱსასწაულსა JO. პასექისასა O. და (3) — O. მუცელ-ქმნულნი O.

31. 2. უქარაგმოა W-ში. 5. ვენაჴებნი W. და მნერგუელთა W. 6. სიტყჳს მგებელთასაჲ W, სიონად W. ო˝ჲ W. ღ˝ჲ W. 7. იჱრლისაჲ W. 8. შჳლ ისხას W მუცელ ქმული W.

J

9. ტირილით განვიდეს შენგან, და ნუგეშინის-ცემით მოვიყვანნე იგინი და განუსუენო ნაკადულსა ზედა წყალთასა, გზასა წრფელსა, და არღარა შესცთენ მერმე მას შინა. რამეთუ ვექ[მ]ნე მე ისრაჱლსა მამად, და ეფრემ პირმშოჲ ჩემი არს.

10. ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, წარმართნო, და მიუთხართ ჭალკთა შორიელთა, არქუთ: რომელმან განაქრია ისრაჱლი, შეკრიბოს იგი და დაიცვეს, ვითარცა მწყემსმან სამწყსოჲ თჳსი.

11. რამეთუ იჴსნა უფალმან იაკობი და განარინა იგი ჴელთაგან უმძლავრესთა მისთა.

12. და მოვიდენ და იხარებდენ და იშუებდენ მთასა ზედა სიონსა, მოვიდენ და დაუკვრდეს კეთილთა [ფ. 31] ზედა უფლისათა, ქუეყანასა ზედა იფქლისასა და ღჳნისასა და ნაყოფთასა და საცხოვართასა, ცხოვართა და ზროხათასა და იყოს სული მათი, ვითარცა ხჱ ნაყოფიერი და ვითარცა სამოთხჱ დამთრვალი, და არღარა ეშინოდის მათ მერმე, ჰმშიოდის.

13, მაშინ იხარებდენ ქალწულნი შორის კრებულსა ჭაბუკთასა, და მოხუცებულნი მხიარულ იყვნენ ერთბამად, და გარდავაქციო გლოვაჲ მათი სიხარულად და ნუგეშინის-ვსცე მათ და ვყვნე იგინი სახარულევან და ვახარო მათ ჭუვილისაგან მათისა.

14. განვადიდო და დავათრო [O: 269r] სული მღდელთაჲ, ძეთა ლევის-

G

9. ტირილით განვიდეს შენგან, და ნუგეშინის-ცემით მოვიყვანნე იგინი გამსუენემან ნაკადულებსა ზედა წყალთასა, გზასა შინა წრფელსა, და არღა სცთებოდიან მას ზედა მერმე, რამეთუ ვექმენ ისრაილსა მამად, და ეფრემი პირმშოჲ ჩემი არს.

10. ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, წარმართთა, და მიუთხართ ჭალაკთა შორიელთა, თქუთ: განმფიწლავმან ისრაილისამან შეკრიბოს იგი და დაიცვეს იგი, ვითარცა მაძოვნებელმან სამწყსოჲ თჳსი.

11. რამეთუ იჴსნა უფალმან იაკობი, განარინა იგი ჴელისაგან უმტკიცესთა მისთაჲსა.

12. და მოვიდენ და იშუებდენ და იხარებდენ მთასა ზედა სიონისასა, და მოვიდენ და განცჳბრდენ კეთილთა ზედა უფლისათა, ქუეყანასა ზედა იფქლისა და ღჳნისა და ნაყოფთასა და საცხოვართა და ცხოვართა და ზროხათასა. და იყოს სული მათი, ვითარცა ხე ნაყოფიერი და ვითარცა სამოთხე დამთრვალი, და არ მოემშიოსყე მერმე.

13. მაშინ იხარებდენ ქალწულნი შესაკრებელთა შორის ჭაბუკთათა, და მოხუცებულნი მხიარულ იყვნენ ერთბამად, და გარდავაქციო გლოვაჲ მათი სიხარულად და ვყვნე იგინი განმხიარულებულ და ვახარო მათ ჭუილისაგან მათისა.

14. განვადიდო და დავათრო სული მღდელთაჲ, ძეთა ლევისთაჲ, და ერი ჩე-

9. ტირილით] ტირილითა და O. განვიდენ O. და (1)] — O. „შესცთენ“-ის თანი ჩამატებულია J-ში. შესცთენ] და დაშთენ O. ~ მას შინა მერმჱ O. ვექნე J, ვექმენ O. 10. „რომელმან“-ის ნარი ჩამატებულია J-ში. განანქრია O. დაიცვეს] + იგი O. სამღყსოჲ J. 11. უმძლავრესთა] უმრავლჱსთა O. 12. უკვრდეს O. იფქლისა O. ცხოვართა J—O. მათი] მისი O. „სამოთხჱ“-ის ხარი ჩამატებულია J-ში. მთრვალი O. მერმჱ O. არცა ჰმშიოდის] — O. 13. ჭაბუკთასა O. სიხაროლად J. „სახარულევან“-ის მეორე ანი ჩამატებულია J-ში. 14. მღდელთა O. ძჱთა J.

10. დაიცვეს]შეკრებოს W. შდრ. *φυλάζει*. სამწყსო W. 12. ო˝ჲთა KW. 13. ვყუნე W. 14. მღდელთა W.

J

თაჲ, და ერი ჩემი კეთილითა ჩემითა განძღეს, იტყჳს უფალი.

15. ესრე თქუა უფალმან: ჴმაჲ ჰრამად ისმა, გლოვაჲ, ტირილი და გოდებაჲ; ჰრაქელ ტიროდა ძეთა მათ თვსთა ზედა და არა უნდა ნუგეშინის-ცემაჲ შვილთა თვსთა ზედა, რამეთუ არა არიან.

16. ესრე იტყჳს უფალი: დასცხერინ ჴმაჲ შენი ტირილისგან დ თუალნი შენნი ცრემლთაგან, რამეთუ არს სასყიდელი საქმეთა შენთაჲ, თქუა უფალმან, და მოიქცეს ქუეყანით მტერთაჲთ.

17. და იყოს სასოება აღსასრულსა შენსა, თქუა უფალმან, და მოიქცენ შვილნი შენნი საზღვართა მათთა.

18. სმენით მესმა ეფრემის გოდებაჲ. განმსწავლე მე, და განვისწავლო, ვითარცა სამწყეული უმწყი, ვერ დავიმწყე; მომაქციე მე, და მოვაქციე, რამეთუ შენ უფალი ღმერთი ჩემი ხარ.

19. რამეთუ შემდგომად ტყუეობისა მის ჩემისა შევინანე და შემდგომად გულისჴმის-ყოფის ვკუნესოდე დღესა ზედა სირცხვლისა ჩემისათა, კდემულ-ვიქმენ და დაგემორჩილე შენ, რამეთუ მოვიღე ყუედრებაჲ სიჭაბუკით ჩემითგან.

20. ძჱ ხარ საყუარელი ჩემი, ეფრემ, ყრმაჲ განცხრომისაჲ შუებასა, რამეთუ, ვინაჲთგან სიტყუანი ჩემნი მის თანა არიან, ჴსენებით მოვიჴსენო მისი მერმე; ამისთვს მოვიძიე იგი; წყალობით შევიწყალო იგი, იტყჳს უფალი.

21. და დაადგინენ შენდად ებგურნი, სიონ, იყავნ შენდა გუემაჲ განმზადებუ-

G

მი კეთილთა ჩემთაგან აღივსოს, თქუა უფალმან.

15. ესრეთ თქუა უფალმან: ჴმაჲ ჰრამას შორის ისმა გოდებისა და ტირილისა და ბავთისაჲ, რაქილისა მტირალისაჲ ძეთა მისთა ზედა, და არა ინება ნუგეშინისცემის ძეთა თვსთა, რამეთუ არა არიან.

16. ესრეთ თქუა უფალმან, ნუ მოაკლდებინ ჴმაჲ შენი ტირილისაგან და თუალნი შენნი ცრემლთაგან, რამეთუ არს სასყიდელი საქმეთა შენთაჲ, თქუა უფალმან, და მოიქცენ ქუეყნისაგან მტერთაჲსა.

17. და იყოს სასოება აღსასრულისა შორის შენისა, თქუა უფალმან, და მოიქცენ ძენი შენნი საზღვართა მათთა.

18. მსმენელსა მესმა ეფრემის გოდებაჲ. მწუართე მე, და განვიწუართე; ხოლო მე ვითარცა ზუარაკი არ განვისწავლე, მომაქციე მე, და მოვიქცე, რამეთუ შენ უფალი ღმერთი ჩემი ხარ.

19. რამეთუ შემდგომად ტყუეობისა ჩემისა შევინანე და შემდგომად გულისხმისყოფისა ჩემისა ვიცემდი თეძოთა ზედა და სულთ-ვითქუემდ დღეთა ზედა სირცხვლისა ჩემისათა, და მკდემაცა და შეგივრდი შენ, რამეთუ მოვიღე ყუედრებაჲ სიჭაბუკით ჩემითგან.

20. ძე საყუარელი ეფრემ ჩემი, ყრმაჲ მშუებელი, რამეთუ, ვინაჲთგან სიტყუანი ჩემნი მის შორის არიან, ჴსენებით მოვიჴსენო მისი მერმე; ამისთვს ვისწრაფო მის ზედა; მწყალობელმან შევიწყალო იგი, თქუა უფალმან.

21. დაადგინენ შენდად, სიონ, ებგურნი, ყავ შენდად ტანჯვაჲ, მიეც გუ-

---

15. ჰრამაჲთ O. გლოვაჲ]+ და O. რაქელ სტიროდა O. ნუგეშნის — ცემის O. 16. იტყჳს უფალი] თქუა უფალმან O. სასყიდელ O. ~ შენთა საქმეთა O. 18. მე(1)] — O. დავიმწყჱ J, დავიმწყი O. მოვიქჱ J. 19. მის] — O, გულისჴმის-ყოფისა] გულისხმის-ყოფისა + ჩემისა O. დღჱთა O. კდემულ-ვიქმენ] და მკდემა O. სიჭაბუკით O. 20. ჩაყუარელი O. ეფრემ] + და O. შუებასა] შობასა O. მერმჱ O. 21. და] — O. მივეც O. ბჭეთა JO. მიიქეც O. ქალაქებად] ქალწულებად O (მცდ.). მგლოარე O.

15. ბავთისა W. 16. შენთა W. 17. ს~სბა W. საზღუართ W. 20. სიყ~ღნი W.

J

ლი, მიეც გული შენი [O : 269 v] ბეჭ-თა შენთა; გზასა, რომელსა ხუალ, მოი-ქეც, ქალწულო ისრაჱლ, მოიქეც ქალ-[ფ.32]აქებად შენდა მგლოვარჱ.

22. ვიდრემდის მიაქცევდე, ასულო შეურაცხო? რამეთუ დაგბადა შენ უფა-ლმან ცხორებად, და დასანერგველად ახლად ცხოვრებად იქცეოდიან კაცნი.

23. ესრე თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაჱლისამან: მერმე თქუან-ლა სიტყუაჲ ესე ქუეყანასა იუდაჲსსა და ქალაქებსა მისს, რაჟამს მოვაქციო ტყუჱ მათი: კურთხეულ [ა]რს უფალი მთასა ზედა მართალსა, წმიდასა მისსა.

24. და დამკჳდრებულნი მუნ იუდა და ყოველი ქალაქები მისი ერთბამად მოქმედითურთ ქუეყანისაჲთ, და განი-შუან სამწყსოჲთურთ.

25. რამეთუ დავათრვე ყოველი სუ-ლი წყურიელი და ყოველი სული მში-ერი განვაძღე კეთილითა.

26. ამისთჳს განვიღჳძე და ვიხილე და ძილი ჩემი ტკბილ მეყო მე.

27. ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და დავსთესო სახლი ისრაჱლი-საჲ და სახლი იუდაჲსი თესლითა კაც-თაჲთა და თესლითა საცხოვართაჲთა.

28. და იყოს, ვითარცა განვიღჳძჱ მათ ზედა აღფხურად და [და]არღუე-ვად და დამჴოლვად და ბოროტებად და წარწყმედად, ეგრე განვიღჳძო მე მათ ზედა აღშჱნებად და დანერგვად, იტყჳს უფალი.

29. მათ დღეთა შინა არღარა თქუან მერმე: მამათა ჭამეს კაწახი, და შვილ-თა კბილნი მოჰლბეს.

G

ლი შენი ბეჭთა შენთა; გზასა, რომელ-სა ხუალ, მოიქეც, ქალწულო ისრაილი-საო, მიიქეც ქალაქთა მიმართ შენთა მგლოარე.

22. ვიდრემდის მიიქცევი, ასული შეურაცხ-ქმნილი? რამეთუ აღგაგო შენ უფალმან მაცხოვარებად, დასანერგვე-ლად ახლად, რომლისა მაცხოვარებასა გარეუვიდოდინ კაცნი.

23. ესრეთ თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაილისამან: მერმეცა თქუან სიტყუაჲ ესე ქუეყანასა შორის იუ-დაჲსსა და ქალაქთა შორის მისთა, ოდეს მოვაქციო ტყუეობაჲ მათი: კურთხეულ არს უფალი მთასა ზედა მართალსა, წმიდასა მისსა.

24. და დამკჳდრებულნი მუნ იუდა და ყოველნი ქალაქნი მისნი მოქმედე-ბითურთ ქუეყანისაჲთ, და აღებულ იქმ-ნეს შორის სამწყსოსა.

25. რამეთუ დავათრვე ყოველი ქუე-ყანაჲ წყურიელი და ყოველი სული მშიერი აღვავსე კეთილებითა.

26. ამისთჳს აღვდეგ და ვიხილე, და ძილი ჩემი ტკბილ იქმნა ჩემდამო.

27. აჰა დღენი მოვლენ, იტყჳს უფა-ლი, და დაუთესო სახლსა ისრაილისსა და სახლსა იუდაჲსსა თესლი კაცთაჲ და თესლი საცხოვართაჲ.

28. და იყოს, ვითარცა ვიღჳძებდ მათ ზედა აღფხურად და აღჴუარღვად და დარღუევად და ბოროტებად და წარწყმედად, ეგრეთ ვიღჳძო მათ ზედა აღშენებად და დანერგვად, თქუა უფა-ლმან.

29. მათ დღეთა შინ არღარა თქუან მერმე: მამათა ჭამეს კაწახი, და კბილნი შვილთანი მოლხუეს.

---

22. დასანერგველად] სანერგველად O. ახლად ცხორებად] ახლაჲთ ცხორებითა O 23. მერმჱ O. რს J. 25. დავათრო O. ყოველი სული წყურიელი და] — O განვაძღჱ J. „ღ" ჩამატებულია J-ში. განვაძღო O. 26. განვიღჳძჱ JO. 27. სახლი (1,2)] სახელი O. კაცისაჲთა O. და თესლითა საცხოვართაჲთა] — O. 28. განვიღჳძჱ JO. აფხურად O. რღუევად J. დამჴულვად J, დამჴობად O. ეგრე] ესრე O. უფალი] + აქ O. 29. დღჱთა O. მერმჱ O. ჭამჱს. O. მოლბეს J, მოჰლბჱს O.

23. კურთხეულ არს] კხ̃ლრს W. 27. საცხოვართა W. 28. დანერგუად W 29. მშჳლთანი W.

J

30. არამედ კაცად-კაცადი ცოდვათა შინა თჳსთა მოკუდეს, ყოველი კაცი, და რომელმან ჭამოს კაწახი, მოჰლბენ კბილნი მისნი.

31. ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფლი, და [O : 270 r] ალთქუმა ვყო სახლსა ზედა ისრაჱლისასა და სახლსა იუდაჲსსა, ალთქმაჲ (!) ახალი.

32. არა ალთქუმისა მისებრ, რომელ ალუთქუ მამათა მათთა დღესა მას, რომელსა უპყარ ჴელი მათი ეამოყვანებად მათა ქუეყანით ეგჳპტით, რამეთუ იგინი არა დაადგრეს ალთქუმათა ჩემთა, და მე შ[ე]ურაცხ-ვყვნე იგინი, თქუა უფალმან.

33. რამეთუ ესე არს ალთქუმაჲ, რომელ ალუთქუ სახლსა ისრაჱლისსა და სახლსა იუდაჲსსა შემდგომად მათ დღეთა, თქუა უფალმან. მივსცნე შჯულნი ჩემნი გონებათა მათთა და მკერდსა ზედა მათსა დაუწერო მათ და ვიყო მე მათა ღმრთად, და იგინი იყვნენ ჩემდა ერად.

34. [ფ.33] და არღარა ასწავებდეს კაცად-კაც[ად]ი მოყუასსა თჳსსა და კაცად-კაცადი ძმასა თჳსსა და ჰრქუას: გულისჴმა-ყავ უფალი, რამეთუ ყოველთა მიცოდიან მე კნინითგან მათით ვიდრე დიდად მათამდე, თქუა უფალმან, რამეთუ მლხინებელ ვეყო უშჯულოებათა მათთა და ცოდვანი მათნი არღარა მოვიჴსენნე.

G

30. არამედ კაცადი ცოდვასა შინა თჳსსა მოკუდეს, ყოველი კაცი და კაწახის მჭამელისანი, მოლხუენ კბილნი მისნი.

31. აჰა დღენი მოვლენ, იტყჳს უფალი, და ალუთქუა სახლსა ისრაილისასა და სახლსა იუდაჲსასა ალთქუმაჲ ახალი,

32. არა ალთქუმისაებრ, რომელი ალუთქუ მამათა მათთა დღესა შინა პყრობისა ჩემგან ჴელისა მათისასა გამოყვანებისათჳს მათისა ქუეყანით ეგჳპტით, რამეთუ იგინი არა დაადგრეს ალთქუმისა შორის ჩემისა, და მე უდებ-ვყვნე იგინი, თქუა უფალმან.

33. რამეთუ ესე ალთქუმაჲ, რომელი ალუთქუა სახლსა ისრაილისასა და სახლსა იუდაჲსსა შემდგომად მათ დღეთა თქუა უფალმან, მიმცემელმან შჯულთა ჩემთამან გაგონებათა მიმართ მათთა და მკერდსა ზედა გულთა მათთასა დავწერნე იგინი და ვიყო მათდა ღმრთად და იგინი იყვნენ ჩემდა ერად.

34. და არა ასწავებდენ კაცადი მოყუასსა თჳსსა და კაცადი ძმასა თჳსსა, მეტყუელნი: იცან უფალი, რამეთუ ყოველთა მიცოდინ მე მცირითგან მათით ვიდრე დიდადმდე მათდა, თქუა უფალმან, რამეთუ მლხინებელ ვეყო მე უსჯულოებათა მათთა და ცოდვათა მათთა და არა მოვიჴსენო მერმე.

---

30. კაცად-კაცადი] + ცუდი O. ცოდვასა O. თჳსსა O. მოჰლბენ] მოეხუნენ O. 31. და(1) O, ალთქუმაჲ ვყო O; („ყ“ ჩამატებულია J-ში). სახლსა (2)] — ზედა O), ალთქუმაჲ O. 32. შეურაცხ-ვყვნე, უდებ-ვყვნე. 33. რომელი O. ისრაჱლისასა O. მათ(1)] — O. გონებათა] გულთა O. მკერდსა ზედა მათსა დაუწერო მათ] გამოვწერნე იგინი გონებათა მათთა O. მე] — O. 34. ასწავებდეს] ასწავებდენ + მერმჱ O. I სანი ჩამატებულია J-ში. კაცად-კაცი (კცდ კც̃ი) J. ჰრქუას] თქუას O. გულისჴმა-ყავ უფალი] იცანთ ღმერთი O. ყოველთა J + ვე O. დიდად მათამდე] დიდადმდე მათა O. ვეყო] ვექმნე O. მოვიჴსენნე J + მერმჱ O.

30. კაცადი]კაცად W [შდრ. ἕκαστος] 31. ალთქმაჲ W. ალთქმისა W. მე უდებ ვყუჱნ W. 33. ალთქმაჲ W. იყუნენ W. 34. დაკცადჲ W. მათთაჲ W.

J

35. ესრე თქუა უფალმან, რომელმან მოჰცა მზჱ ნათლად დღისა [და] მთოვარე და მარსკულავები განმანათლებელად ღამისა და სცის ღაღადება ზღუასა, და ოხრიედ ღელვანი მისნი, უფალ მერთისა-მპყრობელ არს სახელი მისი.

36. უკუეთუ დასცხრენ შჯულნი ესე პირისაგან ჩემისა, თქუა უფალმან, და ნათესავმან ისრაჱლისამან დააცადოს ყოფად თესლებად წინაშე პირსა ჩემსა ყოველთა დღეთა.

37. ესრე იტყჳს უფალი: ალ-თუ მაღლდეს ცაჲ უზესკნელეს, [O:270v] და და-თუ-მდაბლდეს იატაკი ქუეყანისაჲ ქუესკნელად, მეცა შეურაცხვყო ნათესავი ისრაჱლისაჲ, თქუა უფალმან, ყოველთათჳს, რომელ ქმნეს.

38. აჰა ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და აღიშენოს ქალაქი უფლისაჲ გოდლითგან ანამელისით ვიდრე ბჭედმდე კიდისათა.

39. და გამოჴდეს მერმე სასოებაჲ და საბელი საზომისაჲ წინაშე მათსა მიბორცუადმდე გარებდ და მოიქმნეს რჩეულთაგან ქვათა გაბათად კერძო.

40. და ყოველთა ზედა ღელეთა ფაგარიმისათა და ყოველსა ასარემოსთა ჴევადმდე ნაძუთად ვიდრე კიდედმდე [ბჭეთა] საცხენისათა აღმოსავალით სიწმიდედ უფლისა და არღარა აღიფხურეს, არცღა დაირღუეს უკუნისამდე.

G

35. ესრეთ თქუა უფალმან, მომცემელმან მზისამან ნათლად დღისა, სიმკაცრისა მთოვარისა და ვარსკულავთაჲსა. სინათლედ ღამისა, და მიმცემმან ღაღადებასა ზღჳსა შორის, და ბგერედ ღელვანი მისნი, უფალ ყოვლისა-მპყრობელ სახელი მისი.

36. უკუეთუ დასცხრენ შჯულნი ესე პირისაგან ჩემისა, თქუა უფალმან, და ნათესავიცა ისრაილისაჲ დასცხრეს ყოფად ნათესავად წინაშე პირსა ჩემსა ყოველთა დღეთა.

37. ამათ იტყჳს უფალი: ალ-თუ-მაღლდეს ცაჲ განსაცხრომელადმი, და და-თუ-მდაბლდეს იატაკი ქუეყანისაჲ ქუე, მე არ გამოუცდელ-ვყო ნათესავი ისრაილისაჲ, თქუა უფალმან, ყოველთათჳს, რომელნი ქმნნეს.

38. აჰა დღენი მოვლენ, იტყჳს უფალი, და აღეშენოს ქალაქი უფლისაჲ გოდლითგან ანამეილისით ვიდრე ბჭედმდე კუთხისა,

39. და გამოჴდეს მერმეცა სასოებაჲ, საბელი განზომისაჲ წინაშე მათსა ვიდრე ბორცუამდე ღარისსა და გარემოემრგულოს მრგულივ რჩეულთაგან ქვათა კაბათადმი,

40. და ყოველსა ღელესა ფანგარიმისასა და სანაცრისა და ყოველსა ასარიმოთსა ვიდრე ნაღუარევამდე ნაძუებისათა, ვიდრე კუთხემდე ბჭისა ცხენთაჲს აღმოსავალისა სიწმიდედ უფლისა და არღა მერმე არ მოიფხურას და არც დირღუეს მისაუკუნომდე.

35. მოსცა O. დღისი O. და (1)] — J. ვარსკულავები O. ზღუასა] + შინა O. არს] — O. 37. უზჱსკნელეს J, უზესკნელესად O. 38. აღეშჱნოს O. აღამელისით J ანამელით O. 39. გამოჴდეს J მოჰჴდეს O. საზომელი O. წინაშე] მისი წინაშე O. მოიქმნენ J. რჩეულთაგან ქვათა გაბათად]. რჩეულთა ქვათა გაბათ O. 40. ღელეთა] ღელვათა O. ფაგეარიმისთა O. ყოველსა] + ზედა O. ასარემეოთსა O. ვიდრე კიდედმდე] მიკიდედმდე O. ბჭეთა] — J. აღიფხურჱს + და O. არცაღა] არცა O.

36. ყოფადი W. 40. ფანგარიმითასა W. კუთხამდე W. ცხენთაჲსა W. არმოიფხურას W.

32

J

1. სიტყუაჲ, რომელი იყო უფლისა მიერ იერემიაჲსა მიმართ წინაწარმეტყუელებაჲ წელსა მეათესა სედეკია მეფისა იუდაჲსსა, ესე წელი მეათრვამეტეჲ ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისაჲ.

2. და ძალი მეფისა ბაბილოვნისაჲ ჰბრძოდა იერუსალჱმსა, და იერემიას წინაწარმეტყუელსა სცვიდეს ეზოსა შინა საპყრობილისასა, რომელ არს სტოვათა მეფისა იუდაჲსთა.

3. რომელსა შინა შეაყენა იგი სედეკია მეფემან იუდაჲსმან და ჰრქუა [ფ.34]: შენ რად სწინაწარმეტყუელებ და იტყჳ, ესრე თქუა უფალმან: აჰა ესერა მე მივსცემ ქალაქსა ამას ჴელთა მეფისა ბაბილოვნისთა, და დაიპყრას იგი.

4. და სედეკია, მეფჱ იუდაჲსაჲ, არა განერეს ჴელთა ქალდეველთასა, რამეთუ მიცემით მიეცეს ჴელთა მეფისა ბაბილოვნისათა და იტყოდის პირი მისი პირისა მიმართ მისისა, და თუალთა [O : 271 r] მისთა თუალნი მისნი იხილნენ.

5. და ბაბილონდ წარიყვანოს სედეკია და მუნ დაჯდეს, ვიდრემდის მოვიძიო იგი, თქუა უფალმან, რამეთჳ ჰბრძავს ქალდეველთა, რომელთა მიმართ ვერ წარმოემართოს.

6. და თქუა იერემია წინაწარმეტყუელმან: იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო და თქუა:

7. აჰა ესერა ანამელ, ძჱ სალომისი ძმისა მამისა შენისაჲ, მოვიდეს შენდა

G

1. სიტყუაჲ, ქმნილი უფლისა მიერ იერემიაჲს მიმართ წელსა მეათესა სედეკია მეფისა იუდაჲსსა, ესე წელი რვა და ძეათე ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისაჲ.

2. და ძალმან მეფისა ბაბილოვნისამან შეიცვეს იერუსალიმი, და იერემია იცვებოდა ეზოსა შინა საპყრობილისასა, რომელ არს სახლსა შორის მეფისა იუდაჲსსა.

3. რომელსა შინა შეაყენა იგი მეფემან სედეკია, მეტყუელმან: რად სწინაჲსწარმეტყუელებ შენ, მეტყუელი- ესრეთ თქუა უფალმან: აჰა მივსცემ ქალაქსა ამას ჴელსა შინა მეფისა ბაბილონისასა, და დაიპყრას იგი.

4. და სედეკია, მეფე იუდაჲსი, არა განერეს ჴელთა ქალდეველთასა, რამეთუ მიმცემელმან მივსცე ჴელთა მეფისა ბაბილონისათა, და იზრახოს პირმან მისმან პირისა მიმართ მისისა, და თუალთა ამისთა თუალნი მისნი იხილნენ.

5. და ბაბილონდ შევიდეს სედეკია და მუნ დაჯდეს, ვიდრე არა ზედ-მივჰხედო მას, თქუა უფალმან, რამეთჳ ჰბრძავს ქალდეველთა, რომელთა მიმართ ვერ წარემართოს.

6. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, მეტყუელი:

7. აჰა ანამეილ, ძე სალომისი, ძმისა მამისა შენისა, მოვალს შენდა, მეტყუე-

---

32.1. წინაწარმეტყუელებაჲ]—O. მეფისასა O. მეათრვამეტეჲ] მეათერთმეტჱ O ბაბილონისაჲ O. 2. ბაბილონისაჲ O. სცვიდეს]—O. სტოვათა] სახლსა + შინა O. „სტოვათა"-ს სანი არა ჩანს მელნის დაწვეთების გამო. J-ში. იუდაჲსსა O 3. შეეყენა O. მეფემან იუდაჲსმან] მეფესა იუდაჲსსა O. ესრჱ J. მივცემ O. ბაბილონისათა O. 4. იუდაჲსი. „არა"-ს ბოლო ანი ჩამატებულია J-ში. განერჱს O. ჴელთა ქალდეველთასა, რამეთუ მიცემით მიეცეს]—O. ბაბილონისათა O. ეტყოდის O ~ მისასა მიმართ O. 5. იხილვიდენ O. წარიყვანონ O. რამეთუ ჰბრძავს]—O. 6. ჩემდამო] ჩემდა მომართ O თქუა] მრქუა O. 7. ანამიელ O. გრქუას]+შენ O. იგი (1)]—O. მახლობელობისაჲ O.

32.1. ოˇჲ W. 3. ბაბილოანისასა W. 5. ბაბილონად W. 7. შენი] ში W (უქარაგმოა).

J

და გრქუას: დაიპყარ აგარაკი იგი ჩემი ანთოთისაჲ, რამეთუ შენი არს სამართალი მახლობელებისაჲ დაპყრობად იგი სამკჳდრებელად.

8. და მოვიდა ჩემდა ანამელ, ძეჲ სალომისი, ძმისა მამისა ჩემისაჲ, ვითარცა თქუა უფალმან, ეზოსა მას საპყრობილისასა და მრქუა: დაიპყარ აგარაკი იგი ჩემი ანათოთისაჲ, რომელ არს ქუეყანასა მას ბენიამენისსა, რამეთუ შენდა წეს არს დაპყრობად სამკჳდრებელისა მის, რამეთუ შენ ხარ უხუცესი და გულისჴმა-ყავ, რამეთუ სიტყუაჲ უფლისაჲ არს;

9. და დავიპყარ აგარაკი იგი ანამელისგან, ძისა სალომისა, ძმისა მამისა ჩემისა, რომელი იყო ანათოთს, ქუეყანასა მას ბენიამენისსა, და მიუწონე მას ვეცხლი შვდი სიკლაჲ და ათი ვეცხლი.

10. და დავწერე წიგნსა შიდა და ვიწამენ მოწამენი და მიუწონე ვეცხლი იგი სასწორითა.

11. და მოვიღე წიგნი იგი მოგებისაჲ დაბეჭდული იგი მცნებაჲ და სამართალი [O : 271 v] აღმოკითხული და განცხადებული,

12. და მივეც წიგნი იგი მოგებისაჲ ბარუქს, ძესა ნერისსა, ძისა მაასესისა წინაშე თუალთა ანამელისთა, ძისა [სალომისა], ძისა მამისა ჩემისა, წინაშე თუალთა მდგომარეთა მოწამეთასა წიგნსა მას მოგებისასა და წინაშე თუალთა [ყოველთა] ჰურიათასა, რომელ სხდეს ეზოსა მას საპყრობილისასა.

G

ლი; მოიგე თავისა შენისად აგარაკი ჩემი ანათოთს შინა, რამეთუ შენი არს სამართალი ნათესავობისაჲ დაპყრობად იგი მოსაგებელად.

8. და მოვიდა ჩემდა ანამეილ, ძე სალომისი, ძმისა მამისა ჩემისაჲ, სიტყვსაებრ უფლისა ეზოსა საპყრობილისასა და მრქუა მე: მოიგე აგარაკი ჩემი ანათოთს შინა, ქუეყანასა ბენიამენისსა, რამეთუ შენი არს სამართალი და შენი ნათესავობაჲ მოგებად სამკჳდრებელად და შენ უხუცეს ხარ და ვცან, რამეთუ სიტყუაჲ უფლისაჲ არს;

9. და მოვიგე აგარაკი ანამელისაგან, ძისა სალომისა, ძმისა მამისა ჩემისა, ანათოთს შინა, ქუეყანასა ბენიამენისსა, და მიუწონე მას ვეცხლი შვდთა სიკლათა და ათთა ვეცხლთა.

10. და დავწერე წიგნსა შინა და დავჰბეჭდე და ვიმოწმე მოწამენი და მიუწონე ვეცხლი სასწორითა.

11. და მოვიღე წიგნი მოგებისაჲ დაბეჭდული, და მცნებაჲ და სამართალი აღმოკითხული და გამოცხადებული,

12. და მივეც წიგნი მოგებისაჲ ბარუქს, ძესა ნირისსა, ძისა მაასისსა წინაშე თუალთა ანამეილისთა, ძისა სალომისთა, ძმისა მამისა ჩემისათა, და წინაშე თუალებსა მდგომარეთასა და დამწერელთა წიგნსა მოგებისასა და წინაშე თუალებსა ყოველთა იუდეანთასა, მსხდომარეთა ეზოს საპყრობილისასა.

---

8. ძჱ O. მას (1)] შინა O. მრქუა] + მე O. „მრქუა“ ჩამატებულია J-ში. დაიპყრა J. იგი] — O. რამეთუ (1)] + შენ და დავარდების და O. ხარ უხუცესი] უხუცეს ხარ O. „უხუცესის“-ში ინი ჩამატებულია J-ში ც-სა და ე-ს შორის. გულისხმა ყავ O. „რამეთუ“ (3) ჩამატებულია J-ში. 9. ანათუთს J. ქუეყანასა მას] — O. 10. და (1)] — O. შიდა] შინა O. და (2)] + დავჰბეჭდე და O. 12. მასსჱსისა J, მასესსა O. მეორე ანი ჩამატებულია J-ში. „ძისა“ (2) ჩამატებულია J-ში. სალომისა] — J. ჩემისა J + და O. მოწამეთასა] + და მწერალთასა O. მას (1)] შინა O. ყოველთა] — რომელნი O.

11. სამართლნი და W. 12. მოგებისა W.

J

13. [ფ.35] და უბრძანე ბარუქს წინაშე თუალთა მათთა და ვარქუ:

14. ესრე იტყჳს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, ღმერთი ისრაჱლისაჲ: მიიღე წიგნი ესე მოგებისაჲ დაბეჭდული და წიგნი აღმოკითხული და განცხადებული და შთასდვა იგი ჭურჭერსა კეცისასა, რაჲთა დათმოს დღეთა მრავალთა.

15. რამეთუ ესრე თქუა უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან, ღმერთმან ისრაჱლისამან: მერმეცა მოიგონ სახლები და აგარაკები და ვენაჴები ამას ქუეყანასა.

16. და ვილოცე უფლისა მიმართ შემდგომად მიცემისა მის წიგნისა მოგებისაჲსა ბარუქს, ძესა ნერისსა, და ვთქუ:

17. რომელი ხარ უფალ, აჰა ესერა შენ შეჰქმენ ცაჲ და ქუეყანაჲ ძალითა შენითა დიდითა და მკლავითა შენითა მაღლითა, და არა დაემალოს შენგან რაჲვე.

18. ჰყვი წყალობაჲ მიათასამდე ნათესავად და მიაგი ცოდვაჲ მამათაჲ წიაღთა შვილთა მათთასა. შემდგომად მათსა; ღმერთო დიდო და ძლიერო უფალ ძალთა არს სახელი შენი.

19. რომელი დიდ ხარ [O : 272 r] ზრახვათა და ძლიერ საქმითა, ყოვლისა-მპყრობელო, სახელ-დიდო უფალო, თუალნი შენნი განხუმულ არიან ყოველთა მიმართ გზათა ძეთა კაცთასა მიცემად თითოეულსა გზისაებრ თჳსისა და ნაყოფა სლვათა თჳსთაებრ.

G

13. და მიუწერე ბარუქს წინაშე თუალთა მათთა, მეტყუელმან:

14. ამათ იტყჳს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, ღმერთი ისრაილისაჲ: მიიღე წიგნი მოგებისაჲ ესე დაბეჭდული და წიგნი ესე აღმოკითხული და გამოცხადებული და დაუსხნე ესენი ჭურჭელსა შინა კეცისასა, რაჲთა ეგენ ვიდრე დღეთამდე მრავალთა.

15. რამეთუ ესრეთ თქუა უფალმან მერთისა-მპყრობელმან: მერმეცა მოიგებოდინ სახლნი და აგარაკნი და ვენაჴნი ქუეყანასა ამას შინა.

16. და ვილოცე უფლისა მიმართ შემდგომად მიცემისა ჩემგან წიგნისა მოგებისა[ჲსა] ბარუქსა, ძესა ნერისსა, მეტყუელმან:

17. მყოფო უფალო უფალო, აჰა შენ შეჰქმენ ცაჲ და ქუეყანაჲ ძალითა შენითა დიდითა და მკლავითა შენითა მაღლითა, არა დაიმალოს შენგან არარაჲ.

18. მყოფელისა წყალობასა ათასეულთამდე და მიმგებელისა ცოდვათა მამათასა წიაღთა შვილთა მათთასა [შემდგომად] მათთა; ღმერთო დიდო და ძლიერო, უფალი ძალთაჲ სახელი მისი.

19. რომელი დიდ არს განზრახვითა და ძლიერ საქმეებითა, ყოვლისა-მპყრობელი, სახელ დიდი უფალი, თუალნი შენნი განღებულ ყოველთა მიმართ გზათა ძეთა კაცთასა მიცემად თითოეულისა გზისა მისისაებრ და ნაყოფთაებრ სიმარჯუეთა მათთასა.

---

14. ყოვლისა -მპყრობელი] მერთისა-მპყრობელი O. „მიიღე“-ს ენს ქვეშ წილი არა აქვს და ო-ს ჰგავს J-ში. ~ ესე წიგნი O. განცხადებული + ესე შთადევ O. 15. რამეთუ] და O. ყოვლისა-მპყრობელმან] მერთისა-მპყრობელმან O. და ვენაჴები] — O. 16. „ვთქუ“-ს წინა ნაწილი არ იკითხება, მხოლოდ „ქუ“ ჩანს J-ში. 17. უფალო O. და (3) — O. რაჲვე]რაჲ ესე O. 18. მიათასადმდე O. მათთაჲსა J, მათთა O. მათსა] ლცის˝ჲ O. უფალი ძალთაჲ O. 19. ~ ხარ დიდ O. ყოვლისა — მპყრობელო] მერთისა-მპყრობელო O. ძეთა] — O.

15. მიერთისა მპყრობელმან W. 16. ო˝ჲ W. მოგებისა W. 18. შემდგომად] — W. ძალთა W. 19. განზრახვთა W.

J

20. რომელმან ჰყავ სასწაულები და ნიშნები ქუეყანასა ეგჳპტისასა და ვიდრე აქა დღედმდე ისრაჱლსა შორის და ნაშობთა შორის კაცთასა, და ჰყავ შენდა სახელ, ვითარცა დღჱ ესე:

21. და გამოიყვანე ერი შენი ისრაჱლი ქუეყანით ეგჳპტით სასწაულებითა და ნიშებითა, ჴელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა და ჩუენებითა დიდითა,

22. და მიეც მათ ქუეყანაჲ ესე, რომელ ეფუცე მამათა მათთა მიცემად მათა, ქუეყანაჲ, გამომცემელი სძისა და, თაფლისაჲ.

23. შევიდეს და დაიპყრეს იგი და არა ისმინეს ჴმისა შენისაჲ და შჯულსა შენსა არა ვიდოდეს, ყოველი, რავდენი ამცენ მათ ყოფად, არა ყვეს, და ყვეს შემთხუევად მათა ყოვლისა ამის ძჳრისა.

24. აჰა ესერა ერი მოწევნულ არს ქალაქსა ამას ზედა დაპყრობად მისა, და ქალაქი მიეცა ჴელთა ქალდაველთასა, რომელნი ჰბრძვანან [ფ. 36] მას პირისაგან მახჳლისა, სიყმილისა და სიკუდილისა; და ვითარცა სთქუ, ეგრეცა არს, და ესერა შენ ჰხედავ.

25. და შენ მეტყჳ მე, თავადი უფალი: დაიპყარ აგარაკი იგი ვეცხლითა. და დავიპყარ და დავწერე წიგნი და დავჰბეჭდე და ვიწამენ მოწამენი, და ქალაქი მიეცა ჴელთა ქალდაველთასა.

26. [O : 272 v] და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, და თქუა:

G

20. რომელმან ჰქმნენ სასწაულნი და ნიშნი ქუეყანასა შორის ეგჳპტისასა ვიდრე დღისამდე ამის და ისრაილისა შორის და კაცთა შორის, და ჰყავ შენდა სახელ ვითარცა დღე ესე,

21. და გამოიყვანე ერი შენი ისრაილი ქუეყანისაგან ეგჳპტისაჲსა სასწაულებისა მიერ და ნიშნებისა და ჴელისა მტკიცისა და მკლავისა მიერ მაღლისა და ჩუენებათა მიერ დიდთა.

22. და მიეც მათ ქუეყანაჲ ესე, რომელსა ეფუცე მამათა მათთა მიცემად მათდა ქუეყანაჲ, მადინებელი თაფლისა და სძესა.

23. და შემოვიდეს და მიიღეს იგი და არა შეისმინეს ჴმისა შენისაჲ და შჯულსა შინა შენსა არა ვიდოდეს ყოველნი, რაოდენთა ამცნებდ მათ ქმნად, არა ქმნნეს, და ჰყავ შემთხუევაჲ მათი ყოველთა ამათ ძჳრთა.

24. აჰა ერი მოსრულ არს ქალაქსა ამას ზედ დაპყრობად მისსა, და ქალაქი მიეცა ჴელთა ქალდაველთა, მბრძოლთა მისთასა პირისაგან მახჳლისა და სიყმილისა და სიკუდილისა; ვითარცა სთქუ, ეგრეთ იქმნა. აჰა, შენ ჰხედავ.

25. და შენ იტყჳ ჩემდამო: მეუფეო უფალო, მოიგე თავისა შენისად აგარაკი ვეცხლითა, და მოვიგე და დავწერე წიგნი და დავბეჭდენ და ვიწამენ მოწამენი, და ქალაქი მიეცა ჴელთა ქალდეველთასა.

26. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, მეტყუელი.

---

20. თითოეულსა J. თითოეულისა O. თჳსთაებრ] მათთაებრ O. 21. ნიშჱბითა O. 23. შევიდეს და] — O. დაიპყრეს] შეიპყრეს O. ვიდოდეს] + და O. მათ] — O. და ყვეს] — O. ამის] მის O. 24. ერი] ძჳრი O. პირისაგან მახჳლისა] პირითა მახჳლისაჲთა. + და O. სიყმილისა და სიკვდილისა] სიყმილითა და სიკუდილითა O. (3)] — O. არს (2)] იყო O. ჰხედავ] ხარ O. 25. დაიპყარ აგარაკი იგი] მო[ი]გო გენდად აგარაკი ესე O. დავიპყარ] მოვიგე O. წიგნები O. ქალდეველთაჲსა J, ქალდეველთასა + აქმ´დე O.

21. მიერ (1) + და W. 24. ქალდეველთამბრძოლთა W. დასიყმილისა W. დასიკუდილისა-ვითარცა W.

J

27. მე ვარ უფალი ღმერთი ყოველ-თა კორციელთაჲ, ანუ და-მე-ემალოს ჩემგან ყოველი სიტყუაჲ?

28. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ: მიცემით მიეცეს ქალაქი ესე ჴელთა ქალდეველთასა და ჴელთა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისთა, და წარიღონ იგი.

29. და შემოვიდენ ქალდეველნი, ჰბრძვანან ამას ქალაქსა და მოწუან იგი ცეცხლითა და დაწუან სახლები, რომელსა შინა უკუმევდეს ერდოებსა ზედა მათსა ბაალსა და უზორვიდეს საზორველსა ღმერთთა სხუათა, რაჲთამცა განმამწარეს მე.

30. რამეთუ იყვნეს ძენი [ისრაჱლისანი და ძენი] იუდაჲსნი ყოვლად მყოფელ ბოროტისა წინაშე თუალთა ჩემთა სიჭაპუკით მათითგან. ხოლო ძეთა ისრაჱლისათა განმარისხეს მე საქმითა ჴელითა მათთაჲთა, თქუა უფალმან.

31. რამეთუ განრისხებასა ოდენ ჩემსა და გულის-წყრომასა ჩემსა იყო ჩემდა ქალაქი ესე, ვინაჲთ დღითგან აღვაშენე ვიდრე აქა დღედმდე, და მოვსპო იგი [პირისაგან ჩემისა].

32. ყოვლისათჳს ძჳრისა ძეთა ისრაჱლისათა [და ძეთა იუდაჲსთა], რამეთუ განმამწარეს მე მათ და მეფეთა მათთა და მღდელთა მათთა და წინაწარმეტყუელთა მათთა [და] კაცთა იუდაჲსთა და მკჳდრთა იერუსალჱმისათა.

33. და მოიქციეს ჩემდა ზურგი და არა პირი. და ვასწავებდ მათ, აღვიმს-

G

27. მე ვარ უფალი ღმერთი ყოვლისა კორცისაჲ, ნუ ჩემგან დაიმალვის რაჲ-მეა?

28. ამისთჳს ამას იტყჳს უფალი ღმერთი ისრაელისაჲ*: მიცემული მიეცეს ქალაქი ესე ჴელთა ქალდეველთა და ჴელთა მეფისა ბაბილონისათა, და წარიღონ იგი,

29. და მოვიდენ ქალდეველნი, მბრძოლნი ქალაქსა ამას ზედა და მოწუან იგი ცეცხლითა და დაწუან სახლები, რომელთა შორის უკუმევდეს ერდოებსა მათსა ზედა ბაალსა და უგებდეს საგებთა ღმერთთა სხუათა განსამწარებელად ჩემდა.

30. რამეთუ იყვნეს ძენი ისრაელისანი და ძენი იუდაჲსნი მხოლონი მყოფელ ბოროტისა წინაშე თუალთა ჩემთა სიჭაბუკითგან მათით. გარნა რამეთუ ძეთა ისრაელისათა განმარისხეს მე საქმესა ზედა ჴელთა მათთასა, თქუა უფალმან.

31. რამეთუ რისხვასა ზედა ჩემსა და გულის-წყრომასა ზედა ჩემსა იყო ქალაქი ესე, რომლით დღითგან აღაშენეს იგი, და ვიდრე დღისამდე ამის შევცვალო იგი პირისაგან ჩემისა.

32. ყოვლისათჳს უკეთურებისა ძეთა ისრაელისათა და ძეთა იუდაჲსთა, რამეთუ ყვეს განმწრებაჲ ჩემი მათ და მეფეთა მათთა და დიდებულთა მათთა და მღდელთა მათთა და წინაწარმეტყუელთა მათთა, კაცთა იუდაჲსთა და მკჳდრთა იერუსალჱმისათა,

33. და მოაქციეს ჩემდა ზურგი და არა პირი მათი, და ვასწავე მათ, აღმს-

---

27. და-მე-ემალოს]და-მე-იმალოსა O. 28. ქლ˜ქლი J. ნაბუქოდონოსირ O. 29. შემოვიდენ] შევიდენ O. ჰბრძვან მას O. დაწუან] დავწუა J. შინა | ზედა O. ზედა] — O. განამწარჱს O. 30. ისრაჱლისანი და ძენი] — J. სიჭაბუკით O. „ისრაჱლისათა“-ს „თა“ ჩამატებულია J-ში. 31. აღვაშჱნე + იგი და O. აქა დღემდე] მოაქადღედმდე O. და მოვსპო იგი] მოსპოლვად მისა O. პირისაგან ჩემისა]—J. 32. ყოვლისაგან O. ძეთა (1)] + თჳს O. და ძეთა იუდაჲსთა]—J. განმამწარჱს O. მათ]—O. და (3)/—J. 33. და (1)]—O. ვასწავე O. მათ] + და O. და ვასწავებდ (2)]—O. ინებჱს O.

28. *უქარაგმოა W-ში. ქალდეველთა] ქალდეონ W. 29. სხ˜ჲთა W 30. ისრაელის˜ნი W. 32. „ისრაელისათა“ უქარაგმოდაა W-ში. ყუჱს W. „იერუსალემისათა“ უქარაგმოა W-ში. 3 3. ისმინესდ W. სწავლა W.

J

თობდ და ვასწავებდ და არა ისმინეს
და არა ინებეს მიღებად სწავლისა;

34. დახსნეს ბილწნი მათნი სახ[O:
273 r]ლსა შინა, რომელსა ზედა წოდე-
ბულ იყო სახელი ჩემი, რაჲთამცა შეა-
გინეს იგი არაწმიდებითა მათითა,

35. და აღაშენეს ბაგინნი ბაალისნი,
რომელ იყვნეს ჴევსა შიდა ძისა ენო-
მისთა, გოდლებსა მას [ნა]გებს შინა
[ფ. 37], რაჲთამცა დაუკლნეს ძენი
მათნი მოლოქს, რომელ არა ვამცენ მათ,
არცა მომიჴდა გულსა ჩემსა ყოფად სა-
ძაგელი ესე საცოდველად იუდაჲსა.

36. და აწ ესრე თქუა უფალმან
ღმერთმან ისრაჱლისამან ქალაქსა ამას
ზედა, რომლისათჳს თქუენ იტყჳთ, ვი-
თარმედ: მიეცეს ჴელთა მეფისა ბაბი-
ლონისთა მახჳლითა და ტყუეობითა.

37. აჰა ესერა მე შევკრიბნე იგინი
ყოველთაგან ადგილთა, სადა განვაბნიენ
იგინი მუნ რისხვითა ჩემითა და გულის-
წყრომითა ჩემითა და რისხვითა დიდითა,
და მოვაქცინნე იგინი ადგილსა ამას და
დავსხნე იგინი სასოებით.

38. და იყვნენ იგინი ჩემდა ერად,
და მე ვიყო მათა ღმრთად.

39. და ვსცე მათ გულ სხუა, და გზა
სხუა, რაჲთა ეშინოდის მათ ჩემდა ყო-
ველთა დღეთა, რაჲთა კეთილი ეყოს
მათ და შვილთა მათთა შემდგომად მათ-
სა.

40. და აღუთქუა მათ აღთქუმაჲ სა-
უკუნე, რომელ არა გარდავაქციო შემ-
დგომად მათსა, რაჲთა კეთილი უყო
მათ; და შიში ჩემი მივსცე გულთა მათ-
თა, რაჲთა არა განდგენ იგინი ჩემგან.

G

თობმან და მასწავლელმან, და არა ის-
მინეს და არა ინებეს მიღებად სწავლაჲ.

34. და დასხნეს სიბილწენი მათნი
სახლსა შინა, სადა წოდებულ არს სა-
ხელი ჩემი მის ზედა [35] შებილწებად
მისსა არაწმიდებათა მიერ მათთა.

35. და უშენნეს ბომონნი ბაალსა
ჴევსა შინა ძისა ენომისსა, გოდოლნი
გევს შინა შეწირვისათჳს ძეთა მათთაჲ-
სა და ასულთა მათთაჲსა მოლოქისა,
რომელნი არა ვამცენ მათ, არცა აღვიდა
გულსა ზედა ჩემსა ქმნაჲ საძაგელებისაჲ
ამის საცოდველად იუდაჲსსა.

36. და აწ ესრეთ თქუა უფალმან
ღმერთმან ისრაელისამან ქალაქსა ზედა,
რომელსა შენ იტყჳ: არმიცემად ჴელთა
მეფისა ბაბილონისათა მახჳლითა და
სიყმილითა და განვლენითა.

37. აჰა მე შევკრიბნე იგინი ყოველ-
თაგან ქუეყანათა, სადა განვსთესენ იგი-
ნი მუნ გულის-წყრომითა ჩემითა და
რისხვითა ჩემითა და განძჳნებითა დი-
დითა, და მოვაქცინე იგინი ადგილსა
ამას და დავსხნე იგინი სასოებით.

38. და იყვნენ ჩემდა ერად, და მე
ვიყო მათდა ღმრთად.

39. და მივსცე გული სხუაჲ, რაჲთა
მეშინოდიან ყოველთა დღეთა, რაჲთა
კეთილი იყოს მათდა და ძეთა მათთა
მათ თანა.

40. და უანდერძო მათ ანდერძი საუ-
კუნოჲ, რომელი არ მოვიქციო უკუანა-
გან მათსა, რაჲთა კეთილ უყო მე მათ
და შიში ჩემი მოვსცე გულთა შორის
მათთა არგანდგომისათჳს მათისა ჩემგან.

---

34. სახლთა O. რომელთა O. იგი] — O. 35. ალაშჱნნეს O. ჴევსა შიდა] ჴელთა შინა O. ენოსისა J. ნაგებს] გებს J. ნაგებსა O. რომელ (2)] რომელი O. 36. ესრე] ესერა O. მიეცეს] + იგი O ბაბილონისათა O. მახჳლითა] და მახჳლითა O. 37. იგინი (1)] იგი O ყოველთაგან ადგილთა] ყოველთა ადგილთაგან O „რისხვითა“-ს ვინი ჩამატებულია J-ში. და (3)] — O. მოვაქცინე O. 39. ვსცე] მივსცე O გულ სხვა] გული სხუაჲ O (მცდ.). გზა სხუა] გზაჲ სხუაჲ O. იშინოდის O. 40. აღუთქუა მათ] — O. აღუთქუმაჲ საუკუნოჲ O. გულთა მათთა] გულსა მათსაც O.

34. წოდებლარს W. სახელიჩი W. 36. მოლოქისსა W. 36. ისრაელისამ˜ნ W. 37. რისხ-ვთა W. 39. გული სხუაჲ] გულისხმაჲ W. მთ˜თ˜ა W.

J

41. და მოვიძინე იგინი და ვიხარებდე მათ ზედა, რაჲთა კეთილი უყო მათ; [და] დავჰნერგნე იგინი ქუეყანასა მას ჭეშმარიტებით და ყოვლითა გულითა ჩემითა [და ყოვლითა სულითა ჩემითა].

42. რამეთუ ესრეთ იტყჳს უფალი ძალთაჲ, [O : 273v] ღმერთი ისრაჱლისაჲ: ვითარცა მოვავლინე ერსა ამას ზედა ყოველი ძჳრი დიდი, ეგრე მოვავლინო მათ ზედა ყოველი კეთილი, რომელ ვთქუ მათ ზედა.

43. და მოიგნენ მერმე აგარაკნი ამას ქუეყანასა, რომლისათჳს შენ იტყჳ, ვითარმედ: უგზო არს კაცთაგან და საცხოართაგან და მიეცეს ჴელთა ქალდეველთასა.

44. და მოიგნენ აგარაკნი ვეცხლითა და დაიწეროს წიგნსა და დაიბეჭდოს და იწამენ მოწამენი ქუეყანასა ბენიამენისსა და გარემო იერუსალჱმსა და ქალაქთა იუდაჲსთა და ქალაქთა მთისათა და ქალაქთა სეფელაჲსათა და ქალაქთა ნაგებისთა, და მოვაქციო ტყუეჲ მათი, თქუა უფალმან.

G

41. და მოვიძინე იგინი და ვიხარებდე მე მათ ზედა კეთილის ყოფასა შინა ჩემგან მათსა და დავჰნერგნე იგინი ქუეყანასა ამას ზედა ჭეშმარიტებითა და ყოვლითა გულითა ჩემითა და ყოვლითა სულითა ჩემითა.

42. და ესრეთ თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაელისამან: ვითარცა მოვაწიენ ერსა ამას ზედა ყოველნი ესე დიდნი ძჳრნი, ეგრეთ მოვაწინე მე მათ ზედა ყოველნი კეთილნი, რომელნი მე ვთქუენ მათ ზედა.

43. და მოიგნენ მერმეცა აგარაკნი ქუეყანას შინა, რომელსა შენ იტყჳ, ვითარმედ: უფალ არს კაცთაგან და საცხოვართა და განეცნეს ჴელსა ქალდეველთასა.

44. და მოიგნენ აგარაკნი ვეცხლითა, და დაიწეროს წიგნსა შინა და დაიბეჭდოს, და იწამებდენ მოწამეთა ქუეყანასა შინა ბენიამენისსა და გარემოჲს იერუსალემსა და ქალაქთა შორის იუდაჲსთა და ქალაქთა შორის მთისათა და ქალაქთა შორის სეფილაჲსთა და ქალაქთა შორის ნაგევისთა, რამეთუ მოვაქცინე განსახლვანი მათნი, თქუა უფალმან.

33

J

1. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ მეორედ იერემიაჲსა მიმართ, და იგი კრულლა იყო ეზოსა შინა საპყრობილისასა:

2. ესრე თქუა უფალმან, რომელმან დაჰბადა ქუეყანაჲ და შექმნა იგი, აღმართებად იგი, უფალი სახელი მისი.

G

1. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ მეორედ იერემიას მიმართ, და იგი იყო კრულ ეზოსა შინა საპყრობილისასა. მეტყუელი:

2. ესრეთ თქუა უფალმან, შემქმნელმან ქუეყანისამან. და განმზეელელმან მისმან, აღმართებად იგი, უფალ სახელი მისი.

---

41. ვიხარებდე] + მე O. რაჲთა] რაჲამს O. და (2)] — J. ქუეყანასასა O. და ყოვლითა სულითა ჩემითა] — J. 42. ესრე O. „ყოველი“ (1) ჩამატებულია J-ში. ძჳრი] + ესე O. ეგრე] — ვე O. რომელ] რომელი + მე O. 43. მერმჱ O. საცხოვართაგან O. 44. აგარაკნი] + ამას ადგილსა O დაებეჭდოს O. ბენიამენისსა] შინა მისსა J, ბენისსა O (ექარაგმოა). სეფელაისთა O. ნაგებისთა] ნაგესთა, „ტყუეჲ“-ს ენი ჩამატებულია O-ში, ტყუე.

33.2. ესრე] და O. უფალმან] + ესრე იტყჳს უფალი O. უფალი O.

42. ისრაელისა˝მნ W. 44. იერუსალემსა ასეა W-ში.

33.1. იერემიას W. მეტ˝ჱლი W. 2. ქეეყანისაგან W.

J

3. ჴმა-ყავ ჩემდამო, და მე მიგიგო შენ და გითხრნე შენ დიდ-დიდნი და ძლიერნი, რომელ არა იცოდენ (იგინი).

4. რამეთუ ესრე თქუა უფალმან, ღმერთმან ისრაჱლისამან სახლთათჳს ამის ქალაქისათა და სახლისათჳს მეფისა იუდაჲსისა დარღუევად არდაბაგებისა და საბრძოლთა მახჳლისათჳს ზედა-მიმავალთაჲსა.

5. ბრძოლად ქალდეველთასა და აღვსებად მისა მკუდრებითა კაცთაჲთა, რომელ მოვსრნე გულის-წყრომითა ჩემითა და რისხვითა ჩემითა გარე-მივიქციე პირი ჩემი მათგან ყოველთა უკეთურებათა მათთათჳს.

6. [O : 274 r] აჰა ესერა მე განვაშორო მას მახჳლი და ესერა მოვავლინო მის ზედა შებრძჳნებაჲ; ულხინო და განვკურნნე იგინი და ვყო მათთჳს მშჳდობა და სარწმუნოება,

7. და მოვაქციო ტყუჱ იუდაჲსი და ტყუჱ ისრაჱლისაჲ და აღვაშენნე იგინი, ვითარცა პირველად.

8. და განვწმიდნე იგინი ყოველთა უშჯულოებათა მათთაგან, რომელ შემცოდეს მე, და არა მოვიჴსენნე ცოდვანი მათნი, რომელ შემცოდეს მე, და ულხინო ცოდვათა მათთა, რომლითა განდგეს ჩემგან.

9. და იყოს იგი ჩემდა სახელ სიხარულის და საქებელად და განსადიდებელად ყოველთაგან ნათესავთა ქუეყანისათა, რომელთა ესმეს ყოველი ესე კეთილი, რომელ მე ვყო მათთჳს, შეეშინოს და დაუკჳრდეს და განმწარდენ ყო-

G

3. ჴმა-ყავ ჩემდამო, და მოგიგო მე შენ და მიგითხრნე შენ დიდნი და ძლიერნი, რომელნი არა იცოდენ იგინი.

4. რამეთუ ესრეთ თქუა უფალმან, ღმერთმან ისრაელისამან სახლთათჳს ამის ქალაქისათა და სახლისათჳს მეფისა იუდაჲსსა დარღუეულთათჳს პატნეზებად და წინსაბრძოლებად და მახჳლისათჳს მომავალისა.

5. ბრძოლად ქალდეველა მიმართ და აღვსებად იგი მკუდართაგან კაცთა, რომელნი მოვსრენ რისხვითა ჩემითა და გულის-წყრომითა ჩემითა და მივიქციე პირი ჩემი მათგან ყოველთა უკეთურებათა მათთათჳს.

6. აჰა მე აღვიღებ მათ ზედა მახჳლსა და აჰა მე მოვაწრო მათ ზედა შებრძჳლვაჲ და კურნებაჲ და განვკურნნე იგინი და ვყო მათთჳს მშჳდობაჲ და სარწმუნოებაჲ,

7. და მოვაქციო განსახლვაჲ იუდაჲსი და განსახლვაჲ იერუსალიმისაჲ და აღვაშენნე იგინი, ვითარცა პირველ.

8. და განვწმიდნე იგინი ყოველთაგან სიცრუეთა მათთა, რომელნი შემცოდნეს მე, და არ მოვიჴსენო ცოდვათა მათთა. რომელნი შემცოდნეს მე, და ულხინო ცოდვათა მათთა, რომელთა მიერ განდგეს ჩემგან.

9. და იყვნენ ჩემდა სახელად სიხარულისა და საქებელად და განსადიდებლად ყოველთა მიერ ნათესავთა ქუეყანისათა, რომელთა ესმნენ ყოველნი კეთილნი, რომელთა მე უყოფ მათ; და განჰკრთენ და განმწარდენ ყოველთათჳს

---

3. იგინი] — J. 4. არდაბაგებისა და საბროლთა] არდაბაგები და საბრძოლად O. 5. ქალდეველთასა] ქალდეველთა + მიმართ O. გარე მოვიქციჱ J. უკეთურებათა მათთჳს] უკეთურებათთჳს O. 6. მას] მათ O. ესერა] აჰა ესერა O. შებრძჳნებაჲ] შეძრწუნებაჲ O (მცდ.) განვკორნნე J. მშჳდობაჲ O. საწმუნოებაჲ O. 7. ტყუე O. ისრაჱლისაჲ] იერუსალჱმისაჲ O. აღვაშჱნნე O. 9. სდაბ´ლად J, გ(ნ] (?) ჩამატებულია თითქოს ზემოთ J-ში. ესმჱს O. შეეშინა O. დაუკჳრდა O. ყოველთათჳს კეთილთა] ყოველთა კეთილთათჳს O.

3. ჴმა-ყავ] ხოლო და ყავ W. შდრ. *κέκραξον* 4. ისრაელისამან W. 5. რისხჳთა W. მივიქციე W. 6. შებრძჳლვა W. მშჳდობა W. 7. განსახლვა W. იერუსალიმისაჲ W. (უქარაგმოა). 8. მათთა (2)] მათთაჲ W. იერუსალიმისა W (უქარაგმოა).

J

ველთათჳს კეთილთა და ყოვლისა მშჳდობისათჳს, რომელ მე ვყო მათთჳს.

10. ესრე თქუა უფალმან: მერმე ისმესლა ამას ადგილსა, რომლისათჳს თქუენ იტყჳთ: ოჴერ არს კაცთაგან და საცხოვართაგან ქალაქთა შინა იუდაჲსთა და გარემო იერუსალჱმსა, აღოჴრებულთა არაყოფისაგან კაცთაჲსა და საცხოვართაჲსა.

11. ჴმაჲ სიხარულისაჲ [ფ. 39], [ჴმაჲ მხიარულებისაჲ], ჴმაჲ სიძისაჲ და [ჴმაჲ] სძლისაჲ [და] ჴმაჲ მეტყუელთაჲ: აუვარებდით უფალსა მერთისამპყრობელსა, რამეთუ სახიერ არს უფალი, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი. და შეწირონ გალობაჲ უფროჲს სახლსა უფლისასა, რამეთუ მოვაქციო ტყუჱ ამის ქუეყანისაჲ, ვითარცა პირველად, თქუა უფალმან.

12. [O : 274v] ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: რამეთუ იყოს ამას ადგილსა, აოჴრებულსა არაყოფისაგან კაცთაჲსა და საცხოვართაჲსა, და ყოველსა შინა ქალაქსა მისსა სადგური მწყემსთაჲ, დამადგინებელთა სამწყსოჲსა მათისათაჲ.

13. ქალაქთა მთისათა და სეფელაჲსათა და ქალაქთა ნაგებისთა და ყოველსა ქუეყანასა ბენიამენისსა და გარემოთა იერუსალჱმისათა [და] ქალაქთა იუდაჲსთა მერმე წარმოჴდეს ცხოვარი ჴელითა აღმრაცხველისაჲთა, თქუა უფალმან.

14. აჰა ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და დავამტკიცო სიტ-

G

კეთილთა და ყოვლისათჳს მშჳდობისა, რომელსა მე უყოფ მათ.

10. ესრე თქუა უფლმან: მერმეცა ისმეს ადგილსა მას, რომლისათჳს თქუენ იტყჳთ: უდაბნო არსო კაცთაგან და საცხოვართა ქალაქებსა შინა იუდაჲსსა და გარემოჲს იერუსალიმისა, მოოჴრებულთა არყოფისაგან კაცთა და საცხოვართაჲსა.

11. ჴმაჲ სიხარულისაჲ და ჴმაჲ მხიარულებისაჲ, ჴმაჲ სიძისაჲ და ჴმაჲ სძლისაჲ, ჴმაჲ მეტყუელთაჲ: აღუვარებდით უფალსა ყოვლისა-მპყრობელსა, რამეთუ სახიერი უფალი, რამეთუ საუკუნეთა არს წყალობაჲ მისი. და შეიხუნენ ძღუენნი ლხინებისათჳს სახიდ უფლისა, რამეთუ მოვაქციო განსახლვაჲ ქუეყანისა მის ყოველი პირველებრვე, თქუა უფალმან.

12. ესრეთ იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ: მერმეცა იყოს ადგილსა ამას უდაბნო-ქმნილსა არყოფითა კაცთა და საცხოვართაჲთა, და ყოველთა შინა ქალაქთა მისთა სავანებთა მწყემსთასა და მაწვენელთა სამწყსოთა მათთასა.

13. ქალაქთა შორის მთით კერძოთა და ქალაქთა სეფილაჲსთა და ქალაქთა ნაგევისათა და ქუეყანასა შინა ბენიამენისსა და გარემოჲსთა შორის იერუსალემისათა და ქალაქთა შორის იუდაჲსთა მერმე წარჴდენ ცხოვარნი ჴელსა ზედა მრიცხუველისასა, თქუა უფალმან.

14. აჰა დღენი მოვლენ, იტყჳს უფალი, და აღვადგინო სიტყუაჲ ჩემი კე-

10. მერმელა ესმჱს O. ქალაქებსა O. იუდაჲსსა O. 11. ჴმაჲ მხიარულებისაჲ] — J. ჴმაჲ (3)] — J. და (2)] — J. აღუვარებდით O. შეწირონ გალობაჲ უფროჲს სახლსა] შეირწყნარონ უფროჲს გალობისა სახელსა O 12. იტყჳს უფალი ძალთაჲ. ღმერთი ისრაჱლისაჲ] თქუა უფალმან ძალთამან ღმერთმან ისრაჱლისამან O. იყოს] იტყჳს O. აღოჴრებულსა O. დამადგინებელთაჲ O. მათისათა O. 13. და (1) — O. გარემო O. იერუსალჱმსა O. და (5)] — J. მერმჱ O. აღმრაცხველისაჲთა] მრიცხუეველისაჲთა O.

11. სიხარულისა W. სიძისა W. მეტყუჱლთა W. უფლისა] ო˜ჲ W 12. ისრაილისაჲ W (უქარაგმოა). 13. იერუსალემისათა W (უქარაგმოა). მრიცხეელისასა W. 14. ისრაელსა W.

J

ყუაჲ ჩემი კეთილი, რომელ ვთქუ სახ-
ლსა ზედა ისრაჱლისასა და სახლსა ზე-
და იუდაჲსსა.

15. მათ დღეთა შინა და მას ჟამსა
აღმოუვლინო დავითს აღმოსავლი მარ-
თალი, და ყოს განკითხვაჲ და სიმართ-
ლე ქუეყანასა ზედა.

16. მათ დღეთა შინა იჴსნეს ჳურია-
სტანი, და იერუსალჱმი დაეშენოს სა-
სოვებით, და სახელი ესე, რომელ ერ-
ქუა[ს] უფალი სიმართლე ჩუენდა.

17. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი:
არა მოაკლდეს დავითისი კაცი, მჯდო-
მარჱ საყდარსა ზედა სახლისა ისრაჱ-
ლისასა.

18. და მღდელთა ლევიტელთა არა
მოაკლდეს კაცი პირისაგან ჩემისა, შე-
წირველი მსხუერპლისაჲ და მკუმეველი
საკუმეველისაჲ და მყოფელი საკუერ-
თხთაჲ ყოველთა დღეთა.

19. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იე-
რემიაჲსა მიმართ და ჰრქუა.

20. ესრე იტყჳს უფალი: უკუეთუ
განქარდეს აღთქუმაჲ ჩემი დღისაჲ და
[O:275r] აღთქუმაჲ ჩემი ღამისაჲ არა-
ყოფად დღისა და ღამისა ჟამსა მათსა.

21. და იგიცა აღთქუმაჲ ჩემი გან-ვე-
ქარდეს, რომელ არს დავითის თანა,
მონისა ჩემისა. არაყოფად მისა შვილი
მეუფჱ საყდარსა ზედა [ფ. 40] მისსა.
და მღდელთაჲ და ლევიტელთაჲ, მსა-
ხურთა ჩემთაჲ.

22. ვითარცა ვერ აღირაცხოს ძალი
ცისაჲ, ვერცა აღიწყოს მქჳშაჲ ზღჳსაჲ,
ეგრე განვამრავლო ნათესავი დავითისი—
მონისა ჩემისაჲ, და ლევიტელთაჲ, მსა-
ხურთა ჩემთაჲ.

G

თილი, რომელი ვთქუ სახლსა ზედა
ჩემსა ისრაელისასა და სახლსა ზედა
იუდაჲსსა.

15. და მათ დღეთა შინა და მას ჟამ-
სა შინა აღმოუვლინო დავითს აღმოსა-
ვალი მართალი, და ქმნას მსჯავრი და
სიმართლე ქუეყანასა ზედა.

16. მათ დღეთა შინა ცხონდეს იუ-
დეა, და იერუსალემი დაემკვდროს სა-
სოებით, და ესე სახელი, რომელი ეწო-
დოს: უფალი სიმართლე ჩუენი.

17. რამეთუ ამათ იტყჳს უფალი:
არა მოაკლდეს დავითს მამაკაცი, მჯდო-
მარე საყდარსა ზედა სახლისა ისრაი-
ლისასა.

18. და მღდელთა ლევიტელთა არა
მოაკლდეს მამაკაცი პირისაგან ჩემისა,
აღმომრთმელი ყოვლად-დასაწუველისაჲ
და მკუმეველი საკუმეველისაჲ და მყო-
ფელი საკუერთხსა ყოველთა დღეთა.

19. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ იე-
რემიაჲსა მიმართ, მეტყუელი.

20. ამათ იტყჳს უფალი: უკუეთუ
განქარდეს აღთქუმაჲ ჩემი დღისაჲ და
აღთქუმაჲ ჩემი ღამისაჲ არყოფითა
დღისა და ღამისაჲთა ჟამსა შინა მათსა

21. და აღთქუმაჲცა ჩემი განქარდეს
დავითის თანა, მონისა ჩემისა, არყოფად
მისა ძე, მმეფობი საყდარსა ზედა მის-
სა და მღდელთა მიმართ და ლევიტელ-
თა, მწირველთა ჩემთა.

22. ვითარცა ვერ აღირაცხვის ძალი
ცისაჲ, ვერცა აღითუალვის ქჳშაჲ
ზღჳსაჲ, ეგრეთ განვამრავლო თესლი
დავითის, მონისა ჩემისაჲ, და ლევი-
ტელთა, მწირველთა ჩემთაჲ.

---

15. მას ჟამსა] მათ ჟამთა O. სიმართლჱ O. 16. დღჱთა J. იჴსნას O. დაეშენოს] აღეშჱნოს O. სასოებითი O. ~ ესე სახელი O. ერქუა J, „რ“, ჩამატებულია J-ში. სიმართლჱ O 17. მჯდომარე O. საყდართა O. სახლსა O. 18. ლევიტელთაჲ JO. საკუმევლისაჲ O. საკუერთხთა J. დღჱთა JO. 21. საყდართა ზედა მისა] საყართა მისთა ზედა O. მღდელთაჲ და ლევიტელთაჲ] მღდელთა მიმართ და ლევიტელთა და O. ჩემთა O. 22. ქჳშაჲ O. დავითის J. ლევიტელთა O.

16. იერუსალემი W. (უქარაგმოდ). 18. ლევიტელთაჲ W. ყ͠დ დასაწველისაჲ W. 19. სი-
ტყვა W. იერემისაჲ W. 20. აღთქმაჲ W. 21 აღთქმაცაჲ W. მისა]მისსა W. 22. აღითვალვის W.

J

23. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲსა მიმართ, და ჰრქუა.

24. ანუ არა-მე იხილე, რასა იტყჳს ერი ესე, და თქუა: ორნი ესე ტომნი, რომელ გამოირჩინა უფალმან მათ შინა, და აჰა ესერა განიშორნა იგ-ნი: და განარისხეს ერი ჩემი არაყოფად; მერმე ნათესავად წინაშე ჩემსა.

25. ესრე იტყჳს უფალი: უკუეთუ აღთქუმაჲ ჩემი დღისაჲ და ღამისაჲ, განწესებაჲ ცისაჲ და ქუეყანისაჲ არა განმიგიეს,

26. უკუე ნათესავიცა იაკობისი [და] დავითისი, მონისა ჩემისაჲ, შეურაცხ-ვყო, არა მოუღო მთავარი თესლისაგან მისისა ნათესავისა მიმართ აბრაჰამისასა, ისაკისისა და იაკობისასა; რამეთუ მოვაქციო მოსაქცეველი მათი და შევიწყალნე იგინი.

G

23. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲს მიმართ, მეტყუელი:

24. არა სამე იხილეა, რაჲ ერმან ამან თქუა, მეტყუელმან: ორნი ტომნი, რომელნი გამოირჩინა უფალმან მათ შორის, და აჰა განიშორნა იგინი, და განაძჳნეს ერი ჩემი არყოფად მერმე ნათესავად წინაშე მათსა.

25. ამათ იტყჳს უფალი: უკუეთუ აღთქუმაჲ ჩემი დღისა და ღამისაჲ, სიმკაცრენი ცისა და ქუეყანისანი არ განვაწესენ,

26. თესლიცა სამე იაკობისი და დავით მონისა ჩემისაჲ გამოუცდელ-ვყო არმოყვანებად მთავარი თესლისაგან მისისა ნათესავისა მიმართ. აბრაჰამისსა და ისაკისსა და იაკობისსა; რამეთუ მოვაქციო მოქცევაჲ მათი და შევიწყალნე იგინი.

34

J

1. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემიაჲსა მიმართ უფლისაგან, და ნაბუქოდონოსორ მეფჱ ბაბილოვნისაჲ და ყოველი ერი მისი და ყოველნი მეუფენი მთავრობისა მისისანი და ყოველნი ერნი ჰბრძოდეს იერუსალჱმსა და [O : 275 v] ყოველთა ქალაქთა იუდაჲსთა

2. და თქუა უფალმან: მიგუალე, სედეკიაჲსა, მეფისა იუდაჲსა, და არქუ მას: ესრე იტყჳს უფალი: მიცემით მიეცეს ქალაქი ესე ჴელთა მეფისა ბაბი-

G

1. სიტყუაჲ, ქმნილი იერემიაჲს მიმართ უფლისა მიერ, და ნაბუქოდონოსორ მეფე ბაბილონისაჲ და ყოველი ლაშქარი მისი და ყოველნი მეფობანი ქუეყანისა მთავრობისა მისისანი და ყოველნი ერნი ჰბრძოდეს რაჲ იერუსალიმსა ზედა და ყოველთა ქალაქთა იუდაჲსთა.

2. ესრეთ თქუა უფალმან ისრაილისამან: ვლე სედეკიაჲს მიმართ. მეფისა იუდაჲსსა, და სთქუა მას მათდამი: ესრეთ თქუა უფალმან: განცემით განეცეს

---

24. იხილჱ O. იცია O. ~ ერი ესე რასა იტყჳს O. თქუან O. „ნ“ ჩამატებულია O-ში. განიშორნა O. იგინი] იგი O. 25. დღისა O. ცისა O. არა] + თუ O. 26. უკუჱ J, უკუეთუ O. და (1)] — O. დავითისთჳს O. ჩემისა O. მოუღო მთავარი] მოღებად მთავარისა O. „მთავარისა“-ს O ჩამატებულია J-ში. აბრაჰამისა O. ისაკისისა და იაკობისასა] ისაკის და იაკობისა O.

34.1. ბაბილონისაჲ O. მეუფენი] მეფენი + ქუეყანისა O. 2. ჰრქუა] + ესრე იტყჳს უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ O. უფალმან] — O. სედეკია O. იტყჳს უფალი] თქუა უფალმან O. მიეცა O. ბაბილონისათა O.

24. სამე] სადმე W. 25. აღთქმაჲ W. ღამისა W. 26. სადმე W.

34.1. სიტყვუა W.

J

ლოვნისათა, და დაიპყრას იგი და დაწუას იგი ცეცხლითა.

3. და შენ არა განერე ჴელისაგან მისისა, რამეთუ შეპყრობით შეიპყრა და ჴელთა მისთა მიეცე, და თუალთა შენთა თუალნი მისნი იხილნენ, და პირი მისი პირსა შენსა ეტყოდის, და ბაბილონდ შეხვდე.

4. არამედ ისმინენ სიტყუანი უფლისანი, სედეკია, მეფეო იუდაჲსო: ესრე თქუა უფალმან: არა მოჰკუდე მახვლითა, [არამედ]

5. მშვდობით მოჰკუდე, და ვითარცა სტიროდე მამათა შენთა, რომელნი მეუფებდეს პირველად შენსა, ეგრე გტიროდიან შენცა: ვაჲ, უფალო! და გეტყებდენ შენ, რამეთუ დიდ-დიდი ვთქუ მე, თქუა უფალმან [ფ. 41].

6. და იტყოდა იერემია წინაწარმეტყუელი სედეკიაჲსა მიმართ, მეფისა იუდაჲსა, ყოველთა ამას სიტყუათა იერუსალჱმს შინა.

7. და ძალი მეფისა ბაბილოვნისაჲ ჰბრძოდა იერუსალჱმსა ზედა და ქალაქებსა იუდაჲსსა. დაშდომილთა ლაქის ზედა და აზეკსა ზედა, რამეთუ იგინი დაშთეს ქალაქთაგან იუდაჲსთა ქალაქად მტკიცედ.

8. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემიაჲსა მიმართ უფლისა მიერ, ოდეს-იგი აღასრულა მეფემან სედეკია აღთქუმაჲ ერისა მიმართ, რომელ იყო იერუსალჱმს შინა თქუმად მათა მიტევებად.

9. რაჲთა განავლინოს კაცად-კაცადმან მჴეველი თვსი, ებრაელი თავისუფ-

G

ქალაქი ესე ჴელთა მეფისა ბაბილონისათა. და გამოიღოს იგი და დაწუას იგი ცეცხლითა.

3. და შენ არ განერე ჴელისაგან მისისა, რამეთუ შეპყრობით შეპყრობილ იქმნე და ჴელთა მისთა მიეცე, და თუალთა შენთა თუალნი მისნი იხილნენ, და პირი მისი პირისა შენისა თანა იტყოდის, და ბაბილონდ შეხვდე.

4. არამედ ისმინე სიტყუაჲ უფლისაჲ, სედეკია, მეფეო იუდაჲსო: ესრეთ თქუა უფალმან, არა მოჰკუდე მახჳლითა.

5. მშვდობით მოჰკუდე, და ვითარცა სტიროდეს მამათა შენთა, მეფე-ყოფილთა უპირატეს შენსა, ეგრეთ გტიროდინ შენცა: ვაჲ, ვაჲ, უფალო! და ჯოჯოხეთამდე გეტყებდენ შენ, რამეთუ დიდნი ვთქუენ, თქუა უფალმან.

6. და იტყოდა იერემია წინაჲსწარმეტყუელი სედეკიაჲს მიმართ, მეფისა იუდაჲსსა, ყოველთა ამათ სიტყუათა იერუსალიმს შინა.

7. და ძალი მეფისა ბაბილონისაჲ ჰბრძოდა იერუსალიმს ზედა და ქალაქთა ზედა იუდაჲსთა: დაშთომილთა ლაქისა ზედა და აზიკასა, რამეთუ ესენი დაშთეს ქალაქთა შორის იუდაჲსთა ქალაქნი მტკიცენი.

8. სიტყუაჲ, ქმნილი იერემიაჲსა მიმართ უფლისა მიერ შემდგომად სრულყოფისა მეფისა სედეკიაჲსაგან აღთქუმასა ერისა მიმართ იერუსალიმს შინაჲსა წოდებისათჳს მიტევებისა.

9. რაჲთა განავლინოს კაცადმან ყრმაჲ თჳსი და კაცადმან ყრმაჲჲ თჳსი

3. ჴელისაგან მისისა] ჴელთა მისთა O. 4. არამედ] — J. 5. მოჰკუდე] მოხვდე O. სტიროდეს O. რომელნი მეუფებდეს პირველად] რომელ მეფობდეს პირველ O. გტიროდიან შენცა] ტიროდიან შენთჳსცა O. გეტყოებდენ] გეტყოდიან O (მცდ.) 6. და] — O. სედეკიაჲს O. 7. ბაბილონისაჲ O. დაშთომილთა O. ლაქისსა O. 8. უფლისა მიერ] უფლისაგან O. მეფეჱმან O. რომელი O. მათა მიტევებაჲ] მათდა მიეტევებაჲ O. 9. განავლინოს] განარინოს O. და კაცად-კაცადმან მჴეველი თჳსი] — O. ებრაელი] ებრაეანი ებრალი O. მათ]მას O.

3. შეპყრობილ იქმნა W. თვალთა W. თვალნი W. ბაბილონად W. 4. სიტყ῀ა W. 5. ვსთქუჱნ W. 6. სიტყვათა W. იერუსალიმს W (უქარაგმოდ). 7. ძალი]რომელი (რ῀ლი) W. ლაქისსა W. აზიკასსა W. 8. სი῀ტყა W ო῀ჲ W. 9. ებრაელნი W. ძმასა მათსა] ძმა მათი W.

J

ლად, რაჲთა არა ჰმო [O : 276 r] ნებდეს მათ კაცი ისრაჱლისაგანი.

10. ისმინეს და მოიქცეს ყოველნი მდიდარნი და ყოველნი ერნი, [რომელნი] მოვიდეს აღთქუმასა მას განვლინებად კაცად-კაცადი მონისა თჳსისა და კაცად-კაცადი მჴევლისა თჳსისა, რაჲთა არღარა დაიმონნენ იგინი მერმე; და ისმინეს და განავლინნეს.

11. და მოიქცეს შემდგომად განვლინებისა მის და უკუნ-იქცინნეს მონანი და მჴევალნი, რომელნი-იგი განავლინნეს თავისუფლებად, და შეიდგინებდეს მათ მონად და მჴევლად.

12. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲსა მიმართ, და ჰრქუა.

13. ესრე თქუა უფალმან ღმერთმან ისრაჱლისამან: მე დავდევ აღთქუმაჲ ესე მამათა თქუენთა მიმართ დღესა მას, რომელსა განვარინენ იგინი ქუეყანისა მისგან ეგჳპტისა, სახლისაგან კირთებისაჲსა.

14. რაჟამს აღესრულოს ექუსი წელი, განავლინო ძმაჲ შენი. ებრ[ა]ელი, რომელ მიგეყიდოს შენ: ექუსსა წელსა გიქმოდის შენ, და განავლინო იგი განთავისუფ[ლ]ებული შენგან. და არა ისმინეს ჩემი მამათა თქუენთა და არა მოიდრიკეს ყური მათი.

15. მოიქცეს დღეს ყოფად კეთილისა წინაშე თუალთა ჩემთა თქუმად მიტევებად თითოეულად მოყუსისა თჳსისათჳს და აღასრულეს აღთქუმაჲ წინაშე პირსა ჩემსა შორის სახლსა მას, რომელსა ზედა წოდებულ იყო სახელი ჩემი მას ზედა.

G

ებრაელი და ებრაელაჲ, თავისუფალნი, რაჲთა არა ჰმონებდენ იგინი კაცსა იუდაჲსაგან, ძმასა მათსა:

10. და მოიქცეს ყოველნი დიდებულნი და ყოველი ერი, შესრულნი აღთქუმასა თანა განვლინებად კაცადი ყრმისა თჳსისა და კაცადი ყრმაა [ჲსა] თჳსისა, კაცი ებრაელი, დედაკაცი ებრაელი, რაჲთა არ დაიმონნენ იგინი მერმე: და ისმინეს და განავლინნეს

11. და მოაქ[ც]იეს შემდგომად განვლინებისა მის და უკუნ-იქცნეს ყრმანი და ყრმაანი, რომელნი განევლინნეს თავისუფლად და დაუტევებდეს მათ ყრმებად და ყრმააებად.

12. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲს მიმართ, მეტყუელი.

13. ესრეთ [13] თქუა უფალმან ღმერთმან ისრაილისამან: მე დავდევ აღთქუმაჲ მამათა თქუენთა მიმართ, რომელსა დღესა განვარინებ მათ ქუეყანისაგან ეგჳპტისაჲსა, სახლისაგან მონებისა, მეტყუელი.

14. ოდეს განესრულოს შჳდი წელი; განავლინო ძმაჲ შენი ებრაელი, რომელ მიგეყიდოს შენ და გიქმოდის შენ ექუს წელ, და განავლინო იგი თავისუფლად შენგან. და არა მერჩდეს მე მამანი თქუენნი და არა მოყვეს ყური მათი.

15. და მოიქეცით დღეს ქმნად სიწრფოჲ წინაშე თუალთა ჩემთა, წოდებად კაცადისაგან მიტევებაჲ მოყუსისა თჳსისა და სრულ ჰყავთ აღთქუმაჲ წინაშე პირსა ჩემსა სახლსა შინა, სადა წოდებულ არს სახელი ჩემი მის ზედა.

---

10. ყოველი ერი O. რომელნი J — J. „მონისა“-ს ონი ჩამატებულია J-ში. დაემონნენ O. მერმჱ O. ისმინნეს O. 11. მოაქციეს O. უკუნ-იქცინეს O. განევლინნეს O. თავისუფლად O. და შეიდგინებდეს] დაუტევებდეს O. 13. „მისგან“-ის „მის“ ჩამატებულია J-ში. სახლისაგან კირთებისაჲსა] სახლისა მისგან კირთებისაჲსა + ვარქუ O. 14. ებრაელი J და (1)] + მეექუსისა წლისა შემდგომად O. განთავისუფლებული J. თავისუფლად O მათი] + და O. 15. მოიქცეს] და მოიქცეს O. „მოიქცეს“ კიდეზეა დაწერილი წვრილი ხელით J-ში. დღჱს O. მიტევებაჲ O. აღასრულჱს O.

10. აღთქმასა W. ყრმააჲ W. 11. მოაქციეს W. განევლენნეს W. ყრმეაებად W. 12. სიტყვა W. 13. თქვა W. აღთქმაჲ W. 14. მოყუჱსა W. 15. თვალთა W. მიტევება W. აღთქმაჲ W.

J

16. და მოაქციეთ და შეაგინეთ სახელი ჩემი და უკუნ-[O : 276 v] იქციეთ კაცად-კაცადმან მონაჲ თჳსი და კაცად-კაცადმან მჴევალი თჳსი, რომელნი [ფ. 42]-იგი განავლინენით თავისუფლად მათა, და დაიმორჩილენით იგინი, რაჲთა იყვნენ თქუენდა მონად და მჴევლად.

17. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი: თქუენ არა ისმინეთ ჩემი თქუმად მიტევებაჲ კაცად-კაცადმან ძმასა თჳსსა და კაცად-კაცადმან მოყუასსა თჳსსა. აჰა ესერა გიწოდე თქუენ, თქუა უფალმან, მიტევებად თქუენდა მახჳლისა და სიკუდილისა და სიყმილისა და მიგცნე თქუენ განსაბნეველად ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა.

18. და მივსცნე კაცნი იგი გარდამავალნი აღთქუმისა ჩემისანი, [რომელთა არა დაამტკიცნეს სიტყუანი აღთქუმისა ჩემისანი], რომელ ყვნეს წინაშე პირსა ჩემსა: ჯბოი იგი, რომელ განყვეს ორგან, და განჴდეს საშოალ ნაკუეთთა მისთა.

19. მთავართა იუდაისთა და მთავართა იერუსალჱმისათა, მდიდართა და მღდელთა და ყოველმან ერმან ქუეყანისამან, რომელთა იგი განჴდეს საშოალ ნაკუეთთა მათ ჯბოჲსათა;

20. და მივსცნე იგინი ჴელთა მეძიებელთა სულთა მათისათა და ჴელთა მტერთა მათთასა და მივსცე მძორები მათი საჭმლად მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა.

G

16. და მიაქციეთ და შეაბილწეთ სახელი ჩემი უკუნ-ქცევით კაცადისაგან ყრმისა თჳსისა და კაცადისაგან ყრმაჲსა თჳსისა, რომელნი განავლინენით თავი-უფლად სული მათი და დაიმორჩილენით იგინი ყოფად თქუენდა ყრმებად და ყრმაებად.

17. ამისთჳს ამას იტყჳს უფალი: თქუენ არა ისმინეთ ჩემი წოდებად მიტევებაჲ კაცადმან ძმისა თჳსისაჲ და კაცადმან მოყუსისა თჳსისაჲ. აჰა მე გიწოდ[ე] თქუენ მიტევებად, თქუა უფალმან, მახჳლისადმი და სიკუდილისა და სიყმილისა.

18. და მიგცნე თქუენ განსათესველად ყოველთა მეფობათა ქუეყანისათა და მივსცნე კაცნი იგი. გარდამავალნი მცნებისა ჩემისანი არდამამტკიცებელნი სიტყუათა აღთქუმისა ჩემისათა, რომელ ყვეს წინაშე პირსა ჩემსა: ჯბოჲ რომელ ქმნეს საქმედ მისა, და გარდამავალნი შორის ორ განკუეთილებასა მისსა,

19. მთავართა იუდაჲსთა და მთავართა იერუსალიმისათა, ძლიერთა და მღდელთა და ყოველმან ერმან ქუეყანისამან, განმვლელთა საშუალ ორ განკუეთილებათა ჯბოჲსათა.

20. და მივსცნე იგინი ჴელსა მეძიებელთა სულისა მათისათასა და ჴელსა მტერთა მათთასა და მივსცნე მძორნი მათნი საჭმელად მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა.

---

16. კაცად-კაცადმან მონაჲ თჳსი და] — O. მათდა O. იყვნენ] + იგინი O. მონად და მჴევლად] მონებ და მჴევლებ O. 17. „მიტევებაჲ" ჩამატებულია J-ში. აჰა ესერა] + მე O. ~ მიტევებად, თქუა უფალმან O. თქუენდა] — O. და სიკუდილისა] — O. მახჳლსა, სიყმილსა O. მეფჱთა O. 18. რომელთა არა დამტკიცნეს სიტყუანი აღთქუმისა ჩემისანი] — J. ყვეს J. საშუვალ O. 19. იერუსალჱმისათა] ისრაჱლისათა O. და (2)] — O. 20. სულისა J.

16. ყრმაჲს, W ყრმეებად W. 17. მიტევება W. გიწოდ W. 18. სიტყ῀ჲთა W. ყუჱს W. ქმნნეს W. მისსა W.

J

21. და სედეკია მეფჱ ჰურიასტანისაჲ და მთავარნი მისნი მივსცნე ჴელთა მტერთა მათთასა და ჴელთა მეძიებელთა სულისა მათისათა და ჴელთა ძალისა მეფისა ბაბილოვნისა, ოტებულთასა მათგან.

22. აჰა ესერა მე უბრძანო მათ, იტყჳს უფალი, [O : 277 r] და უკმოვაქცინე იგინი ამასვე ადგილსა, და ჰბრძონ მას და დაიპყრან იგი და დაწუან იგი ცეცხლითა, და ქალაქნი იუდაჲსნი მივსცნე განსარყუნელად არაყოფისაგან მკჳდრთაჲსა.

G

21. და სედეკია, მეფე იუდაჲსაჲ, და მთავარნი მისნი მივსცნე ჴელსა მტერთა მათთასა და ჴელსა მეძიებელთა სულისა მათისათასა და ჴელსა ძალისა მეფისა ბაბილონისასა, მლტოლველნი მათგან.

22. აჰა მე უწესო მათ, იტყჳს უფალი, და უკმოვაქცინე იგინი ქალაქად ამად, და მბრძოლისმყოფელთა მის ზედა დაიპყრან იგი და დაწუან ცეცხლითა, და ქალაქნი იუდაჲსნი, მივსცნე იგინი განსაქარვებლად არყოფისათჳს მკჳდრთაჲსა.

35

J

1. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემიაჲსა მიმართ უფლისა მიერ დღეთა იოაკიმისთა, ძისა იოსიაჲსთა, მეფისა იუდაჲსთა, და თქუა:

2. მიგუალე სახლსა რექაბისსა და მოუწოდე მათ და შეიყვანენ იგინი სახლსა უფლისასა, ერთსა ეზოთაგანსა და ასუ მათ ღჳნოჲ.

3. და მოვიყვანე ეზონია, ძჱ იერემიაჲსი, ძჱ ქაბაზისი, და ძმანი მისნი და ყოველნი სახლი რექაბისი,

4. [ფ. 43] და შევიყვანენ სახლსა უფლისასა, დალიჭსა ძეთა ანანიაჲსთა, ძისა გოდოლიაჲსთა, კაცისა ღმრთისაჲსა, რომელ ახს სახლსა მთავართასა, ზეშთა დალიჭსა მას მაასჱსსა, ძისა სელომისსა, რომელ სცვიდა კართა.

5. და დავდგი წინაშე პირსა ძეთა რექაბისთა ლაგჳნები სავსე ღჳნითა და სასუმლები და ვარქუ მათ: სუთ ღჳნოჲ

G

1. სიტყუაჲ, ქმნილი იერემიაჲს მიმართ უფლისა მიერ დღეთა შინა იოაკიმისთა, ძისა იოსიაჲსთა, მეფისა იუდაჲსთა, მეტყუელი:

2. ვიდოდე სახიდმი რექაბისა და მიუწოდე მათ სახიდ უფლისა ერთსა ეზოთაგანსა და ასუ მათ ღჳნოჲ.

3. და მოვიყვანე იეზონია, ძე იერემიაჲსი, ძისა ხავაზინისა, და ძმანი მისნი და ძენი მისნი და ყოველნი სახლი რექაბისი

4. შევიყვანე სახიდ უფლისა და პასტოფორიონსა, ძისა ანანიაჲსსა, ძისა ღოდოლიაჲსსა, კაცისა ღმრთისაჲსა.; რომელი არს მახლობელ სახლისა მთავართაჲსა, ზენაჲთ პასტოფორიონსა მაასესა, ძისა სელომისსა, რომელი სცვიდა სადგურსა.

5. და დავდგი წინაშე პირსა მათსა ძეთა სახლისა რექაბისთასა ლაგჳნები სავსეები ღჳნითა და სასუმლები და

21. და (4)] — O. ძალისა]ძლიერისა O. ბაბილონისათა O. ოტებულთა O. 22. ადგილსა] ქალაქსა O. ჰბრძოდიან O.

35.1. იოვაკიმისთა O. 2. რჱქაბისსა J. 3. მოიყვანე O. ეზონია] ელონია O (მცდ.) და (2)] — O. და ძენი მისნი] — O. 4. და (1)] — O. შეიყვანე O. დალიჭთა O ანანიაჲსთა] ანიაჲსთა O. გოდოლიაჲსა O. ღმრთისათა O. ახს]არს J კართა] კაცთა O. 5. და (1)] — O. პირსა] მათსა O. სავსჱ O. სასუმლები] სასუმლებითა J.

21. სედეკიაჲ W. იუდაჲსა W. 22. მეუწესო W. ცეცხლითაჲ W.

35. 1. სიტყვა W. იერემიას W. 2. და (1)] + და W. ოჲ˜ W. 3. მოვიყუანე W. 4. შევიყუანე W. ოჲ˜ W. ანანისსა W. 5. რაქაბისთასა W.

J

6. და თქუეს: ვერ ვსუათ ღვნოჲ; რამეთუ იონადაბ, ძემან რექაბისმან, მამამან ჩუენმან, გუაცნო ჩუენ და გურქუა: ნუ ჰსუამთ ღვნოსა თქუენ და შვილნი თქუენნი მიუკუნისამდე;

7. სახლებსა ნუ აშენებთ და თესლსა ნუ სთესავთ და ვენაჴებსა ნუ დაასხამთ, ნუცა [რაჲ] იყოფინ თქუენდა და კარვებითა ეშენებოდეთ ყოველთა დღეთა თქუენთა, რაჲთა სცხომდეთ მრავალ დღე ქუეყანასა ზედა, რომელსა ხუალთ თქუენ.

8. და ვისმინეთ ჴმაჲ იონა[და]ბისი, მამისა ჩუენისაჲ [O : 277 v] ყოველივე, რაოდენიცა გაუმცნო ჩუენ, რაჲთა არა ვსუათ ღვნოჲ ყოველთა დღეთა ჩუენთა ჩუენ და დედათა ჩუენთა [და] ძეთა ჩუენთა და ასულთა ჩუენთა.

9. რაჲთა არა ვიშენოთ სახლებ და არა დავეშენნეთ მუნ; და ვენაჴი და ყანაჲ და თესლი არა ყოფილ არს ჩუენდა,

10. და შენ ვიყვენით კარვებითა და ვისმინეთ და ვყავთ, რაოდენიცა გუამცნო ჩუენ იონადაბ, მამამან ჩუენმან.

11. და იყო, რაჟამს აღმოჴდა ნაბუქოდონოსორ მეფჱ ბაბილოვნისაჲ ქუეყანასა ზედა, და ვთქუთ: მოვედით და აღვიდეთ და შევიდეთ იერუსალჱმდ პირისაგან ქალდეველთაჲსა და ძალისაგან [ა]სურასტანელთაჲსა და დავეშენნეთ იერუსალჱმსა შინა.

G

6. და თქუეს: ვერ ვსუათ ღვნოჲ, რამეთუ იონადაბ, ძემან რექაბისმან, მამამან ჩუენმან, მამცნო, მეტყუელმან . ჩუენმან: არა სუათ ღვნოჲ თქუენ და ძეთა თქუენთა ვიდრე საუკუნომდე;

7. და სახლნი არა აღიშენნეთ და თესლი არა დასთესოთ და ვენაჴთა ნუ დაასხამთ, ნუცა იყვნენ თქუენდა, რამეთუ კარავთა შინა ჰმკვდრობდეთ ყოველთა დღეთა ცხორებისა თქენისათა რაჲთა ცოცხალ იყვნეთ მრავალთა ქუეყანასა ზედა, რომელსა ზედა თქუენ ხვდოდით მას ზედა.

8. და ვისმინეთ ჴმისა იონადაბისისა, მამისა ჩუენისა, ძისა რაგავისა, ყოველთაებრ, რავდენნი გუამცნნა ჩუენ არსუმისათჳს ღვნისა ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა, ჩუენ და ცოლთა ჩუენთა და ძეთა ჩუენთა და ასულთა ჩუენთა.

9. არაღშენებისათჳს სახლთაჲსა დამკვდრებად მუნ, და ვენაჴი და აგარაკი და თესლი არა იქმნა ჩუენდა;

10. და დავეშენენით კარავთა შინა და ვისმინეთ და ვყავთ ყოველთაებრ, რავდენნი მამცნნა ჩუენ იონადაბ, მამამან ჩუენმან.

11. და იქმნა, ოდეს აღმოვიდა ნაბუქოდონოსორ მეფე ბაბილონელთაჲ ქუეყანასა მას ზედა, და ვთქუთ: აღსრულნი შევიდეთ იერუსალიმდ პირისაგან ძალისა ქალდეველთაჲსა და პირისაგან ძალისა ასურასტანელთაჲსა და დავეშენნეთ მუნ იერუსალიმს შინა.

---

6. ვსუამთ O. ღვნოჲ] — O. 7. და სახლსა O. ნო J. იშჱნებთ O. ითესავთ O. ვენაჴსა O რაჲ] — J. იყოფვინ თქუენ O. ეშჱნებოდეთ O. დღჱთა O. სცხონდეთ O. დღჱ JO. რომელსა] + ზედა O. „რომელნსა“ ჩამატებულია J-ში. „იქუენ“ ჩამატებულია J-ში. 8. იოანაბისი J. რავდენი O. დღჱთა O. და (4)] — J. 9. ვიშჱნოთ O. დავეშჱნნეთ O. 10. შჱნ O. რავდენიცა O. 11. ბაბილონისაჲ O. აღვედით J.

6. მეტყველმან W. 10. იონადამ W. 11. ბაბილონელთა W. იერუსალიმად W.

J

12. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, და მრქუა.

13. ესრე თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაჱლისამან: მივუალე და არქუ კაცთა იუდაჲსთა და მკჳდრთა იერუსალჱმისათა: არღავე მიიღოთ სწავლაჲ სმენად სიტყუათა ჩემთაჲ, იტყჳს უფალი.

14. დაამტკიცეს სიტყუაჲ ძეთა იონადაბისთა, ძისა რექაბისისაჲ, რომელ ამცნო შვილთა თჳსთა არასუმად ღჳნისაჲ, და არა სუეს მოაქადღედმდე, რამეთუ ისმინეს მცნებაჲ მამისა მათისაჲ; და მე გეტყოდე თქუენ: ადვიმსთობდ და [ფ. 44] გეტყოდე თქუენ, და არა ისმინეთ ჩემი.

15. და მივავლინენ [თქუენდა] მონანი ჩემნი, წინაწარმეტყუელნი, ადვიმსთობდ და მივავლინებდ და გეტყოდე თქუენ: მოიქეცით კაცად-კაცადი გზისაგან თჳსისა უკეთურისა და უმჯობჱს ყვენით სლვანი თქუენნი და ნუ მიხუალთ კუალსა [O : 278 r] ღმერთთა უცხოთასა მონებად მათა და დაეშენენით ქუეყანასა ზედა, რომელ მიგეც თქუენ და მამათ თქუენთა; არა მოჰყავთ ყური თქუენი და არა ისმინეთ ჩემი.

16. ძეთა იონადაბისთა, ძისა რექაბისთა, დაამტკიცეს მცნებაჲ მამისა მათისაჲ, რომელ ამცნო მათ, ხოლო ერმან ამან არა ისმინა ჩემი.

17. ამისთჳს ესრე თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაჱლისამან: აჰა ესერა მე მოვავლინებ იუდაჲს ზედა და მკჳდრთა ზედა იერუსალჱმისათა ძჳრსა, რომელ ვთქუ მათ ზედა; ყოვე-

G

12. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, მეტყუელი:

13. ესრეთ იტყჳს უფალი, ღმერთი ისრაილისაჲ: წარვიდოდე და არქუ კაცსა იუდაჲსსა, დამკჳდრებულთა იერუსალიმისათა. არა შეიწყნაროთ სწავლაჲ სმენად სიტყუათა ჩემთა? — თქუა უფალმან.

14. და დაამტკიცეს სიტყუაჲ ძეთა იონადაბისთა, ძისა რექაბისთაჲ, რომელი ამცნო შვილთა მისთა არასუმად ღჳნისა, და არა სუეს ვიდრე დღისამდე ამის, რამეთუ ისმინეს მცნებისა მამისა მათისაჲ; და მე ვითარ ვიტყოდე თქუენდამი, ადმმსთობი და მეტყუელი, და არა ისმინეთ ჩემი.

15. და მივავლინენ თქუენდამი მონანი ჩემნი, წინაჲსწარმეტყუელნი. ადმმსთობმან და მიმავლენელმან და მეტყუელმან: მოიქეცით კაცადი გზისაგან თჳსისა ბოროტისა და უმჯობეს ყვენით სიმარჯუენი თქუენნი და ნუ ხუალთ უკუანა ღმერთთა სხუათა მსახურებად მათდა და დაემკჳდრენით ქუეყანასა ზედა, რომელი მიგეც თქუენ და მამათა თქუენთა; და არა მოჰყვენით ყურნი თქუენნი და არა ისმინეთ ჩემი.

16. და ძეთა იონადაბისთა, ძისა რექაისთა, დაამტკიცეს მცნებაჲ მამისა მათისაჲ, რომელი ამცნო მათ, ხოლო ერმან ამან არა ისმინა ჩემი.

17. ამისთჳს ესრეთ თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაილისამან: აჰა მე მოვიხუნე იუდაჲს ზედა და დამკჳდრებულთა ზედა იერუსალიმისათა ძჳრნი, რომელთა ვიტყოდე მათ ზედა; ყოველ-

---

12. მრქუა] + მე O. 13. კაცსა O. იუდაჲსსა O. ჩემთა O. 14. რექაბისთა O. რომელი O. თჳსთა] + თჳს O. ღჳნისა O. სუეს]სთესეს O („მცდ.) მათისაჲ] თჳსისაჲ O. და (3) + და J. თქუენ (2)] — O. „ჩემი" ჩამატებულია J-ში. 15. თქუენდა] — J. თქუენ (1)] — O. უმჯობჱს O. და (6) — O. დაეშჱნენით O. რომელი O. არა O. და არა] არცა O. 16. მათისაჲ] თჳსისაჲ O. 17. იუდასა O. ზედა (2)] — O. „ვთქუ"-ს „თ" ჩამატებულია J-ში. ყოველი] ყოვლისავე O. ჩემი] + და O. მათ (3)] და არა ისმინეს ჩემი O. და არა] არცა O.

12. სიტყვა W. მეტყველი W. 13. ისრაილისა W. სიტყვათა W 14. სიტყვა˜ W. რექაბისთა W. 15. წინასწარმეტყველნი W. უმჯობესებ W. ყუჱნით W. უკანა W. მოჰყუჱნით ჱ. 17. იუდას W. იჱრუსალიმისათა W (უქარაგმოა).

J

ლი მის წილ, რამეთუ ვეტყოდე მათ და არა ისმინეს ჩემი, უჴმობდი მათ, და არა ჴმა-მიყვეს მე.

18. და სახლსა რექაბისსა ჰრქუა იერემია: ამისთჳს ესრე თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაჱლისამან: რამეთუ ისმინეს ძეთა იონადაბისთა, ძისა რექაბისთა, მცნებაჲ იონადაბისი, მამისა მათისაჲ, და დაიმარხნეს ყოველნი მცნებანი მისნი ყოფად ყოველსა, რაჲცა ამცნო მათ მამამან მათმან,

19. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: არასადა მოაკლდეს კაცი ძეთა იონადაბისთაჲ, ძისა რექაბისისაჲ, მდგომარე წინაშე [პირსა] ჩემსა ყოველთა დღეთა ქუეყანისათა.

G

ნი მის წილ, რამეთუ ვიტყოდე მათდამი, და არა ისმინეს, და უწოდე მათ, და არა მომიგეს.

18. და სახლსა რექაბისსა ჰრქუა იერემია: ამისთჳს თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაილისამან: ვინაჲთგან ისმინეს ძეთა იონადაბისთა, ძისა რექაბისთა, მცნებაჲ მამისა მათისა იონადაბისი და დაიცვნეს თანად ყოველნი მცნებანი მისნი ქმნად ყოველთაებრ, რაოდენნი ამცნო მათ მამამან მათმან,

19. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ: არა მოაკლდეს მამაკაცი ძეთა იონადაბისთა, ძისა რექაბისთა, წინა-მდგომი წინაშე პირსა ჩემსა ყოველთა დღეთა ქუეყანისათა.

36

J

1. და იყო წელსა მეოთხესა იოაკიმისა, ძისა იოსიაჲსსა, მეფისა იუდაჲსსა, და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, და ჰრქუა:

2. მოიღე შენდად ქარტაჲ წიგნისაჲ და დაწერენ მას ზედა ყოველნი სიტყუანი, რომელ გიბრძანენ შენ ისრაჱლსა ზედა და იერუსალჱმსა და იუდასა ზედა და ყოველთა ზედა წარმართთა, რომლით დღითგანცა მე გეტყოდე შენ დღეთაგან იოსია მეფისა იუდაჲსსა და ვიდრე აქა დღედმდე.

3. ისმინოს ხოლო თუ სახლმან იუდა[O : 278 v]ჲსმან ყოველი ესე ძჳრი, რომელსა-ესე მე ვზრახავ ყოფად მათა, მოიქცენ [ფ. 45] თითოეულად გზისა-

G

1. და იქმნა წელსა მეოთხესა იოაკიმ, ძისა იოსიაჲსსა, მეფისა იუდაჲსსა, იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო, მეტყუელი:

2. მოიღე თავისა შენისად ქარტაჲ წიგნისაჲ და დაწერენ მას ზედა ყოველნი სიტყუანი, რომელნი გამოგიცხადენ შენ ისრაილსა ზედა და იუდასა ზედა და ყოველთა ზედა ნათესავთა, რომლით დღითგან ვიტყოდე მე შენდამი დღეთაგან იოსია მეფისა იუდაჲსთა და ვიდრე დღისამდე ამის.

3. ნუუკუე ისმინნეს სახლმან იუდაჲსმან ყოველნი ძჳრნი, რომელთა მე ვსიტყუავ ყოფად მათდა, და მოიქცეს კაცადი გზისაგან თჳსისა ბოროტისა, და

---

18. ჰრქუა] არქუ. J ძისა რექაბისთა] ძისწულთა რექაბითა O. მათისაჲ] თჳსისაჲ O. მათ] — O. 19. რექაბისაჲ O. მდგომარჱ O. პირსა] — J. დღჱთა O.

36. 1. მეოთხესა] მას მეხუთესა O. იოვაკიმ O. ძისა იოსიაჲსსა] — O. იუდაჲსა O. და (2)] — O. ჰრქუა] თქუა O. 2. რომელნი O. იერუსალჱმსა] + ზედა O. და იუდასა ზედა] — O. დღჱთაგან O. იუდაჲსთა O. დღედედმდე J. 3. რომელსა-ესე] რომელსა O. მე-] — O.

18. ისრალისამან W. (უქარაგმოა). ამცნა W.

36.1. სიტყვა W. მეტყველი W. 2. სიტყვანი W. 3. სიტყუავ W. ეყო W.

J

გან თჳსისა უკეთურისა, და მლხინებელ ვექმნე უშჯულოებათა მათთა და ცოდვათა მათთა.

4. და მოუწოდა იერემია ბარუქს, ძესა ნერისსა, და დაწერნა ბარუქ პირისაგან იერემიაჲსისა ყოველნი სიტყუანი უფლისანი, რომელ უბრძანნა მას ქარტასა მას ზედა წიგნისასა.

5. და ამცნო იერემია ბარუქს და ჰრქუა: მე მცვენ და ვერ ჴელ-მეწიფების შესლვად სახლად უფლისა.

6. და შევედ და აღმოიკითხე ამას წიგნისაჲ, რომელცა დაგიწერიან პირისაგან ჩემისა სიტყუანი უფლისანი ყურთა ერისათა სახლსა შინა უფლისასა დღეთა მარხვისათა და ყურთა ყოვლისა იუდაჲსთა, რომელნი მოვლენან ქალაქებით მათით, [აღმოუკითხო მათ].

7. შე-ხოლო თუ-იწიროს ლოცვაჲ მათი წინაშე უფლისა, და მოიქცეს კაცად-კაცადი გზისაგან მათისა უკეთურისა, რამეთუ დიდ არს გულის-წყრომაჲ უფლისაჲ და რისხვაჲ, რომელ თქუა უფალმან ერსა ამას ზედა.

8. და იტყოდა ბარუქ, ძჱ ნერისი, ვითარცა ამცნო მას იერემია წინაწარმეტყუელმან აღმოკითხვად წიგნისა პისგან სიტყუათა უფლისათა სახლსა შინა უფლისასა.

9. და იყო წელსა მეხუთესა იოაკიმისსა, ძისა იოსიაჲსა, მეფისა იუდაჲსა, თთუესა მეცხრესა შეკრბეს მარხვად წინაშე უფლისა ყოველი ისრაჱლი და

G

მლხინებელ ვეყო სიცრუეთა მათთა და ცოდვათა მათთა.

4. და მოუწოდა იერემია ბარუქს, ძესა ნირისსა, და დაწერნა ბარუქმან პირისაგან იერემიაჲსსა ყოველნი სიტყუანი, რომელნი გამოაცხადნა მისდამი ქარტასა ზედა წიგნისასა.

5. და ამცნო იერემია ბარუქსა, მეტყუელმან: მე ვიცვები და ვერ ძალმიც შესლვაჲ სახიდ უფლისა.

6. და შეხვდე შენ და აღმოიკითხო ქარტასა ამას შინა, რომელნიცა დასწერენ პირისაგან ჩემისა სიტყუანი უფლისანი ყურთა მიმართ ერისათა სახლსა შინა უფლისასა დღესა მარხვისასა და ყურთა შორის ყოვლისა იუდაჲსთა, რომელნი მოვლენ ქალაქთაგან მათთა, აღმოუკითხო მათ.

7. ნუუკუე დავარდეს წყალობაჲ მათი წინაშე პირსა უფლისასა და მოიქცენ გზისაგან მათისა ბოროტისა, რამეთუ დიდ არს გულის-წყრომაჲ და რისხვაჲ უფლისაჲ, რომელ თქუა ერსა ამას ზედა.

8. და ყვნა ბარუქმან ყოველთაებრ, რაოდენნი ამცნნა იერემია წინაჲსწარმეტყუელმან აღმოკითხვაჲ წიგნსა შინა სიტყუათა უფლისათა სახლსა შორის უფლისასა.

9. და იქმნა წელსა მეხუთესა იოაკიმისსა, ძისა იოსიაჲსა, მეფისა იუდაჲსა, თუესა შინა მეცხრესა იეკკლისიელ მარხვაჲ წინაშე პირსა უფლისასა ყო-

---

4. რომელნი O. 5. სახლად უფლისა/] სახლსა უფლისასა O. 6. შევედ და აღმოიკითხე] შეხვდე შენ და აღმოიკითხო O. სიტყუანი უფლისანდ] — O აღმოუკითხო მათ] — J. 7. წინაშე] + პირსა O. უფლისასა O. მათისა] თჳსისა O. უფლისაჲ და რისხვაჲ] რისხვისა უფლისაჲ O. 8. ეტყოდა O. ვითარცა] ყოველსა რომელ O. 9. წელსა] + მას O. იოვაკიმისსა O. იუდაჲსსა O. თთუესა] თუესა + მას O ისრაჱლი] ერი იერუსალჱმისაჲჲ O. ერი] + იუდაჲსი O. იუდაჲსით] — O. იერუსალჱმდ] — J.

5. იერემიაჲ W. ო̃ჲ W. 6. სიტყვანი W. მარხვასა W. 7. წყალობა W. 8. სიტყვათა W. ო̃ჲთა W.

J

ყოველი ერი, მომავალი ქალაქებით იუდაჲსით [იერუსალჱმდ].

10. და იკითხვიდა ბარუქ წიგნსა ჲა' შიდა სიტყუათა იერემიაჲსთა სახლსა შინა უფლისასა, [O : 279 r] სახლსა შინა გამარიაჲსსა, ძისა საფანის მწიგნობრისასა, ეზოსა მას ზემო კურძოსა გარეშე ბჭეთა სახლისა უფლისათა ახალთა, ყურთა ყოვლისა ერისათა.

11. და ესმა მიქეას, ძესა გამარიაჲსსა, ძისა საფანისსა, ყოველნი სიტყუანი უფლისანი წიგნისა მისგან.

12. და შთავიდა იგი სახიდ მეფისა, შესაკრებელსა მას მთავართასა; და მუნ სხდეს ყოველნი მთავარნი: ელისამა მწიგნობარი და დალეა, ძეჲ სამეაჲსი, და ელდათან, ძჱ აქაბორისი, და გამარია, ძჱ საფანისი, და სედეკია, ძჱ ანანიაჲსი, და ყოველნი მთავარნი.

13. და მიუთხრა მათ მიქეა ყოველნი სიტყუანი, რომელ ესმეს აღმოკითხვასა ბარუქისსა მის წიგნისაგან ყურთა [ფ. 46] ერისათა.

14. და მიავლინეს ყოველთა მთავართა ბარუქისა იუდი, ძჱ ნათანისი. ძისა სელემისი, ძისა ქუსიაჲსი, და ჰრქუეს: წიგნსა მაგას რომელსა იკითხავ ყურთა ერისათა, მოიღე ჴელითა შენითა და მოვედ. და მოიღო წიგნი ბარუქ, ძემნ ნერისმან, ჴელითა თჳსითა და შთავიდა მათა.

15. და ჰრქუეს მთავართა ბარუქს: კუალად აღმოიკითხეთ ყურთა ჩუენთასა. და აღმოუკითხა ბარუქ ყურთა მათთა.

G

ველმან ერმან იერუსალიმისამან და ყოველმან ერმან, მომავალთა ქალაქთაგან იუდაჲსთა იერუსალიმდ სახლისა იუდაჲსმან.

10. და იყო, და იკითხვიდა ბარუქ წიგნსა შინა სიტყუათა იერემიაჲსთა შორის სახლისა უფლისა, სახლსა შინა გამარიაჲსსა, ძისა საფანისსა მწიგნველისასა, შორის ეზოჲსა ზენაჲთ კარის-წინათა თანა ბჭეთა სახლისა ახლისათა, ყურთა მიმართ ყოვლისა ერისათა.

11. და ესმა მიქეას, ძესა გამარიაჲსსა, ძისა საფანისსა, ყოველნი სიტყუანი უფლისანი წიგნისაგან.

12. და შთავიდა სახიდ მეფისა, სახიდ მწიგნველისა, და აჰა მუნ სხდეს ყოველნი მთავარნი: ელისამა მწიგნველი და სალეა, ძე სამეაჲსი, და ელდათან, ძე აქაბორისი, და გამარია, ძე საფანისი, და სედეკია, ძე ანანიაჲსი, და ყოველნი მთავარნი.

13. და მიუთხრნა მათ მიქეა ყოველნი სიტყუანი, რომელნი ესმნეს, აღმოიკითხვიდა რაჲ ბარუქ ყურთა მიმართ ერისათა.

14. და მიავლინეს ყოველთა მთავართა ბარუქის მიმართ იუდი, ძე ნათანისი, ძისა სელემისი, ძისა ხუსისი, მეტყუელთა: წიგნსა რომელსა შენ აღმოიკითხავ მას შინა ყურთა მიმართ ერისათა, მ[ო]იღე იგი ჴელსა შენსა და მოვედ. და მოიღო წიგნი ბარუქ, ძემან ნირისმან. წიგნი ჴელსა ზედა თჳსსა და შთავიდა მათდამი.

15. და ჰ[რ]ქუეს მათ მთავართა: კუალად აღმოიკითხე ყურთა მიმართ ჩუენთა. და აღმოიკითხა ბარუქმან ყურთა მიმართ მათთა.

---

10. შიდა] შინა O. იერემიაჲსთა სახლსა შინა უფლისასა] უფლისათა სახლსა შინა უფლისასა და O. ~. საფანის ძისა O. გარეშჱ JO. უფლისა O. ახალთასა O. 11. გამარიაჲ῀სსა O. 12. შესაკრებელსა მას მთავართასა] სახლსა მწიგნობრისასა O. ელისამამ O. დალეა] ლია (?) O. ძჱ O. 13. „წიგნისაგან“-ის „წი“ ჩამატებულია J-ში. 14. იუდა O. სელენმისი] სელიმიაჲსი O ქუსაჲსი O. და მოვედ/] — O. წიგნი] იგი O. ძემან ნერისმან] — O. 15. ჰრქუეს] + ესმეს O. (მცდ.) ბარუქს] — O. აღმოიკითხე O. ჩუენთა O.

10. იკითხვდა W. სიტყვათა W. 12. სამეოჲსი W. აქობორისა W. 13 სიტყვანი W. აღმოიკითხვდა W. 14. მათანისი W. მეტყველთა W. მიღე W. მიიღო W. 15. ჰქუჱს W.

J

16. და იყო, ვითარცა ესმა ყოველთა მთავართა ყოველნი იგი სიტყუანი, აზრახა კაცად-კაცადმან მოყუასსა თჳსსა და ჰრქუეს ბარუქს: თხრობით მიუთხრნეთ მეფესა ყოველნი ესე სიტყუანი.

17. და ბარუქს ჰკითხეს და ჰრქუეს: [O : 279 v] ვინაჲ დასწერენ ყოველნი ესე სიტყუანი?

18. და თქუა ბარუქ: პირისაგან იერემიაჲსისა, რამეთუ მითხრობდა მე იგი ყოველთა ამათ სიტყუათა; და მე დავსწერდი წიგნსა ზედა მელნითა.

19. და ჰრქუეს ყოველთა მთავართა ბარუქს: წარვედ და დაემალენით შენ და იერემია, და კაცმანმცა ნუ იცის, სადა იყვნეთ [თქუენ].

20. და შევიდეს მთავარნი იგი [მეფისა] ეზოდ და წიგნი იგი მისცეს მარხვად სახლსა ელისამა მწიგნობრისასა და მიუთხრნეს მეფესა ყოველნი ესე სიტყუანი.

21. და მიავლინა მეფემან იუდი მოღებად წიგნისა მის, და მოიღო იუდი სახლით ელისამ მწერალისაჲთ და აღმოუკითხა იუდი ყურთა მეფისათა და ყურთა ყოველთა მთავართასა, რომელნი დგეს გარემო მეფისა.

22. და მეფე ჯდა სახლსა საზამთროსა თთუესა მეცხრესა, და კერაკნი საცეცხლენი დგეს წინაშე მისსა.

23. და იყო, რაჟამს აღმოიკითხის იუდი სამი კეფი ანუ ოთხი, მოჰხჳის მან სახეველითა მით მწიგნობრისაჲთა და შთააგდის ცეცხლსა, რომელ იყო

G

16. და იყო, ვითარცა ესმნეს ყოველთა მთავართა ყოველნი იგი სიტყუანი, განიზრახეს კაცადმან მოყუსისა მიმართ თჳსისა და თქუეს ბარუქის მიმართ: მიმთხრობელნი მიუთხრობთ მეფესა ყოველთა ამას სიტყუათა.

17. და ბარუქს ჰკითხეს, მეტყუელთა: მომითხარ ჩუენ, ვინაჲ დასწერენ ყოველნი ესე სიტყუანი?

18. და თქუა ბარუქმან: პირისაგან იერემიაჲსისა; რამეთუ მომითხრობდა იგი ჩემდამო ყოველთა მას სიტყუათა. და მე ვწერდ წიგნსა შინა მელანითა.

19. და ჰ[რ]ქუეს ყოველთა მთავართა ბარუქს: წარსრული დაიმალე შენ და იერემია, კაცი ნუ სცნობნ, სადა თქუენ.

20. და შევიდეს მეფისა მიმართ ეზოდ და წიგნი მისცეს დასამარხავად სახლსა შინა ელისამა მწიგნველისასა და მიუთხრნეს მეფეს ყოველნი ესე სიტყუანი.

21. და მიავლინა მეფემან იუდი მოღებად წიგნისა მის, და მოიღო იგი იუდი სახლისაგან ელისამისა მწიგნველისა და აღმოიკითხა იუდი ყურთა მიმართ მეფისათა და ყურთა მიმართ ყოველთა მთავართა, მდგომარეთასა გარემოჲს მეფისა.

22. და მეფე ჯდა სახლსა შინა საზამთროსა თუესა მეცხრესა, და კერაკნი ცეცხლისანი პირისპირ მისსა.

23. და იყო, აღმო-რაჲ-იკითხის იუდი სამი კეფი ანუ ოთხი, მოჰკუეთის მათ საჭრელითა მწიგნველისაჲთა და შთააგდებდის ცეცხლსა, კერაჲსა მას

16. მეფჱსა O. ~ სიტყუანი ესე O. 17. „ბარუქს“-ის „ქ“ ჩამატებულია J-ში. ჰკითხვიდეს O. ჰრქუეს] + გჳთხარ O. 18 თქუა] ჰრქუა O. იერემიაჲსა O. მათ O. დავსწერდ O მელნითა] მელანისთა O. 19. დაემალე O. იცის] უწყის O. თქუენ] — J. 20. იგინი J, მთავარნი იგინი] — O მეფისა] — J. ელისამე J. მეფჱსა O. ~ სიტყუანი ესე O. 21. მეფჱმან O. იუდი] ივდი O მწერალისაჲთა] მწიგნობრისაჲთა O. ყოველთა] + მათ O. იუდი] ივდი O. 22. თუესა O. მისა O. 23. იუდი]ივდი O. მოხჳის O. მან] მეფემან O. სახეველითა] + მით O. რომელი O. ბრძმეთთა J, კერაკსა O მათ] O. ვიდრე]+მდე O. მო-არა-აკლდა[მოაკლდა O.

16. სიტყვანი W. სიტყჲთა W. 17. სიტყ῀ჲნი W. 19. ჰქუჱს W. და იმლ῀ე W. შნდა W. 20. სიტყ῀ჲნი W. 23. სამი კეფი W. არაჲ W. წიგნისაჲ W.

J

ბრძმედთა მათ ზედა, ვიდრე მო-არა-
აკლდა წიგნსა მას ცეცხლსა მას შინა
კერაკთასა.

24. და არა გამოიძიეს უფალი და
არცა დაიპეს სამოსელი მათი მეფემან
და ყოველთა მონათა მისთა, რომელთა
ესმეს სიტყუანი ესე.

25. ელდათან და დალეა და გამარია
[ფ. 47] ასმენდეს მეფესა, რაჲთამცა
არა დაწუა წიგნი იგი, და არა ისმინა
მათი.

26. და უბრძანა მეფემან იერემიელს,
ძესა მეფისასა, [O : 280r] და სარიას,
ძესა ესრიელისსა, და სელემიას, ძესა
აბიელისსა, შეპყრობაჲ ბრუქისი მწიგ-
ნობრისაჲ და იერემიაჲს წინაწარმეტ-
ყუელისაჲ: და დაიმალნეს იგინი უფ-
ლისა მიერ.

27. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იე-
რემიაჲსა მიმართ შემდგომად დაწუვი-
სა მის, ოდეს დაწუა მეფემან წიგნი
იგი, რომელსა წერილ იყვნეს ყოველ-
ნი ესე სიტყუანი, რომელ დაწერნა ბა-
რუქ პირისგან იერემიაჲ[სი]სა, და
თქუა:

28. მერმე მოიღე შენ ქარტაჲ სხუაჲ
და დაწერენ ყოველნი იგი სიტყუანი,
რომელნი იყვნეს ქარტასა მას შინა,
რომელ დაწუნა იოაკიმ, მეფემან იუ-
დაჲსმან,

29. და იოაკიმს, მეფესა იუდაჲსასა,
არქუ: ესრე იტყჳს უფალი: შენ დასწუ
წიგნი ესე და სთქუ: რად დასწერე
წიგნი ესე? ამისთჳს შემოსლვით შემო-

G

ზედა, ვიდრემდის არა დააკლდა წიგნსა
ცეცხლსა მას კერაკთასა.

24. და არა გამოიძიეს, არცა დაიპნეს
სამოსელნი მათნი მეფემან და ყოველ-
თა ყრმათა მისთა, რომელთა ესმნეს
ყოველნი ესე სიტყუანი.

25. და ელდათან და გოდოლია და
დალეა, ღამარია ჰმოქენობდეს მეფესა
არაწჳსათჳს წიგნისა; და არა ისმინა, მა-
თი.

26. და ამცნო მეფემან იერემეილს.
ძესა მეფისასა, და სარეას, ძესა ეზრიი-
ლისასა, სალამეას, ძესა ამიილისსა,
შეპყრობაჲ ბარუქისი მწიგნობრისაჲ და
იერემია წინაჲსწარმეტყუელისაჲ; და
დაიმალნეს უფლისა მიერ.

27. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ
იერემიაჲს მიმართ შემდგომად დაწვისა
მეფისა მიერ ქარტასა, მქონებელსა ყო-
ველთა ამათ სიტყუათასა, რომელნი
დაწერნა ბარუქმან პირისაგან იერემია-
ჲსსა, მეტყუელი:

28. კუალად მოიღებინ წიგნი სხუაჲ
და დაწერენ ყოველნი ესე სიტყუანი,
მყოფნი ქარტასა შინა, რომელი დაწუა
იოაკიმ, მეფემან იუდაისმან.

29. და იოაკიმის მიმართ, მეფისა
იუდაჲსსა, სთქუ: ესრეთ თქუა უფალ-
მან: შენ დასწჳ ქარტაჲ ესე, მეტყუელ-
მან: რაჲსთჳს დასწერე მას ზედა, მთქუ-

---

24. მისთა] + და ყოველთა O. 25. დალეა] ელია O. მეფჱსა O. 26. მეფჱმან O. სარიას] სამარიას J, სარიეს O. ესრიელისსა] ეზრიელისსა O. სელემიეს O. აბიელისსა] აბიეთისსა O. ბარუქი O. „იერემიაჲს" „ჲ" ჩამატებულია J-ში. იერემია O. დაიმალნეს] დაიფარნეს O. იგინი] იგი O. 27. ყოველნი ესე სიტყუანი] სიტყუანი ესე O. ბარუქჱ J. იერემიაჲსა J 28. მერმჱ O. იგინი J. ~ სიტყვანი იგი O. რომელ O. დაწუა O იოვაკიმ O. მეფჱმან O. 29. იოვაკიმს O. იუდაჲსასა] — O. არქუ] ჰრქფა O. ესე] იგი O. რად დასწერე წიგნი ესე? ამისჳს] O. შენოსლვით] შემოსრვით J ბაბილონისაჲ O. ~ კაცი მისგან O. საცხოვარი O.

24. სიტყუჲნი W; 25. დალეა] დაგგეა W. არა უისათჳს W. 26. იერემილს] იერემელიას W. შდრ. 'Ιερεμεηλ ო˝ჲ. 27. სიტყვა W. სიტყჲთასა W. 28. სიტყჲნი W.; 29. იუდაჲსსა] იუდსა W. რასა˝თს W.

J

ვიდეს მეფჱ ბაბილოვნისაჲ დ განრყუ-
ეს ქუეყანაჲ ესე, და მოაკლდეს მისგან
კაცი და საცხოარი.

30. რამეთუ ესრე თქუა უფალმან
იოკიმის ზედა, მეფის იუდაჲსა: არღარა
იყოს მისი მჯდომარე საყდარსა დავი-
თისსა, და მძორი მისი დაგდებულ იყოს
სიცხესა ქუეშე დღისასა და ნეფხვასა
ღამისასა,

31. და ძიება ვყო მის ზედა და ზე-
და თესლისა მისისა და მონათა მისთა
ზედა უშჯულოებათა მათთათჳს და მი-
ვავლინო მათ ზედა და მკვდრთა ზედა
იერუსალჱმისათა და ქუეყანასა ზედა
იუდაჲსსა ყოველი ძჳრი, რომელ ვთქუ
მათ ზედა, რამეთუ არა ისმინეს ჩემი.

32. და მოიღო იერემია ქარტაჲ
სხუაჲ და მისცა ბარუქს, ძესა ნერისსა
მწიგნობარსა, და დაწერნა მას ზედა ბა-
რუქ პირისაგან [O : 280 v] იერემიაჲ-
სისა ყოველნი სიტყუანი მის წიგნისანი,
რომელ დაწუა მეფემან იოაკიმ ცეცხ-
ლითა, და უფროჲს შეეძინნეს მას სიტ-
ყუანი უმრავლესნი მათსა.

G

მელმან, ვითარმედ: შემომავალი შემოვი-
დეს მეფე ბაბილონისაჲ და მოსრას ქუ-
ეყანაჲ ესე, და მოაკლდეს მისგან კაცი
და საცხოვარი.

30. ამისთჳს ესრეთ თქუა უფალმან
იოაკიმის ზედა, მეფისა იუდაჲსსა: არა
იყოს მისსა მჯდომარე საყდარსა ზედა
დავითისსა, და მძორი მისი იყოს დაგ-
დებულ სიცხესა დღისასა და ნეფხვასა
ღამისასა.

31. და ზედ-მოვიხილო მის ზედა და
თესლსა ზედა მისსა და ყრმათა ზედა
მისთა და ყრმათა ზედა მისთა და მოვა-
წინე მათ ზედა და მკვდრთა ზედა იე-
რუსალიმისათა და ქუეყანასა ზედა იუ-
დაჲსსა ყოველნი ძჳრნი, რომელთა ვიტ-
ყოდე, და არა ისმინეს ჩემი.

32. და მოიღო ბარუქმან ქარტაჲ
სხუაჲ და დაწერნა მას ზედა პირისაგან
იერჱმიაჲსსა ყოველნი სიტყუანი წიგ-
ნისანი, რომელნი დაწუნა იოაკიმმან.
მეფემან იუდაჲსმან, და მერმეცა შე-
ძინნეს მას სიტყუანი უმრავლესნი, ვი-
თარ იგინი.

37

J

1. და მეუფებდა სედეკია, ძჱ იო-
სიაჲს მეფისაჲ, იექონიაჲს წილ, ძისა
იოაკიმისა, რომელი მეფე ყო ნაბუქო-
დონოსორ მეფემან ბაბილონისამან
მეუფეედ იუდაჲსსა ზედა;

2. და არა ისმინნა მან და მონათა
მისთა და ერმან ქუეყან[ისა]მან სიტ-
ყუანი [ფ.48] უფლისნი, რომელ თქუ-
ნა იერემია წინაწარმეტყუელმან უფ-
ლისა მიერ.

G

1. მეფე იქმნა სედეკია, ძე იოსიაჲსი
ნაცვლად იექონიაჲსა, ძისა იოაკიმისსა,
რომელი მეფე ყო ნაბუქოდონოსორ
მეფემან ბაბილონისამან, მეფობად იუ-
დაჲსსა.

2. და არა ისმინნეს მან და ყრმათა
მისთა და ერმან ქუეყანისამან სიტყუა-
ნი უფლისანი, რომელნი თქუნა ჴელითა
იერემიაისითა.

---

30. რამეთუ] ამისათჳს O. იოვაკიმის O.. მისი] O კაცი O. მჯდომარჱ O. საყდარსა] + ზედა O. ქუეშჱ JO. დღისასა] მზისასა O. 31. ზედა (3) O და O. მათთა O. რამეთუ] + მათ O. 32. მისცა] + იგი O. ძჱსა ნჱრისსა J. დაწერა O. ~ იოვაკიმ მეფემან O. შეეძინნეს] შეს! ძინეს O. უმრავლჱსნი O.

37.1. მეუფებდა] მეფობდა O იოსისაჲს მეფისაჲ] იოსიაჲსი მეფისა O. იოვაკიმისა O. მეფჱ ყო JO. 2. ისმინა O. ქუეყანამან J. იერემია წინაწარმეტყუელმან უფლისა მიერ] ჴელითა იერემია წინაწარმეტყუელისაჲთა O.

30. იოაკინს W. ნეფხუასა W. 32. სიტყჲნი (1'2) W.

J

3. და მიავლინა სედეკია მეფემან იოაქაზ, ძჱ სელემისი, და სოფონია, ძჱ მაასესი, მღდელი იერემიაჲსა წინაწარმეტყუელისა, და ჰრქუა: ილოცე ჩემთჳს უფლისა მიმართ ღმრთისა ჩუენისა.

4. და იერემია შევიდოდა და გამოვიდოდა შორის ერისა მის, და არა მიიყვანეს იგი საპყრობილედ. და ძალი ფარაოჲსი გამოჴდა ეგჳპტით, და ესმა ქალდეველთა, რომელნი აჭირვებდეს იერუსალჱმსა, გამოსლვაჲ მათი და წარვიდეს იერუსალჱმით.

5. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲსა მიმართ წინაწარმეტყუელისა, და ჰრქუა:

6. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: ესრე არქუ მეფესა იუდაჲსსა, რომელმან მოგავლინა შენ ჩემდა გამოძიებად. აჰა ესერა ძალი ფარაოჲსი, რომელ გამოსრულ არს შემწედ თქუენდა, უკუნ-იქცეს ქუეყანადვე მათა, ქუეყანად ეგჳპტისად.

7. და მოიქცენ ქალდეველნი, ჰბრძონ ამას ქალაქსა და დაიპყრან [O : : 281 r] იგი და მოწუან იგი ცეცხლითა

8. ესრე იტყჳს უფალი: ნუ ჰგონებთ სულითა თქუენითა და იტყჳთ, ვითარმედ: წარსლვით წარვიდენ ჩუენგან ქალდეველნი, რამეთუ არასადა წარვიდენ იგინი:

9. არამედ მო-ღათუ-ჰსრათ ყოველი ძალი ქალდეველთაჲ, რომელნი გბრძვანან თქუენ და და-ვინე-შთენ კაცნი მოწყლულნი ამათაგანნი, კაცად-კაცადი

G

3. და მიავლინა მეფემან სედეკია იოახას, ძე სელემისი, და სოფონია, ძე მაასესი. მღდელი იერემიაჲს მიმართ წინაჲსწარმეტყუელისა, მეტყუელმან: ემილოცვილე ჩუენთჳს უფლისა ღმრთისა ჩუენისა.

4. და იერემია მოვიდა და განვლო საშუალ ქალაქისა; და არ მიიყვანეს იგი საპყრობილედ. და ძალი ფარაოჲს გამოვიდა ეგჳპტით, და ესმა ქალდეველთა მომცველთა იერუსალიმისათა, სასმენელი მათი და წარვიდეს იერუსალიმით.

5. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲსა მიმართ, მეტყუელი:

6. ესრე თქუა უფალმან ღმერთმან ისრაელისამან: ესრე ჰსიტყო მეფისა მიმართ იუდაჲსა, მომავლინებელისა შენდამი გამოძიებად ჩემდა: აჰა ძალი ფარაოჲსი, გამოსრული შეწევნად თქუენდა, უკუნ-იქცენ ქუეყანად მათდა ქუეყანად ეგჳპტისა.

7. და უკმოიქცენ ქალდეველნი და ჰბრძოდენ ქუეყანასა ამას და დაიპყრან იგი და დაწუან იგი ცეცხლითა.

8. რამეთუ ესრეთ თქუა უფალმან: ნუ მოიღებთ სულთა თქუენთა, მეტყუელნი: წარმრბენელნი წარვიდენ ჩუენგან ქალდეველნი, რამეთუ არა წარვიდენ.

9. არამედ დაღათუ მოსრათ ყოველი ძალი ქალდეველთაჲ, მბრძოლთა თქუენთაჲ, და დაშთენ ვინმე დაგურემულნი მამაკაცნი და მათ შორის, კაცადი

---

3. სელჱმისი J, სელიმისი O. მანასესი O. იერემია O. 4. მიიყვანეს] შეიყვანეს O. ქალდეველნი]. გამოსვლაჲ] სმენაჲ O. 5. იერემიასა O. 6. არქუ ჰრქუა O. მეფჱსა O. რომელ O ძალი]+W იგი O. თქუემნდა] + და O. ეგჳპტისა O. 7. მოიქცეს O. ჰბრძონ ამას ქალაქსა] ბრძოლად მათ ქალაქთა O. დაიპყრან იგი] დაიპყრნეს იგინი O. მოწუან იგი] მოწუნენ იგინი O. 8. წარვიდეს J. ქალდეველნი] + იგი O. რამეთუ] O. თქუენგან ქალდეველნი O. 9. მო-ღათუ-ჰსრათ] და ღათუ მოისრას O. ყოველი ძალი-ქალდეველთაჲ] ძალი ქალდეველთა ყოველთაჲ O. "გრძვანან"-ის ბანი ჩამატებულია J-ში. და -ვინმე-შთენ] ვინმე თუ დაშთენ O. მოწყლული ამათაგანნი] მოწყლულთაგანნი O. შუაგებსა] შოვაგსა O. შინა] + თჳსსა O იგინი აღდგენ] იგი აღადგეს O. ესე] — O.

3. მეფემან] მეძემან W. სელჲმისი W. ო˜ჲ W. ღ˜ჲ W. 4. მიიყ˜უნეს W. 6. იუდაჲესა W.

J

შუაგებსა შინა, იგინი აღდგენ და მოწუან ქალაქი ესე ცეცხლითა.

10. და იყო, რაჟამს წარვიდა ძალი იგი ქალდეველთაჲ [იერუსალჱმით] პირისაგან ძალისა ფრაოჲსისა.

11. გამოვიდა იერემია იერუსალჱმით მოსლვად ქუეყანად ბენიამენისა სყიდად მიერ პურისა შორის ერისა მისისა.

12. და მიიწია იგი ბჭესა ბენიამენისსა; და იყო მუნ კაცი ერთი, რომლისა დაადგრის არუი, ძჱ სელემიაჲსი, ძისა ანანიაჲსი, და შეიპყრა იერემია წინაწარმეტყუელი და ჰრქუა: ქალდეველთა მიმართ შენ ივლტი?

13. და ჰრქუა იერემია: ნაცილსა იტყჳ; არა ქალდეველთა მიმართ ვივლტი მე. და არა ისმინა მისი და შეიპყრა [ფ. 49] არუი იერემია და შეიყვანა იგი წინაშე **მთავართა.**

14. და განუმწარდეს მთავარნი იგი იერემიას და გუემეს იგი და მისცეს სახიდ საპყრობილისად სატანჯველად, სახლსა იონათან მწიგნობრისასა, რამეთუ სახლი მისი საპყრობილე იყო. რამეთუ მოვიდა ერი სახლსა მას მლვმისასა და ქერეთდ.

15. და შევიდა იერემია სახლსა მას მლვმისასა, შესაწყდობელსა [O : 281v] და დაჯდა მუნ მრავალ დღე.

16. და მიავლინა სედეკია მეფემან და მოუწოდა იერემიას და ჰკითხვიდა მას მეფჱ იგი სახლსა შინა იდუმალ და ჰრქუა მას: არს თუ სიტყუაჲ უფლისაჲ? და თქუა იერემია: არს. და შენ ჴელთა მეფისა ბაბილოვნისათა მიცემად ხარ.

G

ადგილსა თჳსსა. იგინი აღდგენ და დაწუან ქალაქი ესე ცეცხლითა.

10. და იქმნა, ოდეს აღმოვიდა ძალი ქალდეველთაჲ იერუსალიმით პირისაგან ძალისა **ფარაოჲსისა.**

11. გამოვიდა იერემია იერუსალიმით წარსლვად ქუეყანად ბენიამენისა სყიდად მუნით პურისა საშუალ ერისა.

12. და იქმნა იგი ბჭესა თანა ბენიამენისა; და მუნ კაცი, რომლისასა დაივანის სარუია, ძემან სელემისმან, ძისა ანანიაჲსმან, და შეიპყრა იერემია, მეტყუელმან: ქალდეველთა მიმართ შენ ივლტი?

13. და ჰრქუა იერემია: ცილ არს, არა ქალდეველთა მიმართ მოვივლტი მე. და არა ისმინა მისი და შეიპყრა სარუიამან იერემია და შეიყვანა იგი მთავართა მიმართ.

14. და განმწარდეს მთავარნი იერემიაჲს ზედ და გუემეს იგი და მისცეს იგი სახიდ საპყრობილისა კრულისა საცველად სახიდ იონათან მწიგნველისა, რამეთუ სახლი მისი შექმნეს საპყრობილედ. რამეთუ მოვიდა ერი სახიდ მლვმისა და ქერეთდ.

15. და შევიდა იერემია სახიდ მლვმისა და შესაწყდობელად და დაჯდა მუნ დღეთა მრავალთა იერემია

16. და მიავლინა მეფემან სედეკია და მოუწოდა მას და გამოჰკითხა მას მეფემან სახლსა შინა თჳსსა იდუმალ და ჰრქუა მას: უკუეთუ არს სიტყუაჲ უფლისა მიერ? და მან ჰრქუა: არს. და თქუა: ჴელთა მეფისა ბაბილოვნისათა მიეცე.

---

10. იგი] — O. იერუსალჱმით] = J. 11. მისლვად O. 12. რომლისასა O. არუია O. სელემიაჲსი] სემისი O. 13. ნაცილსა იტყჳ] ნაცილ არს O. არა] აქა O. მიმართ] — O. მივივლტი O. ~ იერემია არუია O. შეიყვანეს O. მთავრისა O. 14. სახიდ საპყრობილისად] სახლად საპყრობილედ O. იონათან] ინოთანისსა O. საპყრობილჱ O. რამეთუ (2)] და O. ქერითდ O, 15. იერემიაჲსა O. შესაწყადომელსა O. დაჯდ O. დღჱ JO. დღე/] + იერემია O. 16. „მეფემან“ ჩამატებულია O-ში. სახლსა + მას O. და (6)] + ჰრქუა O. შენ] — O. ბაბილონისათა O.

12. დაივანის] და ივანის W. 13. იერემია W. შეიყუანა W. 14. იერემიას W. საცველად] მცველად W. ქერეთად W 15. შესაწყდობილად W. 16. მოუწოდა] + იგი W.

J

17. და ჰრქუა იერემია წინაწარმეტყუელმან მეფესა სედეკიას: რაჲ შეგცოდე შენ და მონათა შენთა და ერსა ამას, რამეთუ თქუენ მიმეცით საპყრობილედ?

18. და სადა არიან წინაწარმეტყუელნი თქუენნი, რომელნი გიწინაწარმეტყუელებდეს თქუენ და გეტყოდეს: არღარა მოვიდეს მეფჱ ბაბილოვნისაჲ თქუენ ზედა ქუეყანასა ამას?

19. და ისმინე ჩემი: გლოცავ შენ, უფალო მეუფეო, გევედრები, შემიწყალე მე, რაჲთა არა მიმაქციო მე სახლსა იონათან მწიგნობრისასა, რაჲთა არა მოვკუდე მუნ.

20. და უბრძანა მეფემან სედეკია და შთააგდეს იგი სახლსა საპყრობილისასა და სცემდეს მას ერთსა პურსა დღესა შინა გარეშე, სადა ქმნიან, ვიდრემდის მოაკლდა პური ქალაქსა, და ჯდა იერემია ეზოსა მას შინა საპყრობილისასა.

G

17. და ჰრქუა იერემია მეფესა სედეკიას: რაჲ გამძლავრებენ [შენ] და ყრმათა შენთა და ერსა ამას, რამეთუ თქუენ მიმეცით მე სახიდ საპყრობილისად?

18. და სადა არიან წინაჲსწარმეტყუელნი თქუენნი, რომელნი გიწინაჲსწარმეტყუელებდეს თქუენ, მეტყუელნი ვითარმედ: არა მოვიდეს მეფე ბაბილონისაჲ ქუეყანასა ამას ზედა?

19. და აწ უფალო ჩემო მეფეო, დავარდინ წყალობაჲ ჩემი წინაშე პირსა შენსა, და რად მიმაქცევ მე სახიდ იონათან მწიგნველისა, და არა მოვკუდე მუნ.

20. და მიუწესა მეფემან სედეკია, და შეაგდეს იგი სახლსა საპყრობილისასა და მისცემდეს მას პურსა ერთსა დღივ გარეშე, რომელსა განსცემდეს, ვიდრე არა მოაკლდეს პურნი ქალაქისაგან; და დაჯდა იერემია ეზოსა შინა საპყროლისასა.

38

J

1. და ესმა სოფონიას, ძესა ნათანისსა, და გოდოლიას, ძესა პასქორისსა, და იოაქაზს, ძესა სელემისსა, და პასქორს, ძესა მელქისსა, სიტყუათა რომელთა იტყოდა იერემია ყოვლისა მიმართ ერისა, რამეთუ ჰრქუა:

2. ესე თქუა უფალმან: რომელი ჯდეს ქალაქსა შინა, მოკუდეს მახჳლითა და სიყმილითა და [O : 282 r] სიკუდილითა და რომელი განვიდოდის ქალ-

G

1. და ესმა სოფონიას, ძესა ნათანისსა, და გოდოლიას, ძესა პა/ს/ქორისსა, და იოაქაზს, ძესა სელემისსა, და პასქორს, ძესა მელქისსა, სიტყუათა რომელთა იტყოდა იერემია ყოვლისა მიმართ ერისა, მეტყუელი:

2. ესრეთ თქუა უფალმან: მჯდომარე ქალაქსა ამას შინა მოკუდეს მახჳლისა მიერ და სიყმილისა და სიკუდილისა და განმავალი ქალდეველთა მი-

---

17. მეფჱსა O. „სედეკიას“ ბოლო სანი ჩამატებულია J-ში „შეგცოდე“-ს „დე“ ჩამატებულია J-ში. საპყრობილედ] მე სახლსა საპყრობილისასა O. 18. წინაწარმეტყუელნი]+იგი O. გეტყოდეს] + ვითარმედ O. ბაბილონისაჲ O. 19. და — O. ჩემი] — O. მეუფეო] მეფჱო O. გევედრები, შემიწყალე მე, რაჲთა] შეგივრდინ წყალობაჲ ესე ჩემი წინაშე პირსა შენსა და O. 20. ~ სედეკია მეფემან O. სახლსა] — O. საპყრობილესა O. მას (1)] მა O „ერთსა“-ს თანი ჩამატებულია I-ში; გარეშე, სადა ქმნიან] გარეშესა და ქმნიან J. ერთსა პურსა დღესა შინა გარეშესა და ქმნიან] დღესა შინა ერთგზის პურსა გარეშჱ, სადა ქმნიან O. შინა]—O.

38.1. სელიმიაჲსა O. 2. რამეთუ... უფალმან] და ჰრქუა უფალმან O. ცხომნდეს J. მოპოვნებულ + და ცხონდეს O.

17. შენ] — W. 19. წყალობა W.

38.1. პაქორისსა W. სიტყვათა W.

J

დეველთა მიმართ, ცხონდეს, და იყოს სული მისი მოპოვნებულ.

3. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი: მიცემით მიეცეს ქალაქი ესე ჴელითა ძალისა მეფისა (ფ. 50) ბაბილოვნისაჲთა და დაიპყრას იგი.

4. და ჰრქუეს მთავართა მათ მეფესა: მოკუედინ კაცი იგი აწ, რამეთუ იგი დაჰჴსნის ჴელთა კაცთა მბრძოლთასა, რომელ დაშთომილ არიან ქალაქსა შინა, და ჴელთა ყოვლისა ერისათა დაჰჴსნის, რამეთუ იტყჳს სიტყუასა ქალდეველთა კერძო; რამეთუ კაცი ესე არა სარგებელად უთხრობს ძჳრსა ერსა ამას.

5. და თქუა მეფემან სედეკია: აჰა ესერა იგი ჴელთა შინა თქუენთა არს, რამეთუ ვერ მძლე იყო მეფჱ იგი მათა მიმართ სიტყუად.

6. და შეიპყრეს იერემია და შთააგდეს იგი მღჳმესა მელქისსა, ძისა მეფისასა, რომელი იყო ეზოსა საპყრობილისასა, და შთაუტევეს იგი საბლითა ჯურღმულსა მას შინა. ხოლო ჯურღმულსა მას შიდა არა დგა წყალი, არამედ მწჳრჱ, და იყო იერემია მწჳრესა მას შიდა.

7. და ესმა აბ[დ]იმელექს ეთიოპელსა, კაცსა საჭურისსა, და იყო იგი ეზოსა შინა მეფისასა, ვითარმედ შთააგდეს იერემია მღჳმესა; და მეფჱ იგი ჯდა ბჭესა ზედა ბენიამენისსა.

8. და განვიდა მისა აბდიმელექ და ეტყოდა აბდიმელექ მეფესა და ჰრქუა:

G

მართ ცხონდეს, და იყოს სული მისი მოპოვნებულ და ცხონდეს.

3. რამეთუ ამათ იტყჳს უფალი: მიცემით მიეცეს ქალაქი ესე ჴელთა ძალისა მეფისა ბაბილონისათა და დაიპყრას იგი.

4. და ჰრქუეს მთავართა მეფესა: მოიკალნ აწ კაცი იგი, რამეთუ იგი დაჰჴსნის ჴელებსა კაცთა მბრძოლთა, დაშთომილთასა ქალაქსა ამას შინა. და ჴელთა ყოვლისა ერისათა დაჰჴსნის, მეტყუელი მათდამი მსგავსად სიტყუათა ამათ; რაამეთუ კაცი ესე არაუწყებს მთხრობლობს ერისა ამის მშჳდობასა, არამედ რამეთუ ძჳრთა.

5. და თქუა მეფემან სედეკია: აჰა იგი ჴელთა შინა თქუენთა, რამეთუ ვერ ეძლო მათდა მიმართ მეფესა სიტყუაჲ.

6. და მიიყვანეს იერემია და შთააგდეს იგი მღჳმესა მელქისსა, ძისა მეფისასა, რომელი იყო ეზოსა საპყრობილისასა, და შთაუტევეს იგი საბლებითა მღჳმედ; და მღჳმესა შინა არა იყო წყალი, არამედ მწჳრე, და იყო მწჳრესა შინა.

7. და ისმინა აბდემელექ ეთიოპმან კაცმან საჭურისმან, და იგი იყო ეზოსა შინა მეფისა, ოდეს შთააგდეს იერემია მღჳმედ, და მეფე ჯდა ბჭესა ზედა ბენიამენისსა.

8. და განვიდა აბდემელექ მისდამი და იტყოდა მეფისა მიმართ:

---

3. ძალისა] ძლიერისა O. ბაბილონისათა O: 4. მეფჱსა O. ~ აწ კაცი იგი O. „აწ"-ის „წ"-ს ქვედა წელი არა აქვს J-ში. ეტყჳს O. სიტყუასა ქალდეველთა კერძო, რამეთუ] მათ მსგავსად სიტყუათა მათთა და O. არას სარგებლად. O. ძჳრსა ერსა ამას] ერსა ამას მშჳდობასა, არამედ ძჳრსა O. 5. თქუა] ჰრქუა O. ეგერა O. მძლჱ JO. იგი (2)] — O. 6. მღჳმჱსა O. რომელი O. მას (2)] — O. იგი (2) — O. ჯურღმულსა] — ორმოსა O. შინა] — O. შიდა (1'2)] შინა O. დგა] იყო O.ᵕᵕ 7. აბიმელექს JO. ვითარმედ შთააგდეს] ვითარცა შთააგდეს J. იგი (2)] — O. ბჭეთა O. ბენიამენისთა O. 8. ~ აბდიმელიქ მისა O. „დ" ჩამატებულია J-ში. აბდიმელიქ O. და ჰრქუა] — O.

3. ბაბილოანისათა W. 4. სიტყვათა W. მთხრობლობ W. 5. თმა W. სიტყვა W.

J

9. უფალო მეუფეო, ბოროტად ყვეს კაცთა მათ ყოველი, რაოდენი უყვეს იერემიას წინაწარმეტყუელსა, რამეთუ შთააგდეს იგი მღჳმესა [O : 282 v] მას და მოკუდეს იგი მუნ შინა; ბოროტად ჰხამ, რამეთუ მოკლვად სცემ კაცსა ღმრთისასა პირისაგან სიყმილისა, რამეთუ არღარა არს პური ქალაქსა ამას შინა.

10. და უბრძანა მეფემან აბდიმელექს ეთიოპელსა და ჰრქუა: მიიყვნე შენ თანა ამიერ ოც და ათი კაცი და აღმოიყვანე იგი მღჳმისა მისგან, რაჲთა არა მოკუდეს.

11. და წარიყვანნა აბდიმელექ კაცნი და შევიდა სახლსა მეფისასა ქუეშესა და გამოიღო მიერ ძუელი ძონძი და ძუელი საბლები და შთაუგდო იგი იერემიას წინაწარმეტყუელსა მღჳმედ და მოიხუნა ფარტენანი მატყლისანი.

12. და ჰრქუა მას აბდიმელექ ეთიოპელმან: დაუპყ(ა)რ ძუელი ესე ძონძი (ფ. 51) და ფარტენანი ესე მატყლისანი საბელთა მაგათ ღლიათა ქუეშე ჴელთა შენთასა. და ყო ეგრე იერემია.

13. [და აღმოზიდეს იგი საბლითა მით] და აღმოიყვანეს მღჳმისა მისგან და დაჯდა იერემია ეზოსა მას საპყრობილისასა.

14. და მიავლინა სედეკია მეფემან და მიუწოდა მას მისა, სახლად ასელისა, რომელ იყო სახლსა შინა უფლისასა. და ჰრქუა მეფემან იერემია წინა-

G

9. უფალო ჩემო მეფე, იბოროტე[!] კაცთა ამათ ყოველნი, რავდენნი უყვნეს იერემიას წინაჲსწარმეტყუელსა, რამეთუ შთააგდეს იგი მღჳმედ, და მოკუდეს უკუე კერძო მისსა; იბოროტე, რომელ ჰყავ მოკლვაჲ კაცისა ღმრთისაჲ პირისაგან სიყმილისა, რამეთუ არა არიან პურნი ქალაქსა შინა.

10. და ამცნო მეფემან აბდემელექს ეთიოპსა, მეტყუელმან: მიიხუენ თავისა შენისა თანა ამიერ ოც და ათნი კაცნი და აღმოიყვანე იგი მღჳმით, რაჲთა არა მოკუდეს.

11. და წარიყვანნა აბ[დ]ემელექ კაცნი და შევიდა სახიდ მეფისა ქუეშედ და გამოიხუნა მიერ ძუელნი ბებკულნი და ძუელნი საბელნი და შთაყარნა იგინი იერემიაჲს მიმართ მღჳმედ.

12. და თქუა მისდა მიმართ აბ[დ]ემელექ ეთიოპმან: დასხენ ძუელნი ესე ბებკულნი და მატყლიერნი იღლიათა ქუ[ე]შე ჴელთა შენთასა, ქუეშე კერძო საბელთასა და ქმნა იერემია ეგრეთ.

13. და აღმოზიდეს იგი საბლითა მიერ და აღმოიყვანეს იგი მღჳმისაგან. და დაჯდა იერემია ეზოსა შინა საპყრობილისასა.

14. და მიავლინა მეფემან სედეკია და მიუწოდა მას თჳსსა მიმართ, სახიდ სალათიელისსა, მყოფად სახლსა შინა უფლისასა. და ჰრქუა მეფემან იერემიას

9. მეუფეო] მეფეო O. ამათ O. რავდენი O. მუნ]მას O. ბოროტსა O. მოკლვად სცემ მოჰკლავ O. 10. აბიდიმელიქს O. მიიყვანენ O. 11. აბდიმელიქ O. მეფისასა] მას. O ქუეშესა O. ~ ძონძი ძუელი O. ძუელი] — O. საბელი O. იერემია O. მღჳმედ] მღჳმესა მას + და ჰრქუა მას: დაუპყყარ იგი საბელსა მაგას O. და მოიხუნა ფარტენანი მატყლისანი] — O. 12. აბდიმელიქ O. ეთიოპელმან] — O. დაუპყრ J, ~ ესე ძონძი ძუელი O. საბელთა მაგათ] — O. ქუეშჱ JO. შენთასა] შენთა + ქუეშჱ საბელთა მაგთ O. ~ იერემია ეგრე O. 13. იგი] მას O. და აღმოზიდეს იგი საბლითა მით] — J. აღმოიყვანეს] + იგი O.14. რომელი O. მეფჱმან O. „მე“ ჩამატებულია J-ში დაჰმალავ ჩემგან] დამიმალავ მე O.

9. უყუჱს W. 10. დააღმოიყვანე W რა არა W 11. წარიყუანნა W. აბემელექ W. იერემიას W. 12. აბემელექ W. ქუეშე (1)] ქუეშე W. 13. საბელთა W 14. სალათიილისსა W. იერემის W. სიტყვა W. თქმასა W.

J

წარმეტყუელსა: სიტყუასა გკითხავ მე შენ, და ნუ დაჰმალავ ჩემგან სიტყუასა

15. და ჰრქუა იერემია მეფესა გითხრა თუ, არა ნუ სიკუდილით მომაკუდინო მე? და გაზრახო თუ შენ. არავე ისმინო ჩემი?

16. და ეფუცა მას მეფჱ სედეკია იდუმალ და ჰრქუა: ცხოველ არს უფალი, [O : 283 r] რომელმან შექმნა სული ესე ჩუენი, თუ მოგკლა შენ და თუ მიგცე შენ ჴელთ მათ კაცთასა, რომელნი ეძიებენ სულსა შენსა.

17. და ჰრქუა მას იერემია: ესრე თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაჱლისმან: უკუეთუ განსლვით განხვდე მთავართა თანა მეფისა ბაბილოვნისათა, ცხომდეს სული შენი და ქალაქი ესე არა დაიწუას ცეცხლითა, და ცხომდე შენ და სახლი შენი.

18. უკუეთუ არა განხვდე შენ მთავართა თანა მეფისა ბაბილოვნისათა, მიეცეს ქალაქი ესე ჴელთა ქალდეველთასა, და დაწუან იგი ცეცხლითა, და შენ არა განერე ჴელთა მათთა.

19. და ჰრქუა მეფემან სედეკია [იერემიას]: მე სიტყუაჲ მაქუს ჰურიათაჲ, რომელნი მიდგომილ არიან ქალდეველთა, ნუუკუე მიმცენ მე ჴელთა მათთა და ბაგეს-მიყოფდენ მე.

20. და ჰრქუა იერემია: არასადა მიგცენ შენ; გარნა ისმინენ სიტყუანი უფლისანი, რომელსა მე გეტყჳ შენ [და] უმჯობეს იყოს შენდა, და ცხომდეს სული შენი.

21. და თუ არა გნებავს გამოსლვად, ესე არს სიტყუაჲ, რომელ მიჩუენა მე უფალმან.

G

წინაჲსწარმეტყუელსა: გკითხო მე შენ სიტყუაჲ, ნუ დაჰმალავ ჩემგან თქუმასა.

15. და ჰრქუა იერეია მეფესა: უკუეთუ მე გითხრა შენ, არა სიკუდილითა მომაკუდინოა მე? და უკუეთუ განგაზრახო, არა ისმინო ჩემი?

16. და ეფუცა მას მეფე იდუმალ, მეტყუელი: ცხოველ არს უფალი, რომელმან შექმნა ჩემი ესე სული, უკუეთუ მოგაკუდინო შენ და უკუეთუ განგცე შენ ჴელებსა ამათ კაცთა, მეძიებელთა სულისა შენისათასა.

17. და ჰრქუა მას იერემია: ესრეთ თქუა უფალმ‧ნა ძალთამან, ღმერთმან ისრაილისამან: უკუეთუ განსრული განხვდე მთავართა მიმართ მეფისა ბაბილოვნისათა, და ცხოვნდეს სული შენი და ქალაქი ესე არა დაიწვას ცეცხლითა, და სცხოვნდე შენ და სახლი შენი.

18. ხოლო უკუეთუ არა განხვდე შენ მთავართა მიმართ მეფისა ბაბილოვნისათა, განეცეს ქალაქი ესე ჴელთა ქალდეველთასა, და დაწუან იგი ცეცხლითა, და შენ არა განერე მათგან.

19. და ჰრქუა მეფემან იერემიას წინაჲსწარმეტყუელსა: მე სიტყუაჲ მაქუს იუდეანთა, მილტოლვილთა ქალდეველთა მიმართ, ნუ მიმცენ მე ჴელთა მათთა და მეკიცხვიდენ მე.

20. და ჰრქუა იერემია: არა განგცენ შენ, და ისმინე სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელსა მე ვიტყჳ შენდამი, და უმჯობეს იყოს შენდა, და ცხოვნდეს სული შენი.

21. და უკუეთუ არა გნებავს შენ განსლვად, ესე არს სიტყუაჲ, რომელ მიჩუენა მე უფალმან.

---

15 მეფჱსა O. „არა“ ჩამატებულია J-ში. ნუ] — O. თუ] და G. 16. იდუდუმალ O. ესე — O. ჩუენი] ჩემი O. თუ მოვკლა] მო-თუ-გკლა O. „მოკგლა“-ს „ვ“ ჩამატებულია J-ში. თუ] არცა O. შენ (2)] — O. 17. განვით O, შუა ნაწილი არ იკითხება მელნის დაწვეთების შედეგად. განჰხვდეთ O. ბაბილონისათა O. ცხონდეს O. დაწუეს J. სცხონდე O. 18. განჰხვდე O. ბაბილონისათა O. ჴელთა] + მეფისა O. ქალდეველთაჲსა J. ბაბილონისათა O. და შენ არა განერე ჴელთა მათთა/] — O. 19. იერემიას] — J. სიტყუა J. ბაგჱსO. 20. ისმინე O. სიტყუანი უფლისანი] სიტყუაჲ უფლისაჲ O. და (2) — J. უმჯობჱს O. ცხონდეს W. 21. გნებავს] გინებს O. რომელი O.

15. უკეთუ (1, 2) W. 16. უკეთუ W. 17. უკეთუ W. 18. უკეთუ W. 19. სიტყუა W. მეკიცხვდენ W. 21. უკეთუ W. სიტყუა W.

J

22. და აჰა ესერა ყოველნი დედანი, რომელ დაშთომილ იყვნეს სახლსა შინა მეფისა იუდაჲსსა, განიყვანნეს მთავართა მიმართ მეფისა ბაბილოვნისათა, და იგინი იტყჳან: შეგიტყუვეს შენ და გერეოდეს შენ კაცნი მშჳდობისა შენისანი, გძლონ შენ ძრომასა შინა ფერჴისა შენისასა და მიაქციონ შენგან.

23. და ყოველნი ცოლნი შენნი [ფ 52] და შვილნი შენნი განგგუარნენ ქალდეველთა და შენ [O : 283 v] ვერ განერე ჴელთა მათთაგან, რამეთუ ჴელითა მეფისა ბაბილოვნისაჲთა შეიპყრა, და ქალაქი ესე დაწუას ცეცხლითა.

24. და ჰრქუა მას მეფემან: კაცი ნუ აგრძნობნ სიტყუათა ამათგანსა, და შენ არა მოჰკუდე.

25. და თუ ესმეს მთავართა, რამეთუ გეტყოდე შენ, და მოვიდენ შენდა და გრქუან შენ: გუთხარ ჩუენ, რასა გეტყოდა შენ მეფჱ, და ნუ დაჰმალავ შენ ჩუენგან, რასა ეტყოდე შენ მეფესა; და არა მოგკლათ შენ.

26. და არქუ შენ მათ: ვედრებად შესრულ ვიყავ მე წინაშე მეფისა, რაჲთა არა მიმაქციოს მე მერმე სახლსა იონათანისსა მოსიკუდიდ ჩემდა მუნ.

27. და მოვიდეს ყოველნი მთავარნი იერემიაჲსა და ჰკითხვიდეს მას. და უთხრნა მათ ყოველნი ესე სიტყუანი, რომელ ამცნო მას მეფემან. და დაუდუმნეს მას, რამეთუ არა განისმა სიტყუაჲ უფლისაჲ.

G

22. და აჰა ყოველნი დედანი, დაშთომილნი სახლსა შინა მეფისა იუდაჲსსა, განიყვანენ მთავართა მიმართ მეფისა ბაბილონისათა, და იგინიცა იტყოდეს: შეგაცთუნეს შენ და გერეოდეს შენ კაცნი მშჳდობისა შენისანი, და გძლონ შენ ბრკუმასა შინა ფერჴისა შენისასა და მიიქცეს შენგან.

23. და ყოველნი ცოლნი შენნი და შვილნი შენნი განჰგუარნენ ქალდეველთა მიმართ და შენ ვერ განერე ჴელთა მათთაგან, რამეთუ ჴელისაგან მეფისა ბაბილოვნისა შეპყრობილ იქმნე და ქალაქი ესე დაიწუას ცეცხლითა.

24. და ჰრქუა მას მეფემან: კაცი ნუ სცნობნ სიტყუათა ამათგანსა და არა მოჰკუდე.

25. და უკუეთუ ესმეს მთავართა, ვითარმედ გეზრახე შენ და მოვიდენ შენდა და გრქუან შენ: მითხარ ჩუენ, რასა გეზრახა შენ მეფე, ნუ დაჰფარავ ჩუენგან, და არა მოგკლათ შენ, და რასა ეზრახე მეფესა?

26. და ჰრქუა მათ: დავაგდებდ მე წყალობასა ჩემსა წინაშე პირსა მეფისასა არმიქცევისათჳს ჩემისა კუალად სახიდ იონათანისა მოსიკუდიდ ჩემდა მუნ.

27. და მოვიდეს ყოველნი მთავარნი იერემიაჲს მიმართ და ჰკითხეს მას. და მიუთხრნა მათ ყოველნი ესე სიტყუანი, რომელნი ამცნნა მას მეფემან და დადუმნეს, რამეთუ არა ისმა სიტყუაჲ უფლისაჲ.

---

22. „ყოველნი“ ჩამატებულია J-ში. რომელნი O. განიყვანნენ O. მიმართ] — O. ბაბილონისათა O. იგინი — O. შენისანი] + და O. ძრომასა] ძრვასა O. „ძრომასა“-ს „სა“ ჩამატებულია J-ში. 23. განგგუარნენ] განგუმირნენ J. ქალდეველთა] შენ ქალდეველთა O. ბაბილონისაჲთა O. დაიწუეს O. „ცეცხლითა“ ჩამატებულია J-ში. 24. კაცი ნუ] კაციმცა ნუვინ O. აგრძნობს O. 25. ესმჱს O. მოვიდეს O. გრქუას O. შენ (2] — O. დაჰმალავ შენ ჩუენგან] დაგჳმალავ ჩუენ + და O. რასა] + იგი O. ~ შენ ეტყოდე O. მეფჱსა O და არა მოგკლათ შენ] — O. 26. არქუ შენ] შენ ჰრქუა O. ვედრებად შესრულ ვიყავ მე წინაშე მეფისა] ვითხოვდ მე წყალობასა ჩემსა წინაშე პირსა მეფისასა O. მერმე] — O. იონათამისსა] ნათანისსა O. 27. მეფჱმან O. დადუმნეს O. მას (3)] მისსა O. განისმა] უთხრა მათ O.

22. ფერჴისა] ჴერჴისა W 23. შჳლნი: W. ქალდეველთაჲ W. 24. სიტყვათა W. უკეთუ W. 26. და ვაგდებდ W. 27. დადუმნნეს W. სიტყვა W.

J

28. და დაჯდა იერემია [ეზოსა მას საპყრობილისასა მი]ჟამადმდე დაპყრობისა იერუსალჱმისა.

G

28. და დაჯდა იერემია ეზოსა საპყრობილისასა ვიდრე ჟამადმდე, რომელსა დაპყრობილ იქმნა იერუსალიმი, და იყო, რაჟამს დაიპყრეს იერუსალიმი.

39

J

1. და იყო, რაჟამს გამოიპყრა იერუსალჱმი წელსა მეცხრესა სედეკია მეფისა იუდაჲსსა, თთუესა მეათესა, მოვიდა ნაბუქოდონოსორ, მეფჱ ბაბილოვნისაჲ, და ყოველი ძალი მისი იერუსალჱმსა ზედა და ჰბრძოდეს მას.

2. და მეათერთმეტსა წელსა სედეკიაჲს[ს]ა, თთუესა მეოთხესა, ცხრასა თთჳსასა, შეიტეხეს ქალაქსა.

3. და შეჴდეს ყოველნი მთავარნი მეფისა ბაბილონისანი და დასხდეს ბჭესა მას საშოალსა: ნერგელ სარასარ, სამაგად და ნაბუსარ, სექქიმ ლაფსარის ნერგელ სარასარ და რაბამაქ და ყოველნი [O : 284 r] შემდგომნი მთავარნი მეფისა ბაბილოვნელთაჲსანი.

4. და იყო, რაჟამს იხილა იგინი სედეკია მეფემან იუდაჲსმან და ყოველთა კაცთა მბრძოლთა, ივლტოდეს და გამოჴდეს ღამე ქალაქით გზით მტილისაჲთ, სამეუფოჲთ ბჭით, რომელ იყო საშოალ ორთა ზღუდეთა, და განჴდეს გზად უდაბნოჲსად.

5. და დევნა-უყო ძალმან ქალდეველთამან უკუანა მათსა და შეეწია სედეკიას არაბოთს შინა იერიქოჲსასა. და შეიპყ-

G

1. და იქმნა, წელსა მეცხრესა სედეკია მეფისა იუდაჲსსა, თთუესა მეათესა, მოვიდა ნაბუქოდონოსორ, მეფე ბაბილონისაჲ,და ყოველი ძალი მისი იერუსალიმსა ზედა და ჰბრძოდეს მას.

2. და მეათესა წელსა სედეკია მეფისასა, თუესა მეოთხესა, ცხრასა თთჳსასა, განიპო ქალაქი.

3. და შევიდეს ყოველნი მთავარნი ბაბილონისა მეფისანი და დასხდეს ბჭესა თანა საშუალსა: ნირგელ სარსამალად და ნაბუსახარ და ნაბუსარი, ნალარღა ნასერ, რაბამაღ და ყოველნი ნეშტნი მთავარნი მეფისა ბაბილონისანი.

4. ხოლო იქმნა, რაჟამს იხილნა იგინი სედეკია მეფემან იუდაჲსმან და ყოველთა კაცთა ბრძოლისათა, ივლტოდეს და გამოჴდეს ღამე ქალაქისაგან გზით მტილისა მეფისაჲთ, ბჭისა მიერ საშუალისა ორთა ზღუდეთაჲსა, და გამოვიდეს გზად უდაბნოჲსა არავიაჲსათა.

5. და დევნა-ყო ძალმან ქალდეველმან უკუანაგან მათსა დ ეწინეს სედეკიას არავოდს შინა იერიქოჲსასა და

---

28. ეზოსა მას საპყრობილისასა მი] — J.

39.1. იერუსალჱმი]იერემია O. თუესა O. ბაბილონისაჲ O. იერუაალჱმსა ზედა] იერუსალჱმდ O. მეათერთმეტჱსა O. 2. სედეკიაჲსა J, თუესა O თჳსასა O. შესტეხეს O. ქალაქსა] მას O. 3. შეჴდეს ყოველნი მათგავარნი] შეკრბეს მთარნი ყოველნი O. ბჭესა მას საშოალსა] ბჭესა მას საშუჳალსა] ბჭეთა მათ საშუვალსა O. და (2)] — O. სექქიმ] სამაგად O. ნერგელ სარასარ და] — O. შემდგომნი მთავარნი] მთავარნი შემდგომნი O. „შემდგომნი"-ს ბოლო ჩამატებულია J-ში. ˆბალვნელთაჲსნი J, ბაბილონსანი O 4. იუდაჲსმან] — O. ღამჱ J, ღამე]მიერ O. სამეფოჲთ O. რომელი O. საშუვალ O. 5. დევნა-უყვეს O. შეეწია]ეწინეს O. სედეკიას]სედეკია O. არაბუთს J, არაბოთ O. მოიყვანეს] + იგი O. წინაშე ნაბუქოდონოსორ] — O. ბაბილონისა O. დელბათად O.

28. იერუსალიმი (1, 2) W (უქარაგმოა).

39.1. დიქმნა W. „და"-ს ასომთავრული ანი მომდევნო სტრიქონის მარცხენა კიდემდეზეა.

J

რეს იგი და მოიყვანეს წინაშე ნა[ფ. 53]-
ბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისა
დებლათად, ქუეყანასა ემათისასა, და
ეტყოდა მას მშჯავრ.

6. და მოწყჳდნა მეფემან ბაბილოვ-
ნისამან ძენი სედეკიაჲსნი დებლათას
შინა წინაშე თუალთა მისთა და ყო-
ველნი აზნაურნი იუდაჲსნი მოწყჳდნა
მეფემან ბაბილოვნისამან.

7. და თუალნი სედეკიაჲსნი აღმოჰ-
ჯადნა და შეკრა იგი ბორკილითა რკა-
ლისაჲთა, რაჲთა მიიყვანონ იგი ბაბი-
ლოვნდ.

8. და სახლნი მეფისანი და სახლები
ერისაჲ მოწუეს ქალდეველთა ცეცხლი-
თა და ზღუდე იერუსალჱმისაჲ დაარღ-
ვეს.

9. და ერი იგი, რომელ დაშთომილ
იყო ქალაქსა შინა, და მეოტნი იგი, რო-
მელ ჯელთ ესხნეს მას, და ნეშტნი იგი
ერისანი, რომელ განრინებულ იყვნეს
წარტყუენნა ნაბუზარდან მატაკარანმან
ბაბილონდ.

10. ხოლო ერისა მის გლახაკნი, რო-
მელთა არარაჲ აქუნდა, დაუტევნა ნა-
ბუზარდან მატაკარანმან ქუეყანასა მას
იუდაჲსსა და სცა მათ ვენაჴები და სარ-
წყული [O : 204 v] მას დღესა შინა.

11. და ამცნო ნაბუქოდონოსორ მე-
ფემან ბაბილონისამან ნაბუზარდანს მა-
ტაკარანსა იერემიაჲსთჳს და ჰრქუა:

12. მოიყვანე იგი და ყვენ თუალნი
შენნი მას ზედა და ნუ უყოფ მას რა-

G

შეიპყრეს იგი და აღმოიყვანეს იგი ნა-
ბუქოდონოსორის მიმართ მეფისა ბა-
ბილონისა დევლათას შინა, ქუეყანასა
ეთამისსა, და იტყოდა მის თანა მსჯავ-
რითა.

6. და მოსწყჳდნა მეფემან ბაბილო-
ნისამან ძენი სედეკიაჲსნი დევლათას
შინა წინაშე თუალთა მისთა და მოსწ-
ყჳდნა ყოველნი აზნაურნი იუდაჲსნი
მეფემან ბაბილონისმან.

7. და თუალნი სედეკიაჲსნი დააბრ-
მნა და შეკრა იგი ბორკილებითა რკალი-
საჲთა წარყვანებად იგი ბაბილონდ.

8. და სახლი მეფისაჲ და სახლები
ერისაჲ მოწვეს ქალდეველთა ცეცხლი-
თა და ზღუდე იერუსალიმისაჲ დაარღ-
ვეს.

9. და ნეშტი ერისაჲ, დაშთომილნი
ქალაქსა შინა, და შეცვვნებულნი, რომე-
ლნი შესცვვნებოდეს მას, და ნეშტნი
ერისანი, დაშთომილნი, განსახლნა ნა-
ბუზარდან მთავარ-ქონდაქარმან ბაბილ-
ონდ.

10. ხოლო ერისაგანნი, დავრდომილ-
ნი, რომელთა არა აქუნდა არარაჲ, დაუ-
ტევნა ნაბუზარდან მთავარ-ქონდაქარ-
მან ქუეყანასა შინა იუდაჲსსა და სცა
მათ ვენაჴები და სარწყავები მას დღესა
შინა.

11. და ამცნო ნაბუქოდონოსორ მე-
ფემან ბაბილონისამან იერემიაჲსთჳს
ნაბუზარდანს მთავარ-ქონდაქარსა, მეტ-
ყუელმან:

12. მიიყვანე იგი და თუალნი შენნი
დასხენ მას ზედა და ნუ უყოფ მას ნუ-

---

6. მეფემან] სედკია O. ბაბილონისამან (1, 2) O. დელბათას O. 7. ბაბილონდ O. 8. სახლნი მეფისანი]სახლი მეფისაჲ O. 9. ერი იგი] სხუაჲ იგი ერი O. იყო] იყვნეს O. მეოტნი]შეცვვნებულნი O. რომელ ჯელთ] რომელნი ჯელთა O. ნეშტი O. ერისაჲ O. 10. მის] + გან O. არარაჲ]არაჲ O. აქუნდა] + და O. მას] — O. სცა] მისცა O. 11. ნაბუქოდონოსორ O. იერემიაჲსთჳს ნაბუზარდანს მატაკარანსა O. 12. გრქუას] გარქუ O. ეგრე[ცა] — O.

6. თლ˜თა W. 7. თლ´ნი W. წარყუანებად W. ბაბილონად W. 8. მეფისა W. მოწუჱს W 9. ბაბილონად W. 10. დაუტევანა W. და სცა] დასცა W. 11. მეტყველმან W. 12. თვალნი W. უყოფ] უყოა W.

J

სავე ბოროტსა, არამედ, ვითარცა გრქუას შენ, ეგრეცა ყავ მისთჳს.

13\. და მიავლინა ნაბუზარდან მატაკარა[ნ]მან და ნაბუსარ, სექქიმ ლაფსარის, ნერგელ სარასარ, ჰრაბამაქ და ყოველთა მდიდართა მეფისა ბაბილოვნისთა.

14\. და მოუწოდეს და მოიყვანეს იერემია [ეზოჲთ] საპყრობილისაჲთ და მისცეს იგი გოდოლიაჲსა, ძისა აქიკამისა, ძისა საფანისა, და განიყვანეს იგი აფესდ, და დაჯდა იგი მუნ შორის ერსა.

15\. და იერემიაჲსა მიმართ იყო სიტყუაჲ უფლისაჲ, ოდეს იგი შეყენებულღა იყო ეზოსა მას საპყრობილისასა, და ჰრქუა:

16\. მივედ და არქუ აბდიმელექს ეთიოპელსა: ესრე თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაჱლისმან: აჰა ესერა მე მომაქუს სიტყუაჲ ჩემი ქალაქსა [ფ. 54] ამას ზედა ბოროტებად და არა კეთილად, და იყვნენ იგინი წინაშე პირსა შენსა ამას დღესა შინა, თქუა უფალმან.

17\. და არა მიგცე შენ ჴელთა კაცთასა, რომელთათჳს გეშინის შენ პირისაგან მათისა.

18\. რამეთუ განრინებით განგარინო შენ, და მახჳლითა არა დაეცე შენ; და იყოს სული შენი შენდა მოპოვნებულ: რამეთუ მესვიდი მე, თქუა უფალმან.

G

რას ბოროტსა, არამედ რამეთუ ვითარცა რაჲ თქუას შენდამი, ეგრეთ ყავ მისთანა.

13\. ხოლო მიავლინა ნაბუზარდან მთავარ-ქონდაქარმან და ნაბუსარ საჭურისთ-მთავარმან სექქიმ ნაბსარი, ნირგელ სარასარა, რაბამაღ და ყოველთა დიდებულთა ბაბილონისთა.

14\. და მოიყვანეს იერემია ეზოჲთ საპყრობილისაჲთ და მისცეს იგი გოდოლიაჲს მიმართ, ძისა აქიკამისა, ძისა საფანისსა, და განიყვანეს იგი დეფნიდ, და დაჯდა საშუალ ერისა.

15\. და იერემიაჲს მიმართ იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ ყოფასაღა მისსა შეყენებით ეზოსა შინა საპყრობილისასა, მეტყუელი.

16\. ვიდოდე და თქუ აბდემელექის მიმართ ეთიოპისა, მეტყუელმან: ესრეთ თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაილისამან: აჰა მე მოვიღებ სიტყუასა ჩემსა ქალაქსა ამას ზედა საბოროტოდ და არა საკეთილოდ და იყვნენ წინაშე პირსა შენსა მას დღესა შინა, და გაცხოვნო შენ მას დღესა შინა, თქუა უფალმან.

17\. და არა მიგცე შენ ჴელთა კაცთასა, რომელთაგან შენ გეშინის პირისაგან მათისა.

18\. რამეთუ მაცხოვნებელმან გაცხონო შენ და მახჳლსა შორის არა შეჰვარდე, და იყოს სული შენი მოპოვნებულ, რამეთუ ესევდი ჩემდამო, თქუა უფალმან.

13\. მატაკარამან J. და ნაბუსარ სექქიმ ლაფსარის] ნაზარისსქიმ რაფსარის O. ჰრაბამაგ O ბაბილონისათა G. 14. ეზოჲთ] — J. გოდოლიას O. ძისა] ძესა O. აქიკამისსა O. საფანისსა O. იაფესად O. 16. აბიმილიქს O. ბოროტად O. და იყვნენ იგინი] + და იყვნენ იგინი O. მას O. 18. მესევდი O.

13\. ბამალ W, შდრ. 39.3. 15. სიტყვა W. შეყენებით] შეწყინებით W. მეტყველი W. 18. ესევდი] ესე ვითარმედ W.

J | G

40

1. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემია-
ჲსა მიმართ უფლისა მიერ, [O : 285 r]
შემდგომად ოდეს იგი წარავლინა ნაბუ-
ზარდან მატაკარანმან დებლათაჲთ; რა-
მეთუ წარიყვანა იგი კრული ჴელთ-
ბორკილთა შორის ყოვლისა ნატყუენა-
ვისა იერუსალჱმისაჲსა და იუდაჲსა,
რომელნი წარჰყვანდეს ბაბილონდ.

2. და მოიყვანა ნაბუზარდან იერემიაჲ
და ჰრქუა მას: უფალმან ღმერთმან შენ-
მან ბრძანა ძჳრი ესე ამას ადგილსა ზე-
და.

3. და ამას ქალაქსა მოავლინა და ყო
უფალმან, ვითარცა თქუა, რამეთუ შეს-
ცოდეს მას, და არა ისმინეთ ჴმისა მი-
სისაჲ და გეყო თქუენ [სიტყუაჲ] ესე:

4. და აწ აჰა ესერა განგჴსენ შენ
დღეს ჴელთ-ბორკილთა მაგათგან, რო-
მელ იყვნეს ჴელთა შინა შენთა. დღჱ
კეთილ თუ არს წინაშე შენსა მოსლვაჲ
ჩემ თანა ბაბილონდ, მოვედ და ვყვნე
თუალნი ჩემნი შენ ზედა,

5. და თუ არა ჯერ-გიჩს წინაშე თუ-
ალთა მოსლვად ჩემ თანა ბაბილონდ,
დადეგ და აჰა ესერა ყოველი ქუეყანაჲ
წინაშე შენსა არს, სადაცა კეთილ არს
და სადაცა ჯერ-არს მისლვად შენდა.
მუნ მიგუალე და ვიდრე წარსლვადმდე
ჩემდა ვიდოდე შენ, და მიიქეც გოდო-
ლიაჲსა, ძისა აქიკამისა, ძისა საფანისა,
რომელ დაადგინა მეფემან ბაბილოვნი-
სამან ქუეყანას იუდაჲსსა, და დაეშენე

---

1. სიტყუაჲ, ქმნილი იერემიაჲს მი-
მართ უფლისა მიერ შემდგომად წარგ-
ზავნისა ნაბუზარდანის მიერ მთავარ-
ქონდაქარისა რადამანით მოყვანებად
იგი ჴელ-ბორკილითა ყოვლისა თანა
განსახლვისა იუდაჲსსა, წარყვანებადთა
ბაბილონდ.

2. და მოიყვანა იგი მთავარ-ქონდაქარ-
მან და ჰრქუა მას: უფალმან ღმერთმან
შენმან თქუნა ბოროტნი ესე ადგილსა
ამას ზედა.

3. და მოაწინა და ქმნა უფალმან,
ვითარცა თქუნა, რამეთუ შესცოდეთ
მას და არა ისმინეთ ჴმისა მისისა და იქმ-
ნა თქუენდა სიტყუაჲ ესე:

4. და აწ აჰა განგჴსენ შენ ჴელ-ბორ-
კილთა ჴელთა შენთა ზედათაგან დღეს
უკუეთუ კეთილ არს წინაშე შენსა მო-
სლვაჲ ჩუენ თანა ბაბილონდ, მოვედ
და დავადგინნე თუალნი ჩემნი შენ ზედა,

5. და თუ ბოროტ არს თუალთა შენ-
თად მოსლვაჲ ჩუენ თანა ბაბილონდ,
დადეგ და აჰა ყოველი ქუეყანაჲ წინა-
შე შენსა; სადაცა არს კეთილ და წრფელ
შენდა სლვად, მუნ წარ[ვ]ედ და პირ-
ველ ცვალებად ჩემდამდე ვიდოდე შენ
[5]და მიიქეც გოდოლიაჲს მიმართ, ძი-
სა აქიკამისა, ძისა საფანისსა, რომელი
დაადგინა მეფემან ბაბილონელმან ქუე-
ყანასა ურიასტანისასა და დაემკვდრე

40.1. მიერი O. დებლათაჲთ O. 2. ნაბუზარდან] მატაკარანმან O. ი;რემია] — O. მას]მან O. ნარი ზემოდანაა მიწერილი. ~ ესე ძჳრი O. 3. ისმინეს O. სიტყუაჲ] — J. 4. ~ აჰა ესერა აწ O. განგჴსნე O. შენ (1)] შენგან J. დღეს] — O. დღეს]—O-ში ჩამატებულია. 7. ჴელთ-ბორკილთა მაგათგან, რომელ] ჴელბორკილთაგან შენთა, რომელნი O. დღჱ] დღეს + და O. მოსლვად O. 5. არა ჯერ-გიჩს] ჯერკუალ არს O. მოსლვად]მოსვაჲ O. დადეგ და] — O. მე-5 მუხლის დასაწყისიდან „დადეგ“ — იანად ჩამატებულია J-ში. საფანისსა O ბაბილონისამან O. ქუეყანასა] + მან O. იუდაჲსა J. დაეშჱნე O. ყოვლსა კეთილსა O. რომელიცა გთნავს]სლვად O. მას (2)] — O. „მატა-კარანმან“-ის I ნარი ჩამატებულია J-ში.

40.1. სიტყვა W ო‾ჲ W. ბაბილონად. 2. მოიყუანა W. 4. უკეთუ W. ბაბილონად W. 5. ბაბილონად W. დადეგ]დაბით W. წარედ W. ორიასტანისასა W. მისცნა W.

J

შენ მის თანა შორის ერსა შენსა; უკუე-თუ არა, ყოველი კეთილი წინაშე შენსა; რომელიცა გთნავს, მას შეუდეგ. და სცა მას მატაკარანმან საგზალი და ნიჭი და წარავლინა იგი.

6. და მივიდა იერემია გოდოლიაჲსა, ძისა აქ[O : 285 v]იკამისა, მასჱფათდ და დაჯდა მის თანა შორის ერისა მისისა, რომელ დაშთომილ იყვნეს ქუეყანასა მას.

7. და ესმა ყოველთა მთავართა მის ძალისათა, რომელ იყვნეს ველსა შინა, მათ და ძალსა მას მათსა, რამეთუ დაადგინა მეფემან ბაბილოვნისამან გოდოლია, ძჱ [ა]ქიკამისი ქუეყანასა მას და, რამეთუ შე[ჳ]ვედრა მამები [ფ. 55] და დედები [მათი] და ერი მრავალი, გლახაკთაგანნი ქუეყანისაგანნი, რომელ არა წარტყუენნა ბაბილონდ.

8. და მოვიდეს გოდოლიაჲსა მასჱფათდ ისმაელ, ძჱ ნათანისი [და იონან, ძჱ კარიაჲსი], და სარეა, ძჱ ნათემისი, და ძენი ოფეთისნი მეთუფათიტელისანი (...), იგინი და კაცნი მათნი.

9. და ეფუცა მათ გოდოლია, ძეჲ აქიკამისი, ძისა საფანისი, და ჰრქუა: ნუ გეშინინ თქუენ პირისაგან მონათა ქალდეველთაჲსა; დაეშენენით ქუეყანასა ამას და უქმოდეთ მეფესა ბაბილოვნისასა, და უმჯობეს იყოს თქუენდა.

10. და აჰა ესერა მე დავჯდე მასჱფათს შინა დადგომად წინაშე პირსა ქალდეველთასა, რომელნიცა მოვიდენ თქუენ ზედა; და თქუენ დაიკრიბეთ ღჳნოჲ, იფქლი და ხილი, დაიკრიბეთ

G

მის თანა შორის ერისა; ხოლო უკუე-თუ არა, ყოველნი კეთილნი თუალთა შენთა წინა, სლვად ვიდოდე. და მისცა მას მთავარქონდაქარმან საგარი და ნიჭი და წარგზავნა იგი.

6. და მოვიდა იერემია გოდოლიაჲს მიმართ, ძისა აქიკამისა, მასიფად და დაჯდა მის თანა საშუალ ერისა, დაშთომილისა ქუეყანასა მას.

7. და ისმინეს ყოველთა მთავართა ძალისა, ველის შინაჲსათა მათ, და ძალთა მათთა, ვითარმედ დაადგინა მეფემან ბაბილონისამან გოდოლია, ძე აქიკამისი, ქუეყანასა ზედა და, ვითარმედ შე[ჳ]ვედრა მას მამები და დედები მათი და ერი მრავალი და გლახაკთაგან ქუეყანისათა, რომელნი არ განასახლნა ბაბილონდ.

8. და მოვიდეს გოდოლიაჲს მომართ მასსიფად ისმაილ, ძე ნათანისი, და იონან და იონათან, ძე კარიეჲსი, და სარეა, ძე თანაემითისი და ძენი ოფითისნი ნეტოფათისისანი, და იეზონი-, [ძე] მაქაათისი, იგინი და მამაკაცნი მათნი.

9. და ეფუცა მათ გოდოლია, ძე აქიკამისი, ძისა საფანისი, და მამაკაცთა მათთა, მეტყუელი: ნუ გეშინინყე პირისაგან ყრმათა ქალდეველთაჲსა; დაეშენენით ქუეყანასა ზედა და უქმოდეთ მეფესა ბაბილონისასა და უმჯობეს იყოს თქუენდა.

10. და აჰა მე ვზი მასიფას შინა დგომად წინა პირსა ქალდეველთასა, რომელნი მო-თუ-ვიდენ თქუენ ზედა; და თქუენ შეიკრიბეთ ღჳნოჲ და ხილი და შეკრიბეთ ზეთი ჭურჭელთა თქუენ-

---

6. მასეფად O. ერისა მისისა]ერსა მისსა O. 7. ~ მთავართა ყოველთა O. რომელნი O. ველსა]მას O. ბაბილონისამან O. ქიკამისი J. მას (2)/] ამას. O. შევედრა J, შევიდა O. მათი — J- მრავალი] + და O. ქუეყანისანი O. რომელნი O. 8. და (1)] და O. მასეფათდ O. ნთანისი O. და იონან, ძჱ კარიაჲსი] — J. უფეთისანი J, ობედისნი O. მეთოფატეთისანი O. 9. ძჱ O. ჰრქუა] + კაცთა მათ O. დაეშჱნენით O. მეფჱსა O. ბაბილონისასა O. უმჯობჱს O. 10. მასეფათს O. პირსა ქადეველთასა] ქალდეველთა O. თქუენ ზედა] თქუენდა O. დაიკრიბჱთ O. იფქლი/] — O. დაიკრიბეთ] და შეიკრიბეთ O. დაეშჱნენით O. და იშენენით J.

6. გოდოლიას W. საშუალ W. 7. შევედრა W. 8. კარიესი W. თანა ემითისი W. ძე (4)] — W.

J

ზეთი ჭურჭერთა თქუენთა და დაეშენე-
ნით ქალაქთა თქუენთა, რომელ გეპყრ-
ნეს.

11. და ყოველნი ჰურიანი, რომელ-
ნი იყვნეს ქუეყანას მას მოაბისასა, და
ძეთა ამონისთა და იდუმიას და რო-
მელნი იყვნეს ყოველსა ქუეყანასა, ეს-
მა, რამეთუ დაუტევა მეფემან ბაბილო-
ვნისამან ნეშტი ჰურიასტანსა, და რამე-
თუ დაადგინა მათ ზედა გო[O : 286r]-
დოლია, ძჱ აქიკამისი, ძისა საფანისი.
მოიქცეს ჰურიანი ყოველთაგან ადგილ-
თა, სადა მიმოდაბნეულ იყვნეს.

12. და მოვიდეს ქუეყანად იუდაჲსა
გოდოლიაჲსა მასეფათდ და შეკრიბეს
ღჳნოჲ და ხილი დიდძალი ფრიად.

13. და იონან, ძჱ კარესი, და ყო-
ველნი მთავარნი ძალისანი, რომელ იყ-
ვნეს ველსა ზედა, მოვიდეს გოდოლია-
ჲსა მასჱფათდ.

14. და ჰრქუეს გოდოლიას: უკუეთუ
უწყებით უწყი, რამეთუ ბელია, მეფე-
მან ძეთა ამონისთამან, მოავლინა შენ-
და ისმაელ, ძჱ ნათანისი, მოკლვად შენ-
და? და არა ჰრწმენა მათი გოდოლიას.
ძესა აქიკამისსა.

15. და იონან, ძემან კარესმან, მიუ-
გო გოდოლიას ფარულად მასჱფათს
შინა და ჰრქუა: წარვიდე მე აწ და
მოვკლა ისმაელ, ძჱ ნათანისი, და ნუ-
მცა-ვინ აგრძნობს, ნუუკუე მო-სადა-მე-
კლას შენ, და განიბნინენ ყოველნი
ესე ჰურიანი, რომელნი შემოკრებულ
[ფ. 56] არიან შენდა, და წარწყმდენ
ნეშტნი იგი იუდაჲსნი?

G

თა და დაეშენენით ქალაქთა თქუენთა,
რომელთა შენ დაგეპყრნეს.

11. და ყოველთა იუდეანთა, ქუეყა-
ნისა მოაბისათა, და ძეთა ამმონისთა
შორისთა და იდუმეას შინაჲსთა და
ყოვლისა ქუეყანისა შორისთა, ესმა, ვი-
თარმედ მისცა მეფემან ბაბილონისამან
ნეშტი იუდეას შინა, ვითარმედ დაად-
გინა მათ ზედა გოდოლია, ძე აქიკამისი,
ძისა საფანისი და მოიქცეს იუდეანნი
ყოველთა ადგილთაგან, სადაცა გასნი-
თესნეს მუნ.

12. და მოვიდეს ქუეყანად იუდაჲს-
სა გოდოლიაჲს მომართ მასიფად და
შეკრიბეს ღჳნოჲ და ხილი მრავალი
ფრიად და ზეთი.

13. და იონან, ძე კარიესი, და მთა-
ვარნი ძალისა ველთა შინაჲსანი მოვი-
დეს გოდოლიაჲს მომართ მასიფად.

14. და ჰრქუეს მას: [14] უკუეთუ
უწყებით უწყი, ვითარმედ ველია მე-
ფემან, ძემან ამონისთამან, მოავლინა
შენდა ისმაილ, ძე ნათანისი, მოკლვად
სულისა შენისა? და არა ჰრწმენა მათი
გოდოლიას, ძესა აქიკამისსა.

15. და ჰრქუა იონან, ძემან კ[ა]რიე-
სმან, გოდოლიას იდუმალ მასიფას ში-
ნა, მეტყუელმან: წარვიდე მე და მოვ-
კლა ძე ნათანისი, ისმაილ, და ნუვინ
აგრძნობნ; ნუსადა მოკლას სული შენი
და განითესნენ ყოველნი იუდეანნი
შეკრებილნი შენ თანა, და წარწყმდენ
დანაშთომნი იუდაჲსნი.

---

11. მას] — O. მოაბისსა J (უქარაგმოა). ამონისთასა O. და(2)] + რომელნი იყვნეს O. ესმა] — O. ბაბილონისამან O. რამეთუ (2)] — O. მოიქცეს] და მოიქცეს O. ყოველთაგან ადგილთა] ყოველთა ადგილთაგან O. იყვნეს] + მუნ O. 12. მასეფატდ O. 13. კარიაჲსი O. რომელნი O. 16. ზედა] შინა O. მასეფატს O. გოდოლიას] — O. ~ უწყი უწყებით O. თანასისი O. შენდა (2)] თავისა შენისა O. ძჱსა O. აქიკამისა J. 15. ენან O. კარიაჲსმან O. მასეფატს O. ესე] — O.

11. იუდიანთა W. შა´ჲთა W. 14. უკეთუ W. ველია] ველთა W. 15. კრიესმან W. ნუ სად W.

J

16. და ჰრქუა გოდოლია, ძემან აქიკამისმან, იონანს, ძესა კარესსა: ნუსადა ჰყოფ შენ სიტყუასა მაგას, რამეთუ ცილსა იტყჳ შენ ისმაელისთჳს.

G

16. და თქუა გოდოლია, ძემან აქიკამისმან, იონანის მიმართ, ძისა კარესსა: ნუ ჰყოფ სიტყჳსაებრ შენისა, რამეთუ ტყუილსა იტყჳ შენ ძჳნად ისმაილისსა.

41

J 1. და იყო, თთუესა მეშჳდესა მოვიდა ისმაელ, ძე ნათანისი, ძისა ელისამაჲსი, ნათესავისაგან მეუფეთაჲსა და მონანი მეფისანი და ათი კაცი მის თანა გოდოლიაჲსა, ძისა აქიკამისა, მასეფათდ და ჭამეს მის თანა პური მასეფათს შინა.

G 1. და იყო, თთუესა მეშჳდესა მოვიდა ისმაილ, ძე ნათანისი, ძისა ელისამაჲსი, ნათესავისაგან მეფობისა, და ყრმა[ა]კნი მეფისანი და ათნი მამაკაცნი მათ თანა გოდოლიაჲს მიმართ მასიფად და ჭამეს მუნ პური ზოგად.

J 2. და აღდგა ისმაელ, ძჱ ნათანისი, და ათნი იგი კაცნი მისთანანი და სცეს გოდოლიას, ძესა აქიკამისსა, ძისა [O : 286 v]საფანისსა, მახჳლითა და მოკლეს იგი, რომელ დაედგინა მეფესა ბაბილოვნისასა ქუეყანასა მას ზედა.

G 2. და აღდგა ისმაილ, ძე ნათანისი, და ათნი მამაკაცნი მის თანა და მოკლეს გოდოლია, რომელ დაადგინა მეფემან ბაბილონისამან ქუეყანასა ზედა.

J 3. და ყოველნი ჰურიანი, რომელნი იყვნეს გოდოლიაჲს თანა მასეფათს შინა, და ყოველნი ქალდაველნი, რომელ იპოვნეს მუნ, [და] კაცნი [იგი] მბრძოლნი მოწყჳდნა ისმაელ.

G 3. და ყოველნი იუდეანნი, მყოფნი მის თანა მასსიფას, და ყოველნი ქალდეველნი, პოვნილნი მუნ, და მამაკაცნი ბრძოლისანი მოსრნა ისმაილმან.

J 4. და იყო მეორესა დღესა, ოდეს მოკლა ისმაელ გოდოლია, და კაცმან არა აგრძნა.

G 4. და იყო დღესა მეორესა მოკლვისა გოდოლიაჲსსა მის მიერ, და კაცმან არა ცნა.

J 5. და მოვიდეს კაცნი სჳქემით და სალემით და სამარიაჲთ ოთხმეოცნი [კაცნი] წუერ-ყჳნულნი და კუართ-დაპებულნი და მგლოარენი, და შესაწირავი და გუნდრუკი აქუნდა ჴელთა შინა მათთა მიღებად სახლად უფლისა.

G 5. და მოვიდეს კაცნი სჳქემით და სალიმით და სამარიაჲთ ოთხმეოცნი კაცნი, დამყუენელნი წუერთანი და დამბძარველნი სამოსელთა მათთანი და მეტყებარნი, და მინნაჲ და გუნდრუკი და ძღუენნი ჴელთა შინა მათთა შეღებად სახლად უფლისა.

---

16. ძემან აქიკამისმან] — O. ძესა კარესსა] — O. სიტყუასა მაგას] სიტყუათა მაგათ O.

41.1. თუესა O. ძჱ O. ელისამეაჲსი O. ნათესავისაგანი მეფეთაჲ O. მასეფათდ J, მასეფატდ O. ჭამეს მის თანა პური მასეფთას (ასეა J-ში)] ჭამეს მუნ პური თანად მასეფატს O. 2. აღდგეს O. მის თანს O. აქიკამისა J. მეფჱსა O. ბაბილონისასა O. მას] — O. 3. მასეფთას J, მასეფატს O. რომელ] რომელნი O. და (3)] — J. იგი] — J. 4. დღჱსა O. 5. სჳქემდ O. შალემით O. კაცნი] — J. წუერ-ყჳნულნი] კაცნი წარტყუენულნი O. მგლოვარენი O. შინა] — O. მიღებად სახლად უფლისა]შეღებად სახლსა უფლისასმა O.

16. კარესა W. ჰყოფთ W.

41.1. ყრმაკნი W. 2. გოდოლიან W. ბაბილონისმან W. 5. ო̃ჲ W.

J

6. და გამოვიდა ისმაელ, ძე ნათანისი, წინა-მიგებებად მათა მასეფათით და ვიდოდა სლვით და ტიროდა. და იყო, რაჟამს მიეახლა მათ, ჰრქუა მათ: შევედით გოდოლიაჲსა, ძისა აქიკამისა.

7. და იყო, რაჟამს შევიდეს იგინი შოვა ქალაქსა, მოწყჳდნა იგინი ისმაელ და შთასთხინა იგინი ჯურღმულსა, მან და კაცთა მათ მისთანათა.

8. და ათნი კაცნი იპოვნეს მუნ და ჰრქუეს ისმაელს: ნულა მოგუწყუედ ჩუენ, რამეთუ არიან ჩუენნი საფასენი ქრთილი და ზეთი და თაფლი. და გარე-წარჰჴდა მათ და არა მოწყჳდნა იგინი შორის ძმათა მათთა.

9. რამეთუ ჯურღმული იგი, რომელსა შთააბნია ისმაელ ყოველი მძორები მათ კაცთაჲ, რომელნი მოსრნა გოდო-(ფ. 57)ლიას თანა, ჯურღმული დიდ არს, [O : 287 r] რომელ-იგი ქმნა მეფემან [ბა]ასა * პირისაგან ბაასა მეფისა ისრაჱლისა, ესე აღავსო ისმაელ წყლულებითა.

10. და მიაქცია ისმაელ ყოველი ერი ტყუედ, რომელ დაშთომილ იყო მასეფათს შინა, და ასულნი მეფისანი, რომელნი დაეტევნეს ნაბუზარდანს მატაკარანსა გოდოლიაჲს თანა, ძისა აქიკამისა. და აღიმსდო ისმაელ, ძემან ნათანისმან, და წარვიდა წიაღ ძეთა ამონისთა.

11. და ესმა იონანს, ძესა კარესსა, და ყოველთა მთავართა ძალისათა, რომელ იყვნეს მის თანა, ყოველი ესე ძჳრი, რომელ ქმნა ისმაელ, ძემან ნათანისმან.

G

6. და გამოვიდა მიგებებად მათდა ისმაილ მასსიფაჲთ, და იგინი ვიდოდენ და ტიროდეს, და ვითარცა მიეახლა მათ, ჰრქუა მათ: შევედით გოდოლიაჲსსა, ძისა აქიკამისა.

7. და იყო, შე-რაჲ-ვიდეს საშუალ ქალაქისა, მოსრნა იგინი ისმაილმან და შთაყარნა ჯურღმულსა, მან და კაცთა მათ მისთათა.

8. და ათნი კაცნი იპოვნეს მუნ და ჰრქუეს ისმაილსა: ნუ მომწყუედ ჩუენ, რამეთუ არიან ჩუენდა საუნჯენი ველსა შინა, იფქლნი და ქრთილნი და თაფლი და ზეთი და წარჰჴდა და არა მოსწყჳდნა იგინი შორის ძმათა მათთა.

9. ხოლო ჯურღმული, რომელსა შთაყარნა ისმაილ ყოველნი, რომელნი მოსრნა გოდოლიაჲს თანა, ჯურღმული დიდი ესე არს, რომელი ქმნა მეფემან ასა პირისაგან [ბა]ასაჲსა, მეფისა ისრაილისა, ესე აღავსო ისმაილმან წყლულებითა.

10. და მიაქცია ისმაელმან ყოველი ერი, დაშთომილი მასსიფას, და ასულნი მეფისანი, რომელნი შეჰვედრნა მთავარქონდაქარმან გოდოლიას, ძესა აქიკამისსა და აღიმსთო ისმაილ და წარვიდა წიაღ ძეთა ამმონისთა.

11. და ესმნეს იონანს, ძესა კარიესსა, და ყოველთა მთავართა ძალისათა მისთანათა, ყოველნი ძჳრნი, რომელნი ქმნნა ისმაილმან, ძემან ნათანისმან.

---

6. ძჱ O. წინა-მიგებებად მათა მასეფათით] წინა-მიეგებვოდა მათ მასეფატით O. მათ (1)] და O. შევედით] მივედით O. 7. შევიდეს]მივიდეს O. შუვა O. ისმაელ] — მძემან ნათანისმან O. 8. ~იპოვნეს მუნკაცნი O. ნულა] + რა O. მოგუწყუდი J. ქრთილი და ზეთი და თაფლი] ქრთილითა და თაფლითა და ზეთითა O. მათთა] — O. 9. რამეთუ]ხოლო O. შთააბნევდა O. გოდოლიაჲს O. *შდრ. βαασά ბასა O. წყლულებითა] + და მიაქცია ისმაელ წყლულებითა O 10. ტყუედ] — O. რომელი O. ბასეფთას J, შინა] — O აღიმსთო O. წიაღ ძეთა] ძეთა თანა O. 11. კარესსა] კარიაჲსსა O. II სანი J-ში ჩამატებულია. რომელნი O.

6. მიგებება˜ჲდ W. მასსიფაით W. 7. შერაჲვიდეს W. 8. დაქრთილნი W. 9. მოსრა W. [ბა]ასაჲსა]ასაჲსა W. შდრ. βαασά.

J

12. და შეკრიბეს ყოველი ერი მათი და აღემზადნეს ბრძოლად და დევნა-უყვეს ისმაელს, ძესა ნათანისსა, და პოვეს იგი წყალსა ზედა დიდსა გაბაონს შინა.

13. და იყო, რაჟამს იხილა ყოველმან ერმან, რომელ წარჰყვანდა ისრაელს იონან, ძჱ კარესი, და ყოველნი მთავარნი ძლიერებისანი მის თანა, განიხარეს.

14. და უკმოიქცა ყოველი ერი, რომელ წარტყუენა ისმაელ მასწფათით, და მოიქცეს და მოვიდეს იონანისა, ძისა კარესისა.

15. ხოლო ისმაელ, ძე ნათანისი, განერა რვითა კაცითა პირისაგან იონანისა და მივიდა ძეთა ამონისთა.

16. და უკმოიღო იონან, ძემან კარესმან, და ყოველთა მთავართა ძლიერებისათა, რომელ იყვნეს მის თანა ნეშტი ერისაჲ მის, რომელ უკუმოიქცინნეს ისმაელისაგან, ძისა ნათანისა, შემდგომად მოკლვისა გოდოლიაჲსა, ძისა ჰაკიკამისა, რომელ მის თანა მოწყვდნეს ძლიერნი კაცნი [O : 287 v] ბრძოლასა შინა, რომელ უკმოიქცინეს გაბაონით ნეშტნი იგი და დედები და საჭურისნი.

17. და წარვიდეს და დადგეს ქუეყანასა ბეროთქამისასა ბეთლემით კერძო წარსლვად და შთასლვად ეგჳპტედ.

18. პირისაგან ქალდეველთაჲსა. რამეთუ შეიშინეს პირისაგან მათისა.

G

12. და შეკრიბეს ყოველი ლაშქარი მათი და მივიდეს ბრძოლად მისსა და პოეს იგი წყალსა ზედა მრავალსა გაბაონს შინა.

13. და იყო, ვითარცა იხილა ყოველმან ერმან ისმაილისთანამან იონან და მთავარნი ძლიერებისანი მისთანანი, განიხარეს.

14. და მოაქცია ყოველმან ერმან, რომელი წარტყუენა ისმაელმან მასსეფაჲთ, და მოქცეულნი მოვიდეს იონანის მომართ, ძისა კარიესსა.

15. ხოლო ისმაილ, ძე ნათანისი, განერა რვათა კაცთა თანა პირისაგან იოანანისსა და მივიდა ძეთა მიმართ ამმონისთა.

16. და მიიხუნა იონან, ძემან კარიესმან, და ყოველთა მთავართა ძალისათა მისთათა ყოველნი ნეშტნი ერისანი, რომელნი უკმოაქცინა ისმაილისაგან ძისა ნათანისა, შემდგომად მოკლვისა გოდოლიაჲსსა, ძისა აქიკამისსა, ძლიერნი კაცნი ბრძოლასა შინა და დედანი და ნეშტნი და საჭურისნი, რომელნი მოაქცინა გაბაონით.

17. და წარვიდეს და დასხდეს ქუეყანასა შინა ბიროათამისა ბეთლემით კერძოსა წარსლვად ეგჳპტედ.

18. პირისაგან ქალდეველთაჲსა, რამეთუ შიშნეულ იქმნნეს პირისაგან მა-

12. და (1)] — O. ერი] ძალი O. აღემზადნეს/] მოვიდეს O. ბრძოლად] + ისმაელისა O. და დევნა-უყვეს ისმაელს] — O. ძესა ნათანისსა] მისა ნათანისა O. წყალთა O. 13. რომელ წარჰყვანდა ისმაელს] რომელნი იყვნეს მის თამა O. კარეაჲსი O. თანა] + და O. 13. რომელ წარჰყვანდა ისმაელის] რომელნი იყვნეს მისთანა O. კარაეჲსი O. თანა] + და O. 14. უკუნიქცა O. ერი] — O. რომელი O. წარტყუენა ისმაელ მასწფათით, და მოიქცეს]წარეტყუენა ისმაელს სეფათით და მიაქციეს O. მივიდეს O. კარესისა] კარეაჲსა O. 15. ძეთა] + თანა O. 16. უკმოიღო]მოიღო O. კარესმან] კარიაჲსმან O. რომელ (1)] რომელნი O. ნეშტი ერისაჲ მის] ნეშტნი იგი ერისანი O. უკმოიქცინეს O. ნათანისა] + მასეფატით O. აქიკამისა O. „ქი" ჩამატებულია J-ში. მოწყვდეს J, რომელ მის თანა მოწყვდეს] — O. უკმოიქცინეს გაბაონით ნეშტნი იგი და დედები და საჭურისნი] დედები და სხუაჲ იგი ნუეშტი, რომელ უკმოიქცეს გაბაონით O. 17. და (1)—O. დადგეს]დასხდეს O. ბეროთქამაამისასა J, ხაზგასმული ანი ჩამატებულია J-ში. შესლვად O. 18. შეიშინეს] შეეშინა მათ O. ბაბილონისამან O.

16. კარისმან W. 18. ქალდეველთასა W.

J

რამეთუ მოკლა ისმაელ გოდოლია, ძჱ აქიკამისი, რომელ დაადგინა მეფემან ბაბილოვნისამან [ფ. 58] ქუეყანასა მას.

G

თისა, რამეთუ მოკლა ისმაილმან გოდოლია, რომელი დაადგინა მეფემან ბაბილონისამან ქუეყანასა ზედა.

42

J

1. და მივიდეს ყოველნი მთავარნი ძლიერებისანი: იონან, ძჱ კარესი, და იეზორია, ძე ანანიაჲსი, და აზარია, ძჱ იოსჱსი, და ყოველი ერი კნინითგან მიდიდადმდე და ჰრქუეს იერემიას წინაწარმეტყუელსა:

2. შეგივრდინ წყალობაჲ ჩუენი წინაშე პირსა შენსა და ილოცე ჩუენთჳს უფლისა მიმართ ღმრთისა შენისა ნეშტთა ამათთჳს, რამეთუ დავშედით მცირედნი მრავალთაგან, ვითარცა ეგე თუალნი შენნი გუხედვენ ჩუენ.

3. და გვთხარნ ჩუენ უფალმან ღმერთმან შენმან გზაჲ, რომელსა ვიდოდით და სიტყუაჲ, რომელ ვყოთ.

4. და ჰრქუა მათ იერემია წინაწარმეტყუელმან: მესმა, აჰა ესერა ვილოცო უფლისა მიმართ ღმრთისა ჩემისა მსგავსად სიტყუათა თქუენთა, და იყოს, სიტყუაჲ, რომელ მრქუას მე უფალმან, გითხრა თქუენ, და არა დავმალო თქუენგან სიტყუაჲ.

5. და ჰრქუეს მთავართა მათ იერემიას: იყავნ უფალი ჩუენ შორის მოწამჱ მართალ და სარწმუნო, რამეთუ ყოვლითა სიტყვთა, რომლითა მოგავლინოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ჩუენდა, ეგრეცა ვყოთ.

6. გინა თუ კეთილად, გინა თუ ბოროტად, ჴმაჲ უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ, რომლისა მიგავლინებთ შენ მისსა,

G

1. და მოუჴდეს ყოველნი მთავარნი ძლიერებისანი და იონან, ძე კარესი, და აზარია, ძე მაასესი, და ყოველი ერი კნინითგან დიდამდე [2] იერემიას წინაჲსწარმეტყუელსა და ჰრუეს მას:

2. დავარდინ წყალობაჲ ჩუენი წინაშე პირისა შენისა, და ილოცე წინაშე უფლისა მიმართ ღმრთისა ნეშტთა ამათთჳს, რამეთუ დავშთით მცირედნი მრავალთაგან, ვითარცა თუალნი შენნი ხედვენ.

3. და გვთხარნ ჩუენ უფალმან ღმერთმან გზაჲ, რომელსა ვიდოდით მას ზედა, და სიტყუაჲ, რომელ ვყოთ.

4. და ჰრქუა მათ იერემია წინაჲსწარმეტყუელმან: მესმა, აჰა მე ვილოცო თქუენთჳს უფლისა მიმართ ღმრთისა ჩუენისა სიტყუათაებრ თქუენთა, და იყოს, სიტყუაჲ, რომელიცა მომიგოს უფალმან, მიგითხრა თქუენ, არა დავფარო თქუენგან თქუმაჲ.

5. და მათ ჰრქუეს იერემიას: იყავნ უფალი ჩუენდა მოწამედ მართლად და სარწმუნოდ, ვითარმედ ყოვლისა სიტყჳსაებრ, რომლითაცა მოგავლინოს შენ უფალმან ღმერთმან ჩუენდა მომართ, ეგრეთ ვყოთ.

6. და ლათუ კეთილად და ლათუ ბოროტად ჴმისა უფლისა, ღმრთისა ჩუენისა, რომლისა ჩუენ მიგავლენთ შენ

42.1. მოვიდეს O. იონან] და იონან O. კარესი] კარიაჲსი O. ძე] ძჱ O. 2. ჩუენთჳს] — O. დავშედით] დავშთით O. 3. უფალმან ღმერთმან შენმან გზაჲ] ღმერთმან გზაჲ ჩუენი O. რომელი O. 4. და (1)] — O. მესმა] + მე გზაჲ] ღმერთმან გზაჲ ჩუენი O. სიტყუათა] + მაგათ O. რომელი O. 5. მთავართა] — O. ყოვლითა სიტყვთა, რომლითა] ყოველთა სიტყუათა, რომელთა O. შენმან] — O. 6. რომლისა მიგავლინებთ შენ მისსა ვისმინოთ] ვისმინოთ რლ˜ისა მიგავლინებთ შენ O. უმჯობჱს O. ჴმისა უფლისა ღმრთისა ჩუენისა] ჴმაჲ უფლისა ღმრთი[სა] (ღ˜თი) ჩუენისაჲ O.

42.1. დიდადმდე] + მათდა W. 2. ო˜ჲ W. ღ˜ჲ W. 4. ო˜ჲ W. 5. ჩვენდა W. 6. ოჲ (1,2) W. ღ˜ჲ (1,2) W. 7. დღეთა] დღეთა W. სიტ˜ყჲ W.

J

[O : 288r] ვისმინოთ, რაჲთა უმჯობეს იყოს ჩუენდა, რამეთუ ვისმინოთ ჴმისა უფლისა ღმრთისა ჩუენისა.

7. და იყო, შემდგომად ათისა დღისა იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲ მიმართ.

8. და მოუწოდა იერემია იონანს, ძესა კარიესსა, და მთავართა ძლიერებისათა მისთანათა და ყოველსა ერსა კნინითგან მიდიდადმდე.

9. და ჰრქუა მათ: ესრე თქუა უფალმან ღმერთმან ისრაჱლისამან, რომლისა-იგი მიმავლინეთ მე დათხევად წყალობისა თქუენისა წინაშე მისსა.

10. უკუეთუ დასხდომით დასხდეთ ქუეყანას ამას, ,აღგაშენნე თქუენ და არა დაგარღჳნე, დაგნერგნე თქუენ და არა აღგფხურნე, რამეთუ დაცხრომილ ვარ ბოროტებისაგან, რომელ ვთქუ ყოფად თქუენდა.

11. ნუ გეშინინ პირისაგან მეფისა ბაბილოვნისაჲსა, რომლისაგან თქუენ გეშინის, პირისაგან მისისა ნუ გეშინინ, თქუა უფალმან, [ფ. 59] რამეთუ მე თქუენ თანა ვარ განრინებად თქუენდა და ჴსნად თქუენდა ჴელისაგან მისისა:

12. და გცე თქუენ წყალობა და შეგიწყალნე თქუენ და მიგაქცინე თქუენ ქუეყანად თქუენდა.

13. და თუ სთქუათ თქუენ, ვითარმედ არა დავსხდეთ ჩუენ ქუეყანასა ამას და არა ვისმინოთ ჴმაჲ უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ, და სთქუათ:

14. არა! არამედ ქუეყანად ეგჳპტედ შევიდეთ და არღარა ვიხილოთ ბრძო-

G

მისსა, ვისმინოთ, რაჲთა უმჯობეს იყოს ჩუენდა, რამეთუ ვისმინოთ ჴმისა უფლისა ღმრთისა ჩუენისა.

7. და იქმნა, შემდგომად დღეთა ათთასა იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲს მიმართ.

8. და მოუწოდა იერემია იოანანს, ძესა კარიესსა, და მთავართა ძლიერებისათა მისთანათა და ყოველსა ერსა კნინითგან მიდიდადმდე.

9. და ჰრქუა მათ: ესრეთ თქუა უფალმან ღმერთმან ისრაელისამან, რომლისა-იგი მიმავლინეთ მე დათხევად წყალობაჲ თქუენი წინაშე მისსა.

10. უკუეთუ მსხდომარენი სხდეთ ქუეყანასა ამას შინა, აღგაშენნე თქუენ და არა დაგარღჳნე და დაგნერგნე თქუენ და არა აღმოგფხურნე, რამეთუ დაცხრომილ ვარ ბოროტთაგან, რომელნი გიყვენ თქუენ.

11. ნუ გეშინინყე პირისაგან მეფისა ბაბილონისა, რომლისა თქუენ გეშინის; პირისაგან მისისა ნუ გეშინისყე, თქუა უფალმან, რამეთუ თქუენ თანა ვარ განრინებად თქუენდა და ცხოვნებად თქუენდა ჴელისაგან მისისა.

12. და მე გცე თქუენ წყალობაჲ და შეგიწყალნე თქუენ და მიგაქცინე თქუენ ქუეყანად თქუენდა.

13. და უკუეთუ იტყჳთ თქუენ: არა დავსხდეთ ქუეყანასა ამას შინა არსმენისათჳს ჴმისა უფლისა ღმრთისა ჩუენისა.

14. ვითარმედ ქუეყანად ეგჳპტისა შევიდეთ და არა ვიხილოთ ბრძოლაჲ და

---

8. კარესსა] კარიაჲსსა O. რომელნი O. მიდიდადმდეჲ J + მათა O. 9. უფალმან] — O. მიმავლინეთ მე დათხევად] მე მიმავლინეთ თხოვად O. „მისს“ — ას მეორე სანი ჩამატებულია J-ში. 10. აღგაშჱნნე O. და არა დაგარღჳნე, დაგნერგნე თქუენ] — O. ვარ ბოროტებისაგან] არს ბოროტი ჩემი O. 11. ბაბილონისა O. ჴელისაგანა მისისა] ჴელითა ჩემითO. 12. წყალობაჲ O. შეგიწყალნე] შეგიყვანნე O. თქუენ (3)] — O. 13. და (2)] რაჲთა O. 14. ეგჳპტედ შევიდეთ] ეგჳპტისად შეჴჳდეთ O. გუესმოდის O. არა (3)] არღარა O. გუეშშეოდის O. დავეშჱნნეთ O.

8. იერემიას W. 9. თქვა W. წყალობა W. 10. ოკ῀თუ W. გიყუჱნ W. 12. წყალობა W. თქვენ (3) W. 13. უკ῀ეთუ W. და ვსხდეთ W. ო῀ჲ W.

J

ლაჲ და ჴმაჲ ნესტჳსაჲ არა გუესმეს და
პურითა არა გუმშიოდის; და მუნ და-
ვეშენნეთ.
15. ამისთჳს ისმინენით სიტყუანი
უფლისანი ნეშტთა ჰურიასტანისა: ეს-
რეთ იტყჳს უფალი: უკუეთუ თქუენ
მიიქცინნეთ პირნი თქუენნი ეგჳპტედ
კერძო [O : 288v] და შეხჳდეთ დაშე-
ნებად მუნ.
16. და იყოს, მახჳლი იგი რომლი-
სათჳს გეშინის თქუენ პირისაგან მისი-
სა, გპოვნეს თქუენ ეგჳპტეს შინა; და
სიყმილმან რომლისათჳს სიტყუაჲ აღ-
გითქუამს თქუენ სი[ვ]ლტოლად პირი-
საგან მისისა, გეწიოს თქუენ ეგჳპტეს
შინა; და მუნ მოსწყდეთ თქუენ.

17. და იყვნენ ყოველნი იგი კაცნი,
რომელთა დაასხნეს პირნი მათნი შესლ-
ვად ეგჳპტედ და დაშენებად მუნ, მოა-
კლდენ მახჳლითა, სიყმილითა და სიკუ-
დილითა, და არღარავინ იყოს მათი, რო-
მელ მე მოვავლინო მათ ზედა.

18. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი
ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ, ვითარ-
ცა დავაწთვე რისხვაჲ ჩემი და გულის-
წყრომაჲ ჩემი მკჳდრთა ზედა იერუსა-
ლჱმისათა, ეგრე დაგწუთეს გულის-
წყრომაჲ ჩემი თქუენ ზედა, რომელნი
შეხუალთ ეგჳპტედ და იყვნეთ უგზო
და საწუნელ და საწყეველ და საყუედ-
რელ და არღარა იხილოთ მერმე ად-
გილი ესე.
19. ასრე თქუა უფალმან ნეშტთა ზე-
და იუდაჲსთა: ნუ შეხუალთ ეგჳბტედ

G

ჴმაჲ საყჳრისაჲ. არა ვისმინოთ და პური
არა გუშიოდის, და მუნ დავეშენნეთ.

15. ამისთჳს ისმინეთ სიტყუაჲ უფ-
ლისაჲ ნე[შ]ტთა იუდაჲსთა: ესრეთ
თქუა უფალმან ძალთა[მან], ღმერთმან
ისრაელისამან: უკუეთუ თქუენ მისცეთ
პირი თქუენი ეგჳპტედ მიმართ და შეხ-
ჳდეთ მუნ დაშენებად.
16. და იყოს, მახჳლი რომლისა
თქუენ გეშინის პირისაგან მისისა, გპოვ-
ნეს თქუენ ქუეყანასა შინა ეგჳპტისასა;
და სიყმილი შენი, რომლისა თქუენ
სიტყუაჲ გაქუსყე სივლტოლად პირი-
საგან მისისა, გეწიოს თქუენ უკანა
თქუენსა ეგჳპტეს შინა; და მუნ მოჰკუ-
დეთ.
17. და იყვნენ ყოველნი კაცნი და
ყოველნი სხუანი ნათესავნი, მოსრულ-
ნი პირითა მათითა ქუეყანად ეგჳპტისა
დამკჳდრებად მუნ, და მოაკლდენ მახჳ-
ლისა მიერ და სიყმილისა მიერ, და არა
იყოს მათი არავინ განრინებულ ბორო-
ტთაგან, რომელთა მე მოვაწევ მათ ზედა.
18. რამეთუ ესრეთ თქუა უფალმან
ძალთამან, ღმერთმან ისრაელისამან: ვი-
თარცა დასწუთა გულის-წყრომაჲ ჩემი
დამკჳდრებულთა ზედა იერუსალემისა-
თა, ეგრეთ დაგწუთეს გულის-წყრომაჲ
ჩემი თქუენ ზედა შესლვასა თქუენსა ეგ-
ჳპტედ, და იყვნეთ უვალად და ჴელის-
ქუეშეებ და საწყევარად და საყუედრე-
ლად და არა იხილოთ არღა მერმე ადგი-
ლი ესე.
19. ასრეთ თქუა უფალმან თქუენ
ზედა, დაშთომილთა იუდაჲსთა: ნუ შე-

---

15. ესრე O. მიიქცინეთ O. დაშენებად] და დაეშჱნნეთ O. 16. ეგჳპტჱს (1,2) O. და (2)] — O. თქუენ სიტყუაჲ აღგითქუამს O. სილტოლად J. თქუენ (5)] + და მახჳლი იგი, რომლისათჳს გე-შინის თქუენ პირისაგან მისისა, გპოვნეს თქუენ ეგჳტჱს შინა და მოგწყჳდნეს თქუენ O. შდრ. მე-16 მუხლის დასაწყისი. 17. და დაშენებად] დაშჱნებად]. O. განერჱს O რომელ]რომელი O. 18. ეგ-რე]+ვე O. დასწუთეს O. ეგჳპტჱდ O. ბანი ჩამატებულია J-ში (ეგჳბტედ). და (4)—O. 19. ნეშტ-თა] მაგათ O. ეგჳპტჱდ O. მე გიწამებ] შეგწამებ O. დღჱს O.

15. ნეტთა W. ძალთა W. 16. პირჲსაგან W. 17. სხუანი] სხ῀ჲ W. 18. იერუსალემისათა W. (უქარაგმოა). დაგწთუჱს W. თქეენსა W იყუნეთ W.

J

აწ უწყებით უწყოდეთ, რამეთუ მე გიწამებ თქუენ დღეს.

20. რამეთუ ძჳრი ჰქმნეთ თავთა თქუენთა ზედა და ინანდეთ, რამეთუ თქუენ მიმავლინეთ მე უფლისა ღმრთისა ჩუენისა და სთქუთ: ილოცე ჩუენთჳს უფლისა მიმართ ღმრთისა ჩუენისა, და ყოველი, რაჲცა გრქუას შენ უფალმან ღმერთმან, ეგრეცა გვთხარ ჩუენ, და ვყოთ.

21. [ფ. 60] და გითხარ თქუენ, და არა ისმინეთ ჴმისა უფლისა ღმრთისა თქუენისაჲ ყოვლისა სიტყჳსათჳს, რომლისათჳს მომავლინა მე თქუენდა;

22 და აწ უწყებულ იყვენით, რამეთუ მახჳლითა და სიყმილითა და სიკუდილითა მოაკლდეთ ადგილსა მას, რომელსა თქუენ ჰზრახავთ მისლვად და დამკჳდრებად მუნ.

G

ხუალთ ეგჳპტედ. და აწ მცნობელთა ცანთ, რამეთუ მე შეგწამებ თქუენ.

20. ვითარმედ ბოროტი ჰყავთ სულთა შინა თქუენთა, მიმავლენელთა ჩემთა და მეტყუელთა ჩემთა: ილოცე ჩუენთჳს უფლისა მიმართ და ყოველთაებრ, რაოდენნიცა გრქუნეს შენ უფალმან, გვთხარ ჩუენ და ვყვნეთ.

21. და გითხარ თქუენ დღეს, და არა ისმინეთ ჴმისა უფლისა ღმრთისა თქუენისაჲ, რომლითა მომავლინა მე თქუენდა;

22. და აწ უწყოდეთ, რამეთუ მახჳლისა მიერ და სიყმილისა მიერ და სიკუდილისა მიერ მოაკლდეთ ადგილსა შინა, რომელთა თქუენ ილოცავთ შესლვად, დამკჳდრებად მუნ.

43

J

1. და იყო, რაჟამს დაასრულა იერემია სიტყუად ყოვლისა მიმართ ერისა ყოველთა სიტყუათა უფლისა ღმრთისა მათისათა, რომელ მოავლინა უფალმან ღმერთმან მათა ყოვლისა ამისთჳს სიტყჳსა,

2. და თქუა აზარია, ძემან იოსესმან, და იონან, ძემან კარესმან, და ყოველთა კაცთა ამპარტავანთა, რომელთა ჰრქუეს იერემიას: ევედრე ჩუენთჳს უფალსა. მიუგეს იერემიას და ჰრქუეს: ცილსა იტყჳ შენ, არა მოგავლინა შენ უფალმან ღმერთმან ჩუენმან ჩუენდა და გრქუა შენ, ვითარმედ: ნუ შეხუალთ ეგჳპტედ დაშენებად მუნ;

G

1. და იქმნა, ვითარცა დაცხრა იერემია, მეტყუელი ერისა მიმართ ყოველთა ამათ სიტყუათა უფლისა ღმრთისა მათისათა, რომელ მოავლინნა უფალმან ღმერთმან მათა ყოველნი სიტყუანი ესე,

2. და თქუა აზარია, ძემან მაასესმან და იოანან, ძემან კარიესმან, და ყოველთა მამაკაცთა ამპარტავანთა, მეტყუელთა იერემიაჲსთა, მთქუმელთა: ტყუილ არს. არ მოგავლინა შენ უფალმან ჩუენდა მომართ, მეტყუელმან: ნუ შეხუალთ ეგჳპტედ დამკჳდრებად მუნ;

---

20. რამეთუ (1) — O ჰქმენით O. ინანდით O. მე] — O. მიმართ] — O. შენ)] — O. ღმერთმან] + ჩუენმან O. 21. თქუენ] + დღეს O. ჴმისა] — O. თქუენისაჲ] ჩუენისაჲ O. 22. იყვენით] იყავნ J. მოაკლდენ O.

43.1. მიმართ] — O. ყოვლისა ამისათჳს სიტყჳსა] ყოველნი სიტყუანი ესე O. 2. იოსესმან] იოასისმან O. „ი“ ჩამატებულია J-ში. კარესმან] კარეაჲსმან O. ევედრე ჩუენთჳს უფალსა] ილოცე ჩუენთჳს უფლისა მიმართ O. ~ მოიუგეს და ჰრქუეს იერემიას O. შენ (1)] — O ჩუენმან] — O. შეხუალთ] + თქუენ O. დაშენებად O.

20. უფლისა] ო˜ჲ W. ვყუნეთ W. 21. ო˜ჲ W.

43.1. დასცხრა W. სიტყჲთა W. ო˜ჲ W. ღ˜ჲ W. 2. მთქმელთა W.

J	G
3. არამედ ბარუქ, ძჱ ნერისი, განგარისხებს შენ ჩუენდა მომართ, რაჲთა მიგუცნე ჩუენ ჴელთა ქალდეველთასა მოკლვად ჩუენდა და წარწყმედად ჩუენდა ბაბილონს.	3. არამედ ბარუქ, ძე ნირისი, აღგძრავს შენ ჩუენდა მომართ, რაჲთა მიმცნეს ჩუენ ჴელთა ქალდეველთასა მოკუდენად ჩუენდა და განსახლვად ჩუენდა ბაბილონდ.
4. და არა ერჩდა იონან, ძჱ კარესი, და ყოველნი მთავარნი ძლიერებისანი და ყოველი ერი ჴმასა უფლისასა დაშენებ[ა]დ ქუეყანასა იუდაჲსსა.	4. და არა ესმინა იონან, ძე კარიესი, და ყოველნი მთავარნი ძალისანი და ყოველნი ერი ჴმასა უფლისასა დაშენებად იუდას შორის.
5. და წარტყუენა იონან, ძემან კარესმან, და ყოველთა მთავართა ძლიერებისათა ყოველნი ნეშტნი იუდაჲსნი, რომელნი მოქცეულ იყვნეს ყოველთაგან ნათესავთა, სადა-იგი განბნეულ იყვნეს, მუნ და[O : 289v]შენებად ქუეყანასა იუდაჲსსა,	5. და მიიყვანნა იონან, ძემან კარიესმან და ყოველთა მთავართა ძალისათა ყოველნი დაშთომილნი იუდაჲსნი, უკმოქცეულნი ყოველთაგან ნათესავთა, სადა განთესულ იყვნეს, მუნ დამკჳდრებად ქუეყანასა იუდაჲსსა.
6. მამები და დედები და ყრმები და ერი და ასულნი მეფისანი და კაცები იგი, რომელ დაუტევა ნაბუზარდან მატაკარანმან გოდოლიაჲს თანა, ძისა აქიკამისა, ძისა საფანისა, და იერემია წინაწარმეტყუელი და ბარუქ, ძჱ ნერისი,	6. მამები და დედები და ჩჩჳლები და ერი და ასულნი მეფისანი და სულნი, რომელნი დაუტევნა ნაბუზარდან მთავარ-ქონდაქარმან გოდოლიაჲს თანა ძისა აქიკამისსა, ძისა საფანისსა, და იერემია წინაჲსწარმეტყუელი და ბარუქ, ძე ნირისი.
7. და შევიდეს ეგჳპტედ, რამეთუ არა ისმინეს ჴმაჲ უფლისაჲ, და მივიდეს ვიდრე ტაფნადმდე.	7. და შთავიდეს ეგჳპტედ არსმენისა მიერ მათგან ჴმისა უფლისასა და მივიდეს ვიდრე ტაფნადმდე.
8. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲსა მიმართ ტაფნას შინა, და ჰრქუა:	8. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲს მიმართ ტაფნას შინა, მეტყუელი:
9. მოიხუენ შენ ქვანი დიდნი და დამალენ იგინი სამალველსა ალიზსა შინა წინაშე კართა სახლისა [ფ. 61] ფარაოჲსთასა, წინაშე თუალთა ძეთა იუდაჲსთა,	9. მოიხუენ თავისა შენისად ქვანი დიდნი და დამალენ იგინი მალულსა შინა და ალიზსა შორის წინა-კართა თანა სახლისა ფარაოჲსთა ტაფნას შინა, წინაშე თუალთა ძეთა იუდაჲსთა,
10. და არქუ მათ. ესრე თქუა უფალ-	10. და ჰრქუა: ესრეთ თქუა უფალ-

3. მიგუცნე] მიმაქცინეთ O. ბაბილონდ O. 4. კარესი] კარიაჲსი O. დაშენებდ J, დამკჳნებად O. 5. „იონან“ ჩამატებულია J-ში. კარესმან] კარიაჲსმან O. რომელნი]+ იგი O. 6. და ყრმები და ერი] — O. გოდოლიას J. 7. შევიდეს] + იგინი O. ეგჳპტედ O. ისმინეს] + მათ O. მივიდეს]+იგინი O. ტაფნამდე O. 8. იერემიასა O. „და ჰრქუა“ ჩამატებულია J-ში. 9. შენ] O. იგინი] იგი O. სამალველსა] საფარველსა O. ფარაოჲსთასა] + ტაფნას შინა O. ძჱთა J. 10. არქუ] ჰრქუა O. ~ უფალმან ღმერთმან ძალთამან O. ისრაჱლისმან] — O. მე] = O. „მეფე“ ჩამატებულია J-ში. ბაბილონისაჲ O. მონაჲ ჩემი] — O. მაგათ (1)] ამათ O. მაგათ (2)] მაგას O. საჭურველი] + მისი O.

3. ბაბილონ῀დ W 4. ესიენა W. 6. გოდოლიას W. 7. ჴისა W. 8. ო῀ჲსა W. 9. ტაფნათს W. თვალსა W. 10. მოვიყუანო W. ქუათა W. დაიღიხუნეს W.

J

მან ძალთამან, ღმერთმან ისრაჱლისა-
მან: აჰა ესერა მე მოვავლინო და მო-
ვიყვანო ნაბუქოდონოსორ მეფჱ ბაბი-
ლოვნისაჲ, მონაჲ ჩემი და დაიდგას
საყდარი მისი ზედა ქვათა მაგათ, რო-
მელ დაჰმალენ, და დადვას საჭურველი
მისი მაგათ ზედა და აღიღოს საჭურვე-
ლი მაგათგან.

11. და შემოვიდეს და მოსრას ქუე-
ყანაჲ ეგჳპტისაჲ, რომელნი სიკუდი-
ლად, — სიკუდილსა, და რომელნი
ტყუეობად, — ტყუეობასა, და რომელ-
ნი [მახჳლად], — მახჳლსა.

12. და აღუდვას ცეცხლი სახლებსა
ღმერთთა ეგჳპტელთასა და მოწუნეს
იგინი და წარტყუენნეს და განტისნოს
ქუეყანაჲ ეგჳპტისაჲ, ვითარცა განტის-
ნის მწყემსმან სამოსელი თჳსი, და გან-
ვიდის მშჳდობით.

13. და შემუსრნეს სუეტნი მზისქა-
ლაქისნი, რომელ არიან ენონს, და სახ-
ლნი ღმერთთა მათთანი დაწუან ცეცხ-
ლითა.

G

მან ძალთამან, ღმერთმან ისრაელისამან:
აჰა მე მივავლინო და მოვიყვანო ნაბუ-
ქოდონოსორ მეფე ბაბილონისაჲ, მონაჲ
ჩემი, და დადგას საყდარი მისი ზედა
კერძო ქვათა ამათ, რომელნი დავმალენ
და დახნეს საჭურველნიცა მისნი ზედა
კერძო მათსა და აღიხუნეს საჭურველ-
ნი მისნი მათგან.

11. და შევიდეს და მოსრას ქუეყა-
ნაჲ ეგჳპტისაჲ, რომელნი სიკუდიდ, —
სიკუდილსა, და რომელნი განსახლვად,—
განსახლვასა და რომელნი მახჳლად, —
მახჳლსა.

12. და აღატყინოს ცეცხლი სახლებ-
სა შინა ღმერთთა მათთასა და დაცეც-
ხლნეს იგინი და განტისნოს ქუეყანაჲ
ეგჳპტისაჲ, ვითარცა განსტისნავს მწყე-
მსი სამოსელსა თჳსსა და განვიდეს
მშჳდობით.

13. და შემუსრნეს სუეტნი მზისქა-
ლაქისანი ენონს შინანი და სახლნი
ღმერთთა მათთანი დაწუნეს ცეცხლითა.

44

J

1. სიტყუაჲ, რომელი იყო იერემია-
ჲსა მიმართ უფლისა მიერ ყოველთა
ზედა ჰურიათა, რომელნი დამკჳდრე-
ბულ იყვნეს ეგჳპტეს შინა, და რომელ-
ნი სხდეს ტაფნას და მაგდალონს და
მემფეს და ქუეყანასა პათურესსა და
ჰრქუა:

2. ასრე თქუა უფალმან ძალთამან,
ღმერთმან ისრაჱლისამან: თქუენ იხი-
ლეთ ყოველი იგი ძჳრი, რომელ მოვავ-
ლინე იერუსალჱმსა ზედა [O : 290 r]
და ქალაქთა ზედა იუდაჲსთა, და აჰა
არიან იგინი ოჴერ დღეს მკჳდრთაგან.

G

1. სიტყუაჲ, ქმნილი იერემიაჲს მი-
მართ უფლისა მიერ ყოველთა ზედა
იუდეანთა, დამკჳდრებულთა ეგჳპტეს
შინა და მსხდომარეთა შორის ტაფნასა
და მაგდოლონსა და მემფისა და ქუე-
ყანასა შინა პათურისსა, მეტყუელი:

2. ასრეთ თქუა უფალმან ძალთამან,
ღმერთმან ისრაელისამან: თქუენ იხი-
ლენით ყოველნი ძჳრნი, რომელნი მოვ-
ჳადენ იერუსალემსა ზედა და ქალაქთა
ზედა იუდაჲსთა; და აჰა არიან უშენ
დღესა ამას მკჳდრთაგან.

---

11. მახჳლად) — JO. 12. ქუეყანაჲ ეგჳპტესაჲ... განტისნის] — O. 13. „სუეტნი“ ჩამა-
ტებულია J-ში. ენოს O. დაწუნეს O.

12. დაალატყინოს W. და ცეცხლნეს W. 13. მათანი W.

44,1. იყვნეს] არიან O. ეგჳპტეს O. სხდეს]სხენან O. მაგდალონს] ბდონონს O. (მცდ.) მემ-
ფინს O. პათირჱსსა O. 2. რომელ]რომელი + მე O. აჰა] — O. იგინი] — O. მსკდრთაგან (?) O.

44.1. იერემიას W. ო˝ჲ W. მაგდოლონსა] მაადულოსა W. 2. თქვა W.

J

3. პირისაგან უკეთურებისა მათისა რომელთა განმამწარეს მე, მივიდეს ჯუმევად და მსახურებად ღმერთთა უცხოთა, რომელნი არა იცნოდეს მათ და მამათა მათთა.

4. და მივავლინენ თქუენდა მონანი ჩემნი წინაწარმეტყუელნი; აღვიმსთობდ და მივავლინებდ და გეტყოდე ვითარმედ: ნუ იქმთ საქმესა ამის ბილწებისასა, რომელ მოვიძულე.

5. და არა ისმინეს ჩემი და არა მოყვეს ყური მათი მოქცევად უკეთურებისაგან მათისა, რაჲთამცა არა უჯუმევდეს ღმერთთა უცხოთა.

6. და დასწუთა რისხვაჲ ჩემი და გულის-წყრომაჲ ჩემი, და აღეგზნა ცეცხლი ბჭეთა იუდაჲსთა და გარემო იერუსალჱმსა; და იქმნეს იგინი აღსაოჴრებელად და უგზოდ, ვითარცა არს ესერა დღეს.

7. და ესე თქუა უფალმან საბაოთ, ღმერთმან ისრაჱლისამან: რად იქმთ თქუენ ძჳრთა დიდ-დიდთა სულთა თქუენთათჳს მოსრვად მამათა თქუენთა და დედათა თქუენთა, ჩჩჳლთა და მწოართა შორის იუდაჲსა, რაჲთა არღარა დაშთეს თქუენგანი არავინ.

8. განმწარებად ჩემდა საქმითა ჴელთა თქუენთაჲთა, ჯუმევად ღმერთთა უცხოთა ქუეყანასა ეგჳპტისასა, სადაიგი ხუედით მწირობად, მუნ, რაჲთა მოისპნეთ და რაჲთა იქმნნეთ საწყევლად და საყუედრელად ყოველთა შორის ნათესავთა ქუეყანისათა.

G

3. პირისაგან უკეთურებისა მათისა, რომელი ქმნეს განსამწარებელად ჩემდა, წარსრულთა ჯუმევად და კუთნვად ღმერთთა სხუათა, რომელნი არა იცოდეით თქუენ და მამათა თქუენთა.

4. და მივავლენდ თქუენდა ყრმათა ჩემთა წინაჲსწარმეტყუელთა, აღმსთობი და მიმავლენელი და მეტყუელი: ნუ იქმთ საქმესა შეგინებისა ამისსა, რომელი მოვიძულე.

5. და არა ისმინეს ჩემი და არა მოყვეს ყური მათი მოქცევად უკეთურებისაგან მათისა არჯუმევისა ღმერთთა სხუათაჲსა.

6. და დასწუთა რისხვაჲ ჩემი და გულისწყრომაჲ ჩემი, და აღეტყინა ცეცხლი ბჭეთა შორის იუდაჲსთა და გარეშე იერუსალიმსა; და იქმნეს აღსაოჴრებელად და უგზოდ, ვითარცა დღესა ამას.

7. და აწ ესრეთ თქუა უფალმან საბაოთისამან, ღმერთმან ისრაილისმან: რაჲსათჳს თქუენ იქმთ ბოროტთა დიდთა სულთა ზედა თქუენთა მოკუეთად თქუენი მამაცი და დიაცი, ჩჩჳლი და მწოარი შორისისაგან იუდაჲსსა არდატევებისათჳს თქუენგანსა არცაერთსა.

8. განმწარებისათჳს ჩემისა საქმეთა მიერ ჴელთა თქუენთაჲსა, ჯუმევითა ღმერთთა სხუათათა ქუეყანასა ეგჳპტისასა, სადა შეხუედით მსხემობად მუნ, რაჲთა აღმოჴრნეთ და რაჲთა იქმნეთ საწყევარად და საყუედრელად წარმართათა შორის.

---

3. რლ´თა J, რომლითა O. მე[+ და O. რომელნი] რომელთა J. იცოდეს J, იცნოდეთ O. მათ] თქუენ O. მათთა] თქუენთა O. 4. წინაწარმეტყუელნი] + და O. და მივავლინებდ] — O. საქმესა ამის] მაგას საქმჱსა O. 5. ისმინეთ O. არა მოყვეს ყური მათი] არცა მოჰყევნით ყურნი თქუენნი O. უკეთურებთაგან O. მათისა] თქუენთა O. უკუმევდით O. 6. ჩემი] — O. იქმნნეს O. დღეს [თე]ს) ? O. 7. ესე] აწ ესერ. O. თქუენ] — O. თქუენთა] + და O. მწოვართა O. იუდაჲსთა O არღარა] არა O. 8. განმწარებად ჩემდა] — O. ხუედით] შემოხჳდეთ O. რაჲთა იქმნნეთ] არა იქმოდით O. ყოველთა] — O. ~ ნათესავთა შორის O.

3. სხითა W. 5. მოყუჱს W. სხვათაჲსა W. 6. რისხუაჲ W. 8. თქვენთაჲსა W. სხჲთათა W.

J

9. ნუ დაივიწყებთ თქუენ ძჳრსა მამათა თქუენთასა და ძჳრსა თქუენსა და ძჳრსა მეფეთა იუდაჲსთასა და ძჳრთა ცოლთა თქუენთასა, რომელ ქმნეს [O : 290 v] ქუეყანასა იუდაჲსსა და გარემო იერუსალჱმსა.

10. და არა დასცხრეს მოაქადღედმდე და არა შეიშინეს და არცა ერჩდეს შჯულსა ჩემსა და არა შეუდგეს კუალსა ბრძანებათა ჩემთასა, რომელ მივეც წინაშე პირსა მამათა მათთასა და წინაშე პირსა მათსა.

11. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: აჰა ესერა მე დავამტკიცო პირი ჩემი თქუენ ზედა ბოროტებად, რაჲთა აღვჴოცო ყოველი იუდაჲ.

12. და წარიყვანნენ ყოველნი ნეშტნი იუდაჲსნი, რომელ განიზრახეს. შესლვაჲ ქუეყანასა ეგჳპტისასა მწირობად მუნ, რაჲთა წარწყმდენ ნეშტნი იუდაჲსნი, რომელ არიან ეგჳპტეს შინა; და დაეცნენ მახჳლითა და სიყმილითა და მოაკლდენ კნინითგან მიდიდადმდე, მახჳლითა და სიყმილითა მოსწყდენ და იყვნენ იგინი საფიცებელად და წარსაწყმედელად და საწყევველად და საყუედრელად.

13. და აღხილვა-ვყო მათ ზედა, რომელნი სხენან ეგჳპტეს, ვითარცა აღხილვა-ვყავ იერუსალჱმსა ზედა მახჳლითა, სიყმილითა და სიკუდილითა;

14. და არა იყოს მათა განრინებულ, არცა [ფ.63] დაშთომილ არავინ ნეშტთა მათ იუდაჲსთაჲ, რომელნი მოვიდეს

G

9. არდავიწყებითა თქუენგან ძჳრთა მამათა თქუენთასა და ძჳრთა თქუენთა და ძჳრთა მეფეთა იუდაჲსთასა და ძჳრთა ცოლთა მათთასა და ძჳრთა ცოლთა თქუენთასა, რომელნი ქმნნეს ქუეყანასა შინა იუდაჲსსა და გარეშე იერუსალიმისა.

10. და არა დასცხრეს ვიდრე დღისამდე ამის და არა შეიშინეს და არცა ერჩდეს შჯულთა ჩემთა და არა ვიდოდეს უკუანა ბრძანებათა ჩემთა, რომელნი მივსცენ წინაშე პირსა მამათა მათთასა და წინაშე პირსა მათსა.

11. ამისთჳს ამას იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ: აჰა მე დავამტკიცებ პირსა ჩემსა თქუენ ზედა ბოროტთათჳს მოსრულება[დ] ყოვლისა იუდაჲსსა.

12. და მიიხუნენ დანაშთომნი იუდაისნი, დამსხმელნი პირთა მათთანი შესლვად ქუეყანად ეგჳპტისა მსხემობად მუნ, წარწყმედისათჳს ყოველთა ნაშობთა იუდაჲსთა ეგჳპტეს შინათა და დაეცნენ მახჳლისა მიერ და სიყმილისა და მოაკლდენ კნინითგან ვიდრე დიდადმდე და მახჳლითა და სიყმილითა მოკუდენ და იყვნენ საფიცად და წარსაწყმედელად და საწყევარად და საყუედრელად.

13. და ზედ-მოვიხილო მსხდომარეთა ზედა ეგჳპტეს შინა, ვითარცა ზედმოვიხილე იერუსალიმსა ზედა მახჳლისა მიერ და სიყმილისა და სიკუდილისა.

14. და არა იყოს მათდა განრინებული, არცა დაშთომილი, არცა ერთი ნეშტათაგანი იუდაჲსთაჲ, მოსრულთაჲ

---

9. ძჳრსა თქუენსა] ძჳრთა თქუენთა O. ძჳრსა მეფეთა] ძერთა მეფჱთა O. ძჳრთა ცოლვათა J, ძჳრსა ცოლთა O. 10. არა (2,3)] არცა O. მამათა მათთასა] მამათასა O. 11. პირი] აღთქუმაჲ O. 12. რომელ განიზრახეს შესლვაჲ] რომელთა დასხნეს პირნი მათნი შესლვად O. ეგჳპტისა O. წარვწყმიდნე O. ნეშტნი] + იგი O. ეგჳპტჱს O. და (2,3) — O. მახჳლითა] მათა O. მოწყდენ O. იყვნენ] — O. და საწყევველად] — O. 13. და (1)] — O. 14. გინცობენ] გიცნობენ O (მცდ.): მოქცევა მუნ] უტებულნი (?)J.

9. თქვენგან W. ქმნეს W. 10. უკანა Z. 11. ისჱლისა W. მოსრულება W. 12. იყუნენ W. 14. და შთომილი W. იუდაჲსთა W.

J

მწირობად ქუეყანასა ეგჳპტისასა, რაჲთამცა მიიქცეს ქუეყანად იუდაჲსა, რომელსა ზედა იგინი გინცობენ — სულითა მათითა მიქცევად მუნ, ვარნა ოტებულნი.

15. და მიუგეს იერემიას ყოველთა კაცთა, რომელთა უწყოდეს, რამეთუ უჴუმევენ დედანი მათნი ღმერთთა უცხოთა, [O : 291 r] და ყოველმან დედებმან, რომელ დგა მუნ კრებული დიდი და ყოველმან ერმან, რომელნი სხდეს ქუეყანასა ეგჳპტისასა, ქუეყანასა პათურესსა და ჰრქუეს:

16. სიტყუაჲ ეგე, რომელ სთქუ ჩუენდამო სახელითა უფლისაჲთა, არა ვისმინოთ შენი,

17. არამედ ყოფით ვყოთ ყოველი სიტყუაჲ, რომელი აღმოჴდეს პირით ჩუენით ჴუმევად დედოფალსა ცისასა და ზორვად მისა საზორველი, ვითარცა ვყავთ ჩუენ და მამათა ჩუენთა და მთავართა ჩუენთა [და მეფეთა ჩუენთა] ქალაქთა შინა იუდაჲსთა და გარემოსავალთა იერუსალჱმისთა; და განვძეღით პურითა და ვიქმნენით ტკბილ და ძვრი არა ვიხილეთ.

18. და ვითარცა მოვაკლეთ ჴუმევად დედოფალსა ცისასა და ზორვად მისა საზორველი, ნაკლულევან ვიქმნენით ჩუენ ყოველნი და მახჳლითა და სიყმილითა მოვაკლდით.

19. და დედებმან მან თქუა: რამეთუ უჴუმევდით ჩუენ დედოფალსა ცისასა და უზორავთ მას საზორავსა, თჳნიერად ნუ ქმართა ჩუენთა უქმენით მას მსუნოანი და უგებდით საგებელსა?

G

მსხემობად ქუეყანასა შორის ეგჳპტისასა მიქცევად ქუეყანადვე იუდაჲსსა, რომელსა ზედა იგინი ესვენ სულითა მათითა მიქცევად მუნ, არა მიიქცენ თჳნიერ მხოლოდ განლტოლვილნი, ესე იგი არს განრომილნი.

15. და მიუგეს იერემიას ყოველთა მამაკაცთა, მეცნიერთა, ვითარ უჴუმევენ ცოლნი მათნი ღმერთთა სხუათა და ყოველთა დედათა, მდგომარეთა შესაკრებელმან დიდმან და ყოველმან ერმან, მსხდომარეთა ქუეყანასა ეგჳპტისასა, ქუეყანასა პათოქსისასა, მეტყუელთა:

16. სიტყუაჲ, რომელ სთქუ ჩუენდამო სახელითა უფლისაჲთა, არა გისმინოთ შენ.

17. რამეთუ მყოფელთა ვყოთ ყოველი სიტყუაჲ, რომელი გამოვიდეს პირისაგან ჩუენისა ჴუმევად მეფეას ცისასა და ზორვად მისსა საზორველთა, ვითარ-იგი ვყავთ ჩუენ და მამათა ჩუენთა და მთავართა ჩუენთა და მეფეთა ჩუენთა ქალაქთა შინა იუდაჲსთა და გამოსავალთა იერუსალიმისათა; და აღვივსენით პურითა და ვიქმნენით ტკბილ და ძვრნი არ ვიხილენით.

18. და ვითარცა მოვაკლეთ მჴუმეველთა მეფეას ცისასა და მზორველთა მისდა საზორველთასა, ნაკლულევან ვიქმნენით ყოველნი ჩუენ და მახჳლისა მიერ და სიყმილისა მოვაკლდით.

19. და დედათა თქუეს: რამეთუ უკუმევთ ჩუენ მეფეას ცისასა და უზორავთ მას საგებნი?

15. რომელი O. დიდი] დიდ-დიდი O. პათირჱსსა O. 16. ჩუენდამო] ჩუენდა მიმართ O. 17. გამოჴდეს O. და მამათა ჩუენთა] — O. და მეფეთა ჩუენთა] — J. გარემოსავალთა] გამოსავალთა O. 18. მოვაკლდეთ J. კუმევად დედოფალსა] კუმევასა დედოფლისა O. საზორველი] + და O. მოვაკლდით] მოვკუედით O. 19. მან] — O. რამეთუ] — O. ~ ჩუენ უჴუმევდით O. მას საზორავსა] მათ საზორველსა O. ნუ] — O. უქმნით J. მსუნოანი] მსუნევანი O. უგებდით] + მას O.

15. უკმევენ სხვათა W. 17. დამეფეთა W 18. მეფიას W. 19. თქუეს] + და W უქმენით W:

J

20. და ჰრქუა იერემია ყოველსა ერსა, ძლიერსა, დედებსა და ყოველსა ერსა, რომელთა მოუგეს მას სიტყუაჲ ესე, და ჰრქუა:

21. არა ჯუმევისაგან, რომელსა უჯუმევდით ქალაქთა შინა იუდაჲსთა და გზათა იერუსალჱმისათა თქუენ და მამანი თქუენნი და მეფენი თქუენნი და მთავარნი თქუენნი და ერი ქუეყანისაჲ მოიჴსენა უფალმან და განიზრახა გულსა თჳსსა.

22. და არღარა უძლებდა მერმე თავს-დებად უფალი უკეთურებისაგან სლვათა თქუენთაჲსა და საძაგე [O : 291 v]ლებათაგან თქუენთა, რომელ ჰქმ[ნ]ენით; და იქმნა ქუეყანაჲ თქუენი ოჴერ და უგზო და საწყეველ არამყოფთაგან მკჳდრთაჲსა, ვითარცა-ესე დღეს,

23. პირისაგან, რომელთა უჯუმევდით და რომელ შესცოდეთ უფალსა და არა ისმინეთ ჴმაჲ უფლისაჲ და შჯულსა [ფ. 64] მისსა და წამებათა მისთა და ბრძანებათა მისთა არა ხვდოდეთ, და გპოვნა თქუენ ძჳრმან, ვითარცა-ესე დღეს.

24. და ჰრქუა იერემია ყოველსა ერსა და დედებსა: ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ ყოველთა ჰურიათა, რომელნი ხართ ქუეყანასა ეგჳპტისასა.

25. ასრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: თქუენ და დედათა თქუენთა სთქუთ პირითა თქუენითა [და ჴელითა თქუენითა და სთქუთ], ვითარმედ: ყოფით ვყოთ აღსაარებაჲ ჩუენი, რომელ აღუთქუთ ჯუმევად დე-

G

20. და ჰ[რ]ქუა იერემია ყოველსა ერსა, მიმგებელთა მისდა სიტყუათასა მეტყუელმან:

21. არა საჯუმეველისა, რომელსა უჯუმევდით ქალაქთა შორის იუდაჲ[ს]თა და გამოსავალთა შორის იერუსალიმისათა თქუენ და მამანი თქუენნი და მეფენი თქუენნი და მთავარნი თქუენნი და ერი ქუეყანისაჲ, მოიჴსენა უფალმან და აღვიდა გულსა ზედა მისსა.

22. და ვერ უძლებდა მერმე თავს-დებად უფალი პირისაგან უკეთურებისა სიმარჯუეთა თქუენთაჲსა და საძაგელებათა თქუენთაჲსა, რომელნი ჰქმნენით; და იქმნა ქუეყანაჲ თქუენი მოსაოჴრებელად და უვალად და საწყევარად არყოფისა მიერ მკჳდრთაჲსა, ვითარცა დღესა ამას.

23. პირისაგან, რომელთა უჯუმევდით და რომლითა შესცოდეთ უფალსა. და არა ისმინეთ ჴმისა უფლისა და შჯულსა შინა მისსა და წამებათა შორის მისთა და ბრძანებათა ზედა მისთა არა ხვდოდეთ; და გპოვნეს თქუენ ბოროტთა ამათ, ვითარცა დღესა ამას.

24. და ჰრქუა იერემია ყოველსა ერსა და დედებსა: ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ ყოველმან იუდამან ქუეყანასა შინა ეგჳპტისასა.

25. ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ: თქუენ და ცოლთა თქუენთა სთქუთ პირითა თქუენითა და ჴელითა თქუენითა აღასრულეთ, მეტყუელთა: მყოფელთა ვყვნეთ აღსაარებანი ჩუენნი, რომელნი აღვიარენით ჯუმევად მეფეას ცისასა, და სწრაფაჲ

---

20. ძლიერსა J + და O. 21. არა] აჰა J. 22. „საძაგელებათაგან"-ის „გან" ჩამატებულია J-ში. ჰქმენით J. და (4)] — O. ესე დღეს/] დღჱ ესე O. 23. რომელსა O უკუმევდეს O შესცოდეს O ისმინეს O. ძჳრმან] + ამან O ~ ვითარცა დღჱ ესე O. 24 ქუეყანასა ეგჳპტისასა] ეგჳპტეს შინა O, 25. და ჴელითა თქუენითა და სთქუთ] — J ვითარმედ] — O, რომელი O. ~ დედოფალსა ცისასა კუმევად O. საზორველისა და (4)] — O. ვიყვენით O. აღთქომანი O.

20. ჰქუა W. 21. საკუმეველისაჲ W. იუდაჲთა W. თქუენ და] თქ́ნდა W. 22. თქნთაჲსა W (უქარაგმოა). მკჳდრთასა W. 23. უფლისა] ო́ჲ W. 25 თქუენ და] თქ́ნდა W. ვყვნეთ] ყვნეთ W. მეფიას W. ჰყუჱნით W, აღთქმანი W.

J

დოფალსა ცისასა და ზორვად მას საზორველი, და დაადგერით აღსაარებათა თქუენთა და ყოფით ყვენთ აღთქუმანი თქუენნი.

26. ამისთჳს ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ ყოველთა ჰურიათა, რომელნი ჰსხედთ ქუეყანასა ეგჳპტისასა: აჰა ესერა ვფუცე სახელსა ჩემსა დიდსა, თქუა უფალმან ღმერთმან, უკუეთუ იყოს მერმე სახელი ჩემი თქუმულ პირითა ყოველთა ჰურიათაჲთა, და თქუან, ვითარმედ: ცხოველ არს უფალი ღმერთი ყოველსა ქუეყანასა ეგჳპტისასა.

27. რამეთუ ესერა განვილჳძე მათ ზედა ბოროტებად მათდა [და] არა კეთილობად. და მოაკლდეს ყოველი იუდაჲ, რომელნი დამკჳდრებულ არიან ქუეყანასა ეგჳპტისასა მახჳლითა და სიყმილითა, ვიდრე არა მოაკლდენ.

28. და განრინებულნი მახჳლისა[O : 292r]გან მიიქცენ ქუეყანით ეგჳპტით ქუეყანად იუდაჲსა მცირედნი რიცხჳთ და გულისჴმა-ყონ ყოველთა ნეშტთა იუდაჲსთა, რომელნი მსხემ არიან ქუეყანასა ეგჳპტისასა, სიტყუაჲ ვისი-ძი დაადგრეს, ჩემი ანუ მათი.

29. და ესე იყავნ თქუენდა სასწაულ, თქუა უფალმან, რამეთუ მე აღხილვავყო თქუენი ამას ადგილსა ბოროტებითა, რაჲთა სცნათ, რამეთუ დამტკიცებით დამტკიცნენ სიტყუანი ჩემნი თქუენ ზედა ბოროტებად.

30. ასრე თქუა უფალმან: აჰა ესერა მე მივსცე ფარაო მეფჱ ჴელთა მტერთა მისთასა და [ჴელთა] მეძიებელთა სულისა მისისათა, ვითარცა მივეც მეფჱ იუდაჲსაჲ ჴელთა ნაბუქოდონოსორ მე-

G

გებად მისსა საგებთა; დადგრომილნი დაადგერით აღსარებათა თქუენთა და მყოფელთა ჰყვენით აღთქუმანი თქუენნი.

26. ამისთჳს ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ ყოველმან იუდამან, მსხდომარეთა ქუეყანასა შინა ეგჳპტისასა: აჰა მე ვფუცე სახელსა ჩემსა დიდსა, თქუა უფალმან ღმერთმან, უკუეთუ იყოს მერმე სახელი ჩემი წოდებულ პირითა ყოვლისა იუდეანისა, მეტყუელისაჲთა: ცხოველ არს უფალი ღმერთი ყოველსა შინა ქუეყანასა ეგჳპტისასა.

27. რამეთუ მე ვილჳძე ბოროტებად მათდა და არა კეთილობად; და მოაკლდეს ყოველი იუდაჲ, დამკჳდრებულნი ქუეყანასა შინა ეგჳპტისასა მახჳლისა მიერ და სიყმილისა, ვიდრემდის არა მოაკლდენ.

28. და განრინებულნი მახჳლისაგან მიიქცენ ქუეყანით ეგჳპტით ქუეყანად იუდაჲსსა კნინნი რიცხჳთა და ცნან ყოველთა ნეშტთა იუდაჲსთა, მსხემთა ქუეყანას შინა ეგჳპტისასა, სიტყუაჲ თუ ვისი დაადგრეს, ჩემი ანუ მათი.

29. და ესე თქუენდა სასწაულ, იხილოთ, რამეთუ მე ზედ-მოვიხილო თქუენ ზედა ადგილსა ამას შინა ბოროტებად, რაჲთა სცნათ, ვითარმედ დადგრომით დაადგრენ სიტყუანი ჩემნი თქუენ ზედა ბოროტებად.

30. ასრეთ თქუა უფალმან: აჰა მე მივსცემ ფარაოს უაფრესა მეფესა ეგჳპტისასა განცემულად ჴელებსა მტერთა მისთასა და ჴელებსა მეძიებელთა სულისა მისისათასა, ვითარცა მივეც სედე-

---

26. სხედთ O. აჰა ესერა] + მე O. მერმჱ O, თქუან] ჰრქუეს O. 27. განვილჳძჱ O. და (2)] — J. მოაკლდეს J. 28. და (1)] — O. „მახვილისაგან"-ის „ლი" ჩამატებულია J-ში. გულისხმაყონ O. ანუ] ანო J. 29. აღხილვაჲ-ვყო O. ბოროტითა O. „დამტკიცნენ"-ის I ნარი ქვემოდანაა მიწერილი ტარს J-ში. 30. ჴელთა] — J. იუდაჲსი O. ბაბილონისათა O. მისისათა] მათისათა O. და მეძიებელსა J. სულისა მისისასა] — O.

26. ცხოველარს W. 29. იხილო W. რათა W (უქარაგმოდ). სიტყვანი W. 30. უაფრესა] უფროსსა W. შდრ. *Οὐαφρή*, მისისათა W.

J

ფისა ბაბილოვნისა, მტერისა მისისათა და მეძიებელისა სულისა მისისასა.

G

კია, მეფე იუდაჲსი ჴელთა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისათა, მტერისა მისისა და მეძიებელისა სულისა მისისასა.

45

J

1. სიტყუაჲ, რომელ ჰრქუა იერემია წინაწარმეტყუელმან ბარუქს, ძესა ნერისსა, რაჟამს დაწერნა სიტყუანი ესე, წიგნსა [ფ. 65] პირისაგან იერემიაჲსისა წელსა მეოთხესა იოაკიმისსა, ძისა იოსიაჲსა, მეფისა იუდაჲსა.

2. ასრე თქუა უფალმან ღმერთმან ისრაჱლისამან შენ ზედა, ბარუქ,

3. რამეთუ სთქუ: ვაჲმე, ვაჲმე, რამეთუ შესძინა უფალმან შრომაჲ სალმობასა ჩემსა; დავწევ კუნესით და არა ვპოე განსუენებაჲ

4. ასრე თქუა უფალმან; ესრე არქუ მას: აჰა ესერა რომელ აღვაშენე, მე დავარღჳო, და რომელ მე დავჰნერგენ, მეცა აღვფხურნე მით ქუეყანითურთ ყოვლით.

5. და შენ ითხოვდე თავისა შენისა დიდ-დიდსა? ნუ ითხოვ, რამეთუ აჰა ესერა მე მოვავლინო ძჳრი ყოველსა ზედა ჴორციელსა, იტყჳს უფალი, და მიგცე სული შენი მოპოვნებულად ყოველსა ადგილსა, სადა ხჳდოდი შენ მუნ.

G

1. სიტყუაჲ, რომელ თქუა იერემია წინაჲსწარმეტყუელმან ბარუქის მიმართ, ძისა ნირისსა, ოდეს დაწერნა სიტყუანი ესე წიგნსა შინა პირისაგან იერემიაჲსსა წელსა მეოთხესა იოაკიმ. [ძისა] იოსიაჲსისა, მეფისა იუდაჲსსა.

2. ასრე თქუა უფალმან ღმერთმან ისრაჱლისმან შენ ზედა, ბარუქ,

3. რამეთუ სთქუ: ვაჲმე, ვაჲმე, რამეთუ შესძინა უფალმან შრომაჲ ტკივილსა ზედა ჩემსა; დავიძინე სულ-თქუმათა შინა, განსუენებაჲ ვერ ვპოე.

4. არქუ მას: ესრეთ თქუა უფალმან: აჰა მე აღვაშენე, მე დავარღუევ, და რომელნი დავჰნერგენ, მე აღმოვფხურნე მით ქუეყანითურთ ყოვლით.

5. და შენ ეძიებ თავისა შენისა დიდთა? ნუ ეძიებ, რამეთუ აჰა მოვაწევ მე ძჳრთა ყოველსა ზედა ჴორციელსა, იტყჳს უფალი, და მივსცე სული შენი მოსაპოვნელად ყოველსა შინა ადგილსა, სადაცა ხჳდოდი მუნ.

46

J

1. დასაბამსა მეფობისა სედეკია მეფისასა იყო სიტყუაჲ ესე ელამისთჳს. [O : 292v] სიტყუაჲ, რომელი იყო

G

1. [235 r] დაწყებასა მეფე-ყოფისა სედეკია მეფისასა იყო სიტყუაჲ ესე ელამისათჳს, სიტყუაჲ, ქმნილი უფლისა

45.1. ჰრქუა] თქუა O. ძჱსა J. იუაკიმისსა J. წელსა მეოთხესა იოაკიმისსა, ძისა იოსიაისა] — O. იუდაისთჳს O. 3. ვპოვე O. 4. ~ ესრე არქუ მას: ესრე თქუა უფალმან O. აღავაშჱნე O. მე დავჰნერგენ] დავჰრგე მე O. აღვჰფხურე O. ქუეყანითურთ ყოვლით] ქუეყანით O. 5. ითხოვდი O. დიდ-დიდსა] დიდებასა O. აჰა] აჲ O. მიგცე სული] მიქცეული O [მცდ.]. მოპოვენებად O. ყოველსა ადგილსა] ყოველთა ადგილთა O. სადა] + ცა O.

46.1. 46-ე თავს წინ უსწრებს 49.34-39. მეფობასა O. სიტყუაჲ (1) + უფლისაჲ O. იერემიაჲსა O. მიმართ ყოველთა ზედა] ყოველთა მიმართ O.

45.1. სიტყვანი W. ძისა]—W. 3. [და ვიძინე W. სულთქმათა W. განსუჱნება W. 4. აღმოვფხური W.

46.1. ელამისათჳს] + ბაბილოვნელთა ხვდა GW. (G-ში ჩამატებულია], სიტყვა W. ო˝ჲ W.

J

უფლისა მიერ იერემია წინაწარმეტყუელისა მიმართ ყოველთა ზედა წარმართთა

2. ეგჳპტისა, ძალსა ზედა ფარაო ნექოჲსსა, მეფისა ეგჳპტისასა, რომელი იყო მდინარესა ზედა ევფრატსა ქარმის შინა, რომელი-იგი მოკლა ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილოვნისამან წელსა მეოთხესა იოაკიმისსა, ძისა იოსიაჲსსა,

3. ალიღეთ ჭური და ფარი და მო[ფ. 66]ვიდოდეთ ბრძოლად,

4. დაასხენთ ჰუნეთა თქუენთა, აღემჴედრენით მჴედარნი, შთაიცუთ ჯაჭუები თქუენი და დაიდგთ ჩაფხუტები თქუენი, წა[O : 293]რმოიღეთ ჰორლები თქუენი.

5. რაჲსთჳს ესენი შეძრწუნდებიან და ივლტიან უკუმართ? რამეთუ ძლიერნი მათნი მოისრნენ, ვლტოლით ივლტოდეს და არა მოიქცეს შეცვულნი გარემოჲს, თქუა [უფალმან].

6. ნუ ივლტინ მალეჲ და ნუ განერებინ ძლიერი: ჩრდილოჲთ კერძო; ევფრატსა [ზედა მოუძლურდენ და დაეცნენ].

7. ვინ არს ესე, რომელი ვითარცა მდინარეჲ აღმოვალს და ვითარცა მდინარენი ღელვიდეს წყალნი მისნი?

8. ეგჳპტე, ვითარცა მდინარე, აღდგეს და აღიძრნენ ღელვანი მისნი და თქუას: აღვიდე და დავფარო ქუეყანაჲ და წარვწყმიდო ქალაქი და მკჳდრნი მისნი.

G

მიერ იერემიაჲს მიმართ წინაჲსწარმეტყუელისა ყოველთა ზედა წარმართთა

2. ეგჳპტისათა, [2] ძალსა ზედა ფარაო ნეხაოჲსსა, მეფისა ეგჳპტისა, რომელი იყო მდინარესა ზედა ევფრატსა ხარმის შინა, რომელი დასცა მეფემან ბაბილონისამან ნაბუქოდონოსორ წელსა მეოთხესა იოაკიმ[ისსა], ძისა იოსიაჲსსა, მეფისა იუდაჲსსა.

3. აღიხუენით საჭურველნი და ფარები მიიხუენით ბრძოლად მიმართ,

4. დაასხენით ცხენებსა, აღმჴედრდით ცხენოსანნი და განემზადენით თავის-გარემოჲსთა მიერ თქუენთა, წარმოიღეთ ჰორლები, შთაიცუთ ჯაჭუ-ჭური თქუენი.

5. რად რამეთუ ამათ ეშინის და შეიქცევიან უკუღმართ? მით რამეთუ ძლიერნი მათნი მოისრნენ; ლტოლვით ივლტოდეს და არ შემოიქცეს გარემოცულნი გარემოჲს, იტყჳს, უფალი.

6. ნუ ივლტინ მალე და ნუ განერებინ ძლიერი ჩრდილოჲთ კერძო; ევფრატსა ზედა მოუძლურდენ, დაეცნენ.

7. ვინ ესე, ვითარცა მდინარე აღმოვიდეს, და ვითარცა მდინარენი აღელვებს წყალთა მისთა?

8. წყალი ეგჳპტისაჲ, ვითარცა მდინარე, აღმოვალს და, ვითარცა მდინარენი, აღსძრავს ღელვათა მისთა და იტყჳს: აღვიდე და დავფარო ქუეყანაჲ და წარვწყმიდო ქალაქი და დამკჳდრებულნი მას შინა.

---

2. ძალსა] საძაგელსა O. ნექაროჲსსა O. მდინარჱსა O. ევფრატისასა O. ქარმელს J. რომელი-იგი] რომელი O. მეფჱმან O. ბაბილონისამან O. იოაკიმისსა] იოვაკიმ მეფისასა O. იოსიაჲსსა] იოსია O. 3. ჭური] საჭურველი O. მოვიდოდეთ] მოვედით O. 4. დაასხენით O. აღიმჴედრენით O. და] — O. დაიდგთ ჩაფხუტი თქუენი, წარმოიღეთ ჰორლები და შთაიცუთ ჯაჭუები თქუენი O. 5. მოისრნენ] მოისპნენ O. სივლტოლით O. უფალმან] — J. 6. მალჱ O. ზედა მოუძლურდენ და დაეცნენ] — J. მდინარჱ O. აღმოვალს] აღმოჴდეს O ღელვიდა O. 8. ეგჳპტჱ O. მდინარჱ O. და (1)] + ვითარცა მდინარეთა O. თქუა O.

2. ნექაოჲსსა W. ხარმის] ქარამის W. ნაბუქოდონოსორ W. იოაკიმ GW. 3. აღიხუჱნით G, აღიხუვენით W. 4. ამჴედრდით W. განჰმზადენით W. („თავის-გარემოჲსთა" გადაუშლია დამმუხლველს და „ჩაფხუტი თავთა" დაუწერია, რაც დაბეჭდილია კიდეც (W), შდრ. *περικεφαλαί-αις*] ჰოროლები W. 6. ჩრდილლოით W. მოუძლურდეს GW. დაეცნეს GW 8. „წყალი" ჩამატებულია G-ში. ეგჳპტე W.

J

9. აღსხედით ჰუნებსა, განმზადეთ ეტლები, გამოვედით მბრძოლნი ეთიოპელნი [და] ლვბიელნი ჴურვილნი [და] ლუდელნი, აღვედით, გარდაუცუთ მშჳლდსა.

10. და დღჱ იგი უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ დღჱ შურის-ძიები[ს]აჲ შურის-გებად მტერთა მისთა; შეჭამნეს მახჳლმან და განძღეს და დაითროს სისხლითა მათითა, რამეთუ შეწირვაჲ არს უფლისა საბაოთისაჲ ქუეყანასა ჩრდილოჲსასა, მდინარესა ზედა ე[ვ]ფრატსა.

11. აღვედ გალაადდ და აღიღე მკურისკევი ქალწულისათჳს ასულისა ეგჳპტისა. ცუდად განამრავლე კურნებაჲ შენი, სარგებელ არა არს შენდა.

12. ესმა წარმართთა ჴმაჲ შენი, და ღაღადებითა შენითა აღივსო [O : 293v] ქუეყანაჲ, რამეთუ [მბრძოლი] მბრძოლისა მიმართ მოუძლურდა, ერთბამად დაეცნეს ორნივე.

13. რომელ თქუა უფალმან პირითა იერემიაჲს წინაწარმეტყუელისაჲთა მოსლვისათჳს ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისა და მოსრვად ქუეყანაჲ ეგჳპტისაჲ.

14. მიუთხართ ეგჳპტედ და სასმენელ-ყავთ მაგდალონდ და ამცენთ მემფეს და ტაფნას, არქუთ: აღდეგ და განიმზადე თავი შენი, [რამეთუ შეჭამა მახჳლმან მროწეული შენი].

G

9. აღსხედით ცხენთა ზედა, განჰმზადენით საჭურველნი, გამოვედით მბრძოლნი ეთიოპელნი და ლიბიელნი, ჴურვილნი საჭურველებითა, და ლჳდნი, აღვედით, მოირთხთ მშჳლდი.

10. და დღე იგი უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ დღე შურის-ძიებისაჲ არს ძიებად შური მტერთა მისთაჲ; შეჭამნეს მახჳლმან და განძღეს და დაითროს სისხლისაგან მათისა, რამეთუ მსხუერპლი უფლისა საბაოთისაჲ ქუეყანასა ზედა ჩრდილოჲსა, მდინარესა ზედა ევფრატსა.

11. აღვედ გალაადდმი და მოიღე რეტინე ქალწულისა ასულისა ეგჳპტისა. ამაოდ ჰამრავლენ კურნებანი შენნი, სარგებელ არა არიან შენდა.

12. [235 v] ესმა წარმართთა ჴმისა შენისაჲ, და ღაღადებისაგან შენისა აღივსო ქუეყანაჲ, რამეთუ მბრძოლი მბრძოლისა მიმართ მოუძლურდა, ერთბამად დაეცნეს ორნივე.

13. რომელნი თქუნა უფალმან, ჴელითა იერემია წინაჲსწარმეტყუელისაჲთა მოსლვისათჳს ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისა დასამორჩილებელად ქუეყანასა ეგჳპტისასა.

14. მიუთხართ შორის ეგჳპტისა და სასმენელ-ყავთ შორის მაგდოლოჲსა და დაჰმოწმეთ შორის მე[მ]ფისა და შორის ტაფნისა თქუთ: ზედ დადეგ და განჰმზადე თავი შენი, რამეთუ შეჭამა მახჳლმან ბრწამლი შენი.

---

9. ჰუნეებსა O. და (1, 3)] — J. ლუბიელნი O. და] — J. ლუდიელნი გარდააცუთ O. 10. და] — O. დღჱ-ის ღონი ჩამატებულია J-ში. შურისძიებაჲ J, შურის-გებისაჲ O. ეფრატსა J. 11. აღიღჱ J. განამრავლჱ J, განამრავლენ O. კურნებაჲ შენი] კურნებანი შენნი O. 12. და] — O. მბრძოლი] — J. მოუძლურდა] + და O. 13. იერემია O. მოსლვისათჳს] — O. 14. ეგჳპტჱდ O. ამცენით O. მემფინს O. აღდეგ] აღვედ O. განჰმზადე. რამეთუ შეჭამა მახჳლმან მროწეული-შენი] — J.

✠ 9. ლჳინი] ლუდნი W. 10. ო˝ჲ GW. ღ˝ჲ W, ჩუენისა GW. შურის ძიებისა GW. უფლისა (2)] ო˝ჲ W. ჩრდილოსა GW. 11. გალადდმი GW [მე-10, მე-11 მუხლის ტექსტი G-ში, ცუდად იკითხება, ზოგი სიტყუა არც გვაქვს ხელნაწერის კიდის ჩამოხევის გამო]. 13. წწყ˝ლისათა W. ნაბუქოდონოსორისსა W. [მე-13 მუხლი G-ში წითელი მელნითაა დაწერილი]. 14. მაგდოლოჲსა W. მეფისა G.W.

J

15. რამეთუ ივლტოდა ზუარაკი იგი შენი რჩეული, ვერ დადგა, რამეთუ უფალმან დაჰჴსნა იგი;

16. და სიმრავლე მისი მოუძლურდა და დაეცა [ფ. 67], კაცად-კაცადი მოყუსისა მიმართ თჳსისა იტყოდა და თქუა: აღვდგეთ და მივიქცეთ ერად ჩუენდა და ქუეყანად სოფლისა ჩუენისა პირისაგან მახჳლისა წარმართთაჲსა.

17. უწოდეთ სახელი ფარაო მეფესა ეგჳპტისასა: საონ ებირ ამოედ, ჟამი მოიწია.

18. ცხოველ ვარ მე, იტყჳს უფალი, მეუფჱ ძალთა[ჲ] სახელი მისი, რამეთუ, ვითარცა არს თაბორი შორის მთათა და კარმელი შორის ზღუასა შინა, ეგრეთ მოვიდეს.

19. ჭურჭერი ტყუეობისაჲ იქმენ შენდად მკჳდრმან ასულისა ეგჳპტისამან, რამეთუ მემფი განსარყუნელად იყოს და ერქუას მას ვაჲ არაყოფისაგან მკჳდრთა მისთაჲსა.

20. დიაკეული შუენიერი ეგჳპტჱ, მტევებარნი ჩრდილოჲთ მოვიდეს მის ზედა,

21. და მორეწნი მისნი, ვითარცა ზუარაკნი მართებულნი მუნ შინა; რამეთუ იგინიცა უკუნ-იქცეს და ივლტოდეს ერთბამად; ვერ დაადგეს [O: 294 r], რამეთუ დღჱ წარწყმედისაჲ მოიწია მათ ზედა და ჟამი შურის-გებისა მათისაჲ.

22. ჴმაჲ მათი, ვითარცა გუელისა მსტჳნვარისაჲ, რამეთუ მქჳშასა შინა ვიდოდიან, ცულოსანნი მოუჴდენ მას.

G

15. მით რამეთუ ივლტოდა აპის, ზუარაკი რჩეული შენი; ვერ დადგა, რამეთუ უფალმან დაჰჴსნა იგი;

16. და სიმრავლე მოუძლურდა და დაეცა, კაცადი მოყუსისა მიმართ თჳსისა იტყოდა და თქუა: აღვდგეთ და მოვიქცეთ ერისა მიმართ ჩუენისა და მამულისა მიმართ ჩუენისა პირისაგან მახჳლისა ელლინებრისა.

17. მოუწოდეთ სახელსა ფარაო ნეხაოჲსსა მეფისა ეგჳპტისა: საონ ესერე მოიდ.

18. ცხოველ ვარ მე, იტყჳს უფალი ღმერთი, მეფე ძალთაჲ სახელი მისი, რამეთუ, ვითარცა არს თაბორი მთათა შორის და ვითარცა კარმელი ზღუასა შორის, ეგრეთ მოვიდეს.

19. ჭურჭელნი ტყუებისანი იქმნენ თავისა შენისად მკჳდრობამან ასულისა ეგჳპტისამან, რამეთუ მემფი უჩინო საქმნელად იყოს და ეწოდოს ვაებაჲ არყოფისაგან მკჳდრთა მის შორის.

20. დიაკეული კარგი და შემკული ეგჳპტე, გამონახეთქი ჩრდილოჲთ მოვიდა მის ზედა.

21. და მორეწენი მისნი მის შორის, ვითარცა ზუარაკნი ჭამებულნი, მით რამეთუ იგინიცა მიიქცეს და ივლტოდეს ერთბამად; ვერ დადგეს, რამეთუ დღე წარწყმედისაჲ მოიწია მათ ზედა და დღე შურის-ძიებისა მათისაჲ.

22. ჴმაჲ მათი, ვითარაც გუელისა მსტჳნავისაჲ, რამეთუ ქჳშასა ზედა ვიდოდინ, ცულებისა მიერ მოვიდენ მის ზედა, ვითარცა მკოდელნი ხეთანი.

---

15. შენი] — O. რჩეული] + და O. 16. სიმართლე J, უმრავლესი O. და (2)] — O. და თქუა] — O. აღდეგით O. სოფლისა] სოფევისა O. 17. უწოდეს სახელი ფარაო მეფესა ეგჳპტისასა ჯ ნებირთა მოეთ J, უწოდეთ სახლი მეფისა ფარაოჲსი ეგჳპტჱს საუნჯებრთაჲ მათ O. (მცდ.) 18. ძალთა J. შორის (2)] — O. ეგრჱთ O. 19. მემფჱ O. 20. მტეობარნი O. მოვიდენ O. 21. მორეწნი] მროწეულნი O „მისნი“-ის ხანი ჩამატებულია J-ში. ერთბამად] + და O. მათ] მის J. შურის გებისაჲ J. 22. ქჳშასა O. ვიდოდიან] + და O.

17. ნექაოჲსსა W. 18. ვარ მე] ვარმე W.] „იტყჳს უფალი ღმერთი, მეფე ძალთა (GW) სახელი მისი“ ფრჩხილებში არის ჩასმული W-ში. 19. ვაება GW. 22. მსტჳნავისა GW.

J

23. ვითარცა მკაფელნი ხისანი მოკაფეთ მაღნარი მისი, იტყჳს უფალი ღმერთი, რამეთუ არღარა ელხინოს, მრავალ არს უფროჲს მკალისა, და არა არს რიცხჳ მათი.

24. ჰრცხუენა ასულსა ეგჳპტისასა, მიეცა ჴელთა ერისა ჩრდილოჲსათა.

25. ჰქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაჱლისამან: აჰა ესერა მე შური მოვაგო ამოსს, ძესა მისსა, ფარაოჲს ზედა და ღმერთთა ზედა მისთა და მოსავთა ზედა მათთა;

26. და მივსცნე იგინი ჴელთა მეძიებელთა სულისა მათისათა და ჴელთა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისთა და ჴელთა მონათა მისთასა. ამის შემდგომად დაყუდნეს მსგავსად დღეთა მათ პირველთა, თქუა უფალმან.

27. ხოლო შენ ნუ გეშინინ, მონაო ჩემო იაკობ, ნუცა შესძრწუნდები, ისრაჱლ, რამეთუ აჰა ესერა მე გიჴსნე შენ შორით და ნათესავი შენი ქუეყანისაგან ტყუეობისა მათისაჲსა. და მოიქცეს იაკობ და დაეყუდოს [ფ. 68] და დაიძინოს და არღარავინ იყოს მაჭირვებელ მისა.

28. და შენ ნუ გეშინინ, მონაო ჩემო იაკობ, თქუა უფალმან, რამეთუ მე შენ თანა ვარ. რამეთუ ვყო აღსასრული ყოველთათჳს ნათესავთა, რომელთა მიმართ მიგავლინო შენ მუნ, ხოლო შენი არა ვყო მოკლება და განგსწავლო შენ განკითხვით [O : 294v] და უბრა[ლ]ოებით არავე უბრალო-გყო შენ.

G

23. მოკაფეთ მაღნარი მისი, იტყჳს უფალი, რამეთუ არღა ეოცნოს, რამეთუ განიმრავლოს უფროსი მკალთაჲსა, და არა არს რიცხჳ მათი.

24. ჰრცხუენა ასულსა ეგჳპტისასა, მიეცა ჴელთა ერისა ჩრდილოჲთ გამოჲსათა.

25. თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაილისამან: აჰა შურსა-ვიგებ ძისა მისისა ამმონისსა და ფარაოჲს ზედა და ეგჳპტესა ზედა და ღმერთთა ზედა მისთა და მეფეთა ზედა მისთა და ფარაოჲს ზედა და მოსავთა ზედა მისდამი;

26. და მივსცნე იგინი ჴელთა მეძიებელთა სულისა მათისათა და ჴელთა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისასა [242 r] და ჴელთა მონათა მისთასა. ამის შემდგომად დაყუდნეს დღეთაებრ პირველთა, იტყჳს უფალი.

27. ხოლო შენ ნუ შეშინდები, მონაო ჩემო იაკობ, ნუცა სწიწნეულობ, ისრაილ, მით რამეთუ აჰა მე გიჴსნი შორით და თესლსა შენსა ტყუეობისაგან მათისა. და მოიქცეს იაკობ და დაყუდნეს და დაიძინოს და არა იყოს მაშფოთებელი მისი.

28. და შენ ნუ გეშინინ, ყრმაო ჩემო იაკობ, იტყჳს უფალი, რამეთუ შენ თანა მე ვარ. უშიში და შუებული განცემულ იქმნა, რამეთუ ვყო აღსასრული შორის ყოველსა ნათესავსა, რომელთა მიმართ განგაგარეე შენ მუნ, ხოლო შენი არა ვყო მოკლებაჲ და გწუართო შენ მსჯავრით და უბრალოებით არ უბრალო-გყო შენ.

---

23. მრავალ არს] რამეთუ განამრავლოს O. რიცხჳ მათი] მათა რიცხჳ O. 25. მე] — O. ფაროს O. ღმერთთა ზედა მისთა] და ეგჳპტჱსა ზედა და ღმერთთა ზედა მისთა ფაროს ზედა O. მათთა] მისთა O. 26. ჴელთა] — მეძიებელთა O. ბაბილონისათა O. მათ] + ებრ O. 27. ტყუეობისა მათისაჲსა] ტყუეობისაჲსა O. მაჭირებელ O. 28. რამეთუ (1)] რომელ O. მოკლებაჲ O. უბრაოებით J.

23. მოკაფით W. [„იტყჳს უფალი" ჩამატებულია G-ში.]. განმრავლოს GW. მკალთასა GW. 25. („ძალთამან" ჩამატებულია G-ში). ფარაოსა W. ზედა (1)] — W. 28. მოკლება GW.

J

47

1. უ ც ხ ო-თ ე ს ლ თ ა ზ ე დ ა, რომელ იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იერემიაჲსა მიმართ წინაწარმეტყუელისა უცხო-თესლთა ზედა მოსრვისა წინა ფარაოჲსა გაზაჲსა.

2. ასრე იტყჳს უფალი: და აჰა ესერა წყალი აღმოჴდეს ჩრდილოჲთ და იყოს მდინარედ წარმრღუნელად და წარრღუნეს ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი, ქალაქი და დამკჳდრებულნი მას შინა და ღაღადებდენ კაცნი და გოდებდენ ყოველნი მკჳდრნი ქუეყანისანი.

3. მისაგან წარმომართებისა მისისა და საჭურველთაგან მისთა ძლიერთა და ძრვისაგან ეტლთაჲსა და ჴმითა ურმის-თუალთა მისთაჲთა. არა მოიქცენ მამანი შვილთა ზედა მათთა დაჴსნისაგან ჴელთა მათთაჲსა.

4. დღესა მას მომავალსა წარწყმედად ყოველთა უცხო თესლთა; და განვრყუნე ტჳროსი და სიდონი და ყოველნი ნეშტნი შემწეთა მათთანი, რამეთუ აღჴოცნეს უფალმან უცხო-თესლნი, რომელ დაშთომილ არიან ჭალაკთა შინა კაბადუკიას.

5. მოახს სიმტიერე გ[ა]ზასა ზედა, [და განვარდა ასკალონ] და ნეშტნი იგი, რომელ არიან [ენ]აკიმს.

6. ვიდრემდის შეჰკრბებოდით. ვიდრემდის ჰკუეთდე, მახჳლო უფლისაო? ვიდრემდის არა დასცხრე? კუალად-ეგე ქარქაშსა შენსა, განისუენე და [და]მშჳდენ.

7. და უფალმან ამცნო მას ასკალონისათჳს და რომელნი არიან ზღჳს-კიდესა და ნეშტთა ზედა აღდგომად.

G

1. [240 v] სიტყუაჲ, რომელი იქმნა იერემიაჲს მიმართ წინაჲსწარმეტყუელისა უცხო-ტომთა ზედა პირველ განწყობისა ფარაოჲს ღაზაჲსა.

2. ამათ იტყჳს უფალი: აჰა წყალნი აღმოვლენ ჩრდილოჲთა [!] და იყვნენ ღუარად წარმრღუნელად და წარრღუნან ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი, ქალაქი და დამკჳდრებულნი მას შინა და ღაღადებდენ კაცნი და ვალალაებდენ ყოველნი დამკჳდრებულნი ქუეყანისანი

3. მისაგან მიმართებისა მისისა და საჭურველები[საგან] ფერჴთა მათთა ძლიერთაჲსა და ძრვისაგან ეტლთა მათთაჲსა და ჴმისა ურმის-თუალთა მათთაჲსა. არა მოიქცეს მამანი ძეთა ზედა მათთა [4] მორჩილებისაგან ჴელთა მათთაჲსა.

4. დღესა შინა, მომავალსა წარწყმედად ყოველთა უცხო ტომთა; და განვრყუნე ტჳროსი და სიდონი და ყოველნი ნეშტნი შემწეობისა მათისანი, რამეთუ მოჰსრავს უფალი დაშთომილთა ჭალაკებისათა.

5. ახს სიმტიერე ღაზასა ზედა, განვარდა ასკალონი და ნეშტნი ენაკიმეთნი.

6. ვიდრემდის შეჰკრბებოდით, ვიდრემდის ჰკუეთ [6], მახჳლო უფლისაო? ვიდრემდის არა დაჰყუდნები? კუალად-ეგე ქარქაშსა შენსა, განისუენე და დაყუდენ.

7. ვითარ დაყუდნეს? და უფალმან ამცნო მას ასკალონსა ზედა და ზღჳს-კიდისათა ზედა და ნეშტთა ზედა აღდგომად [241 r : მოსდევს 49,7-დან].

47.1. უცხო თესლთა ზედა (2)] — O. წინაჲ J. ფარაოჲსასა O. 2. და (1)] — O. წარრიღუნეს O. და (6)] — O. 3. წარმართებისა O. საჭურველთაგან] საჭურველი ველთაგან O. ~ ძლიერთა მისთა O. მოიქცეს O. დაჴსნისაგან] ჴსნისაგან O. 4. აჴოცნეს O. რომელნი O. შინა] + და O. კაბადუკიას] + შინა O. 5. მოახს] და მიიწევის O. გაზასა] გზასა J. და განვარდა ასკალონ] — J. ენაკიმს] აკიმს შინა J. აკჳმს შინა O. 6. და ვიდრემდე O. კუალად-ეგჱ O. განისუენე] — O. დამშჳდენ] მშჳდენ J. 7. აღდგომად] + მათ ზედა O.

47.1. სიტ῾ყა W. უცხოტომთა W. 2. წარმრღუნელად W. 3. საჭურველები GW. ძრჳსაგან W. ურმის თვალთა W. 6. შეკრბებობდით W.

48

J

1. მოაბისათჳს ესრე თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაჱლისამან: ვაჲ ნაბავსა, რამეთუ წარწყმდა, მოისპო, [O : 295r] წარიღეს კარიათიმი, ჰრცხუენა [ფ. 69] სიძნელესა მოაბისასა, და სძლეს.

2. არღარა არს მერმე მხიარულებაჲ ესებონს შინა მოაბისასა, ზრახეს მის ზედა ძვრი: მოვედით და გამოვჰკუეთოთ იგი თესლთაგან, და მადებუჲა დაცხრომით დასცხრეს. შემდგომად შენსა ვიდოდის მახვლი.

3. რამეთუ ჴმაჲ მღაღადებელთაჲ ორონემით წყმედითა [და შემუსრვითა] დიდითა.

4. შეიმუსრა მოაბი, მიუთხართ ზოგორას [და] ჭაბუკთა მისთა,

5. [რამეთუ აღივსო ალაოთ ტირილითა], რამეთუ აღსავალსა ფიქლოანსა აღვიდეს, ტიროდის ტირილით, რამეთუ შთამართსა ორონემისასა იყვნეს მტერნი, ღუაწლი და ღაღადებაჲ შემუსრვისაჲ ესმა.

6. ივლტოდეთ და განირინენით თავნი თქუენნი და იქმნენით, ვითარცა კანჯარნი უდაბნოსა შინა.

7. რამეთუ ესევდ სიძნელესა შენსა, მოგიჴდენ შენ ჭირნი და შეგიპყრან. და გამოვიდეს ქამოს ტყუედ და ქურუმნი მისნი და მთავარნი მისნი ერთბამად.

8. და მოიწიოს მოსრვაჲ ყოველსა ზედა ქალაქსა, და ქალაქი არა განერეს. და წარწყმდენ ღელენი, და აღოჴრდენ ველნი, ვითარცა თქუა უფალმან.

G

1. [W] მ ო ა ბ ს ა ესრეთ თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაილისამან: ვაჲ ნაბავსა ზედა, რამეთუ წარწყმდა, მოისპო; წარღებულ იქმნა კარიათიმი, სირცხვლეულ იქმნა სიმაგრე მასოგასა და იძლია.

2. არღარა არს მერმე მუღრობაჲ ესებონს შინა მოაბისასა, ისიტყუნეს მის ზედა ძვრნი: მოვედით და მოვჰკუეთოთ იგი ნათესავისაგან, და დაცხრომით დასცხრეს. უკუანა შენსა ვიდოდეს მახვლი.

3. რამეთუ ჴმაჲ მღაღადებელთაჲ მთათაგან ორონაიმისათასა, ღაღადებაჲ შემუსრვილებასა, მოს[რ]ვითა დიდითა

4. შეიმუსრა მოაბი; მიუთხართ ზოგორად მიმართ უჭაბუკესთა მისთა,

5. რამეთუ აღივსო ალაოთი ტირილითა, რამეთუ აღსავალისა მიერ ფიქლოანისა აღვიდეს მტირალი ტირილისა მიერ გზასა ზედა მთათა ორონაიმისათასა, ღაღადებაჲ შემუსრვილებისაჲ და ჭირი მტერთაჲ ესმა.

6. ივლტოდეთ და განარინენით სულნი თქუენნი და იქმნენით, ვითარცა ვირი ველური უდაბნოჲს შინა.

7. ვინაჲთგან ესევდ სიმაგრეთა მიმართ შენთა, მოვიდენ შენდა ჭირნი და შეგიპყრანცა შენ, და გამოვიდეს ქამოს ტყუეობად, მღდელნი მისნი და მთავარნი მისნი ერთბამად.

8. და მოვიდეს მოსრვაჲ ყოველსა ზედა ქალაქსა, და ქალაქი არა განერეს, და წარწყმდეს ღელე, და მოისრას ველობი, ვითარცა თქუა უფალმან.

48.1. მოაბისათჳს] — O. ნაბავსა] ნაბალსა O. ვინი „ფ"-ს ჰგავს J-ში. 2. მერმჱ O. მადებუჲა]მედებაჲ O. 3. ორონემით]ორმენითა O. წყმედითა] წი˝თა O. და შემუსრვითა] — J. 4. და] — J. 5. რამეთუ აღივსო ალაოთ ტირილითა]—J. ფიქლოვანსა O. ტირილით ტიროდეს O ~. ორენემისსა O. „ღუაწლი"-ს „ღ" ჩამატებულია J-ში. 6. განირინენეით] განერნენ O. 7. შეგიპყრან]+შენ O. 8. მოსვრაჲ] მოსვლაჲ J.

48.1. თქვა W. 2. ესსებონს W. 3. მთათაგან] მთ˝თა˝გან W. ღაღადება W. მოს(რ)ვითა] მოსვითა W. 5. მტერთა W. ესმაჲ W. 7. ვინათგან W. 8. მოსრვა W.

J

9. ეცით სასწაული მოაბსა, რამეთუ ტყვეობით დაიტყვა იგი, და ყოველი ქალაქები მისი უგზო იყოს არაყოფისაგან მკვდრთა მისთაჲსა.

10. წყეულ იყავნ, რომელი იქმოდის საქმესა უფლისასა უდებად, და წყეულ იყავნ, რომელი განაშორებდეს მახჳლსა მისსა სისხლისაგან.

11. განისუენა [O : 295v] მოაბ სიყ[რ]მითგან და მოსავ-იყო დიდებასა მისსა და არა შთაისხა ჭურჭ[რ]ისაგან ჭურჭელსა და ტყუედ არა წარვიდა. ამისთჳს იყო გემოჲ მისი მის თანა, და სული მისი არა მოაკლდა.

12. ამისთჳს აჰა ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და მოუვლინნე მას დამდრეკელნი, [და] დადრიკონ იგი და ჭურჭერი მისი დააწულილონ და რქანი მისნი შემუსრნენ.

13. და ჰრცხუენა მოაბსა ქამოსისაგან, ვითარცა ჰრცხუენა სახლსა ისრაჱლისასა ბეთელით [სასოჲსა მათისაგან]

14. ვითარ იტყჳთ, [ფ. 70] ვითარმედ: მტკიცე ვართ და კაცნი შემძლებელნი ბრძოლად?

15. წარწყმდა მოაბი და ქალაქნი მისნი, და რჩეულნი ჭაბუკნი მისნი შთაჴ[დ]ეს საკლავად, თქუა უფალმან: უფალ ძალთა არს სახელი მისი.

16. მოახს დღჱ მოაბისი მოსლვად, და უკეთურებაჲ მისი ადრე ფრიად.

17. შეძართ იგი და ყოველნი გარემოისნი მისნი; ყოველთა, რომელთა

G

9. ეცით სასწაული მოაბსა, რამეთუ ნ[თ]ებით აღენთოს და ყოველნი ქალაქნი მისნი უვალად იყვნენ არყოფისაგან დამკვდრებულისა მის შორის, კინაჲვე მყოფსა მას შინა.

10. წყეულ იყავნ მოქმედი საქმესა უფლისასა უდებებით, და წყეულ იყავნ განმ[მ]არტებელი მახჳლისა მისისაჲ სისხლისაგან.

11. განისუენა მოაბმან სიყრმისაგან და მოსავ-იყო დიდებასა ზედა მისსა და არ შთაასხმიდა ჭურჭლისაგან ჭურჭლად და გარდასახლებად არა ვიდოდა. ამისთჳს არს გემოჲ მისი მის თანა და საყნოსი მისი არა მოაკლდა.

12. ამისთჳს აჰა დღენი მოვლენ, თქუა უფალმან, და მიავლინნე მის ზედა დამდრეკელნი, და დადრიკონ იგი და ჭურჭელნი მისნი დააწულილნენ და რქანი მისნი შემუსრნენ.

13. და ერცხჳნოს მოაბსა ქამოსისაგან, ვითარცა ერცხჳნა სახლსა ისრაილისასა ბეთელისაგან, სასოებისა მისისა.

14. ვითარ იტყჳთ: ძლიერნი ვართ და კაცნი შემძლებელნი მბრძოლობად?

15. წარწყმდა მოაბ და ქალაქნი მისნი, და რჩეულნი ჭაბუკნი მისნი შთავიდეს მოსაკლავად, იტყჳს მეფე; უფალი ძალთაჲ სახელი მისი.

16. ახს დღე მოაბისი მოსლვად, და უკეთურებაჲ მისი მალიად ფრიად.

17. შეძართ იგი ყოველთა გარემოჲს მისსა, ყოველთა მცოდნელთა სახლისა

9. იგი] — O. „ქალაქები“-ს „ებ“ ჩამატებულია J-ში. მისთაჲსა] მუნ შინა O. 10. იყავნ] + ყოველი O. 11. მოაბ] + მან O. სიყრმითგან J. ყრმისაგან O. შთაასხა O. ჭურჭისაგან J. ჭურჭერსა O. წარვიდეს O. ამისთჳს იყო] ამისთჳსცა იყოს O. 12. დღჱნი O. და (2)] — J. ჭურჭრები O. დააწულილონ] დაწინდონ O. შეიმუსრნენ O. 13. ჰრცხუენეს O. ქამონისაგან O. სასოჲსა მათისაგან] — J. 14. მტკიცჱ O. შემძლებელნი ბრძოლად] შემძლებელ ბრძოლასა O. 15. შთაჴეს J. საკლავად] საფლავად O. (მცდ.) უფალ ძალთა] უფალი ძალთაჲ O. 16. მოსრვაჲ J. მისი] არამედ O. 17. ვითარ] ვითარმედ O.

9. ეცით] ცეცხლი W. ნებით W. იყუნენ W. ვინავე W. 10. ი˜ოსასა W. განმარტებელი W. 11. დიდებასა] დბი˜სა W 12. თქვა W. მისნი (1)] + და W. დააწულილენ W. 16. უკეთურებ W. 17. გარემოს W თუალი] თ˜ვლი W.

J

იცით სახელი მისი, არქუთ მას. ვითარ შეიმუსრა არგანი დიდებისაჲ და კუერთხი სიმდიდრისაჲ.

18. გარდამოჴედ დიდებისაგან და დაჯედ ნოტიასა ზედა ჯდომით, ასულო დებონისო, რამეთუ წარწყმდა მოაბი, აღვიდა შენდა განმრყუნელი სიძნელეთა შენთაჲ.

19. დადეგ გზასა ზედა და იხილე, რომელი-ეგე ჰზი აროერს შინა, და ჰკითხე მეოტსა და განრინებულსა და თქუ: რაჲ იყო?

20. ჰრცხუენა მოაბსა, რამეთუ შეიმუსრა. გოდებდა და ღაღადებდა: მიუთხართ არნონდ, რამეთუ წარწყმდა მოაბი,

21. და საშჯელი მოვალს [O : 296 r] ქუეყანასა ზედა მისსორისასა. ქელონსა ზედა და ასასა და მოვფათსა ზედა.

22. და დებონსა ზედა და ნაბავ'სა ზედა და სახლსა ზედა დებლათემისსა.

23. და კარიათემსა ზედა და სახლსა ზედა გამოჲსსა და სახლსა ზედა მაოთისსა.

24. [და სახლსა ზედა კარიოთისსა] და ბოსორას ზედა და ყოველსა ზედა ქალაქებსა ქუეყანისა მოაბისასა, შორიელთა და მახლობელთა.

25. მოჰტყდა რქაჲ მოაბსა, და ამჰარტავანებაჲ მისი შეიმუსრა, თქუა უფალმან.

26. დაათრვეთ იგი, რამეთუ უფლისა ზედა მდიდრად იტყოდა, და იცემდეს მოაბი ჴელითა თჳსითა და იყოს საკიცხელ იგი თავადი.

G

მისისათა თქუთ, ვითარ შეიმუსრა არგანი სიკეთისაჲ, კუერთხი დიდთუალი.

18. შთამოჴედ დიდებისაგან და დაჯედ სინოტიესა შინა მჯდომარე, ასული დებონისი შეიმუსროს, რამეთუ წარწყმდა მოაბი, აღვიდა შენდა განმრყუნელი სიმაგრეთა შენთაჲ.

19. გზასა ზედა დადეგ და იხილე მჯდომარე აროირს შინა და ჰკითხე მეოტსა და განრომილსა და არქუ: რაჲ იქმნა?

20. ჰრცხუენა მოაბსა, რამეთუ შეიმუსრა. ვალალაებდ და ღაღად-ყავ: მიუთხარ არიონისა შორის, ვითარმედ, წარწყმდა მოაბი,

21. და სასჯელი მოვალს ქუეყანასა ზედა მისსორისსა, ქელონსა ზედა და იარსა და მოფათსა.

22. და დებონსა ზედა და ნავავ'სა და სახლსა ზედა დევლათემისსა.

23. და კარიათემსა ზედა და სახლსა ზედა ღამოლაჲსსა და სახლსა ზედა მაოთისსა.

24. და სახლსა ზედა კარიაოთისსა და ბოსორისა ზედა და ყოველთა ზედა ქალაქთა ქუეყანისა მოაბისათა, შორიელთა და მახლობელთა.

25. დაიჴსნა რქაჲ მოაბისაჲ და ჴელთა შინა მისა შეიმუსრა, თქუა უფალმან.

26. დაათრვეთ იგი, რამეთუ უფლისა ზედა განდიდნა, და ტყუელვიდეს მოაბ ჴელითა თჳსითა და იყოს საკიცხელ იგიცა.

---

18. ზედა] — O საჯდომით O. დებონისაო O. მოაბი] + და O. სიძნელეთა შენთა J, სიძნელითა შენითა O. 19. ზედა] — O. და (1)] O. რომელი-ეგე] რომელი O. აროერს] არუელს O. ჰრქუა O. თქუას J, „ა“ ჩამატებულია J-ში. 20. არნონდ] არრონდ J. 21. მისსორისასა] მიკორსისასა O. ზედა და ასასა] — O. 22. და სახლსა ზედა] — O. დებლათიმისა O. 23. კარიათებსა J. გამოაჲსსა O. მოოთისა O. 24. და სახლსა ზედა კარიოთისსა] — J. ბოსორსა O. ზედა — O. 25. მოსტყდა O. 26. ეცემოდის O. და J] + არა J.

18. სიმაგრეთა შენთაჲ] სიმაგრეთაგანთაჲ W. 20. ღ΄ღდყვ W. 21. და სასჯელი] დასსჯელი W. 25. დაიჴსნა] და იჴსნაჲ W.

J

27. ვითარცა საკიცხელ იყო შენდა ისრაჱლი, ანუ პარვასა ნუ შენსა იპოვა, რამეთ ჰბრძოდე მას, აწ მისა მიივლტოდი.

28. დაუტევნეს ქალაქნი და დაეშენნეს კლდესა ზედა მკჳდრნი მოაბისანი, იქმნნეს იგინი ვითარცა ტრედნი, მბუდებელნი კლდესა შინა პირსა სოროთასა.

29. მესმა მოაბისი გინებაჲ, რამეთუ მაგინა ფრიად, სილაღე მისი და გონებაჲ მისი და ამპარტავანებაჲ მისი ვიხილე, და აღმაღლდა გული მისი.

30. ხოლო მე ვცნენ სქმენი მისნი, თქუა უფალმან, არა რაოდენ ჭმა-ეყო მისა, მკლავნი მისნი არა ყვნა ეგოდენ.

31. ამისთჳს მოაბსა ზედა ჭკობდით, მოაბსა ზედა გარემოჲს; ღაღადებდით კაცთა ზედა ზღუდისა ვარჴ-პარსულსა.

32. და ჭმაჲ აღიღონ, ვითარცა ტირილი იაზერისი, გტიროდიან შენ, ვენაჴო სებოჲმისო; მწუერვალნი შენნი განჴდეს ზღუასა, ქალაქო იაზერისო, [O : 296 v] მოიწია ხილსა ზედა შენსა და სამკჳდრებელსა ზედა შენსა და მესდულეთა ზედა შენსა დაეცა მოსრვაჲ.

33. აღიტაცა შუებაჲ და სიხარული ქუეყანისაგან მოაბიტელთაჲსა, და ღჳნოჲ იყო საწნეხელთა შიდა შენთა, არა დაწნიხეს იგი დილითი, არცა მწუხრი.

G

27. და რამეთუ შენდაცა საკიცხელ იყო ისრაილი, ანუ პარვათა შინა შენთა იპოვა, რამეთუ ჰბრძოდე მას და მის თანა ვიდრე წარიტყუენო.

28. დაუქცივნეს ქალაქნი და დაეშენნეს კლდეთა შინა მკჳდრნი მოაბისანი, იქმნნეს ვითარცა ტრედნი, მებუდარნი კლდეთა შინა პირსა სოროჲსასა.

29. მესმა გინებაჲ მოაბისაჲ, აგინა ფრიად, სიმაღლე თჳსი და გინებაჲ და ამპარტავანებაჲ მისი და სილაღე მისი ვიხილე და აღმაღლდა გული მისი.

30. ხოლო მე ვცნენ საქმენი მისნი, იტყჳს უფალი, არა ჭმა-ყოფისაებრ მისისა, ეგრეთ მკლავნი მისნი არა ეგრეთ იყო.

31. ამისთჳს მოაბსა ზედა ჭკობდით. მოაბსა ზედა; ყოველთა ჭმა-ყავთ კაცთა ზედა ზღუდისათა სკირადათა განპიცებისათა.

32. და კილოჲ აღიღონ, ვითარცა ტირილი, იაზირო, და გტირონ შენ, ავენაჴენ, საბამისო, მწუერვალნი შენნი. განვლო ზღუა ქალაქმან იაზირისიან, შეახო ნაყოფსა ზედა შენსა და სამკალსა ზედა შენსა და მესთულეთა შენთა ზედა დაეცა მოსასრველი.

33. დაწყდა შუებაჲ და მხიარულებაჲ კარმელისა და ქუეყანისაგან მოაბიტელთაჲსა და ღჳნოჲ საწნეხელთა შინა შენთა არა დაწნიხეს განთიად იდად, არცა მიმწუხრი არა ყვეს იდად.

---

27. ჰრბოდეს O. მისა]სამე O. მიივლტი O. 28. დაეშჱნნეს O. კლდეთა შინა O. კლდეთა O. შინა] + და O. პირთა O. 29. მოაბისა O. სილაღე] სიმაღლჱ O. მისი (2)] + და სილაღჱ მისი O. 30. რავდენი O. ჭმა-იყო O. ეგოდენ] ეგრე O. 31. მოაბსა ზედა გარემოჲს] და გარემო O. კაცთა] კართა O. (მცდ.) 32. აღიღოს O. იაზერისი] იაპირისი O. (მცდ.) გტიროდის O. სებემისაო O. განჴდეს]+მიერ O. იაზერისო O. ხილსა]ხილვასა O. სამკჳდრებელსა] სამკალსა O. მესთულეთა O. 33. აღიტაცა] აღიცადე J. მოაბელთაჲსა O. შიდა] შინა O.

28. სორო˝ისა W. 29. გინება W. ამპარტავ˝ნება W. 30. ჭმად ყოფისა ებრ. W. 31. ჭჲყ˝ვთ W. 32. 32-ე მუხლი გაუმართავია. უცხო წყაროთა მიხედვით მოსალოდნელი. იყო თითქოს: და კილოჲ აღიღოს, ვითარცა ტირილი იაზირისი, და გტირო შენ, ვენაჴნო საბამისნო; მწუერვალთა შენთა განვლეს ზღუაჲ, ქალაქსა იაზირისსა შეახეს, ნაყოფსა ზედა შენსა და .. 33. დასწყდა W. მხიარულება W. მოაბიტელთასა W. განთიადიდად W. ყუჱს W.

J

34. ხოლო ჴმაჲ ესებონისი მიელიადმდე და იასადმდე გამოსცეს ჴმაჲ მათი, ქალაქთა მათთა გამოსცეს ჴმაჲ მათი სეგორითგან ორონედმდე აგათსალისა, რამეთუ **დიაკეული სმნიერი** არს, რამეთუ წყალიცა იგი ნებრიმისაჲ შემწუველადვე იყოს.

35. და წარ[ვ]წყმიდო მოაბისაჲ[თ], თქუა უფალმან, აღმავალი ბაგინსა ზედა და მჴუმეველი კერპთა მათთა .

36. მისთჳს გული მოაბისი, ვითარცა ნესტუნი, ოხრიდენ, გული ჩემი კაცთა ზედა კედელსა თანა, რომელნი პარსვენ ვარჯსა, ვითარცა ნესტუნი ოხრიდენ; ამისთჳს, რომელ-იგი განირინა, წარწყმდა კაცთაგან.

37. ყოველნი თავნი ყოველთა ადგილთა დაიყჳნნენ, და ყოველნი წუერნი დაიყჳნნენ, და ყოველნი ჴელნი იტყებდენ, და ყოველთა ზედა ჰასაკთა იყოს ძაძაჲ;

38. და ყოველსა ზედა ერდოებსა მოაბისასა და უბნებსა მათსა ყოველსა იყოს ტყებაჲ, რამეთუ შევმუსრე მოაბი, ვითარცა ჭურჭერი. რომელ არღარა საჴმარ არნ, თქუა უფალმან.

39. ვითარ უძლოთ, ჴკობდით; ვითარ შეაქცია ზურგი მოაბმან. ჰრცხუენა და იქმნა მოაბი საკიცხელ და საშინებელ ყოველთაგან გარემოჲსთა მისთა.

40. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი: აჰა ესერა, ვითარცა ორბმან, მოიმართოს, და განემარტნეს [O : 297r] ფრთენი მისნი მოაბსა ზედა,

G

34. ხოლო ამათ ღაღადებისაგან ესებონისა ვიდრე ელეილამდე და ვიდრე იასამდე მოსცეს ჴმაჲ მათი ქალაქთა მათთა სეგორითგან ვიდრე მთათამდე ნემისთა და მითხრობაჲ სალისიაჲსაჲ, რამეთუ დიაკეული სმნიერი არს, რამეთუ წყალიცა ნევრიმისაჲ შემწუელად იყოს.

35. და წარვწყმიდო მოაბი, თქუა უფალმან, აღმავალი ბომონსა ზედა და მჴუმეველი ღმერთთა მისთა.

36. ამისთჳს გული ჩემი მოაბსა ზედა, ვითარცა ავლი, ოხრიდეს, გული ჩემი კაცთა ზედა სკირადათა განბიცებისათა, ვითარცა ავლმან იოხროს; ამისთჳს, რომელთა ვემზრუნველე, წარწყმდენ კაცთაგან.

37. ყოველი თავი ყოველსა შინა ადგილსა აღიპარსოს, და ყოველი წუერი დაიყჳნოს, და ყოველნი ჴელნი იტყებდენ, და ყოველსა ზედა წელსა ძაძაჲ;

38. და ყოველთა ზედა ერდოთა მოაბისთა და უბნებსა ყოველსა შორის ტყებაჲ, რამეთუ შევმუსრე მოაბი, ვითარცა ჭურჭელი, რომლისა არა არს საჴმარებაჲ მისი, თქუა უფალმან.

39. ვითარ იძლია, ჴკობდით; ვითარ მიაქცია ზურგი მოაბმან. ჰრცხუენა და იქმნა მოაბი საკიცხელ და სარისხველ ყოველთა გარემოჲსთა მისთა.

40. რამეთუ ესრეთ თქუა უფალმან: აჰა, ვითარცა არწივმან, მიიმართოს და განიმარტნეს ფრთენი მისნი მოაბსა ზედა.

---

34. მიელიადმდე] მეეეპედმდე O. „გამოსცეს"-ის „ცეს" ჩამატებულია J-ში. ქალაქთა მათთა გამოსცეს ჴმაჲ მათი] — O. ორონედმდე აგათსალისა] მიორნედმდე ალაგთა საალისათა O. ~ არს სმნიერი O. ნებრემისაჲ O. 35. წარწყმიდო J. წარწყმიდოს O. მოაბისაჲ J ხაზგასმული „ის" ჩამატებულია J-ში. მათთა] მისთაჲ O. 36. მოაბისაჲ O. ნესუტნი (1,2) J. ნეტსჳ (1.2) O. ოხრიდეს (1,2) O. კედელთა თანა] კლდისათა O. პარსვენ ვარჯსა] იპარსვენ ვარჯთა O. 37. დაიყჳნენ J, და იყვნენ O. ჴელნი] ჴევნი O ეტყობდენ O. 38. ყოველთაჲ O. რომელი O. 39. უძლოთ] იძლია O. ჴკობდით] იჴუებოდის O. საშინელ] საშჱნებელ O (მცდ.). მისთა] — O. 40. განემარტნეს] განიმართნეს O. მისნი] თჳსნი O.

34. ესსებონისა W. სალისიასა W. 39. გარემოსთა W.

J

41. და დაიპყრას კარიოთი, და სიმ-
ნელენი მისნი შეიცვნეს, [ფ. 72] და
იყოს გული ძლიერთა მოაბელთაჲ მას
დღესა შინა, ვითარცა გული დედაკაცი-
სა სალმობიერისაჲ.

42. და წარწყმდეს მოაბი სიმრავლი-
საგან მისისა, რამეთუ უფლისა ზედა
მდიდრად იტყოდა.

43. შიში და ჯნარცჳ და საბრჭჱ
შენ ზედა, რომელ-ეგე ჰზი შორის მოა-
ბსა, თქუა უფალმან.

44. რომელი ივლტოდის პირისაგან
შიშისაჲსა, შთავარდეს ჯნარცუსა, და
რომელი აღვიდოდის ჯნარცჳთ, შეიპყ-
რას იგი საბრჭითა, რამეთუ მოვავლინო
ესე მოაბსა ზედა წელსა მას, რომელსა
აღვიხილნე იგინი, თქუა უფალმან.

45. საფარველსა ესებონისასა დად-
გეს, რომელნი ივლტოდეს საბრჭისაგან,
რამეთუ ცეცხლი გამოჴდა ესებონით
და ალი ქალაქით სეონით, და შეჭამნა
წინამძღუარნი მოაბისნი და გამოაჭამა
ძენი სეონისნი.

46. ვაჲ შენდა, მოაბ! წარსწყმდი,
ერო ქამოსისო, რამეთუ წარიხუნეს ძე-
ნი შენნი ნატყუენავად და ასულნი შენ-
ნი ტყუედ.

47. და მოვაქციო ტყუჱ მოაბისი
აღსასრულთა დღეთა, თქუა უფალმან.
მოაქამდე საშჯელი მოაბისი.

G

41. დაპყრობილ იქმნა კარიოთი, და
სიმაგრენი მოიპყრნეს, და იყოს გული
ძლიერთა მოაბისათაჲ მას დღესა შინა,
ვითარცა გული დედაკაცისა მლმობი-
საჲ;

42. და წარწყმდეს მოაბი ერისაგან,
რამეთუ უფალსა ზედა განდიდნა.

43. შიში და მთხრებლი და საბრჭე
შენ ზედა, მჯდომარეო მოაბსა შორის,
თქუა უფალმან.

44. მლტოლვარე პირისაგან შიშისა
შთავარდეს მთხრებლსა და აღმოსრული
მთხრებლით შეპყრობილ იქმნეს საბრ-
ჭითა მით, რამეთუ მოვაწინე ესენი
მოაბსა ზედა წელიწადსა შინა, რომელ-
სა ზედ-მოვიხილო მათდამი, თქუა უფა-
ლმან.

45. საფარველსა ესებონისასა დად-
გეს მლტოლვარენი საბრჭისაგან, რამე-
თუ ცეცხლი გამოჴდა ესებონით და ალი
ქალაქით სეონისით და შეჭამნა მთავარ-
ნი მოაბისანი და გამოიძინა ძენი სეო-
ნისნი.

46. ვაჲ შენ, მოაბ! წარსწყმდი, ერო
ხამორისო, რამეთუ წარიხუნეს ძენი
შენნი იავარად და ასულნი შენნი
ტყუედ.

47. და მოვაქციო ტყუჱ მოაბისაჲ
უკანაჲსკნელთა დღეთა, თქუა უფალმან,
ვიდრე აქამომდე საშჯელი მოაბისაჲ, რა-
ოდენი წინაჲსწარმეტყუელნა იერემია
ძჳნად ყოველთა ნათესავთა.

---

41. და (1) — O. დაიპყრა O. შეიცვნა O. გული] — O. მოაბისათაჲ O. დღჱსა O. 42. და
(2)] — O. წარწყმდა O. 43. საბჭე O. ზედა] + და O. 44. შიშისაჲსა] მისისა O. შთავარდეს] +
იგი O. აღმოვიდოდის O. საბრჭემან O. მოვავლინო J. უფალმან] — O. 45. განჴდა O. სიონით
O. შეჭამნა O. მოაბისანი O. სიონისანი O. 46. წარსწყმდე O. ქამოსისო] ქემოსისო O. შენნი
(1)] — O. 47. ტყუე O. მოაბისაჲ (1, 2) O. დღჱთა O.

41. კარიაოთი W. 45. ესსებონისასა W. ესსებონი W. 46. იავარად W. 47. მოაბისა
W. უკანასკნელთა W.

J

49

1. ძეთა ზედა ამონისთა ესრე თქუა უფალმან: არა ნუ არიანა შვილნი ისრაჱლისანი, ანუ შემწყნარებელ არავინ არსა მათა? რაჲსათჳს დაიპყრა მელქონ გალაადი, და ერი მისი ქალაქთა მათთა შინა დაშენებულ არს?

2. ამისთჳს აჰა ესერა დღენი მოვლენ, თქუა უფალმან, და ვისმინო ჰრაბათსა ზედა, ძეთა ამონისთა [O : 297 v] ამბოხი ბრძოლისაჲ, [და იყოს უგზო] და წარსაწყმედელ, და ბაგინნი მისნი ცეცხლითა დაიწუნენ, და დაიპყრას ისრაჱლმან მთავრობაჲ თჳსი, თქუა უფალმან.

3. ღაღადებდ, ესებონ, რამეთუ წარწყმდა ძალი გაისაჲ. ღაღადებდით, ასულნი რაბათისანი, მოირტყთ ძაძაჲ და იტყებდით და რბიოდეთ ზღუდეთა ზედა, რამეთუ მელქონ ტყუედ წარვიდეს, ქურუმნი მისნი [და მთავარნი მისნი] ერთბამად.

4. რაჲ გიხაროდის ველთა [ენაკიმისთა]? განკფდეს ველნი შენნი, ასულო ურიდებისაო, რომელ-ეგე ესავ საფასეთა და რომელი იტყჳ: ვინ მოვიდეს ჩემ ზედა?

5. [ფ. 73] აჰა ესერა მე მოვავლინო შენ ზედა შიში, თქუა უფალმან ძალთამან, ყოველთაგან მოსაზღვრეთა შენთა, და განიბნიოს კაცად-კაცადი პირით კერძო თჳსით, და არავინ იყოს შემკრებელ განბნეულთა მათ.

6. და ამის შემდგომად მოვაქციო ტყუჱ ძეთა ამონისთაჲ, თქუა უფალმან.

G

1. [241 v] ძეთა ამონისთა ესრეთ თქუა უფალმან: ნუ ძენი არა არიან ისრაილსა შორის, ანუ დამპყრობელი არა არს მათ შორის? რაჲსთჳს დაიპყრა მელხომ გალაადი, და ერი მათი ქალაქთა მათთა შინა მკჳდრ არს?

2. ამისთჳს აჰა დღენი მოვლენ, იტყჳს უფალი, და ვასმინო რაბათსა ზედა, ძეთა ამონისთასა შფოთი ბრძოლათაჲ, და იყოს უვალად და წარსაწყმედელად და ბომონნი მათნი ცეცხლისა მიერ დაიწუედ, და დაიპყრას ისრაილმან მთავრობაჲ მისი, თქუა უფალმან.

3. ღაღადებდ, ესებონ, რამეთუ მოისპო ძალი გაისაჲ [241 v ბოლო]. ღაღად-ყავთ, ასულო რაბბათისანო, მოირტყთ ძაძები და იპყრობვოდეთ და იტყებდით და რბიოდეთ ზღუდეთა ზედა, რამეთუ მელქომ ტყუებად ვალს, მღდელნი მისნი და მთავარნი მისნი ერთბამად.

4. რაჲ სიხარული ველთა შორის ენაკიმისთა, განკფდეს ველნი შენნი, ასულო უგლიმობისაო, მოსავობაჲ საუნჯეთა ზედა მისთა, მეტყუელი: ვინ ზედ-მოვიდეს ჩემ ზედა?

5. აჰა მე მოვიღო შიში შენ ზედა, თქუა უფალმან ძალთამან, ყოველთაგან გარემოჲს მყოფთა შენთა, და განიწესოს კაცადი პირისა კერძ[ო] თჳსისა, და არა არს, რომელმან შეკრიბოს ტყუექმნილი.

6. და ამის შემდგომად მოვაქ[ც]იო ტყუეობაჲ ძეთა ამმონისთაჲ, თქუა უფალმან.

49:.1. ძეთა ზედა ამონისთა]ძეთა ამონისთათჳს O. „ამონისთა"-ს გვერდით ცალკე წერია ჰზ J-ში. მელქო O. გალადი O. ქალაქთა მათთა შინა დაშენებულ] ქალაქსა შინა მათსა დაშჱნებულ O. 2. დღჱნი O. მოვლენან O. ზედა] + და O. ამბოხი] ჰამბავი O. და იყოს უგზო] — J. წარწსაწყმედელი J. თჳსი] იგი მისი O. 3. ღაღადებდა O. გაისაჲ] ეგეაჲსაჲ J,იგი გეჲსჲ O ჰრაბათაჲსანი O. მოირატყთ J. ეტყებდით O. მელქო O. და მთავარნი მისნი] — J. 4. ენაკიმისთა] — J. ურიდებისო J. რომელ-ეგე] რომელი O. და] — O.

49.1. [ხელნაწერის „შემწყნარებელი" გადაუშლია დამმუხლველს და „დამპყრობელი" დაუწერია]. მელქომ W. გა˝ლდი W. 2. ბრძოლათა GW. და (5)]-G. 3. რა˝ბბითის˝ნო W. 4. რაჲ]რამეთუ W. 5. გარემოს W. კერძ W. ტყუჱ ქმნილი W. 6. მოვაქიო W.

J

7. იდუმიასა ზედა ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ: არღარა არს სიბრძნე მერმე თემანს შინა, წარწყმდა ზრახვაჲ გონიერთაგან, წარვიდა სიბრძნე მათი.

8. დააღრმეთ თქუენდა შთასაჯდომელად, მკჳდრთა მაგათ დედანი[სათა], რამეთუ ძნელი ქმნა; მოვავლინნე მის ზედა ჟამსა მას, რომელსაცა აღხილვავყო მისი.

9. რამეთუ მოვიდენ მესდულენი შენ ზედა, რომელთა არა დაგიტეონ შენ მოსაკუფხლველი, ვითარცა მპარავნი, ღამე დაგდვან შენ ჴელი მათი.

10. რამეთუ მე დავამჴუ ესავი, განვაცხადნე და[O : 298 r]ფარულნი მათნი, დამალვად ვერღარა უძლონ, წარწყმდა თესლი მათი ჴელითა ძმისა მისისაჲთა [და მოძმისა მისისაჲთა], და არა არს,

11. რომელმანმცა თქუა დატევებაჲ ობოლთა შენთაჲ, რაჲთა განერნენ; და მე განვარინნე იგინი, და ქურივნი შენნი მესვიდენ მე.

12. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი: აჰა ესერა რომელთა არა წეს იყო სუმად სასუმელი, მათ სუეს, და შენ განმართლებით არა განჰმართლდე.

13. რამეთუ ვფუცე ჩემდა, თქუა უფალმან, რამეთუ უგზოდ და საყუედრელად და საწყეველად იყო შორის მისსა, და ყოველნი ქალაქნი მისნი იყვნენ ოჴერ მიუკუნისამდე.

14. სმენაჲ მესმა უფლისაგან, და მიუვლინნა მოციქულნი წარმართთა:

G

7. [241 r] იდუმესა ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ: არღა არს მერმე სიბრძნე შორის თემანსა, წარწდმდა განზრახვაჲ გონიერთაგან, წარჴდა სიბრძნე მათი.

8. დაითრგუნა ადგილი მათი; დააღრმეთ თქუენდად დასაჯდომელად, მკჳდრთა დედანისათა, რამეთუ ძნელნი ქმნნა. მივავლინე მის ზედა ჟამსა შინა, რომელსა ზედ-მივჰხედე მას.

9. რამეთუ მესთულენი მოვიდეს შენდა, რომელთა არა დაგიშთინონ შენ მოსაკუფხლველი, ვითარცა მპარავთა ღამესა შინა, დადვან შენ ზედა ჴელი მათი.

10. რამეთუ მე შთამოვამჴუ ესავი, გამოვაცხადენ დაფარულნი მათნი, დაფარვად ვერ უძლონ; წარწყმდა თესლი მისი ჴელითა ძმისა მისისაჲთა და მეზობლისაჲთა, და არა არს.

11. მეტყუელი დატევებასა ობლისა შენისასა, რაჲთა ცხოვნდეს, და მე ვაცხოვნო იგი, და ქურივნი შენნი ჩემდამო ესვიდენ.

12. რამეთუ ამათ იტყჳს უფალი: აჰა, რომელთა არა იყო. შჯულ სუმად სასუმელი, მსუმელთა სუეს; და შენ, უბრალო-ქმნილი, არა უბრალო-იქმნე, რამეთუ მსუმელი სუამს.

13. რამეთუ თავისა მიმართ ჩემისა ვფუცე, იტყჳს უფალი, ვითარმედ უვალად და საყუედრელად და საწყევარად იყო შორის მისსა, და ყოველნი ქალაქნი მისნი იყვნენ ოჴერ უკუნისამდე.

14. სასმენელი მესმა უფლისაგან. და მიმთხრობელნი წარმართთა მიმართ მია-

7. იდუმიასა ზედა] იდუმიაჲსათჳს O: „იდუმიასა"-ს I ანი ჩამატებულია J-ში. არღარა] არა O. სიბრძნჱ O. მერმჱ O. 8. დააღრმჱთ O. მკჳდრთა]მკუდართა O (მცდ.). დედანი J. ძნელი ქმნა] ძნელ იქმნა JO. მოვავლინე O. აღხილვაჲ-ვყავ O. 9. მოვიდენ მესდულენი] მოზღუდჳილნი მოვიდენ O. დაგიტევონ O. ღამჱ O. შენ (3)] — O. 10. ესავი]ესევე O (მცდ.) განვაცხადენ O. მათი]მისი O. და მოძმისა მისისაჲთა] J. 12. რომელთა] რომლისათჳს J. მათ სუეს] მათთჳს J. არა (2)] + ვე ვე J: 13. ჰფუცე O. ჩემდამო O. უგზო O. შორის]შენ J. 14. მიავლინნა O. მოვედით O.

8. და აღრმეთ W. 10. წარწყმდა] წარწყმედად W. მისისათა GW. მეზობლისათა GW. 13. იყუნენ G (გაცხოველებულია), იყ˝ნენ W. 14. სასუმენელი GW.

J

შეკერბით და მოვიდოდეთ მისა და აღ-
დეგით ბრძოლად მისა.
15. აჰა ესერა მცირედღა, და მიგეც
შენ წარმართთა საწუნელად შორის
კაცთა.
16. შეურაცხებამან შენმან შეგამთ-
ხვა შენ ესე, ურიდებამან გულისა შე-
ნისამან მყოფ გქმნა შენ ჴურელთა ში-
ნა კლდეთასა. შეიპყრა ძლიერებაჲ
ბორცუთა მაღალთაჲ, რამეთუ აღიმაღ-
ლე, ვითარცა ორბმან, ბუდე შენი, და
მიერცა გარდამო-ვე-გაგდო, თქუა უფალ
მან.

17. და იყოს იდუმიაჲ უგზო, ყოვე-
ლი რომელი თანა-წარჰვიდოდის, და-
[ფ. 74]უკვრდეს, და ისტვნოს ყოველსა
ზედა წყლულებასა მისსა.
18. ვითარცა დაიქცა სოდომეთი და
გომორეთი და მოსაზღვრენი მისნი,
თქუა უფალმან მერთისა-მპყრობელმან,
და არღარა დაჯდეს მუნ კაცი, და არცა
დაეშენოს მუნ ძჱ კაცისაჲ.
19. აჰა ესერა ვითარცა ლომი [O:
298 v] აღმოჴდეს იორდანით ადგილსა
ეთამისასა, რამეთუ მსთუად განვდევნნე
იგინი მისგან. და ჭაბუკნი დაადგინნენ
მის ზედა. და ვინ არს რჩეულ, მისა მი-
მართ აღხილვა-ვყო. რამეთუ ვინ არს,
ვითარ მე? და ვინ წინა-დამიდგეს მე?
და ვინ არს მწყემსი ესე, რომელი დად-
გეს წინაშე პირსა ჩემსა?

20. ამისთჳს ისმინეთ ზრახვაჲ უფ-
ლისაჲ, რომელ ზრახა იდუმიასა ზედა,
და გულისხმაჲ, რომელ გულისხმა-ყო
მკვდრთა ზედა თემანისათა, უკუეთუ
არა მოიხილნენ ნეშტნი ცხოვართა მათ-

G

ვლინნა: შეკრბით და მოვედით მისსა,
და არ დააცალონ ბრძოლად მის ზედა.
15. რამეთუ აჰა კნინღა, მიგეც
[241 v] შენ წარმართთა შორის და
ადვლ საწუნველ კაცთა შორის.
16. ლაღობამან გულისა შენისამან
დაგირწყუნა შენ ესენი, უგლიმობამან
გულისა შენისამან მყოფ გქმნა ჴურე-
ლებსა კლდეთასა. შეიპყრა ძალი ბორ-
ცვსა მაღლისაჲ, რამეთუ აღამაღლო თუ,
ვითარცა არწივმან, ბუდენი, მიერ გარ-
დმოგაგდებენ, თქუა უფალმან.

17. და იყოს იდუმეაჲ უვალად ყო-
ველი თან[ა]-წარმავალი მის ზედა გან-
ჰკრთეს და დაისტვნოს ყოველსა ზედა
წყლულსა მისსა.
18. ვითარცა დაიქცა სოდომაჲ და
გომორრაჲ და მოზღვრენი მათნი, თქუა
უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან, არა
დაჯდეს მუნ კაცი, და არ დაიმკვდროს
მუნ ძემან კაცისამან.
19. აჰა ვითარცა ლომი აღმოვიდეს
საშუალით იორდანისაჲთ ადგიდ ეთა-
მისა, რამეთუ მსთუად განვდევნნე იგი-
ნი მისგან, და ჭაბუკნი დაადგინენით
მის ზედა. ვინ არს რჩეულ მისსა მი-
მართ, მე ვიხილო. რამეთუ ვინ არს, ვი-
თარ მე? და ვინ წინა-აღმიდგეს მე? და
ვინ ესრეთ მწყემსი, რომელი დადგეს
წინაშე პირსა ჩემსა?

20. ამისთჳს ისმინეთ განზრახვაჲ
უფლისაჲ, რომელი განიზრახა იდუმეა-
სა ზედა, და გულის-სიტყუაჲ მისი, რო-
მელი სიტყუა დამკვდრებულთა ზედა
თემანისათა, არა თუ თან[ა]-აღირაცხ-

---

16. შენმან] — O. ესე] + და O. მყოფელ O. კლდისათა O. შეიპყრან O. აღიმაღლჱ O. ბუდჱ O. და მიერცა გარდამო-ვე-გაგდო] მიერ სადაცა გარდამოგაგდო O. 17. ედომიაჲ O. უგზო] + და O. დაუკვრდეს] მას დაუკვრდეს და O. 18. მერთისა-მპყრობელმან] ყოვლისა-მპყრობელმან O. არღარა O. და (4)] — O. დაჱშჱნოს O. 19. ჰეთამისასა O. დაადგინენ O. მის] მას O. და (3)] ანუ O. წინააღმიდგჱს O. ~ ესე მწყემსი O. 20. იდუმიასა] ედომსა O. მოიხილნენ ნეშტნი] მოივლინნენ ნიშნი O (მცდ.).

16. დაგირწყუნა] და გიწყინა GW. მაღლისა W. ბუდებნი GW. გარდა˜მოგგდებენ W. თქვა W. 17. თანწარმავალი GW. 18. მოზღუვრენი W. თქვა W. არა] — W. 20. განზრახვა W. იდუმეას W. თან აღირაცხუნენ GW. იქმნნეს W.

J

თანი, უკუეთუ არა უგზო იქმნეს მათ ზედა საყოფელი მათი.

21. ჴმითა დაცემისა მათისაჲთა შეიძრა ქუეყანაჲ, ღაღადებაჲ შენი ზღუასა შინა ერჳთრასა, განისმა ჴმაჲ შენი.

22. აჰა ესერა ვითარცა ორბი აღმოჴდეს და დაჰშრიალდეს და განიმარტნეს ფრთენი მისნი სიძნელეთა ზედა მისთა; და იყოს გული ძლიერთა იდუმიაჲსათაჲ მას დღესა შინა, ვითარცა გული დედაკაცისა სალმობიერისაჲ.

23. დამასკესათჳს: ჰრცხუენა ემათსა და არაფათსა, რამეთუ სმენაჲ ბოროტი ესმა; შესულბეს ზღუასა შინა [და განრისხნეს], განსუენებად ვერ უძლონ.

24. დაჴსნდა დამასკჱ, მიიქცა სივლტოლად, განვარდა, და ძ[რ]წოლამან შეიპყრა იგი, და სალმობამან შეიპყრა იგი, ვითარცა შობადი.

25. ვითარ არა დაუტევა ქალაქი ჩემი, საყუარელი ჩემი, სოფელი შეიყუარა საქებელი?

26. ამისთჳს დაეცნენ ჭაპუკნი შენნი უბნე[O : 299 r]ბსა შინა შენსა და ყოველნი მამანი შენნი მბრძოლნი დაეცნენ მას დღესა შინა, თქუა უფალმან ძალთამან.

27. და აღვაგზნე ცეცხლი ზღუდეთა დამა[ს]კისათა, და შეჭამნეს ურაკპარაკნი ძისა ადერისნი.

28. კედარსა ზედა, დედოფალსა ეზოჲსასა, რომელი მოკლა ნაბუქოდო-

G

ნენ მათსა უუნდოესნი ცხოვართანი, არა თუ უვალ იქმნეს მათ ზედა სავანე მათი.

21. რამეთუ ჴმისაგან დაცემულებისა მათისა შეირყა ქუეყანაჲ, და ღაღადებაჲ შენი ზღჳსა შორის მეწამულისა ისმა.

22. აჰა ვითარცა არწივი აღვიდეს და იხილვოს და განმარტნეს ფრთენი თჳსნი სიმაგრეთა ზედა მისთა; და იყოს გული ძლიერთა იდუმეაჲსათაჲ მას დღესა შინა, ვითარცა გული დედაკაცისა მლმობიარისაჲ [241 v ბოლო].

23. [W] დ ა მ ა ს კ ო ს ა: ჰრცხუენა ემათსა და არაფათსა, რამეთუ სასმენელი ბოროტი ესმაყე; განჰკრთეს ზღჳსა შორის, გულ-მწყრალ იქმნეს, განსუენებად ვერ შეუძლონ.

24. მოკლებულ იქმნა დამასკოჲ, მიიქცა სივლტოლად და განვარდა, ძრწოლამან შეიპყრა იგი და სალმობამან მოიცვა ვითარცა მშობი.

25. ვითარ არა დაუტევა ქალაქი ჩემი, დაბაჲ შეიყუარა?

26. ამისთჳს დაეცნენ ჭაბუკნი შენნი უბანთა შენთა ზედა და ყოველნი კაცნი შენნი მბრძოლნი დაეცნენ მას დღესა შინა, ჰრქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაილისამან.

27. და აღვაგზნა ცეცხლი ზღუდეთა ზედა დამასკისათა, და შეჭამნეს ურაკნი ძისა ადერისნი.

28. კიდარს, მეფეას ეზოჲსასა, რომელი მოსრა ნაბუქოდონოსორ მეფემან

---

21. ერჳთ რასა O (მცდ.) [„მეწამულისა“ მიუწერიათ „ერჳთრას“ განსამარტავად J-ის პირველი სვეტის მარცხენა კიდეზე]. 22. და დაჰშრიალდეს] — O. მისნი] თჳსნი O. გულ J. 23. დამასკისათჳს O. შესულბჱს O ზღუასა] ზ˜ღსა J. ზღუდჱსა O. და განრისხნეს] — J. 24. დაჰჴსნდა O. დამასააკჱ] + და O. სივლტოლად] — O. განვარდა] + იგი O. ძწოლამან J. „და სალმობამან შეიპყრა იგი“ ჩამატებულია J-ში. შეიპყრა იგი] — O. 25. ჩემი] — O. 26. ჭაბუკნი O. შენნი (1)] — O. 27. აღუგზნა O. დამაკისათა J. 28. ზედა] — O. დედოფალსა] დ˜ღსა J. ბაბილონისამან O. აღვიდეთ O. მოვსრნეთ O. კედემისნი] კედარიისანი O.

21. შეირყია W. ქ˜ყნა W. ღღ˜დება W. ზღჳსა W. 22. იდუმესათა W. მლმობიარისა W. 23. და მასკისა W. 25. შეიყვარა W. 26. ჰქ˜ვა W. 28. მეფსა W. [„ესრეთ“-ს W-ში მუხლებად დაყოფის ნიშანი უზის და თვით „ესრეთ“ მთავრული ასოთი იწყება] და წყლენით W.

J

ნოსორ მეფემან ბაბილოვნისამან, ესრე თქუა უფალმან: აღდეგით და აღვედით კედარდ [ფ. 75] და მოსრენით შვილნი კედემისნი.

29. კარვები მათი და საცხოარი მათი წარიღონ, სამოსელი მათი და აქლემები მათი და ყოველი ჭურჭერი მათი წარიღონ თავისა მათისად. თქუთ მათ ზედა წარწყმედაჲ გარემოჲს.

30. ივლტოდეთ ფრიად და განკერთით, დაალრმეთ შთასაჯდომელად მსხდომარეთა ეზოჲსათა, თქუა უფალმან, რამეთუ ზრახა თქუენ ზედა ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილოვნისამან ზრახვაჲ და გულის-ხმაყო თქუენ ზედა გულის-ხმაჲ.

31. აღდეგ და აღვედ ნათესავსა ზედა დაყუდებულსა, რომელი ზის განსუენებით, თქუა უფალმან, რომელთა არა არიან კარ, არცა მოქლონ მათა, მარტოდ დაშენებულ არიან.

32. და იყოს აქლემები მათი ტყუჱ, და სიმრავლჱ საცხოვრისა მათისაჲ წარსაწყმედელად იყოს, და განვაქრინე იგინი ყოველსა ქარსა, რომელსა მოუპარსავს პირები მათი; და ყოვლისაგან ნათესავისა [ვყო] ძლევა მათი, თქუა უფალმან.

33. და იყოს ეზოჲ იგი საყოფელად სირაქლემთა და უგზო იყოს მიუკუნისამდე; არა დეშენოს მუნ კაცი [O: 299 v], და არცა დაჯდეს მუნ ნაშობი კაცთაჲ.

G

ბაბილონისამან, ესრეთ თქუა უფალმან: აღდეგით და აღვედით კიდარსა ზედა, დაწყლენით ძენი კედემისნი.

29. კარავნი მათნი და ცხოვარნი მათნი წარიხუნენ, სამოსელნი მათნი და ყოველნი ჭურჭელნი მათნი და აქლემნი მათნი მიიყვანენ თავისა მათისად და მოუწოდეთ მათ ზედა წარწყმედასა გარემოჲს.

30. ივლტოდეთ ფრიად, განკერთით, დაალრმეთ შთასაჯდომელად მსხდომარეთა ეზოსა შინა, იტყჳს უფალი, რამეთუ, განიზრახა თქუენ ზედა ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილონისამან განზრახვაჲ, და ისიტყუა თქუენ ზედა გულის-სიტყუაჲ.

31. აღდეგით, აღვედით ნათესავსა ზედა კეთილ-მდგომსა და მყუდროსა და მჯდომარესა განსუენებულად, იტყჳს უფალი, რომელსა არა არიან კარებ, არა ვალანებ, არა მოქლონებ, მარტონი მევანეობენ.

32. და იყვნენ აქლემნი მათნი სათავისო და სიმრავლე ცხოვართა მათთაჲ წარსაწყმედელ, და განუფიწლნე იგინი ყოველსა ქარსა, განრყუნილ პირნი მათნი, და ყოვლისაგან წიაღ კერძოჲსა მათისა ვყო ძლეულება მათი, თქუა უფალმან.

33. და იყოს ეზოჲ მათი საყოფელ სირთა და უგზო საუკუნომდე, არ დაემკვდროს მუნ კაცი, და არ დაჯდეს მუნ ძე მიწის ნაშობისაჲ.

---

29. კარვები] და კარვები O. საცხოვარი O. 30. განჴრთით O. ნაბუქოდონოსორ J, ნარის წინ შემდგომ „დორ“ ჩაუმატებიათ. მეფჱმან O. ბაბილონისამან O. გულისხმა-ვყოთ O. თქუენ ზედა (2)] — O. 31. განსუენებულად O. დაშჱნებულ O. 32. იყოს (1)] არს O. ტყუჱ] ფრიად O. საცხოვრისა მათისაჲ] საცხოვართა მათთაჲ O. განვანქრინე O. რომელ O. მოუპარსავს] — O. სადაც ეს სიტყვა უნდა ყოფილიყო, ის ადგილი დაუწერელია O-ში. ნათესავისა ძლევა მათა J, ნათესავისა მათისა ვყო ძლევაჲ O.

29. გარემოს W. 30. განჴკერთით W. და აღრმეთ W. გულის სიტყვა W. 432. სიმრავლესა W. 33. ეზო W.

J

34. [ფ. 65]... [O : 292 v] რომელსა წინაწარმეტყუელებდა იერემია ნათესავთა ზედა ელამისთა.

35. ესრე იტყჳს უფალი: შეიმუსრენ მშჳლდი ელამისი, დასაბამი ყოვლისა ძლიერებისა მათისაჲ.

36. და მოვავლინნე ელამის ზედა ოთხნი ქარნი ოთხთაგან კიდეთა ცისათა და განვაბნინე იგინი შორის ყოველთა ქართა, და არა იყოს ნათესავი, რომელთა არა მივიდენ განბნეულთაგანნი ელამისნი.

37. და შევაძრწუნნე იგინი წინაშე მტერთა მათთა, რომელნი ეძიებენ სულთა მათთა. და მოვავლინო მათ ზედა რისხვაჲ გულის-წყრომისა ჩემისაჲ და მოვავლინო შემდგომად მათსა მახჳლი ჩემი, ვიდრემდის არა მოვსრნე იგინი.

38. და დავიდგა საყდარი ჩემი ელამსა შინა და წარვწყმიდო მისგან მეფჱ და მდიდარნი მისნი.

39. და იყოს, აღსასრულისა დღეთა მოვაქციო ტყუჱ ელამისი, [თქუა უფალმან].

G

34. [234 v] სიტყუაჲ, რომელი იქმნა უფლისა მიერ იერემიაჲს მიმართ წინაჲსწარმეტყუელისა ელამისათჳს დასაბამსა მეფობისა სედეკიაჲსსა, მეფისა იუდაჲსსა, და თქუა:

35. ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ: აჰა ესერა შევმუსრო მშჳლდი ელამისაჲ, დასაბამი მძლავრობისა მათისაჲ.

36. და მოვჰხადო ელამსა ზედა ოთხთა ქართა ოთხთაგან მწუერვალთა ცისათა და განვსთესნე იგინი ყოველთა მიმართ ქართა ცისათა, და არა იყოს ნათესავი, რომელი არა ჳოვიდეს მუნ, განმაგარეებელნი ელამისნი.

37. და შიშნეულ-ვყუნე იგინი წინაშე მტერთა მათთა, რომელნი ეძიებდეს სულთა მათთასა, და მოვაწიო მათ ზედა რისხვისაებრ გულის-წყრომისა ჩემისა, იტყჳს უფალი, [235 r] და ზედმივავლინო უკუანა მათსა მახჳლი ჩემი ვიდრე მოსპოლვამდე მათდა,

38. და დავდვა ელამს შინა საყდარი ჩემი და წარვწყმიდო მუნით მეფე და დიდ-დიდნი, თქუა უფალმან.

39. და იყოს, უკუანაჲსკნელთა დღეთა ზე-მოვაქციო ტყუეობაჲ ელამისაჲ, იტყჳს უფალი.

50

J

1. [ფ. 75] სიტყუაჲ, რომელ თქუა უფალმან ბაბილონსა ზედა, ქუეყანასა ქალდეველთასა, ჴელითა იერემია წინაწარმეტყუელისაჲთა.

G

1. [242 r] სიტყუაჲ, რომელი თქუა უფალმან ბაბილონსა ზედა, ქუეყანასა ზედა ხალდეველთასა ჴელითა იერემია წინაჲსწარმეტყუელისაჲთა.

---

34. 49-ე თავის 34-39 მუხლები JO -ში 46-ე თავს წინ უსწრებს. ამიტომ ეს მუხლები ჩვენ სათანადო ადგილას გადმოვიტანეთ. 34-ე მუხლი O-ში. რომელსა ზედა წინაწარმეტყუელებდა ნათესავთა ზედა იერემია ელამისთა და თქუა. 35. ყოვლისა] — O. 36. ყოველთა] + ამათ O. რომელთა] + ზედა O. ელამისთაჲ O. 37. ეძიებედენ O. სულთა მათთა] სულსა მათსა O. მათსა] — O. მოვსრნე] მოვსპნე O. 38. დავდგა O. ელამისსა O. ელამჱს O. 39. აღსასრულისა დღეთა] აღასრულსა დღეთასა O. ტყუე O. თქუა უფალმან] — J.

34. სი῾ტყა W. ო῾ჲ W. 35. ძალთა W. შევჰმუსრო W. ელამისა W. მათისა W. 36. მოვხადო W. [დამმუხლველს ჩაუმატებია: და თქუა" (34-ე მუხლიდან) და ძალთა „აჰა ესერა" (35-ე მუხლიდან]. განვსთესნე (!) ასეა G-ში, განვთესნე W. განმაგაარებელნი W. 37. შიშნეულ ვყუნე GW. რისხჳსაებრ W. იტყჳს W. მათსა] — G. მოსპოლვადმდე W. 39. უკანაჲსკნელთა G (უქარაგმოა). ტყუჱობა W. ელამისა W.

50. 1. სიტყუა W. ქალდეველთასა W. წწ῾ყლისათა W.

J

2. მიუთხართ წარმართთა შორის და სასმენელ-ყავთ და აღიღეთ ნიში, ასმინეთ, ნუ დაჰმალავთ, არქუთ: აღოჴრდა ბაბილონი, ჰრცხუენა ბელს უშიშსა, ფუფუნეული მიეცა მაროდაქ, ჰრცხუენა ქანდაკებულთა მათ მისთა,

3. რამეთუ აღჴდა მის ზედა ნათესავი ჩრდილოჲთ. მან დადვას ქუეყანაჲ მისი განსარყუნელად, და არა იყოს მკჳდრ მას შინა კაცითგან მიპირუტყუადმდე, შეირყინეს და წარჴდეს.

4. მათ დღეთა შინა, თქუა უფალმან, [და] მას ჟამსა მოვიდენ ძენი ისრაჱლისანი,იგინი და ძენი იუდაჲსნი ერთბამად ვიდოდიან და ტიროდიან და წარვიდენ და ეძიებდენ უფალსა ღმერთსა მათსა.

5. რამეთუ აქა მოიქცინენ პირნი მათნი და მოვიდენ და შეივლტოდიან უფლისა, რამეთუ აღთქუმაჲ საუკუნოჲ არა დაივიწყოს.

6. ვითარცა ცხოვარნი წყმედულნი, [ეგრე იქმნა] ერი ჩემი; მწყემსთა მათთა განსთხინეს იგინი, მთათა ზედა [ფ. 76] შეაცთუნნეს იგინი; მთათაგან ბორცუთა ზედა ვიდოდეს, დაავიწყდა საყოფელი მათი.

7. ყოველნი, რომელნი ჰპოებდეს მათ, აღსცდიდეს მათ. მტერთა მათთა თქუეს: არა ულხინოთ მათ მის წილ, რამეთუ შესცოდეს უფალსა შჯული სიმართლისაჲ, რომელმან შეკრიბნა მამანი მათნი უფალმან.

G

2. მიუთხრენით წარმართთა შორის და სასმენელ-ყვენით და აღიღეთ სასწაული, ასმინეთ და ნუ დაჰმალავთ, არქუთ; აღოჴრდა ბაბილონი, სირცხჳლეულ იქმნა ბილ, შუებული მიეცა მეოდახ, ჰრცხუენა კერპთა მისთა,

3. რამეთუ აღმოვიდა მის ზედა ნათესავი ჩრდილოჲთ. მან დადვას ქუეყანაჲ მისი მოსაოჴრებელად, და არა იყოს დამკჳდრებული მის შორის კაცითგან მისაცხოვართამდე, შეირყინეს, წარჴდეს.

4. მათ დღეთა შინა, იტყჳს უფალი, და მას ჟამსა შინა მოვიდენ ძენი ისრაილისანი, იგინი და ძენი იუდაჲსნი ერთბამად მოარულნი და მტირალნი, წავიდენ მეძიებელნი უფლისა ღმრთისა მათისანი.

5. ვიდრემდის სიონს იკითხონ გზაჲ, რამეთუ აქა მისცენ პირი მათი და მოვიდენ და შეივლტოდიან უფლისა მიმართ ღმრთისა მათისა, რამეთუ აღთქუმაჲ არა მოაკლდეს.

6. ცხოვარებ წყმედულებ იქმნა ერი ჩემი; მწყემსთა მათთა განჴადნეს იგინი, მთათა ზედა შეაცთუნნეს იგინი, მთათაგან ბორცუთა ზედა ვიდოდეს, დაავიწყდა სადგური მათი.

7. ყოველნი მპოვნელნი მათნი განჰლევდეს მათ. მტერთა მათთა თქუეს: არა ულხინოთ მათ მის წილ, რომელ შესცოდე', უფალსა შჯული სიმართლისაჲ, შემკრებელი მამათა მათთაჲ უფლისა.

---

2. „სასმენელ-ყავთ“-ის „ნე“ ასოები ჩამატებულია J-ში. ნუ დაჰმალავთ არქუთ] და არქუთ და ნუ დაჰმალავთ + არქუთ O. ბელის O. მიეცა] მიიქცა O. მაროდაქ] მაროდაქ + აჰრცხუენა კერპთა მისთა O. 3. აღჴდა] აღმოჴდა O. მკჳდრი O. მიპირუტყუამდე O. შეირყინეს O. 4. მათ დღეთა] მას დღესა O. და(1) — J ჟამსა] -შინა O. და ტიროდიან) — O. 5. პირნი მათნი მოიქცინენ O. 6. ვითარცა]ვაჲ J. ცხოვარნი წყმედულნი] ცხოვარი წარწყმედული O. ეგრე იქმნა]— J. მათთა] — O. „მთათაგან“-ის I ანი ჩამატებულია J-ში. საყოფელი] სადგური O. 7. ყოველმან (ყ˜ნ) J. აღსცდიდეს] აღიცრიდეს O.

2. სასმენელებ ყვენით G, ს˜სმენელ ყუჱნით W. აოჴრდა W. სირცხჳლეულ იქმნა ბილ]-ბილ უშიში W. 3. ჩრდილოთ W. ქუეყანასა G. ქუჱყანა W. 4. ო˜ჲ W. ღ˜ი W. 5. ო˜ჲ W. ღ˜ი W. აღთქმაჲ W. 6. ცხოვრებ G. დავიწყდა W. 7. სიმართლისა W. ო] ჲ W.

J

8. [O : 300 r] უცხო იქმნენით ბაბილოვნისაგან და ქუეყანისაგან ქალდეველთაჲსა, გამოვედით და იქმნენით, ვითარცა ვეშაპნი წინაშე პირსა ცხოვართასა.

9. რამეთუ აჰა ესერა მე აღვადგინნე და მოვიყვანნე ბაბილოვნსა ზედა კრებულნი წარმართთა დიდთანი ქუეყანით ჩრდილოჲთ, დაეწყვნენ მას, და მისგან მოისრნენ იგინი; ისარნი მათნი, ვითარცა ისარი ბრძოლისა მეცნიერისაჲ, არა მოიქცის ცუდი.

10. და იყოს ქალდეაჲ წარსატყუენველად; ყოველთა რომელთა ტყუენონ იგი, განძღენ, თქუა უფალმან.

11. რამეთუ იხარებდით და იქადოდეთ მიტაცებასა სამკვდრებელისა ჩემისასა, და რამეთუ ჰტრიობდით, ვითარცა ზროხანი მწუანესა შინა, და ირქენდით, ვითარცა კურონი.

12. ჰრცხუენა დედასა თქუენსა ფრიად, დაეფლა მშობელი დედაჲ თქუენი კეთილად, და აჰა ესერა აღსასრული წარმართთაჲ: ოჴერ და ურწყულ და უგზო.

13. რისხვისაგან უფლისაჲსა არა დაეშენოს, და იყოს განსარყუნელად. ყოველი, რომელი განვიდოდის ბაბილონს შინა, დაწუხნეს და დაისტჳნოს ყოველსა ზედა წყლულებასა მისსა.

14. განეწყვენით ბაბილონსა ზედა, ყოველნი მშჳლდ-გარდაცუმულნი გა-

G

8. უცხო იქმნენით ბაბილონისაგან და ქუეყანისაგან ხალდეველთაჲსა, ვითარცა ვეშაპნი წინაშე პირსა ცხოვართასა.

9. [242 v] რამეთუ აჰა მე აღვადგენ და აღმოვიყვანებ ბაბილონსა ზედა შესაკრებელსა ნათესავსა დიდთასა ქუეყანისაგან ჩრდილოჲსა, და წყობა-ყონ მის შორის, მუნით მოესრულოს, ვითარცა სატყორცი მბრძოლისა გულისხმიერისაჲ, ისარი მისნი არა მოიქცენ ცუდად.

10. და იყოს ხალდეაჲ საიავროდ; ყოველნი მეიავრენი მისნი განძღენ, იტყჳს უფალი.

11. რამეთუ იშუებთ და იქადით დამტაცებელნი სამკვდრებელისა ჩემისანი [11] და მით რამეთუ სტრიობდით, ვითარცა ზროხანი მწუანესა შორის და ურქენდით, ვითარცა კურონი.

12. სირცხჳლეულ იქმნა დედაჲ თქუენი ფრიად, მოიქცა მშობელი თქუენი დედაჲ კეთილთა მომართ; აჰა უკუანაჲსკნელი წარმართთაჲ: ოჴე[რ] და ურწყულ და უვალ.

13. რისხვისაგან უფლისა არა დამკვდრებულ იქმნეს, და იყოს განსარყუნელად ყოვლად. და ყოველი წარმვლელი ბაბილონით დაწუხნეს, დაისტჳნოს ყოველსა ზედა წყლულსა მისსა.

14. წყობა-ყავთ ბაბილონსა ზედა გარემოჲს; ყოველთა მომრთხმელთა

8. ბაბილონისაგან O. 9. და მოვიყვანნე] — O. ბაბილონსა O. ~ დიდნი წარმართთანი O. ქუეყანით] — O. მათნი] მისანი O. ისარნი O. ბრძოლისა მეცნიერისაჲ] ბრძოლის მეცნიერისანი O. მოიქცეს O. ცუდი] ცალიერნი O. 10. ქალდევაჲ J, ქალდიაჲ O. წარსატყუენველად] წარსაწყმედელად + და O. იგი] — O. იხარებდით და] — O. რამეთუ ჰტრიობდით] აღსტრიობდით O. 12. თქუენსა] — O. დედაჲ თქუენი] თქუენი მშვდობით O. და (1,2)] — O. 13. უფლისა O. დაეშჱნოს O. ყოველი] + და ყოველი O. დაწუხნეს] წუხდეს + და იტყოდის O. წყლულებასა] + ზედა O. 14. ~ გარემოჲს ყოველნი მშჳლდ-გარდაცუმულნი O. მას] + და O. ისრითა თქუენითა O.

8. უცხო-იქმნენით] + შორის GW. ქალდეველთასა W. 9. აღმოვიყუანებ W. გულის ჴმიერისაჲ W. 10. ქალდეაჲ W. 11. სტრიობდით] სტირობდით W. მწუანებსა W. 12. დედა (1)] — G. დედაჲ (2)] — G. უკანასკნელი W. წარმართთა W. ოჴე (რ)] ოჴე GW. 13. რისხჳსაგან W. 14. ზედა თქუენსა] თქუენსა ზედა W.

J

რემოჲს ესროდეთ მას, ნუ სწყალობთ ისართა თქუნთა, რამეთუ უფალსა შეს-ცოდა.

15. და მძლე იქმნენით მის ზედა გარემოჲს. დაჰჴსნდეს ჴელნი მისნი, და დაემჴუნეს არდაბაგნი მისნი, [და] დაირღუა ზღუდე მისი, რამეთუ შურის-გებაჲ უფლისა მიერ არს; შური იძიეთ მისგან; ვითარცა ყო, უყავთ[O : 300v] მას.

16. აღჴოცეთ თესლი ბაბილოვნისაჲ, მპყრობელი მანგლისაჲ ჟამსა მკისასა, პირისაგან მახჳლისა წარმართთაჲსა; კაცად-კაცადი ერად თჳსა უკუნიქცეს, [და] კაცად-კაცადი ქუეყანასა თჳსსა მიილტოდის.

17. ცხოვარი ცთომილი არს [ფ. 77] ისრაჱლი, ლომთა განიკრთვეს იგი; პირველად შეჭამა იგი მეფემან ასურასტანისამან, და შემდგომად მეფემან ბაბილოვნისამან, ნაბუქოდონოსორ, ძუალნი მისნი შეჭამნა.

18. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: აჰა ესერა მე შური ვიძიო მეფესა ზედა ბაბილოვნისასა და ქუეყანასა ზედა მისსა, ვითარცა შური ვიძიე მეფესა ზედა ასურასტანისასა.

19. და კუალად-ვაგო ისრაჱლი საძოვარსა თჳსსა, და ძოვდეს იგი კარმელსა შინა და ბასანს და მთასა ეფრემისსა და ქუეყანასა გალაადისასა, და განძღენ სულნი მათნი.

20. მათ დღეთა შინა და მათ ჟამთა, თქუა უფალმან, ეძიებდენ უშჯულოე-

G

მშჳლდისათა მშჳლდვა-ყავთ მის ზედა, ნუ ჰრიდებთ მშჳლდვასა ზედა თქუენსა, რამეთუ უფალსა შესცოდა.

15. და დაიპყართ მის ზედა გარემოჲს. და იჴსნნეს ჴელნი მისნი, დაეცნეს და[რ]ეფანნი მისნი, დაირღუა ზღუდე მისი, რამეთუ შურის-გებაჲ ღმრთისა მიერ არს; შური იძიეთ მის ზედა, ვითარაც ყო, უყავთ მას.

16. მოსპეთ თესლი ბაბილონისაგან, მპყრობელი მანგლისაჲ ჟამსა მკისასა, პირისაგან მახჳლისა ელლინებრისა; კაცადი ერისა მიმართ თჳსისა მიიქცენ, და კაცადი ქუეყანად თჳსსა მიივლტოდინ.

17. ცხოვარი ცთომილი ისრაილი, ლომთა განაგარეეს იგი, პირველად შეჭამა იგი მეფემან ას̇ურისამან, და ესრეთ უკანაჲსკნელ მეფემან ბაბილონისამან, ნაბუხოდონოსორ, ძუალნი მისნი დაჭამნა.

18. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ: აჰა მე შურის-ძიებასა ვჰყოფ მეფისა ზედა ბაბილონისასა და ქუეყანასა ზედა მისსა, ვითარცა შური ვიძიე მეფისა ზედა ასურისსა.

19. და კუალად-ვაგო ისრაილი საძოვრისა მიმართ მისისა, და ძოვდეს შორის კარმილსა და შორის ბასანსა და შორის მთასა ეფრემისსა და შორის გალაადისა, და აღივსენ სულნი მათნი.

20. მათ დღეთა შინა და მას ჟამსა შინა, იტყჳს უფალი, ეძიებდენ უსამარ-

15. და (1, 2) — O. ექმნენით O- და (3)] — J. დაირღუეს ზღუდენი მისნი O. ყო] — O. 16. ბაბილონისაჲ. O. მპყრობელი] მიპყრობილი O. უკუნიქცენ O. და] — J. 17. განიკრთვნეს იგინი O. და] + მისა O. ბაბილონისამან, O. 18. ბაბილონისასა O. 19. საძუვარსა J, საძოვარსავე O. თჳსასა J. ბასაანს O. 20. ჟამთა] + შინა O.

15. გარემოჲს W. და ეფანნი დაირღვა GW. შურის გება W. ღ~ი GW. 16. თჳსსა] თვისსა W. მიილტოდინ G. 17. უკანასკნელ W. G-ში უქარაგმოდაა. ნაბუქოდონოსორ W. 18. ძალთა GW. ის~ლისა GW. „ძალთაჲ ღმერთი ისრაილისაჲ“ ჩამატებულია G-ში. შურის ძიება G, ვყოფ G. 19. ის~ლი G. კარმელსა W. 20. ცოდვასა G.

J

ბასა ისრაჱლისასა, და არა იყოს, და ცოდვათა იუდაჲსთა, და ვერ პოვნენ, რამეთუ მლხინებელ ვექმნე ნეშტთა მათ ქუეყანასა ზედა, თქუა უფალმან.

21. ქუეყანასა ზედა განმამწარებელთასა მიიწიე განმწარებულად და მკვდრთა ზედა მისთა შური იძიე, მახჳლო, და განრყუნენ, რამეთუ შემდგომად მათსა ძვრი, თქუა უფალმან, და იქმოდე ყოველსავე, რავდენი გამცნო შენ.

22. [O : 301 r] ჴმაჲ ბრძოლისაჲ და შემუსრვაჲ დიდი ქუეყანასა ქალდეველთასა.

23. ვითარ-იგი განტყდა და შეიმუსრა უროჲ ყოვლისა ქუეყანისაჲ! ვითარ იქმნა განსარყუნელ ბაბილონი შორის წარმართთა!

24. წინაწარმეტყუელებაჲ იერემიაჲსი, მე გბრძავ შენ. და გეწინენ შენ და შეგიპყრან, ბაბილონ, და ვერ სცნა· იპოვე და შეიპყარ, რამეთუ უფალსა უჴდებოდე.

25. განაღო უფალმან საფასჱ თჳსი და გამოიღო ჭურჭერი რისხვისა მისისაჲ, რამეთუ საქმეჲ არს უფლისა ღმრთისა ძალთაჲსაჲ ქუყანასა ქალდეველთასა,

26. რამეთუ მოწევნულ არიან ჟამნი მისნი· განახუენთ საუნჯენი მისნი, აღიხილეთ იგი, ვითარცა ქუაბი, აღჴოცეთ იგი, ნუ იყოფინ მისა ნეშტ.

27. აღაჴმეთ ყოველი ნაყოფი მისი, და შთავიდეედ კლვად· ვაჲ მათა, რამეთუ მოახს დღჱ მათი და ჟამი შურის-გებისა მათისაჲ.

G

თლოებასა ისრაილისასა, და არა იყოს, და ცოდვათა იუდაჲსთა, და არა იპოოს, რამეთუ [245 r] მლხინებელ ვეყო დაშთომილთა ქუეყანასა ზედა, იტყჳს უფალი.

21. ქუეყანასა ზედა განმამწარებელთასა მიიწიე მას ზედა მწარედ და დამკვდრებულთა მისთა ზედა შური იძიე, მახჳლო, და უჩინო· ყავ, იტყჳს უფალი, უკუანათგან მათსა ძვრნი, და ჰყოფდ ყოველთაებრ, რავდენთა გამცნებ შენ.

22. ჴმაჲ ბრძოლისაჲ და შემუსრვაჲ დიდი ქუეყანასა შინა ხალდეველთასა.

23. ვითარ შეიმუსრა და შეიფქვა უროჲ ყოვლისა ქუეყანისაჲ! ვითარ იქმნა განსარყუნელ ბაბილონი წარმართთა შორის!

24. წინა-განგეწყვე შენ და ზედა-დაგესხნენ შენ, და წარჰჴდე, ბაბილონ, და ვერ სცნა· იპოვე და შეპყრობილ იქმენ, რამეთუ უფალსა უჴდებოდე.

25. განაღო უფალმან საფასე თჳსი და გამოიხუნა ჭურნი რისხვისა მისისანი, რამეთუ საქმე არს უფლისა ღმრთისა ძალთაჲსა შორის ქუეყანისა ხალდეველთაჲსა.

26. რამეთუ მოიწინეს ჟამნი მისნი. განახუენით დასაკრებელნი მისნი, გამოიკულიეთ იგი, ვითარცა ქუაბი, და მოასრულეთ იგი, ნუ იყოფინ მისსა დანეშტებული·

27. აღაჴმენით ყოველნი ნაყოფნი მისნი, და შთავიდოდედ კლვად. ვაჲ მათდა, რამეთუ მოიწია დღე მათი და ჟამი შურისგებისა მათისაჲ·

---

21. მიიწიე] + მას ზედა O. განრყუენ O. რამეთუ] — O. ძვრი] — O. რავდენი რაოდენი O. 22. და შემუსრვაჲ] — O. 24. წინაწარმეტყუელებაჲ იერემიაჲსი] — O. გბრძავ] გებრძოდე O. იპოვე და შეიპყარ] გპოვონ და შეგიპყრან O. 25. უფალმან] ღმერთმან O. საქმჱ O ღმრთისა] — O. ქუეყანაO 26. განახუენით O. აღმოიხილეთ O. აღჴოცეთ იგი] — O. მისა ნეშტ] მისაა O. 27. აღჴადეთ J, აღაჴმჱთ O შთავდეთ O. მათა] მათ O. მათისაჲ] მისისაჲ O.

21. უკანათაგან W. 22. ქალდეველთასა: W. 23. შეიფქუა W. ოროჲ GW 24. წინა-განგეწყვეა GW. და (4)] — W 25. ო~ა W. ღ~ი W. ქალდეველთასა W. 26. განახუენით] + და GW. 27. შთამოვიდოდედ W. „მო“ ასოები G-ში თვითონ გადამწერს გადაუშლია.

J

28. ჴმაჲ მეოტთაჲ და განრინებულთაჲ ქუეყანისაგან ბაბილოვნელთაჲსა მითხრობად სიონს შურის-ძიებაჲ უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ, შურის-ძიებაჲ ტაძრისა მისისაჲ.

29. ამცენით ბაბილონსა ზედა მრავალთა, ყოველსა გარდამცუმელსა მშჳლდისასა, მოადეგით მას გარემოჲს; ნუ იყოფინ მისი განრინებული [ც 78], მიაგეთ მას საქმეთა მისთაებრ: ყოველი, რაოდენი გიყო, თქუენ[ცა] უყავთ მას, რამეთუ უფალსა უჴდებოდა ღმერთსა წმიდასა ისრაჱლისასა.

30. ამისთჳს დაეცნენ ჭაბუკნი მისნი უბანთა შორის მისთა, და ყოველნი მამანი მისნი მბრძოლნი დაცჳვენ მას დღესა შინა, თქუა უფალმან.

31. აჰა ესერა მე შენ ზედა, იტყჳს უფალი ძალთაჲ, მაგინე[O : 301v]ბელო, რამეთუ მოვალს დღჱ დაცემისა შენისაჲ და ჟამი შურის-გებისა შენისაჲ.

32. და მოუძლურდეს გინებაჲ იგი შენი და დაეცეს, და არავინ იყოს აღმმართებელ მისა; და აღვაგზნე ცეცხლი მაღნართა მისთა, და შეჭამოს ყოველი გარემოჲს მისსა.

33. ასრე იტყჳს უფალი ძალთაჲ: ჰმძლავრობენ ძეთა ისრაჱლისათა და ძეთა იუდაჲსთა, ერთბამად ყოველნი წარმტყუენველნი მათნი ჰმძლ[ავ]რობენ მათ, რომელთა-იგი არა ინებეს განტევებაჲ მათი.

34. და მჴსნელი მათი ძლიერი, უფალ მერთისა-მპყრობელ არს სახელი მისი. საშჯელი საჯოს მტერთა მისთა მიმართ,

G

28. ჴმაჲ მეოტთაჲ და განრინებულთაჲ ქუეყანისაგან ბაბილონისა მითხრობად შორის სიონსა შურის-ძიებაჲ უფლისა მიერ ღმრთისა ჩუენისაჲ, შურის-ძიებაჲ ტაძრისა მისისაჲ.

29. დამოწმება-ყავთ ბაბილონსა ზედა მრავალთა, ყოვლით კერძო გარდამცუმელთა მშჳლდისათა მოადეგით მას ზედა გარემოჲს, ნუ იყოფინ, მისსა განრინებული, მიაგეთ მას საქმეთაებრ მისთა; ყოველთაებრ, რავდენნი ყვნა, უყავთ მას, რამეთუ უფლისა მიმართ წინა-განეწყო წმიდისა ისრაილისა.

30. ამისთჳს დაეცნენ ჭაბუკნი მისნი უბანთა მისთა ზედა, და ყოველნი მამაკაცნი მბრძოლნი მისნი განერნენ, თქუა უფალმან.

31. აჰა მე შენ ზედა, იტყჳს უფალი ძალთაჲ, მაგინებელო, რამეთუ მოიწია დღე დაცემისა შენისაჲ და ჟამი შურის-გებისა შენისაჲ.

32. და მოუძლურდეს გინებაჲ შენი და დაეცეს, და არა იყოს აღმმართებელი მისი; და აღვაგზნა ცეცხლი მაღნარსა მისსა შორის და შეჭამნეს ყოველნი გარემოჲსნი მისნი.

33. ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ: მიმძლავრებულ არ[245 v]იან, ძენი ისრაილისანი და ძენი იუდაჲსნი, ერთბამად ყოველნი წარმტყუენველნი მათნი ემძლავრნეს მათ, რომელთა არა ინებეს გამოვლინებაჲ მათი.

34. და მჴსნელი მათი ძლიერ, უფალი ძალთაჲ, ყოვლისა-მპყრობელ სახელი მისი. საშჯელი საჯოს წინამოსაჯუ-

---

28. და] — O. ბაბილონელთაჲ ჱ შურის-გებაჲ O. ჩუენისაჲ] + და O. 29. მრავალთა] მთავართა O (მცდ.) ყოველსა გარდამცუმელსა] ყოველთა და გარდამცუმელთა O. მშჳდისათა J. მას (1)] მოადეგით O. მისი განრინებული] განრინებაჲ მისი O. რაოდენი გიყო] რავდენი-იგი ყო O. თქუენ J. 30. დაცჳვენ] დავაოდენ O. დღჱსა O. 31. და ჟამი შურის-გებისა შენისაჲ] — O. 32. გარემოჲს მისსა] გარემო O. 33. ჰმძლრობენ J. 34. მერთისა-მპყრობელ] და ყოვლისა მპყრობელ O. არს] — O. მისთა] — O. მოსპოს O. განურისხოს J.

28. ო̃ჲ W. ღ̃ი W. ჩუენისა GW. მისისა W. 29. დამოწმებაჲ ყავთ W. გარდამცემელთა W. გარემოს W. ყუნა W ო̃ჲ W. 31. მაგინებელთა G, მაგინებელთაჲ W. შენისაჲ (2)] შენისა W. 32. გარემოსნი GW. 33. ძალთა W. ისლ̃ნი W.

J

რაჲთა მოისპოს ქუეყანაჲ იგი და განუ-
რისხნეს მკჳდრთა ბაბილონისთა.

35. მახჳლი ქალდეველთა ზედა, თქუა
უფალმან, და მკჳდრთა ზედა [ბა]ბი-
ლოვნისათა და მდიდართა მისთა.

36. მახჳლი მკჳდრთა ზედა მისთა,
მახჳლი გრძნებათა ზედა მისთა, და მო-
ისპნენ, მახჳლი მბრძოლთა ზედა მის-
თა, და მოუძლურდენ;

37. მახჳლი ჰუნეთა ზედა მისთა და
ეტლთა ზედა მისთა, მახჳლი მბრძოლთა
ზედა მისთა და შერთულსა შორის მის-
სა, და იყვნენ იგინი ვითარცა დედანი;
მახჳლი საფასეთა ზედა მისთა, და
აღსაჭრელ იქმნნენ;

38. მახჳლი წყალსა ზედა მისსა, რო-
მელსა ესვიდა, და განჴმეს, და სირცხჳ-
ლეულ იქმნეს გამოქანდაკებულთაგან და
ჭალაკთა მათგან, რომელთაგან იქადოდა.

39. ამისთჳს დაეშენნენ ურჩხულნი
ჭალაკთა, და დაემკჳდრნენ მუნ ასულნი
დედაჭუავთანი; და არღარა აღეშენოს
უკუნისამდე და არა დაიმკჳდროს იგი
[O : 302 r] თესლითი თესლამდე.

40. ვითარცა დააქცია ღმერთმან
სოდომაჲ და გომორაჲ და საზ[ღ]ვარნი
მისნი, თქუა უფალმან, არა დაეშენოს
მუნ კაცი, არცა დაადგრეს მუნ ძჱ კა-
ცისაჲ.

G

ლეთა მისთა მიმართ, რაჲთა მოისპოს
ქუეყანაჲ იგი და განურისხნეს მკჳდრთა
ბაბილონისათა.

35. მახჳლი ხალდეველთა ზედა,
თქუა უფალმან, და დამკჳდრებულთა
ზედა ბაბილონისათა და დიდებულთა
ზედა მისთა და გულის-ხუმის-მყოფელ-
თა-ზედა მისთა, და მოისპნენ.

36. მახჳლი მისანთა ზედა მისთა, და
დაშურენ, მახჳლი მბრძოლთა ზედა
მისთა, და დაიჴსნნენ;

37. მახჳლი ცხენებსა ზედა მისსა და
ეტლებსა ზედა მისსა, მახჳლი მჴედარ-
თა ზედა მისთა და შერთულთა ზედა
შორის მისსა, და იყვნენ ვითარცა დე-
დანი; მახჳლი საუნჯეთა ზედა მისთა, და
დაიტაცნენ;

38. მახჳლი წყალსა ზედა მისსა,
რომლისამი ესვიდა, და განჴმეს და სირ-
ცხჳლეულ იქმნეს, რამეთუ ქუეყანაჲ
ქანდაკებულთაჲ არს ჭალაკთა შენთა
შორის, და ექადოდინ.

39. ამისთჳს დაემკჳდრნენ ურჩხულ-
ნი ჭალაკთა შინა, და დაემკჳდრნენ მას
შინა ასულნი სირინოსთანი, და არა
აღეშენოს მერმე უკუნისამდე და არა
დამკჳდრებულ იქმნეს მერმე ნათესავი-
თი ნათესავად.

40. ვითარცა დააქცინა უფალმან სო-
დომაჲ და ღომორრაჲ და მოზღვრენი
მათნი, თქუა უფალმან, არა დაეშენოს
მუნ კაცი და არა იმსხემოს ძემან კაცი-
სამან.

---

35. და] — O. ბილოვნისათა J, ბაბილონისათა O. 36. მახჳლი გრძნებათა ზედა მისთა] — O. ბრძოლათა JO 37. ზედა (2)] — O. ~ მისთა ზედა O. შერთულთა მისსა] მისთა O. იქმნეს იქმნენ JO. 38. წყალთა O. ჲისთა O. რომელთაO. განჴმჱნ O. იქმნნენ O. გამოქანდაკებულთაგან] რამეთუ გამოქანდაკებულთაჲ არს O. მათგან რომელთაგან იქადოდა] მათ რომელთა ექადოდეს O. 39. დაეშჱნნენ O. აღეშენოს] ეშინოდის O. დაიმკჳდრონ J, დაემკჳდროს O. თესლადმდე O. 40. გომოროჲ O. საზვარნი J. არაჲ J. დაეშჱნოს O.

35. ქალდეველთა W. ბაბილოვნისათა W. გულისჴმის მყოფელთა W. 36. [„მისანთა" დამ-მუხლველს დაუწერია, ხოლო მის ქვეშ თავდაპირველად რა სიტყვა ეწერა ხელნაწერში, ნათელი არაა: „თავთა თუ წელთა" ?]. 37. მისთა (1)] მისსა GW („მახჳლი ზედა მისსა" ჩამატებულია G-ში). დედაჲნი W. 39. ჭალიკთა W. 40. გომორრაჲ W. მოზღურენი W.

J

41. აჰა ესერა ერი მოვალს ჩრდილოჲთ, და ნათესავი დიდი და მეფენი მრავალნი აღდგენ დასასრულით [ფ. 79] ქუეყანისაჲთ;

42. მშჳლდოსანნი და ლახუროსანნი ურიდ არიან და არა შეიწყალნენ იგინი. ჴმაჲ მათი, ვითარცა ზღუაჲ, ოხრიდეს; ჰუნეთა ზედა აღმჴედრნენ, განმზადებულნი ვითარცა ცეცხლი ბრძოლად შენ ზედა, ასულო ბაბილონისო.

43. ესმა მეფესა ბაბილოვნისასა სმენაჲ მათი, დასცჳვეს ჴელნი მისნი, ჭირმან შეიპყრა იგი სალმობათა, ვითარცა შობადისათა.

44. აჰა ესერა ვითარცა ლომი აღმოჴდეს მაღნართაგან იორდანისათა ადგილსა მას ეთამისასა, სამკჳდრებელსა მას ზედა პირველსა, რამეთუ მსთუად განვდევნენ იგინი მისგან და ყოველნი ჭაპუკნი დავადგინნე მას ზედა; რამეთუ ვინ არს, ვითარ მე? და ვინ წინა-დამიდგეს მე? და ვინ არს ესე მწყემსი, რომელი დადგეს წინაშე პირსა ჩემსა?

45. ამისთჳს ისმინეთ ზრახვაჲ უფლისაჲ, რომელ უზრახავს ბაბილონსა ზედა, და გულისხმაჲ, რომელ გულისხმაუყოფიეს მკჳდრთა ზედა ქალდეაჲსათა, ვიდრემდის არა მოისრნენ კრავნი ცხოართა მათთანი, ვიდრემდის არა განირყუნეს მათგან საძოვარი.

46. რამეთუ ჴმითა მოს[O : 302v]რვისა ბაბილოვნისაჲთა შეიძრას ქუეყანაჲ, და ღაღადებაჲ მისი შორის ნათესავთა ესმეს.

G

41. აჰა ერი მოვალს ჩრდილოჲთ, და ნათესავი დიდი და მეფენი მრავალნი აღდგენ დასასრულით ქუეყანისაჲთ;

42. მშჳლდი და მაზრაკი აქუნდესყე, უგბილ არიან და არა შეიწყალებენ. ჴმაჲ მათი, ვითარცა ზღუაჲ. მღელვარე; ცხენთა ზედა ცხენოსნობდენ, განმზადებულნი ვითარცა ცეცხლი მბრძოლობად შენ ზედა, ასულო ბაბილონისაო

43. ესმა მეფესა ბაბილონისასა სასმენელი მათი, დაიჴსნნეს ჴელნი მისნი, ჭირმან შეიპყრა იგი სალმობათა, ვითარცა მშობისათა.

44. აჰა ვითარცა ლომი გამოვიდეს მაღნართაგან იორდანისათა ადგილსა ეთამისთა [244 r], სამკჳდრებელსა შორის დასაბამისასა, რამეთუ მალიად განვდევნნე იგინი მისგან და ყოველი ჭაბუკი მას ზედა დავადგინო; რამეთუ ვინ, ვითარ მე? და ვინ წინა-აღმიდგეს მე? და ვინ ესრეთ მწყემსი, რომელ დადგეს წინაშე პირსა ჩემსა?

45. ამისთჳს ისმინეთ განზრახვაჲ უფლისაჲ, რომელსა განიზრახავს ბაბილონსა ზედა, და გულის-სიტყუანი მისნი, რომელნი სიტყუნა ყოველთა ზედა დამკჳდრებულთა ხალდეაჲსათა, არა თუ განხრწნეთ კრავნი ცხოვართა მისთანი, არა თუ განქარდეს მათგან საძოარი.

46. მით რამეთუ ჴმისაგან მოსრვისა ბაბილონისა შეიძრას ქუეყანაჲ, და ღაღადებაჲ მისი ისმეს ნათესავთა შორის.

---

41. ერი] — O. და (1)] — O. აღდგენ] + და J. 42. შეიწყალებენ O. შენ ზედა] შენდა O. „ასულო"-ს „ლ" ჩამატებულია J-ში. ბაბილონისაო O. 43. მეფÙსა ბაბილონისასა O. დასცჳვეს] და დაჰჴსნდეს O. მისნი] + და O შეიპყრა იგი] შეიპყრნა იგინი + და O. შობადისათა] + გ῀ნცდებსა (?) O. 44. მაღნართაგან] მაქანართაგან J. ადგილსა მას ეთამისასა] ადგილთა მათ ჰეთამისათა O. მას (2)] — O. განვდევნნე O. ჭაბუკნი O. მას (3)] მის O. „მას"-ის ანი ჩამატებულია, და (2)] ანუ O. წინააღმიდგეს O. დგას O. 45. რომელი (1) O. გულისხმაჲ] + მისი O. მკჳდრთა ზედა] ყოველთა ზედა მკჳდრთა O. ქალდეველთა O. კრავნი ცხოართა მათთანი] ცხოვართა კრავთა თანა O. 46. ბაბილონისაჲთა O. ესმÙს O.

43. და იჴსნნეს W. 44. მაღნართაგან] მაქანართაგან GW. ვითარ მე] უ῀რმე W. 45. განზრახვა W გ῀ლის სიტ῀ყინი W. ქალდეაჲსათა W. საძოვარი W. 46. ქ῀ყნა W.

J

G

51

1. ესრ იტყჳს უფალი: აჰა ესერა მე განვალჳძო ბაბილონსა ზედა და მკჳდრთა ზედა ქალდეაჲსთა გული ალმ[მ]სთობელთაჲ, ნიავ-ქარი შემწუველი და განმჴრწნელი.

2. და მოუვლინნე ბაბილონსა მეკიცხეველნი, და ეკიცხევდენ მას და მოსრან ქუეყანაჲ მისი, რამეთუ ვაჲ იყოს ბაბილონსა გარემოჲს დღესა ურვისა მისისასა.

3. მის ზედა გარდაიცჳნ გარდამცუმელმან მშჳლდი თჳსი, და მის ზედა შეისხნ, რომლისა თანა იყოს საჭურველი, ნუ სწყალობთ ჭაბუკთა მისთა, განრყუენით ყოველი ძალი მისი.

4. და დაეცნენ წყლულნი ქუეყანასა ქალდეველთასა, და გუმერილნი — გარეშე [მათსა].

5. რამეთუ არა დაქურივდა ისრაჱლი და იუდაჲ ღმრთისა მათისაგან უფლისა მერთისა-მპყრობელისა, რამეთუ ქუეყანაჲ მათი ალივსო უშჯულოებითა წმიდათაგან ისრაჱლისათა.

6. ივლტოდეთ ბაბილონისაგან და განირინეთ კაცად-კაცადმან თავი თჳსი და ნუ შეჰვარდებით უშჯულოებათა მათთა, რამეთუ ჟამი შურის-გებისა მისისაჲ არს უფლისა მიერ; მისაგებელსა იგი მიაგებს მას.

7. [ფ. 80] სასუმელი ოქროჲსაჲ არს ბაბილონი ჴელთა შინა უფლისათა, მათრობელი ყოვლისა ქუეყანისაჲ; ღჳნისაგან მისისა სუეს წარმართთა და მისთჳს ალიძრნეს [O:303r] წარმართნი.

1. ესრეთ იტყჳს უფალი: აჰა მე ალვადგინო ბაბილონსა ზედა და დამკჳდრებულთა ზედა ხალდეაჲსათა გული ალმადგინებელთაჲ, ქარი შემწუველი, განმხრწნელი.

2. და გამოვავლინნე ბაბილონისათჳს მაგინებელნი და გინებულ-ყონ იგი და განრყუნან ქუეყანაჲ მისი, რამეთუ ვაჲ ბაბილონსა ზედა გარემოჲს დღესა შინა განბოროტებისა მისისასა.

3. მის ზედა მოირთხინ (!) მომრთხმელმან მშჳლდისა თჳსისამან, და მის ზედა გარე მოირტყინ (!), რომლისა არნ საჭურველი თჳსი; და ნუ ჰრიდებთ ჭაბუკთა მისთა ზედა და განაქარვეთ ყოველი ძალი მისი.

4. და დაეცნენ წყლულნი ქუეყანასა შინა ხალდეველთასა, და დაგუმერილნი — გარეთ მისსა.

5. მით რამეთუ არა დაქურივდა ისრაილი და იუდაჲ ღმრთისა მათისაგან, უფლისაგან ყოვლისა-მპყრობელისა, რამეთუ ქუეყანაჲ მათი ალივსო უშჯულოებითა ისრაელისათა.

6. ივლტოდეთ ბაბილონის შორისისაგან და განირინეთ კაცადმან სული თჳსი და ნუ განჰვარდებით უსამართლოებისა მისისა მიერ, რამეთუ ჟამი შურის-ძიებისა მისისაჲ არს უფლისა მიერ; მისაგებელი მისი მიაგოს მან.

7. სასუმელი ოქროჲსაჲ ბაბილონი ჴელსა შინა უფლისასა და მათრობელი ყოვლისა ქუეყანისაჲ; ღჳნისაგან მისისა სუმიდეს წარმართნი, ამისთჳს ალიძრნეს წარმართნი.

51.1. განვალჳძო] ვალჳძო O. ქალდეველთასა O. ალმსთობელთაჲ J. 2. ეკიცხედვენ J. ბაბილონსა] + ზედა O. 3. გარდაიცუას O. შეისხეს O. რ~ლსა O. ჭაბუკთა O. მისი] მათი O. 4. და (1)] — O. გუმერილნი]გომორელნი O (მცდ.) გარეშჱ O. მათსა] — J. 5. უფლისაგან J. მერთისა-მპყრობელისა] ყოვლისა-მპყრობელისა O. 7. სუეს] + ყოველთა O. ალიძრნეს] + ყოველნი O.

51.1. ხალდეაჲსათა G [მაგრამ დამმუხლველს ხანი ქანად გადაუსწორებია, ამიტომაა W-ში „ქალდეაჲსათა"]. გულნი ალმადგინებელთანი GW (ეს სიტყვები ჩამატებულია G-ში) შემწუჱლი W. 2. ბაბილონისათჳს მაგინებელნი] ბაბილონისა თჳსმაგინებელნი W. ქ~ყნა W. გარემოს W. 4. ქალდეველთასა W. 7. ოქროსა W.

J

8. და მეყსეულად დაეცა ბაბილონი და შეიმუსრა. ჰგოდებდით მას, დასდევით მკურის-კევი წყლულებასა მას მისსა, გან-ხოლო თუ ვითარ-იკურნოს.

9. ვჰკურნებდით ბაბილონსა, და არა განიკურნა; დაუტევეთ იგი და წარვედით კაცად-კაცადი ქუეყანად თვსა, რამეთუ მიიწია ცად საშჯელი მისი და აღმაღლდა ცათამდე განკითხვაჲ მისი და მივარსკულავთამდე აღიწია.

10. და გამოიღო უფალმან საშჯელი თვსი. მოვედით და მიუთხრნეთ საქმენი უფლისა ღმრთისა ჩუენისანი სიონს.

11. და განიმზადენთ ისარნი, აღავსენით კაპარჭნი თქუენნი. განაღვძა უფალმან სული მეფისა მის მართაჲსაჲ, რამეთუ ბაბილონსა ზედა რისხვაჲ მისი მოსპოლვად მისა, შურის-ძიებაჲ უფლისაჲ არს შურისძიებაჲ ტაძრისა ჳისისაჲ.

12. ბაბილონსა ზედა აღიღეთ ნიში, და[ა]დგინენთ მცველნი, აღადგინენთ მჴუმილნი, განიმზადეთ საჭურველი, რამეთუ იწყოს და ყოს უფალმან, რაოდენი თქუა მკჳდრთა ზედა ბაბილოვნისათა.

13. დამკჳდრებულთა წყალთა ზედა მრავალთა და მრავალთა ზედა საფასეთა მისთა მოახს აღსასრული შენი ჭეშმარიტად ეზოთა გულისა შენისათა.

14. რამეთუ ფუცა უფალმან მკლავსა თვსსა, რამეთუ აღგავსო შენ გუნდითა, ვითარცა მკალითა, და იტყოდიან შენ ზედა შესხმით, ვითარცა მწნეხარნი საწნეხლისანი.

G

8. და მეყსეულდ დაეცა ბაბილონი და შეიმუსრა. ჰგოდებდით მას, დაადევით რიტინე განხრწნილებასა მისსა, გან-ხოლო-იკურნოს.

9. ვჰკ[244 v]ურნებდით ბაბილონსა, და არა განიკურნა; დაუტევეთ იგი და წარვედით კაცადი ქუეყანად თვსსა, რამეთუ მიეახლა ცად მიმართ საშჯელი მისი და აღიწია მივარსკულავთამდე.

10. გამოიღო უფალმან მშჯავრი თვსი. მოვედით, მიუთხრნეთ სიონსა საქმენი უფლისა ღმრთისა ჩუენისანი.

11. განიმზადენით სამშჳლდველნი, აღავსენით კაპარჭნი. განაღვძა უფალმან სული მეფისა მიდთაჲსაჲ, რამეთუ ბაბილონსა ზედა არს რისხვაჲ მისი მოსპობად მისსა, რამეთუ შურის-გებაჲ უფლისაჲ არს შურის-გებაჲ ტაძრისა მისისაჲ.

12. ზღუდეთა ზედა ბაბილონისათა აღიღეთ სასწაული, დაადგინენით მცველნი, აღადგინენით მჴუმელნი, განმზადენით საჭურველნი, რამეთუ ჴელ-ყო და ყოს უფალმან, რაოდენნი თქუნა მკჳდრთა ზედა ბაბილონისათა.

13. დამკჳდრებულთა წყალთა ზედა მრავალთა და სიმრავლესა ზედა საუნჯესა მისთასა. ახს აღსასრული შენი ჭეშმარიტად ნაწლევთა შენთა.

14. რამეთუ ფუცა უფალმან ძალთამან მკლავისა მიმართ თვსისა, ვითარმედ აღგავსო შენ კაცებითა, ვითარცა მკლებითა, და ჴმობდენ შენ ზედა აღმავალნი, ვითარცა მთრგუნავნი საწნეხლისანი.

---

8. ჰგალოდებდით] იბუდებდით O (მცდ.) მას (1)] + ზედა O. დასდევით] — O. 9. ვჰკურნებდი O. მიმასკულავადმდე O. აღიწია] — O. 10. ~ სიონსა საქმენი ღმრთისა ჩუენისანი O. 11. და] — O. განიმზადენით O. მართაჲსაჲ] მართლისაჲ JO. მისა] და O. შურის-ძიებაჲ უფლისაჲ არს] — O. შურის-ძიებად O. მისისა O. 12. დადგინენთ J, და აღადგინენით O. აღადგინენთ მჴუმილნი] — O. საჭურველი] + კეთილი O. იწყო J. და იყოს] — O. რავდენი O. ბაბილონისათა O. 13. ზედა (2)] — O. მისთა] — O. 14. გუნდითა, ვითარცა მკალითა] საცხებლითა O.

8. „ჰგოდებდით" გაცხოველებულია G-ში. ჰგონებდით მისსაგან-ხოლო-იკურნოს] მისსაგან ხ~იკურნოს W. 9. სასჯელი W. 10. მსჯავრი W. 13. საუნჯეთა GW. 14. ჴმობენ W.

J

15. რომელმან შექმნა ქუეყანაჲ ძალითა თჳსითა, განჰმზადა სოფელი სიბრძნითა თჳსითა და გულისხმითა თჳსითა გარდაართხა ცაჲ.

16. ჴმად ქუხილისად [O : 303 v] დადვა სიმოავლე წყალთაჲ, ცასა შინა და აღმოიყ[ვ]ანნა ღრუბელნი კიდით ქუეყანისაჲთ და ელვანი წუმად შექმნნა [და] გამოიყვანა ნათელი საუნჯეთაგან თჳსთა.

17. განცოფნა ყოველი კაცი მეცნიერებისაგან თჳსისა, ჰრცხუენა ყოველსა ოქროჲს-მჭედელსა ქანდაკებულთაგან თჳსთა, რამეთუ ნაცილად შებერა; არა არს სულ მათ თანა.

18. ცუდ არიან [ქმნულნი] ბაგის-საყოფელნი, ჟამსა აღხილვისა მათისასა წარწყმდენ.

19. [ფ. 81] არა არს ესემლევანი ნაწილი იაკობისი, რამეთუ რომელმან დაჰბადა ყოველი, იგი თავადი ნაწილ მისა არს, და ისრაჱლი—კუერთხ მკჳდრობისა მისისა, უფალ ძალთა არს სახელი მისი.

20. შენ განმიბნევ მე ჭურჭერსა ბრძოლისასა, და მე განვაბნინე შენგან ნათესავნი და მოვსპნე შენგან მეფენი.

21. და განვაბნინე შენგან ჰუნენი და ზედამსხდომელნი მათნი, და განვაბნიო შენგან ეტლები და მჯ[დ]ომელები მათ ზედა.

22. და განვაბნიო შენგან მამაკაცი და დედაკაცი, და განვაბნიო შენგან მოხუცებული და ჭაბუკი, და განვაბნიო შენგან წული და ქალი.

G

15. შემქმნელმან ქუეყანისამან ძალითა თჳსითა, გამმ[მ]ზადებელმან მკჳდროვნისამან სიბრძნითა თჳსითა და გულისხუმის-ყოფისა მიერ თჳსისა გარდაართხა ცაჲ.

16. ჴმად ქუხილისა დადვა სიმრავლე წყლითაჲ ცისა შორის და აღმოიყვახნა ღრუბელნი დასასრულისაგან ქუეყანისა, ელვანი წჳმად შექმნნა და გამოიყვანა ნათელი საუნჯეთაგან მისთა.

17. განსულელნა ყოველი კაცი მეცნიერებისაგან, სირცხჳლეულ იქმნა ყოველი ოქროჲს-მჭედელი ქანდაკებულთა მისთაგან, რამეთუ ნაცილად გამოადნვეს, არა არს სული მათ შორის.

18. ამაოებ არიან საქმენი საკიცხელნი, სადუმარნი, ჟამსა შინა ზედმოხილვისა მათისასა წარწყმდენ ესენი.

19. არა არს ესემლევანი ნაწილი იაკობისი, რამეთუ რომელმან დაჰბადნა ყოველნი, იგი არს ნაწილ მისსა და ისრაილი — კუერთხ მკჳდრობისა მისისა, უფალი ძალთაჲ სახელი მისი.

20. შენ განმიბნევ მე ჭურჭელთა ბრძოლისათა, და განვაბნივნე მე შენ შორის ნათესავნი და აღვიხუნე შენ შორის მეფენი.

21. და განვაბნინე შენ შორის ცხენი და მჴედარი მისი, და განვაბნინე შენ შორის ეტლები და აღმავალნი მათნი.

22. და განვაბნინე შენ შორის მამაცი და ცოლი მისი; და განვაბნიო შენ შორის მოხუცებული და ჭაბუკი და მოყმე და ქალწული მისი.

---

15. თჳსითა (1)] + და O. გარდაართხთა J. 16. ჴმად ქუხილისად] ჴმაჲ ქუხილად და O. სიმრავლჱ O. ცათა O. აღმოიყანნა J და (3)] — J. 17. არა] და არა O. 18. ცუდ] და ნაცილ O. ქმნულნი] — J. 19. არა] და არა O. მისა არს] არს მისი O. მისისაჲ J. ძალთაჲ O. 20. ~ ნათესავნი შენგან O. 21. მჯომელები J.

15. განმზადებელმან GW გულის ხმის W. 16. შექმნა W. გამოიყუანა W. 17. ყოველი კაცი] ყოველნი კაცნი W. ოქროს მჭედელი W. ნაცილად] ნაწილად W. 19. რომელნი [რნი] W. კუერთხ] საკუჱრთხ W. ძალთა GW. 20. ნათესავნი G [გაცხოველებულია დამმუხლველის მიერ].

J

23. და განვაბნიო შენგაჲ მწყემსი და
სამწყსოჲ მაჲსი, და განვაბნიო შენგან
ქუეყანის-[მოქმედი] და ნაყოფი მისი:
და განვაბნინე შენგან მთავარნი და წი-
ნამძღუარნი შენნი.

24. და მივაგო ბაბილონსა და მკვდ-
რთა ქალდეაჲსათა ყოველნი უკეთურე-
ბანი მათნი, რომელ ყვნეს სიონს შინა
წინაშე თუალთა თქუენთა, იტყჳს უფა-
ლი.

25. [O : 304 r] აჰა ესერა მე შენ ზე-
და, მთაო განრყუნილო, იტყჳს უფალი,
განმრყუნელო ყოვლისა ქუეყანისაო,
მივყო ჴელი ჩემი შენ ზედა და გარდა-
მოგაგდო შენ კლდეთაგან და გყო შენ,
ვითარცა მთაჲ მომწუარი,

26. და არა მოიღონ შენგან ქვაჲ სა-
კიდური და ქვაჲ საძირკუველად, რამე-
თუ განსარყუნელად იყოს უკუნისამდე,
თქუა უფალმან.

27. აღიღეთ ნიში ქუეყანასა ზედა,
დაჰბერეთ ნესტუსა წარმართთა შორის,
წმიდა-ყავთ მის ზედა თესლები, ამცე-
ნით მისთჳს მეფეთა არარატისათა ჩემ
მიერ და აზქანაზელთა, მოადგთ მას ზე-
და არდაბაგები, აღივლინენთ მის ზედა
ჰუნენი, ვითარცა სიმრავლე მკლისაჲ.

28. წმიდა-ყვენთ მის ზედა ნათესავნი,
მეფეჲ მართაჲ და მთავარნი მისნი და
ყოველნი წინამძღუარნი მისნი ყოვლი-
სა ქუეყანისა ჴელმწიფებისა მისისანი.

G

23. და განვაბნიო შენ შორის მწყემ-
სი და სამწყსოჲ მისი, და განვაბნიო შენ
შორის მუშაკი და სამუშაკოჲ მისი, და
განვაბნინე შენ შორის მთავარნი და
სპაპეტნი.

24. და მივაგო ბაბილონსა და მკვდ-
რთა ხალდეაჲსათა ყოველნი უკეთურე-
ბანი მათნი, რომელნი ქმნნეს სიონს ში-
ნა წინაშე თუალთა თქუენთა, იტყჳს
უფალი.

25. აჰა მე შენდა მიმართ, მთაო
განხრწნილო, იტყჳს უფალი, განმხრწ-
ნელო ყოვლისა ქუეყანისაო, და მივყო
ჴელი ჩემი შენ ზედა და შთამოგაგორ-
ვო შენ კლდეთაგან და გყო შენ, ვითარ-
ცა მთაჲ მოცეცხლული.

26. და არა მოიღონ შენგან ქვაჲ
საკუთხედ და ქვაჲ საფუძველად, რამე-
თუ განსარყუნელად იყო საუკუნოდ,
იტყჳს უფალი.

27. აღიღეთ სასწაული ქუეყანასა
ზედა და ჰნესტუეთ ნესტუსა წარმარ-
თთა შორის, წმიდა-ყავთ მის ზედა ნა-
თესავები, დაჰმოწმეთ მის ზედა მეფე-
თა არარატისათა ჩემ მიერ და ასხანა-
ზელთა, დაადგინენით მის ზედა წყლუ-
ლების მდგომნი, აღიყვანეთ მის ზედა
ცხენი, ვითარცა სიმრავლე მკალთაჲ.

28. წმიდა-ყავთ მის ზედა ნათესავი,
მეფე მიდთაჲ და წინამძღუარნი მისნი
და ყოველნი სპაჲპეტნი მისნი და ყოვ-
ლისა ქუეყანისა ჴელმწიფებისა მისისა-
ნი.

---

23. ქუეყანის-მოქმედი] ქუეყანაჲ J. განვაბნიო O. მთავარი O. წინამძღუარი O. შენი O.
24. ქალდეაჲსათა] ქალაქისათა O (მცდ.). 25. „განრყუნილო"-ს „რ" ჩამატებულია J-ში. მივყავ
O. 26. იყო J. 27. ამცენ O. „არარატისათა"-ს განსამარტავად კიდეზე სხვა ხელით მინაწერია:
„სომეხთაჲ" J-ში. აზქანელთა J, ასქანაზელთა O. მას] მათ O. არდაბაგი O. ამ სიტყვის „ბა" ასო-
ები ჩამატებულია J-ში. აღივლენთ და აღავლინენით O. (მცდ.). მის (2)] მას O. სიმრავლჱ O.
28. წმიდა-ყვენით O. მეფჱ O. მართაჲ] მართალი O. (მცდ.).

23. განვაბნიო შენ შორის მწყემსი და სამწყსოჲ მისი] — W. სპასპეტნი W. 24. ქალდე-
ველთასა W. 25. „იტყჳს უფალი" ჩამატებულია G-ში. 26. ქვაჲ საკუთხედ და] — W.
27. ქყ̃ნასა W, წ̃ი ყავთ W. ჩემმიერ] შენი W. „ჩემ" გადაფხეკილია G-ში, მაგრამ მაინც ჩანს:
„ერ" კარგად იკითხება. მაგრამ ეს ადგილიც გადაუშლია დამმუხლველს და „შენი" მიუწერია, რაც
დაბეჭდილია კიდეც (W). აღიყუანეთ W. მკალთა W. 28. წჲ̃ყავთ W. სპასპეტნი W.

J

29. შეიძრა ქუეყანაჲ და ელმოდა, რამეთუ განიღჳძა ბაბილონსა ზედა ზრახვამან უფლისმან დადებად ქუეყანაჲ ბაბილონისაჲ განსარყუნელად, რაჲთა არღარა აღეშენოს.

30. მოაკლდეს მბრძოლნი ბაბილოვნისანი ბრძოლად, დასხდეს იგინი მოცვულნი, დაელხუა მძლავრობაჲ მათი და იქმნნეს, ვითარცა დედანი; მოიწუნეს საყოფელნი მათნი. [ფ. 82] შეიმუსრნეს მოქლონნნი მისნი.

31. მეოტი ჳემთხუევად მეოტსა სდევდეს და მებავთჱ შეემთხუეოდის ღაღადის-მგდებელსა თხრობად მეფესა ბაბილოვნისასა, ვითარმედ წარწყმდა ქალაქი იგი მისი.

32. კიდითგან გამოსავალ[O : 304 v]თა მისთაჲთ შეიპყრნეს, და სავსებაჲ იგი მათი დაწუეს ცეცხლითა და კაცნი მისნი მბრძოლნი გამოჴდენ მისგან.

33. რამეთუ ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ: სახლნი მეფისა ბაბილოვნისანი, ვითარცა კალონი მსთუანი, დაილეწნენ; მცირედღა, და მოიწიოს ლეწვაჲ მისი.

34. განმყო მე და შემჭამა მე, და მეწია მე, ვითარცა ბნელი მცირე; ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილოვნისამან დამდვა მე, ვითარცა ჭურჭერი ცუდი, შთამთქა მე, ვითარც ვეშაპმან, და აღივსო მუცელი თჳსი საშუებელისაგან ჩემისა.

G

29. შეიძრა ქუეყანაჲ და სტკიოდა, მით რამეთუ აღდგა ბაბილონსა ზედა გულის-სიტყუაჲ უფლისაჲ დადებად ქუეყანაჲ ბაბილონისაჲ განსაქარვებელად, არდასამკვდრებელად იგი.

30. მოაკლდა მეომე ბაბილონისაჲ მბრძოლად, და დასხდენ წყუდეულებასა შინა, მოსწყდა მძლავრებაჲ მათი და იქმნნეს, ვითარცა დედანი; მოიწუნეს კარავნი მათნი, შეიმუსრნეს მოქლონნი მისნი.

31. მდევარი შემთხუევად მდევნელისა სდევდეს, და მეღაღადისე შემთხუევად მეღაღდისისა მეღაღადებად მეფისა. ბაბილონისასა, ვითარმედ წარწყმდა ქალაქი მისი დასასრულით გამოსავალთა მისთაჲთ.

32. მით რამეთუ შეპყრობილ იქმნნეს, და სახლნი მათნი მოიცეცხლნეს [243 v] ცეცხლითა, და მამაკაცნი მისნი მბრძოლნი გამოვიდენ.

33. მით რამეთუ ამათ იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ: სახლნი ბაბილონისანი, ვითარცა კალოჲ ოჴერი, მოოჴრდენ; მერმე მცირედღა, და მოიწიოს ლალვაჲ მისი.

34. განმყო მე, შემჭამა მე, და მეწია მე, ვითარცა ბნელი წულილი; ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილონისამან დამადგინა მე, ვითარცა ჭურჭელი ცალიერი, შთამნთქა მე. ვითარცა ვეშაპმან, აღივსო მუცელი თჳსი შუებულებისაგან ჩემისა.

---

29. „დადებად“-ის „დე“ ჩამატებულია J-ში. აღეშჱნის O. 30. ბაბილონსა O. დასხდეს O. დაელხუა] დაეცა O. იქმნენ O. ერთი „ნ“ ჩამატებულია J-ში. ვითარცა] იგინი ვითარცა O. 31. „სდევდეს“ ვინი ქვემოდანაა მიწერილი O-ში. ღაღადების-მგდებელსა O. 32. შეიპყრეს O. იგი მათი დაიწუეს] მისი დაიწუა O. განჴდეს O. 33. ბაბილონისანი O. მსთუანი] მსთულვბელისანი O. „მსთუანი“-ს სანი ზემოდან აწერია J-ში. 34. მცირჱ O. ბაბი- ლონისამან O. დამდვა]დამდგა J. ცუდი + და O. საშუებლისაგან O.

29. ქჲყნა W. გულის სიტყვა W. 30. მეჰომე G, მელომე W. მძლავრება W. კარვებნი GW. 31. შემთხუჱდ W. ვითარცა (ვ҃ა) W ქალაქნი W. მისი] — W. 32. მით რამეთუ] — G. სახლებნი GW. „შეპყრობილ იქმნნეს და სახლნი მათნი მოიცეცხლნეს“ ჩამატებულია G-ში დამმუხლველის მიერ. 34. განმიყო GW.

J

35. განმაშოვრნა შრომანი ჩემნი [და] სიგლახაკენი ჩემნი ბაბილონსა ზედა, თქუას მკჳდრმან სიონისამან, და სისხლი ჩემი მკჳდრთა ზედა ქალდეაჲს-თა, თქუა[ს] ისრაჱლმან.

36. ამისთჳს ესრე იტყჳ უფალი: აჰა ესერა მე ვსაჯო მჯდომი იგი შენი და შური-მოვაგო შურის-გებისა შენისაჲ და აღვაოჴრო ზღუაჲ მისი და განვაჴმნე წყალნი მისნი.

37. და იყოს ბაბილონი განსარყუნელად და საყოფელად ვეშაპთა და ბორცუებად და არღარა დაეშენოს.

38. რაჲთურთით ერთბამად, ვითარცა ლომნი, აღდგენ ჭაპუკნი მისნი, და ვითარცა ლეკუნი ლომთანი.

39. განტფობასა შინა მათსა შევასუა სასუმელი მათი და დავათრვნე იგინი, რაჲთა დასულბენ და დაიძინონ ძილი საუკუნჱ და ვერღარა განიღჳძონ უკუნისამდე, იტყჳს უფალი.

40. და შთავჴადნე [O : 305 r] იგინი, ვითარცა კრავნი, კლვად და ვითარცა ვერძები თიკნებითურთ.

41. ვითარ წარწყმდა [სისაქ], და მოინადირა სიქადული ყოვლისა ქუეყანისაჲ? ვითარ იქმნა ბაბილონი განსარყუნელად შორის ყოველთა ნათესავთა?

42. აღმოჴდა ბაბილონსა ზედა ზღუაჲ ოხრითა ღელვათა მისთაჲთა, [და] დაფარა.

G

35. განმაგარეეს მე რუდუნებათა ჩემთა [35] და საარებათა ჩემთა ძჳნად ბაბილონისა წარიხუნეს, თქუას მკჳდრმან სიონისამან, და სისხლი ჩემი ძჳნად მკჳდრთა ხალდეჲსათა, თქუას იერუსალიმმან.

36. ამისთჳს ამას იტყჳს უფალი: აჰა მე ვსაჯო წინამოსაჯული შენი და შურვიგო შურის-გებაჲ შენი და მოვაოჴრო ზღუაჲ მისი და განვაჴმო წყროჲ მისი.

37. და იყოს ბაბილონი ბორცუებ და სამკჳდრებელად ვეშაპთა დ განსარყუნელად და სასტჳნველად და არა დაეშენოს.

38. თანად ერთბამად, ვითარცა ლომნი, აღდგეს ზოგად ძენი მათნი, და ვითარ ლეკუნი ლომთანი.

39. განჴურვებასა შინა მათსა სარეცელი მათი მივსცე განუსუენებელად და მივსცე სასუმელი მათ და დავათრვნე იგინი, რაჲთა დასულბენ და დაიძინონ ძილი საუკუნოჲ და ვერ განიღჳძონ, იტყჳს უფალი.

40. და შთავჴადნე იგინი, ვითარცა კრავნი, დაკლვად და ვითარცა კრავნი თიკნებითურთ.

41. ვითარ მოოჴრდა სისახ, და მოინადირა სიქადული ყოვლისა ქუეყანისაჲ? ვითარ იქმნა ბაბილონი განსაქარვებელად ყოველთა შორის ნათესავთა?

42. აღმოვიდა ბაბილონსა ზედა ზღუაჲ ჴმითა ღელვათა მისთაჲთა, დაიფარა.

---

35. განმაშოვრა J, განმაშორნა O. და (1) — J თქჳს O. ქალდეაჲათა] ქალდეველთასა O. თქუა[ს] (2)] თქუა JO. 36. შური-მოგაგო] შურიმოვაგო-მას O. ზღუაჲ] ზღუდე J, ზღუდჱ O. 37. და (3)] — O ალეშჱნოს O. 38. ჭაბუკნი O. მისნი] მათნი O. („ლეკუნი"-ს „ლ" ჩამატებულია J-ში). საუკუნოჲ. O. 40. შთავჴადნე] შთაჴდენ O. ვერძნი O. 41. წარწმდა O. სისაქ] — J, და მოინადირა] მონადირისა O. შორის] — [„შორის" J-ში ჩამატებულია]. 42. და] — J.

35. ქალდეაჲსათა W. თქუას (2)]. თქვას W. 36. შურისგება W 37. ბორცვებ G [დამმუხლველის მიერაა გაცხოველებული, „განსარყუნელად" ჩამატებულია G-ში). 38. ლომნი]„ლოდნი W. ძენი მათნი] მიენი მონნი GW. [დამმუხლველს გვერდზე ჩაუმატებია ეს სიტყვები. „J"-ს თავი გადანაფხეკი ჩანს, მანი იყო?] 39. [სარეცელი მათი მივსცე განუსვენებლად და „ჩამატებულია G-ში დამმუხლველის მიერ." 41. დამოინადირა W. 42. მისთაჲთაჲ W.

J

43. იქმნნეს ქალაქნი მისნი განსარყუნელად, ქუეყანაჲ ურწყულ [O : 305 r] და უგზო, ქუეყანაჲ, რომელსა არავინ დაეშჱნოს მუნ კაცი, არცა დაადგრეს მუნ ძჱ კაცისაჲ.

44. და შური-ვიძიო ბაალსა ზედა ბაბილონს შინა და მოუღო, რომელი შთანთქა პირისაგან მისისა, და არღარა შეკრბენ მერმე ნათესავნი, და ზღუდეცა ბაბილონისაჲ და-ვე-ეცეს.

45. გამოვედით მისგან, ერო ჩემო, და განირინეთ მისგან კაცად-კაცადმან თავი თჳსი გულის-წყრომისაგან უფლისა.

46. ნუსადა შეძრწუნდენ გულნი თქუენნი, და ნუ გეშინ[ინ] სმენისა მისისაგან, რომელი ისმის ქუეყანასა მაგას, და შემოვიდეს მას წელსა სმენაჲ იგი, და მის თანა მას წელსა სმენაჲ და უშჯულოებაჲ ქუეყანასა და ფლობილებაჲ ფლობილებას ზედა, იგავი იგავსა ზედა.

47. ამისთჳს აჰა ესერა დღენი მოვლენან და აღხილვა-ვყო ყოველსა ზედა ქანდაკებულსა ბაბილონისასა, და ყოველი ქუეყანაჲ მისი სირცხჳლეულ იქმნეს, და ყოველნი წყლულებანი მისნი დაეცნენ შორის მისსა.

48. და იხარებდენ ბაბილონსა ზედა ცანი და ქუეყანაჲ და ყოველნი, რაჲ არს მას შინა [O : 305 v], რამეთუ ჩრდილოჲ[თ] მოვიდენ განმრყუნელნი მისნი, თქუა უფალმან.

49. და ბაბილონს შინა დაეცნენ ყოველნი წყლულებანი ყოვლისაგან ქუეყანისა.

G

43. იქმნნეს ქალაქნი მისნი განსაქარვებელ, ქუეყანა ურწყულ და უალ, ქუეყანაჲ, რომელსა ზედა არ დაიმკჳდროს მის ზედა არა ვინ კაცმან, არცა დაიმასპინძლოს მათ შინა ძემან კაცისამან.

44. და შური-ვიძიო ბილს ზედა ბაბილონს შინა და გამოვჰხუნნე, რომელნი შთანთქნა პირისაგან მისისა და [240 r] არღარა შეკრბენ მისდამი ნათესავნი, წარმართნი მერმე, და ზღუდეცა ბაბილონისაჲ და-ვე-ეცა.

45. გამოვედით საშუალისაგან მისისა, ერო ჩემო, და განირინეთ კაცადმან სული თჳსი გულის-წყრომისაგან რისხვისა უფლისა.

46. და ნუსადა შეშინდეს გული თქუენი და წიწნეულ იქმნეთ სმენისაგან სმენადისა ქუეყანასა ზედა, და შემოვიდეს მასვე წელსა შინა სმენაჲ, და მის თანა წელიწდსა შინა სმენაჲ და უსამართლოებაჲ ქუეყანასა ზედა და მჴელმწიფები მჴელ-მწიფებასა ზედა, იგავი იგავსა ზედა.

47. ამისთჳს აჰა დღენი მოვლენ, იტყჳს უფალი, და ზედა-მივიხილო ქანდაკებულთა ზედა ბაბილონისათა, და ყოველი ქუეყანაჲ მისი სირცხჳლეულ იქმნეს, და ყოველნი წყლულნი მისნი დაეცნენ შორის მისსა.

48. და იხარებდენ ბაბილონსა ზედა ცანი და ქუეყანაჲ და ყოველნი მათ შორისნი, რამეთუ ჩრდილოჲთ მოვიდენ განმხრწნელნი მისნი, თქუა უფალმან.

49. და რამეთუ ბაბილონს შინაცა დაცემაჲ წყლულთა ისრაილისათაჲ მის შორის, და ბაბილონისანიცა უკუე დაეცნენ წყლულნი ყოვლისა ქუეყანისა მიერ ძლეულნი.

---

43. განსარყუნელად] + და O. ქუეყანასა ურწყულ J. „და უგზო"-დან 52-ე თავის მესამე მუხლის „იერუსალჱმისათჳს" სიტყვამდე J-ს აკლია, და სათანადო ადგილი O-დან არის შევსებული). დაადგრჱს O. 44. მერმჱ O. 46. ნუ გეშინ O. 48. ჩრდილოჲ O.

43. ქ˜ყნა G. 44. შურ ვიძიო W. ბილს] ბაბილონს W. და ვეეცა W. 45. რისხჳსა W. ო˜ჲ W. 46. უსამართლობ˜ჲ W. 47 და ეცნენ W.

J

50. განრინებულნი ქუეყანით მისით ვიდოდეთ და ნუ დასდგებით; მოიჴსენეთ შორიელთა მაგათ უფალი და იერუსალჱმი გულთა თქუენთა მოიჴადეთ.

51. გრცხუენა, რამეთუ გესმა ყუედრებაჲ ჩუენი, დაფარა გინებამან პირი ჩუენი, შევიდეს უცხო თესლნი სიწმიდეთა ჩუენთა ტაძარსა უფლისასა.

52. აჰა ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და შური-ვიძიო ქანდაკებულთა მისთა, და ყოველსა ქუეყანასა ზედა მისსა დაეცნენ წყლულნი მისნი.

53. და ღათუ აღმაღლდეს ბაბილონი, ვითარცა ცაჲ, და თუ განიძნელოს სიმაღლჱ იგი სიმტკიცისა მისისაჲ, ჩემგან მოვიდენ მომსრველნი მისნი, იტყჳს უფალი.

54. ჴმაჲ ღაღადებისაჲ ბაბილონს შინა და შემუსრვაჲ დიდი ქუეყანასა ქალდეველთასა,

55. რამეთუ აჴოცა უფალმან ბაბილონი და წარწყმიდა მისგან ჴმაჲ დიდი ოხრისაჲ, ვითარცა წყალნი მრავალნი, მისცა წარსაწყმედელად ჴმაჲ მისი,

56. რამეთუ მოიწია ბაბილონსა ზედა სიგლახაკჱ, მოისრნეს მბრძოლნი მისნი, უსუსურ იქმნნეს მშვლდნი მათნი, რამეთუ ღმერთი მიმგებელ არს.

57. თავადმან უფალმან მიაგოს მას მისაგებელი, დაითრვნენ მთრვალობითა მბრძოლნი მისნი და მსაჯულნი მისნი და წინაწარმეტყუელნი მისნი და ძლიერნი მისნი, და დაიძინონ ძილი საუკუნოჲ და არღარა განიღჳძონ, იტყჳს უფალი [O : 306 r], მერთისა-მპყრობელ არს სახელი მისი.

G

50. განრინებულნი ქუეყანისაგან ვიდოდეთ და ნუ დასდგებით; მოიჴსენეთ შორიელთა უფლისაჲ, და იერუსალიმი აღვედინ გულთა თქუენთა ზედა.

51. გურცხუენა, რამეთუ გუესმა ყუედრებაჲ ჩუენი, დაფარა უპატივოებამან პირი ჩუენი, შევიდეს სხუა ნათესავნი წმიდათა მიმართ ჩუენთა სახიდ უფლისა.

52. ამისთჳს აჰა დღენი მოვლენ, იტყჳს უფალი, და შურ-ვიგო ქანდაკებულთა ზედა მისთა, და ყოველსა ქუეყანასა ზედა მისსა დაეცნენ წყლულნი.

53. რამეთუ აღ-თუ-მაღლდეს ბაბილონი, ვითარცა ცაჲ, და რამეთუ განმაგრდეს თუ სიმაღლე ძალისა მისისაჲ, ჩემ მიერ მოიწინენ მომსრველნი მისნი, იტყჳს უფალი.

54. ჴმაჲ ღაღადებისაჲ შორის ბაბილონისა და შემუსრვაჲ დიდი ქუეყანასა ზედა ხალდეველთასა,

55. რამეთუ მოსპო უფალმან ბაბილონი და წარწყმიდა მისგან ჴმაჲ დიდი, რომელ ოხრიდა, ვითარცა წყალნი მრავალნი, მისცა მოსპოლვად ჴმაჲ მისი,

56. რამეთუ მოვიდა ბაბილონს ზედა საარებაჲ, მოისრნეს მბრძოლნი მისნი, შეძრწუნდა მშჳლდი მათი, რამეთუ ღმერთი შურის-მეძიებელ არს.

57. თჳთ უფალმან ნაცვალ-აგოს მას ნაცვალ-საგებელი მისა [57] და დაათრვნ[240 v]ეს სიმთრვალითა მთავარნი მისნი და სპაჲპეტნი მისნი და დამწყებნი მისნი და სპაჲპეტნი მისნი და ძალნი მისნი და დაიძინონ ძილი საუკუნოჲ და არღარა განიღჳძონ უკუნისამდე, იტყჳს მეფე, უფალი ყოვლისა-მპყრობელ სახელი მისი.

---

51. მოსალოდნელი იყო: გურცხუენა, რამეთუ გუესმა. 56. მბრძოლნი] ბრძენნი O (მცდ.).

50. ო˜ჲსა W. 51. და ფარა W. უპატიოებამან W. ოჲ˜ GW. 52. და ეცნენ W. 53. აღ-თუ-მაღლდეს] ალთუ მაღლად ესვიდეს W. G-ში არის: „აღ-თუ ვიდეს“, მაგრამ გადამწერს „ვიდეს“ ზემოთ „მაღლდეს“ დაუწერია, ოღონდ „ვიდეს“ გადაშლა დავიწყებია, G-ში ორივე მოხვედრილა და მცდარად გაუაზრებიათ. იხ. G რედაქციის მცდარი წაკითხვები. სიმაღლე] სიმაგრე W. 54. ქალდეველთასა W. 56. „შურის მეძიებელ“ გაცხოველებულია G-ში. 57. სპასპეტნი W. უკჱ G, უ˜კე W. მეფე] მეუფჱ W. ყოვლისა მპყრობელი W.

J

58. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ: ზღუდე ბაბილონისაჲ განვრცნა, გარდარღუევით დაირღუენ, და ბჭენი იგი მისნი ცეცხლითა დაიწუნენ; შურებოდიან ერნი ცუდად, და ნათესავნი პირველადვე მოაკლდენ.

59. სიტყუაჲ, რომელი ამცნო იერემია წინაწარმეტყუელმან თქუმად სარეაჲსა, ძისა ნერისსა, ძისა მანასჱსსა, რაჟამს წარვიდოდა სედეკიაჲსგან, მეფისა იუდაჲსა, ბაბილონდ წელსა მეოთხესა მეფობისა მისისასა, და სარეა იყო ნიჭთმთავარ.

60. და დაწერა იერემია ყოველი ესე ძჳრი, რომელი მოსლვად არს ბაბილონსა ზედა, წიგნსა ზედა ერთსა ყოველთა ამათ სიტყუათა თანა, რომელ წერილ არიან ბაბილონისათჳს.

61. და ჰრქუა იერემია სარეას: რაჟამს მიხვდე ბაბილონდ, და იხილო და აღმოიკითხნე ყოველნი ესე სიტყუანი

62. და სთქუა: უფალო, სთქუ ამას ადგილსა ზედა აჴოცაჲ მისი, რაჲთა არა იყოს მას შინა მკჳდრი კაცითგან მიპირუტყუადმდე, რამეთუ განრყუნაჲ მისი იყოს უკუნისამდე.

63. და იყოს, რაჟამს დააცადო კითხვაჲ წიგნისაჲ ამის, გამოაბა მას ქვაჲ და შთააგდო იგი საშუვალ ევფრატსა.

64. და სთქუა: ესრეთ დაი[ნ]თქას ბაბილონი და არღარა აღდგეს პირისაგან ძჳრთაჲსა, რომელ შემოავლინნეს მის ზედა. და დაესრულნეს აქამდე სიტყუანი იერემიაჲსნი.

G

58. ამათ იტყჳს უფალი: ზღუდე ბაბილონისაჲ განვრცნა, გარდარღუევით გარდაირღუეს, და ბჭენი მისნი მაღალნი ცეცხლითა მოიცეცხლნენ, და არა დაშურებოდინ ერნი ცუდად, და ნათესავნი მის შორის მოაკლდენ.

59. სიტყუაჲ, რომელი ამცნო უფალმან იერემიას წინაჲსწარმეტყუელსა რქუმად არეაჲსსა, ძისა ნირისსა, ძისა მაასესა, ოდეს წარვიდოდა სედეკიაჲს მიერ მეფისა იუდაჲსა ბაბილონდ წელსა შინა მეოთხესა მეფობისა მისისასა, და არეა იყო მთავარ ნიჭთა.

60. და დაწერნა იერემიამან ყოველნი ძჳრნი, რომელნი მოიწინენ ბაბილონსა ზედა, წიგნსა შინა ერთსა, ყოველნი ესე სიტყუანი, დაწერილნი ბაბილონისათჳს.

61. და თქუა იერემია არეაჲს მიმართ: რაჟამს მიხვდე ბაბილონდ, და იხილო და აღმოიკითხნე თანად ყოველნი ესე სიტყუანი.

62. და სთქუა: უფალო, უფალო, შენ სთქუ ადგილსა ამას ზედა მოსპოლვად იგი და არყოფად მას ზედა მკჳდრნი კაცითგან მისაცხოვართამდე, რამეთუ განსაქარვებელად უკუნისამდე იყოს.

63. და იყოს, ოდეს დასცხრე აღმომკითხველი წიგნისა ამის, და დააკრა მას ზედა ქვაჲ და შთააგდო იგი საშუალ ევფრატსა.

64. და სქთუა: ესრეთ დაინთქას ბაბილონი, არღა აღდგეს პირისაგან ძჳრთაჲსა, რომელთა მე მოვაწევ მის ზედა და დაემტკიცნეს სიტყუანი იერემიაჲსნი ვიდრე აქამომდე [240 v ბოლო].

58. გარდარღუევით დაირღუენ] გარდაარფჳენით დაირღუენ O. (მცდ.). 59. ნერისა O. მანანჱსა O. მეოთხჱსა O. 62. სთქუ] ასეა O-ში. 64. დაითქას O.

59. რქმად W. იუდასა W. ბაბილონად W. 60. სიტყუაჲნი W. დაწერილნი W. 61. ბაბილონად W. 62. მისა ცხოვართამდე W. 63. აღმომკითხუჱლი W. 64. ძჳრთასა W. სიტ˝ყუჲნი W. „და დაემტკიცნეს სიტყუანი იერემიაჲსნი ვიდრე აქამომდე“ ჩამატებულია G-ში დამმუხლველის მიერ.

J

52

1. ოც და ერთის წლის იყო სედეკია, რაჟამს დადგა იგი მეფედ, და ათერთმეტ [O:306v] წელ მეფობდა იგი იერუსალჱმს შინა, და სახელი დედისა მისისაჲ ამიტალ, ასული იერემიაჲსი ლობეთით.

2. და ყო მან ბოროტი წინაშე თუალთა უფლისათა, ვითარცა იოვაკიმ ყო.

3. რამეთუ გულის-წყრომაჲ უფლისაჲ იყო [ფ. 83] იერუსალჱმისათჳს და იუდაჲსათჳს, ვიდრე არა განსთხინა იგინი პირისაგან მისისა, და განდგა სედეკია მეფისაგან ბაბილოვნისა.

4. და იყო, წელსა მას მეცხრესა, თთუესა მეათესა, ათსა თთჳსასა მეუფებასა სედეკიაჲსსა, მოვიდა ნაბუქოდონოსორ, მეფჱ ბაბილონისაჲ და ყოველი ძალი მისი იერუსალჱმსა ზედა და ზღუდის-ზღუდე აქმნეს მას გამოთლილითა ქვითა გარემოჲს

5. და მიიწია ქალაქი იგი იწროებად ვიდრე ათორმეტ წლადმდე მეფისა სედეკიაჲსა,

6. თთუსა მეოთხესა, ცხრასა თთჳსასა განძლიერდა სიყმილი ქალაქსა შინა, და არღარა იყო პური ერისათჳს ქუეყანისაჲსა

7. და ვერ დამდგომ იქმნა ქალაქი იგი, და ყოველნი მბრძოლნი ივლტოდეს, და გამოვიდა მეფჱ და ყოველი ერი მისი ღამე ქალაქით გზით ბჭისაჲთ საშოალ ზღუდესა და ზღუდის-ზღუდესა, რომელ იყო მტილსა ოდენ სამეუფოსა გარემო,

G

1. ოც და ერთის წლის იყო სედეკია მეფობასა შინა მისსა და ერთ და ათ წელ იმეფა იერუსალიმს შინა, და სახელი დედისა მისისაჲ ამიტალ, ასული იერემიაჲსი ლოვენაჲთ.

2. და ქმნა ბოროტი წინაშე თუალთა უფლისათა, ვითარ სახედ ქმნა იოაკიმ.

3. რამეთუ გულის-წყრომაჲ უფლისაჲ იქმნა ძნად იერუსალიმისა და იუდაჲსსა, ვიდრემდის არა განსთხინა იგინი პირისაგან მისისა; და განდგა სედეკია მეფისა[გან] ბაბილონისასა.

4. და იქმნა, წელსა მეცხრესა მეფობისა სედეკიაჲსსა, თთუესა მეათესა, ათსა თთჳსასა, მოვიდა ნაბუქოდონოსორ, მეფე ბაბილონისაჲ, და ყოველი ძალი მისი იერუსალიმსა ზედა და გარემოაპატნეზა იგი და გარემოაშენა მას მოთხვითთა ქვათა მომრგულები.

5. და მიიწია ქალაქი იწროებად და ვიდრე მეათერთმეტედ წლამდე მეფისა სედეკიაჲსსა,

6. თთუესა მეოთხესა, მეცხრესა თთჳსსა და განმტკიცნა სიყმილი ქალაქსა შინა, და არა იყვნეს პურნი ერსა შორის ქუეყანისასა.

7. და განიბძარა ქალაქი და ყოველნი კაცნი მებრძოლნი ივლტოდეს და გამოვიდეს ქალაქისაგან ღამე გზასა ბჭისა საშუალისა ზღუდეთაჲსასა და წინამოზღუდვილობისასა, რომელი იყო მტილსა თანა მეფისასა: და ქალდეველნი ქალაქ-

---

52. 3. და იუდაჲსათჳს] — J. განდგა სედეკია მეფისაგან] განაღგა სედეკია მეფჱსა O. ბაბილონისასა O. 4. თუესა O. თჳსასა O. მეუფებასა] მეფობასა O. აღაქმნეს O. გამოთლილითა ქვითა გარემოჲს] გარემო ქვითა თლილითა O. 5. თუესა O. თჳსსა O. 7. დამდგრომელ O. გამოვიდა მეფჱ და ყოველი ერი მისი] გამოჴდეს ქალაქით O. ღამჱ JO. ქალაქით] — O. საშუვალ O. და ზღუდის-ზღუდესა] — O. რომელი O. სამეფოსა O. გარემო O. სარაბიაჲსასა J, გაბაოჲსასა O.

52. 1. ლოვენაჲთ] ევლო ვენნაჲთ W. 2. ო̃ითა W. 3. მეფისა W. 4. სედეკიასსა W. ბაბილონისა W. გარემო პატნეზა W. 6. იყუნეს W. 7. წინ მოზღუდვილობისასა W. ისრაელისასა უქარაგმოა W-ში.

J

და ქალდეველნი იყვნეს გარემოჲს ქალაქსა და წარვიდეს იგინი გზასა არაბიაჲსასა.

8. და დევნა-უყო ძალმან ქალდეველთამან უკუანა მეფესა, დაეწინეს მეფესა სედეკიას წიაღ იერიქოჲსა უდაბნოსა, და ყოველნი მონანი მისნი განიბნნეს.

9. და შეიპყრეს მეფჱ სედეკია და მოიყვანეს მეფისა ბაბილონისა დებლათად ქუეყანასა ემათისასა, და ეტყოდა ნაბუქოდონოსორ მეფჱ საშჯელით სედეკიას.

10. და მოწყვდნა მეფემან ბაბილონისამან ძენი სედეკიაჲსნი წინაშე თუალთა მისთა და ყოველნი მთავარნი იუდაჲსნი მოწყვდნა დებლათას შინა.

11. და თუალნი სედეკიაჲსნი აღმოჰშრიტნა და შეკრა იგი ბორკილითა; და მიიყვანა იგი მეფემან ბაბილოვნისამან ბაბილონდ და მისცა იგი სახიდ საფქვილისად ვიდრე დღედმდე სიკუდილისა მისისა.

12. და მეხუთესა თთუესა, ათსა თთჳსასა, ესე წელი მეათცხრამეტე ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისაჲ, მოვიდა ნაბუზარდან მატაკარანი წინაშემდგომელი მეფისა ბაბილოვნისაჲ იერუსალჱმდ.

13. და მოწუა ტაძარი იგი ღმრთისაჲ და სახლი მეფისაჲ და ყოველი სახლები ქალაქისაჲ (ფ. 84) და ყოველი ტაძრები დიდ-დიდები მოწუა ცეცხლითა.

G

სა ზედა გარემოჲს და წარვიდეს გზასა ისრაელისასა.

8. და სდევნა ძალმან ქალდეველთამან უკუანა მეფისა, დაეწინეს მეფესა სედეკიას წიაღ იერიქოჲსა უდაბნოს შინა, და ყოველნი ყრმანი მისნი განიბნინეს მისგან.

9. და შეიპყრეს მეფე სედეკიაჲ და მოიყვანეს იგი მეფისა მომართ ბაბილონისა დევლათად, ქუეყანად ემათისა, და ეზრახა მეფე ბაბილონისაჲ სასჯელისა თანა სედეკიას.

10. და მოწყვდნა მეფემან ბაბილონისამან ძენი სედეკიაჲსნი წინაშე თუალთა მისთა და ყოველნი მთავარნი იუდაჲსნი მოწყვდნა დევლათს შინა.

11. და თუალნი სედეკიაჲსნი დააბრმნა და შეკრა იგი ბორკილებითა; და მიიყვანა იგი მეფემან ბაბილონისამან ბაბილონდ და მისცა იგი სახიდ წისქვილისა ვიდრე დღედმდე, რომელსა მოკუდა.

12. და თთუესა მეხუთესა, მეათესა თთჳსასა, ესე წელიწადი ცხრა და მეათე ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისა მოვიდა ნაბუზარდან მთავარ-ქონდაქარი, მდგომი წინაშე პირსა მეფისა ბაბილონისასა იერუსალიმდ,

13. და დაწუა სახლი უფლისაჲ და სახლი მეფისაჲ და ყოველნი სახლნი ქალაქისანი და ყოველნი სახლი დიდი მოცეცხლა ცეცხლითა;

---

8. დევნა-უყვეს O. მეფჱსა O. დაეწინეს მეფესა სედეკიას] სედეკიას დაეწინეს მას O. 9. შეიპყრჱს O. დელბათად O. ნაბუქოდონოსორ მეფჱ] მეფჱ ბაბილონისაჲ 10. დელბათას O. 11. აღმოჰშრიტნეს O. ბაბილონისამან O. საფქვილისად J. ვიდრე დღედმდე სიკუდილისა მისისა] — O. 12. მეხოთესა J, „ხ“ ჩამატებულია ზემოდან. თუესა O. თჳსსა O. წელი] წიგნი O (მცდ.). მეათცხრამეტჱ O. ბაბილონისაჲ] + და O. მატაკარანი O. წინამდგომი O. ბაბილონისაჲ O. 13. ღმრთისაჲ] უფლისაჲ O.

8. უკანა W. 10. მოსწყკდნა (1,2) W. სეღეკიასნი W. 11. ბაბილონად W წისქვილისა W. 12. დათთუჱსა W.

J	G
14. და ყოველი ზღუდე იერუსალჱმისაჲ გარემოჲს დაარღვა ძალმან ქალდეველთამან, რომელ იყო მატაკარანისა მის თანა.	14. და ყოველი ზღუდე იერუსალიმისა გარემოჲს დაარღვა ძალმან ქალდეველთა მთავარ-ქონდაქართამან.
15. ხოლო დავრდმილნი იგი ერისანი და ნეშტი იგი ერი, რომელ დაშთომილ იყო ქალაქსა შინა, და მეოტნი იგი, რომელ შეუცვვეს მეფესა ბაბილონისსა, და ნეშტი იგი ერისაჲ წარტყუენა ნაბუზარდან მატაკარანმან.	15. ხოლო დავრდომილთაგანნი ერისათანი და ნეშტი ერისაჲ და დაშთომილნი ქალაქსა შინა და მილტოლვილნი იგი, შევ[რ]დომილნი მეფისა მიმართ ბაბილონისა და ნეშტი სიმრავლისაჲ განსახლნა ნაბუზარდან მთავარ-ქონდაქარმან.
16. ხოლო უპოვარნი იგი ქუეყანისანი დაუტევნა ნაბუზარდან მატაკარანმან ვენაჴის-მოქმედად.	16. ხოლო დავრდომილთაგან ქუეყანისათა დაუტევნა ნაბუზარდან მთავარ-ქონდაქარმან ვენაჴის-მოქმედად და ქუეყანისა-მოქმედად.
17. და სუეტნი იგი რვალისანი, რომელ იყვნეს სახლსა შინა ღმრთისასა, და სუეტ-დასადგომელნი და ზღუაჲ იგი რვალისაჲ, რომელ იყო სახლსა შინა უფლისასა, შემუსრნეს ქალდეველთა და [O : 307v] წარიღეს ყოველი იგი რვალი ბაბილონდ.	17. და სუეტნი რვალისანი სახლისა უფლისანი და ხარისხნი და ზღუაჲ რვალისაჲ სახლსა შინა უფლისასა შემუსრეს ქალდეველთა და მიიღეს ყოველი რვალები მათი ბაბილონდ.
18. და პატივნი და აღსაპყრობელნი და გრგვნნი და სიავნი და ფეშხუენები და ფუცხუები და ყოველი ჭურჭერი რვალისაჲ, რომლითა ჰმსახურებდეს, წარიღეს; და სასაკუმევლები და ვეხნები.	18. და ხრები და საპყრობელები და გრგვნი და სავსები და ფიალები და ფუცხუები და ყოველნი ჭურჭელნი რვალისანი, რომელთა მიერ შემწირველობდეს მათ მიმართ, წარიხუნეს [19] და სასაკუმევლები და ვეხნები.
19. და საპფუთნი და მასმაროთნი და საწურველნი და სასანთლენი და სფარნი და ჭაშაკები, რომელ იყო ოქროჲსა და ვეცხლისაჲ, წარიღო ყოველი მა[ტ]აკარანმან მან;	19. და საპფოთნი და მაზმაროთნი და საწურველები და სასანთლეები და სამსხუერპლოები და ჭაშაკები, რომელნი იყვნეს ოქროჲსანი და რომელნი იყვნეს ვეცხლისანი, მიიხუნა მთავარ-ქონდაქარმან;

---

14. ზღუდჱ O. გარემოჲს] — O. რომელი O. მატარაკანისა O. 15. იგი (1)] — O. რომელნი (1,2) O, იყვნეს O. შეცჳვეს O. მეფესა ბაბილონისსა] მეფისა ბაბილონისა O. ნეშტნი J. მატარაკანმან O. 16. ქუეყანისანი] — O. ნაბუზარდან მატაკარანმან] — O. 17. რომელნი O. ღმრთისასა] უფლისასა O. და სუეტ-დასადგომელნი და ზღუაჲ იგი რვალისაჲ, რომელ იყო სახლსა შინა] — O. შემუსრეს] და მოჰსრეს O. წარიღეს] + ქალდეველთა O. რვალი] + მათი O. „რვალი“-ს „ლი“ ზემოდანაა მიწერილი J-ში და ცუდად იკითხება. 18. გრგვნი J. ფეშხუემები და ფუცხუები] — O. ჭურჭრები O. წარიღეს] + იგი O. სასაკუმევლები] სასაკუმელჱ + ვეცხლისაჲ O. და ვეხნები] — O. 19. საპფუთნი O. საპოვთნები O. მასმაროთნი] მარმარუთნები O. საწურველნი] საწყლებენი O. სფარნი] სარფარნი-იგი O. ყოველნი] — O. მააკარანმან J, მატარაკანმან O. მან] — O.

14. გარემოს W. 15. და ვრდომილთაგანი W. შევდომილნი W. მეფესა W. 17. ბაბილონად W. 19. ჭაბაკები W. ოქროსანი W.

J

20. და სუეტთა ორთაჲ და ზღვსა ერთისაჲ და ზუარაკთა ათორმეტთა რვალისათაჲ, რომელ იყვნეს ზღუასა მას შინა, რომელ ქმნნა სოლომონ მეფემან სახლსა შინა უფლისასა, არა იყო სასწორ მის რვალისა ყოველთა მათ ჭურჭერთა

21. და სუეტთაჲ. ოც და ათხუთმეტ წყრთა იყო სიმაღლე სუეტისაჲ მის ერთისაჲ, და საბელი ათორმეტისა წყრთისაჲ გარემო შე-ოდენ-სწუთებოდა მათ, და იყო სიზრქჱ მისი ოთხ თით გარემოჲს;

22. და სუეტის-თავნი მათ ზედა რვალისანი და სიმაღლე სუეტის-თავისაჲ მის ერთისაჲ ხუთ წყრთა, და კანკელი [და] მროწეულები სუეტის-თავსა ზედა გარემოჲს ყოველი რვალისაჲ; ეგრევე მსგავსად ამისა იყო სუეტსა მას მეორესა რვაჲ მროწეული წყრთად-წყრთად ათთა მათ წყრთათა.

23. [ფ. 85] და იყო ყოველი იგი მროწეულები ოთხმეოც და ათექუსმეტ ერთ კერძო ხოლო, და იყო ყოველი იგი მროწეულები ას კანკელსა მას ზედა გარემოჲს.

24. და წარიყვანა მატაკარანმან [O : 308 r] მან სარეა, მღდელი იგი მთავარი, და სოფონია, მღდელი შემდგომი, და სამნი იგი კართ მცველნი,

25. და ქალაქისაგან წარიყვანა საჭურისი ერთი, რომელ ზედა-მდგომელ იყო კაცთა მათ მბრძოლთა, და შჳდნი კაცნი სახელოანნი, წინაშენი მეფისანი, რომელ იპოვნეს ქალაქსა შინა, და მწიგნობარი

G

20. და სუეტთა ორთაჲ და ზღვსა ერთისაჲ და ზუარაკთა ათორმეტთა რვალისათაჲ, ქუეშე კერძოთა ზღვსათაჲ, რომელნი ქმნნა მეფემან სოლომონ სახლსა შინა უფლისასა, არა იყო სასწორი რვალისა ყოველთა ამათ ჭურჭელთაჲ

21. და სუეტთაჲ ოც და ათხუთმეტ წყრთა სიმაღლე სუეტისა ერთისაჲ, და საბელი ათორმეტთა წყრთათაჲ. გარე შესწუდებოდა მას, და სისქე ოთხთა თითთაჲ გარემოჲს.

22. და სუეტის-თავი მათ ზედა რვალისაჲ და სიმაღლე სუეტის-თავისა ერთისა ხუთ წყრთა; და ბადე და ბროწეულები სუეტის-თავსა ზედა გარემოჲს ყოველნი რვალისანი, და ამათებრვე მეორესაცა სუეტსა რვაჲ ბროწეული წყრთეულად ათორმეტთა წყრთათაჲ.

23. და იყვნეს ბროწეულნი ოთხმეოც და ათექუსმეტ კერძოსა ერთსა, და იყვნეს ყოველნი ბროწეულნი ას ბადესა ზედა გარემოჲს.

24. და წარიყვანა მთავარ-ქონდაქარმან სარეა, მთავარ მღდელი პირველი, და სოფონია, მღდელი მეორე, და სამნი მცველნი გზათანი.

25. და ქალაქისაგან წარიყვანა საჭურისი ერთი, რომელი იყო ზედა-მდგომელი კაცთა მებრძოლთაჲ, და შჳდნი კაცნი სახელოვანნი, პირის წინაშენი მეფისანი, პოვნილნი მთავარი ძლიერთაჲ, მწიგნვე-

---

20. სუეტთაჲ J. ზღჳსა] ზღუდისა O (მცდ.). თორმეტთაჲ O. იყო O. შინა] ქუეშჱ O. ქმნა O. მეფემან სოლომონ O. სასწორი მისი O. რვალისაჲ + და O. ჭურჭერთა O. 21. და სუეტთაჲ] — O. ოც და ათხუთმეტ] ოც და ათოთხმეტ O. იყო] — O. სიმაღლჱ O. სუეტისა O. გარემო შე-ოდენ-სწუთებოდა] შესწუთებოდა O. სისქჱ O. ოთხ თით] ოთხით O. 22. სუეტის-თავნი-გარემოჲ O. სიმაღლჱ O. სუეტის-თავისა O. ხუთ] ოთხ O. და] — J. მროწეული O. სუეტის-თავთა O. გარემოჲს] — O. მისა O. 23. მროწეული O. 24. მან] — O. მღდელი + იგი O. კართა O. 25. რომელი O. ზედა-მდგომელი O. მბრძოლთა O. სახელოვანნი O. წე῀ნი J, წ῀ნი O. რომელნი O. იპოვნეს] + მას O. და მწიგნობარი იგი... ქალაქსა შინა] — O. „და სამეოცი კაცი ერისაგან მის ქუეყანისაჲსა" წვრილი ხელითაა ჩამატებული J-ში.

20. რვალისათა W. ჭურჭელთა W. და ბადე] დაბადე W. 24. წარიყუანა W. 25. წარიყუანა W. მებრძოლთა W.

J

იგი მთავარი ძლიერთაჲ, რომელ მწიგნობრებდა ყოველსა ერსა ქუეყანისასა, და სამეოცი კაცი ერისაგან მის ქუეყანისაჲსა, რომელ იპოვნეს მას ქალაქსა შინა.

26. და წარიყვანნა ნაბუზარდან მატაკარანმან და მიიყვანნა იგინი მეფისა ბაბილოვნისა დებლ[ა]თად;

27. და სცა მათ და მოწყჳდნა იგინი მეფემან ბაბილოვნისამან დებლათას შინა ქუეყანასა ემათისასა, და წარიტყუენა იუდაჲ ქუეყანისაგან თჳსისა.

28. და ერი ესე, რომელ წარტყუენა ნაბუქოდონოსორ მეფემან წელსა მას მეშჳდესა, ჰურიათაჲ სამ ათას ოც და გ̃.

29. და წელსა მას მეათრვამეტესა ნაბუქოდონოსორის[ს]ა, წარტყუენა იერუსალჱმით რვაას ოც და ათორმეტი სული.

30. და წელსა მას ოც და მესამესა ნაბუქოდონოსორისსა წარტყუენა ნაბუზარდან მატაკარანმან ჰურიათაჲ შჳდას ორმეოც და ხუთი სული, და იყო ყოველი იგი სულები ოთხ ათას და ექუსას.

31. და იყო ოც და მეათჩჳდმეტესა წელსა წარტყუენვასა იოაკიმისსა, მეფისა იუდაჲსსა, და მეათესა თთუესა ოც და მეოთხესა თთჳსასა, უკუეცა თავი იოაკიმს, მეფესა იუდაჲსასა, ულამადრაქ მეფემან ბაბილონისამან წელსა მას, რომელსა დადგა იგი მეფედ, და გამოიყვანა იგი სახლით საპყრობილისაჲთ.

G

ლი ერისა მის ქუეყანისაჲ, და სამეოცნი კაცნი ერისაგან ქუეყანისაჲსა, პოვნილნი შორის ქალაქისა.

26. და მიიყვანნა იგინი ნაბუზარდან მთავარ-ქონდაქარმან და მიიყვანნა იგინი მეფისა ბაბილონისაჲსა დევლათად;

27. და მოწყჳდნა იგინი მეფემან და მოაკუდინ[246 r]ნა იგინი დევლათას შინა ქუეყანასა ემათისასა, და განსახლულ იქმნა იუდაჲ ზედა კერძოჲსაგან ქუეყანისა მისისა.

28. და ესე ერი, რომელი განასახლა ნაბუხოდონოსორ წელსა მეშჳდესა, იუდეანნი სამ ათასნი და ოცნი და სამნი.

29. წელსა რვა და მეათესა ნაბუქოდონოსორისსა იერუსალიმით სულნი რვაას ოც და ათორმეტნი.

30. წელსა შინა სამ და მეოცესა ნაბუხოდონოსორისსა განსახლნა ნაბუზარდან მთავარ-მზარაულმან იუდეანთა სულები რვაას და ორმეოც და ხუთნი, ყოველნი სულნი ოთხ ათას ექუსასნი.

31. და იქმნა ოც და მეათშჳდმეტესა შინა წელსა განსახლვასა იოაკიმ მეფისა იუდაჲსსა, მეათესა თთუესა მეოთხე და მეოცესა თჳსსა, გამოიყვანა, უკუეცა ულამედარახ მეფემან ბაბილონისამან წელსა შინა, რომელსა განმეფა თავი იოაკიმისი, მეფისა იუდაჲსი, და გამოიყვანა იგი სახლისაგან, რომელსა შინა იცვებოდა,

---

26. და (1)] — O. წარიყვანა J. მატაკარანმან] — O. ბაბილონისა O. დებლთად O. 27. სცა მათ და მოწყჳდნა იგინი მეფემან ბაბილოვნისაგან დებლათას] ამცნო მეფემან ბაბილონისამან და მოწყჳდნა იგინი დელბათას O. 27. წარტყუენა O. 28. ~ ესე ერი O. მეფემან + ბაბილონისამან O. „წელსა“-ს „ლ“ ჩამატებულია J-ში. ჰურიათაჲსა O. სამ ათასი და ოც და სამი O. 29. მეათრვამეტჱსა O. ნაბუქოდონოსორისა J. ნაბუქოდონოსორ მეფისასა O. წარტყუენა] — O. ოცდათორმეტი O. 30. ოცდამესამჱსა O. მატანაკარმან O. ხუთი] ხუთ O. ოთხ ათას და ექუსას] — O. 31. ოც და მეჩჳდმეტჱსა O. იოვაკიმ O. და მეათესა თთუესა ოც და მეოთხესა თთჳსასა უკუეცა თავი იოაკიმს, მეფესა იუდაჲსასა, ულამადრაქ მეფემან ბაბილონისამან წელსა მას, რომელსა დადგა იგი მეფედ] — O. საპყრობილით O.

26. მიიყუანნა W. 27. მოსწყჳდნა W. იუდა GW. 28. ნაბუქოდონოსორ W. 29. ნაბუქოდონოსორისსა W. 30. ნუბქოდონოსორისსა W. მთავარ-მზარაულმან] მთავარ-ქონდაქარმან W. 31. უკუჱცა W. ულამედარახ W.

J

32. და ეტყოდა მას ტკბილად და სცა მას საყდარი უზეშთაესი ყოველთა მეფეთასა, რომელ იყვნეს მის თანა ბაბილონს შინა,

33. და უცვალა მას სამოსელი პყრობილებისა მისისაჲ და ჭამდა პურსა წინაშე მისსა [O : 308 v] მარადის ყოველთა დღეთა მისთა, რაოდენ ცხონდა,

34. და შეაბა მას როჭიკი მარადის, და მოუვიდოდა მას მეფისაგან ბაბილოვნელთაჲსა დღითი დღედ მიდღედმდე სიკუდილისად [ფ. 86] ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა.

G

32. და ეზრახა მას ტკბილად და მისცა საყდარი მისი ზეშთა საყდრებსა მეფეთა მისთანათასა ბაბილონს შინა.

33. და უცვალა სამოსელი პყრობილებისა მისისაჲ და ჭამდა პურსა მარადის წინაშე პირსა მისსა ყოველთა დღეთა, რომელთა ცოცხალ იყო.

34. და ჭამადი მისი, ჭამადი მიმდემადი მიეცემოდა მას მეფისა მიერ ბაბილონისა დღისაგან დღისადმი ვიდრე დღისამდე, რომელსა მოკუდა ყოველთა დღეთა სიცოცხლისა მისისათა.

---

32. უზეშთაესი] ზეშთა O. მეფისათა J, მეფჱთაჲსა O. 33. მას] — O. „ჭამდა“-ს ანი ჩამატებულია J-ში. დღჱთა JO. მისთა] — O. რავდენ O. ცხონდა O. 34. მოვიდოდა O. მას მეფისაგან] მეფისა O. ბაბილონელთაჲსა O. მიდღედმდე სიკუდილისად] ვიდრე სიკუდილდმდე O. დღჱთა JO. მისისათა] + წინაწარმეტყუელებაჲ იერემიაჲსი, თავი რ, მუჴლი ჳ̃ტ ყ̃ჩ J, ~ მუჴლი ჳ̃ტ ყ̃ე, თავი რ O.

32. ტკბილად] ტკბილთა GW. 34. დღისამდე W.

ლექსიკონი

ლექსიკონი სრული არ არის. მასში უმთავრესად განმარტებულია ძნელად გასაგები სიტყვები. ყოველ განსამარტავ სიტყვას მითითება ახლავს, თუ ადგილიდან და რომელი ვერსიიდან არის მოყვანილი (უმნიშვნელო ფორმობრივი სხვაობანი ზოგჯერ მხედველობაში არაა მიღებული ვერსიებზე მითითებისას). განსამარტავ სიტყვასთან ხშირად არის მოყვანილი ციტატი ტექსტიდან. ციტატს ვერსიაზე ცალკე მითითება არა აქვს, როცა ის J-დან არის დამოწმებული, სხვა შემთხვევაში მითითებულია OG (W)-ც.

როცა სიტყვას ერთზე მეტი დამოწმება ახლავს, ვერსიის აღმნიშვნელი ლიტერები დამოწმებათა ბოლოს არის მიწერილი (მაგ. **არგანი** 1,11; 48,17 JOW).

განსამარტავ სიტყვასთან შეძლებისამებრ მითითებულია, იხმარება თუ არა ის ებრაულში, ბერძნულსა და სომხურში. ასეთ შემთხვევაში სიტყვა იმ ფორმით მოგვყავს, რომელიც მას გააჩნია ზემოდასახელებულ ენებში, და ეს უცხო ფორმა უშუალოდ მოსდევს განსამარტავ სიტყვას, დამოწმებას წინ უსწრებს. განმარტების ნათელყოფის მიზნით ზოგჯერ მოგვყავს განსამარტავი სიტყვის ფარდი ებრაული, ბერძნული და სომხური წყაროებიდან და იგი დამოწმების შემდეგ არის მიწერილი. მაგ., განმარტებულია: **პატნეზი** (*պատնէշ*) 33,4 W (*մահարձան*) ქონგურიანი ზღუდე, სიმაგრე. აქ აღნიშნულია, რომ „პატნეზი" სომხურშიც იხმარება (*պատնէշ*), მაგრამ წყაროში მის ნაცვლად სხვა სიტყვაა (*մահարձան*).

ქართულ-ბერძნული ან ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვების წარმომავლობას არ ვეხებით, ისევე როგორც არ ვეხებით ქართულში დამკვიდრებულ სხვა უცხო სიტყვათა მომდინარეობას, რადგან ასეთი ეტიმოლოგიური ძიება ჩვენს მიზანს სცილდება.

ებრაულიდან მომდინარე სიტყვები ცოტაა ჩვენს ძეგლში. ამიტომ მათთან ყოველთვის ვუთითებთ: გეზენიუსი, რომელიც აღნიშნავს; W. Gesenius, Hebräisches und Aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament, Leipzig, 1915.

ბერძნული და სომხური ლექსიკონებიდან ვიყენებთ შემდეგს: Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, II, Москва, 1958; Армяно-русский словарь, А. Худабашева, т. I, II, Москва, 1838.

გათვალისწინებული და სათანადოდ გამოყენებულია ძველი ქართულის შესახებ არსებული ყველა მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი.

ა

აგარაკ-ი 4,17 JOW (*ագարակ*) საყანე მიწა, ყანა.

ადამანტ-ი O, **ადამანტინ-ი** GW 17,1 (ἀδαμάντινος) ალმასი; „ცოდვაჲ იუდაჲსი დაწერილ არს წიგნთა შინა ფრჩხილითა ადამანტინისაჲთა“.

ადრე 48,16 JO ჩქარა.

ავაზაკ-ი 7,11 JOW (*աւազակ*) ყაჩაღი, ბოროტმოქმედი.

ავლ-ი 48,36 W (ὁ αὐλός) საყვირი: „ვითარცა ავლი, ოხრიდეს“.

აზნაურ-ი 29,2 JOW (*ազատ*) თავისუფალი, კეთილშობილი, მაღალი წრის წარმომადგენელი.

ალდატ-ი 17,6 GW (*աղտաղտ*) მარილიანი, მწირი ნიადაგი: „დაეშენოს ალდატსა, ქუეყანასა უდაბნოსა“. ნ. ბიცოიან-ი.

ალიზ-ი 43,9 JOW (*աղիւս*) გამოუწვავი აგური.

ალმურ-ი 23,12 GW ნისლი: „ამისთჳს იქმენინ გზაჲ მათი მათდა საბრჯე ალმურსა შინა“.

ამაოება (*ամայանալ*), **ა-2** 23,16 GW (*զրաբանել*) თვალთმაქცობა, მოტყუება: „ნუ ისმენთ სიტყუათა წინაჲსწარმეტყუელთასა, რომელნი გიწინაჲსწარმეტყუელებენ თქუენ, რამეთუ გაამაოებენ თქუენ იგინი“.

ამბოხ-ი (*ամբոխ*) 49,2 J (*գոյժ*) ხმაური, შფოთი: „ამბოხი ბრძოლისაჲ“.

ამპარტავან-ი 43,2 JOW (*ամբարտաւան*) უტიფარი, ქედმაღალი.

ამპარტავნება 48,25 JO ქედმაღლობა, ყოყოჩობა: „ამპარტავნებაჲ მისი შეიმუსრა“.

ანდერძ-ი 11,6 W აღთქმა; მოძღვრება.

ანდერძება, ი/უ-3 38,40 W აღთქმა (завещать): „უანდერძო მათ ანდერძი საუკუნოჲ“.

ანეულ-ი 4,3 W „ზაფხულის ნაჴნავი“ (საბა). ნ. თერძული.

ანეულება, ი-2 4,3 W მიწის საზაფხულო ხვნა: „იანეულენით თავთა თჳსთად ანეულნი“. ნ. თერძვა.

ანკანაკობა 16,8 GW (πότης; *ըմպելի*) ქეიფი, ღრეობა: „სახიდ ანკანაკობისა მათისა არა შეხჳდე“. 5. ტოზიკობა.

აპაურ-ი 2,20 JOW აპეური.

არგან-ი 1,11; 48,17 JOW ჯოხი. კვერთხი.

არდაბაგ-ი 5,10 JO (ἡ ἔπαλξις; *մահարձան*) ქონგურიანი ზღუდე. სიმაგრე: „აღჴედით ზედა არდაბაგებსა მისსა და გარდაარღჳეთ“. ნ. კაცისთავოანი, და[რ]-ეფანი.

არე 5,24 J. (ὁ θερισμός, *հնձել*) მკა: „ბრძანებანი არეთანი დაგჳმარხნა ჩუენ“.

არწივ-ი 4, 13; 48, 40 W (*արծիւ*)

ასიდა 8,7 W (ḥasīdā[1], ἡ ἀσίδα) ყარყატი.

აღდება ი/უ-3 43,12 JO ანთება, მოკიდება ცეცხლისა: „აღუდვას ცეცხლი სახლებსა“.

აღებულ-ი 5,16 JOW ღია, თავახდილი, დაუხურავი: „კაპარჭნი მათნი, ვითარცა სამარე აღებული“.

აღზელა 1,5 W ჩასახვა: „პირველ ჩემგან აღზელა[მ]დე მუცელსა შინა, გიცი შენ“.

---

[1] გეზენიუსი, გვ. 247.

აღთუალვა, ი ვნ. 33, 32 W დათვლა, აღრიცხვა: „ვერცა აღითუალვის ქჳშაჲ ზღჳსაჲ“. ნ. აღწყვა.

აღმმართებელ-ი 50,32 JOGW ამყენებელი, აღმდგენი: „დაეცეს, და არავინ იყოს აღმმართებელ მისა“.

აღმმსთობ-ი 35,14 W ადრე ამდგომი და წამსვლელი.

აღმომრთმელ-ი 33,18 W მიმრთმევი, შემწირველი: „არა მოაკლდეს... აღმომთმელი ყოვლად-დასაწუველისაჲ“.

აღმოსავალ-ი 23,5 JOGW (*ἡ ἀνατολή*; *ծագումն*) მოდგმა, ნაშიერი: „აღუდგინო დავითს აღმოსავალი მართალი“.

აღმოშრეტა, 0-2 52,11 JO თვალის დავსება, დაბრმავება. [ნაბუქოდონოსორ] „თუალნი სედეკიაჲსნი აღმოჰშრიტნა“.

აღმოჭრა, ი ვნ. 44,8 W (ფეხის) ამოკვეთა, მოსპობა: „შეხუედით მსხემობად მუნ, რაჲთა აღმოიჭრნეთ“.

აღმსთობა, ი უობ. 7,13 JO დილით ადრე ადგომა და წასვლა: „აღვიმსთობდი და გეტყოდე თქუენ“. აღმსდობა 41,10 J.

აღმრაცხველ-ი 33,13 J დამთვლელი, აღმრიცხველი.

აღნადგინებ-ი 9,6 JO სარგებელი, პროცენტი. ნ. ვახშ-ი.

აღრაცხვა, ი ვნ. 33,22 JOW დათვლა, აღრიცხვა: „ვერ აღირაცხოს ძალი ცისაჲ“.

აღრწმუნება, ა-2 29,8 W შეცდენა, სიცრუეში კაცის დაჯერება: „ნუ აღგარწმუნებენ თქუენ ცრუ-წინაჲსწარმეტყუელნი“.

აღსაბურველება, ა-2 13,26 W საბურველის ახდა, ე. ი. გამოჩინება: „მეცა აღვსაბურველნე უკუანა კერძონი შენნი“.

აღსაპყრობელ-ი 52,18 JO აქანდაზი (ნაღვერდლის ან ნავვის ასაღები პატარა ნიჩაბი).

აღსაჭრელ-ი 17,3; 50,37 JO გასატაცებელი, წასაგლეჯი. 15,13 JO: „საფასენი შენნი აღსაჭრელად მივსცნე“.

აღსრულება, ა-2 5,3 JO მოკვლა, მოსპობა: „აღასრულენ იგინი“.

ე 11,22 JOW: „ასულნი მათნი სიყმილითა აღესრულნენ“.

აღსტრიობა 50,11 O ნ. ტრიობა, მიტრიონება.

აღტეხა 14,19 JO შფოთი.

აღტყდომა, ა-დ 7,20 JO ცეცხლის მოკიდება, ანთება: „აღატყდეს და არა დაშრტეს“.

აღტყენა, ე 44,6 W ანთება: აღეტყინა ცეცხლი ბჭეთა შორის“.

აღტყინება, ა-2 7,18 W: „მამანი მათნი აღატყინებენ ცეცხლსა“. ნ. აღტყდომა, აღტყენა.

აღტყინებულ-ი 15,14 JO ანთებული, აალებული: „ცეცხლი აღტყინებულ არს“.

აღტყუელვა, ი უობ. 5,22 W აზვირთება: „აღიტყუელონ ღელვათა მისთა“. ნ. ტყუელვა.

აღფოლხუებულ-ი 5,27 W მოშვებული: „მახე აღფოლხუებული“.

აღქავება, ი/უ-2 19,3 JO აწივლება (ყურისა): „ყოველსა, რომელსა ესმეს იგი, აღუქავნენ ყურნი მისნი“.

აღცდა, 0-2 9,16 JO მოსპობა, განადგურება: „მოვავლინო მათ ზედა მახჳლი, ვიდრემდის არა აღვცადნე იგინი მას შინა“.

აღძრვა, ი ვნ. 5,22 JOW აღელვება: [ზღუაჲ] „აღიძრას“.

12,5 JO წყალდიდობა: „ვითარ-მე ჰყო აღძ[რ]ვასა იორდანისასა?“ ნ. ძრვა.

---

[1] გეზენიუსი, გვ. 247.

აღწყვა, ი ვნ. 33,22 JO დათვლა, გამოანგარიშება: „ვერცა აღიწყოს მქჳშაჲ ზღჳსაჲ“ ნ. ა ღ თ უ ა ლ ვ ა.

აღხილვა, ი-2 50, 26 J გამოძიება, შემოწმება: „განახუენთ საუნჯენი მისნი, ა ღ ი ხ ი ლ ე თ იგი, ვითარცა ქუაბი“.

აღხუმა, ა) ი-2 10,5 JOW აღება (პირ. ობ. მრავლობითშია): აღებით ა ღ ი ხ უ ნ ი ა ნ იგინი“.

ბ) 3,2 W გაღება, გახსნა, გახელა (თვალებისა): „ა ღ ი ხ უ ე ნ თუალნი შენნი“.

აღჯუარდვა 31, 28 W ამოგლეჯა, ამოძირკვა, ამოგდება: „ვილვძებდ მათ ზედა აღფხურად და ა ღ ჯ უ ა რ დ ვ ა დ და დარღუევად“.

აჩრდილ-ი 6,4 JW ჩრდილი.

აწ 27, 16 JOGW ახლა.

ახ, 0-1 35, 4 O ახლოს ყოფნა, ახლოს მდებარეობა: „შევიყვანე სახლსა უფლისასა, რომელ ა ხ ს სახლსა მთავართასა“. ნ. მ ო ა ხ, მ ო ა ხ ლ ო ბ ე ლ ე ბ ა.

ბ

ბაგინ-ი 7,31; 11,13 JO (*բագին*) საკერპო (შენობა). ნ. ბ ო მ ო ნ -ი.

ბაგის-ყოფა, ი/უ-(3)2 38, 19 JO აბუჩად აგდება, ტუჩების აბზუება: „ნუუკუე მიმცენ მე ჯელთა მათთა და ბ ა გ ე ს-მ ი ყ ო ფ დ ე ნ მე“.

ბადე-ჲ 52,22 W (δίκτυον, τό *վանդակապատ*) მავთულისაგან დამზადებული ბადურა, რომელიც სარკმელს უკეთდება გარედან. ნ. კ ა ნ კ ე ლ ი.

ბავთ-ი (*բաւթ*) 31,15 W (*զաւթաւն*) ცუდი ამბავი. ნ. მ ე ბ ა ვ თ ე ჲ.

ბავრუკ-ი (*բորակ*) 2,22 JOW (*բաւրակ*; νίτρον, τό) მინერალური ტუტე მარილი, რომელიც გამოიყენებოდა საპნის დასამზადებლად და საპნის მაგივრადაც: „გან-თუიბანო ბ ა ვ რ უ კ ი თ ა“.

ბაზმაკ-ი (*բազմակ*) 25,10 GW (*ճրագ*) სანათი, ლამპარი.

ბგერა, 0-1 31, 35 W ხმაურობა, შფოთვა: „ბ გ ე რ ე დ ღელვანი მისნი“.

ბებკულ-ი 38, 11 W ქსოვილის ძველი ნაჭერი, ძონძეული.

ბერვა ნ. დ ა ბ ე რ ვ ა, ს ა ბ უ რ ვ ე ლ-ი.

ბეჭდვა ნ. დ ა ბ ე ჭ დ უ ლ ი, ნ ა ბ ე ჭ დ ა ვ-ი.

ბზე-ჲ 23,28 JGOW ხორბლეულ მცენარეთა ნალეწი, ჩალა.

ბილწ ი 7,30 JO (*պիղծ*) უწმინდური, საძაგელი.

ბიცოან-ი 17,6 **JO** მარილიანი, მწირი, უნაყოფო (ნიადაგი): „დაეშენოს იგი ბ ი ც ო ა ნ ს ა, ქუეყანასა უდაბნოსა“. ნ. ა ლ დ ა ტ-ი, გ ა ნ ბ ი ც ე ბ ა.

ბნევა ნ. გ ა ნ ბ ნ ე ვ ა.

ბობლან-ი 31,4 JOW (*թմբուկ*; τύμπανον, τό) დოლი (?).

ბოლბოლება 13,27 J (*բորբոքիլ*) ჭიხვინი. **გადატ** ძლიერი სქესობრივი აღგზნება: „მრუშებაჲ შენი და ბ ო ლ ბ ო ლ ე ბ ა ჲ შენი“

ბომონ-ი 7,31; 11,13 W (ὁ βωμός) საკერპო, კერპთსალოცავი. ნ. ბ ა გ ი ნ-ი.

ბორგ ნ. გ ა ნ ბ ო რ გ ა, მ ბ ო რ გ ე ლ-ი.

ბორკილ-ი ნ. ჯ ე ლ-ბ ო რ კ ი ლ-ი.

ბორობან-ი 17,8 P დიდი, ხშირფოთლებიანი ტოტებგაშლილი ხე.

ბოროტ-ი ნ. მ ბ ო რ ო ტ ე ბ ე ლ ი.

ბრალ-ი 16,10 JO დანაშაული; „რაჲ არს ბ რ ა ლ ი ჩუენი“.

ბრდღუენა, ი უობ. 2,15 JO ღმუილი, ღრიალი: „მის ზედა ი ბ რ დ ღ უ ე ნ დ ე ნ ლომნი“.

ბრპენ-ი 6,29 JOW ტყვია.

ბრძმედ-ი 36,23 J ღუმელი. ნ. კ ე რ კ-ი.

ბრძოლა ნ. დ ა ბ რ ძ ო ლ ე ბ ა, მ ბ რ ძ ო ლ-ი, წ ი ნ ს ა ბ რ ძ ო ლ-ი.

ბრძჳლვა ნ. შ ე ბ რ ძ ჳ ლ ვ ა, შ ე ბ რ ძ ჳ ნ ე ბ ა.

ბრწამლ-ი 46,14 GW (ἡ σμίλαξ; *ուռ*) ურთხელი (?).

ბუდე-ჲ ნ. მბუდებელ-ი, მებუდარი.

ბურვა ნ. საბურველ-ი, აღსაბურველება.

ბღუარ-ი ა) 13,19 JOW (ὁ νότος) სამხრეთი; ბ) 25,9 GW (ὁ βορρᾶς; *Հիւսիս*) ჩრდილოეთი.

ბძარვა ნ. განბძარვა. განსაბძარველ-ი, დამბძარველი.

ბჭე-ჲ 1,15, 14,2 JOW კარი, შესასვლელი.

გ

გ სტატ. 32,14 W არსებობა, ყოფნა: „რაჲთა ეგენ ვიდრე დღეთამდე მრავალთა".

გაგონება 31,33 W (ἡ διάνοια) გონება, ცნობიერება.

გასახლება 28,4 GW (ἡ ἀποικία) ტყვედ წაყვანა. შდრ. განსახლვა.

გამოკუეთა, 0-2 48,2 JO მოწყვეტა, გამოთიშვა: „მოვედით და გამოვჴკუეთოთ იგი თესლთაგან".

გამონახეთქ-ი 46,20 GW (ἀπόσπασμα, τό) ნაჭერი, ნახეთქი (?), **გადატ**: მოსპობა, განადგურება: „გამონახეთქი ჩრდილოჲთ მოვიდა მის ზედა".

გამორჩევა, ი-2 33,24 JOW: „ორნი ესე ტომნი, რომელ გამოირჩინა უფალმან მათ შინა.

გამოსავალ-ი 7,17 JO ქუჩა, გზა (?).

გამოტორანტოსებულ-ი 10,9 J გამოჭედილი: „ვეცხლი გამოტორანტოსებულ არს" (τορευτόν ἐστιν) ნ. წახნაგებულ-ი

გამმსუენე 31,9 W მანუგეშებელი, მომსვენებელი.

გამოუცდელ-ი 6,30 JOW გაუფასურებული: „ვეცხლ გამოუცდელ უწოდეთ მათ."

გამოუცდელება, ა-2 7,29 W გაუფასურება, უგულებელ-ყოფა: „აგამოუცდელა უფალმან და განიშორა ნათესავი".

გამოხუმა, ი-2 8,1 JOW გამოღება, გამოტანა (ობ. მრავლობითშია): „გამოიხუნენ ძუალნი მეფეთა იუდაჲსთანი.

განბნევა, ი ვნ. 10,21 JOW გაფანტვა: „განიბნინეს".

განბორგვა, 0-1 25,16 JOGW აღშფოთება აღელვებისაგან ცნობიერების დაკარგვა: „სუან და წარმოსთხიონ და განბორგნენ პირისაგან მახჳლისა".

განბძარვა 15,3 W გაგლეჯა, გაწეწვა: „ძაღლნი განბძარვად მიმართ".

განბიცება 48,31 W ნიადაგის სიმწირე. ნ. ბიცოან-ი.

განგარეება, ა-2 23,2 GW გაგდება: „თქუენ განაბნიენით ცხოვარნი ჩემნი და განაგარეენით იგინი". ნ. განმაგარეებელ-ი.

განგება, ა-2 33, 25 JO დაწესება, დაკანონება: „განწესებაჲ ცისაჲ და ქუეყანისაჲ არა განმიგიეს".

განგლორწნილ-ი 22,14 JO შელებილი: „ქორები, მოფიცრული ნაძვთა, განგლორწილი წარნაქითა".

განდრეკა 29,32 JOW გადახვევა, გადადგომა, გადგომა (отступление): „რამეთუ განდრეკასა იტყოდა უფლისათჳს".

განვლინება, ა-2 3,1 W გაშვება: „უკუეთუ განავლინოს ქმარმან ცოლი თჳსი".

განვრდომილ-ი 22,30 JO გაგდებული, გაკიცხული: „დაწერე კაცი ესე განვრდომილად კაცად, წარმოუმართებელად კაცად".

განზოგება 17,11 JOGW განახევრება. 15,9: „განზოგებასა ოდენ დღისასა" (=შუადღისას).

განთესვა, 0-2 15,7 JOGW გაფანტვა, გაბნევა: „განვსთესნე იგინი განბნევით ბჭეთა ზედა. 30,17 W: განთესულ-ი გაბნეული, გაფანტული.

განთხევა, 0-2 7,15 JO გაფანტვა, გაბნევა: „განგთხინე თქუენ პირისაგან ჩემისა, ვითარცა განვსთხიენ ძმანი თქუენნი".

განკაფა, 0-2 3,24J დაუძლურება, დალევა: „სირცხვლმან განკაფნა შრომანი მამათა ჩუენთანი". 23,9 J: განკაფულ-ი დაუძლურებული.

განკერძება, ი-2 12,14 W განაწილება, წილად რგება: „განვიკერძე ერი ჩემი ისრაელი".

განკითხვა 30,11 JO განსჯა, გასამართლება: „განგსწავლო შენ განკითხვით".

განკორდებულ-ი 2,31 W: „ქუეყანა განკორდებულ" დაუმუშავებელი მიწა. ნ. დაყამირებულ-ი.

განკურნება 19,11 JOGW გამთელება: „შეიმუსრის ჭურჭელი კეცისაჲ, რომელ ვერღარა შესაძლებელ არნ განკურნებად".

განლევა, 0-2 3,24 W გაცვეთა, დალევა: „ხოლო სირცხვლმან განლინა რუდუნებანი მამათა ჩუენთანი".

განლტოლვილ-ი 44,14 W გაქცეული, ოტებული.

განმაგარეებელ-ი 49,36 GW გამგდები. ნ. განგარეება.

განმართება JW, განმარტება O 7,3 გასწორება, გამართვა;

0-2: „განჰმართენთ გზანი თქუენნი".

ი-2 48,40 O: „განიმართნეს ფრთენი თჳსნი".

განმაყენებელ-ი 7.33 JO განმაშორებელი.

განმარჯუება 13,10 JO მისწრაფება, წადილი: „ვლენან განმარჯუებასა გულისა მათისა უკეთურისასა".

განმზელელ-ი 33,2 W გამომყვანი, მომწყობი: „ესრე თქუა უფალმან, შემქმნელმან ქუეყანისამან და განმზელელმან".

განმ[მ]არტებელ-ი 48,10 W მომშორებელი, განმარიდებელი: „წყეულ იყავნ განმ[მ]არტებელი მახჳლისა მისისაჲ სისხლისაგან".

განმრყუნელ-ი 48,18 JOW მომსპობი, გამანადგურებელი: „აღვიდა შენდა განმრყუნელი სიძნელეთა შენთა".

განმფიწლავ-ი 31,10 W გამბნევი, გამფანტველი: „განმფიწლავმან ისრაილისამან შეკრიბოს იგი".

განმწარება, ა-2 32,29 JO განრისხება: „უზორვიდეს საზორველსა ღმერთთა სხუათა, რაჲთამცა განმამწარეს მე".

ი/უ-დ 3,14 JO: „განუმწარდეს მთავარნი იგი იერემიას".

განპოხება, ნ ვნ. 5,28 J გასუქება: „განსუქნეს და განპოხნეს".

განრთხმა, ი-2 6,12 W გაშლა: „განვირთხამ ჴელსა" ხელს მივჰყოფ.

განრინება ა-2 21,12 JOGW დახსნა, გადარჩენა: „განარინეთ მიტაცებული ჴელისაგან მავნებელისა მისისა". 44,28 JOW: განრინებული გადარჩენილი.

განრომა, ა) **ე** 4,14 JO დახსნა, გადარჩენა: „განიბანე უკეთურებისაგან გული შენი, იერუსალჱმ, რაჲთა განერე". ბ) 18,4 JO დავარდნა, (დამსხვრევა): „განერა ჭურჭერი იგი, რომელსა იქმოდა თიჴისაგან ჴელთა შინა მისთა, და კუალად შექმნა იგი ჭურჭრად სხუად" O.

განრყუნილ-ი 13,7 JO გაფუჭებული.

განსაბძარველ-ი 15,3 JO გასაგლეჯი.

განსათესველ-ი 34,18 W გასაფანტავი.

განსამწარებელ-ი 32,29 W გასარისხებელი.

განსარყუნელ-ი 34,22 JO წასახდენი, დასაღუპავი.

განსაქარვებელ-ი 25,11 GW გასანიავებელი, გასანადგურებელი: „იყოს ყოველი ესე ქუეყანაჲ განსაქარვებელად".

განსაქიქებელ-ი 13,22 W გამოსაჩენი, გამოსააშკარავებელი: „აღგესაბურველნეს უკუანა კერძონი განსაქიქებელად ქუსლთა შენთა".

განსახლვა 32,44 W ტყვედ წაყვანა შდრ. გ ა ს ა ხ ლ ე ბ ა.

განსაჯრწნელ-ი 5,26 JW დასაღუპავი: „მახჳ დაარწყუეს გ ა ნ ს აჯ რ წ ნ ე ლ ა დ კაცთა".

განსწავლა, 0-2 30,11 JO დასჯა: „გ ა ნ გ ს წ ა ვ ლ ო შენ განკითხვით".

განტაფვა, 0-2 29,22 W დაწვა: „რომელნი გ ა ნ ტ ა ფ ნ ა მეფემან ბაბილოვნისამან ცეცხლისა მიერ".

განტევება, ი/უ-2 3,1 JO გაშვება: „გ ა ნ უ ტ ე ო ს კაცმან ცოლი თჳსი". 3,8 JOW: წ ი გ ნ ი გ ა ნ ტ ე ვ ე ბ ი ს ა განქორწინების საბუთი.

განტისნა, 0-2 43,12 JO გაძარცვა (?) (შესაძლოა, ეტიმოლოგიურად იგივე იყოს, რაც: ტ ი ზ ვ ნ ა „განკრება ტილთა" — საბა). „გ ა ნ ტ ი ს ნ ო ს ქუეყანაჲ ეგჳპტისაჲ, ვითარცა გ ა ნ ტ ი ს ნ ი ს მწყემსმან სამოსელი თჳსი".

განფიცხება, 0-2 7,26 JO გამაგრება, გაუხეშება: „გ ა ნ ფ ი ც ხ ნ ე ს ქედნი მათნი".

განქარვება, ა-2 14,21 JOW გაქარწყლება: „ნუ გ ა ნ ა ქ ა რ ვ ე ბ აღთქუმასა შენსა".

განყოფა, 0-2 1,9 W გაშლა: „განყო უფალმან ჴელი".

განშოვლება 15,9 GW: „გ ა ნ შ ო ვ ლ ე ბ ა ს ა დღისასა" შუადღისას.

განძირვა, ი ვნ. 12,2 W ძირის, ფესვის მომაგრება, განმტკიცება: „დაჰნერგენ იგინი და გ ა ნ ი ძ ი რ ე ს".

განძვნება 32,37 W გამძვინვარება.

განწყობა, ე 50,14 JO საბრძოლველად დარაზმვა: „გ ა ნ ე წ ყ ვ ე ნ ი თ ბაბილონსა ზედა". ნ. დ ა მ წ ყ ე ბ ი.

განჭრა, ი-ვნ. 4,19 W: „სული ჩემი გ ა ნ ი ჭ რ ე ბ ი ს" ჩემი სული ძლიერ წუხს.

განხრწნილება 51,8 GW წყლული: „დასდევით რიტინე გ ა ნ ხ რ წ ნ ი ლ ე ბ ა ს ა მისსა".

განხუმა, ი-2 17, 8 GW: „ნოტიასა ზედა გ ა ნ ი ხ უ ნ ე ს ძირნი მისნი" ნოტიოში გაიდგნენ ძირები (ფესვები).

განჴდა, 0-2 8,3 W გაგდება: „განვჴადნე იგინი მუნ".

განჴმობა, ა-2 51,36 JOGW გაშრობა: „გ ა ნ ვ ა ჴ მ ო წყაროჲ მისი" G.

გარდამოთხევა, 0-2 13,17 JO გადმოღვრა: „გ ა რ დ ა მ ო ს თ ხ ი ნ ე ს თუალთა თქუენთა ცრემლნი" O.

გარდართხმა, ა-(3)2 10,12 JOW გაშლა, გადაჭიმვა: „გულისხმითა თჳსითა გ ა რ დ ა ა რ თ ხ ა ცაჲ".

გარდასხმა, ი-2 6,26 JOW გადაყრა: „გ ა რ დ ა ი ს ხ ნაცარ".

გარდაცუმა მშჳლდისა, ა-2 46,9 JO მშვილდის მოზიდვა, მოჭიმვა: „გ ა რ დ ა ა ც უ თ მ შ ჳ ლ დ ს ა" O. ნ. მ ო რ თ ხ მ ა მ შ ჳ ლ დ ი ს ა.

გარდაცუმულ-ი მშჳლდ-ი 4,29 JO (სასროლად) მოზიდული, მოჭიმული მშვილდი. ნ. მ ო რ თ ხ მ უ ლ ი მშჳლდი.

გარდაჴდომა, 0-1 5,22 JO გადასვლა, გადაკარგვა: „არა გ ა რ დ ა ჴ დ ე ს იგი".

0-2 JO: „ვერ გ ა რ დ ა ჰ ჴ დ ე ნ მას". ნ. ჴ დ ო მ ა.

გარე ნ. გ ა ნ გ ა რ ე ე ბ ა, გ ა ნ მ ა გ ა რ ე ე ბ ე ლ ი.

გარე-მიქცევა, ი ვნ. 3,19 JO უკან მიბრუნება, წასვლა: „ჩემგან ნუ გ ა რ ე-მ ი ი ქ ც ე ვ ი თ".

გარემოდგომილება 19,9 GW ალყის შემორტყმა, შევიწროება.

გარემოცვულება 19,9 GW ალყის შემორტყმა, შევიწროება.

გარემოკუეცილ-ი 9,26 W ნ. წ ი ნ ა მ ი კ უ ე ც ი ლ-ი.

გარემოპატნეზება, 0-2 52,4 W ქონგურებიანი სიმაგრის შემოვლება: „გ ა რ ე მ ო ა პ ა ტ ნ ე ზ ა იგი (იერუსალიმი) და გარემოაშენა მას". ნ. პ ა ტ ნ ე ზ ი

გარნა 10,24 OW მაგრამ.

გაძნელება, ი ვნ. 51,53 O გამაგრება, განმტკიცება: „განიძნელოს სიმაღლჱ იგი სიმტკიცისა მისისაჲ". ნ. ძ ნ ე ლ-ი.

გდება ნ. დაგდება.

გება, ი/უ-(3)2 1,16 W მსხვერპლის შეწირვა: „უგეს ღმერთთა უცხოთა“.

ი/უ-3 32,29 W: „უგებდეს საგებთა ღმერთთა სხუათა“. შდრ. მიგება, მისაგებელი, ნაცვალგება.

გზა-ჲ ნ. საგზაურ-ი.

გინება 50,32 JOGW ამპარტავნობა, უტიფრობა: „მოუძლურდეს გინებაჲ იგი შენი და დაეცეს“. 13,26 JOW: გინებულება.

გინცობა, 0-2 44,14 J იმედოვნება: „მოიქცეს ქუეყანად იუდაჲსა, რომელსა ზედა იგინი გინცობენ“.

გიობა 20,10 GW ძაგება, გინება. ნ. საგიობელ-ი.

გლახაკ-ი 5,4 JOW ღარიბი. ნ. დაგლახაკება, სიგლახაკე-ჲ.

გლისპ-ი 25,23 GW ურცხვი.

გლორწნა ნ. განგლორწნილ-ი.

გოდოლ-ი 31,38 JOW კოშკი.

გოდორ-ი ნ. საგოდორებელ-ი.

გრიგალ-ი 25,32 GW ძლიერი ქარი.

გრიკ-ი 17,6 JOGW (ἡ μυρίκη) მანანა, ერიკა: ბუჩქოვანი მცენარე, რომელიც ჭაობიან ნიადაგზე ხარობს (вереск).

გრილ-ი ნ. საგრილ-ი.

გრძნობა, ა-2 38,24 JO შეტყობა, გაგება: „კაცი ნუ აგრძნობნ სიტყუათა ამათგანსა.

გუალ ნ. მიგუალ, წარგუალ.

გუამოვნება 23,22 GW არსება (?): „და თუმცა დგეს გაუმოვნებასა ჩემსა შორის..., ასწავებდესმცა ერსა ჩემსა.“

გუერდის თხრა 2,34 JO: „არათუ გუერდის თხრასა ვპოვენ იგინი, არამედ ყოველთა თანა მუხათა“ არა გვერდიდან შეთხრილში (გამოქვაბულში?) ვიპოვე ისინი, არამედ მუხებთან ...ἐν διορύγμασιν εὗρον ’ի վիհս գտի).

გულის-თქუმა 2,24 JOW სურვილი.

გულის-სათქუმელ-ი 12,10 JOW სასურველი, საწადელი, საყვარელი.

გულის-სიტყუა-ჲ 4,14 W (ὁ διαλογισμός; խորհուրդ) განზრახვა, ფიქრი: „ვიდრემდის არიან შენ შორის გულის-სიტყუანი ტკივილად შენდა“.

გულის-წყრომა-ჲ 2,35 JOW განრისხება.

გულისხმის-ყოფა, 0-2 3,13 O გაგება, მიხვედრა: „გულისხმა-ყავ უშჯულოებაჲ შენი“. 4,22 W: „გულისხმის-მყოფელ-ი გამგონი, მიმხვედრი.

გუ᾽დრუკ-ი (կնդրուկ) 6,20 JOW խունկ) საკმეველი.

გურემა ნ. დაგურემულ-ი.

გურინვა W 9,20 (ὁ οἶκτος ձայն) ხმამაღლა ტირილი, მოთქმა: „ასწავეთ ასულთა თქუენთა გურინვაჲ. ნ. ჴმა-ჲ.

დ

დაბადება, 0-2 33,2 JO შექმნა: „ესრე თქუა უფალმან, რომელმან დაჰბადა ქუეყანაჲ“.

დაბერვა, 0-2 51,27 JO ჩაბერვა, დაკვრა: „დაჰბერეთ ნესტუსა წარმართთა შორის“.

დაბეჭდულ-ი 32,11 JOW დამტკიცებული: „დაბეჭდული იგი მცნებაჲ“.

დაბნევა ნ. მიმოდაბნეულ-ი.

დაბრძოლება, ა-2 18,18 GW: „მოვედით და დავაბრძოლოთ იგი ენისა მიერ“ მოდით, ენით (სიტყვებით) დავკოდოთ იგი.

დაგდება, ა-2 12,7 W დატოვება, რამეზე ხელის აღება: „დავაგდე სამკვდრებელი ჩემი“.

დაგლახაკება. 6 ვნ. 4,13: 10,20 JO დაბეჩავება, დაღარიბება: „ვაჲ ჩუენ, რამეთუ დავგლახაკენით“. „კარავი ჩემი დაგლახაკნა“. ნ. გლახაკ-ი.

დაგურემულ-ი 37,9 W გაჭრილი.

დადება, 0-2 1,18 JOW დადგინება, დანიშვნა: „და მე ესერა დაგდევ შენ დღეს-დღე“.

დადგომილ-ი 5,27 J. დადგმული, დაგებული: „ვითარცა მახჱ დადგომილი“.

დადგრომა, ა-1 37,12 JO გაჩერება, დადგომა, დაბინავება: „იყო მუნ კაცი ერთი, რომლისა დაადგრის არუი“. ნ. დავანება.

დავანება (შდრ. *վանք*) **ი ვნ.** 37,12 W გაჩერება, დადგომა, დაბინავება: „იქმნა... მუნ კაცი, რომლისასა დაივანის სარუია“. ნ. დადგრომა.

დავრდომილ-ი 22,16 JOGW (*πένης*, *աղքատ*) ღარიბი, ბეჩავი: „საჯა, საშჯელი მდაბლისა და დავრდომილისაჲ“.

დათმობა, ი/უ-(3)2 10,10 JO გაძლება, მოთმენა: „ვერ დაუთმონ ნათესავთა მკსინვარებასა მისსაჲ“.

0-(2)1 32,14 JO: „შთასდვა იგი [წიგნი] ჭურჭერსა კეცისასა, რაჲთა დათმოს დღეთა მრავალთა“ თიხის ჭურჭელში ჩასდებ ნაწერს, რომ დიდხანს გაძლოს.

დათრგუნვა 1,10 O გათელვა.

დათხევა, 0-2 7,6 JOW დაღვრა: „სისხლი უბრალოჲ არა დასთხიოთ“.

ი ვნ. 2,20 W „დავითხიო სიძვისა მიერ ჩემისა“ გარყვნილებაში ჩავეფლობი, სიძვისაგან დავილევი.

დაკრება, ი-2 40,10 JO შეგროვება: „თქუენ დაიკრიბეთ ღვნოჲ, იფქლი და ხილი“.

დაკუეთებულ-ი 19,12 GW დაცემული, განადგურებული.

დალიჭ-ი 35,4 JO (*դահլիճ*) სპეციალური დანიშნულების პატარა ოთახი (საუნჯე?) ტაძარში. ნ. პასტოფორიონი.

დალუკ-ი 30,6 JO (*դալուկն*) სიყვითლე, ზაფრა: „გარდაიქცა ყოველი პირი და დალუკ იქმნეს“. შდრ. დანდალუკი (საბასთან).

დალუკიან-ი 30,6 W ნ. დალუკ-ი.

დამარხვა, ი-2 16,11 OGW შენახვა, დაცვა; „შჯული ჩემი არა დაიმარხეს“ O.

ი ვნ. 3,5 JO: „დ-ა-ნუ-იმარხოსა ძლევად? ნ. დასამარხავ-ი.

დამასპინძლება, ი. უ ო ბ. 51,43 GW დადგომა, დამკვიდრება: „ქუეყანაჲ, რომელსა ზედა არ დაიმკვდროს მის ზედა არავინ კაცმან, არცა დაიმასპინძლოს მათ შინა ძემან კაცისამან“.

დამბძარველ-ი 41,5 W დამგლეჯი, დამხევი.

დამდაბლება, დ-1 4,20 JO დაცემა, გაჩანაგება: „მეყსეულად დამდაბლდა კარავი ჩემი“. ნ. მდაბალი.

დამედგრება, დ-1 8,9 J საქციელის წახდენა-გაფუჭება: „ჰრცხუენა ბრძენთა და შესულბეს და დამედგრდეს“. ნ. მომედგრება.

დამთრვალ-ი 31,12 J აქ: წყლით მაძღარი; მორწყული: „ვითარცა ხჱ ნაყოფიერი და ვითარცა სამოთხჱ დამთრვალი“.

დამოწმების-ყოფა, 0-2 50,29 GW ცნობება, ამბის შეტყობინება: „დამოწმება-ყავთ ბაბილონსა ზედა“.

დამყუენელ-ი 41,5 W მპარსავი. ნ. ყკნულ-ი.

დამწყებ-ი 51,57 GW მებრძოლი: „დამწყებნი მისნი და სპაჲპეტნი მისნი“ ნ. განწყობა.

დანაბვა, ი. ვნ. 8,9 W გატრუნვა: „ერცხვნა ბრძენთა და დაინაბნეს“. 4,25 JO: **დანაბულ-ი** გატრუნული, გარინდული.

დანეშტებულ-ი 50,26 GW დატოვებული, ნარჩენი. ნ. ნეშტ-ი.

დანთქმა GW, დათქმა O, **ი ვნ.** 51,64 ჩაძირვა, დალუპვა: „ესრეთ დაინთქას (დაითქას O) ბაბილონი“.

დაპებულ-ი ნ. კუართ-დაპებულ-ი.

დაპყრობა ა) 32,24 JOW დაუფლება, ღაკავება: „ძჳრი მოწევნულ არს ქალაქსა ამას ზედა დაპყრობად მისა“ O.

ბ) **ი-2** 32,7 JO ყიდვა, შეძენა: „დაიპყარ აგარაკი იგი ჩემი ანათოთისაჲ“.

და[რ]ეფან-ი 50,15 GW (ἡ ἔπαλξις; *մահարձան*) ქონგურიანი ზღუდე, სიმაგრე ნ. არდაბაგ-ი კაცისთავოან-ი.

დარღუევა, ი ვნ. 4,7 W დაქცევა, განადგურება: „ქალაქნი შენი დაირღუენ“.

დარჩოდება 2,36 J გამეორება: „შეურაცხ-ვიყავ ფრიად დარჩოდებად გზათა შენთა“.

დარწყმა მახისა, ა-2 5,26 JOW მახის დაგება: „მახჱ დაარწყუეს განსაკრწნელად კაცთა“.

დასაბამ-ი 2,3 JOW დასაწყისი.

დასაკრებელ-ი 50,26 GW (ἡ ἀποθήκη; *շտեմարան*) საწყობი, სალარო; „განახუენით დასაკრებელნი მისნი“.

დასამარხავ-ი 36,20 W შესანახავი. ნ. დამარხვა.

დასულება, 0-1 51,39 JOGW გაჩუმება: „დავათრვნე იგინი, რაჲთა დასულბენ და დაიძინონ.

დასხმა, ა-(3)2 35,7 JOW: „ვენაჴებსა ნუ დასხამთ“ ვენახებს ნუ ჩაყრით, ნუ დარგავთ.

დაყამირებულ-ი 2,31 JO: „ქუეყანა დაყამირებულ“ დაუმუშავებელი, აუთვისებელი მიწა.

დაყუდება, ე 30,10 OW მყუდრო ცხოვრება: „მოიქცეს იაკობ და დაეყუდოს და განიშუას O.

ნ: „... დაყუდნეს და იკეთილვნებოს“ W.

დაყუენა, ი ვნ. 48,37 JOW გაპარსვა: „ყოველნი წუერნი დაიყჳნნენ“

დაშდომილ-ი J, დაშთომილ-ი O 34,7 დარჩენილი, დატოვებული.

დაშრობა, ა-2 12,5 გარჯა: „ფერჴნი შენნი რბიან და დაგაშრობენ შენ“.

დაშურომა, 0-1 2,24 JOW გარჯა: „ყოველნი, რომელნი ეძიებდეს მას, არა დაშურენ“.

დაცადება, ა-2 12,7 JO დატოვება, ხელის აღება (ПОКИНУТЬ): დაუტევე სახლი ჩემი და დავაცადე სამკჳდრებელი ჩემი“.

51,63 O: „რაჟამს დაასცადო კითხვაჲ წიგნისაჲ ამის,... შთააგდო იგი საშუვალ ევფრატსა“ როცა მორჩები (დაასრულებ) წიგნის კითხვას, ჩააგდებ მას შუა ევფრატში.

დაცუდება, ნ. 14,2 J ამაოდ გახდომა, განიავება, დაღუპვა: „მგლოვიარე იქმნა ჰურიასტანი და ბჭენი მისნი დაცუდნეს“.

დაცხრომა, 0-(2)1: 47,6 JO გაჩუმება, დაწყნარება: „ვიდრემდის არა დასცხრე?“.

42,10 JOW: დაცხრომილ-ი დაწყნარებული.

დაწუთობა, დაწთობა, ა-(3)2 42, 18 JO დაღვრა, დანთხევა: „დავაწთვე რისხვაჲ ჩემი... მკჳდრთა ზედა იერუსალჱმისათა“.

0-(2)1 42, 18 JO: „დასწუთეს გულის-წყრომაჲ ჩემი თქუენ ზედა“ O.

დაწულილება, ა-2 48,12 JW დაპატარავება, დაწვრილმანება: „ჭურჭერი მისი დააწულილონ“ ნამსხვრევებად გადააქცევენ ჭურჭელს.

დაწყლვა, 0-2 49,28 W დაჭრა: „დაწყლენით ძენი კედემისნი“.

დაჴსნა, 0-(3)2 46,15 JOGW დარღვევა; განადგურება, მოსპობა: „უფალმან დაჰჴსნა იგი“.

ი ვნ. 4,20 W: „დაიჴსნნეს ზღუდენი კარვისა ჩემნი“.

დ 49,24 JO: „დაჴსნდა დამასკე“.

დგრომა ნ. დადგრომა.

დება ნ. დადება.

დედა-ჲ ა) 9,17; 9,20 JOW ქალი, დედაკაცი. ბ) 50,12 JOGW დედა.

დედალ-ი 5,8 W ჭაკი (ცხენი): „ცხენებ დედალთ მზორგელ იქმნეს“.

დედა-ჭუავ-ი 50,39 JO სირინოზი. ნ. ს ი რ ი ნ ო ს-ი.

დევნა ნ. წ ა რ მ დ ე ვ ნ ე ლ-ი.

დიაკეულ-ი 46, 20 JOGW დეკეული.

დიაც-ი 44,7 W ქალი.

დიდ-დიდ-ი ა) 16,6 J; 44,7 JO ძალიან დიდი. ბ) 14,3 W; 49,38 GW დიდებული (вельможа).

დიდებულ-ი 34,10 W წარჩინებული.

დიდ-თუალ-ი 48,17 W ძვირფასი, ჩინებული: „კუერთხი დ ი დ-თ უ ა ლ ი“ (ῥάβδος μέγαλώματος; *գաւազանն մեծարանաց*).

დრანჯობა ნ. მ დ რ ა ნ ჯ ო ბ ე ლ-ი.

დრეკა ნ. გ ა ნ დ რ ე კ ა, მ ი დ რ ე კ ა, მ ო დ რ ე კ ა.

დრკუ 6,28 JOW მრუდი.

დღეინდელ-ი 1,18 W დღევანდელი.

დღეს-დღე 1,18 JO დღეს, ახლა.

ე

ებგურ-ი 6,17; 31,21 JOW დარაჯი.

ებრაელა-ჲ 34,9 W ებრაელი ქალი.

ეზო ა) 19,14; 35,2 JOGW ეზო (двор); ბ) 4,20 JO: 10,20 JOW ფარდა.

ეკალ-ი 12,13 JOW.

ეკკლესია-ჲ 31,8 W (ἡ ἐκκλησία) კრებული.

ელლინ-ი 46,16; 50,16 GW (ὁ Ἕλλην) წარმართი.

ერ-ი ა) 1,18 JOW ხალხი; ბ) 41,12 J ჯარი; „შეკრბეს ყოველი ე რ ი მათი და აღემზადნეს ბრძოლად“.

ერთბამად 3,18; 5,5 JOW ერთად.

ერთ და ათ-ი 52,1 W (ἕνδεκα თერთმეტი: „ე რ თ დ ა ა თ წელ იმეფა“.

ერდო-ჲ (*երդ*) 19,13 JOGW ბანი, სახურავი.

ერვთრა 49,21 JO (ἐρυθρά) წითელი, მეწამული: „ღაღადებაჲ შენი ზღვსა შორის ე რ ვ თ რ ა ს ა“... აქ ნახსენებია წითელი ზღვა (ἡ Ἐρυθρὰ θάλασσα).

ერქუან-ი ნ. მ ო ე რ ქ უ ნ ა.

ესევითარ-ი 5,9; 9,9 W ამნაირი.

ესემლევან-ი 2,10; 5,9 JO ამნაირი.

ვ

ვალ ნ. ა ღ მ ო ს ა ვ ა ლ ი, გ ა მ ო ს ა ვ ა ლ ი, გ ა ნ ვ ლ ი ნ ე ბ ა.

ვალალება J, **ვალალაება** OGW 20,16 გოდება, მოთქმა. **0-(2)1** 2,23 W: „მწუხრი ჴმითა მისითა ვ ა ლ ა ლ ა ე ბ დ ა“.

ვალან-ი (ἡ βάλανος) რკინის საკეტი, ურდული.

ვან-ი. ნ. დ ა ვ ა ნ ე ბ ა, მ ე ვ ა ნ ე ო ბ ა, ს ა ვ ა ნ ე-ჲ.

ვახშ-ი 9,6 W (*վաշխ*) სარგებელი, პროცენტი. ნ. ა ღ ნ ა დ გ ი ნ ე ბ-ი.

ვარჯოან-ი 3,6 W დატოტვილი, შეფოთლილი (?): „ქუეშე ყოველსა ხესა ვ ა რ ჯ ო ა ნ ს ა“.

ვარჯ-პარსულ-ი 48,31 JO თმაგაპარსული. შდრ. წ ი ნ ა-გ ა რ დ ა მ ა რ ჯ უ ლ-ი.

ვედრ-ი 22,3 JO მწირი, უცოობაში მყოფი: „ვ ე დ რ ს ა და ობოლსა და ქურივსა ნუ ჰმძლავრობთ“. შდრ. შ ე ს ა ვ ე დ რ ე ბ ე ლ ი.

ველობ-ი 48,8 W ველი.

ვენაჴის-მოქმედ-ი 52,16 JOW (ὁ ἀμπελουργός; *այգեգործ*) მევენახე, მეზვრე.

ვერძ-ი 25,34 JOGW მამალი ცხვარი.

ვეცხლ-ი 32,9 JOW ვერცხლის ფული.

ვეცხლის-მჭედელ-ი 6,29 JO (ὁ ἀργυροκόπος; *արծաթագործ*) ვერცხლის ნაკეთობათა ოსტატი, ოქრომჭედელი.

ვეხნ-ი 52,18 JW ჭურჭელი; დოქი.

ვიდრე 15,2 JO სად, საითკენ: „ვ ი დ რ ე განვიდეთ?“

ვინაჲ 36,17 JOW საიდან. 19,14 GW: „მოვიდა იერემია დაცემულებისაგან თაფეთისა, ვ ი ნ ა ჲ მიავლინა იგი უფალმან“.

ვირი ველურ-ი 48,6 W კანჯარი.

ვლტოლა, ი ვნ. 26,21 JOGW გაქცე-

ვა: „შეეშინა და ივლტოდა“ შეშინდა და გაიქცა. ნ. შევლტოლა.

ვნება ნ. მავნებელ-ი.

ვრდომა ნ. განვრდომილ-ი, დავრდომილ-ი, შთავრდომა.

Ⴆ

ზაკუვა 9,6 JW ეშმაკობა, მოხერხება. ნ. მოზაკუვება.

ზაკულება 11.18 JO (ὁ ἐπιτήδευμα τό; գործ; деяние) საქციელი (?): „მაშინვე ვიხილეთ ზაკულებანი მათნი“.

ზარ-დება, ა-2 1,8 JO შეშინება. შეძრწუნება: „ნუ გეშინინ პირისაგან მათისა და ნუცა ზარ-გაც შენ წინაშე მათისა“.

ზახება, ი უობ. 2,15 W ღრიალი: „იზახდეს ლომნი“.

ზედა-მდგომელ-ი 29, 26 JOW (ὁ ἐπιστάτης) ზედამხედველი. გამგებელი.

ზედ-მიმწდომ-ი 1,6 W შემძლებელი: „ვერ ზედ-მიმწდომ ვარ ზრახვად“ არ შემიძლია ლაპარაკი.

ზედ-მიხედვა, 0-(3)2 49,8 GW მონახულება: „მივავლინე მის ზედა ჟამსა შინა, რომელსა ზედ-მივჰხედე მას“.

ზედ-მოსლვა, 0-1 49,4 W მოსვლა, მოხდომა: „ვინ ზედ-მოვიდეს ჩემ ზედა?“.

ზედ-მოხილვა, ი-2 44,13 W მონახულება: „ზედ-მოვიხილო მსხდომარეთა ზედა ეგვპტეს შინა“.

ზეგარდამო 4,28 W ზემოდან, ზეციდან.

ზელ ნ. აღზელა, განმზელელ-ი.

ზესკნელ 4.28 JO ზემოდან, ზეციდან: „დაბნელდინ ცაჲ ზესკნელ“.

ზმნა ნ. ზმნელ-ი.

ზმანება, ე 29,8 JO დასიზმრება: „ნუ ისმენთ სიზმართა თქუენთა, რომელ ვეზმანებიან თქუენ“.

ზოგ ნ. განზოგება.

ზოგად 41,1 W ერთად: „ჭამეს მუნ პური ზოგად“.

ზომით-ი 22,14 GW (σύμμετρος) ზომიერი, შესაფერისი: „უშენე თავსა შენსა სახლი ზომითი“. ნ. შემგუვედი.

ზორვა, ი/უ-(3)2 2,28 JOW (զոհ) მსხუერპლის შეწირვა: „უზორვიდეს ბაალსა“.

ზრახვა ა) **ე** 52,32 GW ლაპარაკი, საუბარი: „ეზრახა მას ტკბილად“ ტკბილად ესაუბრა მას.

ბ) **ი-2** 11,19 JO განზრახვა: „იზრახეს ზრახვაჲ ბოროტი O“.

ზროხა ა) 5,17 JO (ὁ μόσχος *արջառ*) ხბო (?); ბ) 50,11 JOGW (ἡ βοΐδια) ძროხა, დეკეული.

ზრუნვა ნ. მზრუნველობა.

ზუარაკ-ი (*զուարակ* 46,15; 52,20 GW (ὁ μόσχος; *ուլ*) ხბო.

ზუება, 0-2 14,5 JO ცხოველთა შობა, დაბადება: „ირემნიცა (ირემთაცა) იზუნეს ველსა გარე და დაუტევნეს ნუკრნი.

ზურგ-ი 2,27 JOW.

ზღუარ-ი ნ. მოზღვრე-ჲ.

ზღუდე-ჲ 1,15 JOW სიმაგრე. ნ. მოზღუდვილ-ი, წინამოზღუდვილობა, შეზღუდვილ-ი.

ზღუდის-ზღუდე-ჲ 52,4 JO ზღუდე — გალავანი, სიმაგრე.

ზღურბლ-ი 1,15 JO კართანა, კარისწინა. ნ. წინა-კარ-ი“.

Ⴇ

თავად-ი 10,16 JO თვითონ. 1,6 O: „რომელი ხარ თავადი უფალი“ რომელიც ხარ მთავარი უფალი (შდრ. δέσποτα Κύριε).

თავს-დება 5,3 JO კისრება: „არა ინებეს თავს-დებად სწავლისა“.

თავის-გარემოჲს-ი 46,4 G (ὁ περικεφαλαία) მუზარადი ნ. ჩაფხუტი.

თანად 6,21 O ერთად: „მოუძლურდენ მას შინა მამანი და შვილნი თ ა ნ ა დ“.

თანა-დება, ა-2 15,10 JOGW ვალის ქონა: „არარაჲ თ ა ნ ა-მ ე დ ვ ა ვისი, არცა თ ა ნ ა-ვის რაჲ-ე დ ვ ა ჩემი“ არც არავის ვალი მემართა და არც არავის ემართა ჩემი ვალი.

თანა-მდებება ე 15,10 GW ვალში ყოფნა, ვალის ქონა: „არ თანა-მედვა, არცა მ ე თ ა ნ ა მ დ ე ბ ებ ო დ ა არავინ“ ვალი არ მქონდა, არც არავის ემართა ჩემი ვალი.

თამა-მრევ[ლ]-ი 25,24 GW (σύμμικτος; *խառնաղանձ*) ტომობრივად ნარევი, ჭრელი შედგენილობის კრებული. ნ. შ ე რ თ უ ლ-ი, შ ე მ ყ ო ფ-ი, შ ე ყ ო ფ ი ლ-ი.

თანა-მყოფ-ი 3,20 JOW (συνόντα, *հոմանի*) საყვარელი, მეგობარი (?): „ვითარცა ეცრუვის ცოლი თ ა ნ ა-მ ყ ო ფ ს ა თჳსსა, ეგრე მეცრუვა მე სახლი ისრაჱლისაჲ“.

თანა-წარხლვა, 0-2 49,17 JO ახლოს გავლა: „და იყოს ედომიაჲ უგზო, და ყოველი რომელი თ ა ნ ა-წ ა რ ჰ ვ ი დ ო დ ი ს მას, დაუკვრდეს“ O.

თერძვა, ი-2 4,3 J მიწის საზაფხულო ხვნა, დამუშავება: „ი თ ე რ ძ ე თ თერძულები და ნუ სთესავთ ეკალთა ზედა. ნ. ა ნ ე უ ლ ე ბ ა.

თერძულ-ი 4,3 J ზაფხულში დახნული, დამუშავებული მიწა. ნ. ა ნ ე უ ლ-ი.

თესვა ნ. გ ა ნ თ ე ს ვ ა, გ ა ნ ს ა თ ე ს ვ ე ლ ი.

თესლ-ი 7,15 W ტომი, მოდგმა.

თეძო-ჲ 31,19 W: „ვიცემდი თ ე ძ ო თ ა ზედა“.

თივა-ჲ 12,4; 14,6 JOW ბალახი.

თმენა 14,8 OW გაძლება; სასოება (?).

თმობა ნ. დათმობა.

თნევა, 0-2 2,19 JO მოწონება: „არა მ თ ნ დ ი შენ“ არ მომწონდი შენ.

თრგუნვა ნ. დ ა თ რ გ უ ნ ვ ა, მ თ რ გ უ ნ ა ვ-ი.

თრობა ნ. დ ა მ თ რ ვ ა ლ ი, მ თ რ ვ ა ლ-ი.

თუალვა ნ. ა ღ თ უ ა ლ ვ ა მ ი თ უ ა ლ ვ ა, მ ი თ უ ა ლ უ ლ-ი.

თუალთა დახსმა, 0-2 39,12 W ყურადღების მიქცევა: „მიიყვანე იგი და თ უ ა ლ ნ ი შენნი დ ა ს ხ ე ნ მას ზედა“.

თუალის ყოფა, 0-2 39,12 JO ყურადღების მიქცევა; „მოიყვანე იგი და ყ ვ ე ნ თ უ ა ლ ნ ი შენნი მას ზედა“.

თჳნიერ 28,7 GW; 44,19 JO გარდა, გარეშე.

თქრომა 9,10 W მოძრაობით გამოწვეული ხმაური, თქრიალი.

თქუმა ნ. გ უ ლ ი ს-თ ქ უ მ ა, გ უ ლ ი ს-ს ა თ ქ უ მ ე ლ-ი.

თხევა ნ. გ ა ნ თ ხ ე ვ ა, გ ა რ დ ა მ ო თ ხ ე ვ ა დ ა თ ხ ე ვ ა, შ თ ა თ ხ ე ვ ა.

თხიერ-ი 13,12 JOW გუდა, ტიკი.

თხოვა 2,33 JO მოპოვება, მოხვეჭა: „აწ რაჲ კეთილ მოიზაკუე გზათა შენთა თ ხ ო ვ ა დ სიყუარულისა“ O.

თხრა შდრ. მ თ ხ რ ე ბ ლ-ი, გ უ ე რ დ ი ს თ ხ რ ა.

თხრობა. ნ. მ ი მ თ ხ რ ო ბ ე ლ-ი.

ი

ივარ-ი (*աւար*) 15,13 GW (*օտար*)[1] გაძარცვა, აკლება, განადგურება: „საუნჯენი შენნი ი ა ვ რ ა დ მივსცნე“.

იაკინთ-ი JO 10,9 (ὑάκινθος) ლურჯი ფერის ძვირფასი ქვა; აქ კი: იაკინთის ფერის ძვირფასი ტანსაცმელი.

იატაკი 31,37 JOW (*յատակ*; ἔδαφος, τό) საფუძველი (?): და-თუ-მდაბლდეს ი ა ტ ა კ ი ქუეყანისაჲ ქუესკნელად“.

---

[1] ზ ო ჰ რ ა ბ ი ს გამოცემის ვარიანტებში *տւար*-იც არის.

იგავ-ი 23,33-38; 24,9 JO არაკი. ნ. ს ა ი გ ა ვ ო, მ ი მ ა რ თ ე ბ ა[2].

იდად-ი 48,33 W (ებრ. īdād)[1] მხიარული ხმაური, ჟრიამული.

იეფობა 12,1 W შვება, მოფონება: „ი ე ფ ი ს ყოველთა უგულებელს-მყოფელთა უგულებელს-ყოფათასა".

იმრგულივ-დასაწუველ-ი 6,20 J (ὁλοκαύτωμα τό; ողջակեզ) მთლიანად დასაწველი (მსხვერპლი). ნ. მ რ გ უ ლ ი ა დ - დ ა ს ა წ უ ვ ე ლ - ი.

იუდა-ი 3,8; 5,11 JOW იუდეა 44,11 JOW: „აღვჴოცო ყოველი ი უ დ ა ჲ" შევმუსრავ მთელ იუდეას.

იფქლ-ი 12,13 JOW ხორბალი.

იძულებით-ი 30,12 W ძლიერი: ი ძ უ ლ ე ბ ი თ ი არს შემუსრვაჲ შენი".

იწროება 52,5 JOW შევიწროება, ალყის შემორტყმა: „მიიწია ქალაქი იგი ი წ რ ო ე ბ ა დ".

კ

კალო-ჲ 51,33 JOGW ადგილი, სადაც პურეულის ძნას ლეწავენ.

კანკელ-ი 52,23 JO მავთულისგან გაკეთებული ბადურა, რომელიც სარკმელს უკეთდება გარედან. ნ. ბ ა დ ე-ჲ.

კანჯარ-ი 48,6 JO გარეული ვირი. ნ. ვ ი რ-ი ვ ე ლ უ რ-ი.

კაპარჭ-ი 5,16 JOW (*կապարճ*) სა, ისრე, ისრის ბუდე.

კარაბა-ჲ 19,1-10 GW თიხის ჭურჭერი. ნ. ყ ვ ბ ა რ-ი.

კარმელ-ი 1) 2,7 JOW (ებრ. carmel[2]-κάρμηλος; *կարմեղոս*) ნაყოფით მდიდარი ველი, ხეხილის ბაღი.

2) 4,26 JOW: ბაღებით მდიდარი ქვეყანა (იგულისხმება ი უ დ ე ა);

3) 46,18 JOW ერთ-ერთი მთის სახელწოდება (ნ. И. Якимов, Толкование... I, გვ. 41; 106).

კატარრაკტ-ი 29,35 W (ὁ καταρράκτης) „მღჳმესავით შესაწყუდეველი" (საბა)

კაფა ნ. მ კ ა ფ ე ლ-ი, მ ო კ ა ფ ა. შდრ. გ ა ნ კ ა ფ ა.

კაც-ი 27,5 JGW ადამიანი: „მე შევქმენ ქუეყანაჲ და კ ა ც ი და საცხოვარი".

კაცად-ი 9,4 W, 23,35 GW ყოველი, თითოეული (იხმარება **ვინ** ჯგუფის სახელებთან). ნ. კ ა ც ა დ-კ ა ც ა დ-ი.

კაცად-კაცად-ი 9,4; 23,35 JO ყოველი, თითოეული (იხმარება **ვინ** ჯგუფის სახელებთან). ნ. კ ა ც ა დ-ი.

კაცისთავოან-ი 5,10 W ქონგურიანი ზღუდე, სიმაგრე, „აღვედით კ ა ც ი ს თ ა ვ ო ა ნ ს ა მისსა ზედა და დაარღვენით". ნ. ა რ დ ა ბ ა გ-ი, დ ა[რ] ე ფ ა ნ-ი.

კაწახ-ი 31,30 JOW ისრიმი, მჟავე ყურძენი.

კბილთა მოლხუება, 0-1 31,29 W კბილების მოკვეთა, მოჭრა (оскомина): „მამათა ჭამეს კაწახი და კ ბ ი ლ ნ ი შვილთანი მ ო ლ ხ უ ე ს".

კბილთა მოხუმა, ე 31,30 O კბილების მოკვეთა, მოჭრა: „რომელმან ჭამოს კაწახი, მ ო ე ხ უ ნ ე ნ კ ბ ი ლ ნ ი მისნი".

კბილთა მოლბობა, 0-(2)1 31; 30 J კბილების მოკვეთა, მოჭრა: „რომელმან ჭამოს კაწახი, მ ო ჰ ლ ბ ე ნ კ ბ ი ლ ნ ი მისნი".

კდემულება 8,12 JOW მორცხვობა. ნ. შ ე კ დ ე მ ა.

კეთილად 1,12 JOW კარგად.

კეთილვნებება, ი უობ. 30,10 W კარგად ცხოვრება: „მოიქცეს იაკობი და დაყუდნეს და ი კ ე თ ი ლ ვ ნ ე ბ ო ს".

კეთილ-მდგომ-ი 49,31 W (εὐσταθής) მშვიდად, უშფოთველად მცხოვრები: „აღვედით ნათესავსა ზედა კ ე თ ი ლ-მ დ გ ო მ ს ა და მყუდროსა".

---

[1] გეზენიუსი, გვ. 174.

[2] გეზენიუსი, გვ. 363.

კერაკ-ი 36,22 JOW (*կրակարան*) ღუმელი. ნ. ბრძმედ-ი

კერძ ნ. განკერძება.

კეფ-ი 26, JOW (ἡ σελίς; ls) ხელნაწერის, გრაგნილის ერთი ფურცელი: „რაჟამს აღმოიკითხის იუდი სამი კეფი ანუ ოთხი, მოჰხიის მან“.

კეც-ი 19,11; 32,14 JOGW თიხა. ნ. მეკეცე-ჲ.

კითხვა ნ. განკითხვა.

კინამომა-ჲ J, **კინამომო-ჲ** W 6,20 ებრ. cinnāmōn,[1] κιννάμωμον, τό; *կինամոմոն*) სურნელოვანი მცენარე, რომელიც გამოიყენებოდა ნელსაცხებლის დასამზადებლად; დარიჩინი (?).

კიშტე-ჲ 24,1 JOGW (ὁ κάλαθος) კალათი: „მიჩუენა მე უფალმან ორი კიშტჱ ლეღჳ“.

კიცხევა, ე 51,2 დაცინვა, აბუჩად აგდება: „ეკიცხევდენ მას“. ნ. მეკიცხეველი, მოკიცხარობა.

კლება ნ. მოკლება.

კნინ-ი 42,1 JOW პატარა, მცირე. ნ. შეკნინება.

კოდვა ნ. მკოდელ-ი.

კორდ-ი ნ. განკორდებულ-ი.

კოჭლ-ი 31,8 W.

კრება ნ. დაკრება, დასაკრებელ-ი.

კრულ-ი 33,1 JOW შეკრული.

კრძალვა, ე 17,21 JO რიდება, მოფრთხილება: „ეკრძალენით თავთა თქუენთა“.

კსინვა ნ. მკსინვარება.

კუალად 2,9 JO; 3,615 JOW ისევ, კვლავ.

კუალად-გება ა) ა-2 15,19 JGW აღდგენა: „მო-თუ-აქციო, კუალად-გაგო“ თუ მობრუნდები (მოიქცევი), აღგადგენ. ბ) **ე** 47,6 JOGW ჩაგება (ხმლისა, ისრისა): „მახჳლო,... კუალად-ეგე ქარქაშსა შენსა“.

კუართ-ი 41,5 JO პერანგი.

კუართ-დაპებულ-ი 41,5 JO პერანგშემოფლეთილი.

კუეთ ნ. გამოკუთა, დაკუეთებულ-ი, წარკუეთა.

კუერ-ი 10,4 JO ჩაქუჩი.

კუერთხ-ი 48,17 JOW ჯოხი.

კუეცა, ი/უ-3 52,31 JOW პარსვა, კრეჭა: „უკუეცა თავი იოაკიმს“. ნ. წინამიკუეცილ-ი.

კუთვნა 44,3 W მსახურება: „კუმევად დაკუთვნად ღმერთთა სხუათა“.

კუმევა 11,13 JOW ღმრთისმსახურებისას საკმევლის დაწვა, კმევა.

კურნება ნ. განკურნება.

კურო-ჲ 50,11 JOGW დაუკოდავი ხარი.

კუფხალ-ი 6,9 W მტევნის ტოტი, რომელზეც ყურძნის მარცვლებია მოსხმული. ნ. მოკუფხლვა.

ლ

ლაგჳნ-ი (ὁ λάγυνος) 35,5 JOW (κεράμιον, τό) თიხის დოქი.

ლაღობა 49,16 GW ქედმაღლობა. ნ. მლაღობელ-ი.

ლაშქარ-ი (*լաշկար*) 41,12 W (*զորական*) ჯარი.

ლახუროსან-ი 6,23 JO ლახვრით შეიარაღებული.

ლევა ნ. განლევა.

ლირბ-ი 8,5 W ურცხვი.

ლირბება 8,5 JO ურცხვობა.

ლმობა 20,18 J ტკივილი. ნ. სალმობიერი, მლმობელი.

ლტოლვა ნ. განლტოლვილი, მისალტოლველი, მლტოლვარე.

ლხინება, ი/უ-(3)2 17,17 JO ტკივილების შემსუბუქება, მოქარვება, მოფონება, „მილხინე მე დღესა ბოროტსა“.

ლხუება ნ. მოლხუება.

[1] გეზენიუსი, გვ. 718.

მ

მაგალით-ი 9,22 W (παράδειγμα τό, նշաւակ) ნიმუში: „იყვნენ მკუდარნი კაცთანი მაგალითებად პირსა ზედა ველისა.“ ნ. სამაგალითო-ჲ

მავნებელ-ი 15,18 JO შემვიწროებელი, მოძალადე: 21,12 JO: „განარინით მიტაცებული ჴელისაგან მავნებელისა მისისა“.

მაზრაკ-ი 6,23 W: 50,42 GW შუბი.

მალე 46,6 GW ჩქარა.

მალიად 27,16 GW ჩქარა, სასწრაფოდ.

მამა-ჲ 44,7 JO მამაკაცი.

მამაც-ი 44,7 W მამაკაცი.

მამულ-ი 22,10 GW მშობლიური მხარე, სამშობლო: „არცა იხილოს ქუეყანაჲ მამულისა მისისა“ ვერც ნახავს თავის მშობლიურ მიწას.

მანანა-ჲ 17,26 JOW ნ. მანნა-ჲ.

მანგალ-ი 50,16 JOGW ნამგალი.

მანნა-ჲ 17,26 G (ებრ. mannhā;[1] μάννα, τό; մաննա) უსისხლო შესაწირავი, მსხვერპლი.

მართ მარტ ნ. განმართება, განმარტება, განმ[მ]არტებელ-ი, მიმართება, შთამართ-ი, წარმართება, წარმომართება, წარმოუმართებელ-ი.

მართებულ-ი 46,21 JO გასუქებული: „ვითარცა ზუარაკნი მართებულნი“.

მართლიად 3,2 W სწორად, მართლა.

მართუე-ჲ 17,11 JO ბარტყი.

მარჯუე ნ. განმარჯუება, სიმარჯუე-ჲ.

მარხვა 1) ი უობ. 14,12 JOW მარხვის შენახვა (поститься): „ხოლო იმარხვიდენ ლათუ, არავე ვისმინო ლოცვისა მათისაჲ“.

2) 36,20 JO დამალვა, შენახვა: „წიგნი იგი მისცეს მარხვად სახლსა ელისამა მწიგნობრისასა“. ნ. დამარხვა, დასამარხავი, სამარხველი.

მასმაროთ-ი J, **მაზმაროთ-ი** O 52,19 mezmeret;[2] μασμαρώθ) სანთლის თავის მოსარჭრელი, ნაწვის მოსაცილებელი დანა.

მასპინძელ-ი ნ. დამასპინძლება.

მატაკარან-ი (մատակարար) 39,9 JO դահճապետ, ὁ ἀρχιμάγειρος) სახლთუხუცესი; პირადი მცველი (телохранитель). ნ. მთავარ-მზარაულ-ი.

მატყლიერ-ი 38,12 W მატყლის ფთილა.

მაფრთხობელ-ი 30,10 O მაშინებელი, შიშის ზარის დამცემი.

მაღალ-ი 19,5 JOGW სამსხვერპლო: „აღაშენნეს მაღალნი ბაალისნი“.

მაღნარ-ი 5,6; 10,3 JOW ხშირი ტყე.

მაშფოთებელ-ი 46,27 GW შემწუხებელი.

მაცხოვარება 3,23 W ხსნა, გადარჩენა.

მაძოვნებელ-ი 31,10 W ვინც აძოვებს, ე. ი. მწყემსი: „შეკრიბოს იგი..., ვითარცა მაძოვნებელმან სამწყსოჲ თჳსი“.

მაწანებელ-ი 31,2 JOW მანუგეშებელი (?) (ეტიმოლოგიურად თითქოს მაწვეველი, მომწვევი. შდრ. ქართ. **წან,** მეგრ. **ჭან-აფა** „მოწვევა“, ჭანური **ჭანდა** „წვეულება): „ვპოე სიტფოჲ უდაბნოსა შინა, მომსრველთა თანა მახჳლითა, მიმავალნი მაწანებელთა მი ისრაჱლისათა“ W.

მაწვენელ-ი 33,12 W განმგებელი, დამადგინებელი.

მაჭირებელ-ი JO, მაჭირვებელ-ი W 30,16 შემვიწროებელი, მოძალადე.

---

[1] გეზენიუსი, გვ. 437.

[2] იქვე, გვ. 411

მახე-ჲ 5,27 JW გალია (?): „ვითარცა მახჱ დადგომილი, სავსე მფრინვლითა, ეგრეცა სახლები მათი სავსე არნ ზაკუვითა“.

მახლობელობა J, **მახლობელობა** O 32,7 ნათესაური სიახლოვე.

მბორგელ-ი 5,8 W ძლიერ აღგზნებული (სქესობრივად): „ცხენებ დედალთ მბორგელ იქმნენ“. ნ. მდრანჯობელ-ი.

მბოროტებელ-ი 20,13 GW ბოროტმოქმედი.

მბრძოლ-ი 51,30 JO მებრძოლი. ნ. მეომე-ჲ.

მბუდებელ-ი 48,28 JO: „ვითარცა ტრედნი მბუდებელნი კლდესა შინა“. ნ. მებუდარ-ი.

მდაბალ-ი 22,16 JOGW ღარიბი, საწყალი. შდრ. დამდაბლება, სიმდაბლე.

მდგომელ-ი ნ. ზედა-მდგომელ-ი, კეთილ-მდგომ-ი.

მდევარ-ი 15,15 JOGW მდევნელი, მოძალადე: „უბრალო-მყავ მე მდევართა ჩემთაგან“.

მდიდარ-ი 25,19: 34,10 JO დიდებული, წარჩინებული (вельможа).

მდიდარ თქუმა ნ. ტყუ.

მდრანჯობელ-ი 5,8 JO ძლიერ აღგზნებული (სქესობრივად): „ცხენ ჴდალთ მდრანჯობელ იქმნნეს“. ნ. მბორგელ-ი.

მებავთე-ჲ (შდრ. *բաւթ*) 51,31 JO (*գուժկան*) (ცუდი) ამბის მიმტანი, მცნობებელი, ნ. ბავთ-ი მეღაღადისე-ჲ

მებრ 7,4 JO სრულიად, სავსებით: „რამეთუ მებრვე არაჲვე სარგებელ გეყვნენ თქუენ“.

მებუდარ-ი 48,28 W ნ. მბუდებელ-ი.

მეგობარ-ი 9,4 JOW.

მედად 22,13 GW უსასყიდლოდ: „მოყუასი მისი მოქმედებს მედად“.

მედგარ-ი ნ. დამედგრება, მომედგრება.

მევანეობა, O-1 49,31 W ცხოვრება, მკვდრობა: „მარტონი მევანეობენ“.

მეზობელ-ი 6,21 W.

მეკეცე-ჲ 18,2 JOGW თიხის ჭურჭლეულობის მკეთებელი. ნ. კეც-ი.

მეკიცხეველ-ი 51,2 JO აბუჩად ამგდები. ნ. კიცხევა.

მელან-ი 36,18 JOW შავი საწერელი.

მემისნე-ჲ 27,9 GW მისანი, მარჩიელი.

მემღერ-ი J*O*, **მემღერე** W 30,19 მოთამაშე, მომღხენი: „გამოვიდენ მათგან მძნობარნი და ჴმაჲ მემღერთაჲ“.

მეომე-ჲ 51,30 GW (ὁ μαχητής) მებრძოლი ნ. მბრძოლ-ი.

მეოტ-ი 48,19 JOW ვინც გარბის, ლტოლვილი. ნ. ოტებულ-ი.

მერთისა-მპყრობელ-ი 49,18; 50,34 J (παντοκράτωρ, *ամենակալ*) ყოვლის მპყრობელი (ღვთის ეპითეტია).

მერმე 2,31 JOW კვლავ, ისევ.

მერწყულ-ი 14,3 W წყლის მომტანი.

მერცხალ-ი 8,7 JOW.

მესათხევლე-ჲ 16,16 J მებადური, მეთევზე.

მესდულე-ჲ J, **მესთულე** O 6,9 რთველში მომუშავე, ყურძნის მკრეფავი.

მეტკუეთილ-ი ნ. უმეტკუეთილო-ჲ.

მეტყებარ-ი 41,5 W თავში ხელების წაშენით მგოდებელი. ნ. ტყება.

მეუფება-ჲ 27,8 J სამეფო (царство).

მეფეა 44,17-25 W დედოფალი.

მექონოთ-ი 27,19 JOGW (mekenōt[1], *մեքենոյթ*) კიბის საფეხურები შენობის შესასვლელი კარის წინ.

მეღაღადისე-ჲ 51,31 GW ამბის მიმტანი, მცნობებელი. ნ. მებავთე, ღაღადის-მგდებელ-ი.

მეყ-ი 6,26 W წამი.

[1] გეზენიუსი, გვ. 421.

მეუსეულად 4,20 JO უცებ, თვალის დახამხამებაში.

მეცნავ-ი 2,8 W მცოდნე: „მ ე ც ნ ა ვ-თ ა სჯულისა ჩემისათა არა მიცნეს მე".

მეცნიერ-ი 1,6 O მცოდნე: „არა მ ე ც ნ ი ე რ ვარ სიტყუად" არ ვიცი ლაპარაკი.

მეცნიერება-ჲ 3,15 JO ცოდნა, კეთილგონიერება; „მწყსით გმწყსიდენ თქუენ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი თ".

მეძავ-ი 3,3 W გარყვნილი, როსკიპი.

მეძილის-შინაე-ჲ 27,9 G სიზმარში ჩვენების მხილველი; სიზმრის ამხსნელი, მარჩიელი.

მეწამულ-ი ა) 4,30 JO წითელი ფერის სამოსელი: „შე-თუ-იმოსო მ ე წ ა-მ უ ლ ი თ ა".

ბ) 49,21 GW: წითელი; „ზღვსა შორის მ ე წ ა მ უ ლ ი ს ა" წითელ ზღვაში. ნ. ე რ კ თ რ ა.

მზარაულ-ი ნ. მ თ ა ვ ა რ-მ ზ ა რ ა-უ ლ-ი.

მზმნელ-ი 27,9 JGW გრძნეული, ჯადოქარი.

მზრუნველობა, ე 48,36 W გარჯა, თავის შეწუხება რამეზე, ვინმეზე: „რომელთა ვ ე მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ე, წარწყმდენ კაცთაგან".

მთავარ-ი 4,22 JO; 37,26 JOW უფროსი, მმართველი, მბრძანებელი. ნ. წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ-ი. 51,59 W: მ თ ა-ვ ა რ ი ნ ი ჭ თ ა. ნ. ნ ი ჭ თ-მ თ ა ვ ა რ-ი.

მთავარ-მზარაულ-ი 52,30 G (*դահ-ճապետ*) მზარეულთუხუცესი, სახლთუხუცესი: პირადი მცველი (телохранитель) ნ. მ ა ტ ა კ ა რ ა ნ-ი.

მთიებ-ი 8,7 JO ცისკრის ვარსკვლავი.

მთრგუნავ-ი 51,14 GW ვინც თელავს, ჭყლეტს: „ვითარცა მ თ რ გ უ-ნ ა ვ ნ ი საწნეხლისანი".

მთრვალ-ი 31,12 O ნ. დ ა მ თ რ ვ ა-ლ-ი.

მთხევარ-ი 16,16 O ნ. მ ე ს ა თ ხ ე ვ-ლ ე-ჲ.

მთხრებლ-ი 48,43 W ორმო.

მიგება, ა-3 51,6 JOGW სამაგიეროს გადახდა, ზღვევა: „მისაგებელსა იგი მ ი ა გ ე ბ ს მას". ნ. მ ი მ გ ე-ბ ე ლ-ი.

მიგუალ 13,6 JO წასვლა: „აღდეგ და მ ი გ უ ა ლ ე ევფრატად". ნ. წ ა რ-გ უ ა ლ.

მიგურა 11,19 JO მიყვანა, მიგვრა.

მიდ-ი 51,11 GW მიდიელი.

მიდგომა 20,17 JO დაორსულება.

მიდგომილება 20,17 GW დაორსულება.

მიდრეკა, 0-1 6,4 JW: „მ ი დ რ კ ა დღჱ". გადიხარა, მიილია დღე.

მითუალვა 5,3 W კისრება, მიღება: „არა ინებეს მ ი თ უ ა ლ ვ ა დ წურთაჲ". 6,20 W: მ ი თ უ ა ლ უ ლ-ი მიღებული.

1. **მიმართება, 0-(1)2** 4,28 JO წასვლა, გაშურება: „მ ი ვ ჰ მ ა რ თ ე და არა უკმოვიქეც მისგან".

ი ვნ. 4,28 W: „მ ი ვ ი მ ა რ თ ე და არა გარემივიქცე მისგან".

2. **მიმართება** 23,33-38 W (*λῆμμα, τό; արամ;* бремя) იგავი (?); უცხო წყაროების მიხედვით (სომხურის გამოკლებით) აქ იგულისხმება: ღაღადება ღვთისგან მოსალოდნელ ტანჯვაზე, გაჭირვება, ტვირთი.

მიმგებელ-ი 32,18 W სამაგიეროს გადამხდელი, ნ. მ ი გ ე ბ ა.

მიმდემ-ი 20,11 JO (*διαιῶνος; յաւի-տենից*) სამუდამოდ: „არა გულისჴმა-ყვნეს შეურაცხებანი მათნი, რომელნი მ ი მ დ ე-მ ი ვერ დაივიწყნეს".

მიმდემად-ი 52,34 W (*διαπαντός*) მუდმივი: „ჭამადი მ ი მ დ ე მ ა დ ი მიეცემოდა მას მეფისა მიერ".

მიმთხრობელ-ი 27,3 GW (*ὁ ἄγγελος*) მოციქული, ცნობის, ამბის მიმტანი.

მიმოდაბნეულ-ი 40,11 JO მიმოფანტული.

მი[მ]მძლავრებელ-ი 22,3 GW მოძალადე, წამრთმევი, წამგლეჯი: „განარი-

ნებდით მიმძლავრებულსა ჴელისაგან მი[მ]მძლავრებელისა მისისა". ნ. მიმძლავრებულ-ი, მძლავრობა.

მიმძლავრებულ-ი 22,3 GW დაჩაგრული, დამარცხებული. ნ. მი[მ]მძლავრებელ-ი.

მიმწდომ-ი ნ. ზედ-მიმწდომ-ი.

მიმხუეჭელ-ი 21,12 GW მოძალადე, წართმევი, წამგლეჯი;" განარინებდით მიხუეჭილსა ჴელისაგან მიმხუეჭელთა მისთაჲსა ნ. მიხუეჭილ-ი.

მისაგებელ-ი 51,6 JOGW სამაგიერო, საზღაური: „მისაგებელსა იგი მიაგებს მას".

მისალტოლველ-ი 16,19 GW (*ἡ καταφυγή*) თავშესაფარი: „უფალო, ძალო ჩემო და შემწეო ჩემო და მისალტოლველო ჩემო დღეთა შინა ძჳრთა ჩემთასა".

მისან-ი 27,9 J მარჩიელი. ნ. მემისნე-ჲ.

მიტრიონება, ი-2 8,10 J გამოკიდება, მიდევნება: „კნინით მათითგან მიდიდადმდე ყოველნი მიტრიონებდეს ანგაჰრებასა. ნ. ტრიობა, აღსტრიობა.

მიღება, ი-2 52,17 W წაღება. მიიღეს ყოველი რვალები მათი ბაბილონდ".

ე 6,2 JOW წართმევა: „მიგეღოს სიმაღლე".

მიყუარ-ი 9,5 JO; 22,22 JOW მეგობარი.

მიხედვა ნ. ზედ-მიხედვა.

მიხუეჭილ-ი 21,12 GW წართმეული, წანაგლეჯი. ნ. მიმხუეჭელ-ი.

მკა-ჲ ნ. სამკალ-ი.

მკალ-ი 46,23 JOGW კალია.

მკაფელ-ი 46,23 JO მჭრელი: „მკაფელნი ხისანი". ნ. მკოდელ-ი.

მკაცრ-ი ნ. სიმკაცრე-ჲ.

მკელობელ-ი 31,8 JO კოჭლი.

მკობა ნ. მომკაულ-ი.

მკოდელ-ი 46,23 GW მჭრელი, მკაფელი: „მკოდელნი ხეთანი". ნ. მკაფელ-ი.

მკსინვარება 10,10 JO მრისხანება: „ვერ დაუთმონ ნათესავთა მკსინვარებასა მისსა" ვერ გაუძლებს ხალხი მის მრისხანებას.

მკჳდროან-ი 10,12 W (*ἡ οἰκουμένη*), დასახლებული ადგილი, ქვეყანა: „უფალმან შექმნა ცაჲ და ქუეყანაჲ ძალისა მიერ თჳსისა და აღჰმართნა მკჳდროანი". შდრ. სამკჳდრებელ-ი.

მკურის-კევ-ი 8,22; 46,11 JO დანამასტაკისაგან გამონადენი წებოსმაგვარი ნივთიერება (იყენებდნენ მალამოს დასამზადებლად და საკმეველად). ნ. რეტინე-ჲ.

მლაღობელ-ი 27,9 J აბუჩად ამგდები.

მლმობელ-ი 4,31 W ავადმყოფი, რომელსაც ტკივილები აქვს.

მლტოლვარე-ჲ, მლტოლველ-ი 4,21, 34,21 W ვინც გარბის, გამქცევი, ოტებული.

მლხინებელ-ი 5,7 JOW ნ. ლხინება.

მმძლავრებელ-ი 13,18 W მბრძანებელი (владыка).

მოახ. ი-1 47,5 J: „მოახს სიმტერე გ[ა]ზსა ზედა" მოახლოებულია გაზას დაღუპვა, განადგურება. ნ. ახ.

მოგება, ი-2 13,1 JOW შესყიდვა, შეძენა. 32,7 W: „მოიგე თავისა შენისად აგარაკი ჩემი ანთოთს შინა".

მოდრეკა, ი-2 34,14 JO: „არა მოიდრიკეს ყური მათი" ყური არ დაუგდეს, არ შეისმინეს მათი.

მოერქუნა, ი ვნ. 26,18 G მოხვნა: „სიონი, ვითარცა ყანაჲ, მოიერქუნოს.

მოზაკუვება, ი-2 2,33 JO ეშმაკობა, მოხერხება: „აწ რაჲ კეთილ მოიზაკუე გზათა შენთა თხოვად სიყუარულისა"O.

მოზღვრე-ჲ 49,18 GW მომიჯნავე. ნ. მოსაზღვრე-ჲ.

მოზღუდვილ-ი 4,5 JW ზღუდეშემოვლებული, გამაგრებული: „შეხუდეთ ქალაქთა მ ო ზ ღ უ დ ვ ი ლ თ ა".

მოთხვით-ი 52,4 W (τετράποδος; չորեքտասի) ოთხკუთხედი: „გარემოაშენა მას მ ო თ ხ ვ ი თ თ ა ქვათა მომრგულები"

მოკაფვა, 0-2 46,23 JOGW მოჭრა: „მ ო კ ა ფ ე თ მაღნარი მისი".

მოკიცხარობა, ე-(2)1 9,5 W დაცინვა, აბუჩად აგდება; „კაცადი ძნად მოყუსისა თჳსისა მ ო კ ი ც ხ ა რ ო ბ ს".

მოკლება, ა-დ 4,31 JOW დალევა, მოკლება, გაქრობა: „ვაჲ მე, რამეთუ მ ო ა კ ლ დ ა სულსა ჩემსა მოსრვულთა ზედა".

მოკუფხლვა, 0-2 6,9 JOW კუფხლის თუ მარცვლის მოწყვეტა მტევნისაგან; აქ კი: შეკრება, შეგროვება: „მ ო ჰ კ უ ფ ხ ლ ე ვ დ ი თ, მ ო ჰ კ უ ფ ხ ლ ე ვ დ ი თ, ვითარცა ვენაჴსა, ნეშტსა ისრაჱლისასა" O. ნ. მ ო ს ა კ უ ფ ხ ვ ე ლ-ი.

მოლბობა ნ. კ ბ ი ლ ი ს მ ო ლ ბ ო ბ ა.

მოლხუება ნ. კ ბ ი ლ თ ა მ ო ლ ხ უ ე ბ ა.

მომედგრება 8,9 OW ნ. დ ა მ ე დ გ რ ე ბ ა.

მომკაულ-ი 4,30 W სამკაული.

მომრთხმელ-ი 50,14 GW მშვილდის სასროლად მომზიდველ-ი.

მომსრველ-ი 22,7 JOGW გამანადგურებელი, მომსპობი.

მომცველ-ი 37,4 W ალყის შემომრტყმელი: „ესმა ქალდეველთა, მ ო მ ც ვ ე ლ თ ა იერუსალიმისათა, სასმენელი მათი".

მოოჴრებულ-ი 3,2 W გავერანებული.

მორბედ-ი 8,6 JO მორბენალი.

მორეწ-ი 46,21 J დაქირავებული მუშა.

მორთხმა მშჳლდისა, ი-2 46,9 G: „მ ო ი რ თ ხ თ მშჳლდი" სასროლად მოზიდეთ, მოჭიმეთ მშვილდი. ნ. გ ა რ დ ა ც უ მ ა მ შ ჳ ლ დ ი ს ა.

მორთხმულ-ი მშჳლდ-ი 4,29 W სასროლად მოზიდული, მოჭიმული მშვილდი. ნ. გ ა რ დ ა ც უ მ უ ლ ი მ შ ჳ ლ დ ი.

მორჩ-ი 17,8 JOGW ტოტი; ყლორტი.

მოსავ-ი 46,25 JOGW მოიმედე: ნ. ს.

მოსაზღვრე 49,18 JO (ὁ πάροικος) მეზობლად მყოფი, მომიჯნავე. ნ. მ ო ზ ღ ვ რ ე.

მოსაკუფხლველ-ი 49,9 JOGW ნ. მ ო კ უ ფ ხ ლ ვ ა.

მოსაქცეველ-ი 33,26 JO (ἡ αἰχμαλωσία) დასაბრუნებელი (ტყვე).

მოსლვა ნ. ზ ე დ-მ ო ს ლ ვ ა.

მოსრვულ-ი J, **მოსრულ-ი** O 7,32 მოსპობილი, განადგურებული.

მოსრულება, ა-2 5,3 W მოსპობა. განადგურება: „მ ო ა ს რ უ ლ ე ნ იგინი".

მოტყინარე-ჲ 20,9 GW აალებული, ანთებული.

მოქალაქე-ჲ 29,23 JOW თანამემამულე: „იმრუშებდეს იგინი ცოლთა თანა მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა ს ა".

მოქლონ-ი 51,30 JOGW (ὁ μοχλός) რკინის საკეტი, დირე.

მოქმედი ქუეყანისა-ჲ 31,24 JOW მიწის მუშა. ნ. ქ უ ე ყ ა ნ ი ს მ ო ქ მ ე დ ი.

მოქმნა, ი ვნ. 31;39 JO შემოვლება, შემორტყმა: „მ ო ი ქ მ ნ ე ს რჩეულთა ქვათ გაბაოთ კერძო"O.

მოქმნევა, ი-2 (კაუზ.) 22,13 JO: „მოყუასთაგანი მ ო ი ქ მ ნ ი ე უსასყიდლოდ" მეგობართაგანი ა მ უ შ ა ვ ე უსასყიდლოდ შენთვის.

მოყოფა, 0-2 1,9 JO, „მ ო ყ ო უფალმან ჴელი მისი ჩემდა" ხელი გამოიშვირა, გამოიწოდა ჩემსკენ უფალმა. 8,6 JO. „ყური მ ო ყ ა ვ თ და ისმინეთ" ყური დამიგდეთ და გაიგონეთ.

მოყმე-ჲ 51,22 GW ვაჟი: „მ ო ყ მ ე და ქალწული". ნ. წ უ ლ ი.

მოყუას-ი 6,21 JO მეგობარი.

მოცეცხლულ-ი 51,25 GW მომწვარი.

მოწამე-ჲ 29,23 JOW მოწმე.

მოწევა, ა-2 5,15 W მოვლინება: „აჰა მე მოვაწიო თქუენ ზედა ნათესავი შორით“.

მოწყლულ-ი 37,9 JO დაჭრილი.

მოხილვა ნ. ზედ-მოხილვა.

მოხუეჭა, 0-(3)2 9,5 JO ძალმომრეობა, წაგლეჯა, უსამართლოდ რამეს მოპოვება: „უსწავიეს ენასა მათსა სიტყუაჲ სიცრუვისაჲ, მოჰხუეჭდეს და არა მოაკლდეს დართვად“.

მოხუმა ა) 0-2 35,17 W მოტანა (ობ. მრავლობითშია): „აჰა მე მოვიხუნე იუდაჲს ზედა... ძვრნი“.

ბ) 31,30 O (კბილების) მოკვეთა. ნ. კბილთა მოხუმა.

მოხუცებულ-ი 19,1 JOGW (ὁ πρεσβύτερος; старейшина) უხუცესი; ხალხის წარმომადგენელი იდეური რელიგიის მმართველ ორგანოში.

მოჯდომა, ი/უ-2 32,35 JO მოსვლა: „არცა მომიჯდა გულსა ჩემსა ყოფად საძაგელი ესე“ აზრად არ მომსვლია, გულში არ მქონია ამ სისაძაგლის ჩადენა.

მოჯელოვნება, ი-2 2,33 W ეშმაკობა, მოხერხება, „რაჲღა კეთილი მოიჯელოვნო გზათა შინა შენთა“.

მპარავ-ი 49,9 JOGW ქურდი.

მრგულება, ე 31,39 W შემოვლება, შემორტყმა: „გარემო ემრგულოს მრგულივ რჩეულთაგან ქვათა კაბათადმი“.

მრევლ-ი შდრ. თანა-მრევ[ლ]-ი.

მსუნეან-ი ნ. ხავონან-ი.

მტიერ-ი ნ. სიმტიერე-ჲ

მტკიცება ნ. შემტკიცება.

მღერა ნ. მემღერ-ი; შდრ. ნამღერ-ი.

მყოფ-ი ნ. თანა-მყოფ-ი.

მყუენელ-ი ნ. დამყუენელ-ი.

მშუებიარ-ი 7,34 W მხიარული, მომღხენი.

მშჯავრ 39,5 JO განკითხვით: „ეტყოდა მას მშჯავრ“. ნ. მსჯავრ-ი.

მჩუარ-ი 13,1 JO (λίνον, τό) ქსოვილის ნაჭერი (?): „მოიგე შენდა სარტყელი მჩურისაჲ“.

მცირედ-ი 16,6 J პატარა: „მოისრნეს დიდ-დიდნი და მცირედნი“.

მცხუედ-ი 5,24 JOW ნაგვიანევი: „წჳმაჲ მსთუაჲ და მცხუედი“.

მძლავრობა JO, **მძლავრება** W 6,6 ძალმომრეობა. ნ. მი[მ]მძლავრებელ-ი, მმძლავრებელ-ი.

მძლე ქმნა, ი/ე 50,15 JO გამარჯვება: „მძლე-ექმენით (მძლე-იქმენით O) მის ზედა გარემოჲს“.

მძნობარ-ი 30,19 (*երգիչ*) მომღერალი.

მძორ-ი 34,20 JOW მკვდრის სხეული, გვამი.

მწარე-ჲ ნ. განმწარება, განსამწარებელ-ი.

მწიგნველ-ი 37,14; 52,25 W (ὁ γραμματεύς; *դպրապետ*) მწერალი, მწიგნობარი.

მწიკულ-ი ნ. შემწიკულება.

მწირ-ი 7,6 W უცხოობაში მყოფი, უცხოელი, მსხემი. 44,8 JO მწირობა.

მწირველ-ი 33,22 W ღვთის მსახური.

მწნეხელ-ი 25,30 GW მთრგუნავი, მჭყლეტი.

მწოვარ-ი O, **მწოარ-ი** JW 44,7 თოთო, ძუძუმწოვარა.

მწუანე-ჲ 14,5 JOW (ἡ βοτάνη; *բանջար*) ბალახი: „[ირემთაცა]... დაუტევნეს ნუკრნი, რამეთუ არა იყო მწუანე“.

მწუხრ-ი 2,29 JOW საღამოს: „მწუხრი ჴმითა თჳსითა გოდებდა“.

მწჳრე-ჲ 38,6 JOW წუმპე.

მწყლველ-ი 9,8 JO მჭრელი.

მჭედელ-ი ნ. ვეცხლის-მჭედელ-ი, ოქროჲს-მჭედელ-ი.

მჭურინავ-ი 8,7 JOW ჩიტი; ბეღურა (?).

მჯდომ-ი 51,36, JO მოწინააღმდეგე,

მტერი: „მე ვსაჯო მ ქ დ ო მ ი იგი შენი“. ნ. წ ი ნ ა-მ ო ს ა ჯ უ ლ-ი.

მქედარ-ი 46,4 JO ცხენოსანი.

მჳევალ-ი 34,9 J მონა ქალი.

მქელ-მწიფე-ჲ 51,46 GW ძალაუფლების მქონე, მბრძანებელი (властелин).

მჳნება, დ 2,25 W ძალის მომატება დავაჟკაცება; „ვ მ ჳ ნ დ ე ბ ი, ვ მ ჳ ნ დ ე ბ ი“.

მჳუმილ-ი 51,12 JGW დარაჯი, მცველი.

ნ

ნაბეჭდავ-ი 22,24 J ანაბეჭდი, ნიშანი: „ყოფით მეყოს მე იქონია... ნ ა ბ ე ჭ დ ა ვ ჴელსა ზედა მარჯუენასა ჩემსა“.

ნავა ნ. დ ა ნ ა ბ ვ ა.

ნათესავ-ი 4,16; 5,15 JOW ტომი, ხალხი.

ნათელ-ი 51,16 JOGW სინათლე.

ნაკადულ-ი 31,9 JOW შენაკადი, წყლის სადინარი.

ნამღერ-ი 10,15 W სასაცილოდ აგდებული: „ამათნი არიან საქმენი ნ ა მ ღ ე რ ნ ი“.

ნანდჳლ 3,23 JOW ნამდვილად, სწორად.

ნატყუენავ-ი 28,4 JOGW წართმეული, განატაცები, წანაგლეჯი.

ნაქმარ-ი 1,16 W ქმნული, ნაკეთები: „თაყუანის-სცეს ნ ა ქ მ რ ე ბ ს ა ჴელთა მათთასა“.

ნაქმნევ-ი 10,15 JO გაკეთებული, ნაკეთები: „ცუდ არიან ნ ა ქ მ ნ ე ვ ნ ი იგი საკიცხელნი“.

ნაღუარევ-ი 31,40 W ხეობა.

ნაყა, 0-2 7,18 W ზელა: „ცოლნი მათნი ნ ა ყ ე ნ ცმელსა“.

ნაცვალგზება, ა-3 51,57 GW სამაგიეროს გადახდა: „თჳთ უფალმან ნ ა ც ვ ა ლ-ა გ ო ს მას ნაცვალ-საგებელი მისა“.

ნაცილ-ი 3,23 JO ყალბი.

ნაწილ-ი 10,16; 13,25 JOW ხვედრი, წილი.

ნახეთქ-ი ნ. გ ა მ ო ნ ა ხ ე თ ქ ი.

ნახუედრებ-ი J, ნ ა ხ უ ე დ რ ე ბ ე ლ-ი O 13,25 წილი, ხვედრი.

ნახჭ-ი 11,9 J (ὁ σύνδεσμος; *ինճիլն*) ფარული კავშირი, შეთქმულება (?): „იპოვა ნ ა ხ ჭ ი კაცთა შორის იუდაჲსთა“ აღმოჩენილ იქნა შეთქმულება იუდეველთა შორის. შდრ. ს ა კ რ ვ ე ლ ი.

ნება-ჲ 3,17 JO სურვილი, წადილი

ნესტჳ 4,5 JO საყვირი.

ნესტუვა; 0-2 51,27 GW საყვირის ცემა: „ჰ ნ ე ს ტ უ ე თ ნესტუსა წარმართთა შორის“.

ნეფხვა-ჲ 36,30 JOW სუსხი, ყინვა.

ნეშტ-ი 7,9, 42,2 JOW დარჩენილი, ნაშთი. ნ. დ ა ნ ე შ ტ ე ბ უ ლ-ი.

ნთქმა ნ. დ ა ნ თ ქ მ ა.

ნიავ-ი ნ. ს ა ნ ი ა ვ ო-ჲ.

ნიავ-ქარ-ი 4,13 JOW გრიგალი.

ნიგოზ-ი 1,11 IOW (*ընգույզ*) კაკლის ხე.

ნისლ-ი 23,12 J ბინდი.

ნიშ-ი 6,1 32,20 JO (*նշան*) ნიშანი, სასწაული“.

ნიჭ-ი 40,5 JOW საჩუქარი.

ნიჭთ-მთავარ-ი 51,59 O (ἄρχων δώρων; *պարգևապետ*) საფინანსო დარგის მოხელე მეფის კარზე, რომელიც განაგებდა გადასახადების აკრეფისა და საჩუქრების გაცემა-მიღების საქმეს.

ნოტია-ჲ (ἡ νοτία) 17,8 JOGW (ἡ ἰκμάς) ნოტიო.

ნოყიერ-ი 17,8 JOGW ნაყოფიერი: „იყოს იგი ვითარცა ხჱ ნ ო ყ ი ე რ ი“.

ო

ომ-ი ნ. მ ე ო მ ე-ჲ.

ორბ-ი 48,40 JO არწივი.

ორჳმაობა, 0-(2)1 23,4 GW: „არცა

ეშინოდის მერმე, არცა იწიწვოდინ, არცა ორჯმაობდენდა“.

ოტებულ-ი 34,21 JO გაქცეული. ნ. მეოტი.

ოფლიერ-ი 8,6 JOW ოფლიანი.

ოქროჲს-მჭედელ-ი 51,17 JOGW ოქროს ნაკეთობათა სპეციალისტი, ოსტატი.

ოხრა 51,42 JO ბორგვა, შხუილი: „აღმოჴდა ბაბილონსა ზედა ზღუაჲ ოხრითა ღელვათა მისთაჲთა“.

ოხჭნება 4,27 O (*վախճան*) დაბოლოება, აღსრულება; **გადატ.** დაღუპვა: „უდაბნო იყოს ყოველი ქუეყანაჲ, ხოლო ოხჭნება ხოლო არა ვყო...“ გაუდაბნოვდება მთელი მიწა, მაგრამ აღსასრულს კი არ ვიზამ, ე. ი. არ დავღუპავ.

ოჴერ-ი 27,17 JOGW აოხრებული, გავერანებული, ნ. მოოჴრებულ-ი.

პ

პარვა ნ. მპარავ-ი.

პასექ-ი (ებრ. faseḥ)[1] 31,8 O (φασέκ; *պասեք*) ებრაელთა დღესასწაული, ეგვიპტიდან გამოსვლის აღსანიშნავად დაწესებული [ბერძნ. πάσχα, რომელიც ებრაულიდან მოდის შეცდომით გაგებულ იქნა πάσχω „ვნებას განვიცდი“ ზმნისაგან მომდინარედ-ქრისტეს ვნებასთან დაკავშირებით-და ახალ აღთქმაში აღნიშნავს ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს].

პასტოფორიონ-ი 35,4 W (παστοφόριον, τό) სპეციალური დანიშნულების პატარა ოთახი ტაძარში, საუნჯე (?).

პატივ-ი (შდრ. *պատիւ*) 52,18 JO სამღდელო თავსახურავი (?). შდრ. ხჳრ-ი.

პატნეზ-ი (*պատնէշ*) 33,4 (*մահարձան-*) ქონგურიანი ზღუდე, სიმაგრე, ნ. გარემო, პატნეზება.

პებულ-ი ნ. დაპებულ-ი.

პორფირ-ი 10,9 W (ἡ πορφύρα) ძოწეული, წითელი ფერის სამოსელი.

პყრობა ნ. აღსაპყრობელ-ი, საპყრობელ-ი, მერთის-მპყრობელ-ი, პყრობილება.

პყრობილება 52,33 JOGW პატიმრობა. „უცვალა მას სამოსელი პყრობილებისა მისისაჲ“.

პირ-ი ა) 1,9 JOW პირი (рот) ბ) 2,27 JOW სახე (лицо); გ) 21,7 JOGW ფხა, იარაღის მჭრელი პირი (острие).

პირველად მშობელ-ი JO. **პირველი მშობიარ-ი** W 4,31 (πρωτοτοκούσα) ვინც პირველად შობს, პირველად მშობიარე.

პირუტყჳ 50,3 JO საქონელი.

პოხ ნ. განპოხება.

პყრობა ნ. დაპყრობა.

ჟ

ჟამ-ი (*ժամ*) 5,24; 11,14 JOW (*ժամանակ* დრო.

ჟამად-ჟამად 5,24 JO თავის დროზე (?).

რ

რ ნ. განრინება, განრომა.

რაჲთურთით 7,4 W სავსებით, სრულიად.

რაცხ ნ. აღმრაცხველი, აღრაცხვა.

რბენა ნ. მორბედი.

რგება შდრ. ურგები.

რეტინე-ჲ 46,11 GW (ἡ ῥητίνη *ռետին*) დანამასტიკისაგან გამონადენი წებოსმაგვარი ნივთიერება (იყენებდნენ მალამოს დასამზადებლად და საკმეველად). ნ. მკურის-კევ-ი

რეწვა შდრ. მორეწ-ი.

[1] გეზენიუსი, გვ. 651.

რვალ-ი 1,18; 6,28 JOW სპილენძი.

რთხმა ნ. განრთხმა, გარდართხმა, მომრთხმელ-ი, მორთხმა მშვლდისა...

რიდება, 0-(3)2 14,10 JW დაზოგვა: „არა ჰრიდეს". 50,14 GW: „ნუ ჰრიდებთ მშვლდვასა ზედა თქუენსა".

ე 21,7 JGW: „არა ვერიდო მათ" შდრ. ურიდება.

რიჟუება ნ. შერიჟუება.

რიტინ-ი 8,22 W ნ. რეტინე-ჲ.

როსკიპ-ი J, **როსპიკ-ი** O 3,3 მეძავი.

როჭიკ-ი 52,34 JO (*ռոճիկ*) ხელფასი, ულუფა.

რუდუნება 51,35 GW მძიმე შრომა.

რულ-ი 23,31 JO თვლემა, ძილი.

რულვა, 0-2 23,21 **JO** თვლემა, ძილი: „ჰრულის რული მათი" O.

რღუევა ნ. დარღუევა.

რყუნა ნ. გამრყუნელ-ი, განრყუნილ-ი, განსარყუნელ-ი.

რჱ, ე 7,24 JO გაგონება, დაჯერება, დამორჩილება: „არა ისმინეს ჩემი, არცა მერჩდა ყური მათი".

რჩევა ნ. გამორჩევა.

რწმუნება ნ. აღრწმუნება.

რწყმა ნ. დარწყმა მახისა.

ს

ს, ე 9,4 JOW: „ნუ ესავთ" იმედი ნუ გაქვთ, ნუ იმედოვნებთ. ნ. მოსავი, სასოება.

საარება 51,56 GW ტანჯვა, უბედურება, წვალება: „მოვიდა ბაბილონს ზედა საარებაჲ".

საარებლება, 0-1 4,13 W უბედურება, ტანჯვა-წვალება; „ვაებანი ჩუენ, რამეთუ ვსაარებლებთ". 4,20 W საარებული გაჩანაგებული.

საბელ-ი საზომელ-ი O (საზომისაჲ J, განზომისა-ჲ W) 31,39 (ἡ διαμέτρησις) გასაზომავად სახმარებელი თოკი.

საბერველ-ი 6,29 JOW (раздувальный мех).

საბრკე-ჲ 3,3; 5,26 W მახე.

საბურველ-ი ნ. აღსაბურველება.

საგარ-ი 40,5 W საგზალი.

საგზაურ-ი 2,28; 14,16 W ქუჩა, შესასვლელ-გასასვლელი (?): „რიცხვსაებრ საგზაურთა იერუსალიმისათა უზორვიდეს ბაალსა". „იყვნენ დაცვვნებულ საგზაურთა ზედა იერუსალიმისათა".

საგიობელ-ი 20,8 JOGW გასაკიცხი, საგინებელი: „მექმნა მე სიტყუაჲ უფლისაჲ საყუედრელ და საგიობელ ყოველთა დღეთა". ნ. გიობა.

საგოდრებელ-ი 6,9 JO გოდორი.

საგრემნელ-ი O, **საგრემილველ-ი** W 4,30 (ἡ στίβη) წამწამების შესაღებავად სახმარი შავი ფერის საღებავი: „იცხო თუ თუალთა შენთა საგრემნელი".

საგრილ-ი 2,20 J საჩრდილობელი.

სადგურ-ი 9,2 W; 31,12 JO სადგომი, სამყოფელი, ბინა.

სავანე-ჲ 14,8 W (შდრ. *վանք*) სამყოფელი, საცხოვრებელი.

სავედრებელ-ი ნ. შესავედრებელ-ი.

სავსებ-ი 52,18 W ქვაბი.

სავსება 47,2; 51,32 JOW შედგენილობა, შემცველობა (?): „წარრღუნეს ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი". „სავსებაჲ მისი დაიწუა ცეცხლითა".

საზამთრო-ჲ 36,22 JOW: „მეფე ჯდა სახლსა საზამთროსა".

საზღუარ-ი ნ. მოსაზღვრე-ჲ.

სათავისო-ჲ 49,32 W: „იყვნენ აქლემნი მათნი სათავისო".

სათხეველ-ი ნ. მესათხევლე-ჲ, მთხევარ-ი.

საიგავო-ჲ 24,9 GW საარაკო, სამაგალითო. ნ. იგავ-ი.

საკუერთხ-ი 6,20 JO მსხვერპლი.

საკრველ-ი 11,9 W ფარული კავშირი, შეთქმულება. ნ. ნ ა ხ ჳ-ი.

სალმობა-ჲ 6,8; 45,3 JO ტკივილი.

სალმობიერ-ი 10,19 JOW მტკივნეული.

სამაგალითო-ჲ 8,2 WW; 16,4 GW (παράδειγμα, τό) სანიმუშო.

სამარობან-ი J, **სამაროვან-ი** O 2,23 სამარხი, სასაფლაო. ნ. ს ა მ რ ა ვ ა ლ- კ ა ც ო-ჲ.

სამარხველ-ი 23,24 J სამალავი: „დამე-იმალოს კაცი ს ა მ ა რ ხ ვ ე ლ ს ა, და მე არა ვიხილო?".

სამე 2,28 J აბა, მაშ: „ალ-ს ა მ ე-დგენ და განგარინონ შენ" აბა (მაშ) ადგნენ და დაგიხსნან შენ.

სამკალ-ი 5,17 JOW მოსამკელი ყანა.

სამკვდრებელ-ი 12,8 JOW ქონება, წილი, მემკვიდრეობა: „დავაცადე ს ა მ- კ ვ დ რ ე ბ ე ლ ი ჩემი" დავტოვე, ხელი ავიღე ქონებაზე, მემკვიდრეობაზე. შდრ. მ კ ვ დ რ ო ა ნ-ი.

სამოთხე-ჲ 29,5-28 JOW ბაღი.

სამრავალკაცო-ჲ 2,23 W; 19,2 GW სასაფლაო, სამარხი (ტექსტში ლაპარაკია ენომის ველზე, რომელიც იერუსალიმის სამხრეთით იყო. აქ ებრაელები ცეცხლში დაწვით სწირავდნენ თავიანთ ბავშვებს კერპებს-ბაალს, მელოქს...: ამიტომ შეიძლებოდა ეს ადგილი წოდებულიყო მრავალთა სამარხად, სამრავალკაცოდ. Н. И. Я к и м о в, Толкование..., I, გვ. 59). ნ. ს ა მ ა რ ო ბ ა ნ-ი.

სამსჭუალ-ი W, **სამშჭუალ-ი** O 10,4 ლურსმანი.

სამყარო-ჲ 23,18 JO (ὑπόστημα, τό; *հաստատութիւն*) სადგომი, საფუძველი (?): „ვინ დადგა ს ა მ ყ ა რ ო ს ა უფლისასა და იხილვიდა სიტყუასა მისსა?".

სამწყსო-ჲ 13,20 JOW ფარა.

სამხრის 20,16 JO შუადღეს, შუადღისას.

სანიავო-ჲ 22,14 GW სარკმელი.

საპფოთ-ი W, **საპოფთ-ი** O, **საპფუთ-ი** J 52,19 (ებრ. safūth[1]; σαπφώθ *սապփուլթ*) ტოლჩა, ფიალა.

საპყრობელ-ი 52,18 W ნ. ა ლ ს ა- პ ყ რ ო ბ ე ლ-ი.

საპყრობილე-ჲ 37,20 JOW ციხე.

სარკუმელ-ი 9,21 JOW სარკმელი.

სარეცელ-ი 51,39 GW ქვეშაგები.

სარწყულ-ი 14,3 JO საწყლე ჭურჭელი.

სასაკუმევლე-ჲ 52,18 JGW: „საკმევლის ჭურჭელი".

სასოება 2,37; 33,16 JOW იმედი. ნ. ს.

სასტჳნველ-ი 25,9 JGW სასტვენი: სასაცილოდ ასაგდები: „მივსცნე იგინი განსარყუნელად და ს ა ს ტ ჳ ნ ვ ე ლ ა დ და საყუედრელად საუკუნოდ".

სასუმელ-ი 51,7 JOGW სასმისი.

სასწაულ-ი 32,20 JOW საკვირველება.

სასწორ-ი ა) 32,10 JOW სასწორი; ბ) 52,20 JOW წონა, ზომა.

საუნჯე-ჲ (შდრ. *հնձան ← հունձ* „საუნჯ-ე") ა) 15,13; 20,5 GW (*գանձ*) განძი, განძეულობა; ბ) 50,26 JO (*շտեմարան*) განძეულობათა შესანახავი ადგილი. ნ. ს ა ფ ა ს ე ჲ.

საფარველ-ი 48,45 JOW თავშესაფარი.

საფასე-ჲ ა) 15,13 JO განძი, განძეულობა; ბ) 50,26 JO განძეულობათა შესანახავი ადგილი, საწყობი. ნ. ს ა უ ნ- ჯ ე-ჲ, ფ ა ს-ი.

საფქველ-ი ა) 52,11 O წისქვილი; ბ) 25,10 GW წისქვილის ქვა. ნ. ფ ქ ვ ი- ლ-ი.

საქადულ-ი 13,11 J სასიქადულო.

საქიქელ-ი 16,4 JO სასირცხვლო.

საქმე ნ. შ ე ს ა ქ მ ე-ჲ.

საყდარ-ი 1,15; 3,17 JOW საჯდომი, ტახტი.

[1] გეზენიუსი, გვ. 548.

საყნოს-ი 48,11 W (ἡ ὀσμή) სუნი, სურნელება.

საყოფელ-ი 4,7; 9,2 JO სადგომი, საცხოვრებელი (жилище).

საყრტიობელ-ი 9,22 J: „იყვნენ მკუდარნი კაცთანი საყრტიობელ პირსა ზედა ველთა ქუეყანისა“ მკვდრები მყრალი ბალახივით დაეყრებიან ველზე (?). საყრტიობელ←საყრდიობელ (?), შდრ. ყრდელი (საბასთან).

საყვრ-ი 4,5; 6,1 W ბუკი. ნ. ნესტვ.

საყუდელ-ი 4,7 W სადგომი, სამყოფელი.

საყუედრელ-ი 6,10 JO საგინებელი, დასაცინი. ნ. ყუედრება.

საყურძენ-ი 12,10 JO ვენახი: „მწყემსთა მრავალთა განრყუნეს საყურძენი ჩემნი“.

საშოალ J, **საშუვალ** O 34,19 შუა, შორის.

საშუებელ-ი 51,34 JO განცხრომა, ფუფუნება: „აღივსო მუცელი თჳსი საშუებელისაგან ჩემისა“.

საშჯელ-ი 1,16; 4,12 JOW სამართალი, განსჯა.

საცხოვარ-ი 7,20 JOW; 27,5 JGW საქონელი, ცხოველი.

საძაგელ-ი 11,15 JOW; 32,35 JO სისაძაგლე (мерзость).

საძირკუველ-ი 51,26 JO საფუძველი.

საწნეხელ-ი 48,33 JOW (точило).

საწოლ-ი 50,6 GW ლოგინი (кровать).

საწუნელ-ი ა) 42,18 JO (ὑποχείριος ხელქვეითი, დამორჩილებული, მიმძლავრებული. ბ) 49,15 JO საგინებელი, დასაწუნი.

საწურველ-ი 52,19 JW საწურავი ჭურჭელი.

საჭრელ-ი 36,23 W რბილი საწერი მასალის საჭრელი პატარა დანა. ნ. **სახევველ-ი.**

საჭურველ-ი 21,4 JOGW იარაღი (საბრძოლო).

საჭურის-ი 29,2; 38,7 JOW დაკოდილი მამაკაცი; მსახური.

საჭურისთ-მთავარ-ი 39,13 W მსახურთა უფროსი.

სახედავ-ი ნ. შესახედავ-ი.

სახევველ-ი 36,23 JO (ξυρόν, τό) რბილი საწერი მასალის საჭრელი პატარა დანა: „მოჰხიის მან სახევლითა მით მწიგნობრისაჲთა“. ნ. საჭრელ-ი.

სახელის-დება, ე 3,16 JO მოხსენიება (?): „არა მოუჴდეს გულსა, არცა სახელ-ედვას მას შინა“.

სახლ-ი ა) 6,12 JOW სახლი, ოჯახი; ბ) 2,31 JO მოდგმა, შთამომავლობა.

სახლიერობა 3,6 W მოდგმა, შთამომავლობა: „იხილენ, რომელნი მიყვნა მე სახლიერობამან ისრაილისამან“.

სახლის-ნაშობ-ი 2,14 W (οἰκογενής) მონის შვილი. ნ. სტრუკ-ი

სახრვა 8,17 JOW მონუსხვა, გრძნეულება.

სახუეველ-ი 13,2 JO წელზე მოსარტყმელი: „მოვიგე სახუეველი... და შევიხვე წელთა ჩემთა“.

საჴივ-ი 28,10 JOGW „ქედის ბორკილი“ (საბა).

საჴმარება 22,28 GW გამოყენება, ხმარება: „ჭურჭელი, რომლისა არა არნ საჴმარებაჲ მისი“.

საჴუმილ-ი 11,4 JOW ღუმელი.

საჯ ნ. საშჯელ-ი, შჯა, წინამოსაჯულ-ი.

სდუელ-ი, სთუელ-ი ნ. მესდულე-ჲ, მესთულე-ჲ.

სერტყ-ი 3,6; 4,29 JO ნერგი; ტოტი (?).

სერტყოვან-ი 17,8 JOGW ტოტებიანი, ხშირფოთლიანი.

სელ-ი 13,1 W (лён).

სვრა ნ. **შესვრა.**

სთუ ნ. ამმსთობ-ი, აღმსთობა.

სიავ-ი 1,13 JOW; 52,18 JO ქვაბი.

სიგლახაკე-ჲ 51,56 O გაჭირვება, უბედურება: „მოიწია ბაბილონსა ზედა ს ი გ ლ ა ხ ა კ ჱ“.

სიზრქე-ჲ 52,21 J სისქე.

სიკლა-ჲ 31.9 JOW (ὁ σίκλος; *սիկղ*) ვერცხლის მონეტა.

სიმარჯუე-ჲ 4,17 W; 23,2 GW საქციელი (?): „გზათა შენთა და ს ი მ ა რ ჯ უ ე თ ა შენთა გიყვნეს ესენი შენ“. „აჰა შურ ვიგო თქუენ ზედა ბოროტთაებრ ს ი მ ა რ ჯ უ ე თ ა თქუენთა“.

სიმდაბლე-ჲ 2,24 JOW სიმშვიდე, უწყინარობა.

სიმკაცრე-ჲ 33,25 W (ὁ νόμος წესი, კანონი: „ს ი მ კ ა ც რ ე ნ ი ცისა და ქუეყანისანი არ განვაწესენ“.

სიმტიერე-ჲ 47,5 JOW სიმელოტე: **გადატ.**, განადგურება: „მოახს ს ი მ ტ ი ე რ ე გ[ა]ზასა ზედა“ მოახლოებულია გაზას განადგურება, დაღუპვა.

სინოქ-ი J, **სინოხ-ი** (ἡ συνοχή) W 29,26 (ἀπόκλεισμα, τό) საპატიმრო საკანი;

სირ-ი 8,7 JOW ჩიტი.

სირაქლემა-ჲ 49,33 JO (страус).

სირინოს-ი 50.39 GW (ἡ σειρήν, ῆνος[1] სირინოზი; მითოლოგიით ზღვაში მცხოვრები ქალთევზა, რომელიც ნაზი, მომხიბლავი ხმით იტყუებდა მსმენელებს და შემდეგ ღუპავდა. ნ. დ ე დ ა-ჭ უ ა ვ-ი.

სისაქ-ი 25,26 JO (ებრ. šešak) იგივეა, რაც ბ ა ბ ი ლ ო ნ ი; ატბაშის წესით მიღებული კრიპტოგრაფიული ფორმაა ბაბილონისა (ქართული ფორმა და სომხურიც *Սիսակ* დამოკიდებული უნდა იყოს ბერძნულ Σισάχ-ზე, რადგან ებრაულშია „შეშაქ“).

სიტყუა ა) **0-2** 26,3 GW ლაპარაკი: „ვ ს ი ტ ყ უ ა ვ მე ყოფად მათდა“. 1,6 „არა ვიცი ს ი ტ ყ უ აჲ“ არ ვიცი ლაპარაკი. ბ) 1,1; 3,12 JOW სიტყვა ((слово).

სიქადულ-ი 17,14 JOW ქება-დიდება.

სიყმილ-ი 5,12; 14,12 JOW შიმშილი.

სიძნელე-ჲ 48,1-7 JO სიმაგრე, ზღუდე. ნ. ძ ნ ე ლ-ი.

სიწრფო-ჲ 34,15 W სისწორე. ნ. წ რ ფ ე ლ-ი.

სკირადა 48,31 W (ებრ. kirḥeres[2], ბერძნ. κιράδας) ქალაქი იყო მოაბის მხარეში.

სკორე-ჲ 25,33 JOW ნაკელი, საქონლის განავალი.

სმენა-ჲ შდრ. უ ს მ-ი.

სმნიერ-ი 48,34 JOW სამი წლის, სამწლიანი: „დიაკეული ს მ ნ ი ე რ ი“.

სორო-ჲ 48,28 JOW (ὁ βόθυνος ორმო, თხრილი.

სოფელ-ი 10,12 JO ქვეყანა.

სპაჲპეტ-ი G, **პასპეტ-ი** W (*սպարապետ*) 51,57 (*զորագլուխ* მხედართმთავარი.

სრბა 8,6 JO სირბილი.

სრვა ნ. მ ო მ ს რ ვ ე ლ-ი, მ ო ს რ ვ ულ-ი, მ ო ს რ უ ლ ე ბ ა.

სტოვა-ჲ (ἡ στοά) 32,2 J (ὁ οἶκος; *ապարանք*) სასახლე (?).

სტუ ნ. ნ ე ს ტ ვ, ნ ე ს ტ უ ვ ა, ს ა ს ტ ვ ნ ვ ე ლ-ი.

სტრუკ-ი 2,14 JO (*ստրուկ*) მონის შვილი. ნ. ს ა ხ ლ ი ს-ნ ა შ ო ბ-ი.

სუარ-ი W, **სუარიმ-ი** J, **სოარემ-ი** O 29,17 (šo‘arīm[3]; *սուարիմ*) ცუდი, უვარგისი [„სუარიმ“←შოჲარიმ მრ. რიცხვის ფორმაა ებრაული „შოჲარ“ სიტყვისა].

სუენ ნ. გ ა ნ მ ს უ ე ნ ე-ჲ.

სუეტის-თავ-ი 52,22.

---

[1] გეზენიუსი, გვ. 866.

[2] გეზენიუსი, გვ. 713.

[3] გეზენიუსი, გვ. 855.

სულ-ი 48,11 JO (ἡ ὀσμή) სუნი, სურნელება: „ამისთჳს იყო გემოჲ მისი მის თანა, და ს უ ლ ი მისი არა მოაკლდა".

სულელ-ი 5,21 W.

სუმა ნ. ს ა ს უ მ ე ლ-ი.

სფარ-ი 52,19 J ერთგვარი ლანგარი (მსხვერპლის მისატანი).

სყიდა 37,11 JOW ყიდვა.

სძალ-ი 2,32 JOW რძალი.

სწავება ა) ა-3 9,20 JOW სწავლება: „ა ს წ ა ვ ე თ ასულთა თქუენთა კმაჲ ტკივილისაჲ".

ბ) ა-(3)2 10,24 O დასჯა: გ უ ა ს წ ა ვ ე ნ ჩუენ, უფალო, გარნა განკითხვით და ნუ გულის-წყრომით".

სწავლა ა) 5,3 JO დასწავლა; ბ) 30,14 JO დასჯა. ნ. გ ა ნ ს წ ა ვ ლ ა.

სწავლება, ა-(3)2 10, 24 JW დასჯა: „გ უ ა ს წ ა ვ ლ ე ნ ჩუენ, უფალო, გარნა განკითხვისა და ნუ გულის-წყრომისა მიერ".

სწრაფა 15,8 GW **ნ. წრაფა.**

სხმა ნ. გ ა რ დ ა ს ხ მ ა, დ ა ს ხ მ ა.

ტ

ტაბლა-ჲ (ἡ τάβλα) 17,1 JO საკურთხეველი.

ტაფვა ნ. გ ა ნ ტ ა ფ ვ ა.

ტერფ-ი 13,22 O.

ტეხ ნ. ა ღ ტ ე ხ ა.

ტისნა ნ. გ ა ნ ტ ი ს ნ ა.

ტოზიკობა O, **ტოზიკება** J 16,8 დღესასწაული, ღრეობა, ლხინი: „სახლსა ტ ო ზ ი კ ო ბ ი ს ა მათისასა არა შეხვდე დაჯდომად მათ თანა ჭამად და სუმად". O ნ. ა ნ კ ა ნ ა კ ო ბ ა.

ტორანტოს-ი ნ. გ ა მ ო ტ ო რ ა ნ ტ ო ს ე ბ უ ლ-ი.

ტრიობა, 0-1 50,11 JGW კუნტრუში: „ჰ ტ რ ი ო ბ დ ი თ, ვითარცა ზროხანი მწუანესა შინა". ნ. მ ი ტ რ ი ო ნ ე ბ ა, ა ღ ს ტ რ ი ო ბ ა.

ტრფიალ-ი 4,30 JOW; 22,20 JOGW შეყვარებული, საყვარელი: „განვიშორეს შენ ტ რ ფ ი ა ლ თ ა შენთა". „შეიმუსრნეს ყოველნი ტ რ ფ ი ა ლ ნ ი შენნი".

ტყავ-ი 13,23 JOW კანი.

ტყდომა ნ. ა ღ ტ ყ დ ო მ ა.

ტყება, ე 34,5 JW თავში ხელების ცემით გოდება, მოთქმა: „ეგრე გტიროდიან შენცა... და გ ე ტ ყ ე ბ დ ე ნ შენ". ნ. მ ე ტ ყ ე ბ ა რ-ი.

ტყუ, ი-2 48,26; 48,42 JO, „უფლისა ზედა მ დ ი დ რ ა დ ი ტ ყ ო დ ა" ἐμεγαλύνθη; *մեծաբանեաց*) უფალზე ლაყბობდა, ლაზღანდარობდა.

ტყუელვა, 0-(2)1 48,26 ტაშის კვრა, ტაშის ცემა: „ტ ყ უ ე ლ ვ ი დ ე ს მოაბ ჴელითა თჳსითა". შდრ. ა ღ ტ ყ უ ე ლ ვ ა.

ტყუე-ქმნილ-ი 49,5 W ტყვედ წაყვანილი, დატყვევებული.

ტყუენა ნ. ნ ა ტ ყ უ ე ნ ა ვ-ი, წ ა რ ტ ყ უ ე ნ ა:

ტყუვება ნ. შ ე ტ ყ უ ვ ე ბ ა.

უ

უბადო-ჲ 4,20 J გავერანებული, გაჩანაგებული: „უ ბ ა დ ო იქმნა ყოველი ქუეყანაჲ".

უბადოობა-ჲ 15,8 J გაჭირვება, უბედურება: „მოუვლინე დედასა ზედა ჭაბუკთასა უ ბ ა დ ო ო ბ ა ჲ შუვა-დღესა".

უბადრუკება-ჲ 4,20; 6,7 JO გაჭირვება, უბედურება.

უბან-ი 5,1 JOW ქუჩა.

უბიწოება-ჲ 4,11 W სიწმინდე, უმანკოება.

უბრალო-ჲ 2,35; 7,6 JOW უდანაშაულო.

უბრალოება, ა-2 18,23 GW უდანაშაულოდ გამოყვანა, გამართლება; „ნუ ა ა უ ბ რ ა ლ ო ე ბ უმართლოებათა მათთა" ნუ გააუდანაშაულებ, ნუ გაამართლებ მათ უსამართლობას.

უბრალო-ქმნა, ი ვნ. 49,12 W გამარ-

თლება: „შენ, უბრალო-ქმნილი, არა უბრალო-იქმნე".

უბრალო-ყოფა, 0-2 15,15 JOGW „მომხედე მე და უბრალო-მყავ მე მდევართა ჩემთაგან" მომხედე და უდანაშაულო გამხადე, გამამართლე (დამიცავი) მდევართაგან.

უგზო-ჲ 51,43 O (ἄβατος) გაუვალი, უდაბური.

უგლიმობა-ჲ 49,16 GW უტიფრობა.

უდებ-ი 48,10 JO დაუდევარი: „წყეულ იყავნ, რომელი იქმოდის საქმესა უფლისასა უდებად" წყეული იყოს, ვინც საუფლო საქმეს დაუდევრად, ზერელედ, არაგულმოდგინედ აკეთებდეს.

უდებება-ჲ 48,10 W დაუდევრობა.

უდებ-ყოფა, 0-2 31,32 OW აბუჩად აგდება, უგულებელყოფა: „იგინი არა დაადგრეს აღთქუმათა ჩემთა, და მე უდებ-ვყვნე იგინი O.

უზავ-ი 3,10 W (ἀσύνθετος; *ուխտադրուժ*) ორგული, ორპირი.

უთნო-ჲ 3,13; 12,1 ულმრთო, უკეთური.

უთნოობა, 0-1 2,8 W ულმერთობა; უკეთურობა: „მწყემსნი უთნოობენ ჩემდამო".

უკეთურება, 0-1 2,33 JOW ცუდის ქმნა, ბოროტების ჩადენა: „შენცა უკეთურებდ-ვე შებილწებად გზათა შენთა". 4,14 JOW: „განიბანე უკეთურებისაგან გული შენი".

უკუმართ JO, **უკულმართ** GW 46,5: „ივლტიან უკუმართ" გარბიან უკან.

უკუმართამ-ი 7,24 W უკანმიქცეული.

უკუ-მოგება, ა-2 24,6 JO უკან დაბრუნება: „უკუ-მოვაგნე იგინი ამას ქუეყანასა."

უმართლო-ჲ 5,31 W ტყუილი; უსამართლობა.

უმართლოება-ჲ 18,23 GW უსამართლობა: „ნუ აუბრალოებ უმართლოებათა მათთა" ნუ გაამართლებ მათ უსამართლობას, უკანონობას.

უმეტკუეთილო-ჲ 9,26 W წინადაუცვეთელი.

უნდო ქმნა, ი ვნ. 11,16 JO უსარგებლობა: „უნდო იქმნნეს რტონი შენნი" (ἠχρειώθησαν, *անպիտանացան*).

უპოვარ-ი 52,16 JO უქონელი, ღატაკი.

უპატივოება 20,11; 51,511 G(ἡ ἀτιμία) შეურაცხყოფა, უპატივცემლობა.

ურაკ-ი 49,27 W უბანი, მოედანი, ნ. ურაკპარაკ-ი.

ურაკპარაკ-ი 49,27 JO (*Հրապարակ*) უბანი, მოედანი, ნ. ურაკ-ი.

ურგებ-ი 1,8 OW უსარგებლო.

ურვა 9,15; 15,4 JO მწუხარება, უბედურება.

ურიდება-ჲ 49,4 JO ურცხვობა.

ურმის-თუალ-ი 47,3 JOGW ბორბალი: „ძრვისაგან ეტლთაჲსა და ჴმითა ურმის-თუალთა მისთაჲთა".

ურო-ჲ 50,23 JOGW (*ուռն*, ἡ σφυρά) ხვედა, ურო.

ურჩხულ-ი 50,39 JOGW ზღაპრული ცხოველი, გველეშაპი.

ურწყო-ჲ 25,15 JOGW უწყლო, წყალშეურეველი: „მიიღე სასუმელი ღჳნისა ურწყოჲსაჲ.

ურწყულ-ი 2,6 JOW უწყლო, მშრალი, დაგვალული: „ქუეყანასა ურწყულსა და უნაყოფოსა".

უსმ-ი 5,23 JO არა გამგონე, უყურადღებო.

უსუსურ-ი 51,56 O უძლური.

უუფლო-ჲ 2,31 JOW უბატონო, თავისუფალი: „უუფლო ვიყვნეთ და შენდა არღარა მოვიდეთ მერმე".

უქმ-ი 2,6 W გამოუყენებელი, აუთვისებელი: „ქუეყანასა მას უქმსა და უვალსა".

უშჯულოება-ჲ 2,22; 3,13 JO უსამართლობა, უკანონობა. ნ. შჯულ-ი.

უჩინო ქმნა, ი.ვნ. 12,4 W გაქრობა, განადგურება, დაღუპვა: „უ ჩ ი ნ ო- ი ქ მ ნ ე ს საცხოვარნი და მფრინველნი".

უცნობო-ჲ 4,22 W უგონო, უჭკუო: „ძენი უ ც ნ ო ბ ო ნ ი არიან და არა გულისხმის-მყოფელნი".

უცხო-ქმნულება-ჲ 13,27 W თავხედობა, ურცხვობა: „იხილოს უ ც ხ ო- ქ მ ნ უ ლ ე ბ ა ჲ სიძვისა შენისაჲ".

უწჳმოება-ჲ 14,1 W; 17,8 GW გვალვა.

უჭამ-ი 24,2 GW საჭმელად უვარგისი: „ლეღჳ ჯერკუალი ფრიად, უ ჭ ა- მ ი ჯერკულებისაგან მისისა".

ჳ

ჳაკინთ-ი 10,9 W ნ. ი ა კ ი ნ თ ი.

ფ

ფარაო 25,19 JOGW ფარაონი, ეგვიპტის მეფეთა ტიტული.

ფარვა ნ. ს ა ფ ა რ ვ ე ლ-ი.

ფას-ი 17,3 GW საგანძური: „ფ ა ს ნ ი შენნი იავრად მივსცნე". ნ. ს ა ფ ა ს ე-ჲ.

ფასეკ-ი 31,8 JW (φασέκ) ნ. პ ა- ს ე ქ-ი.

ფარტენა 38,12 JO მატყლის ფთილა.

ფერ-ი 15,3 JO სახე, გვარი: „ვიძიო შური ოთხითა ფ ე რ ი თ ა" O.

ფერცხალ-ი 30,6 JO ნეკნი.

ფეშხუემ-ი O, **ფეშხუენ-ი** J 52,18 თეფში; დაბალფეხიანი სასმისი.

ფიალა-ჲ 52,18 W (ἡ φιάλα) ჯამი.

ფიქლოვან-ი O, **ფიქლოან-ი** JW 48,5: „აღსავალსა ფ ი ქ ლ ო ა ნ ს ა აღვიდეს".

ფიცხება ნ. გ ა ნ ფ ი ც ხ ე ბ ა.

ფიცხელ-ი 2,25 JOW ძნელად სავალი: „მოაქციენ ფერჴნი შენნი გზისანი ფ ი ც ხ ლ ი ს ა".

ფიწლვა ნ. გ ა ნ მ ფ ი წ ლ ა ვ ი.

ფლობა-ჲ 24,7 GW შეძლება, ბატონობა: „მოიქცენ ჩემდა ფ ლ ო ბ ი თ ა გულისა მათისაჲთა".

ფლობილება-ჲ 51,46 O შესაძლებლობა, ძალაუფლებიანობა, ბატონობა.

ფოლხუება ნ. ა ღ ფ ო ლ ხ უ ე ბ უ- ლ-ი.

ფრთხობა ნ. მ ა ფ რ თ ხ ო ბ ე ლ-ი.

ფრიად 2,10; 49,30 JOW ძალიან, მეტად.

ფრცხილ-ი JO, **ფრჩხილ-ი** GW 17,1 ლითონის საწერლის ბოლო, წვერი: „ცოდვაჲ იუდაჲსი დაწერილ არს წიგნთა შინა რკინისათა ფ რ ც ხ ი ლ ი თ ა ადამანტიანისაჲთა".

ფურცელ-ი 8,13 JOW ფოთოლი.

ფუცხჳ 52,18 JW ჩანგალი.

ფქვილ-ი 25,10 JO წისქვილის ქვა. ნ. ს ა ფ ქ ვ ე ლ-ი.

ქ

ქად ნ. ს ა ქ ა დ უ ლ-ი, ს ი ქ ა დ უ- ლ-ი.

ქავება ნ. ა ღ ქ ა ვ ე ბ ა.

ქალაქ-ი შდრ. მ ო ქ ა ლ ა ქ ე-ჲ.

ქანდაკებულ-ი 51,47 OGW ქანდაკება.

ქარვება ნ. გ ა ნ ს ა ქ ა რ ვ ე ბ ე ლ-ი, გ ა ნ ქ ა რ ვ ე ბ ა.

ქარტა-ჲ 36,28 JOW (χαρτίον, τό, *քարտեն*) საწერი ფურცელი (ჭილისა, პაპირუსისა).

ქარქუეტ-ი 13,24 JOW ფიჩხი.

ქედ-ი 27,11 JGW კისერი.

ქერეთ-ი JW, **ქერით-ი** O 37,14 ებრ. ḥeniūth,[1] ბერძნ. χερέθ. სარდაფი, დილეგი.

ქვა-ჲ 18,3 JOGW ქვის სპეციალური ხელსაწყო, რომელიც გამოიყენებოდა თიხის ჭურჭლეულობათა დამზადებისას: „შთავედ სახედ მეკეცისა, და აჰა იქმოდა იგი საქმეთა ქ ვ ა თ ა ზედა".

---

[1] გეზენიუსი, გვ. 224.

ქიქ ნ. განსაქიქებელ-ი, საქიქელ-ი.

ქმნა, ი/უ-(3)2 30,9 JOW მსახურება: „უქმოდიან იგინი უფალსა ღმერთსა მათსა“, შდრ. მოქმნა, მოქმნევა, ნაქმარი, ნაქმნევი.

ქონდაქარ-ი ნ. მთავარ-ქონდაქარ-ი, მატაკარან-ი.

ქორ-ი 22,14 JOGW ზემო სართული, დიდი ოთახი (?).

ქორედ-ი 20,2 JGW სართულიანი: „სახლსა მას ქორედსა“.

ქრთილ-ი 41,8 JOW ქერი.

ქუაბ-ი 4,29; 7,11 JOW გამოქვაბული.

ქუან ა-2 3,3 W ყოლა: „გაქუნდეს მწყემსნი მრავალნი“.

ქუე-ქუემო-ჲ 13,22 JO (ὀπίσθιος; յետուստ) კაბის ქვედა ნაწილ ზე ზე, კალთაზე შემონაკერი ქსოვილი (იგივეა, რაც ხევსურული ქოქომო): „აღგეკეცა ქუე-ქუემოჲ შენი განსაქიქებელად ტერფთა შენთა“.

ქუეყანა ა) 2,2; 3,16 JOW მიწა: ბ) 4,16 JOW ქვეყანა, მხარე.

ქუეყანის-მოქმედ-ი 51,23 O (ὁ γεωργός; հողագործ) მიწის მუშა. ნ. მოქმედი ქუეყანისა-ჲ.

ქურუმ-ი 49,3 JO კერპთმსახური.

ქუხილ-ი 51,16 JOGW (ὁ ἦχος) ჭექა

ქჳრნობა, ი უობ. 5,8 J ჭიხვინი. **გადატ.** არშიყობა: „კაცად-კაცადი ცოლისა მიმართ მოყუასისა იქჳრნობდა“.

ღ

ღ ნ. მიღება.

ღალვა 51,33 GW (ὁ ἄμητος; հունձ) მკა, მკის დრო: „მცირედღა, და მოიწიოს ღალვაჲ მისი“ კიდევ ცოტა (ხანი), და მოვა მისი მკა (მკის დრო).

ღაღადება, 0-1 30,15 JO; 47,2 JOGW ყვირილი, ღრიალი: „რაჲსა ჰღაღადებ შემუსრვილებასა შენსა ზედა?“ „ღაღადებდენ კაცნი, და გოდებდენ ყოველნი მკჳდრნი ქუეყანისანი“.

ღაღადის-მგდებელ-ი 51,31 JO ამბის მიმტანი, მცნობებელი. ნ. მეღაღადისე-ჲ.

ღაღად-ყოფა, 0-(2)1 4,5 JW ყვირილი, ღრიალი: „ღაღად-ყავთ ფრიად და არქუთ“.

ღელე 21,13; 48,8 JOGW ხეობა.

ღელვა 5,22; 31,35 JOW ტალღა.

ღუარ-ი შდრ. ნაღუარევი.

ღუაწლ-ი 48,5 JO წვალება, გაჭირვება, უბედურება: „ღუაწლი და ღაღადებაჲ შემუსრვისაჲ ესმა“.

ყ

ყამირ-ი ნ. დაყამირებულ-ი.

ყანა-ჲ 26,18 GW საყანე მიწა, ველი.

ყენება შდრ. განმაყენებელ-ი.

ყმა-ჲ შდრ. მოყმე-ჲ.

ყნოსვა შდრ. საყნოს-ი.

ყოველ-ი 4,27, 44,11 JOW მთელი: „უდაბნო იყოს ყოველი ქუეყანაჲ“. „აღვჴოცო ყოველი იუდაჲ“.

ყოვლად-დასაწუველ-ი 6,20 W ნ. იმრგულივ-დასაწუველ-ი, მრგულიად-დასაწუველ-ი.

ყოვლისა-მპყრობელ-ი 49,18; 50,34 OW ღვთის ეპითეტია. ნ. მერთის-მპყრობელ-ი.

ყოფა ნ. განყოფა, მოყოფა.

ყრმა-ჲ ა) 1,6 JO ჭაბუკი; ბ) 25,19 GW; 34,9 W მონა, მსახური.

ყრმაა-ჲ 34,9-11 W მონა ქალი, მხევალი.

ყუარ ნ. მიყუარ-ი, მოყუას-ი.

ყუდება ნ. დაყუდება.

ყუედრება 6,10 W; 23,40 JOGW, ავად ხსენება, გინება, გაკიცხვა.

ყუედრებულ-ი 15,9 JO გაწბილებული, შერცხვენილი. ნ. საყუედრელ-ი.

ყუენა ნ. დამყუენელ-ი, დაყუე-ნა, ყვნულ-ი.

ყურძენ-ი ნ. საყურძენ-ი.

ყვბარ-ი 19,1-10 JO თიხის ჭურჭელი. ნ. კარაბა-ჲ.

ყვნულ-ი ნ. ყუენა.

შ

შდომა, შთომა ნ. დაშდომილ-ი, დაშთომილ-ი.

შებერვა, 0-(3)2 51,17 JO გამოდნო-ბა: „ჰრცხუენა ყოველსა ოქროჲს-მჭე-დელსა ქანდაკებულთაგან თჳსთა, რამე-თუ ნაცილად შებერა (=ყალ-ბად გამოადნო).

შებმა, ა-3 52,34 JO დაწესება, დად-გინება: „შეაბა მას როჭიკი მარადის“ დაუწესა მას მუდმივი ულუფა (ხელ-ფასი).

შებრძკლვა 33,6 W შეკვრა, შეერთე-ბა, შეხორცება (ჭრილობისა).

შებრძკნება-ჲ 33,6 J შეკვრა, შეერთე-ბა, შეხორცება (ჭრილობისა): „ესერა მოვავლინო მის ზედა შებრძკნე-ბაჲ, ულხინო და განვკურნნე იგინი“.

შევლტოლა 4,6 W ნ. ვლტოლა.

შეზღუდვილ-ი 4,5 O ნ. მოზღუდ-ვილ-ი.

შეკდემა, ი უობ. 5,22 JO შერცხვე-ნა, მორცხვობა: „პირისაგან ჩემისა არა შეიკდიმოთ“.

შეკნინება, 0-1 30,19 W შემცირება: „არა შეკნინდენ“.

შემგუვედ-ი 22,14 J (σύμμετρος; պատշաճող) ზომიერი, შესაფერისი: „იშე-ნეთ თავისა თჳსისა სახლ შემგუვედ, ქორები ფართოვები“. ნ. ზომითი.

შემტკიცება, ი-2 1,17 JO გამაგრება, განმტკიცება: „შეიმტკიცენ წელნი შენნი და აღდეგ“.

შემყოფ-ი 25,20 JO (σύμμικτος, խառնաղանձ) ტომობრივად ნარევი, ჭრე-ლი შედგენილობის კრებული. ნ. თანა-მრევ[ლ]ი, შერთულ-ი, შეყო-ფილ-ი

შემწიკულება, ი ვნ: 3,2 W შერცხვე-ნა, სახელის გატეხა: „იხილე, სადა არ შეიმწიკულე“.

შენ ყოფა J, **შჱნ ყოფა** O, **ი ვნ.** 35,10 დაშენება, დამკვიდრება: „შენ ვიყ-ვნეთ კარვებითა“.

შერთულ-ი 50,37 JOGW ტომობრი-ვად ნარევი, ჭრელი შედგენილობის კრე-ბული: „მახვლი მბრძოლთა ზედა მისთა და შერთულსა შორის მისსა“. ნ. თანა-მრევ[ლ]-ი, შემყოფ-ი, შეყოფილ-ი.

შერიუუება 13,16 JOW შებინდება.

შესაქმე-ჲ 1,5 O შექმნა; ჩასახვა: „ვიდრე შესაქმედმდე შენდა მუ-ცელსა შინა“.

შესავედრებელ-ი 16,19 JO თავშე-საფარი: „უფალო,... შემწეო ჩემო და შესავედრებელო ჩემო დღესა შინა ბოროტსა“ O. შდრ. ვედრ-ი.

შესახედავ-ი 3,3 W სახე (лицо).

შესურა, 0-2 3,9 W შებილწვა: „შე ს-ურა ქუეყანაჲ და იმრუშა“.

შესულება, 0-1 8,9; 49,23 JO შე-კრთომა, შიშით გატრუნვა: „ჰრცხუენა ბრძენთა და შესულბეს“.

შეტყუვება, 0-2 20,7 JO შეცდენა, მოტყუება: „შემიტყუვე მე, უფა-ლო, და შევსცეთ“.

შეურაცხ-ყოფა, 0-2 6,14 JO აბუ-ჩად აგდება, არად მიჩნევა: „შეუ-რაცხ-მყოფდეს მე და იტყო-დეს“ O.

შეყენება, ა-(3)2 32,3 JOW დამწყვდე-ვა: „რომელსა შინა შეაყენა იგი მეფემან სედეკია“ W. 39,15 JO: **შეყე-ნებულ-ი** მოთავსებული, დამწყვდეული.

შეყოფილ-ი 25,24 JO ტომობრივად ნარევი, ჭრელი შედგენილობის კრებუ-ლი. ნ. თანა-მრევ[ლ]ი, შერთუ-ლ-ი, შემყოფ-ი.

შეშა-ჲ 23,13 W: „საკივნი შეში-სანი დაჰმუსრენ“ ხის ბორკილები დაამსხვრიე.

შეცვა, ი-2 32,2 W ალყის შემორ-

ტყმა: „ძალმან მეფისა ბაბილოვნისამან შეიცვეს იერუსალიმი".

შთავრდომა 1,5 J ჩასახვა: „ვიდრე შთავრდომადმდე მუცელსა დედისასა".

შთათხევა, 0-2 41,7 JO ჩაყრა: „მოწყვდნა იგინი ისმაელ და შთასთხინა იგინი ჯურღმულსა".

შთამართ-ი 48,5 JO დაღმართი.

შიშნეულ-ი 41,18; 49,37 W შეშინებული.

შოვ ნ. განშოვლება.

შოვაგ-ი O, **შუაგ-ი** J 37,9 „თავის საფარი საჩრდილოდ" (საბა).

შორის-ი 29,8 W რამეს ან ვინმეს შორის მოთავსებული თუ მყოფი: „ნუ ალგარწმუნებენ თქუენ ცრუ-წინაჲსწარმეტყუელნი თქუენნი, შორისნი თქუენსა".

შრეტა ნ. აღმოშრეტა.

შრობა ნ. დაშრობა.

შრომა 3,24 JO; 45,3 JOW გარჯა, შეწუხება. შდრ. დაშურომა.

შუებულება 51,34 GW ნ. საშუებელ-ი, მშუებიარ-ი, საშუებელ-ი.

შფოთ-ი 49,2 GW ხმაური. ნ. მაშფოთებელ-ი.

შჯა, ე 2,35 JO განკითხვა, გასამართლება: „მე გეშჯი შენ".

შჯულ-ი 2,8; 6,19 JOW მოძღვრება, სარწმუნოება; კანონი. შდრ. უშჯულოება.

ჩ

ჩაფხუტ-ი 46,4 JOW თავზე დასახურავი ლითონის საჭურველი, უზარადო ჩაბალახი. ნ. თავის-გარემოის-ი.

ჩჩვლ-ი 44,7 JOW ჩვილი ბავშვი.

ც

ც ნ. მეცნავ-ი, მეცნიერ-ი, მეცნიერება.

ცაღ ნ. აღცდა, გამოუცდელ-ი, გამოუცდელება.

ცადება ნ. დაცადება.

ცეცხლ-ი შდრ. მოცეცხლულ-ი.

ცვა, 0-2 32,2 J დარაჯობა, დაცვა: „იერემიას წინაწარმეტყუელსა სცვიდეს ეზოსა შინა საპყრობილისასა".

ი ვნ. 32,2 W: „იერემია იცვებოდა ეზოსა შინა საპყრობილისა. ნ. მომცველ-ი, შეცვა.

ცილ-ი 14,14 JOW ტყუილი. ნ. ნაცილ-ი.

ცისკარ-ი 7,25 W განთიადი.

ცმელ-ი 7,18 JOW (σταῖς, το; [illegible]) ქონი, აქ: ცომი (?): „დედანი მათნი ზელენ ცმელსა"

ცნობა-ჲ ნ. უცნობი.

ცუდ-ი ა) 2,5; 10,3 JO ამაო, ფუჭი; ბ) 14,3 JO ცარიელი: „მიაქციენნეს სარწყულნი მათნი ცუდნი". შდრ. დაცუდება.

ცულოსან-ი 46,22 JO ცულიანი.

ცუმა ნ. გარდაცუმა მშვლდისა.

ცხენოსნობა, 0-1 50,42 GW: „ცხენთა ზედა ცხენოსნობდენ".

ცხოვარ-ი 3,24 OW; 23,2 JO ცხვარი. შდრ. მაცხოვარება, საცხოვარ-ი.

ცხოველ-ი 2,13 JO; 5,2 JOW ცოცხალი.

ცხოვრება W, **ცხორება** JO 8,3 სიცოცხლე.

ცხონება, დ 4,14 W; 29,7 O გადარჩენა, ხსნა: „განბანე უკეთურებისაგან გული შენი, იერუსალიმ, რაჲთა სცხოვნდე" W. „ცხონდებოდეთ მშვიდობად მის ქუეყანისა" O.

ცხრომა ნ. დაცხრომა.

ძ

ძაგება შდრ. საძაგელ-ი.

ძალ-ი 32,2 JOW ჯარი: „ძალი მეფისა ბაბილოვნისაჲ ჰბრძოდა იერუსალჱმსა".

ძალ-დება, ი/უ-2 36,5 W შეძლება;

რ ძ ა ლ-მ ი ც შესლვაჲ“ არ შემი-
ლა შესვლა.

ძაძა-ჲ 6,26; 48,37 JOW უხეში ქსო-
ლი.

ძე 0-1 2,18 JO: აწ რაჲ ძ ე ს შენი
გზისა ეგვპტისაჲ“.

ძელ-ი 2,27 JOW ხე.

ძილის-შინა-ჲ 23,25 GW (ἐνύπνιον, τό
სმარი.

ძილის-შინება, ი-2 23,25 GW სიზ-
ის ნახვა, დასიზმრება: „ვ ი ძ ი ლ ი ს-
ნ ე თ ძილის-შინაჲ“.

ძირ-ი ნ. გ ა ნ ძ ი რ ვ ა.

ძის წულ-ი 35,18 O ძის ვაჟი.

ძლევა, ი ვნ. 5,6 J გაძლიერება:
ძ ლ ი ნ ნ ე ს გარდაქცევითა მათითა“.

ძლიერ-ი ა) 44,20; 46,6 JOGW მაგა-
, ღონიერი; ბ) 1,18 JO გამაგრებული:
ქალაქი ძ ლ ი ე რ ი“, გ) 41,16 მებრძო-
ი: „მოწყვდნეს ძ ლ ი ე რ ნ ი კაცნი
ბრძოლასა შინა“.

ძლით 15,15 GW თვის (თანდ.); 29,7
: „ილოცევდით მის ძ ლ ი თ უფლისა“
ლოცეთ მისთვის უფლის მიმართ.

ძნელ-ი 1,18 W; 8,14 JO ძლიერი.
მაგრებული: „ქალაქი ძ ნ ე ლ ი“,
შევიდეთ ქალაქებსა მას ძ ნ ე ლ ს ა“.
დრ. გ ა ძ ნ ე ლ ე ბ ა, ს ი ძ ნ ე ლ ე-ჲ.

ძონძ-ი 38,11 JO ძველის სამოსლის,
ძოვილის ნაგლეჯი.

ძოწეულ-ი 4,30 W; 10,9 JOW წითე-
ლი ფერის სამოსი, პორფირი.

ძრვა 14,10 JOW მოძრაობა: „შეი-
ყარეს ძ რ ვ ა ჲ ფერჴთა მათთაჲ“:
ნ. ა ღ ძ რ ვ ა.

ძღოლა ნ. წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ-ი.

ძღუენ-ი 33,11; 41,5 W შესაწირავი.

ძჳნ ნ. გ ა ნ ძ ჳ ნ ე ბ ა.

ძჳრ-ი 2,27; 4,6 JOW უბედურება,
ბოროტება.

ძჳრის საქმე-ჲ 4,22 JO ბოროტმოქ-
მედება: „ბრძენ არიან ძ ჳ რ ი ს ს ა ქ-
მ ე დ“.

წ

წამება, 0-2 6,10 JO მოწმობა, დადას-
ტურება: „ვისა მიმართ ვიტყოდი და
ვ წ ა მ ე ბ დ ე“. ნ. მ ო წ ა მ ე-ჲ.

წან ნ. მ ა წ ა ნ ე ბ ე ლ-ი.

წარგუალ, 0-1 22,1 JO წასვლა:
„წ ა რ გ უ ა ლ ე და შთავედ“ წადი და
ჩადი. ნ. მ ი გ უ ა ლ.

წარკუეთა 13,16 JO მოკვეთა (ფეხი-
სა); წაბორძიკება: „ვიდრე წ ა რ კ უ ე-
თ ა დ ფერჴთა თქუენთა“

წარმართ-ი ა) 9,16, 10,2 JOW წარ-
მართობის მიმდევარი, კერპთთაყვანის-
მცემელი (ЯЗЫЧНИК); ბ) 1,5 J ხალხი

წარმართება ა) **0-2** 21,12 GW წარ-
მართვა, წარმოება: „შჯიდით განთიად
სასჯელსა და წ ა რ ჰ მ ა რ თ ე ბ დ ი თ
G.“

ბ) ე 2,37 JW; 12,1 JOW წარმატება,
გამარჯვება: „არა წ ა რ ე მ ა რ თ ო მათ
შინა“; „რაჲსთჳს გზაჲ ულმრთოჲთაჲ წ ა-
რ ე მ ა რ თ ი ს?“

გ) 47,3 O წასვლა, გაშურება: „ჴმი-
საგან წ ა რ მ ა რ თ ე ბ ი ს ა მისისა“. ნ.
წ ა რ მ ო მ ა რ თ ე ბ ა.

წარმდევნელ-ი 7,33 W განმაშორე-
ბელი (ОТГОНЯЮЩИЙ).

წარმომართება ა) ე 32,5 JO წარმა-
ტება, გამარჯვება. „ჰბაძავს ქალდე-
ველთა, რომელთა მიმართ ვერ წ ა რ მ ო-
ე მ ა რ თ ო ს.

ბ) 47,3 J წასვლა: „ჴმისაგან წ ა რ მ ო-
მ ა რ თ ე ბ ი ს ა მისისა“. ნ. წ ა რ მ ა-
რ თ ე ბ ა გ).

წარმოუმართებელ-ი 22,30 JO გაუ-
მარჯვებელი, ხელმოცარული.

წარმოჰკრება, ი უობ. 6,1 W გამო-
ჩენა: „რამეთუ ძჳრთა წ ა რ მ ო ი ჰ-
კ რ ე ს ჩრდილოჲთ“.

წარმღუნელ-ი 47,2 JOGW წამლე-
კავი.

წარნაქ-ი 22,14 JOGW (ἡ μίλτος;
hunc[d]) წითელი ფერის საღებავი.

წარტყუენვა 1,3 JO დატყვევება,
გადასახლება.

წარწყმედა, 0-1 6,21 JOW დაღუ-

პვა: „მოძმე და მოყუასი მისი წარწყმდენ“.

წარხუმა, ი-2 27,22 GW წაღება (ობიექტი მრავლობითშია): „ჭურჭელნი... ბაბილონდ წარიხუნენ“.

წარჴდომა, 0-1 8,20 JOW წასვლა: „წარჴდა მკაჲ“.

წახნაგებულ-ი 10,9 W გამოჭედილი: „ვეცხლი წახნაგებულ არს“. ნ. გამოტორანტოსებული.

წევა ნ. მოწევა.

წერაქჳ 23,29 JOGW.

წვენა ნ. მაწვენელი.

წიალ-ი 32,18 JOW შიგნეულობა (?): „მიავი ცოდვაჲ მამათაჲ წიალთა შვილთა მათთა“ O.

წიაღსლვა, 0-1 2,10 JO გადასვლა (წყალზე): „წიაღვედით ჭალაკთა ქეტიმისთა“.

წიგნ-ი შდრ. მწიგნველ-ი.

წილ-ი შდრ. ნაწილ-ი.

წინა-განწყობა, ე 50,24 GW შებრძოლება: „წინა-განგეწყვე შენ“.

წინაგარდამარჯულ-ი 25,23 JO თმაშეკრეჭილი (?). ნ. წინამიკუეცილ-ი, ვარჴ-პარსულ-ი.

წინადაცუეთა, ი-2 4,4 JO რელიგიური წესი, რომლის მიხედვითაც ჩვილ ვაჟს სასქესო ასოს წვერზე კანს მოსჭრიან ხოლმე: „წინადაიცჳთეთ წინადაცუეთილებაჲ გულთა თქუენთაჲ, კაცთა იუდაჲსთა“.

წინა-კარ-ი 1,15 W (πρόθυρον, τό) ზღურბლი, კართანა.

წინამიკუეცილ-ი 9,26 JO წინამოშეკრეჭილი (?) [„**წინამო** თმა ლაწვთ მაშვენებელი“ — საბა]: „ყოველთა ზედა წინამიკუეცილთა პირით კერძო მათით“ O. ნ. კუეცა.

წინამოზღუდვილობა 52,7 W ზღუდე, სიმაგრე, გალავანი.

წინამოსაჯულ-ი 51,36 GW მოწინააღმდეგე. ნ. მჯდომ-ი.

წინამძღუარ-ი 4,22 W წინამძღოლი, უფროსი: „წინამძღუართა ერისა ჩემისათა მე არა მიცოდეს“. ნ. მთავარ-ი.

წინსაბრძოლ-ი 33,4 W ბრძოლის დროს თავდასაცავი საფარი.

წირვა ნ. მწირველ-ი.

წისქვილ-ი 52,11 W: „მისცა იგი სახიდ წისქჳლისა“ ნ. საფქველ-ი.

წიწვა, ი ვნ. 23,4 GW რიდი, მოკრძალება, მოწიწება; ძრწოლა: „არცა ეშინოდის მერმე, არცა იწიწვოდინ“.

წიწნეულობა, 0-1 1,17 W რიდი, მოკრძალება, მოწიწება, ძრწოლა: „ნუ შეიშინებ პირისაგან მათისა, ნუცა სწ[ი]წნეულობ წინაშე მათსა“.

წიხლვა, 0-2 9,4 W: „ყოველი ძმაჲ წიხლითა წიხლვიდეს“.

წმასნა, 0-2 23,31 GW შეთხზვა: „წმასნიან სიცრუით უწყებასა“.

წნეხა ნ. მწნეხელ-ი, საწნეხელ-ი.

წოვა ნ. მწოვარ-ი.

წოლა ნ. საწოლ-ი.

წრაფა 15,8 JO შიში, ცახცახი: „დავსდევ მას ზედა მეყსეულად ძრწოლაჲ და წრაფაჲ.“

წრდიალ-ი J, **წრტიალ-ი** O 14,15 ძლიერი ტკივილებიანი ჩხვლეტა: „სიკუდილითა და სენითა წრტიალითა და მარხვლითა და სიყმილითა აღესრულნენ წინაწარმეტყუელნი იგი“ O.

წრფელ-ი 31,9 JOW სწორი: „განუსუენო გზასა წრფელსა“. ნ. სიწრფო-ჲ.

წუერ-ყვნულ-ი 41,5 წვერგაპარსული.

წუთ, წთობა ნ. დაწუთობა, დაწთობა.

წულ-ი 51,22 JO ვაჟი: „განვაბნიო შენგან... წული და ქალი“. შდრ. მოყმე-ჲ.

წულილ-ი შდრ. დაწულილება.

წუნ ნ. საწუნელ-ი.

წურვა ნ. საწურველ-ი.

წურთა 2,30 W სწავლება, დამოძ-[ღ]ვრა: „წურთაჲ არ შეიწყნარეთ".
წჳმა ნ. უწჳმოება.
წყალ-ი ა) 51,55 GW (ὕδωρ, τό; ջուր) [წ]ყალი; ბ) 51,36 JO (ἡ πηγή; աղբիւր) [წ]ყარო: „განვაჴმნე წყალნი მისნი" მის [წ]ყაროებს დავაშრობ.
წყალობა, 0-2 50,14 JO: „ნუ სწყალობთ ისართა თქუენთა" ნუ დაზოგავთ თქვენს ისრებს.
წყვა ნ. აღწყვა.
წყლვა, 0-2 30,14 JO დაჭრა: „წყლულებითა მტერისაჲთა გწყალ შენ"; [5]1 JO; 41,9 JOW: **წყლულ-ი** დაჭრილი. ნ. დაწყლვა, მოწყლულ-ი, წყლველ-ი, წყლულება.
წყლულება 3,22 JO ჭრილობა.
წყმედა ნ. წარწყმედა.
წყობა ნ. განწყობა, დამწყბ-ი, წინა-განწყობა.
წყრთა 52,21 JOW სიგრძის ზომა „იდაყვითგან თითის წვერამდე" (საბა).
წყრობა ნ. გულის-წყრომა.
წყურიელ-ი 31,25 JW მწყურვალე.

ჭ

ჭალაკ-ი 31,10 JOW კუნძული.
ჭამად-ი 52,34 GW საჭმელი, ულუფა. შდრ. უჭამ-ი.
ჭამებულ-ი 46,21 GW გასუქებული.
ჭაშაკ-ი 52,19 JO (ճաշակ) პატარა ფიალა, თასი.
ჭირ-ი 11,16 JOW უბედურება.
ჭირვება, ა-2 37,4 JO ძალდატანება, შევიწროება: „ესმა ქალდეველთა, რომელნი აჭირვებდეს იერუსალჱმსა"O. ნ. მაჭირებელი (მაჭირვებელი).
ჭრა შდრ. აღმოჭრა, აღსაჭრელ-ი, განჭრა, საჭრელ-ი.
ჭუვილ-ი 31,13 JOW წუხილი, ტკივილი.
ჭურ-ი ა) 50, 25 GW ჭურჭელი; ნივთი; ბ) 46,3 J საჭურველი.
ჭურვილ-ი 46,9 JOGW შეიარაღებული.
ჭურჭერ-ი 26,16; 50,25 JO ჭურჭელი (сосуд).
ჭჳრ-ი ნ. წარმოჭჳრება.

ხ

ხადა, ა) **0-(3)2** 4,20 JOW მოხმობა, დაძახება: „ჴმაჲ ნესტჳსაჲ... შემუსრვასა ჰხადის". ბ) **0-(3)2** 3,19 W წოდება: „მამად მხადო მე".
ხავონან-ი 7,18 W (ასურ. kamânu; ებრ. cavānīm[1], ბერძნ. χαυῶνας) ტკბილი ნამცხვარი (რომელზეც ღვთაების სახე იყო გამოსახული).
ხარისხ-ი 52,17 W (*խարիսխ*) კიბე; საფუძველი, საძირკველი (?).
ხევა ნ. სახევ ელ-ი.
ხეთქვა ნ. განხეთქვა.
ხვალისაგან 20,3 JOGW მეორე დღეს.
ხილვა ნ. აღხილვა.
ხილის-საცავ-ი 26,18 JOGW სადარაჯო ჯიხური (?).
ხრწნა ნ. განხრწნილება.
ხუედრება შდრ. ნახუედრებ-ი.
ხუევა ნ. სახუეველ-ი.
ხუეჭა ნ. მიძხუეჭელ-ი, მიხუეჭილ-ი, მიხუეჭა.
ხუმა ნ. გამოხუმა, განხუმა, მოხუმა, წარხუმა.
ხურო 10,3 JOW დურგალი.
ხუცეს-ი 19,1O უხუცესი წევრი (старейшина) იუდეური რელიგიის ორგანოში.
ხჳრ-ი (*խույր*) 52,18 W „სამღდელო თავსახურავი" (საბა).

ჴ

ჴად ნ. განჴდა.
ჴდალ-ი 5,8 JO ჭაკი.
ჴდომა, ი/უ-2 50,24 JOGW წინააღმდეგობა, ურჩობა: „შეგიპყრან...,

[1] გეზენიუსი, გვ. 338.

რამეთუ უფალსა უჴდებოდე“ O. შდრ. გარდაჴდომა, მოჴდომა, მჴდომ-ი, წარჴდომა.

ჴელ-ბორკილ-ი W, **ჴელთ-ბორკილ-ი**. JO 40,1.

ჴელის-ქუეშე 42,18 W (ὑποχείριος) ხელქვეითი, დამორჩილებული: „იყვნეთ უვალად და ჴელის-ქუეშეებ და საწყევარად“.

ჴელ-წიფება, ე 36,5 JO შეძლება, უფლების ქონა: „ვერ ჴელ-მეწიფების შესლვად სახლად უფლისა“. ნ. მჴელ-მწიფე-ჲ.

ჴელოვან-ი OGW, **ჴელოან-ი** J 24,1 ოსტატი, სპეციალისტი.

ჴელოვნება 3,15 W ცოდნა, ოსტატობა: „გმწყსიდენ თქუენ მმწყსელნი ჴელოვნებით“. შდრ. მოჴელოვნება.

ჴმა-ჲ 9,20 JO კივილი, მოთქმა: „ასწავეთ ასულთა თქუენთა ჴმაჲ ტკივილისაჲ“. ნ. გურინვა.

ჴმარება ნ. საჴმარება.

ჴმის-ყოფა, ი/უ-(3)2 7,13 JO პასუხის გაცემა, ხმის გაცემა: „გხადოდე თქუენ, და არა ჴმა-მიყავთ მე“.

ჴმობა ნ. განჴმობა.

ჴნარცვ 48,43 JO ორმო, თხრილი.

ჴორჴ-ი 2,25 OW ხორხი.

ჴრწნა ნ. განსაჴრწნელ-ი.

ჴსნა ნ. დაჴსნა.

ჴუარდვა ნ. ალჴუარდვა.

ჴუეზა 16,7 JO ლვეზელი.

ჴუმევა 44,3-8 JOW კმევა.

ჴუმევა ნ. მჴუმილ-ი.

ჴვვილ-ი 8,6 JOW ჭიხვინი; გადატ. ტრფიალება, არშიყობა.

ჴვობა, 0-(3)1 48,31 JOW გოდება, მოთქმა, „მოაბსა ზედა ჴვობდით“.

ჯ

ჯაჭვ 46,4 JO აბჯარი: „ჩაიცუთ ჯაჭუები თქუენი“.

ჯაჭუ-ჭურ-ი 46,4 GW აბჯარი.

ჯერკუალ-ი 24,2 JOGW ცუდი, უვარგისი.

ჯერ-ჩენა, ი/უ-2 40,5 J საჭიროდ მიჩნევა: „არა ჯერ-გიჩს წინაშე თუალთა მოსლვად ჩემ თანა“.

ჯურღმულ-ი (ջրմուղ) ა) 6,7; 14,3 JOW ჭა; ბ) 38.6 JO; 41,9 JOW ორმო, თხრილი.

ჰ

ჰამბავ-ი (համբաւ) 49,2 O (ὁ θόρυβος, գոյժ) ხმაური, შფოთი: „ვასმინო ჰრაბათსა ზედა და ძეთა ამონისთა ჰამბავი ბრძოლისაჲ GW. (შდრ. ამბოხი ბრძოლისაჲ J, შფოთი ბრძოლათაჲ GW).

ჰასაკ-ი 48,37 JO (հասակ) ტანი.

ჰინდო-ჲ 13,23 JO ეთიოპელი.

ჰოროლ-ი 46,4 JOW შუბი.

ჰუნე-ჲ 6,23; 17,25 JO ცხენი.

ნაწილი მეორე

იერემიას წინასწარმეტყველების ქართული ვერსიების ისტორიულ-ფილოლოგიური და ლინგვისტური ანალიზი

I. ხელნაწერთა აღწერილობა

§ 1. J რედაქციის ხელნაწერი

ხელნაწერი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში J ლიტერით აღინიშნება და ცნობილია როგორც იერუსალიმური ნუსხა, ეკუთვნოდა ქართველთა ჯვრის მონასტერს იერუსალიმში, ამჟამად კი დაცულია იერუსალიმის მართლმადიდებელთა საპატრიარქო ბიბლიოთეკაში (№ 7; 11). ჩვენ ვსარგებლობდით ამ ხელნაწერის ფოტოპირით, რომელიც ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (Jer 7; 11). რადგან J ნუსხაზე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს, ჩვენ მის დაწვრილებით აღწერილობაზე არ შევჩერდებით და მოვიყვანთ მხოლოდ ზოგად ცნობებს.

პირველად J ხელნაწერი ვრცლად აღწერა ალ. ცაგარელმა[1], შემდგომ კი მას მრავალი მკვლევარი შეეხებია. ხელნაწერი შეიცავს 12 მცირისა და ოთხი დიდი წინასწარმეტყველის წიგნებს. იერემიას წინასწარმეტყველების ტექსტი მოდის შემდეგ ფურცლებზე: 1,1—28,17 : 97r—128v (№ 7); 29,1—51,43 : 13r—42v (№ 11); 52,3—52,34 : 43r—44v (№ 11). აკლია 51,53—52,32. რადგან ტექსტი გადმოწერილი გვაქვს ხელნაწერის ფოტოპირიდან, ამიტომ ფურცლების სათვალავი მოგვყავს ამ ფოტოპირის მიხედვით: 1,1—29.1 : ფ.193—255(Jer 7)[3]; 29,1—51,43 : ფ.25—83(Jer 11); 52,3—52,34 : ფ.83—86(Jer 11) (ფოტოპირის ფურცელი ხელნაწერის ერთ გვერდს უდრის და არა ორს).

ალ. ცაგარელი აღნიშნავს, რომ J ნუსხას ბიბლიის დანარჩენი წიგნები კი არ აკლია, არამედ არ ჰქონია მას საერთოდ.[4] ამ ვარაუდის საფუძველს მკვლევარს ის ფაქტი აძლევდა, რომ პაგინაცია, რომელიც ხელნაწერის ყოველ მერვე ფურცელზე ქართული ასოებით არის აღნიშნული, იწყება პირველ გვერდიდანვე. სრულებით შესაძლებელია, რომ წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანი არსებობდა ცალკე, რადგან ბიბლიის თემატიკურად მსგავსი წიგნების დამოუკიდებელი კრებულები თვითონ ებრაულშიც იყო ხოლმე.

ხელნაწერი დაწერილია ნუსხური ხელით ორ სვეტად; გვერდზე 23 სტრიქონია. ტექსტი დაყოფილი არ არის თავებად და მუხლებად. ხელნაწერში არის გვიანდელი პერიოდის უმნიშვნელო ხასიათის ჩანამატები კიდეებზე ან სტრიქონების ზევით.

34-ე თავის მე-5 მუხლის დასასრულს 41-ე ფურცლის ბოლოს მე-16 საუკუნის ხელით[5] მინაწერია: „ცოდვილსა მაკარის, ჯურის მამასა, შეუნდოს ღმერთმან, ამინ“.

---

1 А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, Спб., 1888, გვ. 143—153; მისივე, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II Спб., 1889, გვ. 1—11.

2 მოგვყავს რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით: Prolegomena to a critical edition of the prophetic writings in old georgian: Patrologia Orientalis, t. XXIX, fasc. 2, Paris, 1961, გვ. 10.

3 თავებისა და მუხლების გადასმა ნაჩვენებია ტექსტის სათანადო ადგილებთან.

4 А. Цагарели, Сведения.., II, 1889, გვ. 1,

5 Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothégue patriarcale grecque a Jérusalem par R. P. Blake, Paris, 1924, გვ. 31 (იხ. ცალკე ამონაბეჭდი).

ყველა მკვლევარი, რომელიც ხელნაწერს შეჰხებია. ერთი აზრის ყოფილა გადაწერის თარიღის შესახებ. ალ. ცაგარელის[6], ალ. ხახანაშვილის[7], რ. ბლეიკის[8], პ. ინგოროყვასა[9] და სხვათა აზრით, ხელნაწერი მე-11 საუკუნისაა. კ. კეკელიძე გარკვევით აღნიშნავს, რომ J ნუსხა „გადაწერილია პალესტინაში, ჯვრის მონასტერში, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ჩვენ ამ, შედარებით ახალ, ხელნაწერში გვაქვს თარგმანი არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნისა და, შეიძლება, უფრო ადრინდელიც[10]" (ხაზი ჩვენია-კ.დ.).

J ხელნაწერის ტექსტი O-სთან შეჯერებით გამოიცა პარიზში 1961 წელს (იხ. § 5)

§ 2. O რედაქციის ხელნაწერი

O რედაქციის ხელნაწერი ერთ-ერთი უძველესი თარიღიანი ძეგლია, რომელიც შეიცავს ძველი აღთქმის წიგნებს. იგი გადაწერილია ოშკის ლავრაში 978 წელს სამი მწერლის ხელით: მიქაელის, გიორგისა და სტეფანესით. ხელნაწერის მომგებელია თორნიკე ერისთავი, რომელიც ბერად შედგომის შემდეგ იოანედ იწოდა. სწორედ ამ იოანემ შესწირა აღნიშნული ხელნაწერი მის მიერვე აშენებულ ათონის ივერთა მონასტერს.

1849 წელს პლატონ იოსელიანმა ეს ხელნაწერი დროებით ჩამოიტანა თბილისში ათონიდან. ამ ნუსხიდან ტექსტი გადაწერილ იქნა ორ ცალად: ერთი — სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისათვის (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში 422 ნომრით), მეორე — სიონის ტაძრისათვის (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდში 471 ნომრით). ტექსტის გადაწერის შემდეგ ხელნაწერი დაუბრუნდა ათონს და დღესაც იქ ინახება.

ჩვენ ტექსტი გადმოვწერეთ ამ ხელნაწერის ფოტოპირიდან, რომელიც მოიპოვება ხელნაწერთა ინსტიტუტში. იერემიას წინასწარმეტყველების ტექსტს უჭირავს 220v--308v (Rt. 1),. ჩვენს ძეგლს აკლია 27,2-15.

ხელნაწერი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ოშკური ანუ ათონური ბიბლიის სახელწოდებით და ჩვეულებრივ O ლიტერით აღინიშნება. ა. შანიძემ ამ ნუსხის აღსანიშნავად იხმარა A ლიტერი (რადგანაც იგი ათონზეა დაცული და O ხშირად ირევა ნულთანო).[11]

ნუსხაზე ცნობები მოეპოვებათ ა. ცაგარელს, ნ. მარს, ა. ხახანაშვილს, თ. ჟორდანიას, რ. ბლეიკს, კ. კეკელიძეს, პ. ინგოროყვას და სხვებს, მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდებით, რადგან ნუსხასა და მასზე არსებულ ცნობებზე

---

[6] А. Цагарели, Сведения..., II, გვ. 1.

[7] А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. I, Москва, 1895, გვ. 152.

[8] Р. Блейк, О древнегрузинских версиях Ветхого Завета: Известия Кавк. О. М. А. Об.-а, VI, Тифлис, 1921, გვ. 39 (ცალკე ამონაბეჭდი). ეს წერილი გადამუშავებული სახით გამოიცა ინგლისურ ენაზეც; Ancient Georgian versions of the Old Testament, R. Blake: Repr, From the Harvard Theol. Review, vol. XIX, № 8, 1926. მისივე: Prolegomena..., Patrologia Orientalis, t. XXIX, fasc. 2, Paris, 1961, გვ. 10.

[9] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ჟურნ. „მნათობი", № 4, 1939, გვ. 118.

[10] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, 1951, გვ. 390.

[11] წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, 978 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტ. I, ნაკვ, 1, დაბადებისაჲ, გამოსლვათაჲ, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი. 1947, გვ. VIII.

საკმაო სისრულითაა ლაპარაკი ა. შანიძის „წინასიტყვაობაში“, რომელიც დართული აქვს ამავე მკვლევრის მიერ გამოცემულ ტექსტს[12].

§ 3. G რედაქციის ხელნაწერი

G ლიტერით აღნიშნულია ე. წ. გელათური ბიბლიის ხელნაწერი, რომელიც ამჟამად ინახება საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტში (A = 1108). ხელნაწერი, რომელიც შეიცავს 302 ფურცელს, ძალზე ნაკლული და დაზიანებულია.[13] შემორჩენილი ნაწილი ამჟამად რესტავრირებულია.

ხელნაწერი პირველად იპოვა თ. ჟორდანიამ ქუთაისის ბაგრატ III-ის დარღვეულ ტაძარზე მიშენებულ ეკლესიაში (ეს მინაშენი ეკლესია ამჟამად აღარ არსებობს) და მანვე გააცნო ის პირველად საზოგადოებას.[14] ხელნაწერმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. რ. ბლეიკმა საგანგებოდ შეისწავლა ეს ძეგლი, დაალაგა ფურცლები, ახალი პაგინაცია გაუკეთა, აღწერა ვრცლად და ხელნაწერთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ფილოლოგიურ საკითხებსაც შეეხო.[15] კ. კეკელიძე სპეციალურად შეეხო ამ ძეგლის თარგმანება-კომენტარებს,[16] ხოლო პ. ინგოროყვამ გაარკვია ურთიერთობა ამ ხელნაწერსა და თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა წიგნებს შორის.[17]

ხელნაწერი არაა დაყოფილი თავებად და მუხლებად. ასეთი დაყოფა მასში შეუტანია მე-18 საუკუნეში ს.—ს. ორბელიანს.

ხელნაწერის პუნქტუაციიდან ყურადღებას იპყრობს: ხაზს ზემოთ დასმული წერტილი (·) ნახმარია მძიმის თუ წერტილ-მძიმის მნიშვნელობით (როგორც ეს ბერძნულშია), ხოლო მძიმე (,) ნახმარია წერტილის მნიშვნელობით. ხშირად სიტყვაში ხმოვნის ზემოთ დასმულია მახვილი ნიშანი ('), უთუოდ, ბერძნულის მიბაძვით.

ხელნაწერს მიაკუთვნებენ მე-12 საუკუნეს ან მე-13 საუკუნის დასაწყისს.

ძირითადი (ბიბლიური) ტექსტი დაწერილია ფურცლის შუა ნაწილში, რომელსაც ვრცელ, განიერ კიდეებზე კომენტარები ახლავს. ყოველი კომენტარის წინ წითელი მელნით დაწერილია ავტორის სახელი. თუ იქვე ამავე ავტორის სხვა კომენტარია კიდევ მოყვანილი, მას წინ უზის: მისივე. არის ისეთი სქოლიო — კომენტარები, რომელთა ავტორები დასახელებული არ არიან. ასეთ სქოლიოებს წინ უზის: სხჳსაჲ, ან სრულებით არაფერია ნათქვამი. მოყვანილი კომენტარებიდან ყველაზე მეტი ეკუთვნის კირილე ალექსანდრიელს (29), ევსები (კესარიელს) (20) და იოანე ოქროპირს (10).[18]

---

[12] წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, 978 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტ. 1, ნაკვ. I, დაბადებისაჲ, გამოსლვათაჲ, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1947, გვ. V—IX.

[13] იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. IV, შეადგინა ქრ. შარაშიძემ, 1954, გვ. 92—93.

[14] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, ტფილისი, 1897, გვ. 36—39.

[15] Р. П. Блейк, О древнегрузинских версиях Ветхого Завета: Известия Кавк. О. М. А. об.-а, вып. VI, Тифлис, 1921, გვ. 1—40.

[16] კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმჳრნელ მიტროპოლიტისაჲ, ტფილისი 1920, გვ. 27—30.

მისივე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 392.

[17] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ჟურნალი „მნათობი“, № 4, 1939, გვ. 123—125.

[18] კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ .... გვ. 28.

კომენტარები ნაკლებად ახლავს წინასწარმეტყველთა წიგნებს. კერძოდ იერემიას წინასწარმეტყველებას მხოლოდ 4 კომენტარი აქვს.

1) „ნუ მოაკლდეს კლდისაგან ძუძუნი"... (18, 14). ამ მუხლში „კლდისაგან" სიტყვას ზემოთ აზის წითელი მელნით გაკეთებული ნიშანი (ာ); იგივე ნიშანი უზის წინ წითელი მელნით დაწერილ სიტყვას: ოლჳმპიოდორე. შემდეგ კომენტარია: „კლდე არს ქრისტე, ძუძუნი მზრდელობილი (!) მათი, ხოლო თოვლი — განწმენდაჲ ცოდვათაჲ. ხოლო გულისხუმა იყოფებიან ძუძუდ ახ(ალი) და (ძ)უელი აღთქუმაჲ. ნუ მოვაკლე, იტყჳს, კეთილის-ყოფაჲ მათი და ზრდაჲ სულთა მათთა"[19] (228 r).

2) იქვე, პირველ კომენტარს, მოსდევს მეორე კომენტარი ოქროპირისა. ოქროპირი წითელი მელნით არის დაწერილი ვერტიკალურად (ზემოდან ქვემოთ). ეს განმარტება, უთუოდ, ეხება მე-18 თავის მე-15 მუხლს, სადაც „საბელია" ნახსენები. კომენტარი საერთოდ ცუდად იკითხება და ზოგან სულაც არ იკითხება: „საბელისაზომი გზისაჲ მეგჳპტელებრ და (.... .) ფ (?) ნთა შინა, ვითარმედ ალაგი ჩემი და (ს)აბელი ჩემი შენ გამო (....), ხოლო ამათ საბელთა რომელთამე საუკუნოდ იგულისხუმა — ჰყოფდ და რომელთამე საწუთოდ, რამეთუ სოფლიოჲ კაცი საწუთოსა ალაგსა ვალს დიდებისათჳს და სიმდიდრისა და ქუეყნათა საქმეთა მოსწრაფე. ხოლო რომელი ვიდოდის მეტყუელსა ზედა: მე ვარ გზაჲ საბელთა საუკუნეთა (ჲ), ვითარცა არა არ-მჭურეტელისა საწუთოთა, არამედ საუკუნეთა, ხოლო მოგზაურობს, ვიდრემდის მიიწიოს დასასრულისა მიმართ ამათ საბელთაჲსა ნავთ-საყუდჱლად ღმრთის მახლობელად" (228 r).

3) „შეებული მიეცა მეოდახ"... (50,2). კომენტარში განმარტებულია „მეოდახ" სიტყვა. ეს კომენტარი ძალზე გადასულია და ცუდად, ზოგან არც კი იკითხება: „მეოდახად რომელნიმე დიას იტყჳან, და რომელნიმე კრონოსსა, ხოლო რ(ომელნიმე) (...) (ყო)ფად, ხოლო რომელნიმე პირველი გამეფებულსა (...) ბაბილ(ონს) ანუ უკანაჲსკნელსა, (რომელ) სა ზე (და)იქმნა დაჴსნა მეფობისაჲ (242 r).

ეს კომენტარი სულხან-საბა ორბელიანს გამოუყენებია თავის ლექსიკონში „მეოდახად" სიტყვის განსამარტავად: „მეოდახად რომელიმე დიას იტყვიან, რომელიმე კრონოსსა, რომელიმე ბაბილონს შინა პირველ გამეფებულსა, ანუ უკანასკნელსა, რომელსა ზედა იქმნას დაჴსნა მეფობისა (50,2 იერემ.)".[20]

4) „მოაკუდინნა იგინი დევლათას შინა, ქუეყანასა ემათისასა" (52,27). ამ ადგილს ასეთი კომენტარი ახლავს: „ემათა არს, რომელსა აწ ანტიოქიად უწოდიან, ხოლო დევლათაჲ — სოფელი ზე(და) დაფნსა(?)" (246 r).

იერემიას წინასწარმეტყველების ტექსტიდან ხელნაწერში მხოლოდ 16 თავია სრული სახით შემორჩენილი: 16 – 27, 46, 47, 50, 51. სხვა თავებიდან დარჩენილია ნაწყვეტები, კერძოდ, შემდეგი მუხლები: 6-21(15)[21], 1-11(28), 1-3, 7-22, 34-39(49), 27-34(52),

რადგან ხელნაწერში თავებისა და მუხლების რიგი არათანმიმდევრულია, საჭიროდ მივაჩნია აღვნუსხოთ, თუ რომელ გვერდზე ტექსტის რა ნაწილი მოდის: 225r-234r : 15,6-25,4. ამ ნაწილში არც ნაკლულებაა და არც ტექსტის რომელიმე ნაწილის გადაადგილება. შემდეგ კი ტექსტი ასეა გვერდობლივ განაწილებული: 234v

[19] კომენტარები ძალზე გადასულია და ზოგან ამოკითხვა მეტად ძნელია. ქარაგმები ისე გავხსენით, როგორც ეს საერთოდ მიღებულია. ორთოგრაფიაც გასწორებულია.

[20] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, თბილისი, 1949, გვ. 204.

[21] ფრჩხილებში ჩასმული ციფრები თავებს აღნიშნავს.

: 25,4-13, 49,34-37; 235r : 49,37-39, 46,1-11; 235v : 46,12-26; 236rv : 25,14-28; 237r : 25,29-38, 26,1; 237v : 26,2-13; 238rv : 26,13-24, 27,1-12; 239rv : 27,13-22, 28,1-11; 240r : 51,44-57; 240v; 47,1-3, 51,57-64; 241r : 47,3-7, 49,7-15; 241v : 49,1-3, 49,15-22; 242rv : 46,26-28, 50,1-20; 243rv : 51,20-44; 244rv : 50,44-46, 51,1-20; 245rv : 50,20-44; 246r : 52,27-34.

ხელნაწერი თავიდან არ ყოფილა დაყოფილი თავებად და მუხლებად. იგი თავებად დაუყვია და დაუმუხლავს ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს (ამის შესახებ ვრცლად იხ. § 14).

ხელნაწერის ნაკლული ადგილების აღსადგენად გამოყენებული გვაქვს თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა ტექსტი, რომელსაც rv ლიტერით აღვნიშნავთ. ამის უფლებას ის გარემოება იძლევა, რომ rv აშკარად G რედაქციის ტექსტია.

rv-ში გატარებული დამუხვლა არსებითად ემთხვევა ჩვენს დაყოფას, მაგრამ ზოგჯერ განსხვავებულია. როცა ჩვენი დაყოფა (დამყარებული ბერძნული სეპტანტის კრიტიკულ გამოცემაზე) არ ემთხვევა rv-ს დაყოფას, მაშინ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ციფრი მიუთითებს სათანადო მუხლის დასაწყისს ვახტანგისეული ნაბეჭდი ტექსტისას.

უნდა აღინიშნოს, რომ rv-ს ორთოგრაფია უვარგისია. G-ში ნაკლული ადგილის აღსადგენად გამოყენებული rv ტექსტის ორთოგრაფიის გასწორებისას ძირითადად გათვალისწინებულია ხელნაწერის (G-ს) შემორჩენილ ნაწილში დაცული ვითარება, როგორც, ასე ვთქვათ, საკონტროლო საშუალება. თორემ გასწორება საერთოდ ხელნაწერების ორთოგრაფიასაც შეეხო.

§ 4. ლექციონარების ხელნაწერები

ლექციონარების შემდეგი ხელნაწერები გამოვიყენეთ: ლაგურკის, ლატალის, სინური, პარიზული და გიორგი მთაწმიდლისეული („საწელიწდოჲ საწინაჲწარმეტყუელოჲ“).

ა) ლ ა გ უ რ კ ი ს ხელნაწერი სვანეთის (მესტიის) მუზეუმს ეკუთვნის და ამჟამად კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაშია დროებით დაცული. დაწერილია ლამაზი მრგლოვანი ხელით ეტრატზე ორ სვეტად. სათაურები და საგანგებო ადგილები სინგურით (წითელი საწერლით) არის ნაწერი; შეიცავს 174 ფურცელს, ნაკლულია. ხელნაწერი მე-9[22] თუ მე-10[23] საუკუნისაა. ვრცლად აღწერილი აქვს ქ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს.[24]

ხელნაწერში იერემიას წინასწარმეტყველების წიგნიდან 9 საკითხავია მოყვანილი. ეს ადგილებია: 10,6-10 (გვ. 1); 1,1-10 (გვ. 6-7); 1,11-17 (გვ. 11-12); 1,18-2,3 (გვ. 23); 32,17-19 (გვ. 61); 32,19-25 (გვ. 102-103); 11,18-20 (გვ. 177-178); გოდ. იერ. 3,18-22 (გვ. 184-185); 31,31-34 (გვ. 214).

---

[22] К. К е к е л и д з е, Иерусалимский канонарь VII века (Грузинская версия), Тифлис, 1912, გვ. 10; შდრ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: მნათობი, № 4, 1939, გვ. 122.

[23] ქ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, თბილისი, 1956, გვ. 110; Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem, t. I, édité M. T a r c h n i s c h v i l i, Loovain, 1959, გვ. X.

[24] ქ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 109-111.

ბ) სინური ხელნაწერი 982 წელსაა გადაწერილი. შეიცავს 294 ფურცელს; დაწერილია ეტრატზე მრგლოვანი ხელით, 273-ე ფურცლიდან ბოლომდე-ნუსხურით. აღწერილი აქვს ალ. ცაგარელს სინის მთის ქართული ხელნაწერების 30-ე ნომრით,[25] ხოლო უფრო ვრცლად და დაწვრილებით ივ. ჯავახიშვილს 37-ე ნომრით[26] (ჟერარ გარითის აღწერილობაში ეს ხელნაწერი არ მოხვედრილა[27]). სინური და ლატალის ხელნაწერთა ურთიერთმიმართებას ეხებოდა კ. კეკელიძე.[28]

ხელნაწერში ჩვენი ტექსტიდან 5 საკითხავია მოყვანილი შემდეგი ადგილებიდან: 23,2-6 (ფ. 4-5); ბარ. 4,36-37-5,19 (ფ. 68-69); 11,18-23-12,1-2; 7-8 (ფ. 199-200); გოდ. იერ. 3,18-22 (ფ. 209-210); 31,31-34 (ფ. 251-252). ვსარგებლობდით ხელნაწერის ფოტოპირით, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (Sin 37).

გ) ლატალის ხელნაწერი მე-10 საუკუნისაა. ინახება სვანეთის (მესტიის) მუზეუმში. დაწერილია ეტრატზე მრგლოვანი ხელით ორ სვეტად. შეიცავს 322 ფურცელს; ძალზე დაზიანებულია, აკლია 84 ფურცელი. ხელნაწერის ფურცლების დადალაგება, პაგინაცია, შესწავლა და ნაწილობრივი გამოცემა ეკუთვნის კ. კეკელიძეს.[29] გამოცემაში ბიბლიიდან მოყვანილი საკითხავების ტექსტი არაა დაბეჭდილი, მითითებულია მხოლოდ ესა თუ ის საკითხავი რომელი წიგნიდანაა და რომელ თავსა და მუხლებს შეიცავს. ნიმუშების სახით მხოლოდ რამდენიმე საკითხავია დაბეჭდილი.[30] პარიზული, სინური, ლატალისა და ლაგურკის ლექციონარები კალენდარული ნაწილი გამოსცა მ. თარხნიშვილმა.[31] ჩვენ ვსარგებლობდით ხელნაწერის ფოტოპირით (Rt-VII № 2; ხელნაწ. ინსტ.).

ხელნაწერში ჩვენი ტექსტიდან 10 საკითხავია მოყვანილი, აქიდან ერთის მხოლოდ დასაწყისია დარჩენილი (1,11-გვ. 274), დანარჩენი სრულია: 23,2-6 (გვ. 3); 31,23-28 (გვ. 48); ესაია (-იერემ.) 10,6-10 (გვ 79); 32,17-19 (გვ. 147-148); 32,19-23 (გვ. 198); 11,18-20 (გვ. 289-290); გოდ. იერ. 3,18-22 (გვ. 296-297); 31,31-34 (გვ. 322-323); 33,14-18 (გვ. 599).[32]

დ) პარიზული ხელნაწერი შეიცავს 387 ფურცელს; დაწერილია ეტრატზე ნუსხური ხელით ორ სვეტად. ხელნაწერს გაკვრით ეხებოდა ალ. ხახანაშვილი,[33] ვრცლად და საფუძვლიანად კი ე. თაყაიშვილი.[34] ხელნაწერი ფოტოგრაფიულად გადაიღო და მას გამოკვლევა უძღვნა ბონის უნივერსიტეტის პროფესორმა გუსენმა.[35]

[25] А. Цагарели, Памятники Грузинской старины в Святой Земле и на Синае, Спб. 1888, გვ. 209-210.

[26] ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1947, გვ. 83-101.

[27] G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï (CSCO, vol. 165), Louvain, 1956.

[28] К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь..., გვ. 7-9.

[29] იქვე.

[30] იქვე, გვ. 312-321.

[31] Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem, t. I, Louvain, 1959.

[32] ერთ საკითხავს შეცდომით იერემიას წინასწარმეტყველება აწერია (გვ. 6), ნამდვილად კი არის: მიქ. 5,2-7.

[33] ა. ხახანაშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები: ჟურნ. „მოამბე", № 1, 1898, გვ. 1.

[34] ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 24-30.

[35] H. Goussen, Über georgische Drucke und Handschriften. Die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalems betreffend, B. Kühlen, Münehen-Cludbach, 1923, SS-42. ამ წიგნის რეცენზია კ. კეკელიძისა იხ. „მიმომხილველი". ტ. 1, 1926, გვ. 268-269.

იტალიური მინაწერიდან ირკვევა, რომ ეს ხელნაწერი ევროპაში საქართველოდან გამოუგზავნია კაპუჩინთა მისიონერების წინამძღვარს 1731 წელს, ხელნაწერი გ უ ს ე ნ ი ს მიხედვით, XI-XII საუკ. ეკუთვნის, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი თ კი - X-XI საუკუნეს.[36] უკანასკნელი აზრისაა მ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ც.[37] ვსარგებლობდით ხელნაწერის ფოტოპირით (Rt-VIII, № 3: ხელნაწ. ინსტ.).

ამ ხელნაწერში ჩვენი ძეგლიდან 32 საკითხავია. 32,23-28 (გვ. 32-33); 5,20-29 (გვ. 102-103); 10,6-10 (გვ. 113); 1,1-10 (გვ. 122-123); 1,11-17 (გვ. 129-130); 1,18-19-2,1-3 (გვ. 143); 32,17-19 (გვ. 228); ბარ. 4,36-37-5,1-9 (გვ. 315); 9,2-10 (გვ. 320-321); გოდ. იერ. 3,18-22 (გვ. 389); 38,1-13 (გვ. 481-482); 3,12-19 (გვ. 657-658); 3,22-25-15,19-21 (გვ. 658-659); 16,19-21-17,5-10 (გვ. 659-660); 30,2-11 (გვ. 360-361); 31,7-14 (გვ. 661-662); 31,23-28 (გვ. 662); 32,36-44 (გვ. 662-663); 33,2-11 (663-664); ბარ. 1,13-18 (გვ. 664-665); ბარ. 2,6-17, 3,9-24, 1,17-20 (გვ. 665-667); ბარ. 3,1-8 (გვ. 667); ბარ. 3,29-38-4,1-4 (გვ. 668); ბარ. 4,5-18 (გვ. 668-669); ბარ. 4,19-29 (გვ 669-670); ბარ. 4,30-37 (გვ. 670-671); გოდ. იერ. 1,1-11 (გვ. 671-672); გოდ. იერ. 1,17-22 (გვ. 673-674); გოდ. იერ. 3,13-17 (გვ. 673-674); გოდ. იერ. 4,11-22 (გვ. 674-675); 50,44-46 (გვ. 729).

ე) „ს ა წ ე ლ ი წ დ ო ჲ ს ა წ ი ნ ა ჲ წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ ო ჲ“ დაცულია საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 1350); შეიცავს 93 ფურცელს. დაწერილია ნუსხური ხელით ეტრატზე. გადაწერილია 1085 წელს, ხანძთელი მოსე ხუცესის მიერ; მთარგმნელი გიორგი მთაწმიდელია; წიგნს ჰქვია „საწელიწდოჲ საწინაჲწარმეტყუელოჲ“, როგორც ეს ანდერძიდან ჩანს: „დიდებაჲ ღმერთსა, სამებით დიდებულსა; დაესრულა საწელიწდოჲ საწინაჲწარმეტყუელოჲ წესსა ზედა ბერძულსა, ახალ თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ, სრული ყოვლითურთ და უნაკლულოჲ“ (93 r).

ამ ლექციონარს საწელიწდო საწინასწარმეტყველო იმიტომ ეწოდება, რომ მასში სჭარბობს საკითხავები წინასწარმეტყველთა წიგნებიდან (თუმცა საკითხავები სხვა წიგნებიდანაცაა).[38] ხელნაწერის აღწერილობა გამოცემულია.[39]

ხელნაწერში იერემიას წინასწარმეტყველებიდან ერთი საკითხავია მოყვანილი, რომელიც გამეორებულია ორჯერ: ბარ. 3,36-38-4,1-4 (4v; 15rv).

აღსანიშნავია, რომ ყველა ლექციონარში ჩვენი ძეგლიდან შეტანილი საკითხავების სათაურია იერემიას წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა, თუმცა მოყვანილი საკითხავები საკუთრივ იერემიას წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი დ ა ნ კი არაა, არამედ ბ ა რ უ ქ ი დ ა ნ და იერემიას გ ო დ ე ბ ი დ ა ნ. ჩანს, ეს ორი უკანასკნელი თხზულება იერემიას წინასწარმეტყველების წიგნში შემოდიოდა.

---

[36] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

[37] Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem, t. I, Louvain, 1959, გვ. VI.

[38] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 122-123.

[39] ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), შედგენილი და დასაბეჭდად გამზადებული ქ რ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი თ ა და რედაქციით, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს საერთო რედაქციით, ტ. III, თბილისი, 1948, გვ. 306.

აღწერილობის მიხედვით H-1350 77 ფურცელს შეიცავს, ამჟამად კი მასში, როგორც აღვნიშნეთ, 93 ფურცელია. ეს იმიტომ, რომ H-1350 ხელნაწერს შეუერთდა მისი ნაწილი, რაც ადრე ცალკე ნომრით იყო (H-630) ცნობილი

II. ტექსტის გამართვისათვის

§ 5. პარიზული გამოცემის შესახებ

1961 წელს პარიზში Patrologia Orientalis-ის 29-ე ტომის მე-4 ნაკვეთში გამოქვეყნდა იერემიას წინასწარმეტყველების ტექსტი (სხვა ნაკვეთებში დაბეჭდილია ყველა დანარჩენი წინასწარმეტყველის სრული ტექსტი). გამოცემას საფუძვლად დაედო იერუსალიმური ნუსხა (J), მაგრამ ოშკური ხელნაწერის (O[1]) წაკითხვებიც ხშირადაა ტექსტში შეტანილი. ეს იმიტომ, რომ ტექსტის გამოსაცემად დამამზადებელს რობერტ ბლეიკს J და O[1] ერთი რედაქციის საკმაოდ განსხვავებულ ნუსხებად მიაჩნდა და არა დამოუკიდებელ რედაქციებად. გამომცემელი წერს, რომ იგი გამოცემისას არ შეიძლებოდა დამყარებოდა მხოლოდ რომელიმე ერთ-ერთ მათგანს, საჭირო იყო ორივე ნუსხის ურთიერთშეჯერებაო[2].

გამოცემის წინასიტყვაობაში Graffin-ი მოკლედ აღნიშნავს გამოცემის ისტორიას: ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და სათანადო ლათინური თარგმანი დაურთო რ. ბლეიკმა. ამ უკანასკნელის სიკვდილის (1950) შემდეგ პროფ. მორის ბრიერმა რედაქცია გაუკეთა ლათინურ თარგმანს და ქართულ ტექსტსაც. მაგრამ გამოცემა არც მას დასცალდა. საბოლოოდ გამოცემას ხელი მოჰკიდა პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის სომხური და ქართული ენების სპეციალისტმა პროფესორმა მერსიემ.

გამოცემას წინ უძღვის რ. ბლეიკის პროლეგომენა წინასწარმეტყველთა ძველი ქართული ვერსიების კრიტიკული გამოცემის შესახებ, სადაც მოკლედ, სქემატურად განხილულია: გამოცემის მომზადების ისტორია, J და O ნუსხათა ფოტოპირების გადაღების ისტორია, ხელნაწერთა აღწერილობა, „კიმენური“ ვერსიის შესახებ (იგულისხმება G ვერსია), ლექციონარები ძველი აღთქმის წიგნებისა, საბას ლექსიკონის წყაროს შესახებ, J და O-ს მიმართება.

გამოცემის ერთი უდავო ღირსება ისაა, რომ J-ის ბევრი აშკარა შეცდომა გასწორებულია O-ს ჩვენების საფუძველზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემას საფუძვლად უძევს J ნუსხა, რაც გამომცემელთ ერთგვარად ავალდებულებდა, მასში მხოლოდ აუცილებელი სახის შესწორებანი შეეტანათ O-დან. მაგრამ, სამწუხაროდ ეს დაცული არ არის. გამოცემას რიგი ნაკლოვანებანი ახლავს.

1) არ არის გატარებული ახალი ქართული პუნქტუაცია, რაც ხელს უშლის და აძნელებს ტექსტის სწორად გაგებას. სასვენი ნიშნებიდან ნახმარია მხოლოდ წერტილი და ორწერტილი. ჩვეულებრივი წერტილი ნახმარია წერტილისა და მძიმის მნიშვნელობით, ხოლო წერტილი ხაზს ზევით (·) ნახმარია ორწერტილისა და წერტილ-მძიმის ფუნქციით. ორი წერტილით აღნიშნულია კითხვის ნიშანი და

---

[1] რ. ბლეიკი, ისე როგორც ნ. მარი, ოშკური ხელნაწერის აღსანიშნავად O ლიტერს ხმარობს და არა A-ს.

[2] R. Blake, Prolegomena to a critical edition of the prophetic writings in Old Georgian: Patrologia orientalis, t. XXIX, fasc. 2, 1961, Paris, გვ. 17.

წერტილიც. ცხადია, ასეთი პუნქტუაცია აშკარად აძნელებს ტექსტის შინაარსსა და ენობრივ სტრუქტურაში გარკვევას.

2) ორთოგრაფია ზოგჯერ მცდარია. სიტყვა „იერუსალიმი“, რადგან ხელნაწერებში ყოველთვის დაქარაგმებულია „ი ჱ მ“-ის სახით, ამიტომ დაუბეჭდავთ „იჱრუსალემ“, თუმცა ჱ ნიშნით უნდა გადმოცემულიყო მეორე ენი, ბერძნული და სომხური გრძელი ე-ს (η, է) ფარდი, ე. ი. უნდა გვქონოდა: იერუსალჱმ (შდრ. Ἰερουσαλήμ, Երուսաղէմ).

3) შეცდომით გამოტოვებულია შემდეგი სიტყვები, რომლებიც აქ ხაზგასმულია: ქაბუკნი მ ა თ ნ ი 11,22 JO; იქმნა სამკჳდრებელი ჩემი ჩემდა 12,8 JO; ღელუსა ჯერკუალსა, ჯ ე რ კ უ ა ლ ს ა ფრიად 24,3 J; ძესა მანასჱსა, და ყ ო ვ ე ლ თ ა მ ღ დ ე ლ თ ა 29,25 J; რ ა მ ე თ უ მ ლ ხ ი ნ ე ბ ე ლ ვ ე ყ ო უ შ ჯ უ ლ ო ე ბ ა თ ა მ ა თ თ ა დ ა ც ო დ ვ ა ნ ი მ ა თ ნ ი ა რ ღ ა რ ა მ ო ვ ი ჴ ს ე ნ ნ ე 31,34 J; ყოველი ქურქერი მ ა თ ი 49,29 JO.

4) ზოგჯერ ტექსტში ისეთი ფორმებია აღდგენილი, რომლებიც აუცილებელი სრულებით არ იყო. მაგ., განჰმართენ(ი)თ 7,3; შეკრიბენ(ი)თ 7,21, 12,9; ისმინენ(ი)თ 11,2; ყვ(ე)ნ(ი)თ 11,6 და სხვ. J-ში სათანადო ადგილებში ამ ზმნებს თანხმოვანგასაყარი ი არა აქვს, რაც, თავის მხრივ, ასეთ ფორმათა სიძველეზე მიუთითებს. ასეთ შემთხვევაში ი-ს აღდგენა O-ს ჩვენების საფუძველზე გამართლებული არ არის.

ნაბეჭდშია: ნ ო ტ ი ო ს ა ზედა 17,8; 48,18, თუმცა ხელნაწერებში ორსავე ადგილას იკითხება: ნ ო ტ ი ა ს ა ზედა JO. ნ ო ტ ი ა ს-ს გასწორება ნ ო ტ ი ო-თი ნიშნავს, რომ ამოსავალია ახალი ქართული ვითარება. ეს კი სწორი არ არის. „ნ ო ტ ი ა“ უცვლელი ფორმითაა ქართულში ბერძნულიდან შემოსული (ἡ νοτία), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ტექსტის ზემოთ დასახელებულ ადგილებში „ნოტია“-ს ფარდად ბერძნულ წყაროში νοτία კი არა გვაქვს, არამედ სხვა სიტყვა.

O-შია: ზღუდე ბაბილონისაჲ გ ა ნ ვ რ ც ნ ა 51,58. „განვრცნა“ რატომღაც შეუცვლიათ „განვხრ(წ)ნა“-თი[3], თუმცა ამის საჭიროება სრულებით არ იყო, რადგან კონტექსტით მოსალოდნელი იყო „განვრცნა“. ყოველ შემთხვევაში ხელნაწერის ჩვენებას მხარს უჭერს ბერძნული წყარო: Τεῖχος Βαβυλῶνος ἐπλατύνθη.

დაბეჭდილია: არა რაჲ თანა-მედვა ვისი. არცა თანა ვის რაჲ (თანა)-ედვა ჩემი 15,10. აქ წამატებული „თანა“ სრულებით ზედმეტია. მისი ამოღებითა და სათანადო პუნქტუაციის დაცვით ეს ადგილი ასე უნდა დაბეჭდილიყო: არარაჲ თანა-მედვა ვისი, არცა თ ა ნ ა-ვ ი ს რ ა ჲ-ე დ ვ ა ჩემი. ჩანს, ხელნაწერის ტმესი გამოცემაში ვერ დაუცავთ სწორად. J-ში იკითხება „მ კ რ დ ი ს სამკაული“ 2,32, დაბეჭდილა კი: მკ(ე)რდის სამკაული. ცხადია, ე-ს ღდგენა საჭირო არ იყო, თუ ხმოვანთა რედუქციას სათანადო ანგარიშს გავუწევთ.

5) გამოცემაში არასწორი ფორმებია გაშვებული, მაშინ როცა სათანადო ადგილებში ხელნაწერები სწორ ფორმებს გვიჩვენებენ:

---

[3] გამოცემის ვარიანტებში O ₇-ს წაკითხვად მოყვანილია „გ ა ნ ვ რ ხ ნ ა“ თუმცა ხელნაწერის ფოტოპირზე ნათლად იკითხება: გ ა ნ ვ რ ც ნ ა. გამომცემელთ, ჩანს, ც (ⴚ) წაუკითხავთ ხ (ⴞ)-დ.

ნაბეჭდშია:	ხელნაწერშია:
ჰქმენ 2,28	ჰქმნენ JO.
წიგნი განტევებისა 3,8	წიგნი განტევებისაჲ JO.
მოსრვილთა ზედა 4,31	მოსრულთა ზედა O.
მთასა ზედა 9,10	მთათა ზედა JO.
აღგჳკეცა ქუემოჲ 13,22	აღგჳკეცა ქუე-ქუემოჲ J (O: ქუე-ქუემონი).
წარგჳკეცნე ქუემონი 13,26	წარგჳკეცნე ქუე-ქუემონი J.
ჴელთა გან მომსრველთასა 15,21	ჴელთაგან მომსრველთაჲსა JO.
დადეგ ბჭეთა (ძეთა) ზედა ერისა შენისათა 17,19	დადეგ ბჭეთა ძეთა ერისა შენისათა JO.
უკუეთუ მისა დაეგის ბოროტი 18,20	უკუეთუ მი-სადა-ეგის ბოროტი JO.
მცნობელო გულთა და თირკუმელთაო 20,12	მცნობელო გულთა და თირკუმელთაო JO.
ჰრქუა იერემია მეფისა 38,12	ჰრქუა იერემია მეფესა J.
მოსიკუდით ჩემდა 38,26	მოსიკუდიდ ჩემდა JO.
ნუ გეშინის 40,9	ნუ გეშინინ JO.
კნინითგან მიდიდამდე 42,1	კნინითგან მიდიდადმდე JO.
გიცნობენ სულითა მათითა 44,14	გინცობენ სულითა მათითა JO.

6) გაუსწორებელია აშკარა შეცდომა: გადაარღჳნით და ირღუენ 51,58; უნდა: გადარღუევით დაირღუენ (პარონომასიაა).

7) ხშირია მექანიკური შეცდომები:

ა) კავები [ ] ზედმეტადაა ნახმარი, რადგან კავებში ჩასმული სიტყვები თუ ასოები ხელნაწერებში (JO)გვაქვს: გმობად მრავალთა(ჲ) 20,10; სახ(ე)ლები 23,6; მათ(გან) 25,10; უგზოდ (და) სასტჳნველად[4] 25,18; (და) ჴელთა 34,21.

ბ) კავები [ ] აკლია, რადგან ჩვენს მიერ კავებში ჩასმული სიტყვა თუ ასო J-ში არ არის: შესავედ(რ)ებელო 16,19; (და) მოიქცეს 34,15; (და) კეთილ თუ არს 40,4; შე(ჰ)ვედრა 40,7 და სხვ.

გ) არაიშვიათია კორექტურული შეცდომები (ხელნაწერებში დაცულ სწორ ფორმებს ფრჩხილებში ვსვამთ): მუხანა 2,34 (მუხათა), ყორძენი 8,13 (ყურძენი), გარა-წარჰჴდა 8,13 (გარე-წარჰჴდა), აკასრულეს 10,25 (აღასრულეს), ჭურჭერა 27,18 (ჭურჭერი), ნაბუქოდონუსორ, 28,3 (ნაბუქოდონოსორ), ჲერუსალემით 29,1 (იერუსალჱმით), კალთამან 31,23 (ძალთამან), მხრიედ ღალვანი 31,35 (ოხრიედ ღელვანი), სადაკია 36,12 (სედეკია), იოაკილისა 37,1 (იოაკიმისა). უდაბნოისაჲ 39,4 (უდაბნოჲსად), მთაერთა 41,16 (მთავართა), ბარქე 43,6 (ბარუქ), კალსა 46,2 (ძალსა), ვითადცა 46,23 (ვითარცა), უცოთესლნი 47,4 (უცხო თესლნი), ალათსალისა 48,34 (აგათსალისა), კნელ 49,8 (ძნელ) ვარვარა 49,10 (ვერღარა).

დ) ზოგჯერ სიტყვა არასწორადაა გათიშული, დაშლილი: და ვადგინენ 6,17 (დავადგინენ JO), და იტევა 9,12 (დაიტევა J, შდრ. ἀνήφθη).

არის სხვა სახის შეცდომებიც, მაგრამ ყველასი აღნუსხვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

---

[4] დაბეჭდილია: დასასტჳნველად.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა, გამოცემა საერთოდ მაინც კარგია. მარტო ის ფაქტი, რომ ძველი ქართულის ძეგლი გამოცემულია უცხოეთში საქმის კარგი ცოდნითა და სიყვარულით, თავისთავად მრავლისმეტყველია.

§ 6. ქართული ვერსიების მცდარი წაკითხვები

შეცდომები, რომლებიც ქართულ ვერსიებში გვხვდება, უმეტესად გრაფიკული ხასიათისაა: არასწორი მხედველობითი აღქმის შედეგად გადამწერი ერთი სიტყვის ნაცვლად კითხულობს და წერს სხვა სიტყვას გრაფიკული მსგავსების გამო. მაგ., გვაქვს: ორგულთასა, ჴორცნი, ცხორებაჲ, უფლისასა, სიმართლე, მქჳდრნი და სხვ. უნდა იყოს შესაბამისად: ურგებთასა, ჴორჴი, ცხოვარი, ობლისასა, სიმაღლე, მქუდარნი. გასწორებებში საგანგებოდ არის აღნიშნული ისეთი გრაფიკული შეცდომები, რომლებიც გამოწვეულია მოხაზულობით მსგავსი ასოების აღრევის საფუძველზე (მაგალითები: 33, 34, 57, 58, 71, 79, 82...). შესაძლებელია, რომ მცდარ წაკითხვას დასაბამს აძლევდეს დიტოგრაფია (მაგ.: 39, 49, 81). მაგრამ მხოლოდ გრაფიკული მიზეზი როდია ყოველთვის შეცდომის წყარო. მცდარი წაკითხვა შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგნაირად: მთარგმნელი თუ შემჯერებელი უცხო წყაროში ნახმარ სიტყვას არასწორად გააზრიანებს (მაგ.: 42, 119, 130), ან კიდევ გადამწერი ტექსტში ნახმარ მისთვის გაუგებარ სიტყვას ცვლის გარეგნულად მსგავსი სხვა (მისთვის გასაგები) სიტყვით (მაგ. 47, 50, 54, 83, 98).

რომელიმე ქართული ვერსიის მცდარი წაკითხვის გასწორებისას ძირითადად გამოყენებულია პარალელური ვერსიების სწორი ჩვენებანი, რადგან იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ რომელიმე ადგილი წარყვანილი იყოს ერთდროულად სამივე ვერსიაში. ამდენად, J ვერსიის ცთომილებანი გასწორებულია O-სა და ზოგჯერ G-ს ჩვენებათა საფუძველზე, ასევე O-ს შეცდომები[5] გამართულია J-სა და ზოგჯერ G-ს სწორი ფორმების კვალობაზე.

თუმცა O ვერსიის J-სგან განსხვავებული წაკითხვები სქოლიოში ვარიანტებად არის მოყვანილი, მაგრამ მაინც O-ს მცდარი ადგილების გასწორებათა აღნიშვნა სქოლიოშიც აუცილებლად მივიჩნიეთ. ასეთ სიტყვებთან მითითებულია: (მცდ.), რაც ნიშნავს: მცდარი ფორმაა. თანაც საჭიროდ ჩავთვალეთ სამივე ვერსიის ცთომილებათა გასწორება საგანგებოდ აღგვენიშნა ცალ-ცალკე.

G-ს გამართვისას ნაკლებად გამოვიყენეთ JO ვერსიათა წაკითხვები, რადგან G არსებითად დამოუკიდებელი ვერსიაა. ამ შემთხვევაში შეცდომების უმეტესობა W-ზე მოდის. W-ს მცდარი ფორმები ზოგჯერ ხელნაწერიდან არის გამოყოლილი (მაგ.: 109, 112, 115, 122), ზოგჯერ კი ბეჭდვის პროცესშია წარმოშობილი (მაგ.: 123, 124, 127...).

ყველა მცდარ თუ საეჭვო ფორმის გასწორებისას საკონტროლოდ ყოველთვის გათვალისწინებულია ბერძნულ და სომხურ წყაროთა ჩვენებანი. ადგილის ეკონომიის მიზნით გასასწორებელი სიტყვა მოგვყავს არა სათანადო წინადადებაში, არამედ ხშირად ცალკე ან მხოლოდ მასთან ახლოს მდგომ სიტყვებთან ერთად.

---

[5] ა. შანიძემ ადრე მიაქცია ყურადღება შეცდომების სიმრავლეს ათონურ (ოშკურ) ბიბლიაში და იგი გადამწერთა უყურადღებობით ახსნა. იხ. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვეთი 2, გამოსცა ა. შანიძემ, 1948, გვ. V—VI.

§ 7. J ვერსიის მცდარი წაკითხვები

1) 2,6: „არა სრულ იყო მუნ კაცი“. უნდა: არა ასრულ იყო მუნ კაცი. „ასრულ“ ასე ჩანს მიღებული: აღსლვულ>აღსლულ>აღსრულ>ასრულ. „ასრულ“ ფორმა ადიშის ოთხთავშიც მოიპოვება (ი. 20,17). შდრ. ბერძნ. οὐ διώδευσεν ἐν αὐτῇ ἀνήρ...; სომხ *ոչ անց մարդ*.

2) 2,7: „ჭამად თქუენდა ნაყოფთა მისთა კეთილთა“. უნდა: ნაყოფთა მისთა და კეთილთა (W). შდრ. ბერძნ.... τοὺς καρποὺς αὐτοῦ καὶ τὰ ἀγαθὰ αὐτοῦ. სომხ. *ուտել զպտուղ նորա և զբարութիւնս*.

3) 2,8: „კუალსა ორგულთასა“. უნდა: კუალსა ურგებთასა. შდრ. ბერძნ. ὀπίσω ἀνωφελοῦς; სომხ. *զկնի անշահիցն*.

4) 2,14: „სატყუენველი ქმნა“. უნდა: სატყუენველ იქმნა (O). შდრ. ბერძნ. εἰς προνομὴν ἐγένετο; სომხ. *եղեն յաւար*.

5) 2,25: „ჴორცნი“, უნდა: ჴორჴი (GW). შდრ. ბერძნ. φάρυγγά σου; სომხ. *զկոկորդ*.

6) 3,6: „მათ მაღალთა“. უნდა: მთათა მაღალთა (O); შდრ ბერძნ ὄρος ὑψηλὸν...; სომხ. *լերանց բարձանց*.

7) 3,24; „ცხორებაჲ მათი“. უნდა ცხოვარი მათი (O). შდრ. ბერძნ. τὰ πρόβατα αὐτῶν; სომხ. *զխաշինս նոցա*.

8) 4,15: „მთავართაგან ეფრემისთა“ უნდა: მთათაგან ეფრემისთა, შდრ. ბერძნ. ἐξ ὄρους Ἐφραίμ; სომხ. *՚ի լեռնէ Եփրեմի*.

9) 5,28: „საშჯელსა უფლისასა“. უნდა: საშჯელსა ობლისასა; შდრ ბერძნ. κρίσιν ὀρφανοῦ; სომხ. *զիրաւունս որբոյն*.

10) 6,2: „მიგელოს სიმართლე“. უნდა: მიგელოს სიმაღლე (W), შდრ. ბერძნ. ἀφαιρεθήσεται τὸ ὕψος სომხ. *բարձցի բարձրութիւն*.

11) 6,4: „აჩრდილნი ზღჳსანი“. უნდა: აჩრდილნი დღისანი. შდრ. ბერძნ. αἱ σκιαὶ τῆς ἡμέρας[6]; სომხ. *ստուերք երեկորեայ*. τῆς ἡμέρας სეპტანტის ვატიკანურ ნუსხაშია, სხვა ხელნაწერებშია τῆς ἑσπέρας, რომელსაც შეესატყვისება G ვერსიის „მწუხრისანი“.

12) 6,5: „აღჰხვდეთ იჱ̃მდ. უნდა: აღხვდეთ ღამე. შდრ. ბერძნ. ἀναβῶμεν ἐν τῇ νυκτὶ...; სომხ. *ելցուք ՚ի գիշերի*.

13) 6,9: „ნეშტსა იერუსალჱმისსა“. უნდა: ნეშტსა ისრაჱლისასა (O). შდრ. ბერძნ. τὰ κατάλοιπα τοῦ Ἰσραήλ სომხ. *զմնացորդս Իսրայէլի*.

14) 6,16: „წინადაუცუეთელ არიან საქმენი მათნი“. უნდა: წინადაუცუეთელ არიან სასმენელნი მათნი. შდრ ბერძნ. ἀπερίτμητα τὰ ὦτα αὐτῶν; სომხ. *անթլփատ են ականջք նոցա*.

15) 7,33: „და იყვნენ მკჳდრნი“. უნდა: და იყვნენ მკუდარნი (OW). შდრ. ბერძნ. καὶ ἔσονται οἱ νεκροὶ... სომხ. *և եղիցին դիականք*.

16) 7,34: „ჴმაჲ მშობელთაჲ. უნდა: ჴმაჲ მშუებელთაჲ. შდრ. ბერძ. ...φωνὴν χαιρόντων; სომხ. *զձայն խրախճանաց*.

17) 9,21: „ჰუნებთაგან“. უნდა: უბნებთაგან (O), შდრ. ბერძნ. ἀπὸ τῶν πλατειῶν; სომხ. *՚ի հրապարակաց*.

---

[6] ალფრედ რალფის გამოცემაში „ἡμέρας“ ვარიანტადაა მოყვანილი, ძირითადში კი „ἑσπέρας“ იკითხება.

18) 12,13: „ყ უ დ რ ო ე ბ ი ს ა გ ა ნ წინაშე ღმრთისა“ უნდა: ყ უ ე დ რ ე ბ ი-ს ა გ ა ნ წინაშე ღმრთისა (O). შდრ. ბერძნ. ἀπο ὀνειδισμοῦ ἔναντι κυρίου; სომხ. *'ի նախատանաց առաջի տեառն.*

19) 13,21: „შ ე ა ს წ ა ვ ე მათ“. უნდა: შ ე ნ ა ს წ ა ვ ე მ ა თ (O), შდრ. ბერძნ. σύ ἐδίδαξας αὐτούς...; სომხ. *դու իսկ ուսուցեր.*

20) 13,22: „განსაქიქებელად ტ რ ფ ი ა ლ თ ა შენთა“. უნდა: განსაქიქებელად ტ ე რ ფ თ ა შენთა (O). შდრ. ბერძნ. παραδειγματισθῆναι τὰς πτέρνας σου; სომხ. *խայտառակեալ զկրկունս քո.*

21) 15,9: „მშობელი მ შ ჳ დ თ ა ჲ“. უნდა: მშობელი შ ჳ დ თ ა ჲ (OG), შდრ. ბერძნ. ἡ τίκτουσα ἑπτά...; სომხ. *եւթնածինն.*

22) 17,8: „წ ყ ა ლ ს ა მას გუალვისასა“. უნდა: წ ე ლ ს ა მას გუალვისასა (O), შდრ. ბერძნ. ἐν ἐνιαυτῷ ἀβροχίας; სომხ. *յամէ երաշտութեան.*

23) 21,7: „დ ა ვ რ დ ო მ ი ლ არს ქალაქსა მას“. უნდა: დ ა შ თ ო მ ი ლ არს ქალაქსა მას (O). შდრ. ბერძნ. καταλειφθέντα ἐν τῇ πόλει ταύτῃ; სომხ. *մնացեալ իցէ 'ի քաղաքիդ.*

24) 22,19: „ფლვით ვ ე რ დაჰფლას“. უნდა: ფლვით ვ ი რ ე ბ რ დაიფლას (O). შდრ. ბერძნ. ταφὴν ὄνου ταφήσεται სომხ. *զթաղումն իշոյ թաղեսցի,*

25) 22,23: „დ ა ბ მ უ ლ ნაძუთა შინა“. უნდა: დ ა ბ უ დ ე ბ უ ლ ნაძუთა შინა (O). შდრ. ბერძნ. ἐννοσσεύουσα ἐν ταῖς κέδροις; სომხ. *ամրացեալդ 'ի մէջ մայրից.*

26) 23,32: „სარგებელი რ ა ჲ არგონ“. უნდა: სარგებელი ა რ ა ჲ არგონ. შდრ. ბერძნ. ὠφέλειαν οὐκ ὠφελήσουσιν; სომხ. *օգտութիւն ինչ ոչ օգտեսցեն.*

27) 23,34: „ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ მისისა“. უნდა: ს ა ხ ლ ი ს ა გ ა ნ მისისა. შდრ. ბერძნ. τὸν οἶκον αὐτοῦ; სომხ. *'ի տանէ նորա.*

28) 27,9: „ნუ ისმენთ ცრუ-წინაწარმეტყუელთა თქუენთასა და მისანთა თქუენთასა და ჩ უ ე ნ ე ბ ა თ ა თქუენთა(სა) და მლაღობელთა თქუენთასა და მზმნელთა თქუენთასა...“; უნდა: მ ჩ უ ე ნ ე ბ ე ლ თ ა. ამას მოითხოვს კონტექსტი, სადაც სხვა მიმღეობური ფორმებიცაა: მლაღობელთა, მზმნელთა...; ამ შესწორებას უჭერს მხარს ბერძნულ-სომხური წყაროები, სადაც „მჩუენებელთა“-ს ფარდად იკითხება: ἐνυπνιαζομένων, *երազոց.*

29) 27,19: „ზ ღ უ დ ი ს ა თ ჳ ს“. უნდა: ზ ღ ჳ ს ა თ ჳ ს (OG), შდრ. ბერძნ. περὶ τῆς θαλάσσης; სომხ. *վասն ծովուն.*

30) 29,18: „მივსცნე იგინი ს ა ყ უ ე დ რ ე ლ ა დ“. უნდა: მივსცნე იგინი ს ა რ-ყ ე ვ ე ლ ა დ (O). შდრ. ბერძნ. δώσω αὐτοὺς εἰς κίνησιν. სომხ. *տաց զնոսա 'ի շարժումն.*

31) 30,6: გარდაიქცა ყოველი პირი, დ ა ნ დ ა ლ უ კ იქმნეს J. უნდა: გარდაიქცა ყოველი პირი და დ ა ლ უ კ ნ იქმნეს. შდრ. ბერძნ. ἐστράφησαν πρόσωπα, εἰς ἴκτερον ἐγενήθη. სომხ. *դարձան երեսք ամենայն 'ի գոյն դալկման* (5. § 22).

32) 30,18: „ს ი მ ა რ თ ლ ე ს ა ზედა“. უნდა: ს ი მ ა ღ ლ ე ს ა ზედა (OW), შდრ. ბერძნ. ἐπὶ τὸ ὕψος, სომხ. *'ի բարձրութեամբ..*

32[1]) 31,21: „ბ ჭ ე თ ა შენთა“. უნდა: ბ ე ჭ თ ა შენთა (W). შდრ. ბერძნ. εἰς τοὺς ὤμους; სომხ. *'ի թիկունս..*

33) 32,44: „ქუეყანასა შ ი ნ ა მ ი ს ს ა“. უნდა: ქუეყანასა ბ ე ნ ი ა მ ე ნ ი ს ს ა. შდრ. ბერძნ. ἐν γῇ Βενιαμὶν...; სომხ. *յերկրին Բենիամինի.* შეცდომა გრაფიკულ ნიადაგზე ჩანს წარმომდგარი. ბანი (Ⴁ) წაკითხულია შინად (Ⴘ), ენი (Ⴄ) კიდევ

ინად (т), შემდეგ ზოგიერთი ასოც გამოუტოვებიათ და მცდარად დაშლილი სიტყვა ახლებურად გაუაზრებიათ: ⴗⴄⴐⴇⴋⴄⴐⴈⴑⴑⴇ→ⴗⴈⴐⴇ ⴋⴈⴑⴑⴇ.

34) 36,26: „ძესა აბიეთისსა“. უნდა: ძესა აბიელისსა (O). შდრ. სომხ. *որդւոյ աբդիելին*; რუს. сыну Абдиилову. (ბერძნ.-ში არაა). შეცდომის მიზეზია ნუსხური თ-სა (ⴇ) და ლ-ს (ⴊ) მსგავსება და მათი განურჩევლობა. შეიძლებოდა ლონიც ჩაგვემატებინა (სომხურის მიხედვით). მაგრამ თავი შევიკავეთ.

35) 36,29: „შემოსრვით შემოვიდეს“. უნდა: შემოსლვით შემოვიდეს (O). შდრ. ბერძნ. εἰσπορευόμενος εἰσπορεύσεται. სომხ. *մտանելով մտցէ'*.

36) 38,23: „განგუმირნენ ქალდეველთა“. უნდა: განგგუარნენ ქალდეველთა (O). შდრ. ბერძნ. ἐξάξουσιν πρὸς τοὺς χαλδαίους; სომხ. *հանցեն առ քաղդեացին*.

37) 44,9: „და ძჳრთა ცოდვათა თქუენთასა“. უნდა ძჳრთა ცოლთა თქუენთასა (O). შდრ. ბერძნ. καὶ τῶν κακῶν τῶν γυναικῶν ὑμῶν. სომხ. *և նշարիս կանանց ձերոց*.

38) 44,21: „აჰა კუმევისაგან“. უნდა: არა კუმევისაგან (O). შდრ. ბერძნ. οὐχὶ τοῦ θυμιάματος. სომხ. *ոչ ապաքէն զխունկն*.

39) 46,2: „საძაგელსა ზედა“. უნდა ძალსა ზედა (CG). შდრ. ბერძნ. ἐπὶ δύναμιν; სომხ. *'ի վերայ զօրացն*. შეცდომა წარმომდგარი ჩანს „ძალსა“-ს წინ მდგომი სიტყვის („ეგჳპტისა“) ბოლო („სა“) მარცვლის გამეორებიდან (დიტოგრაფია). ეს ზედმეტი „სა“ შემდეგ შეუერთებიათ მომდევნო „ძალსა“ ფორმასთან (სა+ძალსა) და ეს უკანასკნელი ახლებურად გაუაზრებიათ: ეგჳპტისა ძალსა ზედა → ეგჳპტისასა ძალსა ზედა → ეგჳპტისა საძალსა ზედა → ეგჳპტისა საძაგელსა ზედა.

40) 46,16: „სიმართლე მისი მოუძლურდა“. უნდა: სიმრავლე მისი მოუძლურდა. შდრ. ბერძნ. τὸ πλῆθος σου ἠσθένησεν; სომხ. *բազմութիւն տկարացաւ*.

41) 47,5: „გზასა ზედა“. უნდა: გაზასა ზედა (O). შდრ. ბერძნ. ἐπὶ Γάζαν; სომხ. *'ի վերայ գազայ*.

42) 47,5: „რომელ არიან აკიმს შინა“. უნდა: რომელ არიან ენაკიმს შდრ. ბერძნ. οἱ κατάλοιποι 'Ενακίμ; სომხ. *մնացորդքն ենակիմայ*. ჩანს, ქართველ მთარგმნელს თუ შემჯერებელს ბერძნული 'Ενακίμ-ის დასაწყისი ἐν მარცვალი „შინა“ თანდებულად გაუგია. არაა გამორიცხული, რომ სიტყვა მცდარად ყოფილიყო დაშლილი თვით ბერძნულ ხელნაწერშიც.

43) 48,16: „მოსრვაჲ. უნდა: მოსლვაჲ. შდრ. ბერძნ. ἐλθεῖν; სომხ. *հասանել*.

44) 49,3: „წარწყმდა ძალი ეგე აჲსაჲ“. უნდა: წარწყმდა ძალი გაისაჲ. შდრ. ბერძნ. ὤλετο Γαΐ. სომხ. *կորեաւ գեհ*. (რუს. Гай), [„გაი“ ქალაქის სახელწოდებაა].

45) 50,27: „ალჯადეთ ყოველი ნაყოფი“. უნდა: ალაჯმეთ ყოველი ნაყოფი. შდრ. ბერძნ. ἀναξηράνατε αὐτῆς πάντας τοὺς καρπούς; სომხ. *ցամաքեցուցէ'ք զամենայն պտուղս նորա*.

46) 50,44: „აღმოხდეს მქანართაგან“. უნდა: აღმოჴდეს მაღნართაგან (O). ბერძნ.-ში „მაღნართაგან“-ის ფარდი სიტყვა სულ არა გვაქვს, სომხურშია: *ելցէ 'ի յորձանացն* (რუს. от возвышения).

47) 51,11: „სული მეფისა მის მართლისაჲ“. უნდა; სული მეფისა მის მართაჲსაჲ. შდრ. ბერძნ. τὸ πνεῦμα βασιλέως Μήδων; სომხ. *ոգի թագաւորին մարաց*. აქ ლაპარაკია მართა[7], ე. ი. მიდიელთა მეფეზე.

48) 51,36: „აღვაოჴრო ზღუდე მისი“. უნდა: აღვაოჴრო ზღუაჲ მისი. შდრ. ბერძნ. ἐρημώσω τὴν θάλασσαν αὐτῆς; სომხ. *աւերեցից զծով նորա*; რუს. осушу море его. აქ ნახსენებ „ზღვა“-დ რეალურად იგულისხმება მდინარე ევფრატის ქვემო წელი, წყალუხვობისას რომ ფარავდა მთელ ახლო-მახლო მიდამოებს. ამ სანაპირო მიდამოზე შემდეგში აშენებული იქნა ბაბილონი[8]. ტექსტში ალეგორიულადაა ნათქვამი ბაბილონის მოსალოდნელ აოხრებაზე.

49) 52,7: „გზასა სარაბიაჲსასა“. უნდა: გზასა არაბიაჲსასა. შდრ. ბერძნ. ὁδὸν τὴν εἰς Ἄραβα; სომხ. *ընդ ճանապարհ արաբացւոց*.

§ 8. O ვერსიის მცდარი წაკითხვები

მცდარი ფორმები, რომლებიც J რედაქციაშია, ზოგჯერ O-შიც მეორდება. მართალია, ასეთ შემთხვევაში გასასწორებელი ფორმის მხრივ O ზოგჯერ სხვაობს J-ისგან, მაგრამ გასწორება კი ორივეს თანაბრად შეეხება. ამიტომ გამეორების თავიდან აცილების მიზნით O რედაქციის J-სთან საერთო მცდარ წაკითხვებზე ცალკე არ შევჩერდებით და მივუთითებთ მხოლოდ თავსა და მუხლს. ზემორე ჩამოთვლილი სიტყვების J-ის გასწორება თანაბრად ეხება O-საც შემდეგ ადგილებში: 2,6; 2,7; 4,15; 6,2; 6,10; 7,34; 23,34; 30,6; 32,21; 47,5; 51,11; 51,36. დანარჩენი გასწორებანია:

50) 2,36: „რამეთუ შეურაცხ-ვიყავ ფრიად და მორჩილებად გზათა შენთა“. უნდა: რამეთუ შეურაცხ-ვიყავ ფრიად დარჩოდებად გზათა შენთა“ (J). შდრ. ბერძნ. Ὅτι κατεφρόνησας σφόδρα τοῦ δευτερῶσαι τὰς ὁδούς σου; სომხ. *զի արհամարհեցեր յոյժ կրկնել զճանապարհս քո*. „დარჩოდება“ არ არის ხშირი ხმარების სიტყვა ძველ ქართულში; იგი საბას ლექსიკონშიც არ შესულა. ამ სიტყვის მნიშვნელობა ნ. მარისთვისაც არ იყო ნათელი, როდესაც მას კითხვის ნიშნის ქვეშ განმარტავდა, როგორც დაკლებას, დაპატარავებას (уменьшать)[9]. „დარჩოდება“ ძირეულად კავშირში უნდა იყოს „მრჩობლ“ სიტყვასთან და უნდა ნიშნავდეს გაორმაგებას, გამეორებას. ყოველ შემთხვევაში „დარჩოდების“ ფარდი სიტყვები ბერძნულსა და სომხურ წყაროებში ასეთ განმარტებას მხარს უჭერენ.

51) 3,2: „ვითარცა ყუავილი უდაბნოსა შინა“. უნდა: ვითარცა ყუავი უდაბნოსა შინა (J). შდრ. ბერძნ. ὡσεὶ κορώνη ἐρημουμένη; სომხ. *իբրև ագռաւ....*

52) 3,2: „შეაგინე ქუეყანაჲ იგი სისხლითა“. უნდა: შეაგინე ქუეყანაჲ იგი სიძვითა (J). შდრ. ბერძნ. ἐμίανας τὴν γῆν ἐν ταῖς πορνείαις; სომხ. *պղծեցեր զերկիր պոռնկութեամբ*.

---

[7] ამ ტერმინის შესახებ იხ. ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, სინური მრავალთავი 864 წლისა. ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, 1959, თბილისი, გვ. 321—323.

[8] И. Якимов, Толкование на книгу св. пророка Иеремии, II, Снб., 1880, გვ. 698.

[9] Т. Р., III, 1901, გვ. XLVI.

53) 5,6: „ვიდრე ზახებად მათდამდე“. უნდა: ვიდრე სახლებად მათდამდე. შდრ. ბერძნ. ἕως τῶν οἴκων; სომხ. *մինչև 'ի տունս նոցա*.

54) 5,24: „ბრძანებანი ერთანი“. უნდა: ბრძანებანი არეთანი (J). შდრ. ბერძნ. προστάγματος θερισμοῦ; სომხ. *հրամանի հնձոց*. „არე“ კონტექსტის მიხედვით „მკა“-ს ნიშნავს (შდრ. „ბრძანებასა მკისასა W; სლავ. повеления жатвы). აღსანიშნავია, რომ „არე“-ს ასეთი მნიშვნელობა არ არის ნაჩვენები საბას ლექსიკონში.

55) 8,1: „ძუალნი მფრინველთა...“; უნდა: ძუალნი მეფეთა...; შდრ. ბერძნ. τὰ ὀστᾶ τῶν βασιλέων; სომხ. *զոսկերս թագաւորացն*.

56) 8,21: „შემოსლვასა ზედა“. უნდა: შემუსრვასა ზედა (J); შდრ. ბერძნ. ἐπὶ συντρίμματι; სომხ. *'ի վերայ բեկման*.

57) 9,22: „დაიცვნეს მკუდარნი“ უნდა: და იყვნეს მკუდარნი; შდრ. ბერძნ. καὶ ἔσονται οἱ νεκροὶ.. ; სომხ. *եղիցին դիակունք*. შეცდომა წარმომდგარი ჩანს „და“-ს „იყვნეს“ სიტყვასთან შეერთებისა და „ყ“-ს (ⴗ) „ც“-დ (ⴚ) წაკითხვის საფუძველზე: ⴃⴀ ⴈⴗⴅⴌⴄⴑ → ⴃⴀⴈⴚⴅⴌⴄⴑ.

58) 10,9': „ვეცხლი გამოხურანტოსებული“. უნდა: ვეცხლი გამოტორანტოსებული (J) შდრ. ბერძნ. ἀργύριον τορευτόν. ჩანს, „გამოტორანტოსებულ“-ს საფუძვლად უძევს ბერძნული „τορευτός“. „ვეცხლი გამოტორანტოსებული“ უნდა ნიშნავდეს გარკვეული ფორმის ვერცხლს, რომლის ზედაპირზეც ჭედვითი ოსტატობით შესრულებული რაიმე გამოსახულებანია (შდრ. ვეცხლი წახნაგებული W).

შეცდომა წარმომდგარი ჩანს ო-ს უ-დ და ⴍ-ს ⴓ-დ წაკითხვის საფუძველზე.

59) 10,12: „უფალმან ძალთამან შექმნა“. უნდა: უფალმან, რომელმან შექმნა (J); შდრ. ბერძნ. Κύριος ὁ ποιήσας...; სომხ. *տէր է որ արար*.

შეცდომა შეიძლებოდა წარმომდგარიყო დაქარაგმებული „რომელმან“ (რმ῀ნ) ფორმის რ-ს (ⴐ) ძ-დ (ⴛ) წაკითხვის საფუძველზე. შეცდომა შეიძლება გამოეწვია ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც, რადგან „უფალს“ ჩვეულებრივ ახლავს ატრიბუტი „ძალთაჲ“.

60) 11,9: „იპოვა ნაოჭი კაცთა შორის იუდაჲსთა“. უნდა: იპოვა ნახჭი კაცთა შორის იუდაჲსთა (J). შდრ. ბერძნ. Εὑρέθη σύνδεσμος. სომხ. *գտաւ կնճիռն*. კონტექსტის მიხედვით „ნახჭი“ უნდა ნიშნავდეს: (ფარული) შეკავშირებას, შეთქმულებას (заговор-ს). „ნახჭი“ ასეთი მნიშვნელობითაა გაგებული ჩვენი ძეგლის პარიზულ გამოცემაში, როგორც ამას ამ სიტყვის ლათინური თარგმანი ავლენს (coniuratio). აღსანიშნავია, რომ საბას ლექსიკონში „ნაჭი“-ს ასეთი მნიშვნელობა არაა აღნიშნული[10].

61) 13,26: „და მე წარგაქცინე ქუე-ქუემონი შენნი“. უნდა: და მე წარვკეცნე ქუე-ქუემონი შენნი (J). შდრ. ბერძნ. κἀγὼ ἀποκαλύψω τὰ ὀπίσω σου; სომხ. *և ես մերկացից զյետուստ քո*.

---

[10] O-ს წაკითხვა "ნაოჭი", შეიძლება, გასასწორებელი არც იყოს, როგორც ამას სომხური ვერსიის *կնճիռն* გვაფიქრებინებს (*կնճիռն* „ნაოჭს“ ნიშნავს). „ნახჭი“ ძველ ქართულში ტერფს ნიშნავს (ხანძთ. 115,24, ყუბ. ქრესტომათია). შეიძლება ამ სიტყვას კვალის მნიშვნელობაც ჰქონოდა. ჩვენს ტექსტში მას გადატანითი მნიშვნელობით შეთქმულების კვალის, შეთქმულების მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

62. 13,27: „ურცხვნოებაჲ სიძვისა შენისაჲ“. უნდა: უცხოებაჲ სიძვისა შენისაჲ (J). შდრ. ბერძნ. ἡ ἀπαλλοτρίωσις τῆς πορνείας σου; სომხ. *ուտարանալն յինէն պոռնկութեան...* შდრ. უცხო-ქმნულებაჲ სიძვისა შენისაჲ W).

63) 14,3: „მდინარეთა მათთა წარავლინნეს...“; უნდა მდიდართა მათთა წარავლინნეს. შდრ. ბერძნ. οἱ μεγιστᾶνες αὐτῆς ἀπέστειλαν; სომხ. *մեծամեծք նոցա առաքեցին*. „მდიდარი“ აქ რეალურად ნიშნავს „დიდებულს“.

64) 16,21: „სახელი ჩემი უფროჲს არს“. უნდა: სახელი ჩემი უფალ არს (J). შდრ. ბერძნ. ὄνομά μοι Κυριος; სომხ *անուն իմ տէր է*.

65) 17,27: „შეჭამნეს ზურგნი“. უნდა: შეჭამნეს ზღუდენი“. (J). შდრ. ბერძნ. καταφάγεται ἄμφοδα; სომხ. *կերիցէ շուրջ*.

66) 19,14: „მოვიდა იერემია დასასრულით...“; უნდა: მოვიდა იერემია დასასრველით... (J). შდრ. ბერძნ. ἦλθεν Ἱερεμίας ἀπὸ τῆς διαπτώσεως; სომხ. *եկն երեմիա 'ի գլորմանէն*. „დასასრველი“ ნაწარმოებია „სრვა“ (მოსპობა) ფორმისაგან.

67) 22,11: „იტყჳს უფალი სულისა მისთჳს“. უნდა: იტყჳს უფალი სელემისთჳს (J). შდრ. ბერძნ. λέγει Κύριος ἐπὶ Σελλήμ...; სომხ. *ասէ տէր 'ի վերայ սելլեմեայ*.

68) 23,17: „ყოველთა მავნებელთა“. უნდა: ყოველთა მავალთა. შდრ. ბერძნ.... πᾶσιν τοῖς πορευομένοις. სომხ. *ամենայնի որ գնայ*.

69) 25,27: „პირისაგან მაღლისა“. უნდა: პირისაგან მახჳლისა (J) შდრ. ბერძნ. ἀπὸ προσώπου τῆς μαχαίρας. სომხ. *յերեսաց սրոյն*.

70) 26,20: „არიმათიელი“. უნდა: კარიათიარიმელი (J); შდრ. ბერძნ. ἐκ Καριαθιαρὶμ...; სომხ. *'ի կարիաթարիմայ*.

71) 26,22: „ძჱ აქაბორისი დაცემის თანა“. უნდა: ძჱ აქაბორისი და კაცნი მის თანა (J). შდრ. სომხ. *որդի աքովբերայ և արս ընդ նմա*, (ბერძნულ ტექსტში ეს ადგილი არ არის). შეცდომა შეიძლება ასე იყოს წარმომდგარი: „კაცი“ (მხ. რიცხვის ფორმით) დაქარაგმებული იყო (კ͠ცი) ან შერყვნილი, რომელსაც მექანიკურად შეერთებია „და“ კავშირი და „მის“ ნაცვალსახელი. შემდგომ ეს უაზრო კომპლექსი ქარაგმისა და „კ“-ს დაკარგვის გამო გააზრიანებულა „დაცემის“ ფორმად: და კ͠ცი მის → დაკ͠ციმის → დაცემის.

72) 26,23: „ძეთა იერემიაჲთა“. უნდა: ძეთა ერისა მისისათა (J). შდრ. ბერძნ. υἱῶν λαοῦ αὐτοῦ. სომხ. *որդւոց ժողովրդեան իւրոյ*.

73) 29,21: „ძისა ოზიაჲსსა“. უნდა: ძისა კოლიაჲსსა. ეს ადგილი ბერძნულ ტექსტში არ მოიპოვება. ებრაულშია: bēn coliha სომხ. *որդւոյ կովղեայ* (რუს. сыне Колии). „ოზია“ შეიძლება მიღებული იყოს „კ“-ს დაკლებისა და მრგლოვანი „ლ“-ს „ზ“-დ წაკითხვის საფუძველზე: ႩႭႪႨႠႱႱႠ → ႭႦႨႠႱႱႠ.

73[1]) 30,6: „განძჳნებაჲ“. უნდა: განრინებაჲ (J). შდრ. ბერძნ. ἐν σωτερίαν; სლავ. спасение.

74) 30,11: „განმრავლებით განგამრავლო შენ“. უნდა: განმართლებით არა განგამართლო შენ (J). შდრ. ბერძნ. **καθαρίζων οὐ καθαριῶ σε**; სომხ. *քավելով ոչ քաւեցից զքեզ*. თუ თარგმანის სიზუსტეს გავჰყვებოდით, ბერძნულ-სომხურ წყაროთა მიხედვით ქართულში უნდა გვქონოდა: განწმედით არა განგწმიდო შენ. მაგრამ შეუძლებელი არაა, ასეთივე ან ამის მსგავსი შინაარსი იყოს გამოხატული J რედაქციის წაკითხვაშიც.

75) 31,21: „მოიქეც ქალწულებად“. უნდა: მოიქეც ქალაქებად (J). შდრ. ბერძნ. ἀποστράφητι εἰς τὰς πόλεις; სომხ. *դարձիր անդրէն 'ի քաղաքս*.

76) 32,39: „მივსცე მათ გულისხუაჲ“. უნდა: მივსცე მათ გული სხუაჲ. შდრ. ბერძნ. δώσω αὐτοῖς... καρδίαν ἑτέραν. სომხ. *տաց նոցա սիրտ այլ.*

77) 33,6: „მივავლინო მის ზედა შეძრწუნებაჲ“, უნდა: მივავლინო მის ზედა შებრძჳნებაჲ (J). შდრ. ბერძნ. ἐγὼ ἀνάγω αὐτῇ συνούλωσιν; სომხ. *ածից զպախն 'ի բժշկութիւն.* კონტექსტით „შებრძჳნებაჲ“ ნიშნავს (ჭრილობის) შეკვრას.

78) 34,5: „გეტყოდიან შენ“. უნდა: გეტყებდიან შენ. შდრ. ბერძნ. κόψονταί σε; სომხ. *կոծեսցին զքեզ.*

79. 35,3: „ელონია“. უნდა: ეზონია (J). შდრ. ბერძნ. Ἰεζονίαν. ალბათ, მრგლოვანი „ზ“ (Ⴆ) წაკითხულია „ლ“-დ (Ⴊ).

80) 35,14: „არა სთესეს“, უნდა: არა სუეს (J). შდრ. ბერძნ. οὐκ ἔπιοσαν; სომხ. *ո՛չ արբին.*

81) 36,15: „ჰრქუეს ესმეს“. უნდა: ჰრქუეს მას. შდრ. ბერძნ. εἶπαν αὐτῷ; სომხ. *և ասեն ցնա.*

შეცდომა ასე უნდა იყოს წარმომდგარი: „ჰრქუეს“ ზმნის ბოლო „ეს“ მარცვალი, ალბათ, შეცდომით ორჯერაა დაწერილი (დიტოგრაფია). შემდეგ ეს ზედმეტი „ეს“ შეერთებია მომდევნო „მას“ ნაცვალსახელს და მთლიანად ახალ სიტყვად გაუაზრებიათ: ჰრქუესეს მას→ჰრქუეს ესმას→ჰრქუეს, ესმეს.

82) 44,1: „ტაფნას და ბდონონს“. უნდა: ტაფნას (და) მაგდოლონს. შდრ. ბერძნ. ἐν Μαγδώλῳ καὶ ἐν Ταφνάς. შეცდომა, შესაძლებელია, გრაფიკულ ნიადაგზე იყოს წარმომდგარი: „მაგდოლონის“ „მა“ (ⴋⴀ) წაკითხულია „და“-დ (ⴃⴀ), ხოლო განი (ⴂ) ბანად (ⴁ): ⴋⴀⴂⴃⴍⴊⴍⴌⴑ → ⴃⴀⴁⴃⴍⴌⴍⴌⴑ.

83) 44,14: „რომელსა ზედა იგინი გიცნობენ“. უნდა: რომელსა ზედა იგინი გინცობენ. შდრ. ბერძნ. ἐφ' ἣν αὐτοὶ ἐλπίζουσιν; სომხ. *որում ակն ունէին.*

„გინცობა“ იშვიათი, მაგრამ უძველესი ხმარების სიტყვაა ქართულში. საბას ლექსიკონში განმარტებულია „გინცის“ პარალელური ფორმა: გენცი იმედი თუ ნუგეშინის ცემა“[11]. განმარტება სწორია როგორც გენცის“, ასევე „გინცობა“-ს მიმართაც. „გენცი“ სხვა ძეგლებშიც დასტურდება[12]. ჩვენი ძეგლის პარიზულ გამოცემაში „გინცობენ“ (J) მცდარ ფორმადაა მიჩნეული და ამიტომ დაბეჭდილა „გიცნობენ“ (O). ამ უკანასკნელის ლათინური თარგმანი (cogitant) გვარწმუნებს, რომ „გიცნობენ“ შემთხვევით არ დაბეჭდილა, ჩანს, გამომცემელთათვის „გინცობენ“ სიტყვის მნიშვნელობა ნათელი არ იყო.

84) 45,5: „მიქცეული შენი“, უნდა: მიგცე სული შენი (J). შდრ. ბერძნ. δώσω τὴν ψυχήν σου; სომხ. *տաց քեզ զանձն քո.*

შეცდომა, ალბათ, ასეა წარმომდგარი: „მიგცე-“ს განი დაყრუვდა ქანად ც-ს მეზობლობაში, ხოლო შემდეგ ხანი დაიკარგა სიტყვაში „სულ“. ასე რომ: **მიგცე სული → მიქცე სული → მიქცეული.**

85) 46,17: „უწყოდეთ სახლი მეფისა ფარაოჲსი ეგჳპტეს საუნჯებრთაჲ მათ. უნდა: უწოდეთ სახელი მეფესა ფარაოს ეგჳპტისასა საონ ებირ ამოედ. შდრ. ბერძნ. καλέσατε τὸ ὄνομα φαραὼ

[11] ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1949, გვ. 72.

[12] ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, 1959, გვ. 14, სტრ. 6.

Νεχαὼ βασιλέως Αἰγύπτου Σαὼν Ἐσβεὶ Ἐμωήδ სომხ. *կոչեցէ՛ք զանուն սաւոյն և երիր մովեդ.*

ებრაული მასორეტული ტექსტის სიტყვები שָׁאוֹן הֶעֱבִיר הַמּוֹעֵד, რომელთაც რუსულ თარგმანში შეესატყვისება: смутился он, пропустил условленное время, ბერძნულ სეპტანტაში უთარგმნელად გადმოუღიათ, რადგან შეცდომით საკუთარ სახელად გაუგიათ[13]. ეს ადგილი სეპტანტის ნუსხებში სხვადასხვანაირად იკითხება. ფორმათა სიჭრელეა ქართულ რედაქციებშიც: ჭ ნებირთა მოეთ" (J), „საუნჯებრთაჲ მათ" (O), „საონ ესერე მოიდ" (W). ამიტომ ამ შემთხვევაში ვამჯობინეთ ტექსტი გაგვემართა პირველწყაროსთან (ებრაულთან) მიახლოებით.

86) 48,15: „შთაჴდეს საფლავად". უნდა: შთაჴდეს საკლავად. შდრ. ბერძნ. κατέβησαν εἰς σφαγήν; სომხ. *անկան 'ի սպանումն.*

87) 48,31: „კართა ზედა". უნდა: „კაცთა ზედა (JW). შდრ. ბერძნ. ἐπ ἄνδρας; სომხ. *'ի վերայ արանց.*

88) 48,32: „ვითარცა ტირილი იაპირისი". უნდა: ვითარცა ტირილი იაზერისი. შდრ. ბერძნ. ὡς κλαυθμὸν Ἰαζήρ...; სომხ. *իբրև զլալիւն յազեայ,* შეცდომა გრაფიკულ ნიადაგზე ჩანს წარმომდგარი: ႨႠႦႤႰႨႱႨ → ႨႠႮႨႰႨႱႨ.

89) 48,39: „იქმნა მოაბი საკიცხელ და საშჳნებელ. უნდა: საშინებელ (J). შდრ. ბერძნ. ἐγένετο Μωὰβ εἰς γέλωτα καὶ ἐγκότημα; სომხ. *եղև 'ի ծաղր և 'ի քէնս.* შესაძლოა ტექსტში თავიდან ყოფილიყო საგინებელ. და შემდგომ ყ ალრეოდათ ვ-ში. გული მიგვიწევდა, ტექსტში „საგინებელ" გაგვეტარებინა, მაგრამ მაშინ ხელნაწერს დიდად დავშორდებოდით.

90) 49,8: „მკუდართა".. უნდა: მკჳდრთა (JG). შდრ. ბერძნ. οἱ κατοικοῦντες; სომხ. *բնակիչք.*

91) 49,10: „დავამჴუ ესევე". უნდა: დავამჴუ ესავი (J). შდრ. ბერძნ. κατέσυρα τόν Ἠσαῦ; სომხ. *կործանեցի զեսաւ.*

92) 49,20: „ნიშნი ცხოვართა მათთანი". უნდა: ნეშტნი ცხოვართა მათთანი. შდრ. ბერძნ. τὰ ἐλάχιστα τῶν προβάτων; სომხ. *յետինք ոչխարացն.*

93) 49,21: „ზღუასა შინა ერჳთ რასა". უნდა: ზღუასა შინა ერჳთრასა. შდრ. სომხ. *'վ ծով կարմիր;* ბერძნულ სეპტანტაში „ერჳთრასა"-ს ფარდად არაფერი გვაქვს. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ტექსტი დამოკიდებულია ისეთ ბერძნულ ხელნაწერზე, სადაც იქნებოდა სიტყვა ἐρυθρά („წითელი", „მეწამული").

94) 50,29: „მთავართა". უნდა: მრავალთა (JG). შდრ. ბერძნ. πολλοῖς; სომხ. *բազմաց.*

95) 51,4: „გომორელნი". უნდა: გუმერილნი (J). შდრ. ბერძნ. καταкεκεντημένοι; სომხ. *խոցոտեալք.*

96) 51,8: „იბუდებდით მას ზედა". უნდა: იგოდებდით მას ზედა. შდრ. ბერძნ. θρηνεῖτε αὐτήν; სომხ. *ողբս առէք 'ի վերայ դորա.*

97) 51,24: „მკჳდრთა ქალაქისათა". უნდა: მკჳდრთა ქალდეაჲსათა (J). შდრ. ბერძნ. τοῖς κατοικοῦσι χαλδαίοις; სომხ. *բնակչաց քաղդեացւոցն.*

98) 51,28: „მეფჱ მართალი". უნდა: მეფჱ მართაჲ. შდრ. ბერძნ. τὸν βασιλέα Μήδων; სომხ. *զթագաւորն մարաց.*

---

[13] И. Якимов, Отношение греческого перевода LXX... к еврейскому мазоретскому тексту в книге пророка Иеремии, С.-пб., 1874, გვ. 27.

99) 51,56: „მოისრნეს ბრძენნი“. უნდა: მოისრნეს მბრძოლნი (G) შდრ. ბერძნ. ἑάλωσαν οἱ μαχηταὶ...; სომხ. *ըմբռնեցան սպառազէնքն.*

100) 51,58: „გარდაარღვენით დაირღუენ“. უნდა: გარდარღუევით დაირღუენ. შდრ. ბერძნ. κατασκαπτόμενον κατασκαφήσεται; სომხ. *կործանելով կործանեսցի.*

101) 52,12: „ესე წიგნი მეათცხრამეტჱ. უნდა: ესე წელი მეათცხრამეტჱ. შდრ. სომხ. *այս ամ իննուտասան.* ეს ადგილი ძირითად ბერძნულ ტექსტში არაა[14].

102) 52,20: „ზღუდისა ერთისაჲ“. უნდა: ზღვსა ერთისაჲ (JW). შდრ. ბერძნ. ἡ θάλασσα μία. სომხ. *ծով մի.*

§ 9. G ვერსიის მცდარი წაკითხვები

103) 2,30: „მამად მოვსრენ შვილნი თქუენნი“ (W). უნდა: ამაოდ მოვსრენ შვილნი თქუენნი. შდრ. ბერძნ. Μάτην ἐπάταξα τά τέκνα ὑμῶν; სომხ. *զուր հարի զորդիսն ձեր.*

104) 4,5: „შევიდეთ ქალაქთამ იმოზღუდვილთა“ (W). უნდა: შევიდეთ ქალაქთამი მოზღუდვილთა. შდრ. ბერძნ. εἰσέλθωμεν εἰς τάς πόλεις τὰς τειχήρεις; სომხ. *մտէք 'ի քաղաքս պարսպաւորս.* შეცდომა კორექტურულია.

105) 6,23: „წყალობა ჰყოფს“ (W). უნდა: წყობა-ჰყოფს. შდრ. ბერძნ. παρατάξεται; სომხ. *լատեսցի* (სლავ. ОПОЛЧИТСЯ). „წყობა-ჰყოფს“ ნიშნავს: საბრძოლველად რაზმავს.

106) 7,30: „ესმნეს საძაგელნი“ (W). უნდა: ესხნეს საძაგელნი. შდრ. ბერძნ. ἔταξαν τὰ βδελύγματα; სომხ. *հարգեցին զգարշելիսն.*

107) 13,6: „ყოვლად“ (W). უნდა: „შემდგომად“. შდრ. ბერძნ. μετά; სომხ. *յետ.* ქარაგმიანი „შემდგომად“-ის შ (ყშ) აღრეულია ყ-ში (ყშ).

108) 13,22: „აღგესაფურველნეს“ (W). უნდა: აღგესაბურველნეს (შდრ. „აღვსაბურველნე“ 13,26 W). ბერძნ. ἀνεκαλύφθη; სომხ. *յայտնեցաւ*

109) 16,3: „მლმობელთა მათთა“ (GW). უნდა: მშობელთა მათთა, შდრ. ბერძნ. τετοκυιῶν αὐτοὺς...; სომხ. *որք ծնանին զնոսա.*

110) 16,6: „არა აღიპარს“ (W). G-ში გადამწერს რაღაც სიტყვა გადაუფხეკია, გარდა ბოლო „ნენ“ ნაწილისა და სიტყვის წაშლილი ნაწილის ნაცვლად ზემოთ „აღიპარს“ დაუწერია. დაბეჭდილა „აღიპარს“ (W), რადგან მისთვის არ მიუმატებიათ ტექსტში ქვემოთ დატოვებული „ნენ“, ე. ი. უნდა დაბეჭდილიყო: არა აღიპარსნენ. შდრ. ბერძნ. οὐ ξυρήσονται სომხ. *մի խզեսցին.*

111) 17,27: „გზებნი (GW). უნდა: ზღუდენი. შდრ. ბერძნ. ἄμφοδα; სომხ. *շուրջ.*

112) 19,1: „კარაბაჲ, გამოზელელიკე ცისაჲ (GW). უნდა: კარაბაჲ, გამოზელილი კეცისაჲ. შდრ. ბერძნ. βῖκον πεπλασμένον ὀστράκινον; სომხ. *կուժ մի ստեղծեալ 'ի կաւոյ.* შეიძლება ასეც გასწორებულიყო: ...გამოზელილი მეკეცისაჲ. მაგრამ „მე“-ს ჩამატებისგან თავი შევიკავეთ, რადგან ამის საფუძველს არ იძლეოდა გასასწორებელი ფორმა, არც ბერძნულ-სომხური ვერსია.

---

[14] ალფრედ რალფის გამოცემის ვარიანტებში მოყვანილია ამ ადგილის შესაბამისი წაკითხვა: *ενιαυτος εννεακαιδεκατος.*

113) 22,1: „შთახედე სახიდ“ (W). G-ში გადამწერს ჯერ „შთაველ“ დაუწერია, შემდეგ „ველ“ გადაუშლია და მის ნაცვლად ზემოდან „ხჳდე“ ჩაუმატებია, ე. ი. უნდა: „შთახჳდე სახიდ. შდრ. ბერძნ. κατάβηθι εἰς τὸν οἶκον; სომხ. Էջ 'ի տուն.

114) 22,14: „განგლესილრბი“ (W). უნდა: განგლესილები (G). შდრ. ბერძნ: κεχρισμένα...; სომხ. ծեփեալ, შეცდომა კორექტურულია.

115) 23,31: „მიიძულებენ ჰრულსა“ (GW). უნდა: მიირულებენ ჰრულსა. შდრ. სომხ. Նիրհեն զնիրհս. ბერძნულ ტექსტში ეს ადგილი არ არის. შეცდომის საფუძველია რ-ს (ⴐ) აღრევა ძ-ში (ⴛ).

116) 31,23: „მთასა ზედა მართალსა წინა მისსა“ (W). უნდა: მთასა ზედა მართალსა, წმიდასა მისსა. შდრ. ბერძნ. ἐπὶ δίκαιον ὄρος τὸ ἅγιον αὐτοῦ; სომხ. 'ի սուրբ լերին իւրում.

117) 40,14: „ველთა მეფემან“ (W). უნდა: ველია მეფემან (შდრ. ბელია მეფემან JO), ბერძნ. βελισά βασιλεύς...; სომხ. գայանլիս թագաւոր. W-ში რომ „ველთა“ საკუთარ სახელად არაა გაგებული, იქიდანაც ჩანს, რომ დასაწყისი ასო ასომთავრულით არაა დაბეჭდილი, რაც არ შეესაბამება გამოცემაში გატარებულ პრინციპს.

118) 41,2: „მოკლეს გოდოლიან“ (). უნდა: მოკლეს გოდოლია. შდრ. ბერძნ. ἐπάταξαν τὸν Γοδολίαν. სომხ. եհար զգոդողիա. W-ში ბერძნული ბრალობითი ბრუნვის ფორმაა გადმოღებული.

119) 48,9: „ცეცხლი სასწაული მოაბსა“ (W). უნდა: ეცით სასწაული მოაბსა. შდრ. ბერძნ. Δότε σημεῖα τῇ Μωὰβ...; სომხ. Տուք նշանակ մովաբու.

120) 48,18: „განმრყუნელი სიმაგრეთაგანთაჲ (W). უნდა: განმრყუნელი სიმაგრეთა შენთაჲ. შდრ. ბერძნ. λυμαινόμενος ὀχύρωμά σου; სომხ. ապականիչ ամրոցաց քոց.

შეცდომა წარმომდგარი უნდა იყოს ასე: დაქარაგმებული („შენთაჲ“) მექანიკურად შეერთებია წინ მდგომ სიტყვას („სიმაგრეთა“) და თანაც ნუსხური ⴘ (ყ) წაკითხულია გ-დ (ჳ), ასე რომ: ⴑⴈⴋⴀⴂⴐⴄⴇⴀ ⴗⴌ̃ⴇⴀ → ⴑⴈⴋⴀⴂⴐⴄⴇⴀⴗⴌ̃ⴇⴀ → ⴑⴈⴋⴀⴂⴐⴄⴇⴀⴂⴌ̃ⴇⴀ.

121) 50,11: „სტირობდით“ (GW). უნდა: სტრიობდით. შდრ. ბერძნ. ἐσκιρτᾶτε; სომხ. խայտայիք.. უნდა აღინიშნოს, რომ „ტრიობა“ კონტექსტისა და უცხო წყაროთა ჩვენებით უნდა აღნიშნავდეს ხტუნვას, კუნტრუშს. საბას განმარტებით, „ტრიობა (4,16 ოსე) ბოზთ ტრფიალება დაუტევნელი“[16].

122) 51,8: „ჰგონებდით“ (W). უნდა: ჰგოდებდით (G). შდრ. ბერძნ. θρηνεῖτε; სომხ. ողբս առէք.

123) 51,17: „ნაწილად გამოადვნეს“ (W). უნდა: ნაცილად გამოადვნეს (G). შდრ. ბერძნ. ψευδῆ ἐχώνευσαν; სომხ. սուտ ձուլեցին.

124) 51,27: „მეფეთა არარატისათა მენი“ (W). „მენი“-ს ნაცვლად G-ში ყოფილა „ჩემ მიერ“, მაგრამ „ჩემ“ გადაუშლიათ (თუმცა მაინც იკითხება), „მიერ“-ის „ერ“ კარგად ჩანს. მაგრამ საბას გადაუშლია ისიც და „მენი“ მიუწერია, რაც დაბეჭდილა კიდეც (W). მოსალოდნელი იყო „ჩემ მიერ“, როგორც ესაა JO რედაქციებში, და როგორც ამას ბერძნულ-სომხურ-სლავური წყაროები ავლენენ,

---

16 ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1949, გვ. 338.

παρ' ἐμοῦ *յինէն*. ОТ МОНЕ. მაგრამ ებრაულ მასორეტულ ტექსტში შესაბამის ადგილას საკუთარი სახელია: מִנִּי (მინნი). ეს სიტყვა სეპტანტაში თარგმნილია როგორც საზოგადო სახელი (παρ' ἐμοῦ), რადგან მთარგმნელებს იგი საკუთარ სახელად არ გაუგიათ[17]. საიდან გაჩნდა W-ში „მენი"? ნაკლებ საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა საბას ებრაული ან რომელიმე სხვა უცხო წყაროს მიხედვით შეეტანოს ტექსტში (რუსულშია „Минский"). უფრო სარწმუნოა ვარაუდი, რომ საბას „მენი" დღემდე ჩვენთვის უცნობ რომელიღაც ქართულ რედაქციაში (თუ ნუსხაში) ამოეკითხოს. ასე რომ ტექსტში „მენი"-ს შეტანა შეგვეძლო სათანადო გრამატიკული შესწორების შემდეგ (მეფეთა არარატისათა, მენთა და ასხანაზელთა), მაგრამ ჩვენ მაინც „ჩემ მიერ" დავტოვეთ, როგორც ეს ქართულ ხელნაწერებში იყო.

125) 51,30: „მელომე" (W). უნდა: მეომე (შდრ. მეჰომე G), ბერძნ. μαχητής; სომხ. *նահատակքն*. „მეჰომე-ს ჰ (ⴠ) წაკითხულია ლ-დ (ⴊ).

126) 51,38: „ვითარცა ლოდნი" (W). უნდა: ვითარცა ლომნი (G). შდრ. ბერძნ. ὡς λέοντες; სომხ. *իբրև առիւծունք*.

127) 51,38: „აღდგეს ზოგად მიენი მონნი" (W). „მიენი მონნი G-ში ჩამატებულია საბას მიერ, რაც ნაბეჭდი გადასულა. „მიენი მონნი"-ს ფარდად ბერძნულ ტექსტში არაფერი გვაქვს, სომხურშია: *որդիք նոցա*; შდრ. „ჭაბუკნი მათნი (O) ჩვენთვის არაა ნათელი, საიდან ამოიღო საბამ „მიენი მონნი", ან რას ნიშნავს იგი. ამიტომ ვამჯობინეთ ტექსტში შეგვეტანა მოსალოდნელი „ძენი მათნი". (შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ⴛ წაკითხულ იქნა როგორც მი (ⴋⴈ): ⴛⴄⴌⴈ → ⴋⴄⴌⴈ; მაგრამ „მონნი" საიდან გაჩნდა?).

128) 51,53: „ალ თუ მაღლად ესვიდეს" (W). უნდა: ალ-თუ-მაღლდეს. შდრ. ბერძნ. ὅτι ἐάν ἀναβῇ; სომხ. *եթէ բարձրասցի*. შეცდომა ასეა წარმომდგარი: G-ში იკითხება: „ალ-თუ-ვიდეს", რომელსაც ზემოთ გადამწერლისვე ხელით აწერია „მაღლდეს", ე. ი. „ვიდეს"-ის ნაცვლად „მაღლდეს" უნდა ჩაისვას ტექსტში. მაგრამ გადამწერს „ვიდეს" წაშლა დავიწყებია. ამიტომაა, რომ ნაბეჭდში ორივე ფორმა მოხვედრილა და წარმომდგარა მცდარი წაკითხვა.: „ალ თუ მაღლდეს ვიდეს". გამომცემლები ცდილან, გაეაზრებინათ ეს უშინაარსო ფორმა, „მაღლდეს" ბოლო „ეს" დაურთავთ „ვიდეს"-თვის, მაგრამ შედეგად მაინც მცდარი წაკითხვა დარჩენილა (ალ თუ მაღლდეს ვიდეს → ალ თუ მაღლად ესვიდეს).

129) 52,1: „ამიტალ, ასული იერემიასი ევლო ვენნაჲთ" (W). უნდა: ამიტალ, ასული იერემიაჲსი, ლოვენაჲთ (შდრ. ლობეთით (O); ბერძნ. 'Αμειτάαλ, θυγάτηρ 'Ιερεμίου ἐκ Λοβενά; სომხ. *ամիտաաղ դուստր երեմիա 'ի ղուբենայ*. ჩანს, გეოგრაფიული სახელი „ლოვენა" ბერძნულიდან გადმოუღიათ ἐκ თანდებულთან ერთად. შესაძლებელია, შეცდომა ბერძნულ წყაროშიც ყოფილიყო: ἐκ Λοβενά → ἐκλοβενά. გრაფიკული მსგავსების გამო შესაძლებელი იყო εκ-ის k (კ) υ (ვ)-დ წაეკითხათ.

130) 52,19: „ჭაბაკები" (W). უნდა: ჭაშაკები (JO). შდრ. სომხ. *զճաշակսն*, შეცდომა წარმომდგარია ნუსხური შინის (ყ) ბანში (ყ) აღრევის გამო. ბიბლიის თბილისურ გამოცემაში (1884 წ.) „ჭაბაკები" თითქოს „გაუსწორებიათ", სადაც „ტაბაკები" იკითხება. ნამდვილად კი „ტაბაკი" სხვა სიტყვაა და „ჭაშაკი" კიდევ — სულ სხვა.

---

[17] И. Якимов, Отношение греческого перевода LXX... к еврейскому мазоретскому тексту в книге пророка Иеремии; С.-пб., 1874, გვ. 201.

III. ქართული ვერსიები და მათი ურთიერთმიმართება

იერემიას წინასწარმეტყველების სამი ვერსიაა ჩვენამდე მოღწეული სრული სახით (JOG). სამწუხაროდ, არც ერთი მათგანის პარალელური ნუსხები არ მოგვეპოვება დღეისათვის. სანამ ამ ვერსიებს ერთმანეთთან მიმართებით დავახასიათებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ჩვენი ძეგლის ყველაზე ძველ ვერსიას, რომელიც „ხანმეტი“ ხალნაწერის ნაწყვეტებშია დაცული.

§ 10. „ხანმეტური“ ვერსია

ჩვენი ძეგლის „ხანმეტური“ ვერსია დაცულია ქართულ-ებრაულ პოლიმფსესტში, რომლის ოთხი ფურცელია დღეისთვის ცნობილი. ამ ხელნაწერის ოქსფორდულ ნაწყვეტებში დაზიანებულად შემონახული ქართული ტექსტი (იერემ. 17,26-27; 18,2-8) ამოიკითხა და გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილმა.[1] ხოლო ამავე ხელნაწერის კემბრიჯული ნაწყვეტის ორ ფურცელზე ძალზე ცუდად შემონახული ქართული ტექსტი (იერემ. 12,10-16; 20,9-16) ამოიკითხა და გამოსცა ა. შანიძემ.[2]

მაშასადამე, „ხანმეტი“ ხელნაწერის ნაწყვეტებში ჩვენი ძეგლის შემდეგი ადგილებია დაცული: 12,10-16; 17,26-27; 18,2-8; 20,9-16. ჩანს, რომ ხელნაწერში, რომელიც VI საუკუნეს ეკუთვნის, სრული ტექსტი უნდა გვქონოდა იერემიას წინასწარმეტყველებისა. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ იერემიას წინასწარმეტყველების „ხანმეტი“ ნაწყვეტები მიმდინარეობდეს არა სრული ტექსტიდან, არამედ ლექციონარიდან. შეუძლებელი სრულებით არაა VI-VII საუკუნეებისათვის ლექციონარების არსებობა ქართულ ენაზე,[3] და არც იმის დაშვება, რომ „ხანმეტი“ ხელნაწერი ლექციონარის ნაწყვეტი იყოს. მაგრამ ერთი გარემოება აშკარად ეწინააღმდეგება უკანასკნელ დაშვებას: „ხანმეტ“ ხელნაწერში დაცული ადგილები არც ერთ ქართულ ლექციონარში არ შედის საკითხავებად. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ხელნაწერი ლექციონარი კი არ იყო, არამედ იგი თავიდანვე შეიცავდა თუ მთელ ბიბლიას[4]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 319—320.

ეს ნაწყვეტი შემდეგ გამოსცა პროფ. რ. ბლეიკმაც: Khanmeti palimpsest fragments... (Harv. Theol. Rev. XXV, № 3, 1932).

[2] ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები: ენიმკის მოამბე, II, ნაკ. I, 1937, გვ. 36—39.

[3] К. Кекелидзе, Іерусалимский канонарь VII века (Грузинская версия), Тифлис; 1912.

ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, ხანმეტი ლექციონარი: ტ ს უ-ს მოამბე, IX, 1929, გვ. 310—353. იგივე ტექსტი ა. შანიძის მიერ ფოტოტიპიურად გამოიცა 1944 წელს.

[4] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 299.

ან წინასწარმეტყველთა კრებულს არა, იერემიას წინასწარმეტყველების სრულ ვერსიას მაინც.[5]

„ხანმეტურ“ ვერსიასთან პირდაპირ, უშუალო კავშირს არ ავლენენ JOG ვერსიები.

§ 11. J და O ვერსიათა ურთიერთმიმართება

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წინასწარმეტყველთა წიგნების ის ტექსტი, რომელიც XI საუკუნის იერუსალიმურ ხელნაწერს შემოუნახავს, რედაქციულად უფრო ადრეულია და ძველი, ვიდრე ამავე წიგნთა ტექსტი, რომელიც დაუცავს X საუკუნის ცნობილ ოშკურ (ათონურ) ხელნაწერს. კ. კეკელიძის აზრით, იერუსალიმურ ხელნაწერში დაცული „გვაქვს თარგმანი არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნისა და, შეიძლება, უფრო ადრინდელიც“.[6] მართლაც, რედაქციის ტექსტი მეტ ენობრივ არქაიზმებს შეიცავს, ვიდრე O-სი. მაგალითად: თთუესა 1, 3; 28, 1 J .... (თუესა O), საშოჲთ 1,5 J (საშოჲთგანვე O), მოირატყ 6,26 J (მოირტყ O): მეუფეთა 10,25; 15,4 J . . . (მეფეთა O), აღფხურაჲ 13,19 J (აფხურაჲ O), ჭაპუკთასა 31,13 J (ჭაბუკთასა O) და ა. შ.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს O J-სგან დამოუკიდებელი, გვიანდელი თარგმანის ტექსტს შეიცავდეს, არა. J-სა და O-ს, უეჭველად, ერთი ძველი ქართული თარგმანი უძევს საფუძვლად. საკითხავია, არის კი J და O დამოუკიდებელი რედაქციები? ასეთ კითხვას ის იწვევს, რომ ტექსტის უდიდეს ნაწილში J და O სავსებით ერთნაირია, თანხვდენილია. ეს უკანასკნელი გარემოება აძლევდა რ. ბლეიკს საფუძველს, რომ J და O ერთი რედაქციის ორ ნუსხად მიეჩნია.[7] პ. ინგოროყვას O მიაჩნია J-ის ქვერედაქციად.[8] მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ J და O ორი რედაქციაა და არა ერთი რედაქციის ორი ნუსხა. მართალია, რედაქციული სხვაობანი J-სა და O-ს შორის ისე დიდი და თვალში საცემი არ არის, როგორც G-სა და J-ს შორის ან G-სა და O-ს შორის, მაგრამ რაც არის, ის მაინც სცილდება ნუსხათა ვარიანტული სხვაობის ფარგლებს და რედაქციულ სხვაობად გვევლინება. J და O ისტორიულად, მართლაც, ერთი რედაქციის ორი ნუსხაა, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა სალიტერატურო წრეში სხვადასხვა დროისა და სტილის რედაქტორ-შემჯერებელთა მიერ ეს ორი ნუსხა დამოუკიდებელ რედაქციებად ჩამოყალიბებულა.

ვფიქრობთ, რომ ნუსხათა ვარიანტულ სხვაობებად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ასეთი განსხვავებული წაკითხვანი:

J	O
15,2: და იყოს, უკუეთუ გრქუან შენ: ვიდრე განვიდეთ? და ჰრქუა მათ: ესრე იტყჳს უფალი: რომელნიმე სიკუდილით მოჰკუდეთ და რომელნი-	და იყოს, უკუეთუ გრქუან შენ: ვიდრე განვიდეთ? და ჰრქუა მათ: ესრე იტყჳს უფალი: რომელნი სიკუდილსა, — სიკუდიდ, და რომელ-

[5] ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი გვ. 35.

[6] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 390.

[7] R. Blake, Prolegomena to a critical edition of the prophetic writings in Old Georgian: Patrologia Orientalis, XXIX, fasc. 2, 1961, paris, გვ. XVII.

[8] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, № 4, 1939, გვ. 117—118.

მე მახჳლითა მოისრნეთ და რომელ-ნიმე სიყმილითა აღესრულნეთ და რომელნიმე ტყუედ წარიტყუენნეთ.

ნი მახჳლსა,—მახჳლად, და რომელ-ნი სიყმილსა, — სიყმილად, და რომელნი ტყუეობასა, — ტყუეობად.

ჩვენ აღვნუსხეთ J-სა და O რედაქციებს შორის არსებული ყველა მნიშვნელოვანი სხვაობა და ეს განსხვავებული წაკითხვები შევუდარეთ ბერძნულ-სომხურ წყაროებს, რომ გაგვერკვია, რომელი რედაქცია რომელ უცხო წყაროსთან ავლენდა საერთო წაკითხვებს. აღმოჩნდა, რომ სხვაობათა საფუძველი იყო არა იმდენად შესაჯერებელ უცხო წყაროთა სხვადასხვაობა, არამედ ამ წყაროთა სხვადასხვა ზომით გამოყენება

ნ. მ ა რ ს თავის ცნობილ შრომაში „Заметки по текстам св. Писания в древних переводах армян и грузин"[9] ბევრი მახვილგონივრული დაკვირვება აქვს ქართული ბიბლიის ტექსტზე, კერძოდ, ნ. მ ა რ ი ს მახვილ თვალს შეუმჩნეველი არ დაჰრჩენია ათონურ ბიბლიაში (O) აშკარა სომხიზმები. ამიტომ ჩვენ საფუძველი გვქონდა, გვეფიქრა, რომ J-სგან განსხვავებული წაკითხვები, რომლებიც O-ში იყო, შესატყვისობაში იქნებოდა სომხურ წყაროსთან. მაგრამ გამოირკვა, რომ სომხური წყაროს წაკითხვები ასეთ შემთხვევაში უ მ ე ტ ე ს ა დ J-ს უჭერს მხარს, ნ ა კ-ლ ე ბ ა დ O-ს.

სხვაობები, რომლებიც J-სა და O ვერსიათა შორის შეიმჩნევა, შეიძლება ასე დაჯგუფდეს: 1 ტექსტუალური (ლექსიკური) სხვაობანი; სინონიმური სიტყვათ-მონაცვლეობა; 2. სიტყვათა კლება-მატება. 3. სხვაობანი რიცხვში; 4. სხვაობანი ნაცვალსახელისა და ზმნის პირიანობაში. ქვემოთ მოგვყავს ამ შემთხვევათა რამდენიმე მაგალითი სათანადო ბერძნულ-სომხურ წყაროთა ჩვენებითურთ:

1. ტექსტუალური (ლექსიკური) სხვაობანი:

	J რედაქცია	O რედაქცია	ბერძნული რედაქცია	სომხური რედაქცია
1,2	რომელ იყო	და იყო	ᾧ ἐγενήθη	Ա. որ էրն
1,5	ვიდრე შთავრდომამდე, ვიდრე გამოსლვადმდე	წინაჲსწარვე ვიდრე შესაქმედმე; ვიდრე გამოჩინებადმდე	πρὸ τοῦ με πλάσαι, πρὸ τοῦ σε ἐξελθεῖν.	մինչև ստեղծեալ էր. մինչև ելեալ էիր
1,17	განძლიერებად შენდა	ჴსნად შენდა	τοῦ ἐξαιρεῖσθαί σε	'ի փրկել զքեզ
2,6	არა თქუეს	არა ცნეს	οὐκ εἶπαν	ոչ ասացին
3,14	რამეთუ მე	და მე	διότι ἐγὼ...	զի ես
3,18	შეკრბეს	დამაბეს	συνελεύσονται	ժողովեսցին
3,24	განკაფნა	დაფარნა	κατηνάλωσεν	մաշեաց
4,20	განსთქდეს	განირყუნნეს	διεσπάσθησαν	քակտեցան
5,21	უგულოსა	უგულისხმოსა	ἀκάρδιος	անմիտ
5,22	მქჳშაჲ	ქვაჲ	ἄμμον	զաւազ
5,21	შევინანოთ	შევიშინოთ	φοβηθῶμεν	երկիցուք
9,21	სიკუდილი	გოლებაჲ	θάνατος	մահ

[9] Христианский Восток, II, вып. II, 1913, გვ. 163—174; ამ შრომის დანარჩენი ნაწილი იხ. Х. В., II, вып. III, 1914, გვ. 263—274; т. III, вып. III, 1915, გვ. 249—262; т. IV, вып. III, 1916, გვ. 229—245.

	J რედაქცია	O რედაქცია	ბერძნული რედაქცია	სომხური რედაქცია
13,17	თუ არა ისმინოთ მისი	უკუეთუ არა ისმინოთ ჩემი	ἐὰν δὲ μὴ ἀκούσητε	եթէ ոչ լսիցէք նմա
13,20	ცხოვარნი დიდებისა	ცხოვარნი სამწყსოჲსა	πρόβατα δόξης	խաշինք փառաց
14,10	არა ჰრიდეს	არა ესვიდეს	οὐκ ἐφείσαντο	ոչ խնայեցին
23,26	ვისთჳს იყოს	ვიდრემდის იყოს	ἕως πότε ἔσται	մինչև յերբ
26,21	შევიდა	შთავიდა	εἰσῆλθεν	—
30,10	დაშენოს და განიშუას და არავინ იყოს მტყუენველ მათა	დაეყუდოს და განიშუას და არავინ იყოს მაფრთხობელ მათა	ἀναπαύσει, καὶ περισσεύσει πᾶσι τοῖσ ἀγαθοῖς, καὶ οὐκ ἔσται ὁ φοβούμενος	դադարեսցէ և բարեկեցիկ լինիցի. և ոչ ոք իցէ որ զարհուրեցուսցէ
31,9	არღარა შესცთენ	არღარა დაშთენ	οὐ μὴ πλανηθῶσιν	մի մոլորեսցին
34,22	ამასვე ადგილსა	ამასვე ქალაქსა	εἰς τὴν γῆν ταύτην	'ի քաղաքդ
38,18	ჴელთა ქალდეველთასა	ჴელთა მეფისა ბაბილონისათა	εἰς χεῖρας τῶν χαλδαίων	'ի ձեռս քաղդէացւոց

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ბერძნული და სომხური წყაროები უმეტესად J რედაქციის წაკითხვას უჭერენ მხარს, თუმცა არის შემთხვევები, რომ O რედაქციის წაკითხვა შესაბამისობაშია მხოლოდ სომხურ წყაროსთან. მაგ. მიაღსასრულადმდე მეათერთმეტესა წელსა 1,3 (ვიდრე მეათერთმეტედ წლადმდე J) სომხ. *մինչև ի վախճան մետասան երորդի ամին*; ბერძ. ἕως ἑνδεκάτου ἔτους.

ლექსიკური სხვაობების დიდი ნაწილი მოდის სინონიმურ სიტყვათმონაცვლეობაზე

	J რედაქცია	O რედაქცია	ბერძნული რედაქცია	სომხური რედაქცია
2,28	ჟამსა ჭირისა	ჟამსა ბოროტებისა	ἐν καιρῷ τῆς κακώσεώς σου	'ի ժամանակի չարեաց
5,19	ჰმონეთ ღმერთთა	ჰმსახურებდით ღმერთთა	ἐδουλεύσατε θεοῖς	ծառայեցիք աստուծոց
5,26	განსაჴრწნელად	განსარყუნელად	διαφθεῖραι	ապականել
6,15	შეიკდიმეს	შეირცხჳნეს	κατῃσχύνθησαν	ամաչեցին
6,26	უბადოებაჲ	უბადრუკებაჲ	ταλαιπωρία	թշուառութիւն
7,3	დაგამკჳდრნე თქუენ	დაგაშენნე თქუენ	κατοικιῶ ὑμᾶς	բնակեցուցից զձեզ
23,24	სამარხველსა	სამალველსა	ἐν κρυφαίοις	'ի թաքստեաց
25,6	ბოროტის ყოფად	ჴერკულის-ყოფად	κακῶσαι	չարչարել
28,11	ყოველთა ნათესავთა	ყოვლისა ერისა	πάντων τῶν ἐθνῶν	ամենայն ազգաց
36,26	დაიმალნეს იგინი	დაიფარნეს იგინი	κατεκρύβησαν	նոքա չոգան թաքեաց

I	II	III	IV	V
41,12	ერი	ძალი	τὸ στρατόπεδον	զօրականն
43,9	სამალველსა	საფარველსა	ἐν προθύροις	խաչբաւանն
49,37	ვიდრემდის არა მოესრნე იგინი	ვიდრემდის არა მოესპნე იგინი	ἕως τοῦ ἐξαναλῶσαι αὐτούς	մինչև սպառեսցէ զնոսա
50,6	საყოფელი	სადგური	κοίτης	զմահճակալս

2. სიტყვათა კლებამატება ორივე რედაქციაში შეინიშნება, მაგრამ კლება უფრო დამახასიათებელია O რედაქციისათვის:

	J რედაქცია	O რედაქცია	ბერძნ. რედაქცია	სომხ. რედაქცია
1,1	მღდელთაგანისა	—	ἐν τῶν ἱερέων	'ի քահանայից
1,2	ძისა ამოსისთა	—	υἱοῦ 'Αμὼς	որդւոյ ամովսայ
1,3	—	ძისა იოსიაჲსსა	υἱοῦ 'Ιωσία	որդւոյ յՕսիայ
2,2	აღმოუკითხე	აღმოუკითხე ყურთა	βόα εἰς τὰ ὦτα	ընթերցիր յականջս
2,33	არა ესრე	—	οὐχ οὕτως	ոչ այդպէս
3,13	უფლისა ღმრთისა შენისა.	უფლისა შენისა	εἰς κύριον τὸν θεόν σου	'ի Տէր Աստուած քո
3,16	არა მოუჴდეს გულსა	არა მოუჴდეს	οὐκ ἀναβήσεται ἐπὶ καρδίαν	ոչ անկանիցի 'ի սիրտ

მსგავსი შემთხვევები ხშირია, ამიტომ საილუსტრაციოდ ზემოთ დასახელებულ მაგალითებს ვჯერდებით.

3. სხვაობანი რიცხვში[10]

	J რედაქცია	O რედაქცია	ბერძნ. რედაქცია	სომხ. რედაქცია
2,27	მამაჲ ჩემი	მამაჲ ჩუენი	Πατήρ μου	Հայր իմ
4,16	გუნდი	გუნდები	Συστροφαὶ...	գունդք
6,26	თქუენ ზედა	შენ ზედა	ἐφ' ὑμᾶς	'ի վերայ ձեր
17,22	ტჳრთი	ტჳრთები	βαστάγματα	բեռինս
23,4	აღუდგინნე მათ მწყემსნი	აღუდგინო მათ მწყემსი	ἀναστήσω αὐτοῖς ποιμένας	յարուցից հովիւս
23,17	თქუენ ზედა	შენ ზედა	ἐπὶ σὲ...	'ի վերայ քո
32,25	წიგნი	წიგნები	βιβλίον	—
35,7	სახლებსა... ვენაჴებსა	სახლსა... ვენაჴსა	οἰκίαν... ἀμπελῶν...	տունս... այգիս
50,38	წყალსა ზედა მისსა	წყალთა ზედა მისთა	ἐπὶ τῷ ὕδατι αὐτῆς	'ի վերայ ջուրց նորա

10 იგულისხმება რიცხვის გამოხატვის როგორც მორფოლოგიური, ასევე ლექსიკური საშუალებანი.

4. სხვაობანი ზმნისა და ნაცვალსახელის პირიანობაში

	J რედაქცია	O რედაქცია	ბერძნ. რედაქცია	სომხ. რედაქცია
3,5	სთქუ და ჰყავ	ვთქუ და ვყავ	ἐλάλησαν καὶ ἐποίησας...	խօսեցար և արարէր
4,14	..რაჲთა განერე	...რაჲთა განვერე	...ἵνα σωθῇς	...զի ապրեսցիս
5,26	...რამეთუ იპოვნეს	რამეთუ ეპოვენ	...ὅτι εὑρέθησαν	...զի գտան
12,7	სახლი ჩემი	სახლი შენი	τὸν οἶκόν μου	զտուն իմ
13,17	არა ისმინოთ მისი	არა ისმინოთ ჩემი	μὴ ἀκούσητε	ոչ լսիցէք նոցա
14,17	ვჰრქუა	ჰრქუა	ἐρεῖς	ասասցես
15,10	ვითარცა ვინ მშევ მე	ვინ მშვა მე	ὡς τίνα με ἔτεκες	իբրև զո որ ծնար զիս
18,22	მახე დამირწყუეს მე	მახჱ დაარწყუეს ჩემ ზედა	παγίδας ἔκρυψαν ἐπ' ἐμέ	որոգայթս թաքուցին ինձ
26,3	დავსცხრე	დასცხრეს	παύσομαι	ձանձրացայց
26,11	ყურთა თქუენთა	ყურთა ჩუენთა	...ὠσὶν ὑμῶν	ձերօք իւք ականջօք
30 11	განგაბნიე შენ	განვაბნიენ	διέσπειρά σε	ցրուեցի
32,29	დავწუა სახლები	დაწუან სახლები	κατακαύσουσιν τὰς οἰκίας	հրձիգ արասցեն զտուն

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ: O J-სთან მსგავსებას მეტს ავლენს, ვიდრე სხვაობას. ეს იმიტომ, რომ J-სა და O-საც ერთი ძველი თარგმანი უძევს საფუძვლად. დროთა ვითარებაში ამ თარგმანის ნუსხები სხვადასხვა ლიტერატურული სტილის შემჯერებელთა მოღვაწეობის შედეგად საგრძნობლად დაშორებულან ერთმანეთს და დამოუკიდებელ ვერსიებად ჩამოყალიბებულან

§ 12. G-ს მიმართება J და O ვერსიებთან

თ. ჟორდანიას მიერ აღმოჩენილმა გელათური ბიბლიის ხელნაწერმა[11] (A 1108) მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. შენიშნულ იქნა, რომ თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში, დაბეჭდილი ტექსტი წინასწარმეტყველთა წიგნებისა ემყარება G ვერსიის ხელნაწერს (A-1108). თავის მხრივ, ეს ნაბეჭდი ტექსტი, თითქმის უცვლელად არის შეტანილი ბიბლიის მოსკოურ, ე. წ. ბაქარისეულ გამოცემაში.[12]

ნ. მარმა 1914 წელს დაბეჭდილ შრომაში „Эчмиадзинский фрагмент древне-грузинской версии Ветхого Завета“[13] მოგვცა ბიბლიის ქართული და

[11] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 36—39.

[12] Р. Блейк, О древнегрузинских версиях Ветхого Завета. Известия Кавказского О. М. А. Общ-а, вып. VI, 1921, გვ. 34.

[13] Христианский Восток, т. II, вып. III, 1914, გვ. 387.

უცხო რედაქციების ცნობილი სქემა რომელშიც O-სა და M-ის[14] საერთო პროტოტიპსა და M-ს შორის ერთი რედაქციული საფეხურია დაშვებული.

რ. ბლეიკს ადრე (1920-იან წლებში) G ვერსიის ტექსტი დამოუკიდებელ თარგმანად კი არ მიაჩნდა, არამედ იმ ძველი უცნობი რედაქციის გადამუშავებად (სეპტანტის მიხედვით), რომელიც თავის მხრივ სომხურიდან უნდა ყოფილიყო თარგმნილი[15]. ცხადია, ლექსიკური სომხიზმები, რომლებიც ბლეიკს მოჰყავს თავისი ვარაუდის სასარგებლოდ, ასეთი მნიშვნელოვანი დებულების დასამტკიცებლად ნაკლებად გამოდგება. საბოლოოდ კი რ. ბლეიკი იმ აზრის იყო, რომ G ვერსიის ტექსტი ნათარგმნია პირდაპირ ბერძნულიდან (კერძოდ, იერემიას თარგმანი საკმაოდ ახლოს დგას ჰექსაპლარული ტექსტის კიდეებზე შემორჩენილ წაკითხვებთან, რომელიც ე. წ. Marchalianus-ის ხელნაწერშია დაცულიო[16] ეს ნუსხა Q ლიტერით აღინიშნება.[17]

პ. ინგოროყვა ამტკიცებს, რომ G ვერსიის ტექსტი ნათარგმნია XII საუკუნეში და „თარგმანი შესრულებულია ბერძნული სეპტანტის მიხედვით“.[18]

კ. კეკელიძის სიტყვებით, „სტილის მიხედვით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ტექსტი (*A*—1108—კ. დ) ნათარგმნია ეგრეთწოდებული პეტრიწონული სკოლიდან გამოსული მწიგნობრის მიერ, შესაძლოა, თვით იოანე პეტრიწის მიერაც“.[19]

თუ სწორი იქნებოდა მკვლევართა მტკიცება, რომ G რედაქციის ტექსტი დამოუკიდებელი თარგმანია XII საუკუნისა, არც დადგებოდა საკითხი G-ს მიმართების შესახებ J და O ვერსიებთან. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ G-ს ტექსტი არაა დამოუკიდებელი, პირდაპირ ბერძნული სეპტანტისაგან შესრულებული თარგმანი.

ჩვენი ძეგლის სრულმა შედარებამ ბერძნულ სეპტანტასთან დაგვარწმუნა, რომ G ვერსიის ტექსტს საფუძვლად უძევს აღრინდელი, ძველი ქართული თარგმანი. ძველი თარგმანის ფენა G-ში საგრძნობი და ხელშესახებია. ოღონდ უნდა ითქვას გარკვევით, რომ ეს ძველი თარგმანი G-ში ისეა გადაკეთებული ბერძნული ტექსტის ყაიდაზე (6. § 21), რომ ჭირს, თუ რა ვუწოდოთ ამ რედაქციის ავტორს: მთარგმნელი, თუ რედაქტორ-შემჯერებელი.

გელათური რედაქციის ავტორს რომ ტექსტი უშუალოდ ეთარგმნა ბერძნულიდან და არ გამოეყენებინა ძველი ქართული თარგმანი, მაშინ მოსალოდნელი იქნებოდა, რომ არ გვექნებოდა ტექსტუალური სხვაობები G-სა და სეპტანტას შორის. იბადება კითხვა: იქნებ G რედაქციის ავტორი წყაროდ იყენებდა ბერძნული ბიბლიის ისეთი ტიპის ტექსტს, რომელიც ჩვენ ხელთ არ გვაქვს? მართალია, რ. ბლეიკი აღნიშნავს, რომ G ვერსიის წინასწარმეტყველთა ტექსტი (კერძოდ იერემიასი) პირდაპირ არის ნათარგმნი ბერძნული სეპტანტის იმ ტიპის

---

[14] M ლიტერით ჩვეულებრივ აღნიშნავენ ქართული ბიბლიის მოსკოურ (ბაქარისეულ) გამოცემას.

[15] П. Блейк, О древнегрузинских версиях..., გვ. 34; 39.

[16] R. Blake, Prolegomena... Patrologia Orientalis, XXIX, fasc. 2, 1961, Paris, გვ. XV.

[17] რალფის გამოცემის სქოლიოებში ვარიანტებს შორის ნაჩვენებია Q-ს წაკითხვებიც. გამომცემლის ჩვენებით, Q ნუსხა VI ს-ის ტექსტს შეიცავს და ინახება რომის ბიბლიოთეკაში.

[18] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

[19] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 392.

ტექსტიდან, რომელიც *Q* ნუსხაშია დაცული,[20] მაგრამ, სამწუხაროდ, შრომაში სრულებით არაფერია ნათქვამი, სად და რაში ჩანს ეს.

G რედაქციის ტექსტი რომ ძველი ქართული თარგმანის გადაკეთება-შეჯერების შედეგადაა მიღებული, ამას ამტკიცებს შემდეგი:

ა) G-ში თავებისა და მუხლების თანმიმდევრობა და რიგი ისეთივეა, როგორც JO ვერსიებში და არა სეპტანტაში.

ბ) ყველა დაკლებული თუ ნაკლული მუხლი სეპტანტისა G-ში სრულად გვაქვს.

გ) სეპტანტაში 23-ე თავის მე-7 და მე-8 მუხლის ტექსტი მე-40 მუხლს მოსდევს. ეს ადგილები G-ში იქაცაა, სადაც უნდა იყოს ებრაული მასორეტული ტექსტის მიხედვით (მე-6. მე-7 მუხლებად) და განმეორებით მე-40 მუხლის შემდეგაც შეუტანიათ (ბერძნულთან შეჯერების შედეგად)

დ) G რედაქციის ტექსტი საგრძნობლად ვრცელია სეპტანტასთან შედარებით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ტექსტუალური მატებანი, რაც G-ს გააჩნია, აქვს ძველ ვერსიებსაც (JO). ამ მხრივ G გვერდში უდგას JO რედაქციებს და უპირისპირდება სეპტანტას. მაგალითად, G-ში გვაქვს შემდეგი სიტყვები და ფრაზები, რომელთა ფარდი სეპტანტას აკლია, ხოლო მასორეტულსა (რუსული თარგმანის მიხედვით) და სომხურს — არა[21]:

12,3: და შეკრიბენ იგინი, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი W; 12,17: თქუა უფალმან W; 13,10; ქალაქისა ამის[22] და ერისა ჩემისა... ნებასა გულისა მათისათა W; 13,12: ამას იტყჳს უფალი ღმერთი ისრაილისაჲ W; 13,17: და ცრემლოოდეთ ცრემლით W; 14,6: ვითარცა ვეშაპმან W; 15,21: იტყჳს უფალი ღმერთი ისრაილისაჲ GW (რუსულში არაა); 16,5:... იტყჳს უფალი, და წყალობაჲ ჩემი და შეწყნარებანი ჩემნი GW; 17,5: ესრეთ იტყჳს უფალი GW; 17,12: დასაბამითგან ადგილ სიწმიდისა ჩუენისა GW; 18,16: ესრეთ იტყჳს უფალი GW; 18,17; ქედი და არა პირი GW; 19,5: ყოვლად-დასაწუველად ბაალისა GW; 19,15: ძალთაჲ, ღმერთი ისრაილისაჲ GW; 20,2: ბენიამენისსა GW; 20,3: და იყო ხვალისაგან GW; 20,5: და ყოველი პატივი მისი GW; 20,6: პასქორ GW 22,25: ჴელსა შინა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისა GW; 23,31: მიირულებენ ჰრულსა მათსა GW. 23,36: გარდააქციენით სიტყუანი ღმრთისა ცხოველისა, უფლისა ძალთაჲსა, ღმერთისა ჩუენისანი GW; 25,9: იტჳს უფალი და ნაბუქოდონოსორ მეფე ბაბილონისაჲ, მონაჲ ჩემი GW; 25,11: მეფისა ბაბილოვნისასა GW; 25,13: რაოდენი წწ ́ყლნა ძჳნად GW;25.24: ყოველთა მეფეთა ზამვრისთა, მიდთა და GW; 25,26; და მეფემან სისახ სუას შემდგომად მათსა GW; 25,33: არცა შეკრბენ და არცა დაეფლნენ GW; 26,22: ელდათარ, ძე ვოხორისი, და კაცნი მის თანა G; 27,12:... უღელსა ქუეშე მეფისა ბაბილონისსა და ჰმონეთ მას და ერსა მისსა და ცოცხლებდეთ GW; 27,16: და არა არს სიტყუაჲ უფლისაჲ მათ შორის GW; 28,1: წელსა დასაბამითა მეფე-ყოფასა GW; 28,3: რომელ წარიღო ნაბუხოდონოსორ მეფემან ბაბილონისამან ამის ადგილისაგან და შეიღო იგი ბიბილონდ G; 28,4: და იექონია,

---

[20] R. Blake, Prolegomena..., გვ. VIII; XV.

[21] ნიმუშად ვასახელებთ მაგალითების ნაწილს, რადგან მსგავსი შემთხვევები ჩვენს ძეგლში ბევრია. ადგილის ეკონომიის მიზნით არ მოგვყავს პარალელური წაკითხვები JO რედაქციებისა, არც სომხურისა და მასორეტულისა (რუსული თარგმანის მიხედვით). შედარებით კი ყველა დასახელებული (და სხვა) „მეტი“ ადგილები G ვერსიისა შედარებულია ზემოდასახელებულ წყაროებთან. მათში ნაკლულება არ არის, თუ კია (იშვიათად), ვუთითებთ იქვე.

[22] „ქალაქისა ამის“ მცდარი თარგმანი უნდა იყოს ბერძნ. „*τὴν πολλὴν ταύτην*“-ისა (შდრ. მ რ ა ვ ა ლ ი ეს ე J).

ძე იოაკიმისი, მეფისა იუდაჲსი, და ყოველი განსახლებაჲ იუდაისი, რომელნი მოვიდეს ბაბილონდ, მე მოვაქციო ამასვე ადგილსა G; 28,14: ძალთამან, ღმერთმან ისრაილისმან... და მჳეცნიცა ველისანი მი-ვე-ვსცენ მას W; 28,16: რამეთუ განდრეკაჲ სთქუ უფლისა მიმართ W, 29,11; რამეთუ მე უწყო გულის-სიტყუაჲ, რამეთუ მე ვარ,... თქუა უფალმან W; 29,12; მხადოდით მე და ხვდოდით W; 31,8: მათ შორის კოჭლი და ბრმაჲ, მუცელქმნული და მშობელი და ერთბამად ეკკლესიაჲ დიდი W. 31,12: ვითარცა სამოთხე დამთრვალი W; 31, 13: და ვახარო მათ ჭუილისაგან მათისა W; 31,40: და ყოველსა ღელესა ფანგარიმი(ს) თასა და სანაცრისა W; 32, 30: გარნა რამეთუ ძეთა ისრაელისათა განმარისხეს მე საქმესა ზედა ჴელთა მათთასა. თქუა უფალმან W; 36,6: და შეხვდე შენ..., რომელნიცა დასწერენ პირისაგან ჩემისა სიტყუანი უფლისანი W; 38,9: უფალო ჩემო მეფე, იბოროტეს კაცთა ამათ ყოველნი, რავდენნი უყვნეს იერემიას წინაჲსწარმეტყუელსა, რამეთუ შთააგდეს იგი მღჳმედ, და მოკუდეს უკუე კერძო მისსა W.

საკითხავია, როგორ მოხდა, რომ G ვერსიის ტექსტი, რომელიც მონურად მისდევს ბერძნულ წყაროს, ბევრ ისეთ სიტყვასა და ფრაზას შეიცავს, რომელიც თვით ბერძნულ სეპტანტაში არ არის? საქმე ისაა, რომ G-ს საფუძვლად უძევს ძველი ქართული თარგმანი, ეს თარგმანი ელინოფილი ავტორის მიერ შეჯერებულია ბერძნულ წყაროსთან. შეჯერების შედეგი ძირითადად გამოიხატა ქართული თარგმანის ბერძნულ წყაროსთან დაახლოებასა, მის სტილიზაციასა და თარგმანის მაქსიმალურ სიზუსტეში. მაგრამ შეჯერებისას ადგილი არ ჰქონია ძველი თარგმანიდან ცალკეული სიტყვების თუ ფრაზათა ამოღებას (გამოკლებას). კლება-მატების თვალსაზრისით ძველი ბიბლიური ტექსტი ძ ი რ ი თ ა დ ა დ ხელშეუხებელი რჩებოდა[23]. ვამბობთ, ძირითადად, თორემ იშვიათად ცვლილება ამ სფეროშიც ხდებოდა. მაგალითად, არის შემთხვევები, რომ

ე) G-ში სიტყვები და ფრაზები გვაქვს, რომელთა ფარდი JO რედაქციებში არაა, სეპტანტაში კი არის. საფიქრებელია, ასეთ ადგილებში G-ში შემჯერებელს შეეტანოს ბერძნული წყაროს ჩვენების საფუძველზე ან: ისინი ყოფილიყვნენ ძველ თარგმანში და JO-ში შემთხვევითი კლება გვქონდეს.

2,3: ბოროტნი მოიწინენ მათ ზედა, იტყჳს უფალი W (κακὰ ἥξει ἐπ' αὐτούς; *չարիք հասցեն 'ի վերայ նոցա ասէ տէր.* რუს. бедствие постигало их, говорит Господь).

3,7: ამათ ყოველთასა W (ταυτὰ πάντα. სომხურში არაა; რუს. все это делала).

17,7: და იყოს უფალი სასო მისსა GW (καὶ ἔσται κύριος ἐλπὶς αὐτοῦ; *և եղիցի Տէր յոյս նորա.* რუს. и которого упование — Господь[24]).

19,3 და შემავალთა ამათ ბჭეთა შინა GW (καὶ οἱ εἰσπορευόμενοι ἐν ταῖς πύλαις ταύταις; სომხურსა და მასორეტულში (რუსულში) არაა. შდრ. სლავ. и входящим братами сими).

19,6: ძისა ენნომისსა, არამედ... GW (υἱοῦ 'Εννὼμ, ἀλλ'... *որդւոցն Ենովմայ, այլ...*; сыновей Енномовых, но...).

---

[23] ც ხ ა დ ი ა, გამორიცხული სრულებით არაა, რომ გელათური ვერსიის ავტორს გამოეყენებინოს ისეთი ბერძნული წყარო, რომელიც ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. ამიტომ ჩვენი მსჯელობა ამ საკითხზე, რა თქმა უნდა, არ შეიძლება კატეგორიული ხასიათისა იყოს.

[24] რუსული თარგმანი მოგვყავს ებრაული მასორეტული ტექსტის ვითარების გასათვალისწინებლად.

ვ) G-ში ისეთი სიტყვები და ფრაზები გვაქვს, რომელთა ფარდი აკლია როგორც JO ვერსიებს, ასევე სეპტანტასაც. ზოგ მათგანს შესატყვისობა ეძებნება სომხურსა და რუსულში, ზოგს — არა: 6,18: და რაოდენი ვყავ მათ შორის W (სომხურში არაა, რუს. что сним будет).

7.23: დღესა, რომელსა შინა აღმოვიყვანენ W (სომხურსა და რუსულში არაა).

17,1: ამათ იტყჳს უფალი GW (სომხ. და რუს-ში არაა).

21,12: პირისაგან სიცრუისა სიმარჯუეთა თქუენთაჲსა GW (*յերեաց անիրաւթեան գնացին ձերոց*; რუს-ში არაა. შდრ. სლავ. ради лукавых умышлений ваших).

21,14: და ზედ-მოვიხილო თქუენ ზედა ბოროტთაებრ სიმარჯუეთა თქუენთა GW (*և արարից այցելութիւն ՚ի վերայ ձեր*; Но я посещу вас по плодам дел ваших).

მაშასადამე, G რედაქციას ძველი ტრადიციის შემცველი ტექსტი უნდა ედვას საფუძვლად; ოღონდ საკითხავია: G რედაქციის ტექსტში შემორჩენილი ძველი ფენა რომელ ვერსიასთან პოულობს საერთოს, მსგავსებას, J-სთან თუ O-სთან, თუ არც ერთთან? ამ შემთხვევაში შესადარებლად მხოლოდ ისეთი ადგილები გამოდგებოდა, სადაც J და O სხვაობენ ერთმანეთისგან.

აღმოჩნდა, რომ G წაკითხვას მხარს უჭერს არა O რედაქცია, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ნ. მარისა და ბლეიკის მტკიცებათა მიხედვით, არამედ J, მოგვყავს წაკითხვები სამივე რედაქციიდან:

	J	O	G(W)
5,14	ყოვლისა-მპყრობელი	მერთისა-მპყრობელი	ყოვლისა-მპყრობელი
5,19	ჰმონეთ ღმერთთა უცხოთა	ჰმსახურებდით ღმერთთა უცხოთა	ჰმონეთ ღმერთთა უცხოთა
5,22	დავდევ მქჳშაჲ	დავდევ ქვაჲ	დავაწესე ქჳშაჲ
5,26	განსაკრწნელად კაცთა	განსარყუნელად კაცთა	განსახრწნელად კაცთა
5,27	ვითარცა მახჱ	ვითარცა საბრკჱ	ვითარცა მახე
5,28	განსუქნეს და განპოხნეს	განსუქნეს, განსხუეს	განსუქნეს და განპოხნეს
6,15	სირცხჳლეულთა შეიკდიმეს	სირცხჳლეულთამცა შეირცხჳნეს	სირცხჳლეულთა შეიკდიმეს
6,20	კინამომაჲ	გუნდრუკი	კინამომოსა
7, 3	განჰმართენთ... და დაგამკჳდრნე	განჰმარტენით ... და დაგაშენნე	განჰმართენით და დაგამკჳდრნე
13,20	ცხოვარნი დიდებისა შენისანი	ცხოვარნი სამწყსოჲსა შენისანი	ცხოვარნი დიდებისა შენისანი
15, 1	მოსე და სამოელ	მოსე და ელია	მოსე და სამუილ
15,10	ვითარცა ვინ მშვემე	ვინ მშვა მე	ვითარცა ვინ მშვე მე
25, 6	ბოროტის-ყოფად	ჯერკულის-ყოფად	განბოროტებად
25,27	პირისაგან მახჳლისა	პირისაგან მალლისა	პირისაგან მახჳლისა
26, 3	დავსცხრე ძჳრისაგან	დასცხრეს ძჳრისაგან	დავსცხრე მე ბოროტთაგან
26,21	შევიდა ეგჳპტედ	შთაკდა ეგჳპტედ	შევიდა ეგჳპტედ

	G	O	G(W)
28,11	ქედისაგან ყოველთა ნათესავთა	ქედისაგან ყოვლისა ერისა	ქედისაგან ყოველთა ნათესავთაჲსა
31, 9	არღარა შესცთენ	არღარა დაშთენ	არღა სცთებოდინ
35,18	ძისა რექაბისთა	ძისწულთა რექაბისთა	ძისა რექაბისთა
36, 1	წელსა მეოთხესა	წელსა მას მეხუთესა	წელსა მეოთხესა
36,26	დაიმალნეს	დაიფარნეს	დაიმალნეს
43, 9	სამალველსა	საფარველსა	მალულსა
50,38	წყალსა ზედა მისსა	წყალთა ზედა მისთა	წყალსა ზედა მისსა
50,44	მქანართაგან იორდანისათა	მაღნართაგან იორდანისათა	მაქანართაგან იორდანისათა

საყურადღებოა უკანასკნელი მაგალითი: არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, რომ მცდარი ფორმებიც კი საერთო აღმოაჩნდათ J-სა და G ვერსიებს („მქანართაგან“ J და „მაქანართაგან“ G მცდარი წაკითხვაა. უნდა: მაღნართაგან O).

არის შემთხვევები, რომ G-ს წაკითხვას მხარს უჭერს არა J რედაქცია, არამედ O. მაგრამ ეს ძალზე იშვიათია. სულ 15-ოდე შემთხვევა თუ იქნება.

	J	O	G(W)
1, 3	ვიდრე	მიალსასრულადმდე	მიალსასრულამდე
2,17	რაჲ ესე მიყო	არა ესე გიყოა...	არა ესე ნი გიყვნაა
2,28	ჟამსა ჭირისა შენისასა	ჟამსა ბოროტებისა შენისასა	ჟამსა შინა განბოროტებისა შენისასა.
5,24	შევინანოთ უფლისა მიმართ	შევიშინოთ ღმრთისა ჩუენისა	შევიშინოთ უფლისაგან
23,24	სამარხველსა	სამალველსა	სამალავსა

ზემოთ განხილული მაგალითები G რედაქციის სხვა ქართულ რედაქციებთან მიმართების გასარკვევადაა მოხმობილი, თორემ G-ს რედაქციული თავისებურებანი J-სა და O-სთან მიმართებით იმდენ მასალას იძლევა, რომ სპეციალური მოზრდილი შრომის საგანი იქნებოდა. ოღონდ ამ საკითხს ახლა გვერდს ვუვლით, რადგან მისი განხილვა ჩვენი მიზნებისაგან შორს წაგვიტყუებდა.

§ 13 ვახტანგისეული ნაბეჭდი ბიბლია

სპეციალურ ლიტერატურაში „გელათური ბიბლიის“ სახელით ცნობილი ხელნაწერი (A—1108), რომელიც საფუძვლად დაედო ბიბლიის ვახტანგისეული გამოცემის „წინასწარმეტყველთა“ წიგნებს, ძალზე დაზიანებული და ნაკლულია. ამიტომ მხოლოდ ნაბეჭდი ტექსტით ხდება შესაძლებელი ამ მეტად იშვიათი ხელნაწერის ნახევრამდე დაკარგული ადგილების აღდგენა. ამდენად, ვახტანგის სტამბის ნაბეჭდი ბიბლიის ტექსტის მნიშვნელობა ნაკლები როდია „გელათური ბიბლიის“ უნიკალურ ხელნაწერისაზე.

ვახტანგ VI-ის სტამბის ბიბლია შეიცავს „წინასწარმეტყველთა“ წიგნებსა და მათეს და მარკოზის სახარებებს სრულად, ხოლო ლუკას სახარებას — ნაწილობრივ (წყდება 23,56-ზე): „და წარვიდეს და მომზადეს საკუმეველი, სურნელი და ნელსაცხებელი“. წიგნი დაბეჭდილია ნუსხური შრიფტით ორ სვეტად; მოიცავს თითქოს 407 გვერდს, მაგრამ გვერდების აღნიშვნაში შეცდომაა დაშვებული და რეალურად 404 გვერდს შეიცავს; პაგინაცია არაბულ ციფრებთან ერთად ქართული ასოებითაც არის აღნიშნული, უთავფურცლოა. რადგან პაგინაცია 1-ლი გვერდიდან იწყება, ცხადია, თავფურცელი დაკარგული კი არაა, არამედ მას არ ჰქონია თავიდანვე.

ვახტანგისეული ნაბეჭდი ბიბლიის სამი ცალია დღეისთვის ცნობილი: ერთი ინახება საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში $\left(F\frac{135}{4}\right)$, მეორე — თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (*F*—19578). ხოლო მესამე — საქ. მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A—51). გარდა ამისა ამ გამოცემის „ფრაგმენტები ცალკე ფურცლებად და ფურცლების ნაწილებად გვხვდება ხელნაწერებისა და ძველი ნაბეჭდი წიგნების (ვახტანგის სტამბის) ყდებზე, შიგნიდან გაკრული“[25]. აღსანიშნავია, რომ ნაბეჭდი ბიბლიის უნივერსიტეტის ცალში ჩარჩენილია ერთი ფურცელი (19—20 გვ.) ამ გამოცემისა. ეს ფურცელი ან სხვა ნაბეჭდი ცალიდანაა, ან, შესაძლებელია, საკორექტურო ფურცელი იყოს. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ ფურცელი ძალზე ჭუჭყიანია, აჩნია ლაქები (სტამბური?) და თანაც ზომით ნაკლებია ნაბეჭდი ცალების ფურცლებთან შედარებით: ნაბეჭდი ცალების ფურცლის ზომაა 32,5×21, ხოლო ამ „ზედმეტი“ ფურცლისა — 31×19,5.

ვახტანგისეულ ნაბეჭდ ბიბლიაზე საკმაო ცნობები მოიპოვება. პირველად იგი მოხსენებულია 1741 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „მარხვანის“ ბაქარისეულ ანდერძში: „...როცა ჩვენი საწინასწარმეტყველო ვიშოვნეთ... ტფილისის ქალაქს დაბეჭდილი, მერმე სულ იმაზე ვაწერინეთ, გასწორებული იყო და იმას მივყევით[26]“. 1743 წელს მოსკოვში დაბეჭდილი ქართული ბიბლიის რედაქტორის — ვახუშტი ბატონიშვილის ბოლოსიტყვაობაშიც აღნიშნულია: „ხოლო ფსალმუნი და წინასწარმეტყველებანი და ახალი აღთქმანი მის მეფის ვახტანგის ბრძანებით გამართული და დაბეჭდილნი იყვნნეს მისსავე მოღებულს საბეჭდავსა შინა ტფილისისასაო[27].

დ. კარიჭაშვილისა[28] და პ. გუგუშვილის[29] ბიბლიოგრაფიულ შრომებში აღწერილი არაა ვახტანგის სტამბის ბიბლია. ამ იშვიათი გამოცემის აღწერილობა პირველად გამოქვეყნდა 1941 წელს. ხოლო ქრ. შარაშიძე საგანგებოდ და საფუძვლიანად შეეხო ამ ნაბეჭდი ბიბლიის რედაქტორისა და თარიღის საკითხებს[30], თან აღწერილობაც გამოაქვეყნა[31]. მართალია, ეს გამოცემა ორჯერაა აღწერილი, მაგრამ არც ერთში არაა აღნიშნული, რომ შედგენილობის მი-

---

[25] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 166.
[26] ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, I, 1941; № 30, გვ. 42.
[27] იქვე: № 33, გვ. 47.
[28] ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ., 1929.
[29] ქართული წიგნი, 1629—1929, თბ., 1929.
[30] პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 166—177.
[31] იქვე, გვ. 192—193.

ხედვით დღეისთვის ცნობილი სამი ცალი ერთნაირი არ არის. მაგალითად, ქრ. შარაშიძის ცნობით, „თბილისის სტამბის ის სამი ცალი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, უთავფურცლოა; ყოველი ამ ცალთაგანი 1 გვერდით იწყება და წყდება 407 გვერდზე“[32]. ნამდვილად 407 (=404) გვერდს შეიცავს ორი ნაბეჭდი ცალი, ხოლო მესამე — უნივერსიტეტის ცალი — წყდება 296 გვერდზე. ამდენად, ეს უკანასკნელი ცალი მხოლოდ წინასწარმეტყველთა წიგნებს შეიცავს და მასში სრულებით არ არის ახალი აღთქმის ნაწილი. შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ბიბლიის უნივერსიტეტის ცალი მხოლოდ წინასწარმეტყველთა წიგნებს შეიცავდა თავიდანვე, რადგან ეს ცალი საერთოდ კარგად არის შენახული; მას არაფერი აკლია არც თავში და არც შუა ნაწილში, ფურცლები არაა ამოხეული ან ამოვარდნილი. მაგრამ ეს ასე არაა. უნივერსიტეტის ცალს. უთუოდ, აკლია ახალი აღთქმის ნაწილი, რაზედაც მიუთითებს შემდეგი: ამ გამოცემის დანარჩენი ორი ცალი ერთსა და იმავე ადგილზე წყდება (ლკ. 23,56, გვ. 407). ეს უკანასკნელი ფაქტი აშკარად გვიჩვენებს, რომ: 1) უნივერსიტეტის ცალს აკლია ახალი აღთქმის ნაწილი (297—407 გვერდები), 2) გამოცემა ბოლომდე არ არის მიყვანილი, ბეჭდვა შუა გზაზეა შემწყდარი. ამ უკანასკნელი აზრის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი ფაქტიც: 296 გვერდზე წინასწარმეტყველთა ტექსტის დასასრულსა და ახალი აღთქმის დასაწყისს შორის მოთავსებულია: „განკარგვით რიცხვი ახლისა აღთქმისა თაოვანად“. ეს არის, ასე ვთქვათ, სარჩევი ახალი აღთქმისა, სადაც დასახელებულია მასში შემავალი 27 წიგნი თავების რაოდენობის აღნიშვნით: 1) სახარება მათესი 28, 2) სახარება მარკოზისა 16; 3) სახარება ლუკასი 24; 4) სახარება იოანესი 21; მეორე წიგნი წმიდისა ლუკაჲსი. 5) საქმე მოციქულთა 28. ეპისტოლენი პავლე მოციქულისა: 6) ჰრომაელთა მიმართ 16; 7) კორინთელთა მიმართ 1,—16; 8) კორინთელთა მიმართ 2,—13; 9) გალატელთა მიმართ 6; 10) ეფესელთა მიმართ 6; 11) ფილიპელთა მიმართ 4; 12) კოლასელთა მიმართ 4; 13) თესალონიკელთა მიმართ 1,—5; 14) თესალონიკელთა მიმართ 2,—3; 15) ტიმოთეს მიმართ 1,—6; 16) ტიმოთეს მიმართ 2,—4; 17) ტიტეს მიმართ 3; 18) ფილიმონის მიმართ 1; 19) ებრაელთა მიმართ 13; წიგნი კათოლიკენი 20) იაკობისი 5; 21) პეტრესი 1,—5; 22) პეტრესი 2,—3; 23) იოვანესი 1,—5; 24) იოვანესი 2,—1; 25) იოვანესი 3,—1; 26) იუდასი 1; 27) გამოცხადება იოვანესი 22.

ახალი აღთქმის წიგნები ასეთი რიგითაა დაბეჭდილი ბაქარისეულ ბიბლიაშიც. ჩანს, გამოცემაში უნდა შესულიყო ახალი აღთქმის ყველა წიგნი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მხოლოდ სახარებების ნაწილი დაბეჭდილა. იქნებ დაბეჭდვის შეწყვეტა ტექსტის დადგენის სიძნელესთან იყო დაკავშირებული? არა, ასეთი რამ გამორიცხულია. ჩვენ საგანგებოდ შევუდარეთ ვახტანგის სტამბის ბიბლიის სახარებათა ტექსტი ამავე სტამბაში ადრე (1709) დაბეჭდილ სახარებისას და სრული მსგავსება გამოვლინდა მათ შორის, ე. ი. ბიბლიაში უცვლელად გადაუბეჭდავთ 1709 წელს გამოცემული სახარებათა ტექსტი. ცნობილია, რომ ბიბლიის დაბეჭდვამდე ვახტანგის სტამბაში აიწყო და გამოიცა გარდა სახარებისა, სამოციქულო, „მოხილვა იოვანესი“ (1709), ე. ი. გამოცხადება იოვანესი. ასე რომ ამ წიგნების გადაბეჭდვა ბიბლიაში სიძნელეს არ წარმოადგენდა; მაშასადამე, ბიბლიაში წინასწარმეტყველთა წიგნებთან ერთად ახალი აღთქმის წიგნების დაბეჭდვა არ შეიძლება

[32] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში..., გვ. 170.

წასწყდომოდა ტექსტის გამოსაცემად დადგენა-მომზადებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს.

ვახტანგის სტამბის სახარებასა (1709) და ვახტანგისეულ ნაბეჭდ ბიბლიაში შესულ სახარებას შორის არც ერთი რედაქციული ხასიათის სხვაობა არ აღმოჩნდა, მათი ორთოგრაფიაც ერთნაირია: დიდი ასოებია ნახმარი თავებისა და საკუთარი სახელების დასაწყისში, უმარცვლო უ-სთან Ꮳ არის გატარებული; სასვენ ნიშნად ნახმარია მხოლოდ წერტილი (მძიმის მნიშვნელობით) და ორი წერტილი (წერტილის მნიშვნელობით); სახარებათა დასაწყისის თავკაზმულობა, მინიატურული ხატები და ინიციალებად ნახმარი მხატვრული ასოებიც ერთნაირია ორივე გამოცემისა. ვახტანგის სტამბის სახარებაში მხატვრული ასოთი იწყება ყველა თავის პირველი მუხლი, ხოლო ბიბლიაში — ცალკეული სახარების მხოლოდ პირველი თავი. ამ ორ გამოცემას შორის არის სხვაობაც: 1) სახარების 1709 წლის გამოცემას პარალელურ ადგილებზე მითითებანი არ ახლავს, ხოლო ვახტანგისეული ნაბეჭდი ბიბლიის ყველა წიგნში ასეთი მითითებანი არის; 2) 1709 გამოცემულ სახარებაში დამუხლვა ქართული ასოებითაა აღნიშნული, ხოლო ვახტანგისეულ ნაბეჭდ ბიბლიაში — არაბული ციფრებით. ეს ცვლილებანი, უსათუოდ, გამოცემის გაუმჯობესების მიზნითაა შეტანილი რედაქტორის მიერ.

ზემოთ აღნიშნული ფაქტები გვიჩვენებს, რომ ვახტანგის სტამბის „ბიბლიაში" უნდა შესულიყო, „წინასწარმეტყველთა" წიგნებთან ერთად, მთელი ახალი აღთქმა. მაგრამ რაღაც მიზეზების გამო გამოცემა არ დასრულებულა, როდის უნდა დაბეჭდილიყო ეს „ბიბლია", ან რატომ არ დასრულდა მისი გამოცემა? ამ საკითხებს სპეციალურად ეხება ქრ. შარაშიძე და ასეთ ახსნას იძლევა: ვახტანგის სტამბის ბიბლიის რედაქტორი სულხან-საბა ორბელიანი იყო[33]. 1712 წლიდან მოყოლებული 1716 წლამდე საბა პოლიტიკური ამბების გამო თითქმის განუწყვეტლივ საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა. ხოლო 1716—1720 წლებში უსასტიკესად დევნილი იყო ოფიციალური ქრისტიანობის მესვეურთაგან. აქედან ცხადია, რომ ვახტანგის სტამბის ბიბლიის 1—447 გვერდები უნდა დაბეჭდილიყო 1710—1711 წლებში, დანარჩენი ტექსტის აწყობა და ბეჭდვა შეწყვეტილა 1712 წლის აპრილში რედაქტორის ბედუკუღმართობის გამო[34]. ჩანს, რომ ვახტანგის სტამბის ბიბლიის დაბეჭდვის შეწყვეტა უკავშირდება გამოცემის რედაქტორის—საბას უცხოეთში წასვლის ფაქტს. ეს სავსებით შესაძლებელია. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს: გარკვეულია, რომ ვახტანგის სტამბის „ბიბლიის" წინასწარმეტყველთა წიგნების ტექსტი „გელათური ბიბლიის" (A-1108) ხელნაწერს ეყრდნობა. ეს უკანასკნელი ნუსხა გასწორებული და თავებად და მუხლებად დაყოფილია საბას მიერ. პ. ინგოროყვას აზრით, ეს გასწორებული ხელნაწერი გადაუციათ სტამბაში და ამ დედნიდან აუწყვიათ ტექსტი; ხელნაწერს ატყვია სტამბაში აწყობის ნიშნები, სტამბური ლაქებიო. თუ ეს აზრი სწორია, მაშინ მოსალოდნელია, რომ ხელნაწერსა და ნაბეჭდ ტექსტებს შორის არსებითი ხასიათის სხვაობები არ იყოს. შედარებამ კი გამოავლინა, რომ ხელნაწერსა და ნაბეჭდ ტექსტებს შორის სერიოზული ხასიათის სხვაობებია: (იხ. § 14). თუ სწორია ვარაუდი, რომ „ბიბლიის" ბეჭდვის დროს საბა უცხოეთში უნდა

---

[33] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა, ჟურნ. „მნათობი", № 4, 1939, გვ. 124.

[34] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში..., გვ. 172—176.

ყოფილიყო, მაშინ ბეჭდვის თარიღის დასადგენად აუცილებელი არ იქნებოდა მხოლოდ 1710—1711 წლებით შემოზღუდვა; გამოცემის სავარაუდო თარიღად შეიძლებოდა 1711—1713 წლები მიგვეჩნია. ბეჭდვის შეწყვეტა საბას უცხოეთში წასვლას კი არ უნდა შეეჩერებინა, არამედ ქვეყნის საშინაო მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით შემთხვევითი როდია ის ფაქტიც, რომ 1714—1715 წლებში ვახტანგის სტამბაში სრულებით არაფერი დაბეჭდილა. საბას ნარედაქციევი „ბიბლიის" დაბეჭდვა 1716 წლის შემდეგაც არაა სავარაუდებელი, რადგან ამ დროიდან საბა სასტიკად იდევნებოდა ეკლესიის მესვეურთაგან კათოლიკობისაკენ გადახრის გამო.

§ 14. W-ს მიმართება G-სთან[36]

როგორც აღვნიშნეთ, თბილისში, ვახტანგ მეფის სტამბაში, დაბეჭდილი ბიბლიის ტექსტის რედაქტორად სულხან-საბა ორბელიანს მიიჩნევენ[37]. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი წინასწარმეტყველთა ტექსტი უცვლელად არის შესული და დაბეჭდილი ბიბლიის ე. წ. ბაქარისეულ (მოსკოურ) გამოცემაში (1743 წ.).

რობერტ ბლეიკმა საგანგებოდ და საფუძვლიანად შეისწავლა ე. წ. „გელათური ბიბლიის" ხელნაწერი (A—1108) და სწორად აღნიშნა, რომ გელათური ბიბლიის ნუსხაში დაცული ტექსტი და ბაქარის ბიბლიაში დაბეჭდილი ტექსტი ერთი და იგივე არისო[38]. რ. ბლეიკი იცნობდა ბაქარის ბიბლიის ბოლოსიტყვაობაში დაცულ ცნობას ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა წიგნების შესახებ, მაგრამ მას უკანასკნელის ნაბეჭდი ცალები არ უნახავს. ამიტომ იყო, რომ მკვლევარმა „გელათური ბიბლიის" ტექსტი შეუდარა არა ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ ტექსტს (W-ს), არამედ ბაქარისეულ (მოსკოური) გამოცემის (M-ის) ტექსტს. მთავარი მნიშვნელობა აქ მაინც იმ ფაქტს ჰქონდა, რომ რ. ბლეიკმა იგივეობა შეამჩნია „გელათური ბიბლიის" (G) ტექსტსა და ბაქარისეული გამოცემის ტექსტს (W) შორის და ამით არსებითად გაარკვია ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა წიგნების (W) წყაროც, რამდენადაც ბიბლიის ამ ნაწილში M იმეორებს W-ს.

პ. ინგოროყვამ აღნიშნა, რომ „გელათური ბიბლიის" წინასწარმეტყველთა ტექსტის თავებად და მუხლებად დაყოფა, აგრეთვე მასში ზოგიერთი არაარსებითი ხასიათის რედაქციულ ცვლილებათა შეტანა ეკუთვნის სულხან-საბა ორბელიანს. მკვლევრის აზრით. საბას მიერ გასწორებული და სასტამბოდ გამზადებული გელათელი ანონიმის ავტოგრაფული ხელნაწერი (A—1108) გადაუციათ სტამბაში და ამ დედნიდან აუწყვიათ ტექსტი, ამიტომაა, რომ ხელნაწერს ატყვია სტამბური ლაქებიო[39].

---

[35] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

[36] §§ 14—15-ში განხილულ საკითხებს ვეხებით წერილში: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო: საქ. მეცნ. აკად. „მაცნე", № 2, 1964.

[37] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: „მნათობი", № 4, 1939, გვ. 125. ქ რ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 174—177.

[38] Р. Блейк, О древнегрузинских версиях Ветхого Завета: Известия Кавказского О. М. А. Об-а, вып. VI, Тифлис, 1921, გვ. 32—39.

[39] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

გელათური ბიბლიის მომპოვებელს თ. ჟორდანიას ადრე ჰქონდა აღნიშნული, რომ ხსენებული ხელნაწერის თავებად და მუხლებად დაყოფა XVIII საუკუნის ხელით არის გაკეთებულიო[40]. ეს აღნიშვნა გაიზიარა რ. ბლეიკმაც[41]. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თ. ჟორდანიასა და რ. ბლეიკს საბა არ მიუჩნევიათ ხელნაწერში შეტანილ ცვლილებათა ავტორად. ამ ცვლილებათა ავტორობა საბას მიაკუთვნა პ. ინგოროყვამ და, ვფიქრობთ, სწორად, მართლაც, გაირკვა, რომ თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი წინასწარმეტყველთა ტექსტი (W) ემყარება „გელათური ბიბლიის“ რედაქციას (G-ს). G-ს ნუსხა (A—1108) თავებად და მუხლებად დაუყვია ს. ს. ორბელიანს. მასვე შეუტანია ხელნაწერში ზოგიერთი ტექსტუალური ცვლილება. W-ს ტექსტი რომ G-ს ემყარება, ამას ჩვენი აზრით, ტექსტუალური მსგავსების გარდა, ის გარემოებაც გახაზავს, რომ G-ს მცდარი წაკითხვები მცდარი ფორმითვე გადასულა ნაბეჭდში (W-ში):

1) 16,6: „აღიპარს“ (W), უნდა: აღიპარსნენ; G-ში გადამწერს რომელიღაც სიტყვა გადაუშლია, გარდა ბოლო „ნენ“ ნაწილისა და ზემოდან დაუწერია „აღიპარს“. ამიტომ W-ში დაბეჭდილა „აღიპარს“, რადგან შეცდომით ტექსტში ქვემოთ დატოვებული „ნენ“ გამოჰრჩენიათ.

2) 19,1: „მოიგე კარაბაჲ გამოზელელიკე ცისაჲ (GW). უნდა: მოიგე კარაბაჲ, გამოზელილი კეცისაჲ.

3) 23,22: „და და თუმცა“ (GW). ერთი „და“ ზედმეტია.

4) 25,18: „ქალაქთა იუდა“ (GW), უნდა: ქალაქთა იუდაჲსთა.

5) 27,13: „ალამონოს“ (GW) უნდა: არა ჰმონოს.

6) 28,1: „გაბაონემან“ (GW), უნდა: გაბაონელმან.

7) 50,44: მაქანართაგან (GW), უნდა: მაღნართაგან.

გამოირკვა, რომ სულხან-საბა ორბელიანს G-ს ნუსხა არა მარტო თავებად და მუხლებად დაუყვია, არამედ ხელნაწერის ტექსტის კიდეზე მსგავსი (პარალელური) ადგილების დამოწმებანიც გაუკეთებია ბიბლიის სხვადასხვა წიგნზე თავისა და მუხლის რიცხვთა ჩვენებით, რაც ნაბეჭდშიც (W) გადასულა კიდევაც.

რის საფუძველზე დამუხლა საბამ ტექსტი? ან რას ემყარებოდა იგი, როცა ტექსტის კიდეზე პარალელურ ადგილებს აღნიშნავდა ბიბლიის სხვადასხვა წიგნზე მითითებით? პროფ. ილ. აბულაძემ სპეციალურ წერილში გაარკვია, რომ ე. წ. „მცხეთის ბიბლიის“ (A-51) დანართი საძიებლები საბას გადმოთარგმნილი აქვს პირველი სომხური ნაბეჭდი ბიბლიიდან (ამსტერდამი, 1666, ვოსკანის· გამოცემა). მკვლევრის ვარაუდით, ქართული ბიბლიის რედაქციული დამუშავებისას საბამ, ალბათ, სომხური ბიბლია „სხვა მხრითაც გამოიყენა“[42]. მკვლევრის ვარაუდი სწორი გამოდგა. გამოირკვა, რომ G-ს ტექსტის თავებად და მუხლებად დაყოფისას საბას უსარგებლია სომხური ბიბლიის ვოსკანის გამოცემით. ისიც ნათელი გახდა, რომ G-ს ნუსხის კიდეზე პარალელური ადგილების აღნიშვნა ბიბლიის სხვა წიგნებზე მითითებით საბას გაუკეთებია ვოსკანის ბიბლიის მიხედვით. ამ მხრივ ნაბეჭდი ქართული ტექსტი (W) სავსებით იმეორებს სომხური ბიბლიის ჩვენებას,

[40] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 39.

[41] Р. Блейк, დასახ. ნაშრომი, გვ. 5—6.

[42] ილ. აბულაძე; სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები: თსუ-ს შრომები, III, 1936, გვ. 262.

ხოლო ხელნაწერი ტექსტი (G) ზოგჯერ არ შეიცავს კიდეზე სხვა წყაროზე მითითებას, წინააღმდეგ სომხური ბიბლიისა. რომ ნათელი იყოს საქმის ვითარება, მოგვყავს ცხრილი, რომელიც ეხება მხოლოდ იერემიას წინასწარმეტყველების ტექსტის პარალელურ ადგილებზე მითითებას (საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე მითითება მოგვყავს).

პარალელურ ადგილებზე მითითებანი ქართულ ბიბლიაში			პარალელურ ადგილებზე მითითებანი სომხურ ბიბლიაში
იერემ.	G (A—1108)	W (ნაბეჭდი ტექსტი)	ნაბეჭდი სომხური ბიბლია (ამსტერდამი, 1666)
15,9	1 მეფთ. 2,5	1 მეფთ. 2. ბ. 5 [43]	1 მეფ. 2. ბ. 5
	ამოს. 8,9	ამოს. 8, გ. 9	ამოს 8. გ. 9
15,17	ფსალ. 1,(1)	ფსალ. 1. ა. 1	ფსალ. 1 ა, 1
	დ(ა)25,4	და. 25. ა. 4	და 25. ა. 4.
15,18	—	ქვ"მოთ 30. გ. 15 [43]	ქვემოთ 30. გ. 15
16,10	ზემოთ 5,29 [43] *	ზემოთ 5, ლ. (2) 9	ზემოთ 5. ლ. 29
16,12	—	ზემოთ 7, 3. 26	ზემოთ 7. ლ.
16,13	—	ქვემოთ 28,9. 8	ქვემოთ 28. ბ. 8
17,5	ესაია 30,2	ესაია 30. 4. 2	ესაია 30. ა. 2
17,6	ესაია 31,1	ესაია 31, ა. 1	ესაია 31 ა. 1
17,7	ფსალ. 1,3	ფსალ. 1. ა. 3.	ფ! ალ. 1. ა. 3.
17,10	მოხილ. (2),23 [44] *	მოხილ. 2, 3. 23	გამოცხ. 2. ლ. 23.
	ფსალ. 7,10	ფსალ. 7. გ. 10	ფსალ. 7. გ. 10
17,11	1 მეფ. 16,7	მეფ. 16. ბ. 7	მეფ. 16. ბ. 7
18,6	ესაია 45,9	ესაია 45. ბ. 9	ესაია 45, ბ. 9
	რომაელ. 9.20	რომაელ. 20. ბ: 10 [45]	რომაელ. 9. ბ. 20.
18,7	ზემოთ 1,10	ზემოთ 1. ბ. 10	ზემოთ 1. ბ. 20
	—	ქვემოთ 25. ბ. 5	ქვემოთ 25 ბ. 5
18,11	—	და 35. გ. 12	და 35. გ. 12
	იონა 3,8 [46]	იონა 3. დ. 8	იონა 3- დ. 8

მოყვანილი ცხრილიდან ნათლად ჩანს. რომ ზოგჯერ წინასწარმეტყველთა ტექსტს პარალელურ ადგილებზე მითითებანი არ ახლავს G-ში იქ, სადაც სომხური ბიბლიის მიხედვით უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნაბეჭდი ტექსტი კი (W) ამ მხრივ იმეორებს სომხური ბიბლიის ჩვენებას. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ვახტანგ

---

[43] თავებისა და მუხლების აღმნიშვნელ ციფრებს შუა მოქცეული ასოების რიცხობრივი მნიშვნელობა უნდა აღნიშნავდეს ტექსტის დაყოფას, მაგრამ კერძოდ რისი მიხედვით, ეს ნათელი არაა ჩვენთვის. „ქვემოთ“, „ზემოთ“ აღნიშნავს იმ ძეგლს, რომელსაც მითითება უკეთდება.

[44] „მოხილ“ არის შემოკლება „მოხილვა“-სი, რომელიც რეალურად იოანეს გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა ს ნიშნავს. თავებისა და მუხლების აღმნიშვნელ ციფრებს შორის მოქცეული ასო სომხური ბიბლიისა ქართულში „ლ“-თია გადმოღებული (იხ. იერ. 16,10). აქ, ასე ვთქვათ, ղ-ის ძველი ბგერითი მნიშვნელობაა დაცული. მაგრამ ეგევე ղ სხვაგან (იხ. იერემ. 16,12; 17,10) ვინითაა გადმოღებული: ან ქართულ მითითებაშია შეცდომა, ანდა ჩვენთვის უცნობი ვითარებაა დაცული.

[45] W-ში შეცდომაა. უნდა : რომაელ. 9. ბ. 20.

[46] G-სა და სომხურ ბიბლიაში იონა-ს ნაცვლად შეცდომით მითითებულია „იოვანე“. G-ში საზას იერ. 18,11-თან მითითებანი წაუშლია, გარდა მესამისა (იონა 3,8).

VI-ის სტამბაში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა წიგნებს საფუძვლად არ დასდებია გელათელი ანონიმის ავტოგრაფული ნუსხა (A-1108). G-ს ნუსხა რომ უშუალოდ დასდებოდა W-ს, როგორც ამას პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ამტკიცებს, მაშინ G-სა და W-ს შორის სრული მსგავსება უნდა გვქონოდა, მაგრამ ეს ასე არ არის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, G-სა და W-ს შორის ისეთი ტექსტობრივი სხვაობაცაა, რომელიც შეუძლებელია ბეჭდვის პროცესში მომხდარ უმნიშვნელო ცვლილებად დავსახოთ. მაგალითად, ვასახელებთ ჩვენი ძეგლის ჩვენებას:

	G (A—1108)	W (ნაბეჭდი ტექსტი)
15,10	განკითხული	განმკითხუჱლი
15,14	დაეგზნას	და აეგზნას
16,16	აჰა მიეავლენ მრავალთა მთხევლართა, იტყჳს უფალი, და მოითხევლნენ იგინი, და ამათსა შემდგომად მივავლენ მრავალთა მონადირეთა, და მოინადირნენ იგინი.	აჰა მიმავლენ მრავალთა მონადირეთა, და მოინადირნენ იგინი. და ამათსა შემდგომად მივავლენ მრავალთა მთხევლართა, იტყჳს უფალი, და მოითხევლნენ იგინი.
26,22	და განავლინნა მეფემან იოაკიმ კაცნი ეგჳპტედ, ელდათარ, ძე ვოხორისი.	და განავლინნა მეფემან იელდათარ, ძე ოხორისი, და კაცნი მის თანა ეგჳპტედ, იოაკიმ კაცნი ეგჳპტედ.
49,18	არა დაჯდეს	დაჯდეს
50,2	ალოჴრდა ბაბილონი, სირცხჳლეულ იქმნა ბილ, შუჱბული მიეცა მეროდახ.	აოჴრდა ბაბილონი, ბილ უშიში შუჱბული მიეცა მეროდახ.
51,23	და განვაბნიო შენ შორის მწყემსი და სამწყსოჲ მისი...	—
51,26	ქვად საკუთხედ და	—
52,30	მთავარ-მზარაულმან	მთავარ-ქონდაქარმან.

ძალზე დიდია სხვაობა G-სა და W-ს შორის ორთოგრაფიაში. აქ დავასახელებთ სხვაობას მხოლოდ საკუთარ სახელთა გადმოცემაში: პ ა ს ხ ო რ მ ა ნ 20,2-3 G, პ ა ს ქ ო რ მ ა ნ W; ხ ა ლ დ ე ვ ე ლ თ ა 21,4; 21,9 G, ქ ა ლ დ ე ვ ე ლ თ ა W; ა ხ ა ზ ი ს ე ბ რ 22,15 G, ა ქ ა ზ ი ს ე ბ რ W; ნ ა ბ უ ხ ო დ ო ნ ო ს ო რ ს 2,6 G, ნ ა ბ უ ქ ო დ ო ნ ო ს ო რ ს W. მ ა ღ დ ო ლ ო ჲ ს ა 46,14 G, მ ა გ დ ო ლ ო ჲ ს ა W, ღ ო მ ო რ რ ა ჲ 50,40 G, გ ო მ ო რ რ ა ჲ W და ა. შ.

W-ში საკუთარ სახელთა დასაწყისი ასო ყოველთვის მთავრულითაა დაბეჭდილი, მაშინ როცა G ასეთ შემთხვევაში მთავრულებს არ ხმარობს.

სხვაობა თავს იჩენს ისეთ ადგილებშიც კი, რომლებიც გელათურ ნუსხაში ს ა ბ ა ს ხელითაა გაცხოველებული. მაგალითად, ს ა ბ ა ს გაუცხოველებია „ჰ გ ო დ ე ბ დ ი თ მ ა ს“ 51,8, მაგრამ W-შია: ჰ გ ო ნ ე ბ დ ი თ მ ა ს. მსგავსი მაგალითები სხვაცაა.

საბას G-ში ზოგიერთი სიტყვაც ჩაუმატებია. ასეთი ჩამატებანი თითქმის ყველა დაბეჭდილა (W-ში). რ. ბ ლ ე ი კ ს საქმის ვითარება პირიქით ჰქონდა წარმოდგენილი, როცა წერდა, რომ გელათური ნუსხის წინასწარმეტყველთა ტექსტი აქა-იქ შესწორებულია, თუ არ ვცდები, მოსკოური ბიბლიის მიხედვით[47].

საკითხავია, რისი მიხედვით ასწორებდა ს ა ბ ა გელათურ ნუსხას? საბას მიერ ჩამატებულ სიტყვათა და წინადადებათა შესწავლიდან ირკვევა, რომ მას ამ შემთ-

[47] Р. Б л э й к, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

ხვევაში არ გამოუყენებია ჩვენთვის ცნობილი ძველი ქართული ვერსიების (J, O) ტიპის ნუსხები. არც ისაა მოსალოდნელი, რომ ასეთი სიტყვები და წინადადებანი G-ში საბას შეეტანოს უცხო წყაროთა (სომხურის, ბერძნულის, სლავურის) ჩვენების საფუძველზე, ე. ი. თვითონ „მისი სიტყვები“ იყოს.

უნდა ვიფიქროთ, რომ საბას ხელში უნდა ჰქონოდა G რედაქციის ჩვენთვის უცნობი ნუსხა, რითაც აწარმოებდა იგი ტექსტის შეჯერებასა და გასწორებას გელათელი ანონიმის ავტოგრაფთან (A-1108). ეს უკანასკნელი ნუსხა რომ ჩასწორებულია საბას ხელით, ალბათ, ამ გარემოებამ აფიქრებინა პ. ინგოროყვას, იგი (A-1108) მიეჩნია სასტამბოდ გამზადებულ ცალად. მაგრამ ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ არსებობს სხვადასხვა სახის სხვაობანი ამ ნუსხასა და ნაბეჭდ ტექსტს (W-ს) შორის. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, შესაძლებლობას იძლევა, რომ დავასკვნათ: მართალია, გელათური ნუსხა შესწორებული და გამართულია საბას მიერ, მაგრამ უშუალოდ ამ ნუსხიდან არ აუწყვიათ ნაბეჭდი ტექსტი (W). ეს ნუსხა არაა სასტამბოდ დამზადებული ცალი. მასში შეტანილი ცვლილებები სულხან-საბას რედაქტორული მუშაობის ერთ-ერთ საფეხურს წარმოგვიდგენს და არა უკასასკნელს. სხვაობა, რომელიც ელინდება G-სა და W-ს შორის, საბას შემდგომი რედაქტორული მუშაობის შედეგია. მაშასადამე, G-სა და W-ს შორის უნდა დავუშვათ სასტამბოდ გამზადებული ცალის (გადანაწერის) არსებობა, რომელშიც შეტანილი იქნებოდა ყველა ის შესწორება, რომელსაც სხვაობის სახით ავლენს W G-სთან მიმართებით, ასე რომ $G \rightarrow x^{48} \rightarrow W$.

§ 15. იერემიას წინასწარმეტყველების რომელ ვერსიას იმოწმებდა სულხან-საბა ორბელიანი თავის ქართულ ლექსიკონში?

რადგან გარკვეულია, რომ ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა წიგნების (W) რედაქტორი სულხან-საბა ორბელიანია, ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ის ლექსიკონში შესატანი სიტყვების წყაროდ ამ გამოცემას გამოიყენებდა. ეს ასეც არის. მაგრამ ზოგჯერ სხვაობაა ლექსიკონში დამოწმებულ სიტყვასა და წყაროში დადასტურებულ ფორმას შორის. ამას თავისი ახსნა აქვს: საბას ლექსიკონის ბიბლიური წყარო ერთიანი არაა რედაქციულად. რ. ბლეიკი საბას ლექსიკონში ბიბლიიდან დამოწმებული სიტყვების შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მისულა, რომ საბას ხელში უნდა ჰქონოდა რთული შედგენილობის ხელნაწერი (рукопись сложного состава), რომლის სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვა წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. მკვლევარი აღნიშნავს, რომ საბა წინასწარმეტყველთა წიგნებიდან დამოწმებისას იმ რედაქციას მისდევს, რომელიც გელათურ ბიბლიაშია დაცული[49]. ა. შანიძის აზრით, „ძველი აღთქმის წიგნებიდან სიტყვების ჩვენებისას სულხანი ზოგჯერ იმ რედაქციას მისდევს, რომელიც ე. წ. მცხეთურ ხელნაწერშია წარმოდგენილი (A-51), ზოგჯერ კი იმას, რომელიც ათონურ დაბა-

---

48 აღნიშნავს სასტამბოდ გამზადებულ ხელნაწერს.

49 Р. Блейк, დასახ. ნაშრომი, გვ. 32, შდრ. მისივე, Prolegomena...: Patrologia Orientalis, t. XXIX, fasc. 2, Paris, 1961, გვ. 16—17.

დებაშია დაცული, და ზოგჯერ იმას, რომელიც ქართული ბიბლიის მოსკოურ გამოცემაშია წარმოდგენილი“ [50].

მკვლევარნი საბას ლექსიკონში ბიბლიიდან დამოწმებულ სიტყვათა შესამოწმებლად მოსკოურ გამოცემაში დაცულ ტექსტს მიმართავენ, სახელდობრ, როცა დამოწმება წინასწარმეტყველთა წიგნებიდანაა (რ. ბლეიკი, ა. შანიძე, ს. იორდანიშვილი...). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საბას ლექსიკონში ბიბლიიდან დამოწმებული სიტყვა ზოგჯერ სულ არა ჩანს მოსკოურ გამოცემაში [51]. და არა ჩანს იგი საერთოდ დღემდე ცნობილ არც ერთ ვერსიაში [52]

ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ უკანასკნელი აზრის სასარგებლოდ დამატებით მასალას, ოღონდ მანამდე გვინდა გამოვყოთ საბას ლექსიკონზე მუშაობისას უახლოესი თანამშრომლების წვლილი (ზოსიმესი, ვახტანგ VI-ისა), რომ ვიცოდეთ, რა ეკუთვნის საკუთრივ საბას კალამს მოყვანილი დამოწმებიდან.

იერემიას წინასწარმეტყველების წიგნიდან საბას ლექსიკონში 260-მდე სიტყვაა დამოწმებული. ლ. ქუთათელაძემ გაარკვია, რომ ზოსიმეს საბას სიკვდილის შემდეგ SZ ნუსხაში (=H-1429), რომელიც შეუწამებია Z-თან (=A-75), 51 სიტყვა ჩაუწერია თავ-თავის ადგილას და თანაც დამატებით შეუტანია 228 სიტყვა, ამათგან ზოგი — განმარტებით და წყაროების ჩვენებითაც [53]. ამ ჩანამატებიდან 20 სიტყვას მითითება აქვს იერემიას წინასწარმეტყველების წიგნზე. ამ სიტყვათაგან მხოლოდ სამია სახელი (მონივთული 22,14; მთხელვართა 16,16; მწჳრე 38,6), დანარჩენი ზმნის პირიანი ფორმებია: აღუყივდენ 19,3; გაამაოებენ 23,16; გამოიხუნა 50,25; განაგარეენით 23,2 [54]; განვაკიდვე 16,5; განგცე 38,16; განიძირეს 12,2; განუფიწლნე 49,32; დააქცია 50,40; დაეშენა 50,40; დავშვერ 17,16; დანით გუჱსმა 8,16; დაყავ 33,3; ვისურვო 13,14; ვსაარებლებთ 4,13; იეფის 12,1.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლექსიკონში „დანით გუჱსმა“-ს გამოტანა არ არის გამართლებული. რადგან აქ ორი სხვადასხვა სიტყვა გვაქვს. შდრ. ბერძნ. 'Εκ Δάν ἀκουσόμεθα...; სომხ. 'ի դանայ լուիցուք ձայն.

ვახტანგ VI-ს საბას ლექსიკონის ავტოგრაფულ ნუსხებში შემდეგი სიტყვები ჩაურთავს იერემიას წინასწარმეტყველების წიგნიდან: კერკი და ბაი: სინოხს და კატარაკატსა; სკირადათა განბიცებისათა; სკირ'; ანკანაკება; მემფი 46,19; კუთვნა 44,3 [55].

იერემიას წინასწარმეტყველებიდან დამოწმებულ ზოგ სიტყვას ციტატი ახლავს ადრეულ რედაქციებში, ხოლო საბოლოო რედაქციაში მხოლოდ მითითებაა დატოვებული. ასეთებია: აპის, დამდამივა...; ოღონდ ეს კია, რომ თავებისა და მუხლების აღმნიშვნელი ციფრები არც თუ იშვიათად აღრეულია, რაც აძნელებს სიტყვის პოვნას წყაროში. მაგ. დამოწმებულია: ალგარწმუნებენ 19,8 (უნდა: 29,8); აგამო-

---

[50] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, 1928, გვ. 26.

[51] ს. იორდანიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. 27.

[52] ც. ქურციკიძე, სიტყვის განმარტების ერთი ხერხი საბას ლექსიკონში: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 14.

[53] ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით), 1957 წ. გვ. 143.

[54] მითითებაში შეცდომით 23,16 არის აღნიშნული, იხ. ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქცია, 1928, გვ. 57.

[55] ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით), 1957, გვ. 106—129.

უცდელა 7,26 (უნდა: 7,28), ჸარაბა 17,1 (უნდა: 19,1); კეფი 35,23 (უნდა 36,23), მოქენე 36,23 (უნდა: 36.25) და სხვ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ საბას წინასწარმეტყველთა წიგნების დამოწმებები მოჰყავს ნაბეჭდი ბიბლიიდან (W), ე. ი. გელათური ვერსიის ტექსტი არის საბას ლექსიკონის ერთ-ერთი ძირითადი წყარო. მაგრამ ჩანს, საბას ხელთ უნდა ჰქონოდა ქართული ბიბლიის დღეისთვის უცნობი რედაქციაც თუ ნუსხა, რასაც უჩვენებს საბას ლექსიკონში განსამარტავად მოყვანილ სიტყვასა და წყაროში დადასტურებულ ფორმას შორის არსებული სხვაობა. ასეთი სხვაობანი სხვადასხვა ხასიათისაა.

1) საბა განმარტავს ზმნის პირიან ფორმას, წყაროში კი ვნებითი გვარის მიმღეობისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელია: „შევსცბუნდი 8,21 იერ. გავშტერდისათვით“. წყაროშია: „დაბნელდა შეცბუნებულობაჲ“ (W). საბას იშვიათად როდი მოჰყავს განსამარტავად ზმნის პირიანი ფორმა, თუ კი იგი ისეთივე სახითაა წარმოდგენილი წყაროში. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ საერთოდ ზმნური ფორმების მეთაურად საბას ლექსიკონში საწყისია[56]. ზემოდასახელებული მაგალითი ამ პრინციპს ეწინააღმდეგება. უნდა ვიფიქროთ, რომ საბა სარგებლობდა ისეთი ნუსხითაც, სადაც „შევსცბუნდი“ ეწერა.

2) საბა განმარტავს მოქმედების გამომხატველ სახელს, წყაროში კი ზმნის პირიანი ფორმა დასტურდება: „მოქენე 36,25“; შდრ. ჰმოქენობდეს (W).

3) საბა საწყისს განმარტავს, წყაროში კი მიმღეობა დასტურდება; განმარტებულია: აფოლხვება 5,27; დაკვეთება 19,12; გაჭვრეტა 2,13..., წყაროშია: ალფოლხუჱბული, დაკუეთებულად, გაჭურეტილნი (W).

ასეთი ფაქტი აღნიშნული აქვს ა. შანიძეს და წერს: „მიმღეობის ფორმის ლექსიკური მნიშვნელობის გასათვალისწინებლად სულხანს სათანადო ზმნის საწყისის ახსნა მოჰყავს, რადგანაც საწყისი მისი ფიქრით ის ფორმაა, რომელიც ზმნებს მეთაურობს“[57]. ეს დაკვირვება სწორია, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევა განსხვავებული წყაროს გამოყენებას გულისხმობდეს. ამასვე გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ აღნიშნული პრინციპის საპირისპიროდ ზოგჯერ საბა მიმღეობას განმარტავს, მაშინ, როცა წყაროში საწყისია. საბა განმარტავს: საარებული 15,8 წყაროშია: „საარებაჲ“ (W).

4) განსამარტავად მოყვანილ სიტყვასა და წყაროში არსებულ ფორმას შორის ისეთი სხვაობებიც დასტურდება, რომლებიც საეჭვოა ჩავთვალოთ საბას ლექსიკოგრაფიული მუშაობის ნაყოფად. მაგალითად:

განმარტებულია:	წყაროშია:
ალდაჰი 17,6;	ალდატი („ალდატსა“ GW)
ალჭუარდულებით 31,28[58];	ალჭუარდვად W
მტყუანი 8,8;	მტყუარი W

[56] ა. შანიძე, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები. I. ზმნის ფორმათა მეთაური ს. ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონსა და ვახტანგ VI-ის თარგმანში: ს. ს. ორბელიანი, საიუბ. კრებული, 1959, გვ. 256—257.

[57] ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.

[58] დამოწმება შეცდომითაა მოყვანილი: 13,28 (იხ. ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, 1928, გვ. 27).

მძნობელი 30,19;	მძნობარი W
ნოტიო 17,8;	ნოტია („ნოტიასა“ GW).
შებრძჳლება 33,6;	შებრძჳლაჲ W

საბას მიერ განმარტებულ სიტყვებსა და წყაროში დადასტურებულ ფორმებს შორის არსებული სხვაობების ზემოაღნიშნული ოთხივე შემთხვევა, შეიძლება ითქვას, მაინც არ იძლევა მტკიცე საფუძველს, რომ ვიფიქროთ: საბა ბიბლიური წიგნების დღეისთვის უცნობი ვერსიით თუ ნუსხით სარგებლობდა. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც გვარწმუნებს, რომ საბას ხელში უნდა ჰქონოდა ქართული ბიბლიის ჩვენთვის უცნობი ნუსხაც.

5) საბა განსამარტავ სიტყვებთან წყაროს ასახელებს. მაგრამ სათანადო ადგილას ეს სიტყვები სრულებით არ ჩანს, მათ ნაცვლად წყაროში სხვა სინონიმური სიტყვებია ნახმარი. მაგალითად, იერემიას წინასწარმეტყველების წიგნზე მითითებით ლექსიკონში

განმარტებულია:	წყაროშია:
მენი 16,16;	ჴურელი[59] JOGW
დამდამივა 48,2	და მადებემა J, და მედებაჲ O; G-ში არაა
ჯურღმული 48,44	ჯნარცჳ JO, მთხრებლი W.

შეიძლება ითქვას, რომ ის უცნობი წყარო, რომლითაც საბას უსარგებლია, დიდად არ უნდა ყოფილიყო დაშორებული G ვერსიას. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ უცნობი წყაროდან მომდინარე ის სიტყვები, რომლებიც საბას ლექსიკონშია შესული, ფორმით ახლოს დგანან G ვერსიის სიტყვებთან: ალდაჭი 17,6- ალდატი GW, მაფაჲ 44,17—მეფეა W. ამ უკანასკნელი მაგალითიდან ჩანს, რომ საბას მიერ გამოყენებული უცნობი წყარო არ შეიძლება ახლოს მდგარიყო ძველ (JO) ვერსიებთან, რადგან „მაფაჲ“ ტიპის მაგალითები, სადაც ბერძნულის მიბაძვით გრამატიკული სქესის გარჩევის ცდაა გამოვლენილი ძველი თარგმანებისათვის უცნობია და იგი თავს იჩენს გვიან ე. წ. პეტრიწონული სტილით შეთხზულ ძეგლებში.

ზემოგამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჩვენი ძეგლიდან საბას ლექსიკონში დამოწმებული ციტატი ტექსტუალურად ემთხვევა G-ს წაკითხვას და არა JO ვერსიებისას. საბას სიტყვასთან „მაწანებელთამი“ (31,2) მოჰყავს ციტატი: „ესრე თქვა უფალმან: ვჰპოე სიტფოჲ უდაბნოსა შინა მომსრველთა თანა მახჳლითა მიმავალნი მაწანებელთამი ისრაილისათა: ვიდოდეთ და ნუ მოსრავთ ისრაილსა“[60]. G ვერსიაში ვკითხულობთ: „ესრეთ თქუა უფალმან: ვპოე სიტფოჲ უდაბნოსა შინა, მომსრველთა თანა მახჳლითა, მიმავალნი მაწანებელთამი ისრაჱლისათა; ვიდოდეთ და ნუ მოჰსრავთ ისრაილსა„ 31,2 W (შდრ. „ესრე თქუა უფალმან: ვპოე სიწრფოებაჲ უდაბნოსა, მომსრველთა თანა მახჳლითა, რომელნი მოვიდეს მაწანებელად ისრაჱლისა; ვიდოდეთ და ნუ მოჰსრავთ ისრაჱლსა“ J).

---

[59] იმ ბრუნვის ფორმით მოგვყავს, რომელიც განმარტებულ სიტყვას აქვს, თორემ წყაროში არის: ჴურელებისაგან GW, ჴურელთაგან JA; W ჱნარცუსა JA, მთხრებლსა W.

[60] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ყიფშიძის პროფ. ა. შანიძის რედაქციით, 1928, გვ. 200.

შეიძლება დავასკვნათ: სულხან-საბა ორბელიანი თავისი ქართული ლექსიკონის წყაროდ იყენებდა ქართული ბიბლიის ჩვენთვის უცნობ ისეთ ნუსხასაც, რომელიც ახლოს იდგა G ვერსიასთან.

§ 16. ლექციონართა საკითხავების ტექსტობრივი მიმართება JO ვერსიებთან

ლექციონარების მასალები ჩვენ ორი თვალსაზრისით გვაინტერესებდა: 1) საკითხავების ტექსტი რედაქციულად ერთნაირია თუ არა ოთხსავე ხელნაწერში და 2) საკითხავები ლექციონარებში ბიბლიური წიგნების ქართულში არსებული თარგმანებიდან შეჰქონდათ, თუ ამ საკითხავებსაც ხელახლა თარგმნიდნენ.

კ. კეკელიძე ადრე ფიქრობდა, რომ ლექციონარებში საკითხავები ბიბლიის ძველი ქართული თარგმანიდან იყო შეტანილი[61], ხოლო საბოლოოდ მან საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა: „ლექციონარებში იშვიათად შეჰქონდათ მზა-მზარეული თარგმანიდან ადგილები, უფრო ხშირად მათ ხელახლად დამოუკიდებლივ თარგმნიდნენ ხოლმე, მომეტებულ ნაწილად ბერძნული ენიდან. ასეთ კრებულებს ბიბლიის ტექსტის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს“[62]. პ. ინგოროყვას აზრით, რედაქტორებს ლექციონარის შედგენის დროს უსარგებლიათ ქართული ბიბლიის არქაული ვერსიებით, მაგრამ ტექსტი საგრძნობლად გადაუმუშავებიათ[63].

შეიძლება წინასწარ აღინიშნოს შემდეგი: ქართული ლექციონარის ოთხი ძველი ხელნაწერი ერთმანეთისაგან განსხვავებულია შედგენილობით ან საკითხავ მასალათა რაოდენობისა და ამ მასალათა რიგის თანმიმდევრობის მიხედვით.

ძნელია იმის თქმა, რომ ქართული ლექციონარის ოთხი ხელნაწერი ოთხი სხვადასხვა რედაქციის ტექსტს შეიცავდეს. იერემიას წინასწარმეტყველების წიგნიდან მოყვანილი საკითხავების ტექსტზე დაკვირვება იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ლექციონარის ორი ძირითადი რედაქცია გამოიყოს: ერთი რედაქცია სინურსა და ლატალის ხელნაწერებში უნდა იყო დაცული, მეორე — ლაგურკულსა და პარიზულში.

ა) ლატალისა და სინურ ხელნაწერთა საკითხავი ტექსტები რედაქციულად ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ სხვაობებიც შეინიშნება; ლატალის ხელნაწერის ორთოგრაფია განსხვავებულია როგორც სინურისაგან, ასევე ლაგურკულ-პარიზულისაგან. ამ მხრივ ლატალის ხელნაწერში აღსანიშნავია **ჳ** ნიშნის ნაცვლად **უი**-ს ხმარება: იტყუის 23,2; დაიმკუიდროს 23,6; განვიღუიძე 31, 28; თუისისა 32,19 და სხვა; აგრეთვე **ჳ**-ის ნაცვლად ნახმარია **უ**: იტყუს 31,23-27; თუსთა 32,19; რომლისათუს 32,22.

ლატალისა და სინური ხელნაწერები ტექსტობრივადაც სხვაობენ ზოგან; არაა შეუძლებელი, ეს სხვაობები მიჩნეულ იქნეს რედაქციული ხასიათისად.

---

[61] К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века (Грузинская версия), Тифлис, 1912, გვ. 312.

[62] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 393.

[63] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, № 4. 1939, გვ. 123.

სინ. (S)

22,2; ამას იტყჳს უფალი:... აჰა ესერა მე შური ვიძიო თქუეგნან მსგავსად უკეთურებისა თქუენისა, თქუა უფალმან.

31.32-32: აღუთქუა სახლსა ისრაჱლისასა და სახლსა იუდაჲსსა აღთქუმაჲ ახალი არა აღთქუმისა მისებრ, რომელ აღუთქუ მამათა მათთა.

ლატ. L_t

ამისთჳს ესრე იტყუის უფალი:... აჰა ესერა მე შური ვიძიო თქუენგან უკეთურებისაებრ სლვისა თქუენისა, იტყჳს უფალი.

აღვასრულო სახლსა ზედა ისრაჱლისასა აღთქუმაჲ საუკუნოი (!), რომელ აღუთქუ მ(ა)მათა მათთა.

ბ) საკითხავების ტექსტი, რომელიც ლაგურკულ ხელნაწერშია დაცული, გადამუშავებულ-გადაკეთებული სახით უნდა გვქონდეს პარიზულ ხელნაწერშიც. მართალია, ლაგურკული და პარიზული ხელნაწერების საკითხავ ტექსტებს შორის საგრძნობი სხვაობაა, მაგრამ არის ისეთი დამახასიათებელი ნიშნებიც, რომლებიც ორივეს ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობას გვავარაუდებინებს. მაგალითად, ორსავე ხელნაწერში „ანათოთს“ ფორმის ნაცვლად იკითხება „ანათონს“, „სედეკიას ნაცვლად კი — „ზედეკიას“.

ლაგურკული და პარიზული ხელნაწერების საკითხავ ტექსტებს შორის საგრძნობი სხვაობაა, რომელიც შესაძლებელია, მიჩნეულ იქნეს რედაქციულ ხასიათისად:

ლაგ. (L)

1,1: სიტყუაჲ უფლისაჲ.

1,2 და რომელი იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ დღეთა ოსიაჲსთა წელსა მეაცხრამეტესა მეფობასა მისსა.

1.5: ვიდრე ყოფამდე შენდა მუცელსა დედისასა გიცან შენ.

1,11: და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდამო და მრქუა.

1,18: დამიდგინებიე.
ქალაქი ძლიერი.

პარ. (P)

სიტყუაჲ ღმრთისაჲ.

იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ მისა მიმართ დღეთა ოსიაჲსთა, ძისა ამოსისთა, მეფისა იუდაჲსთა, წელსა მეათცამეტესა მეფობასა მისსა.

ვიდრე დაბადებადმდე შენდა მუცელსა შინა გიცი შენ.

და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდა მომართ და თქუა.

დაგადგინე.
ქალაქი რჩეული.

ჩვენი ძეგლიდან ლექციონარებში შესული საკითხავების შედარება ძველი ვერსიების (JO) ტექსტებთან გვაფიქრებინებს, რომ საკითხავები ამოღებული არ უნდა იყოს პირდაპირ ძველი თარგმანებიდან. ისიც ფაქტია, რომ ლექციონარების საკითხავებისა და ძველ თარგმანთა ტექსტებს შორის მსგავსება ბევრად მეტია, ვიდრე სხვაობა. საერთოდ, საკითხი, ლექციონარებში საკითხავი მასალა ძველი თარგმანიდან შეჰქონდათ, თუ ხელახლა თარგმნიდნენ, შეიძლება საბოლოოდ გადაიჭრას მხოლოდ მაშინ, როცა გაირკვევა, რომელ ენაზე არსებულ და რა ტიპის ლექციონარებით სარგებლობდნენ ქართველი მთარგმნელები თუ რედაქტორები.

IV. ქართული ვერსიების მომდინარეობის საკითხი

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ძეგლის სამი ვერსიაა სრული სახით დაცული. მაგრამ ეს როდი მიშნავს, რომ სამი დამოუკიდებელი თარგმანი გვქონდეს. არა, ეს სამი ვერსია ერთი ძველი თარგმანის სხვადასხვა დროს სხვადასხვა წყაროებთან შეჯერების და რედაქციული დამუშავების შედეგადაა მიღებული.

ჩვენი ძეგლის, როგორც ბიბლიაში შემავალი ერთ-ერთი წიგნის, ქართული ვერსიების წარმომავლობის საკითხი მეტად რთულია. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მკვლევრებმა დანამდვილებით დღესაც არ იციან არა თუ მთელი ბიბლიის ქართული თარგმანის მიმდინარეობა, არამედ მასში შემავალი რომელიმე ერთი წიგნისაც კი. ამ საკითხის კვლევას ის აძნელებს, რომ თავდაპირველი სახით არ შემოგვრჩენია არც ძველი ქართული თარგმანი და არც უცხო წყარო, საიდანაც უნდა ეთარგმნათ ბიბლიური წიგნები ჩვენს წინაპრებს.

ქართული ბიბლიის მომდინარეობაზე არსებულ სხვადასხვა შეხედულებათაგან დადებით ფაქტად ის გამოიყოფა, რომ განსაზღვრულ და შემოფარგლულ იქნა შესადარებელ წყაროთა წრე. გაირკვა, რომ ქართული ბიბლიის თარგმნის საკითხი შეიძლება დაისვას მხოლოდ: ა) აღმოსავლურ (ებრაულ-სირიულ), ბ) ბერძნულ და გ) სომხურ წყაროებთან მიმართებით. მკვლევართა ნაწილს ქართული ბიბლია ბერძნულ წყაროდან მომდინარედ მიაჩნია (ფ. ალტერი, ჰომლეზი, მ. ბროსე, ალ. ხახანაშვილი, ალ. ცაგარელი...), ნაწილს კიდევ—სომხური წყაროდან (დ. ბაქრაძე, ნ. მარი, რ. ბლეიკი, გუსენი, კლუგე...)[1], ხოლო ზოგი მკვლევარი ქართული ბიბლიის უშუალოდ აღმოსავლურ (ებრაულ-სირიულ) წყაროდან მომდინარეობასაც არ გამორიცხავს (კონიბერი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, პ. ინგოროყვა). კ. კეკელიძეს აღნიშნული აქვს: „ამ თავად შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი რედაქციები ქართული ბიბლიისა, რომლებიც პირველი პერიოდიდან მომდინარეობენ. უმეტეს შემთხვევაში აღმოსავლური წყაროებიდან, შეუსწორებლად, ანდა ბერძნული სეპტანტის შეჯერებით, რასაკვირველია, სხვადასხვა საზომით: იერუსალიმური (წინასწარმეტყველები), ოშკური ანუ ათონური (978 წლისა), მცხეთური (A—51), მოსკოური (1743. დაბეჭდილი) და ჯანაშვილისეული (A—570, 646)[2] ა. შანიძეს შენიშნული აქვს სირიული ფორმები ძველ ქართულ თარგმანებში[3]. პ. ინგოროყვა კი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ქართული ბიბლია „თავდაპირველად ებრაულიდან ყოფილა თარგმნილი“[4].

---

[1] ამ საკითხზე ზოგადი ცნობები იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 393—400. Месроп Тер-Мовсесян, История перевода библии на армянский язык, С.-Пб., 1902, გვ. 48—49; 52—75 და სხვ.

[2] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 391.

[3] ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, ტფ. უნივ. მოამბე, VII, 1927, გვ. 107. მისივე, სინური მრავალთავი 864 წლის, 1959, გვ. 328.

[4] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, № 4, 1939, გვ. 115.

უახლეს წლებში გამოქვეყნებული შრომებიდან ჩანს, რომ საზღვარგარეთელ მკვლევართა დიდ ნაწილში განმტკიცებულია აზრი, რომ ქართული ბიბლია ნათარგმნია სომხური რედაქციიდან, ხოლო ეს უკანასკნელი კი — სირიულიდან (S. Lyonnet[5]-ი, დ. ლ ა ნ გ ი[6], ი. მ ო ლ ი თ ო რ ი...) ქართული ბიბლიის ძველი ვერსიების წარმომავლობის საკითხზე განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ ი. ა ს ფ ა ლ გ ი და ი. მ ო ლ ი თ ო რ ი უკანასკნელის შრომებიდან აღსანიშნავია: ა) „საკუთარი სახელები სახარებისა და საქმე მოციქულთას ძველ ქართულ თარგმანებში“ [7], სადაც საგანგებოდაა გამოყოფილი ბერძნული წარმომავლობის სახელები, აგრეთვე სომხური და სირიული ფორმის სახელები ქართულ თარგმანში ბ) ძველი აღთქმის ქართული ტექსტის ისტორიისათვის“ [8]. გ) ბიბლიის ძველი სირიული თარგმანის კვალი იერემიას ხანმეტ პალიმფსესტში“ [9].

ჩვენი მიზანია არა მოყვანილ შეხედულებათა ანალიზი და შეფასება, არამედ იმის ჩვენება, იძლევა თუ არა აშკარა მინიშნებებს იერემიას წინასწარმეტყველების ძველ ვერსიათა ტექსტობრივი შედარება ბერძნულ-სომხურ წყაროებთან, რომ ვთქვათ: ჩვენი ძეგლის უძველესი თარგმანი უნდა მოდიოდეს ამა და ამ წყაროდან, ან: ქართული თარგმანის თავდაპირველი წყარო არ შეიძლება ყოფილიყო ესა და ეს უცხოენოვანი ტექსტი.

§ 16. ქართული ვერსიების ტექსტუალური მიმართება უცხო წყაროებთან

იერემიას წინასწარმეტყველების ძველ ქართულ ვერსიათა მთელი ტექსტის ბერძნულ სეპტანტასთან [10] შედარებამ გამოავლინა, რომ ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს ქართული თარგმანის თავდაპირველი წყარო, რასაც გვაფიქრებინებს არსებული სხვაობები ქართულსა და ბერძნულ ტექსტებს შორის, როგორც ამას გვიჩვენებს: 1) თავებისა და მუხლების თანმიმდევრობა, 2) შინაარსობლივი მხარე (კლება-მატება), 3) საკუთარ სახელთა გადმოცემა.

იერემიას წინასწარმეტყველების ტექსტში თავებისა და მუხლების სათვალავი და თანმიმდევრობა ერთნაირია ბერძნულ სეპტანტასა და ებრაულ მასორეტულში მხოლოდ 25-ე თავის მე-15 მუხლამდე. შემდგომ კი არსებითი სხვაობაა. სეპტან-

[5] Les origines de la version arménienne et le Diatessaron: Biblica et Orientalia, 13, Rome, 1950.

[6] Bulletin of the School of Oriental and African Studies, London, XXIV. დ. ლ ა ნ გ ი ს შრომის კრიტიკული შეფასება მოცემულია ს. ს ე რ ე ბ რ ი ა კ ო ვ ი ს წერილში „К вопросу об отношении двух древнейших редакции грузинского четвероглава к греческим версиям“: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, I, 1962, გვ. 117—120.

[7] J. M o l i t o r, Die Eigennamen in der altgeorgischen Übersetzung der Evangelien und der apostelgeschichte und ihre textkritische Bedeutung,... Bamberg, 1962.

[8] მ ი ს ი ვ ე, Zur Textgeschichte des georgischen Alten Testamentes: BK, № 32—33 1959.

[9] მ ი ს ი ვ ე, Spuren altssyrischen Bibelübersetzung in den Chanmeti-Palimpsesten aus Jeremias: BK, XV—XVI (№ 43—44), Paris, 1963.

[10] ვსარგებლობდით სეპტანტის ორი გამოცემით: Vetus Testamentum graecum juxta septuaginta interpretes, Parisiis, 1882. და: Septuaginta id est Vetus Testamentum graece juxta LXX interpretes, edidit A l f r e d R a h l f s, Stuttgart, 1952.
ხოლო სომხური ბიბლიის ზ ო პ რ ა ბ ი ს გამოცემით (ვენეცია, 1805).

ტაში მასორეტულთან შედარებით გადაადგილებულია თავები და მუხლები. ასეთ შემთხვევაში ქ ა რ თ უ ლ ი ტ ე ქ ს ტ ი ს თავებისა და მუხლების რიგი მასორეტულს მისდევს და ა რ ა ს ე პ ტ ა ნ ტ ა ს. აქვე მოგვყავს თავებისა და მუხლების მაჩვენებლები ქართულსა და მასორეტულ ტექსტებში: სეპტანტის ჩვენება აღნიშნულია ფრჩხილებში ჩასმით: 25,15-38 (32,1-24), 26(33), 27(34), 28(35), 29(36), 30(37), 31(38), 32(39), 33(40), 34(41), 35(42), 36(43), 37(44), 38(45), 39(46), 40(47), 41(48), 42(49), 43(50), 44(51,1-30), 45(51,31-35), 46(26), 47(29,1-7), 48(31), 49,1-6 (30,17-22), 49,7-22, (30,1-6), 49,23-27(30, 29,33), 49,28-33(30,23-28), 49,34-39[11] (25,14-19), 50(27), 51(28), 52(52).

თავებისა და მუხლების განსხვავებულ რიგს სეპტანტაში იმით ხსნიან, რომ სეპტანტას წყარო უნდა ყოფილიყო მასორეტულისაგან განსხვავებული სხვა ებრაული რედაქციაო[12]. ბოლო დროის აღმოჩენებმა ამ ვარაუდს მხარი დაუჭირეს[13].

სომხურ ვერსიაშიც თავებისა და მუხლების რიგი ისეთივეა, როგორც მასორეტულსა და სირიულ რედაქციებში. ამ ფაქტს კ ო ნ ი ბ ე რ ი სომხური ვერსიის აღმოსავლური წყაროდან მომდინარეობის საბუთად იყენებდა[14].

ებრაული მასორეტული ტექსტის 23,7-8 ადგილი ბერძნულ სეპტანტაში ამავე თავის მე-40 მუხლის შემდეგაა, ქართულ თარგმანში კი იქაა, სადაც უნდა ყოფილიყო მასორეტულის მიხედვით, ე. ი. მე-6 მუხლის შემდეგ. მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ქართული თარგმანი შემდგომ შეუჯერებიათ ბერძნულ წყაროსთან, რის შედეგადაც ეგევე მუხლები განმეორებით შეუტანიათ ტექსტში მე-40 მუხლის შემდეგაც. აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მსგავსი მუხლების ჩვეულებრივ განმეორებასთან ან გადამწერის შეცდომასთან, არამედ ერთი ადგილის ორ თარგმანთან: 23,7-8 მუხლების ტექსტი, რომელიც იქაა, სადაც უნდა იყოს ებრაული წყაროს მიხედვით (ე. ი. მე-6 მუხლის შემდეგ), მასორეტულ წაკითხვას მიჰყვება, ხოლო ეგევე ტექსტი, რომელიც განმეორებით შეუტანიათ სეპტანტის კვალობაზე მე-40 მუხლის შემდეგ, ბერძნულ რედაქციას მისდევს:

ქართული ტექსტი (J)	ებრ. ტექსტი (რუსული თარგმანით)	ქართ. ტექსტი (J)	ბერძნული ტექსტი
23,7. ამისთჳს (აჰა) ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და არღარა თქუან: ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოიყვანნა ძენი ისრაჱლისანი ქუეყანით ეგჳპტით.	Посему вот придут дни, говорит господь, когда уже не будут говорить: „Жив господь, который вывел сынов Израилевых из земли Египетской".	23,7ა[15] ამისთჳს (აჰა) ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და არღარა თქუან მ ე რ მ ე, ვითარმედ: ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოიყვანნა ძენი ისრაჱლისანი ქუეყანით ეგჳპტით.	*Διὰ τοῦτο ἰδοὺ ἡμέραι ἔρχονται, λέγει Κύριος, καὶ οὐκ ἐροῦσιν ἔτι Ζῇ Κύριος, ὃς ἀνήγαγεν τὸν οἶκον Ἰσραὴλ ἐκ γῆς Αἰγύπτου.*

11 ეს ადგილი ქართულში 46-ე თავს წინ უსწრებს.

12 И. Я к и м о в, Отношение греческого перевода LXX... к еврейскому мазоретскому тексту в книге пророка Иеремии, С.-Пб., 1874, გვ. 318.

13 И. А м у с и н, Рукописи Мертвого моря, Москва, 1960, გვ. 82.

14 ნ. წიგნში: М е с р о п Т е р-М о в с е с я н, История перевода библии..., გვ. 63

15 23,7ა, 23,8ა-თი აღნიშნულია მე-40 მუხლის შემდეგ განმეორებით შეტანილი ტექსტი. 23.7. ამისთჳს] — O; აჰა] — J;

ქართული ტექსტი (J)	ებრ. ტექსტი (რუსული თარგმანით)	ქართ. ტექსტი (J)	ბერძნული ტექსტი
23,8. არამედ: ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოიყვანა და მ ო ი ყ ვ ა ნ ა ნათესავი სახლისა ისრაჱლისაჲ ქუეყანით ჩრდილოჲთ და ყოველთაგან სოფელთა, სადაცა განვაბნიენ იგინი და კუალად-ვაგნე იგინი, და დაეშენენ ქუეყანასა მათსა.	Но: „Жив господ, который созвал и который привел племя дома Израилева из земли северной и из всех земель, куда я разогнал их“; и будут жить на земле своей.	23,8ა[15]. არამედ: ცხოველ არს უფალი, რომელმან აღმოიყვანა და შ ე კ რ ი ბ ა ყოველი ნათესავი ისრაჱლისაჲ ქუეყანით ჩრდილოჲთ და ყოველთაგან სოფელთა, სადაცა გ ა ნ ი შ ო ვ რ ნ ა იგინი მუნ და კუალადაგნა იგინი ქუეყანასა მათსა.	*ἀλλὰ ζῇ Κύριος ὃς συνήγαγεν ἅπαν τὸ σπέρμα Ἰσραὴλ ἀπὸ γῆς βοῤῥᾶ, καὶ ἀπὸ πασῶν των χωρῶν οὗ ἔξωσεν αὐτοὺς ἐκεῖ, καὶ ἀπεκατέστησεν αὐτοὺς εἰς τὴν γῆν αὐτῶν.*

საყურადღებოა, რომ G რედაქციაშიც ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც JO-ში, მაგრამ ის ტექსტი (მე-7-8 მუხლებისა), რომელიც განმეორებითაა შეტანილი მე-40 მუხლის შემდეგ, ს. ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს დაუმუხლავი დაუტოვებია და იქვე ხელნაწერის აშიაზე მიუწერია: „ე ს მ ე ტ ი ა“; ჩანს, ს ა ბ ა ს შეუნიშნავს რომ ეს ტექსტი ქართულში მე-7 და მე-8 მუხლებად მოდიოდა. ს ა ბ ა ს შენიშვნა გათვალისწინებულია წინასწარმეტყველთა წიგნების ვახტანგისეულ გამოცემაში (W), სადაც ხსენებული მუხლები გახმეორებით აღარ შეუტანიათ.

ასევე გადაადგილებულია 31-ე თავის შემდეგი მუხლები 35(36), 36(37), 37(35) და სხვ.

ქართული ტექსტის ბერძნულთან შედარებამ ვამოავლინა, რომ ტექსტობრივად დიდი სხვაობაა ქართულსა და ბერძნულ ვერსიებს შორის, კერძოდ: ქართულში ადგილი აქვს სიტყვათა, ფრაზათა და წინადადებათა მ ე ტ ო ბ ა ს. ბიბლიოლოგიაში აღნიშნულია, რომ ბერძნული სეპტანტა საგრძნობლად მოკლეა მასორეტულ რედაქციასთან შედარებით, და ეს მის წიგნთაგან ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ა დ ი ე რ ე მ ი ა ს წინასწარმეტყველებას ეხება. მიუთითებენ, რომ იერემიას წინასწარმეტყველების სეპტანტისეული ტექსტი 48 მუხლით ნაკლებია მასორეტულზე[16]. სხვა ცნობითაც, ჩვენი ძეგლის სეპტანტისეული ტექსტი $\frac{1}{8}$-ით (დაახლოებით 2700 სიტყვით) ნაკლებია მასორეტულზე[17]. სეპტანტას აკლია შემდეგი მუხლები: 2,1; 7,1; 8,11-12; 10,6-8; 10,10; 11,7; 17,1-4; 25,14; 26,26; 28,45-48; 31,45-47; 34,1; 34,7; 36,16-20; 37,10-11; 37,15; 37,22; 40,14-26; 46,4-13; 52,2-3; 52,15; 52,28-30 (სულ 62 მუხლი). ნაკლულია შემდეგი მუხლები: 2,2); 5,16; 7,2; 7,27; 8,10; 11,8; 14,3; 14,10; 16,1; 16,6; 23,37; 28,44; 29,1; 31,40; 36,14; 36,25; 38,17; 39,5; 41,10-11; 51,11-12; 52,27 (სულ 23 მუხლი)[18]. მუხლები, რომლებიც აკლია ან ნაკლულია სეპტანტაში, ქართული ტექსტის სათა-

23,8. აღმოიყვანნა O; მოიყვანნა O ნათესავნი O; ისრაჱლისანი O; სადა O; იგინი] + მუნ O. კუალად-აგნა O დაეშჱნნეს O; 23,7ა: მერმჱ O; 23,8ა: შეკრიბნა O; ყოველნი ნათესავნი ისრაჱლისანი O; ყოველთა O; სოფელთაგან O. განიშორნა O.

[16] Православная богословская энциклопедия, составлен под редакциею проф. Н. Г л у б о к о в с к о г о, т. VI, С.-Пб., 1905, გვ. 285.

[17] Толковая библия..., проф. А. П. Л о п у х и н а, т. 6, С.-Пб, 1914, გვ. 10.

[18] მუხლები, რომლებიც სეპტანტაში არ არის ან ნაკლულია, ბერძნული ტექსტის პარიზულ გამოცემაში (1882) სრულადაა მოყვანილი კომპლუტენის გამოცემისა და სხვა წყაროთა ჩვენების საფუძველზე, ოღონდ ეს მუხლები ძირს არის ჩამოტანილი და წვრილი შრიფტით დაბეჭდილი. სეპტანტის ტექსტის ა. რ ა ლ ფ ი ს გამოცემაში (1952) ეს ადგილები არ შესულა.

ნადო ადგილებში *სრულად გვაქვს*. ასევე სრულადაა ამ მუხლების ტექსტი სომხურ ვერსიაშიც.

გარდა ამისა ჩვენ აღვნუსხეთ ტექსტუალური სხვაობანი სეპტანტასა და ქართულ ვერსიებს შორის. რაც *მეტი* აღმოჩნდა *ქართულ* ტექსტში სეპტანტასთან შედარებით, მისი ფარდი დაუცავს ებრაულ მასორეტულ ტექსტს. სომხური ვერსიაც ქართულის მსგავსად სხვაობს სეპტანტასთან.

აღსანიშნავია, რომ G ვერსია, რომელიც პედანტური სიზუსტით მისდევს ბერძნულ ტექსტს, თითქმის ყველა იმ სიტყვას თუ ფრაზას შეიცავს, რაც JO-ში მეტია სეპტანტასთან შედარებით. ჩანს, შეჯერება ეხებოდა არა ძველი ქართული თარგმანის ტექსტუალურ *შედგენილობას*, სტრუქტურას (კლებას თუ მატებას), არამედ *არსებული* ტექსტის ბერძნულთან დაახლოებას, *სტილიზაციას*.

ქართული ვერსიების *მთელი* ტექსტის ბერძნულ სეპტანტასთან შედარებამ იმდენი „მეტი" სიტყვები თუ ფრაზები გამოავლინა ქართულში, რომ სიმრავლის გამო ყველას მოყვანა მიზანშეწონილი არ იყო. ამიტომ საგანგებოდ შევარჩიეთ ერთმანეთისაგან დაშორებული თავების ტექსტი (V, XXV, XXVIII, XXXV, XLI, L), მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ პრინციპულად ანალოგიური ვითარებაა ყველა დანარჩენ თავშიც.

რადგან ქართულ ტექსტში ხაზგასმული სიტყვების ფარდი სეპტანტას აკლია, ამ უკანასკნელის ჩვენება არ მოგვყავს.

ქართული ტექსტი[19] (JO ვერსიები)	სომხური ტექსტი	ებრაული ტექსტი (რუსული თარგმანი)
5,15, *ნათესავი წინანდელი არს, ნათესავი საუკუნითგანი არს*, ნათესავი რომლისაჲ არა გესმეს ენისა მისისაჲ, *არცა ლათუ გესმეს, რასა იტყოდის*.	,..ազգ որ առաջին... ազգ որ յաւիտենից, ազգ որոյ ոչ լսիցես զլեզուս նորա, և ոչ իմանայցես զխօսս նորա.	...Народ сильный, народ древний, народ, которого языка ты не знаешь, и не будешь понимать, что он говорит.
25,7. და არა ისმინეთ ჩემი, *თქუა უფალმან, რომელ განმარისხოთ საქმითა ჴელთა თქუენთაჲთა მედგრის-ყოფად თქუენდა* (-O).	Եւ ոչ լուայք ինձ ասէ տէր զի բարկացուցանիցէք զիս գործովք ձեռաց ձերոց չարչարել զձեզ,	Но вы не слушали меня, говорит господь, прогневляя меня делами рук своих, на зло себе.
25,9. აჰა ესერა მე მივავლინო... *თქუა უფალმან, და ნაბუქოდონოსორ, მეფჱ ბაბილოვნის(აჲ), მონაჲ ჩემი*, და მოვიყვანნე იგინი...	Ահաւասիկ ես առաքեմ.,. ասէ. տէր և զՆաբուքոդոնոսոր արքայ բաբելացւոց զծառայ իմ, և ածից զնոսա...	Вот я пошлю..., говорит господь, и пошлю к Навуходоносору, царю Вавилонскому, рабу моему, и приведу их...
25,11. და იყოს ყოველი ქუეყანაჲ განსარყუნელად და *აღსაოჴრებელად* (O: *საოჴრებელად*) და ჰმონებდენ *ნათესავნი ესე* წარმართთა შორის *მეფესა ბაბილოვნისასა* სამეოც და ათ წელ.	Եւ եղիցի ամենայն երկիրդ այդ յաւերակ և յապականութիւն և ծառայեսցեն ազգացն այնոցիկ՝ և արքային բաբելացւոց զեօթանասուն ամ.	И вся земля эта будет пустынею и ужасом, и народы сии будут служить царю Вавилонскому семьдесят лет.

[19] O-ს J ვერსიისაგან განსხვავებული წაკითხვებიდან აღნიშნულია მხოლოდ ძირითადი.

ქართული ტექსტი (JO ვერსიები)	სომხური ტექსტი	ებრაული ტექსტი (რუსული თარგმანი)
25,12. შური ვიძიო მეფესა ზედა ბაბილოვნისასა და ძიება-ვყო ნათესავსა ამას ზედა, თქუა უფალმან, ძიებით (-O) უშჯულოებათა მათთა ქუეყანასა მას ქალდეველთასა...	...խնդրեցից զվրէժս 'ի թագաւորէն բաբելացւոց. և յազգէն յայնմանէ՛ ասէ տէր. բառ անօրէնութեանց նոցա և յերկրէն քաղդեացւոց.„	...Накажу царя Вавилонского и тот народ, говорит господь, за их нечестие и землю Халдейскую, и сделаю ее вечною пустынею.
25,13... რომელსა წინაწარმეტყუელებდა იერემია ყოველთათჳს წარმართთა.	...զոր մարգարէացաւ երեմիա 'ի վերայ ամենայն ազգաց,	...что Иеремия пророчески изрек на все народы.
25,22... და ყოველთა მეფეთა ჭალაკთასა, რომელნი არიან წიაღ ზღუასა.	...և թագաւորաց կղզւոյն որ յայն կոյս ծովուն.	...и царей островов, которые за морем.
25,24. და ყოველთა მეფეთა არაბიაჲსათა და ყოველთა მეფეთა შეყოფილთა, რომელნი...	և ամենայն թագաւորացն արաբացւոց, և ամենայն թագաւորաց խառնիճաղանճին...	и всех царей Аравии, и всех царей народов разноплеменных...
25,25. და ყოველთა მეფეთა ზამბრისთა (-O) და ყოველთა მეფეთა ელამისთა და ყოველთა მეფეთა არშაკთასა და სპარსთასა.	և ամենայն թագաւորացն զամբրեայ, և ամենայն թագաւորացն եղամայ, և ամենայն թագաւորացն պարսիկ.	...всех царей Замврии, и всех царей Елама, и всех царей Мидии.
25,26... და მეფემან სისაქ სუას უკუანაჲსკნელ მათსა.	...և թագաւորն սիսակ արբցէ յետ ամենեցուն	...а царь Сесаха выпьет после них.
25,33. არა იტყებდენ, არცაღა შეკრბენ, არცა დაეფლნენ...	... մի՛ կոծեսցին և մի՝ ժողովեսցին...	...Не будут оплаканы и не будут прибраны и похоронены...
28,1. და იყო წელსა მას, დასაბამსა მეფობასა სედეკიაჲსსა, მეფისა იუდაჲსსა, წელსა მეოთხესა...	և եղև յամին յայնմիկ ի՛ սկզբան թագաւորութեան սեդեկայ արքայի յուդայ յամին չորրորդի...	В тот же год, в начале царствования Седекии, царя Иудейского, в четвертый год...
28,2. ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ...	Այսպէս ասէ տէր զօրութեանց աստուած իսրայէլի...	Так говорит господь Саваоф, бог Израилев...
28,3... რომელ წარიღო ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილოვნისამან ამის (-O) ადგილისაგან (-O) და შეიღო იგი ბაბილონდ.	...զոր միանգամ առ նաբուքոդոնոսոր արքայ բաբելացւոց 'ի տեղւոջէդ յայդմանէ, և տարաւ 'ի բաբելովն	...Которые Навуходоносор, царь, Вавилонский, взял из сего места, и перенес их в Вавилон.
28,4. და იექონია, ძჱ იოაკიმისი, მეფჱ იუდაჲსაჲ, და ყოველი ტყუჱ იუდაჲსაჲ, რომელნი მივიდეს ბაბილონდ, მე მოვაქციო ამასვე ადგილსა, (თქუა) უფალმან ეგრე, და ნატყუენავი იუდაჲსი...	և զյեքոնիա որդի յովակիմայ արքայի յուդայ և զամենայն գերութիւն հրէաստանի որք մտին 'ի բաբելոն՝ դարձուցից ես 'ի տեղիս յայս՝ ասէ տէր. և զյեքոնիա, և զգերութիւն յուդայ ..	И Иехонию, сына Иоакима, царя Иудейского, а всех пленных Иудеев, пришедших в Вавилон, я возвращу на место сие, говорит господь.
28,5-6... იერემია წინაწარმეტყუელმან.	...երեմիա մարգարէ.	...Иеремия пророк.

ქართული ტექსტი (JO ვერსიები)	სომხური ტექსტი	ებრაული ტექსტი (რუსული თარგმანით)
28,8. მეუფებათა ზედა დიჯთა (O: დიდ-დიდთა) ბრძოლად და ბოროტის-ყოფად და სიკუდიდ.	...՚ի վերայ բազում աշխարհաց և մեծամեծ թագաւորութեանց ՚ի պատերազմ, և ՚ի չարիս և ՚ի մահ.	...великим царством войну и бедствие и мор.
28,11. ...ესრე შევმუსრო უღელი ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისაჲ შემდგომად ორისა წლისა დღეთა...	այսպէս խորտակեցից զլուծ նաբուքոդոնոսորայ արքայի բաբելացւոց, յետ երկուց ամաց աւուրց.,.	... так сокрушу ярмо Навуходоносора, царя Вавилонского, через два года...
28,14. ...უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ... და მჴეცნიცა ველისანი მიმიცემიან მას.	...տէր զօրութեանց աստուած իսրայէլի... և զգազանս անապատի ետու նմա	...господь Саваоф, бог Израилев... и даже зверей полевых я отдал ему.
28,15. ...ანანიას ცრუ-წინაწარმეტყუელსა...	.. ցանանիա մարգարէ ..	...Пророку Анании.
28.16. ...რამეთუ განდრეკასა იტყოდე უფლისა მიმართ.	...զի խոտորումն խօսեցար ՚ի տեառնէ,	...потому что ты говорил вопреки господу.
28,17. და მოკუდა ანანია ცრუ-წინაწარმეტყუელი მას წელსა, თთუესა მეშჳდესა.	..,և մեռաւ անանիա մարգարէ յամին յայնմիկ, յամսեանն եւթներորդի.	И умер пророк Анания в том же году в седьмом месяце.
35,2. ...და მოუწოდე მათ და შეიყვანენ იგინი სახლსა...	...և կոչեա զնոսա՝ և ածցես ՚ի տուն..,	...поговори с ними, и приведи их в дом...
35,11. ...აღმოჴდა ნაბუქოდონოსორ მეფჱ ბაბილოვნისაჲ.	... ել նաբուքոդոնոսոր արքայ բաբելացւոց.	...Навуходоносор, царь Вавилонский, пришел...
35,13. ...იტყჳს უფალი.	...ասէ տէր.	...говорит господь...
35,17. ამისათჳს ესრე თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაჱლისამან... ყოველი მის წილ, რამეთუ ვეტყოდე მათ, და არა ისმინეს ჩემი და (-J) უჴმობდი მათ (-O) და არა ჴმა-მიყვეს მე.	վասն այնորիկ այսպէս ասէ տէր զօրութեանց աստուած իսրայէլի... փոխանակ զի խօսեցայ ընդ նոսա՝ և ոչ լուան. կոչեցի զնոսա՝ և ոչ ետուն ինձ պատասխանի,	Посему так говорит господь, бог Саваоф, бог Израилев..., потому что я говорил им, а они не слушались, звал их, а они не отвечали.
35,18. და სახლსა რექაბისსა ჰრქუა იერემია: ამისათჳს ესრე თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაჱლისამან.,. და დაიმარხნეს ყოველნი მცნებანი მისნი.	Եւ առ տուն ռեքէբայ ասաց երեմիա վասն այդորիկ այսպէս ասէ տէր զօրութեանց աստուած իսրայէլի.,. և պահեցին զամենայն հրամանս նորա,.	А дому Рехавитов сказал Иеремия: так говорит господь Саваоф, бог Израилев... и храните все заповеди его.
35,19. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ...	վասն այնորիկ այսպէս ասէ տէր զօրութեանց աստուած իսրայելի.	За то, так говорит господ Саваоф, бог Израилев...
41,2. და აღდგა ისმაელ, ძჱ ნათანისი... სცეს გოდოლიას, ძესა აქიკამისსა, ძისა საფანისსა, მახჳლითა და მოკლეს იგი.	Եւ յարեաւ իսմայէլ որդի նաթանայ,.. եհար զգոդողիա որդի աքիկամայ որդւոյ սափանայ սրով՝ և սպան զնա.	И встал Исмаил, сын Нафании..., поразил Годолию, сына Ахикама, сына Сафанова, мечем и умертвили того.
41,3. ... და (J) კაცნი იგი (—J) მბრძოლნი მოწყჳდნა ისმაელ,	...զարս պատերազմօղս կոտորեաց իսմայէլ.	...убил Исмаил..., людей военных.

ქართული ტექსტი (JO ვერსიები)	სომხური ტექსტი	ებრაული ტექსტი (რუსული თარგმანით)
41,6 და გამოვიდა ისმაელ, ძე ნათანისი, წინა-მიგებებად მათა მასეფათით... და იყო, რაჟამს მიეახლა მათ, ჰრქუა მათ: შევედით გოდოლიაჲსა, ძისა აქიკამისა.	*Եւ ել Իսմայէլ որդի Նաթանիայ ընդ առաջ նոցա 'ի Մասսեփա. Եւ եղեւ իբրեւ մերձեցաւ 'ի նոսա' ասէ ցնոսա մտէք առ Գոդողիա որդի Աքիկամայ...*	...Исмаил, сын Нафании, вышел из Массифы на встречу им..., и встретившись с ними, сказал им: идите к Годолии, сыну Ахикама.
41,7. მოწყჳდნა იგინი ისმაელ, ძემან (-J) ნათანისმან (-J), და შთასთხინა იგინი ჯურღმულსა, მან და კაცთა მათ მისთანათა.	*...կոտորեաց զնոսա Իսմայէլ որդի Նաթանիայ... Եւ ամաց 'ի ջրհոր' ինքն Եւ արք որ ընդ նմա.*	...Исмаил, сын Нафании, убил их, и бросил их в ров, он и бывшие с ним люди.
41,10. ...და აღიმსდო ისმაელ, ძემან ნათანისმან, და წარვიდა წიაღ (-O) ძეთა ამონისთა.	*...Եւ կալեալ Իսմայէլ որդի Նաթանիայ ընդ առաւօտս, Եւ գնաց յայն կոյս առ որդիսն Ամովնայ,*	...захватил их Исмаил, сын Нафании, и отправился к сыновьям Аммоновым.
41,14. და უკუმოიქცა ყოველი ერი (-O), რომელ წარტყუენა ისმაელ მასცფათით, და მოიქცეს და მოვიდეს იონანისა, ძისა კარესისა.	*Եւ դարձաւ առ նոսա ամենայն ժողովուրդն զոր գերեաց Իսմայէլ 'ի Մասսեփա, Եւ եկին առ Յովնան որդի Կարէի.*	И отворотился весь народ, который Исмаил увел в плен из Массифы и обратился и пошел к Иоанну, сыну Карея.
41,16. რომელ უკუმოიქცინნეს ისმაელისაგან, ძისა ნათანისა, შემდგომად მოკლვისა გოდოლიაჲსა, ძისა ჰაქიკამისა, რომელ მის თანა მოწყჳდნეს (-რომელ მის თანა მოწყჳდეს -O) ძლიერნი კაცნი...	*...զորս թափեաց յԻսմայէլէ յորդւոյ Նաթանիայ 'ի Մասսեփա յետ սպանանելոյն զԳոդողիա որդի Աքիկամայ զարս հզօրս...*	...который он освободил от Исмаила, сына Нафании, после того, как тот убил Годолию, сына Ахикама, мужчин, военных людей...
50,1. სიტყუაჲ, რომელ თქუა უფალმან ბაბილონსა ზედა, ქუეყანასა ქალდეველთასა, ჴელითა იერემია წინაწარმეტყუელისაჲთა.	*Բանն զոր խօսեցաւ Տէր 'ի վերայ Բաբելոնի, առ երկիրն Քաղդեացւոց 'ի ձեռն Երեմիա մարգարէի.*	Слово, которое изрек господь о Вавилоне и о земле Халдеев чрез Иеремию пророка.
50,2. ...და აღიღეთ ნიში, ასმინეთ..., არქუთ:... ჰრცხუენი კერპთა (-J) მისთა (-J)... ჰრცხუენა ქანდაკებულთა მათ მისთა.	*...նշան կանգնեցէ'ք լսելի արարէք..., յամօթ եղեն կուռք նորա, ամաչեցին դարշելիք նորա.*	...и поднимите знамя, объявите..., говорите:... истуканы его посрамлены, идолы его сокрушены.
50,3. ...კაცითგან მიპირუტყუადმდე, შეირყინნეს და წარჴდეს.	*...'ի մարդոյ մինչեւ յանասուն ղի խախփեցան Եւ գնացին.*	...от человека до скота все двинутся и уйдут..
50,4-10. თქუა უფალმან.	*ասէ Տէր.*	говорит господь.
50,12. ...აღსასრული წარმართთაჲ ოჴერ და (-O) ურწყულ და უგზო.	*...վախճան ազգաց' աւեր, անջուրք Եւ անապատ.*	...вот будущность тех народов—пустыня, сухая земля и степь.
50,18. ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ...	*Վասն այդորիկ այսպէս ասէ Տէր զօրութեանց աստուած Իսրայէլի.*	Посему так говорит господь Саваоф, бог Израилев.
50,19. ...ძოვდეს იგი კარმელსა შინა და ბასანს.	*...արածեսցի 'ի Կարմելոս, Եւ 'ի Բասան,*	... будет пастись на Кармиле и Васане.

ქართული ტექსტი (JO ვერსიები)	სომხური ტექსტი	ებრაული ტექსტი (რუსული თარგმანით)
50,24. წინასწარმეტყუელებაჲ იერემიაჲსი (-O): მე გბრძავ შენ...	—	—
50,28... შურის-ძიებაჲ ტაძრისა მისისაჲ·	...զվրէժխնդրութիւն տաճարի իւրոյ.	... о мщении за храм его.
50,36. მახჳლი მკჳდრთა ზედა მისთა, მახჳლი გრძნებათა ზედა მისთა, და მოისპნენ, მახჳლი მბრძოლთა ზედა მისთა, და მოუძლურდენ (მახჳლი გრძნებათა ზედა მისთა, -O).	Սուր 'ի վերայ ըղձութեանց նորա, և բարձցին. սուր 'ի վերայ պատերազմողաց նորա և լքցին.	Меч на обаятелей, и они обезумеют, меч на воинов его, и они оробеют.
50,39. ...და არა დაემკჳდროს იგი თესლითი თესლამდე.	...և մի' ևս բնակեսցէ յաւիտեան.	...не будет... населяема в роды родов.
50,44. ადგილსა მას ეთამისასა, სამკჳდრებელსა მას (-O) ზედა პირველსა...	...'ի տեղին ենթամայ դի... —	— на укрепленныя жилища...

პროფ. ი. იაკიმოვს თავის ვრცელ მონოგრაფიაში[20] განხილული აქვს შემთხვევები, როცა სეპტანტა მასორეტულისაგან ისეთ განსხვავებულ წაკითხვებს იძლევა, როგორც სირიული პეშიტტა. მკვლევრის მიერ განხილულ ადგილებს ქართულ რედაქციათა წაკითხვები შევუდარეთ. ქართული ტექსტის ჩვენება განსხვავებული აღმოჩნდა მასორეტულისაგან, მაგრამ მსგავსი—პეშიტტასა და სეპტანტასთან:

ა) 3,1: სირ. ты блудила с пастырями многими;[21] ბერძნ : ...σὺ ἐξεπόρνευσας ἐν ποιμέσι πολλοῖς; ებრ.: ...ты со многими любовниками блудодейстовал: ქართ.: შენ ისიძვე მწყემსთა თანა მრავალთა (JO).

ბ) 3,2: სირ.: ...как ворон в пустыне; ბერძნ. ὡσεὶ κορώνη ἐρεμοομένη: ებრ. ...как Аравитянин в пустыне; ქართ.: ვითარცა ყუავი უდაბნოსა შინა (JW).

გ) 4,11.: სირ. дух блуждающий; ბერძნ. πνεῦμα πλανήσεως. ებრ. ветер горячии; ქართ.: სული მაცთუნებელი (JO).

დ) 4,21: სირ. ...доколе видеть мне бегущего; ბერძნ. ...φεύγοντας: ებრ.: ...знамя, ქართ.: ვიდრემდის ვხედვიდე მეოტთა J (მტოლვარეთა (WO).

ე) 22,20: სირ.: Кричи из-за Моря; ბერძნ.: βόησον εἰς τὸ πέρας τῆς θαλάσσης; ებრ.: Кричи из Аварима: ქართ.: ღაღად-ყავ წიაღ-ზღუასა (JO). ებრაული ტექსტის საკ. სახელი ʿabarīm („ʿაბარიმ“ მთის სახელწოდება) სირიულსა და ბერძნულში გაგებულია, როგორც ორი სიტყვა ʿeber īm[22].

---

20 Отношение греческого перевода LXX...к еврейскому мазоретскому тексту в книге пророка Иеремии, С. Пб., 1874.

21 ებრაული და სირიული ტექსტების წაკითხვები მოგვყავს რუსული თარგმანით, როგორც ეს პროფ. ი. იაკიმოვის შრომაშია. ანგარიშს ვუწევთ მკვლევრისეულ და რუსული ბიბლიის თარგმანსაც.: იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 39—43.

22. И. Якимов, Толкование..., II, გვ. 375.

პროფ. ი. ტაკიმოვს განხილული აქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა სირიულსა და ბერძნულ ტექსტებს ერთნაირად აკლიათ სიტყვები ებრაულთან შედარებით. სირიულსა და ბერძნულში ნაკლული სიტყვები ქართულ რედაქციებში მოგვეპოვება, ე. ი. ქართული ებრაულ წაკითხვას მისდევს:

ა) 5,28: ებრ.: ... посему возвеличились и разбогатели, и разжирели, растолстели и преступили меру зла: ხაზგასმული სიტყვების ფარდი არაა სირიულსა და ბერძნულში. ქარ.: ამისთჳს რამეთუ განდიდნეს და განმდიდრდეს და განსუქნეს და განპოხნეს (განსხუეს O) და გარდაჰჴდეს სიტყუათა ჩემთა უკეთურებად (JO).

ბ) 7,13: ებრ.: Я говорил вам, с раннего утра говорил (დამარცვლული სიტყვები არაა სირ. და ბერძნ.-ში (ქართ.: აღვიმსთობდი და გეტყოდი (!) თქუენ JO), W: ვიტყოდე თქუენდამი, განთიად ვიტყოდე).

გ) 7,26: ებრ.: ...ожесточили выю свою, поступали худо в большей степени, чем отцы их; სირ. და ბერძნ.-ში ხაზგასმული სიტყვები აკლია; ქართ.: განიფიცხნეს ქედნი მათნი და ძჳრსა იქმოდეს უფროჲს მამათა მათთა O (ძჳრსა იქმოდეს] -JW).

დ) 50,14: ებრ.: ...потому что против Иеговы согрешил он. ეს სიტყვები სრულებით არაა სირ. და ბერძნულ ტექსტებში, ქართულში კი არის: ...რამეთუ უფალსა შესცოდა JOG.

§ 18. ერთი სიტყვის ორი სხვადასხვა წყაროდან მომდინარე თარგმანი

ეს შემთხვევა განსაკუთრებით საინტერესოა ქართული რედაქციების მომდინარეობის საკითხთან დაკავშირებით:

ა) 31,21: დაადგინენ შენდად ებგურნი, სიონ (JO); ბერძ. Στῆσον σεαυτὴν Σιὼν...; სომხ. *մատիր անձամբ անձին սրա՛ գու քեզ սիոն;*

ქართულ ტექსტში ბერძნულსა და სომხურთან შედარებით მეტია სიტყვა „ებგური" საქმე შემდეგშია: ებრაულ ტექსტშია ṣionīm (ციონიმ//სიონიმ), რომელიც არის მრ. რიცხვის ფორმა ṣiōn (სიონ) სიტყვისა. ეს სიტყვა გეზენიუსს თავის ლექსიკონში სწორედ ამ ადგილიდან აქვს დამოწმებული (იერ. 31,21) და განმარტავს მას, როგორც საგზაო ნიშანს (Wegemal[23]; შდრ. რუსული თარგმანი: путевые знаки). ეს ებრაული სიტყვა ბერძნულში უთარგმნელადაა შესული, რადგან შეცდომით საკუთარ სახელად გაუგიათ (Σιών). ქართული ტექსტი შემდგომ შეუჯერებიათ ბერძნულთან და „ებგურ"-ის გვერდით „სიონი"-ც გაჩენილა. რამდენად ზუსტია ქართულში „ებგურ" სიტყვის ხმარება ებრაული „სიონიმ"-ის ფარდად, ეს სხვა ამბავია, ოღონდ საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ლათინურ ვულგატაშიც „სიონიმ" თარგმნილია როგორც დარაჯი (ებგური): statue tibi speculam; შდრ სლავური: Постави себе самого Сионе, стражу. ამ უკანასკნელ სიტყვას

23 W. Gesenius, Hebräisches und Aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament, Leipzig, 1915, გვ. 682.

სლავურ ტექსტში ლათინური ვულგატიდან შესულად აცხადებენ.[24] მაგრამ ამ აზრის გავრცელება ქართული წაკითხვის მიმართ გაჭირდებოდა.

ა) 48,34: „.. გამოსცეს ჴმაჲ მათი სეგორითგან ორონენდმდე აგათსალისა[25], რამეთუ დიაკეული სმნიერი არს[26], რამეთუ წყალიცა იგი ნებრიმისაჲ შემწუველადვე იყოს“.

ბერძნ.. ἔδωκαν φωνὴν αὐτῶν, ἀπὸ Ζογὸρ ἕως Ὡρωναΐμ, καὶ ἀγγελίαν Σαλασία, ὅτι καὶ τὸ ὕδωρ Νεβρεὶν εἰς κατάκαυμα ἔσται.

სომხ. *Ետուն ձայնս իւրեանց 'ի Սեգովրայ մինչև յԵրովնայիմ, և գոյժ 'ի սալեսայ. զի և ջուրն Նեբրիմայ 'ի տապ խորշակի եղիցի.*

როგორც ჩანს, ქართულში ბერძნულ და სომხურ წყაროებთან შედარებით მეტია „რამეთუ დიაკეული სმნიერი არს“. საქმე შემდეგშია: ებრაულ ტექსტში არის ქალაქის სახელწოდება עֶגְלַת שְׁלִשִׁיָּה, რომლის პირდაპირი მნიშვნელობა ასეთია: სამი წლის დეკეული, עֶגְלַת „ეგლათ“ იქნება დეკეული (junge Kuh, Kalbe)[27], ხოლო שְׁלִישִׁי || שְׁלִשִׁי სამიანი, სამდღიანი, მესამე დღის (dritter Tag[28]). ებრაული ტექსტის ამ ადგილის ზუსტი შესატყვისი გვაქვს ძველ ქართულ ვერსიებში: „დიაკეული სმნიერი“. სმნიერი, „სამნიერი, სამის მქონები, სამიანი (იგულისხმება ხნოვანება, წლებით განსაზღვრული)“[29]. ხოლო ბერძნულში ეგევე ადგილი უთარგმნელადაა გადმოსული: ἀγγελίαν Σαλασία; უფრო სწორია წაკითხვა, რომელიც კომპლუტენის გამოცემას დაუცავს: ἀγγελὰ σελασία[30]; სომხური ვერსიის წაკითხვა *գոյժ 'ի սալեսայ* დამოკიდებული ჩანს ბერძნულ წყაროზე, რადგან ბერძნული ἀγγελίαν გაგებულია, როგორც „ცუდი უწყება, ამბავი“ (*գոյժ*) შდრ. მითხრობაჲ სალისიაჲსაჲ W.

მაშასადამე, ქართულ ტექსტში დაცული „დიაკეული“ სმნიერი არს“ აღმოსავლური წყაროს გამოყენებას გვავარაუდებინებს და არა ბერძნულ-სომხურისას[31]. მაგრამ ქართულში, რომ „დიაკეული სმნიერი არს“ წაკითხვასთან ერთად „აგათსალისა“ J (ალაგთა საალისათა“ O) არის დაცული, ეს შესაძლოა, ბერძნულ წყაროსთან შეჯერების შედეგად იყოს შეტანილი.

ბ) 31,39: მოიქმნენ რჩეულთაგან ქვათა გაბათად კერძო J; მოიქმნეს რჩეულთა ქვათა გაბათთ კერძო O; გარემო ემრგულოს მრგულივ რჩეულთაგან ქვათა კაბათადმი W

---

24 И. Якимов, Толкование..., II, გვ. 498.

25 მიორონენდმდე ალაგთა საალისათა O.

26 სმნიერი არს] არს სმნიერი O.

27 W. Gesenius, Hebräisches und Armäisches Handwörterbuch über das Alte Testamenten, Leipzig, 1915, გვ. 562.

28 იქვე გვ. 834.

29 ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა, 1959, თბილისი, გვ. 331.

30 И. Якимов, Толкование..., II, გვ. 699.

31 აღსანიშნავია, რომ ებრაული ʿeglāth šālšiā ბერძნულ სეპტანტაში (ესაია 15,5) თარგმნილია, როგორც δάμαλις τριετής მაგრამ ასეთ წაკითხვას ზემოთ დასახელებულ ადგილზე (იერ. 48,34) სეპტანტა არ იცნობს, ხოლო სირიული—კი. იხ. И. Якимов, Отношение греческого перевода LXX толковников к еврейскому мазоретскому тексту в книге пророка Иеремии, С.-П., 1874, გვ. 199, სქოლიო 3. სლავური ტექსტის წაკითხვა „Юница трилетная“ ლათინურ ვულგატას უნდა ემყარებოდეს. შდრ. И. Якимов, დასახ. ნაშრომი გვ. 199. სქოლიო 3.

ბერძნ. περικυκλωθήσεται κύκλῳ ἐξ ἐκλεκτῶν λίθον.

სომხ. *բոլորեսցի շուրջանակի յընտիր ընտիր յիմայ.*

ქართულ ვერსიებში ბერძნულ და სომხურ წყაროებთან შედარებით მეტია სიტყვა გ ა ბ ა თ ა J (გ ა ბ ა ო თ O; ქ ა ბ ა თ ა W). საქმე ისაა, რომ ებრაულ ტექსტში არის საკუთარი სახელი go'āthā (გოყათა). იერუსალიმის დასავლეთით მდებარე ერთ-ერთი გორაკის სახელწოდება. პროფ. ი ა კ ი მ ო ვ ი ს აზრით, ეს საკუთარი სახელი „70 толковников поняли, как имя нарицательное, притом повидимому в значении, какое принадлежит созвучному арабскому слову г а г а т э с-камень агат“)[32].

ქართულ ტექსტში რომ „გაბათა“ გვაქვს, ეს იგივე ებრაული „გოყათა“ სიტყვის სახეცვლილი ვარიანტია, ოღონდ ქართული ტექსტი შემდგომ შეუჯერებიათ სეპტანტასთან და ებრაული „გოყათა“-ს ბერძნული თარგმანის მიხედვით (ἐξ ἐκλεκτῶν λίθων) „გაბათა“-ს გვერდით „რჩეულთაგან ქვათა“-ც შეუტანიათ. ასე რომ ქართულში ერთი სიტყვა ორნაირადაა გადმოღებული ორი სხვადასხვა წყაროს გამოყენების გამო.

გ) 48,31: ღაღადებდით კაცთა ზედა (კართა ზედა O) ზ ღ უ დ ი ს ა თ ა ვარჯ-პარსულთა (JO). ბერძნ. βοήσατε ἐπ' ἄνδρας κιράδας αὐχμοῦ. სომხ. *գուժեցեք յամենայն կողմանց մովաբու 'ի վերայ արանց խզելոց' փետելոց' մրելոց.*

ქართული ტექსტის „ზ ღ უ დ ი ს ა თ ა“-ს ფარდად ბერძნულსა და სომხურ წყაროებში არაფერი გვაქვს. ბერძნული κιράδας მომდინარეობს ებრაული ფორმიდან cir-cheres (კირ-ხერეს). ეს უკანასკნელი კი რეალურად აღნიშნავს მოაბის მხარის ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდებას. გრაფიკული მსგავსების გამო ებრ. ר (რ) წაკითხულია ד (დ)-დ, ხოლო ח (ხ) - ה (ჰ)-დ და ასეა მიღებული ბერძნული κιράδας. საიდან გაჩნდა ქართულ ვერსიებში სიტყვა ზ ღ უ დ ე („ზღუდისათა“)? საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვქონდეს ებრაული „კირ-ხერეს“ სიტყვის ეტიმოლოგიური თარგმანი, რადგან ებრაულში კირ-ხარეს ნიშნავს: ს ი მ ა გ რ ე ს (ზ ღ უ დ ე ს) გორაკზე. ებრაულში קִיר-ის მნიშვნელობაა „სიმაგრე“, „ზღუდე“ (Mauer)[33], ხოლო חֶרֶשׂ ალბათ, შეცდომით წაკითხულია, როგორც חֹרֶשׁ „მთა“[34]. ქართული თარგმანი შემდგომ შეუჯერებიათ სეპტანტასთან და κιράδας სიტყვა მცდარად გაუაზრებიათ; იგი გაუგიათ κείρω („ვპარსავ“, „ვკრეჭ“) ზმნის ვნებით მიმღეობად აორისტ მეორისა და ამიტომაა, რომ „ზღუდისათა“-ს გვერდით „ვარჯ-პარსულთა“-ც გვაქვს. ე. ი. აქაც ერთი სიტყვის ორი სხვადასხვანაირი თარგმანია ერთმანეთის გვერდით. არსებითად ასეთივე ვითარებაა 48,36-ში, სადაც ებრაული „კირ-ხერეს“-ისა და ბერძნ. κιράδας-ის ფარდად იკითხება: „კაცთა ზედა კ ე დ ე ლ ს ა თ ა ნ ა, რ ო მ ე ლ ნ ი პ ა რ ს ვ ე ნ ვ ა რ ჯ ს ა“ J, „კაცთა ზედა კ ლ დ ი-ს ა თ ა, რ ო მ ე ლ ნ ი იპარსვენ ვარჯთა“ O (იხ. § 70).

§ 19. საკუთარ სახელთა გადმოცემა

პირისა და გეოგრაფიულ სახელთა გადმოცემა გვაფიქრებინებს რომ უძველესი თარგმანი ბერძნული სეპტანტისგან არ უნდა მომდინარეობდეს:

ა) თ ა რ შ ი 10,9 JO: ეს სიტყვა ბიბლიის სხვა წიგნებშიც შინიანი ფორმით იხმარება; იგი არ შეიძლება მოდიოდეს ბერძნული Θαρσίς-ისგან. ქართული „თარ-

32 И. Я к и м о в, Толкование..., II, გვ. 513.

33 W. G e s e n i u s, დასახ. ლექსიკონი, გვ. 713.

შით“ თავისი შინით გვერდში უდგას ებრ. tharšiš-ს („თარშიშ“-სა) და სომხ. „'ի Թարշշայ“-ս (←'ի Թարշիշայ).

ბ) ბ უ ზ-ი 25,23 J არის არაბეთის უდაბნოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთი ქვეყნისა და მასში მცხოვრები ხალხის სახელწოდება[34]. ებრაულშია būz (ბუზ), სომხურში — բուկայ (ბოკონ O). ბერძნულში Ῥῶς (როს). აღნიშნავენ, რომ ბერძნული „როს“ მომდინარეობს ებრაული ב (ბ)-ს ר (რ)-დ წაკითხვის საფუძველზე[35]. ცხადია, ქართული „ბ უ ზ-ი“ არ შეიძლება დამოკიდებული იყოს სეპტანტაში დაცულ „რ ო ს“ ფორმაზე.

გ) შ ა ლ ე მ 41.5 O (სალემ J): ებრაულ ტექსტშია שָׁלֵם. ამ სიტყვის პარალელურ ფორმებად გეზენიუსის ლექსიკონში მოყვანილია שִׁילֹה და שִׁילוֹ[36]. მართალია, ქართული „შალემ“-ი ვოკალიზაციით განსხვავებულია ებრაული ფორმისგან, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია შინის არსებობა ქართულ ფორმაში, რაც აღმოსავლურ წყაროზე მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას. შდრ. ბერძნ. Σαλήμ[37], სომხ. Սաղ'եմ.

დ) მ ა დ ე ბ ე მ ა 48,2 J (მედებაჲ O): ეს სიტყვა ბერძნულ და სომხურ წყაროთა შესაბამის ადგილას სრულებით არ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულ ტექსტში „მადებემა“ („მედებაჲ) უშუალოდ აღმოსავლური წყაროდან მომდინარეობს. ებრაულშია מַדְמֵן (მადმენ), რომელიც ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდებაა. აღნიშნავენ, რომ ბიბლიის ბერძნულად მთარგმნელთ ებრაული „მადმენ“ საკუთარ სახელად კი არ გაუგიათ, არამედ ზმნური მნიშვნელობით, რადგან: „Мадмена-слово, созвучное с глаголом, значущим: умолкать, погибать“[38]. ამიტომ არის, რომ ებრაული מַדְמֵן תִּדֹּמִּי-ის ფარდად სეპტანტაში იკითხება: παῦσιν παύσεται, სომხ-ში: լռելով լռեսցէ, რაც ნიშნავს: „დაცხრომით დასცხრეს“ W.

§ 20. ბერძნიზმები JO ვერსიებში

ძველი ქართული ვერსიები არა ერთხელ ჩანს შეჯერებული ბერძნულ წყაროსთან, ქართული ტექსტის ენა სტილიზებულია ბერძნულის კვალობაზე. ბერძნული ტექსტის გავლენა ვლინდება: ა) ლექსიკაში, ბ) სიტყვაწარმოებაში, გ) ლექსიკურ შეუსაბამობასა და შეცდომებში, დ) კონსტრუქციაში.

ა) ლ ე ქ ს ი კ ა შ ი გვხვდება ისეთი ბერძნული ფორმის სიტყვები, რომლებიც მარტო ჩვენი ძეგლისთვის არაა დამახასიათებელი: კ ი ნ ა მ ო მ ა ჲ 6,20 J (κινάμωμον, τό), ფ ა ს ე კ ი 31, 8 J (φασέκ) (კინამომაჲ და ფ ა ს ე კ ი, პასექი ბერძნულში ებრაულიდანაა შესული), ს ი კ ლ ა 32,9 JO (σίκλος, ὁ), ს ტ ო ვ ა 32,2 J)

---

34 И. Я к и м о в, Толкование..., II, გვ. 418.

35 И. Я к и м о в, Отношение греческого перевода..., გვ. 107.

36 W. G e s e n i u s, დასახ. ლექსიკონი, გვ. 830.

37 W. P a p e, Wörterbuch der Griechischen Eigennamen, 1884, მე-3 გამოცემა, გვ. 1331.

38 И. Я к и м о в , Толкование..., II, გვ. 676.

(στοά, ἡ, ტექსტშია: ἐν οἴκῳ). ამათ გვერდით არის იშვიათად ხმარებული სიტყვები: გამოტორანტოსებული 10,9 J, რომელიც ნაწარმოებია „ტორანტო“-სგან (τορευτός, მისი მნიშვნელობაა: ჭედური, чеканный); ერჳთრა 49,21 JO (ἐρυθρά).

ბ) სიტყვები ნაწარმოებია ბერძნულისებურად:[39] პირველად-მშობელისაჲ 4,31 JO (πρωτοτοκούσης), მრგულიად-დასაწუველი 6,20 O (იმრგულივ-დასაწუველი J) ὁλοκαυτώματα; „წინამიკუეცილთა“ 9,16 JO (περικειρόμενον), „კეთილისა საქმჱ“ 13,23 O)=სიკეთის ქმნა; εὐποιῆσαι); ზედა-მდგომელი 29,28 JO (ἐπιστάτησ, ὁ). სახელ-დიდო უფალო 32,19 JO. (μεγαλώνυμος Κύριος); მზის ქალაქი 43,13 JO (Ἡλιού-πολις)[2].

გ) ზოგჯერ ბერძნული სიტყვა თარგმნილია არა იმ მნიშვნელობით, რომელიც მას კონტექსტში მოეპოვება, არამედ იმ მნიშვნელობით, რომელიც მას საერთოდ აქვს, რასაც ჩვენ ლექსიკურ შეუსაბამობად ვთვლით. მაგ., 1,18: „τέθεικά σε“. „τέθεικα“ არის τίθημι ზმნის პერფექტის ფორმა. ეს ზმნა მეტად პოლისემიურია, მაგრამ ძირითადად τίθημι ნიშნავს: „ვდებ“. ქართულ თარგმანშიც ამ მნიშვნელობითაა იგი გაგებული: „დაგდევ შენ“ (JO), თუმცა კონტექსტის მიხედვით მოსალოდნელი იყო არა „დება“, არამედ „დადგინება“. შეუსაბამობა, რომელიც 1,18-შია, გამართულია 1,5-ში, სადაც τέθεικα თარგმნილია როგორც „დაგადგინე“ (JO).

ბერძნულის კალკი უნდა იყოს ასეთი ფრაზა: ყოველთა ქმნეს სიცრუჱ 6,13 J, πάντες ἐποίησαν ψευδῆ.

ქართულ ტექსტში არის ლექსიკური შეცდომები, რომლებიც წარმომდგარია ბერძნული სიტყვების მცდარი გააზრებიდან:

1) 23,25: „'Ηνυπνιασάμην ἐνύπνιον“..., მეჩუენა მე ჩუენებაჲ J. მაგრამ: მესუნა მე სულნელებაჲ O. ათონური ვერსიის წაკითხვა მცდარია, რადგან ტექსტში ლაპარაკია „ჩუენების“, სიზმრის ხილვაზე (სომხ. *երազ յերազեցայ ինձ*). უნდა ვივარაუდოთ, რომ რომელიღაც ბერძნულ ხელნაწერში ἐνύπνιον-ის ნაცვლად უნდა ყოფილიყო მსგავსი, სინონიმური მნიშვნელობის სიტყვა ὅραμα (ნათ. ბრ-ში: ὁράματος: ხილვა, ჩვენება), რომელიც, შესაძლოა, წაეკითხათ როგორც ἄρωμα (ნათ. ბრ-ში: ἀρώματος სურნელება).

ა. შანიძეს შემჩნეული აქვს, რომ ათონურ ბიბლიაში (ესაია 30,12) ბერძნული ὁράματα („ხილვასა“) შეცდომით წაკითხულია ἀρώματα-დ („სულნელებასა“). მკვლევარი აღნიშნავს, რომ ასეთი შეცდომა, შესაძლოა, თვით ბერძნული ხელნაწერის გადამწერსაც მოსვლოდათ[41].

---

39 მსგავსი ვითარებაა ამ მხრივ სომხურ წყაროშიც: *անդրանկածին* („პირველად-მშობელისაჲ“). *վերակացու* („ზედა-მდგომელი“). *մեծանուն* („სახელ-დიდი“). *արեգ քաղաքի* („მზის-ქალაქი“) და სხვ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში სომხური ტექსტი ქართულის მსგავსად დამოკიდებული უნდა იყოს ბერძნულ წყაროზე. თუმცა მსგავსი შედგენილობის სიტყვები (კომპოზიტები), შესაძლებელია, სხვადასხვა ენაში არსებობდეს ყოველგვარი ურთიერთგავლენის გარეშეც.

40 თავის მხრივ ბერძნული *Ἡλιού-πολις* არის თარგმანი ებრაული בֵּית שֶׁמֶשׁ „ბეთ-შემეშ“-ისა, რაც ნიშნავს: ქალაქი მზისა; ამ სახელით აღინიშნებოდა ორი ქალაქი: ერთი ეგვიპტეში, მეორე—იუდეაში (პალესტინაში): Толковая библия..., VI, 1914, გვ. 124.

41 ა. შანიძე, წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I. ნაკ. 2. 1948, გვ. V (წინასიტყვაობა).

2) 31,40: ἕως Νάχαλ Κέδρων: სომხ. ի ձորն կեդրոնի. ქართ. ჭევადმდე ნაძუთად (JO). ებრაული נחל („ღელე“, „შენაკადი“) ბერძნულ ტექსტში უთარგმნელადაა გადმოსული, რადგან შეცდომით საკუთარი სახელი ჰგონებიათ[42], ქართულში „ჭევი“ გვაქვს, რაც შესაძლოა, აღმოსავლურ წყაროდან მოდიოდეს: თუმცა არც ბერძნულიდან მომდინარეობაა გამორიცხული. რადგან სეპტანტის ალექსანდრიულ ნუსხაში Νάχαλ-ის ნაცვლად χειμαρρου იკითხება. χειμάρρος, ὁ. „ნიაღვარი“, „ხევი“ (სეპტანტაში ებრ. נחל სხვაგან თარგმნილია როგორც, διῶρυξ 31,9, შდრ. ნაკადული JO; χειμάρρος 47,2, შდრ. მდინარე JO).

ბერძნული ტექსტის უშუალო გავლენას უნდა მიეწეროს ქართულ ვერსიებში „ნაძუთად“ სიტყვის ხმარება: მდინარე კედრონის სახელწოდება (Κέδρων) გაგებულია საზოგადო სახელის (κέδρος, ἡ: „ნაძვი“) მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმად.

3) 47,5: οἱ κατάλοιποι Ἐνακίμ. სომხ. մնացորդք ենակիմայ; ქართ.: ნეშტი იგი, რომელ არიან აკიმს (O: აკჳმს) შინა (JO).

ბერძნული ტექსტის გავლენის გამოა, რომ საკ. სახელი Ἐνακίμ მცდარადაა გააზრებული და დაშლილი: საკ. სახელის ἐν მარცვალი გაგებულია „შინა“ თანდებულად (ἐν ἀκίμ).

4) 48,31,36; ბერძნული Κιράδας, რომელიც იგივეა, რაც ებრაული „კირხერეს“ (ქალაქის სახელწოდება), ქართველ მთარგმნელს (უკეთ შემჯერებელს) გაუგია როგორც κείμω („ვპარსავ“, „ვკრეჭ“) ზმნის ვნებითი მიმღეობა აორისტ მეორისა. ამიტომაც გვაქვს ძველ ვერსიებში: ვარჯ-პარსულთა 48,31 JO; რომელნი იპარსვენ ვარჯთა 48,36 O (რომელნი პარსვენ ვარჯსა J).

5) 46,14: παραγγείλατε εἰς Μέμφιν; ქართ. „ამცენით მემფინს“ O (მემფეს J). როგორც ჩანს, ბერძნული ბრალობითი ბრუნვის ნიშანი ν (ნ) ფუძისეულადაა გაგებული, ამიტომ გვაქვს ქართულში „მემფინს“, თორემ უნდა ყოფილიყო „მემფის“ (შდრ. მემფი 46,19 J, ბერძნ. Μέμφις[43]).

ბერძნული წყაროს გავლენა ვლინდება წარმომავლობის სახელთა გადმოცემაში: მორათიტელ-ი 26,18 J (Μωραθίτης), ელამიტელ-ი 29,24 JOW (Αἰλαμίτης), ლევიტელ-ი 33,18 JOW (Λευίτης)[44], მოაბიტელ-ი 48,33 JW (Μωαβίτης[45]).

ქართულ ფორმებში გამოვლენილი ტ არის ბერძნული t ← *ta[46] სუფიქსი, რომელიც მამრობითი სქესის სახელებთან მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში -της დაბოლოებას იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ბერძნული სუფიქსი მხოლოდ მაშინ შეიძლება გადმოჰყვეს ქართულ ტექსტს, როცა იგი წარმომავლობის ფუნქციითაა ნახმარი. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ტ, ალბათ, ფუძის კუთვნილებად იყო გაგებული[47] და არა სუფიქსად და ამიტომაც ურთავდნენ ასეთ ტარიან ფორ-

42 И. Якимов, Отношение греческого перевода..., გვ. 205.

43 W. Pape, Wörterbuch der Griechischen Eigennamen, 1884, მე-3 გამოცემა, გვ. 894.

44 W. Pape, Wörterbuch..., გვ. 787.

45 იქვე, გვ. 968.

46 K. Brugmann, Griechische Grammatik, München, 1913, გვ. 237.

47 მზ. შანიძე, გეოგრაფ. და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში. სახელთა ბრუნების ისტორიისათვის... I, 1956, გვ. 167.

მებს საკუთარ მაწარმოებლებსაც, ქართული ელ-ს (ელამი-ტ-ელ-ი), სომხური კი *ացի*[48]-ის (მაგ. *դ'ե-ա-ացի*).

რა თქმა უნდა, ქართულ სახელებსა და გვარებში რომ გვხვდება ტ (ბაგრატი, აშოტ-ი, ჯიბუტ-ი, ღლონტ-ი)[49], ამას კავშირი არა აქვს ზემოდასახელებულ „ელამიტელ" ტიპის ფორმებში დაცულ ტ-სთან.

დ) ზოგჯერ კონსტრუქციაშიც კი ჩანს ბერძნული ტექსტის გავლენა: სახელს ზმნა მართავს არა იმ ბრუნვაში, რომელსაც ქართული ენის ბუნება მოითხოვს, არამედ იმ ბრუნვაში, რომელიც მის შესატყვის სათანადო სახელს აქვს თვით ბერძნულში:

1) ესმა ქ ა ლ დ ე ვ ე ლ ნ ი 37.4 J (ესმა ქ ა ლ დ ე ვ ე ლ თ ა O). J-ში მოსალოდნელი მიც. ბრუნვის ნაცვლად სახელობითი (ქ ა ლ დ ე ვ ე ლ ნ ი), ალბათ, იმიტომ გვაქვს, რომ ბერძნულში მისი ფარდი სიტყვა სახელობითში დგას: ἤκουσαν οἱ Χαλδαῖοι.

2) „ისმინეთ ჴ მ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა ჲ 7,23; 11,4... (JO), შდრ. Ἀκούσατε τῆς φωνῆς μου. ბერძნულში ἀκούω („ვისმენ") ზმნა სახელს ნათ. ბრუნვაში მართავს[50], მაგრამ ქართულში ასე არაა. სხვაგან ბუნებრივი წყობაც დაცულია: „არა ვისმინოთ ჴ მ ა ჲ უფლისა..." 42,13 JO.

3) „რაჟამს მ ო ი ჴ ს ე ნ ო ნ შვილთა მათთა შ ე ს ა წ ი რ ა ვ თ ა მ ა თ თ ა (მათთაჲ O) 17,2 JO; ბუნებრივი ქართულით უნდა ყოფილიყო: რაჟამს მოიჴსენნენ... შ ე ს ა წ ი რ ა ვ ნ ი მ ა თ ნ ი. ქართულ ტექსტში ნათესაობითი ბრუნვის ფორმის ხმარება სახელობითის ნაცვლად ბერძნულის გავლენას უნდა მიეწეროს: Ἐν τῷ μνημονεύειν τοὺς υἱοὺς αὐτῶν τῶν βωμῶν αὐτῶν.

4) „ნუ დ ა ჰ მ ა ლ ა ვ ჩ ე მ გ ა ნ სიტყუასა" 38,14 J. შდრ. μὴ δὴ κρύψῃς ἀπ' ἐμοῦ ῥῆμα. აქ აშკარად ჩანს ბერძნული ტექსტის გავლენა. მაგრამ ეგევე წინადადება O-ში ბუნებრივი წყობითაა მოცემული: „ნუ დ ა მ ი მ ა ლ ა ვ მ ე სიტყუასა".

5) ი რ ე მ ნ ი ც ა ი ზ უ ნ ე ს ველსა გარე და დაუტევნეს ნუკრნი 14,5 J; მოსალოდნელი იყო: ი რ ე მ თ ა ც ა ი ზ უ ნ ე ს, რადგან ზმნა გარდამავალია: ი ზ უ ნ ა მან იგი. თუ ქართულში „ირემნიცა იზუნეს" არაბუნებრივია, ამ შემთხვევაში გავლენაზე შეიძლება ვილაპარაკოთ როგორც ბერძნული, ასევე სომხური ტექსტისაც, რადგან ორივე ენაში ქვემდებარე ბრუნვაუცვლელია და სახ.-ში დგას ყოველთვის: ἔλαφοι ἐν ἀγρῷ ἔτεκον...; *եղինք 'ի վայրի ծնան*:

ცხადი ხდება, რომ ქართული თარგმანის ძველი ვერსიების ტექსტი შემდგომ საფუძვლიანად გადაუმუშავებიათ ბერძნული სეპტანტის მიხედვით. მაგრამ JO ვერსიათა ენა, საერთოდ, ბუნებრივი ქართულია.

§ 21. ბერძნიზმები G ვერსიაში

გელათური ვერსიის ტექსტი სავსეა ბერძნიზმებით[51], რაც იმით აიხსნება, რომ ძველი ქართული თარგმანი XII—XIII საუკუნეებში შეჯერებულია ბერძნულ წყა-

48. ივ. შ ი ლ ა კ ა ძ ე, ძველი სომხური ენის გრამატიკა, თბილისი, 1955, გვ. 191.

49 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 94—99.

50 С. И. Соболевский, Древне-греческий язык, Москва, 1948, გვ. 270.

51 საკითხის დასმისათვის ნახეთ: ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები: ენიმკის მოამბე, XIV, 1944; აგრეთვე С. Б. Серебряков, К вопросу об отношении двух древнейших редакций грузинского четвероглава к греческим ворсиям: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, I, 1961. მ ი ს ი ვ ე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის ზოგიერთი ფილოლოგიური საკითხი: ლიტ. ძიებანი, ტ. XV. 1963.

როსთან. ეს ის პერიოდია, როცა ქართულ ლიტერატურულ წრეებში ელინოფილური მიმართულება ბატონობდა. ბერძნული ტექსტის მიმართ მონური დამოკიდებულების გამო გელათური ვერსიის ენას ბევრგან აზის ხელოვნურობის ნიშანი. ბერძნული წყაროს გავლენა ბევრ რამეში ჩანს; ესენია:

ა) **ფუძისეული ორმაგი თანხმოვნის ორმაგადვე გადმოტანა:** ემმირ-ი 20,1 GW (Ἐμμήρ); გომორრა 23,14 GW (Γόμοῤῥα) აკკარონ-ი 25,20 GW (Ἀκκάρων); ამმონ-ი 25,21; 27, 3 GW (Ἄμμων); „ეკკლისიეს“ 36,9 W ἐκκλησίασαν).

ბ) **ბერძნულიდან უთარგმნელად გადმოტანილი სიტყვები:** კინამომო[52] 6,20 W (κινάμωμον, τό) აპლიოტა[52] 25,26 GW (ἀπηλιώτης, ὁ; შდრ. „აღმოსავლითგან“ JO); კატარრაკტ-ი 29,36 W (καταῤῥάκτης, ὁ), პასტოფორიონ-ი 35,4 (παστοφόριον, τό) და სხვ

გ) **ლექსიკური კალკი:** ხშირია შემთხვევა, როცა რომელიმე ბერძნული სიტყვის ბუნებრივი ქართული შესატყვისის ნაცვლად G-ში ნახმარია ხელოვნურად (ბერძნულის მიხედვით) ნაწარმოები ფორმა: 2,14 W: სახლის-ნაშობი არს (οἰκογενής ἐστιν), შდრ სტრუკი JO; 2,23 W: სამრავალკაცოს შინა (ἐν τῷ πολυανδρίῳ), შდრ. სამაროვანსა O, სამარობანსა J.

3,6 W: სახლიერობამან (ἡ κατοικία) შდრ. მკჳდროთა JO.

6,6 W: აღმოკაფენით ხენი (Ἔκκοψον τὰ ξύλα), მოკაფენით ხენი JO.

7,9 W: ჰმკლველობდეთ (φονεύετε), (კაც-ჰკლვიდეთ O),

11,16 W: ჩრდილ-კეთილ ხილვით (εὔσκιον τῷ εἴδει), საგრილად ხილვით JO.

12,2 W: განიძირეს (ἐῤῥιζώθησαν), დაიმტკიცნეს (დაემტკიცნეს O) ძირნი JO.

12,5 W: შენნი ფერჴნი რბიან და დაგჴსნიან შენ (σοῦ οἱ πόδες τρέχουσιν, καὶ ἐκλύουσίν σε); შდრ. დაგაშრობენ შენ JO.

13,19 W: გარდაისახლა იუდაჲ (ἀπῳκίσθη Ἰούδας), წარიტყუენა იუდაჲ JO.

14,1 W: უწჳმოებისათჳს (περὶ τῆς ἀβροχίας), გუალვისათჳს JO.

14,6 W: ვირნი ველურნი (ὄνοι ἄγριοι), კანჯარნი J.

18,11 GW: აჰა მე აღვზელ თქუენ ზედა ბოროტთა (ἰδοὺ ἐγὼ πλάσσω ἐφ' ὑμᾶς κακὰ...), აჰა ესერა მე შევქმნე (შევქმენ O) თქუენ ზედა ძჳრი O.

18,22 GW: ჴელ-ყვეს სიტყუაჲ (ἐνεχείρησαν λόγον), იწყეს სიტყუაჲ JO.

23,25 GW: ვიძილის-შინეთ ძილის-შინაჲ[53] (Ἠνυπνιασάμην ἐνύπνιον), მეჩუენა მე ჩუენებაჲ J.

29,8 W: ნუ აღგარწუმენებედ თქუენ (Μὴ ἀναπειθέτωσαν ὑμᾶς) (ნუ გაცთუნებედ თქუენ O).

29,8 W: ნუ ისმე(ნ)თ ძილის-შორისთა თქუენთასა, რომელთა იძილის-შორისებთ თქუენ (μὴ ἀκούετε εἰς τὰ ἐνύπνια ὑμῶν, ἃ ὑμεῖς ἐνυπνιά-

52 ეს სიტყვები W-ში საკუთარ სახელებად არის გაგებული, ამიტომაც მათი პირველი (დასაწყისი) ასო ასომთავრულია.

53 ქართული „ძილის-შინაჲ“ იბერიზმად (=მეგრელიზმად) არის მიჩნეული, რაც საეჭვოდ მიგვაჩნია, შდრ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-П., 1914, გვ. XXI.

ζεσθε), ნუ ისმენთ სიზმართა თქუენთა, რომელ გეზმანებიან თქუენ J (O: თქუენ გეზმანებიან).

33,18 W: აღმომრთმელი ყოვლად-დასაწუველისაჲ (προσφέρων ὁλοκαύτωμα), შემწირველი მსხუერპლისაჲ JO.

50,42 GW: ცხენთა ზედა ცხენოსნობდენ (ἐφ' ἵπποις ἱππάσονται), ჰუნეთა ზედა აღმჯედრდნენ JO.

51,25 GW: ვითარცა მთაჲ მოცეცხლული (ὡς ὄρος ἐμπεπυρισμένον), ვითარცა მთაჲ მომწუარი JO.

51,27 GW: ჰნესტუეთ ნესტუსა წარმართთა შორის (σαλπίσατε ἐν ἔθνεσιν σάλπιγγι), დაჰბერეთ ნესტუსა წარმართთა შორის JO.

დ) მიმართებითი (თანდებულიანი) წყობა

G ვერსია	ბერძნული ვერსია	JO ვერსიები
1,7 W: თქუა უფალმან ჩემდამო	εἶπεν Κύριος πρός μέ.	მრქუა მე უფალმან
1,19 W: ვერ უძლებდენ შენდამი	μὴ δύνωνται πρός σέ...	შენ ვერ გძლონ
4,2 W: ცხოველ არს უფალი ჭეშმარიტებისა თანა	Ζῇ Κύριος μετὰ ἀληθείας...	ცხოველ არს უფალი ჭეშმარიტებით
5,1 W: მლხინებელ ვიყო მათდა	ἵλεως ἔσομαι αὐτοῖς	ულხინო მას.
15,2 W: სთქუა მათდამი	ἐρεῖς πρὸς αὐτούς	ჰრქუა მათ.
24,3 GW: თქუა უფალმან ჩემდამო	εἶπεν Κύριος πρός μέ.	მრქუა მე უფალმან.

ე) პლეონასტური ფრაზები:

4,8 W: გარე-მოირტყით ძაძები (περιζώσασθε σάκκους), მოირტყით (მოირტყთ O) ძაძაჲ JO.

13,1 W: გარემოიდევ გარემო წელთა შენთა (περίθου περὶ τὴν ὀσφύν σου), და იხჳე (შეიხჳე O) წელთა შენთა JO.

16,8 GW: თან-დაჯდომად მათ თანა (συγκαθίσαι μετ' αὐτῶν), დაჯდომად მათ თანა JO.

27,2 GW: მოისხენ გარემოჲს ქედსა შენსა (περίθου περὶ τὸν τράχηλόν σου), დაისხენ ქედსა შენსა J.

ვ) პერიფრასტული წარმოება: ხელოვნური და არაბუნებრივია ქართულისთვის ისეთი წარმოება, როგორიცაა:

5,1 W: მლხინებელ ვიყო მათდა (ἵλεως ἔσομαι αὐτοῖς), ულხინო მას JO.

5,10 W: აღსასრულსა ნუ ჰყოფთ (συντέλειαν δὴ μὴ ποιήσητε) აღხოლო ნუ-ასრულებთ JO.

10,24 W: რაჲთა არა შემცირებულ მყვნე ჩუენ (ἵνα μὴ ὀλίγους ἡμᾶς ποιήσῃς), რაჲთა არა შეგუამცირნე ჩუენ JO.

ზ) შემასმენლის გამოტოვება[54], რომელიც ბერძნულს ახასიათებს.

54 ასეთი სახის ბერძნიზმი სხვა ძეგლშიცაა შენიშნული. იხ. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, მ. კახაძის გამოცემა: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის.

არაბუნებრივია ქართულისთვის, მაგრამ ელინოფილი ავტორი ქართული ენის ბუნებრივ წყობას მსხვერპლად სწირავს თარგმანის მაქსიმალურ სიზუსტეს. აი რამდენიმე მაგალითი:

15,2 W: რაოდენნი სიკ(უ)დილადმი, — სიკუდილადმი, და რაოდენ(ნი) მახჳლადმი, — (მახჳლადმი), და რაოდენნი სიყმილადმი, — სიყმილადმი, და რაოდენნი ტყუეობადმი, — ტყუეობადმი (Ὅσοι εἰς θάνατον, εἰς θάνατον. καὶ ὅσοι εἰς μάχαιραν, εἰς μάχαιραν. καὶ ὅσοι εἰς λιμόν, εἰς λιμόν. καὶ ὅσοι εἰς αἰχμαλωσίαν, εἰς αἰχμαλωσίαν). როგორ ბრწყინვალედაა თარგმნილი ეგევე ადგილი J რედაქციაში: „რომელნიმე სიკუდილით მოჴკუდეთ, და რომელნიმე მახჳლითა მოისრნეთ, და რომელნიმე სიყმილითა აღესრულნეთ, და რომელნიმე ტყუედ წარიტყუენნეთ“.

20,14 GW; და წყეულ დღე, რომელსა ვიშევ მას შინა (ἐπικατάρατος ἡ ἡμέρα, ἐν ᾗ ἐτέχθην ἐν αὐτῇ), შდრ. წყეულ იყავნ დღჱ იგი, რომელსა ვიშევ მას შინა JO.

20,15 GW: და წყეულ კაცი, მახარებელი მამისა ჩემისა... (ἐπικατάρατος ὁ ἄνθρωπος ὁ εὐαγγελισάμενος τῷ πατρί μου). წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელმან ახარა მამასა ჩემსა... JO.

ჱ) **სიტყვაწარმოება**: 1,6 W: უჭაბუკეს ვარ მე (νεώτερος ἐγώ εἰμι), ყრმა ვარი მე JO.

6,10 W: აჰა უმეტკუეთილებ ყურნი მათნი (ἰδοὺ ἀπερίτμητα τὰ ὦτα αὐτῶν), წინადაუცუეთელ არიან სასმენელნი მათნი JO.

13,4 W: სიჭურელესა შინა კლდისასა (...ἐν τῇ τρυμαλιᾷ τῆς πέτρας), ჭურელსა შინა კლდისასა J.

52,1 W: ერთ და ათ წელ იმეფა (ἕνδεκα ἔτη ἐβασίλευσεν), შდრ. ათერთმეტ წელ მეფობდა O;

52,29 W: წელსა რვა და მეათესა (მეათრვამეტესა JO, ἐν τῷ ἔτει τῷ ὀκτωκαιδεκάτῳ).

52,30 W: წელსა შინა სამ და მეოცესა (ἐν τῷ ἔτει τῷ τρίτῳ καὶ εἰκόστῳ), ოც და მესამესა JO.

თ) **გრამატიკული სქესის გამოხატვა**:

29,2 W: შემდგომად გამოსლვისა იექონია მეფისა და მეფიაჲსა (ὕστερον ἐξελθόντος Ἰεχονίου τοῦ βασιλέως καὶ τῆς βασιλίσσης) შემდგომად გამოსლვისა იექონია მეფისა და დედოფლისა J.

34,9 W: რაჲთა განავლინოს კაცადმან ყრმაჲ თჳსი და კაცადმან ყრმააჲ თჳსი, ებრაელი და ებრაელსაჲ (τοῦ ἐξαποστεῖλαι ἕκαστον τὸν παῖδα αὐτοῦ καὶ ἕκαστον τὴν παιδίσκην αὐτοῦ τὸν Ἑβραῖον καὶ τὴν Ἑβραίαν), რაჲთა განავლინოს კაცად-კაცმან მონაჲ თჳსი და კაცად-კაცადმან მჴევალი თჳსი, ებრაელი J. J ვერსიაში ბერძნული გრამატიკული სქესი გამოხატულია ქართულისათვის ბუნებრივი ლექსიკური საშუალებებით: „მონაჲ“ ესაა მონა კაცი (раб), ხოლო „მჴევალი“ ესაა მონა ქალი (рабыня). მაგრამ, რადგან ქართულში სიტყვათა უდიდესი ნაწილი სქესის მიხედვით ლექსიკურადაც არაა გარჩეული, ამიტომ ბუნებრივი ჩანს J ვერსიაში „ებრაელის“ ხმარება ორივე სქესის (მამრ. და მდედრ.) მნიშვნელობით, ე. ი. „ებრაელი“ გადმოსცემს ბერძნულ „τὸν Ἑβραῖον-სა და τὴν Ἑβραίαν-საც. თითქოს O ვერსიაშიც უნდა გვქონდეს სქესის გამოხატვის

1946, ნაკ. II (25), თბილისი, 1947. გვ. 063. პეტრე იბერიელი, შრომები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა, 1961, გვ. 0127.

ცდა, სადაც იკითხება, „ებრაეანი ებრალი“, ოღონდ ჩანს, საგონებელში აგდებდა ძველ მთარგმნელებს სქესის გამოხატვა ქართულში, რადგან „ებრაეანი ებრალი“ არასწორი, ხელოვნური და ნაწვალებია. „ყრმააჲ“ ფორმა G ვერსიაში გვხვდება სხვაგანაც: 34,10,11; 34,16. აგრეთვე „მეფეა“ ნახმარია „დედოფლის“ (JO) მნიშვნელობით შემდეგ ადგილებში: 44,17; 44,19.

ი) **გრამატიკული ბერძნიზმი** უნდა იყოს ასეთი ფორმებიც:

33,8 W: არა მოვიჴსენო ცოდვათა მათთა (μὴ μνησθήσομαι ἁμαρτιῶν αὐτῶν), არა მოვიჴსენნე ცოდვანი მათნი JO.

41,2 W: მოკლეს გოდოლიან (ἐπάταξαν τὸν Γοδολίαν), ბრალობით ბრუნვის ბერძნული სუფიქსი ν (ნ) გადმოყოლილა ქართულ ტექსტს, რადგან ფუძისეულად გაუგიათ.

ქ) **მიმღეობური კონსტრუქცია**: ბერძნული ტექსტის უშუალო გავლენას უნდა მიეწეროს G-ში მიმღეობური კონსტრუქციის ფართოდ გამოყენება. მიმღეობა ნახმარია ა) ზმნის პირიანი ფორმისა და ბ) „რომელ“ საკავშირებელი სიტყვის შემცველი დამოკიდებული წინადადების ნაცვლად. ასეთი კონსტრუქციის ხელოვნურობა G-ში თვალში საცემია, რომელსაც რელიეფურად გამოავლენს JO ვერსიათა სათანადო ადგილების ბუნებრივი ქართული წყობა:

ბერძნული რედაქცია	G რედაქცია	JO რედაქციები
1,6: Ὦ ὤν, δέσποτα Κύριε.	მყოფო, მეუფეო უფალო W[55]	რომელი ხარ თავადი უფალი O.
6,14: ...ἐξουθενοῦντες καὶ λέγοντες.	შეურაცხ-მყოფნი და მეტყუელნი W.	შეურაცხს-მყოფდეს მე და იტყოდეს J.
13,10: ...τοὺς μὴ βουλομένους ὑπακούειν... καὶ πορευθέντας.	არმნებელთა სმენად... და მავალთა W.	რომელთა არა ინებეს სმენად... და ვლენან JO.
13,23: ...μεμαθηκότες τὰ κακά...	..მოსწავლეთა ბოროტთასა W.	...რომელთა გისწავიეს ძჳრი JO.
15,18: ...οὐκ ἔχον πίστιν.	არმქონებელი რწმენისაჲ G.	რომელსა არა აქუნ სარწმუნოებაჲ O.
19,7: ...τῶν ζητούντων τὰς ψυχὰς αὐτῶν.	მეძიებელთა სულებისა მათისათასა GW.	რომელნი ეძიებენ სულსა მათსა JO.
31,9: ...αὐλίζων ἐπὶ διώρυγας.	განმსუენემან ნაკადულებსა ზედა W.	განუსუენო ნაკადულსა ზედა JO.
44,26: οἱ καθήμενοι ἐν γῇ...	მსხდომარეთა ქუეყანასა შინა... W.	რომელნი ჰსხედთ (O: სხედთ) ქუეყანასა.. JO.

§ 22. სომხური ელემენტები

იერემიას წინასწარმეტყველების ქართულ ვერსიებში ნაკლებად შეიმჩნევა სომხური ელემენტები. შეიძლება ითქვას, რომ ეს ელემენტები, თითქმის, ლექსიკის სფეროს არ სცილდება. აქ აღსანიშნავია შემდეგი:

55 ადგილის ეკონომიის მიზნით რთული წინადადებიდან მხოლოდ დამოკიდებული მოგვყავს და ისიც შემოკლებით.

ა) ქართულ ტექსტში უთარგმნელადაა წარმოდგენილი სომხური წყაროს სათანადო ადგილას ნახმარი სიტყვები: ს ტ რ უ კ ი 2,14 JO (*ստրուկ*), კაპარჭნი 5,16 JOW (*կապարճք*), ბ ა გ ი ნ ნ ი 32,35 JO (*բագինս*) შდრ. ფალ. bag[56]), ო ხ ჭ ნ ე ბ ა 4,27 O, უხჭნება J (*վախճան*); დ ა ლ ი ჭ ი 35,4 JO (*դահլիճ*); ჭ ა შ ა კ ი 52,19 JOW (*ճաշակ*).

ბ) ქართულ ტექსტში დასტურდება სომხურიდან მომდინარე სიტყვები, მაგრამ სომხური ტექსტის სათანადო ადგილებში მათ ნაცვლად სხვა სიტყვებია: ზ ო რ ვ ა (*գոհել*, შდრ., ფალ. ზოჰრ[57]): უ ზ ო რ ვ ი დ ე ს ს ა ზ ო რ ვ ე ლ ს ა 19,13 JO. *նուիրէին նուէրս*; მ ა ტ ა კ ა რ ა ნ ი 39,9 JO (*մատակարար*) *դահճապէտ*; ბ ა ვ თ-ი (*բութ*) მ ე ბ ა ვ თ ე 51,31 JO, *գուժկան*; გ უ ნ დ რ უ კ ი 8,20 O (*կնդրուկ*) *կինամոմոն* (შდრ. ბერძნ. κινάμωμον).

ასეთი შემთხვევების გამო ფიქრობენ, რომ ქართულ ვერსიებს, რომლებიც სომხური წყაროდან მომდინარეობენ, უკეთ დაუცავთ არქაული სახე[58], ამიტომ ქართულის ჩვენება შეიძლება გამოდგეს სომხური ტექსტის ძველი ვითარების აღსადგენად[59]. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებულ სიტყვათა უმრავლესობა ჩვეულებრივ იხმარება ძველ ქართულში, მათ შორის ორიგინალურ ძეგლებშიც. შედარებით იშვიათი ხმარების გვგონია „ს ტ რ უ კ ი“ და „მ ა ტ ა კ ა რ ა ნ ი“. ქართული და სომხური ვერსიების ურთიერთმიმართების გასათვალისწინებლად ყველაზე მეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს ისეთ შემთხვევას (ლექსიკის სფეროში), როდესაც ქართულ ტექსტში დაცული არასწორი ფორმა ახსნას პოულობს სომხური წყაროს გათვალისწინებით. მაგალითად:

1. „... გარდაიქცა ყოველი პირი, დ ა ნ დ ა ლ უ კ იქმნეს 30,6 J (...და დ ა ნ დ ა ლ უ კ ი ა იქმნნეს O). ს ა ბ ა ს განმარტებით: „დ ა ნ დ ა ლ უ კ ი თვალის მავნე ბინდი, გინა ფრჩხილი, გინა გუნი“[60]. ხოლო ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი თ: „დ ა ნ დ ა- ლ უ კ ი გჳნი, ანუ სენი თუალთა სიყვითლისა (2 სჯული, 28,22)[61]; ლექსიკოგრაფთა განმარტება სწორია, რასაც ბერძნული წყაროს ჩვენებაც ადასტურებს, სადაც „დანდალუკი“-ს ფარდად ნახმარია ἴκτερος („სიყვითლე“, „ზაფრა“, იარყანი), მაგრამ თვითონ განსამარტავი სიტყვის ფორმა არ არის სწორი. რასაც სომხური წყაროს შესაბამისი ადგილი გვიჩვენებს: ...*ամենայն գոյժ դ ա լ ն կ ա ն* (ვარიანტი: *դալկան*). ქართულ „დანდალუკ“-ს საფუძვლად უნდა ედვას *դալկնան*, *դալկան*-ის პირდაპირი ბრუნვის (სახ. ბრ.) ურედუქციო ფორმა *դալուկն*, რაც ნიშნავს: ნაღველს, „სიყვითლეს[62]. ამ „დალუკნ“ ფორმის ბოლო **ნ**არი, შესაძლოა, ნაწევრად იქნა გაგებული, ხოლო შემდეგ „დალუკ“ ფორმასთან „და“ კავშირი მექანიკურად ჩანს შეერთებული: და დ ა ლ უ კ>დ ა დ ა ლ უ კ. **ნ**არი, შესაძლოა, მექანი-

56. ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, 1944, გვ. 085.

57. ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 086.

58 Месроп Тер-Мовсесян, История перевода библии на армянский язык, С.-Пб., 1902, გვ. 47—49.

59 Н. Марр, Об единстве задач армяно-грузинской филологии. Кавказский вестник, 1902, № 3, გვ. 15—29 (იხ. ტ ე რ-მ ო ვ ს ე ს ი ა ნ ი ს დასახ. წიგნში).

60 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყ ი ფ- შ ი ძ ი ს და პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, 1928, გვ. 88.

61 ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, 1961, ალ. ღ ლ ო ნ ტ ი ს რედაქციით: გვ. 193.

62. ხ უ დ ა ბ ა შ ი ა ნ ი, სომხურ-რუსული ლექსიკონი I, 1838, გვ. 301.

კურად იყოს ჩართული ყოველ შემთხვევაში, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ქართულ „დანდალუკ“ ფორმაში სომხური *դալուկն*-ი დავინახოთ. G ვერსიაში „და“ გამოყოფილია „ნდალუკ“ ფორმისგან: „და ნდალუკიან იქმნა“ (W).

2. „მრუშებაჲ შენი და ბოლბოლებაჲ შენი“ 13,27 J. „ბოლბოლებაჲ-ს შესატყვისად უცხო წყაროებშია: ბერძნ. χρεματισμός, სომხ. *վրնջիւն*, სლავ. ржание, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობაა „ჭიხვინი“, ხოლო გადატანითი კი—„სქესობრივი აღგზნება“. საბას ქართულ ლექსიკონში იკითხება: „**ბოლბოლ** მეძაო (ძველს საწინასწარმეტყველოში“)[63]. საბა „ძველ საწინასწარმეტყველოში“ უნდა გულისხმობდეს წინასწარმეტყველთა (კერძოდ, იერემიას) ტექსტის ძველ რედაქციას, რადგან ამ სიტყვის საბასეული განმარტება დასახელებულ ადგილს გულისხმობს (13,27 იერ.), სადაც მრუშობაზეა ლაპარაკი.

აღნიშნული იყო, რომ ზოგჯერ სომხური სიტყვა მოიპოვება ქართულ ტექსტში, ხოლო სათანადო ადგილას სომხურ წყაროში სხვა სიტყვაა. აქაც ასეთი ვითარება უნდა გვქონდეს. „ბოლბოლება“, თუ არ ვცდებით, უნდა იყოს სომხური *բորբոքել*-ის არაზუსტი გადმოცემა. *բորբոքել* კი ძველი ქართულის სხვა ძეგლებში გადმოცემულია „აღგზნება“, „აღტყინება“, სიტყვით, ხოლო მერმინდელში—„ბობოქრება“-თი[64]. ჩვენს ძეგლშიც ერთგან სომხური „*բորբոքեսցի*“ ზმნის ფარდად იკითხება „აღეგზნეს“ (15,14 JO).

სტრუკი, მატაკარანი, დანდალუკი, ბოლბოლება... გვაფიქრებინებს, რომ ქართველ მთარგმნელთა თუ შემჯერებელთა ყურადღების გარეშე არ ყოფილა სომხური წყაროც.

თითქოს სომხურ წყაროსკენ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას ფორმები: ჰურიასტანი 7,2; 14,2 JO, ასურასტანი 50 17 JO. ყოველ შემთხვევაში, „ჰურიასტანი“ და „ასურასტახი“ არ შეიძლება მოდიოდეს ბერძნული 'Ιουδαία-ისა[65] და 'Ασσυρία-[65]-სგან. **-სტან** სუფიქსი, რომელიც ფალაურია წარმოშობით (stān), აქტიურადაა გამოყენებული სომხურში გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად. ეს სუფიქსი მთლად უცხო არც ძველი ქართულისთვის არის[66], ასე რომ შესაძლებელია, „სტან“-იანი ფორმები ძველადვე ყოფილიყო დამკვიდრებული სომხურსა და ქართულშიც[67]. თანაც, „ჰურისტანი“ ისეთ ძეგლშიც გვხვდება, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სომხურთან (მაგ., იერუს. წარტყუენვა 3,29)[68].

არის ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც ქართულის სომხურ წყაროსთან დამოკიდებულებას გვაფიქრებინებს: ა) „ითხოვდე თავისა შენისა დიდ-დიდსა 35,5 J (დიდებასა O). *դու խնդրես քեզ մեծամեծս*, ქართული „დიდ-დიდი“ ისეა ნაწარმოები, როგორც სომხური *մեծամեծ* (შდრ: ბერძნ. μεγάλα). მაგრამ ეს არ

---

63 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, 1928, გვ. 42.

64. ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 0100.

65 W. Pape, Wörterbuch der Griechischen Eigennamen, 1884, მე-3 გამოც., გვ. 555; 161.

66 მ. ანდრონიკაშვილი, ირანული სატომო და ადგილის სახელები ძველ ქართულ მწერლობაში: ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, I, 1954, გვ. 41.

67 მზ. შანიძე, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1965, გვ. 165.

68 T. P. т. IX, 1909. შდრ. გვ. 15.

იძლევა საფუძველს, რომ უეჭველად სომხიზმი დავინახოთ ქართულ ტექსტში[69]. რომელიმე კომპოზიტის შედგენილობა, შესაძლებელია, მსგავსი აღმოჩნდეს არა თუ ორს, არამედ ბევრ ენაშიც[70].

ბ) რ ო მ ლ ი თ ა ამათ ზედა მლხინებელ გეყო შენ 5,6 JO. თითქოს, მოსალოდნელი იყო „ვითარ“ ან „რაჲთა“ (ბერძნ. ποίᾳ, რუს как). „რომლითა“, შესაძლებელია, სომხური ტექსტის *որովք*-ის პირდაპირი გადმოცემა იყოს.

გ) „მ ი ა ღ ს ა ს რ უ ლ ა დ მ დ ე მეათერთმეტესა წელსა“ 1,3 O. ეს ადგილი ზუსტად ემთხვევა სომხური ვერსიის წაკითხვას: *մինչև 'ի վախճան մետասաներորդի ամին*; ხოლო J-ის წაკითხვა ბერძნულ წყაროს მისდევს: „ვ ი დ რ ე მეათერთმეტედ წლადმდე“ (ბერძნ. ἕως ἑνδεκάτου ἔτους).

დ) ...უფლისა ზედა მ დ ი დ რ ა დ ი ტ ყ ო დ ა 48,26; 48,42 JO. ცნობილია, რომ ძველ ქართულში „მდიდარი“ ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: მდიდრისა (богатый) და დიდებულისა (бельможа). მაგრამ მოყვანილ ადგილას „მდიდრად“ სხვა ნიუანსის მატარებელია: „მდიდრად იტყოდა“ ნიშნავს: ტრაბახობდა, ლაყბობდა; არაა გამორიცხული, ვიფიქროთ, რომ ფრაზა „მ დ ი დ რ ა დ ი ტ ყ ო დ ა“ სომხური ტექსტის სათანადო ადგილის კვალობაზე იყოს აგებული. სომხურშია: *'ի վերայ տեառն մեծաբանեաց*. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ბერძნულის გავლენა გამორიცხულია (ბერძნულშია: ἐμεγαλύνθη, რაც ზუსტად ნიშნავს: „განდიდნა“ W) და ფრაზეოლოგიურად ქართული და სომხური ერთმანეთთან ახლოს დგანან.

ე) ქართულ თარგმანში დაცულია ჰაეს შემცველი საკუთარი სახელები: ჰ რ ა მ ა 31,15 JO, ა ბ რ ა ჰ ა მ ი 33,26 JO, ჰ რ ა ქ ე ლ 31,15 J, ჰ ე თ ა მ 49,19 O და სხვ.

ნ. მ ა რ ი ჰაეიანი ბიბლიური საკუთარი სახელების არსებობას ქართულში სომხურის გავლენას მიაწერდა[71], ხოლო, თავის მხრივ, მსგავსი ფორმების ქონას სომხურში სირიულის გავლენით ხსნიდა[72]. ზემოაღნიშნული სახელებიდან სომხურში ჰაე მხოლოდ ორს აქვს დაცული: *Աբրահամ* (აბრაჰამი). *Հռամա* (ჰრამა). მაგრამ საქმე ისაა, რომ ებრაულში ჰაე არ ახლავს სიტყვებს: რამა, რაქელ, თემან (ქართ. ჰეთამ). ქართული „ჰეთამი“ დამოკიდებული ჩანს არა ებრაულ „თემან“-სა ან სომხურ *եթեմմա*-ზე, არამედ Αἰθαμ-ზე. ამიტომ გვგონია, რომ „ჰრაქელ“ და „ჰრამა“ ფორმებში ჰაე გადმოცემს ბერძნული ῥ-ს ფშვინვიერ შემართვას (ῥ = ჰრ) შდრ. ῾Ραχήλ, ῾Ραμᾶ, (ჰრაქელ, ჰრამა). ამ შემთხვევაში ვითარება პრინციპულად ერთნაირია ქართულსა და სომხურში, ამიტომ დაუსაბუთებელია მტკიცება, რომ ჰრიანი ფორმები ქართულში უეჭველად სომხური წარმოშობისა იყოს[73].

---

69 შდრ. Н. М а р р, Т. Р., т. III, 1901, გვ. IV.

70 ნახეთ: ელ. დ ო ჩ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ადიშის ოთხთავის კომპოზიტები: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1951, ნაკ. 29, გვ. 87—102.

თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, კომპოზიტები ძველ ქართულში, თ ს უ-ს შრომები, ტ 47, 1952, გვ. 59—90.

მ ზ ი ა მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი, კომპოზიტები ქართულ ენაში, თ ს უ-ს შრომები. ტ. 67, 1957, გვ. 165-184.

71 Т. Р., III, 1901, გვ. LII.

72 იქვე, გვ. LIII.

მ ი ს ი ვ ე: Грамматика древнеармянского языка, С-Пб, 1903, გვ XXXIV.

73 J. M o l i t o r, Die Eigennamen in der altgeorgischen Übersetzung der Evangelien und der Apostelgeschichte und ihre textkritische Bedeutung, 1962, გვ. 10.

დასკვნა: იერემიას წინასწარმეტყველების უძველესი ქართული თარგმანის წყარო არ უნდა ყოფილიყო ბერძნული სეპტანტა. ქართულ ვერსიებში დაცული არაბერძნული (resp. აღმოსავლური) ელემენტების მხოლოდ ნაწილი ჩანს სომხურ წყაროსთან საერთო. არ არის მტკიცე საფუძველი, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ასეთი ელემენტების დადასტურება ქართულ ტექსტში via armeniaca წარმოვიდგინოთ. გამორიცხული არაა, რომ ქართულ და სომხურ ვერსიათა ბერძნულისგან განმასხვავებელი საერთო ელემენტები ერთი წყაროდან (აღმოსავლურიდან) მოდიოდეს. თანაც: ქართული თარგმანი (ასევე სომხურიც) არა ერთგზის შეჯერებული უნდა იყოს ბერძნულ წყაროსთან. თუ საფუძვლიანია მტკიცება, რომ ქართულ ტექსტში შესული ბერძნული ელემენტები შეჯე-ების (და არა თარგმანის) პროცესს დაუკავშირდეს, შეუძლებელი არაა სომხურ ელემენტებზედაც ეგევე ითქვას. ოღონდ ის კია, რომ სომხიზმები ჩვენს ძეგლს ნაკლებად დაუცავს. თითქოს ჩანს, რომ შემჯერებლები ძირითადად (როგორც მოსალოდნელი იყო) ბერძნულ რედაქციას უახლოებდნენ ქართულ თარგმანს და ხანდახან (იქნებ, საკონტროლოდ) სომხურ წყაროსაც მიმართავდნენ. მაგრამ ჩვენი ძეგლის ქართულ-სომხურ ვერსიათა ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა არ შეიძლება კატეგორიული ხასიათისა იყოს, რადგან სომხურ თარგმანს ქართულზე ბევრად ნაკლებად დაუცავს უძველესი სახე, თანაც, ამ ძეგლის და, საერთოდ, ძველი აღთქმის წიგნების შემცველი სომხური ხელნაწერები XII საუკუნის იქით არ გვახედებენ[74].

74 Месроп Тер-Мовсесян, История перевода библии..., გვ. 76—80; 172. აგრეთვე: Рукописние отрывки армянской версии Ветхого Завета лапидарным писмом, издал епископ Месроп, 1915, Петроград, გვ. 31.

V. ენობრივი მოვლენები

გარკვევით უნდა აღინიშნოს თავიდანვე შემდეგი: ენობრივი მოვლენები,
რომლებიც ქვემოთ არის განხილული, მხოლოდ ჩვენი ძეგლის თავისებურებას
არ წარმოადგენს. ისეთი ენობრივი მოვლენა, რომელიც საერთოდ უცნობი იყოს
ძველი ქართულისათვის, ჩვენს ძეგლს არ ახასიათებს. ამიტომ ჩვენ იძულებული
ვიყავით, ყურადღება შეგვეჩერებინა ნაკლებად გავრცელებულ ენობრივ ფაქტე-
ბისა და ნორმიდან გადახვევის შემთხვევებზე. აღგვენუსხა და გაგვეანალიზებინა
ისინი. ცუდი არ იქნებოდა, რომ თითოეული ვერსია ცალ-ცალკე დახასიათებულიყო
ენობრივად, მაგრამ ამ შემთხვევაში განსახილველი საკითხების გამეორებას თავს
ვერ დავაღწევდით და შრომის ეს ნაწილიც ერთიორად გაიზრდებოდა. ამას კი
მოვერიდეთ.

შეიძლება, სადავოდ ჩანდეს, რომ დამოწმებები ზოგჯერ მოყვანილია W-დან,
W კი ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილ ტექსტს გულისხმობს: აბა სად ძველი
ვერსიები და სად ვახტანგისეული ნაბეჭდი ტექსტი! მაგრამ საქმე ისაა, რომ W
აშკარად G ვერსიის ტექსტს შეიცავს, და რა ვუყოთ, რომ ტექსტის ნაწილი ხელნა-
წერმა (G) შემოგვინახა, ნაწილი კი—ნაბეჭდმა (W)? კრიტიკული მოპყრობით W-ს
ჩვენებანი ისევე ფასეულია, როგორც G-სი.

ენობრივ მოვლენებში გაერთიანებულია და განხილული არა მარტო ფონეტი-
კისა და გრამატიკის საკითხები, არამედ ორთოგრაფიისა და ლექსიკისაც.

ორთოგრაფია

ორთოგრაფიული თვალსაზრისით ჩვენი ძეგლი ნაირ-ნაირ ფორმას წარმო-
გვიდგენს. ორთოგრაფიული სიჭრელეა არა მარტო რედაქციებს შორის, არამედ
თითოეული რედაქციის შიგნითაც. ისეთი ასოების ხმარებაში, როგორცაა ჱ, ჳ, ჲ, ჵ,
მერყეობს სამივე რედაქცია (J O G), ორთოგრაფიული შეცდომებით სავსეა G
რედაქცია, რასაც საგანგებოდ ვიხილავთ ქვემოთ. ჩვენს ძეგლში იშვიათია ისეთი
შემთხვევა, რომ ორთოგრაფიის რომელიმე პრინციპის მტკიცედ დაცვით ერთი
რედაქცია განსხვავდებოდეს მეორისაგან. ცალკეული რედაქციის ორთოგრაფიულ
თავისებურებათგან შეიძლება აღვნიშნოთ რამდენიმე:

ა) უფროობითი ხარისხისა და "შენ" ზმნური ძირისაგან ნაწარმოებ ფორმე-
ბში ჱ-ს ხმარობს O რედაქცია, J კი ე—ს. ბ) უმარცვლო ჳ-ს მომდევნო ე ყოველ-
თვის ჱ-თია წარმოდგენილი G-ში. გ) გულისჴმა და "გულისჴმის-ყოფა" სიტყვაში
მხოლოდ ჴანია გატარებული O-ში.

ჩვენი ძეგლის ორთოგრაფიულ თავისებურებათა განხილვამდე შევეხებით უნე-
ბლიე ორთოგრაფიულ შეცდომებს. ასეთი კალმის შეცდომები სამსავე რედაქციაში
გვხვდება მეტ-ნაკლებად. ტექსტის გამართვისას ყველა ასეთი შეცდომა გასწორე-
ბულთა.

§ 23 უნებლიე ორთოგრაფიული შეცდომები

ა) აკლია ასო: დაკლებული ასოები ფრჩხილებშია ჩასმული: მე(მ)ფისათა 2, 16 O, ტაძ(ა)რი 7,4 W: ობ(ო)ლსა 7,6 W; შეუ(ძ)ლონ 11,11 J; გა(მ)ომცდელო 11,20 O; აღძ(რ)ვასა 12,5 J; აღ(ძ)რვასა 12,5 O; უწ(ყ)ი 16,23 J; სახ(ლ)ნი 19.13 O; მ(ღ)დელსა 20,10; რის(ხ)ვისა 25,38 O: განმიზ(რა)ხავს 26,3 O; შეგ(ქ)რიბნე 29,14 O; ე(ს)მა 29,19 J; შეპ(ყ)რობილ 30,0 O სანერ(გ)ველა 31,22 O; O; ჭურჭ(რ)ისაგან 48,22 J და სხვ.

ბ) მეტია ასო: ზედმეტი ასოები ფრჩხილებშია ჩასმული: იმ(შ)რუშებდა 3,8 J; და(ა)ნით 4,15 ესმო(ო)დენ 5,21 J; წინასწარ(მი)მეტყველებენ 5,31 W გამო-(ყ)ვიყვანნე 12,15 O; ჴე(ე)ლთა 18,60; მო(ს)ვსპო 19,7 J; და(პ)ბათა 19,15 W; სლ(ლ)ვისა 23,22 J; ს(ა)უნა 25,16 W; ჭურჭელს(ს)ა 27,21 J; დაუტევ(ა)ნა 39,10 W; მოვავლ(ლ)ინო 48,44 J ქალდე(ე)ად 50,10 J და სხვ.

მეტია ქარაგმა: უკუმოვაგნე 24,6 J; სლ´ვისა 25,14 J და სხვა.

გ) მეტია მარცვალი (დიტოგრაფია): ზედმეტი მარცვალი ფრჩხილებშია ჩასმულია: რად(ად) 6,20 J განიბნი(ბნი)ნეს 16,15 O; გან(გა)ვხეთქნე 30,8 J; ქუეყანასა(სა) 22,41 O; დღედ(ედ)მდე 36,2 J; იდუ(დუ)მალ 38,16 O; მეფისასა(სა) 38,26 O; ნათეს(ეს)ავნი 51,20 G და სხვა.

დ) ერთი ასოს ნაცვლად მეორის ხმარება: მიბრკა 6,4 W (მიდრკა); ღჳსითა 13,12 W (ღჳნითა); განმაფალთა 18,16 O (განმავალთა); განსაბსეველად 24,9 O (განსაბნეველად);

მეძემან 37,3 W (მეფემან); იმრემია 37,13 W (იერემია); დოეთა 52,7 W (დღეთა) და სხვა.

ე) ასოთა მექანიკური გადასმა: ღრუბლეი 4,13 W (ღრუბელი) სოფილთა 23,8 O (სოფლითა); მეყტ´ლი 33,1 W (მეტყლი, ე. ი. მეტყუელი); სიყ´ტნა 1,20 W (სიტყნი, ე.ი სიტყუანი).

ვ) სიტყვათა მცდარად გაყოფა და შეერთება: ეს ნიშანდობლივია W-სათვის, რაც, უთუოდ, კორექტურული შეცდომაა. განსაკუთრებით ხშირია „და“ კავშირის შეერთება მომდევნო სიტყვასთან: დამღდელთა 1,18 W (და მღდელთა); დაუვალსა 2.6 W (და უვალსა); დამწყემსნი 2,8 W (და მწყემსნი); თეკუაჲთ გამოანიშნეთ 0,1 W (თეკუაჲთ გამო ანიშნეთ); და ვითისა 29,16 W (დავითისა); აწ რა დარა 29;27 W (აწ რად არა); მეუწესო 34,22 (მე უწესო; ἐγὼ συντάσσω); დასცა 39,10 W (და სცა; и дал); არა და ვსხდეთ 42,13 W (არა დავსხდეთ); და აღრმეთ 49,8 W (დააღმერთ); მისა ცხოვართამდე 51,62 W(მისაცხოვართამდე); დაბადე 52,22 W (და ბადე) და სხვ.

ზ) გამეორებულია სიტყვები და წინადადებანი; და და თუმცა 23,22 G W; და და მოუწოდე 35,2 W; მოადეგით მოადეგით 50,29 O.

ორჯერაა გამეორებული ტექსტში ქვემოთ მოყვანილი ადგილები:

13,6: და იყო მრავლისა დღისა შემდგომად მრქუა მე უფალმან O; 14,15. არა მივავლინენ იგინი, არცა ვამცენ მათ და არცა ვეტყოდე მათ, რამეთუ ხილვათა ტყუვლისათა და ცუდისათა და ნებათა გულითა მათისათა გწინაწარმეტყველებენ იგინი თქუენ O (ეს ადგილი 14,14-დან არის). 18,22: დაარწყუეს ჩემ ზედა O; 25,8: ამისთჳს ესრე იტყჳს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჱლისაჲ რამეთუ არა გრწმენა სიტყუათა ჩემთაჲ O; 39,16: და იყვნენ იგინი O. 42,16 და იყოს მახჳლი იგი, რომლისათჳს გეშინის თქუენ პირისაგან მისისა, გპოვნეს თქუენ ეგჳპტეს შინა და მოგწყჳდნეს თქუენ O.

თ) გამოტოვებულია სიტყვები და წინადადებები: ტექსტში ზოგიერთი სიტყვა უნდა მეორდებოდეს ორჯერ. მაგრამ ქართულ რედაქციებში ზოგჯერ ამას ადგილი არა აქვს. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია გამოტოვებული სიტყვები:

4,19: მუცელი ჩემი, [მუცელი ჩემი] მელმის O;
6,9: მოჰკუფხლევდით, [მოჰკუფხლევდით] . . J;
10,10: ჭეშმარიტ არს ღმერთი, [ღმერთი] ცხოველი O

ხშირია ფრაზათა და წინადადებათა გამოტოვება ე. წ. ჰომიოტელევტონი (ὁμοιοτέλευτον): თუ ორ წინადადებას მსგავსი დაბოლოება აქვს, მაშინ შესაძლოა, შეცდომით გამოტოვებულ იქნეს ერთი მათგანი (პირველი წინადადება), ან ერთი წინადადების მსგავსი სიტყვების შემცველი ორი კომპონენტიდან პირველი იქნეს გამოტოვებული. O-ში გამოტოვებული სიტყვები აღდგენილია J-ის ჩვენების მიხედვით და კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული, თან ხაზგასმულია მსგავსი სიტყვები წინადადებათა და წინადადების კომპონენტთა შორის.

13,5-6: მივედ შენ [კიდესა ევფრატისასა და დამალე იგი მუნ ჴურელსა შინა კლდისასა. და მივედ (და) დავმალე იგი] კიდეს; ევ ; რათისასა, ვითარცა მამცნო მე უფალმან O;

20,2: ... რომელი იყო ბჭესა ბენიამენისსა [სახლსა მას ქორედსა, რომელ იყო] სახლსა შინა უფლისასა O.

22,26, და განგაგდო [შენ და დედაჲ შენი, რომელმან გშვა] შენ ქუეყანად სხუად O;

25,20: [ყოველთა შემყოფთა მისთა] და ყოველთა მეფეთა ჴალაკთაჲსა O

25,25; [და ყოველთა მეფეთა ზამბრისთა] და ყოველთა მეფეთა (ე) ლამისათა O.

43,11-12 მოსრას [ქუეყანაჲ ეგჳპტისაჲ, რომელნი სიკუდილად, სიკუდილსა, და რომელნი ტყუობად,—ტყუობასა და რომელნი) მახჳლად—მახჳლსა. და აღუდვას ცეცხლი სახლებსა ღმერთთა ეგჳპტელთასა და მოწუნეს იგინი და წარტყუნნეს იგინი და განტისნოს] ქუეყანაჲ ეგჳპტისაჲ, ვითარცა განტისნის მწყემსმან ... O.

ასეთი შემთხვევები სხვაგანაც გვხვდება (14,5 6 O; 22,11 O. . .).

როგორც ჩანს, სიტყვათა და წინადადებათა გამეორება გამოტოვება დამახასიათებელია O ვერსიისათვის; მსგავს შემთხვევას J-ში ხალზე იშვიათად აქვს ადგილი: მიუთხართ ესე სახლსა იაკობისასა და [ესმოდენ სახლსა იუდაჲსისა]. ესმოდენ ესე ერსა ცოფსა უგულოსა 5,20-21.

ყველა სახის მექანიკური შეცდომა გასწორებულია. ხელნაწერის ჩვენება კი სქოლიოშია აღნიშნული.

§ 24. ო-სა და უ-ს ურთიერთმონაცვლეობა

J და O ვერსიათა ტექსტებში შეიმჩნევა მერყეობა ო-სა და უ-ს მართლწერაში: მოსალოდნელი ო-ს ნაცვლად ნახმარია უ, ან პირიქით, მოსალოდნელი უ-ს ნაცვლად ო-ა ნახმარი. ეს მოვლენა დამახასიათებელია J ვერსიისათვის, O-ში მას იშვიათად აქვს ადგილი G-ში — კიდევ უფრო იშვიათად.

ო-ს ნაცვლად ნახმარია უ: ენუმისსა 7,31 J (ენომისსა O, Ἐννόμ); ნუ-

ყიერი 17,8 JO (ნოყიერი); ანათუთს 32,9 J (ანათოთს O, ἐν ʽΑναθὼθ), თითუეულსა 32,19 J თითოეულისა O. პასქურისსა 38,1p, იუაკიმისსა 45,1 J (იოაკიმისსა, Ιωακείμ) საძუვარსა 50,19 J (საძოვარსა) და სხვა.

უ-ს ნაცვლად ნახმარია ო: მოსრვოლთა 4,31 J (მოსრვულთა; შეორაცხყვეს 8.9 J (შეურაცხ-ყვეს); განირყორნა 12,11 J (განირყუნა); ოშვილო 15,9 GW (უშვილო); იოდაჲსა 22,18 O (იუდაჲსა. 'Ιούδα); ორია 26,20 W; ურია JOG, Οὐρίας); სიხაროლად 31,13 J (სიხარულად O); განვკორნნე 33,6 J (განვკურნნე); (მრ)გოლ(ი)ად-დასაწუელთაჲ 33,18 Lt, ნო 35,7 J (ნუ), ორიასტანისასა 40,5 W (ურიასტანისასა); აღთქომანი 44,25 O (აღთქუმანი J); ანო 44,28 J (ანუ O); მეხოთესა 51,12 J (მეხუთესა O) და სხვა.

ო-სა და უ-ს ურთიერთმონაცვლეობას დიალექტურ მოვლენად[1] ვერ მივიჩნევთ. მას მხოლოდ გრაფიკული საფუძველი უნდა ჰქონდეს. ო ბგერის წერითი ნიშანი უ ბგერის გამოსახატავი ნიშნის შემადგენელი ნაწილი იყო, ამიტომ ირეოდა ეს ნიშნები ერთმანეთში. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ო და უ ასოთა ურთიერთმონაცვლეობა ახასიათებს სწორედ იერუსალიმურ (J) რედაქციას. ალბათ, ეს იმიტომ, რომ ასეთი ორთოგრაფიული მოვლენა უფრო დამახასიათებელია პალესტინური და სინური წარმოშობის ხელნაწერთათვის[2], თუმცა მსგავს შემთხვევას სხვა წარმოშობის ხელნაწერებშიც ვხვდებით

§ 25. ჲ-ს ხმარება

ჩვენი ძეგლი ჲ-ს ისე ხმარობს, როგორც ამას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს. მაგრამ ჩვენ აღვნიშნავთ ჲ-ის ხმარების მხოლოდ შედარებით იშვიათ შემთხვევებს:

ა) ჱ დაერთვის შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს და ამდენად ძველი ქართულის ნორმით მოსალოდნელი წრფელობითი ბრუნვის ნაცვლად გვაქვს სახელობითი: „უდაბნო ვექმენ სახლისა ისრაჱლისასა ანუ ქუეყანაჲ დაყამირებულ“ 2,31; უდაბნოჲ იყოს ქუეყანაჲ 7,34 J.

ბ) ჲ დაკარგული ჩანს სახელობით ბრუნვაში მართულ მსაზღვრელთან, როცა ეს უკანასკნელი საზღვრულს მოსდევს: „სამკვდრებელი... ღმრთისა მერთისა— მპყრობელისა 3,19 O; „შეიმკო სამკაული ოქროჲსა 4,30 J; შჯული უფლისა არს ჩუენ თანა 8.8 J;

გ) ჲ არა გვაქვს ა ბოლოკიდურიან საზოგადო სახელის სახ. ბრუნვაში უფრო მაშინ, თუ სახელი ქვემდებარედ არის ნახმარი „არის“, „იყო“ ზმნურ ფორმებთან:

„მშვდობა იყოს, მშ დობა“ 6,14 J; არა არს მშ დობა“ 8:11 J 12,12 O; არა არს ჩუენდა კურნება I4,19 J; იყოს სასოება აღსასრულსა შენსა“ 31.17 J O.

დ) ჲ დაკარგულია ო ბოლოკიდურიან უკვეცელი სახელის ნათ. ბრუნვაში: „პირისპირ ჩრდილოსა 1,13 O (ჩრდილოჲსა G) მაგრამ: უწესოჲსაგან იუდაჲსა 3.11 JO.

---

[1] შდრ. Н Марр. Т Р., кн VI, 1904, გვ. XXIV; Кн. VII, 1911, გვ. XLVI; თ. გონიაშვილი, დიალექტიზმები ჰა[illegible]იშის ძეგლში (სადისერტაციო ნაშრომი), გვ. 42;

[2] ქ. კეკელიძე, კიმენი I, 1946, გვ, 135.

[3] ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა 1959, გვ. 306.

აჲ და ოჲ დიფთონგები იშვიათად **აი** და **ოი** სახით არის გადმოცემული, რაც დამახასიათებელია ლატალის ლექციონარისათვის:

იუდაისსა 31,23-33 L_l; სამწყსოითურთ 31,24 L_l; საუკუნოი 31,31 L_l; ოქროი 10,9 L_l; ოქროის-მჭედელთაჲსა 10,9 L_l;

ჩვეულებრივი „იუდა“ ფორმის ნაცვლად ერთგან გვაქვს „ჲუდაჲ“ 23,6 L_l

§ 26 ჱ-ს ხმარება

ძველი ქართულის ნორმის მიხედვით ჱ გადმოსცემს ეჲ დიფთონგს: ა) **ე** ბოლოკიდურიან საზოგადო სახელთა სახ. ბრუნვაში, ბ) **ე** ბოლოკიდურიან საკუთარ სახელთა ნათ. ბრუნვაში; აგრეთვე ჱ იხმარება: გ) უფროობითი ხარისხის ფორმებში, დ) ზოგიერთი სიტყვის ძირებში. ეს ნორმები შედარებით კარგად არის დაცული O ვერსიაში. J-ში კი ნაკლებად.

1) ჱ უმართებულოდაა ნახმარი ე-ს ნაცვლად **ე** ბოლოკიდურიან სახელთა: ა) წრფელობით ბორუნვაში: მწარჱ და ბოროტ არს დატევებაჲ ჩემი 2,19 O; ბ) **ნართანიანი** მრავლობითის სახ. ბრუნვაში: საბრჭჱნი 5,26 P დღჱნი 19,6 O..; გ) მიც ბრუნვაში: მეხუთჱსა 1,3 P; სიავსა მგზებარჱსა 1.13 O, ყოველსა ხჱსა 2,20 O, მას დღჱსა შინა 4.9 O; ესმა მეფჱსა 26,21 O. **ნარ-თანიანი** მრავლობითის ნათ. ბრუნვაში: ხჱთა 3,13 O; მეფჱთა 19,4, 24.9 O; დღჱთა 23,6 O. ე) ვითარებით ბრუნვაში: საქმჱდ 18,4 O,

ჱ გვხვდება საკ. სახელთა ძირებში: იერუსალჱმისათა[3] 1,15 JO ისრაჱლისათა 2,4 J O; ნჱრისასა 36,32 J მასჱფათდ 40,6-8 J;

2) ჱ ნახმარია: ა) ზოგიერთ ზმნიზედურ ძირებში; ქუეშჱ 1,13 JO; 3,6 JO; ესრჱ 2,5 O; ესრჱთ 21,3 O; გარჱ 21,2 J; მერმჱ 2,31; 3,16 O:

„შჱნ“ ზმნური ძირიდან ნაწარმოებ ფორმებში ჱ სისტემატურად გატარებულია O ვერსიაში, J G-ში კი ძირითადად **ე** გვაქვს: აღშენებად 1,10 O (აღშენებად J W). დაეშჱნოს 17,6 O (დაეშენოს J G). ამ ძირში ჱ იშვიათად გვხვდება J-შიც: აღშჱნებად 31,28.

ბ) ზმნათა მეორე სერიის (წყვეტილის, II კავშირებითის) მწკრივთა ფორმებში შეიყუარჱს 14,10 O; დაშრტჱს 17,77 O შეუბრკუმჱს 23,12 O; აღიფხურეს 31,40 O განმამწარჱს 32,29 O ესმჱს 38,25 O; აღიმაღლჱ 49,16 O; დაადგრჱს 51,43 O და სხვ.

ასეთი მოვლენა უფრო დამახასიათებელია O-სთვის, თუმცა იგი არც J-სთვის არის მთლად უცხო: აღმოუკითხჱ 2,2 J; დავიმწყჱ, მოვიქცჱ 31,18 J; აღილჱ, განამრავლჱ 46,11 J. G ასეთ შემთხვევაში ჱ-ს სულ არ ხმარობს.

აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელი **ე**-ს ნაცვლად ჱ ხმარება საერთოდ დამახასიათებელია უფრო O ვერსიისათვის, ნაკლებად J G-სთვის. ასეთ შემთხვევაში ტექსტის გამართვისას **ე** დაწერილობა გავატარეთ. **ე** დავტოვეთ „შჱნ“ ზმნური ძირიდან ნაწარმოებ ფორმებში, როგორც გვიკარნახებდა J ვერსიის ჩვენება. ჱ არ შეგვიცვლია **ე**-დ ხშირი ხმარების საკუთარ სახელთა ძირებში, თუ იგი ბერძნული **ეტას** (η) ფარდად იყო ნახმარი.

3) ჱ-ს ნაცვლად ეჲ იხმარება. ეჲ დაწერილობა გვხვდება **ე** ბოლოკიდურიან საზოგადო სახელთა სახ. ბრუნვაში. იგი დამახასიათებელია უფრო J

---

[3] იერუსალჱმ, ისრაჱლ სიტყვებში ჱ მიჩნეულია ბერძნული ეტას (η) შესატყვისად (შდრ. ‘Ιερουσαλήμ, ’Ισραήλ).

ვერსიისათვის: იაკინთეჲ 10,9 Lt; მეფეჲ 24,8 J; მტკიცეჲ 30,14 J; ტყუეჲ 31,23 Lt; 32.44 J; მეათრვამეტეჲ 32,1 J; მდინარეჲ 46,7 J; საქმეჲ 50,25 J. ჩვენ დავტოვეთ ეჲ დაწერილობა, იგი ჱ-დ არ შეგვიცვლია.

4) ნახმარია ეჱ დაწერილობა: ფიქრობენ, რომ ასეთ შემთხვევაში ჱ უნდა გადმოსცემდეს ჲ-ის[4], მაგრამ არის სხვაგვარი ახსნაც: გადამწერისათვის ჱ გამოთქმაში უდრიდა ე-ს, ამიტომ წერდა იგი ე-ს. მაგრამ ამის გვერდით ის იმიტომ წერდა ჱ-საც, რომ ამით ხარკს უხდიდა ძველ ლიტერატურულ ნორმებს და ტრადიციას[5]. ჩვენ აქ მხოლოდ ეჱ-ის ხმარების ფაქტს აღვნიშნავთ: სიმართლეჱ 22,15 J; მეუფეჱ 22.24 J; ძეჱ 22,24 J; მჯდომარეჱ 29,32 J; და სხვ. ტექსტში დატოვებულია მხოლოდ ჱ დაწერილობა.

5) ჱ-ის ნაცვლად ე იხმარება: ა) ე ბოლოკიდურიანი საზოგადო სახელების სახ. ბრუნვაში: მისცეს სიმაძღრე თჳსი 14,22 J; მოიწიოს სიცხე 17,8 J; მახე დამირწყუეს მე 18,22 J; მოვაქციო ტყუე მათი 32 44 O; არა მოაკლდეს დავითისი კაცი, მჯდომარე საყდარსა ზედა 33,17 O და სხვ.

ბ) ე ბოლოკიდურიან საკუთარი სახელის ნათესაობით ბრუნვაში: მანასესთჳს 15,4 J.

გ) უფროობითი ხარისხის ფორმებში: უმაღლეს 4,13 J; უკეთეს 18,11; 22,15 J: უმჯობეს 26,13 JO; 38,20; J; უმრავლესნი 36,32 J;

დ) ზმნიზედებში ესრეთ 10,11 O; 10,18 J; ეგრეთ[6] 46,18 J.

ტექსტის გამართვისას ე მოსალოდნელ ჱ-დ არ შეგვიცვლია, რადგან ანგარიშს ვუწევდით იმ გარემოებას, რომ ჱ (ეჲ) დიფთონგის მონოფთონგად ქცევა ძველი ქართულისათვის უჩვეულო არაა.

6) ჱ იხმარება უმარცვლო ჳ-ს შემდეგ: ეს ერთ-ერთ თვალშისაცემი ორთოგრაფიული თავისებურება დამახასიათებელია მხოლოდ G ვერსიისათვის: დასაწუჱლნი, მსხუჱრპლნი 6,20 W, ქუჱშე 10,11 W; ყუჱდრება 15,15 G; მეტყუჱლი 16,1 GW; დავარღუჱვ 16,9 GW; დავშუჱრ 17,16 GW; ვსიტყუჱვდ 18,8 GW: აქუჱს 18,12 GW; უჩუჱნო 18,17 GW; დაკუჱთებული 19.13 GW; ტყუჱბად 90,6 GW; მიხუჱჭილსა, მიმხუჱჭელთა 21,12 GW; სტუჱნად 22,14 GW; აღიხუჱნით 46,3 G და სხვ.

უმარცვლო ჳ-ს შემდეგ ე-ს ნაცვლად ჱ ხმარება სხვა ძეგლებშიცაა შემჩნეული[7]. ჩანს, ეს მოვლენა დამახასიათებელია გვიანდელი პერიოდის (XI საუკ-ის

---

4 თ. ყაუხჩიშვილი, მასალები ჱ-ს ისტორიისათვის (სადისერტაციო ნაშრომი 1944, გვ. 81; 420 (მანქანაზე ნაბეჭდი).

5. ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავის ზოგიერთი ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თავისებურება; თსუ-ს შრომები, ტ. 093, 1960, გვ. 53.

6 ეგრეთ ← ეგრჱთ ← ეგრეჲთ ← ეგრეით: იხ. Н. Марр, Т. Р., III, 1901, გვ. XLII.

7 Антиох Стратиг. Пленение Иерусалима персами в 614 г., издал Н Марр: Т. Р., IX, 1909, გვ. 67—69: ქ. ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისტოლეთი ქართული ვერსიები და მათი ენა: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1956, გვ. 123. ც. ქურციკიძე, აპოკრიფები მოციქულთა შესახებ და მათი ენა. ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით, გამოსცა ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1959, გვ. 049.

აქეთა) ხელნაწერთათვის, როგორც ეს ადრე აღნიშნა ა. შანიძემ[8]. ჩვენ ტექსტის გამართვისას ე გავატარეთ, მაგრამ სქოლიოში ყოველთვის არ აღგვინიშნავს ეს გას ორება მაგალითების სიმრავლის გამო.

§ 27. უმარცვლო ჳ-ს ხმარება

უმარცვლო **ჳ** ჩვენს ძეგლში, ისე როგორც ძველი ქართულის სხვა ძეგლებში, ნახმარია გარკვეულ სიტყვათა ფუძეებში თანხმოვნების შემდეგ: სიტყჳსაჲ 1,1 JO ქ-ეყანასა 2,2 JO; ზჳარაკები 3,24 JO; თქჳა 31,1 JO; კჳერთხი 48,17 JC და სხვა. აღსანიშნავია უმარცვლო **ჳ**-ს ხმარება მოსალოდნელი **ვ**-ს ნაცვლად; ასეთი შემთხვევის ორიოდე მაგალითი გვაქვს JO ვერსიებში: იყჳნენ 2,28 O; მოყჳ-ნეს ყურნი 11,9 J. ჩვენ **ჳ ვ**-დ არ შეგვიცვლია ტექსტში, თუმცა ძველი ქართუ-ლის ნორმაა, ზმნის თემატური ნიშნის თუ სხვა სუფიქსეულის **ვ** არ შეიცვალოს უმარცვლო **ჳ**-დ. მაგრამ ჩანს, იშ იათად წინმავალი ყ-ს გავლენით **ვ** გადადის უმა-რცვლო **ჳ**-ში[9].

§ 28. ჳ-ს ხმარება

მოსალოდნელი ჳ-ის ნაცვლად ნახმარია: ა) **ჳ**: იტყჳს 21,23-27; 31,32 Lt; 33,14,17 Lt; ძმასა თჳსსა 11,34 Lt; თჳსთა 32,19 Lt; რომლისათჳს 32,22 Lt;

ბ) ჳ ი: მიხჳიდე 1,7 L; იტყჳის 1,19 L; 23,2 Lt; 31,28 Lt; დაიმკჳიდროს 23,6; 33,16 Lt; დამკჳიდრებულნი 31,24 Lt; განვიღჳიძე 31,26-28 Lt; თჳისისა 32,19 Lt; ეგჳიპტისსა 32,20 Lt; ეგჳიპტით 32,21 Lt;

§ 29. ჭ-ის ხმარება

ცნობილია რომ **ხ**-სა და ჴ-ს ხმარების გარკვეული წესი გვაქვს ძველ ქართუ-ლში[10], ისიც ცნობილია, რომ სიტყვაში: გულისჴმა, გულისჴმის-ყოფა ხან ჴარია ნა-ხმარი, ხან კიდევ—ხანი ამ სიტყვის მართლწერის შესახებ ორი აზრია გამოთქმული.

ერთის მიხედვით, უნდა იწერებოდეს: გულისჴმა, გულისჴმის-ყოფა. ამ შემთხვევაში „ჴმა“ გაგებულია დღევანდელი “ხმის“ (голос) მნიშვნელობით (ს. ჯანაშია, ა. შანიძე, ვ. თოფურია); მეორე შეხედულებით კი, უნდა იწერებოდეს: გულისხმა, გულისხმის-ყოფა (ს. ს. ორბელიანი, ნ. მარი, ი. ყიფშიძე, კ. კეკელი-ძე, ივ ქავთარაძე), რადგან ხმა<ხუმა (“მიღება“, “მიტანა“). საკითხს სპეცია-ლურად შეეხო ივ. იმნაიშვილი, სადაც ასაბუთებს “გულისხმა“, “გულისხმი-ყოფის“ დაწერილობის სისწორეს და ეტიმოლოგიას (გულისხმა<გულისხუმა)[11].

---

8 ძველი ქართული ენა, 1935, გვ. 09. შნშვ. 1.

9 ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 86.

10 ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III, ჴ და **ხ** სიბ-ლანტ აფრიკატებთან მეზობლობაში: საქ. არქივი, წიგნი II, 1927, გვ. 174-186. ი. იმნაიშ-ვილი, ძველი ქართული ენის ტაბულები; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, 1953. გვ. 311.

11 ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავის ზოგიერთი ფონეტიკურ-ორთოგრაფი-ული თავისებურება, თ ს უ-ს შრომები, ტ. 93 1960, გვ. 54—60.

ამ სიტყვის დაწერილობის მხრივ ჩვენს ძეგლში ასეთი სურათია: **ხ**ანია სისტემის ს ხით გატარებული "გულისხმა" და მისგან ნაწარმოებ ფორმებში O რედაქციის ტექსტში, ხოლო J-ში **ხ**ანიანი ფორმაცაა და ჯარიანიც, "გულისსხმა" ფუძის ხმარების 38 შემთხვევიდან J-ში 9 **ხ**ანიანია, ხოლო დანარჩენი ჯარიანი. J-ში **ხ**არიანი ფორმებია: გულისხმითა 10,22; გულისხმაჲ, რომელი გულისხმა-ყო 49,20 გულისხმა-ყო თქუენ ზედა გულისხმაჲ 49,30 გულისხმაჲ, რომელ გულისხმა-უყოფიეს 50,45; გულისხმითა 51,15, ხოლო ჯარიანი ფორმები ნახმარია შემდეგ ადგილებში: 2,19; 3,13; 4,22; 5,1; 5,4-5; 9,22; 9,24; 10.8; 10,12; 1I.18 და სხვ.

ტექსტში ორივე წაკითხვა დატოვებულია თავ-თავის ადგილას.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ გელათური ბიბლიის ნუსხაში „ხუმა"-საგან ნაწარმოები ფორმები გვხვდება, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს „გულისხმა" სიტყვის ეტიმოლოგიისა და მართლწერის დასადგენად: გულისხმიერისაგან 18,18 G; გულისხუმა-მყოფელი 20,21 G; გულისხმიერისაჲ 50,9 G; გულისხუმის-მყოფელთა 50,35 G; გულისხუმის-ყოფისა 51,15 G; მხოლოდ ერთგან არის G-ში; გულისჯმა-ყვნენ 23,20.

თუ ნორმად ძველი ქართულის ვითარებას მივიღებთ, ძველ ვერსიებში ზოგჯერ აღრეულია **ჯ** და **ხ** ერთმანეთში: ოჯრიდენ 5,22 O (უნდა: ოხრიდენ J); მოჰჯადეთ 9,17 J (უნდა: მოჰხადეთ O). აქ "მოჰხადეთ" ნიშნავს: "დაუძახეთ", „მოიწვიეთ".

§ 30. G ვერსიის ორთოგრაფია

G რედაქციის ნაბეჭდი ტექსტის (W-ს) ორთოგრაფია ყოვლად უვარგისია. მაგრამ ეს არ ითქმის ამავე რედაქციის ხელნაწერ ტექსტზე. მართალია G-ს ხელნაწერი ტექსტი ნაკლულია, მაგრამ შემორჩენილ (საკმაოდ მოზრდილ) ნაწილში ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ორთოგრაფია ძირითადად დაცულია. და სწორედ G-ს ხელნაწერის ორთოგრაფია გავატარეთ შეძლებისამებრ ნაბეჭდი ტექსტის (W-ს) გამართვისას. რა თქმა უნდა, გასწორება G-ს ორთოგრაფიასაც შეეხო; W-ში შემდეგი სახის ორთოგრაფიული შეცდომებია დაშვებული:

1) **ვ** არის ნახმარი უმარცვლო **უ**-ს ნაცვლად: თვალნი 5,3; სიტყვათა 5.28; შეიყვარა 5,31; თქვენ 7,8 თქვა 12,17; მიხვალ 16,5 (მიხუალ G); თვალებსა 19,10 (თუალებსა G), ლეღვთა 24,3 (ლეღუთა G) და სხვა.

2) უმარცვლო **უ** არის ნახმარი **ვ**-ს ნაცვლად: ალმომყუანებელი 2,6; იყუნენ 8,2; 14,16; იშუჱს 16,2 (იშვეს G): ყუნეს 16,20 (ყვნეს G; გამოიყუანა 51,16 (გამოიყვანა G) და სხვ.

3) დაკარგულია (დაკლებულია) უმარცვლო **უ**: უკანა 16,11-12; 17,16 (უკუანა G); თირკმელთა 17,10; 20,12... (თირკუმელთაჲ G); საკმეველთა 17,26 (საკუმეველთა G). აკმევდეს 1?,15 (აკუმევდეს G); თქმად 18,20 (თქუმად G); ალთქმაჲ 50.5 (ალთქუმაჲ G), გარდამცმელთა 50,29 (გარდამცუმელთა G) და სხვ,

4) **ვი** არის ნახმარი **ჳ**-ის ნაცვლად; გან-ვე-ხვიდე 2,37; დაუმკვიდრეს 3,18; იტყვის 7,11; მღვიმით 20,3 (მღჳმით G); ზღვისა 49,21 (ზღჳსა G) და სხვ.

5) **ჳ** არის ნახმარი **ვი**-ს ნაცვლად: სიძჳსა 3,7; ჰფუცჳდეთ 7,9; შჳლიერ

12,2; განკითხჳთ 17,11 (განკითხვით G) არგანკითხჳსა მიერ 22,19 (არ-განკითხვისა მიერ G); რისხჳსა 25,38 (რისხვისა G) და სხვ.

6) **უე**-ს ნაცვლად იხმარება **უჱ**: ქუჱშე 10,11; მეტყუჱლთა 20,10 W. (იხ. § 26.) უმარცვლო **უ**-სთან **ჱ** სისტემის სახით არის გატარებული W-ში. ეს „წესი“ იშვიათად არის დარღვეული G-შიც.

7) **ჲ** ზედმეტად არის ნახმარი: ძმანიცაჲ შენნი ... გეცრუვნეს 12,6; განვხრწნაჲ 13,9; ჴმაჲ-ყო 17,11 (ჴმა-ყო G); დამკჳდრებულთაჲ მიმართ 18,11 (დამკჳდრებულთა მიმართ G); დაწუან ციცხლითაჲ 34,22; შეივლტოდიან უფლისაჲ მიმართ ღმრთისაჲ მათისა 50,5 (შეივლტოდიან უფლისა მიმართ ღმრთისა მათისა G); დამოწმებაჲ-ყავთ 50,29 (დამოწმება-ყავთ G) და სხვ.

8) **ჲ** აკლია (გამოტოვებულია): **ა** და **ო** ბოლოკიდურიან სახელებს სახ. ბრუნვაში: შეაგინეს ქუეყანა 3,2; მოირტყ ძაძა 6,26; ისმინეთ სიტყვა (სიტყუაჲ G) 17,20; სიტყვა (სიტყუაჲ G) უფლისაჲ 18,5; მიგეც... გზა ცხორებისა (გზაჲ ცხორებისაჲ G) 21,8 გამოჴდა შემწიკულება (შემწიკულებაჲ G) 23,15; წარწყმდეს სილტოლა (სილტოლაჲ G) მწყემსთაგან და მაცხოვარება (მაცხოვარებაჲ G)... 25.35; ზემოვაქცო ტყუჱობა ელამისა (ტყუეობაჲ ელამისაჲ G) 49,39; შურისგება უფლისა არს... 51,11 (შურის-გებაჲ უფლისაჲ არს G) და სხვ.

ბ) **ჲ** აკლია სახელებს ნანათესაობითარ სახელობითში: არმქონებელი რწმენისა (რწმენისაჲ G) 51,18; უფალი ძალთა (ძალთაჲ G), ღმერთი ისრაილისა (ისრაილისაჲ G) 16,9; სჯული სიმათლისა (შჯული სიმართლისაჲ G) 50,7 და სხვ.

ზოგჯერ **ო** ბოლოკიდურიან სახელს **ჲ** არც ნათ. ბრუნვაში აქვს და არც მისგან ნაწარმოებ სახელობითშიც: ქმნილი ხუროსა 10,3 (უნდა: ქმნილი ხუროჲსაჲ); სასუმელი ოქროსა 51,7 (სასუმელი ოქროჲსაჲ G).

გ) **ჲ** ზოგჯერ დაკარგულია (გამოტოვებულია) სახელთა მოქმედებითისა და ნანათესაობითარ მოქმედებითის ფორმებში; დაფლვითა ვირისათა (ვირისაჲთა G) 22,19: დასასრულით ქუეყანისათ (ქყ~ნისათ) 25,32 (დასასრულით ქუეყანისაჲთ) სახელითა უფლისათა (უფლისაჲთა G) 26,20; ნათესავი ჩრდილოთ (ჩრდილოჲთ G) 50,3 და სხვ.

9) ვითარებით (მიმართულებით) ბრუნვაში სისტემატურად ხმარობს „ბაბილონად“ ფორმას (იხ. 24,1, 27,20, 28,3-4; 51,61...), მაგრამ G-ს ჩვენების საფუძველზე ყველგან გავატარეთ ბაბილონდ, W-ს ყველა ზემოაღნიშნული ორთოგრაფიული შეცდომა გასწორდა წესისამებრ, თუმცა სქოლიოში ყველა გასწორება არ აღვინიშნავს ძალზე ხშირი შემთხვევის გამო.

10) ორთოგრაფიული სიჭრელეა ისეთი ხშირად ხმარებული სიტყვების დაწერილობაში, როგორიცაა: ისრაჱლი, იერუსალჱმი, ბაბილონი, წინაწარმეტყუელი, უკუანაჲსკნელ... მაგალითად: ა) ისრაილ: ისრაილი 2,3 W,[12] ისრაილსა 2,31 W; ისრაილმან 8,5 W; ისრაილისათა 51,5 W; ისრაელ; ისრაელი 23,13 W; ისრაელსაჲ 32,28 W; ისრაელისათა 32,32 W; ისრაელისამან 32,36; ისრაელისათა 51,5 G; იჱრ~ლისა 7.3 W.

ბ) იერუსალიმ: იერუსალიმსა 3,17 W; იერუსალიმის 4,2 W; იერუსალიმი 4,10 W: იერუსალიმისათა 17,21 G W: იერუსალიმისაგან 18,10; იერუსა-

12 ქვემოთ დასახელებული მაგალითები შეუმოკლებლად, უქარაგმოდაა ტექსტში.

ლიმისმან 18,13 W. იერუსალემ, იერუსალემისათა 32,32 W; 33,31 W; იერუსალემსა 32,44 W; იერუსალემი 33,16 W; იჱრუსალიმ: იჱრუსალიმსა 1,3 W; იჱრუსალიმისათასა 2,2 W იჱრუსალიმსა 6,6 W: იჱრუსალიმასათა 7,34; 17,27 W; იჱრუსალემ: იჱრუსალიმის˜თასა 1,15 W; იჱრუსალემ 13 27 W...

გ) ბაბილონდ 20,6; G ბაბილონისაჲ 21,2 G W;... ბაბილონისასა 25,11 W ბაბილოვნ; ბაბილოვნისათა 20,4 G W: ბაბილოვნისასა 25,11 G; 27,8 W ..

დ) წინაჲსწარმეტყუჱლ, წინასწარმეტყუელ: წინასწარმეტყუჱლნი 5,13 W; გიწინასწარმეტყველებენ 29,9 W... წინაჲსწარმეტყუელ: წინაჲსწარჰმეტყუელებდი 26.9 G; მწინაჲსწარმეტყულები 26,20 G; წინაჲსწარმეტყუელებდა 26,20 G; გიწინაჲსწარმეტყუელებენ 27,16 G.

ე) უკანასკნელ უკანასკნელთა 23,20 W; უკანასკნელ 50,17 W ... უკუანაჲსკნელ: უკუანაჲსკნელთა 17,11 G; 23,20 G: უკუანაჲსკნელ 50,17 G.

ამ სიტყვების დასახელებული ფორმებიდან ასეთი დაწერილობა გავატარეთ. ისრაილ, იერუსალიმ; ისრაელ, იერუსალემ ფორმა მხოლოდ მაშინაა დატოვებული, თუ სიტყვას ქარაგმა არ უზის და შემოუკლებლადაა ნახმარი, ხოლო ქარაგმიანი „იჱ˜ლი“, და „იჱ˜მი“ გავხსენით, როგორც „ისრაილ“ და “იერუსალიმ“, რადგან ამ ფორმებში გატარებული “ჱ“ არავითარ კანონზომიერებას არ ემყარება (შდრ. იჱრუსალემ) და ვამჯობინეთ ამ დროისათვის XII-XIII საუკ.) მოსალოდნელი გამოთქმების შესაბამისი ორთოგრაფია გაგვეტარებინა.

ასევე დავტოვეთ ორივე დაწერილობა; „ბაბილონ“ და „ბაბილოვნ“. მაგრამ ერთიანი დაწერილობა გავატარეთ შემდეგი სიტყვებისა; „წინაჲსწარმეტყუელ“ და „უკუანაჲსკნელ“, რადგან ასეთ ორთოგრაფიას სრულიად კანონზომიერად მტკიცედ იცავს გელათური ვერსიის ხელნაწერი ტექსტი (G).

11). სიჭრელეა საკუთარ სახელთა გადმოცემაში; ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი ბერძნული ასოს ძველი და ახალი ბგერითი მნიშვნელობის შესაბამისი დაწერილობა ორივე ერთად (გვერდი-გვერდი) არის დაცული ქართულ თარგმანში (χ=ქ, ხ; γ=გ, ღ: β=ბ, ვ: η=ე. ი.)

ასეთ ფორმებს გასწორება, რა თქმა უნდა, არ შეჰხებია. G ვერსიის ხელნაწერ ნაწილში დასახელებულ ბერძნულ ასოთა გვიანდელი (ბიზანტიური ხანის) გამოთქმაა უფრო დაცული;

ა) χ=ხ: პასხორ (πασχώρ) 20,1; 20,2-3; ახას (Αχάζ) 22,15: ხალდეველ (χαλδαῖος) 22,4; ნაბუხოდონოსორ (Ναβουχοδονόσορ) 24,1; იეხონია (Ιεχονίας) 27,20 და ა. შ.

ბ) γ=ღ: ღაზა (Γάζα) 25,20: მაღდოლო (Μάγδολος) 46 14; ღომორრა (Γόμορρα) 50,40 და სხვ.

გ) β=ვ: ვასან (βασά) 22,20; ზამვრი 25,25 (შდრ. Ζαμβρί; ზამბრი J).

დ) η=ი: იერუსალიმ 17,21 (Ἱερουσαλήμ): G-ში დასახელებულ ბერძნულ ასოთა ძველი გამოთქმაცაა დაცული: იექონია 24,1; გომორრა 23,14; ბაბილონ 25,1 ისრაელ (Ἰσραήλ) 51,5; ნაბუქოდონოსორ 51,34 და ა.შ

W-ში კი უფრო ძველი გამოთქმაა გატარებული, რაც, ჩვენი ვარაუდით, რედაქტორული ჩარევის შედეგი უნდა იყოს. მაგრამ ჩანს გამომცემელთ მაინც გაჰპარვიათ ხელნაწერში დაცული გვიანდელი გამოთქმის შესატყვის ფორმებში: ღაზა 25,20; ზამვრი 25,25; ხავაზინ 35,3. ღამარია 36,25; ნევრიმ 48,34 (μεβρείν).

საკითხავია, რატომ გვაქვს ზოგჯერ G-ში ბერძნულ ასოთა ძველ გამოთქმაზე დამყარებული ფორმები? ამ ასოების (χ,γ,β,η) ძველი ბგერითი მნიშვნელობა XII-XIII საუკუნეებისათვის ხომ დიდი ხნით ადრე იყო დაკარგული? ჩვენ ვფიქრობთ:

მართალია, ძველ ქართულ თარგმანებში დაცული გამოთქმები (ფორმები) გვიანდელი ხანის ძეგლებშიც იჩენს ხოლმე თავს, როგორც, ასე ვთქვათ, ლიტერატურული ტრადიციის თუ არქაიზმის გამოვლინება, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარად უნდა იყოს: G ვ ე რ ს ი ა XII-XIII ს ა უ კ-ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი კ ი ა რ ა რ ი ს, ა რ ა მ ე დ ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ე ტ ა დ ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ა ნ ი გ ა დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა ს ე პ ტ ა ნ ტ ი ს კ ვ ა ლ ო ბ ა ზ ე ს ქ ო ლ ა ს ტ ი კ ო ს ა ვ ტ ო რ ი ს მ ი ე რ. ჩანს, შემჯერებელს ყოველთვის ვერ გადაჰყავდა (გამორჩებოდა ხოლმე) ძველ ქართულ თარგმანში დაცული ფორმები ბერძნული ასოების გვიანდელი გამოთქმების შესაბამისად. ამით უნდა აიხსნებოდეს G-ში საკუთარ სახელთა განსხვავებული დაწერილობანი.

უარყოფითი „არ“ ნაცვალსახელი „არა“ ფორმით არ შეგვიცვლია, რადგან G-ში „არ“ იშვიათად როდი გვხვდება (15,17; 16,11; 19,14...).

2. ფონეტიკა

§ 31. ასიმილაცია

სჯ > შჯ: „საჯ“ ძირის სანი ანის რედუქციის შემდეგ უშუალო მეზობლობაში ექცევა ჯ-სთან და ამ უკანასკნელის გავლენით იქცევა შინად: **საჯ > სჯ > შჯ:** საშჯელით 1,16 JO; გეშჯოდი 2,9 JO; უშჯულოებათა 2,22 JO; შჯიდეს, საშჯელსა 5,28 JO. JO ვერსიებში **სჯ** კომპლექსი ყველგან **შჯ**-ს სახითაა დაცული, მაგრამ G-ში ორივე ფორმა დასტურდება: საშჯელი 22, 16; 51,9..., მაგრამ: დასჯილი 15,10; უსჯულოებათა 16,18; სასჯელსა 21,12...; W-ში ძირითადად /!/ სჯ კომპლექსია გატარებული, ხოლო **შჯ** მხოლოდ 5-ოდე შემთხვევაში თუა დარჩენილი: შჯიდეს 5,28; საშჯელი 50,34...

შჯულისათა 2,8 J; შჯული /←სჯული/ 50,7 JOGW. გვხვდება **სჯ** კომპლექსის **რჩ** და **შჩ** ვარიანტიანი ფორმებიც: რჩულნი 31,33 L_tS ურჩულოებად 31,13 P; ურჩულოებანი 31,34 LS; შჩულნი 31,33 L.

II სუბ. პირის ნიშანი **ს შ**-დ იქცევა ფუძისეული ჯ-ს წინ: დაშჯედ 3,2 J (**შ**ჯედ O);

შდ→შთ: „შედ“ ძირის **დ**ონი **ე**ნის რედუქციის შემდეგ **შ**ინთან უშუალო მეზობლობაში ყრუვდება, **თ**-დ იქცევა: შედ > შდ > შთ: დაშთომილთა 34,70 (დაშდომილთა J); დაშთომილ 52,15 JO ერთგან დასტურდება ურედუქციო და უასიმილაციო „შედ“ ძირზე დაყრდნობილი ზმნისპირიანი ფორმა „დავშედით“ 42,2 J /დავშთით OW/.

დთ > თთ: ვსხეთთ 8,14 W/⇐ვსხედთ JO/; ბრძმეთთა 36,23 J< ← ბრძმედთა/.

სჭ←შჭ: შეშჭამდენ 2,3 LP; 5,17 W; სამშჭულითა 10,40 სამსჭულებითა W/, J-ში კი სამშსჭულებითა. თუ აქ მექანიკური შეცდომა არაა, შესაძლოა **შს** კომპლექსით გადმოცემული იყოს ბგერა, რომლის ფონეტიკური ბუნება **შ**-სა და **ს**-ს შორის მერყეობდა.

დასტურდება ასიმილაციის სხვა მაგალითებიც: საბრჯე 5,27 O /საფრჯე <საფერჯე/; დავაპკულნე 10,18 J/ დავაბრკოლნე O). ევფრათისასა 13,40 /ევფრატისასა J/; ევფრათად 13, 6-70 /ევფრატად J/ შდრ. ბერძნ. ὁ Εὐφράτης; უძლულებად 18, 23 GW (უძლურებაჲ JO).

მეორე ობიექტური პირის ნიშანი **გ** დაყრუებულია **ც**-ს გავლენით; მიქცენ 1,9 J, მიქცე 21,8 J.

§ 32. დისიმილაცია

რ—რ→რ—ლ: ჭურჭელი /<ჭურჭერი/ 19,11 JW; ჭურჭელსა 27,21 J; გვხვდება უდისიმილაციო ფორმებიც: ჭურჭერი 19, 11; ჭურჭერთა 27, 19 JO: ჭურჭერსა 32,14 JO.

რ—რ→რ—ნ: მატაკარანმან /<მატაკარარ-ი, სომხ. *մատակարար*) 39,9 39, 13; 40,1... JO. ნ. მარს აღნიშნული აქვს, სომხური „მატაკარარ“-ი ქართულში იმიტომ იქცევა „მატაკარან“-ად. რომ ქართული საერთოდ გაურბის ორ რ-ს ერთ სიტყვაშიო.

ტყ→დყ: აღადყეს 1,14 P.

პტ→ბტ: ეგბტედ 42,14; 42,18 J /ეგჳპტისად; ეგჳპტედ O. შდ. Αἴγυπτος/

დისიმილაცია უნდა გვქონდეს სიტყვაში: ჭაბუკთასა 31,13 O /ჭაპუკთასა J/, სიჭაბუკით 32,30 O/ სიჭაპუკით J/, მაგრამ აღსანიშნავია, რომ თვით სპარსულში, საიდანაცაა ეს სიტყვა ქართულში შემოსული, მოხდა მსგავსი ცვლილება, საშუალი სპარსულის ყრუ ბგერათა მჟღერებში გადასვლა, ამიტომ შეუძლებელი არაა, რომ „ჭაბუკი“ ფორმა ისევე იყოს დამოკიდებული ახალ სპარსულზე, როგორც „ჭაპუკი“ საშუალ სპარსულზე. ჩვენ მაინც გვგონია, რომ **პ**-ს **ბ**-დ გამჟღერება ქართულ ფონეტიკურ გარემოში უნდა მომხდარიყო /შდრ. **ბ**ატარა<**პ**ატარა/ ხოლო საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს ჭაბუკი< ჭაპუკი სუბსტიტუციის მაგალითი იყოს, სწორი არა ჩანს.

§. 33. მეტათეზისი

ბ/ლ: დელბათას 39,60 /დებლათას J; ἐν Δεβλαθᾷ/

ვ/თ: დავაწთვე 42,18 JO/ დავაწთვე<დავაწვთე<დავაწუთე<დავაწუეთე/

კ/რ: მატარაკანი /მატარაკანი/ მატარაკანისა 52,14, O;
მატარაკანმან 52,15 O.

ლ/რ: განძრიელდა 9,3 P; უძრიელჱსისა 31,11 P; ძრიელი 32,19 P.

პ/კ: როსკიპისად 3,3 J /როსპიკისად O/, როსკიპთასა 5,7 J /როსპიკთასა O/ნ. მარის ცნობით, „როსპიკი“ ფალაურიდან მოდის /ხოლო ახალ სპარსულშია „როსკიპი“ /**roskipi**/, ამიტომ არაა სწორი, თითქოს; როსკიპი> როსპიკი (როგორც ამას მ. ძიძიშვილი ფიქრობს).

რ/ბ: ლიბრითა /ლირბითა/ 8,5 W.

მეტათეზისის შედეგი უნდა იყოს ფორმა: ნესუტნი 48,36 J /ნესტუნი/, მეტათეზისს ხედავენ ფორმაში „ჯურღმული“: ჯურღმულსა 38,6 JO. უთუოდ, ამ შემთხვევაში „ჯურღმული“ გააზრებულია „ღრმა“ სიტყვის შემცველ ფორმად. (მ. ძიძიშვილი) მაგრამ თუ ასეთ ეტიმოლოგიას ვირწმუნებთ, ამოსავლად უნდა მივეჩნია არა „ჯურღმულ“, არამედ „ჯურღრმულ“/ სომხ. ჯურ „წყალი“ + ქართ. ღრმული „ღრმა“- დან/. მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ „ჯურღმული“ სომხური და ქართული სიტყვების შეერთებით მიღებული კომპოზიტი კი არ იყოს, არამედ ერთი სიტყვა, კერძოდ, სომხური *ջրմուղ*-ის საკმაოდ ზუსტი გადმოცემა. ასე რომ ქართულში უნდა გვქონოდა „ჯურმულ“, **ღ** მასში მერეა გაჩენილი სიტყვის მცდარი, კერძოდ, „ღრმა“-ს შემცველ ფორმად გააზრების გამო.

§ 34. სუბსტიტუცია

ფ/ბ: აღგესაფურველნეს 13, 22 W /აღვსაბურველნე 13,26 W/;

ბ/ვ: სამარობანსა 2,23 J; სამარობან 19, 6 J (სამაროვანსა; სამაროვან O):

ლ/ვ: ნაბალსა 48,1 O/ ნაბავსა JW. ἐπὶ ναβαῦ/:

ვ/მ: ვარსკულავები 31,35 O /მარსკულავები J/: მივარსკულავთამდე 51,9 J /მიმარსკულავამდე O).

დ/თ: მესდულემან 6,9 J (მესთულეთა O); აღიმსდო 41,10 J/ აღიმსთო O), მესდულენი 49,9 J...;მესთულე←მესთუელე. ჭანურში სთ/ვ/ ძირი აღნიშნავს გაწყდომას, დასხლტომას; მასთან კავშირშია „სთველი", დრო, როცა ყველაფერი /ხის ნაყოფი.../ „მესთუნ" მოწყდება და ცვივა[13].

დ/ტ: წრდიალითა 14,15; 16,4 J /წრტიალითა/ „წრტიალი" ისეთივე წარმოებისაა, როგორც: შრიალი, გრიალი, ტრიალი... ძირეული წრტ (წერტ) მნიშვნელობით ჩხვლეტას უნდა უკავშირდებოდეს.[14]

მ/ბ: შესაწყდობელსა 37,15 J /შესაწყდომელსა O/;

მ/ნ: ფეშხუენები 52,18J/ ფეშხუემები O/;

ნ/ლ: მსულევანი 7,18 O /მსუნევანი J/;

ნ/მ: ცხომდებოდეთ 29,7 J /ცხონდებოდეთ O/, ცხომდეს 38,17J. /ცხონდეს O).

ტ/თ: განჰმართენთ 7,3 J. /განმართებით განჰმართნეთ 7,5 J/ განმარტებით განჰმარტნეთ O), განჰმართოს 10, 23 JO. „მარტ" და „მართ" ერთი ძირი უნდა იყოს სხვადასხვა დიალექტური წრისა. აქედან „მართ" ძირმა მეტი გასაქანი მოიპოვა: მართ-ალი, მი-მართ, მო-მართ, წა-მართ, უკუ-მართ[15], მაშინ როცა „მარტ"-ისგან ნაწარმოებია: მარტ-ავ-ს, მარტ-ივ-ი.

ჩ/ც: ფრჩხილითა 17,1 GW (ფრცხილითა JO).

§ 35. ხმოვანთა რედუქცია

იკარგება ა ხმოვანი:

ავ: მპარვისაჲ 2,26 O /მპარავისაღ W/: მეძვისა. 3,3 W /მეძავისა/

ალ: სამართლის 5,1 O /სამართალის J/, საშჭულითა 10,4 O, ჯერკულითა 24,20 /ჯერკუალითა J/, სიჯერკულისაგან 29,17 O /სიჯერკუალისაგან J/; ფერცხლნი, ფერცხლთა 30,6 J (ფერცხალნი, ფერცხალთა O).

მკლისაჲ 51,27 JO (მკალისაჲ).

ან: ქუეყნად 6,8 W; ჴელოვნისა 29,2 JW ჴელოვანთა O).

იკარგება ე ხმოვანი:

ელ: მფრინვლითა 5,27 J: საჭმლად 7,33 JO; სარკუმლით 9,21 O 35,5 /სარკუმლებით J/, სარკუმლებითა 22,14 JO; სასუმლებითა 35,5 J /სასუმელები O/;

ენ: ბრძნისაგან 18, 18 O/ ბრძენისაგან J/.

ერ: მკრდის 2,32 J (მკერდისა O); განჰკრთით 49,30 O (განკერთით J)

---

13 ა. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 313.

14. Н. Марр, К вопросу о ближайшем родстве араянского языка с иверским; 1909, გვ. 2, სქოლიო 1 (ცალკე ამონაბეჭდი).

იხ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 145.

ჩვენი: ზოგი რამ „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკაზე, ჟურნ. სკოლა და ცხოვრება, № 10-1964, გვ. 81—82.

15 ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942; გვ. 27.

ე არაა დაკარგული: მტერისაჲთა 30, 14 JOW.

იკარგება **ო** ხმოვანი

ოლ: ჰორლები 46, 4 JOG.

ო ხმოვანი სუსტდება:

ო > **უ**: (უმარცვლო): ნიგუზისასა 1,11 OPL (ნიგოზისასა J).

ო > **ვ**: რავდენი 1,7 O: 32,23 JO; 50,21 J (რაოდენი 1,7 JW; 50,21 O).

იკარგება **უ** (უმეტესად უმარცვლო)

უკმოვაგნე 24,6 O (უკუმოვაგნე J); უკმოვაქცინე 34,22 JO: უკმოიღო 41,16 J, უკმოიქცინეს 41,16 O.

უმარცვლო **უ** არის დაკარგული სიტყვებში: მოიზაკო 2,33 J (მოიზაკუე O), საძრომელ 23,12 J (საძურომელ O), აღთქმაჲ 31,31 J: 31,33 Lt (აღთქუმაჲ O):

საერთოდ უმარცვლო **უ**-ს დაკარგვა დამახასიათებელია W-სთვის, G-ში კი **უ** დარჩენილია: უკანა 16,11; 17,16 W /უკუანა G/ თქმად 18,20 W/ თქუმად G/, თირკმელთაო 11,20 Lt; თირკმელთა 17,10; 20,12 W/ თირკუმელთა G/; აკმევდეს 18,15 W/ აკუმევდეს G/; მოყსისა 22, 8 W /მოყუსისა G/; საკმევლისაჲ 33,18 Lt.

§ 36. თანხმოვანთა დაკარგვა

იკარგება ზმნისწინისეული ბოლო თანხმოვანი:

აღ > **ა**: აჰმაღლდებით 13,15 O; აფხურად 13,19 O; ამაღლდა 14,2 O ახილვა 14,10 O; ამაღლებულ 17, 12 J.

გან > **გა**: გაჰმართენთ 7,3 J; გამრავლდეს 15,8 G; გასარყუნელად 25,9 O.

„თთუე“ სიტყვაში ერთი **თ** იკარგვის O რედაქციაში. J-სა და GW-ში კი—არა: თუესა 1,3; 39,1 O: იშვიათად W-შიც გვაქვს: თუესა /39,2/. არაა დაკარგული **ჩ** სიტყვაში ჩჩჳლი 6,11 JOW.

თითქოს დაკარგულია **ს**: იწრაფეთ 4,6 O /ისწრაფეთ J/: ვითარცა სამწყული უმწყი ვერ დავიმწყე 31,18 J O. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში „წრაფ“ და „სწრაფ“ ფორმები თანაბრად იხმარება ერთმანეთის პარალელურად, და შეუძლებელი არაა ისიც, რომ ამ ფუძეში **ს** განვითარებულად მივიჩნიოთ.[16]

ვ ბგერის დაკარგვა: **ვ** ბგერა იკარგება ხმოვნებს შორის, კერძოდ მაშინ, როცა ის მოექცევა **ო**-სა და **უ**-ს მეზობლობაში.

ოვა > **ოა**: ჭურელოანი **2,13** J (ჭურელოვანი O); სერტყოანსა 3,13 J (სერტყოვანთა O); გლოაჲ 7,29 W; მგლოარე 14,2 O; 31,21 OW (მგლოვარი O); საძოარი 25,36 J (საძოარნი G) 50,45 G; საცხოარია 36,29J (საცხოვარი O), მწოართა 44, 7 J (მწოვართა O).

ოვან > **ოან**: სახელოანი 3,19P; მარილოანსა 17,6 P.

ოვო > **ოო**: პოონ. 2,24 W; ჰპოოთ 5,1 J W; იპოოს 10,18 W.

ოვე > **ოე**: ცხოელ 16, 15 G; ვპოე 45, 3J.

16 მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, 1960, გვ. 124.

ევო>ეო: დაუტეონ 7,11 JOW (დაუტევონ G),

უვე>უე: შემწუელმან 18,17 W (შემწუველმან JOG).

ვ იკარგვის, თუ იგი ო-ს მოსდევს: ცხონდეს 23,6OW (ცხოვნდეს JG), ან ო-ს წინ არის: უზაობაჲ 3,7W (უზავი 3,8 W) განაციოს 6,7 W.

ვ დაკარგულია უ-ს წინ: მოსრულთაჲ 7,32 O (მოსრვულთაჲ J). მე განუცხადო 16,21 JGW (გამოუცხადო O), მაგრამ შენახულია სიტყვაში: დაცვულ 2,5W.

§ 37. ბგერის გაჩენა (განვითარება)

შემჩნეულია, რომ ვ ბგერა ზოგჯერ იმავე გარემოში ჩნდება, სადაც იგი სხვა შემთხვევაში მოსალოდნელი იყო და იკარგებოდა[17]. ნ. მარს ვ-ს გაჩენა ხმოვნებს შორის დიალექტურ მოვლენად მიაჩნდა. მისი აზრით, ვ ჰიატუსის ასაცილებლად გაჩენილი ხმოვანთგასაყარი ბგერაა (гласноразделный звук)[18].

ვ ჩნდება ხმოვნებს შორის:

უ-ი: ეცრუვის 3,20 JO; ტყუვილით 4,10 JO; ტყუვილი 9,3 JO

უ-ე: ტყუვე 20,30 (ტყუე J); შემიტყუვე 20,7 JO; სიცრუვესა 29,31J.

უ-ა: საშუვალ 39,4 O; 52,7 O (საშოალ J);

ო-ე: მარტოვებით 15, 17 W; სასოვებით 33,16 J (სასოებით O);

ო-ა: სტოვათა 32,2 J (στοά); იოვაკიმისა 25,1 O; იოვაკიმს 36,29 O (იოაკიმს J). ვინიანი ფორმა დამახასიათებელია O-სთვის. JG-ში კი უვინო „იოაკიმ“ ფუძეა (Ἰωακείμ).

ვ ჩნდება ო-ს შემდეგ: განგეშოვროს 6,8 J განიშოვრა 7,29 J. განვიშოვრენ 23, 3 J[19], ბაბილოვნისაჲსა 24,1 J (Βαβυλῶνος); ე-ს წინ: მაჭირვებელ 46,27 J (მაჭირებელ O); საწუნველ 49,15 GW;

ვინიანი ფორმები „ბაბილონ“-ისა და „შორ“ ფუძისაგან ნაწარმოებ სიტყვებში დამახასიათებელია J რედაქციისათვის. თუმცა შედარებით ნაკლებად J-ში უვინო „ბაბილონ“ ფორმაც გვხვდება 22,28; 37,1; 40,4.···), ხოლო G რედაქციაში „ბაბილონ“-იც გვაქვს (20,5; 20,6; 27,8...) და „ბაბილოვნ“-იც (20,4; 21,10);

ჩნდება **უ** ბგერა: ალუთქუმაჲ 32,40 O.

ჩნდება **ა** ბგერა: მანანაჲ 17, 26 JO (*μάννα*).

ჩნდება **ნ** ბგერა: მ**ნ**დრანჯობელ 5,8 J; დაინთქას 51,64 W (დაითქას O).

---

17 ვ. თოფურია, ქართლური: არილი, 1925, გვ. 135—136.

18 Н. Марр, Т. Р., VII, 1911, გვ. XLVI.

19 ძველი ქართულის ფონზე მოჩანს ვინი განვითარებულად „შოვრ“ ფუძეში (ჩვეულებრივ უვინო ფორმები იხმარება), თორემ ისტორიულად ვინი ფუძის კუთვნილება უნდა ყოფილიყო: **შოვ < შუ´ავ**, იხ. თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, 1959, გვ. 52; შდრ. მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, 1960, გვ. 122.

§ 38. კონტამინაცია

მეათცამეტესა 1,2 JW; მეათცამეტით 25,3 JGW. ფორმა მიღებულია „მეათსამეტე“-სა და „მეაცამეტე“-ს (მეაცამეტესა 1,2 O, მეცამეტით 25,3 O) კონტამინაციით. ოც და მეათჩჳდმეტესა 52,31 J. მიღებულია „ოც და მეათშჳდმეტე“-სა (G) და „ოც და მეჩჳდმეტე“-ს (O) ფორმათა კონტამინაციით.

ცხომნდეს 38,2 J←ცხონდეს+ცხომდეს 38,17 J).

3. მორფოლოგია

§ 39. სახელთა ბრუნება

ა-ზე და ე-ზე ფუძე-დაბოლოებული სახელები ზოგჯერ კარგავენ სახელობითი ბრუნვის ნიშანს (ჲ-ის): რაჲ პოვეს მამათა თქუენთა ჩემ თანა შეცოდება 2,5 O. მიგელოს სიმართლე 6,2 J; გამოჴდა სიბილწე 23,15 JO; არა არს მშჳდობა 30,5 JW; არა დაიფაროს შენგან სიტყუა 32,17 Lt. მოვაქციოთ ტყუე მათი 32,44 O; აღიმაღლე... ბუდე შენი 49,16 J და სხვ.

ე ბოლოკიდურიანი სახელი „ჰუნე“ **ებ**-იანი მრავლობითის ფორმაში **ე**-ს იკვეცს J ვერსიაში, O-ში კი—არა: ჰუნებსა 22,4 J; 46,9 J (ჰუნეებსა O). ფიქრობენ, რომ „ჰუნების“ ტიპის მაგალითებში **ე**-ს შემთხვევითს დაკარგვასთან ან კვეცასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე[20], არამედ ორი **ე**-ს პოზიციურად შერწყმასთან: **ee** > **e**. ასეთი პოზიციურად გრძელი **ე** ძველად ხან ერთი **ე**-თი გადმოიცემოდა, ხან—ორით, ხოლო ახალმა ქართულმა კი ორი **ე**-ს წერა დააკანონა[21].

§ 40. სახელობითის ნაცვლად წრფელობითის ფორმით გვხვდება

ა) **ებ**-იან მრავლობით რიცხვში წარმოდგენილი სახელები: ისუთ ცოლებ და ისხთ შვილებ, ძეებ და ასულებ, უსხენით ძეთა თქუენთა ცოლ და ასულნი თქუენნი მისცენით ქმართა, და შვედ ძეებ და ასულებ 29,6 J.

ბ) რიცხვითი სახელები საზღვრულთან ერთად: ათერთმეტ წელ მეფობდა იგი იერუსალჱმს 52,1 JO; იყო სიზრქჱ მისი ოთხ თით გარემოჲს 52,21 J; ოც და ათხუთმეტ წყრთა იყო სიმაღლე სუეტისაჲ მის ერთისაჲ 52,21 J; იყო ყოველი იგი სულები ოთხ ათას და ექუსას 52,30 J და სხვ. ბოლო სამ მაგალითში ხაზგასმული სიტყვები შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს გამოხატავენ, და ამდენად ბუნებრივია, რომ მათ წრფელობითის ფორმა ჰქონდეთ[22].

აღნიშნულია, რომ ცალკე თუ მსაზღვრელად ნახმარი რიცხვითი სახელი ძველ ქართულში ჩვეულებრივ წრფელობით ბრუნვაში დგას, მისი ხმარება სახელობითი ბრუნვის ფორმით გვიანდელია, მეორეულია[23]. ეს ასეა, მაგრამ რატომ უჭირთ რიცხვით სახელებს სახელობითი ბრუნვის წარმოება? იმიტომ ხომ არა, რომ სახე-

20 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში თბილისი, 1957, გვ. 95.

21 იქვე, გვ. 100.

22 ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 642—648

23 იქვე, გვ. 472—476.

ლობითი ბრუნვის ნიშანი **ი**, რომელიც „იგი“ მსაზღვრელი ნაწევრისაგან მომდინარეობს[24], ისევე ზედმეტი იყო რიცხვითი სახელებისათვის, როგორც საკუთარი სახელებისათვის? როგორც ჰეროდე აღნიშნავს მხოლოდ ჰეროდეს და არა იოანეს ან პეტრეს, ასევე ხუთი შეიძლება აღნიშნავდეს მხოლოდ ხუთს და არა შვიდს ან ათს, საკუთარი და რიცხვითი სახელები თავისთავად (ლექსიკურად) განსაზღვრული იყვნენ, და შესაძლებელია, ამით აიხსნებოდეს მათი სახელობითში იშვიათი ხმარების ფაქტი.

§ 41. „სახლ“ სიტყვის უძველესი ფორმები

„სახლ“ ფუძის სრულ ურედუქციო სახედ მიჩნეულია სახელ[25], რაც ფაქტიურად ჩვენს ძეგლშიც დასტურდება. სახელ (სახელი W) მიწოდე მე 3,4 O,... შესაწირავი და გუნდრუკი და მოხაქუნდეს ქებად ს(ა)ხელსა უფლისასა 17,26 *x*; დავსთესო სახელი ისრაჱლისა და სახელი იუდაჲსი თესლითა კაცისაჲთა 31,27 O.

დასახელებულ მაგალითებში რომ სახელი სახლის მნიშვნელობითაა ნახმარი, ამას ადასტურებს უცხო წყაროთა ჩვენება, სადაც „სახელის“ ფარდად გვაქვს: οἰκία, տուն, дом (31,27-ში ნახმარი „სახელის“ ფარდი ბერძნულში არა გვაქვს).

გვხვდება „სახელ“ სიტყვის **ლ** თანხმოვანდაკარგული ფორმა „სახე“: შთავედ სახედ მეკეცისა 18,3 J (სახიდ *x* OW). სახიდ←სახილდ, ხოლო „სახილ“ მიჩნეულია „სახელ“-ის დიალექტურ ვარიანტად[26]. აღსანიშნავია, რომ ძველ „სახედ“//„სახიდ“ ფორმათა გვერდით ახალი „სახლად“ ფორმაც გვაქვს: მისცეს იგი სახლად საპყრობილედ 37,14 O (შდრ. სახიდ JW).

§ 42. ნათესაობითი მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციით

მდიდართა მათთა წარავლინნეს ჭაბუკნი მათნი წყლის 14,3 JO. წინადადებაში „წყლის“ სინტაქსური დანიშნულებით მიზნის გარემოებაა, „წარავლინნეს... წყლის“ ნიშნავს: გაგზავნეს წყალზე, წყლისთვის, წყლის მოსატანად (...ἐφ' ὕδωρ, ջրոյ, за водою), ხოლო მორფოლოგიურად „წყლის“ იმავე დანიშნულებას ასრულებს, რასაც ნანათესაობითარი მიმართულებითი ბრუნვის ფორმა: წყლისა/-წყლისად. თუ ზემოთ დასახელებულ მაგალითში **-ა** თუ **-ად** ბრუნვის ნიშანი შემთხვევითად არაა დაკლებული (წყლის<წყლისად), მაშინ აქ საყურადღებო ფაქტთან გვექნება საქმე ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციის გამოვლენის თვალსაზრისით.

§ 43. მოქმედებითი მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციით

განიბნინეთ თქუენ, ვითარცა ქარქუეტნი, წარტაცებულნი ქარისაგან უდაბნოჲთ 13,24 O. აქ „უდაბნოჲთ“ უნდა ნიშნავდეს არა „უდაბნოდან“, არამედ: „უდაბნოში“, რასაც ამტკიცებს JG ვერსიათა და უცხო წყაროთა ჩვენება: უდაბნოდ JW; εἰς ἔρημον; յանապատի; в пустыню (სლავ.)[27]. ჴმაჲ ჰრამაჲთ ისმა

24 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 640.

25 ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერ.-კავკ. ენათმეცნ. I, 1946, გვ. 83, სქოლიო 4. ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 39—40.

26 ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

27 მსგავს მაგალითებზე საგანგებოდ მსჯელობს პროფ. ი. იმნაიშვილი თავის მონოგრაფიაში: სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 226—233.

31,15 O. „ჰრამაჲთ“ ნიშნავს: ჰრამად (J) ჰრამას შორის (W). ამასვე ამტკიცებს უცხო წყაროთა ჩვენებაც: φωνὴ ἐν Ῥαμᾷ ἠκούσθη; ձայն 'ի Ռամայ լսելի եղև; голос слышен в Раме.

§ 44. ვითარებითი (მიმართულებითი) მოქმედებითის (გამოსვლითის) ფუნქციით

მოვიდეს კაცნი სჳქემდ და შალემით და სამარიაჲთ 41,5 O. „სჳქემდ“ ფორმას მიმართულებითის (მიწევნითის) შინაარსი კი არა აქვს, არამედ გამოსლვითისა, როგორც ეს მის მომდევნო სახელებს აქვთ („შალემით“, „სამარიაჲთ“). სჳქემდ „ფორმა რომ შინაარსით იგივეა, რაც „სჳქემიდან“. ამას ადასტურებს სხვა ქართული ვერსიების ჩვენება, სადაც „სჳქემდ“-ის ნაცვლად იკითხება: სუქემით J. სჳქემით W, თანაც „სჳქემდ“ ფორმის საბადლო სიტყვას უცხო წყაროებში გამოსვლითის მნიშვნელობა აქვს: ..ἀπὸ Συχὲμ...; 'ի Սիքեմայ···; из Сихема.

მსგავსი შემთხვევა, თუ არ ვცდებით, ჯერჯერობით შემჩნეული არ ყოფილა[28], ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ერთადერთი მაგალითიც საეჭვო და მცდარი იყოს, მაგრამ ჩვენ თეორიულად შესაძლებლად მიგვაჩნია მოსალოდნელი „სჳქემით“ ფორმის ნაცვლად „სჳქემდ“-ის ხმარება: რადგანაც ძველ ქართულში შესაძლებელია მოქმედებითის ხმარება ვითარებითი ბრუნვის მნიშვნელობით[29]. უნდა ვიფიქროთ, რომ ვითარებითსაც უნდა შესძლებოდა მოქმედებითი ბრუნვის მაგივრობის გაწევა.

§ 45. ვითარებითი (მიმართულებითი) მიცემითი ბრუნვის ფუნქციით

შეკრბენ მუნ ყოველნი წარმართნი სახელითა უფლისაჲთა იერუსალჱმდ 3,17 JO. აქ „იერუსალჱმდ“ ნიშნავს არა „იერუსალიმისკენ“, არამედ „იერუსალიმში“. უცხო წყაროებშიც მსგავსი ვითარებაა: συναχθήσονται πάντα τὰ ἔθνη εἰς αὐτήν; ժողովեսցին... յերուսաղէմ; соберутся в Иерусалим.

სხვა მაგალითების დასახელება საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგან სპეციალურ ლიტერატურაში სათანადოდ არის აღნიშნული მიცემითისა და ვითარებითის ფუნქციური სიახლოვე[30].

§ 46. ნათესაობითარი სახელობითი

თუ მსაზღვრელად გამოყენებული საკუთარი სახელი საზღვრულს მოსდევს, სახელობით ბრუნვაში ემფატიკურ **ა**-ს არ დაირთავს და **-საჲ** დაბოლოების

---

28 შდრ. თ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 420—433. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 731—756.

29. იქვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 726.

30 თ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 424, ვ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 396, იქვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 737-739.

ნაცვლად **სი** აქვს[31]. ძჱ მელქისი, ძჱ მაასესი 21,1 J; ძჱ იოაკიმისი 22,24 JGW და სხვ.

ამ მხრივ ზოგჯერ გეოგრაფიული სახელი ადამიანის ჯგუფის საკუთარ სახელებთანაა გათანაბრებული: ცოდვაჲ იუდაჲ**სი** 17,1 JO; მეფჱ იუდაჲ**სი** 32,4 O (მეფჱ იუდაჲსაჲ J); ჴმაჲ ესებონი**სი** 48,34 JO.

„იოაკიმისი" ტიპის ფორმები ნანათესაობითარ სახელობითად არის მიჩნეული[32], ა. ჩიქობავას ეჭვი შეაქვს ასეთ ახსნაში და აღნიშნავს: „დავითისი" ისევე, როგორც ახალი ქართულის „წყაროსი", მომდევნო მსაზღვრელის ფორმაა: ძჱ დავით-ის-ი, წყალი წყარო-ს-ი, წინამავალ მსაზღვრელს, თუ ასეთად იქნებოდა ნახმარი „დავითის"-ი, ი არ შერჩებოდა. „დავითისი" (ძჱ დავითის-ი) წინ დასმისას რომ უინოდაა, ამას ახსნა სჭირდება. და სანამ ეს ახსნილი არაა, მანამდის „დავითისი", როგორც სახელობითი, უფრო საკითხია, ვინემ ფაქტი[33].

უნდა აღინიშნოს, რომ „დავითისი" ტიპის ფორმებში **ი** სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა სახელობითი ბრუნვის ნიშანი: ძჱ დავით-ის-**ი**, ძემან დავითის-**მან**, ძესა დავითის-**სა**... ე. ი. **ი** ისევე არის სახელობითი ბრუნვის ნიშანი, როგორც **-მან** — მოთხრობითისა, **-ს(ა)** — მიცემითისა და ა. შ საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ძველ ქართულში „დავითისი" ტიპის მსაზღვრელი საზღვრულის წინაც შეიძლება დაისვას (მსგავსად უეჭველი ნანათესაობითარ-სახელობითის ფორმებისა: მისი, სხვისი საქმე): ესმა პასქორს.... იერემიაჲსი წინაწარმეტყუელებაჲ 20,1 O; არა მოაკლდეს დავითისი კაცი... 33,17 JO; მესმა მოაბისი გინებაჲ 48,29 J (გეოგრაფიული სახელი „მოაბი" ადამიანის ჯგუფის საკუთარ სახელებთანაა გათანაბრებული).

ზემოთ დასახელებული ტიპის მაგალითები ძველ ქართულში ხშირი არაა, მაგრამ არც ისე იშვიათია[34], რომ ისინი შემთხვევითად ჩავთვალოთ.

საკუთარი სახელი, რომელიც მსაზღვრელის წინ დგას, ძველ ქართულში ჩვეულებრივ არ იბრუნვის[35]: ბარუქ მწიგნობარი, ბარუქ მწიგნობარსა, ბარუქ მწიგნობრისა... მაგრამ თუ ასეთ სინტაქსურ კავშირში მყოფ საკუთარ სახელს წინ უძღვის კიდევ სხვა სასაზღვრი სიტყვა, საკუთარი სახელი ზოგჯერ მართულ-შეთანხმებული ხდება: მიავლინა მისა... სოფონია, ძჱ მაასესი (მანასჱსი O) მღდელისაჲ 21,1 JO; შეპყრობაჲ ბარუქისი მწიგნობრისაჲ 36,26 JW.

---

31 К. Дондуа, К вопросу о родительном эмфатическом в древнелитературном грузинском языке: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 209.

32 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, 1935 წ. გვ. 018. მ ი ს ი ვ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 107. ა. მარტიროსოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის... გვ. 385. ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ... გვ. 619.

33 ა. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის..., გვ. 257. სქოლიო I.

34 ა. მარტიროსოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება..., გვ. 385. ქ. ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული რედაქციები და მათი ენა, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ ა. შანიძის რედაქციით, 1956, თბ., გვ. 132. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 583—584.

35 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, 1935, გვ. 017.

„ძჱ მაასესი მღდელისაჲ“-ს ტიპის მაგალითებში ძველი ვითარება უნდა გვქონდეს შემონახული. ასეთ ფორმებში ძველად საკ. სახელი მართულ-შეთანხმებული იყო, შემდეგ კი შეთანხმების უნარი დაკარგა და მხოლოდ მართული გახდა. ვფიქრობთ, რომ „დავითისი კაცი“-ს ტიპის მაგალითებში ინის დაკარგვა ცალკე არ განიხილება. დაიკარგა არა მარტო ინი (სახელობითის ნიშანი), არამედ ყველა დანარჩენი ბრუნვის ნიშნებიც. რადგან საკ. სახელი მართულ-შეთანხმებულიდან მხოლოდ მართული გახდა.

§ 47. ნანათესაობითარი ვითარებითი

განვიდა მისა აბდიმელექ 38,8 J; მოვიდეს ყოველნი მთავარნი იერემიაჲსა 38,27 JO; მოიყვანეს მეფისა ბაბილონისა 52,9 JOW და სხვ.

ხაზგასმულ სიტყვათა მსგავსი ფორმები მიჩნეულია ნანათესაობითარ ვითარებითად[36], თუმცა არ გამორიცხავენ ვარაუდსაც, რომ აქ მარტივი ნათესაობითის ფორმა იყოს[37]. თუ სწორია მოსაზრება, რომ „მოიყვანეს მეფისა“ და „წინაშე შუშანიკისა“-ს ტიპის მაგალითებში ერთნაირი ოდენობის **ა** გვაქვს, მაშინ შეუძლებელი არ უნდა იყოს, რომ ასეთ შემთხვევაში ნახმარ **ა**-ს უფრო ფონეტიკური დანიშნულება ჰქონდეს, ვიდრე მორფოლოგიური[38].

§ 48. წოდებითი ბრუნვის ფორმასთან ნახმარია ჵ

ჵ უფალო უფალო, 4,10 JO (Ὦ δέσποτα Κύριε; *ով Տէր Տէր*); ჵ მწყემსნო 23,1 JOG Ὦ ποιμένες; *ով հովիւք*).

ვარაუდობენ, რომ ჵ-საგან უნდა მომდინარეობდეს წოდებითი ბრუნვის ნიშანი **ო**[39]. ასეთ ახსნას ყველა არ იზიარებს[40]. საკითხავია, როგორ მოხდა, რომ ჵ (= **ოჵ**[41]), რომელიც ყოველთვის წინ უძღვის სახელს, **ო**-დ იქცა სიტყვის ბოლოში და თან თავისი პირველი (წინა) ადგილიც შეინარჩუნა (ჵ მწყემსნო)? ჵ-ს ფარდად ბერძნულ-სომხურ წყაროებში ნახმარია ὦ (ῶ) და *ով* (*ո*). როგორც ეს უკანასკნელნი არ მიაჩნიათ ბრუნვის ნიშნად სათანადო ენებში, ასევე არ უნდა იყოს ჵ-ც წოდებითის ნიშანი ქართულში.

36 ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 179—182. მისივე, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის..., I, გვ. 32. სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის... I, გვ. 92-100.

37 ც. ქურციკიძე, ნანათესაობითარი ვითარებითი ძველ ქართულში: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 39.

38 შდრ. ალ. ფოცხიშვილი, მარცვალთღიაობის ა ახალ ქართულში კ. კეკელიძეს (საიუბილეო კრებული), 1959, გვ. 333—338.

39 ვ. თოფურია, წოდებითი ბრუნვისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის... I, გვ. 43. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები... გვ. 85.

40 სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, 85, სქოლიო 1.

41 ა. შანიძე, თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები: თსუ-ს შრომები, XVIII, 1941, გვ. 32-33. მისივე, Новооткрытый алфавит Кавказских албанцев и его значение для науки: Известия ЯИМК, т. IV, 1938, გვ. 21.

ჵ-ს შორისდებულის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს: ჵ, რომელი აშენებდეს... 22,13 J (შდრ. *ով, որ շինէ*).

წოდებითი ბრუნვის ფუნქციით ნახმარია: წრფელობითი: რომელი ხარ უფალ (უფალო O), აჰა ესერა შენ შეჰქმენ ცაჲ... 32,17 J; ღაღადებდ, ესებონ 49,3 JGW.

საკუთარი სახელები წოდებითში ხშირად **ო** ნიშანს არ დაირთავენ: განისწავლე, იერუსალჱმ 6,8 JO; აღიხილენ თუალნი შენნი, იერუსალჱმ 13,20 JO; ნუცა შესძრწუნდები, ისრაჱლ 30,10 JO; ნუ გეშინინ, მონაო ჩემო იაკობ, ნუცა შესძრწუნდები, ისრაჱლ 46,27 JO და ა. შ.

ბ) სახელობითი: განძლიერდით, ძენი ბენიამენისნი, შორის იერუსალჱმსა 6,1 JO ('Ενισχύσατε, υἱοὶ Βενιαμὶν, ἐκ μέσου τῆς Ἱερουσαλὴμ...; Бегите, дети Бениаменовы, из среди Иерусалима).

ღაღადებდით, მწყემსნი, და ჴმა-ყავთ, იტყებდით (ეტყებდით O), ვერძნი ცხოვართანი 25,34 JO ('Αλαλάξατε, ποιμένες, καὶ κεράξατε, καὶ κόπτεσθε, οἱ κριοὶ τῶν προβάτων; Рыдайте, пастыри...).

ღაღადებდით, ასულნი რაბათისანი 49,3 J ((Κεράξατε, θυγατέρες Ῥαββὰθ, кричите, дочери Раввы)

აღნიშნავენ, რომ სახელობითის გამოყენება წოდებითის ფუნქციით თითქოს სომხურის გავლენით აიხსნებოდეს[42]. ამ მოსაზრების გაზიარებას ის აბრკოლებს, რომ წოდებითს სახელობითი ენაცვლება არა მხოლოდ სომხურიდან ნათარგმნ ძეგლებში! თუ ანალოგიაზე ვილაპარაკებთ, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სვანურსა და მეგრულ-ჭანურში წოდებითის შინაარსს მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმა გადმოსცემს. აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლოა, ზოგჯერ მოსალოდნელი წოდებითი ბრუნვის ნაცვლად მოთხრობითის ფორმაც მოგვევლინოს: ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, სახლმან იაკობისმან და ყოველთა ტომთა... 2,4 J (ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, სახლო იაკობისო და ყოველნო ტომნო... W; 'Ακούσατε λόγον Κυρίου, οἶκος 'Ιακωβ, καὶ πᾶσα πατριὰ...; Выслушайте слово Господне, дом Иаковлев и все роды).

ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, სახლმან დავითისმან 21,11-12 O, (ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, სახლო დავითისო JGW; ...ἀκούσατε λόγον Κυρίου οἶκος Δαυὶδ..; слушайте слово Господне: дом Давидов!).

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი იკარგება ზოგჯერ, თუ: ა) სახელს მდე თანდებული ერთვის, ე. ი. თანხმოვანთა კომპლექსი მარტივდება[43]: მღდელამდე 8,10 J; მიათასამდე 32,18 J; ტაფნამდე 43,7 O; მოსპოლვამდე 49,37 G; მიპირტყუამდე 50,3 O; თესლამდე 50,39 J და სხვ. ბ) პოსტპოზიციური მსაზღვრელია: უწოდიან იერუსალჱმსა საყდრად უფლისა (უფლისად J) 3,17 O. ქუეყანად ქალდეველთა 24,5 O (ქუეყანად ქალდეველთად J);

---

42 Н. Марр, Физиолог: Т. Р., VI, 1904, გვ. XXXII.

ც. ქურციკიძე, ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, თბილისი, 1959, გვ. 057.

43 ა. შანიძე, მდე თანდებულის გენეზისისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 4, 1942, გვ. 370-371.

§ 49. ემფატიკური ა

ემფატიკური ა იშვიათად საკუთარ სახელებსაც ერთვის: ნუ გეშინინ მონასა ჩემსა იაკობსა 30,10 O; ეტყჳს უფალი იაკობსა 31,7 JOW.

გეოგრაფიულ სახელებს ემფატიკური ა ხან ერთვის (უფრო O-ში), ხან-არა (უფრო J-ში): ძეთაცა მემფისათა და ტაფნაჲსათა გიცნეს... 2,16 JW; გზათა იერუსალჱმისათა 11,13 J (ისრაჱლისათა O); მეფისა ბაბილონისასა 25,1 O (ბაბილოვნისსა J); ქუეყანასა მოაბისასა 40,11 O (მოაბისსა J); მთასა ეფრემისასა და ქუეყანასა გალაადისასა 50,19 JO.

§ 50. ნაწევარი

J ვერსიაში სამი მაგალითი შეგვხვდა, სადაც ნაწევარი სახელობით ბრუნვაში მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი. სიყმილითა აღესრულნენ წინაწარმეტყუელნი იგინი 14,15 J; შევიდეს მთავარნი იგინი (მეფისა) ეზოდ 36,20 J; დაწერენ ყოველნი იგინი სიტყუანი 36,28 J.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში ნაწევარს სახ. ბრუნვაში მრავლობითის ფორმა არ გააჩნია[44]. თუ ზემოდასახელებულ მაგალითებში კალმის შეცდომა არ არის[45], შეიძლება ვიფიქროთ, რომ ენა ცდილა, ნაწევრისათვის მრავლობითის ფორმა გაეჩინა სახელობით ბრუნვაშიც, რათა ერთგვარობა დაემყარებინა ნაწევრის მრავლობით რიცხვში ბრუნების თვალსაზრისით (მთავარი იგინი, მთავართა მათ). თუ მართლაც, ასეთი ცდა იყო, ფაქტი მაინც ისაა, რომ მას შედეგი არ მოჰყოლია.

ნაწევარი, შესაძლოა, არსებითი სახელის წინაც იდგეს და მის შემდეგაც: „როცა ნაწევრიან სახელს ერთვის რაიმე სახის განსაზღვრება და ეს განსაზღვრება არსებითი სახელის წინაა, ნაწევარიც უეჭველად წინაა, სხვა ყველა შემთხვევაში ნაწევარი არსებითი სახელის შემდეგ მოდის“[46] (ხაზი ავტორისაა — კ. დ).

ეს წესი ძირითადად ჩვენს ძეგლშიც არის დაცული: ყოველი ესე ძჳრი დიდი 16,10 J (ძჳრი ესე დიდი O); ყოველნი ესე სიტყუანი 16,10 J (სიტყუანი ესე ყოველნი O); და სხუაჲ იგი ერი 39,9 O (და ერი იგი J).

მაგრამ, ჩანს, უგამონაკლისო ეს წესი არ ყოფილა; რამდენიმე მაგალითი გვხვდება O ვერსიაში, სადაც განსაზღვრება არსებითი სახელის წინაა, ხოლო ნაწევარი კი—არსებითი სახელის შემდეგ: მოვავლინე ერსა ამას ზედა ყოველი ძჳრი ესე დიდი 32,42 O; თხრობით მიუთხრნეთ მეფესა ყოველნი სიტყუანი ესე 36,16 O; მიუთხრნეს მეფესა ყოველნი სიტყუანი ესე 36,20 O; დაწერენ ყოველნი სიტყუანი იგი 36,28 O.

---

44 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა..., 1935, გვ. 017. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 285, მისივე, ძველი ქართული ენის ტაბულები: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, 1953, გვ. 315-316.

45 რადგან ასეთი მაგალითები დამახასიათებელი არაა ძველი ქართულისათვის, ისინი ძირითადი ტექსტიდან ვარიანტებში გადავიტანეთ.

46 ი. იმნაიშვილი, ნაწევარი ძველ ქართულში: თსუ-ს შრომები, ტ. 61, 1956, გვ. 260.

O ვერსიაში შენიშნული ფაქტი რომ შემთხვევითი არაა, ამას ადასტურებს შემდეგიც: შესაძლებელია, რომ არსებით სახელს წინ არ უძღოდეს განსაზღვრება, ან სულ არ ახლდეს მას განსაზღვრება, მაგრამ ნაწევარი მაინც არსებითი სახელის წინ იყოს. ამის მაგალითებიც ისევე O-ში გვხვდება: მიიღე ესე წიგნი მოგებისაჲ 32,14 O; ესე სახელი, რომელ ერქუას 33,16 O; უფალმან ღმერთმან შენმან ბრძანა ესე ძჳრი ამას ადგილსა ზედა 40,2 O; ვინ არს ესე მწყემსი 49,19 O.

მართალია, ასეთი წყობა (განსაზღვრება + არს. სახელი + ნაწევარი) ძველი ქართულისთვის ნორმა არ არის, მაგრამ სრულებით შეუძლებელიც[47] არ ყოფილა.

§ 51. საკუთარ სახელთა ბრუნება

ადამიანთა საკუთარი სახელები JO ვერსიებში (ზოგჯერ G-ში) ფუძის სახით არის წარმოდგენილი შემდეგ მოსალოდნელ ბრუნვებში:

ა) სახელობითში: რაჟამს მიავლინა მისა მეფემან სედეკია პასქორ 21,1 JO; შეიპყრა არუი იერემია 37,13 J...

ბ) მოთხრობითში: ჰრქუა მას იერემია 20,3 JOGW; მოიღო წიგნი (+ იგი O) ბარუქ 36,14 JO; შეიპყრა არუი იერემია 37.13 J.

გ) წოდებითში: და შენ, პასქორ, და ყოველნი მკჳდრნი... 20,6 JO; ნუ გეშინინ, მონაო ჩემო იაკობ 46,27 JO.

G ვერსიაში ზოგჯერ საკუთარი სახელები საზოგადო სახელებს უთანაბრდებიან და ბრუნვის ნიშნებს დაირთავენ მოთხრობითსა და წოდებითში: უხეთქნა პასხორმან იერემიას წინაჲსწარმეტყუელსა 20,2 G; და შენ, პასხორო... 20,6 G; დაწერნა იერემიამან ყოველნი ძჳრნი 51.60 GW.

რადგან საკუთარ სახელებს მოთხრობითისა და სახელობითის ფორმები გარჩეული არა აქვთ, ამიტომ, როცა წინადადებაში ორი საკუთარი სახელია ნახმარი, რომელთაგანაც ერთი თავისი ფუნქციის მიხედვით მოთხრობითშია მოსალოდნელი და მეორე—სახელობითში, მათი სინტაქსური ვითარება რიგის მიხედვით ირკვევა: პირველი სუბიექტია, მეორე კი—ობიექტი. ასეთი რიგი ჩვენს ძეგლშიც დაცულია, მხოლოდ ერთგან არის ეს წესი დარღვეული: შეიპყრა იერემია არუია 37,13 O. ნორმის მიხედვით უნდა ყოფილიყო: შეიპყრა არუია იერემია, რადგან სუბიექტია „არუია", ობიექტი — „იერემია" (შდრ. συνέλαβε Σαρουΐα τὸν Ἱερεμία; *կալաւ Սարու զերեմիա։*).

აღსანიშნავია, რომ ეს ერთადერთი მაგალითი ათონურ (O) ვერსიაში გვხვდება. მსგავსი მაგალითი ამავე ვერსიის მეფეთა წიგნშიც არის შენიშნული[48]. ასეთი შემთხვევები ახსნილია საკუთარი სახელების საზოგადო სახელებთან გათანაბრებისადმი მიდრეკილებით[49].

---

47 შდრ. ი. იმნაიშვილი, ნაწევარი ძველ ქართულში: თსუ-ს შრომები, ტ. 61, 1956, გვ. 261.

48 სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 77.

49 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები..., 1957, გვ. 369 370.

§ 52. რიცხვის წარმოება

ჩვენს ძეგლში მრავლობითი რიცხვის ნარ-თანიანი წარმოება ჭარბობს, მაგრამ არც ებ-იანი ფორმებია იშვიათი: ქალაქები 2,15 JO; ზუარაკები 3,24 JO; სახლები 5,27 JO; კარვები 6,3 JO. ბაგინები 7,31 O, ცოლებ, შვილებ, ასულებ 29,6 JO და სხვ.

ა) „რა“ ნაცვალსახელის მრავლობითი: ცნობილია, რომ „რა“ ნაცვალსახელს არ გააჩნია მრავლობითი რიცხვის ფორმა. დღევანდელი რაები, რეები და მისთანანი სრულებით უჩვეულოა ძველი ქართულისათვის[50]. საინტერესოა, რომ „რა“ ნაცვალსახელი ორჯერ თანიანი მრავლობითის ფორმით გვხვდება G-ში: მესმნეს, რათა იტყჳან წინაჲსწარმეტყუელნი, რათა წინაჲსწარმეტყუელებენ სახელითა ჩემითა 23,25 G. ზემოდასახელებულ მაგალითში რომ „რა“ ნაცვალსახელის თანიანი მრავლობითის ფორმა გვაქვს და არა კავშირი (რათა < რაჲთა), ამას გვიჩვენებს შემდეგი: „რათა“-ს ფარდად JO ვერსიებშია „რასა“ // „რომელსა, ხოლო ბერძნულსა და სომხურში: Ἤκουσα ἃ λαλοῦσιν οἱ προφῆται, ἃ προφητεύουσιν ἐπὶ τῷ ὀνόματί μου; *լուայ զինչ խօսին մարգարէքն՝ զոր մարգարէանային յանուն իմ սուտ*; Я слышал, что говорят пророки, моим именем пророчествующие ложь.

სომხური „*զինչ* (რა) მხოლობით რიცხვშია, რადგან მას არ გააჩნია მრავლობითის ფორმა, ხოლო ბერძნულში ქართული „რათა“-ს ფარდად არის მიმართებითი ნაცვალსახელის (ὅ „რომელიც“) მრავლობითი რიცხვის ფორმა (ἅ). ცნობილია, რომ ὅ („რომელიც“) ნაცვალსახელი გამოიყენება „რაც“ ნაცვალსახელის ფუნქციითაც[51]. ასე რომ „რათა“ შინაარსით ბერძნ. ἅ-ს ეტოლება.

პრინციპულად დასაშვებია, „რა“ ნაცვალსახელს ჰქონდეს მრავლობითის ფორმა: თუ შესაძლებელია ვინ-ვიეთა, მაშინ შეუძლებელი არ უნდა იყოს რათა-ც. ქართულის მონათესავე ჭანურში მინ („ვინ“) და მუ („რა“) ნაცვალსახელებს ჩვეულებრივ ეწარმოებათ მრავლობითის ფორმები: მი-ფ-ე („ვინ-ებ-ი“), მუ-ფ-ე ((„რა-ებ-ი“)[52].

ბ) მოქ. ბრუნვის თანიანი მრავლობითი: მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა ფორმებში მრავლობითის თანიანი წარმოება ძალზე იშვიათად გვხვდება ძველ ქართულში. ჩვენს ძეგლში ორი მაგალითია მოქ. ბრუნვის თანიანი მრავლობითის ხმარებისა:

1) გამოიყვანნა ქარნი საუნჯეთაგან 10,13 JO (შდრ. ...ἐκ θησαυρῶν. *'ի գանձարանց*; из хранилищ). აქ „საუნჯეთაგან“ ნიშნავს „საუნჯეებიდან“ (საუნჯეებითგან), რადგან მიუგებს კითხვაზე „საიდან“? და არა „რისგან“? გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად ამ კითხვებით მკაცრი გამიჯვნა მოქმედებით-ნათესაობით ბრუნვებისა ვერ ხერხდება.

2) რამეთუ ყოველთა სიტყუათა, რომელთა მოგავლინოს შენ უფალმან ღმერთმან ჩუენდა, ეგრეცა ვყოთ 42,5 O. აქ რომ ხაზგასმული სიტყვები მოქმედებითს ბრუნვაში დგას, ამას J ვერსიის წაკითხვა გვიჩვენებს: რამეთუ ყოვლითა სიტყჳთა, რომლითა მოგავლინოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ჩუენდა, ეგრეცა ვყოთ.

50. ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 512.

51 С. И. Соболевский, Древне-греческий язык, 1948, გვ. 76.

52 ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 84.

გ) ორმაგი მრავლობითი: ყოველთაგან სოფლებთა 16,15 JGW; კაპარჭებნი 51,11 GW; კარვებნი 51,30 GW; სახლებნი 51,32 GW.

დასახელებულ მაგალითებში მრავლობითობის სუფიქსთა რიგი ასეთია: **ებ + ნ/თ**. ძველ ქართულში შესაძლებელია შებრუნებული რიგიც **ნ/თ + ებ**[53].

მრავლობითობის მრჩობლი წარმოება იმ პერიოდის ვითარებას უნდა ასახავდეს, როცა სალიტერატურო ენაში ახლადშემოსულ **-ებ**-ს[54] ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემომტკიცებული მრავლობითობის წარმოების ფუნქცია და მის გვერდით საჭირო იყო ადრიდანვე მოქმედი სუფიქსის (ნ/თ) დართვაც.

§ 53. თანდებულები

თანდებულების ფუნქციები და მათ მიერ სახელთა ბრუნვაში მართვის საკითხი საკმაო სისრულითაა დამუშავებული სპეციალურ ლიტერატურაში. ამდენად ჩვენ შევჩერდებით არა თანდებულთა ხმარების უცნობ, არამედ ნაკლებ გავრცელებულ ფაქტებზე და ისიც გაკვრით.

ა) „წინაშე": ცნობილია, რომ „წინაშე" თანდებული ნათესაობით ბრუნვაში მართავს მხოლოდ „სულიერი" საგნის აღმნიშვნელ სახელებს[55]. ჩვენს ძეგლში იშვიათად ეს თანდებული ნათესაობით ბრუნვაში მართავს „უსულო" საგნის აღმნიშვნელ სახელებსაც: წინაშე მზისა და წინაშე მთოვარისა და წინაშე ყოველთა ვარსკულავთა 8,2 JOW.

ბ) „თანა" თანდებული „უსულო" საგნის აღმნიშვნელ სახელს მოსალოდნელი მიცემითის ნაცვლად ნათესაობით ბრუნვაში მართავს: იფქლისა თანა 23,28 JO.

გ) „ზედა" თანდებული „ვინ" ჯგუფის სახელებს მოსალოდნელი ნათესაობითი ბრუნვის ნაცვლად მიცემითში მართავს: მამასა მისსა ზედა და დედასა მისსა ზედა 16,7 GW; სამეას ზედა... და ნათესავსა ზედა 29,32 W; ფარაოს ზედა 46,25 OGW; მეფესა ზედა 50,18 JO. (მეფისა ზედა GW).

დ) „შორის" თანდებული მიცემითში მართავს არა მარტო „არასულიერ", არამედ „სულიერი" საგნის აღმნიშვნელ სახელებსაც: შორის იერუსალჱმსა 4,5 JO; შორის ქუეყანასა 29,32 O; მაგრამ: შორის ერსა 6,27 JO; 39,14 JO.

საერთოდ, „შორის" თანდებული „წინაშე", „თანა" და „ზედა" თანდებულების დამახასიათებელ წესს იცავს: „ვინ" ჯგუფის სახელებს ნათესაობითში მართავს, „რა" ჯგუფისას კი—მიცემითში[56]: შორის კაცისა და შორის მოყუსისა მისისა 7,5 JOW.

---

53 К. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском: სახელის ბრუნების ისტორიისათვის..., I, 1956, გვ. 307. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები..., 1957, გვ. 314.

54 Н. Марр, Т. Р., III, 1901, გვ. XLIII. ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1-2, 1941, გვ. 197-202. მისივე, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 322. შდრ. Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 39.

55 ქ. კეკელიძე, „წინაშე", „თანა", და „ზედა" თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 3, 1942, გვ. 285.

56 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 328.

ი. იმნაიშვილის აზრით, ამოსავლად უნდა დავსახოთ ნათესაობითი. თვით თანდებულის ფორმაც ნათესაობითია: შორ-ის[57].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „შორის“ თანდებულის მიერ „რა“ ჯგუფის სახელის მართვა მიცემითში ისევე ძველი და პირველადი უნდა იყოს, როგორც ამავე თანდებულის მიერ „ვინ“ ჯგუფის სახელის მართვა ნათესაობითში. „შორის“ თანდებულის მიერ სახელის ბრუნვაში მართვის წესი კავშირში უნდა იყოს სახელთა სემანტიკური ჯგუფის („ვინ“ და „რა“) გარჩევასთან და არა დროულ შემდგომადობასთან.

ე) „ქუეშე“ ზმნიზედა, როცა თანდებულის ფუნქციითაა ნახმარი, „უსულო“ საგნის აღმნიშვნელ სახელებს მიცემითში მართავს: ქუეშე ყოველსა ხესა 2,20 JW; ქუეშე ცასა ამას 10,11 JO; სიცხესა ქუეშე 36,30 JO და სხვ. მაგრამ: ქუეშე ყოვლისა ხისა ვარჯოვნისა 3,13 W. ეს უკანასკნელი მაგალითი, უთუოდ, ახალ ვითარებას ასახავს.

ვ) **მი** თანდებული, რომელიც ძველად პრეპოზიციურად იხმარებოდა, G ვერსიაში სახელს ბოლოში ერთვის: კიდარადმი 2,10 W; რომელთამი 9,16 W; მათდამი 11,3 W; შენდამი 12,1; 13,12 W; ქუეყანადმი 22, 26 GW; განსაცხრომელადმი 31,37 W; სახიდმი 35,2 W; გალაადდმი 46,11 GW და სხვ.

„**მი**“ თანდებულის გადატანა სახელის ბოლოს „ნიშანია ახალი ეტაპისა ქართულ სალიტერატურო ენაში[58]“. „**მი**“-ს „**მო**“ ენაცვლება I პირის ნაცვალსახელებთან[59] ჩემდამო 32,6 J. ერთგან „მართ“ ძირთან შეერთებული **მო** („მომართ“) III პირთან მიმართებასაც აღნიშნავს: „ყო სიტყუაჲ ესე იერემიაჲს მომართ უფლისა მიერ 27,1 J; მოსალოდნელ იყო... “იერემიაჲს მიმართ“; როგორც ეს გვაქვს OG ვერსიებში.

ზ) „და“ თანდებული[60] ჩვეულებრივ ნაცვალსახელებთან იხმარება: ჩემ**და** 2,27 JO; 7,16 JOW; „შენ**და**“ 2,18 JO; მის**და** 1,2 W; ჩუენ**და** 46,16 JO; თქუენ**და** 2,7 JO; მათ**და** 1,12 OW.

საერთოდ, „მათდა“ O-ს ახასიათებს, ხოლო განმარტივებული „მათა“ — J ვერსიას (1,12; 11,5; 14.16; 15,19...).

არც თუ იშვიათად „და“ თანდებული ფუძესთან შეზრდილი ჩანს, ამიტომაა, რომ მას ბრუნვის ნიშანიც ერთვის ხოლმე (განამრავლნე შენდად 2,22 J; დაწერენ შენდად 30,2 JOW...) და სხვა თანდებულიც, (ჩემდა მომართ 1,11 JO; 32,6 O; ჩუენდა მომართ 43,3 JO; მათდამდე 5,6 JO, 6,13 O).

აღსანიშნავია, რომ „**და**“ თანდებულიანი ფორმები ზოგიერთი მკვლევრის მიერ კვალიფიცირებულია, როგორც ვითარებითი ბრუნვის ფორმა[61].

---

57 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 330.

58 ა. შანიძე, მდე თანდებულის გენეზისათვის: საქ. მეცნ. აკ. მოამბე, ტ. III, № 4, 1942, გვ. 370.

59 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 71.

60 Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, გვ. 87—88. ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა, გვ. 79; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 71. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები..., გვ. 491—495.

61 ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 74—76. ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 179—182,

თანდებულთა უქონლობა: JO ვერსიებში ზოგჯერ უთანდებულოდ არის გადმოცემული შინაარსი, რომლის გამოხატვა სახელს საერთოდ თანდებულთან ერთად შეუძლია. იმ სავარაუდებელ თანდებულთა ფარდად, რომლებიც თითქოს უნდა გვქონდეს და არა გვაქვს JO ვერსიებში, G-ში ნახმარია: ზედა, შინა, შორის, თანა და სხვ. უცხო წყაროთა სათანადო ადგილების ჩვენებაც გვაფიქრებინებს, რომ JO ვერსიებში თითქოს „გვაკლია“ შემდეგი თანდებულები:

ზედა: ვითარ-მე ჰყო აღძ(რ)ვასა იორდანისასა 12,5 JO; მოსალოდნელი იყო „აღძრვასა ზედა“[62] (ოხრასა ზედა W; ἐν φρυάγματι[63]; ’ի վերանալ, в наводнеиие).

მივიდეს ჯურღმულებსა 14,3 JO (მივიდეს ჯურღმულთა ზედა W; Ἤλθοσαν ἐπὶ τὰ φρέατα; եկին ’ի ջրհորս, подошли на колодези.— სლვ.).

მივედ და დადეგ ბჭეთა ძეთა ერისა შენისათა 17,19 JO (ვიდოდე და დადეგ ბჭეთა ზედა ძეთა ერისა შენისათა G; ἐν ταῖς πύλαις ’ի դրունս в воротах).

შინა: არა თუ გვერდის თხრასა ჰპოვენ იგინი 2,34 JO (არა შეთხრასა შინა ჰპოვენ იგინი W; ἐν διορύγμασιν ’ի վիհս; в ровех—სლვ.).

რამეთუ უშჯულოებდეს გზათა თჳსთა (მისთა O) 3,21 JO (რამეთუ იმძლავრნეს გზათა მათთა შინა W; ἐν ταῖς ὁδοῖς; ’ի ճանապարհս, в путех.— სლვ.)

ჴმაჲ საწყალობელი ისმა სიონს 9,19 JO (ჴმაჲ საწყალობლობისაჲ ისმა სიონს შინა W; ἐν Σιών, ’ի Սիոն, в Сионе—სლვ.)

გეტყოდე შენ ცთომასა შენსა 22,21 J (გეტყოდე შენ ცთომასა შინა შენსა O; ἐν τῇ παραπτώσει, ’ի սխալին, в падении—სლვ.).

შორის (შინა): რბიოდეთ გზათა იერუსალჱმისათა 5,1 JO (რბიოდეთ გზათა შორის იერუსალიმისათა W; ἐν ταῖς ὁδοῖς; ընդ ճանապարհն, по улицам — რუს.).

არა არს ყურძენი ვენაჴებსა, და არა არს ლეღჳ ლეღუებსა 8,13 J; (არა არს ყურძენი ვენაჴთა შინა, და არა არს ლეღჳ ლეღოანთა შორის W; ἐν ταῖς ἀμπέλοις...; ἐν ταῖς συκεῖς յայգիս... ի թզենիս; на лозе... на смоковнице).

თანა: შთააგდო იგი მღჳმესა, რომელ იყო ბჭესა ბენიამ[ენ]ისსა 20,2 J)··· რომელი იყო ბჭესა თანა ბენიამენისსა G; ἐν πύλῃ; ’ի դրանն у верхних ворот).

JO ვერსიათა მაგალითებში დაცული უნდა იყოს ძველი ქართულის ადრეული ვითარება, როდესაც სახელის უთანდებულო ბრუნვის ფორმით გადმოიცემოდა ის

მისიძე, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის..., I. 1956, გვ. 32. ა. მარტიროსოვი, ჩემდა, შენდა... ტიპის ნაცვალსახელთა წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XI, 1959, გვ. 107—128.

62 საერთოდ ჭირს სავარაუდებელი თანდებულის ზუსტად ჩვენება, რადგან კონტექსტი სხვადასხვა თანდებულს იგუებს. ამიტომ ჩვენ პირობითად ვასახელებთ სავარუდებელ თანდებულს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომელი თანდებული „გვაკლია“, არამედ იმას, რომ კონტექსტში სავარაუდებელი თანდებული არა გვაქვს.

63 შემოკლების მიზნით უცხო წყაროთა სათანადო ადგილებიდან მხოლოდ თანდებულიანი სიტყვები მოგვყავს და არა მთელი კონტექსტი.

შინაარსი, რომლის გამოხატვაც შემდგომ ამავე ბრუნვებში მდგარ თ ა ნ დ ე ბ უ-
ლ ი ა ნ ს ა ხ ე ლ ე ბ ს დაეკისრათ. ჩანს, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვების გაცვეთისა და თანდებულად ქცევამდე[64] ენა სათანადო შინაარსის გამოხატვას უთანდებულოდ ახერხებდა. შემდგომ კი მნიშვნელობის კონკრეტიზაციისა და ფუნქციონალური დიფერენციაციის მიზნით თანდებულთა დართვა აუცილებელი ხდება.

§ 54. წ ა რ მ ო ქ მ ნ ა

ა) აღსანიშნავია შემდეგი სუფიქსების ხმარება:

ევან: (ეან > იან) მსუნევანი 7,18 J (მსულევანი O); სახარულევან 31,13 JO; **ოვან:** ლელოვანი 5,17 JO; ზეთის-ხილოვანი 5,17 J; მკჳდროანი (< მკჳდროვანი) 10,12 W; სამაროვანი 19,6 O. **ობან:** სამარობანი 19,6 J. **ოსან:** ცულოსანნი 46,22 JO. **იერ:** (< ივერ): მატყლიერნი 38,12 W; სალმობიერისაჲ 48,41 JO; **იად:** (< ივად)[65]: მართლიად 3,2 W; მალიად 27,16 GW; 48,16 W; ფრიად 48,16; 50,12 JOW. **ივ:**[66] მრგულივ 31,39 W; დღივ 37,20 W.

-ევან, -ოვან, -ობან, -ოსან სუფიქსებში საერთო ელემენტად **-ან** გამოყოფა, ხოლო „ევ, -ოვ, -ობ, -ოს დამოუკიდებელი სუფიქსები ჩანან.

საინტერესოა ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრი -ობან სუფიქსზე: -ო ბ ა ნ იგივე მაწარმოებელი ელემენტია, რაც დღევანდელი -ო ბ ა, რომელიც კოლექტიურობას, სიმრავლეს აღნიშნავს (ახალგაზრდობა, გლეხობა...). -ო ბ ა-ს დღეს **ნ** ან უკეთ **ან** უნდა ჰქონდეს ჩამოცილებული (ობა < ობან) და შესაძლებელია, ეს **ნ/ან** წარმოშობით მრავლობითობის ნიშანი იყოს[67]

დანიშნულების ფუნქციითაა ნახმარი ოდენ **სა** პრეფიქსი: **სა**კურთხნი 6,20 JO; **სა**ყურძენი 12,10 JO (ვენაჴი W); „საჭურველნი **სა**ბრძოლნი“ 21,4 JO; **სა**რგებით 23,32 G (**სა**რგებ**ელი** JO).

საინტერესოა უქონლობის წარმოება ზმნური ფუძიდან **უ-** და **უ-ო** აფიქსებით: უ ნ დ ო: „უ ნ დ ო იქმნნეს რტონი“ 11,16 JO; „უნდო“ ნაწარმოები ჩანს **ნ-დ** ფუძისაგან (მინებს-მინდა; უწყვეტლის **დ** ფუძეს შეეზარდა)[68] და ალბათ, თავდაპირველად ნიშნავდა „არასასურველს“, ხოლო შემდეგ კი „უხმარს“, „არასაჭიროს“ („უნდო იქმნნე“-ს ფარდად უცხო წყაროებშია: ἠχρειώθησαν; *անպիտանացան*; непотребны быша—სლვ.).

უ ჭ ა მ ი: ლელჳ ჯერკუალი ფრიად, უ ჭ ა მ ი ჯერკულებისაგან მისისა 24,2 GW. „უჭამი“ ნიშნავს: რომელიც არ იჭმევა, რომლის ჭამა არ შეიძლება (ვ ე რ ს ა ჭ მ ე ლ ი ყ ო JO).

64 ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებულები ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 203.

65 მ. მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი, „მალიად“ ტიპის წარმოება ძველ ქართულში, **თსუ** სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, XIV, თეზისები, 1952, გვ. 59-60.

66 დ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, **-ივ** სუფიქსის ისტორიისათვის: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XVII, 1957.

67 ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრი მოგვყავს ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს მოწმობით, იხ. ი. ი მ ნ ა ი-შ ვ ი ლ ი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად, თ ს უ შრომები, XXXB-XXXIB., 1947, გვ. 225, სქოლიო 1.

68 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 539.

ძველი „ღლიათა“ ფორმის გვერდით (38,12 JO) გვაქვს „ილლიათა“ (W) ფორმაც. ამ უკანასკნელში (ი-ღლია) -**ი** მაწარმოებელს გამოყოფენ[69]. „ღლია“, შესაძლებელია, „ღ ე ლ ი ვ ა*“ ფორმისაგან მოდიოდეს, რასაც ჭანურში „ღ ა ლ ა ჯ ი ჯ ი (ილლია, „ილლიის ძირი“) გვავარაუდებინებს.

გვხვდება ასეთი პარალელური ფორმები: „მოზღვრენი“ 49,18 G და „მოსაზღვრენი“ JO. საინტერესოა ასეთი წარმოების სიტყვები: მიმდემი 20,11 JO (-მუდამ, მუდმივი); მერთისა-მპყრობელ 15,16 JO;51,5 J. უკანასკნელი სიტყვა „ყოვლისა-მპყრობელ“-ის (32,19 J; 49,18 O) სინონიმია. „ყოვლისა-მპყრობელი“ ისეა ნაწარმოები, როგორც მისი ფარდი სიტყვები ბერძნულსა და სომხურში: **παντοκράτωρ**, **ամենակալ**. ნათელი არაა, რა უნდა იყოს სიტყვა „მერთისა-მპყრობელის“ პირველი კომპონენტი „მერთი“. შესაძლებელია, იგი ნაწარმოები იყოს „ერთ“-ისაგან (მ-ერთ-ი) და ნიშნავდეს „მთელს“, „მთლიანს“ (შდრ. მთელი < მრთელი < მ ე რ თ ე ლ ი*. შესაძლებელია ისიც ვიფიქროთ, რომ: მერთის < მი-ერთის. უკანასკნელ ვარაუდში ეჭვი შეაქვს იმ გარემოებას, რომ პრეპოზიციურად ნახმარი **მი** თანდებული ვითარებითი ბრუნვის ფორმას დაერთვოდა და არა ნათესაობითისას. თუმცა გამორიცხული არაა **მი** თანდებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დართვოდა (შდრ. **მდე** თანდებული, რომელიც ვითარ. ბრუნვასაც მოითხოვს და ნათესაობითსაც). ჩვენ პირველი დაშვება მიგვაჩნია მაინც უფრო სწორად.

3) თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს ე ლ ე მ ე ნ ტ თ ა რ ო ლ შ ი[70].

მიერ-ი: მიხილავსმცა შენ მ ი ე რ ი შურის-გებაჲ მათ შორის 11,20 JO;

გან-ი: მოიყვანენ მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ თ ა გ ა ნ ნ ი ერისათანი და უ ხ უ ც ე ს თ ა გ ა ნ ნ ი მღდელთანი 19,1 O;

თანა: შთასთხინა იგინი ჯურღმულსა, მან და კაცთა მათ მ ი ს თ ა ნ ა თ ა 41,7 JO.

4) გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ და წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ს ზოგჯერ მაწარმოებელი აფიქსები არ გააჩნიათ: ჰ ი ნ დ ო: უკუეთუ ცვალოს ჰ ი ნ დ ო მ ა ნ ტყავი თჳსი... 13, 23 JO (ეთიოპე[ლ]მან W; Aἰθιόφ. հնդիկ); ა ს უ რ ი: ღელესა ასურისასა 21,13 J (ასურეთისა O), ე თ ი ო პ ი: ეთიოპმან 38,7 W (ეთიოპელსა JO); „ლ ჳ დ ნ ი“ 46,9 G (ლუდელნი J).

ასეთი უაფიქსო წარმომავლობის სახელები სხვა ძეგლებშიცაა დადასტურებული[71].

---

69 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, IV: ხმოვანთავსართოვანი სახელები: თ ს უ შრომები, XXXB-XXXB, 1947, გვ. 456.

70. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატ. საფუძვლები, I, 1953 გვ. 117.

71 მ. შ ა ნ ი ძ ე, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის წიგნებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956; გვ. 169—170.

ზ მ ნ ა

§ 55. ზმნისწინები:

არც თუ ხშირად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ზმნისწინთა გამარტივება ბოლოკიდური თანხმოვნის მოკვეცით; ეს ბუნებრივიცაა; IX—X საუკუნეებიდან უკვე დაწყებულია ზმნისწინთა გამარტივება (იხ. § 36).

§ 56. ტმესი

ზმნისწინი ზმნისაგან ხშირად გათიშულია ნაწილაკით, კავშირით ან ნაცვალსახელით; აღ-სამე-დგენ 2,28 J; გან-ვე-ხჳდე 2,37 JOW; მო-ნუ-იქცეს 3,1 J; გან-მე-გდებულ ვარ 4,28 O; გამო-თუ-იყვანო 15,19 JOGW და სხვ.

შესაძლებელია, ზმნისწინი და ზმნა ამ რთული ზმნის შემადგენელი ნაწილები გათიშული იყოს ორი ან სამი სიტყვითაც: აღ-ხოლო ნუ-ასრულებთ 5,10 JO;... არცა თანა-ვის რაჲ-ედვა ჩემი 15,10 J; შე-ხოლო თუ-იწიროს დაცვაჲ 36,7 JO... გან-ხოლო თუ ვითარ-იკურნოს 51,8 JO;

ასეთი მოვლენა მიჩნეულია გარდამავალ საფეხურად, რომელიც ზმნისწინს გაუვლია სრული დამოუკიდებლობიდან სრულ დაქვემდებარებამდე და მორფემად ქცევამდე [72].

ზოგჯერ შესაძლებელია, ერთმანეთისაგან გაითიშოს არა მარტო ზმნისწინი და ზმნა, არამედ სინტაქსურად მტკიცედ შეკავშირებული ორი სიტყვაც: მსაზღვრელი და საზღვრული, კითხვითი ნაცვალსახელი და ზმნა, ნაცვალსახელი და დანართი. ამ შემთხვევაში ქართულ ვერსიებში სიტყვათა ისეთივე რიგია, როგორიც ბერძნულ, სომხურ და სლავურ წყაროებში (განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში ბერძნული წყარო ჩანს) [73].

ა) ჴ მ ა ჲ ბაგეთაგან ისმა ტ ი რ ი ლ ი ს ა და ვ ე დ რ ე ბ ი ს ა ჲ 3,21 JOW
ձ ա յ ն ի շրթանց գուժեաց լալին և պաղատանաց.
Φωνὴ ἐκ χειλέων ἠκούσθη κ λ α υ θ μ ο ῦ καὶ δεήσεως;
Г л а с ъ из устенъ слышанъ бысть п л а ч а и м о л е н и я).

ბ) რ ა დ საყუარელმან შენმან შორის სახლსა ჩემსა ქ მ ნ ა საძაგელი 11,15 J
զի ընդ սիրելին 'ի ներքս 'ի տաճարին իմում ա ր ա ր գարշելիս
(τ ί ἡ ἠγαπημένη ἐν τῷ οἴκῳ μου ἐ π ο ί η σ ε ν βδέλυγμα;
(П о ч т о возлубленная в дому моемъ с о т в о р й мерзости).

---

72 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 267.

73 მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა შენიშნულია სქოლასტიკური სტილის ძეგლში, რაც ახსნილია ბერძნულის გავლენით: ნ. კ ე ჭ ე ღ მ ა ძ ე, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“. ძველი ქართული თარგმანი (ფილოლოგიური ნარკვევი), 1948, გვ. 274—275 (საკანდიდატო დისერტაცია).

გ) და თქუენ, ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, ყოველთა წარტყუენულთა 29,20 JO.
և դուք լուարուք զբան Տեառն ամենայն գերիդ
Ὑμεῖς οὖν ἀκούσατε τῶν λόγον Κυρίου. πᾶσα ἡ μετοικεσία;
Вы у́бо слышите слово Господне, все переселение; შდრ. вы, все переселенцы..., слушайте слово Господне.—რუს.).

მსგავსი მაგალითები შესაძლებელია, მაგრამ ნაკლებ გავრცელებულია ორიგინალურ ქართულ ძეგლებში (ამას სპეციალური შესწავლა სჭირდება). მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა შეუძლებელი არა ჩანს პოეტურ თხზულებებში (მხედველობაში ვვაქვს ასეთი მაგალითები: „ჭრელს ჩავიცომდი კაბასა“ (ვაჟა).

§ 57. პირის ნიშნები

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი **ვ**ინი იკარგება **უ** ხმოვნის წინ: მე მოუწოდო 1.15 OW; მე მიუგე 11,5 JO; მე განუცხადო 16,21 JGW (გამოუცხადო O); მე უწყი 29,11 JOW და სხვ.

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პრეფიქსების ხმარების ის ნორმებია დაცული, რაც საერთოდ დამახასიათებელია ძველი ქართული ძეგლებისათვის [74].

ჩვენი ძეგლის „ხანმეტ“ ფრაგმენტებში **ხ** პრეფიქსი ნახმარია: ა) მეორე სუბიექტური პირის ნიშნად: ხისმინოთ 17,27x; ალხილოთ, შეხჳდოდით 17,27x; ბ) მესამე ირიბ ობიექტური პირის ნიშნად: ხაქუნდეს 17,26x; სათნო ხუჩნდა 18,4x; ხ[ე]სმინ 20,16x; გ) ინიან ვნებითთან: ხიყოს 12,16x; ხიყო 18,5x; ხიყავნ 20,14x; ნუ ხიყოფ(ინ) 20,14x; შეხიმუსრა 18,4x; დ) მოქმედებითი გვარის ზმნებთან: ხიტყჳს 18,6x; ხჳტყოდი 18,7x ხჳტყოდე 18,8x.

გაუჩინარებული, დაკარგული მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშნად უნდა იყოს ნახმარი **ხ/ს** ფორმებში: ალხუავზნე 17,27x; დავსთესო 31,27 $JOPL_l$. ამ ზმნებს „დაჰბადა“ [75] ტიპის ზმნათა მსგავსად **ე**ნით ეწარმოებათ ვნებითი (ალეგზნა იგი).

„ჰაემეტობის“ კვალიცაა დაცული ხანმეტი იერემიას კემბრიჯულ ნაწყვეტებში: „დაჰიდვა 12,11x, განჰირყუნა 12,11x, ჰასწავეს 12,16x [76], თითქოს „ჰაემეტობა“ უნდა გვქონდეს სიტყვაში „ჰამრავლენ“ 46,11 G. აქ მექანიკური შეცდომა არ უნდა იყოს. ეს ფორმა გადმოყოლილი ჩანს უძველესი თარგმანიდან, რომლის გვიანდელ გადამუშავებასაც G ვერსია წარმოადგენს.

S_2O_3-ის ნიშანი **ჰ**/**ს**/ ზოგჯერ იკარგვის: ა) **ხ** სპირანტის წინ: რასა ხედავ შენ 1,11 JWPL; მივხედე ქუეყანასა 4,23—26 J; ბ) **ც**-ს წინ: მე მივცემ ქალაქსა ამას ჴელთა მეფისა ბაბილონისათა 32,3 O.

ზოგჯერ S_2-ის ნიშნად მოსალოდნელი **ხ**ანის ნაცვლად **ჰ**აეა ნახმარი **ც**-სა და **წ**-ს წინ: გამოჰცადე 12,3 J; შენ ჰწინასწარმეტყუელებ 28,6 J.

---

74 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: თხზულებანი, I, 1957, გვ. 118—180.

75 იქვე, გვ. 174-180.

76 ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები: ენიმკის მოამბე, II., 1937, გვ. 31.

ზოგჯერ S_2-ის ნიშნად **ჰს** კომპლექსიც გვხვდება: მოჰსწყდეთ 22,26 J; **ჰს** არ გადმოსცემს გარდამავალ ბგერას **ჰ**-სა და **ს**-ანს შორის, აქ კონტამინაციაა.

S_2-ის ნიშანი **ხანი** ფუძისეულად არის გაგებული და ამიტომაც ხელმეორედ ჰაეც დაურთავთ: აღჰხჳდჯთ 6,5 J.

§ 58. მწკრივთა წარმოება

1) „ყოფნა“ ზმნის აწმყო: „ვარ“, „ხარ“ ფორმათა გვერდით დასტურდება **ი** დართული ფორმებიც: ყრმა **ვ**არი მე 1.6 JO; 1,7 J; უბრალო ვარი მე 2,35 J; მამაჲ ჩემი ხარი შენ 2,27 J...

აწმყ. ხოლმეობითი: ზოგჯერ აწმყოს ხოლმეობითისა და II ხოლმეობითის ფორმები ერთმანეთის გვერდით იხმარება, რაც იმით აიხსნება, რომ I ხოლმეობითი ვერ უპირისპირდება II ხოლმეობითს ფუნქციის თვალსაზრისით. მოყუასსა თჳსსა ეტყჳნ მშჳდობასა და გულსა შინა თჳსსა დაიდვის მტერობაჲ 9,8 J;

2) -ოდ სავრცობიან ზმნათა უღლება: გარკვეულია, რომ **-ოდ** სავრცობიან ზმნებს უწყვეტლის I—II პირსა და I ბრძანებითის II პირში მაწარმოებლად **-ე** აქვთ, კავშირებითში კი **-ი**. ეს წესი დაცულია ჩვენს ძეგლშიც (მაგალითებს არ ვასახელებთ).

3) გარდამავალი საფეხურები: I კავშირებითის მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის -ოდიან დაბოლოებიანი ფორმა **ა**-ს კარგავს და -ოდინ დაბოლოებას იძლევა G ვერსიაში: მხადოდინ მე 11,14 W (მხადოდიან JO); რამეთუ იტყოდინ შენდამი 12,6 W (გეტყოდიან JO); შევიდოდინ... მეფენი 22,4 GW; არცა სტიროდინ მას 12,18 GW (სტიროდიან JO); არა უქმოდინ მერმე იგინი. 30,8 W; გარე-უვიდოდინ კაცნი 31,22 W; ვიდოდინ 46,22 GW (ვიდოდიან JO), არა დაშურებოდინ ერნი 51,58 GW (შურებოდიან O).

4) ახალი ფორმები: იშვიათად **ოდ** სავრცობიან ზმნებს I ბრძანებითის II პირის ფორმებში მოსალოდნელი **ე**-ს ნაცვლად **დ**ონიან ზმნათა ანალოგიური **ი** ნიშანი აქვთ: აღდეგით და ივლტოდით სიონდ 4,6 J (ივლტოდეთ O. φεύγετε. *փախեցուք*; бегите); ისმინენთ სიტყუანი ამის შჯულისანი და ეტყოდი ყოველთა მიმართ კაცთა იუდაჲსთა 11,2 J (ეტყოდე O, скажите); მხადოდით მე და მპოოთ მე (-J), და ილოცევდით ჩემდამო, და მე ვისმინო თქუენი 29,12 J.

5) უწყვეტლის ხოლმეობითი იშვიათი ხმარების მწკრივია: და იყოს სული შენი შენდა მოპოვებულ, რამეთუ მესვიდი მე 39,18 J; აღვიმსთობდი და გეტყოდი თქუენ, და არა ისმინეთ ჩემი 7,13 J; ნუ გრწამნ მათი, რამეთუ (რაჟამს O) გეტყოდიან შენ (-O) კეთილსა 12,6 JO·

6) შერეული კავშირებითი: თქოდიან სიტყუაჲ ესე ქუეყანასა იუდაჲსსა და ქალაქსა მისსა, რაჟამს მოვაქციო ტყუე მისი 31,23 PL_l: „თქოდიან“ II ხოლმეობითის ფუძისგანაა ნაწარმოები და ნიშნავს: იტყვიან ხოლმე (შდრ. თქუანლა JOP).

7) ნართაული **ი**: აღსანიშნავია, რომ II ბრძანებითისა და წყვეტილის ფორმებში **ენ/ან** სუფიქსსა ან რომელიმე ფუძისბოლოკიდურ თანხმოვანსა და მრა-

ვლობითობის თ-ს შორის ხშირად არა გვაქვს თანხმოვანთგასაყარი **ი**. ეს უფრო დამახასიათებელია J ვერსიისათვის, რაც ამ უკანასკნელის სიძველეზე მეტყველებს: მოირტყთ ძაძაჲ 4,8 O; განჰმართენთ გზანი 7,3 J; შეკრიბენთ 7,21 J; 12,9 J; ისმინენთ სიტყუანი 11,2 J; ყვენთ 11,6 J; ვცანთ 13,12 JO განაშორენთ იგინი 23,2 J; ვქმენთ ძჳრი 26,19 J; დაიდგთ ჩაფხუტები 46,4 JO და სხვ.

8) მყოფადის გამოხატვა: O-ში მყოფადი, როგორც წესი, კავშირებითის ფორმებით გადმოიცემა, ხოლო G-ში ზოგჯერ ეს ფუნქცია უკვე აწმყოს ფუძესა, ან ზმნისწინდართულ ფორმებს აქვთ დაკისრებული, რაც ახალ ვითარებას ასახავს: აჰა მე აღვავსებ ყოველთა დამკჳდრებულთა 13,13 W (აღვავსნე JO. πληρῶ, наполню); აჰა მე ვაჭამებ მათ სალმობასა 23,15 GW) ვაჭამო JO. ψωμιῶ, *ջամբեցից*, накормлю); რომელსა მე მივავლენ შორის მათსა 25,16 GW (მივავლინო JO. *առաքեցից*, пошлю); მე დავარღუევ 45,4 W (მე დავარღჳო JO. ἐγὼ καθαιρῶ, *քակեցից*, разрушу).

იშვიათად მომავლის დრო JO ვერსიებშიც თხრობითი კილოს ზმნისწინიანი ფორმებით გადმოიცემა. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში მომავალი დროის გაგებას იძლევა კონტექსტი და არა ზმნისწინიანი ფორმა: აჰა ესერა მე მოვავლინებ თქუენ ზედა ნათესავსა... 5,15 JO (მოვაწიო W; *ածից*, приведу); ესერა მივავლინებ მე მათა მახჳლსა და სიყმილსა... 29,17 J (ἐγὼ ἀποστελῶ; я пошлю; სომხურში აწმყო: *և առաքեմ*).

იშვიათად მომავლის დრო გადმოცემულია ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისითა და „ყოფნა“ ზმნის აწმყოთი: შენ ჴელთა მეფისა ბაბილოვნისათა მიცემად ხარ 37,16 JO (παραδοθήσῃ. *մատնեսցիս*, будешь предан); ძჳრი, რომელი მოსლვად არს ბაბილონსა ზედა 51,60 O (შდრ. *գալոց էին*). აღნიშნულია, რომ მომავლის ასეთ ფორმებს კატეგორიულობის ტონი დაჰკრავს[77]

9) I თურმეობითი ჩვეულებრივ ძველი წარმოების ფორმით გვხვდება: განმიღჳძებიეს 1,12 JO; გიქმნიეს 2,23 JO; მიყოფიეს 8,6 JO; უსწავიეს 9,5 J; განმიშოვრებიეს 16,5 JO; რომელთა შეუყუნებიეთ თქუენ 21,9 JO; დამიმტკიცებიეს 21, 10 J; აღმივსიეს 23, 24 JO.

§ 59. „განდგომა“ ზმნის რელატიური ფორმა

ტექსტში ერთგან ლაპარაკია, რომ მეფე სედეკია განუდგა ქალდეველთა მეფესო: განდგა სედეკია მეფისაგან ბაბილოვნისა 52,3 J. „განდგა“-ს რელატიურ ფორმად მოსალოდნელი იყო „განუდგა“ (იგი მას), მაგრამ ამის ნაცვლად O-ში გვაქვს: განადგა სედეკია მეფესა ბაბილონისასა.

---

77 თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ფუძის ისტორიისათვის. I, 1956, გვ. 428. ივ. ქავთარაძე, მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XII, 1961, გვ. 199.

§ 60. „ქმნა“ ზმნის საარვისო ქცევის ფორმა

მოვიდა ნაბუქოდონოსორ, მეფჱ ბაბილონისაჲ, და ყოველი ძალი მისი იერუსალჱმსა ზედა და ზღუდის-ზღუდე აქმნეს (ალაქმნეს O) მას... 52,4 JO. „ქმნა“ ზმნის საარვისო ქცევის ფორმა ჩვეულებრივ ორპირიანია: ქმნეს (მათ იგი), სასხვისოსი კი — სამპირიანი: უქმნეს (მათ მას იგი). ზემოდასახელებულ მაგალითში კი „ქმნა“ საარვისო ქცევის სამპირიანი ფორმაა: აქმნეს (მათ მას იგი).

§ 61. ვნებითი გვარის წარმოება

ინიანი ვნებითისა და მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმები ზოგჯერ არ განსხვავდება ერთმანეთისაგან [78] და მხოლოდ კონტექსტი არკვევს, რა შინაარსია ჩადებული ამ საზიარო ფორმაში. ჩვენ დავასახელებთ ინიანი ვნებითის ფორმებს, რომლებსაც სხვა კონტექსტში შესაძლებელია მოქმედებითი გვარის მნიშვნელობაც ჰქონდეთ:

მოიძიოს მერმე (კიდობანი) 3,16 JO (ἐπισκεφθησέται; *խնդրեսցի*; посетится.—სლვ.).

გარემიიქცია რისხვაჲ 4,8 J (ἀπεστράφη ὁ θυμός...; *դարձաւ*, отвратился.—რუს.).

გარდაისახლა იუდაჲ 13,19 W (ἀπῳκίσθη 'Ιούδας; *գերեցաւ յուդա*; отводится.—რუს.).

განიგდო იგი 22,28 JOW (ἐξεῤῥίφη; *անկաւ ինքն*; они выброшены.—რუს.).

დაიპყრას კარიოთი 48,41 J ('Ελήφθη Καριώθ...; *Առաւ կարիաւովթ*; Взятъ естъ Кариоѳъ.—სლვ.).

იპოვე და შეიპყარ 50,24 J (εὑρέθης καὶ ἐλήφθης; *գտար և ըմբռնեցար*; ты найден и схвачен.—რუს.).

მოინადირა სიქადული 51,41 JW (ἐθηρεύθη τὸ καύχημα; *անկար յորս պարծանքդ*; завоевана слова.—რუს.).

ზემოდასახელებულ ზმნებს დღეს არ ეწარმოებათ ი პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები. „მოიძიოს“ ტიპის ფორმა, რომელსაც ძველ ქართულში კონტექსტის მიხედვით შეეძლო ვნებითის შინაარსიც გადმოეცა და მოქმედებითისაც, თანდათან თავისუფლდება პოლისემიურობისაგან და მხოლოდ მოქმედებითის შინაარსის გადმოცემით იზღუდება. ამიტომაა, იპოვა, შეიპყრა, განიგდო, მოინადირა და ამათ მსგავს ზმნებს დღეს ინიანი ვნებითის ფორმები არ გააჩნიათ; ინიანი წარმოების ყალიბი მოქმედებითი გვარის ზმნებმა დაისაკუთრეს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ, რადგან დასახელებულმა ზმნებმა ვნებითის ორგანული (ინიანი) წარმოების ფორმები დაკარგეს, საკომპენსაციოდ პერიფრასტულ წარმოებას მიმართეს: ვნებითის შინაარსი გამოხატულ იქნა საულლებელი

---

[78] ი. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის ტაბულები: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, 1953, გვ. 364-365.

ზმნის ვნ. გვარის წარსულდროიანი მიმღეობითა და „იქნება“, „იქნა“ მეშველი ზმნით[79]:

დასახელებულ ზმნათა ვნებითის აღწერითი წარმოება ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი არაა[80]. ასეთი წარმოება გზას იკაფავს საშუალი ქართულიდან. სწორედ ამიტომაა, რომ ძველი ვერსიების (JO) ვნებითის ორგანული (**ინიანი**) წარმოების ფორმათა ფარდად გვიანდელ (G) ვერსიაში აღწერითი ფორმები გვაქვს:

მოინადირნენ 5,6 O (მოინადირეს J),	მონადირებულ იქმნენ W.
ვერ დაივიწყნენ 20,11 O (დაივიწყნეს J),	არ დავიწყებულ იქმნენ GW.
შეიპყრა 34,3 JO,	შეპყრობილ იქმნა W.
დაიპყრა კარითი 48,41 O, (დაიპყრას J),	დაპყრობილ იქმნა კარიათი W
შეიპყარ 50,24 J,	შეპყრობილ იქმენ GW.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ზმნა ერთ ვერსიაში ვნებითის ფორმებს **ე** პრეფიქსით აწარმოებს, ხოლო სხვა ვერსიაში—**ი**-თი.

არა წარემართო მათ შინა 2,37 J,	არა წარიმართო მათ შინა O.
სერტყთა შინა დაემალნეს 4,29 JO,	სამალავთა შინა დაიმალნეს W.
ყოველი ქალაქი დაეტევა 4,29 J,	ყოველი ქალაქი დაიტევა O.
სიონით განეშორა სული შენი 14,19 JW,	სიონით განიშორა სული შენი O.
დაეფლნენ 16,4 JO,	დაიფლნენ GW.
აღეშჱნოს ქალაქი 30,18 O	აღიშენოს ქალაქი J.

შეიმჩნევა პრეფიქსული წარმოებიდან სუფიქსურზე გადასვლის ტენდენცია: **ენიანი** წარმოება იცვლება **ინიანი** წარმოებით, ხოლო **ინიანი დონიანით**: აღემჴედრენით, მჴედარნი... 46,4 J მაგრამ აღიმჴედრენით, მჴედარნი O, ამჴედრდით, ცხენოსანნი G

§ 62. მიმღეობა

აღსანიშნავია ფორმა „აღნათქუემი“ 11,15 JO. მოსალოდნელი იყო „აღნათქუამი“, მაგრამ **-ამ** სუფიქსი **ემ**-ად შეცვლილია **ემ**-დ ყალიბის ფორმათა გავლენით.

გვხვდება ოდენპრეფიქსული წარმოების მიმღეობური ფორმები: კაცნი მიყუარნი 20,10 JOG (მიყუარენი W); ყოველთაგან მიყუართა შენთა 22,22 JOG (მიყუარეთა W); მომღერთა 31,4 J (მემღერთა O); მბრძოლნი 46,9 JO (მებრძოლი GW); მორეწნი 46,21 J (მორეწენი (GW); მეოტსა 48,19 JOW (бегущий). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მორეწნი ← მორეწენი. მაგრამ არა, „მორეწი“ ძველი წარმოების ფორმაა, „მორეწე“—ახალი (შდრ. „მემღერი“ 30,19 O და „მემღერე“ W).

79 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 304.

80 ი. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში: იბ. კავკ. ენათმ., ტ. XIV, 1964, გვ. 173.

ჩვეულებრივი „წინაჲსწარმეტყუელი“ ფორმის გვერდით G-ში გვხვდება მწინაჲსწარმეტყუელები 26,20, აგრეთვე „ჴელ-მწიფე“-ს ნაცვლად ნახმარია „მ ჴ ე ლ-მ წ ი ფ ე“: მჴელ-მწიფები მჴელ-მწიფებასა ზედა 51,46 GW.

ამ შემთხვევაში „ზედმეტი გრამატიზაციით“ მიმღეობის **მ**, რომელიც კომპოზიტის ზმნურ ნაწილს აქვს, განმეორებით დამატებულია დასაწყისშიც, ასე ვთქვათ, პრეფიქსული წარმოების ყალიბის „დაწოლით“.

აღსანიშნავია მიმღეობა ჭ ა მ ე ბ უ ლ ი: „ზუარაკნი ჭამებულნი“ 46,21 GW, რომელიც გულისხმობს „აჭამებს“ პირიანი ფორმის არსებობას („მ ე ვ ა ჭ ა მ ე ბ“ 23,15 GW). ამ სიტყვაში **-ებ** მაწარმოებელი, რომელიც **-ევ**-ის მორფოლოგიური ბადალია, რედუქციას ვერ იწვევს: აჭამებს — ჭამებული, მაგრამ: აჭმევს (-აჭამევს)—ჭმული (ჭმვული←ჭმევული←ჭამევული). **ებ**-ი **ევ**-ის მსგავსად კაუზატივის მაწარმოებელი ჩანს, რომლის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ შესატყვისსაც მეგრულ-ჭანურში **-აფ** წარმოადგენს.

4. სინტაქსი

იერემიას წინასწარმეტყველების ძველ რედაქციათა ენის სინტაქსი დიდ თავისებურებას არ ავლენს. ძირითადად დაცულია ძველი ქართულის ნორმები, მაგრამ გვხვდება ნაკლებ გავრცელებული მოვლენებიც. აქ ძირითადად ასეთ მოვლენებზეა ყურადღება გამახვილებული.

§ 63. სახელთა შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში

ა) მართული მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულს მოსდევს, ამ უკანასკნელს ზოგჯერ ბრუნვაში არ უთანხმდება: შემდგომად წარტყუენვისა მის ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისა (ბაბილოვნისაჲსა J) 24 1 O; პირისაგან რისხვისა გულის-წყრომისა უფლისა (უფლისაჲსა J) 25,37 O; ნუ გეშინინ პირისაგან მეფისა ბაბილონისა (ბაბილოვნისაჲსა J) 42,11 O.

ბ) ხმოვანზე ფუძეგათავებული საკუთარი სახელი და მომდევნო მსაზღვრელი ერთნაირად იბრუნვის[81]: სცა პასქორ იერემიას წინაწარმეტყუელსა 20,2 JO; ჰრქუა იერემია წინაწარმეტყუელმან ანანიას ცრუ-წინაწარმეტყუელსა 28,15 J; აწ რად არა შეჰრისხენთ იერემიას ანათოთელსა 29,27 J; აღმოუკითხა სოფონია მღდელმან წიგნი ესე ყურთა იერემიაჲს წინაწარმეტყუელისათა 29,29 J...

გ) ზოგჯერ პრეპოზიციური მართული მსაზღვრელი საზღვრულს უთანხმდება ბრუნვასა და რიცხვში: ვქმნნე მე მათ წილ რკინისანი საჭივნი 28,13 O (რკინისა საჭივნი J).

დ) მსაზღვრელი, რომელიც **ებ**-იანი მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ საზღვრულს მოსდევს, რიცხვში შეთანხმებულია საზღვრულთან: ქორები ფართოვები 22,14 JO: ლაგჳნები სავსეები 35,5 W; ტაძრები დიდ-დიდები 52,13 JO[82]...

§ 64. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება

ა) ქვემდებარედ ნახმარი კრებითი სახელი შინაარსობრივად ითანხმებს შემასმენელს რიცხვში და მრავლობითის ფორმაში აყენებს მას: ისმინონ ხოლო თუ და მოიქცენ კაცად-კაცადი გზისაგან თჳსისა ბოროტისა 26,3 O; დევნაუყვეს ძალმან ქალდეველთამან უკუანა მათსა 39,5 O (დევნა-უყო ძალმან J).

---

81 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1935, გვ. 017, შენიშვნა 2.

82 მსგავსი მაგალითები იხ. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957. გვ. 310-312.

ბ) „თუალი“ და „ყური“ კრებითი სახელების მსგავსად მრ. რიცხვის ფორმით ითანხმებს შემასმენელს[83]: თუალ არიან მათა, და არა ხედვენ, ყურ არიან მათა, და არა ესმის 5,21 J.

გ) ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება დარღვეულია: მშჳლდოსანნი და ლახუროსანნი ურიდ არს 6,23 JO; გარდამოსთხევდინ თუალნი თქუენნი ცრემლთა 9,18 O (გარდამოსთხევდედ თუალნი J).

დ) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, წარსული დროის მიმღეობით იქნება ის გადმოცემული თუ სახელით, ჩვეულებრივ მხოლობითი რიცხვის ფორმაში დგას JO ვერსიებში, მრავლობითობას მხოლოდ მეშველი ზმნა გამოხატავს: ყოველნივე ურჩ არიან..., ყოველნივე განჴრწნილ არიან 6,28 JO;... რომელნი დამკჳდრებულ არიან უდაბნოსა, რამეთუ ყოველნი წარმართნი წინადაუცუეთელ არიან 9,26 J.

იშვიათად სახელით გადმოცემული სახელადი ნაწილი შეიძლება მრ. რიცხვის ფორმით შეგვჴვდეს: შვილნი უგუნურნი არიან და არა გონიერნი 4,22 JO.

სახელადი ნაწილისა და მეშველი ზმნის რიცხვში შეთანხმება საშუალ ქართულში იკაფავს გზას. ამას ადასტურებს G-ს ჩვენება:

იგინი არა არიან ღმერთნი 2,11 W (იგინი არა არიან ღმერთ JO)... გლახაკნი არიან... 5,4 W (გლახაკ არიან JO), ბრძენნი ვართ ჩუენ 8,8 W (ბრძენ ვართ ჩუენ JO) და ა. შ.

§ 65. ზმნის სამპირიანობა III სერიის მწკრივში

ცნობილია, რომ ზმნა შეიძლება სამპირიანი იყოს მხოლოდ I—II სერიაში, III სერიაში იგი ორპირიანი ხდება, რადგან ირიბი დამატება უბრალო დამატებად იქცევა: ამდენად ზმნას III სერიის ფორმაში არ შეიძლება ირიბი დამატება შეეწყოს. ჩვენს ძეგლში დასტურდება ორი მაგალითი, სადაც ამ წესის საწინააღმდეგო ვითარება გვაქვს:

ა) მივსცე ყოველი ესე ქუეყანაჲ ჴელსა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისა, მონისა ჩემისასა; და მჴეცნიცა ველისანი საქმედ მიმიცემიან მას 27,6 JO.

ბ) ...უქმოდიან ნაბუქოდონოსორ მეფესა ბაბილონისასა და ჰმონონ მას, და მჴეცნიცა ველისანი მიმიცემიან მას 28,14 JO.

ძველი ქართულის საერთო ვითარების მიხედვით უნდა ყოფილიყო არა „მიმიცემიან მას“ (მე იგინი), არამედ: მიმიცემიან მისა (მისდა) მე იგინი. ჩანს, ზმნას ირიბი დამატება შეჰრჩენია III სერიის ფორმაში. მსგავსი მაგალითები იშვიათია ძველი ქართულისათვის[84].

ფიქრობენ, რომ ძველ ქართულში ყოფილა ცდა, III სერიის ფორმები გათანაბრებოდა I—II სერიებს ირიბი დამატების გამოხატვის მიხედვით. „პროცესი დაწყებულა, მაგრამ ვერ განვითარებულა“[85].

83 ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 477.

84 ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, 1959, გვ. 319.

85 დ. გეწაძე, სამპირიან ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ ძველ ქართულში: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XVII, 1957, გვ. 471.

§ 66. სამპირიანი ზმნის ერთპირიანად ქცევა

არის შემთხვევები, რომ ზოგიერთი სამპირიანი გარდამავალი ზმნა კარგავს ორივე ობიექტს და ერთპირიანი ხდება. ამ დროს ზმნის ფორმას ცვლილება არ მოუდის, ფორმით ზმნა სამპირიანადვე რჩება, მაგრამ რეალურად მხოლოდ ერთი პირის გაგებას შეიცავს. მაგ. ა) შეახო მახჳლმან ვიდრე სულად მათდამდე 4,10 W. „შეახო“ ანიანი საარვისო ქცევის ფორმით სამპირიანია (შეახო მან მას იგი), მაგრამ დასახელებულ მაგალითში ერთპირიანია რეალურად და შინაარსით უდრის: მიახლოებულ იქნა: შდრ. ...ἥψατο ἡ μάχαιρα ἕως τῆς ψυχῆς αὐτῶν; ...*հասանիցէ սուր մինչև յանձինս նոցա*; меч доходит до души...

ბ) მოქცევა//მიქცევა: ეს ზმნა ანიანი საარვისო ქცევის ფორმით წარმოშობით სამპირიანი უნდა იყოს: მოხაქცია მან (მას) იგი[86], მაგრამ ჩვეულებრივ იგი სუბიექტსა და პირ. ობიექტს შეიცავს (მიაქციის წყალი... ქარის მობერვამან 18,14 G), ხოლო ზოგჯერ პირ. ობიექტსაც კარგავს და ერთპირიანი ხდება. „მოაქციე ჩემდამო“ 3,1 W, რაც ნიშნავს: ჩემთან დაბრუნდი, „მოიქეც ჩემდავე“ JO.

აღსანიშნავია, რომ „მოქცევა“ ზმნას ერთი პირის გაგება აქვს G-ში, ხოლო JO-ში შინაარსთან (ერთპირიანობასთან) შესაბამისობაშია ფორმაც (ინიანი ვნებითია):

ვარქუ:... ჩემდა მოაქციე, და არ მოაქცია 3,7 W (ვთქუ: მოიქეც ჩემდავე, და არა მოიქცა J); მოაქციონ მათ შენდა, და შენ არა მიაქციო მათდამი 15,19 GW (მოიქცენ იგინი შენდა, და შენ არა მიიქცე მათა J); მოაქცია ყოველმან ერმან 41,14 W (უკმოიქცა ყოველი ერი J).

§ 67. „სინტაქსური ასიმილაცია“

ზოგჯერ მთავარი წინადადების მისამართი სიტყვის (ქვემდებარის, დამატების) ბრუნვას ამავე წინადადების შემასმენელი კი არ განსაზღვრავს, არამედ იგი ბრუნვაში შეთანხმებულია დამოკიდებული წინადადების მიმართებით ნაცვალსახელთან (წევრ-კავშირთან):

ა) ღმერთთა რომელთა ცაჲ და ქუეყანაჲ არა შექ/მ/ნეს, წარწყმდედ იგინი ქუეყანისაგან 10,11 J.

ბ) ნათესავმან რომელმან შეყოს ქედი თჳსი უღელსა ქუეშე მეფისა ბაბილოვნისასა და უქმნეს მას, დაუტევო იგი ქუეყანასა ზედა 27,11 J;

გ) წიგნსა მაგას რომელსა იკითხავ ყურთა ერისათა, მოიღე ჴელითა შენითა 36,14 JO;

დ) ყოველთა რომელთა ტყუენონ იგი (-O), განძღენ 50,10 JO.

მსგავსი მაგალითები ძველ ქართულში ფართოდ გავრცელებული არაა, მაგრამ არც იშვიათია[87]. ასეთი სინტაქსური მოვლენა მიჩნეულია ძველი ვითარების ამსახველად, როცა მიმართებითი ნაცვალსახელი ერთსა და იმავე დროს მისამართ

---

86 ი. იმნაიშვილი, სამი სინური ხელნაწერი და მათი ენა: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 186.

87 შ. ძიძიგური ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, 1959, გვ. 372. ც. ქურციკიძე, ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, 1959, გვ. 076.

სიტყვასაც უნდა კუთვნებოდა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელსაც. და მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოადგენდა მისამართი სიტყვის ატრიბუტს[88]. თვითონ მოვლენას იწვევს დამოკიდებული წინადადების ჩართვა მთავარი წინადადების შუაში, რის შედეგადაც მისამართი სიტყვა „ორიენტაციას“ კარგავს თავის შემასმენელზე და უახლოეს მიმართებით ნაცვალსახელს უთანხმდება ბრუნვაში[89].

§ 68. მიმღეობის მიერ პირ. ობიექტის მართვა ბრუნვაში

აღსანიშნავია, რომ G რედაქციაში მოქმედებითი გვარის მიმღეობას, ზმნის პირიანი ფორმის მსგავსად, შეიძლება ჰქონდეს პირ. ობიექტი მიც. ბრუნვაში. მაგ., მიეც მათ ქუეყანაჲ ესე..., მადინებელი თაფლსა და სძესა 32,22 W. წესით კი მოქმედებითი გვარის ზმნის ამავე გვარის მიმღეობად გადაყვანისას პირ. დამატება ნათ. ბრუნვაში დასმულ უბრალო დამატებად იქცევა. ამდენად, ამ წესის მიხედვით W-ში უნდა ყოფილიყო: ...მადინებელი თაფლისა და სძისაჲ (გამომცემელი სძისა და თაფლისაჲ JO). მსგავსი მაგალითები GW-ში არც თუ იშვიათია:

ა) შევიშინოთ უფლისაგან ღმრთისა ჩუენისა. მომცემელისა ჩუენდა წჳმასა მსთუასა... 5,24 W (...რომელმან მოგუცა ჩუენ წჳმაჲ მსთუაჲ[90] ...JO; φοβηθῶμεν δὴ Κύριον τὸν θεὸν ἡμῶν, τὸν διδόντα ἡμῖν ὑετόν πρώϊμον; ...որ տայ մեզ զանձրեւ զկանուխ.

ბ) ვეფუცე მამათა თქუენთა მიცემად მათდა ქუეყანაჲ, მადინებელი სძესა და თაფლსა 11,5 W (...რომელსა გამოსდის სძე და თაფლი J; ..ὤμοσα τοῖς πατράσιν ὑμῶν, τοῦ δοῦναι αὐτοῖς γῆν ῥέουσαν γάλα καὶ μέλ; ...որ բղխէ զմեղր և զկաթն).

გ) ცხოველ არს უფალი, აღმომყვანებელი და მომყვანებელი თესლსა სახლისა ისრაილისსა 23,8 GW (..რომელმან აღმოიყვანა და მოიყვანა ნათესავი სახლისა ისრაჱლისაჲ J; ...ὃς συνήγαγε πᾶν τὸ σπέρμα Ἰσραήλ. ...որ հան զամենայն զաւակ իսրայէլի).

დ) არა დაიმალოს შენგან არარაჲ მყოფელისა წყალობასა ათასეულთამდე 32,17—18 W (... რაჲვე ჰყვი წყალობაჲ მიათასამდე ნათესავად J; ...οὐ μὴ ἀποκρυβῇ ἀπὸ σοῦ οὐθέν, ποιῶν ἔλεος εἰς χιλιάδας; ...որ ծածկիցի 'ի քէն առնես ողորմութիւն 'ի հազար զար).

ე) მღდელთა ლევიტელთა არა მოაკლდეს მამაკაცი პირისაგან ჩემისა..., მკუმეველი საკუმეველისაჲ და მყოფელი საკუერთხსა ყოველთა დღეთა 33,18 W (...მყოფელი საკუერთხთაჲ ყოველთა დღეთა O; Καὶ ἐκ τῶν ἱερέων καὶ λευιτῶν οὐκ ἐπιλείψει ἀνὴρ ἐνώπιόν μου προσφέρον ὁλοκαύτωμα, ...καὶ ποιῶν θυσίαν πάσας τὰς ἡμέρας; զոհել զոհս, և արկանել խունկս զամենայն աւուրս).

---

88 კ. დონდუა, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 335-336.

89 ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, ჰიპოტაქსის საკითხები, თბილისი, 1963, გვ. 19.

90 ადგილის ეკონომიის მიზნით ზემოდასახელებულ წინადადებათა მხოლოდ მეორე ნაწილის ფარდი წაკითხვები მოგვყავს JO ვერსიებისა და ზოგჯერ ბერძნულ-სომხური წყაროებისაც.

ვ) არა არს მეტყუელი დატევებასა ობლისა შენისასა 49,10—11 W; (არა არს, რომელმანცა თქუა დატევებაჲ ობოლთა შენთაჲ JO; ...οὐκ ἔστιν ὑπολείπεσθαι ὀρφανόν σου; ... *չիք մնալ որբուղն քում թէ կեցցէ*.).

ზემოდასახელებულ მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ:

ა) მიმღეობური კონსტრუქცია, რომელშიც ობიექტი მოსალოდნელი ნათესაობითის ნაცვლად მიცემით ბრუნვაში დგას, „რომელ“ საკავშირებელი სიტყვის შემცველი დამოკიდებული წინადადების შეკუმშული სახეა. ასეთი მიმღეობური კონსტრუქციის მაგალითები მხოლოდ G-შია და არა JO-ში. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან მიმღეობის მიერ ობიექტის მართვა მიც. ბრუნვაში ნიშანდობლივი ჩანს პეტრიწონული სკოლის სქოლასტიკური ენისათვის[91], და G ვერსიასაც ხომ ასეთივე სქოლასტიკური სტილი ახასიათებს.

ბ) არის თუ არა ასეთი მიმღეობური კონსტრუქცია ბუნებრივი ქართული? არა, არ უნდა იყოს. ძველმა ქართულმა (V—X საუკ.) ნაკლებად იცის ისეთი მიმღეობური კონსტრუქცია, სადაც ობიექტი მიცემითი ბრუნვის ფორმაში იყოს დასმული[92]. ამიტომ ძნელი დასაჯერებელია ის ახსნა, რომ, თითქოს, ზემოდასახელებული ტიპის მაგალითები „ძველი ქართული ენის საერთო თვისებაა“[93].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მოვლენა უმეტესად პეტრიწონული სტილით დაწერილ ძეგლებს ახასიათებს და, ამდენად, XI საუკუნეზე ადრინდელ ტექსტებში ნაკლებადაა მოსალოდნელი. თითქოს, ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ორი ფაქტი:

ა) მსგავსი კონსტრუქცია იშვიათად ორიგინალურ თხზულებებშიც გვხვდება[94];

ბ) თუ საწყისს შეეძლო პირ. დამატების შეწყობა, მიმღეობასაც უნდა შესძლებოდა იგი.

უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანთა გზით შემოსული და სამწერლო ენაში დამკვიდრებული უცხო ენობრივი მოვლენები ორიგინალურ თხზულებებშიც ვლინდება. თანაც, გასარკვევია, რამდენად არის ქართული მოვლენა ინფინიტური და მიმღეობური კონსტრუქციები, ან რა წილი მიუძღვის ბერძნულს ასეთი კონსტრუქციების ჩამოყალიბებასა თუ სტაბილიზაციაში. ყოველ შემთხვევაში, ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ მიმღეობური კონსტრუქციის ზემოდასახელებული მაგალითები მხოლოდ გვიანდელ (G) ვერსიაში გვხვდება.

დასახელებული მაგალითების ბერძნულ-სომხური წყაროების სათანადო ადგილებთან შედარება გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში სომხური ენის გავლენა გამორიცხულია, რადგან ქართული მიმღეობური ფორმის ფარდად იქ ზმნის პირიანი ფორმა გვაქვს უმეტესად (მაგ. ა, ბ, გ, დ,). ბერძნულში ვითარება ქართულის მსგავსიც არის და განსხვავებულიც. მსგავსებაა იმ მხრივ, რომ ორივეში მიმღეობის ფორმებია ნახმარი (გამონაკლისია ბერძნულში **გ**) მაგალითი), მაგრამ სხვაობაა მიმღეობის ბრუნვის ფორმებში. თანაც, პირ. ობიექტი ბერძნულში ბრალობით

---

91 ქ. კეკელიძე, შენიშვნები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფისა, ეტიუდები... ტ. I, 1956, გვ. 252-253.

92 დ. ჩხუბიანიშვილი, ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1961, გვ. 192-195.

93 ს. ენუქაშვილი, პეტრე იბერიელის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის) შრომები, 1961, გვ. 0114.

94 ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა, გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, 1946, გვ. 79.

ბრუნვაში დგას, ქართულში კი—მიცემითში. ჩანს, მთარგმნელს თუ შემჯერებელს ანგარიში გაუწევია იმ გარემოებისათვის, რომ პირ. ობიექტი ბერძნულში ბრალობითში იდგა, და თარგმანის ბერძნულ წყაროსთან დაახლოების მიზნით ცდილა, ბრალობით ბრუნვაში დასმული პირ. ობიექტის ფარდი სახელი—უბრალო ობიექტი გადმოეცა არა ნათესაობითის, არამედ პირ. ობიექტის ბრუნვის (ამ შემთხვევაში, მიცემითის) ფორმით. ამდენად, მიმღეობასთან მიც. ბრუნვაში დასმული სახელი G-ში უბრალო ობიექტის შინაარსს კი არ გამოხატავს (მადინებელი თაფლისა და სძისა), არამედ პირ. ობიექტისას და, მადინებელი თაფლსა და სძესა, დაახლოებით ამას აღნიშნავს: რომელიც ადინებს თაფლსა და სძესა.

§ 69. სინტაქსური კონტამინაცია

ცნობილია, რომ ქართულში თანდებულ-დართული სახელი, რომელიც წინადადებაში უბრალო დამატების ფუნქციითაა ნახმარი, ზმნაში მორფოლოგიური ნიშნით არაა წარმოდგენილი. ეს წესი, რომელიც საერთოდ უგამონაკლისოა, G-ში დარღვეული ჩანს. მხედველობაში გვაქვს ამ ტიპის მაგალითები: „ნუ ლოცვანი და ჴორცი წმიდაჲ მოგისპობენ შენგან ბოროტთა შენთა“ 11,15 W. „მოგისპობენ“ ზმნაში **გ** პრეფიქსი II ირიბ ობიექტურ პირს აღნიშნავს, ამიტომ ბუნებრივი ქართულით უნდა იყოს არა „მო**გ**ისპობენ შენგან“, არამედ „მო**გ**ისპობენ შენ“. თუ თანდებულიან („შენგან“) ფორმას დავტოვებთ, მაშინ ზმნა ხელს აიღებს მის მორფოლოგიურად გამოხატვაზე და იქნება: „მოსპობენ შენგან“. როგორ უნდა ავხსნათ ეს ფაქტი? რადგან „მოგისპობენ შენგან“ ტიპის წყობა ქართულისათვის ბუნებრივი არ არის, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვქონდეს ტექსტის რედაქციული გადამუშავების შედეგად წარმოქმნილ ფაქტთან. ალბათ, თავდაპირველად თარგმანში იყო „მოგისპობენ შენ“, მაგრამ ტექსტის ელინოფილმა შემჯერებელმა ბერძნული წყაროს კვალობაზე თანდებულიანი ფორმა („შენგან“) იხმარა, მაგრამ ის კი გამორჩა მხედველობიდან, რომ უცვლელად დატოვებული ზმნა „მოგისპობენ“ ანგარიშს უწევდა „შენ“ ფორმას და არა „შენგანს“-ს. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს თითქოს ის გარემოებაც, რომ ასეთი ფაქტი მხოლოდ G-ში ვლინდება და არა JO-ში:

ა) ნუ ლოცვანი და ჴორცი წმიდაჲ მოგისპობენ შენგან ბოროტთა შენთა 11,15 **W** (აღნათქუემთა ნუ და ჴორცთა წმიდათა განგყარნენ შენ უკეთურებანი შენნი **J**); ...μὴ εὐχαὶ καὶ κρέα ἅγια ἀφελοῦσιν ἀπὸ σοῦ τὰς **κακίας σου...**

ბ) მართალ ხარ შენ, უფალო, რამეთუ მიგიგო შენდამი 12,1 W (...მე მიგიგო შენ JO); **Δίκαιος εἶ, Κύριε,** ὅτι ἀπολογήσομαι **πρὸς** σέ.

გ) მომითხრობდა იგი ჩემდამო ყოველთა ამათ სიტყუათა 36,18 W (მითხრობდა მე იგი ყოველთა ამათ სიტყუათა J); ἀνήγγειλέν μοι **Ἱερεμίας πάντας τοὺς λόγους τούτους,**

უკანასკნელი მაგალითის ჩვენებას ეჭვი შეაქვს ზემოაღნიშნულ ვარაუდში, რადგან W-ს თანდებულიანი ფორმის („ჩემდამო“) ფარდად ბერძნულ ტექსტში I პირის ნაცვალსახელია მიც. ბრუნვაში (μοί) ნახმარი თანდებულის გარეშე. ეჭვს აძლიერებს ის გარემოება, რომ ზმნაში პირის ნიშნით წარმოდგენილი თანდებულიანი ფორმა ქართული ორიგინალური ძეგლებისთვისაც არ უნდა იყოს სავსებით

უცნობი. მაგ., „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?“ (შუშანიკის წამება: 19,20 [95]). „სადაღა შემიწყნარა მე ქრისტემან და განმაშორა ჩემგან ბნელი იგი პირველისა მის უმეცრებისა ჩემისაჲ, ...არასადა უვარ-ვყო მე სახელი მისი“ (აბოს წამება: 61,17) [95].

თუ ვიფიქრებთ, რომ W-ს ზემოდასახელებულ მაგალითებში ბერძნული წყაროს უშუალო გავლენა არ უნდა ჩანდეს, მაშინ შესაძლებელია, ეს გამოვლენილი ფაქტი პირობითად კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც „სინტაქსური კონტამინაცია“: მოგისპობენ შენგან ← მოგისპობენ შენ + მოსპობენ შენგან; თანაც, დასახელებული მაგალითები საინტერესო იქნებოდა პირმიმართი და უბრალო დამატებათა ადრეული ვითარების გასათვალისწინებლად, მაგრამ მასალათა სიმცირის გამო ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიგვაჩნია [96]

95 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—X სს.), ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963.

96 [დღეს ეს საკითხი სპეციალურადაა შესწავლილი: ქ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მაცნე“ (ენისა და ლიტ.-ის სერია), № 4. 1974, გვ. 79—90].

VI. ლექსიკა

ჩვენი ძეგლი ლექსიკის თვალსაზრისითაც იპყრობს ყურადღებას, განსაკუთრებით კი — G ვერსია. ამ უკანასკნელში ბევრი ისეთი სიტყვაა ნახმარი, რომელიც ნაწარმოებია სათანადო ბერძნული ფარდის კვალობაზე. ხელნაწერში იკითხება: განემზადენით თ ა ვ ი ს - გ ა რ ე მ ო ჲ ს თ ა მიერ 46,4 G. უცნაურია, მაგრამ ფაქტი: საბას „თ ა ვ ი ს-გ ა რ ე მ ო ჲ ს თ ა" გადაუშლია და მის ნაცვლად ზემოდან დაუწერია „ჩ ა ფ ხ უ ტ ი თ ა ვ თ ა" (ამის საფუძველს საბას, ალბათ, სხვა ნუსხა აძლევდა, შდრ. დაიდგთ ჩ ა ფ ხ უ ტ ე ბ ი თქუენი J). ჩვენ აღვადგინეთ ხელნაწერში დაცული ფორმა, რადგან იგი კალკია ბერძნული სიტყვისა περικεφαλαία, G-ში ბერძნულის მიხედვით ნაწარმოები სხვა სიტყვებია: ს ა ხ ლ ი ს ნ ა შ ო ბ ი 2,14 W (οἰκογενής), ჩ რ დ ი ლ-კ ე თ ი ლ ი 11,6 (εὔσκιον), ძ ი ლ ი ს-შ ი ნ ა 23,25 (ἐνύπνιον) და სხვ. (იხ. § 21).

JO ვერსიების ზოგიერთი სიტყვის ფარდად G-ში სინონიმური მნიშვნელობის სხვა სიტყვაა ნახმარი, რაც მეტად ფასეულია ქართული ენის ისტორიული ლექსიკონისათვის. პარალელური ერთეულებიდან ვასახელებთ რამდენიმეს.

JO ვერსიებშია:		G ვერსიაშია:
დაყამირებული	2,31	განკორდებული W
თერძული	4,3	ანეული W
ლახუარი	6,23	მაზრაკი W
მკურის-კევი	8,22	რიტინი W
ტოზიკობა	16,8	ანკანაკობა GW
ყჳბარი	19,1	კარაბა GW
სანთელი	25,10	ბაზმაკი GW
დედა-ჭუავი	50,39	სირინოსი GW

G-ს ლექსიკისათვის დამახასიათებელია ნ ე ო ლ ო გ ი ზ მ ი, რომელიც კარგად არის წარმოჩენილი JO ვერსიებში დაცული ძველი ხმარების სიტყვებთან შეპირისპირებით. ვასახელებთ რამდენიმე მაგალითს.

JO ვერსიებშია:		G ვერსიაშია
ნესტჳ	4,5	საყჳრი W
ორბი	4,13	არწივი W
მოყუასი	6,21	მეზობელი W
აღნადგინები	9,6	ვახში W
მკელობელი	31,8	კოჭლი W
ჰუნე	46,4	ცხენი GW
მჴედარი	46,4	ცხენოსანი GW

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში 260-მდე სიტყვა აქვს დამოწმებული ჩვენი ძეგლიდან. ამ სიტყვების სპეციალურად შეს-

წავლამ გამოავლინა, რომ ზოგიერთი მათგანი საბას ლექსიკონში არასწორი ფორმით ან არაზუსტი განმარტებით არის შესული. ამის გამო საჭიროდ მივაჩნია, რომ ამ საკითხს საგანგებოდ შევეხოთ.

§ 70. საბას ლექსიკონში იერემიას წინასწარმეტყველების წიგნიდან დამოწმებული ზოგიერთი სიტყვის ფორმისა და განმარტების დაზუსტებისათვის

მკვლევრებს, რომლებიც საბას ლექსიკონს შეეხებიან, აღუნიშნავთ ამ ნაშრომის ბევრ ღირსებასთან ერთად ზოგიერთი ნაკლიც ა. შანიძე, რომელმაც რამდენიმე შრომა უძღვნა საბას ლექსიკონს. ერთგან შენიშნავს: საბას ლექსიკონში „შეცდომებიცაა, რომელთაც მეცნიერულ გამოცემაში გასწორება უნდა ან შენიშვნების დართვა მაინც“ [1], მკვლევარს ნიმუშად მოჰყავს ლექსიკონში შესული რამდენიმე არასწორი ფორმა (მუჰარაკი, ეკვატანი, ენიოტი, განბორკება, დაღა) და ასწორებს მათ.

სწორი ჩანს იმის აღიარებაც, რომ საბას ლექსიკონის მნიშვნელობა „ქართული კულტურის ისტორიისათვის მით უფრო ნათელი გახდება, რაც უფრო გამოწვლილვით იქნება იგი შესწავლილი (ჯერჯერობით მისი შესწავლა მხოლოდ დაწყებულია)“ [2].

გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ საბას ლექსიკონში მოხვედრილი არასწორი ფორმები უმეტეს შემთხვევაში წყაროდან მომდინარეობს. იერემიას წინასწარმეტყველების წიგნიდან საბას ლექსიკონში დამოწმებულ სიტყვებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ზოგიერთი მათგანი არასწორი ფორმითაა ლექსიკონში მოყვანილი, მაგალითად:

1) „**მეოდახად** რომელიმე დიას იტყჳან, რომელიმე კრონოსსა, რომელიმე ბაბილონს შინა პირველ გამეფებულსა, ანუ უკანასკნელსა, რომელსა ზედა იქმნას დაჴსნა მეფობისა (50,2 იერემია)“.

სულხან-საბას „მეოდახად“ სიტყვა, უთუოდ, გელათური ვერსიიდან მოჰყავს. G-ში ვკითხულობთ: „შეებული მეცა მეოდახ“. ამ სიტყვის განმარტებაც საბას აუღია G-ს ნუსხის (A-1108) შესაბამის ადგილას კიდეზე მიწერილ კომენტარიდან. ეს კომენტარი ღია წითელი ფერის მელნითაა დაწერილი და ძალზე გადასულია, ზოგან არც იკითხება სრულებით, აი ეს კომენტარი: „მეოდახად რომელნიმე დიას იტყჳან და რომელნიმე კრონოსსა, ხოლო რ[ომელნიმე] (.. ..) [ყო]ფად, ხოლო რომელნი[მე] პირველ გამეფებულსა (...) ბაბილ[ონს] ანუ უკუანაჱსკნელსა, [რომელ]სა ზე[და] იქმნა დაჴსნა მეფობისაჲ (242 recto).

საბას შეცდომით კომენტარში დაცული ვით. ბრუნვის ფორმა („მეოდახად“) ამოსავლად მიუჩნევია და ასე შეუტანია ლექსიკონში, თუმცა წყაროში „მეოდახ“ ფორმა იყო. „მეოდახ“ გადმოსცემს ბერძნულ Μαιρωδάχ-ს, ხოლო ეს უკანასკნელი კი არის ებრ. מְרֹדָךְ: (მჷროდაქ). ძველ ქართულ ვერსიებშია: „მაროდაქ“ (J), „მადორაქ“ (O). ეს უკანასკნელი მეტათეზისითაა მიღებული: მადორაქ < მაროდაქ, ხოლო გვიან-

---

1 ა. შანიძე, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ლექსიკოგრაფი: ჟურნ. „მნათობი“, № 10, 1959, გვ. 109.

2 ა. ჩიქობავა, ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონა“, როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი: ს.ს. ორბელიანი, საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 276.

დელი ფორმა „მეოდახ“ (G) მოდის „მეროდახ“ ფორმისაგან რ-ს ჩავარდნით (ბერძნ. αι ენით გადმოდის),

„მეოდახ“ არის ქალდეველთა ერთ-ერთი კერპის სახელწოდება. ამ კერპის სახით ქალდეველები აღმერთებდნენ პლანეტა იუპიტერს[3].

ამრიგად, ლექსიკონში უნდა განმარტებულიყო „მეოდახ“ და არა „მეოდახად“.

2) **„ასიდამა** (ფრინ.) მიმინოს ჰგავს, ღამით ხედავს, (ვიეთნი C) ღამურას უჴმობენ (ღამურად უწოდენ C)“[4]. „ასიდამა“-ს საბას ავტოგრაფულ ნუსხაში დამოწმება აქვს (იერემ. 8,7)[5]. საბას ეს სიტყვა G ვერსიის ტექსტიდან მოჰყავს: „და ასიდამან ცათა შინა ცნა ჟამი თჳსი“ (W). შდრ. ბერძნ. **ἡ ἀσίδα ἐν τῷ οὐρανῷ ἔγνω τὸν καιρὸν αὐτῆς**. ბერძნულ სეპტანტში **ἀσίδα** (ასიდა) ებრაული წყაროდან არის უთარგმნელად გადმოსული (חֲסִידָה). ებრაულში „ასიდა“ ნიშნავს „ყარყატს“ (შდრ. რუს. аист).

მაშასადამე, საბას განსამარტავად მოჰყავს არა ამოსავალი ფორმა „ასიდა“, არამედ მოთხრ. ბრუნვის ნარ-მოკვეცილი ფორმა „ასიდამა“, რაც უთუოდ, შესასწორებელია.

3) **„სკირა** თიჴის კედელი (48,31 იერემია)“.

„სკირადათა განბიცებისათა (48,31 იერემია) ესრეთ ითქმის თიჴის კედელნი განჴმობადნი (ესრეთ ითქმის, ვითარმედ თავნი მათნი აღპარსულ და წუერნი დაყუენილ: 48,31 იერ. B).[6]

ეს სიტყვები საბას ლექსიკონის ადრინდელ რედაქციებში ვახტანგ VI-ს შეუტანია განმარტებითურთ („ესრეთ ითქმის, ვითარმედ თავნი მათნი აღპარსულ და წუერნი დაყუენილ“). მაგრამ საბოლოო რედაქციაში საბას გამოუტოვებია ვახტანგ VI-ის განმარტება და თავისი მოუცია: ესრეთ ითქმის თიჴის კედელნი განჴმობადნი (იხ. ს იორდანიშვილის გამოც., გვ 323). „სკირადათა განბიცებისათა“-ს ვახტანგ VI-ისა და საბას განმარტებებს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო. აბა სად „თიხის კედელნი განჴმობადნი“ და სად „თავნი მათნი აღპარსულ და წუერნი დაყუენილ“.

განსამარტავი „სკირადათა განბიცებისათა“ წყაროებში ასეა წარმოდგენილი: „ღაღადებდით კაცთა ზედა ზღუდისათა ვარჴ-პარსულთა“ JO; „ჴმა-ყავთ კაცთა ზედა ზღუდისათა სკირადათა განბიცებისათა“ (W).

ჩანს, საბას ლექსიკონში განმარტებული „სკირადათა განბიცებისათა“ G რედაქციის ტექსტიდანაა ამოღებული. ისიც ცხადი ხდება, რომ ვახტანგ VI-ს ეს სიტყვები განუმარტავს სათანადო ადგილის ძველ ვერსიებში დაცული წაკითხვის საფუძველზე, სადაც ლაპარაკია „ვარჴ-პარსულ“ კაცებზე. უცხო წყაროებში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: Βοήσατε ἐπ' ἄνδρας Κιράδας αὐχμοῦ; სომხ. *գումեցէք յամենայն հողմանց մովաբու. 'ի վերայ արանց խզելոց' փետելոց' մրելոց.*

---

3. И. Якимов, Толкование на книгу св. пророка Іеремии, С.-Пб., 1880, вып. II, გვ. 731.

4 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა, და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, 1928, გვ. 20.

5 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1949, გვ. II.

6 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, .., გვ. 319.

ირკვევა, რომ „სკირადათა განბიცებისათა“ მომდინარეობს ბერძნული Κιράδας αὐχμοῦ-საგან (ბერძნ αὐχμός „სიხმელე“, შდრ. საბას განმარტებაში „განჴმობადნი“). G ვერსიის ავტორს ბერძნული „Κιράδας“ უთარგმნელად გადმოუღია, რადგან მის მნიშვნელობაში ვერ გარკვეულა. ამის საფუძველი ის იყო, რომ ბერძნულ სეპტანტაში ნახმარი „Κιράδας“ ებრაული ტექსტიდან არის უთარგმნელად გადმოსული. ებრაულშია קִיר־חֶרֶשׂ („კირ-ხარეს“, შდრ. რუს. Кирхарес). ბერძნული სეპტანტის ავტორებს გრაფიკული მსგავსების გამო ებრ. ר (რ) წაუკითხავთ ד (დ)-დ[7]. შეიძლება დავსძინოთ, რომ გრაფიკულ ნიადაგზევე უნდა იყოს ბერძნულ თარგმანში ח (ხ) გამოტოვებული, რადგან იგი აღრეულია ה (ჰ)-ში; ხოლო ამ უკანასკნელი ბგერის გამოხატვა ბერძნულში არ შეიძლებოდა. კომპლუტენის გამოცემაში „κειράρας“ გვაქვს, რაც ებრაულ ტექსტთან შესაძლო დაახლოების შედეგია[8].

ებრაული „კირ-ხარეს“ არის ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდება, რომელიც მდებარეობდა მოაბის მხარის სამხრეთ ნაწილში მაღლობზე და თავისი სიმაგრეებით მიუვალად ითვლებოდა. სახელწოდებაც აქედან მიუღია: „კირ-ხარეს“, რაც ებრაულად ნიშნავს: სიმაგრე, კედელი მაღლობზე[9] (იხ. § 18).

საბას ლექსიკონში ცალკეა განმარტებული „სკირა“ იმავე ადგილზე მითითებით, რაც „სკირადათა განბიცებისათა“-ს აქვს (48,31 იერ.). გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ „სკირა“ აშკარად მცდარი ფორმაა. ვახტანგ VI-სა და საბას „სკირა“ მიაჩნიათ ამოსავალ ფორმად „სკირადათა“-სთვის, რადგან ეს უკანასკნელი გაგებულია „სკირა“-ს ბრუნვა- და რიცხვშეცვლილ ფორმად. სინამდვილეში კი „სკირა“ არარსებული სიტყვაა. ლექსიკონში ქართული წყაროს (კერძოდ, G-ს) მიხედვით უნდა განმარტებულიყო „სკირადა“ ან „კირადა“ (ბერძნული წყაროს გათვალისწინებით). ქართულ „სკირადა“-ში **სანის** დართვა ჩვენთვის აუხსნელია. არაა სავარაუდებელი იგი „კირადა“-ს წინა მდგომი სიტყვის ბოლო ასო იყოს და მექანიკურად დართული მომდევნო სიტყვაზე (ს + კირადა), რადგან **სანიანი** დაბოლოების სიტყვა არ უსწრებს ტექსტში „კირადა“-ს. **სანის** დართვას ვერ მივიჩნევთ იმავე რიგის მოვლენად, როგორც ეს „ს-პილო“, „ს-პილენძის“ მსგავს მაგალითებში გვაქვს. „სკირადა“-ში **სანი** მექანიკური შეცდომით უნდა იყოს გამოწვეული.

„სკირადათა განბიცებისათა“-ს ფარდად ძველ ქართულ ვერსიებში (JO) იკითხება „ვარჯ-პარსულთა“ ასეთი თარგმანი მომდინარეობს ბერძნული κιράδας“ ფორმის მცდარი გააზრებიდან. „κιράδας“ ქართულ თარგმანში გაგებულია κείρω ზმნის („ვპარსავ“, „ვკრეჭ“) ვნებითი გვარის მიმღეობად აორისტ მეორისა. ასევე მცდარად ჩანს ეს სიტყვა გაგებული სომხურ რედაქციაშიც, სადაც სათანადო ადგილას თმის გლეჯაზეა ლაპარაკი.

არასწორმა და შეუსაბამო თარგმანმა ჩვენს სახელოვან ლექსიკოგრაფებს — საბასა და ვახტანგ VI-ს გაუძნელა სიტყვის სწორი ფორმისა და განმარტების მოცემა.

4) **„დამდამივა** (48,2 იერ.) მუღრაობაი, ქადილია“[10].

---

7 И. Якимов, Толкование, II, გვ. 694.

8 იქვე, გვ. 694.

9 იქვე, გვ. 675

10 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1949, გვ. 88.

ლექსიკონის ადრინდელ რედაქციაში საბას დამოწმებასთან ერთად ციტატიც მოჰყავს: „ნათესავისაგან დამდამივა დაცხრომით დაცხრომილ არს C“[11]. საბას ლექსიკონში მოყვანილი ეს ადგილი ამ სახით არც ერთ რედაქციაში არაა წარმოდგენილი. აქაც საბა ჩვენთვის უცნობი წყაროთი სარგებლობს. ქართულ რედაქციებში იკითხება: „მოვედით და გამოვჰკუეთოთ იგი თესლთაგან, და მადებემა (მედებაჲ O) დაცხრომით დასცხრეს“ (J).

„მოვედით და მოვჰკუეთოთ იგი ნათესავისაგან, და დაცხრომით დასცხრეს“ (W).

საბას ლექსიკონში დაცული „დამდამივა“-ს ფორმაც მცდარია და განმარტებაც[12]. ირკვევა, რომ „დამდამივა“ წარმომდგარია „მადებემა“ და „მედებაჲ„-ს მსგავს „მდამივა“ ფორმასთან „და“ კავშირის მექანიკური შეერთების საფუძველზე. „დამდამივა“ G-ში არ მოიპოვება. ასევე არაფერი გვაქვს ამ სიტყვის ფარდად ბერძნულსა და სომხურ წყაროებში: ბერძნ.: ...*καὶ παῦσιν παύσεται*; სომხ. *և լռելով լռեսցի*; შდრ. და დაცხრომით დასცხრეს (W), სლავ. молча умолкнешь“. მაგრამ რუსულ თარგმანში, რომელიც უშუალოდ ებრაული ტექსტიდანაა შესრულებული, სხვანაირი წაკითხვაა: и ты, Мадмена, погибнешь“. აღმოჩნდა, რომ ტექსტში ლაპარაკია ქალაქ მადმენის (madmen „მადმენ“) დაღუპვაზე. თარგმანთა ნაირფერობა და სიჭრელე წარმომდგარია ებრაული „მადმენ“ სიტყვის პოლისემიურობიდან. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „Мадмена — слово, созвучное с глаголом, значущим: умолкать, погибать“[13].

ბერძნულ სეპტანტაში „მადმენ“-ი გაგებულია არა როგორც ქალაქის სახელწოდება, არამედ როგორც „დაცხრომა“ ზმნა და ამიტომ ებრაული mādmen th'dmi ფორმის ფარდად სეპტანტაში გვაქვს *παῦσιν παύσεται*, რაც ნიშნავს „დაცხრომით დასცხრეს“ (W).

5) **მაწანებელთამი** (31,2 იერემია) მოსუÜნებასავით: „ესრეთ თქვა უფალმან: ვპოე სიტფოჲ უდაბნოსა შინა მომსრველთა თანა მახვილითა, მიმავალნი მაწანებელთამი ისრაილისათა: ვიდოდეთ და ნუ მოსრავთ ისრაილსა“[14].

საბას დამოწმება და ციტატი G ვერსიიდან მოჰყავს. ცხადია, ლექსიკონში უნდა განმარტებულიყო „მაწანებელი“ და არა „მაწანებელთამი“, რადგან ეს უკანასკნელი ასე იშლება: „მაწანებელ-თა-მი“, სადაც „თა“ ბრუნვისა და რიცხვის ნიშანია, ხოლო „მი“ — თანდებული. „მაწანებელი“ უნდა ნიშნავდეს: მომწვევს, მხმობელს (შდრ. ქართ. მაწანებელი, მეგრ. მაჭანაფალი „მაწვევარი“).

საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ შემდეგ სიტყვებზედაც.

6) „**ალდაჭი** ბიცი (17,6 იერემია)“[15]. მითითებულ ადგილზე ძველ რედაქციებში (JO) „ალდაჭი“-ს ნაცვლად „ბიცთანი“ იკითხება, ხოლო G-ში — „ალდატი“:

---

11 ვსარგებლობთ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით დასაბეჭდად გამზადებული საბას ლექსიკონით, რომელშიც ყველა ავტოგრაფული ნუსხის ჩვენებაა წარმოდგენილი.

12 „დამდამივა“ რომ „მადმენ“-ის შერყვნილი ფორმაა, ამაზე ადრე მიუთითა ც. ქურციკიძემ წერილში: სიტყვის განმარტების ერთი ხერხი საბას ლექსიკონში: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 10.

13 И. Якимов, Толкование, II, გვ. 676.

14 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა..., გვ. 197.

15 იქვე, გვ. 36.

„დაეშენოს ალდატსა“ (GW), შდრ. *κατασκηνώσει ἐν ἁλίμοις*, სომხ. ***բնակեսցէ յաղտաղտուկս***. საბას სწორად განუმარტავს „ალდაჭი“ სხვა ქართულ ვერსიაში დაცული სინონიმური სიტყვით („ბიცი“). G-ში დადასტურებული „ალდატი“ უნდა მოდიოდეს სომხური ***աղտաղտ*** ფორმისაგან. თავის მხრივ, სომხური ***աղտաղտ*** ნაწარმოებია ***աղ*** („მარილი“) ფუძისაგან რედუპლიკაციის გზით: ***աղտ+աղտ***. ჰიუბშმანის აზრით, ***աղտ*** მომდინარეობს ***աղուտ***-ის ნათ. ბრუნვის ***աղտի*** ფორმისაგან[16] (***աղ+ուտ*** „მარილიანი“).

ქართული „ალდატი“, ალბათ, „ალტალტი“ ფორმისაგან მომდინარეობს (საყურადღებოა, რომ ***ղ*** ლ-დ არის გადმოსული და არა **ღ**-დ). მაგრამ საიდან მივიღეთ „ალდაჭი“ ფორმა, ეს ნათელი არაა. ამ სიტყვის ასეთ ფონეტიკურ სახეს სომხურისთვის ჰრ. აჭარიანიც არ იცნობს. შეუძლებელი არაა, „ალდაჭი“ არასწორი ფორმა იყოს „ალდატ//ალტატისა“ (ⴀⴊⴃⴀⴒⴈ → ⴀⴊⴃⴀⴝⴈ).

7) **„ლეღვსუარი** (29,17 იერემია) ესე არს ეგვიპტური ზრქელი ფურცელი, რომელი ფურცელთა ზედა მოისხამს ლეღუთა“[17]. წყაროებში ეს სიტყვა ასეა წარმოდგენილი: „ვითარცა ლეღუნი სუარიმისანი (სოარემისანი O) JO; „ვითარცა ლეღუნი სუარი“. შდრ. ბერძნ. *ὡς σύκα πονηρὰ...*; სომხ. ***իբրև զթուզ ժանտ սաստիկ***. ცხადია, „ლეღვსუარი“ ორი სხვადასხვა სიტყვის მექანიკური შეერთებითაა მიღებული „ლეღვ“+„სუარი“). „სუარ“ ებრაულიდან მოდის שֹׂעָר „შოყარ“), მრ. რიცხვის ფორმაა שֹׂעָרִים „შოყარიმ“ და ნიშნავს ცუდს, უვარგისს, abscheulich, unansehnlich[18]. ძველ ქართულ რედაქციებში (JO) მრ. რიცხვის ფორმაა დაცული ებრაული „შოყარ“-ისა. ასევეა სომხურ ტექსტშიც, ოღონდ „სუარიმის“ გვერდით სინონიმური მნიშვნელობის მქონე ***ժանտ*** („ცუდი“, „უვარგისი“)[19] სიტყვაც არის ნახმარი.

მაშასადამე, ლექსიკონში უნდა განმარტებულიყო არა „ლეღვსუარი“, არამედ „ლეღვ“ და „სუარი“ ცალ-ცალკე, რადგანაც აქ კომპოზიტი არა გვაქვს, „ლეღვ სუარი“ ნიშნავს: ცუდი, (საჭმელად) უვარგისი ლეღვი. საინტერესოა, რომ საბა წყაროზე მიუთითებლად ცალკე განმარტავს „სუარს“, როგორც უჟამოს[20]. საბას რომ „ლეღვსუარი“ ერთ სიტყვად გაუგია, ამის საფუძველს, ალბათ, მას კონტექსტი აძლევდა: „ვითარცა ლეღუნი სუარი მისნი, რომელნი არა იჭამნენ სიჯერკულისაგან“ (W).

8) **„ურაკი** (49,27 იერ.) ურაკპარაკი“[21]. ეს სიტყვა G-შია ნახმარი: „შეჭამნეს ურაკნი ძისა ადერისნი“ (GW): აღსანიშნავია. რომ ძველი ქართული არ იცნობს საერთოდ „ურაკ“ ფორმას. დამოწმებულ ადგილას JO ვერსიებში „ურაკპარაკი“ გვაქვს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, შდრ. ბერძნ. **ἄμφοδα** („ქუჩა“, „უბანი“), სომხ. ***հրապարակ*** („მოედანი“, „საკრებულო“).

ჩვენთვის არაა ნათელი, თუ საიდან მომდინარეობს „ურაკ“ ფორმა, მაგრამ ცხადი კია, რომ იგი ნახმარია „ურაკ-პარაკ“-ის ბადლად. შესაძლოა, სქოლასტი-

16 ჰრ. აჭარიანი, სომხურის ეტიმოლოგიური ლექსიკონი (სომხურ ენაზე), I, 1927, გვ. 162.

17 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა..., გვ. 181.

18 W. Gesenius, Hebräisches und Aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament, Leipzig, 1915, გვ. 855.

19 А. Худабашев, Армяно-русский словарь, I, 1838, гв. 447.

20 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა,..., გვ. 327.

21 იქვე, გვ. 347.

კური სტილის ავტორმა „ურაკპარაკ“-ის რთულ სიტყვად გააზრების შედეგად ჩამოაშორა მას „პარაკ“ ნაწილი. ასეთი ფაქტისთვის შესაძლოა, ხელი შეეწყო იმ გარემოებას, რომ ურაკპარაკის ფარდი სიტყვა ბერძნულში მარტივი შედგენილობისა იყო (ἄμφοδα) და თანაც „პარაკი“ სიტყვაც (სხვა მნიშვნელობით) რეალურადაც არსებობდა ქართულში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ისიც აღვნიშნოთ, რომ G-ში ძველი ქართულისთვის კანონიერი ფორმა „კაცად-კაცადი“ არ იხმარება, მის ნაცვლად ყველგან „კაცადი“ გვაქვს. ვფიქრობთ, აქაც ბერძნული წყაროს გავლენა უნდა ჩანდეს: რადგან ბერძნულში „კაცად-კაცადის“ ფარდად მარტივი შედგენილობის სიტყვა იყო (ἕκαστος), სქოლასტიკური სტილის ავტორმა ქართული „კაცად-კაცადი“ ფორმაც „გაამარტივა“, ჩამოაშორა მას ერთი ნაწილი.

9) **„დეფანი** (50,15 იერემია) მომცრო დერეფანი, გინა ზღუდის სახლი“[22]. წყაროებში ეს ადგილი ასე იკითხება: „დაემხუნეს ა რ დ ა ბ ა გ ნ ი“ (JO), „დაეცნეს და ე ფ ა ნ ნ ი“ (GW). ს ა ბ ა ს რომ ამ შემთხვევაში უშუალოდ G ნუსხით ესარგებლა, განმარტავდა არა „დეფანს“, არამედ „დაეფანს“. ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ს, როგორც ჩანს, საბას ლექსიკონში განმარტებული „დეფანი“ სიტყვა შეუდარებია მითითებულ წყაროსთან და განუმარტავს: „დ ა ე ფ ა ნ ი დერეფანი (იერემ. 50,15 забрало[23]. ჩვენი ვარაუდით, „დეფანი“-ც და „დაეფანი“-ც არასწორი ფორმა უნდა იყოს. „დაეფანი“ უნდა მომდინარეობდეს „დ ა რ ეფანი“-სგან **რ**-ს დაკარგვით (შდრ. დ ა რ ბაზი). „დარეფან“ და „დერეფან“ ორი სპარსული სიტყვისაგან ჩანს შედგენილი: დარ + ფაჰნ იზაფათით: დერ-ი-ფაჰნ = „ვრცელი აივანი“[24].

კონტექსტის მიხედვით „დ ე ფ ა ნ ი“ ნიშნავს გამაგრებულ ადგილს, ზღუდეს, სიმაგრეს, როგორც ამას ავლენს მისი ფარდი სიტყვები უცხო წყაროებში: ბერძნ. ἔπαλξις (=крепостные зубцы, зубчатая стена, защита)[25], სომხ. *մահարձան* (=…башня, бастион)[26].

10) **„იდად** (48,33 იერემია) ესე სიტყუა არს სიცოცხლე სიხარულითა“[27].

არც „ი დ ა დ“ და არც მისი ფარდი სხვა რაიმე სიტყვა არა გვაქვს ძველ ვერსიებში (JO), იგი მხოლოდ G-შია ნახმარი: „ღჳნოჲ საწნეხელთა შინა შენთა არა დაწნიხეს განთიად ი დ ა დ, არცა მიმწუხრი არა ყვეს ი დ ა დ“ (W) შდრ. ბერძნ. οἶνος ἦν, ἐπὶ ληνοῖς σου· πρωῒ οὐκ ἐπάτησαν οὐδὲ δείλης, οὐκ ἐποίησαν αἰδέ; სომხ. *գինի' էր 'ի հնձանս քո· ընդ առաւօտս ոչ կոխեցին, և ընդ երեկս ոչ հանին ձայն հնձանահարաց*

როგორც ჩანს, ბერძნულ ტექსტში „იდად“-ის ფარდად αἰδέ გვაქვს, ხოლო სომხურ წყაროშია *ձայն հնձանահարաց*—ხმა მწნეხართა (შდრ. რუს. крик радости). მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართული „იდად“-ის ფარდად ბერძნული სეპტანტის კომპლუტენის გამოცემაში[28] ყოფილა αἰδέδ. ეს უკანასკნელი ბერძნულში უთარგმნელადაა გადმოღებული ებრაული ტექსტიდან[29] hēdād „ედად“). ძნე-

---

22 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა..., გვ. 99.

23 ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, ალ. ღ ლ ო ნ ტ ი ს რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1961, გვ. 188.

24 მ. ხ უ ბ უ ა, სპარსული წინაენისმიერები ქართულში: საქ. მეცნ. აკ. მოამბე; V, № 6, 1944, გვ. 655.

25 И. Д в о р е ц к и й, Древнегреческо-русский словарь, I, 1958, გვ. 582.

26 А. Х у д а б а ш е в, Армяно-русский словарь, II, Москва, 1838, გვ. 119.

27 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა..., გვ. 146.

28 ბერძნული სეპტანტის კომპლუტენისეული ტექსტი პირველად დაიბეჭდა 1514-1517 წლებში.

29 И. Я к и м о в, Толкование, II, გვ. 697.

ლია გადაჭრით იმის თქმა, თუ რომელი წყაროდან მომდინარეობს G-ში დადასტურებული „იდად“ ფორმა. თუ ამ შემთხვევაში ამოსავლად ბერძნულ წყაროს მივიჩნევთ, ქართულში მოსალოდნელი იყო „ედედ“ (αἰδέδ), ხოლო თუ ანგარიშს გავუწევთ პირველ წყაროს (ებრაულის) ჩვენებას, მოსალოდნელი იყო „ედად“ (הֵידָד). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ებრაული ბიბლიური ტექსტის ვოკალიზაცია (ხმოვან ბგერათა ნიშნების დასმა) გვიანდელი ფაქტია, და ამიტომ ადრე „გაუხმოვნებელი“ ფორმების ამოცნობა და სწორად გადატანა სხვა ენაზე დიდ სიძნელეს ქმნიდა, რასაც თან ახლდა ხშირად შეცდომები. ქართული „იდად“, ყოველ შემთხვევაში, უფრო ახლოსაა „ედედ“ ფორმასთან (შესაძლოა, ედედ > იდად. ד-სა და ד-ს გრაფიკული მსგავსების საფუძველზე), ვიდრე „ედედ“-თან.

„იდად“ სიტყვის განმარტებას დაზუსტება სჭირდება. ეს სიტყვა აღნიშნავს ყრიამულს, მხიარულ ხმაურობას; hedād ებრაულში, გ ე ზ ე ნ ი უ ს ი ს განმარტებით, ნიშნავს „მხიარულ ხმაურს“ (Freudengeschrei)[30].

11. „**აპის** რომელმან ტვირთი ვერ ზიდოს (46,15 იერემ)“[31].

„აპის“ სიტყვა ს ა ბ ა ს G რედაქციიდან მოჰყავს წყაროშია: „მით რამეთუ ივლტოდა ა პ ი ს, ზუარაკი რჩეული“ (GW). ძველ ვერსიებში „აპის“ სიტყვის ფარდად არაფერი გვაქვს. „აპის“ ბერძნული წყაროდან უნდა იყოს G-ში შესული (ὁ Ἆπις), შდრ სომხ. *ուլ* („თიკანი“). „აპის“ არის კერპის სახელწოდება. ეგვიპტელებს ეს კერპი წარმოდგენილი ჰყავდათ ხბოს სახით და მის ძლიერებას ენდობოდნენ[32]. ტექსტში ლაპარაკია, რომ ღმერთმა შური იძია და ეგვიპტელების იმედი—აპისი დაამხო. მაშასადამე, „აპის“-ის განმარტება, რომელსაც ს ა ბ ა იძლევა, ზუსტი არ არის.

12. „**სამრავალკაცო** (2,23, იერ.) ჴეობა.

სამრავალკაცო (19,2 იერ.) საძვლე აკლდამა“[33].

ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ორ განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულად თვლის „სამრავალკაცო“-ს და წყაროს სხვადასხვა ადგილზე მითითებით სხვადასხვანაირ განმარტებას იძლევა[34]. ნამდვილად კი „სამრავალკაცო“ ერთი სიტყვაა და ორსავე დასახელებულ ადგილას ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონეა. „სამრავალკაცო“ G ვერსიაში დასტურდება: „იხილენ გზანი შენნი ს ა მ რ ა ვ ა ლ კ ა ც ო ს შინა“ W (2,23), განხჳდე ს ა მ რ ა ვ ა ლ კ ა ც ო დ ძეებისა შვილთა მათთაჲსა GW (19,2). ძველ ვერსიებში კი ამ სიტყვის ფარდად გვაქვს: „ს ა მ ა რ ო ბ ა ნ ი“ და „ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი“ (2,23 O). „სამრავალკაცო“ ბერძნულის კალკია: „ს ა მ რ ა ვ ა ლ კ ა ც ო ს შინა“ (2,23), შდრ. ბერძნ ἐν τῷ πολυανδρίῳ; „სამრავალკაცოდ“ 19,2; შდრ ბერძნ. εἰς τὸ πολυανδρίον.

„სამრავალკაცო“-ს ფარდად სომხურ ტექსტში ორსავე ადგილას *գերեզման* („სასაფლაო“) არის ნახმარი, ხოლო ებრაულში ხეობის აღმნიშვნელი სიტყვაა (შდრ. რუსული თარგმანით, долина). რეალურად „სამრავალკაცო“ აღნიშნავს იერუსალიმის სამხრეთით მდებარე ველს, სადაც ისრაელები ცეცხლში წვავდნენ თავიანთ ბავშვებს კერპების (ბაალის, მოლოქის) მსხვერპლად. ამიტომაც იყო შესაძლებელი

30 W. G e s e n i u s, დასახ. ლექსიკონი, გვ. 174.

31 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა..., გვ. 28.

32 И. Я к и м о в, Толкование, II, გვ. 655-656.

33 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა..., გვ. 296.

34 ი ქ ვ ე.

ეს ადგილი წოდებულიყო „მრავალთა სამარედ“[35]. (შდრ. სამარობანი J, სამაროვანი O). ასე რომ, საბას განმარტება ამ შემთხვევაში ზუსტი არ არის.

13. **„ვალანებ** ვალანასავით (49,31 იერ.)“[36]. „ვ ა ლ ა ნ ე ბ“ სიტყვის წინ ს ა ბ ა ს განმარტებული აქვს „ვალანა“ იმავე ადგილზე მითითებით: **„ვალანა** (49,31 იერ.) რაოდენნი კლიტეებით მოიკრძალებიან ვ ა ლ ა ნ ა დ უწოდენ, რომლისათჳს კლიტეთა ვ ა ლ ა ნ ლ ა რ ა დ უწოდეს“[37].

ცხადია „ვალანა“-ს განმარტების შემდეგ არ იყო საჭირო მრ. რიცხვის ფორმით („ვალანები“) მისი ხელმეორედ განსამარტავად მოყვანა ლექსიკონში წყაროში „ვალანებ“ ფორმაა: „არა არიან კარებ, არა ვალანებ, არა მოქლონებ“ (W), შდრ. ბერძნ. οὐκ εἰσὶ θύραι, οὐ βαλάνοι, οὐ μοχλοί. „ვალანა“ ბერძნული სიტყვაა (βάλανος) და ნიშნავს რკინის კოტას, ურდულში გასაყრელ ჩხირს[38]. საბას განმარტება დაუზუსტებია ნ. ჩუბინაშვილს, მაგრამ სწორი განმარტება ვერც მას მოუცია: „ვალანი“ სახლთ გარემოვლებული ფიცრის გალავანი (ნახე ზღუდესთან) (იერემ. 49,31 забрало, забор)[39].

* * *

დასასრულ, ჩვენი ძეგლის ენობრივი მოვლენების ანალიზიდან შეიძლება საყურადღებოდ ჩაითვალოს შემდეგი: 1. G ვერსიაში რეალიზებულია „გულისხმა“ სიტყვის ასეთი ფორმა: „გულისხუმა“. 2. ნახმარია „სახლ“ სიტყვის უძველესი ფორმა „სახელ“. 3. ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ფორმა გამოყენებულია მოქმედებითის (გამოსვლითის) ფუნქციით. 4. „რა“ ნაცვალსახელს მოეპოვება **თანიანი** მრ. რიცხვის ფორმა „რ ა თ ა“. 5. **ოდ** სავრცობიან ზმნათა ულლების სამივე სახეა დაცული: ძველი, გარდამავალი და ახალი. 6. ვნებითი გვარის ორგანული (**ინიანი**) წარმოება გარკვეულ შემთხვევაში შეცვლილია აღწერითი (პერიფრასტული) წარმოებით. 7. ზმნა სამპირიანობას ინარჩუნებს III სერიის მწკრივში. 8. მიმღეობა ობიექტს მართავს მიც. ბრუნვაში. 9. G ვერსიაში ჭარბადაა წარმოდგენილი „სინტაქსური კონტამინაციის“ ფაქტი. 10. ლექსიკაში ჩანს ბერძნული წყაროს აშკარა გავლენა, რაც ვლინდება G-ში, ნაკლებად კი — JO ვერსიებში. ლექსიკის შესწავლით შესაძლებელი გახდა, რომ დ ა ზ უ ს ტ ე ბ უ ლ ი ყ ო ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში შესული რამდენიმე სიტყვის ფ ო რ მ ა და მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. 11. საერთოდ, ზოგიერთი ენობრივი თავისებურება განსაზღვრულია უცხო წყაროთა გავლენით (§§ 20, 21, 22, 68⋯).

---

35 И. Я к и м о в, Толкование, I, გვ. 59-60; II, გვ. 337.
36 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა..., გვ. 115.
37 ი ქ ვ ე.
38 И. Д в о р е ц к и й, Древнегреческо-русский словарь, I, 1958, გვ. 286.
39 ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი. ალ. ღლონტის რედაქციით და გამოკვლევით, თბილისი, 1961, გვ. 214.

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

ნაწილი პირველი

წინაწარმეტყუელებაჲ იერემიაჲსი (ტექსტი) 11
ლექსიკონი 218

ნაწილი მეორე

იერემიას წინასწარმეტყველების ისტორიულ-ფილოლოგიური და ლინგვისტური ანალიზი . 255

I. ხელნაწერთა აღწერილობა:

§ 1. J რედაქციის ხელნაწერი 257
§ 2. O რედაქციის ხელნაწერი 258
§ 3. G რედაქციის ხელნაწერი 259
§ 4. ლექციონარების ხელნაწერები 261

II. ტექსტის გამართვისათვის:

§ 5. პარიზული გამოცემის შესახებ 264
§ 6. ქართული ვერსიების მცდარი წაკითხვები 267
§ 7. J ვერსიის მცდარი წაკითხვები 268
§ 8. O ვერსიის მცდარი წაკითხვები 271
§ 9. G ვერსიის მცდარი წაკითხვები 276

III. ქართული ვერსიები და მათი ურთიერთმიმართება:

§ 10. „ხანმეტური“ ვერსია 279
§ 11. J და O ვერსიათა ურთიერთმიმართება 280
§ 12. G-ს მიმართება J და O ვერსიებთან 284
§ 13. ვახტანგისეული ნაბეჭდი ბიბლია 289
§ 14. W-ს მიმართება G-სთან. 293
§ 15. იერემიას წინასწარმეტყველების რომელ ვერსიას იმოწმებდა სულხან-საბა ორბელიანი თავის ქართულ ლექსიკონში? 297
§ 16. ლექციონართა საკითხავების ტექსტობრივი მიმართება JO ვერსიებთან 301

IV. ქართული ვერსიების მომდინარეობის საკითხი:

§ 17. ქართული ვერსიების ტექსტუალური მიმართება უცხო წყაროებთან 304
§ 18. ერთი სიტყვის ორი სხვადასხვა წყაროდან მომდინარე თარგმანი 312
§ 19. საკუთარ სახელთა გადმოცემა 314
§ 20. ბერძნიზმები JO ვერსიებში 315
§ 21. ბერძნიზმები G ვერსიაში 318
§ 22. სომხური ელემენტები 322

V. ენობრივი მოვლენები 327

1. ორთოგრაფია:

§ 23. უნებლიე ორთოგრაფიული შეცდომები 328
§ 24. ო-სა და უ-ს ურთიერთმონაცვლეობა 329
§ 25. ჲ-ის ხმარება 330

§ 26. ჵ-ის ხმარება 331
§ 27. უმარცვლო უ-ს ხმარება 333
§ 28. ჳ-ს ხმარება 333
§ 29. ჴ-ს ხმარება 333
§ 30. G ვერსიის ორთოგრაფია 334

2. ფონეტიკა:

§ 31. ასიმილაცია 338
§ 32. დისიმილაცია 338
§ 33. მეტათეზისი 339
§ 34. სუბსტიტუცია 339
§ 35. ხმოვანთა რედუქცია 340
§ 36. თანხმოვანთა დაკარგვა 341
§ 37. ბგერის გაჩენა (განვითარება) 342
§ 38. კონტამინაცია 343

3. მორფოლოგია:

§ 39. სახელთა ბრუნება 344
§ 40. სახელობითის ნაცვლად წრფელობითის ხმარება 344
§ 41. „სახლ“ სიტყვის უძველესი ფორმები 345
§ 42. ნათესაობითი მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციით 345
§ 43. მოქმედებითი მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციით 345
§ 44. ვითარებითი (მიმართულებითი) მოქმედებითის (გამოსვლითის) ფუნქციით . . . 346
§ 45. ვითარებითი (მიმართულებითი) მიცემითი ბრუნვის ფუნქციით 346
§ 46. ნანათესაობითარი სახელობითი 346
§ 47. ნანათესაობითარი ვითარებითი 348
§ 48. წოდებითი ბრუნვა 348
§ 49. ემფატიკური ა 350
§ 50. ნაწევარი 350
§ 51. საკუთარ სახელთა ბრუნება 351
§ 52. რიცხვის წარმოება 353
§ 53. თანდებულები 355
§ 54. წარმოქმნა 356
§ 55. ზმნისწინები 358
§ 56. ტმესი 358
§ 57. პირის ნიშნები 359
§ 58. მწკრივთა წარმოება 360
§ 59. „განდგომა“ ზმნის რელატიური ფორმა 361
§ 60. „ქმნა“ ზმნის საარვისო ქცევის ფორმა 362
§ 61. ვნებითი გვარის წარმოება 362
§ 62. მიმღეობა 363

4. სინტაქსი:

§ 63. სახელთა შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში 364
§ 64. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება 364
§ 65. ზმნის სამპირიანობა III სერიის მწკრ ვში 365
§ 66. სამპირიანი ზმნის ერთპირიანად ქცევა 366
§ 67. „სინტაქსური ასიმილაცია“ 366
§ 68. მიმღეობის მიერ პირ. ობიექტის მართვა ბრუნვაში 367
§ 69. „სინტაქსური კონტამინაცია“ 369

VI. ლექსიკა 371

§ 70. საბას ლექსიკონში იერემიას წინასწარმეტყველების წიგნიდან დამოწმებული ზოგიერთი სიტყვის ფორმისა და განმარტების დაზუსტებისათვის. 372

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ჯამარჯაშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი ქ. გაჩეჩილაძე
სბ 1622

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.02.92. საბეჭდი ქაღალდი $70 \times 108^1/_{16}$.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 38,4. სააღრ.-საგამომც. თაბახი 29,49.
შეკვეთის № 586 ტირაჟი 1000

ფასი 8 მან. 10.80

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1,

Данелия Корнелий Давидович

ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ ВЕРСИИ
ПРОРОЧЕСТВА ИЕРЕМИИ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1992